აფხაზეთი ქართულ პრესაში

ქართული პერიოდული გამოცემების მასალები
(1866-1899)

შემდგენელ-რედაქტორი
ანა ბაქანიძე

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2022

შემდგენელ-რედაქტორი: ანა ბაქანიძე

სარედაქციო ჯგუფი:
ნინო ცომაია, ლია სიმსივე, ქეთევან ბაქანიძე, ია შახპარუნოვი,
მარიამ რუსიტაშვილი, ქეთევან ფანცულაია.

დამკაბადონებელი: ნანა დუმბაძე
გარეკანის ფოტო: ელზა ფაცურია
დიზაინერი: თამარ ჩალაძე

წიგნი დაიბეჭდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.

© ა. ბაქანიძე, 2022

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-376-7

წინასიტყვაობა

,,თუ თავის დროზე მეფის რუსეთს დამსახურებულად
უწოდებდნენ ,,ხალხთა უზარმაზარ საპყრობილეს'',
ამ საპყრობილეში ტანჯვის ყველაზე უფრო მკაცრი
საკანი აფხაზეთი იყო.''
მიხეილ ლაკერბაი
(აფხაზი მწერალი)

წიგნი ,,აფხაზეთი ქართულ პრესაში'' - აერთიანებს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის (1866-1899 წლები) ქართული პერიოდული გამოცემების ძირითად მასალებს აფხაზეთთან დაკავშირებით (ჟურნალ-გაზეთები: ,,დროება'', ,,ივერია'', ,,ცნობის ფურცელი'', ,,კვალი'', ,,მწყემსი'', ,,აკაკის თვიური კრებული'').

ამ პერიოდის ქართული პრესა უმნიშვნელოვანესი საისტორიო წყაროა და თვალსაჩინო სურათს ქმნის XIX საუკუნის მეორე ნახევრის აფხაზეთში არსებული ვითარების გასაცნობად და აფხაზეთის, საქართველოს ამ უძველესი მხარის, ისტორიის უკეთ შესასწავლად.

შინაარსის თვალსაზრისით მასალები მრავალფეროვანია და მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: პოლიტიკა (მხარის კოლონიზაცია/ოკუპაცია), კულტურა, განათლება, მედიცინა, სამართალი, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ინფრასტრუქტურა და ა. შ.

წიგნში წარმოდგენილი მასალა საინტერესო ისტორიულ პერიოდს ეხება (1866-1899 წლები): ამ დროს საქართველო, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად დაყოფილი, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. ისტორიული რეალობა მძიმე იყო, განსაკუთრებით - აფხაზეთის მხარეში. კავკასიის ხანგრძლივი ომების დასრულების, შამილის დატყვევების და ჩრდილო კავკასიის ანექსიის შემდეგ მკვეთრად შეიცვალა რუსეთის დამოკიდებულება აფხაზეთისადმი, აქტუალური გახდა აფხაზეთის სამთავროს გაუქმების (1864 წელი) საკითხი, რითაც ამ მხარეში საბოლოოდ დაკანონდა რუსეთის ხელისუფლება, რომლის მთავარი მიზანი: აფხაზთა უმრავლესობის რეგიონიდან გასახლება, ხოლო დარჩენილი ნაწილის გარუსება იყო. შესაბამისად სამთავროს გაუქმებას მოჰყვა რუსული კოლონიზატორული პოლიტიკის გააქტიურება და მთელი რიგი ისტორიული პროცესები, მაგ.: 1964 წლიდან აფხაზეთის სამთავრო იქცა სოხუმის სამხედრო განყოფილებად (შემდგომში - სოხუმის ოკრუგად); სოხუმის განყოფილება დაექვემდებარა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს; ეს პერიოდი აერთიანებს 1866 და 1877 წლების აჯანყებებს; თურქეთში მუჰაჯირობის ხანგრძლივ პროცესს და მის ტრაგიკულ შედეგებს; პროთურქული ძალების მცდელობებს ანტირუსული განწყობების გაღვივების საქმეში; ერთი მხრივ, რუსეთის ღია დისკრიმინაციულ პოლიტიკას ქართველების მიმართ (განსაკუთრებით XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან) და, მეორე მხრივ, ქართველი სასულიერო თუ საზოგადო მოღვაწეების აქტიურ საქმიანობას აფხაზეთში გამეფებული უსამართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ, ქართველ-აფხაზთა უფლებების დაცვისა თუ ქართულ-აფხაზური კულტურის შენარჩუნება/დამკვიდრების საქმეში. **(ამ პერიოდის აფხაზეთის ისტორიის გასაცნობად მნიშვნელოვანი წყაროა ზურაბ პაპასქირის ფუნდამენტური ნაშრომი: ,,ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან'').*

პოლიტიკური პროცესების ამსახველი პუბლიკაციების გარდა პრესაში ქვეყნდებოდა სხვადასხვა თემატიკის წერილები, მაგალითად:

განათლება და კულტურა, საზოგადოებრივი ცხოვრება:

იბეჭდებოდა ინფორმაციები, განცხადებები, კორესპონდენციები სკოლებისა და ბიბლიოთეკების დაარსების მოწოდებით, ვრცლად შუქდებოდა განათლებისა და კულტურის სარბიელზე მომუშავე პირთა ცხოვრება, მათი ღვაწლი და ამაგი. გვხვდება ცნობები სოხუმის ქალთა/ვაჟთა სასწავლებლებისა თუ სასოფლო სკოლების, სამკითხველოებისა და წიგნთსაცავების ფუნქციონირების, მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და სახელმძღვანელო წიგნების ხელმისაწვდომობის საკითხებზე. ასევე, საჯარო ლექციების, საბაღოსნო გამოფენების, თეატრალური წარმოდგენებისა თუ შემოქმედებითი საღამოების შესახებ, რომლებიც, უმეტეს შემთხვევაში, საქველმოქმედო მიზნით იმართებოდა. სოხუმში საქმიანობდა სხვადასხვა თემატური/პროფესიული გაერთიანება და ორგანიზაცია (მაგ.: სტამბა, ბანკი, მეაბრეშუმეთა და სავაჭრო ამხანაგობა, სცენის მოყვარეთა გაერთიანება, საეკლესიო-საარქეოლოგიო კომისია, მომრიგებელი სასამართლო ნოტარიუსის ნაწილით, ტელეგრაფის კომისია და ა. შ.).

ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა: ხშირად გვხვდება სტატიები მოსავლის მოყვანასთან, მცირე ვაჭრობასა და აღებ-მიცემობასთან დაკავშირებით. ზოგადად, იმ პერიოდის ეკონომიკაც და სოფლის მეურნეობაც პრიმიტიულ დონეზე იყო განვითარებული. ეს არც არის გასაკვირი, ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, სავარაუდოდ, რეგიონის არასტაბილური ვითარება, გამუდმებული ბრძოლები და სამხედრო ინტერვენციები იყო. აფხაზეთის მოსახლეობას მოჰყავდა მარცვლეული, ძირითადად - სიმინდი, აშენებდა ვენახს, ზეთისხილს, ახარებდა აბრეშუმის ჭიას, მკვიდრდებოდა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურები. დაწინაურებული დარგი იყო მეთამბაქოეობა, ჰყავდათ შინაური საქონელი, ფუნქციონირებდა წვრილი საწარმოები (სამჭედლო, სადურგლო, სამკერვალო, სახარაზო საწარმოები, სანთლის ქარხანა და სხვა). იწყებოდა ხე-ტყის, განსაკუთრებით კი ბზისა და დაფნის კულტურების ათვისება-რეალიზაცია. აფხაზეთში შემოდიოდნენ არა მხოლოდ რუსი, არამედ ევროპელი და ამერიკელი ვაჭრები/ინვესტორები.

მედიცინა: იმ პერიოდის აფხაზეთში ცუდად იყო განვითარებული სამედიცინო სფერო. აფხაზეთიდან მოწერილ კორესპონდენციებში იკვეთება კვალიფიციური ექიმების, ასევე აფთიაქების ნაკლებობის პრობლემა, რის გამოც მოსახლეობა იძულებული იყო მკითხავებისთვის მიემართა, რომლებიც საბოლოოდ მათ შველას ვერ ახერხებდნენ. ამ პრობლემების გამო ხშირი იყო ადამიანური მსხვერპლი. წერილების ავტორები უჩივიან ექიმების გულგრილობასა და არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას. ხაზს უსვამენ იმასაც, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ რუსული არ იცოდა და, ხშირ შემთხვევაში, ენობრივი ბარიერის გამო, პაციენტსა და ექიმს შორის შეუძლებელი ხდებოდა კომუნიკაციაც. ამავდროულად, ბევრი სტატიაა აფხაზეთის ჰავის უნიკალურობის შესახებ, საავადმყოფო და სამკურნალო დაწესებულებების, სანატორიუმების არსებობის აუცილებლობაზე და სხვა.

ინფრასტრუქტურა: არაერთი სტატია დაწერილა აფხაზეთის სხვადასხვა ნაწილში უგზოობის პრობლემაზე. გვხვდება ცნობები ნოვოროსიისკი-სოხუმი-ბათუმის გზატკეცილის მშენებლობის შესახებ (1890-იანი წლები), სოხუმის ნავსადგურისა თუ სანაპიროს მოწყობის, ქალაქის ფარნებით განათების, მილებით წყლის გაყვანის საკითხებსა თუ ფოსტა-ტელეგრაფის ფუნქციონირების შესახებ.

გარდა ამისა, ქართულ პრესაში ქვეყნდებოდა **ეთნოგრაფიული წერილები და ფოლკლორული მასალებიც.** გაზეთი ,,ივერია'' იყო ერთ-ერთი პირველი პერიოდული გამოცემა, რომელშიც პეტრე ჭარაიას ავტორობით აფხაზური ანდაზები დაიბეჭდა - მდიდარი აფხაზური ფოლკლორის ნიმუშები ქართული ტრანსკრიფციით. ამ მიმართულებით აღსანიშნავია ლიტერატურული ჟურნალის: ,,აკაკის თვიური კრებულის'' (1897-1900) წვლილიც: ქარ-

თველი მწერალი და რედაქტორ-გამომცემელი აკაკი წერეთელი ჟურნალში ხშირად უთმობდა ადგილს აფხაზეთთან დაკავშირებულ კორესპონდენციებს, გამოკვლევებსა თუ ფოლკლორულ ჩანაწერებს. ასეთ პუბლიკაციებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან მათი მეშვეობით მკითხველი ეცნობოდა აფხაზური ხალხური შემოქმედებისა და ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს.

ცხადია, ზემოთ განხილული თემების გარდა, გვხვდება სხვა სახის ინფორმაციაც. ზოგადად, იმ პერიოდის აფხაზეთში არ ყოფილა მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც პრესის ყურადღების მიღმა დარჩა.

ჟურნალ-გაზეთებში აფხაზეთის თემატიკის მასალები ხშირ შემთხვევაში სპეციალური რუბრიკების ფარგლებში ქვეყნდებოდა, მაგალითად, გაზეთ ,,ივერიაში'' ასეთი რუბრიკები იყო: ,,აფხაზეთი'', ,,ქალაქი სოხუმი'', ,,სამურზაყანო'', ,,დაბა გუდაუთა'', ,,აბჟუა'', ,,დაბა ოქუმი'', ,,დაბა ოჩამჩირე'' და სხვა.

შეკრებილი მასალა წიგნში ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი XIX საუკუნის ბეჭდური ენისა და სტილის დაცვით. ფორმატის თვალსაზრისით გვხდება როგორც მცირე საინფორმაციო სტატიები, ისე ანალიტიკური პუბლიკაციები, რომლებშიც ავტორები აფხაზეთში მიმდინარე სხვადასხვა საკითხს საფუძვლიანად და, ზოგ შემთხვევაში, კრიტიკულადაც განიხილავენ.

საინტერესოა აფხაზეთთან დაკავშირებული მასალების **ავტორთა ვინაობაც:** პერიოდულ გამოცემებში აფხაზეთის თემაზე სტატიებს აქვეყნებდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები (მეცნიერები, მწერლები, მასწავლებლები, სასულიერო პირები) საკუთრივ აფხაზეთიდან, მათ შორის: თედო სახოკია, გიორგი შარვაშიძე, ნიკო ჯანაშია, პეტრე ჭარაია, ივანე გეგია, დავით და კონსტანტინე მაჭავარიანები, ანთიმოზ ჯუღელი და სხვები.

აფხაზეთის თემატიკას დიდ ყურადღებას უთმობდა ცნობილი პედაგოგი და ჟურნალისტი, გაზეთ ,,დროებას'' რედაქტორი - სერგეი მესხი. საგულისხმოა მისი სტატიები: მაგ.: ,,აბზახეთი და აბხაზები'', რომლებშიც განიხილავდა აფხაზეთის ბუნებას, ამ მხარის მდიდარ რესურსებს, ადგილობრივი მოსახლეობის ყოფასა და მუჰაჯირობის თემას. ერთ-ერთ სხვა სტატიაში მთიელთა გადასახლების საკითხებს მიმოიხილავდა და მწყობრად აყალიბებდა საკუთარ პოზიციას, თუ როგორი უნდა ყოფილიყო პოლიტიკა დამორჩილებული ხალხებისადმი. ის თავგამოდებით იცავდა როგორც აფხაზ, ისე სხვა მთიელ ხალხებს იმპერიალისტური ძალმომრეობისგან, გულისტკივილით აღწერდა მუჰაჯირობის უმძიმეს პროცესს და ილაშქრებდა კავკასიელი ხალხების გადასახლების წინააღმდეგ. კიდევ ერთი ქართველი პუბლიცისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი წერეთელი ასევე კრიტიკულად ეხმიანებოდა მუჰაჯირობის პროცესს და შემდგომ აფხაზეთის განსახლების ხელისუფლებისეულ გეგმას. საგაზეთო სტატიებიდან ჩანს, რომ წერეთელი სწავლობდა აფხაზეთში დაცულ ქართულ ისტორიულ ძეგლებს, ხოლო შემდგომ ვრცელი პუბლიკაციებით აცნობდა მათ მკითხველს. აღსანიშნავია მისი სტატია ბედიის ტაძრის შესახებ, რომელშიც დეტალურადაა მოთხრობილი ტაძრის ისტორია, აღწერილია არქიტექტურა, ფრესკული მხატვრობა და იქ დაცული კულტურული მემკვიდრეობა. კავკასიელი ხალხების, მათ შორის აფხაზების კულტურასა და ტრადიციებს, აფხაზეთის ისტორიასა და მის გეოგრაფიულ-არქიტექტურას თავის ვრცელ ნაშრომებს უძღვნის მწერალი და კრიტიკოსი იონა მეუნარგიაც...

წიგნის შესავალ ნაწილში თითოეული ავტორის დასახელება და მათი სტატიების მიმოხილვა შორს წაგვიყვანს. თუმცა ხაზგასმით შეგვიძლია იმის აღნიშვნა, რომ ქართველი მოღვაწეები თავიანთი პუბლიკაციებით ცდილობდნენ ქართველი და აფხაზი ხალხის უფლებების დაცვას, აფხაზური ენის შენარჩუნებასა და მის ფუნქციონირების უზრუნველყოფას ისინი

ხელს უწყობდნენ და არგუმენტირებულად ასაბუთებდნენ მშობლიურ ენაზე განათლების მიღებისა თუ ღვთისმსახურების აუცილებლობას, აღწერდნენ და მკითხველს აცნობდნენ აფხაზეთში არსებულ კულტურულ და ისტორიულ ძეგლებს, კარგად იცნობდნენ და მკითხველსაც უზიარებდნენ აფხაზეთთან დაკავშირებულ საკითხებს საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროში. რაც მთავარია, თავისი წვლილი შეჰქონდათ ქართულ-აფხაზური ურთიერთობების განვითარების საქმეში და აფხაზეთს ყოველთვის წარმოაჩენდნენ როგორც საქართველოს განუყოფელ ნაწილს. აღსანიშნავია, რომ ეს არ იყო მხოლოდ სტატიების ავტორთა ინდივიდუალური დამოკიდებულება, აფხაზეთისადმი განსაკუთრებული ყურადღება და ამ რეგიონის საერთო-ქართულ კონტექსტში განხილვა, ქართული პერიოდული გამოცემების სარედაქციო პოლიტიკის ნაწილი იყო.

ერთი მხრივ, პრესის - როგორც საისტორიო წყაროს შესწავლის აუცილებლობა და, მეორე მხრივ, აღნიშნული პერიოდის ისტორიული კონტექსტი, ვფიქრობთ, კარგად წარმოაჩენს წიგნში თავმოყრილი მასალების მნიშვნელობას. ჩვენი ღრმა რწმენით, ,,აფხაზეთის საკითხი'' ქართულ საზოგადოებაში არასდროს დაკარგავს აქტუალობას. შესაბამისად, ვიმედოვნებთ, რომ წიგნი გახდება საინტერესო საკითხავი ფართო საზოგადოებისთვის და მნიშვნელოვანი საკვლევი რესურსი სპეციალისტთათვის.

ანა ბაქანიძე



„ზედიის ტაძარი“

გაზეთი „კვალი“, № 22, 1893 წელი

FOREWORD

"If, at one time, Tsar's Russia was deservedly called the "huge prison of the people", Abkhazia used to be the most severe cell of suffering in this prison."
Mikhail Lakerbai
(Abkhazian Writer)

A book "Abkhazia in Georgian Press" – brings together the main materials of Georgian periodicals of the second half of the nineteenth century (1866-1899) related to Abkhazia (journals and newspapers: "Droeba", "Iveria", "Tsnobis Purtseli" , "Kvali", "Mtskemsi", "Akakis Tviuri Krebuli").

Georgian press of this period is a crucial historical source, creating a clear picture for the awareness of the situation in Abkhazia in the second half of the 19th century and for a better study of the history of Abkhazia, this ancient part of Georgia.

In terms of content, the materials are diverse and cover such issues as: politics (colonization/ occupation of the region), culture, education, medicine, law, agriculture, trade, infrastructure, etc.

The materials presented in the book reflect an interesting historical period (1866-1899): at that time, Georgia, divided into administrative-territorial units, was part of the Russian Empire. The historical reality was hard, especially in the region of Abkhazia. After the end of the long wars in the Caucasus, the capture of Shamil and the annexation of the North Caucasus, Russia's attitude towards Abkhazia changed dramatically - the issue of the abolition of the principality of Abkhazia (1864) became urgent, thus the Russian government was finally legitimized in this area, with main goal to evict the majority of Abkhazians from the region, and to Russify the remaining ones. As a result, the abolition of the principality was followed by the activation of Russian colonization policy and a number of historical processes, for example: since 1964, the principality of Abkhazia became a military unit of Sukhumi (later - Sukhumi okrug); Sukhumi department was subordinated to Kutaisi Governor General; This period includes the revolts of 1866 and 1877; the long process of emigration to Turkey (Exiled Mukhadzhirs) and its tragic consequences; attempts of pro-Turkish forces to inflame anti-Russian sentiments; On the one hand, Russia's open discriminatory policy towards Georgians (especially since the 90s of the 19th century) and, on the other hand, the active involvement of Georgian clergy and public figures against the injustice and tyranny prevailing in Abkhazia, and in protection of Georgian-Abkhazian rights or the preservation/establishment of Georgian-Abkhazian culture. **(An important source for learning the history of Abkhazia of this period is Zurab Papaskiri's fundamental work: "Features from the historical past of modern Abkhazia").*

In addition to publications depicting political processes, letters on various topics were being published in the press, namely:

Education and culture, public life:

Information, announcements, correspondence calling for the establishment of schools and libraries were being published; the lives of people working in the field of education and culture, their merits and accomplishments used to be extensively covered. We also run across the notes regarding functioning of Sukhumi women's/boys' schools or rural schools, reading rooms and libraries, teachers' qualifications and availability of textbooks; information is also found about public lectures, horticultural exhibitions, theatrical performances or creative evenings, which, in most cases, were held for charity goals. Various thematic/professional associations and organizations were acting in Sukhumi (eg: printing house, bank, silk farming and trade association, association of stage lovers, ecclesiastical-archaeological commission, conciliation court with a notary, telegraph commission, etc.).

Economy and Agriculture: Articles regarding harvesting, peddling, purchase and sale are often met. In general, the economy and agriculture of that period were not well developed. This is not surprising, and one of the main reasons for the above was probably the unstable situation in the region, constant battles and military interventions. The population of Abkhazia used to grow grain, mainly corn, built vineyards, olives, raised silkworms, cultivated tea and subtropical crops. The advanced industry was tobacco; the people owned livestock, small enterprises (blacksmith shops, joineries, sewing and shoemaking workshops, candle factory, etc.) were functioning. Utilization-realization of timber, especially boxwood and laurels, was just setting in. Not only Russian, but also European and American traders/investors began entering Abkhazia.

Medicine: The medical of that period was poorly developed in Abkhazia. Appropriate correspondences from Abkhazia reflect the problem of lack of qualified doctors and pharmacies, due to which the population had nothing to do but to apply to fortune-tellers, who in the end were unable to help them. Human toll was not a rare case due to this problems. The authors of the letters complain about the indifference and dishonest attitude of the doctors. They also emphasize that the local population did not know Russian and, in many cases, communication between the patient and the doctor was impossible due to the language barrier. At the same time, there are many articles about the uniqueness of Abkhazia's air, the need for hospitals and medical facilities, sanatoriums, and more.

Infrastructure: Many articles have been written about the problem of roadlessness in different parts of Abkhazia. Bulletins are found regarding the construction of the Novorossiysk-Sukhumi-Batumi highway (1890s), the arrangement of Sukhumi harbor or the embankment, illumination of the city, the issues of water piping, and the functioning of the post and telegraph.

Besides the above, ethnographic letters and folklore materials were also being published in Georgian press. The newspaper "Iveria" was one of the first periodicals in which Abkhazian proverbs by Petre Charaya have been printed – it was a sample of rich Abkhazian folklore with Georgian transcription. In this regard, the contribution of the literary magazine: "Akakis Tviuri Krebuli" (1897-1900) is worth noting: Georgian writer and editor-publisher Akaki Tsereteli often devoted articles in the magazine to correspondences, researches and folklore records related to Abkhazia. Such publications were

of great importance, because through them the readers were being introduced to the samples of Abkhazian folk and orality.

Obviously, in addition to the aforementioned topics, there are many other information. In general, there was no more or less important issue in Abkhazia at that time, which remained out of the attention of the press.

In magazines and newspapers, the materials on Abkhazian issues used to be published in special columns, for example, in the newspaper "Iveria" such columns were: "Abkhazia", "City of Sukhumi", "Samurzakhano", "Daba Gudauta". , "Abzhua", "Daba Okumi", "Daba Ochamchire" and others.

The collected material is presented in the book in chronological order, meeting the printed language and style of 19th century. From the point of view of the format, we have both small informative articles and analytical publications, in which the authors thoroughly and, in some cases, critically discuss various current issues of Abkhazia.

The identity of the authors of materials related to Abkhazia is also interesting: in periodicals, articles on Abkhazia were being published by well-known public figures (scientists, writers, teachers, clergymen) from Abkhazia itself, including: Tedo Sakhokia, Giorgi Sharvashidze, Niko Janashia, Petre Charaya, Ivane Gegia, Davit and Konstantine Machavarians, Antimoz Jugeli and others.

Sergey Meskhi, a well-known teacher and journalist, editor of newspaper "Droeba", used to pay a great attention to the topic of Abkhazia. His articles are quite interesting; for example, in his work "Abkhazia and Abkhazians" he discusses the nature of Abkhazia, the rich resources of this region, the existence of the local population and the topic of migration (Muhajirism). In one of the other articles, he reviews the issues of resettlement of mountaineers and logically formulates his own position on what should be the policy towards the subjugated peoples. He selflessly defends both Abkhazian and other mountain peoples from the imperialist enforcement, and painfully describes the most difficult process of emigration and rises against the Muhajirism of the Caucasian peoples. Another Georgian publicist, writer and public figure, Giorgi Tsereteli, used to be also critical of the emigration process and the government's plan for the subsequent resettlement of Abkhazia. From the newspaper articles it can be seen that Tsereteli had been studying Georgian historical monuments being in Abkhazia, and subsequently introduced them to the readers with extensive publications. His article about Bedia Cathedral is worth noting; in this work the author tells a history of the temple details, its architecture, fresco painting and the cultural heritage preserved there. The writer and critic Yona Meunargia also dedicates his extensive works to the culture and traditions of the Caucasian peoples, including the Abkhazians, to the history of the latter and its geographical architecture...

Naming each author and reviewing their articles in the introduction to the book would take us too far. However, we can say by sure that Georgian figures, through their publications, were trying their best to protect the rights of Georgian and Abkhazian people, promote the preservation of Abkhazian language and ensure its further functioning; they used to reasonably substantiate the necessity

of receiving education or holding a service in their native language, describing and informing the readers about the cultural and historical monuments in Abkhazia; they were well aware and used to share with readers the issues related to Abkhazia in almost all realms of public life. And what is the most important, they have contributed to the development of Georgian-Abkhazian relations and always presented Abkhazia as an integral part of Georgia. It should be noted that this was not only the individual attitude of the authors of the articles - special attention to Abkhazia and discussion of this region in the general Georgian context was part of the editorial policy of Georgian periodicals.

On the one hand, the need to study the press as a historical source and, on the other hand, the historical context of the mentioned period, to our opinion comprehensively emphasizes the importance of the materials collected in the book. In our deep belief, the "Issue of Abkhazia" will never lose its urgency in Georgian society. Therefore, we hope that the book will become an interesting material for the broad masses and an important research resource for specialists.

Ana Bakanidze

„ზედიის ტაძრის ნანგრევი“

გაზეთი „კვალი”, №22, 1893 წელი

„ზედიის ტაძრის
წმინდა ბარძიმები“

გაზეთი „კვალი”, №22, 1893 წელი

1866 წელი

გაზეთი ,,დროება''

სამურზაყანოდგან

(კორრესპონდენცია)

სამურზაყანოში ძველ დროებაში, ე.ი. როდესაც იგი დასავლეთ საქართველოს მეფის მფლობელობაში იყო, მართმადიდებელი ქრისტიანობა ყოფილა; შემდგომ საქართველოს სამეფოს დანაწილებისა რამოდენსამე ნაწილად აქ ქრისტიანობა დაცემულია და დიდი მნიშვნელობა მიუღია მახმადიანის სარწმუნოებას. ახლა უნდა ვთქვათ, რომ, თუმცა იგინი ირიცხვიან ქრისტიანებად, მაგრამ მაჰმადის სარწმუნოების წესი ჯერ იმათში არ ამოკვეთილა. აქ თათრებს ჰქონიათ დიდი ხნითგან მისვლა-მოსვლა, რადგანაც მახლობელი ხალხია და უმეტესად განათლებულია აქაურებზედ; ამისთვის იმათთან ძლიერ ახლო კავშირი აქვთ, მინამ სხვა ხალხთან. თათრებთან ვაჭრობენ, იმათგან ამბებს ტყობულობენ და იმათ რჩევას, როგორც უმეტესად გამოცდილის კაცებისას, დიდის სურვილით მიიღებენ. მრთელი აფხაზეთი მახმადიანის სარწუნოებისა არის, თუმცა, როგორათაც ამბობენ ძველი კაცები, დიდი ხანი არ არის რაც ქრისტიანობა ყოფილა. თათრების გავლენა იმოდენი ყოფილა, რომ ეხლაც, რაც კი ვაჭრები არიან სამურზაყანოში და აფხაზეთში, ყველანი თითქმის თათრები არიან. მარტო ოჩამჩირე ამტკიცებს, რომ შარვაშიძის დროს იქ რიგიანი ქალაქი ყოფილა, თითქმის მარტო თათრებისაგან შემდგარი. იქ ნახავთ ორ სამ რიგს დუქნებს ზღვის პირზედ, ორს კარგს ქვითკირის აბანოებს, შარვაშიძის კარგს სამოსახლოს. ერთი სიტყვით ყოველივე ამტკიცებს, რომ იქ ადრინდელ დროში ძლიერ კარგი ვაჭრობა ყოფილა. ახლა კი ხალხი შევიწროებული არის იმიტომ, რომ აქ სრულებით არ იციან რთვა და ქსოვა, ნამეტნავად ბამბისა და არც მოჰყავთ ბამბა. აქ აკეთებენ ნაბდებს და ჩოხებს, რადგანაც მრავალი ცხვრები ჰყავთ. კაცს ასში ათს ჩოხა და ნაბადი კი აქვს, მაგრამ პერანგი და არც იმისი ამხანაგი არა აქვს. ქალები ძლიერ შევიწროებული არიან, რადგანაც ვერაფერს ჩაიცმენ შალისას. სამ კარგ ნაბდათ ძლივს მოუვა ერთი დამპალი ჩითის კაბა და ამის გამო ხალხი დაშიშვლებული არის; სხეული შალისაგან შეჭმული აქვთ. ფულის ანგარიში სრულებით არ იციან. მხოლოდ სცვლიან ერთ საქონელს მეორეზედ. ამ გაცვლა-გამოცვლაში თათრები გაჩვეული არიან და ამითი ხალხს ცოტა კიდევ საშუალობა ეძლევა, მაგრამ თათრები მიდიან თავიანთ ქვეყანაში. ეხლა ოჩამჩირე თითქმის ცარიელი არის. დუქნები, რომელნიც უწინ სავსე ყოფილან ნივთებით, ეხლა ყველა დაკეტილია. აქა-იქ არის ორი, სამი თათარი გაფრთხილებულების სახით და ისინიც მოხუცებულები, რომელთაც შეჰზარებიათ მიტოვება თავიანთ ნაშრომისა. ოქუმში უმეტესი რიცხვი თათრები არიან ვაჭრებად. მიზეზს, რომლისა გამო თათრებს მიუზიდავს აქაური ხალხი, მე ვპოებ იმაში, რომ იგინი პატიოსნად ვაჭრობენ. აქ ხშირად მოხდება, რომ რომელიმე აფხაზს ქალი უნდა შეირთოს სამურზაყანოელი ანუ მეგრელი, მაგრამ არ შეუძლიან კანონით, რადგანაც იგინი მახმადიანნი არიან; ამის გამო იტაცებენ ქალებს საცოლოთ, რომელთაც მთავრობა სჯის, როგორც სჯულის დამარღვეველს. დასამტკიცებლად ამისა მოვიყვანთ ერთს მაგალითს. დაიჭირეს ერთი მახმადიანის კაცი, რომელსაც მოეტაცნა ქალი. ერთმანეთი ძლიერ სურდათ, მაგრამ ქალის დედა და მამა მონათლული ყოფილან, ამის გამო არ მისცეს ნება მეუღლეობისა, თუმცა კი ქალი ცხარის ცრემლით აღიარებდა, რომ მე მახმადიანის სარწმუნოებისა ვარო. ვინ იცის საქმე როგორ გათავდება. საქმის გათავებამდისინ სატუსაღოში უნდა იჯდენ ჭკუის დასამშვიდებლათ და სხეულის შესაწუხებლათ, ,,რათამცა იგინი მაცდურნი მის ბოროტის ეშმაკისაგან არ შთავარდნენ ცეცხლსა შინა ჯოჯოხეთისასა და მით მოიპოვონ სწორი გზა სამოთხესა შინა უფლისასა.“ (დროება, N20, 1866 წელი);

ახალი დებულება სოხუმის განყოფილების მართვაზედ

русск. Инв.-ში სწერენ: აფხაზეთის მიწები, ქალ. სოხუმი, სამურძაყანო და წებელდი შეადგენენ ცალკე სოხუმის განყოფილებას, რომლის უფროსიც დაემორჩილება ქუთაისის ღენერალ-გუბერნატორს ადმინისტრაციულად. სოხუმის განყოფილება განაწილდება სოხუმის სასამართლოდ და მათს მაზრათ. თვითოეულს სოფელში, წესისა და რიგის დაცვისთვის, საზოგადოების ამორჩევით და ოკრუგის ნაჩალნიკის დამტკიცებით, დაინიშნება მამასახლისი, რომელმაც ამასთანავე ხარჯიც უნდა შეკრიბოს. განყოფილებაში სამსჯავრო საქმეებზედ დადგინებულნი არიან შემდეგნი განწესებანი: სიტყვიერებითნი სამსჯავრონი იქნებიან ყველა მაზრაში და უმთავრესი სამსჯავრო იქნება სოხუმში. სოფლებში მცირე დავებს ადგილობრივს მცხოვრებლებს შუა გადასაწყვეტენ მედიატორები. საოკრუგო სასამართლო, თავსმჯდომარეს გარდა, რომელიც არის ოკრუგის ნაჩალნიკი, იქმნება შემდგარი ოთხის დეპუტატისგან, რომლებსაც ამოირჩევენ ოკრუგის მცხოვრებლები: ერთი დეპუტატი უნდა ეკუთვნოდეს მაღალს წოდებას და სამი უნდა ამოირჩიოს დაბალის წოდებიდგან. ოკრუგის სასიტყვიერო სამსჯავროების დეპუტატებს თვითონ საზოგადოება აღმოირჩევს. (დროება, N32, 1866 წელი);

ნეკროლოგი

31 აგვისტოს, სოხუმს გადაიცვალა ჩვენი ისტორიკოსი თავადი სულხან ბარათაშვილი, რადგანაც ამისი სახელი არ იყო გავრცელებული ჩვენს ლიტერატურაში და იქნება ბევრს ქართველს აქამდის არცკი გაეგონოს იმისი სახელი, ამიტომაც ვეცდებით შემდეგ ,,დროების“ N-ში მოკლეთ გავაცნოთ მკითხველებს ეს პირი. (დროება, N33, 1866 წელი);

1867 წელი

გაზეთი ,,დროება''

კორრესპონდენცია სამურზაყანოდგან. ილორს მოგზაურობა

ნოემბერში 1866 წ. წინა დღეს, როდესაც გიორგობა თენდებოდა, წავედით ილორს მე და ერთი იმერეთის პოლკის ვსადნიკი, რომ დავსწრებოდით ილორის წმინდა გიორგისაგან ხარის მოყვანას, რადგან ბევრი გაგვეგონა ამ ხარის მოყვანის თავობაზედ და შეკრებულებაზედ. ჩემი მოგზაური იყო მონაწილე იმ ხარისა, რომელიც უნდა მოეყვანა წმინდა გიორგს. ჩვენ წაველით ოქუმიდგან. ოქუმში გვასწავლეს გზა ასრე და ასრე წადითო, მაგრამ აქ ნასწავლებ გზაზედ ნუ წახვალ, თუ თან გზის მცოდნე არ გაიყოლო ვინმე, თორემ დარწმუნებული იყავი, რომ დაიბნევი. აქაური გზა ისრე გატკეპნილი კაცის და ცხენის ნასიარულებით არ არის, როგორც იმერეთში ანუ ქართლში. აქაური გზები, იმერეთში რომ ტყეში გზაწვრილი იქნება პირუტყვისაგან გათელილი, იმას გავს და ზოგიერთს ალაგს სულ არ ეტყობა, მაგ. მინდორზედ. ამ გზაწვრილებს აქაური პირუტყვები გაჰყვებიან და გარდუხვევ-გარდმოუხვევენ, სადაც კარგს საძოვარს ნახვენ. შენ, გზის უმცოდინარო კაცო, თუ მიჰყევ-მოჰყევი ამ გზაწვრილებს, იმისთანა ტყეში შეგიყვანს, რომლისგანაც გამოსვლა გაგიჭირდება, და, თუ კარგი თვალის აზრი არ გაქვს, ვეღარცკი იპოვი იმ გზას, რომლითაც ტყეში შედის. შემდგომ ამისა გასაკვირველი არ არის, რომ ჩვენ დავიბენით. დავიბენით, მაგრამ როგორ დავიბენით, იმისთანა კაცისთვის, ვინც ენა აქაური იცის, კიდევ არაფერი და ვინც არა, სწორეთ გასაჭირი არის. ჩემი ამხანაგი თურმე ახალი მოსული ყოფილა იმერეთიდგან და არც ამის მეტად

ცხენის-წყალს არ გამოცილებია, თუმცაკი მე იმაზე მეტი იმედი მქონდა, მანამდის მის ამბავს შევიტყობდი. მას გონებია თურმე, ვითომც მე აფხაზური მეყურება და მეგრული კარგად ვიცი, რადგანაც მე მას ოქუმში დავხვდი. გზის უცოდინრობაში ოქუმშივე გაუტყდით ერთმანეთს და ამასთანავე ვუთხარი: მე ერთხელ ვყოფილვარ ილორს მეთქი და იქნებ მოვიაზრო მეთქი; კითხვა-კითხვით აქედგან აზრუმს ჩავა კაცი მეთქი ესეც დავსძინე. ენის ცოდნაზედ მაზედ ვიყავი დაიმედებული, რადგანაც ვაკე იმერეთის კაცებმა ხშირათ იციან მეგრული. დაბნეულს ტყეში რაკი შევიტყვე ესეები ყოველივე დაწვრილებით, შენს მტერს გული შემოჰყრია, როგორც მე გულს შემომეყარა. მე იმას საყვედური დავუწყე იმან მე და კი კინაღამაც წავიკიდეთ ამ უდაბურ ტყეში. წამოსვლის წინათ ვუთხარი: მე იარაღს არ ვიკიდებ, ხო მიყურებ მეთქი, შენ მაინც წამოიღე შენი სამკაული მეთქი, აქ იმერეთი ნუ გგონია მეთქი. მან ყური არ მიგდო, მარტო ლეკური დაიკიდა და წამოვიდა. ტყეში კი ინაღვლიდა, ნეტაი თოფი და დამბაჩა მაინც წამომეღოო. ამ დროს ერთი ცხენოსანი კაცი დავინახეთ შორი-ახლოს, მაგრამ აქაურად ვერ შევიცანით. ახლოს რომ მოვიდა აფხაზურებ სალამი მოგვცა. მე გუნებაში ვსთქვი: ეს კაცი ან უნდა იყოს მეტისმეტი მხნე და ან სულ ძაბუნი მეთქი, რადგანაც მას იარაღი არ ეკიდა და ისე მორაკუნობდა მარტო ამ გაუვალს ტყეში. წვერები აფხაზურებ ჰქონდა გაკეთებული. შავი შალის ჩოხა ეცვა, დაგლეჯილი ტყავის ქუდი ეხურა და უკან წელში პატარა ჩიბუხი ჰქონდა გარჭობილი. შეპარვით იხედებოდა, გვერდი ჩაგვიარა და წინ წავიდა ხმა არ გაგვცა. ჩემმა ამხანაგმა ვეღარ მოითმინა და ჰკითხა:

- კაი კაცო, ქართული არ იცი!

- მერე რა გინდა!

- თუ ღმერთი გწამს, ილორის გზა გვასწავლე.

- იმან უსიამოვნოდ ჩაილაპარაკა: რათ მოეთრეოდით, თუ გზა არ იცოდით!

- შე კაცო, შევცდით, კაცი არ შეცდება თუ იცი?

- თქვენი ბედი არის, რომ შევხვდით, თორემ თქვენი პატრონი ძვლებსაც ვერ ნახავდა, ეხლა წამოდით, მე იქ მივდივარ, მე იქ ერთი მეგობარი მყავს.

- შენ აგაშენა ღმერთმა, თორემ ძალიან გაგვიჭირდებოდა ამ ღამეში.

გზაში ვლაპარაკობდით ტყეების ტალახების ამბავს, რომელიც ხშირად შეგვხვდებოდა. სხვათა შორის ჩემმა მეგობარმა ჰკითხა: ეს კარგი ყოვლისფერი, მაგრამ შენ რომ ეგრე უიარაღოდ დადიხარ არ გეშინია? მან გაკვირვებით შემომხედა და უთხრა: რას ამბობ? შენ რომ მოინდომო ლეკურის (*) ამოღება, ვერ ამოიღებ. მე აქ ჩვიდმეტი წელიწადი ვარ. გაგრის აქეთ რამდენი ხის ძირი არის, ყველა ვიცი. აი, ამ გზაზედ რომელზედაც შენ ბედის-წერას იწყევლი, ასჯერ მაინც გამივლია იმისთანა ბნელაში, რომ თითს თვალს ვერ უსწორებდი რას ამბობ, შენ მე ვერ მიცნობ; აფხაზ თვალს ვაჩვენებ იმისთანას, რომ რაც უნდა გიჟი იყოს, სალამს მოვაცემინებ. აქ რომ კაცი ჩამოვიდეს, ეშმაკის მამიდაშვილი უნდა იყოს, თორემ როგორ გაიგებს იმათ მოქმედებას? ამ დროს ორი ცხენოსანი კაცი წამოგვეწია, სომეხს აფხაზურებ წამოულაპარაკეს და გადაუხვიეს სხვა გზაწვრილზედ. ცოტა ფიქრი მოგვეცა, არაფერს გვიპირებენ მეთქი. ჩემმა ამხანაგმა ჰკითხა: ის ვინ იყო, შავ ცხენზედ რომ იჯდა?

- ისა, იმ მაღალს კითხულობ? ხელით მაჩვენებს და შემომცქერის გაკვირვებულის სახით. ის ღვთის ფეხისმჭამელი არის. ეგ არის ქვეყნის დამქცევი და აფხაზეთის ამომგდები, მაგას მოუკლავს თუ გინდ ასზედ მეტი კაცი. ეხლა რომ სხვა რიგი ხათრი არ ჰქონდეს, თქვენი ნაცარცვით გულს იჯერებს.

- თქვენ საიდგან ბრძანდებით, ასრე წმინდათ რომ ქართულს ლაპარაკობთ, უკაცრავათ კი

ვარ კითხვისათვის, მაგრამ.....

- განა ვერ ვიცანი აქაურად.

- რაღაც აფხაზობა თქვენისთანა პატიოსან კაცს არ შეშვენის.

- აფხაზობისგან ღმერთმა დამიფაროს. მათი ამხანაგი ბოროტი სული არის, რომელსაც მე ვკლავ. მე გორელი სომეხი ვარ, მაგრამ დიდი ხანი აქ ვარ. აქაური თავადიშვილის ქალი მყავს ცოლად და აქ ვსახლობვარ. რუსი აქეთ არ იყო ჩამოსული იმ დროში მე აქ ვიყავ.

შემდგომ ამ სიტყვებისა ჩემი ამხანაგი გამხნევდა და მაგრად ლაპარაკი დაიწყო.

- კარგი იღბლიანი ალაგი არის ეს მხარე!

- რა გითხრა იცი? აქეთ მხარე ზუგდიდს დაბლა, სამურზაყანო, აფხაზეთი, ჯიქეთი, წებელდა, ყარაჩი და იმათ მიყოლება ძალიან კარგი იღბალიანი ქვეყნები იყო ოთხი წლის წინათ; მაგრამ კაცი კი უნდა იმისთანა ყოფილიყავი, რომ გცოდნოდა ერთი, სიკვდილის ხელიდგან დაძრომა და მერე უბეში ჩაძრომა. იმერეთი მოიჭამა, ძმაო; მიწა დაძველდა, აღარა მოდის რა ზედა და კიდე ძვირიც არის. აქ შემომხედე რა არის (აჩვენებს ტყეს, რომელსაც ეძახიან ოხურის ნაპირს); კაცისხელს ამაში ჯერ არ გაუკეთებია რა. თუ გინდა ერთ თუმნად ათქცევა ადგილს გაყიდვინებ. ამ ლაპარაკში კიდეც დაღამდა. ილორის სოფელში შევედით, მთვარე ცოტათი ანათებდა ღრუბლისგან დაფარული. ერთ გზაჯვარედინზედ იყვნენ გაჩერებულნი ორი ყმაწვილები ცხენებით. იმათ ერთი ხმით შემოგვძახეს რაღაცა; სომეხმა პასუხი მიუგო და გავიარეთ. როდესაც ვკითხე, ისინი ვინ იყო მეთქი, მან გვიპასუხა; ისინი ყარაულები არიანო, ამისთანეები დგანან ამ სოფელში, ამაღამ ყოველ გზაზედო თუ ვისმე რამე საქონელი მოჰყავს შესაწირავათ, ის კაცები წამოჰყვებიან, ეკლესიასთან მიიყვანენ, თაყვანს სცემენ წმინდა გიორგის და შეაწირვინებენ, მერმეთ მოაბრუნებენ წაღმა საქონელსა და მომყვანსაც და შინ ჩაიპატიჟებენ. პირუტყვს ეკლესიის გალავანთან დაჰკლავენ, ხორცს შინ წამოიღებენ და კარგს ვახშამს სჭამენ. ამისთვის თითქმის ყველანი იმ სოფლის მცხოვრებნი გზებში არიან დაფანტულნი, რომ იქნება ვინმე იშოვნონ პირუტყვიანი და ჩაიყვანონ თავიანთშინ. თუ არაფერი მიგვყავს, როგორც ჩვენ მივდიოდით ყურს არავინ გათხოვებს და არც სახლში შეგიშვებს. თუ მოიყვანა ვინმემ კარგ ფასიანი პირუტყვი დღით, მაშინ შეგროვდება მთელი სოფელი და დაინაწილებენ. რასაკვირველია თავისი ნაწილი სასულიერო წოდებას არ დააკლდება. პატარა ხანს შემდგომ ჩვენი მოგზაური მოგვცილდა და ჩვენ დავრჩით მარტო, მივმართეთ პირდაპირ ეკკლესიისაკენ. ეკკლესიასთან არაფერი ამბავი არ იყო, მღვდელთან შევედით, გვინდოდა ღამის გატარება, მაგრამ მღვდელს ჰყვანდა მრავალი სტუმარი, სადაც ტევა არ იყო, ამისათვის წავედით სოფელში. ვიარეთ, ვიარეთ, ვიარეთ ხან ერთ მოსახლეს მივადგებით, დაგვაყენე, ხან მეორეს მაგრამ არ შეგვიშვეს სახლში. გამოვლენ აგვხედ-დაგვხედვენ და გვეტყვიან: სხვას მოველით. ქირა ვაძლივეთ, მაინც არა ჰქნეს. ერთი თიკანი, რომ თან წაგვეყვანა თურმე ყველა სიხარულით მიგვიღებდა. ბოლოს მივადექით ერთ ფაცხას. დავიძახეთ გამოვიდა მასპინძელი უთხარით და ვინც ვიყავით, ისიც დავუმატეთ. მასპინძელი ჯერ შედგა; ეტყობოდა, რომ არ იამა ჩვენი მისვლა, გაბედა და თქვა, ჩამოხდითო. ცხენები ღობეზედ მივაბით და შევედით სახლში. ძველი წნელის ფაცხა იყო. ექნებოდა ორი საჟენი სიგრძე და საჟენნახევარი განი. აქეთ-იქით მხარზედ ფიცრები იყო ლოგინად გაკეთებული და შუა ალაგს ენთო კარგი ცეცხლი. ცეცხლს შემოჰხვეოდნენ თორმეტამდე კაცი, მათ შორის პირველი ალაგი ეჭირა წინეთ გაცნობილს სომეხს. შევედით თუარა, სომეხმა შემოგვძახა: ჰო, არ გითხარით უჩემოდ თქვენ ხეირი არ დაგადგებათ მეთქი. ჩემმა მოგზაურმა უპასუხა: მართლა, მართლა, ბედი გქონია, ძმაო, შენ ტყუილს არ ამბობდი. სომეხმა ჩიბუხი გატენა და განაგრძო. ჩვენგან შესხლეტილი ლაპარაკი. ყველანი იქ მჯდომარენი სიფრთხილით ყურს უგდებდნენ და უცქერდნენ მას პირში. ,,მე ტყუილათ კი არ მაძლევს ხელმწიფე ჯამაგირს.

ორას ორმოცდა ათი მანეთი მეძლევა წელიწადში. ორჯერ მადლობა მივიღე და ჯილდოს ველი. მეუბნებიან სახელმწიფო ექიმები ზუგდიდში დადექიო, მაგრამ ვერ გავძლებ რაღაც ნიადაგ ქალაქში. სოფელს მივეჩვიე. ჩემს სახლში რომ შემოხვიდე, შეგეშინდება. ჯერ ცალკე ოთახებში გადარეულები მყვანან. ზოგი აშვებულია და ზოგს რკინის ბორკილი უყრია, მაგრამ მაინც ვერ იმაგრებს მეორე ოთახში დიდი ბანკები მაქვს და იქ მიმწყვრევია ოცდა ათი გველი, იმ ოცდა ათში მარტო ორი თეთრი როგორც თოვლი მის ნახვას არაფერი სჯობს. მსმენლები ჰკვირობენ და ერთმანეთს ეუბნებიან: (მუჭომ კოჩი თეჯინა-ღურელი) ,,რა კაცი არის ეს ძმა-მომკვდარი.“ ამ ორი გველის გაცემას ჩამცივებიან რუსის ექიმები, მაგრამ ვერ ვაძლევ. ერთი მყავდა ამის წინეთ, მწვანე იყო. ენგურის პირზედ დავიჭირე. ქონდა ალაბი (არშინი) სიგრძე და სიმსხო. ორივე ხელებს ვერ შემოტევდი. კარგი რამ იყო, მაგრამ ერთმა ფრანცუზმა გამომართვა თუთხმეთ თუმნათ.“

ამ დროს ერთი კაცი შემოვიდა გარედგან და თქვა: რაღაც იყო, ცეცხლივით გრძლათ წავიდა ზღვისკენ. დიდება მის სახელს, ვგონებ, წმინდა გიორგი წავიდა ხარის მოსაყვანათ, წვიმაც არის ცოტა. შეიქმნა ლაპარაკი: სწორეთ მოიყვანს ხარს იმ გვარი ამინდი დაუდგა. სომეხმაც დაუმატა: გუშინ წინ, აქით მზის ჩასავალისკენ რაღაც ვარსკვლავები ჩამოცვივდნენ და ერთს ალაგას დაეყარნენ. რის ნიშანია, არ ვიცი. ზოგი ამბობს, ჩხუბი იქნებაო.ზოგი - წმინდა გიორგიმ იცის ასეო, როდესაც ხარის მოყვანა უნდაო. სწორეთ ნიშანი არის, რომ არ მოიყვანოს, არ იქნება. ამ დროს წვიმამაც ძლიერ დაასხა, ყველამ პირჯვარი დაიწერა, ერთმა წარმოსთქვა: წმინდა გიორგი, ვგონებ, გამწყრალი იყოს. რატომ სომეხმა ჰკითხა. ფულები რომ წაიღეს მისთვის, მაგრამ წამღებსაც კინაღამ თავი გაუტეხა. უნდა ვსთქვათ, რომ როდესაც ფულები გამოიტანეს წვიმიანი ტაროსები დაიწყო და ოჩამჩირეს, სადაც სასამართლო იყო, იმ სახლს მეხი დაეცა და ერთი კუთხე მოგლიჯა, ორი მწერალი შუქით წაიქცნენ და ერთი ყარაული, რუსის ყაზახი, აივნიდგან გარდმოვარდა, მაგრამ ფულების გამომტანს კი არაფერი მოსწევია. აქ მეხი ხშირათ იცის და კიდეც ამარცხებს თუ საქონელს, თუ სახლებს და ამისთვის ძლიერ ეშინიათ მისი. ზოგიერთი აქაური მცხოვრები ერთს დანიშნულს დღეს უქმობს, მისთვის რომ მეხმა არაფერი დაუმარცხოს. შემდგომ რამოდენისამე ხანისა სომეხმა კიდევ მიჰყო ხელი ლაპარაკს, თავის ეშმაკებზედ და გველებზედ: ,,ჩემთან მოდიოდნენ სანახავათ ვიღაც-ვიღაცეები. გადარეულები კარგი სანახავი არიან, როდესაც ბევრი არიან ერთად.'' ერთხელ ჩემი სახლის სიახლოვეს ზუგდიდის მაზრის უფროსი მოდის; მაშინ მყვანდა თუთხმეტი გადარეულები. იმათ ვამუშავებდი, ყანას ვამარგლიებდი. მე ვუთხარი გადარეულებს: ,,მე როდესაც ქუდი მოვიხადო, თქვენ ყველამ ერთბაშათ იყვირეთ და შეუტიეთ იმას მეთქი. როგორც დავარიგე, ისე მოიქცნენ. იყვირეს ყველამ ერთ ხმით და შეუტიეს. იმათ შეშინებულებმა ხმლებზედ მოისვეს ხელი. ამ დროს მე დავუყვირე ჩემებურათ და დაბრუნდნენ; რომ მე არა, გადარეულებს სულ ლუკმა ლუკმა დაგლეჯდნენ. მაზრის უფროსმა მითხრა: ,,შე წყეულო, ამ გიჟებისთვის სად მოგიყრია თავიო, აბა, მიჩვენე სხვები თუ კიდე გყავსო“. ჩამოხდნენ ცხენებიდგან. შევიყვანე, ვაჩვენე გველები, თუ ძვლები, თუ ოთახები მათი სამწყვდევი. მათი ერთი ქალი მყავდა, ახალი მოყვანილი. ამ ქალს შეაცქერდა დიდ ხანს უყურა და მერმეთ წინ დაუჯდა. ქალმა უთხრა: რა ენაზედ ლაპარაკობო შენ? უფროსმა ხმა არ გასცა. მომიბრუნდა და მითხრა: რა ვუთხრაო?

- ელაპარაკეთ, რა ენაზედაც გინდათ. ქალმა გაჯავრებით ჰკითხა: რუსული იცი?

უფროსმა უთხრა, არ ვიცი.

- ქართული იცი?

- არ ვიცი.

- ფრანციზული იცი?

- არ ვიცი, აბა რა ენა იცი?

ამ დროს თვალი ვუჩვენე და გაჩერდა. უფროსმა მითხრა: ამ გველებს რათი იჭერ შენ? მე ვუთხარ: ლოცვით. ერთი იმათგანი ამოუშვი. უფროსი შემიშინდა და სკამზედ შეხტა, ვუთხარ წადი უკბინე იმ ქალსა მეთქი. წასრიალდა უცებ და ქალს ფეხზედ უკბინა. ქალმა იკივლა და იკივლა საშინელის ხმით. უფროსმა მითხრა: რათ ჰქენი ეგო? ,,ეს წამლათ შეერგება და ძალიან მოუხდება.'' ხალხმა კიდევ შექნა ლაპარაკი. სომეხმა ჩიბუხს დაუწყო ნელ-ნელა წევა და ბოლოს ამოიღო ორი რქა და თქვა: ამ რქებში ოცდა ათი თუმანი მაძლიესო. კაცებმა დაიწყეს ხრიალი და ერთი მეორეს ასწრებდა, ყველას უნდოდა რომ ეს მოჩვენება ენახათ. ორი პატარა რქები იყო, ერთმანეთს არა გვანდა, ზევით გვერდზედ ჭრელი ქონდათ. მე ვერ ვიცან, რისა იყო.

მეორე დღეს წირვაზედ წავედით. ხალხი ბევრი იყო. წმინდა გიორგის ხარი არ მოუყვანია. შემდგომ წირვისა წამოვედით, მაგრამ მაშინაც დავიბენით და აბჟურის მაზრაში გავედით, სოფელს ფოქვეშს. იქ დავდექით ერთს მოსახლე კაცისას. იმათ რომ შეიტყო, ჩვენ წიგნი ვიცით, გვაჩვენა რაღაც საბუთები ქართულ ენაზედ. ერთი მათგანი კარგის ხელით ნაწერი იყო. ვკითხე, ეს ვისი ნაწერი არის მეთქი? ეს აქაური ანჩაბაძის ქალის ნაწერი არისო; თუ გამოდგებაო ქალის ნაწერი რუსებში, მკითხა.

ოქუმში მოვედით თუ არა, იქ შეკრებულება ჰქონდათ. მდივანბეგები ამოირჩიეს, ერთი თავადი, ერთი აზნაური და ოთხი გლეხი. აზნაური-შვილების და თავადი-შვილების კაცებს შორის დიდი განხეთქილება მოჰხდა, ამიტომ რომ თავადიშვილების კაცებს უნდოდათ, რომ გლეხთაგანი მდივანბეგები ყველანი მათთაგანი ყოფილიყვნენ. ეს აზნაური-შვილის კაცებმა არაქნეს. შემდგომ რამოდენიმე ხრიალისა აზნაური-შვილების კაცებისაგან ამოირჩიეს ერთი და სხვა თავადი შვილისაგან. სამურზაყანოს მმართველი ახლა მოვიდა.

წელს კარგი მოსავალი იყო ღომის და სიმინდისა. ღვინომ კიდევ ძლიერ იკლო. ბამბის მუშაობა დაიწყეს. აქაურს ცხვრის ჯოგს გაუჩნდა ჭირი, რომელსაც ესენი ეძახიან ფარფალიას. აქაურს სასწავლებელებში დიდი ყინვა სუფევს, რადგანაც იმის გათბობაზედ ყურადღება არ არის მიქცეული. (დროება, N12, 1867 წელი);

,,დროების" კორრესპონდენცია სამურზაყანოდგან აფხაზების გარდასახლებაზედ

სახელი სამურზაყანო გარდააგდეს, ეხლა სამურზაყანოს ეძახიან ოქუმის სამხედრო მაზრას, სხვა აფხაზების მაზრების სახელებიც ეგრე დასცვალეს. ოჩამჩირე, რომელიც არის ზღვის პირათ და სადაც რიგიანი ვაჭრობა ყოფილა და ეხლაც არის, რომელიც ჰქონდა მთავარს მეორე სატახტო ქალაქათ, სადაც დღემდის აბჟუის მაზრის სამმართველო არის, უნდა დასტოვონ, გააუქმონ, შენობაების მომატების ნებას აღარ აძლევენ.

დრანდას, რომელიც არის კოდორს გაღმა, უნდა გადაიტანონ სასამართლო და ეწოდება სახელად დრანდის მაზრა. ბზუფუს სამმართველო უნდა გადაიტანონ ბიჭვინტას, ამ ცვლილების შემდგომ გამოცხადდა გარდასახლება. აფხაზები ძლიერ დაჯავრიანებულნი არიან. ისინი ძლიერ ნანობენ თავის უწინდელს უწესო მოქმედებასა, ეხლაკი უცებ შესხლიტეს ცუდი ჩვეულება, მაგრამ რაღა დროს; ისინი მზათ არიან მიიღონ ყოველივე სასჯელი, ოღონდ ეს უკანასკნელი გამოცხადება არ ასრულდეს. ერთმა გულმხურვალე წებელდელმა ილაპარაკა: ,,ჩვენში დღემდის ძალობა, უწესობა და ყოველივე ცუდი საქმე იყო. იმაში ვიყავით ჩვენი აღზრდილი და ის მიგვაჩნდა ჩვენ კარგს საქმეთ, რადგანაც ჩვენი უფროსები და მთავრები მაზედ გვაქეზებდნენ. ყოველივე ბოროტება და ცუდ-კაცობა მათის ბრძანებით სრულდებოდა. ჩვენ არავითარი ხმა არ გვქონდა, თუ რამე გვეთქვა ერთსა და

ორსა, ჩვენ ძმებსავე ჩვენს თავს მოაკვლევინებდნენ. ამის გამო მეტის მეტად გვეშინოდა მათი. ყოველთვის მათს სარგებლობას ვცდილობდით, ისე მონდომებული, რომ ჩვენი თავი არ გვახსოვდა. ამის გამო ჩვენ სახლობას ვერაფერს ვერგებოდით და ვატარებდით მხეცურ ცხოვრებას. ყველანი ვაჟ-კაცობაზედ ვიყავით გაქეზებულნი. მშვიდობიანს კაცს დედაბერს ეძახდნენ და მას მოჯალაბედ გახდიდნენ. აუცილებელი საჭიროება იყო, რომ ყველანი მხეცათ გავზრდილიყავით და ჩვენი თავი დაგვეფარა. ამასობაში აღზრდილს კაცს მშვიდობიანობის ცხოვრება ასე უცებ ვერ მოეწონებოდა. იმათი უცებ არევა ძალიან ადვილი არის და ამისთვის სცდებიან, თუ რომ რამე ცუდი განიზრახეს. ერთი დაკივლების მეტი არ უნდათ, რომ მაშინვე ყური გამოცქვიტონ; ვინც პირველად იკივლოს, ის სასტიკად უნდა დაისაჯოს, რომ ის აღარ მოაგონებდეს მათ პირვანდელს ცუდს მიზიდულებას.“ მე ვუთხარი: რატომ თქვენი პირვანდელი სჯული ქრისტიანობა დაკარგეთ მეთქი? მან მომიგო: ,,დიდ რუსის ხელმწიფეს, ჩვენ კარგათ ვიცით, მრავალი სარწმუნოების ხალხი ჰყავს. ჩვენ ვიქმნებით იმ სარწმუნოებაში, რომელშიაც ეხლა ვართ, მინამდის არ გავიგებთ, რომელი სარწმუნოება სჯობია. როგორც ქრისტიანობა მიგვიტევებია და მაჰმადიანობა მიგვიღია, იქნება ეგრეთვე მოხდეს, მაჰმადიანობა დავსტოვოთ და ქრისტიანობა მივიღოთ.“ ამ დროს ერთმა აფხაზმა ჩამოუარა უცებ და გამწყრალი სახით უთხრა: ,,აქეთ წამო, რას ელაპარაკები, მაგისაგან რა გამოვა ჭამის მეტი.“ ქართველებს ეძახიან ქორთუებს და დასცინიან, ბევრი ჭამა იციანო. სამურზაყანოში კანკალებენ შიშით ვაი თუ ჩვენც გარდაგვყარონო. რა დაგვემართება არ ვიცითო, მაგრამ დიდი იმედი აქვსთ თავიანთ ნამსახურობაზედ და ბაირახზედ, რომელიც უწყალობებია ნიკოლოზ ხელმწიფეს და რომელზედაც აწერია: ,,ჩემს საყვარლებს სამურზაყანოელებს დალში გამარჯვებისათვის.“ აქაურებს და აფხაზებს დიდი დაახლოებული ნათესაობა აქვსთ. ბევრი ჩემი ნაცნობები ამბობენ: თუ ისინი ყველანი გარეკეს, ჩვენც უნდა წავიდეთო. აქაური ქალები ამბობენ: რა ვქნათო, სადაც ჩვენი ძმები, დები, დედ-მამა არიანო, იქ უნდა ვიყოთო ჩვენ და დაიწყებენ ტირილსა და ვაი-ვაგლახსა. ერთსა ჩემი ნათლული ჰყავს. იმას მაინც არ გაგატანთ, მეთქი - მაშ ჩემ შვილს შენ მოგცემო, მან მითხრა - ეგ ჩემი სულიერი შვილია მეთქი. მაშ ამდენი თუ შეგიძლიანო, ნურც ჩემ ძმებს, დედ-მამასა და დებს ნუ გაუშვებო, რომელნიც სოფელს გუფუს არიანო. აბა იფიქრე, ვისთან მივიდე, ვისას ჩამოვხტე, ვის მოვესაყვარლო, ვინ მიტირებს, რომ მოვკვდე, ვინ მომივლის ავადმყოფობაში. ქმრის სიყვარული ისე არ ვიცით, როგორც ნათესავისა. როგორი გულცივი ხარ, ღმერთმანი, თქვენც. ამ დროს მსხვილი ცრემლები გარდმოვარდა მის დიდროვან მტრედის თვალებიდგან და ჩამოსერა მშვენიერი ლოყები.

წებელდელები, დალელები და გუფუელები წავიდნენ. აბჟუის მაზრიდამაც მრავალი წავიდა. ჭილოულელები და ჯგერდელები გამორეკეს თავიანთ ბინიდამ; მათ საშინელი გულით არ უნდათ წასვლა. სოხუმში წავიდნენ შესახვეწნათ, მაგრამ ჯერ არ ვიცით რა გამოუდნებათ. ამბობენ, ვინც წავიდნენ, იმათაც უნდოდათო დარჩენა და დამორჩილება ყოველივე ბრძანებისა, მაგრამ რაკი ხელი მოაწერეს, მერმე აღარ დაუჯერეს... დრანდის მაზრაში გამოცხადება ყოფილა ოჩამჩირეს. აქ არის ერთი ძველი ხის ბოგირი ტბაზედ, ჩრდილოეთის მხრით. გამოაცხადეს, რომ: ვისაც ოსმალეთში წასვლა გსურს, ამ ხიდს გაღმა გადითო და ვისაც არა, გამოღმა დარჩითო. ყველანი გავიდნენ, დარჩნენ მხოლოდ რაოდენიმე პირნი. ამ საგანზედ ძლიერ ქება გვესმის აფხაზებისაგანაც და სხვა გარეშე პირთაგანაც ბზუფუს მაზრის უფროსზედ თ. დიმიტრი ჭავჭავაძეზედ. მან გააგებინაო ხელმწიფე იმპერატორის ბრძანება და მამობრივი მზრუნველობით აუხსნა მათი ახლანდელი და შემდგომი მდგომარეობა, რომ რუსეთის მმართველობის ხელქვეით ყოფნა სჯობიაო ოსმალეთის მართებლობის ხელქვეით ყოფნას. მთელი ბზუფუს მაზრა დარჩაო გადუსახლებელი გარდა ერთის სოფლისა, სადაც მოხდა უბედური შემთხვევა და სადაც იმყოფებოდნენ უმთავრესნი პირნი, რომელნიც ადგომის მიზეზნი იყვნენ, ასე ამბობენ აფხაზები, ხალხი უმადლის მას... წარმოსადგენათაც ადვილი არ არის, რა ნაირი მდგომარეობაში იყვნენ აფხაზები წასვლის დროს. ამბობენ,

როდესაც ისინი თავიანთ ბინიდგან გამოდენესო. მრავალმა მოხუცებულმა კაცებმა და ქალებმა თავის თავი თუ ხეს, თუ კედელს მიატეხესო... წასვლის დროს, ვინც რჩება წამსვლელს ეთხოვება. ერთი ტირილი და ქვითქვითი არის. ძროხები, ხბოები, ვირები, რომელნიც დამშეულან დიდხანს ერთ ალაგას ყოფნით, ყვირიან და არის ერთი ხმაურობა და ღრიალი. ორის მხრით არის თოკები და გაბმული, რომ არ შეერიოს ხალხი ერთმანეთს. წასვლის დროს ბარაბანს დაჰკვრენ, მოდითო ჭურჭლებში, რომ მიდიან, მაშინ გასასვენებელს მუზიკას უკვრენ; შემდგომ რომ შევლენ ყველანი და ზღვის ნაპირს მოშორდებიან მაშინ სამხიარულო მუზიკას დაუკვრენ; ცოტა ხანს შემდეგ მთელი ბატალიონი თოფს დასცლის. ჭურჭლებიდგან იცქირებიან მშვენიერ-მშვენიერი ახალგაზრდა ქალები, თავიანთ ნაცნობებს თავს უკვრენ, ხელებს უქნევენ და ვაჟ-კაცები გულს იმაგრებენ, როგორც თავისას, ისე ქალებისასაც, ძალით იმღერიან. ბავშვებს ეშინიანთ, ჭურჭლებში ტირიან და დედებს ეკვრებიან გულზედ. ზოგიერთი ჭურჭლიდგან გამოდის უშვერი ლანძღვა და გინება, რადგანაც აღარ ეშინიანთ დაჭერისა. ერთმა ყაზახის აფიცერმა მელაპარაკა: როდესაც ხომალდში ჩასხდნენ და მიდიოდნენო, ერთს ყმაწვილს ქალს შვილი დაებადაო. ქალმა ალბათ იფიქრა, ამას კი არა, ჩემ თავსაც ვერ მოუვლიო; აუღია და ზღვაში გადუგდია, ძველის ტანისამოსის ნაგლეჯებში გამოხვეული. რაღაც უეცრათ ზღვაში ტყეპა გაადინა. ხომალდის უფროსმა იფიქრა ვიღაც უეცრად გადავარდაო, ხომალდი შეაჩერებინა, მატროსებმა ჩანგლები გადააწვდინეს, ნახეს, რომ ყმაწვილი არის. ხომალდის უფროსმა უთხრა დედას, სურს რომ ამოვიყვანოთ, თუ არაო. დედამ ტირილი დაიწყო, არა უპასუხა რა, ხომალდის უფროსს გულში გაუღვიძა კაცთ-მოყვარეობა ამ უღმერთო მოქმედებამ და უბრძანა მისი ამოთრევა. ამოათრიეს, წყლიდგან და ჩანგლებისგან გალახულს კიდევ ედგა ცოტახანს სული და მერმე მიიცვალა; ისევ ზღვას მიაბარეს. ყველაზედ უფრო სამწუხარო ყოფილა ძაღლებისაგან გამოთხოვება თავიანთ პატრონებთან. ეს ფაქტი შესანიშნავია ბუნების მეცნიერებიდგან. როდესაც აფხაზები ჭურჭლებში ჩავიდნენ და ზღვის ნაპირს მისცილდნენ, ყველა ძაღლები, რაცკი მათ ჰყვანდათ, ზღვის პირათ დაემწკრივნენ და უნდოდათ მათ წაჰყოლოდნენ, მაგრამ სივიწროვეს გამო ეს არ შეიძლებოდა. ისინი უყურებდნენ მათ, მანამდის კარგათ არ დაშორდნენ, ზღვაში ჩასვლა ვერ გაბედეს. ერთმა იმათგანმა, სუსტის აგებულებისამ, ვეღარ მოითმინა ნამეტანი პატრონის სიყვარული და დაიწყო წვრილი ხმით ყმუილი, მას მოჰყვნენ ცოტათი მომეტებული ტანისა და ბოლოს დიდებმა შავ-შავ და რუხ-რუხ ნაგაზებმა შექმნეს საშინელი ღრიალი. ასტყდა იმისთანა ძაღლების ყმუილი, რომ განკარგულების მომხდენმა პირებმა ერთმანეთს ვერ გააგონეს რა, შეიქმნა უბედური ხმიანობა და ყეფა, თითქო დედამიწა დაიქცაო... ძაღლები იყვნენ დამწკრივებულნი ორ ვერსზედ მეტად. ზედამხედველები მოთმინებითგან გამოვიდნენ და უბძანეს მათი დახოცა. დაერივნენ მტირალს ძაღლებსა. იქით-აქეთ დაუწყეს გადენა; მაგრამ მაინც იქვე ზღვის პირზედ მიდიოდნენ, ზოგი უყურებდნენ მიმავალს ჭურჭლებსა და ზოგი ყეფითა და ზოგი ყმუილით გაჰყიოდნენ. ჭურჭლებიდგან ხმა მოესმათ; მაშინ სულ გადირიენ და გარდიშალენ. გარდა ტირილისა და ყვირილისა, ისეთი წყობილება და წესიერება ჰქონდათ, რომ კაცებისგანაც დასაჯერებელი იყო. არც ერთს თავისი ძალა არ გამოუჩენია და მეორე თავისი ადგილიდგან არ გადუგდია. დიდი შავი ქოფაკი პატარა ფინიასთან იყო და ორნივე ერთგულად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. ეს კი იყო მხოლოდ, რომ პატარა ფინიების წაწკანი არაფრად ჩნდებოდა დიდ ქოფაკების ყმუილთან და ამისთვის ისინი უფრო ჰყეფდნენ. ამ ხმაურობაზედ ვირებმაც შექმნეს ყროყინი. გაბრაზებული კაცები მეორეთ დაერივნენ მათ, აღარ აცალეს მოვალეობის ასრულება, ამისთვის ისინი აირივნენ და დაირივნენ, ასე რომ კაცებს ძაღლებიდგან ვეღარ გამოიცნობდი. ძაღლები პატრონების ნაბინავებზედ მივიდნენ. პატრონები ვეღარ ნახეს, ამასობაში დაფეთდნენ ცხენები, ძროხები, კამბეჩები, ააბზიკეს კუდები და გასწიეს; მათ გამოედევნენ ახალი მეპატრონეები ყვირილით; არიქა, ვინ ხარ კაცი, ნუ გაუშვებთ, თორემ დავიღუპეთ. მაგათი ნახვა კაცს არ შეუძლიანო. კამბეჩები წამოედვენ სტოლს, რომელზედაც სწერდნენ, სტოლი გადაბრუნდა და ქაღალდები დაიფანტნენ, ბძანებაებზედ მელანი დაესხა. შეიქმნა ერთი ლანძღვა და გინება,

ყოველისფერი ესეები ძაღლების ბრალი შეიქმნა. რომ აღარა ეშველათ რა ამ ძაღლებს და აღარ დაწყნარდნენ, ბოლოს პურებიც გარდუყარეს, რომელიც ხელ-მოკლე იყო დაჩუმდა და მოსდგა ჭამასა. ხასიათ-მაგრებმა კი ყურადღებაც არ მიაქციეს პურსა, აუარ-ჩამოუვლიდნენ იმათ, რომელნიც სჭამდნენ და უღრენდნენ, თითქოს ამას ეუბნებოდნენ, რა დროს ჭამა არისო. უყურებდნენ ისინი გამწყრალი სახით, რომელშიაც გამოდიოდა; პატრონს ვეძებ, პურს კი არაო. გასაკვირველი ეს არის, პურის ჭამას რომ გაათავებდნენ ზოგიერთი ძაღლები უარესს ყმუილს და ყეფას მოდგებოდნენ. შეწუხებულები ნამეტანი ხრიალით თავი ვერაფერს გაართვეს და თქვეს: ჩვენ მაინც მოვცილდეთ ამ ადგილას, თუ ისინი არ გვცილდებიანო და მოვრჩეთ ერთს ვაი-ვაგლახსა. ყველანი წამოვიდნენ. ძაღლები დარჩნენ იქვე უპატრონოთ. ეხლა უეჭველია პატრონებს ეძებენ. ამ შემთხვევამ ყველას კი დაღი დააჩინა: იმისთანა ძაღლს ვერ ნახავდი, რომ ან ფეხი არ ჰქონოდეს მოტეხილი, ან კუდი მოწყვეტილი და ან სხვა რამე დაჭრილობა არა ჰქონოდესო. გამიგონია, ძაღლმა თუ ენა მიუწვდინა მტკივან ადგილზედა არ მოარჩინოს არ იქნებაო...

ურიცხვი საქონელი გამოჰყავთ სამეგრელოში და იმერეთში. მრავალნი იხრჩობიან წყლებში, რადგანაც მათზედ არ არის არც ხიდი და არც ბორნები. ამბობენ, კოდორში მრავალნი ხბორები და ძროხები დაიღუპენო. ენგურში პირუტყვებს გარდა ერთი კარგი მცურავიც დაიხრჩო. ყველანი დაერივნენ იაფს საქონელს, ვაჭარი და არა ვაჭარი, ყველანი პირუტყვს ყიდულობენ კარგს ცხენს - 20 მანეთათ, კარგს კამბეჩს - 15 მანეთათ, კარგს ხბოიანს ძროხას - 5 მანეთათ, კრავიან ცხვარს - ათ შაურათ, თხას - ორ აბაზათ. ამას იქით კი ძალიან გაძვირდება საქონელი იმერეთში და ოდიშში. (დროება, N23, 1867 წელი);

1868 წელი

გაზეთი „დროება“

სოხუმიდგან მოსული ამბავი

„კავკაზში“ სწერენ: 1-ლს ნოემბერს ზღვა ისეთ ნაირათ აღელდა, რომ ამ ათის წლის განმავლობაში იმისთანა არა უნახავს რა კაცს იმ კუთხეზე. მეთერთმეტე საათი იყო, როცა ატყდა ძლიერი ქვენა ქარი და ზღვაც ისეთ ნაირათ აგორდა, რომ იმ სიდიდე ტალღა არავის უნახავს. ძალიანაც აზარალა იქ მდგმური ხომალდები. ქარი საღამოს ექვს საათამდის ჰქროდა, მაგრამ ზღვა კი მეორე დილამდის არ დაწყნარებულა. ოთხი პატარა ერთ ანძიანი რუსის ხომალდი, სახელად „კრიტი'', „კიბო“, „წმინდა ნიკოლო“ და „მთავარ ანგელოსი“ მოჰგლიჯა ღუზებიანა და გამოაგდო კიდეზე; კაცები კი ყველანი გადაარჩინეს მოგროვებულმა ხალხმა და ჯარმა, რომელიცა გამოაწვია განყოფილების უფროსმა გაჭირვებულების მისაშველებლათ. ამას გარდა დაზიანდა ერთი ზღვის უწყების ბარქასიცა, რომელიცა ასწყვიტა თავიდანვე. ეს ბარქასი თან-და-თან უახლოვდებოდა კიდეს და ზედ გადადიოდა ზვირთები. ბარქასზე მსხდომნი საშინელს მდგომარეობაში იყვნენ. თითქმის წყლით იყო გავსებული და ლამოდა კიდეც დაძვრასა. ბედათ ერთმა სალდათმა შესცურა ზღვაში და დიდის გაჭირვებით მიაწვდინა ბაწარი იმ საწყლებსა. ამ ბარქასზე არავინ დამხრჩვალა. ბარქასიც დიდის განსაცდელით გამოათრიეს კიდეზე. იქვე კიდეზედ იდგა ლაზარეთი და იქიდგან სამხედრო ექიმები ძალიან დაფაცურდნენ, რომ გაყინულები და წყლით გაგუდულები მოესულიერებინათ.

საღამოს მეორე უბედურება მოხდა. ორ ანძიანი რუსული ხომალდი სახელად „რიონი“

2,500 ფუთი მარილით დატვირთული გაივსო წყლით და კიდეც დაიძრა. იმ დროს ხუთი კაცი იყო: სამი მგზავრი და ორი მეხომალდე. შკიპერი (ხომალდის უფროსი) მაშინ კიდეზე იყო. ერთი მეხომალდე გადმოვარდა წყალში და ცურვით თავი იხსნა, ისიც იმიტომ რომ ერთ ფიცარს მოეჭიდა და იმის საშუალებით კიდეზე გამოვიდა. სხვანი კი დაიღუპნენ. ხალხი კიდიდგან უცქეროდა ამ საცოდაობას და ღონე კი არა ჰქონდა, რაიმე გვარათ შეწევნოდა იმ უბედურებს. ზღვა ისე საშინლად ღელავდა, რომ ვინ გაბედავდა ხომალდთან მიტანებას. ის სხვაზე მოშორებითაც იდგა. ერთი დამხრჩვალთაგანი მეორე დღეს შიგ ხომალდშივე ნახეს გაკვეხებული, სხვანი კი ჯერ არ უნახავთ.

სავაჭრო ცეცხლის გემი (სახელად „ოლგა“) ორი ღუზით იყო დამაგრებული და ყველაზე უფრო გაუმაგრდა ზვირთების ცემას. სხვა ჭურჭლებიც ძალიან ყოჩაღათ იყვნენ, მაგრამ რომ კიდევ გაგრძელებულიყო ღელვა ზღვისა, უეჭველია არც ერთი არ მორჩებოდა. შუაგულ ზღვაშიაც ძალიან ღელვა ყოფილიყო ისე, რომ შემდეგ მოსულს ზღვის ჭურჭლებს ბარგი ძალიან ცოტა მოჰყავთ; ღელვის დროს ზღვაში გადაეყარათ ბარგი, რომ ამ ღონისძიებით შეემჩატებინათ ისინი. (დროება, N47, 1868 წელი);

1869 წელი

გაზეთი ,,დროება''

***

სოხუმის მაზრის მმართველმა ღენერალ-მაიორ გეიმანმა მოახსენა მისს უმაღლესობას კავკასიის მთავარ-მმართველებს, რომ ამ ნახევარი წლის განმავლობაში სოხუმის მაზრაში მოინათლა ხუთი ათასზე მეტი აფხაზი. უკანასკნელი კამერალიური აღწერით სოხუმის მაზრაში ითვლება ეხლა 66 ათას 468 კაცი ორივე სქესისა; ამ რიცხვიდგან ორმოცდა სამი ათასი მოქრისტიანებული არიან. (დროება, N28, 1869 წელი);

***

უფ. კრასნიცკი იწერება აფხაზეთიდან გაზეთს „კავკაზში“, რომ 26 სეკტემბერს იქ უკურთხებიათ განახლებული ბიჭვინტის მონასტერი. როგორც კორრესპონდენტი იწერება, ამ მონასტრის განახლებაში ბევრი ღვაწლი და ხარჯი მიუღია თავის თავზე იქ მცხოვრებს გარდამდგარს მაიორს უფ. ვორონოვს. წესი კურთხევისა აუსრულებია ყოვლადსამღვდელო იმერეთის ეპისკოპოზს-გაბრიელს; ამ დროს აქ დასწრებიან აფხაზეთის მმართველი გენერალ-მაიორი გეიმანი და სხვა ოცდაათამდი სოხუმში მოსამსახურე პირებთაგანი. ამას გარდა ყოვლადსამღვდელო გაბრიელს სოფ. ლიხნში ჩაუყრია ახალი საყდრის საძირკველი. უფ. კრასნიცკის დიდი იმედი აქვს, რომ ეს საყდრების აგება ძალიან მოეხმარება იქაური მაჰმადიანების გაქრისტიანებას. (დროება, N43, 1869 წელი);

***

სოხუმის მაზრის სამხედრო მთავრობა აცნობებს მთის სამმართველოს, რომ ამ 1869 წლის ოქტომბრამდინ აფხაზეთში მოუქრისტიანებიათ 7894 კაცი და 904 ცოლქმარს ხელ-ახლათ ჯვარი დაუწერიათ, რადგან უწინ ისინი ყოფილან დაქორწინებულნი მუსულმანური წესითა. (დროება, N48, 1869 წელი);

შინაგანი ცნობები

სოხუმის კორრესპონდენტი გაზ. „კავკაზისა“ სანუგეშო ამბებს ვერ იწერება აფხაზეთის მოსავალზე. წელს იქ სიმინდი, რომელიც აფხაზების სარჩოს შეადგენს, იმის ნახევარიც არ მოსულა, უწვიმობის გამო, რაც წინეთ მოდიოდა. შარშან 20,000 ფუთი მარტო კაკალი გაუგზავნიათ ქერჩში და ოდესაში, წელს კი ის სულ მიმხმარა ზედ ხეზე. ამას რომ დაუმატოთ საქონლის ჭირი, რომელიც, კორრესპონდენტის სიტყვით, ივლისში დარევია იქაურ საქონელსა და აქამდინ უმოწყალოთ ჰსუფევს, მაშინ ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ამ ზამთარში აფხაზების ცხოვრება სასიხარულო ვერ იქნება. ღვინის მოსავალს კი, ღვთით, არ უჩივიან თურმე აფხაზები. (დროება, N49, 1869 წელი);

1870 წელი

გაზეთი ,,დროება''

სავაჭრო ცნობები

სოხუმის მთავარ სასამართლოში ამ წლის 9 მარტს იქნება ვაჭრობა და გაიყიდება გორის მოქალაქის პეტრე იოსების ძის სააკოვის უძრავი მამული, რომელსაც შეადგენს ეტაჟიანი ფიცრულის სახლი თავის მოწყობილობით და ეზოთი. ეს მამული დაფასებულია 7542 მანეთად და ისყიდება ვალში. ვაჭრობა დაიწყება 9 მარტს დილის 11 საათზე. მსურველს შეუძლიანთ წინათვე ნახოს სოხუმის სასამართლოში ამ საქმის შესახები ქაღალდები. (დროება, N6, 1870 წელი);

***

რუსეთელი გაზეთი ,,ხმა'' („Голосъ“ 160) ამბობს, რომ აქაური უმთავრესი გამგეობის და უწმინდესი სინოდს შუა მიწერმოწერაა გამართულიო იმ საგანზედ, რომ ვითომ დიდ მთავარს-ნამესტნიკს აფხაზეთში ბერების მონასტრის გამართვა სურდეს, აფხაზეთში მართლმადიდებ-ლობის გასავრცელებლათ. ამას გარდა აფხაზეთში ერთი მართლმადიდებელი ეკკლესიის განახლებას აპირებენო, აგრეთვე როგორც ოცი რუსული პატარა მონასტრების დაარსებასო. იმათთან სკოლა გაიმართება, რომელშიაც იმ მონასტრების ბერები დაინიშნებიან მასწავლებ-ლებათ, რადგან იმ მონასტრებში სასულიერო აკადემიიდან გამოსული პირები იქნებიან ჩარიცხულიო. (დროება, N25, 1870 წელი);

***

აფხაზეთში მონასტრების და შკოლების გამართვის ამბავს, რომელიც „დროების“ წინა ნომერში იყო მოყვანილი, გაზ. „Голосъ“ უმატებს კიდევ შემდეგს: ერთი იქაური ძველი მონასტრის შესაკეთებლად, რუსული მონასტრების და შკოლების გასამართავად, ანგარიშით, დასჭირდება თურმე ამ თავით 2,000 მან. და მერე ყოველ წლობით - 3,000. ჯერ-ჯერობით კი ამ საქმის სისრულეში მოყვანა ვერ ხერხდება, რადგან ვერ მონახეს ის წყარო, რომლიდგანაც ეს ხარჯი უნდა შემოვიდეს. Гол. N166. (დროება, N26, 1870 წელი);

***

ოჩამჩირის მაზრიდამ (სუხუმის განყოფილებაში) იწერებიან „მმართებლობის მოამბეში: „გონებითი ცხოვრება აქაური საზოგადოებისა ძალიან მდაბალ ხარისხზედა დგას. გაბრიელ ეპისკოპოზმა ცოტაოდენათ გააცნო აქაურები ქრისტეს სწავლას ასე, რომ წელს 3,000 კაცზე მეტმა მიიღო ქრისტეს სარწმუნოება. ამ ჟამად ოჩამჩირის მაზრაში 29 სასოფლო ეკლესია

არის. რუსის მართებლობის განწესებიდამ აქ ხუთი შკოლა დაარსდა, რომლებშიაც 160 ყმაწვილი სწავლობს. ხალხში გავრცელებულია სწავლის სიყვარული, მაგრამ არც მტაციობა მოსპობილა: ცხენის მოტაცება, მაგალითად, კეთილ საქმეთ მიაჩნიათ. ყველაზე უმთავრესი ყურადღება აქაურებს ახლა დამოკიდებული წოდებების (გლეხ-კაცების) განთავისუფლებაზე და აზნაურ-თავადობის გარჩევაზე აქვთ მიქცეული. (დროება, N48, 1870 წელი);

1871 წელი

გაზეთი „დროება“

***

სოხუმიდამ გაზ. „კავკაზში“ იწერებიან, რომ აქ, აფხაზეთში, ქვის-ნახშირი, წყლის კირი (гидравлическая известь) და საშენი ქვა აღმოაჩინესო. (დროება, N34, 1871 წელი);

1872 წელი

გაზეთი „დროება“

***

შარშან სოხუმში, უმაღლესის ბრძანებით, გაიხსნა საქალებო შკოლა. წელს ეს შკოლა სამკლასიან საქალებო პროგიმნაზიათ გადააკეთეს. პროგიმნაზია დანიშნულია ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის; იმის სახარჯოთ, სხვათა შორის, უმაღლესის ბრძანებით, გადაუდვიათ 3,500 მანეთი ადგილობრივი შემოსავლიდამ. პროგიმნაზიაში ასწავლიან საშეღავათო წერილს, რუსულ ენას, რუსეთის გეოგრაფიას, რუსეთის და შემოკლებით საზოგადო ისტორიას, არითმეტიკას, წერას, გალობას და ხელსაქნარს. ამ პროგიმნაზიასთან გაიმართება პანსიონი, სადაც ამ თავით ოცი ქალის ვაკანსია იქნება სახელმწიფო ხარჯითა. სახელმწიფო ხარჯით პანსიონში მხოლოთ მართლმადიდებელი სარწმუნოების ქალებს მიიღებენ. ვინც თავის ხარჯით შეიყვანს ქალს ამ პანსიონში, იმან წელიწადში 80 მან. უნდა აძლიოს და ამას გარდა პირველათ შეყვანაზე 25 მან. უნდა მისცეს. (დროება, N21, 1872 წელი);

***

სოხუმის მცხოვრებლებს ხელის-მოწერით შეუკრებიათ 1,515 მანეთი და გადაუწყვეტიათ, რომ ამ ფულის სარგებლით ერთი სოხუმელი ღარიბი მცხოვრების ქალი გამოვზარდოთ ჩვენს ახლად გამართულს საქალებო პროგიმნაზიაშიო. ამ სტიპენდიას ნიშნავენ უფ. გეიმანის სახსოვრათ; იმას ერქმევა სახელად „ეკატერინა ვასილის ასულის გეიმანის სტიპენდია“. რადგან უფ. გეიმანმა ბევრი ღვაწლი გასწია ქალების პროგიმნაზიის გამართვის თაობაზეო. (დროება, N29, 1872 წელი);

ფელეტონი
ორი ჩვეულება აფხაზეთში

ბევრი ისეთი ჩვეულებაა დარჩენილი ხალხის ცხოვრებაში, რომლის უწინდელი აზრი და მნიშვნელობა ახლანდელ დროში ჩვენ არ გვესმის, რომელიც თითქმის სასაცილოდ და სამასხაროდ მიგვაჩნია. მაგრამ ცოტა რომ დააკვირდეს კაცი, ნახავს, რომ ამ ჩვეულებაებს თავის დროში დიდი მნიშვნელობა ჰქონია ცხოვრებისათვის, ნახავს, რომ მათში გამოხატულა ხალხის ცხოვრების პირობები, რომლის ქვეშ დაუწყვია მას თავისი ცხოვრება. მართლაც, რა არის ჩვეულება? ჩვეულება არის ხალხის ანუ კერძო-პირის ცხოვრების შედეგი, არის კვალი, რომელშიაც აღბეჭდილია წარსულ ცხოვრების პირობები. მაშასადამე შესაძლო საქმეა, რომ, ამ ჩვეულების შემწეობით, რამოდენიც არის, წარმოიდგინოს კაცმა ის წარსული ხალხის ცხოვრების სურათები, რომელნიც შთანთქმულან საუკუნეთა სიღრმეში.

ამ აზრით ჩვენ გვსურს ავსწეროთ აქ ორი ჩვეულება, რომელიც ახლა არსებობს მარტო აფხაზეთში და სამურძაყანოში, და უჩვენოთ მათი უწინდელი მნიშვნელობა, რამოდენიც შესაძლოა ჩვენთვის. როგორც ექნება გაგონილი მკითხველს, აფხაზეთში, სამურძაყანოში და სამეგრელოში, თუმც ამ უკანასკნელში უფრო სუსტად, სუფევს ორი ჩვეულება: პირველი გამზდელობა და მეორე სტუმრობა (მინდობა). ეს ორი ჩვეულება არის ზნეობითი კანონი ხალხისათვის აფხაზეთში და სამურძაყანოში; აქ შეიძლება უღალატოს კაცმა ყოველფერს, მაგრამ არასოდეს ამ ორ ჩვეულებას.

აი რაში მდგომარეობს პირველი მათგანი: დაიბადება თუ არა ყმაწვილი ორივე სქესისა, ის მაშინათვე მიყავს გამზდელს თავის სახლში, სადაც იმყოფება დიდს ხანს. აქ ყმაწვილი არის პირველი საზრუნველი საგანი: გამზრდელი არ ზოგავს, მისდა სანაცვლოდ, არც თავის თავს და აგრეთვე არც თავის შვილებსაც; მისთვის არის პირველი ლოცვა ამ ოჯახში, მას ეკუთვნის პირველი ადგილი ყველაფერში. გაზდილი გამზდელის ოჯახთან არის შეკავშირებული უუწმინდესი ხალხისათვის კავშირითა; ის ამ ოჯახისათვის არ არის გარეშე პირი, რომელიც მოსულა თავის სარჩენად; არა, ის არის ზნეობითი ნათესავი მთელის ოჯახისა და გვაროვნობისა. სჩანს, რომ ამ ჩვეულებას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ხალხისათვის, რადგანაც ის არასოდეს არ ეკავშირება ასე გულ-წრფელად და ასეთი ზნეობითი კავშირით ისეთს საგანს ანუ ჩვეულებას, რომელთაც არ ჰქონია დიდი მნიშვნელობა მის ცხოვრებაში. რაში უნდა მდგომარეობდეს ეს მნიშვნელობა ხალხისათვის? აი ის კითხვა, რომელზედაც უნდა უპასუხოთ ჩვენ ამ სტატიაში.

ასეთი დამოკიდებულება არის გავრცელებული უფრო თავად-აზნაურებსა და გლეხებს შუა; ამასთან ის არის შესანიშნავი, რომ ყოველი კაცი ცდილობს იმ კაცის შვილის გაზდას, რომელსაც უფრო გავლენა და ძალა აქვს თავის ქვეყანაში, ე. ი. სუსტი კაცი ეძებს კავშირს უფრო ძლიერ კაცთან. მაშასადამე ის ეძებს ძალას. რომლის შემწეობით მას შეუძლია დაიფაროს თავი. მაგრამ ვისგან უნდა დაიფაროს მან თავი? რასაკვირველია, მტაცებლობის და უკანონობისაგან. მართლაც რომ ყოველი აბრეგი და ავაზაკი, რა რიგ გარყვნილი და გამხეცებული იყოს, მაინც ძალიან ძვირათ ერჩის ვინმე ძლიერი კაცი გამზდელს (?) და სტუმარს (მინდობილს).

ასეთი ხალხის მოქმედებაში ჩვენ ვხედავთ, რომ ის ეძებს მშვიდობიანობას და უშიშრობას. მაშასადამე ის არ ყოფილა უსახლ-კარო, როგორც ცხოველი და ველური ხალხები, რომელნიც დარბიან საითაც თავი გაუძღვებათ *). არამედ საფიქრებელია, რომ ის ყოფილა უშიშრათ დამჯდარი ერთს ალაგას, სახლ-კარიანი. ეს მშვიდობიანობა შეიძლებოდა მაშინ, როცა ყოველი ოჯახი იქნებოდა დაფარული როგორც გარეშე, აგრეთვე შინაური მტრებისაგანა. მაშასადამე ყოფილა ისეთი დრო, როცა ამ ხალხს უცხოვრია უშიშრად და ამისა გამო მოუკიდია ხელი ოჯახობისათვის. ხოლო ასეთი მდგომარეობა შეიძლებოდა

მაშინ, როცა მთელს საზოგადოებას ანუ ხალხს ექნებოდა პირობა შეკრული, რომ საზოგადო ძალით დაიფარონ თავი ყოველნაირ მტრებისაგან, ე. ი. როცა მათ ექნებოდათ საზოგადო მმართველობა, რომელიც იფარავდა, როგორც ცალკე პირს, აგრეთვე მთელს საზოგადოებას.

მაგრამ ამ მშვიდობიანობის დროს გამოჩენილან ისეთი პირები, რომელნიც სხვა და სხვა მიზეზებისაგამო. გაძლიერებულან და დაუშლიათ ხალხში მშვიდობიანობა და საზოგადო კავშირი. ამგვარი პირების გამოჩენის მიზეზი იყო მრავალი სხვა და სხვა ისტორიული და ეკონომიური გარემოებები, რომლის გამოკვლევას ჩვენ არ შეუდგებით აქ, რადგან ეს საქმე ძალიან შორს წაგვიყვანს.

ამისთანა პირები ბევრს არ გამოეკიდებოდნენ სამართალს და პატიოსნებას, რადგანაც ძალა მათ ხელში იყო; მათ შეეძლოთ ექნათ ვისთვის კარგი და ვისთვის ავი, როგორც უნდოდათ. მაშასადამე ხალხს რჩებოდა ერთი ღონის-ძიება თავის საშველად-მეგობრული დაკავშირება ამ პირებთან. ამგვარათ სუსტი ხალხი დაკავშირებია ძლიერ კაცს. ცხადია, რომ, რაც უფრო ძლიერი იყო ეს კაცი, ისე უფრო ბევრი დაემეგობრებოდა მას, რისაგამო. ასეთი პირის მნიშვნელობა ისე დამყარებოდა, რომ არა თუ უღვინო ხალხი, არამედ უფრო ძლიერნიც დაიწყებდნენ მასთან კავშირის ძებნას, მისი მნიშვნელობა ბოლოს უფრო ძლიერი შეიქნებოდა ამ ქვეყანაში.

ასეთივე აზრი და შედეგი ქონდა მეორე ჩვეულებასაც ხალხისათვის. აი რაში მდგომარეობს ეს მეორე ჩვეულება (მინდობა). რომელიმე გლეხი, რომელსაც მებატონემ გაუჭირვა საქმე უკანონობით, ანუ მეზობლებმა-შურით, სტოვებდა თავის ადგილს მალვით და ენდობოდა ვისმე ძლიერ კაცს, რომელსაც შეეძლო მისი დაფარვა მდევნელებისაგან. ამ შემთხვევაში ბევრი მათგანი იხსნიდა კიდევაც საუკუნოდ თავს მებატონებისაგან.

რაც ვსთქვით, იქიდან ცხადათ სჩანს, რომ ეს ორი ჩვეულება შემოუღია ხალხს თავის დასაფარველად. მაგრამ ეხლა ვნახოთ, რა შედეგი ჰქონდა ასეთს ხალხის პოლიტიკას. ცხადი საქმეა, რომ ის პირები, რომელთაც მოუყრიათ თავი ასეთი ძლიერი კაცის ქვეშ, იქნებოდნენ ვალდებულნი თავიანთ მხრითაც გამოეჩინათ რაიმე ერთგულება ამ კაცის წინაშე, ე. ი. მოეტანათ რამე სარგებლობა თავიანთ ნებისმიერ სამსახურით. ასეთი ნებითი სამსახური თითქმის ჩვეულებათ გადაიქცეოდა დროს განმავლობაში. ნათქვამია: „ჩვეულება სჯულთ უმტკიცესიაო,“ და ეს ანდაზა ამ შემთხვევაში სრულებით გამართლდა: რამოდენიმე მოდგმის შემდეგ, როცა ყველას დაავიწყდა ის ზნეობითი კავშირი, რომლითაც იყვნენ მათი წინაპარნი შეკავშირებულნი, ეს ნებითი სამსახური და ერთგულება დაედვად გადაუხდელ და სამუდამო ვალად, და ამ რიგათ ერთხელ თავისუფალი კაცები იქცნენ ყმებად და მასთან გაჩნდა ბატონ-ყმობა, ანუ გვაროვნობითი განხეთქილება ხალხში.

როგორც ვსთქვით, ეს ორი ჩვეულება არის აფხაზეთში და სამურძაყანოში; სამეგრელოში თუმცა არის, მაგრამ ხალხი ასეთს მნიშვნელობას არ აძლევს, როგორც აფხაზეთში და სამურძაყანოში. ხოლო იმერეთში კვალის მეტი არღარა დარჩენილა ჩვეულებისა. საფიქრებელია, რომ ეს ორი ჩვეულება ოდესმე უნდა ყოფილიყო მთელს საქართველოს ხალხში, რომლის ძალით დაარსებულა ის ხალხის ზნეობითი ღირსების დამღუპავი და დამცემი წყობილება, რომელსაც მოვესწარით ჩვენ, ე. ი. ბატონ-ყმობა. აი როგორ მოახდინა ეს ზნეობითი ხალხის დაცემა ბატონ-ყმობამ.

მებატონე უფრო კარგის თვალით შეხედავდა მას, ვინც უფრო ერთგულობას და თავდაბლობას გამოიჩენდა მის წინაშე; ეს საქმე, რასაკვირველია, შეუნიშნავად არ დარჩებოდა სხვებისთვინაც; ყველა მათგანი დაიწყებდა ცდას გაემარჯვა ამ გზაზე, თუმცა თავის მოძმის დაბრკოლებითაც, რადგან თავი ყველას უყვარს.

ცხადია, რომ ასეთი ერთგულობა ათასში ერთი გულ-წრფელი და ნამდვილი არ იქნებოდა,

მაშასადამე როგორც გლეხი აგრეთვე მებატონეც ეჩვეოდა პირ-მოთნეობას და მარტო თავის თავზე ზრუნვასა. ამ რიგათ მთელი ხალხი გაირყვნა ზნეობით, და ამან მისს ისტორიულ ცხოვრებას ბოლო მოუღო... ჩვენ აქ შეგვეძლო დაგვესრულებინა ჩვენი სტატია, მაგრამ როგორც ვფიქრობთ, ზოგი ერთი მკითხველებისთვის არ უნდა იყოს ცხადი ჩვენი უკანასკნელი სიტყვების ჭეშმარიტება. ამის გამო მოკლეთ ავხსნი ამ სიტყვების მნიშვნელობას:

უეჭველია, რომ როგორც დრო მიდიოდა, ისე თან-და-თან მრავლდებოდა ასეთი მებატონეების რიცხვი, მაშასადამე მათი გავლენაც ხალხზე. ყოველი მათგანი იყო მიჩვეული მხოლოდ თავის თავზე ზრუნვასა; მისთვის სულ ერთი იყო, რაც არ დამართოდა მის მეზობელს, ოღონდ თითონ ყოფილიყო კარგათ; ის მუდამ ყურებ დაცქვეტილი იჯდა, რომ რამე წაეგლიჯა მეზობლისათვის მარჯვე შემთხვევაში. მაშასადამე ასეთ პირებს შუა ერთობა და თანხმობა რამე საზოგადო საქმისათვის მოუხერხებელი იყო; ხოლო ყოველი მათგანი მუდამ მზათ იყო, გაეყიდა და ეღალატებინა მეზობლისათვის. ოღონდ რომ რგებოდა რამე მისი ქონებისაგან. გარეშე მტერი მუდამ შოულობდა უმტკიცეს და უმარჯვეს საშუალებას ასეთ პირებში ქვეყნის დასამორჩილებლად. მტერი პირდებოდა მათ გაკეთებას, თუ თავის მეზობელს დაამორჩილებინებდა. ის სიხარულით მიზდევდა ასეთ მტერს თავის მეზობელზე. აქ ის იჩენდა დიდს მამაცობას: კლავდა, სწვავდა და სცარცვავდა უფრო სასტიკად მეზობელს, ვიდრე გარეშე მტერი. ხოლო გარეშე მტერი ეფერებოდა მას, სანამ ის გამოსადეგი იყო მისი პოლიტიკასთვის. ბოლოს, როცა მტერი ისე გაძლიერდებოდა ამ ქვეყანაში, რომ ასეთი პატიოსანი ბატონის წახმარება საჭირო არ იქნებოდა, მაშინ ამოჰკრავდა ერთ-ორ პანღურს და გააგდებდა კარში.

ამ პოლიტიკას ძალიან მჭიდროდ ეკიდებოდნენ ძველ დროში საქართველოს მტერები და ყოველს ღონის-ძიებას ხმარობდნენ რომ უფრო გაებერათ ის შური და განხეთქილება, რომელიც საქართველოს ხალხში უმისოთაც ჰსუფევდა. აქედამ ძალიან ადვილად შეგვიძლია ავხსნათ იმის მიზეზი, რომ საქართველოს მუდამ ჰყოლია ასი მეფე, ათასი მთავარი და ლეგიონი თავადები, რომელთაც გამოსწოვეს სისხლი და ტვინი საქართველოს ისტორიულ ცხოვრებასა... /დ. ჩქოტუა/. ს. პეტერბურღი. 1872 წ., 19 ივლისს. *) აქ საუბარი იმ დროზეა, როცა პირველჯერ დაარსებულა ეს ჩვეულება და არა ახლანდელზე. (დროება, N30, 1872 წელი);

1874 წელი

გაზეთი ,,დროება''

***

სოხუმში მომკვდარა ჭლექით „გუთნისდედის“ რედაქტორი აგრონომი ალექსანდრე ვართანოვი. (დროება, N426, 1874 წელი);

***

ამ გაზაფხულს ერთს სომეხს, რომელსაც იჯარით ჰქონია აღებული სოხუმში მყოფი ჯარის საზრდო, რამდენიმე ასი ჭირიანი ხარი გაურეკია სამეგრელოზე, აფხაზეთზე და სამურზაყანოზე. ეხლა გვატყობინებენ, რომ ამ ჯოგს დაუჭირიანებია იქაური მცხოვრებლების ხარ-კამბეჩი და ბევრი გლეხისათვის უკანასკნელი სარჩო წაურთმევია; ამ ჭირს ზოგი გლეხისათვის 50-100 ხარ-კამბეჩი მოუკლავს და სულ, როგორც ამბობენ, სამეგრელოში, აფხაზეთში და სამურზაყანოში 200,000 ხარ-კამბეჩამდი დაუხოცია. ურიგო

არ იქნებოდა, მგონია, ვისიც რიგია, ამ გვარ ხალხის დამღუპველ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს. (დროება, N443, 1874 წელი);

***

სამურზაყანოდამ გვწერენ, რომ თუმცა ადრეც ხშირი ყოფილა იქ ქურდობა და მტაცებლობა, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს განსაკუთრებით ამ გვარმა საქმეებმა ერთობ იმატაო. რამდენიმე ავაზაკი შეკრებილან, ტყეში გავარდნილან და ერთად ესხმებიან თურმე მცხოვრებლებს. ადგილობრივი მთავრობა ღონის-ძიებას ხმარობს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერა გაარიგა რაო. განსაკუთრებით სოფ. ბედიის მცხოვრებლები არიან თურმე ამ ქურდობისაგან შეწუხებული. (დროება, N445, 1874 წელი);

***

ოქუმიდამ (სამურზაყანოში) გვაცნობებენ, რომ ერთს იქაურ შვიდმეტი წლის ახალგაზდა ქალს ამ დღეებში თავი მოუკლავს. მიზეზი თავის-მკვლელობისა, როგორც კორესპონდენტი გვწერს, შემდეგი გარემოება ყოფილა: რაღაცასთვის ეს ქალი თავის ძმას გაულახავს; ქალს უფროსი ძმისთვის განუცხადებია ეს შეურაცხყოფა და იმისგან მოელოდა თურმე ნუგეშს. მაგრამ ამ ძმას დის ჩივილისათვის ყურადღება არ მიუქცევია. გამოჯავრებული ქალი გასულა ერთ დიდ ხეზე, გადმოვარდნილა იქიდამ და ამნაირად თავი მოუკლავს. (დროება, N445, 1874 წელი);

საქართველო
ფოთის პორტის მიტოვება

ფოთის პორტისა და იმერეთის ბანკის ბედი ბევრის მხრით ემსგავსება ერთმანეთს: როგორც ერთი ისე მეორე დიდის ვაი ვაგლახითა და ყვირილით დაიწყეს; ერთიც და მეორეც თავიდამვე ისეთი კაცების ხელში ჩავარდა, რომელთან თავიანთი საქმე და მოვალეობა ძალიან ნაკლებათ იცოდნენ; ერთიც და მეორეც წვალობს დღემდი და კაცმა არ იცის-მიეცემა იმათ საქმეს ოდესმე დასასრული, თუ არა? ისინი, ვისაც ბანკზე რაიმე გავლენა ჰქონდათ, უფრო იმითი არიან გამოჩენილნი, რომ უთავბოლოთ ბანკს რამდენიმე ათასი თუმანი ჩამოაკლეს და პროექტის შესადგენელად ხან ერთს მიადგებოდნენ და ხან მეორესა; უსარგებლოთ ფულების ხარჯვა და უთავბოლოთ პროექტების შედგენა არც ფოთის პორტის ამშენებლებს დაუკლიათ. აქ თავდება მსგავსება: იმერეთის ბანკის საქმეს, როგორც იქნება, უეჭველია, დასასრული მიეცემა; ეს ბანკი-მტკიცე საფუძველზე იქნება თუ სუსტზე, თუ მალე არა, ოდესმე მაინც დაფუძნდება.

მაგრამ ფოთის პორტს კი, როგორც ისმის, სულ სხვა დასასრული მოელის. ნამდვილი, ოფიციალური წყაროდამ ამბავი ჯერ არა ვიცით რა; მაგრამ ამბობენ კია, რომ მთავრობას ფოთთან ნავსადგურისა ანუ პორტის აშენების განზრახვა მიუტოვებიაო, რომ, უფ. შავროვის შემდეგ მოთავე ინჯინერი, უფ. ჟარინცევი ხელის აღებას აპირებს მუშაობაზეო. ამასთანავე ამბობენ, პროექტი არისო, რომ ფოთის ნაცვლად, სოხუმში გააკეთონ ნავსადგურიო. ამის მეტის თქმა ამ საგანზე ჯერ-ჯერობით არაფრისა არ შეგვიძლია, და საუბედუროთ, დაბეჯითებით ვერც იმას ვიტყვით: თუ რამდენად სარწმუნოა და დასაჯერებელია ეს ხმები. გაზეთს აქვს უფლება მოიყვანოს „ხმები“ და „ნალაპარაკევი“, თუ განსაკუთრებით ეს ხმები ისეთ საზოგადო და ყურადღების ღირს საგანს შეეხება, როგორც, ვსთქვათ, ზემომოყვანილი ამბავი...

მეორე ყურადღების ღირსი და ამასთანავე უფრო ნამდვილი ამბავი სოხუმიდამ ქუთაისამდი რკინის გზის გაყვანის განზრახვაა. ბეჯითად შევიტყვეთ, რომ იმ ინჯინრებს, რომელნიც ამ გზის გამოსაკვლევად იყვნენ გაგზავნილი, სოხუმიდამ თეკლათამდი გამოკვლევა მოუხდენიათ. ეს ამბავი ქუთათურებს უნდა ახარებდეს, ისმის, რომ ეს სოხუმიდამ წამოსული

გზა ჯერ ზუგდიდსა და ხონს გადასჭრის და მერე უთუოდ ზედ ქუთაისზე გამოივლის და ფოთი თფილისის მთავარ რკინის გზას შეუერთდებაო. უეჭველია, რომ ამ გზის გაყვანას რაიმე დაახლოებითი კავშირი უნდა ჰქონდეს იმ გარემოებასთან, რომ ფოთში ნავსადგურის კეთებას სტოვებენო და მის მაგიერად სოხუმში აპირებენო. რაღა ეშველება საწყალ ფოთს!.... რამდენათაც ფოთს დააკლდება ამ გარემოებით, იმდენათ ქუთაისს მოემატება, თუ რკინის გზა მართლა სოხუმიდამ ზედ ქუთაისზე გამოიყვანეს.

დიდი ხნიდამ დაღონებული ქუთაისი, იმედია, ცოტას მაინც მოითქვამს სულს, ცალ თვალს მაინც გამოჭყეტს, ცოტაოდენი იმედი და მხნეობა მაინც მიეცემა... ვნახოთ-რა იქნება! /ს. მესხი/. (დროება, N448, 1874 წელი);

***

სოხუმიდამ მოგვივიდა ამბავი, მაგრამ ეს ამბავი, მგონია, რაჭასა და გურიას გარდა, მთელ საქართველოს შეეხება: ამბობენ, სასოფლო გზები საძაგელ მდგომარეობაში არისო. ზოგან გზები უნდა იყოსო, მაგრამ მოგზაურს ეს გზები ვერ უნახავსო. გურიისა და განსაკუთრებით რაჭის მაზრაში კი კარგ სასოფლო გზებს ამბობენ. (დროება, N448, 1874 წელი);

***

წარსულ ნომერში შეცდომით იყო მოყვანილი, რომ სოხუმიდამ წამოყვანილმა რკინის გზამ შესაძლებელია ხონზე და ქუთაისზე გამოიაროს, მეთქი. ეს ტყუილი ხმა გამოდგა: უფ პ. ალხაზოვის გამოკვლევით და პროექტით, ეს გზა, რომელიც 114 ვერსამდი უნდა იქნეს, ფოთი-თფილისის რკინის გზას თეკლათთან შეუერთდება. მაგრამ, როგორც მაშინ ვთქვით, გადაწყვეტილი ჯერ არა არის რა. (დროება, N449, 1874 წელი);

„დროების“ კორრესპონდენცია
სოხუმი, 22 ნოემბერს

სოხუმში ჯერ ვარდები ისევ ყვავიან. ზოგიერთ ქუჩებში ისე სახლს ვერ ნახავ, რომ ღობესთან არ უდგეს რამდენიმე ხის სიმაღლე ვარდის ბუჩქები. რომლებიც საამურათ ყვავან ზოგნი სულ წითლათ, ზოგნი სულ თეთრათ და ზოგნი თეთრწითლად, გაუხსნელი კოკრებიც ჯერეთ ბლომათ არიან, ასე რომ იმ თვეშიაც არ გამოილევა აქა გადაშლილი ვარდები. ამაზედ ცხადი დამტკიცება აქაური ჰაერის სითბოსი ძნელათღა იქნება. მაგრამ არც ეს სითბო, არც ზღვის სიახლოვე არ იფარავს აქაურ მცხოვრებლებსა მავნებელ ჭაობის ზედგავლენიდგან. თითქმის ყველა სუხუმელს პირის სახეზედ ასვია აშკარა დაღი ამ ზედგავლენისა. თეთრ-წითელ ლოყებს იშვიათად შეხვდება კაცი აქაურ მცხოვრებლებში. ყველას ყვითელი, გამოწურული ლიმონის ფერი აქვს. აქაურ ციებას ბევრი ეთეროვანი არსება დაუფთხვია და საყვარელ ქმრებს მოუშორებია, რასაკვირველია მათ საბედნიეროთ. მშვენიერი სქესი აქ თითქმის მარტო მახინჯ ეგზემპლიარებს წარმოგიდგენს. ლამაზი ცოლები აქ თურმე ქმრებს როდი მოსდევენ. როცა მათ ქმრებს აქეთკენ ნიშნავენ, ცოლები ამ გვარ შესხმას ეუბნებიან თურმე: სანატრელო გვრიტო, მე შენ ძალიან მიყვარხარ, მაგრამ უფრო მომეტებულათ მიყვარს ის სიამოვნება, რომელსაც ჩემი თურაშაული ვაშლივით დაბრაწული ლოყები და ტუჩები გაძლევენ; მე არ მინდა, რომ ეს სიამოვნება მოგაკლო თვით ღრმა სიბერემდის, და ამიტომ ვერ გამოგყვები სუხუმში, რომლის ციებაც თურაშაულ ვაშლს თურმე გაწურულ ლიმონს ამზგავსებს.

ამისთანა საფუძვლიანი არგუმენტით დაჯერებული ქმარი მარტო მოეხეტება სუხუმში და მოუთმენლათ მოელის, როდის ეღირსება თავისი მშვენიერი ნახევრის ხელმეორეთ ალერსსა... რადგანაც ეს მოლოდინი მათ მალე არ უსრულდებათ, ამიტომ ისინი ხდებიან ბუზღურა ხასიათისა, ჯავრს მეზობლებზედ ყრილობენ, სწყრებიან მათ, ებერებიან, ზურგს აქცევენ შე-

ხვედრის დროს და მუნჯებივით უყურებენ ერთმანეთს, თუ საჭიროება ერთათ მოაქცევს მათ სადმე.

სოხუმელები ძალიან ცდილობენ, რომ არისტოტელის წარმოსთქმა: „კაცი არის საზოგადოებრივი პირუტყვი“ თავის შესახებ გაამტყუნონ: ზიან ცალცალკე კუთხეებში და ბაიყუშებივით გამოიყურებიან ფანჯრებიდგან. გაუგონიათ, ახლანდელი ადამიანები კითხვით ართობენ გულსაო და გამოუწერიათ ბიბლიოთეკა. მაგრამ ვიღასაც ცუდი ოინი უქნია მათთვის: აუღია და სულ ჰაზროვანი თხზულებები გამოუწერია. სუხუმელებს ეს არ მოსწონებიათ, დაუკეტიათ ბიბლიოთეკა და კანონით დაუდვიათ: მაშინ გაიღოს, როდესაც წიგნებიდგან გამოქრნენ ყველა ჰაზრებიო. და დანარჩენ შიგ მარტო სასიამოვნო გრძნობანიო. რაც მოვედი აქ, თითქმის ყოველ დღე მივდივარ ბიბლიოთეკართან, იქნება გაღება აღირსეს სუხუმელებმა მეთქი, მაგრამ სად არის. კვეხულობენ კი: ევროპიულათ ვართ გაწყობილიო: კლუბი, ბიბლიოთეკა, სპეკტაკლები და სხვანიო; ქალაქი ჩვენის ცდილობით იზრდება დღეობით კი არა საათობითო!

როცა ეს ესმის რომელსამე ვაჭარსა, იგი უსიამოვნოთ თავს აქნევს და ამბობს: “რას ბოდვენ? სუხუმი რამდენიც ხანი გადის, იმდენი უფრო უკან-უკან მიდის. წინეთ მე 2000 მანეთი მოგება მქონდა, ახლა 600 მანეთიც მენატრება. ვაჭრობა ერთი ხუთად დაეცა, რაკი შავი ზღვის ფლოტი გაქრა და აფხაზეთი გაღარიბდა მცხოვრებლების რიცხვით და ქონებით!“ ვაჭარი სრულიად მართალი ჩნდება, როცა ჰკრეფ სხვა და სხვა ადგილას ცნობებსა. ხედავ, რომ ვაჭრობა საშინლათ დაცემულა. ოფიციალური ცნობაც გამტკიცებს ამაში: აქაურ ტამოჟნის კანტორას იმდენი შემოსავალი არა აქვს ახლა, რომ თავის ჩინოვნიკებს ჯამაგირათ ეყოს. ამიტომაც ამ კანტორას იანვრიდგან აუქმებენ და ზასტავას აარსებენ აქ; უმთავრესი ამისი მიზეზი საშინელი გაღარიბებაა აფხაზეთისა.

აფხაზები ახლა ყველაფერში თმენულობენ უკიდურესს ნაკლულევანებასა. მათი ტანისამოსი-გლახის ბრანძებსა ჰგავს. უწინ კი თურმე სრულიათ სხვა გვარათ იცვამდნენ და სხვა შეძლება ჰქონდათ. ამიტომაც იყო თურმე სუხუმში ვაჭრობა გაჩაღებული-ამბობენ, მხვნელ-მთესველებს მიწები აღარ აქვთო. ეს გახდა უმთავრესი მიზეზი მათი გაღარიბებისა. მე ამაზედ ნამდვილ ცნობებს შევკრეფავ მერმე და შეგატყობინებთ.

ამ წინაზედ აქ მოხდა ერთი ტრაღი-კომიკური ამბავი: ერთ მექვაბე ურიასა ჰყავდა ლამაზი და მადიანი ცოლი. მის მახეში გაება ერთი მდიდარი მარსის მსახური. ქალი იმედს აძლევდა იქამდის, სანამ ეს აფიცერი ისე არ ჩაიფლო გრძნობის ზღვაში, რომ უკან დახევა შეუძლებელიღა იქნებოდა. ეს რომ შეატყო ქალმა, უთხრა: შემთხვევითი კავშირი ჩემის მხრივ შეუძლებელია, მე შემიძლიან შევიქნე შენი მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩემი ქმრის ადგილს დაიჭერ და გახდები გვირგვიროსან ქმრათა. გრძნობისაგან დათრობილი აფიცერი თანახმა გახდა; ჩუმათ ერთ ღამეს გააქანა საყდარში ურიის ცოლი, საჩქაროთ მონათლა და იქვე გადაიწერა ჯვარი. საწყალი ურია თურმე გვიან დაბრუნდა სახლში და ცოლს ძებნა დაუწყო ტახტებ ქვეშა. მაგრამ რას იპოვნიდა! „შენი ჭირიმე, სტიროდა მეორე დღეს ურია, ეს რა უსამართლობაა: სჯულური ცოლი მომტაცოს ვინმემ და არ შემიძლიან დავიბრუნოო! ბევრი იგოდა საწყალმა ურიამ, ბევრი იჩივლა, თავის უბედობაზედ და ბოლოს ასე გადასჭრა საქმე: შევირთავ მეორეს უფრო კიდევ ლამაზს ცოლსა და თვალებ დავაქრეციანებ აფიცერს და უწინდელ ჩემ ცოლსა. მართლა, გამოუწერია ქუთაისიდამ ერთი მშვენიერი ურიის ქალი, რომელიც უწინდელს მის ცოლზედ თურმე ერთი-ორათ ლამაზია. მაგრამ ახლა სხვა აფიცრები ილესავენ კბილებსა. ურიას კიდევ მოელის უწინდელი ხიფათი... ამ სახით შეიძლება კაცმა ყოველ წელიწადს ლამაზი ცოლები იცვალოს, და სრულიად უმანკო და დაუნაშაულო დარჩეს! რამდენი ნატრულობს ამგვარ მდგომარეობასა, ეს სულელი ურია კი სტირის და ჩივის უსამართლობაზედ!.. (დროება, N451, 1874 წელი);

***

ოჩამჩირიდამ გვაცნობებენ, რომ ამ უკანასკნელ დროს ოქუმში რამდენიმე ლაზი გადმოესახლაო და მთელი ვაჭრობა იმათ ჩაიგდეს ხელშიო. ჩვენი მოამბის წერილის კილოდამა სჩანს, რომ ის ძალიან გულნაკლულად უნდა იყოს ამ ლაზებზე; კაცს ეგონება, თითქო იმათ ჩვენს მოამბეს ვაჭრობა გამოაცალეს ხელიდამაო... (დროება, N452, 1874 წელი);

1875 წელი

გაზეთი „დროება“

სოხუმი, 10 დეკემბერი
წერილი პირველი

სოხუმის ყურე-ბუნების სურათები სოხუმის გარშემო. მისი მდებარეობა და ჰავა-ჭლექი და სოხუმის ჰავა, ფაკტების წინააღმდეგობა შესახებ ამ ჰავის მკურნელობისა. ორს ესკულაპს შუა მამლაყინწური ომი. სიმრთელის აღმაშენებელი მხარეები სოხუმის ჰავისა, რომელ შემთხვევაში ხდება სოხუმის ჰავა ჭლექის მორჩენის წამალი.

აფხაზეთის შუა წელთან შავ ზღვას იმდენი ურეცხნია და უღრღნია დედამიწა, მინამ თითქმის მიუღწევია მთების ძირამდის და გაუკეთებია პატარა ყურე. ამ ყურეს მეტად განიერი შესართავი აქვს ზღვასთანა და ამიტომ დიდი ქარიშხლის დროს ხომალდების და ნავების დაფარვა მას არ შეუძლიან; უბრალო ქარი კი ყურეს ღონიერათ ვერ აღელვებს და ამიტომ ნავები და ხომალდები მშვიდობიანად დგანან შიგ. ეგ ყურის ნაპირი შესდგება პატარა ვაკისაგან, რომელიც ვიწროთ არის გაწოლილი ზღვასა და მთებს შუა. ამ ვაკეზედ არის დაარსებული სოხუმი, პირველი და უკანასკნელი ქალაქი აფხაზეთისა. სოხუმი გარეშემორტყმულია ბუნების მშვენიერი სურათებითა. მის უკან ხუთ რიგათ ამფითეატრულათ ამაღლებულნი არიან მცენარეობით შემოსილნი მთები, რომლებიც ჩრდილოეთისაკენ თან და თან მაღლდებიან და ბოლოს თავდებიან თვით კავკასიის ქედით. ეს უკანასკნელი ზოგიერთა თავის უმაღლესი თოვლის შელესილი წვერებით სჯარჯავს წინა კალთებსა და ამპარტავნულათ გადმოსცქერის ქალაქსა; ახლათ ჩასული მზე ოქროსფრად გარს ეხვევა ამ ცაში წასულ წვეროებსა და უნებურათ აგონებს ადამიანსა პოეტის სიტყვებსა:

მზე ჩაესვენა, მაგრამა მის შუქი ჯერეთ კავკაზსა,

თავსა ეხვევა ალერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა.

აღმოსავლეთით სოხუმს უძევს დაბალი მთა, რომლის შემოსილება კალმუხის ქუდს წარმოგიდგენს და რომელიც ზღვას ნაპირ-ნაპირ ჩასდევს, დასავლეთით გაჭიმულია ხითა და ბუჩქნარით შემოსილი ჭალა, კალოსავით სწორე, რომელზედაც ისვენებს თვალი, დაღალული მთების ცქერითა. სამხრეთით გაშლილია თვალ-გადაუწვდენელი ზღვა, რომელიც ხან მძინარე მდევივით არის მოსვენებული, ხან კი ღრიალებს და შფოთავს გაცეცხლებული ლომივით და თითქოს ემუქრება ჩანთქმასა თვით კავკაზის ქედსა. ზღვის იქითა ნაპირს, თითქმის ას სამოცი ვერსის სიშორეზედ, ცხადათ გამოჩანს ბატუმის და ტრაპეზონის ქედი, თავისი თოვლით დაფენილი წვეროებითა; ეს წვეროები ზედ გორიზონტის წრეზედ არიან ჩამწკრივებულნი და ადამიანის თვალში უზარმაზარი ბოძებივით იმაგრებენ მათზედ თითქო დაბჯენილ ცასა და სახსოვარში აღვიძებენ იმავე პოეტის სიტყვებსა:

ბუმბერაზ მთანი მდუმარეთ ცათამდის აყუდებულან,

სხედან, ვით მდევნი სპეტაკნი ყინულის გვირგვნით შემკულნი.

ამ გვარი მდებიარების ქალაქი აქ შეიძლება, რომ სითბოს ბუდე არ იყვეს. ჩრდილოეთის სიცივეს გზა აქვს სრულიად შეკრული უზარმაზარი ბუნების კედლით, სამხრეთის სითბოს კი ყურთამდის აქვს გაღებული კარები. მთების აქეთა გვერდები, მზის გულისაკენ მიშვერილნი, ძალზედ ხურდებიან და მათი სითბო ეშვება ძირს ქალაქში. ზღვა, რომელიც ზაფხულში ისე გაუმაძღრათა სვამს მზის სითბოსა, ზამთარში უხვათ უშვებს მას და ჰფენავს ქალაქში. აი რისთვის ნოემბერში და დეკემბერში აქ ნამდვილი ზაფხულის დღეებია, ვარდის მაღალი ბუჩქები საამურათ ყვავიან სხვა და სხვა ფერათა და ადამიანს დილით ხანდახან აღვიძებს ელვა და ჭექა-ქუხილი.

სწორეთ ეს თვისება აქვთ სახეში ექიმებსა, როდესაც ისინი გზავნიან აქეთკენ მოსარჩენათ გულმტკივანა ავათმყოფებსა და ჭლექიანებსა. მათ სოხუმი მიაჩნიათ მეორე ეგვიპტეთ და ნიცცათა. პირველი შეხედვით ექიმების ქცევა ამ შემთხვევაში სრულიან საფუძვლიანათ ეჩვენება ადამიანსა. სითბო სამართლიანათ ითვლება სიცოცხლის ერთ უმთავრეს წყაროთა. ამიტომ დაცემულის სიმრთელისათვის ის უნდა იყვეს საიმედო ამყენებელი. მაგრამ რას გვეუბნებიან ფაკტები? ამართლებენ ისინი მოლოდინის შესახებ სოხუმის ჰაერის მკურნალობისა? როცა დანტემ მოინდომა მისი გაგება, თუ რამდენათ იყო სულის საცხონებელი რომის სარწმუნოება მან ჯოჯოხეთში ჩაიხედა. მივბაძოთ მის მაგალითსა და გავიდეთ აქაურ სასაფლაოზედ. ჩვენ აქ ათამდი ახალ საფლავს დავთვლით, სადაც მარხვიან ახალგაზდა ყმაწვილები ჩვენი მხრიდგან აქ მოსარჩენად მოსულნი ამ უკანასკნელ წლებში. მათთვის ჭლექს მიუმატებია თავისი აქაური მსხვერპლებიცა. ამითი არ თავდება საქმე. ცოცხლებშიაც იპოვნი იმ გვარ პირებსა, რომლებიც აქ გულსაღონი მოსულან და აქ გამხდარან ავათ ჭლექითა. აქაურ სამხედრო სამკურნალოში ბევრ არა ერთ სალდათს ნახავ აქაური გორნიზონისას გულ დაზიანებულსა. როცა ამ გვარ ფაკტებს ადამიანი იტყობს, სოხუმის ჰაერის მკურნალობაზედ რადიკალურათ იცვლის ჰაზრსა. მაგრამ მეორე რიგი ფაკტებისა ესარჩლება ამ ჰაერსა. სოხუმის მცხოვრებლებში ურევიან პირნი, რომლებიც თურმე გამოწლილ ფიჩხულსა ჰგვანდნენ, როცა აქ მოსულან, ახლა კი წარმოგიდგენენ ქვირითით გაჭიკნილს კაპუეტსა. ასახელებენ არა ერთ ავათმყოფს ფილტვებით, რომელსაც გასაღება ღირსებია ერთი ზამთრის განმავლობაში. წრევანდელი ავათმყოფებიც მადლიერნი არიან აქაური ჰავისა. მათგან ხშირათ გესმის, რაც სოხუმში მოვედი ამდენი და ამდენი გირვანქა სიმძიმე მომემატაო. მასთან აქაურ მესასწორის ჯიბესაც ემატება და მგონია მხურვალეთ ლოცულობს, ღმერთო ჭლექი აღორძინეო. ჭლექი და მესასწორის ჯიბე! თითქო გაუზომელ მანძილზედ დგანან ერთმანეთზედ ეს საგნები, მაგრამ კვიმატი ცხოვრება რას არ დააკავშირებს ერთათა. ზოგიერთა აქ მოსული ავათმყოფი იმდენათ კმაყოფილია აქაური ჰაერისა, რომ აპირობს სამუდამო ბუდე ჩაიდგას სოხუმში.

როგორც ატყობთ, ფაკტებს გაცხარებული ჩხუბი აქვთ და ხომ იცით, რაკი ფაკტები ერთსა და იმავე საგნის შესახებ ჰოსაც ამბობენ და არასაც, მაშინ შეუძლებელია, რომ ადამიანების ტვინებს შუა ომი არ გაჩაღდეს. სწორეთ ეს ოინი ჩაუდენია სოხუმის ჰავასაც. შარშან აქაურ ორ ესკულაპს ცხარე ომი გაუმართავთ. ერთს მათგანს წაუკითხავს ლექცია და უქია აქაური ჰაერი როგორც ნამდვილი მკურნალი ჭლექისა. ეს ლექცია მას დაუბეჭდინებია გაზეთს „კავკაზში.“ მეორე დასცემია სოხუმის ჰავასა, მოუყვანია მის მკურნალობის წინააღმდეგ ფაკტები და ლეკტორის ჰაზრი შეძლების და გვარათ დაურღვევია. ეს უკანასკნელი, რასაკვირველია, აღჭურვილია ახალი იარაღით და უსროლია ყუმბარა. გაჩენილა მელნის მღვრელი ბრძოლა; მერმე რა შეუბრალებლიე უღვრიათ საწყალი მელანი! სამი ასპარეზი გამოუცვლიათ, „კავკაზიდგან“ გადაფორთხილან დაქოჩრილნი „ოდესის უწყებაში“ და იქიდგან მიუხწევიათ

სატახტო გაზეთებამდის და ისევლე დაქოჩრილებსა, რასაკვირველია, ფაკტები და ჰაზრები მალე დარჩენიათ უკანა და წინ გაუძღვიათ პიროვანი შემკობა. სოხუმის ჰაერს მიტომ აქებს, რომ პაციენტები გაიმრავლოს და ჯიბე გაიტენოსო, უთქვამს და დაუბეჭდია ერთსა. სოხუმის ჰავას მიტომ აძაგებსო, რომ მასთან არავინ მიდის ავათმყოფთაგანიო, ჯავრი მოსდის და იყეფება, როგორც ის ძაღლი, რომელიც თივაზედ იწვა, არც თვითონ შეეძლო ჭამა და არც სხვას ანებებდაო. ომი გათავებულა წინააღმდეგების დაქანცულობით და არა სოხუმის ჰავის თვისებების გამორკვევით, როგორც ყოველთვის თავდება ამ გვარი მამლაყინწური ჩხუბი. წრეულ კი უფრო ვიწრო და უფრო კერძო ხასიათი აქვს ესკულაპების უთანხმოებასა: ერთსა კარგა მსხვილს მოსამსახურეს მარსისასა ცოლი გახდომია ავათ გულის ტკივილით; ერთი ექიმი ენერგიულათ ურჩევს სოხუმი დასტოვე, თორემ ცუდი ბოლო მოგელისო, მეორე კი მტკიცეთ სდგას იმ აზრზედ, რომ სოხუმის გარეთ ავათმყოფის მდგომარეობა უარესი შეიქნება. წარმოიდგინეთ ახლა ამ ქალის მდგომარეობა და მისი ქმრისა! (დროება, N3, 1875 წელი);

სოხუმი, 10 დეკემბერი
წერილი პირველი
(დასასრული)

ნუ თუ თავი უნდა ვანებოთ ზემოთ მოყვანილი ფაქტების შერიგებასა? ნუ თუ შეუძლებელია გადაჭრილი რამე სთქვას კაცმა შესახებ სუხუმის ჰავის მკურნალობისა. მე მგონია, ეს შესაძლებელია ზედ-მიწევნით, თუ კაცი ცხადათ მიხვდება, რომ მოწინააღმდეგე ფაქტები ერთ მიზეზზედ არ არიან დამოკიდებულნი და მომდინარეობენ სხვა და სხვა წყაროებიდგან. ის შემთხვევები, რომლებიც წარმოგვიდგენენ მაგალითებს ჭლექიანების გასაღებისა, უნდა პირ-და-პირ მიეწერნენ აქაურ მეტათ თბილ და ნამიან ჰაერსა. წინააღმდეგ შემთხვევებს უნდა ჰქონდეთ სხვა, სიმრთელის დამარღვეველი მიზეზები, რომლებიც ხან-და-ხან სძლევენ ჯანის აღმადგენელ უმთავრესს მიზეზსა. ამ უკანასკნელ მიზეზებში აქ ნაკლულევანება არ არის.

პირველი ის არის მტერს - სინოტიეს სოხუმში ღრმათ აქვს ფესვები გადგმული. თუმცა თვითონ სოხუმი უკანასკნელ წლებში გაუშვრიათ და მოუფენიათ ქვიშით, მაგრამ ამითი მხოლოდ ზემო კანის სიმშრალეს მოსწევიან. თვითონ მიწა კი ისევ ჭაობის სისველით არის გაჟღენთილი და შეადგენს ისევ წყაროს სინოტიისასა. ეს ჭაობის სინოტიე გაშლილ ჰაერზედაც კი საგრძნობელია, მეტადრე დილაობით, როდესაც ჭაობს უფრო უხვათ ასდის სუნი და სცემს ადამიანს ცხვირში. მაგრამ მისი მავნებელი ზედ გავლენის ადგილი კი სახლები არიან. ჭაობის სინოტიე ასდევს კედლებსა კარგა მაღლა და სტრიალობს სადგომებში. ადვილი წარმოსადგენია, რა ცუდი გავლენა უნდა ჰქონდეს ამ სინოტიეს დასნეულებულ ფილტვებზედ. რომ ავათმყოფები ხშირად უნდა ცივდებოდნენ ამ სინოტიის გამო, ესეც ცხადია. თვითონ კარგა მყოფებიც კი ხშირათ და ადვილათ ცივდებიან. საზოგადოთ აქ გაციება ისე ჩუმათ და გაუგებრათ შედის ტანში, როგორც კარგი გაწვრთნილი ქურდი, განძიან სახლში.

მეორე ჯანის მავნებელი მიზეზი - ტემპერატურის უცები და მკაცრი ცვლილებაა. ეს ცვლილება აქ ხდება თითქმის ყოველ-დღე ორჯელ: საღამოთი მზის ჩასვლამდე და დილით მზის ამოსვლაზედ. ხშირათ აქ მთელი დღე მაისის სითბო სდგას და მცხოვრებლებს საზაფხულო ტანისამოსში ხედავ; მაგრამ აი იწყო ჩასვლა მზემ და ისეთი სიცივე მოიფინა ჰაერში, რომ თბილი საზამთრო პალტოც კი ვერ იჭერს და ძვალრბილში ატანს ადამიანსა. თუ ავათმყოფმა შინ არ შეასწრო მზის ჩასვლასა, ძნელათ რომ ის გადაურჩეს გაცივებასა. ერთ საათს უკან ისევ სთბება ჰაერი და ბინდის უკან გარეთ გამოსვლა სრულიად საშიში აღარ არის. აგრეთვე ხშირათ ღამე მეტათ თბილია, მაგრამ დილით მზის ამოსვლის დროს ისეთი

მკაცრი ცვლილება ხდება ჰაერში, რომ თუ მეორე საბნის დახურვა დროზედ არ მოასწარ, სიცივე სხეულში გაატანს და მეორე დღეს მზათ არის რაიმე ავათმყოფობა.

ეს ატმოსფერული ცვლილება აქ ყველასათვის ცხადი ფაქტია მაგრამ მის მიზეზს კი არავინ იძიებს. ამ მიზეზს კაცი ადვილათ მიაგნებს, თუ კავკაზის თოვლით შელესილ წვერებს თვალს ადევნებს. დღისით მათგან გამოგზავნილ სიცივეს ცხოველი მზე აქარწყლებს; მაგრამ როცა მზე ჩადის, სიცივე მაღლიდგან დაუბრკოლებლივ ეშვება ქვემოთ ქალაქისაკენ და იფინება ქვემო ჰაერში. მაგრამ ცოტას ხანს უკან ესევე სიცივე ჰაერის ნისლს ღრუბლათ აქცევს, ეს ღრუბელი სქელი ტანისამოსივით ეხვევა გარს კავკაზის წვეროებსა და აღარ უშვებს მის სიცივესა. ღრუბელი უმეტეს ნაწილათ მთელი ღამე არა შორდება მთებსა და ამიტომ ღამით არა ცივა. მაგრამ ამომავალი მზე ჰფანტავს ამ ღრუბელსა, ატიტვლებს თოვლიან წვერებსა, ღამით შეგუბებული სიცივე დაუბრკოლებლივ ეშვება ქვემოთკენ და ახდენს ზღვის პირათ მკაცრ ცვლილებას ჰაერში.

ამ მიზეზებს უნდა მივაწეროთ ის შემთხვევანი, როდესაც წინააღმდეგ სითბოს და ზღვის გავლენისა, გულის ავათმყოფობა ძნელდება და თავდება სიკვდილით. მაგრამ როგორც ხედავთ ეს მიზეზები იმ გვარნი არ არიან, რომ ავათმყოფებს მათი მავნებელი გავლენის აცილება, ან შემცირება მაინც, არ შეეძლოთ. მშრალი და თბილი სადგომი მეორე ეტაჟაში და ფხიზელი გაფრთხილება იმ დროს, როდესაც მკაცრი ცვლილება ხდება ჰაერში ავათმყოფს გახდიან უვნებლათა. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ამ მხრით ავათმყოფები საშინელ დაუდევრობას და მოუაზრებლობას იჩენენ. მათ ჰგონიათ, რაკი სოხუმში მოვახწიეთო, ავათმყოფობა თვითონვე დაგვანებებს თავსაო, საღებში სდებენ თავსა, მათ ფეხის ხმასა ჰყვებიან, სიფრთხილეს სრულიად ივიწყებენ და ხდებიან მსხვერპლი თავიანთ უგუნურებისა.

მე ამითი არ მინდა ვსთქვა, რომ ყველა ფრთხილი ავათმყოფი უთუოთ გასაღდება აქა. ეს უმთავრესად დამოკიდებულია იმაზედ, თუ რამდენათ არის გამჯდარი ტანში სენი. თუ სნეულს კიდევ აქვს ძალა ავათმყოფობის ბრძოლისა, აქაური ჰაერი ენერგიულათ დაეხმარება, და დროებით მაინც დააძლევინებს მას და მოიყვანს ჯანზედა. მაგრამ რა გვარათ შეიძლება ფეხზედ დააყენოს აქაურმა ჰაერმა ის ავათმყოფი, რომელიც ძლივსღა ქშინავს, სუნთქვის იარაღი თითქმის სრულიად დაუკარგავს და მოკლებულია უკანასკნელ ძალასა. გაფუტურებულ ხეს რაც უნდა უხვათ ასხას ცამ გამაცოცხლებელი ნამი და რაც უნდა ერთგულათ უგზავნოს სითბო ცხოველმა მზემა, სინედლე აღარ ჩაუდგება. ეგრეთვე მოურჩენელია ჭლექი, უკანასკნელ ხარისხამდინ მისული...

ამ გვარი ავათმყოფების გამოგზავნა სოხუმში მადლი კი არა, მომაკვდავი ცოდოა. უძლურება, სრული მოუთმენლობა, გულის ანჩხლობა, აუტანლობა ყველა გვარი შეწუხებისა ხდის მათ ნამდვილ მოწამეთა. ამ მდგომარეობაში ადამიანისათვის მოსიყვარულე ხელის ზრუნვა და მოვლა ყველაზედ და ყველაფერზედ გაუზომელათ საჭიროა. მხოლოდ მას შეუძლიან შეუმსუბუქოს ტანჯვა ავათმყოფსა და დაუტკბოს, რაც კი შეიძლება, სიმწარე უკანასკნელი დღეებისა. სოხუმში გამოგზავნით ავათმყოფი ამ დაუფასებელ წამალს აკლდება. ის სტოვებს თავისიანობას, ძვირფასს და მოსიყვარულე პირებს და მოდის უცხო ქვეყანაში, სადაც ის მოკლებულია ნამდვილი გულის შემატკივარსა და სადაც იმას ბოლოს ხანს უფრო კიდევ უმწარებს უკანასკნელ დღეებს სამხედრო სამკურნალოს ბრიყვი და უგრძნობელი მოსამსახურე სალდათი. ნათესავების მოშორება სხვა მხრითაც ამძიმებს ავათმყოფის მდგომარეობას. რამდენიც იმას უფრო უახლოვდება უკანასკნელი დღე, იმდენი უფრო ძრიელდება მის გულში ნათესავების სიყვარული და მალ-მალ ნატრობს მათ უკანასკნელ ნახვასა. მაგრამ მათი სიშორე, ყოვლად შეუძლებლობა ნატვრის ასრულებისა ლოდივით აწვება გულზედ და სასოწარკვეთილებაში ალევინებს სულსა.

მეორე შეცდომა ექიმებისა კიდევ უფრო გამაბრაზებელი და გასაკიცხავია. უნდა იცოდეთ, რომ სოხუმის ჰაერი ზოგიერთა ავათმყოფობას ადვილათ აჩენს და სწრაფათ აძლიერებს. წარმოიდგინეთ ახლა ავათმყოფი, რომელსაც ჭლექის გარდა ტანში უგდია ერთი ამ სენთაგანი. ექიმმა ყური არ ათხოვა ამ უკანასკნელ ავათმყოფობას და გამოგზავნა სოხუმში გულის მოსარჩენათ. რა მოელის ამგვარ ავათმყოფსა? მეორე სენის გაძლიერება, სხეულის დაუძლურება და როგორც ამისი პირდაპირი შედეგი - ფილტვების სწრაფი დარღვევა. წრეულ აქ ერთი ყმაწვილი კაცი შეიქნა მსხვერპლი ამ გვარი ექიმის შეცდომისა. მას ჭლექთან თურმე თირკმელების ავათმყოფობაც სჭირდა. ექიმმა ამ უკანასკნელს ყური არ ათხოვა და გამოგზავნა სუხუმში მოსარჩენათ. მაგრამ ისე ნუ მორჩენილა თვით მისი გამომგზავნელიც, როგორც ეს ყმაწვილი მორჩა. აქაურმა ჰაერმა სწრაფათ გაუძნელა თირკმელების ავათმყოფობა, დაემართა წყალი მანკი, ჭლექიც, რასაკვირველია, გაუძლიერდა და თვე ნახევრის განმავლობაში გათავდა კაცი. აქაურ ექიმებს რომ თავისი მოვალეობა კარგათ ესმოდეთ და ჰქონდეთ სურვილი მისი სვინიდისიანათ აღსრულებისა, საყოველთაოთ გამოაცხადებდნენ, თუ რა ავათმყოფობეებს ედება ცეცხლივით აქაური ჰავა. (დროება, N4, 1875 წელი);

სამურძაყანო, 23 ივნისს

დიდი ხანია, რაც სამურძაყანოში ქრისტიანობაა, მაგრამ აქ სოფლებში ახლაც დარჩენილია ბევრი ისეთი გასაოცარი ჩვეულება და წარმართული რწმუნება, რომ სწორეთ გაუკვირდება კაცს. ამას წინათ ერთს სამურძაყანოს სოფელში ვიყავ, რომელსაც ჰქვიან ჯიბურ-ხინჯი *). მივედი თუ არა ერთი ნაცნობის სახლში, მიმიღეს კარგათ, როგორც აქაური ხალხის ჩვეულებას შეჰფერის, თუმცა, საუბედუროთ, ახლა თან-და-თან ეკარგებათ ეს საქები ჩვეულება, ყველა სტუმრის პატივის ცემა. ჩემმა მასპინძელმა მთხოვა: აგერ ჩემ მეზობელს „ჟინის-ხვამა“ აქვსო, იქ წავიდეთ და ვისადილოთო. მე ვკითხე: რა არის „ჟინის-ხვამა“- მეთქი? მასპინძელმა მიპასუხა, რომ გუშინწინ ქუხილი იყო და მეხი დაეცაო. ამ ჩემი მეზობლის ეზოშიო და მოუკლაო ერთი სალოცავი ძროხაო. ეხლა იმ მეხის გამომგზავნს (ჰაერს) უნდა შესწიროს ის ძროხაო. რადგანაც უფრო კარგათ მინდოდა გამეგო ეს ჩვეულება, მეც დავეთანხმე ჩემ მასპინძელს და წავედით მეზობელთან.

შემიყვანეს ერთს დიდს ტყეში, სადაც ბევრი კაცები იყვნენ შეკრებილნი. მივედი თუ არა, ვნახე მიწაში ჩაესოთ ოთხი მაღალი სვეტი, სიმაღლით თითოეული სამ საჟენამდისინ; ზევით გაეგოთ ფიცრებით და ძროხაც იქ დაედვათ. ხალხი გარშემო ესეოდა ამ ძროხას და თაყვანს ჰსცემდნენ. მეორე ადგილასაც იყო ამ ნაირი სვეტები დასმული და მას ზედ დაეწყოთ ორი მოხარშული მსუქანი ცხვარი და ერთი დიდი ვაცი. ყველა კუთხეები სვეტებისა სანთლით იყო განათებული. მე მოვშორდი მლოცველ ხალხს, წავედი, ერთი ხის ძირს ჩამოვჯექი და იქიდამ დაუწყე ცქერა. ას კაცამდინ იყვნენ აქ შეკრებილნი; ქალები კი არ მოიძეოდენ, რადგანაც მათ არ შეუძლიანთ დასწრება ამ ნაირი ჩვეულების აღსრულების დროს.

როგორც ბოლოს შევიტყვე, ყველა ესენი ერთი გვარის კაცები ყოფილან. ძროხის პატრონი, რომელსაც ძროხა მოუკლა მეხმა, ღრმა მოხუცი იყო; ის მიიყვანეს იმ სვეტებთან, სადაც იყო შემზადებული დაწყობილი მსხვერპლი ჰაერისა, როგორც ისინი უძახიან „ჟინის-ხვამა“. ჩააბეს ჯაჭვი და ყველანი მოემზადნენ სალოცავათ. ერთი მოხუცებული კაცი გამოვიდა ამ შეკრებულებიდგან, წაიყვანა ეს მოხუცი ჯაჭვით, უკან გაჰყვნენ სხვანი; წინამძღოლმა აფხაზმან დაიწყო რაღაც ლოცვა აფხაზურს ენაზედ, რომელიც ვერ გავიგე და ეს კაცი კი ოთხჯერ შემოატარა ამ სვეტებს. მერე დასხდნენ ყველანი, ჩამოიღეს შემზადებული ცხვრები და ისადილეს. მე კი არ მიმიღია მონაწილეობა იმათს სადილში, რადგან, როგორც შევატყე, წყრებოდნენ: როგორ ბედავს, ვინ არის, და ან რა ნაირათ გვათვალიერებს ამ სამღვთო

საქმის აღსრულების დროსაო!.. ბოლოს ცხვრების ტყავები გარდაჰკიდეს ხეებზედ: ისრე უნდა დალპეს, რომ არაფერი არ მიეკაროსო; ძროხა კი დარჩა შეუხებელად დასვენებული სვეტებზედ. წასვლა რომ დააპირეს, ძროხასთან მივიდნენ ყველანი, ერთხელ კიდევ თაყვანი სცეს და ბოდიში მოსთხოვეს: იქნება რამე ნაირათ შევცდით შენს წინაშეო.

ეს შემთხვევა მოხდა პარასკევს დღეს, და ამ მლოცველ პირთ „ჟინისას“ არ შეუძლიანთ, რომ პარასკევ დღეს იმუშაონ და ერთი ფარის საქმე გააკეთონ, თითქმის ცეცხლსაც ვერ მისცემენ თავიანთ მეზობლებს. როგორც გავიგე, თითქმის ყველა სამურძაყანოს სოფლებში აქვთ ამ გვარი ჩვეულება, ყველას აქვს თითო დღე, გარდა კვირისა, უქმათ გადადებულნი. საუბედუროთ, მე ვერ გავიგე რა ჰაზრი და რა მნიშვნელობა აქვს ამ „ჯინის-ხვამის“ ჩვეულების ასრულებას. აქაური მთავრობა, როგორც სამოქალაქო, აგრეთვე სასულიერო ცდილობს თურმე ამნაირი ცრუ-მორწმუნოების მოსპობას; მაგრამ, ჯერჯერობით იმათი მეცადინეობა რჩება უნამყოფოდ. /ბ. გაბისონია/. *) ჭიბურის ხინჯი არის სიტყვა მეგრული, ნიშნავს „წაბლის ხიდს“. ამ სოფლის მახლობლად, მდ. ინგურზე, ხიდი ყოფილა. (დროება, N78, 1875 წელი);

„დროების“ კორრესპონდენცია
აფხაზეთიდგან, 1 აგვისტოს

მოგეხსენებათ, რომ აფხაზეთი მოშორდა საქართველოს სხვა და სხვა უბედური პოლიტიკური ვითარების დროს. მას შემდეგ იმოდენად იმოქმედა მათზე ოსმალოს გავლენამ, რომ მაღალმა წოდების ხალხმა დაუტევა ქრისტიანობის წესი და შეუდგა მაჰმადის რჯულს; როდესაც მთავარი შეიქნა მაჰმადის მოწაფე, რასაკვირველია, თავად-აზნაურობამაც მის მიბაძვით შემოუშვეს მოლები და მათ, წინააღმდეგ მაჰმადის მცნებისა, სადაც „ყურანში“ ცხადათ ასწავებს მაჰმადი, რომ „თუმცა არ შეისმინონ ჩემი მცნება, მახვილით შეაგონონ ხალხსო,“ მოლებმა ნახეს საჭიროთ, რომ ნებაყოფლობით შეგონებას უფრო ღრმა ძირი ექნება, და შეაგონეს ნელ-ნელა სხვა და სხვა საჩუქრების შემწეობით. ამ ხერხმა იმოდენათ იმოქმედა აფხაზეთზე, რომ შემდეგში დაუტევეს სრულიად ქრისტეს სარწმუნოება. მაგრამ აქა-იქ კიდევ ბჟუტავდა ქრისტიანობის ნათელი აფხაზეთში.

შემდეგ, როდესაც რუსეთის უძლეველმა ორ-თავიანმა არწივმა ჩრდილოეთში გაშალა შემმართებელი თვისი ფრთები და გადმოაფარა კავკასიას, აფხაზნიც შეიქნენ მრავალნი ქრისტიანენი. მთავარი თავის გვარით გაქრისტიანდა და თავად-აზნაურნიც უმეტესი ნაწილი. გლეხები შეუდგნენ ისევ ქრისტეს სარწმუნეობას, და სრულიად გაქრისტიანდებოდნენ, რომ ბატონებისა არ ჰშინებოდათ; რომელიც მებატონე მაჰმადიანი იყო, მისი ყმებიც იმავე რჯულზე დარჩნენ... ყირიმის ომის დროს სრულიად ამოიფხვრა ქრისტიანობა აფხაზეთში. მაგრამ ისეთი მაჰმადიანები კი შეიქნენ, რომ სრულებით არ ესმოდათ მაჰმადის სარწმუნოება: აღარც მაჰმადიანებში იყვნენ და აღარც ქრისტიანებში, ხალხი დარჩა შუა გზაზე; უფრო შეიქმნენ ურჯულო, ვიდრე რომელიმე რჯულის აღმასრულებელნი. ამ დროს, რასაკვირველია, საჭირო იყო რამოდენიმე ნასწავლი მღვდლები, რომ ექადაგნათ ხალხისათვის ქრისტეს სარწმუნოების ძალა. ამ საქმეს შეუდგა აფხაზეთის მაშინდელი ეპისკოპოსი ალექსანდრე და ნელ-ნელა იწყო გავრცელება ქრისტიანობისა, და მცირეოდენი კიდეც გააქრისტიანა, როგორც მოითხოვს ქრისტეს რჯული: ქადაგებითა და სახარების სიტყვით. ცოტა ხანს შემდეგ ყოვლად უსამღვდელოესი ეპისკოპოზი ალექსანდრე დაინიშნა საქართველოს ვიკარნით და წამოვიდა აფხაზეთიდამ 1868 წელს, ივნისის თვეში. შემდეგ ამისა აფხაზეთში მოისპო საკუთარი ეპარხია; ეპისკოპოსმა გადასცა აფხაზეთის საეკკლესიო ფული 40,000 მანეთი, რომელიც უნდა მოხმარებოდა ეკკლესიების ასაშენებლათ. /აფხაზი/. (დროება, N88, 1875 წელი);

***

აფხაზეთიდამ გვატყობინებენ, რომ წელს აქ კარგი მოსავალი არისო; მხოლოდ ზოგან კალიამ გააფუჭა ნამუშევარიო. აფხაზეთიდამვე უფ. იოსებ ლოლუა გვწერს, რომ ამ მოკლე ხანში ოჩამჩირის მაზრის სოფლის ილორის ეკკლესია გაუტეხიათ ქურდებს და რაც ფული ყოფილა, წაუღით. ამ ქურდობაში შემჩნეული რამდენიმე პირი დაუჭერიათ და გამოძიება არის დანიშნულიო. კორრესპონდენტი ამბობს, რომ წასული წლის ნოემბერს აქეთ ეს პირველი მაგალითი არის ჩვენში ქურდობისაო; დღემდი უბრალო პირუტყვის ქურდობაც არსად გამიგონიაო. (დროება, N93, 1875 წელი);

1876 წელი

გაზეთი ,,დროება''

***

ერთს რუსულ გაზეთში იწერებიან, რომ ათონის პანტელეიმონის ბერძნის მონასტერს უმაღლესად ებოძა სახელმწიფო ადგილი აფხაზეთში, სოხუმის მახლობლად, იქ, საცა ადრე სევასტიის საეპისკოპოსო ყოფილა. ამ ალაგას, როგორც ამბობენ, მომავალ შემოდგომაზე მონასტერი უნდა აშენდესო. (დროება, N11, 1876 წელი);

სამურზაყანო, 25 აგვისტოს

ამ ათის წლის წინათ აქ ერთი ცრუ-მორწმუნოება გავრცელდა ხალხში, რომელმანც მთელი სამურზაყანო ააღელვა; საუბედუროთ, ამ საძაგელმა ცრუ-მორწმუნოებამ ახლა კიდევ ამოჰყო თავი; საქმე აი რაში მდგომარეობას: ჩემს აქ მყოფობაში, ამ აგვისტოს პირველი რიცხვებიდან, ხშირად ხდებოდა ყრილობა თითოეულს სოფლებში და, გაშლილი ცის ქვეშ, რაღაცაზე ჰქონდათ გაცხარებული მოლაპარაკება; მაგრამ ვერას გზით ვერ გავიგე, თუ რაზედ ლაპარაკობდნენ. ეხლა კი გამოააშკარავეს თავიანთი რჩევა. როგორც ვკითხავ თუ არა თუნდ უკანასკნელ გლეხსა, მიპასუხებს: „მენცრები“ უნდა გამოვიყვანოთო, ესე იგი ხალხში ურევია ეშმაკი კაციო, რომელიც ღუპავს საზოგადებასო: ცოცხლათ კაცს გულს გამოსჭამსო, ნამალავად ძროხებს სწველსო, ღამით (ტაბაკელაში*) დადისო, უნაგირს შეადგამს მგელს და დაატარსო და რომ გათენდება, თავის ბინაში მოდის, დღით იგრე დადის, როგორც მართალი პირიო, რომელსაც აღარ შეუძლიან ამ გვარი მოხდობაო. და ყველა ამის სინამდვილეში ისე დარწმუნებულია ხალხი, რომ, თუმცა მეც და სხვებმაც ბევრი ველაპარაკეთ და ვეჩიჩინეთ, რომ ეს შეცდომაა, მაგრამ ვერას გზით ვერ დავაჯერეთ. შეუდგენიათ თხოვნები ყოველ სოფელში მთავრობისათვის მისაცემად, თითოეულ კომლს მოუწერია ხელი, რომ მთავრობის ნება დართვით დადაღონ შემჩნეული პირები.

გამოსულა ორი ქალი სოფელ ბეყდიდან, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ნამდვილი ეშმაკები ისინი არიან, ვითომც ისინი უნდა შვრებოდენ სასწაულებს: ერთ კაცს გული გამოუჭამეთო და მაგიერად ნაბადი ჩაუდევითო, ეს თუ ტყუილი იქნებაო და იმ კაცსო ნაბადს ვეღარ ამოუღებთო, ჩვენ ჩამოგვახჩვეთო; კიდევ, ესენი ამტკიცებენ თურმე, რომ შორიდან შეუძლიანთ ძროხა მოწველონ და მისი რძე პირიდან ამოასხან; შორიდან სახლებს გარდავწვავთო და სხვა ამგვარებს ამტკიცებენ თურმე.

სამურზაყანოში ეხლა ექიმი არ არის საჭირო, მისთვის რომ ეს „მენცრები“ მიჰყავთ ყველა

ავათმყოფებთან. ამ გვარივე შემთხვევა მომხდარა თურმე წინეთაც. გამოურჩევიათ თათარი „მენცრად“, იმას გამოყავდა ეშმაკებად საწყალი უბრალო პირები, შემდეგ გასდევია სასამართლო, ამ თათარს, მაგრამ გაქცეულა სათათრეთში. თუ გამოიყვანეს ამგვარი „მენცრები“, უნდა გააცხელონ რკინის ნაჭერი, მიადვან შუბლზე, და ეგრე უნდა დადაღონ, რადგან შემდეგ ვეღარ შეძლებენ ამ გვარს ვნებასო. ძველ დროებში დადაღულნი ეხლაც არიან ცოცხალნი რამდენიმე. როგორც გავიგე, აქაური უნდა შვებოდნენ უფრო მისთვის, რომ უბრალოდ ვისმეს აღირჩევენ და საწყალი გლეხი ბევრ რამეს გარდიხდის, რომ აღარ დანიშნონ „მენცრადო“. ამ გარემოებაზე ახლა აქ ბევრი სჯა და ლაპარაკია და როგორც გათავდება და რა ბოლო მიეცემა ამ საქმეს, შეგატყობინებთ. /გ-ია/. *) „ტაბაკელა“ არის მთის სახელი, რომელიც სძევს სამეგრელოში; აქაურების აზრით, ეს ეშმაკები - კაცები აქ დადიან ყოველ ღამეს. (დროება, N96, 1876 წელი);

სამურზაყანო, ოქტომბრის 20-ს

„დროების'' მე-96 ნომერში იყო დაბეჭდილი შენიშვნა სამურზაყანოს ერთ ცრუ-მორწმუნეობის გავრცელებაზე. ამ საქმის თაობაზე აი რა მოხდა შემდეგ: ხალხმა წარადგინა მთავრობასთან თხოვნა, რომ მთავრობის ნებართვით მოეხდინათ ამ გვარი უწესო „მენცრების“ გამოყვანა. მთავრობამ მიიღო ამ გვარი ხალხის მხრით უწესოებაზედ ყოველნაირი ღონის-ძიება, რომ მოსპობილიყო ეს მავნებელი ცრუ-მორწმუნოება. სამურზაყანოს უჩასტკის უფროსმა დაიარა უკლისად ყველა სოფლები და გამოუცხადა ხალხს: ეს ტყუილიაო. მაგრამ ვინღა დაიჯერა და გაიგონა? დაიწყეს ერთის ხმით ყვირილი: უნდა გამოვიყვანოთო! შემდეგ უჩასტკის უფროსმა თითოეული საზოგადოების გამოუცხადა: რაიმე სასწაული მიჩვენეთო იმ პირებისაგანო, რომ მათ ნამდვილად შეუძლიანთ მგლის შეკაზმა და მასზე სეირნობა? მაგრამ ამ „მეცნიერების“ ერთმა სთქვა: აქ ხალხში არ შეგვიძლიან, რომ გაჩვენოთო და თქვენ სადაც ხართ, იქ წარმოვადგენთო.

უჩასტკის უფროსმა უბრძანა ყველა საზოგადოების მამასახლისებს კაცების და ქალების შეკრება დ. ოქუმში, სადაც თვითონ ცხოვრობს. დანიშნულს დროზე ყველანი შეიკრიბენ. საშინელი ამბავი იყო, როცა ისინი დიდის მხიარულებით მიდიოდნენ ოქუმში. გზაზე ლაპარაკობდნენ: დღეს „სამურზაყანო მოინათლებაო, ეშმაკები გამოვლენ და გაიწმინდება ქვეყანაო.“ უჩასტკის უფროსმა გამოაცხადა: აბა გამოიყვანეთ თქვენი „მენცრებიო“ და სასწაული გვიჩვენეთო! დაეთანხმნენ: გამოიყვენეს ორი ახალგაზრდა ქალი, ორი ქმარ-შვილიანი და ორიც გლახა გლეხი. ამ ექვს პირებმა მოახდინეს ცალკე რაღაც რჩევა გაუგებარი მოძრაობით და სთქვეს კუდებს გამოვიტანთო. უფროსი დაეთანხმა კუდი გამოაჩინეთო; მოითხოვეს თბილი წყალი ამ „მენცრებმა“ და მასთან დიდი ქვაბი (კარდალი) მოუტანეს. ერთ უსირცხვილო მოხუცს დედაკაცმა ტანისამოსის გახდა მოინდომა და ამ დიდ შეკრებულებაში ქვაბში ჩავწვებიო, მაგრამ პრისტავმა არ მისცა ნება; გლეხთაგან ერთმა და ერთმა გამოიტანეთო კუდი და როგორც გინდათ, ისრე მოიქეცით ამ ხალხშიო; ერთი თითქმის 40 წლის გლეხი ჩავიდა წყალში, იგორვა ქვაბში იქით-აქეთ, მარა ვერაფერი ვერ გამოიტანა.

უფროსმა ყველას შეახედვინა, რომ არაფერი არ შეუძლიანთ და ტყუილად ხალხს ატყუებდნენ. მერე სთქვეს: ვეღარ წარმოვადგენთ აქ ხალხშიო; ბოლოს ითხოვეს ს. ბედიაში ერთი ძროხა არისო და იმას ჩვენ გული გამოვუჭამეთო და ნაბადი ჩავუდევითო. უფროსმა გასცა განკარგულება და იმ წამსვე ყაზახი რუსები გაგზავნა და ის ძროხა მოაყვანინა სოფლიდამ, და კიდეც სთქვა. თუ ნაბადი იქმნება იმ ძროხაში გულის მაგივრად, მე გარდვიხდი მისს ფასსაო და თუ ნაბადი ვეღარ გამოიტანეთ, მაშინ ორ წილ ფასს გარდაგახდევინებთო, რომ ძროხის პატრონი დავაკმაყოფილოო. როცა მოიყვანეს ეს ძროხა, ყველას თან-

დასწრებით დაკლეს, უყურებდნენ, რასაკვირველია, შეკრებილნი თავად-აზნაურნი და გლეხებიც და თითქმის ქალებიც არ აკლდნენ; მაგრამ, რასაკვირველია, ნახეს ნამდვილი გული ძროხისა და არა ნაბადი „მენცრებისაგან“ ჩადებული. მიუბრუნდა უჩასტკის უფროსი ხალხს და უთხრა: სირცხვილი არ არისო, რომ ამნაირს ცრუმორწმუნეებს უჯერებთო, გაგონდებათ ძველი მაჰმადიური რწმუნებაებიო და თავიანთ თავს ტყუილათ იღუპავთო, როდესაც სუყველაფერი ტყუვილიაო. შერცხვა ხალხს, მაგრამ რას იზამდნენ? ზოგიერთმა ჩაიბუტბუტა: „რუსები იყვნენ და იმიტომ სასწაული ვერ ქმნესო ჩვენ „მენცრებმაო“. უფროსმა შეკრა მაგრად ხალხის წინ ის ექვსი პირი და გაგზავნა ოჩამჩირის მაზრის უფროსთან; ზოგი ურემზე და ზოგი ფეხით გაათრიეს. ახლა ამბობენ, რომ ზოგი ამათგანი გამოუშვიათ, ზოგს, მგონი, ფიცხლად დასჯიან. /გაბისონია/. (დროება, N118, 1876 წელი);

დღიური

ფოთიდამ, სოხუმიდამ და, საზოგადოთ, ზღვის ნაპირ ალაგებიდან ამბავი მოგვდის, რომ ხალხი დახიზნებას აპირებსო; გადაწყვეტილი აქვთო, რომ ომიანობა უეჭველათ იქნებაო და თათარი ამ მხარეს მოაწყდებაო. განსაკუთრებით ჩერქეზების სტუმრობა აშინებს თურმე ხალხს. სოხუმის მაზრაში ავაზაკობა გახშირდაო ამავე ომის მოლოდინის მიზეზით. ქუთაისში ძალიან ბევრი გადმოსულან, როგორც გვწერენ, ფოთიდამ და სოხუმიდან; ამის გამო აქ ცხოვრება გაძვირებულა; ცარიელ სახლს ძნელათ თუ იპოვით ამჟამად ჩვენს ქალაქშიო. (დროება, N129, 1876 წელი);

1877 წელი

გაზეთი ,,დროება''

ბრძოლის ველიდამ. სოხუმი, 1 მაისს

მას შემდეგ, რაც გუდაუტს ზარბაზნები დაუშინეს და დასწვეს, მტერი გამოვიდა ხმელეთზე. გამოსული ჯარი შესდგება ორი ათასის კაცისაგან; ესენი არიან აქედამ გადასახლებულები (ჩერქეზები). ოსმალეთის ესკადრა ზღვის ნაპირთანა დგას მაიაკის პირ-და-პირ.

სოხუმი, 1 მაისს. გუშინღამ ოსმალოს ექვსი ხომალდიდამ სოფ. გუდაუტთან გადმოვიდა ხმელეთზე ჯარი (დესანტი). გუდაუტს ზარბაზნები დაუშინეს და დასწვეს. ესკადრა სოხუმისაკენ მოდის. (დროება, N49, 1877 წელი);

სოხუმის აღებაზედ

გაზეთებში დასახელებულია ის ხუთი მოთავე ჩერქეზებისა, რომელნიც, როგორც წასულ ნომერში იყო მოხსენებული, სტამბოლიდამ მოვიდნენ სოხუმს აქ დარჩენილ ჩერქეზებისა და აბხაზების ასაჯანყებელად და რომელთაც მართლაც შეასრულეს თავის განზრახვა; ესენი არიან: ჰაჯი ჰუსეინ, მანდიკამ ბეკათ, მანემინ, ჰაჯი ალი და მეჰმედ-ბეი. სოხუმის აღების თაობაზედვე ერთ ინგლისურს გაზეთში იწერებიან სტამბოლიდამ შემდეგ ამბავს: „აქაურები დიდ მნიშვნელობას აძლევენ სოხუმის დაჭერას; ოსმალოს მართებლობა დარწმუნებულია, რომ რაკი ერთს ალაგას ჩასდგეს კავკასიაში ფეხი, ახლა აქედამ მოახერხებს, რომ კავკასიის

ყველა მაჰმადიანებთან კავშირი იქონიონ და ააჯანყონ; იმედი აქვთ, რომ ჩეჩნები, ლეკები და კავკასიის თათრები ყველანი ადგებიან და მოსვენებას არ მისცემენ რუსეთის ჯარს. მაგრამ რაღა თქმა უნდა, რომ ეს იმედები იმათ ვერ შეუსრულდებათ...

„თვითონ სოხუმის მაზრაში კი ამ ჟამად, როგორც ეტყობა, ოსმალები ბატონობენ; სოხუმის მაზრაში ცალკე სანჯახი გაუკეთებიათ, ყველგან თავის კაცები დაუყენებიათ და მთელი ამ მაზრის უფროსად დანიშნულია ფ. აზლი-ფაშა, რომელიც ადრე სერბიაში იყო დივიზიის ღენერალად და რომელიც ახლა შუმლიდამ წავიდა სოხუმს. ეს ფ. აზლი-ფაშა, ამბობენ, ძალიან ენერგიული და მხნე კაცი არისო და, უეჭველია, ამას სოხუმის მაზრაში დიდი გავლენა ექნება.

„სოხუმისკენ ბათუმიდამ თითქმის ყოველ დღე თოფ-იარაღსა და სურსათს აგზავნიან. საზოგადოთ ამ მხრისაკენ ძალიან მარჯვეთ მიჰყავთ საქმე! მაგრამ ამათი უბედურება ეს არის, რომ ფულები აკლიათ. მეორე კორესპონდენტი ამავე საგანზე იწერება, რომ „ოსმალოებს სოხუმში იმდენი ჯარი ჰყავსთო, რომ თამამად შეუძლიანთ ამ ჯარით ქუთაისიდამ თბილისში წავიდნენ!“ ო-ჰო, ძალიან ჩქარა ფრქვავენ... თუ რამდენად აფასებენ ოსმალოები სოხუმის აღებას, დაინახავთ იქიდამ, რომ ოსმალეთის სასულიერო წოდების პირველ პირს შეიხ-ულ-ისლამს ამ სოხუმის აღებისათვის „ძლევა-მოსილის“ სახელი მიუნიჭებია სულთანის აბდულ-ჰამიდისათვის.

„კელნის გაზეთში“ იწერებიან სტამბოლიდამ: „ამ დღეებში გამოვიდა აქედამ ცხრა სამხედრო ხომალდი, რომლებზედაც 10,000 კაცი ისხდა და 45,000 ახალი სისტემის თოფები ეწყო. ამ ჯარში ბევრი ჩერქეზები ურევია. სულ ეს ჯარი პირ-და-პირ სოხუმისაკენ იგზავნება. ფ. აზლი ფაშა სოხუმის კორპუსის მთავარ-სარდლად არის დანიშნული. შამილის შვილი აჯანყებულ ჩერქეზების სარდლობას ჰკისრულობს. „ეს ჯარი, აქედამ წასვლის წინა დღეს - დახედა თვითონ ხონთქარმა და, სხვათაშორის, უთხრა, რომ „მე თქვენ გგზავნით კავკასიაშიო და იქაური თქვენი თანა-მოძმეების განთავისუფლება და შველა თქვენზედ არის დამოკიდებულიო“. (დროება, N55, 1877 წელი);

***

გუდაუთიდამ მოსულებმა გვითხრესო, სწერენ „თფ. მოამბეში“, რომ ოსმალოს ჯარი ისე მსწრაფლად და მოულოდნელად გამოვიდა ზღვიდამ ხმელეთზედო, რომ ვერაფრის წამოღება ვერ მოვასწრეთ და ჩვენც ძლივს მოვასწარით გამოქცევაო. (დროება, N58, 1877 წელი);

***

ერთის ნამეცურის გაზეთიდამ „მოსკოვის უწყებებში“ შემდეგი ამბავია გადმობეჭდილი: „იმ 8,000 ჩერქესს გარდა, რომელიც ტრაპიზონიდამ წავიდა ამას წინათ სოხუმისაკენ, ოსმალოს მართებლობამ კიდევ 14,000 კაცი თავის ზარბაზნებითა და 50,000 ახალი სისტემის თოფით გამოგზავნა სტამბოლიდამ. ერთი ნაწილი ამ ჯარისა აგრეთვე სოხუმთან უნდა გამოვიდეს ხმელეთზე და მეორე ანაპასთან. ზემოხსენებული 50,000 თოფი კავკასიის მაჰმადიანებისათვის დასარიგებლად იგზავნება“. (დროება, N59, 1877 წელი);

***

ოსმალოებისაგან სოხუმის აღების თაობაზე, ერთს რუსულ გაზეთში („ნაშ. ვეკ’’) დაბეჭდილია შემდეგი სტრიქონები: „ორი გარემოებაა გაუგებელი: ჩვენმა ჯარმა რომ ასე უეცრად მიატოვეს სოხუმი, იმიტომ აღსდგენ აქაური მთიულები (აფხაზები), თუ ჯარებმა იმიტომ მიატოვეს სოხუმის მაზრა, რომ თ. შარვაშიძეებმა უღალატეს რუსის ჯარსა და ააჯანყეს ადგილობრივი მცხოვრებლები? „ჩვენი ჰაზრი ეს არის, რომ ჯარი იძულებული იყო დაეთმო მტრისთვის სუხუმი და იმის მაზრა მხოლოთ იმის გამო, რომ თ. შარვაშიძემ ააჯანყა აბხაზები და გადაუდგა რუსის ჯარს“. (დროება, N59, 1877 წელი);

სოხუმის ატრიადიდამ

ღენერალის ალხაზოვის ტელეგრამმა: 2 ივნისს, დილის $8^1/_2$ საათზე, სოფ. ფლორს მოადგნენ ოსმალოს ხომალდები და სამჯერ ისროლეს ზარბაზნები; ამავე დროს მტრის ქვევითა და ცხენოსანმა ჯარმა მოაშურა ჩვენი ჯარისკენ, რომელიც იდგა ფოქვეშასა და ფლორს. (მდ. გალიზგის მარცხენა ნაპირზე). სამი ხომალდიდან ფლორისაკენ გაცხარებული სროლა იყო და თან უნდოდათ ხმელეთზე გამოსვლა. ოთხი საათის განმავლობაში ჩვენ გაუმაგრდით მტრის ხომალდებიდამ და ქვევითა ჯარის საშინელ სროლასა და იმათ იერიშს, და ბოლოს ყველა მხრით უკუ-ვაქციეთ მტერი და ბევრი ზარალიც მივეცით. ამ საქმეში არტილერია ძალიან დაგვეხმარა. ჩვენი ჯარები ახლა იმავე ალაგას არიან დაბანაკებულნი, სადაც ადრე იყვნენ. ჩვენი მხრით მოკლულია 4 სალდათი და 1 მილიციონერი, დაჭრილი არიან 24 სალდათი და მილიციონერი და 1 აფიცერი (დობროვოლსკი - მძიმედ). (დროება, N64, 1877 წელი);

***

სოხუმის ოსმალო ჯარის სარდალის ფაზლი ფაშის განკარგულებით, ტელეგრაფი გაუმართავთ, რომელიც ოსმალოებისგან კავკასიაში დაჭერილ ყველა ალაგებს აერთებს ერთმანეთთან. (დროება, N64, 1877 წელი);

***

ჩვენს ოფიციალურს „კავკაზში“ ასე არის აწერილი პოდპოლკოვნიკის თ. ს. მიქელაძის სიკვდილის ამბავი: „ქუთაისის აზნაურობის დრუჟინას ჯერ მტერთან შეტაკება არა ჰქონია. 8 მაისს, კოდორთან, როდესაც თ. მიქელაძე მოჰკლეს, ჩვენის მხრით 120 კაცი იყო ქუთაისის ქვევითა დრუჟინისა; ყველას ახალი მსწრაფლ-მსროლელი თოფები ჰქონდათ.

„ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთო, ამბობს „კავკაზი“, რომ მთავრობამ განკარგულება მოახდინაო და ქუთაისის გუბერნიისა და სამურზაყანოს ყველა მილიციონერებს მალე დაურიგებენ იმ ახალ თოფებს, რომელიც ოსმალოებისათვის წაურთმევიათ. „მხნე პოდპოლკოვნიკი თ. მიქელაძე ღალატით მოჰკლეს. ეს საქმე აი როგორ მოხდა: თ. მიქელაძე თავის დრუჟინითა და 100 ყაზახი-რუსით გაგზავნილი იყო იმისთვის, რომ გზა შეეკრა აჯანყებულ აბხაზებისათვის, რომელნიც მდ. კოდორის მარცხენა მხარეზე გადმოსვლას აპირებდნენ. იმან ჩინებულად შეასრულა თავისი მინდობილობა, დაამარცხა მტერი, დააწევინა იმას უკან კოდორის მარჯვენა ნაპირზე, დაუწვა ფილუკები, რომლითაც უნდა გადმოსულიყვნენ წყალზე და დაბრუნდა უკან ღენერალ ალხაზოვის ბანაკში, რომელიც იმყოფებოდა სოფ. ათარაში. (ამ შეტაკების დროს ჩვენებმა მოჰკლეს აბხაზების მოთავე ედირბეი ცამბაი და რამდენიმე გამოჩენილი აბხაზი). ამ დროს სრულიად მოულოდნელად უკანიდან დაეცა თ. მიქელაძეს მტრის ჯარი, რომელიც გამოსულიყო ჩვენგან დამორჩილებულს სოფელს აბჟაზე და რომელსაც ამ სოფლის მცხოვრებლებიც მოხმარებოდნენ.

„ამ უეცრად თავს-დასხმამ და უფროსის მოკვლამ გადაწყვიტა საქმე; ბრძოლა ნახევარ საათის განმავლობაში იყო. „ცოტა ხანს შემდეგ ათარიდან მოვიდა მისაშველებელად ღენერალი ალხაზოვი ორის როტით, მაგრამ გვიან-ღა იყო: აბხაზები გაქცეული იყვნენ. „ღალატით აიხსნება აგრეთვე სოხუმის ასე მოულოდნელი საქმეები. არც ადგილობრივი და არც უმაღლესი მთავრობა არ ეჭვნეულებდნენ აბხაზების ერთგულებაში. ყველა ღონის-ძიებას გარეშე მტრის საწინააღმდეგოთ ხმარობდნენ და არა შინაგანისა; და ეს ღონის-ძიება საკმაო არ შეიქმნა, რასაკვირველია, ამთავე მტრის საწინააღმდეგოთ.“ (დროება, N64, 1877 წელი);

***

ამავე გაზეთში იწერებიან შემდეგს ამბავს სუხუმიდამ: „მე მეგონა, რომ ოსმალოები ძალიან წინ მიდიოდნენ კავკაზიაში, მაგრამ ნამდვილათ გამოჩნდა, რომ ჯერ ფოთში არ მისულან. აქ ჰყავთ იმათ 22 ათასამდინ კაცი აჯანყებულებით. „19 მაისს რუსებმა დაიჭირეს სოხუმიდან

50 ვერსტზე სამხრეთისაკენ სიმაღლეები. ოსმალოს ჯარი შესდგებოდა 1,000 ჩერქეზისგან 4 ბატალიონი ჯარისგან. მათ მმართველათ იყო შაქირ-ფაშა. შეეტაკნენ რუსებს და, 5 საათის განმავლობაში ფიცხელი ბრძოლის შემდეგ, რუსებმა მიატოვეს თავიანთ ბანაკი, გადასწვეს რაც სარჩო ჰქონდათ, რომ მტერს არ დარჩენოდა. ბრძოლის ველზე დასტოვეს 18 მკვდარი ყაზახი და ბევრი დაჭრილი ასე, რომ ველი მოფენილი იყო მტრის დაჭრილებით. ჩერქეზებს კი ბევრი არ დააკლდათ. ბეკირ-ბეი, სტამბოლიდამ მოსულის ჯარის უფროსი, დაჭრილია.“ (დროება, N65, 1877 წელი);

***

ტელეგრაფის დეპარტამენტი აცხადებს, რომ ზუგდიდიდამ ოქუმამდინ (სოხუმის მაზრაში) ტელეგრაფის მავთული არის გაყვანილიო და დღეის შემდეგ ამ ორ დაბას შუა დეპეშების გაგზავნ-გამოგზავნა შეიძლებაო. (დროება, N65, 1877 წელი);

***

ერთს ფრანცუზულ გაზეთში მოყვანილია სოხუმიდამ შემდეგი ამბავი: „ოსმალოები ყოველ დღე მრავლდებიან სოხუმში; საცა არ მიდიან აქა-იქ ადგილებში, მცხოვრებლები ყველგან კარგათ იღებენ და ამბობენ, რომ იმათ ომში სიკვდილი ურჩევნიათ, ვიდრემც რუსების ქვეშ დარჩენა.“ (დროება, N72, 1877 წელი);

***

ვენის გაზეთს „Presse”-ში იწერებიან, რომ სოხუმის ახლად-დანიშნულმა კამენდატმა შთამომავლობით აბხაზმა - ნუზრიფ- ფაშამ გამოცხადება გამოსცაო, რომლითაც ყველა თავის მემამულეებს მიმართავს და მოიწვევსო, რომ გადმოსახლდით ისევ სოხუმს, რომელიც რუსებს წავართვითო. (დროება, N76, 1877 წელი);

***

ამას წინათ იწერებოდნენ, რომ შამილის შვილი აფხაზეთში გამოვიდა და განზრახვა აქვსო, რომ აქედამ მთებზე გადავიდეს და იქაური მთიულები ააჯანყოსო. მაგრამ ახლა ერთს რუსულ გაზეთში დაბეჭდილი დეპეშა გვატყობინებს, რომ შამილის შვილი მცირე აზიის ოსმალოს ჯარში იმყოფებაო. (დროება, N83, 1877 წელი);

***

პეტერბურღის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეეგი ტელეგრამმა რუსეთის სამხედრო მინისტრისაგან გადაცემული: „ზიმნიცა, 20 ივნისს, კავკასიის არმიის მთავარ-სარდლისგან მოვიდა აქ დეპეშა, რომ რადგან დერვიშ-ფაშას დიდძალი ახალი ჯარები მოუვიდა ბათუმში, ამის გამო ღენერალმა ოკლობჟიომ განკარგულება მოახდინა, რომ უფრო მოხერხებულს და გამაგრებულს ალაგას დაბანაკებულიყო რიონის ატრიადით; ამ განზრახვით 12 ივნისს რომ ოსმალოები (ციხის-ძირიდამ) დაეცნენ ჩვენ ჯარებს, მას შემდეგ ღენერალმა ოკლობჟიომ მუხა-ესტატეში დასწია თავის ატრიადი და აქ გამაგრდა.“ „აბხაზეთში ღენერალი ალხაზოვი 15 ივნისს დაეცა მტერს ოჩამჩირესთან და ბევრი ზიანი მისცა. მტრის ჯარი გაწვრთნილი ჯარისგან იყო შემდგარი, ბევრი ეგვიპტელები ერიენ, არტილერიაც საკმაოთ ჰქონდათ. თუმცა ორის მხრით შეჰქმნა სროლა - ხმელეთიდამ და ზღვიდამ (ცხრა ხომალდის ზარბაზნებიდამ), მაგრამ ჩვენის მხრით 250 კაცზე მეტი არ არის მოკლული და დაჭრილი. (დროება, N83, 1877 წელი);

***

სოხუმის ციხის ოსმალოს კამენდანტს მიუწერია სტამბოლს, რომ ივნისის 15-ს ოჩამჩირეში დაბანაკებულ ჩვენ ჯარს 15,000 რუსის ჯარი დაეცაო, მთელი დღის განმავლობაში გაცხარებული ბრძოლა იყოვო და ბოლოს ჩვენ უკუვაქციეთ რუსებიო (?). (დროება, N85, 1877 წელი);

ბრძოლის ველიდამ. ოქუმი, 1 ივლისს

ღენერალი ალხაზოვი ორის კალონით გადავიდა მდ. გალიზგაზედ და, თუმცა მტერი აქ გამაგრებული იყო, მაგრამ ჩვენმა ჯარმა განდევნა ის მოქვის იქით. ჩვენი ჯარის ერთმა კალონამ დაიჭირა გალიზგას მარჯვენა მხრივ გუმის მთა და აქ დაბანაკდა. ჩვენის მხრით მოკლულია 1 და დაჭრილია 3. (დროება, N89, 1877 წელი);

აზიის ბრძოლის ველიდამ

ლონდონის გაზეთ „Daily Telegraph"-ში დეპეშაა დაბეჭდილი იმ შეტაკების თაობაზე, რომელიც რუსისა და ოსმალოს ჯარს შუა მომხდარა 15 ივნისს ოჩამჩირესთან: „ოჩამჩირე, 16 ივნისს. გუშინ დილით აქ დაიწყო გაცხარებული ბრძოლა. რუსები რამდონჯერმე დაეცნენ ამ პატარა ქალაქში დაბანაკებულ ოსმალოს ჯარსა. თუმცა ოსმალოები სრულებით არ მოელოდნენ ამ თავს-დასხმას, მაგრამ მაინც მარჯვედ დახვდნენ მტერს; განსაკუთრებული მხნეობა გამოიჩინა იმ ჩერქესის ვოლონტერების პოლკმა, რომელიც ხონთქარმა თავის ხარჯით გამოგზავნა აქეთკენ. უეჭველია, რომ ოსმალოები დამარცხებული იქნებოდნენ, რადგან რუსების მხრით ერთი-ორად მომეტებული იყვნენ რიცხვით, მაგრამ ამ დროს გამოჩნდა ზღვაში ოსმალოს ხომალდები და იმათ ზარბაზნების ყუმბარებმა უკუ-აქცია რუსის ჯარი. ოსმალოს მხრით 500 კაცია დაჭრილი და მოკლული, რუსებისკენ კი ერთი-ორად მაინც იქნება." (დროება, N89, 1877 წელი);

***

ერთს რუსულ გაზეთში („Новое Время") დაბეჭდილია ყუბანის მაზრიდან მიღებული შემდეგი კორრესპონდენცია: „ამ ივნისის პირველ რიცხვებში აქეთკენ, მაიკოპის უეზდში, შავი ზღვის ნაპირებზე გაგრასა და სოჩას შუა დასახლებული რამდენიმე ასი ოჯახი გადმოესახლა. ამ გადმოსახლების მიზეზი ის იყო, რომ ამათ შეეშინდათ ადლერთან გამოსულის ოსმალოებისა და სოხუმში გამოსულის აბხაზებისა. ამ მთის 3-ს რამდენიმე ჩერქესი ნახეს აქ მთებში, ბელირეჩენსკის ხევთან დაბანაკებულიყვნენ თავიანთ ცხვრის ფარებით; ასი ყაზახი რუსი დაედევნა ამ ჩერქეზებს და 6 იმათგანი დაიარაღებულები დაიჭირეს და წაართვეს ცხვრის ფარები.

„როცა ოსმალოებმა სოჩას ზარბაზნები დაუშინეს და ადლერთან გამოვიდნენ ხმელეთზე, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დამალეს ტყეებში რაც რამ ნივთები გააჩნდათ და თვითონ კი კავკასიის მთებისაკენ გამოიქცნენ. თვითონ ეს გამოქცეული მცხოვრებლები უყურებდნენ თურმე გორებიდან, როცა ზღვიდამ გამოსული ოსმალოები მოედვნენ მიტოვებულ სოფლებსა და გამოჰქონდათ იქიდან რაც კი რამ საჭმელ-სასმელი ანუ საჭირო ნივთი დაეტოვებიათ. „მომეტებული ნაწილი ამ გამოქცეულებისა არიან: რუსები, ბერძნები და ბოლგარიელები." (დროება, N89, 1877 წელი);

ბრძოლის ველიდამ. ოქუმი, 4 ივლისს

გუშინ ღენერალმა ალხაზოვმა გაიარა კადორის უჩასტკა; ჩვენმა ჯარმა გადაიარა თხინისა და ჩილოვის მთები მდ. ომაქარამდინ და შემდეგ მოკვით უკანვე დაბრუნდა; ამ ადგილებიდამ სულ გაფანტა მტერი. თუმცა მტრის ჯარი ძალიან გამაგრებულია და კარგს ადგილებზედ დგას, მაგრამ ყველგან დავამარცხეთ ისინი და ბევრი ზიანიც მივეცით. ჩვენის მხრით 1 სალდათი მოკლულია და 3 დაჭრილი. (დროება, N92, 1877 წელი);

ოქუმი. 5 ივლისს

მდ. მოკვის ზემო მხარე ჩვენი ჯარისაგან არის დაჭერილი. ოჩამჩირეში განსაკუთრებული მოძრაობაა ოსმალოს ხომალდებისა; ამ დღეებში ოთხი ახალი ხომალდი მოვიდა აქ. (დროება, N92, 1877 წელი);

ოქუმი, 8 ივლისს

იმ განზრახვით, რომ მდ. გალიზგის მარჯვენა მხრით ჩვენი ჯარები შეაჩეროს, მტერი თავს დაგვესხა დღეს ილორის მარჯვნივ. ოსმალოს სამი ხომალდი მოგვადგა ახლოს და დაგვიწყეს ყუმბარების დაშენა; მაგრამ ჩვენმა ბატარეიებმა უკუ-აქციეს ისინი. ამ დროსვე მინდვრის ბატარეებიდამაც დაგვიწყეს სროლა; მაგრამ აქაც ჩვენმა არტილერიამ დაახევინა იმათ უკან; ამის შემდეგ ოსმალოს ჯარი ოჩამჩირეში დაბრუნდა. (დროება, N93, 1877 წელი);

ოქუმი, 10 ივლისს

დღეს, გაცხარებული ბრძოლის შემდეგ, ჩვენმა ჯარმა დაიჭირა მტრისგან გამაგრებული სოფ. მერკულკი. მტერმა დასტოვა ბრძოლის ველზე 48 გვამი, ბევრი თოფები, ცხენები და სურსათი. ჩვენის მხრით მოკლულია 2, დაჭრილი 1 მილიციის აფიცერი და 2 სალდათი. (დროება, N94, 1877 წელი);

***

ამავე გაზეთში ოჩამჩირიდან იწერებიან, რომ როცა რუსის ჯარი ამ ქალაქს დაეცა, იმათ თავიანთი ზარბაზნები პირ-და-პირ ჩვენ ღოშპიტალს დაუმიზნესო და იმაში რამდენიმე ავათმყოფი და დაჭრილი მოკლესო. (დროება, N94, 1877 წელი);

***

ინგლისურს გაზეთს "Morning Post"-ს შემდეგი დეპეშა მოსვლია პეტერბურგიდამ: „აქაური რუსები ძალიან გააჯავრა იმ გარემოებამ, რომ რუსის ჯარი იძულებული შეიქმნა ისევ ოსმალოებისათვის დაეთმო ოსმალოს სომხეთი. ისინი თხოულობენ, რომ ღენ. ლორის-მელიქოვი გამოსცვალოს მთავრობამ და მის ადგილზე დანიშნონ რუსი ღენ. ჩერნიაევი. აქ იმედი აქვთ, რომ როგორც ახალი ჯარი მოემატება ალექსანდრაპოლის კორპუსს, რუსები ისევ ხელ-ახლად დაიპყრობენ სომხეთს. ამ თავით ყველაზე საჭირო აქეთკენ ის არისო, ამბობენ რუსები, რომ ჩვენმა კავკასიის არმიამ დაამშვიდობოს, დაიმორჩილოს აჯანყებული აბხაზები და მერე ბათუმი აიღოს." (დროება, N97, 1877 წელი);

***

აბხაზელი კორრესპონდენტი რუსული გაზეთის „Голосъ"-სა, სხვათა შორის, შემდეგ ამბავს იწერება, ივნისის 25-ს, აბხაზების აჯანყებასა და ოსმალოებისგან სოხუმის აღებაზედ: „უეჭველია, რომ სოხუმის სამხედრო მაზრის უფროსი ღენერალი კრავჩენკო წინ-დახედულათ და თავიანათ არ მოიქცა ამ ომის დროს. აქ ორი-სამი თვის წინათ, ომის გამოცხადებამდინ, ლაპარაკობდნენ, რომ რუსეთსა და ოსმალეთს შუა შეტაკება მოხდა, აბხაზები აჯანყდებიანო და ოსმალეთისაკენ გადავლენო. ამისთანა ხმაც რომ არ ყოფილიყო, ძნელი არ იყო წინათვე მოსაზრება, რომ ეს თითქმის ბარბაროსი ხალხი თავის თანა-მორწმუნე ოსმალოებს მხარს მისცემდა. მართალია, ქრისტიანები, ახალ მონათლულები ამათშიაც ურევია; მაგრამ ამათ ქრისტიანობის არა მოსცხებიათ-რა, ისევ იგივე მაჰმადიანები არიან და თითქმის ყველა ყორანის წესს ასრულებს. „ახლა, როცა ამ გვარის წინ-დაუხედაობის გამო, ჩვენი ჯარი იძულებული იყო სოხუმი დაეთმო და როცა ოსმალოები და ჩერქეზები გამოვიდნენ

ხმელეთზე, სოხუმის უკან წართმევა და აბხაზების დამშვიდება ძალიან ძნელია, რადგან ოსმალოებმა საგანგებოდ გაამაგრეს სოხუმი ბათუმიდან მოტანილის ზარბაზნებითა და ციხეებით; აბხაზებს ისეთი ალაგები უჭირავთ, რომ ჩვენი ჯარი იმათ ვერ მიუდგება და ძნელად თუ დაიმორჩილებს.“ (დროება, N97, 1877 წელი);

ოქუმი, 15 ივლისს

გუშინ ღენერალ ალხაზოვის მარჯვენა მხრის კალონას, მდინარე მოკვის სათავესთან, მცირეოდენი შეტაკება ჰქონდა მტერთან. ამ შეტაკებაში დაგვიჭრეს პრაპორჩიკი თ. დადიანი და ორი კაცი. ამ თვის 15-ს დიდ-ძალი ჯარი მტრისა მოადგა კიდევ ჩვენი ჯარის მარჯვენა კალონას; მაგრამ, ხუთი საათის განმავლობაში გაცხარებული სროლის შემდეგ, მტერი უკუვაქციეთ და ჩვენი ცხენოსანი ჯარი გაედევნა იმას. ჩვენის მხრით მოკლულია 7 და დაჭრილი არიან 28. (დროება, N102, 1877 წელი);

ოქუმი, 19 ივლისს

ღენერალ ალხაზოვის ჯარის მარჯვენა კალონამ გამარჯვებით გადაიარა ჯგერთა, თუმცა ეს ადგილები მტერს ძალიან გამაგრებული ჰქონდა. მტერი დავამარცხეთ და კოდორის იქით განვდევნეთ. ამ გამარჯვების წყალობით, ხმელეთზე გამოსული ოსმალოს ჯარი აჯანყებულ აბხაზებისგან განცალკევებული შეიქნენ. ჩვენი ცხენოსანი ჯარი მდ. მოკვის ნაპირით თითქმის ზღვის ნაპირამდინ მიდის. ჩვენის მხრით მოკლულია - 1, დაჭრილია- 14.

ოქუმი, 19 ივლისს. ოჩამჩირეში მოვიდა ორი ხომალდი ოსმალებისა, ერთი ცეცხლის გემი რამდენიმე დიდი ნავით და ამას გარდა ორი ჯავშნიანი ხომალდი, ერთს ამათგანზე ადმირალის ფლაგია (დროშა).

ოქუმი, 20 ივლისს. რადგან ღენ. ალხაზოვის ჯარმა სოფ. მერკულოკი დაიჭირა და ჯგერთისაკენაცა გაიწია, ამის გამო ოსმალოებმა მიატოვეს ოჩამჩირე, რომელიც ჩვენმა ჯარმა უკვე დაიჭირა. კოდორის მაზრა ამ ჟამად ჩვენს ხელშია. (დროება, N103, 1877 წელი);

***

გენ. ალხაზოვის ატრიატიდამ მოსულმა კაცმა გვიამბო, რომ თათრებს ისე არ აუოხრებიათ და გადაუწვიათ სოხუმიო, როგორც ამას გაზეთებში იწერებოდნენო. ეს ამბავი სოხუმის მცხოვრებლებისა და ვაჭრებისთვის გასახარებელი უნდა იყოს, რადგან როგორც ჩვენს გაზეთში იყო ამა წინეთ მოხსენებული თათრები სოხუმის ქალაქის და მთელი მაზრის მიტოვებას აპირებენო. (დროება, N115, 1877 წელი);

***

ოქუმიდან სწერენ 1 აგვისტოს „გირშის სააგენტოს“: გენ. ოგლობჟიოს მალე ინგურის ატრიადში მოელიან. ეს ატრიადი მერკულანკში არის დაბანაკებული. ოსმალოები აფხაზების ჯარებს ბათუმში აგზავნიან და იმათ მაგიერ, დერვიშ-ფაშის წინამძღოლობით, აქეთკენ რეგულიარულს ჯარებს აგზავნიანო. (დროება, N121, 1877 წელი);

ოქუმი, 18 აგვისტოს

ჩვენი ჯარი თან-და-თან იწევს სოხუმისკენ. ღენერალი ალხაზოვის კალონა 16-ს კელარუსზე გადავიდა, იმის მოწინავე ჯარი აბჟაგვაშია. მდ. მარუხიდან მომავალი ღენერალი ბაბიჩის ჯარი

მოვიდა 12-ს წებელდას და აქედამ გუმს გაემგზავრა. მტერს მოუვიდა ახალი ჯარი ბათუმიდამ და გამაგრდა სოხუმის გარშემო მთებზე. (დროება, N126, 1877 წელი);

აზიის ბრძოლის ველიდამ

ჩვენ მივიღეთ შემდეგი ამბავი ოქუმიდამ: ჩვენი ინგურის (სოხუმის) ატრიადი სამი მხრით აწვება სოხუმში დარჩენილ ოსმალოს გარნიზონს: ჩრდილოეთით მოადგა ღენ. ბაბიჩი, ნოვოროსიის მხრით პალკოვნიკი შოლკოვნიკოვი და ოჩამჩირედამ ღენერალი ალხაზოვი. „მომეტებული ნაწილი ოსმალოს ჯარებისა და აგრეთვე ბევრი აბხაზები ოსმალოს ხომალდებით გაიყვანეს სოხუმიდამ და, როგორც ისმის, ტრაპიზონისაკენ წაიყვანეს. „აქ დარწმუნებით ამბობენ, რომ ოსმალოებმა პლანი გამოსცვალესო და დღეს თუ ხვალ სოხუმს სრულიად დატოვებენო. მაგრამ ჩვენ არა გვაქვს იმედი, რომ სისხლ დაუღვრელად დასტოვონ იმათ ეს ქალაქი.“ რუსის პარახოდის „კოსტანტინესაგან“ ოსმალოს ჯავშნიანი ხომალდის აფეთქებაზედ ჩვენი კორრესპონდენტი იწერება, რომ, მართალია „კოსტანტინეს“ ლაღმის მატარებელი ოთხი ნავი მიეპარა ოსმალოს ჯავშნიან ხომალდს და ლაღმები აფეთქდა; მაგრამ ავნო ამან რაიმე ოსმალოს ხომალდსა, თუ არა, ამაზე ჩვენ არავითარი ნამდვილი ცნობა არა გვაქვს მიღებულიო. (დროება, N126, 1877 წელი);

***

აფხაზების აჯანყებულების თაობაზედ ნემეცურს „Politiche Correspondenz”- ში იწერებიან 5 აგვისტოს: „აფხაზების აჯანყება თან-დი-თან ისპობა. ამბობენ, რომ ამ გარემოების მიზეზი ერთის მხრით ის არისო, რომ ოსმალოებმა მიატოვეს სოხუმი, რადგან აქედამ არაფერ სარგებლობას არ გამოელიან და მეორეს მხრით ის, რომ ღენერალ ალხაზოვს დიდ-ძალი ახალი ჯარი მოუვიდა სოხუმის ასაღებად. ფაზლი-ფაშას, სოხუმის ოსმალოს ჯარის უფროსს, ამჟამად სხვა დანიშნულება მისცეს და დუნაის არმიაში გაგზავნეს. „ამას წინათ ბათუმის ატრიადის უფროსი ხუც-უბნიდან წასულა ხომალდით სოხუმს და იქაურ ჯარის მოთავეებთან ერთად მოლაპარაკებით გადაუწყვეტიათ, რომ სოხუმი მიატოვონ.“ (დროება, N126, 1877 წელი);

***

პეტერბურგის გაზეთებში დაბეჭდილი ტელეგრამმა ამბობს, რომ სოხუმთან რომ ჩვენმა ლაღმიან ნავებმა (კატერებმა) ოსმალოს ჯავშნიან ხომალდს ლაღმები მისცეს, ამ ლაღმებით ის ხომალდი დაღუპული უნდა იყოსო, ნამდვილად ჯერ არა იციან-რაო. (დროება, N127, 1877 წელი);

***

„თფილისის მოამბეში“ დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა სოხუმის აღების თაობაზე: „სოხუმი, 20 აგვისტოს. დღეს დილის 6 საათზე პოლკოვნიკის შოლკოვნიკოვის ატრიადმა და მერე ჟარუხისამ დაიჭირეს სოხუმის გარშემო მთები და შემდეგ თვითონ სოხუმიც. ამ დროს ოსმალოები 8 ჯავშნიან ხომალდებიდამ, რომლებზედაც ოსმალოს ჯარი სხდებოდა, გვესროდნენ ზარბაზნებს, მაგრამ ვერა გვაზარალეს, მხოლოდ ერთი ქვევითი ყაზახი-რუსი დაგვიჭირეს: „ჩვენი ჯარები ზღვის ნაპირს ვერ მიუახლოვდნენ, რადგან პოლკ. შოლკოვნიკოვს მიღებული ჰქონდა ნამდვილი ცნობა, რომ იქ ლაღმები არის ოსმალოებისგან გაკეთებულიო. „ქალაქი სრულიად გადამწვარია. ბოტანიკური ბაღი, აგრეთვე სხვა ბაღები და ხეები გადამწვარი და აჭრილია. მოკლული საქონელი ათიათობით ჰყრია ქუჩებში და ჰაერს აფუჭებს. მაიაკი გაფუჭებულია, იმის გარშემო შენობა აგრეთვე დაუწვავთ. ქალაქში ბევრი ცოცხალი საქონელიც დასტოვეს ოსმალოებმა. (დროება, N129, 1877 წელი);

***

სტამბოლიდამ მოვიდა ამბავი, რომ სოხუმიდამ გამოსულ ოსმალოს ჯარებს 3,000 დარჩენილი აფხაზის ოჯახი გადაუყვანიათ ხომალდებითა ოსმალეთის სხვა-და-სხვა ქალაქში. (დროება, N135, 1877 წელი);

***

ჩვენის მხრიდამ ოსმალეთში აფხაზების გადასახლების თაობაზე აი რას იწერებიან ტრაპიზონიდამ ვენის გაზეთს „Politiche Correspondenz"-ში: „გობარტ-ფაშა იყო გაგზავნილი სოხუმში იქაურ ჯარებისა და აფხაზის ხალხის გადასაყვანად. მივიდა თუ არა ხომალდებით სოხუმში ეს ადმირალი, აფხაზებმა გაუგზავნეს იმას დეპუტაცია და სთხოვეს, რომ ჩვენ აქ დარჩენა აღარ შეგვიძლიან და გთხოვთ, სანამ ჯარს წაიყვანდეთ აქედამ, ოსმალეთში გადაგვიყვანეთო. გობარტ-ფაშამ სტამბოლში მიიწერა ამის თაობაზე დეპეშა და როცა თანხმობა მოუვიდა, იმწამსვე შეუდგა ამ საქმეს. „მაგრამ, სანამ თავის ქვეყანას მიატოვებდნენ აფხაზები, იმათ გადასწვეს მთელი სოფლები და ყველაფერი, რისიც წამოღება ვერ შეძლეს. „აფხაზეთში სულ 70,000 სული ცხოვრობდა; ამათში 40,000 სოხუმს მოვიდა; რამდენიმე ათასი თავი საქონელი მოიყვანეს თან.

„უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში (3 აგვისტოდამ 13-მდინ) 12,000 სული, მომეტებული ნაწილი ქალები და ყმაწვილები, მარტო ტრაპიზონში გამოიყვანეს. „უეჭველია, რომ ამდენი ხალხის დასახლება ზღვის ნაპირზე გაუძნელდება ოსმალეთის მთავრობას. მაგრამ ამ საქმეში ხალხი დიდ შემწეობას აძლევს გადმოსახლებულებს. თვითონ აფხაზები, როგორც ეტყობა, სრულებით არ ნანობენ თავიანთ ქვეყნის მიტოვებას ისინი კმაყოფილნი არიან, რომ მშვიდობით და უვნებლად გამოასწრეს რუსების სოხუმში მისვლას." (დროება, N138, 1877 წელი);

***

„გაზეთს „გირშის სააგენტოში", რომელიც ხანდისხან ცრუ ამბებსაც იწერება, დაბეჭდილია ოქუმიდამ 26 ენკენისთვეს მიღებული შემდეგი დეპეშა: „ოსმალოს ჯარებმა, რომელნიც სოხუმიდამ გავიდნენ, 300 ახალგაზდა აფხაზის ქალი წაიყვანეს თან სტამბოლის ჰარემებისათვის. ამას გარდა იმათ წაიღეს ხომალდებით დიდ-ძალი სიმინდი და წაასხეს აგრეთვე უანგარიშო საქონელი - ხარ-კამბეჩი და ცხენები."

მეორე ნამეცური გაზეთი „Tagblatt" გვაცნობებდა, რომ ოსმალოს ჯარმა, რადგან რუსები უახლოვდებოდნენ სოხუმს, ამის გამო ჯერ მოხუცებულები, დედაკაცები და ყმაწვილები ჩასვეს ხომალდებში და ტრაპიზონისკენ გაისტუმრესო და მერე კაცებიო. „ზოგიერთ გაზეთებში იწერებიან, ამბობს ამ გაზეთის ტრაპიზონელი კორრესპონდენტი, ვითომც ძალათ ჩასვეს სოხუმში ოსმალოებმა აფხაზები და ისე წამოიყვანესო; მაგრამ მე შემიძლია დაგარწმუნოთო, რომ ძალდატანებით იმათ არცერთი აფხაზი არ წამოუყვანიათ, თვითონვე სთხოვეს, რადგან რუსების დაბრუნების ეშინოდათ." (დროება, N140, 1877 წელი);

***

სოხუმის სამხედრო მაზრის უფროსად ღენერალ-მაიორი შოლკოვნიკოვი დანიშნეს. (დროება, N141, 1877 წელი);

***

გაზეთს „კავკაზს" მოუვიდა ერთი ეგზემპლიარი სოხუმში მყოფი ოსმალოს ჯარის უფროსის შევქეთ-ფაშის პროკლამაციისა, რომელიც ამას ერთს სახლზე აუკრავს, როცა სოხუმიდამ გასულა: „ძლიერმა ღმერთმა გამომგზავნა მე თქვენ, ბარბაროსების (ე.ი. რუსების) დასასჯელად. ტყვილად განიზრახეთ თქვენ ჩემი პატიოსანი სახელის გაჭუჭყიანება. მე შემეძლო უფრო დამესაჯეთ თქვენ, მაგრამ, ღვთით, ჩვენ გავათავეთ ჩვენი წადილი,

გადაგვყავს აქედამ აფხაზები და მივდივართ. თქვენ შეგიძლიათ ბედნიერად ჩათვალოთ თქვენი თავი, რომ კიდევ ადვილად გადარჩით იმ ბარბაროსობისათვის, რომელიც აქ ჩაიდინეთ; მაგრამ ასე ადვილად ვერ გადაგვირჩებიან თქვენი თანამოძმენი, რომელნიც ბალკანის ნახევარ კუნძულზე დასეირნობენ. „აი, ახლა მივდივარ მე იქ, ბალკანზე, და თქვენ მაგიერ იმათგან ამოვიგებ ჩემი მოძმეების სისხლს. იმედი მაქვს, შევხდები ბრძოლის ველზე და მხნეთაც შევებმები თქვენს დიდ მთავარს, რომელიც წინდაუხედავათ მირბის და თავის ჯარს ყმაწვილებისა და ქალების წვალების ნებას აძლევს, გვინგრევს ჩვენ მეჩითებს, სახლებს და ქალაქებს. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ გამარჯვებულები ჩვენ დავრჩებით, რადგან ჩვენა ვართ მართალნი და პატიოსანნი.“ /ღენერალი შევქეთ-ფაშა/. (დროება, N142, 1877 წელი);

***

ამავე გაზეთის კორრესპონდენტი ასე აგვიწერს ოსმალოს ჯარისგან დატოვებულ სოხუმს: „როგორც მოგეხსენებათ, 20 აგვისტოს სულ გაელაგნენ ოსმალოები სოხუმიდამ. საცოდაობაა ახლა ამ ქალაქის ნახვა. მთელი ეს ქალაქი წარმოადგენს ცეცხლისაგან დარჩენილ ნანგრევს; ყველგან ცარიელი ბუხრები და კედლები დარჩენილან; მხოლოთ სამი სახლი გადარჩენია ცეცხლს, რომელიც წასვლის წინათ წაუკიდეს ოსმალოებმა. მაიაკი გაფუჭებულია; ჩინებული ბოტანიკური ბაღი, რომელშიაც ძვირფასი, ტროპიკული მცენარეები იზრდებოდნენ, სულ განადგურებული და აჭრილია. ალაგ-ალაგ დახოცილი და დამახინჯებული კაცები ეყარნენ. „ჩვენ დაგვრჩა 50,000 თავი საქონელი, რომლის განაწილებამ ჩვენს ჯარში დიდი აყალ-მაყალი და უსიამოვნება ასტეხა; მაგრამ ბოლოს მორიგდნენ, უმფროსებს საუფროსო ერგოთ... „ამ ჟამად აფხაზეთში 8,000 კაცი გვყავს, ღენ. მაიორის შოლკოვნიკოვის წინამძღოლობით. საზამთოთ ვემზადებით. ჩვენი სურსათი და ღოშპიტლები ოქუმშია და მოქვისა და დრანდის მონასტრებში. „უეჭველია, რომ ყურადღების ღირსი აქეთკენ არა მოხდება-რა; მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ოსმალოები კიდევ გვეწვევიან და ზღვიდამ ზარბაზნების სროლას არ მოგვაკლებენ.“ (დროება, N155, 1877 წელი);

***

ვენის გაზეთის „Politiche Correspondenz”-ში მოყვანილია შემდეგი ცნობები სოხუმიდამ გადასახლებულ აფხაზებზე: „ოსმალეთის მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ აფხაზები მაკედონიაში და არხიპელაგის კუნძულებზე დაასახლოს. რამდენიმე ხომალდით გამოიყვანეს უკვე ისინი სტამბოლიდამ და სალონიკში და ხმელთა-შუა ზღვის კუნძულებზე გაგზავნეს. „რამდენიმე ოჯახმა, რომელნიც ტრაპიზონში იყვნენ გამოყვანილნი, იტალიის ელჩის საშუალებით ითხოვეს, რომ ჩვენ ქრისტიანები ვართ სამეგრელოს საზღვრიდამაო და თუ შეიძლება, ისევ უკან დაგვაბრუნეთო. ოსმალეთის მთავრობამ იმ წამსვე ხომალდი მისცა იმათ იმ განზრახვით, რომ ჩასხდნენ და სადაც უნდათ გამოვიდნენ კავკასიის ნაპირზე.’’ (დროება, N155, 1877 წელი);

***

სოხუმში რომ ოსმალოს ჯარის უფროსი ფაზლი-ფაშა იყო, თავის დაპირებისამებრ, დუნაიზე გადასულა და ამ არმიის ახალს სარდალს სულეიმან-ფაშას, როგორც იწერებიან, ერთი კორპუსი ჩაუბარებია იმისათვის. (დროება, N156, 1877 წელი);

***

გასულ ღვინობისთვის 25-ს უფ. ჩერნიავსკის წაუკითხავს პეტერბურღის გეოგრაფიულ საზოგადოებაში თავის შენიშვნები აფხაზებზე, რომლიდამაც მოგვყავს ზოგიერთი საინტერესო ალაგები: აფხაზეთი, უფ. ჩერნიავსკის სიტყვით, თავის ბუნებით ღვთისგან დალოცვილი მხარეა: კავკასიის გარდა, სხვაგან რუსეთში არსად არ მოიპოვება ისეთი

ბუნებით მდიდრულათ შემკობილი ქვეყანა, როგორიც არის აფხაზეთი.

„მთელი ეს მხარე ყოველგვარი ძვირფასი ტყეებითა და ხეხილებით არის მოფენილი. აფხაზეთი მთიანი ქვეყანაა. შავ ზღვას გარდა, რომლის ნაპირებზედაც მდებარეობს აფხაზეთი, აქ უანგარიშო მდინარეები იპოვება, რომელნიც რწყავენ და მცენარეებით ამდიდრებენ ამ ქვეყანას. „აბხაზეთში ზომიერი ზამთარი იცის ქრისტიშობისთვის დამლევიდამ ტყეებში ყვავილები იშლება. აქაური ხილი განსაკუთრებით მსხალი, ატამი და ბროწეული შესანიშნავია თავის სიდიდითა და გემოთი; სიმინდი ხუთი არშინი სიმაღლე მოდის.

„უეჭველია, რომ აქ იპოვება ოქროს, ვერცხლის, ტყვიის, თითბირის და რკინის მადნები. აგრეთვე არის ქვა-ნახშირი. „და ყველა ეს სიმდიდრე ხელ-უხლებლად სძევს მიწაში და მიწაზედ. კაცი არ არის, შეამუშავოს და ისარგებლოს. „აფხაზეთში, გარდა ბილიკებისა, რომელზედაც ცხენოსან კაცს გაუჭირდება სიარული, სხვა გზა არ მოიპოვება. „აფხაზებიც, როგორც ამათი ქვეყანა, სწავლა-განათლებისთვის შეუხებელი ხალხია; როგორც რამდენიმე საუკუნის წინ ხასიათი, ჩვეულება, ენა, სარწმუნოება ჰქონდათ, ახლაც ისე დარჩენილან. ის გარემოება, რომ აქაურ ხალხში მე შევხდი ლათინურ და იტალიანურ სახელებს, გვიმტკიცებს, რომ აქ ერთ დროს რომის ხალხი ყოფილა.“ ბოლოს უფ. ჩერნიავსკი აცხადებს სურვილს, რომ მთავრობამ ამ ყოვლის მხრით მდიდრულად შემკულ ქვეყანას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს. (დროება, N186, 1877 წელი);

***

ქალაქში ცოტა არ იყოს აცივდა, ზამთრის სუსხს იჭერს, და ამის გამო შეშა თან-და-თან ძვირდება. (დროება, N186, 1877 წელი);

1877 წელი

გაზეთი ,,ივერია''

***

ბზიბის (აფხაზეთში) ტყის თობაზედ ვიღაც ო. ა. ფონ-ლიპხორტსა წინადადება შეუდგენია და წარუდგენია ერთს საზოგადოებისათვის რუსეთში, რომელსაც ჰქვიან „Общество для содъйствія русскому торговому мореходству“. ფონ-ლიჰხორტი ამბობს თურმე, რომ ბზიბის ტყე 60,000 დღიურია, მშვენიერი რამ არისო, დღევანდლამდე უქმად დევსო და ხაზინას არაფერს სარგებელს არ აძლევსო, მაშინ როდესაცა მაგ ტყეს შეუძლიან ათი ათასი თუმანი შემოუტანოს ხაზინასაო, თუ კი ხაზინა ფონ-ლიპხორტისაგან შეტანილს წინადადებაზედ დადგებაო. ეგ საზოგადოება გარდა იმისა რომ ტყეს გაიტანს სამზღვართ გარედ, თავის ხომალდებსაც გამართავსო. შავის ზღვის პირზედ ვაჭრობის სასვლელადაო. რომ ამ საზოგადოებამ თავისი დანიშნულება აღასრულოს, ლიპხორტის სიტყვით, ექვსი მილიონია საჭირო. ამ ფულს ადვილად ვიშოვითი, ამბობს ლიპხორტი, თუ მთავრობა ათს თუმანზედ ხუთს მანეთს სარგებელს აღუთქვამსო ფულის პატრონთაო.

ეს წინადადება ფონ-ლიპხორტისა „Общество для содъйствія русскому торговому мореходству“-სა ყურადღების ღირსად უცვნია და გადაუწყვეტია რომ ფონ-ლიპხორტის წინადადება წარუდგინონ დიდს მთავარს, კავკასიის მთავარ-მმართებელსა. (ივერია, N6, 1877 წელი);

1878 წელი

გაზეთი ,,დროება''

აფხაზეთის დასახლებაზე

მოგეხსენებათ, რომ ჩერქეზების გადასახლების შემდეგ, იმათი ქვეყანა სრულიად უპატრონო და აოხრებული დარჩა, ამ გვარადვე უპატრონოთ და უფრო აკლებული დარჩა ახლა აბხაზეთი მას შემდეგ, რაც ადგილობრივი მცხოვრებნი ოსმალეთში გადავიდნენ. რასაკვირველია, რომ ჩერქეზების გადასახლებისა-თანავე მმართველობამ მიაქცია ყურადღება ამ უპატრონოთ გაშვებულ ქვეყანას და მოინდომა იმის დასახლება. გადაწყვიტეს, რომ შუაგულ რუსეთიდამ მოყვანილი გლეხები და აგრეთვე სხვა სლავიანები დაესახლებინათ, რადგან პოლიტიკურის მხრით ესენი საიმედონი არიანო...

ყოველგვარი წარჩინება, ფული, სამეურნეო იარაღი, საქონელი და სხვა დაურიგეს იმათ, ვინც რუსთაგანმა ანუ სლავიანთაგანმა განაცხადა ჩერქეზეთში დასახლების სურვილი; რამდენიმე წლის განმავლობაში ყოველგვარის გადასახადისაგან განთავისუფლებულნი იყვნენ. მაგრამ რა გამოვიდა? გამოვიდა ის, რომ ახლად-მოსულმა რუსებმა და სლავიანებმა ვერ აიტანეს აქაური ჰავა, ვერ შეეთვისეს აქაურ ბუნებას, და ამის გამო ზოგი დაიხოცა და მომეტებული ნაწილი ისევ უკან დაბრუნდა, საიდამაც მოსულიყო. შემდეგ ეს კიდევ უპატრონოთ დარჩენილი მიწები დაანაწილეს და დამსახურებულ ჩინოვნიკებს დაურიგეს ჯილდოთ ხელმწიფის ერთგულებისათვის. მაგრამ, რასაკვირველია, ესენი ვერ დაასახლებდნენ ამ ქვეყანას: იმათი მიწები ისევ უპატრონოთ, ვერანად იყო გაშვებული, რადგან თვითონ არ უვლიდნენ და სხვა ვინმე, რომ აქ დასახლებულიყო და მოერია მამულისათვის, არავინ ჩნდებოდა. დღემდინაც ამ მდგომარეობაშია ის ჩინებული ალაგები, საცა ერთ დროს ჩერქეზები სახლობდნენ. აოხრებულს, უპატრონოდ დაგდებულს ჩერქეზეთს ახლა კიდევ უფრო აოხრებულ და უპატრონო აფხაზეთი მოემატა. კიდევ ლაპარაკი არის ახლა იმაზე - თუ ვინ უნდა დაასახლოს მმართებლობამ ამ შავი ზღვის ნაპირა ქვეყნებში. წარსული წლების მაგალითი ცხვირ წინა გვაქვს: რუსები და სლავიანები ამ ქვეყნებში ვერ სძლებენ იმ მიზეზის გამო, რომ ბარის, ტრიალ, უტყეო მინდვრის მცხოვრებნი ვერ შეეთვისნენ მთა-კლდიან, ტყიან, ნოტიო ქვეყანას.

მაგრამ ამას გარდა არის კიდევ ერთი ისეთი მიზეზი, რომელიც ყველაზე უფრო უშლის რუსებსა და სლავიანებს შავი ზღვის ნაპირზე დასახლებას: ეს გახლავთ ის გარემოება, რომ ამ ადგილებში სრულიად პური არ მოდის; აქ მოდის მხოლოთ სიმინდი, ზოგან შეიძლება მოიყვანოს კაცმა ჩინებული ღვინო, თითქმის ყველგან შეიძლება ხილეულის და წვანილის მოყვანა, მოშენება ფუთკრისა, აბრეშუმის ჭიისა და სხ.; მაგრამ პური კი არსად, და მოგეხსენებათ, რომ რუსს უპუროთ გაძლება არ შეუძლიან. ყველა ამ გარემოებას რომ მივიღებთ მხედველობაში, არ შეიძლება არ დავეთანხმოსთ იმ სტატიებს, რომელნიც, ამ საგნის შესახებ, ამას წინათ იბეჭდებოდნენ გაზეთ „თფილისის მოამბეში.“ ხსენებული სტატიების ავტორი სრულის სიმართლით და ჯეროვანის არგუმენტებით ამტკიცებდა, რომ უცხო ტომის ხალხს ამ ქვეყნებში გაძლება არ შეუძლიათ, თუ მოთავსდება, ისეთი ხალხი, რომელიც ახლაც თითქმის ისეთსავე გარემოებებში, ისეთს ჰავაში და ბუნებაში ცხოვრობს, როგორიც არის აბხაზეთში და ჩერქეზეთშიო. და ავტორი პირდაპირ ასახელებდა მეგრელებს. ჩვენ შეგვიძლიან დავუმატოთ ამას მხოლოდ ის, რომ ამ შემთხვევაში იმერლებიც, თუ მოისურვებენ, ისეთივე ყოველის მხრით გამოსადეგი ხალხია შავიზღვის ნაპირა ქვეყნების დასასახლებლად, როგორც მეგრელები. ერთსაც და მეორესაც შეუძლიანთ უპუროთ გაძლება, ერთიცა და მეორეც მთა-კლდიან და ნოტიო ჰავას შეჩვეულები არიან,

ერთიცა და მეორეც სრულ საიმედონი არიან პოლიტიკურის მხრით, ერთსაც და მეორესაც ესაჭიროებათ ხეირიანი მიწები, ორივენი თავიანთ ქვეყნებში შეჩვეულნი არიან ყურძნის მოყვანას, ფუთკრის მოვლას, მებოსტნეობას, ხეხილეულის მოშენებას, ერთიც და მეორეც შევიწროებულნ არიან მიწისა და მამულების სიმცირისა გამო და სხვა. მაგრამ არიან ისეთი პირნი, რომელნიც ამ შემთხვვაშიაც, როგორც საზოგადოთ მუდამ და ყველგან, უეჭველია ჩამოაჩხირებენ რაღაც უმიზეზო და უაზრო მიზეზებს. ამისთანა პირებისთვის სულ ერთია, რაც უნდა საფუძველი და ფაქტები მოიყვანოს კაცმა; მაგრამ ამათთვის არა ვსწერთ ჩვენ ამ შენიშვნას... /ს. მ./. (დროება, N24, 1878 წელი);

დღიური

სოხუმის სამხედრო მაზრის გამგეობა უცხადებს იმ პირთ, რომელთაც ამ ქალაქში უძრავი მამული ჰქონდათ და ეს მამული მტრისაგან გაფუჭებული აქვთ და ზიანი ნახეს, რომ შეადგინონ თავიანთ ზარალის ანგარიში და წარადგინონ ამ მაზრის გამგეობაში, რომელიც ამ ჟამად დაბა ზუგდიდშია; ამასთანავე წარდგენილი უნდა იქმნეს აგრეთვე დოკუმენტები, რომელნიც ნამდვილად ამტკიცებენ, რომ ხსენებული მამულები იმათ ეკუთვნის. (დროება, N51, 1878 წელი);

***

დღემდინ ზუგდიდის უეზდში არაფერი არ ისმოდა ომიანობის ანბავი; მაგრამ დღეს გაიგეს და ძალიანად შეშინდნენ; ამბობენ: „ვაი, თუ გამოგვიბრუნდა მუჰაჯირებიო!...“ სამურზაყანელები ძალიან უკმაყოფილოთ არიან იმის თაობაზე, რომ სამურზაყანოს საზოგადოებიდგან, რომელიც იყო ამორჩეული მილიციათა, ყოველთვინ, სანამ არ გათავდა ომი, იყვნენ ჯარის მოწინავეთა და პირველი მტრის ტყვია იმათ მოხვდებოდა ხოლმე და კიდევაც ბევრნი დაიხოცნენ და ბევრნი დაკოდილი იყვნენ; როდესაც ომი გათავდა აბხაზეთში, სამურზაყანელები, რომელნიც იყვნენ ბრძოლაში, მოელოდნენ დაჯილდოებასა, მაგრამ ეს საქმეები მოხდა სხვანაირათ: რომელიც ღირსი იყო ნამდვილად ჯილდოსი, ის დარჩა უკანა, ხოლო რომელიც სრულიათ არ ერია ომში, იმან მიიღო ჯილდოცა და პატივიც. ამნაირი საქმეები მოხდა წარდგენის დროს, ასე რომ უფროსებმა წარადგინეს თავის საყვარლები, პოვრები და ლაქიები, რომელთაც მიიღეს, რაზედაც იყვნენ წარდგენილი, ხოლო ისინი, რომელნიც იყვნენ ჯაფაში და ტყვიას წინ უდგნენ მკერდით, ისინი კი ბევრნი დარჩნენ ცარიელი ხელითა. ამის თაობაზე შედგა ერთი უკმაყოფილება და დავიდარაბა.

ეხლა მოვიდა ახალი უფროსი პოლკოვნიკი არაკანი, რომელსაც საზოგადოებამ გააგებინა ეს საქმე; ამან მოითხოვა სია იმ პირებისა, რომელნიც დარჩენილი იყვნენ დაუჯილდოებელად, მე წარვადგენო. გარდა ამისა არის ერთი საჩივარი, რომელიც ეხება აგრეთვე ხსენებულ მილიციონრებს: როდესაც ისინი გამოყავდათ ომში სამურზაყანოს პოლკს, მილიციას ჰქონდა გამოცხადება, რომ თითო კაცს ექნება თვეში ოც-და-ხუთი მანეთიო ომის დროსაო; მაგრამ უფროსები აძლევდნენ ზოგჯერ ათსა, ზოგჯერ ოცს და ბევრი ერთ კაპეიკსაც არ მიიღებდა, ეხლა ეს საჩივარიც გააგებინეს უფ. არაკინს, მაგრამ არ ვიცით-რა განკარგულება მოხდინა იმან ამის თაობაზე. /გ. ზ./. (დროება, N76, 1878 წელი);

***

ღმერთო, ამისრულე ჩემი სიზმარი! ოქუმი. ეხლანდელი ომის დაწყებამდის ოქუმი იყო ერთობ მივარდნილი და შეუმჩნეველი დაბა. ორი-სამი დუქანი, სასოფლო შკოლა, ადგილობითი ნაჩალნიკის და ბლაღოჩინის სადგომები და ერთი პატარა საყდარი, რომელშიაც ეს მესამე წელიწადია ყოველთვის წვიმა ჩამოდიოდა - შეადგენდნენ ოქუმს, იმის ბედნიერებას და დიდებას.

დღეს ოქუმი სულ სხვაა. გაიმართა ომი თუ არა, ოქუმი შეიქმნა უმთავრესი ბანაკი აფხაზეთში დაყენებულის რუსის ჯარისა. აქ გამართეს ფოჩტა, ტელეგრაფი სტანცია, აფთიაქი; იმ ორიოდე დუქნებს, რომელნიც აქ იდგნენ, მიუმატეს კიდევ ორიოდე სხვა; საყდარი აქ დაბარგებული ჯარის საშუალებით დახურეს და სხვა-და-სხვა საჭირო ნივთებით შეამკეს. აქაურს საყდარში ეხლა ნახავთ იმ ნაირ წყობილებას და წირვა-ლოცვას, როგორიც დიდ ქალაქების სობოროებშია. შკოლა კი, სამწუხაროდ, დაუკეტნიათ. შკოლის სახლში საავათმყოფოა გამართული. ეხლა ეს დაბა თუმცა ასეთია, მაგრამ აქ ცხოვრება ძრიელ სჭირს. როგორც გარეშე ქვეყნიდგან მოტანილი სურსათი, ისე აქაური ნაწარმოებიც, ერთობ ძვირია: ერთი გირვანქა შაქარი 25 კაპ., პური 12 კ., ხორცი 10 კ., ფუთი სიმინდი 45 კ., ყველი, რომელიც ომის დაწყებამდის 5 კ. ისყიდებოდა, ახლა 30 კ., გოჭი 2 მანეთი, ერთი ბოთლი რძე 25 კ., გირვანქა ნავთი 30 კ. /ქუთაისელი/. (დროება, N87, 1878 წელი);

***

ოქუმიდამ (სოხუმის მაზრიდამ) გვწერენ, რომ ამ მაზრაში ამ ჟამად სულ 5,000 ჩერქეზი არის დარჩენილიო, მაგრამ იმათი მდგომარეობა ძალიან საცოდავი და ცუდი არისო, რადგან არც სახლ-კარი მოეძევებათ და არც სასმელ-საჭმელიო. (დროება, N99, 1878 წელი);

ოქუმი, 13 მაისს

აფხაზეთში აფხაზები ბევრი-ბევრი ხუთი ათასამდინ თუ იქნება დარჩენილი. ესენი ძალიან დიდს შევიწროებაში და შეწუხებაში არიან, მათთვინ არ დარჩენილა სახლ-კარი, საჭმელ-სასმელი, სულ ერთიანათ გაფუჭებული და აოხრებული იყო ოსმალოს ჯარებისაგან რაც შენობა და საზრდო იყო: სიმინდი, ღომი, ფეტვი სულ ერთიანათ ცეცხლსა მისცეს; რაც პირუტყვი ყვანდათ, აგრეთვე სახლის ავეჯულობა, ტანისსამოსი სულ წაიღეს. ამ ნაირს გარემოებაში დარჩენილი აფხაზები იყვნენ და ჯერაც არიან შიმშილითა და სიცივით ტანჯვაში. გარდა ამისა ხმა დადიოდა, რომ ვითომ მთავრობა უპირებს იმათ ერთ რომელიმე ციმბირის ღუბერნიებისკენ გარდასახლებასაო. მაგრამ როცა მოვიდა სოხუმის მაზრის უფროსი უფალი არაკინი, იმან, მისცა ნუგეში და დააიმედა ხალხი, რომ „დარჩებითო თქვენს სამშობლო ქვეყანაშიო.“ ამ ნუგეშის გაგების შემდეგ აფხაზებმა ხელ-ახლად დაიწყეს სახლ-კარის შენება, მიწის მუშაობა და იმედია რომ, თუ რაიმემ კიდევ არ წააბრკოლა, მალე დასახლდებიან ისევე კარგათა. /გ. ზ/. (დროება, N100, 1878 წელი);

***

ოქუმი, 17 მაისს. ვიღაცა მამაცხონებულს დაეწერა „დროების“ N76-ში ზუგდიდიდამ სამურზაყანელი მილიციების გაჭირვება ომის დროს, და ეხლა ჩვენ ვიტყვით რა ამბავი მოხდა ამის თაობაზედ; მაგრამ თავიდან დავიწყებთ, თუ არ მოწყინდებიან ჩვენი მკითხველები: შარშან იანვარში 1877 ამოირჩიეს პირველი სოტნა 130 კაცი და ეძლეოდათ მათ 14 მანეთი (პორციონი, ფურაჯი და ჯამაგირიც ეს ჰქონდა ერთ კაცს უბრალო მილიციონერს); თებერვალში გაიყვანეს მეორე სოტნა მარტში და აპრილში გამოიყვანეს სამი სოტნა, ასე რომ მაისის ბოლომდინ გამოაწყეს ცხრა სოტნა და ამნაირად სულ ერთიანად შეიქნა 14 სოტნა. თითოეულს მილიციონერს დაურიგეს ჯამაგირად ოც-და-ერთი მანეთი. ამ დროსა სოტნებში ერთი კაცი არ აკლდა: ეს 14 სოტნა სრული ანგარიშით იყო აგვისტოს თვემდინ.

აგვისტოში, როცა აბხაზები წავიდნენ, ყოველი სოტნიდან დაუთხოვიათ 60-კაცი და დარჩა სოტნაზე 70 კაცი ამ 1878 წლის ათ იანვრამდინ. ათ იანვარს დაითხოვეს 9 სოტნა და დარჩა ექვსი (6) სოტნა (70 კაცი სოტნაზე). მართალია, როგორც ხსენებულ კორესპონდენციაში სწერია უბრალო მილიციონერებს აკლებდნენ ჯამაგირს: ზოგიერთს ნახევარი, ზოგიერთს

მესამედი ნაწილი თვის ჯამაგირისა ეძლეოდა; მართალია, ზოგი ერთი მთელი თვის ჯამაგირსაც არ მიიღებდა. გასულ წელში მოვიდა აქ რევიზორი. ამ პირის მოსვლის წინეთ პოლკის კამანდირებს სოტნის კამანდირებისათვინ მიუციათ დარიგება, რომა, თუ იკითხა მან რა ეძლევათ, როგორ არიან მილიციებიო, სოტნამ უნდა ჰსთქვასო: ჩვენ კმაყოფილი ვართ ჩვენის უფროსებისაო და გვაქვს თვეში ჯამაგირათ 10 მანეთი პარციონი 3 ½ მანეთი, თივა 10 ½ ფუთი და სიმინდი 7 ½ ფუთიო. მილიციებმა პირველათ უარი უყვეს: ჩვენ ვიტყვითო სიმართლესაო, მაგრამ მერე ისევ დაუთანხმდნენ. როცა მოვიდა რევიზორი, სუყველა სოტნამ როგორც დარიგება ჰქონდათ, ისე მოახსენეს; მხოლოთ ერთმა სოტნამ გამოაცხადა ნამდვილი. მაგრამ რევიზორი როდესაც ის გაისტუმრეს, სოტნამ მისცეს საყვედური და მთქმელი პირი ნაობახტაში ჩასვეს. ეს საჩივარი და გულნაკლულოება რამოდენმა პირმა გააგებინა უფალ არაკინსა ხელ-ახლათა. ახლა პოლკის კამანდირებმა გამოუცხადეს მილიციებს, რომ მათი დაშთენილი ფული არის ოცი ათასი მანეთიო და თქვენი ე. ი. მილიციების სასარგებლოთ ბანკში ჩადევითო და ისარგებლეთო! ეს ამბავი რომ გაიგეს 17 მაისს იყო შეყრილობა თავი კაცებისა. ერთმა მხარემ. სთქვა: ჩვენ ვიყავით ომის დროს დიდს გაჭირვებაში, ვიხოცებოდით შიმშილით, ცოლ-შვილს ვართმევდით თავიანთ საზრდოსა და იმით ვიყავით ჯარში; ცხენები გვეხოცებოდა შიმშილით და თითქმის ყოველ თვეში ვყიდულობდით ცხენებს, ფული ეხლაც მართებს ზოგი ერთი ერთისა, ჩვენ გაჭირვებასა: არ გვეყოფა პატარა ჯამაგირი და მომატებას ვთხოულობდით. მაგრამ მაგიერ პასუხი ის იყო, რაც ხაზინიდამ მოდის, იმას გაძლევთო. ეხლა ამბობენ ოცი ათასი მანეთი მიიღეთო. იმ გაჭირვების დროს ოცი ათასი კი არა ერთ-ათასიც ძალიან შემწეობას მოგვცემდა: ეხა რადგან ასე არის საქმე, ჩვენ უნდა შევიტყოთ, სად იყო ეს ფული ეხლამდისო. მეორედ, უნდა შევიტყოთ - რა დახარჯულა ხაზინიდამ ჩვენთვინ. ამათ უპასუხა მეორე მხარემ: რათ გვინდა ან რას მოგვიმატებს ამის შეტყობა! ჩვენ მივიღოთ ის ფული და ბანკში შევდოთ! გამოვიდა მესამე მხარე და სთქვა: ჩვენ არც ძებნა გვინდა, არც ბანკში შეტანა, თუ ჩვენია ჩვენ ჩავიბაროთ და დავინაწილოთ. შეიქნა ერთი უთანხმობა, ყიყინი და ვაი-ვაგლახი. მაგრამ ბოლოს დათანხმდენ, რომ ჩაიბარონ ფული და დაინაწილონ ვისაც ერგებოდეს! ამ ოთხ-ხუთ დღეში მოელიან ვიღაცა ინსპექტორსა, და რა ამბავი მოაქვს, არ იციან. /გ. ზვარბაია/. (დროება, N104, 1878 წელი);

***

გაზეთს „კავკაზში“ დაბეჭდილია ოფიციალური ცნობა იმაზედ - თუ რამდენი მცხოვრები ყოფილა აფხაზეთში ომიანობამდინ და რამდენი დარჩენილა ახლა, ომიანობის შემდეგ, როცა ერთი ნაწილი აფხაზეთის ხალხის სოხუმში გამოსულ ოსმალოს ჯარს გაჰყვა და ოსმალეთში გადაესახლა. ამ ანგარიშიდამ ვტყობულობთ, რომ, ოჩამჩირის მაზრაში ომიანობამდინ ყოფილა: სამურზაყანოს უჩასტ-აში - 11,920 კომლი (24,461 სული); ამ უჩასტკიდამ არცერთი არ გადასახლებულა; კოდორის უჩასტკაში იყო 3,935 ოჯახი, ამ რიცხვიდამ გადასახლებულა 1,071 ოჯახი. ბიჭვინტის მაზრაში: გუმისტინის უჩასტკაში, ომიანობამდინ იყო 2,221 კომლი (9,985 სული); მთელი ეს მაზრა გადასახლდა ოსმალეთში. გუდაუტის უჩასტკაში ცხოვრობდა 5,293 კომლი (23,545 სული); აქედამ გადაესახლა - 1,518 კომლი (6,385 სული.) ამ ნაირად მთელს სოხუმის სამხედრო მაზრაში ომიანობამდინ ითვლებოდა 54,509 სული ორივე სქესისა და ამ რიცხვიდამ 21,190 სული გადასახლდა. მაშასადამე თუ ეს ანგარიში ნამდვილია, ამ მაზრაში დარჩენილა კიდევ - 33,319 სული მცხოვრები. (დროება, N115, 1878 წელი);

***

ჩვენ მოვიყვანეთ ამას წინათ გაზეთის „კავკაზიდამ“ ოფიციალური ანგარიში სოხუმის მაზრის მცხოვრებთა რიცხვისა - ოსმალეთში გარდასახლებულებისა ამ უკანასკნელ ომიანობის დროს

და სოხუმში დარჩენილებისა. ახლა ეს გაზეთი გვაცნობებს, რომ იმ მოყვანილს რიცხვებში შეცდომა შეგვეპარაო: სოხუმის მაზრიდამ ომიანობის დროს სულ 31,964 სული გარდასახლდა და 43,735 სული კი ისევ თავის ქვეყანაში დარჩაო. (დროება, N122, 1878 წელი);

„დროების“ კორრესპონდენცია

ოქუმიდამ, 30 ივნისს. პირველს რიცხვში მარტის თვესა სამურზაყანოში და აფხაზეთში იყო გამოცემული ბრძანება, რომ ახალი უფროსი სოხუმის სამხედრო მაზრისა უფ. პოლკოვნიკი არაკინი მოდის ხალხის დასახედავათ, რათა შეისმინოს მათი თხოვნა, რადგან ამ ომის დროს ბევრი შევიწროება დაემართა ამ ქვეყანასო. ამიტომ ხალხი უნდა შეყრილიყო თავის საზოგადოებებში, და როდესაც მოვიდოდა თქმული ნაჩალნიკი, უნდა მოეხსენებია მასთვის თავის სათხოვარი ანუ საჩივრები. პირველი საზოგადოება, რომელიც დახვდა უფ. არაკინს, როცა გამოვიდა მდინარე ენგურს, იყვნენ მცხოვრებნი სოფლებისა: ოცარცეს, საბერიას, დიხაზურგიასა და ჭიბურხინჯის. ამათ მოახსენეს უფ. არაკინს, რომ „ჩვენ ბევრი გვაქვს სათხოვარი თქვენთან, მაგრამ ჯერ სხვა სათხოვარს ვტოვებთო, და უნდა მოგახსენოთ-ის, რომლისაგანაც მთელი სამურზაყანო არის შეწუხებული; ეს ის არის, რომ ჩვენ ნაჩალნიკათ არის დანიშნული შტაბის კაპიტანი სალომკა; ეს კაცი სამურზაყანოში იყო იმის გამოცხადებამდის თანაშემწედ ოჩამჩირის ნაჩალნიკისა; მაგრამ, რადგანაც მთელი ხალხი წინააღმდეგ იყო მისი, იმიტომ შეიტანეს საჩივარი და კიდეც, დროებით თუ სულ, გარდაყენებული იყო ადგილიდან, და დღეს კიდევ იგივე დაგვინიშნეთ ნაჩალნიკათ.. იმის და ჩვენი მოწყობა არ შეიძლება... ამის გამო გთხოვთ, გვიპატიოთ ამ კაცისაგან და დაგვინიშნოთ სხვა ვინმე.“ ამ საჩივარზედ სამურზაყანოელებმა ბევრი საბუთები მოახსენეს უფ. არაკინს, რომელშიაც შესანიშნავი არის ის, რომ უფ. სალომკა, მადლობის მოსახსენებლათ რომ მოვიდეს ვინმე მასთანო, დიდი იყოს თუ პატარა, თავადი თუ აზნაური ანუ გლეხი, სულ ყველას აგინებსო და შეურაცხყოფას მიაჰყენებსო. ხსენებული სალომკაც მაშინ იქ იყო თავ-დაღუნული და ისმენდა ამ საჩივარს. სამურზაყანოს დახედვა ისე გაათავა არაკინმა, რომ რომელ საზოგადოებაშიაც მივიდოდა, პირველი მათი-დიდის და პატარას-თხოვნა ის იყო, რომ სალომკასაგან განგვათავისუფლეთო. ოქუმს რომ მოვიდა, მაშინ უფრო თავი - კაცები ვინც იყო, იმათ დაჰპირდა, რომ ერთი კვირის განმავლობაში თქვენ დაგინიშნავთ ნაჩალნიკათ ბიჭვინტის ოკრუღის ნაჩალნიკს მაიორს ალექსანდროვიჩს, და სალომკას იქ გადავიყვანო. ეს ამბავი რომ გაიგეს აფხაზებმა, თავი შეიყარეს და როდესაც არაკინი იქ მივიდა, სთხოვეს რომ ჩვენ, მართალია, არ უნდა გვქონდეს პატივი ჩვენი შეცდომისაგან, მაგრამ სადაც ჩვენი შეცდომა ხელმწიფე იმპერატორმა გვაპატივა, იმედია არც თქვენ მისცემთ იმას ყურადღებას, და ჩვენს თხოვნას შეასრულებთო; ჩვენი თხოვნა ეს არისო: ჩვენ გავიგოთო, რომ თქვენ გნებავთ ჩვენი ნაჩალნიკის გარდაყვანა სამურზაყანოში, და იმათი ნაჩალნიკს სალომკას, ჩვენთვინ დანიშნა. ეს თუ მართალია, დიდი და პატარა გთხოვთ, რომ ჩვენი ნაჩალნიკი მაიორი ალექსანდროვიჩი ჩვენ ნუ წაგვერთმევა და ჩვენს თავს ნუ ჩაუგდებთ სალომკას ხელში. ეს საჩივარი იყო ხალხისა ინგურიდამ ლაზნამდი. სულ ყველა ამას ლაპარაკობდა... ეს თვე არის ივნისი და სალომკა კიდევ თავის ადგილზედაა... სამურზაყანოში დადიან ახლა ვიღაცა კაცები და, უფალის სალომკის ბრძანებით, ახდევინებენ ვის მანეთს, ვის ორს, ვის სამს და ვისაც არ შეუძლიან ფულად გარდახდა, პირუტყვს ართმევენ; ეს არ არის არც სახელმწიფო გარდასახადი და არც საზოგადოების სასარგებლოდ; ვიღაცა ადვოკატს ვქირაობთო და იმის მისაცემათ გვინდაო! და არის ამაზედ შეყენებული ერთი დიდი ამბავი და უსიამოვნება. /ნ. ბ--შვილი/. (დროება, N131, 1878 წელი);

***

სოხუმიდამ „თფილისის მოამბეში“ იწერებიან, რომ 150 ოჯახი ბერძნებისა, რომელნიც,

სოხუმის აღების შემდეგ, სურამში, ზუგდიდში და ქუთაისში გაიქცნენ, ამჟამად ისევ უკან ბრუნდებიანო. ამავე გაზეთის სიტყვით, ტრაპიზონის სომხებს გამოუგზავნიათ სოხუმისაკენ თავის დანდობილი კაცები, რომელთაც უნდა დაათვალიერონ ეს ქალაქი და მაზრა და, თუ მოეწონათ, გადმოსახლებას აპირებენო... (დროება, N133, 1878 წელი);

***

ჩვენ გვატყობინებენ ქუთაისიდამ, რომ იქაური ქართული სცენის მოყვარენი ამ დღეებში სოხუმიდამ გადმოსული საწყალი ხალხის სასარგებლოდ მოლლიერის კომედიის „ჟორჟ დანდენის“ წარმოდგენას აპირებენო. (დროება, N135, 1878 წელი);

***

სოხუმის მაზრის უფროსს უფ. არაკინს უცნობებია კავკასის სანიტარულ მთავარ კომისიისათვის, რომ სოხუმის გასუფთავებისა და გაჯანმთელებისათვის 30,000 მანეთი არის საჭიროვო. ამ საგნის დაწვრილებით გამოსაძიებლად კომისიას ერთი თვის წევრის უფ. ბოგაჩოვის გაგზავნა გარდაუწყვეტია სოხუმში. (დროება, N143, 1878 წელი);

„დროების“ კორრესპონდენცია

ოქუმი, 8 ივლისს. აბხაზეთის უმფროსი უფ. არაკინი მისულა სამურზაყანოში და დაურიგებია შემწეობა ფულითა იმ ქვრივი და ობლებისთვის, რომელთაც მამა ანუ ქმარი იყო მოკლული გავლილ ომის დროს. აგრეთვე ომში მძიმედ დაჭრილებისთვინაც. „მე ვთხოვე დიდ მთავარსაო ეთქვა ხალხისთვის უფ. არაკინს, რომ ექნა მოწყალება საწყლათ დარჩენილებისათვინ სამურზაყანოშიო, და იმან ინება და მომანდო მეო, რომ დანიშნული ფული დაურიგო ქვრივ-ოხრად დარჩენილთაო.“

წინაპირველათ უფ. არაკინს გამოუცხადებია საზოგადოებისათვის, რომ ამოერჩიათ დეპუტატები და ამ დეპუტატებს უნდა წარედგინათ ქვრივ-ობოლი და მძიმეთ დაკოდილნი. მაგრამ ამ დეპუტატებმა მომეტებული ნაწილი მდიდარნი აღადგინეს და მათთვინაც უნდა მოეცა სამოწყალო. ზოგმა მდიდარმა მიიღო 50 მანეთი, ზოგმა სამოცი და ოთხმოციც; ქვრივ-ობოლსა და მძიმეთ დაკოდილსა ზოგს 200 მანეთი მისცა, ზოგს 150 მან. და ზოგს 130 მანეთი. ვისაც დიდი გაჭირვება ჰქონდა, იმათ აძლევდა ბევრსა და ვინც ცოტა - იმათ ნაკლებს. ქვრივებთან თვითონ უფ. არაკინი მიდიოდა სახლში და ისე რამოდენიც ერგებოდა ჩააბარებდა ხელში და იქავე დავთარში ჩაწერდა ხოლმე. ამ დღეებში აქ მოელიან კანტროლიორს სამურზაყანელი მილიციების საქმის გამოსაძიებლათ, რომლის თაობაზედაც სხვათა შორის დაბეჭდილია ამ წლის „დროების“ NN 76 და 164-ებში. სხვები კი ამბობენ, რომ გამომძიებელი ვითომ კიდეც ყოფილა, დაუხედავს პოლკის კანცელარია და მალე ისევ წასულავო უკანაო. პოლკის უმფროსის შემწეები ამბობენ: იმას მოუვიდა ისეთი დეპეშაო, რომ ერთს საათს არ შეეძლო მოთმინებაო და სამურზაყანოში ამით გათავდაო ყოვლისფერის გამოძიებაო. ეს რომ შეიტყეს, მოგროვდნენ ოქუმის სასტუმროში პოლკის უფროსის შემწეებიცა და მომჩივნებიცა ნაშუადღევს 8 ივლისს. შემწეებმა სთხოვეს მომჩივნებს, რომ არ ითხოვონ ჯამაგირის ანგარიში წასულის დროებისა და ვისაც მათგანს აკლია, ჩინი და ორდენი მიეცემაო! მაგრამ მომჩივნებმა უარი უყვეს: ჩვენ ჩინს და ორდენებსა ახლა ვერ ვიშოვნით თქვენის პირობითაო, ჩვენ გვინდა მოვსძებნოთო-რას გვაძლევდნენ ჯამაგირათ ჩვენ ხაზინიდანაო და ის მივიღოთო. შემწეები იმედს აძლევდნენ, რომ ჩვენგან მიიღეთო ყოველ კმაყოფილება და ნუ სჩივით მთავრობასთანაო. მომჩივნებმა მოსთხოვეს კანონიერი დამტკიცება და აღსრულება ამ დაპირებისა; მაგრამა შემწეებსა არ შეეძლო შესრულება თქმულისა და ამის გამო ორივე მხარენი უთანხმოებაში დარჩნენ. შემწეებნი

არიან ჩინოვნიკები და აქაური დიდ კაცები; მომჩივარნი კი მათი უმცროსი ძმები, სუყველა დაბალი ხალხი... /ეჭიკი/. (დროება, N145, 1878 წელი);

***

ქუთაისიდამ გვწერენ, რომ ამ თვის 19-ს იქაურ ქართული სცენის მოყვარეებს წარმოუდგენით ორი პიესა: „უსახელო კომედია“ და „ცელქები“. განსაკუთრებით „ცელქების“ თამაში ძალიან კარგათ, ცოცხლად წავიდაო. წარმოდგენა ყოფილა იმ სოხუმელების სასარგებლოდ, რომელთაც ამ უკანასკნელ ომში ნახეს ზარალი. ამბობენ, რომ საგნისათვის ას მანეთზე მეტი დარჩათ სცენის მოყვარეთაო. (დროება, N152, 1878 წელი);

ფელეტონი
ხალხის არეულობა აბხაზეთში *)

სოხუმის სამხედრო განყოფილება, წებელდის გარდა, რომელშიაც ცხოვრობენ ბერძნები და ბოლგარები, შესდგება პიჭვინტისა და ოჩამჩირის მაზრისაგან. ამ ორივე მაზრის მცხოვრებლების რიცხვი ადის 99 ათასამდინ. ამ რიცხვში 86 ათასი ქრისტიანები არიან და 13 ათასი მაჰმადიანები.

მთელს სოხუმის განყოფილებაში 57 ეკკლესია; ამათში 37 შუა აბხაზეთში. ამ ეკკლესიების აშენება და სამი ძველებური-პიჭვინტისა, დრანდის და მოქვის სობორების გადაკეთება სულ სახელმწიფო ფულით იყო, მუშაობაში და მასალის მოზიდვაში კი ხალხიც კარგა შველოდა. ძველებური ქრისტიანების ეკკლესიის ნანგრევებმა გაუადვილეს აბხაზეთის მცხოვრებლებს მართლ-მადიდებლის სარწმუნოების მიღება. მღვდლებსა და მრევლს შუა არაგვარი წინააღმდეგობა არ იყო.

აბხაზები ყოველთვის ზრუნავდნენ თავიანთ შვილების განათლებაზე; მაგალითად ოჩამჩირის მაზრაში გახსნეს შვიდი სასოფლო შკოლა და პიჭვინტის მაზრაში ორი. სოხუმში იყო ორ-კლასიანი შკოლა თავისი მოსამზადებელი კლასით და საქალებო პროგიმნაზია. ორ-კლასიან შკოლაში მოსწავლე იყო 70-მდინ და საქალებო პროგიმნაზიაში მოსიარულე ქალების დედ-მამას დიდის სიამოვნებით შეჰქონდათ სწავლის ფული წელიწადში 10 მანეთი. ყმაწვილები, კარგი მასწავლებლების მადლით, დიდის სიამოვნებით დაიარებოდნენ ამ შკოლაში და სწავლაც ძალიან კარგათ მიდიოდა. ზოგიერთი ამ შკოლებში სწავლა-შესრულებული ყმაწვილები სხვა-და-სხვა ქუთაისისა და თფილისის გიმნაზიებში აგრძელებენ თავიანთ სწავლას.

მაჰმადიანი აბხაზები სცხოვრობდნენ ქალაქის სოხუმის გარშემო სოფლებში და ბევრი თვითონ სოხუმში. ოსმალები მოდიოდნენ აქ მუდამ ზოგი ტრაპიზონიდამ და ზოგი ბათუმიდამ თევზების სავაჭროთ; ამათ გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ აბხაზები. ეს ოსმალები ავრცელებდნენ მათში მაჰმადიანის სარწმუნოებას და აძლევდნენ მოლობას არა თუ მარტო კაცებს, არამედ ქალებსაც, ურჩევდნენ მათ, რომ გამოეტანათ ნება მეჩითის ასაშენებლად, ქადაგებდნენ ოსმალეთის იმპერიის დიდებასა და ძლიერებას და სხვ. ამ გვარის რჩევებით ძნელი არ იყო აეცრუათ აბხაზების გული რუსის მმართველობაზე და მიემხროთ თავიანთ მმართებლობისაკენ.

მოდიოდნენ აქ აგრეთვე სამსახურ შესრულებული სალდათები, ყაზანის და ყუბანის თათრები, და სხვა-და-სხვა პირები ოსმალეთიდამ, რომლებიც ჯერ სოხუმში გამოჩნდებოდნენ ხოლმე და შემდეგ ჩუმად გადავიდოდნენ შუა აბხაზეთში. ზოგიერთი ამათგანი ომის დაწყების დიდი ხნის წინათ შეჰკრებდნენ ხალხს და რაღაც ტყუილს პროკლომატიებს უკითხავდნენ, რომელიც

ვითომ ოსმალეთიდამ ანუ ქაბიდამ იყო მიღებული. პიჭვინტის ოლქის სამართველოში ეხლაც არის გამოძიება ერთ ამ გვარს საქმის თაობაზე.

აფხაზები დიდი ხანია მოელოდნენ ომიანობას ჩვენკენ. 1876 წელში გამოჩნდებოდნენ ხოლმე მსუბუქი ოსმალოს ხომალდებით საეჭვო პირები, სოფტები და მოლლები, რომელნიც ურჩევდნენ აბხაზებს, რომ მზათ ყოფილიყვნენ და თუ ვინიცობაა ომი მომხდარიყო, ოსმალოს მხარე დაეჭირათ. ეს პირები ზოგიერთი დატუსაღებულნი იყვნენ, ზოგიერთი კი დაიმალნენ. ომის წინათ სოხუმის დაცარიელებამ გაუხილა აფხაზებს თვალები და დაარწმუნა, რომ ომიანობა მოახლოებულია. მცირე ნაწილმა აფხაზებმა, მეტათ სოხუმის გარეშე მცხოვრებლებმა გამოუცხადეს ოსმალეთს სრული თანაგრძნობა და ამის გამო საშიშო იყო მათში მილიციის ამორჩევა და მათგან დახმარება. მომეტებულს ნაწილს აფხაზებს კი სრულებით არ სურდა ომიანობა და ფიქრობდნენ, რომ ოსმალების გამოჩენა აბხაზეთში დაღუპავს მთელს აბხაზეთსაო.

აბხაზეთის პატივცემულნი პირნი, რომელნიც ასრულებდნენ სხვა-და-სხვა თანამდებობას სოფლებში და ისინიც, რომელთაც ჰქონდათ გავლენა თუ თავიანთი მჭევრმეტყველობით თუ სიმდიდრითა და თუ ჩამომავლობით, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ, თუ ომი დაიწყო, უთუოთ უნდა დაცლილიყო ზღვის ნაპირები და გადასულიყვნენ მთებში, საიდამაც უნდა ეყარაულად მტრისთვის. აი რა მდგომარეობაში იყო აბხაზეთი 12 აპრილს 1877 წელს, როცა ომი გამოცხადდა. პიჭვინტის მაზრა იყოფოდა ორ ნაწილათ: გუმისტინის და გუდაუტის. გუმისტინის მცხოვრებლები შესდგებოდნენ ოთხი საზოგადოებისაგან; გუდაუტის მცხოვრებლები შესდგებოდნენ 17 საზოგადოებისაგან. თითოეულ განყოფილებაში სოხუმის მაზრის უფროსის თანაშემწე სცხოვრობდა. გუდაუტის გამგებელი ცხოვრობდა სოფ. ლიხნაში სოხუმიდამ 45 ვერსზე. სოფ. ლიხნა წარმოგვიდგენს ბუნებით მდიდარს ადგილს; მთელი სოფელი მოფენილია მშვენიერი ბაღებით და ვენახებით. საზოგადოთ უნდა თქვას კაცმა რომ აბხაზეთი ბუნებით და მდებარეობით ძალიან მდიდარია. (გაგრძელება იქნება). *) ეს სტატია დაბეჭდილია რუსული გაზეთის „გოლოსის“ უკანასკნელს ნომრებაში და დაწერილია მაჭავარიანისაგან (თუ არ ვცდებით, აბხაზეთის ბლაღოჩინისაგან). სტატიაში ვნახეთ ჩვენ ბევრი საინტერესო ცნობები როგორც აბხაზეთში ოსმალებიც შემოსვლაზედ, აგრეთვე ზოგიერთ იქაურს გავლენიან პირებზე, და ამიტომ საჭიროთ დავინახეთ, რომ ეს სტატია შემოკლებით გადმოგვეღო ქართულს ენაზე და გაგვეცნო ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის. რედ. (დროება, N152, 1878 წელი);

ფელეტონი
ხალხის არეულობა აბხაზეთში
(გაგრძელება) *)

12 აპრილს გამოცხადდა ომი და 15 აპრილს გუდაუტიდამ გამოვიდნენ ყველა მოსამსახურე პირები, ისე რომ გუდაუტის მცხოვრებლები დარჩნენ სრულიათ თავისუფალი. აბხაზებმა რომ დაინახეს თავიანთი ამ გვარი მდგომარეობა, მოიყარეს თავი, დაეცნენ გუდაუტს, გატეხეს რამდენიმე უსინდისო მედუქნეების სახლები, რომელნიც სცარცავდნენ იმათ და დაბრუნდნენ თავიანთვინ. მართალია, ამ დუქნებში და სახლებში არაფერი იყო ტიტველა კედლების მეტი, მაგრამ მაინც ამ გვარ მოქმედებას უყურადღებოთ ვერ დატოვებდნენ: ამიტომ იქ გაგზავნილმა შტაბს-კაპიტანმა ტიტო მარღანიამ 100 კაცი მილიციონრებით, მოსთხოვა მცხოვრებლებს, რომ რაც შეიძლება მალე გამოეჩინათ დამნაშავე პირნი. ამის თხოვნამ უბრალოთ ჩაიარა პირველათ იმიტომ, რომ აბხაზებს ტიტო მარღანიისა არ ეშინოდათ, როგორც ადმისტრატიულ პირებისა და მეორე, რომ ვერ მოიხმარდა ძალას, რადგან აბხაზელი მილიციონრები თავიანთ მოძმეების წინააღმდეგ არას დროს არ

წავიდოდნენ. ამას გარდა იმ ასს კაცში მარღანიას მარტო 25 ჰყავდა თავისთან, რადგან ბრძანება ჰქონდა, რომ თავისი მილიციით იმას უნდა დაეფარა ზღვის ნაპირები, ე. ი. პსირცხუ, გუდაუტი, ბიჭვინტა და გაგრა. ასი კაციდამ თითო ადგილის დასაფარავათ უნდა დაეტოვებინა ოც-ოცი კაცი მაინც, ტიტო მარღანიამ ყველაფერი დაწვრილებით უამბო მაზრის მთავარს, რომელმაც გაგზავნა თავისი თანაშემწე ამ საქმის გამოსაკვლეველათ; იმას უნდა დაეტუსაღებინა დამნაშავეები და გადაეხდევინათ ჯარიმა ორ ახლო მდებარე სოფლებისთვის 2,000 მანეთი. როცა მაზრის თანაშემწე მოვიდა ასი შეიარაღებული ყაზახით და გამოუცხადა მთავრის სურვილი, ხალხმა უსიამოვნოთ მიიღო და ხალხისაგან გამოგზავნილ პირებმა გამოსთქვეს შემდეგი:

„თუმცა მართალია, რომ ზოგიერთმა ლიხნის და კულანურხის საზოგადოების და გუდაუტის ახლო-მახლო მცხოვრებ პირებმა მოახდინეს ეს საქმე, მაგრამ როგორ შეიძლება, რომ მთელ მცხოვრებლებს აბრალებთ? ჩვენ არ შეგვიძლია არ ავასრულოთ მთავრობის ბრძანება, მაგრამ მაინც უფრო სამართალი იქნება, რომ როცა იმ პირებს, რომელთაც აიკლეს გუდაუტი, გამოვაჩენთ, ჩვენ მოგვეცეს ნება გავყიდოთ მათი მამული და რაც აქვთ და ამით დავაკმაყოფილოთ მთავარის სურვილი. წინააღმდეგ შემთხვევაში მზათა ვართ ჩვენ თვითონ გადვიხადოთ ეს ვალი ოღონდ ჩვენ გაგვანთავისუფლეთ ეჭვისაგან.“ ამ გვარი ლაპარაკის შემდეგ, აბხაზებს, რომელნიც შეიარაღებული იყვნენ ხანჯლებით (ლეკურით) და დიდრონი კეტებით, უნდა სიფრთხილით მოქცეოდნენ. თავის სურვილის სისრულეში მოყვანისთვის და სარგებლობისთვის, რომელიც შეეხება მთელს ხალხს, აბხაზი მზათ არის მოიხმაროს ყველა ღონისძიება და ოღონდ კი ერთმა კაცმა მისცეს მაგალითი და მთელი ხალხი მიჰყვება. ყველა აბხაზები იმას ამბობენ: „ - ჩვენ მართალნი ვართ და ვთხოულობთ სამართალს და სიმართლეს!“ თუ კი ძალა იხმარე, ის ჩუმათ დაგემონება მაგრამ ნუ გგონიათ, რომ იმისმა სიჩუმემ მშვიდობიანათ ჩაიაროს: ის ყოველთვის ათას ნაირ სამაგიეროს გადახდას მოინდომებს მაგრამ, თუ ამგვარ შემთხვევაში მოეკიდე იმას ძმურათ, მშვიდობიანათ, ის საუკუნოთ შენი ყურ-მოჭრილი ყმაა.

თანაშემწემ შეატყობინა ყველაფერი, რაც აბხაზებისაგან ჰქონდა გაგონილი, თავის უფროსს, რომელიც თითონ მოვიდა 27 აპრილს ორასი ყაზახით და კულანაუხვის მცხოვრებელებს გადაახდევინა ჯარიმა 960 მანეთი და ლიხნელებს 1,000 მან., სულ 1,960. შემდეგ გამოაჩინეს დამნაშავეები 30 კაცამდინ. მაზრის უფროსის ამ გვარმა ქცევამ ძალიან ააღელვა აბხაზები, ჩანერგა მათში შიში და აგრძნობინა მათ, რომ იმ გვარი ქცევა არ ჩაივლის უყურადღებოთ და რომ რუსებს სრულებით არ დაუტოვებიათ ისინი თავისუფალათ, როგორც ადრე ეგონათ. ამ შემთხვევის ორი დღის შემდეგ მოვიდა ტიტო მარღანია და შეატყობინა მაზრის უფროსს, რომ ზღვაზე გამოჩნდნენ ოსმალოს ჯავშნიანი ხომალდები. 30 აპრილს, დილაზე, მოუახლოვდა აბხაზეთის კიდეებს ექვსი ოსმალოს ჯავშნიანი ხომალდი. ამ დროსვე მოვიდა აბხაზეთში ახლო სოფლიდამ დურიპშიდამ აბხაზელი აზნაური ჰუსსეინ ომერ იპა ლაკერბაი.

ეს კაცი შესანიშნავია. მთელს აბხაზეთში ის პატივცემული იყო და ხალხს იმის ნდობაც ჰქონდა. ყველა იმის სიტყვასა და რჩევას გავლენა ჰქონდა ხალხზე. ვინმე ყოფილიყო აბხაზეთში და არ შეევლო ჰუსსეინ ლაკერბაისთან, ძალიან დიდი შეცოდება იყო. იმისი სტუმართ-მოყვარე სახლი ყველასთვის ღია იყო. მას შემდეგ რაც იმან მიიღო ქრისტიანის სარწმუნოება, ის შეიქნა მორჩილი ყმა რუსის მართებლობისა და ძალიან ბევრსაც შველოდა რუსებს. ამას გარდა, თითქმის ამ პატივცემულ კაცის შემწეობით გავრცელდა აბხაზეთში ქრისტეს სარწმუნოება. როცა ლეკერბაიმ შეიტყო აბხაზების აღელვება და ოსმალოს ხომალდების გამოჩენა ზღვაზე, გულმა ვერ მოუთმინა, მიატოვა თავის ოჯახობა და გამოეჩქარა ლიხნაში და იქ მონახა მისთვის მინდობილი პირები, რომლის რიცხვში იყვნენ ქრისტიანის მღვდლები: დავით ახვლედიანი, ივანე გეგია და იერომონახი ბესარიონი.

გული მიკვდება, სთქვა ლაკერბაიმ, რომ ვხედამ აბხაზეთი იღუპება. ის საუკუნოთ დაიღუპება, თუ მაზრის უფროსმა არ გამოთხოვა სოხუმიდამ რაც შეიძლება მომეტებული ჯარი. აბხაზები მზათ არიან დამალონ თავიანთი სახლობა მთებში, რუსებს შეუერთდნენ და ეომონ მტერს; მაგრამ თუ მაზრის უფროსი დაგვტოვებს უყურადღებოთ, მაშინ ძალდატანებული ვიქნებით დავემორჩილოთ და შეუერთდეთ ოსმალებს.

ბევრი ამ გვარი აზრები იყო გამოთქმული ჰუსსეინ ლაკერბაის-ნაირ პირებისაგან; მაგრამ არავინ იცის - რატომ ეს ჰაზრები არ იყო ყურადღებაში მიღებული... როცა ლაკერბაია ამას ელაპარაკებოდა ხალხს, ამ დროს მივიდა შახან-ზვამბაია, წამოიყვანა ცალკე ჰუსეინი და უთხრა: ჩვენი საქმე ცუდათაა: ხომალდით მოვიდა დღეს უბზეკ მარღანია და თავისი ნათესავთან ხირიპსი მარღანიასთან ჩამოხდა. ხირიპსი მარღანია წარუდგინა ფაშას. ფაშამ რჩევა ჰკითხა - თუ როგორ უნდა მოიქცნენ. ხირიპსიმ უთხრა, რომ აბხაზებთან მოლაპარაკება და შემწეობის თხოვნა ძალიან ძნელია, რადგან მომეტებულ ნაწილს რუსების მხარე უჭირავთ და მცირე ნაწილს ეშინიან ყაზახებისა, რომელნიც ახლა იმყოფებიან ლიხნაში. ფაშა მოიგებს საქმეს, თუ ეხლავე უბრძანა, რომ გუდაუტს დაუწყონ სროლა. მაზრის უფროსი მიატოვებს გუდაუტს; ამ დროს უზბეკ მარღანია თავისი ამხანაგებით გამოუდგეს უფროსს და დახოცონ ყველანი. (დროება, N154, 1878 წელი);

ფელეტონი
ხალხის არეულობა აბხაზეთში
(გაგრძელება) *)

ამ გვარ რჩევაზე ფაშა დათანხმდა და შეუდგა ამ საქმეს. ჰუსეინი ძალიან შეწუხდა ამ გვარი ამბის შეტყობით. იმან სთხოვა თარჯიმანს ანტონ ინალ-იპას წასულიყო და შეეტყობინებინა ყველაფერი ჩვენი მთავრობისთვის და ერჩია, რომ შეეკრიბა ჩვენი მომხრე აბხაზები, ან თუ არა, რაც შეიძლება მალე მიეტოვებინა გუდაუტი, რომ თუ რამე მომხდარიყო ადრინდელ შემთხვევებსავით არ დაებრალებინათ აბხაზებისთვის რუსის მმართველობის კაცის მოკვლა. თარჯიმანმა ყველაფერი გარდასცა უფროსს; ის გამოვიდა ხალხთან და დაუწყო მას კითხვა - თუ ვისი გამოგზავნილი იყო ეს თარჯიმანი. ჩემი გამოგზავნილი, უპასუხა ჰუსეინმა, საშიშო მდგომარეობაში ვართ და რამე უნდა მოვახერხოთ.

ამ დროს უეცრად სოფელის ლიხნის მაედანზე დაეცა ოსმალოს ხომალდიდამ ნასროლი ერთი უშველებელი ყუმბარა და მეორე მხრით აბხაზები ყვიროდნენ, რომ „მოდიან ოსმალები და ჩერქეზები და უნდათ აბხაზეთი დაიმონავონო!“ მაზრის უფროსი თავისი ყაზახებით გამოემგზავრა ლიხნიდამ. ლაკერბაიმ გააცილა უფროსი და დაბრუნდა ხელმეორეთ ლიხნაში, სადაც ნახა უზბეკ მარღანია 25 ამხანაგებით. ჰუსეინი ცდილობდა მოეშალა ამათი მოაზრება, მიჰმართა უზბეკს და უთხრა:

- რა ეშმაკმა მოგიყვანა შენ აქ? რა უბედურება გინდა კიდევ მოახდინო შენ აქ? ცოტა ავაზაკობა და საძაგლობა მოახდინე შენ ჩვენში? ვერ გაძეხი ჩვენი სისხლით! ჩვენ უმისოთაც ვიღუპებით და გინდა, რომ შენც მოგვიჩქარო დაღუპვა?

- კეთილო ჰუსეინ, უპასუხა უზბეკმა, ნუ მიშლი, შენ ძალიან კარგად იცი, რომ აბხაზეთი ჩვენი იყო და გვინდა, რომ ადრინდელსავით ჩვენი გახდეს. ნუ დამიშლი, მე უნდა დავეწიო იმას, ვინც საჭიროა და დაუმტკიცო, რომ უზბეკ მარღანია კიდევ აბხაზეთშია!...

ამ გვარი ლაპარაკის შემდეგ ძნელი იყო ვისმეს შეეკავებინა უზბეკი. მაგრამ ცოტახანს შეიქცია ის და ამ გვართ მაზრის უფროსი გამოიხსნა სიკვდილისაგან. როცა გაათავეს ლაპარაკი, მოვიდა პოდპოლკოვნიკი ოსმალის ჯარისა ყამლატ მარღანია და უმადურობა გამოუცხადა

უზბეკს, რომ დაუჯერა ჰუსსეინს ტყუილი ლაპარაკი და უბრძანა ეხლავე გადასდგომოდა მაზრის უფროსს. გაედევნა კიდეც; მაგრამ როცა დაინახა ყაზახები და მეტათ აბხაზების მილიცია, გამობრუნდა უკან და უთხრა მარღანიას, რომ უფროსის მოკვლაზე მოხდებოდა შეტაკება აბხაზეთის მილიციასთან, რომლის წინააღმდეგ ვერც ერთი თოფის გასროლას ვერ გაბედავდა. ბიჭვინტის მაზრაში სოფ. ხვაპზი დიდი ხანია სცხოვრებდა აზნაური კაცია მარღანია, უზბეკის პაპა, რომელიც აღმოსავლეთ კავკასიის დამონავების წინათ დიდს შემწეობას აძლევდა რუსებს. ის უფროსობდა რამდონიმე ატრიადებს უბიხების და ჯიქეთის წინააღმდეგ (ეს ხალხი ეხლა აღარ არის) და თავისი მამაცობისთვის მიიღო ღენერალ-მაიორის ჩინი. კაცია მარღანია განთქმული იყო ოსმალეთში და უკანასკნელი მთავარი აბხაზეთისა მიხაილ შარვაშიძე ცდილობდა როგორმე შეემცირა იმისი გავლენა აფხაზებზე და ჩერქეზებზე. როცა კაცია ქაბიდამ დაბრუნდა, მალე მოკვდა და თავის შვილების ანდერძათ დაუგდო მორჩილი ყოფილიყვნენ რუსის მმართებლობისა და ხელმწიფისა. იმ დროს მომატებულ ნაწილ აბხაზის თავადებს ჩვეულებათ ჰქონდათ გაეგზავნათ თავიანთი ერთი შვილი სამეგრელოში, რომ იქ ქრისტიანობა მიეღოთ და ესწავლათ ქართული ენა.

კაციამ გაგზავნა სამეგრელოში ტიტო (დავით) მარღანია, რომელიც აქ მოინათლა, შეირთო ცოლათ მეგრელის ქალი და დაბრუნდა მამასთან. ამ ბოლო დროს ის იყო ჩვენს მილიციაში შტაბ-კაპიტნის ჩინით. მეორე შვილი კაცია მარღანიასი მოკვდა და დატოვა შესანიშნავი გმირი უზბეკ მარღანია, რომელზედაც ეჭვი ჰქონდათ აბხაზების აჯანყებისა და ამ ბოლოს დროს მოკლა მეგრელი ლოლუა, რომლის მიზეზითაც გადავიდა ოსმალეთში. მესამე შვილი კაციასი იყო კამლატ მარღანია.

შესახედავათ არაფერი შესანიშნავს არ წარმოადგენს უზბეკ მარღანია. ის აღტაცებაში მოვიდა თავისი ამხანაგების სიმარდით ქურდობაში და ავაზზაკობაში და შემდეგ თითონაც დაიწყო და ისეთი ნიჭი გამოიჩინა, რომ მათ მოთავეთაც შეეძლო ყოფილიყო. ბევრჯელ იყო ის ხოლმე დატუსაღებული, მაგრამ ყოველთვის ახერხებდა გაქცევას სატუსაღოდამ. ის იყო ძალიან მარჯვე მიხრამოხრაში და მეტათ სირბილში. ზოგიერთმა იმისმა თავგადადებულ მოქმედებამ ისე აამაღლა ის აბხაზების თვალში, რომ ყოველთვის დიდის სიამოვნებით და სიყვარულით იგონებდნენ მის სახელს აბხაზეთის და სამურზაყანოს სოფლებში. თავის მიზნის მისაღწევად ის არაფერს არ დახედავდა... მიატოვებდა ცოლს, შვილს და ყოველთვის აასრულებდა რასაც განიზრახავდა. უზბეკ მარღანია არ დახარბდებოდა არც სიმდიდრეს, არც ორდენებსა და ჩინებზე: ცდილობდა მხოლოთ შექმნილიყო ხალხის გმირათ.

კამლატ მარღანია სრულიათ სხვა კაცი იყო: სიმამაცესთან და მაგარ ხასიათთან ის იყო მჭევრ-მეტყველი. იყო თავ-მოყვარე და ამაყი კი; არ უყვარდა თავის თანასწორე. როცა აბხაზეთში რუსებმა დაიწყეს მიწების დაყოფა, ის თავისი ნებით გადავიდა ოსმალეთში. იმისი მიზანი ის იყო, რომ დაემონავა რამდენიმე სოფლები და თვითონ ყოფილიყო შიგ ბატონათ, რომ თავადიც და აზნაურიც მის უფლების ქვეშ ყოფილიყვნენ. კამლატ მარღანიამ იგრძნო, რომ მის უფლებას მიეღო ბოლო, გადავიდა ოსმალეთში და მის შემდეგ სცდილობდა სამაგიერო გადაეხადა აბხაზეთისთვის. იმან აასრულა თავის სიტყვა: სამაგიეროს გადახდის დროც აგერ მოვიდა. (დროება, N155, 1878 წელი);

ფელეტონი
ხალხის არეულობა აბხაზეთში
(დასასრული *)

5 აგვისტოს ჰუსსეინ ლაკერბაის მოუვიდა ფაშისაგან ბრძანება, რომ თავის ცოლით გამოცხადდეს იმასთან. ჰუსსეინმა ჯერ გაგზავნა თავის სახლში იერომონახი ბესსარიონი

და მღვდელი დავით ახვლედიანი, რომელნიც იმის მფარველობის ქვეშ იყვნენ; მერე ნახა რამდენიმე გავლენიანი პირი აბხაზთაგანი და ურჩია იმათ, რომ არამცა-და-არამც არ დათანხმებულიყვნენ ოსმალეთში გადასახლებაზედ; შემდეგ წავიდა ფაშასთან. მაგრამ ერთის მხრით ყამლატ მარღანიამ თავის ცბიერის ენით და მეორეს მხრით დაიარაღებულმა ოსმალოს ჯარმა ძალა-უნებურად შეაცდინეს აბხაზები. საცოდაობა იყო ხომალდზე გადაყვანილი აბხაზების ნახვა, რომელნიც ოსმალეთში მიჰყავდათ. ისინი ცხარე ცრემლით სტიროდნენ, ხელებს იშვერდნენ ზღვის ნაპირისკენ და ამნაირად ეთხოვებოდნენ თავის სამშობლო ქვეყანას... 7 აგვისტოს იერომონახმა ბესარიონმა, ლაკერბაის რჩევით, გაუგზავნა შოლკოვნიკოვს წიგნი, რომელშიაც ურჩევდა, რომ უეცრად დასცემოდა თავს ნაპირზე გამოსულ ოსმალოს ჯარს და თუ დაამარცხებთო, მაშინ მთელი აბხაზეთიც დამშვიდდებაო. საუბედუროთ, ეს წიგნი თავის დროზედ ვერ მიუტანეს შოლკოვნიკოვს. მეორე უბედურება აბხაზეთისათვის კიდევ ის იყო, რომ ეს ამბავი როგორღაც შეატყობინეს ფაშას, რომელმანც იმ წამსვე დააჭერინა ჰუსსეინ ლაკერბაი და იმის ცოლი და სანამ აბხაზეთის ნაპირს არ მოშორდა, დაჭერილი ჰყავდა ხომალდზე. ამის შემდეგ აბხაზები უხელმძღვანელოდ დარჩნენ. ამავე დროს ოსმალებმა დაატუსაღეს აგრეთვე იერომონახი ბესსარიონი და მღვდ. დავით ახვლედიანი, რომელთაც ზემო ხსენებული წიგნის დაწერაში მონაწილეობის მიღებას აბრალებდნენ. როცა ესენი მოიყვანეს ხომალდზე, ფაშამ ჯერ უთხრა ამათ საყვედური, რომ უმადურები ხართო, ხელი არ გახლეთო და თქვენ კი გვიღალატეთო, და მერე გამოუცხადა, რომ ამ ღალატისათვის თქვენ ორივე სიკვდილით უნდა იქნეთ დასჯილნი აქვე, გემზედაო. უკანასკნელი ლოცვისათვის ფაშამ მიცა ამათ ნახევარი საათი ვადა...

ჯავშნიან ხომალდზე ფაშასთან იყვნენ ბევრი ჩერქეზები და აფხაზები, რომელთაც 1864 და 1865 წელს მიატოვეს თავის ქვეყანა. ახლა ესენი იმიტომ მოვიდნენ აბხაზეთში, რომ ჰსურდათ ისევ ამ თავის სამშობლო ქვეყანაში დასახლებულიყვნენ. იმედი ჰქონდათ, რომ ოსმალები დაამარცხებდნენ რუსებს და ამ ნაირად დარჩებოდათ განთავისუფლებული თავის საყვარელი სამშობლო. რამდენი მაგალითი მომხდარა, რომ ოსმალეთში გადასახლებულ აბხაზებსა და ჩერქეზებს ვეღარ გაუძლიათ თავის ქვეყნის მოშორება, მიუტოვებიათ ცოლ-შვილი, მოსულან სოხუმში და უთხოვნიათ ჩვენი მთავრობისათვის, რომ ხელ-ახლად დასახლების ნება მოგვეცითო... ამისთანა ძლიერი სიყვარული აქვთ იმათ თავის სამშობლო მთებისა და მიწა-წყლისა!...

მოვიდა დრო დატუსაღებულის ორი მღვდლის დასჯისა. მაგრამ ამ დროს ხომალდზე მყოფ ჩერქეზებმა მოილაპარაკეს ერთმანეთში, რომ ამათ მოკვლას ჩვენ დაგვაბრალებენ რუსებიო, დავიხსნათ როგორმეო და გადასწყვიტეს სთხოვონ ფაშას იმათი პატიობა. თ. რეშიდ გეჩს მიანდეს ეს საქმე. ის მივიდა ფაშასთან და ყველა აბხაზების მხრით მოახსენა იმას:

ფაშა! თქვენ კარგათ ჰხედავთ, რომ აბხაზეთის სიცოცხლის უკანასკნელი ჟამი მოახლოვებულა. ღვთის განგებით ჩვენ მოკლებული ვართ ჩვენს სამშობლო მიწა-წყალს, და მხოლოთ ერთმა ღმერთმა იცის - რამდენი ტანჯვა გამოგვივლია ჩვენ მას აქეთ, რაც აბხაზეთიდამ წამოვსულვართ. ახლა იმედი აღარ გვაქვს, რომ ჩვენ წავართვათ რუსებს აბხაზეთი და ამ ნაირად ჩვენ გავაუბედურეთ ის ჩვენი მოძმე და მონათესავ ხალხიც, რომელიც აქ იყო დარჩენილი. თქვენ ამათი გადასახლება გნებავთ; მაგრამ შეხედეთ ამათ ტირილს, ამათ ცოლ-შვილის ვაებას! ნუ სჩადიხართ ამისთანა საქმეს. ახლა კიდევ ამ ორი მღვდლის დახვრეტას აპირებთ. ეს მძიმე პასუხისგებაა მთელი ქვეყნის წინაშე. ინგლისის გაზეთებში სწერდნენ, რომ რუსები ბარბაროსულად იქცევიან და ოსმალები კი, თუ არ ომი, ისე არავის ხელს არ ახლებენო. რას იტყვის ქვეყანა, როცა შეიტყობენ, რომ თქვენ დახვრიტეთ ორი უბრალო მღვდელი! ჯერ ივანე გეგიას მოკვლა, გვგონია, მუქთათ არ ჩაივლის და ორ ახალ მსხვერპლსაც უმატებთ! ესენი რუსის ქვეშევრდომნი არიან, რუსის პურ-მარილი უჭამიათ და რა დასაძრახისნი არიან, რომ თავის ქვეყანას გამარჯვებისათვის ცდილობენ?

ამ სიტყვის მოსმენის შემდეგ, ფაშა ერთ ხნას დაფიქრებული იყო და მერმე სთქვა: ვასრულებ თქვენს თხოვნას. სიკვდილისაგან განმითავისუფლებია ეს მღვდლები, ბათუმში კი წაიყვანეთ.

მაგრამ რამოდენიმე დღის შემდეგ ისინი გაუშვა ნაპირზე იმ პირობით, რომ სანამ ოსმალოს ხომალდები არ წავლენ აბხაზეთიდან, ფეხი არ მოიცვალონ. რაიცა შეეხება სხვა მღვდლებს, მოადგნენ თუ არა ოსმალები აბხაზეთს, იმ წამსვე თვითო აბხაზებმა დამალეს ისინი მთებში, სადაც არავითარი შიში არ იყო მტრისა. თითქმის ყველა აბხაზები, რომელიც ოსმალეთში წავიდნენ, ამბობდნენ, რომ ჩვენ ჩვენის ნებით არ მივდივართ, ძალათ მივყავართო და ამის გამო იმედი გვაქვსო, რომ რუსის მთავრობა სამხედრო ტყვეთ ჩაგვთვლი ჩვენ, და არა მოღალატედ და გაქცეულ პირობათაო. სულ, დაახლოვებით, 35,000 სულამდისინ გადასახლდნენ აბხაზები ოსმალეთში.

დასასრულ ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვა ჰუსსეინ ლაკერბაის ცოლზედ ჩიჩზედ (ეკატირინა) ანჩაბაძის ასულზედ. ჩიჩ შესანიშნავი ქალი იყო მთელს აბხაზეთში თავის სიმშვენიერით, პატიოსნებით, კეთილ-შობილი გულით, სტუმართ-მოყვარეობით და სხვა ყველა ღირსებით, რაც კი ქალს ამშვენებს. თავიდამვე, როდესაც აბხაზები და ჩერქეზები შემოვიდნენ აბხაზეთში, ჩიჩ ლაკერბაიას სახლის კარები მუდამ ღია იყო სტუმრებისათვის, რომელნიც, უნდა ვსთქვათ, ხან-და-ხან დამშეულებიც მოდიოდნენ იმასთან. ჩიჩ არაფერს არ ზოგავდა იმათთვის, რაც კი გააჩნდა. ყველანი, მტერნიც კი, პატივს სცემდენენ და ენდობოდნენ ჩიჩს. ყველა იმას გაუზიარებდა თავის საიდუმლოს, თავის დარდს, ბედსა და უბედურებას. რაც შესანიშნავი ან უბრალო რამ მოხდებოდა, პირველად ჩერქეზები და აბხაზები ჩიჩს ეუბნებოდნენ, არავითარ საიდუმლო საქმეს და გარემოებას არ უმალავდნენ იმას. ამ ნაირად ამათი სიტყვებიდამ აღმოსჩნდა შემდეგ, რომ ბევრი პირნი, რომელნიც სოხუმის და ინგურის ატრიადების უფროსებთან იყვნენ და ერთგულ პირებად ითვლებოდნენ, სრულებით არ იყვნენ ღირსნი მთავრობის დანდობისა: ამათგან ტყობულობდა თურმე ყოველთვის წინათვე მტერი, რაც კი რამ საიდუმლო განკარგულება და საქმე ხდებოდა ჩვენს ატრიადებში. ეს მოღალატე და მხოლოდ თავის კერძო სარგებლობისა და შურის მიმდევარი პირები რომ არ ყოფილიყვნენ, ჩერქეზები და აფხაზები თავის დღეში ვერ გაბედავდნენ ასე თამამად და დაურიდებლად მოქმედებას... /მაჭავარიანი/. (დროება, N157, 1878 წელი);

აბხაზები და აბხაზეთი

აბხაზეთი და საზოგადოთ მთელი ეს კავკასიის ნაპირი შავის ზღვისა ერთი მშვენიერთაგანი და უმდიდრესთაგანი კუნჭულია დედა-მიწისა. უხვ ბუნებას დაუზოგავად მოუფენია აქ თავის ყოველგვარი სიმდიდრე: თვალგადუწვდენელი საბალახე ადგილები, მთები ტყით მოფენილნი, მინდვრები, რომელზედაც პური, სიმინდი, ღომი, თამბაქო, მშვენიერი ღვინო და თვით ჩაის მცენარეც კი ხარობს. მშვენიერი ჰავა, მშვენიერი ნიადაგი, თვალთათვის საამო ბუნება და ადგილების მდებარეობა. მაგრამ რამდენათაც ეს ბუნება ბედნიერი და მდიდარია, იმდენათ ხალხი, რომელიც აქ ესახლა, ძველადგანვე იყო უბედური და ღარიბი. განათლების სხივი არ მოფენილა ამ ქვეყანაში: ჩერქეზები და აბხაზები, რომელნიც აქ ცხოვრობდნენ, მხოლოთ იმდენათ სარგებლობდნენ ამ თავის ქვეყნის სიმდიდრით, რომ შიმშილით არ მომკვდარიყვნენ. მოჰყავდათ ცოტაოდენი სიმინდი, ცოტა ქერი, ცოტა თამბაქო, ღვინო, ჰყავდა საქონელი და სხვა რაც მხოლოთ იმათთვის აუცილებლად საჭირო იყო. უმეცარი ხალხი არ ჰფიქრობდა იმაზე, რომ ესარგებლნათ ზღვით, ესარგებლნათ ამ მდიდარი ბუნებით, გაემართათ აღებ-მიცემა, ჰქონოდათ სხვა უფრო განათლებული ხალხებთან მისვლა-მოსვლა, კავშირი და ამნაირად თვითონაც დამდგარიყვნენ განათლებისა და მოქალაქობის გზაზედ. არ ჰფიქრობდა იმიტომ, რომ ისტორიული გარემოება ამ ხალხებისა

ისეთი იყო, რომ ამ გვარს საქმეებზე ზრუნვის ფიქრი ვერ შეეძლოთ. შორს წავა საქმე, რომ მოვყვეთ ახლა ჩვენ - როგორ იყვნენ ეს ისტორიული გარემოებანი, თუ რის გამო დარჩნენ ეს ჩინებული ხასიათის, შესანიშნავი ნიჭისა და ბუნებით უხვად დაჯილდოებული ხალხი თითქმის ბარბაროსებად, თუ რატომ შეძვრენ ისინი თავიანთ მთა-კლდეებში და ტყეებში და რა მიზეზით აცილდნენ მოქალაქობას, თუმცა ადვილად შეიძლებოდა ამათი რიგიანს გზაზე დაყენება, ამათი „მორჯულება“, როგორც ჩვენში იტყვიან... აბხაზებმა მიატოვეს თავიანთი ადგილ-მამული, თავიანთი მიწა-წყალი, მთა-ტყეები და ქოხები და გადასახლდნენ ოსმალეთში, სადაც დიდი უბედურება და ტანჯვის ცხოვრება მოელოდათ. 1864-1866 წლებში, როგორც მოგეხსენებათ და როგორც მაშინ წერდნენ, თითქმის 200,000 სულზე მეტი მარტო ჩერქეზები გადასახლდნენ ოსმალეთში. წელს ოფიციალურის ანგარიშით, უკანასკნელი 50,000 სულამდინ აბხაზები მოშორდნენ თავიანთ ქვეყანას და გადასახლდნენ აგრეთვე ოსმალეთში.

ამ დღეებში იბეჭდებოდა ჩვენს გაზეთში უფ. მაჭავარიანის სტატია, რომლიდამაც მკითხველი ცხადათ დაინახამდა - თუ როგორ, რა გარემოების დროს და რა ძალ-დატანებით მომხდარა აბხაზების გადასახლება ამ უკანასკნელ ომის განმავლობაში. მომეტებული ნაწილი აბხაზებისა, რომელიც ხომალდებზე წაიყვანეს ოსმალეთში გადასასახლებლად, სტიროდნენ, ბღაოდნენ, ხელებს თავიანთ სამშობლო ქვეყნისკენ იშვერდნენ და როცა გვეთხოვებოდნენ, ამბობდნენ: მოახსენეთ რუს მთავრობასაო, რომ ჩვენ ჩვენის ნებით არ მივდივართ, ძალად მივყევართ და ამის გამო მტრის ტყვეებათ ჩაგვეთვალონო და არა მოღალატეებათაო. უფ. მაჭავარიანი ამბობს, რომ ეს ხალხი იძულებული იყო მომხრობოდა ოსმალეთსაო, რადგან არ შეეძლო მტრისთვის წინააღმდეგობა გაეწიაო. უეჭველია, რომ ამ ხალხში რამოდენიმე პირი აღმოჩნდა, რომელთაც აბხაზეთის განთავისუფლების ჰაზრი უტრიალებდათ თავში და რომელთაც ამისთვის უღალატეს რუსებს. მაგრამ აგრეთვე უეჭველია, რომ მთელი ხალხი, მომეტებული ნაწილი აბხაზებისა ძალა-უნებურად მოემხრნენ ოსმალებს, რადგანც სხვა გზა და საშუალება არა ჰქონდათ - რა თავის საკუთარი თავისა და თავის ცოლ-შვილის დასაცველად. თუ ეს ასეა, მაშ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი მთავრობა არ დაუშლის და ნება-რთვას მისცემს ყველა აბხაზებს, რომელნიც ხელ-ახლად თავის ქვეყანაში დაბრუნებასა და დასახლებას მოინდომებენ. კაცთ-მოყვარების გრძნობის გარდა ამას მოითხოვს სამართლიანობაც და თვით სარგებლობაც, რადგან უეჭველია, რომ იმ გვარი ხალხები, როგორც ჩერქეზები და აბხაზები, უკეთესია მეგობრად ჰყავდეს კაცს, ვინმე მტრად. /ს. მ./ (დროება, N158, 1878 წელი);

„დროების“ კორრესპონდენცია

სამურზაყანო, 15 აგვისტოს. უცხო კაცი რომ რამდენიმე ხანს დაჰყოფს გაუცნობელ ადგილზედ, ძალა უნებურად შენიშნავს რაიმე ნაირ ხალხის ჩვეულებას. მით უმეტეს აქ, სამურზაყანოში, სადაც კაცი ყოველ-წუთში შეხვდება ხალხის ცრუ-მორწმუნეობას. დადგა თუ არა აგვისტოს თვე, ხალხი ძალიან ეჭვში შევიდა, უთუოდ „ეშმაკები“ (დედაბრები. როგორც აქვთ წარმოდგენილი აქაურებს) შეგვჭამენ ცოცხლათო და მასთან რაც მოგვეძევა, სულ ყველაფერი დაგვეღუპაო. მიხვალ თუ არა ვისმეს ოჯახში, ნახავთ დიდ ჯოხს, საჟენზედ უმაღლესს სახლის წინ დასობილს. ეს ჯოხი არის მწარე ტყავიანი ხეებისა. თავი აქვს ზევით ჯვარის სახედ გაპობილი და იმაში არის ჩაწყობილი პატარა ქვები, მასთან წამოცმულია მწარე გოგრა, მისთვის რომ „ეშმაკები ყოველ ღამე დადიანო და როცა მოვლენ, წინა პირველად ამას ეტანებიანო, მწარე გოგრას და ქვას ვერაფერს უზამენო და უკან დაბრუნდებიანო“ -ამნაირი აზრისანი არიან აქაურები. ყველა მკითხველებმა კარგათ იციან, რომ სამურზაყანო თავისი მდებარეობით ცხელი ქვეყანაა და მის გამო გახშირებულია ციებ-ცხელება, უფრო

აგვისტოს თვეში. ხალხი კი ამტკიცებს „ეშმაკებმა“ შეჭამესო და სხვა... ნაცვლად სხვა და სხვა საშუალებისა, წამლებისა, მიდიან ბებერ დედაკაცებთან*. 70 წლის დედაბერი გამოიტანს ლობიოს და მით ეუბნება ავათმყოფის ჭირის-უფალს სალოცავები გიწყრებიანო. უბედურები ხოცავენო ძროხებს, ერთი „საღორონთო“ (ღმერთს) მეორე ანგელოზს და მესამე „ჟინის“ (ზევითურ ეშმაკებს) და სხვ... მაგრამ მაინც უწამლობით კვდებიან ავათმყოფები.

სამურზაყანლებს ძრიელ უხაროდათ წარსული ომიანობა და ეხლაც რო მოხდებოდეს არ ეწყინებათ, უფრო თავად-აზნაურებს. ერთ კაცს ვეღარ ნახავთ, რომ ჯვრები, ოქროს და ვერცხლის მენდლები არ ეკიდოს, მაგრამ სამსახურის დროზედ მილიციონერებს ბევრი ფულები დაკლებიათ თავიანთ დანიშნული ჯამაგირისაგან, უფრო გლეხებს. ამ ფულების თაობაზედ მოხდა საჩივარი და გამოძიება მოახდინა პალატისაგან დანიშნულმა პირმა, რომელმაც დაიბარა ყველა სამურზაყანლები გამოსაკითხავად. როცა საჩივრებს დაუწყეს დამზადება, ჯარების უფროსებმა გამოაცხადეს გაზეთში რომ ოცი ათასი მანეთი ბანკში შევიტანეთო, მაგრამ, საუბედუროდ, გლეხებს სრულიად არ გაეგებათ, რა არის „ბანკი“; ვისაც რამე გაეგება, ისინი ყვირიან, რომ ქუთაისის ბანკზე არის გაზეთებში ერთი დავიდარაბაო, თორემ ჩვენი ბანკის გარემოებები ჰაერზედ უნდა ეკიდოს და კიდეც ელიან ფულების დაბრუნებას გამოძიების შემდეგ.

აბხაზეთში ყველა შკოლები დაიხურა, რადგანაც ხალხი გარდაცვინდა სათათრეთში. სამურზაყანოში არის სულ ხუთი შკოლა: ოქუმის შკოლა კარგ მდგომარეობაში იყო ყოველნაირად, სანამ აქ იყო მასწავლებლათ უ. იოსელიანი, ყმაწვილები ასრულებდნენ კარგათ კურს და შედიოდნენ სხვა და სხვა სასწავლებლებში, უფრო სუხუმში, ეხლა კი დაიხურა ამისთანა კარგი სასწავლებელი ომის გამოცხადების შემდეგ, თუმცაღა დიდი შიში არ იყო და კარგათ შეიძლებოდა სწავლის გაგრძელება, მაგრამ შკოლის სახლი სასამართლოების სახლებად აქციეს. რაც შეეხება აქაური შკოლების ზედამხედველობას, მგონი აქ რევიზორი აღარ ყოფილა შკოლების დასახედავად აგერ მეორე წელიწადი გადის. სამურზაყანოს ხალხი დიდათ არაფრით განირჩევა მეგრელებისაგან, რომელთაც გაახშირეს შკოლები თავიან მხარეზედ და აქაურებს არაფერი ეხარჯებათ, მხოლოდ ბავშვებს გამოგზავნიან ხოლმე. /N-ნია/. (დროება, N181, 1878 წელი);

დღიური

გამოვიდა უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც ქუთაისის გუბერნიაში, სოხუმისა და შავი ზღვის ნაპირების მაზრაში და აგრეთვე ალექსანდრაპოლის, ახალციხის, ახალქალაქისა და სურმალინის მაზრებში ამ ენკენისთვის პირველიდამ მოისპობა სამხედრო მდგომარეობა და დაწესდება ისეთივე სამოქალაქო წყობილობა, როგორიც ომის გამოცხადებამდინ იყო. (დროება, N186, 1878 წელი);

ოქუმი, 31 აგვისტოს

„დროების“ N145 დაბეჭდილია ოქუმიდან მიღებული კორრესპონდენცია, სადაცა არის გამოყვანილი, სხვათა შორის, განცხადება, რომ კონტროლიორი (გამომძიებელი) მისულა ოქუმში, უნახავს პოლკის კანცელარია და წასულა. ეს საქმე მოხდა 7 და 8 ივლისს. მას აქეთ ხალხსა, ესე იგი მომჩივნებსა აჯავრებდნენ კანცელარიას შემწეები, რომ ვითომ მომჩივნებსა არავინ ყურადღებასა არ აძლევენო.. ეხლა დიდი ხანი არ არის მას უკანა, რომ მისულა

სამურზაყანოს პოლკის კამანდირი თ. ჭავჭავაძე ოქუმში და უთქვამს მომჩივნებისათვინ, რომ მათ საჩივარმა არ იწარმოვა. ამით უნდა შეეტყო მომჩივნების ჰაზრი, მაგრამ მათ უპასუხეს: „ჩვენ განგვიცხადებია ის, რაც მივიღეთ ომის დროში; არც მოუკლეთ და არც მოუმატეთ მასაო, აქანე ვისაც სიმართლე აქვს, ის მართლათ დარჩებაო და მტყუვანიც გამოჩნდებაო.“

19 ივნისში (1878) კიდევ მოვიდა კონტროლიორი ოქუმში, თან მოიყვანა ერთი ჩინოვნიკი და თითქმის პირველ აგვისტომდინ აქ იყო განრჩევაში და განკითხვაში, მილიციონერად ვინც ყოფილა სამურზაყანელები ყველა მოუწოდებია და ყველასათვინ თითოეულად უკითხამს: რას აძლევდნენ? ბოლოს გამოუცხადა ხალხს, რომ რაც უწარმოებია ანუ განურჩევია ამ საქმისა, მალე მოგივათ თქვენთვინ სამხიარულო ანბავიო. აგერ ერთი თვე გავიდა და მეორე დაიწყო მას აქეთ, რაც იყო გამოძიება და განკითხვა, და მომჩივნებმა არ იციან: მათი საქმე წარმოებს თუ არა. მომჩივნებს უკითხავთ უფალ აფხაზეთის უმფროსისთვის და იმას მიუცია ნუგეში და უთქვამს, მალე შეიტყობთ ანბავსაო.

30 აგვისტოს დაითხოვა აფხაზეთის უმფროსმა ექვსი სოტნა სამურზაყანელების პოლკის; სამურზაყანელებს კი ეგონათ რომ ისინი იქნება საშუალოთ. ბევრმა იფიქრა, რომ საჩივრის გამო არის დაშლილი სამურზაყანელი პოლკი, მაგრამ აუხსნენ რომ ომი გათავდაო და უბრალო ჯარი რათ უნდოდა ხელმწიფესაო.

ოქუმელი მოვაჭრეები გულ-ნაკლულათ არიან, რადგან ესმისთ, რომ მალე სოხუმი გაიხსნებაო და მაშვინ ოქუმში ნაკლებათ იქნება ვაჭრობაო. სოფლათ მცხოვრებნი სამურზაყანელები ძალიან მხიარულობენ, რო ომი გათავდა და ქვეყანა დაწყნარდა; მაგრამ ამბობენ, რომ ძლიერი ქურდობა ატყდებაო რადგან ახალგაზდა ყმაწვილები დაეჩვიენ უსაქმობას და ცხენით დატარებასა და ორი წელიწადია, რომ არ უმუშავიათ და დაავიწყდათ სოფლის მუშაობაო. არ იციან - რა საშუალება იხმარონ, რომ ქურდობა მოისპოს. უნდა მოგახსენოთ, რომ ქურდი და ავაზაკი არიან პირველი მეგობრები ზოგიერთი მოთავე და გამოჩენილი თავადებისა... /ეჭიკი/. (დროება, N186, 1878 წელი);

***

როგორც ჩვენი ოფიციალური გაზეთი „კავკაზი“ გვაცნობებს, ბათუმში მხოლოთ ახლა გახსნილა ფოჩტის კანტორა; იგივე კანტორა გაუხსნიათ აგრეთვე სოხუმშიაც, სადაც ომიანობის გამო, სხვათა შორის, ფოჩტაც დაკეტილი იყო. (დროება, N214, 1878 წელი);

დღიური

გაზეთ „კავკაზში“ დაბეჭდილია ოფიციალური ცნობა, რომ ქალაქი სოხუმი და იმის არე-მარე ამ ჟამად იმდენათ გაასუფთავესო, რომ იქ დასახლება საშიში აღარ არისო. სოხუმში უკვე გადაუტანიათ ზოგიერთი სახელმწიფო დაწესებაები, როგორც მაგალითად სოხუმის გამგებლის კანცელარია, ფოჩტა, ტელეგრაფი და სხვ. (დროება, N219, 1878 წელი);

„დროების“ კორრესპონდენცია

მაჭახელა, 8 ნოემბერს. დღეს წავიკითხე აქ „დროების“ N199-ში ბათუმიდამ გაგზავნილი კორრესპონდენცია, რომელშიაც გაკვრით არის დაწერილი აფხაზებზედ: „მათზე უსაცოდავესს ვერას ნახავს კაცი: უსახლკაროთ, მშიერი, მწყურვალი ყრიან უმოწყალოთ ცოლ-შვილითო! უნდა მოგახსენოთ, რომ ბათუმი შემაძულა მე მათმა ყურებამ და მადლობა ღმერთს, რომ მოვშორდი და მაჭახელას მთაში ნადირივით გამოვიცქირები... ამ ოთხი

საუკუნეს განმავლობაში, მგონი პირველია ქრისტიანის ფეხის დადგმა ჩვენი აქ; მაჭახელები მეუბნებიან, რომ „თამარ-დედოფლის შემდეგ პირველი ქალი ჩვენ მემლექეთში (ქვეყანაში) დადის ახლა თქვენი ხანუმიო“ (ქალბატონი). მაჭახელა სრულიად უცნობი არის ჩვენი ქვეყნისთვის და თითქმის მთელი ევროპისთვისაც. ქარტაში მაჭახელას ადგილი ჯერ კიდევ ცარიელი ადგილია, სადაც სხვა გარეშემო ქვეყნები ცოტა მაინც გაცნობილია და აწერილია.

მაჭახელა არ ჰგავს არც ქობულეთს, არც აჭარას, არც შავშეთს, არც მარადიდს, არც ჯანეთს და არც ლივანას. როგორც ხასიათით, ისე ადგილის მდებარეობით და ისტორიული ცხოვრებით ის განსხვავდება ამ ქვეყნებისაგან; განსხვავდება და შეადგენს სრულიად განსაკუთრებულ ხალხს, და საინტერესოსაც მრავალს-ვიპოვნით მათ ცხოვრებაში. ამბობენ, რომ ეს ქვეყანა იყო თამარ მეფის რეზიდენცია გაჭირვების დროსო. ამისათვის, შეძლების და-გვარათ, ვეცდებით წარსული და აწმყო ცხოვრების ამბავი, გაცნობოთ. ეხლა ისევ აფხაზებს დაუბრუნდეთ:

ყოველ დილაზე გაივლიდით თუ არა ბათუმში, გუბერნატორის კარების წინ, ნახავდით ქალებს და ბოვშებს, რომლებიც შიმშილისაგან დაყვითლებულები იხვეწებიან „გაგვიშვით! გაგვიშვით აფხაზეთში!“ გუბერნატორი ურიგებს ფულს რამდენიც შეუძლია, ხან ნახავდით პოლიციის წინ მინდორს სავსეს აფხაზებით და შებღავიან ამას. უფ. ბათუმის პოლიცმეისტერი ჟურულიც სხვა-და-სხვა საშუალებას ხმარობდა მათ-და-სასარგებლოთ, ხან დაინახავდა ვისმე აფიცერი, შეეხვეწებოდა, რადგანაც ქალაქში თავისუფალი აფთექი არ არის და სახელმწიფო აფთიექიდან მხოლოდ აფიცრებს აძლევენ მუქთა წამალს, იმ აფიცრის სახელზე ქინაქინას გამოიწერდა და ავათმყოფ აფხაზებს ასმევდა. ხან რას და ხან რას. ერთ დღეს გავიარე უფ. პოლიცმეისტერი დამდგარა პოლიციის წინ და ვინც გამოივლის, შეძლების-და-გვარად მოსთხოვდა ფულს, ერთი სამი მანეთი მასესხეო და რომ მიცემდი, გეტყოდა: ამ აფხაზებს მოსთხოვეო! ამ ნაირათ იმ დღეს თხუთმეტ თუმნამდი შეკრიბა, იყიდა პური და გააძღო ჯერ მშიერი ხალხი და შემდეგ დაურიგა ფულები. ეხლა მიამბეს აქ, მაჭახელაში, რომ ვითომ აფხაზებს ნება მოსვლოდესთ აბხაზეთში დაბრუნებისა და გაეგზავნოთ ბათუმიდამ ბევრი ქვრივ-ობოლი აფხაზები სუხუმში. მადლობა ღმერთს!

მე მითხრეს, რომ მაჭახელაში აქვს ერთს კაცს არაბულ ენაზედ დაწერილი თამარ-მეფის ცხოვრებაო. ვეცდები ის წიგნი ჩავიგდო ხელში და ვათარგმნინო ყადს ან მოლას და სულ თუ არა, შინაარსი მაინც ამ წიგნისა გავაცნო თქვენი გაზეთის მკითხველებს. /თ. დ. წ./. (დროება, N237, 1878 წელი);

1978 წელი

გაზეთი ,,ივერია''

***

სტრაბონის კოლხიდა იწყებოდა, როგორც ვთქვით, ტრაპიზონიდამ. იმისი ნიადაგი დაბლობებში ყოფილა ქვიშიანი და ნოტიო. კოლხიდას რწყავდა დიდი მდინარე ფაზი (რიონი), რომელსაც უერთებოდნენ მთებიდამ ჩამომდინარე ჰიპპუსი (ცხენის-წყალი) და გლავკუსი (რიონივე სათავიდამ ქუთაისამდე). აქ მრავალი თურმე იყო ყოველ-გვარი ჩინებულის თვისების საკვები, ხე-ხილი და აგრეთვე მომწარე თაფლი, რომელიც ათრობდა კიდეც თურმე. კოლხიდაში უხვად იზრდებოდა შენობის ხე-ტყე, სელი, კანაფი, წმინდა სანთელი და ფისი.

განთქმული თურმე იყო იქაური ტილო, რომელსაც კოლხიდელნი თვითონვე აკეთებდნენ და რომელიც იმათ შორეულ ქვეყნებში გაჰქონდათ. „ეს აქვთო საბუთად ზოგიერთ მწერლებს როდესაც იგინი ამტკიცებენო კოლხიდელების ერთ-ტომობას ეგვიპტელებთან.“ „თვით მიტები გვიამბობენო მოგზაურობას იაზონისას და იაზონზე უწინ ფრიქსის გამხედრებას კოლხიდაში და თუ ჩვენ წარმოვიდგენთო კოლხიდის მდიდარ მადნებს, ოქროსას, ვერცხლისას და რკინისას, მაშინ მიხვდებითო, თუ რა მნიშვნელობა უნდა მივაწეროთო არგონავტების შესვლას კოლხიდაში.“ „კოლხიდელ მეფეებს დაუყვიათო ეს მხარე მრავალ მებატონეებთა შორის (skeptoukhies) და ამ გვარად თავისი ძალა შეუსუსტებიათო.“

კოლხიდაში უმთავრეს ადგილებად ირიცხებოდნენ დიოსკურია და ფაზისი. დიოსკურია იყო ზღვის ყურე და მდებარებდა პონტის პირზე. დიოსკურიამდე ვრცელდებოდა ზღვით მსვლელობა. ჩვენ დროს გეოგრაფიული მდებარე იმისი დაჭეშმარიტებით არ იციან. როტტიერი, ვიხვალდი და დიუბუა იმას ეძებენ მდინარე კოდორის მახლობლად, იქ, სადაც ახლა არის ნავ-სადგური ისკურია ანუ ცხუზამელა თუ მარმარა; გამბა კი უჩვენებს ახლანდელს სუხუმში. დისკურიას ძველად რქმევია აგრეთვე სებასტოპოლი 29). დიოსკურია ითვლებოდა იმ რესპუბლიკის მეტროპოლიად ანუ დედა-ქალაქად, რომელიც ყოფილა მოფენილი კოდორის მდინარიდამ ინგურის მდინარემდე. დიოსკურიის გარდა აქ სხვა კოლონიებიც იყო: გვენოსი ან ტკვანოსი მარკურაზე, ილორი ბედია, ჰერაკლეა ანუ ანაკლია. ამ კოლონიების სააღებ-მიცემო გზა კავკაზში მისდევდა მდინარე კოდორს და ტებერდის ქედით ჩადიოდა მარუხისა და ზელენჩუხის ხეობაებში, აქედამ ჰიპანის მდინარეზე ანუ ყუბანზე. ეს უძველესი გზა, რომლითაც ელლინებს შეჰქონდათ ჩრდილო მხარებში განათლება და ვაჭრობა, ახლაც მოფენილია ძველის ნანგრევებით 30). „სჩანს, ამბობს დიუბუა, დიოსკურიას კაი-ხანი დაუცვია თავისი შემძლეობა და გავლენა; ამას გვიმტკიცებს ქართლის-ცხოვრების თქმულება. როდესაც ფარნაოზ მეფემ 299 წ. აზონი განდევნა საქართველოდამ და მთელი მხარე დაიპყრა, მაშინ იმან ვერ შესძლო დაჭერა ინგურისა, ესე იგი იმ მხარისა, რომელიც ფაზით კოდორამდე მდებარებდა და რომელიც დარჩა ბერძნებისავე მფლობელობაში“. 31). რა მტკიცედ ყოფილან დამყარებულნი ამ მხარეში ელლინნი ამას ჰმოწმობს ზოგიერთი ბერძნული მანათები, რომელნიც, როგორც ამტკიცებენ, თვით კოლხიდაშივე იჭედებოდნენ. ორს ამ გვარ მანათებზე წარწერილია ბერძნულად: „კოლხიდა, დიოსკურია“ 32). ამასვე ჰმოწმობს მრავალი ძველი ნაშთი: მთელი აფხაზეთი, სამეგრელო, იმერეთი და გურია ახლაც სავსეა სასახლეებისა და ციხე-სიმაგრეების ნანგრევებით; იმათში შესანიშნავია ერთი ვრცელი ქვით-კირის ზღუდე, რომელიც იწყობა ზღვის პირად, მახლობლად სუხუმისა, ახლანდელს კელასურში, მიემართება კოდორის მხრივ, აფხაზეთის შუაგულში ჰზღუდავს ზემო-ხეობაებს მარკულისას და გალიზგისას და გადადის ბედიის ზემოდ. იმისი სიგძე, როგორც ამბობენ, 160 ვერსამდე ყოფილა. ადგილ-ადგილ იმას აქვს კოშკები. ქრისტეს შემდეგ მე-II საუკ. ამ ზღუდეს პტოლომე უწოდს Karteron teikhos - „მაგარ კედლად.“ მე-VI საუკ. სტეფანე ბიზანტიელი იმას იხსენიებს კორაქსიელების ზღუდედ, როდის უნდა იყოს ის აშენებული არ ვიცით. მაგრამ უეჭველია, ის აუშენებიათ ელლინებს კავკაზიელთ შესაკავებლად. 33). დიოსკურია, როგორც მოვიხსენეთ, იყო სააღებ-მიცემო ცენტრი ყველა გარეშემო ტომთათვის. იმათ შორის, რომელნიც აქ ჩამოიკრიბებოდნენ, ცნობილნი იყვნენ სოანნი ანუ სვანნი, რომელნიც ვრცელდებოდნენ დიოსკურიის მაღლობებამდე და მუქარით დასცქეროდნენ დიოსკურიას თავისი მთებიდამ. 30) Dubois, Voyage, 1, 321-326- Lebeau, Hist du B-E, X, 69-71. 31) Dubois, Voyage, 1, 308-309.-Brosset, Histoire de la Georgie, 1, 40. 32) Langlais, Essai de classification des suites monetaires de la Georgie, Paris, 1850, p. 13. 33) Dubois, Voyage, 1, 309-312. (ივერია, N4, 1878 წელი);

***

არა ეშველა რა ამ მშიერ-მწყურვალე სოხუმიდამ გადმოსულს ბერძნებსა. ისევ ისე მშიერ-

მწყურვალედ, ისევ ისე უნუგეშოდ არიან ეს ყველასაგან დავიწყებულები. ახლა ამას მოემატა წრევანდელი ზამთრის სუსხიც - ამაზე მეტი შეწუხება იქმნება? ბევრი თხოვნაც გაისტუმრეს, ბევრი ტელეგრამმებიც გაგზავნეს, მაგრამ ყურის მგდებელი არავინ გამოვიდა. ცოდო და სირცხვილია, ღმერთს გეფიცებით, რომ ამისთანა განათლებულ საუკუნეში გვერდით მშიერ-მწყურვალე და სიცივით დამზრალ-წვალებულნი ასობით ადამიანები იტანჯებოდნენ და მიმხედავი არავინ იყოს... (ივერია, N6, 1878 წელი);

1879 წელი

გაზეთი ,,დროება''

***

დიდს ქველმოქმედების განზრახვას როგორ შეხვდა ჩვენი სისხლ-მჩქეფარე, გულ-ამაყი მხედრობა? კოკობ ულვაშებიანი და გრძელ დეზებიანი აფიცრები კიდეცა სწუხდენ, რომ იმათს გმირულს მემსხვერპლეობას და ვაჟკაცის გულს აქეთ, ამ მოშორებულს აღმოსავლეთისაკენ არცკი ექნებოდა თავის გამოჩენის შემთხვევა. ისინი სწუხდენ, ვაი თუ გმირული მხარბეჭის და მკერდის დამშვენება ფერად-ფერადს აბრეშუმის ლენტებზე ჩამოკიდებულ ლამაზის ჯვრებით არ გვეღირსოსო. თავდაპირველად ყველანი დიდ ფაცა ფუცში იყვენ, რომ როგორმე დუნაის არმიაში გადასულიყვნენ და ერთი ორი თვის შემდეგ სახელ-განთქმული, ჩინებ-მოგებული და ჯიბე-გასქელებული სტამბოლიდან ზღვით დაბრუნებულიყვენ თავის ქვეყანაში. ბევრს არც კი სჯეროდა თუ ომი ბალკანის ქვეყნებს აქეთ გადმოაბიჯებდა. ერთმა გორელმა ბატარეის კამანდირმა სთქვა: ორი პოლკი მომეცით ამ ჩემს ბატარეიასთანო და სამს კვირაზე მთელს მცირე აზიას ხელში ჩაგაბარებთო. უფრო განათლებული ჩვენი მხედრობის კაცები, თუმცა ორი პოლკის მაგიერათ, ორს დივიზიას ასახელებდენ; მაგრამ მაგიერათ ისინი დაჯერებით გვარწმუნებდენ, რომ ამ ძალით მესამე კვირას უსათუოდ ბოსფორის სორეტის ნაპირზე, სტამბოლის პირ-და-პირ ბინას დავსცემთო. ჩვენს მხედრობას, ჩვენს კავკასიის რუსულ პრესსას აღმოსავლეთის ომი „მარშის“ თამაშათ ჰქონდა წარმოდგენილი, რადგან იყო დრო, რომ ოსმალეთის ჯარებს ჩვენი სახელგანთქმული ღენერლები: ბუბუთოვი, ანდრონიკოვი თითქმის მათრახების ცემით წინ მიათრევდნენ როგორც ცხვრების ჯოგებსა.

მას აქეთ ეს აზრი არ შეცვლიათ ჩვენს მოწინავე მხედრობის კაცებს. იმათ ოსმალეთის ჯარი რაღაც არეულ-დარეულ ურდოთ ჰქონდათ წარმოდგენილი. იმათის აზრით ერთი ორიოდეს ზარბაზნის დაცლა და ორიოდე შუბის გვერდებში წაქნევა საკმაო იყო, რომ ოსმალების ურდოები გაფანტულიყვენ ქარის ატანილ მტვერსავით. ბრძოლა გაიმართა. ჩვენ შევხვდით ოსმალოს სალდათს ახალი თოფით შეიარაღებულს, ახალს წესზე გამოწყობილს; ის არ იმალებოდა, ის იბრძოდა თავგანწირულათ, რაზმში თავის ადგილი და რიგი იცოდა, დისციპლინას კარგათ ხმარობდა. იმათ გამოუჩნდათ არამცთუ შორს და ჩქარი მსროლი თოფები, შორს და ჩქარი მსროლი ზარბაზნებიცა. იმათი მეზარბაზნე სამი ოთხი ვერსის სიშორეზე ისე იღებდა ნიშანს, როგორც კარგი თოფი. ოსმალოს ზარბაზნის ტყვიამ ბევრჯელ შეახეთქა ტუჩები ჩვენს ზარბაზნებსა. ოსმალეთმა წამოაყენა წინ ისეთი ღენერლებიც, რომ სტრატეღია და ტაქტიკა ჩინებულათ ესოდათ. შესანიშნავი საქმე მოხდა. იმათს საუკუნესო მხედართ მთავარს ოსმან-ფაშას, რომელმაც მთელ ევროპაში თავი ისახელა, ფრანციოზულიც კარგათა სცოდნია. ეს ოსმან-ფაშა გვარით ლაზი ყოფილა, ერთი

ღარიბი მოლლის შვილი ტოკატის ქალაქიდან, რომელიც მდებარეობს იშილირმაკის, ან ძველებურ ალაცონის მდინარეზე ძველებურ კესარია კაპპადოკიის ქალაქის მახლობელათ. ეს გამოჩენილი ჭანი გაზდილია მხოლოდ უმაღლეს სამხედრო ოსმალოს შკოლაში, სტამბოლს, არაბულს და ოსმალურს ენაზე. დღეს იმის მოგერებითი ბრძოლის რიგი მთელს ევროპის მხედრობას წინ უძევს მაგალითად. ომის განმავლობაში ჩვენი მაღალი განათლების მხედრები ოსმალოს მხედართ-მთავრებს უგნურებს ეძახდნენ. მუხტარ-ფაშას ზივინის ბრძოლის შემდეგ და დერვიშ-ფაშას ციხის-ძირის ბრძოლის შემდეგ შეეძლოთ წინ წასულიყვნენ და რომ იმათ ცოტაოდენი გამბედაობა და თავში ტვინი ჰქონოდათო, სწრაფი წინ წამოწევით დიდს გაჭირვებში ჩააგდებდნენ ჩვენს მხედრობის ზალასო, რადგან ჩვენი ჯარები ბევრათ ნაკლები იყვენ იმათ ჯარებზე შედარებითო და ძალა-უნებურათ უკან უნდა დაგვეხიაო. მაგრამ ბოლოს გამოჩნდა, რომ ოსმალებს ჩვენზე ბევრათ მომეტებული ჯარები მცირე აზიაში არასოდეს არ ჰყოლიათ და სამხედრო სამზადისის გადასატანი მოწყობილობა კი სულაც არ ჰქონიათ: არც ფურგონები, არც პოვოზკეპი და არც ცხენები ჰყოლიათ, ასე რომ ჯარს უკან გამყოლი არტილლერია, მინდვრის ზარბაზნები, ძალა-უნებურათ საციხო ზარბაზნებათ ჰხდებოდენ; საცა ოსმალოს ჯარი ბინას დასცემდა, იქ იმას მიწის სანგლებით უნდა შემოეზღუდა თავის ბანაკი, თავის ზურგით უნდა მიეტანა დიდ-დიდი ზარბაზნები და მიწის სიმაგრეებზე გადმოეწყო. ამისთანა მდგომარეობაში ჩაყენებული ოსმალოს მხედრობა ვერც სწრაფად წავიდოდა წინ და ვერც უკან დაიწევდა საჩქაროთ დამარცხების შემდეგ. საკმაო იყო ჩვენს ჯარს იმათზე სადმე გაემარჯვებინა, რომ ხარ-კამეჩით მოთრეული იმისი არტილლერია და მთელი სამხედრო სამზადისი ბრძოლის ველზე დარჩენილ იყო. ამისთანა გარემოებაში ჩაყენებული ოსმალოს მხედართ-მთავრები ძალა უნებურათ ადგილობრივ უნდა ყოფილიყვენ მიწის სანგლებში ჩასაფრებული.

აქედან ცხადათ დავინახეთ, რომ ჩვენ როგორც გვეგონა, ისეთი ველური ურდოები არ ყოფილან ოსმალოს ჯარები. იმათ სალდათს ცოდნია დისციპლინა და ევროპული თოფის ხმარება, იმათს მხედართ-მთავრებს უდევნებიათ თვალ-ყური ევროპის სწავლა-განათლებაზე, გულდასმით უსწავლიათ ევროპული სამხედრო წესი და სამხედრო მეცნიერება. მართლაც და ძალიან გამაგრდენ ოსმალები; როგორც გვეგონა, ისე ადვილათ ვეღარ დავრიეთ ხელი, ვერ გამოვდენეთ ისინი მიწის სანგლებიდან, ძალიან გაგვიჭირდა იმათი გატეხა. ორი თვის მაგიერათ ერთს წელზე მეტი გაგრძელდა იმათთან ბრძოლა. ბევრი სისხლი დავღვარეთ ამ ბრძოლაში, ბევრი ხარჯი გავსწიეთ, ბევრი სახელ-განთქმული საქართველოს წარჩინებული ვაჟკაცი დაეცა უდროოთ ბრძოლის ველზე. დღესაც არ შეგვშრობია თვალზე ცრემლი ილია ჩოლოყაშვილის, ტერიევის, სვიმონ მიქელაძის და სხვების გულისათვის, დღესაც გლოვის ზარით გვიწივის ყურები ჩვენი სამშობლოს საუკეთესო კუთხის-აბხაზეთის-განადგურებით...

ჩვენ გვეგონა მარტო ჩვენი თავი გვექნებოდა მეცნიერებით, კარგი სამხედრო წესით, ვაჟკაცებით და მივისწრაფოდით ბრძოლის ველზე მაჰმადიანობისაგან ჩვენი ქრისტიანი ძმები გამოგვეხსნა, მონებისაგან განგვეთავისუფლებინა; მაგრამ დახე რა მოხდა?... წინ-მოგვეგება იმავე მეცნიერებით განვითარებული, იმავე გრძნობით გამხნევებული ოსმალოს მხედრობა და მკერდი მკერდს მოგვაპყრო თავგამეტებით... ახირებულ ფეზლი-ფაშა გამოვიდა სოხუმს ოსმალოს რაზმებით და უკან დაბრუნების დროს ერთს უზარმაზარს ხეზე სოხუმში ამოაჭრევინა შემდეგი თავხედური სიტყვები: „მე ფეზლი-ფაშა გამოველ კავკასიაში ჩემი მოძმე ჩერქეზების გამოსახსნელად მტრის ხელიდან. მე განვათავისუფლე იგინი მონაობისაგან და აქ ძვირფასი ტვირთით ვბრუნდები ჩემს სამშობლოში“. დახე, იმის კუდაბზიკობას, იმის უკუდო ლიბერალობას! ჩვენ შევუხტით ბალკანიაში ოსმალეთს და ვსტეხეთ ბრძოლა ბოლგარების განსათავისუფლებლათ ბარბაროსის მაჰმადიანებისაგან; ფეზლი-ფაშა კი ეუბნება თავის ოსმალოს მხედრობას: „ჩვენ მივუხტით მოსკოვებს კავკასიაში ჩვენი დაჩაგრული ჩერქეზების განსათავისუფლებლათაო!“ რასაკვირველია, ფეზლი-

ფაშის ამისთანა თავხედურს სიტყვებს, აბა, ვინ მიაქცევს ქურადღებას. მასხარაობაც არის...

ჩვენ რომ აქ ეს სიტყვები მოვიყვანეთ მკითხველის გასართობათ, სულ სხვა მოსაზრება გვიდგას გონების თვალ წინ: ერთი ის, რომ ბარბაროს ოსმალებსაც დაუხვევიათ ენაზე სიტყვა „თავისუფლება“ და გვარის გულისთვის ბრძოლა; მეორე, რომ ამ უკანასკნელს ომიანობაში ოსმალეთში სრულებით არ ყოფილა აღძრული სარწმუნოებისათვის დევნა. იმ დროს, როდესაც ჩვენი ჯარები სტამბოლს შემოადგენ, თვითონ სტამბოლში მაჰმადიანი ქრისტიანი ბერძენთან, სომეხთან, რუსთან, ფრანცუზთან და ინგლისთან ხელი-ხელ ჩაკიდებული დაიარებოდნენ არამც თუ სტამბოლში, ბაღდადში, დიარბექირში, აზრუმში, ტრაპიზონში ქრისტიანებს საყდრებზე რეკა და წირვა-ლოცვა არ შეუწყვეტიათ. თუ რომელიმე გროვა დაეცემოდა რომელსამე ბერძენს, ან სომეხს ასაკლებათ სარწმუნოების გულისთვის, ოსმალეთის მთავრობის პირი იზმაილ-ხაკი, ან ტრაპიზონის ვალი მუსტაფა-ფაშა საპყრობილეში ჩაყრიდა ან და კბილებს დააძრობდა. პირველ ხანებში ომიანობის დროს ტრაპიზონში იყო უფროსათ ახმეთ-რასიმ-ფაშა. ერთმა ფანატიკოსმა დერვიშმა დაბალ ხალხში საიდუმლო შეთქმულობა მოახდინა, ტრაპიზონის ქრისტიანები ამოვსწყვიტოთო. ახმეტ-რასიმ-ფაშამ თავის ზაფთიების საშუალებით შეიტყო ეს ანბავი, დაესხა თავზე წმინდა დერვიშს თავის მხედრებით, შეჰკრა ის და ორი თვის განმავლობაში სატუსაღო სახლიდან გარეთ არ გამოუხედვინებია, სანამდის წმინდა დერვიშმა ფაშას პირობა არ მისცა, რომ ამიერთაგან ჩემს სამლოცველოდან გარეთ არ გამოვიხედავო. ახმეტ-რასიმ-ფაშამ ის განათავისუფლა, მაგრამ იმის შემდეგ, სანამ ომი არ გათავდა, იმის კარს ყარაული არ მოშორებია.

თვითონ სტამბოლში აღმოსავლეთის ომიანობის წინ მოძრაობამ და ხანგრძელმა შინაგანმა ბრძოლამ სხვა-და-სხვა გვარის ხალხებისამ ძალიან დააფიქრა ოსმალეთის მთავრობა. დღითი-დღე უფრო-და-უფრო დაიძრა შინაური უთანხმოება; ოსმალეთის დამონებული ხალხები: ბოლგარები, ბოსნიელები, სერბები, ჩერნოგორელები, ალბანელები, რუმინელები თან-და-თან უფრო გრძნობდენ თავის განთავისუფლების საჭიროებას. ამ ხანგრძლივმა შინაურმა ღელვამ შეასუსტა ერთის მხრით მაჰმადიანობის ფანატიკოსობა, მეორეს მხრით თვითონ ოსმალეთის მთავრობის დაწყობილება. შევიდა ხალხში ევროპის განათლების სული. ბოლოს ოსმალეთის განათლებულმა კაცებმა განიზრახეს ძირითადი ცვლილება, ქრისტიანის და მაჰმადიანის გათანასწორება პოლიტიკურს უფლებაში. ზემოხსენებული მოძრაობა ისე გადიდდა, რომ სტამბოლში მოხდა რევულუცია, ჩამოაგდეს ტახტიდან სულთან აბდულ-იაზისი და მურად მეხუთის პირველმა მინისტრმა მიდჰატ-ფაშამ ახალ სულთანის სახელით გამოაცხადა კონსტიტუცია - ხალხის წარმომადგენლების დახმარებით ქვეყნის გამგეობა. იმან განაცხადა, რომ ამიერითგან ოსმალეთის საბრძანებლოში სარწმუნოებითი გარჩევა აღარ უნდა იყოსო, როგორც მაჰმადიანები ისე ქრისტიანები უნდა იწოდებოდნენ ოტტომანებათ, ისინი თანასწორი უნდა იყვენ სამართლის წინ, თანასწორი უნდა იყვენ პოლიტიკურის უფლებითო; ქვეყნის გამგეობაში და ქვეყნის დაცვაში ორივე სარწმუნოების წარმომადგენლებმა თანასწორი მონაწილეობა უნდა მიიღონო. ამ გადაწყვეტილების თანახმათ წარსულს აღმოსავლეთის ომმაც გამოცვალა თავისი ხასიათი; სარწმუნოების გულისთვის ბრძოლა შეიცვალა პოლიტიკური უფლებისთვის ბრძოლაზე. რუსეთის ერი შეესია ოსმალეთს თავის მოძმე სლოვენების განსათავისუფლებლათ; მაგიერათ ოსმალეთის მთავრობამაც გულ-გაცხარებით განაცხადა: „მე ვიბრძვი ჩემი ოსმალოს გვარის დასაფარავად, საცა უნდა იყოს, ან ვის ხელ-ქვეითაც უნდა იყოსო.“ ამ სახით სარწმუნოებითი ბრძოლა გვარობითს, ნაციონალურს ბრძოლად გადაიქცა. ამიერთაგან შორს, აღმოსავლეთშიაც იგივე აღტაცებული აზრი დატრიალდა, რომელიც იტალიის ხალხში ბრუნავდა, როცა ის თავ-გამეტებით იბრძოდა თავის ერთობის გულისათვის ავსტრიელების წინააღმდეგ, როცა საფრანგეთის ერი იბრძოდა პრუსსიელების წინააღმდეგ,

როცა სერბიელები და ჩერნოგორელები სისხლს ღვრიდენ ოსმალეთის მტარვალობის წინააღმდეგ.

მაშ, თუმცა წარსულმა ორმა წელიწადმა დიდი უბედურება მოგვაყენა, ბევრი ვაჟკაცი და კარგი მამულის შვილები გამოგვაკლო, მაგრამ იმან მაგიერათ შემოიტანა აღმოსავლეთის ხალხების ტვინში დიდი, ნათელი აზრი, რომელიც ასე გამოითქმის: „ღმერთი ყოველგან ერთია; სარწმუნოების განხილვაში არავის ნება არა აქვს შევიდეს; სარწმუნოების გულისთვის დევნულება დიდი უსამართლოებაა; დევნულებაზე ომი ბოროტებაა!“ აწ ომი მხოლოდ მაშინ არის სამართლიანი, როცა გვარი გვარს დაუწყებს ბრძოლას. ყოველს გვარს ნება აქვს დაიცვას თავის თავი, თავისი სიცოცხლე უკანასკნელს სისხლის ცვარამდის ყოველნაირის საშუალებით, რასაც კი მოახერხებს, ან რაც ხელში მოხვდება. ამ აზრით წარსული ორი წელიწადი დიდი განათლების წელიწადი იყო, ბრძოლის ველზე დაცემული გმირების ქველმოქმედება უნაყოფოთ არ ჩაივლის შემდეგ შთამომავლობისათვის და ამიტომაც ჩვენც მადლობით გამოვესალმოთ გავლილს ნაყოფიერს წლებს და იმათგან ჩატარებულს გმირებს. ვისურვოთ, რომ დამდგარი წელი ღირს შეიქნეს გასული წლებისა... /იმერელი/. (დროება, N6, 1879 წელი);

უფ. ვერესჩაგინის აზრი ჯიქეთ აბხაზეთის დასახლებაზედ

ისე არაფერი გაზდის და გაავარჯიშებს კაცის ტვინს და იმის ღონეს, როგორც თავის დაცვა, ცხოვრების საშუალების ძიება, ნამეტურ როცა ის ჩაყენებულია თავის ტოლ-ამხანაგებში და ცხოვრების ასპარეზი საბურთაოთ აქვს, როცა ამხანაგები გამეცადინებული არიან, ერთმანეთზე მეტი საცხოვრებელი შეიძინონ, როცა მეტოქე ამხანაგებს ყველას ხელები აქვთ გაშლილი საბრძოლათ, სამუშაოთ. ამ მდგომარეობაში ულუკმა-პუროთ დარჩენის შიში ყველას აფრთხილებს, თავის ცხოვრების დაცვის საჭიროება ყველას ამხნევებს და ყოველი იმათგანიც მით უმეტესის გულის წადილით მიისწრაფის წინ, რომ ამხანაგებმა უკან არ ჩამოირჩინონ, არ წაართვან იმის ხვედრი პური, შიმშილით სული არ ამოახდინონ.

ჩვენ ხომ იმას არ ვიტყვით, გვარ-ტომებსა და თითოეულს კაცებს შორის დაბადებიდან სიკვდილამდის ერთი და იგივე ცხოვრების კანონი მოქმედებდეს; მაგრამ სიცოცხლის გულისთვის ბრძოლაში, თავის ისტორიული დანიშნულების ასრულებისათვის იმდენი მზგავსებაა მთელს გვარსა და თითოეულს კაცს შორის, რომ არ შეიძლება არ შევადაროთ ორი სხვა-და-სხვა გვარის გაჯიბრება წარმატების გულისათვის ორის ამხანაგის გაჯიბრებას რაიმე ჯილდოს მისაღებათ.

ერთს რომელსამე განკერძოვებულს გვარს და ცალკე ერს ისე არაფერი აუხელს თვალს, როგორც ისა, რომ შეახედებ, თუ იმის მეზობელი უცხო ტომის ერი რა მოძრაობაშია, ან იმას რა გულის წადილი აქვს თავის სასარგებლოთ. ჩვენს საქართველოს ერს დროთა ვითარების გამო, უბედური ისტორიული გარემოების გამო ორი ნაწილი ჩვენი მიწა-წყალისა, რაც რომ ერთ დროს სჭერია, დღეს დაუკარგავს და შეგროვილა დიდ კავკასიის შუაგულს წელზე; აღმოსავლეთ-დასავლეთის ფრთები კი - კასპიისა და შავი ზღვის პირებზე გადაყოლება - დღეს ცარიელია. მთელი ქვეყნის ცხოვრება იმდენათ დაიძრა ამ ჟამათ, რომ აღმოსავლეთის და დასავლეთის ერები დღითი-დღე უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს და ამ მდგომარეობაში ისინი თან-და-თან უფრო სცნობენ ჩვენი კავკასიის ქვეყნის საჭიროებას, რადგან ეს მიწის ყელი ერთი-ორათ უფრო უმოკლებს გზას იმათს აღებ-მიცემობას და პოლიტიკურს დამოკიდებულებას ერთმანეთში. ამიტომაც რუსეთი ცდილობს რომ დღეს გავერანებული ჩვენი მხრის ადგილები მიიზომოს, კასპიის ზღვისა და შავის ზღვის მხრით რო არიან.

აი, ამ მხრით თვალის გამოსახელათ, მე დღეს მსურს „დროების“ მკითხველებს მოკლეთ ვაცნობო უფ. ვერესშჩაგინის თხზულების აზრი, სახელად: „კავკასიის შავი ზღვის პირები და იმის კოლონიზაცია“ (დასახელება). ეს თხზულება წაუკითხა უფალმა ვერესშჩაგინმა იმპერატორის სამეურნეო საზოგადოების კრებას პეტერბურღს 19 იანვარს 1878 წელს. „მოწყალენო ხელმწიფენო, მე მინდა გამოვსთქვა მიზეზი, თუ რამ აღმიძულაო ამ მოხსენების შედგენაზე“-ამბობს უფ. ვერეშჩაგინი მოხსენებულს კრებაში.

„1879 წელს, როცა კავკასიის უმთავრესს გამგეობას უნდოდა შავი ზღვის პირების - აბხაზეთის და ჯიქეთის დასახლება, მოსკოვში რამდენმამე ფულიანმა კაცებმა განიზრახეს ამხანაგობის შედგენა ადგილ-მამულის საყიდლათ კავკასიაში. ამხანაგობაში მოგროვდა ორმოცდა-ათი წევრი. იმათ ამოირჩიეს ორი კაცი და გაგზავნეს 1869 წელს კავკასიაში, რომ აქაურს მთავრობას მორიგებოდენ ვერანი მიწა-წყლის საყიდლათ.“ მაშინ, როგორც ვიცით, კავკასიის უმთავრესი გამგეობის თავი იყო ბარონ ნიკოლაი და იმან უჩვენა მოსკოვის კაპიტალისტების წარმომადგენლებს თვალ გადუწვდენელი შირაქის მინდორი ალაზნის და მტკვრის გაყოლებაზე, აგრეთვე ელდარის მინდორი იორზე, თუ გინდათ, იყიდეთო. ეს კაცები ჩვენმა კავკასიის მთავრობამ დიდის ყურადღებით მიიღო და ამან ისე გაამხნევა მოსკოვის შეძლებული კაცები, რომ მაშინვე დაარსდა მეორე ამხანაგობა, რომელშიაც ითვლებოდა ასი ფულიანი კაცი. პირველმა ამხანაგობამ ირჩია შირაქის და ელდარის მინდვრების ყიდვა, მეორე ამხანაგობამ კი განიზრახა აბხაზეთისა და ჯიქეთის მამულების შესყიდვა.

„1870 წელს, მეორე ამხანაგობას მიემატა კიდევ ორმოცდა-ათი კაცი სულ ფულიანები და მაშინვე დაარსდა კიდევ მესამე რუსის ამხანაგობაც, რომელშიაც ითვლებოდა ოცდა-ერთი კაცი. ამ უკანასკნელებმა განიზრახეს სხვა ცარიელი ალაგების შესყიდვა, რომელნიც ელდარისა და შირაქის მოსაზღვრეთ მდებარეობდენ. 1870 წელს რუსის მემამულენი შეიკრიბენ მოსკოვში მოსკოვის სამეურნეო საზოგადოების ორმოც-და-ათი წლის დღეობის გადასახდელათ. ამ კრებაში პეტერბურღის უნივერსიტეტმა მოითხოვა შემდეგი კითხვის ახსნა: „რა უნდა იყოს ისეთი საუკეთესო ღონისძიება, რომ რუსეთის საშუალ გუბერნიებიდან რუსის ხალხი გადაასახლონო კავკასიისა და შავი ზღვის პირზე მდებარე ქვეყნებში, ან კავკასიის მმართებლობას რა ღონისძიება აქვს ხელში, რომ ხელი მოუწყოს რუსის ხალხის დასახლებას კავკასიაშიო?“ რადგან მოსკოვის მემამულეების კრებამ ბევრი არა იცოდა-რა ამ საქმის, მაშინ ვერცარა უპასუხა პეტერბურღის უნივერსიტეტისაგან წარმოგზავნილს კითხვას. მაშინ ამ გადასახლების საქმე ვერაფრით გათავდა.

გავიდა წლები; მერე აღმოსავლეთის ომმაც მოუსწრო. კავკასიაში გადასახლების რიცხვი 1873 წელს 4,211 სულამდის ადიოდა. ისინი დასახლდენ ტუაფსეს მაზრაში. მაგრამ ომიანობის დროს დიდი უბედურება შეემთხვათ და თითქმის ყველანი ისევ გადიკარგენ სოჭისაკენ. თუმცა ამ შვიდი-რვა წლის განმავლობაში საქმე არაფრით გათავდა, მაგრამ მაგიერათ ზემოხსენებული მოსკოვის ამხანაგების ერთი წარმომადგენელთაგანი უფ. ვერესჩიკინი დადიოდა მუდამ კავკასიაში და ტყობულობდა ჩვენი ქვეყნის გარემოებას, სწავლობდა ბუნებას და თვითონ ჩვენი მთავრობის აზრსაც იკვლევდა კავკასიაში რუსეთის შუაგულ გუბერნიების ხალხის გადმოსახლებაზე. ბარონ ნიკოლაისაგან ათი წლის შედგენილს ანგარიშში კავკასიის გამგეობაზე, აი, სხვათა შორის რა სწერია ამ საგანზე: „რაკი ჩერქეზები და აბხაზები გასახლდენ თავის ქვეყნიდან, ეს დიდი კავკასიის ნაწილი გავერანებული დარჩა და საჭირო იყო, რომ ეს ქვეყანა ხელ-ახლა დაგვესახლებინაო.

„ერთის მხრით საჭირო იყო, რომ ამ ქვეყანაში მცარცველებს და ყაჩაღებს თავი არ შეეფარად, მეკონტრაბანდეები არ გაჩენილიყვნენ და მეორეს მხრით ამ ქვეყნის ბუნების სიმდიდრე მართლაც ფულად ქცეულიყო და კეთილ მდგომარეობის წყაროთ. ამ ქვეყანაში, გარეშე უსაზღვრელი და ძალიან ძვირფასი ტყეებისა, არის ისეთი ადგილები, რომ ახარებს ვაზს,

აბრეშუმის ჭიას, თამბაქოს და ამ სახით ხელს უწყობს ღვინის, აბრეშუმის და თუთუნის კეთებას. მაგრამ ამისთანა მოხელობის დასაფუძნებლათ და ქვეყნის გასაცოცხლებლათ საჭირო იყო ფულის ჩაყრა და მუშა ხალხის გამრავლება. პირველი გაჩნდებოდა მდიდარი კაცების შესვლით და მეორე მუშა ხალხის გადასახლებით; მაგრამ ამასთანავე ერთი დიდი სახელმწიფო განზრახვაც გონების თვალიდან არ უნდა გამოგვპაროდა: ისა, რომ ამ ზღვის პირათ ისეთი ხალხი უნდა მოგვეპატიჟა, რომ ომიანობის და პოლიტიკურ მიხლა-მოხლის დროს საიმედო ყოფილიყო და ხელმწიფობის ერთგული“.

ამ განზრახვის ასასრულებლათ ერთმა რუსის გაზეთმა ურჩია, ჩერქეზები რომ გასახლდენ ისინი ისევ უკან მოვიწვიოთო და იმათ გარშემო რუსეთის მხრით და შავი ზღვის პირებზე ჩვენი რუსის ხალხი იმათ შემოვასახლოთო, და შუაში იყონო მომწყვდეული; მერე შკოლები, გზები გავმართოთ, ჩერქეზების შვილები ჩვენს შკოლებში გამოვზარდოთო და ეს მხარე აყვავდებაო... მაგრამ უფ. ვერესჩაგინს ეს აზრი არ მოსწონს და უგნურებათაც სთვლის თავის მოხსენებაში. „ჩემის აზრითო ამბობს უ. ვერეშჩაგინი კავკასიაში შავი ზღვის ნაპირებზე, საცა ამდენი რუსის სისხლი დაღვრილა და ამდენი რუსის ფული ჩაღუპულაო, უნდა უფლებდეს მხოლოდ რუსის ეკკლესია, რუსული ენა და რუსულათ სწავლებაო“. ამიტომაც ყველაზე უფრო ჩვენ უნდა გვეწოდესო გული, რომ ეს ქვეყანა კარგათ გავიცნოთ და მოვიხმაროთო, მაგრამ სამწუხაროთ, ჩვენ აქამდის იგი ვერ გამოგვიყენებიაო და უცხო ქვეყნელების ყურადღებას უფრო კი იპყრობსო, უცხო ქვეყნელებს უფრო გამოუჭიმავთო იმაზე თვალი, ვიდრე ჩვენ რუსებსო. შავი ზღვის ნაპირი კავკასისა ევროპის თვალების წინაშე ხელის-გულსავით გადაშლილიაო. ბევრი ამ თვალებთაგანი მადიან დიდი გულის თქმით შესცქერისო ამ ქვეყანას. მაშ მოწყალენო ხელმწიფენო, ვიშრომოთ ამ ქვეყნის გულისთვის, რომ ის ჩვენის ძვირფასის რუსეთის სასარგებლოთ გახდესო, თვით ევროპამაც თვალით დაინახოსო, რომ ჩვენ, რუსებს, არამც თუ შეგვძლებია მდიდარი ქვეყნის მოპოება, არამედ იმისი გონივრად მოხმარებაცაო.“ აი, ამ სიტყვებით ათავებს უფ. ვერეშჩაგინი თავის მოხსენებას მოსკოვის მემამულეების წინაშე. /გ. წერეთელი/. (დროება, N36, 1879 წელი);

ჯიქეთ-აფხაზეთის დასახლება

წინანდელს სტატიებში მკითხველს ვაცნობეთ, რა განზრახვითაც შესცქერიან რუსეთში ჩვენი შავი ზღვის კერძო ქვეყნების დასახლებას, შევატყობინეთ, რამდენათაც მოწადინებული არიან რუსეთის ფულიანი კაცები იმ ქვეყნებში ალაგების შესყიდვაზე და იქ რუსეთის ხალხის დასახლებაზე. იმას გარდა, რომ საშუალო რუსეთისა და ჩრდილოეთის გუბერნიები ერთი-ათად უფრო დაშორებული არიან ჯიქეთ-აფხაზეთზე ვინამც ჩვენი ქუთაისის გუბერნია, იმას გარდა რომ თვით ზღვის პირისა და მთის ჰავაც იქაურ ხალხისთვის აუტანელია, კიდევ ერთი დიდი დაბრკოლება აქვს იმათს გადმოსახლებას. რუსეთის ნიადაგზე ხალხის სიცოტავე. ნეტავ იმდენი იყოს ხალხი რომ იქაური უბედური მინდვრებიც დაასახლოს. იქ ისე ბევრია მიწა, რომ თითო ვერსის სირგვლეზე 15 კაცის სულიც არ სახლობს და მომეტებულ ნაწილათ არის ისეთი გუბერნიები, საცა თითო ვერსის სირგველეზე 6 კაცის სულიც არ მოდის. ზოგიერთს გუბერნიებში, მაგალითად არხანგელის გუბერნიაში სამ ვერსის სირგვლე მიწაზე ერთი კაცის სულიც არ არის, ასტრახანის გუბერნიაში ერთ ვერსის სირგველეზე 2 კაცის სულია, ვოლოგდის და ოლონეცის გუბერნიებში 2 კაცის სული. ზოგიერთი რუსის მწერლები, ამბობენ, რომ ჩრდილოეთის რუსეთის ხალხსათვის მართალია ჯიქეთ-აფხაზეთის ჰავა შეუფერებელიაო, მაგრამ მაგიერათ ჩვენ გვყავსო ყუბანის და დონის ყაზახები, რომელნიც ძალიან შეთვისებულნი არიან კავკაზიას ჰავაზე და უსათუოდ ისინიც უნდა დავასახლოთო. მაგრამ ყუბანის მაზრაში და დონზე კიდევ უფრო განიერათ ცხოვრებენ, ვინამც ზემოხსენებულს გუბერნიებში, ასე რომ რაც იქ მიწებია, კომლზე რომ გაანაწილოს კაცმა, თითო კომლს მოუა

უკანასკნელი ათასი დღიური მიწა. აბა, ამისთანა ხალხს თუ არ მათრახით და ძალათ, ისე ვინ გადმოასახლებს, ან ვინ მოინდომებს იქიდან წამოსვლას? აბა ვნახოთ ახლა ჩვენი ქვეყნის ხალხის სიმრავლე და მიწის სივრცე. ყველაზე უფრო დაშენებული გუბერნია არის ქუთაისისა, სადაც თითო ვერსის სირგველეზე მოდის 28 კაცის სული:

ერევნის გუბერნიაში - - 20 - -
ზაქათალის მაზრაში - - 18 - -
დაღისტანში - - - - - - - - 17 - -
თფილისის გუბერნიაში - 17 - -
ბაქოს გუბერნიაში - - - - - 14 - -
განჯის გუბერნიაში - - - - 14 - -
აბხაზეთში - - - - - - - - - - 10 - -
თერგის მაზრაში - - - - - - 8 - -
მაგალითად ქუთაისის უეზდში საშუალო გამოანგარიშებით გლეხს სამი ქცევა მიწა აქვს სარჩენათ, რაჭაში კი ერთი ქცევა ნახევარიც არ მოუდის; მაშინ როდესაც რუსეთში სამ სულიანს გლეხს უკანასკნელი თუთხმეტი ქცევა მიწა აქვს მოჩენილი სამუშაოთ. ცხადია, რომ ჩვენს ხალხს ერთი ათად უფრო ეჭირვება გაფართოვება და გადასახლება, ვინამც რუსეთის ხალხს და თუ მაინც და მაინც ამტკიცებენ, რომ უსათუოდ ჯიქეთ-აბხაზეთი რუსეთის ხალხით უნდა დასახლდესო, მაშინ ამნაირის სჯა სამართლიანს საბუთებზე კი არ არის დამყარებული, არამედ უფრო სხვანაირი მოსაზრება აქვთ მხედველობაში. მით უფრო გულსმოდგინეთ უნდა შევუდგეთ ყველა ჩვენის ქვეყნის გულის შემატკივარნი რომ შავი ზღვის ცარიელს ალაგებზე ჩვენი საწყალი სოფლის ხალხი, რომელსაც უმიწა-წყალოთ სული ამოსდის, გავსწიოთ იქით, საცა უფრო განიერათ და ხალვათათ იცხოვრებს. გლოლას ერთი ხარის დაწოლა ალაგი ორ თუმნათ ღირს, ესე იგი რამდენს ალაგზედაც ხარი დაწვება იმოდენა ცარიელი ალაგი ფასობს ამდენათ. რაჭაში ნახევარი დღის ვენახი სამას ოთხას თუმნათ გაყიდულა; ამაზე მეტი სივიწროე და სიძვირე მიწისა მოხდება კიდევ სადმე?

ამიტომაც საჭიროა და ადვილი მოსახერხებელიც არის, რომ ჩვენი ქვეყნის გავლენისა და ფულის მექონი კაცები შეერთდებოდენ, შეადგენდენ ერთს დიდს აქციონერის საზოგადოებას ცარიელი ალაგების შესასყიდათ და იქ ჩვენი დაბალი ხალხის დასასახლებლათ. რადგან თვითონ რუსეთშიაც არს ამისთანა საქმისთვის ფულიანი კაცების საზოგადოება და ჩვენი ქვეყნის საადგილ-მამულო ბანკებს შეუძლიანთ შეუერთდენ იმათ; იყოლიონ ჩვენს ქვეყნებში, გუბერნიებში და უეზდებში აგენტები, რომ ყოველ ღონის-ძიებით შეაგონონ და გაუადვილონ გადასახლება ნაყიდ ცარიელ ალაგებზე იმავე წესით, როგორც ამერიკის დამსახლებელი საზოგადოება მოქმედებს.

ზემოხსენებულ საზოგადოებას შეიძლება დაერქვას „კავკასია-რუსეთის დამსახლებელი საზოგადოება,'' რომელსაც შეუძლია აქციებით რამდენიმე მილიონი დაატრიალოს ამ საქმისათვის. საზოგადოებამ უნდა მისცეს საკმაო ფული ყოველს გლეხს წასასვლელათ, გაუწყოს სახლ-კარი მიწა წყლიანათ, როგორც ახლა ყოველი მემამულე შვრება, რომელსაც ბანკში აქვს მამული დაგირავებული. მე არ ვეჭვობ, რომ ზემოხსენებულს საზოგადოებას ამით დიდი სარგებლობა მიეცემა და ორმოც და ათის წლის განმავლობაში ადუღდება ჩვენი ქვეყნის ცხოვრება ანაკოფიიდან მოკიდებული მტკვრის შესართავამდის; მოგვესმება ქართულ-სომხური ენა, გაგვიცოცხლდება თვალ-წინ ის იდეალი, რომელიც ასე გვინათლებს გონებას, და ასე მხურვალეთ აგვიფეთქებს ხოლმე გულს ყოველთვის, როცა წავიკითხავთ დავით აღმაშენებლის და თამარ დიდებულის დროების ამბავს. მხნეობა, გამბედავობა, დაუღალავი შრომაა ახლა საჭირო ყოველს ჩვენთაგანისათვის და თუ ამაებს შევიძლებთ ბედიც ამათ მოყვება. /გ. წერეთელი/. (დროება, N47, 1879 წელი);

***

სოხუმის მაზრის ადმინისტრაცია აცნობებს იმ პირთ, რომელთაც ქალაქს სოხუმში სახლები და ადგილ-მამული ჰქონდათ, რომ, რადგან ეს ქალაქი აოხრებულია და ყველა დოკუმენტები დაიკარგა კანცელარიაში, ამის გამო ამათ, ექვსი თვის განმავლობაში, უნდა წარადგინონ ან ნამდვილი და ანუ დამოწმებული პირი იმათის კუთვნილების უფლებისა უძრავ მამულზედ. (დროება, N101, 1879 წელი);

***

მოგეხსენებათ, რომ სამეგრელო და აბხაზეთი განთქმულია ჩვენში ქურდებით. ამ უკანასკნელ ხანებში სამეგრელოის ორსუეზდში-სენაკისა და ზუგდიდისა-განსაკუთრებით გახშირებულია თურმე ქურდობა უფრო ცხენებისა და ხარებისა. მთავრობამ და საზოგადოებამ ათას გვარი საშუალება სცადა ამ უეზდებში ქურდობის მოსასპობლად; მაგრამ არა ეშველა-რა. ერთი ჩვენი კორრესპონდენტი ურჩევს ახლა ერთს ახალ ღონისძიებას, რომლის შემწეობითაც, იმის აზრით, სულ თუ არ მოისპობა, შემცირდება მაინც ეს გახშირებული ქურდობა ხსენებულს უეზდებში... ეს საშუალება მდგომარეობს იმაში, რომ მამასახლისებს ჰქონდესთ სია თავის სამამასახლისოს ყველა გლეხების ცხენებისა და საქონლისა და როდესაც სოფელში ახალი საქონელი გამოჩნდება, იმწამსვე სტაცოს ხელი და უეზდის უფროსს წარუდგინოს. ამგვარის წესდების შემოღება განსაკუთრებით საჭიროაო სამეგრელოში, აბხაზეთში და სამეგრელოს მოსამზღვრე იმერეთშიო. ეს აზრი ღირსია ყურადღებისა. (დროება, N108, 1879 წელი);

***

ბათუმიდან გვატყობინებენ, რომ იმ თხოვნაზე, რომელიც ოსმალოს ჯარებისაგან ძალათ გადმოყვანილ აბხაზებმა მისცეს დ. მ. კონსტანტინე ნიკოლოზის ძეს, ბათუმში ყოფნის დროს, და რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ იმათ თავის ქვეყანაში ხელ-ახლად დაბრუნების უფლება მიეცესთ, ამ თხოვნაზე ჯერ არავითარი პასუხი არ მიუღიათო. დიდ მთავარს ეს თხოვნა თ. მირსკისათვის გარდაუცია იმ პირობით, რომ ამან იშუამდგომლოს ამ საგანზე დიდის მთავარის კავკასიის ნამესტნიკის წინაშე. მაგრამ, სანამ აბხაზებს ეს ნებართვა მოუვიდოდათ, რაც ბათუმში აბხაზები ყოფილან, ყველა ხომალდებში ჩაუსვამთ და ტრაპიზონისაკენ გაუგზავნიათ.

„თფილისის მოამბის“ კორრესპონდენტი დიდ გაჭირვებას იწერება ამათსას; საიდგამღაც იმათში ხმა გავრცელებულაო, რომ რუსის მთავრობამ ნება მისცა თავის სამშობლოში დაბრუნებისაო, ჩასხდნენ ფილიუკებში და ტრაპიზონიდამ და ბათუმიდამ ცოლ-შვილითა და ბარგი-ბარხანით წავიდნენ სოხუმშიო; მაგრამ იქაურმა მთავრობამ ყველას ხელი დაავლო, ისევ ნავებში ჩასვეს და უკანვე დააბრუნესო. საცოდაობა იყო იმათი ნახვა ბათუმშიო, რამდენიმე კაცი და ქალი შიმშილით მოკვდაო, მომეტებული ნაწილი შიშველ-ტიტველი დაწანწალობდა ქუჩებზე მოწყალებას თხოულობდნენო და სხვ. ბათუმის ღუბერნატორს 400 მანეთი მოუგროვებია იმათ სასარგებლოთ და დაურიგებია, მაგრამ ეს მცირედი შემწეობა რომელ ერთს გაწვდებოდაო. (დროება, N122, 1879 წელი);

ფიქრი ქურდობის გამო სამეგრელო-აფხაზეთში

„დროების“ მე 108-ში, „დღიურში“ იყო მოყვანილი ერთი კორრესპონდენციის შინაარსი, რომელიც გვაცნობებდა, რომ სამეგრელო-აფხაზეთში ქურდობა ისევ გახშირდაო; მთავრობამ ბევრი ზომები იხმარაო ამის წინააღმდეგ, მაგრამ ვერა გააწყო-რაო. კორრესპონდენტი ურჩევს მთავრობას ამნაირ ზომას: ყოველ საზოგადოებაში უნდა მოხდეს პირუტყვების აღწერაო; თუ რომელსამე საზოგადოებაში აღმოჩნდაო აუწერელი პირუტყვი,

ადგილობრივ მთავრობამ უნდა წარუდგინოსო მაზრის უფროსს, რომელმაც უნდა შეიტყოს და შეამოწმოს, თუ საიდგან და როგორ გაჩნდაო პირუტყვი. მეც უნდა მოგახსენოთ, რომ ქურდობა, რომელთაც ასე შეწუხებულია სამეგრელო-აფხაზეთი, ჯერ-ჯერობით არამცთუ კლებულობს არამედ პირიქით ძლიერდება, ვერ დაეტყო ჯერაც განათლების გავლენა და ვერც მთავრობის ღონის-ძიებამ იქონია კარგი შედეგი.

თუ რამდენად მარგებელი და გამოსადეგი იყო მთავრობის ღონისძიება, რატომ ვერ გამოდგა, ან რა აკლდა და რაზე უნდა მიექცია და მიაქციოს ყურადღება მთავრობამ, ამაზე შემდეგ წერილში მოვილაპარაკებთ. ახლა ამ წერილში უნდა მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა სამეგრელო-აფხაზეთის მაღალი საზოგადოებაზე, თავად-აზნაურობაზე, რომელიც, როგორც ყოველგან, ხალხის წარმომადგენელია, თავია. საუბედუროდ, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი თავად-აზნაურობის უმეტესობა ჩნდება დამნაშავედ ამგვარ საქმეებში. ესრედ წოდებულ დაბალი საზოგადოებიდგან გლეხ-კაცებიდგან იშვიათად გაბედავს ვინმე ქურდობას, მტაცებლობას. თუ გამოჩნდება ვინმე ამისთანა მავნებელი პირი გლეხობიდგან, უთუოდ უნდა ყავდეს თავადი ან აზნაური შემწე და დამრიგებელი. ამ მოკლე ხანში მოხდა ორი ფაქტი, რომლებიც ჩვენი თავად-აზნაურების ხასიათს გვიხატავენ: მაისის თვის პირველ ნახევარში ს. ჯვარში იციან დღესასწაული, ამ დღესასწაულზე დიდ-ძალი ხალხი იკრიბება ახლო და შორეულ სოფლებიდგან. მოდიან ვაჭრებიც თავისი სავაჭრო ნივთებით და მართავენ ვაჭრობას. წრეულს ხალხიც ბევრი იყო და ვაჭრობაც გაჩაღებული. მაგრამ საღამო დროს მოხდა არევ-დარევა: დაეცნენ ვაჭრებს და ერთს მინუტში მათი სავაჭრო ნივთები გააქრეს. ბევრი გამოვიდა გალახული, ბევრი მონატაცი ნივთებით მოგებული, ბევრი სულ გაკოტრებული. ვინ მოახდინა ეს მტაცებლობა, უფრო და მომეტებულად ერთი გვარის კაცებმა, რომლებიც სამეგრელოში აზნაურობას არ კადრულებენ და კნიაზობას ჩემულობენ (აფ-ძეები).

მეორე. ერთ გლეხს ცხენი თუ ძროხა მიყავდა. გზაზე დახვდა ორი ცხენოსანი კაცი და ბილეთი მოსთხოვეს. ბილეთში ჰქონიყო 80 მანეთი. ეს წაურთმევიათ და მერე გაცარცვაც მოუნდომებიათ. მაგრამ გლეხს რაღაცნაირად ორივე სასიკვდილოდ დაუჭრია. გლეხი, რასაკვირველია, დაჭერილია. ეს მცარცველები იყვნენ გამოჩენილი სამეგრელოში აზნაურები რამდენია სხვა ამისთანა ფაქტები.

ამ ნაირად ჩვენი თავად-აზნაურობა, ჩვენი ხალხის თავი, წარმომადგენელი, ამისთანა საძაგელ საქმეებს ჩადის. განა შეიძლება, რომ იქ, სადაც ეს მაღალი, გავლენიანი საზოგადოება ამ გვარ საქმეებში თავს ყოფს, ხალხის ცხოვრება იყოს მშვიდობიანი, ბედნიერი და წარმატებას მიეცეს? რა აიძულებს სამეგრელო-აფხაზეთის თავად-აზნაურობას ამ გვარ საქმეებზე? მდგომარეობა. მართალია, მდგომარეობა ჩვენი მაღალი საზოგადოებისა ცუდია, მაგრამ გასაკვირველია და სამწუხარო, ეს საზოგადოება არ აკვირდება ამ თავის მდგომარეობას და რატომ არ ცდილობს მოიპოვოს ღონისძიება, რომლითაც შეუძლია გაასწოროს ეს თავის დაცემული მდგომარეობა? რატომ ვერ მიხვდა გაჭირებას ვერ ააყენებს, თუ არა ნამდვილი და პატიოსანი შრომით, სწავლა-განათლებით, არა ქურდობით, ტაციობით. რით არ იცის რომ წინანდელი მდგომარეობა, ის მდგომარეობა, როცა სხვისი შრომით და ოფლით რჩებოდნენ, არ დაბრუნდება? ახლა ყველა თავისი შრომით და ცოდნით უნდა დარჩეს. რატომ არ იცის, რომ ყოველი ოხვრა წარსულ მდგომარეობაზე ამაოა? ბევრნი მინახავს ჩვენი მაღალი საზოგადოების პირები, რომლებიც ერთმანეთს შესჩიოდნენ: „რა ვქნათ, გლეხობამ გვაჯობაო, ჩვენ დავეცითო!“ და სხვ.

ამნაირად ჩვენი თავად-აზნაურობა გლეხობას აცალკავებს, და მტრულის და მოშურნე თვალით უყურებს. თითონ კი გულზე ხელ-დაკრებილი უქმად ატარებს დროს, არ მუშაობს, არ ცდილობს მონახოს გზა-კვალი შრომისა და ნამდვილი ცხოვრების წყაროსი; ქურდობას

ხელს ჰყოფს. როგორ არ იცის ამ თავად-აზნაურობამ, რომ ასე თუ გააგრძელებს თავის მდგომარეობას, მართლა ბევრად ჩამოუვარდება გლეხობას, მისი სახელი და ღირსება გაქრება? ეს რომ ასე არ მოხდეს ჩვენი თავად-აზნაურობა უნდა მიეჩვიოს მუშაობას, ისწავლოს ვაჭრობა, მეურნეობა და სხვა. გლეხობასთან ერთობა, სიყვარული ქონდესთ; მოუმართონ ერთმანეთს ხელი. აი მხოლოდ ამით შეუძლია თავად აზნაურობას დაიცვას თავის ღირსება და სახელი, გააუმჯობესოს ეხლანდელი მდგომარეობა და რიგიან გზაზე დააყენონ თავის მომავალი. ქურდობა, მტაცებლობა ერთმანეთის გაუტანლობა, შური - ესენი სულ უბედურებას შეგვამთხვევენ; სახელს გვიტეხენ, პატიოსნებას და ღირსებას გვიკარგავენ და გვაღარიბებენ.

თუ ჩვენი თავად-აზნაურობა და საზოგადოთ ხალხი სწავლისა და შრომის გზას დაადგება, ის არამც თუ ჩამოუვარდება სხვა ქვეყნის ხალხს არამედ ბევრად წავა წინ, რადგან ბუნებით ჩვენი ხალხი ნიჭიერია. ქურდობის მოსპობა ჩვენი მაღალი საზოგადოებისთვის ძალიან ადვილია, თუ მოინდომებს. იმას აქვს და ექნება ძალა და უფლება სდევნოს ქურდს, ავაზაკს და ყოველ ჩვენი საზოგადოებისთვის მავნებელი პირი, ვინც უნდა იყოს, თავადი აზნაური, თუ გლეხი. მე გავიგე, ზუგდიდის უეზდში, ერთი საპრისტავოში რამდენიმე თავად-აზნაურებმა მოინდომეს და შეკრეს პირობაო, რომ არაფერი არ დაკარგულიყო იქიდამ, არც დაკარგული სხვაგან გაჩენილიყო და როგორც ამბობდენ, კარგად მიდიოდა საქმეო; მაგრამ, საუბედუროდ, ისევ დაუნებებიათ თავი ამ მოსაწონი და სასარგებლო პირობისათვის. ამ გვარი საქმე ყურადღების ღირსია და ამ გვარი საქმის მოთავე კაცი პატივის ცემის ღირსია ჩვენი საზოგადოებისგან. /მეგრელი/. (გაგრძელება), (დროება, N122, 1879 წელი);

ფიქრი ქურდობის გამო სამეგრელო-აფხაზეთში *)

რატომ იყო მთავრობის ღონისძიება სამეგრელო-აფხაზეთში ქურდობის წინააღმდეგ უსარგებლო, რა აკლდა ან რაზე უნდა მიექცია და მიაქციოს ყურადღება მთავრობამ, რომ მოსპოს ჩვენ ხალხში ქურდობა, მტაცებლობა და სხვ? იმ პირველ წერილშივე ვაჩვენე მკითხველს, რომ ქურდობა და სხვა ამგვარი საქმეები უფრო ჩნდებოდენ და ჩნდებიან მაღალ საზოგადოებაში მეთქი. რისთვის და რისთვის არის ეს ასე, ეს ცხადი იქმნება ჩვენთვის, თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ ჩვენი ხალხის წარსულ და აწმყო ცხოვრებას. სანამ ბატონ-ყმობა იყო, სანამ გლეხობა თავად-აზნაურების ხელში იყო და უზრუნველ ლუკმას აძლევდა, მანამდი ქურდობა იმდენად არ აწუხებდა ჩვენ ხალხს. ამით მე ის მინდა ვსთქვა, რომ, თუმცა ქურდობა სამეგრელო-აფხაზეთში ბატონ-ყმობის გადავარდნამდინაც იყო, მაგრამ ისე საყოველთაო მოვლენა კი არ იყო, როგორც მერე შეიქნა. მაშინ მხოლოდ ზოგიერთი სულ ღარიბი (როგორც ბანძა) სოფლების მცხოვრებლები ქურდობდნენ.

რაკი ჩვენი ხალხის ცხოვრება შეიცვალა, რაკი ბატონ-ყმობა გადავარდა, სხვა ფერი დაედო ყოველისფერს ჩვენ ხალხის ცხოვრებაში. თავად-აზნაურობას გამოუძვრა ბოძი, რომელზედაც იყო დაბჯენილი; მოშორდა ცხოვრების წყაროს, გადმოუვარდა ლუკმა პირიდგან. ერთის მხრით გლეხობამ რომ იგრძნო თავისუფლება, თავის მებატონებს შეხედა როგორც სისხლის მწოვრებს. მეორე მხრით თავად-აზნაურობა, უცებ მოშორებული წინანდელ ცხოვრების წყაროს, ახალი წყაროს მოსაპოვებლად არ იყო მომზადებული. სწავლა-განათლება არა აქვს და მით უფრო მაშინ არ ქონდა; არც შეეძლო მუშაობა. ფულები რომ დაურიგეს, ზოგი ბანკში დარჩა, ზოგი ორ-სამ წელიწადში დაეხარჯათ. ამნაირად ხელ-ცარიელი დარჩა ამდენი ხალხის ნაწილი, 2,376 ოჯახი 25,614 ოჯახში **), რომელიც ნაჩვევი იყო სათუთ და მდიდრულ ცხოვრებას. რა უნდა ექნა ამას ეხლა? აშკარა საქმეა, რომ ყველას თავის-თავი სხვაზე უფრო უყვარს, როცა გაუჭირდება მეზობელს გაყიდის და ძმას უღალატებს, ქურდობას მოინდომებს, მტაცებლობასაც და კაცის კვლასაც.

სწორეთ ასე მოახდინა ზემოხსენებულ ჩვენი ხალხის ცხოვრების შეცვლამ. ქურდობას, მტაცებლობას მისცა ხასიათი აუცილებელი მოთხოვნილებისა და საჭიროებისა. მოედო მთელ საზოგადოებას ეს ჭირი, გაჩნდა ყოველგან. მაშასადამე მიზეზი ამ მოვლენებისა და მისი გაძლიერებისა იყო ხალხის ეკონომიური და ზნეობითი მდგომარეობა.

მთავრობამ ეხლა იხმარა ღონისძიება, სხვადასხვა ზომები: ბრალდებულების გარდასახლება, საპატიმროში დაჭერა, პოლიცია, ყარაულები ხალხში. მაგრამ რას უშველიდა ეს ღონისძიება? რამდენის გადასახლება-გადაკარგვა შეიძლებოდა? რამდენს უყარაულებდა? რამდენი იყვნენ ბრალდებულები? ვერც ერთი ამ ზომებთაგანი ვერ შეეხებოდა ნამდვილ მიზეზს. გონიერი ღონისძიება ითხოვდა მიზეზის მოსპობას: ხალხის ეკონომიკური და ზნეობითი მდგომარეობის აღწევას, დახმარებას. მთავრობას უნდა მიექცია და უნდა მიაქციოს ამას ყურადღება. მთავრობა და ჩვენი ქვეყნის მოწინავე კაცები უნდა ცდილობდნენ, რომ ამ უგზო-უკვლო თავად-აზნაურობას შეაჩვიონ, უქადაგონ შრომის მოყვარეობა, ზნეობა და განსაკუთრებით უნდა დაეხმარონ სწავლა განათლებაში.

რაც ეს ომიანობა იყო და რაც ჩვენი დრუჟინა და მილიცია გაიყვანეს, სამეგრელოში ქურდობა იშვიათი იყო. როცა დაიშალა დრუჟინა, ისევ აინთო ცეცხლივით ეს ჩვენი ხალხის უბედურება. სანამ ჩვენ ხალხს ვერ შეეძლება სწავლა-განათლების მიღება, სანამ მას ცოტათი მაინც ზნეობითს მხარესთან არ გაუსწორდება ეკონომიკური მდგომარეობა, მანამ ქურდობა, მტაცებლობა და სხვა ამგვარი მოვლენების მოშლა ძნელია და ამის წინააღმდეგ ზომები უნამყოფონი იქმნებიან. სასურველია, რომ მთავრობამ ყველაზე უმალ ამას მიაქციოს ყურადღება, მისცეს ჩვენს თავად-აზნაურობას სწავლის შეძლება, გაუხსნას სახელმწიფო სასწავლებლები და სხვ. /მეგრელები/. (დასასრული შემდეგ N-ში), (დროება, N123, 1879 წელი);

ფიქრი ქურდობის გამო სამეგრელო-აფხაზეთში *)
(დასასრული)

დანიშნულება ხალხის მმართველებისა, სადაც უნდა იყოს, ჩემის აზრით, ამნაირია: იმათ უნდა ემსახურონ სამმართველო ხალხს და არა მარტო კანონებს. კანონები ხალხისთვის არიან დაწესებულნი და არა ხალხია გაჩენილი კანონებისთვის. ამისთვის საჭიროა მმართველებმა იცოდნენ მათი სამმართველო. ხალხის ინტერესების მოთხოვნილება, გაჭირვება და დალხინება; მათ უნდა იცოდნენ ხალხის ენა, ჩვეულება, ზნე და სხვა. ყველა ამაებთან, რასაკვირველია, მათი ზნეობითი მხარე უნდა იყოს ნათელი ხალხის თვალში, მათ უნდა ჰქონდეთ სურვილი მუდამ ხალხისთვის სამსახურისა; მხოლოდ მაშინ შეიძლება მმართველობამ ხალხის გასაჭირი შეიტყოს და საშველებელი წამალი მისცეს და ბედნიერების გზას დააყენოს; მხოლოდ მაშინ შეიძლება ხალხს ქონდეს თავისი მმართველობის სიყვარული და პატივისცემა.

სამეგრელო-აფხაზეთში მმართველები ამგვარათ დანიშნულებას თითქმის არასოდეს არ ასრულებდნენ კარგად, ერთი მხრით მისთვის, რომ უმეტესობა ჩვენი მმართველებისა ცხრა-მთის გადაღმიდამ არიან გადმოსულნი ჩვენ ქვეყანაში; ამათ სრულიად არ იციან ჩვენი ხალხი ცხოვრება. ხალხი მაგათ ვერ იცნობს და ესენი ხალხს. რასაკვირველია, ამისთანა პირები ვერ განაგებენ რიგიანად ხალხს, ვერ შეიტყობენ ნამდვილ მის ტკივილს და ვერც უშველიან. ესენი ხელმძღვანელობენ მარტო კანონით, რომლის სიტყვა-სიტყვით ასრულება ხანდახან იქმნება უაზრო, უსარგებლო და თითქმის მავნებელი, თუ ხალხის ცხოვრებას ვერ ეწყობა. ამიტომაც ჩვენ მმართველებს ხშირათ მოუათ იმისთანა მაგალითები, როგორიც არის კორზაიას ისტორია, რომელიც ჩვენ ხალხში ყოველგან გავრცელებულია *). ამისთანა

მაგალითები ბევრია სამეგრელო-აფხაზეთში და ეს არამც თუ მოსპობს იმ ქურდობას, არამედ ავრცელებს და თითონ მიზეზს აძლევს იქურდეთო. ჩვენში ხშირად გამიგონია ერთი მეორეს ეუბნებოდა: „ბიჭო, სასამართლოში რომ მიგიყვანონ, იქ იმ მსაჯულს „რუსული ატკაზი“ უთხარი და თავისუფალი ხარო!“ ამისთანა მმართველების წყალობით იმერეთშიაც მიყვეს ქურდობას ხელი.

მმართველებს რო ხალხის ცხოვრება გაეგებოდესთ, დაახლოვებულნი იყვნენ ხალხთან, გაცნობილნი იყვნენ ხალხთან, გაცნობილნი იყვნენ იმის ხასიათთან, მაშინ ამისთანა მოუხერხებელი კანონის ხმარება არ დასჭირდებოდათ. მეორე მხრით, ვინც ჩვენები არიან ჩვენ მმართველებში, ისინიც ამ უცხო პირებში ერევიან, იმათაც არ იციან და არც უნდათ გაერიონ და ჩადგნენ ხალხის მდგომარეობაში. ვინც ძლიერია, იმას უთმობენ, უძლურს ჩაგრავენ; მაღალს საზოგადოებაში პირმოთნეობას იჩენენ, თვითონ ხალხში კი სულაც არ გამოჩნდებიან; წერილობით ბრძანებებს სცემენ.

მე მგონია მმართველნი მდაბალ საზოგადოებას ისე უნდა ემსახურონ, როგორც მაღალს; მათი საქმეა, თავისი ერთნაირი მიმხრობით ეს ორი, საუბედუროდ, გაცალკევებული წოდება დაუახლოვოს ერთმანეთს, ერთის გასაჭირი მეორეს აგრძნობინოს და ერთის ლხინი მეორესთვის სასიხარულო გახადოს. არსად გამიგონია და მინახავს, რომ ჩვენ მმართველებს სახალხო შკოლები გაემართოთ სადმე და ან შემწეობა მიეცესთ სიტყვით ან საქმით. ის კი ბევრჯერ გამიგონია, სოფლის მასწავლებლებს ყურადღებას არ აქცევენო, ხშირად ლანძღავენო და ხალხში ღირსებას უკარგავენო; ისიც ბევრჯელ გამიგონია, სოფლებში პრისტავები ცუდათ იქცევიანო, ქურდს ფარვენო, თუ ხელში რამე მოიგდესო!... როდესაც ესენი, ხალხის ზნეობით ცხოვრებისა და მშვიდობიანობა-წესიერების დამცველნი, თითონ მაგისთანა საქმეებს ჩაიდენენ, მერე რა გავლენა უნდა ქონდეს ან მათ სიტყვას, ან მათ მოქმედებას ხალხზე!

**) კორზაიას ცხენი მოპარეს. იმან მსაჯულთან უჩივლა და უჩვენა ქურდზე, რომელსაც ნამდვილად იცნობდა ისიც და სხვებიც იმ ცხენის ქურდათ. მსაჯულმა კორძაიას მოსთხოვა თორმეტი კაცი მოწმეები, რომლებსაც უნდა ენახოსთ ცხენის წაყვანა. კორზაიამ, ეს რასაკვირველია, ვერ შესძლო და ქურდი გაამართლეს.

ახლა კორზაიამ იფიქრა: „თუ ზაკონი ამისთანაა, რომ სანამ თორმეტი კაცი ვერ დამინახავს ქურდობაში, ვერ გამამტყუნებენ, მეც ვიქურდებო!“ და მეორე ღამესვე თითონ მსაჯულს მოპარა ცხენი და ზედ ქაღალდი მიუგდო სამეჯინიბოს კარებზე ამ სიტყვებით: „მიროვოი სუდია, მე ვარ შენი ცხენის ქურდია... თორმეტი მოწმები იშოვნე და მოძებნე ვინა ვარ.“ /მეგრელი/. (დროება, N124, 1879 წელი);

მთიულების გადასახლება

ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ დაბეჭდილი პეტერბურღიდამ მიბმული შემდეგი ტელეგრამმა: „გაზეთს „გოლოსში“ იწერებიან: კამისიამ, რომელიც დანიშნული იყო მთავრობისაგან კავკაზიის მთიულების გადასახლების თაობაზე, ამ დღეებში გაათავა თავის საქმე და შემდეგი წესები დაადგინა ამ საგნის შესახებ:

„ა). კავკასიის მთიულებს გადაასახლებენ რუსეთის შუაგულ გუბერნიებში თითო-თითოდ; ოჯახობით კი გადაასახლებენ, როცა დიდი საჭიროება მოითხოვს, ისიც თითოეულ ოჯახს ცალკე.

„ბ). მთიულებს წაიყვანენ ეტაპით (ქვევითად, სალდათებით) და დაასახლებენ იქ, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტრო უჩვენებს;

„გ). მთიულებს, რომელთაც მიწის მუშაობა შეუძლიანთ, ტომბოვისა და სარატოვის გუბერნიაში დაასახლებენ; ვისაც მიწის მუშაობა არ შეუძლიანთ, იმათ კი დაასახლებენ ქალაქებში;

„დ). სოფლებში დასახლებულებს პირველი ორი წლის განმავლობაში და ქალაქებში კი მუდამ ეძლევათ ხაზინიდამ სახარჯოთ ფული ორი იმდენი, რამდენიც ტუსაღებს აქვთ; ქალაქებში დასახლებულებს ამას გარდა სახლის ქირა მიეცემათ თვეში მანეთ-ნახევარი; „თუ მთელი სოფლები იქმნენ ერთად გარდასახლებულნი, ამათ გაგზავნიან ზღვით აღმოსავლეთ ციმბირში“.

როგორც ჰხედავთ, ეს ცნობა ძალიან ყრუთ არის მოყვანილი: გარკვევით ვერ შეიტყობს წამკითხველი-საზოგადოთ კავკასიის ყველა მთიულების გადასახლებას შეეხება ეს ამბავი, თუ მხოლოთ იმ მთიულებს, რომელნიც აჯანყებულან ანუ შემდეგში აჯანყდებიან, რაიმე უწესოებას მოახდენენ, მთავრობის წინააღმდეგობას და სხვ. რასაკვირველია, ძნელად წარმოსადგენი და დასაჯერებელია, რომ ეს გარდაწყვეტილება მთავრობისაგან დანიშნულის კომისიისა საზოგადოთ მთელ მთიულ ხალხებს შეეხებოდეს. ძნელად დასაჯერებელია, რომ მთავრობამ მოუსვას ხელი რამდენიმე ათი და ასი ათასს მთიულს, მტყუანს და მართალს, და ყველა რუსეთის შუაგულ გუბერნიებში ანუ აღმოსავლეთ ციმბირში გარდაასახლოს.

ძნელად დასაჯერებელია ეს იმიტომ, რომ მთიულისთვის სხვა ქვეყანაში გადასახლება, და განსაკუთრებით რუსეთის ვერანა და უდაბნო ადგილებში გაგზავნა და სასიკვდილოთ განწირვა ერთია. ან რად უნდა გადაასახლონ, რად უნდა მოაშორონ თავის სამშობლო მთებს, რად უნდა დასაჯონ ასე მწარედ ის მთიულები, რომელთაც არავითარი დანაშაული, არავითარი ურჩობა და წინააღმდეგობა არ მიუძღვით მთავრობის წინაშე?

ამნაირად ჩვენ ვერ წარმოვიდგენთ, რომ ზემომოყვანილი განკარგულება საზოგადოთ კავკასიის ყველა მთიულს ხალხებს შეეხებოდეს.

ავიღოთ მეორე მხარე ამ ცნობისა. თუ ყველას არა, მაშასადამე ეს კანონი უნდა შეეხებოდე იმ მთიულებს რომლენიც მთავრობის წინააღმდეგობას ანუ სხვა რამე დანაშაულობას ჩაიდენენ. ჩვენი აზრით, ამგვარი დამნაშავე მთიულების საერთოდ გადასახლებაც აქ იქნება სამართლიანობა, ვერც ამით მიაღწევს მთავრობა იმ საწადელს, რომელსაც ის მისდევს, ვერც ეს მოუტანს სახელმწიფო ინტერესს, ვნებას გარდა, სხვა რამე სარგებლობას. ათასი საბუთის მოყვანა შეიძლება ამის დასამტკიცებლად. პირველი და უმთავრესი საბუთი ის იქნება, რომ ეს ამგვარი დასჯა გაუნათლებელ და უმეცარ მთიულებისათვის ერთობ, მძიმე, სასტიკი და შეუბრალებელი დასჯა იქნება. როდესაც რომელსამე მაზრაში ანუ სოფელში, ვსთქვათ, აჯანყება და სხვა ამგვარი უწესობა მოხდება, ყველამ იცის, რომ აჯანყებულები ყველა ერთნაირად არ არიან დამნაშავენი; ამათ, უეჭველია, ჰყავთ თითო-ოროლა მოთავე, რომელნიც უწესოების მოხდენას უქადაგებს დანარჩენებს და რომელთაც ეს დანარჩენები უგონებენ, მიჰყვებიან. ნუ თუ სამართლიანობა იქნება, რომ ისე მოთავენი, ის უწესოების ამტეხნი და ცხვრებივით ამათ ამყოლნი (ვინ იცის ხანდახან როგორის ძალდატანებით), ნუ თუ სამართლიანობა იქნება, რომ ეს ორივენი ერთნაირად იქმნენ დასჯილნი, რომ ორთავეს ერთი-და-იგივე გზა უჩვენონ შუაგულ რუსეთისა და ციმბირისა. ყოველი კანონი გაარჩევს საქმის დამწყებს, მოთავეს ამყოლისაგან. ამ შემთხვევაშიაც გარჩევა ეჭირება. დასაჯეთ სასტიკად, გაგზავნეთ, თუ მაინცა-და-მაინც საჭიროა, მოთავები ციმბირში, მაგრამ დანარჩენები, რომლებსაც მხოლოთ ის დანაშაული აქვთ, რომ ამ მოთავეების ქადაგებას და შეცდენას ვერ აღუდგნენ წინ, ამათ უფრო მსუბუქი, უფრო კაცობრიული სასჯელი მიაყენეთ. ორივე ერთ ტაფაზე არ უნდა დაიწვას ესენი.

კამისიის გადაწყვეტილება ჯერ მთავრობას არ მიუღია, არ დაუმტკიცებია, ჯერ კანონად

არ გარდაქცეულა; ამიტომ ყველას სრული უფლება აქვს იმაზე თავის აზრი თავისუფლად გამოაცხადოს. ჩვენც, ამ მოსაზრებით, ვაცხადებთ საზოგადოთ გადასახლებაზედ ჩვენს აზრს: ეს ღონის-ძიება (მთიულების გადასახლება) ჩვენ არ მიგვაჩნია რუსეთის სახელმწიფო ინტერესებისათვის სანატრელ და სასარგებლო ღონის-ძიებად. ვამბობთ, თუნდაც სამართლიანობა იყვეს ბრალეულისა უბრალოს ყველასი გადასახლება, მაინც ეს ღონის-ძიება რუსეთის სახელმწიფოს დიდს ზარალს მოუტანს, უკან დასწევს ერთი მისი მხრის ეკონომიურ წარმატებისა და კეთილ-დღეობის საქმეს.

მხოლოთ გონებით ბრმა არ დაგვეთანხმება ჩვენ იმაზედ, რომ იმ სასტიკი მაგალითების შემდეგ, რომელიც გამოსცადეს მთიულებმა ამ ომის დროს და ადრეც რამდენჯერმე, როცა აჯანყდნენ და ამ აჯანყებით ვერაფერი ვერ გაიტანეს, გარდა იმისა, რომ შეუბრალებელად იყვნენ დასჯილნი, ვამბობთ, მხოლოთ ბრმა არ დაგვეთანხმება იმაზე, რომ, ამ მაგალითების შემდეგ, ისინი კიდეც ოდესმე განიზრახავენ აჯანყებასა და მთავრობის წინააღმდეგობას. ამ აჯანყებისათვის ათასობით გაიგზავნენ რუსეთში და ციმბირში, ათასობით გზაზე და ადგილობრივ იყვნენ დახოცილნი; ისე ოჯახი არ არის, რომ ერთი კაცი მაინც არ აკლდეს. ვინც დარჩნენ, იმათ კარგათ ეხსომებათ-თუ რა არის რუსის მთავრობის ურჩობა, შთამომავლობიდამ შთამომავალზე გადავა ის სასტიკი ბედი, რომელიც იმათ ეწვიათ რამდენჯერმე რუსის წინააღმდეგობისათვის. და ამის შემდეგ რაღა მოსალოდნელია, რომ მთიულებმა კიდევ გაბედონ წინააღმდეგობა, აჯანყება? პირუტყვები ხომ არ არიან, განა ვერ დაინახეს, განა ვერ დარწმუნდნენ, რომ ვერა გაუვიდათ-რა, რომ გარეშე მხრიდამ იმათ არა ეშველებათ-რა და მშვიდობიანობა, დამორჩილება არის იმათი ბედი? მაშ რაღა საჭიროა იმ ხალხის გადასახლება, ასე სასტიკად დასჯა, რომე დარწმუნდა, რომ მშვიდობიანობა სიახლე არის იმისთვის, და წინააღმდეგობა კი-სიკვდილი?

მაგრამ ამას გარდა ბევრი სხვა მოსაზრებაც არის, რომელიც გვარწმუნებს, რომ კავკასის მთიულების გადასახლება არის უსამართლობა, ერთობ მომეტებული სასტიკობა და დავიწყება სახელმწიფო ინტერესისა. ამ მოსაზრებებს ჩვენ შემდეგ ნომერში მოვიყვანთ. /ს. მ./. (დასასრული შემდეგში). (დროება, N132, 1879 წელი);

მთიულების გადასახლება
(დასასრული)

წარსულ ნომერში მოყვანილ მიზეზებს გარდა, არის კიდევ სხვა მიზეზებიც, რომელნიც უნდა აბრკოლებდნენ მთავრობას მთიულების ასე ერთიანად და განუკითხავად გადასახლებაში. არა-ერთ-გზის გამოცდილებამ დაარწმუნა რუსეთის მმართველობა, რომ შუაგულ რუსეთში გარდასახლებული მთიულები ვერ სძლებენ იქ, ვერ იტანენ იქაურ ჰავას, ჭლექდებიან და იხოცებიან. ამავე გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ვერც რუსეთიდამ გადმოსახლებული ხალხი სძლებს ჩვენს მხარეში. ესენიც ავათ ხდებიან, ვერ უძლებენ მთის ჰაერს და იხოცებიან. რა გამოდის აქედამ? გამოდის ის, რომ ამ გადასახლებ-გადმოსახლებით თვალ-უწვდენელ და უიმისოდაც ძალიან სუსტად დასახლებულ რუსეთს, მხოლოთ მცხოვრებლები აკლდება და სხვა არაფერი. რუსები აქ იხოცებიან, მთიულები-რუსეთში.

ერთ მოსკოვის გაზეთში გულ-მოსაკლავი სურათი იყო შარშან აწერილი იმ ლეკებისა, რომელნიც, უკანასკნელი აჯანყების გამო, გარდაესახლებინათ რუსეთში. სულ ორი ათას კაცამდინ გარდაასახლეს. შვიდასი ამათგანი მოსკოვში გაეტარებინათ და გაზეთში ამათი მდგომარეობა საშინელის სურათით იყო აწერილი: გაყვითლებულები, ჩხირივით გამხდრები, ჩამოძონძილ-ჩამოკონკილ ტანისამოსით კანკალებდნენ ამ სიცივეშიო, ძლივს ფეხებს მიათრევდნენო, ერთის სიტყვით ადამიანის სახე ამათ არა ჰქონდათო! ნახევარზე

მეტი გზაზე დახოცილაო, და ვინც მოვიდნენ, დიდხანს ვერც ესენი იცოცხლებენო.

მეორე რუსულ გაზეთში ეწერა ამას წინათ, რომ ვიღაც ორი „ჩერქეზი“ (ლეკებივე უნდა ყოფილიყვნენ, უეჭველია) მოიყვანეს სარატოვის სასამართლოშიო, ამათ აბრალებდნენ უბილეთოდ სიარულს, პოლიციის აფიცრისა და სალდათის დაჭრას და კიდევ სხვა რაღაც ავაზაკობასაო. ამნაირი ბედი მოელის თითქმის ყველა გადასახლებულ მთიულებს. ან დაიხოცებიან, ან თავ-გამომეტებულები სხვებსაც შეაწუხებენ, საცა იცხოვრებენ და თავის-თავსაც დაიღუპავენ. ნუ თუ ამას სახელმწიფო სასარგებლობა მოითხოვს?

რა სიკეთე დაგვეყარა ჩერქეზების გარდასახლებით? ამ უკანასკნელმა ომმა დაგვიმტკიცა, რომ ეს ჩერქეზების გადასახლება სახელმწიფოსთვის ძალიან მოუფიქრებელი და მავნებელი საქმე იყო. თავის სამშობლო ქვეყნიდამ განდევნილი და თავ-ხელ-აღებული ჩერქეზები გვეწვივნენ აქ და ყველამ იცის, რომ იმათ თავ-დასხმა სოხუმის მაზრას და ჩვენ მმართებლობას იაფად არ დაუჯდა. ის კიდევ სხვა არის, რაც ამავე ჩერქეზებმა (ბაშიბუზუყებმა) ბოლგარიაში, რუმელიაში და საზოგადოთ ყველგან სლავიანების ქვეყნებში მხეცობა, ავაზაკობა და ბარბაროსობა ჩაიდინეს. იმათგან ძალათ-დატოვებული ქვეყანა, თუმცა იქ სხვა-და-სხვა ჩინოვნიკებს, პატკოვებს და უცხო ქვეყნის კალონიებს დაურიგეს მიწები, მაგრამ სულ გავერანდა, სულ შეუმუშავებელი და დაუსახლებელი დარჩა. რატომ? იმიტომ რომ ვინც მოთავსებული იყო, ის გაჰყარეს და ვინც მოიყვანეს, ის აქ ვერ მოთავსდა. ამ გვარივე ბედი მოგველის ახლა ჩვენ აჭარის და საზოგადოთ მაჰმადიან საქართველოს მხრიდამაც, თუ ისინიც იძულებულები შეიქნენ, რომ თავიანთი ქვეყანა მიატოვონ.

ჩვენ არ ჩამოვთვლით იმას თუ მატერიალურის მხრით რამდენი დააკლდება კავკასიის მთიულების გადასახლებით. საკმაო იქნება მოვიგონოთ მხოლოთ, რომ თითქმის მთელი კავკასია გამოდის ოსურის ყველით, მთიულების კარაქით, ლეკების შალით და ამათი იარაღის კეთებით; საკმაო იქნება მოვიგონოთ, რომ ჩაჩნები მშვენიერი მჭედლები (მექვაბეები) არიან, ბელაკნელებს ჰყავთ ურიცხვი ცხვარი, აკეთებენ მატყლს, რომ აჭარლებს მოჰყავსთ ჩინებული თამბაქო და ხილი, რომ ქობულეთლები არიან დახელოვნებული ხუროები და მიწის მუშაკნი, რომ მაჭახელის თოფი მთელს მცირე აზიაში და კავკასიაში განთქმულია და სხვ. და სხვ. ყველა ეს რომ მოვიგონოთ, მაშინ ცხადათ წარმოგვიდგება თვალ-წინ თუ ყველა ამ მთიულის ხალხების გადასახლებით რამდენი დააკლდება კავკასიას, რამდენათ უკან დაგვწევს ის ჩვენ ჩვენს ოჯახობაში, მეურნეობაში, წარმოებაში და სხვ. ნუ თუ ამასაც სახელმწიფო ინტერესი მოითხოვს? და ან რა საჭიროა ამდენი გადასახლებ-გადმოსახლება, ამდენი ტანჯვა ხალხისა და ქვეყნის გაუდაბნოება, როდესაც უამისოთაც ძალიან კარგათ, ადვილად და სახელწმიფოის სასარგებლოთაც და თვით ამ ხალხების საკეთილ-დღეოთაც შეიძლება მოთავსდეს საქმე.

დააყენეთ ამ შერისხულ მთიულ ქვეყნებში კარგი, პატიოსანი, ადგილობრივი ხალხის ხასიათისა და ენა-ჩვეულების მცოდნე ნაჩალნიკები; ყველაზე პირველად ყაზარმებისა და საპყრობილეების ნაცვლად ააშენეთ იქ შკოლები, რომლებშიაც იმათ ენასა და სარწმუნოებას პატივი და განმავლობა ჰქონდეს; ჯარებისა და ზარბაზან-შტიკების მაგიერად გაგზავნეთ იქ კარგი, მცოდნე მასწავლებლები სახელმძღვანელო წიგნებითა და კალამ-ქაღალდითა; დააწესეთ, ადგილობრივ ადათის მსგავსად, კარგი სასამართლოები, გაგზავნეთ პატიოსანი მოსამართლეები და თქვენ ნახავთ, რომ ათი-ოცი წლის განმავლობაში თქვენ შეიძენთ ხალხს მშვიდობიანს, მხნეს, მუშაკს, რომელიც თავის თავისთვისაც კარგი იქნება და სახელმწიფოსთვისაც ძვირფასი და გამოსადეგი; თქვენ შეიძენთ ქვეყანას ნაყოფიერს, მდიდარს, კარგათ შემუშავებულს და მაგრად დაცულს გარეშე და შინაგან მტრისაგან.

არათუ ადამიანი, თვით მხეციც კი ემორჩილება კაცს, თუ ხედავს, რომ შენ სამტროდ არ მიდიხარ იმასთან. ხალხის კეთილ-დღეობისა და წარმატების მისაღწევნელად

მამაკვდინებელი და გასაჭლეტი იარაღის ხმარება როდია საჭირო; არამედ ისეთი იარაღის, რომელიც ამ კეთილ დღეობას და წარმატებას პირდა-პირ უწყობს ხელს და ეხმარება... /ს. მ/. (დროება, N133, 1879 წელი);

***

ოქუმიდამ გვწერენ ჩვენ, რომ იქ ერთ ალაგას შარა-გზაზედ დაუყენებიათ სოფლელებს ყარაულები ქურდების თვალ-ყურის სადევნებლად. ერთ ღამეს ამ ყარაულების შორი-ახლოს მისულან იქაური გამოჩენილი ქურდები, კორრესპონდენტის სიტყვით, ერთი აზნაური და მეორე თავადი, რომლებთაც სდომებიათ ცხენების მოპარვა წაყვანა. ყარაულებმა გაუგეს და მიაძახეს „ვინა ხართ? ვერ წახვალთო!“ ქურდებმა ამაყათ მიუგეს „ჩვენ გახლავართო'' და ცხენების გაჭენებით დააპირეს თავის დახსნა, რომ ამ დროს ერთბაშათ მოარტყეს თოფები და ორივე (აზ. ლევან მარღანია და თ. ხასან ზვანბაია) ერთად გააგორეს, რაიცა მეორე დღეს მამასახლისმა რაპორტით აცნობა ოჩამჩირის უფროსს. თუ სულ არ მოსპობს, ცოტათი მაინც შეამცირებს სოფლის ამგვარი მეცადინეობა ქურდების რიცხვს, რომელიც თან-და-თან მრავლდებიან ჩვენში! (დროება, N174, 1879 წელი);

***

სამეგრელოდამ იწერებიან, რომ ქურდობა და ავაზაკობა ჩვენში და სამურზაყანო-აფხაზეთში, რაც დრო მიდის, თან-და-თან მატულობსო. ადგილობრივი ადმინისტრაცია ხმარობსო სხვა-და-სხვა ღონის-ძიებას ქურდ-ავაზაკების გადასაჭერად მაგრამ ვერას არიგებსო, რადგან, საუბედუროთ, თვითონ ხალხი ჰფარავს და მალავს იმათაო. (დროება, N190, 1879 წელი);

დღიური

ყოვლად-უსამღვდელოესი საქართველოს ეგზარხოსი იოანნიკი ამ დღეებში დაბრუნდა თფილისში თავის მოგზავრობიდამ. როგორც გვატყობინებენ, ეგზარხოსი ყოფილა ბათუმში, ოზურგეთში, სოხუმში და სამეგრელოში. ყოფილა აგრეთვე გელათის მონასტერშიაც. (დროება, N225, 1879 წელი);

დღიური

რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი: „იმ ზარალის გამოსაკვლევად, რომელიც შავი ზღვის ნაპირის მცხოვრებლებს მიეცათ უკანასკნელი ომის დროს, დანიშნული იყო ცალკე კომისია. ამ კომისიამ გაათავა თავის საქმე. მარტო სოჩის მაზრის მცხოვრებლებმა გამოუცხადეს კომისიას, რომ იმათ 461,820 მანეთის ზარალი მიეცათ; ნოვოროსიისკი 114,000 მანეთს ზარალს თხოულობს, ანაპა 200,000-მდინ. სოხუმის მაზრა ერთ მილიონზე მეტს. ზემოხსენებულ გაზეთებში არაფერი არ არის მოხსენებული იმის თაობაზედ თუ რა განკარგულებას ახდენს მთავრობა ამ საგანის შესახებ: მიეცემა დაზარალებულ მცხოვრებლებს სრულად ან ერთი წილი მაინც თავიანთი ზარალი, თუ არა, თუ მიეცემა, როდის და რა წესით? ჩვენ ვიცით, რომ ყოველი ამგვარი ზარალი რუსეთმა ოსმალეთს უნდა გარდაახდევინოს, მაგრამ თუ იმდრომდინ უცადა მთავრობამ ხალხის დაკამყოფილებას ვინ იცის როდის მოესწრებიან, და იქნება სულაც ვერ ეღირსოსთ ვერაფრის მიღება.. (დროება, N230, 1879 წელი);

1880 წელი

გაზეთი ,,დროება''

სამურზაყანოს შკოლები

დიდი ხანია, რაც „კავკაზიაში ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოებას“ აქვს გამართული შკოლები სამურზაყანოში და აფხაზეთში; მაგრამ ეს შკოლები, საუბედუროთ, არამც თუ არავითარ სარგებლობას არ აძლევენ ხალხს. ყმაწვილი შედის აქ შკოლაში უფრო ხშირად თორმეტი, ცამეტი წლის და დაჰყოფს ოთხს, ხუთს და ხანდისხან ექვს წელიწადს. რასაკვირველია, ის გადაეჩვევა ამ ხნის განმავლობაში მუშაობას; შკოლიდამაც არავითარი ნაყოფი არ გამოაქვს. რა არის მიზეზი, რომ ეს შკოლები ამისთანა სამწუხარო მდგომარეობაში არიან? ჩემის ფიქრით, პირველი მიზეზი ის არის, რომ მასწავლებლები არ არიან ისე კარგად მომზადებულნი, რომ იტვირთონ ეს მძიმე ტვირთი; იმათ არ ესმისთ, თუ რა მოვალეობას ითხოვს იმათგან ახალგაზრდობის აღზრდა; არ ფიქრობენ, რომ ყმაწვილების აღზრდა არის ერთი უპირატესი რამე; რომ ამ ასპარეზზე გამოსულს ბეჯითს და პატიოსანს მასწავლებელს შეუძლია ბევრი სარგებლობა მოუტანოს თავის ხალხს. რასაკვირველია, ამ მასწავლებლიდგან არ შეიძლება მოითხოვოს, რომ შაგირდები გახადონ ფილოსოფოსად; არა, იმათ შეუძლიათ მაინც პროგრამმის გასვლა ბეჯითად და გასაგებად, რა უფრო საჭიროა, ეცადონ ყმაწვილების ხასიათის გაუმჯობესობას. მაგრამ ისინი არც პროგრამმას გადიან და არც ხასიათის გაუმჯობესობაზე ზრუნავენ, არც კი ესმით, თუ რაა ხასიათი, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას ყმაწვილების აღზრდაში. რომ არ ესმისთ, თუ რა მძიმეა მათი ტვირთი, სჩანს იქიდგან, რომ კვირაში მხოლოდ ორჯერ-სამჯერ მოდიან შკოლაში, ერთ-ორ საათს ასწავლიან შაგირდებს, შემდეგ ამღერებენ და ითხოვენ შინ. დანარჩენ დროს ისინი, ჩაცმულნი აფხაზურ ტანისამოსში, თავიდამ ფეხებამდის იარაღში, სხედან ცხენებზე და დადიან სხვა და სხვა კრებაებში, ხან აფხაზეთში, სადაც ხშირად იციან მარულა და ხან სამეგრელოში! არც ერთ კარებს არ გაუშვებენ, რომ არ დაესწრონ. აი ჩვენი მასწავლებლები, ჩვენი განმანათლებლები როგორ ატარებენ დროს და რა ტყვილათ ღებულობენ ჯამაგირს.

მეორე მიზეზი ის არის, რომ ამ შკოლების დირექტორი გულგრილად უყურებს თავის მოვალეობას, არ აქცევს არავითარ ყურადღებას, არ ეკიდება მკაცრად მასწავლებლებს, არ თხოულობს იმათგან ბეჯითად ყმაწვილების სწავლას, არ თხოულობს და არც საჭიროდ რაცხს, რომ მასწავლებლები ხანდახან შეიკრიბნენ, არჩიონ - თუ როგორ იმოქმედონ, თუ როგორი მეთოდით ასწავლონ, ან და თვითონ შეკრიბოს, დაესწროს და ნახოს იმათი ცოდნა და გამოცდილება პედაგოგიაში. ამნაირად მასწავლებლები ხედავენ, რომ იმათი უფროსი არავითარ ანგარიშს იმათგან არ ითხოვს, ღებულობს ჯამაგირს და თვითონაც გულგრილად ეკიდებიან თავიანთ წმინდა მოვალეობას. ეხლა იწყო ჩვენმა ხალხმა ღრმა ძილიდგან გამოღვიძება, ეტყობა სიცოცხლე, ხედავს სწავლაში მიუცილებელ საჭიროებას და თავის უკანასკნელ საჭიროებას და თავის უკანასკნელ ღონისძიებას ხმარობს, რომ შვილს რამენაირათ სწავლა და განათლება მისცეს. „ის დრო წავიდა, როდესაც უმსწავლელ კაცს ცხოვრება შეეძლო ეხლა სხვა დროა; ეხლა თუ არა იცი-რა, ყველასი ყმა შეიქმნები“. აი რას ლაპარაკობს ეხლა ჩვენი ხალხი.

თუმცა სამურზაყანოში და აფხაზეთში სწავლას ხალხი საჭიროდ რაცხს, მაგრამ შვილს რომ სწავლა მისცეს, არ შეუძლია. ქუთაისში ანუ სხვაგან სადმე შვილის წაყვანა იმათთვის ძნელია, მეტადრე მოუმზადებლისა, და ჩვენ შკოლებს კი არ შეუძლიანთ ყმაწვილების მომზადება. ამისთვის ამ უბედურებას უნდა ვუშველოთ რამე; მოუმართოთ ხელი ჩვენს ძმებს, რომელთაც ერთი ჭაპანი უწევიათ სხვა ქართველებთან; თუ მართლა ჩვენ ვუყურებთ

იმათ როგორც ძმებს, ეხლა გამოჩნდება. „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ შეუძლია მოუმართოს ხელი: მას შეუძლია მოელაპარაკოს „ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ამ საქმის თაობაზედ და იმოქმედონ ორთავემ ერთად. თუ ეს ასეა იქნება, თუ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ მოინდომებს ხელის მომართვას, მაშინ იმედია, რომ ჩვენში სასოფლო შკოლებს შეუძლიანთ მოუტანონ ხალხს დიდი სარგებლობა; ახლა კი იმათგან, როგორც ზევით მოგახსენეთ, ვნებას გარდა, სარგებლობას ვერ ვხედავთ. /ვ. სამურზაყანელი/. (დროება, N19, 1880 წელი);

***

სოხუმიდამ გაზ. კავკაზში“ იწერებიან, რომ ამ ზამთრის უჩვეულებრივო სიცივეებმა ძალიან შეაწუხა სოხუმის მაზრის ხალხიო; მომეტებული ნაწილი საქონლისა შიმშილით და სიცივით დაეხოცათო. ამას გარდა შუა თებერვალში რაღაც ავათ-მყოფობა გაჩენილა ზოგიერთ სოფლებში და ბევრი ხალხი დახოცილა. ადგილობრივ ექიმების აზრით, ამ ავათ-მყოფობის მიზეზი ის არის, რომ ხალხი ამისთანა სიცივეს არ არის შეჩვეული, ამათ ისეთი ქოხები აქვთ, რომ სითბოს ვერ დაიჭერსო და ამის გამო ხალხი მხოლოთ გაციებისაგან ხდება ავათაო. (დროება, N75, 1880 წელი);

ახალი ამბები

ამას წინათ სოხუმში კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ გააზავნა თ. ზ. ჯორჯაძე და ა. ელიოზიშვილი, შესატყობათ, არის თუ არა ფილოქსერა სოხუმის ვენახებში. ამათ გადმოუბ-რუნებიათ მრავალი საეჭვო ვაზი და ვერ უპოვნათ ეს ვაზების მწერი. შესანიშნავი და ღირსი მთავრობისა ის არის, რომ, თუმცა დიდი ხანია, რაც აკრძალეს ვაზების შემოტანა უცხო ქვეყნებიდგან, მაგრამ მაინც არ იშლიან და მოაქვთ. ამ დღეებში იმავე ა. ელიოზიშვილმა, ქიმიკოსმა სტრუვემ უნდა გაშინჯონ ვაზები თფილისის ნემეცების კოლონიაში. ამბობენ, ზოგიერთი ვაზი საეჭვო არისო. თუმცა ძნელათ დასაჯერებელია, რომ ფილოქსერა თფილისში გაჩენილიყოს, მაგრამ მაინც ღირსი იქნება მადლობისა სამეურნეო საზოგადოება, თუ მუდამ ასე ადევნა თვალი ყოველგვარს საეჭვო მოვლენას. სიფრთხილეს თავი არა სტკივა! (დროება, N118, 1880 წელი);

***

იგივე გაზეთი გვაცნობებს რომ მალე სუხუმში კანდელი იქნება გაახლებულიო და ამას გარდა ბიჭვინთაში გაიმართება პირველი ხარისხის კანდელი. ამ უკანასკნელ კანდელს თურმე დიდი მნიშვნელობა ექნება ზღვის გასანათლებელათ და ბევრს უბედურებას ააცილებს ხომალდებს. (დროება, N119, 1880 წელი);

***

სამურზაყანოდამ და აფხაზეთიდამ გვწერენ, რომ აქეთკენ სულ 5 შკოლა აქვს გამართული „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებასაო“; მაგრამ ყველა ამ შკოლების საქმე გარდა ოქუმისა, ისე საძაგლად მიდის, რომ მათ თითქმის არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ აქაურ შავ-ბედით ხალხისთვისაო. მომეტებული ნაწილი მასწავლებლებისა სრულიად არ დაიარებიან თავიანთ შკოლებში, ნადირობაში, ჯირითობაში და ქეიფობაში ატარებენ დროსაო, ინსპექტორი ზემოხსენებულ „საზოგადოების“ შკოლებისა - ბ. ლიხაჩოვი ორ-სამ წელიწადში ერთხელაც არ მოდის, არ უგდებს ყურს ამ შკოლებსაო, რომელნიც ამნაირად, შეიძლება ვსთქვათო, რომ უფრო „საზოგადოების“ ქაღალდებში ირიცხებიან და ნამდვილად კი არ არსებობენ... (დროება, N125, 1880 წელი);

***

დ. ოქუმი, 20 ივნისს. აქ, სამურზაყანოში ქურდობა უწინაც მამაცურს და საქებს საქმედ მიაჩნდათ და ეხლაც უზომოდ არის გავრცელებული. სამურზაყანოში ვინ არა ქურდობს?! თითქმის ყველანი ქურდობენ - დიდიდამ პატარამდის მაღალ წოდებისანი და დაბალ წოდებისანი. აქაურებს კიდევ არა უჭირსთ-რა: ერთი რომ დაჰკარგავს, მაგიერს სხვასა ჰპარავს, ან შეუძლიან მოსძებნოს დაკარგული; ბრალ სამღვდელო პირთა, რომელნიც სხვაგნიდამ არიან მოსულნი. თუ რამე დაეკარგათ, - მაშინვე მიწაში ჩააძვრენენ. როგორ შეუძლიან მღვდელს ანუ დიაკვანს დაკარგული მოსძებნოს; ან სამსახური როგორ მისცემს ნებას, ან ვის უნდა ენდოს აქ?.. ყველას კუდი-კუდსა აქვთ გადაბმული.

აქაური სასამართლოები სავსეა სამღვდელოთაგან შეტანილ თხოვნებით, მაგრამ არც ერთს მათგანზედ არა მოუხდენიათ არავითარი განკარგულება. წასულს წელს აქაურმა სამღვდელოებამ გაგზავნა თბილისში ერთი მღვდელი თავის მაგივრად მისაცემად თხოვნისა მთავარ-მმართებლისადმი, რომ მათ მისცემოდათ რაიმე შემწეობა და მფარველობა ქურდებისგან. ღენერალი კომაროვი შეჰპირებოდა ამ მღვდელს, როდესაც მოვალ სოხუმის მაზრაში ფიცხელს განკარგულებას მოვახდენ ქურდობის შესახებაო. ამ ამბავმა, რასაკვირველია, გვასიამოვნა, მაგრამ სამწუხაროდ, კომაროვმა ბრძანების უმალვე ჩვენს მხარეს შემდეგი პასუხი მიუგო მოჩივარებს: „რა ვქნათ - ქურდობა რუსეთშიაც არისო!“ საკვირველია, რისთთვის მოისპო ის ფრიად საქები ზომა, რომელიც წასულ 1878 წლამდის არსებობდა ჩვენში? ვისაც რას მოჰპარავდენ, მთელს სოფელს ვალი ჰქონდა ეზღო დანაკარგი. ვიდრე ამ ზომას თავისი ძალა ჰქონდა, ნაკლებად ქურდობდენ და სამღვდელოებაც უფრო დასვენებული იყო. (დროება, N133, 1880 წელი);

***

რუსულ გაზ. ,,მოსკოვის უწყებებში'' იწერებიან რომ სოხუმის მაზრაში მდინარე ფსირტსკის ნაპირზე ძველი მონასტრის მახლობლად ათონის რუსის მონასტრის ბერებს გაუმართავსთ ახალი მონასტერი, სახელად ,,ახალ-ათონის სიმონ-კანანიტის მონასტერი.” ამ მონასტრი-სათვის 1300 დესიატინა მიწა მიუციათ იმ პირობით, რომ აქ მყოფ რუსის ბერებმა გამართონ შკოლა და ადგილობრივ ხალხში სწავლა-განათლება და სასოფლო მეურნეობის ცოდნა გაავრცელონ. ჯერ-ჯერობით სიმონ კანანიტის მონასტერში სულ 50 ბერი სცხოვრებს, მა-გრამ შემდეგში თუ საჭიროება მოითხოვს, მეტსაც შეუძლიანთ დადგომა. (დროება, N151, 1880 წელი);

***

სამურზაყანოდამ ჩამოსულმა სანდო პირმა შემდეგი ამბავი გვიამბო: 28 ივლისს ს. ილორში ამოვარდნილა საშინელი ქარიშხალი, რომელსაც თავის მსვლელობის გზაზე სულ ყველაფერი გაუნადგურებია. მაგ. სოფ. ილორში დაუნგრევია რამდენიმე სახლი, დაუმტვრევია მონასტრის გუმბათი და მოუტაცნია ეკკლესიის ზარი; იმ სოფელშივე ჰაერში აუტაცნია მღვდელი და მისს სახლის ბანზე დაუდგია, შემდეგ სახლიც აუტაცნია და ჰაერი სრულიად დაუფშვნია; იქვე რაც ახალი სასაფლაოები ყოფილან ქვესკნელში ჩაუგდია; ერთი ცხენოსანი, ტყეში, ცხენიანად აუტაცნია ჰაერში და შემდეგ დიდი სიმაღლიდამ მიწაზედ დაუნარცხებია, ცხენი მომკვდარა და კაცი მძიმედ დაჭრილა. ტყეში, სადაც კი გაუარია სულ ძირიანად სთხრიდა თურმე და შესანიშნავის სისწორით ჰკაფავდა ხეს და ყოველნაირს მცენარეობას თავის სიგანის თანაბრად, ასე რომ ახლა თურმე გზა-ტკეცილად ხმარობენ ქარიშხლისაგან გავლილ გზას. ილორიდამ იმის შუქი ოჩემჩირეში შესულა და დუქნები დაუქცევია. ილორში თურმე კარგს მოსავალს ელოდენ მაგრამ ქარიშხალს ისე მოულეწია ყველაფერი რომ ილორელებში შიმშილს მოელიან თუ თავს სხვაფრივ არ უშველეს. (დროება, N166, 1880 წელი);

ქურდობა სამურზაყანოში

ვინ არ იცის თუ რამდენი უბედურება მოაქვს ხალხის ცხოვრებაში ქურდობას? ვინ არ იცის თუ რა ნაირათ ზნეობას უფუჭებს კაცს ეს სენი დამამხობელი ხალხის პატიოსნების, სენი ხალხის ეკონომიური მდგომარეობის დამრღვეველი, მისი ზნეობის და გონების გამფუჭებელი? რას უნდა მოეწეროს ეს სენი? რა აქეზებს ჩვენში ქურდობას? ჩვენი თავად-აზნაურობა ბატონ-ყმობის გარდასვლის შემდეგ დარჩა საცოდავათ: მუშაობა ვერ შეიძლო, მიწამ თავისით ნაყოფი არ მოუტანა, პირადად ფული ყმებისაგან არ მიუღია; რაც ჰქონია წინეთ მონაგები შამოელია, დახარჯა; შევიწროვდა, დარჩა უიარაღოთ, უცხენოთ. წამოეწია ახალგაზდობა, იმას უნდა ჩაცმა-დახურვა, თოფ-იარაღი, ცხენი; მუშაობას არ მიეჩვია, ერთი სიტყვით, გაიზარდა მთელი ჯარი ახალგაზდა ცხოვრებისათვის მოუმზადებელი. რა უნდა ექნა ამ ახალ-გაზდობას, რომ შიმშილით და სიცივით არ მომკვდარიყო? სწორეთ ქურდობა უნდა დაეწყო, რადგან ეხლა საშვალება დარჩა იმას, კიდევაც მიჰყო ხელი და დღეს იქამდის მივიდა საქმე, რომ ამ ქურდობას ჩვენში ბევრს სულის მეტი არა შეარჩინეს რა, ხან-დის-ხან იმასაც ვერ იმეტებენ. ქურდობის სიყვარული სამურზაყანოში ხალხის სისხლში და ხორცშია გამჯდარი; თუ არ ქურდობ, თუ არ ავაზაკობ ჩვენში კაცად არ გრაცხენ. თუ გინდა ხალხში გავლენა იქონიო, თუ გინდა იმისი ერთგულება და პატივისცემა დაიმსახურო, უთუოდ უნდა იყო გამოჩენილი ქურდი. მაშინ შენი გარშემო იკრიფება მთელი ახალგაზდობა, შენ შეიქნები იმათი თავი, იქნები იმისი ბრძანებელი, გეყოლება ყველგან სამურზაყანოში, აბჟუაში და ოდიშში შენი აგენტები, რომელთაც შენი ჯარის შემწეობით უგზავნი იმათ ცხენებს, კამეჩებს, ძროხებს და სხ. ისინი იქ ასაღებენ, რა ეკადრებათ ღებულობენ, დანარჩენს შენ გიგზავნიან: შენ კი, ვითარცა ჯარის უფროსი, ურიგებ მას თავის წილს, ძალასაც ხმარობ, ხან-დის-ხან რაც ერგება არ აძლევ, როგორც ნამდვილ ჯარის კამანდირები, ძალაც შენ ხელშია და სამართალიც. ამისთანა გამოჩენილი ქურდები ერთი-ცამდი მოიპოვება სამურზაყანოში, მარა ვინ რას გაუბედავს იმათ? ისინი ამორჩეულნი არიან საზოგადოების მცველად. რაც დაიკარგება იმათ ხელში უნდა გაიაროს და მთხოვნელიც იმათთან მიდის: რა საკვირველია მთხოვნელი უკმაყოფილოთ რჩება, დაკარგული ემატება თავისგან ამორჩეულ მცველსა, მაშვინ გულ-ხელ დაკრეფილი ბრუნდება შინ და იტყვის „მეც დავიწყებ ქურდობას, რადგან მე მპარავენ“. გავა და დაიწყებს ქურდობას იმავე მცველის შკოლაში, თავის დაკარგულ საქონელს ერთს-ორათ იბრუნებს. ასე გაშინჯეთ რომ ძვირათ იპოვნით თქვენი ჩვენში ახალ-გაზდა კაცს, რომ არ ქურდობდეს. ქურდობს თავადი, ქურდობს აზნაური, ქურდობს თავ-განწირული გლეხი, ქურდობს დიდი და პატარა.

ხალხის ამისთანა მდგომარეობას ბოლო დროს, როგორც ღირსი და კანონიერიც იყო, მიაპყრეს ყური ბ. მალინოვკის, ოჩემჩირის ოლქის მმართველმა და მისმა თანაშემწემ - სამურზაყანოის უჩასტკის მმართველმა. ბ. სამურზაყანოის მმართველმა შეკრიბა ივნისში მთელი სამურზაყანოს ხალხი დ. ოქუმში, განუმარტა თუ რა უბედურობა მომდინარეობს ქურდობიდამ და ურჩია რამე წყაროები მოენახა ამ ხალხის უბედურების მოსასპობლად, ქვემო მოყვანილი წესდებაები წარედგინათ იმისთვის და ბ. მალინოვსკისთვის. საზოგადოებას ბ. უჩასტკის მმართველის თხოვნა აუსრულებია და დაუწერია წესდებაები. ეს წესდებაები იყვნენ დაწერილნი ოქუმის მცხოვრების თ. ერისთავ ემუხვარისაგან და ბედიის მცხოვრები თ. გრიგოლი შარვაშიძისაგან. როცა მზათ იყო, ბ. მალინოვსკის მოახსენეს და ის მიბრძანდა სამურზაყანოში 7 ივლისს, დაიარა ყველა სოფლები, ხალხს უხსნიდა მისს აწმყო მდგომარეობას, სთხოვდა შემწეობას ქურდობის მოსასპობლად. „თუ მოინდომებთ“, ეუბნებოდა ხალხს, შეგიძლიათ მხოლოდ თქვენ მოსპოთ ქურდობა; თქვენ იცით ვინ არიან თქვენში ავაზაკები, ქურდები, თქვენი საქმე იმათი ჩვენს ხელში გადაცემაა, ჩვენ კი კანონიერად დავსჯით, განგათავისუფლებთ იმათგან. თუ ვერ გაბედავთ იმათ დასახელებას, თუ შეგეშინებათ იმათი დაბეზღება, მაშინ ქურდობა მუდამ იქნება თქვენში

მუდამ უბედური იქნებით, მუდამ ღარიბები და ღატაკებიო.“ საზოგადოება კი ყოველგან, როგორც მოგეხსენებათ, „კი ბატონო“ იძახდა, ოღონდ შეწეობა მოგვეციო.

ს. დიხაზურგში 10 ივლისს მობრძანდა ზუგდიდიდამ მაზრის მმართველი ბ. მიქაბერიძე. აქ ბ. მალინოვკიმ და იმან მისცეს ერთმანეთს პირობა - შეეწიონ თავის რაიონებში ერთმანერთს, იხმარონ ყოველი ღონისძიება ქურდობის მოსასპობლად, აღწერონ საქონლები თავ-თავის მმართველობაში, უბილეთო საქონლები პატრონებს წაართვან, აღწერონ იმათი მნიშვნელობა, განაცხადონ ყველგან და ორი თვის განმავლობაში თუ პატრონი არ გამოჩნდა გაყიდონ. გარდა ამისა მისცეს ერთმანეთს სია გადავარდნილი და გამოჩენილი ავაზაკების, რათა ორნივემ სდიონ, ან დაიჭირონ და ან მოჰკლან. იმ დღესვე საღამოს ბ. მიქაბერიძე დაბრუნდა ზუგდიდში, მალინოვსკი კი წავიდა ოქუმში, სადაც 11 ივლისს დაბარებული ჰყავდა ყოველი საზოგადოებიდამ 10 კაცი წესდების განსახილავად. 11 ივლისს 9 საათზე შეიკრიბა საზოგადოება, მთელი ოქუმი სავსე იყო ხალხით. სანამ ბ. მალინოვსკი გამოვიდოდა, სანამ წესდებაები განხილულ იქნა, თ. ზურაბ ჩხოტუამ გამოუცხადა საზოგადოებას, რომ პეტერბუღში კავკასიის უმაღლესს მმართველებისთვის უთხოვია საზოგადოების მაგივრად, რათა სამურზაყანოის ახალგაზრდობაში შედგენილ იქმნეს ერთი პოლკი, რადგან ყმაწვილები უსაქმოდ დაეხეტებიან, ქურდობენ და ამისი მოსასპობლად თუ შეიძლება ვთხოვოთ ოლქის მმართველს ამაზე განმეორებით მოახსენოს მართებლობას. საზოგადოებამ დიდი მადლი განუცხადა, თ. ზურაბ ჩხოტუამ და იქვე დასწერა თხოვნა მმართველისადმი. 12 საათზე გამოვიდა ბ. მალინოვსკი, თხოვნა მიიღო და იმედი განუცხადა, რადგან ნამდვილად აპირობენ პოლკის შედგენას. მერმე წესდებაებს მიჰყვეს ხელი პირველად წაიკითხეს შორაპნის მაზრის წესდება, მაგრამ არ ვიცი რატომ, ჩვენებს არ მოეწონა, ბევრი ლაპარაკობდა, ჩვენთვის არ არის საჭირო იმათი წედებაებიო, ჩვენი შედგენილი განარჩიეთო. მართლაც, იმას თავი დაანებეს და ჩვენებიდგან შედგენილ წესდებაებს მიჰყვეს ხელი, წაიკითხეს წესდება ბედიის საზოგადოების შედგენილი. ამ წესდების მუხლების უმეტესი ნაწილი მოეწონა ხალხს. მერე წაიკითხეს წესდება თ. ერისთავ ემუხვრის. ეს წესდება უფრო ვრცელი იყო და მიიღეს. იმან სთქვა, რომ ნამესტნიკს წარუდგენო და როცა დაამტკიცებს, გამოგიცხადებთო, იქამდისინ კი ყარაულები დაიჭირეთო, რომ შემცირდესო ქურდობა. აი ეს პირობაები:

1) ჩვენ სამურზაყანოს სააზოგადოება ვალათ ვუდგენთ ყველა იმ პირებს, ვინც არიან და იქნებიან შეწამებული ქურდობაში და ან ქურდის მფარველობაში, რათამც მათ მოეთხოვოთ პასუხი საქონლის პატრონისაგან და ან ამა აღმორჩეულთ კაცებისაგან, რომ არც ამათ მოეპაროს და არც იცოდეს ვინ მოიპარა ამ სახით შეუდგეს განჩინება.
2) ამა საზოგადოების აღმორჩეულნი კეთილ სვინიდისიანი ვალდებულნი არიან მიხედულობისამებრ სიმართლისა, მისცენ ფიცი თვით ქურდობაში შენიშნულ და ქურდის მფარველ პირს, რომ თვითონ შეწამებულს პირს ნება აქვს მიიღოს ფიცი და თან ამოიყენოს ერთიდამ ოთხამდის სიმართლის მექონე მოფიცრები დაუფიცოს საქონლის პატრონს და ან ყარაულებს ესე იგი ცეფს, როგორათაც პირველი და მეორე მუხლი აცხადებს.
3) ნებას ვაძლევთ ყველა საქონლის პატრონებს დასაფიცებელი პირები დააფიცონ ოჩამჩირის ოკრუღის სამში ერთი და ერთი ხატით ჩვეულებისამებრ მათისა; ზუგდიდის უეზდში სოფელს ყულკარს ალავერდის ხატით.
4) ვინც იქნებიან აღმოჩენილნი პირები მათ უნდა იქონიონ სახეში დაფიცება, ვისაც ფიცი შეხვდება საქმის განრჩევაში ერთიდამ სამჯერამდის ამ მოფიცრებთაგან, მაშინ იმ გვარი პირი მეოთხე ალაგს არ უნდა მიიღონ სამართლის პირათ და შეუძლია მომჩივანს დაითხოვონ იმ ფიცებში.
5) დაკარგული და ანუ მოპარული საქონელი რამოდენი ფასოვნების იყო ანგარიშით თუ მომჩივანს და მოპასუხეს უთანხმოება შეუდგება, მაშინ საქონელს პატრონი მიიღებს ფიცს

მეტ-ნაკლები დაფასებისთვის 1, 2, 3 და 4 პარაგრაფების ძალით ოჩამჩირის ოკრუღის სამ ხატზე ერთი და ერთზედ, რათა მომეტებული ფასი არ ექნეს დადებული საქონელს.
6) საქონლის პატრონმა თუ ხარჯი განაცხადა და დაამტკიცა რამდენიც დაუხარჯავს დაკარგული საქონლის ძებნაში ფიცის მერე, როგორც იყო მოყვანილი მეხუთე პარაგრაფში მიიღებს, მაგრამ თავნის ოდენს კი არა, მარტო ორს ნაწილს მიიღებს და ერთი ნაწილი დააკლდება ხარჯს.
7) ვინც ქურდობაში იქნება გამტყუნებული იმან გარდა პატრონის დაკმაყოფილებისა უნდა გადაიხადოს წვრილი ქურდობისათვის 5 მანეთიდამ 10 მანეთამდის; მსხვილი ქურდობისათვის 10 - დამ 20 - მდის.
8) ამ შტრაფის ფული რამდენიც შესდგება უნდა იქნეს ნახევარი ამა საზოგადოების შკოლის სასარგებლოდ და ნახევარი ცეფის თანამდებობის პირების სასარგებლოთ, ასე რომ უმცროს უმფროსის შესაფერათ გაიყოს.
9) ნამდვილი გამოტეხილი ქურდები გარდა ამ ორი შტრაფისა იხდიან კიდევ შტრაფს ძალისაგამო დაწესების გარდმოცემულისა 22 იანვრიდამ 1879 წელში სოხუმის ატდელშიგან ქურდობის მოსასპობლათ, რომელშიაც სწერია მესამე პარაგრაფში, სასამართლოს სასარგებლოთ.
10) საქმის განმარჩეველნი აღმორჩეულნი პირნი რადგანაც მოცდენილნი იქნებიან სამი დღე კვირაში პარასკევს, შაბათს და კვირას, ამიტომ მიიღებენ ყოველთვის ათის თავს განრჩეულის საქმისას მათგან მოგებული პირისგან.
11) უმოწმო ახალი შეძენილი საქონელი ნება არ აქვს იყოლიოს და თუ აღმოუჩნდა პასუხს აგებს ძალის გამო 22 იანვრის 1879 წელს გარდმოცემულის დაწესების, რომელშიდაც წერია 1, 2 და 3 პარაგრაფში.
12) ზოგიერთ საქონლის პატრონები ხშირათ შეურიგდებიან აღმოჩენილს ქურდს საიდუმლოთ, ამიტომ ქურდი თავის საქმეს რომ ცუდათ დაინახავს, გარჩევამდის ურიგდება საქონლის პატრონს საიდუმლოთ, აქიდამ იკარგება ჯერ სახელმწიფო შტრაფი, მერე ცეფის თანამდებობის კაცებს ეკარგებათ უდროის გასაცდენი ფული, მესამე ქურდის დასჯა და მეოთხე ამა ჩვენი საზოგადოების შკოლის სასარგებლო ფული, ამისთვის ვალათ უდგენთ ამ გვარ მომრიგებელ პირებს თუ კი იქნებიან გამტყუნებული ისინი მიეცემიან პასუხისგებაში, ვითარცა ნამდვილი ქურდი და პასუხი მოეთხოვება ვითარცა ნამდვილ ქურდს ყარაულებისგან და ან ცეფებიდგან 1, 2 და 3 მუხლის ძალით.
13) ვინც ზემო დაწერილი განაჩინით გამტყუნდებიან ქურდობაში იქნებიან გარდაყვანილი აქედამ სხვა გუბერნიაში. ვინც არის გამტყუნებული ერთხელ ის ერთის წლის ვადით გაიგზავნება, ორჯელ გამტყუნებული ორი წლის ვადით და სამჯერ გამტყუნებული არა უნაკლეს 5 წლის ვადისა მიხედულებისამებრ მმართებლობის მინისტრის წესით.
14) ჩვენ საზოგადოებამ ვისურვეთ ამ გვარი შინაგანი პირობის ძალით თუ ჩვენ საზოგადოებაში შემოვიდა სხვა საზოგადოების პირი და მოითხოვა დაკმაყოფილება, მაშინ თუ იმის საზოგადოებაში არსებობს ამისთანა პირობა, მაშინ დაკმაყოფილდეს ამის ძალით თუ არა და მაშინ მიიღებს კმაყოფილებას საზოგადო კანონის ძალით.
15) ჩვენ ვთხოვთ მმართებლობას გამოიწეროს რამოდენიმე ბლანკის ბილეთები პირუტყვების ნიშნების ჩასაწერათ, რათა ყიდვა გაცემაში გადავცეთ ეს ბილეთები მყიდველ პირს, და თუ კი ამ გვარი ბილეთი არ ექნება პატრონს, მაშინ იგი უნდა ჩამოერთვას და გაიყიდოს ხაზინის სასარგებლოთ.
16) აგრეთვე ცეფებნი ვალდებულნი არიან თანასწორ მცხოვრებლებისა უზღონ დაკარგული საქონლები სასულიერო წოდებას და მასწავლებლებს.
17) ცეფებს მიეცემათ ჯამაგირი მაღალ წოდებისაგან მანეთ ნახევარი და დაბალ წოდებისაგან ერთი მანეთი და ანუ სამი ფუთი სიმინდი ერთი წლის ვადით.
18) ცეფები ვინაიდგან ღებულობენ ამისთანა სასყიდელს საზოგადოებისაგან ვალდებულნი არიან უზღონ პატრონებს 1 ივნისიდგან დაკარგული ნივთები ანუ საქონელი ერთი თვის

განმავლობაში და მათ ნება აქვთ ეძიონ ქურდი 1, 2 და 3 პარაგრაფის ძალით.
19) საქონლის პატრონები ვალდებულნი არიან მეორე დღესვე შეატყობინონ თავის საქონლის დაკარგვაზედ ცეფების უფროსს.
20) გარედან შემოსულ სტუმარს თუ დაეკარგა თავის მასპინძლის სახლში ცხენი, თუ სხვა საქონელი მაშინ ვალდებულნი არიან ცეფები უზღონ პატრონს თანაწორ ჩვენი საზოგადოების მცხოვრებისა.
21) თუ ვინმე სტუმართაგანმა მოიპარა ამა საზოგადოებიდგან საქონელი, მაშინ ამის მასპინძელი ვალდებული არის წარმოადგინოს თავის სტუმარი პასუხისსაგებლათ ამა წესდებულების ძალით და თუ ეს ვერ შესძლო, მაშინ თვითონ პასუხს აგებს.
22) მაინც იქნებიან საზოგადოებისაგან აღმორჩეულნი ცეფებათ და უარს ჰყოფენ, იხდიან საზოგადოების სასარგებლოთ ოც-და-ათ მანეთს შტრაფს.
23) რადგან საზოგადოების უფლის მქონებელთ ხშირათ სცდება თავის საქმეებს სასყიდლათ იმისა მიიღებს გამტყუნებული პირისაგან რამდენს გადაახდევინებს იმოდენი ათისთავს.
24) საქმის გამრჩეველნი ვალდებულნი არიან კერძო წიგნში ჩასწერონ თუ ვიზე შეადგინეს განჩინება და ან რაზე, თუ ვინ დააფიცეს ან ვინ იყვნენ მოფიცარნი, რათა შემდგომისთვის ცხადათ იყოს თუ ვინ რა საქმეზედ იყო შეწამებული და ან გამტყუნებული.
25) შეწამებული პირი თუ სამჯერ დაბარებით არ გამოჩნდა სასამართლოში, მაშინ მართველნი პირნი შეადგენენ დაუსწრებელ განჩინებას ვითარცა ნამდვილ ქურდზედ, თუ არ წარმოადგინა ნამდვილი საბუთები თავის მოუსვლელობის.
26) შეწამებულმა პირებმა უნდა იშოვონ მაფიცარი პირები თავის გასამართლებლათ თავის საზოგადოების მცხოვრებლებისაგან და ანუ მის მახლობელი საზოგადოებისაგან, მაგრამ მოფიცარნი უნდა იქნენ პატიოსნების და სიმართლის მექონე პირები.
27) განჩინების გამოცხადების შემდეგ ოც-და-ერთი დღის განმავლობაში შეწამებულმა პირმა უნდა ფიცი შეასრულოს და თუ ვერ შეასრულა განჩინება უნდა იქნეს მოყვანილი სისრულეში ყოველ მიზეზის გარეშე.
28) თუმცა რომელიმე ჩვენ ოფჩინის პირს შეუდგეს განჩინება თანახმად 1, 2 და 3 მუხლისა და შეასრულოს და ან არ გახდეს ყაბული, მაშინ იმ გვარი პირი იქნება მტყუანი ვითარცა ნამდვილი ქურდი და არცა ნება აქვს განაგრძოს საჩივარი უმაღლესი სასამართლოს წინაშე. /ვ. სამურზაყანელი/. (დროება, N168, 1880 წელი);

***

აბხაზეთი. გერბზე გამოსახულია თხა, რომელსაც მარჯვენა წინა ფეხი მაღლა აუღია და უნდა წინ გადადგას. თავზე აქვს ორი ვებერთელა რქა, რომელს ზემოთ ფონზე არის ამოსახული სამი ახალი მთვარე. (დროება, N171, 1880 წელი);

დაბრუნებული აფხაზები
ტფილისი, 19 აგვისტოს

„დროების“ მე-173 ნომერში დაბეჭდილი იყო ბათომიდამ მიღებული ტელეგრამმა, რომელიც გვაცნობებდა რომ ამ დღეებში იქ მისულა ოსმალეთიდამ გემი, რომელსაც ათას სულამდინ უკან დაბრუნებული აფხაზი მოუყვანია; ამათ ჰსურთ ისევ თავიანთ ქვეყანაში დასახლდნენო; თვრამეტი დღეა, რაც გემზე ჰყრიან გარეთ შიშველნი, მშიერნი, ათი სული მოკვდა შიმშილისაგანაო და სხვ. მაგრამ ამათ ხმელეთზე გამოსვლისა და ისევ თავის ქვეყანაში დასახლების ნებას არ აძლევენო. რამდენათაც ჩვენ ვიცით, უმაღლესს მთავრობისაგან არც აფხაზებისა და არც ბათომის მხრის მაჰმადიან ქართველებისათვის, რომელნიც ოსმალეთში გადასახლდნენ ამ უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში, უკან დაბრუნება არ არის აღკრძალული; პირ-იქით, ნამდვილათ ვიცით მაგალითები,

რომ რამდენიმე ქობულეთელს და აფხაზებსაც, ოსმალეთიდამ დაბრუნებულებს, მიეცათ უფლება, რო თავიანთ ქვეყანაში დასახლდნენ ხელახლად და ჩააბარეს თავის ადგილ-მამული. ამის წინააღმდეგ განკარგულებას ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ;

მართალია, მოიგონეთ როგორ ძალ-დატანებით გადაიყვანა ოსმალოს ჯარმა აფხაზები ოსმალეთში. მოიგონეთ - როგორ ატყუილებენ და რამდენის ოინებით აგონებენ ბათომის მაზრის ქართველებს მოლლები და ბეგები, იმისთვის რომ, თავის მამა-პაპეული მიწა-წყალი მიატოვებინონ. ამას გარდა უმაღლესს მთავრობას ძალიან კარგათ ესმის თუ ამ ადგილობრივ, ძირეულ ხალხის გადასახლებით რამდენი დააკლდება ამ მხარეს; ესმის, რომ ამათ გარდა თითქმის არც ერთ სხვა ხალხს არ შეუძლია აქ გაძლება, ცხოვრება და ზღვის ნაპირების დაცვა. ესმის აგრეთვე ისიც, რომ ერთხელ შეცოდებულ ხალხს და მერე სინანულში შესულს ყველაზე უფრო უნდა ენდობოდეს მთავრობა, ყველაზე უფრო საიმედოთ და ერთგულ ხალხად უნდა უყურებდეს. კაცთ-მოყვარების გრძნობისა და სამართლიანობის გარდა, ვიმეორებთ, თვით სახელმწიფო სარგებლობა მოითხოვს, რომ ხელ-გაშლილი და გულღია მივიღოთ ჩვენი მაჰმადიანი ქართველი, აფხაზი, ჩერქეზი და საზოგადოთ ყველა, ვინც კი ჩვენგან გადასახლებულა და დღეს მოდის და სინანულით გვთხოვს პატიობას და ხელ-ახლად მიღების ნებას. ამიტომაც სრულ იმედს ვაცხადებთ, რომ ჩვენი უმაღლესი მთავრობა დროზედ მიაქცევს ყურადღებას იმ საბრალო ქრისტიან აფხაზებსა და ბათომის მხრის ქართველებს, რომელნიც შეცდომით გადასახლებულან ოსმალეთში, ამდენი წვალება, შიმშილი, სიცივე სიტიტვლე, გამოუცდიათ ვეღარ მოუთმენიათ ეს წვალება და ისევ უკან დაბრუნებულან შეწყნარების სათხოვნელად. ღირსნი არიან ესენი შეწყნარებისა. ამ შეწყნარებას თვით მთავრობის სარგებლობა და ინტერესი მოითხოვს... (დროება, N176, 1880 წელი);

ორ მიწა შუა

ტფილისი 1, 9 ენკენისთვე. თუ შეგხვდომია როდისმე ზღვით მოგზაურობა ფოთიდამ ადესამდის ან სტამბოლამდის, თქვენ, გამოცდილებით, გეცოდინებათ, რაც არის ზღვაში ყოფნა დაუჩვევარი კაცისათვის. დღე და ღამ ერთ ადგილზე დგომა, ერთი და იგივე კაცების ყურება, ერთი და იგივე თვალ-უწვდენელი წყალი, მუდამ ერთი უვნებელი ცა და პარახოდის ბორბლების ხმაურობა სულთა-მხუთავსავით გაწვებიან გულზე. სულ ამაზე ფიქრობ: ღმერთო. როდის იქნება ერთი ხმელეთზე გავლა მეღირსოსო.

მაგრამ თქვენ, ალბათ, ხუთი ექვსი დღე მარტო გაგიტარებიათ ამ ზღვაზე, პარახოდში საწოლ-დასაჯდომი ადგილი გქონიათ, საჭმელ-სასმელი არ დაგკლებიათ, ხმელეთში გასვლის იმედი არ დაგკარგვიათ, მომავალი ცხადი ყოფილა თქვენ წინ...

თქვენ ის წარმოიდგინეთ ეხლა, რა ნაირ მდგომარეობაში უნდა იყვეს ეს საწყალი აბხაზები, რომელნიც თევზსავით ჰყრიან ერთი-მეორეზედ „აგიოს-პეტროსის“ გემში, რომელთაც არც საჭმელი აქვსთ, არც სასმელი, არც ტანისამოსი და რაც ყველაზე უარესია - არც ხმელეთში გამოსვლის ნება! რა უნდა ქნას კაცმა, სანამ უნდა ეწვალოს ზღვაში ეს უბედური ხალხი? ვინ უნდა იხსნას ის სიკვდილისაგან?

არც ჩვენ მმართველობას, არც ოსმალოს არ უნდათ შეუშვან ეს ხალხი თავიანთ სამფლობელოში. ჩვენ ვერ მიგვიტევებია ამ ხალხისთვის იმათი ყოფა-ქცევა, ომის დროს; ოსმალეთი არ იღებს ჩვენგან განდევნილ ხალხს. ორთავეს გვაქვს ჩვენი პოლიტიკური მოსაზრება, რომლის გამო ამ ხალხს არ უნდა ჰქონდეს ადგილი რუსეთისა და ოსმალეთის ტერიტორიაში. მაგრამ რა ისეთი დანაშაულობა აქვს ამ ხალხს, რომ ამდენი ხანი ვერ გვიპატივებია იმისთვის? რამ უნდა დააფიქროს ჩვენი სახელმწიფო კაცები ამ ერთი მუჭა ხალხის უკან დაბრუნებაზე იმ დროს, როცა ომი სრულიად გათავებულა, დრო

დაწყნარებულია და უკანასკნელი შიში გამქრალა ერთად ბათუმის დაჭერასთან? და თუ ფიქრი არა იქნება-რა, ნუ თუ იმათი დანაშაული იმდენად დიდია, რომ კაცთ-მოყვარეობას ვამორჩილებთ რაღაც-ნაირ პოლიტიკურ მოსაზრებას და განათლებული მმართველობა აქამდი მიახწევინებს საქმეს, რომ იმ ხალხმა ზღვაში თავი დაიღჩვას, ან ერთმანერთი დასჭამოს კაიუტაში?

ამ რამდენიმე წლის წინათ, გვახსოვს, მოსკოვის ზოოლოგიური ბაღის დირექტორს შეამჩნიეს, რომ ზოოლოგიური ბაღის პირუტყვებს საჭმელს აკლებსო და ერთი ვაი-ვაგლახი ატყდა ჟურნალ-გაზეთებში. ,,ბარბაროსი ვიღაც ყოფილა, პირუტყვებს სტანჯავსო“ იწერებოდნენ ამ ჟურნალ-გაზეთებში. რამდენათ უფრო შესაძრწუნებელია იმ მცირე-წლოვანების და იმ დედების ხვედრი, რომლებიც შიმშილით იხოცებიან ცასა და წყალს შუა, როგორც იწერებიან გუშინდელ „გოლოსის“ ტელეგრამმაში. მაგრამ რა ქნა ჩვენმა კაცთ-მოყვარეობამ, ჩვენმა სულს გრძელობამ? ან რა ისეთი ცოდვა ჩაიდინა ამ ხალხმა, რომ სამ-ოთხი წლის უბედური ცხოვრებით ვერ გამოისყიდა თავისი შეცდომა? ეჭვი არ არის, რომ ყოველ ნაირი ღალატი, რა დროსაც კი უნდა იყოს-და ნამეტურ ომის დროს-ფიცხლად არის დასასჯელი, მაგრამ განა არ ვიცით, განა ჩვენმა სახელმწიფო კაცებმა არ უწყიან რა მონაწილეობასაც იღებს ხალხი ყოველ ამ გვარ ჯანყებაში? ხალხი ყოველს არეულობაში ზოგიერთა მოთავე პირების მსხვერპლია და ამ შემთხვევაში ის იყო ოსმალოს აგენტებისაგან გატაცებული და გაბრიყვებული. იმათ, რა საკვირველია, სასჯელი ეკუთვნის, მაგრამ ნუ თუ არ ეყოთ იმათ სასჯელათ ამ ცხელ ცრემლებში გატარებული სამი-ოთხი წლის ცხოვრება. ნუ თუ ეხლა, ამ მშვიდობიან დროზე, ჩვენი კაცთ-მოყვარეობა არ უნდა დავაყენოთ შურის-ძიების პოლიტიკის ზემოთ?

აბხაზებს ბურთივით ისვრიან ჩვენი პორტიდამ ოსმალოს პორტამდის, საიდამაც იმათ თოფის სროლით აბრუნებენ უკან და არიან ეს საწყლები გაჩერებული ორ მიწა შუა იმედ ამოღებულნი და სასო-წარკვეთილნი. დროა ჩვენ დავივიწყოთ იმათი შეცდომა და როგორც სულ-გრძელმა მამამ მივიღოთ ჩვენი ორგული შვილები. „მოწყალე იგი არის, რომელმანცა არა ღირსი წყალობისა შეიწყალოს“ - ამბობს საღმრთო წერილი. /ლელო/. (დროება, N199, 1880 წელი);

***

„დროების“ N198-ში გადმობეჭდილია გოლოსის ტელეგრამმა იმ რვაას აბხაზების მდგომარეობაზე, რომელნიც ასე შეუბრალებლად დასტოვა ზღვის ნაპირას ფრიალო კლდეთა შორის გემმა აგიოს პეტროსმა. ეხლა ჩვენდა სასიხარულოდ ვჰკითხულობთ დღეს მიღებულ გოლოსის N254-ში, რომ დ. მ. მიხეილ ნიკოლოოზის ძის კავკასიის ნამესტნიკის მოწყალებით ამ უბედურ აბხაზებისათვის ნება მიუციათ თავიანთ მამულში დასასახლებლად. (დროება, N200, 1880 წელი);

***

გაზ. „კავკაზ“-ის აბხაზელი კორესპონდენტი იწერება, რომ გავლილ აგვისტოსს თვის 17 დაბა ოჩამჩირეში, მაზრის უფროსის მოწვევით, მოგროვილი იყვნენ აბხაზეთის და სამურზაყანოს კეთილშობილნი ქურდობის მოსპობის თაობაზედ მოსალაპარაკებლად. ამ ყრილობაზე ღენ. თ. გრიგოლ შარვაშიძეს მიუცია დამსწრეთათვის წინადადება, რომ, რადგან უმთავრესი მიზეზი ქურდობისა არის უმეცრება და ურიგოთ გაგებული თავ-მოყვარეობა, რადგან სკოლა და სწავლა დაგიხსნისთ თქვენ ამ ნაკლულევანებათაგან, ამის გამო გირჩევთო, რომ საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრად ჩაეწეროთო. ეს აზრი აქ შეკრებილთ ძალიან მოსწონებიათ, ბევრს აქვე გამოუცხადებია საზოგადოების წევრად ჩაწერის სურვილი და ზოგიერთებს უკისრნიათ სხვა წევრების მოგროვებაც. კორრესპონდენტს იმედი აქვს, რომ ასი ახალი წევრი მაინც მიემართება ხსენებულ საზოგადოების მარტო აბხაზეთიდამაო. (დროება, N206, 1880 წელი);

***

ფოთიდამ გვწერენ 28 ენკენისთვეს: „იმ აბხაზების ბედზედ, რომლებზედაც ამას წინათ გწერდით, რომ აქაურ სატუსაღოში არიან-მეთქი, ჯერ არა ისმის-რა. ნეტავი რას უცდიან ამათი ბედის გადაწყვეტას? იქნება იმ დროს უცდიდნენ, როცა ამ საქმის გადაწყვეტაც აღარ იქნება საჭირო, როცა დევნულნი ყოველგან ყოველგვარ უსამართლობის, შიმშილის, წყურვილის და სამშობლოს მოშორებით გულ-დაკოდილები საუკუნოთ მოისვენებენ იმ ტბაში, რომელსაც ჩვენ, ფოთელები, სასაფლაოს ვუწოდებთ. ათი მათგანი უკვე გადვიდენ იმ სოფელს, საცა არავისი უსამართლო ქცევა მათ არ შეაწუხებთ. „ერთი ამ უბედურებათაგანი შემთხვევით ვნახე და რადგან მეგრული სცოდნოდა, კაი ხანს ვილაპარაკეთ. მომიყვა სულ ყველაფერი, რაც თავს გადახდენიათ იმას და მისს ცოლ-შვილს და სხვებს. ამისი გრძელი მოთხრობის მომსმენს გულის მაგიერ ქვა უნდა ედვას მკერდ ქვეშ, რომ თვალები ცრემლებით არ აევსოს...

„მიკვირს ამ ხალხის აგებულების სიმაგრე და სულის ძლიერება, რომ ამდენი გაჭირვების გამონაცდებს, ხუთში ერთს მაინც კიდევ სული უდგიათ! ამ კაცს, სამშობლოდამ ოსმალეთში ძალით წაყვანილს, დაუკარგავს იქ ის, რაც უძვირფასესია კაცის ცხოვრებაში - ცოლ-შვილი; მაგრა მაინც მიილტვის სამშობლოსკენ. ამბობს, რომ ჩემ ცოლ-შვილს ჩვენი ქვეყნის უნახაობის ნაღველი ჩაჰყვა საფლავშიო და მე მაინც ვნახავ იმ ცარიელ ეზოს, რომ „იმ სოფელს“ მაინც გავახარო ისინი მის ამბის მოთხრობითო.'' ამას ამბობს და სტირის ეს ლომივით ვაჟკაცი...

„ერთმა სოხუმიდან მოსულმა სარწმუნო პირმა მიამბო, რომ იქ უკვე მისულან ის ათასი სული აბხაზები, რომელთაც ნება მისცეს სამშობლოში დაბრუნებისა. მაგრამ ვაი ამათ დაბრუნებას: ყველანი მტირალნი სხედან თურმე და მოსთქვამენ ვინ ცოლზედ, ვინ შვილზედ, ვინ ქმარზედ და ვინ ვისზედ, რომელნიც შიმშილის მსხვერპლათ შექმნილნი მგზავრობის დროს, მიუბარებიათ ზღვის ზვირთებისათვის.... ამას ზედ დამატებია მეორე მათთვის დიდათ სამწუხარო განკარგულება: როგორც ამ პირმა დაარწმუნა, მათ აძლევენ დასახლების ნებას მარტო სოხუმის ახლოს ადგილებში, რომელთ საუკეთესო ნაწილები უკვე დარიგებული ჰქონიათ სხვა-და-სხვა მოსამსახურე პირებს და დარჩენილად მარტო სრულიად უვარგისი ვერანა ალაგები... ისინი უნდა დასახლდნენ რუსეთულ სოფლების რიგზედ, ქუჩა-ქუჩა. ამ ამბების გამგონე აბხაზები ისრე მოწყენილნი არიან თურმე, რომ თუნც სრულიადაც არ ენახოსთ თავიანთი სამშობლო...“ (დროება, N209, 1880 წელი);

სოხუმის მაზრის საჭიროება
ტფილისი, 21 ოქტომბერს

ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო ამას წინათ ოფიციალური ცნობა, რომ ნემესტნიკის მთავარ სამმართველოის უფროსი ღენ. ლეიტ სტაროსელსკი და აგეთვე სხვა უწყებათა რამდენიმე ჩინოვნიკი გაგზავნილი არიან სოხუმი მაზრაში იმ განზრახვით, რომ ამ მაზრის მდგომარეობა გამოიკვლიონ და იმის ეკონომიურად გამაუმჯობესებელი ღონისძიება მონახონ. თითქმის ამ დროსვე წავიდა ბათუმისაკენ, ახლად-დაპყრობილი მაზრების დასახედავად, კავკასიის არმიის მთავარ-სარდლის თანაშემზე ღენ.-ადიუტ. თ. ლ. მელიქოვი. ერთიც და მეორეც ამბავიც სასიამოვნოდ და საყურადღებოდ მიგვაჩნია. ომიანობის შემდეგ ამ ორის წლის განმავლობაში თითქმის გაუწყნარებელი ლაპარაკია ამ კავკასიის მხრის დასავლეთ მაზრებზე: ბათუმისა და სოხუმის მაზრებზე. აქაურსა და რუსეთის გაზეთებში თითქმის დღე არ გაივლის ისე, რომ ერთი რამ ამბავი, ერთი რამ საჩივარი და გაჭირვება არ იყოს გამოცხადებული ხსენებულ მაზრებისა; ხალხი შევიწროებული და შეწუხებული

არისო, ყურის-მგდებელი და პატრონი არავინ ისმისო, შიმშილი და უმიწაწყლობა აწუხებს ქვეყანასაო და სხვ. და სხვ.

ყველა ამას, იმედია, გამოიკვლევენ ის წარჩინებულნი პირნი, რომელნიც სოხუმისა და ბათუმის მაზრის დასახედავად არიან ამ ჟამად გაგზავნილნი და, კიდევ უფრო იმედია, ეცდებიან და მონახავენ ისეთ საშვალებას, რომ იქაური ხალხი დაიხსნან იმ გამოუხსნელ და წარმოუდგენელ გაჭირებიდგან, რომელშიაც ის, გავლილ ომის წყალობით, ჩავარდნილია. მთელი ქვეყანა მოიარა იმ ამბავმა, რომ ამას წინად ათასზე მეტი აბხაზი ჩამოვიდა ბათუმში, ისევ თავის სამშობლო ქვეყანაში დასაბრუნებლად, და სანამ დიდის მთ. ნამესტნიკის დაბრუნების ნებართვას მიიღებდნენ, მანამ სხვა-და-სხვა წვრიმალ ჩინოვნიკებისა და კერძო პირების წყალობით, მესამედი ამ ხალხისა შიმშილ-წყურვილით და ავათმყოფობით დაიხოცა, სოხუმის სამხედრო მაზრის უფროსი პოლკოვნიკი არაკინი, როგორც რამდენჯერმე იყო გაზეთში გამოცხადებული, თოფითა და ზარბაზნით უხვდება ყველა აბხაზებსა და ჩერქეზებს, რომელნიც კი იმის მაზრაში შავ ზღვის ნაპირზე ფეხის გამოდგმას გაბედავს. ამგვარადვე არ უშვებენ უკან დაბრუნებულ ქობულეთელებს და საზოგადოთ ბათუმის მაზრის სხვა მცხოვრებლებს, რომელნიც შეცდომით და შეცდენით გარდაიხვეწნენ ოსმალეთში და ახლა, რაკი იქაური ცხოვრების სიმწარე იგემეს, უკან დაბრუნების ნება-რთვას თხოულობენ.

ათასჯერ გამოგვითქვამს ის აზრი და, სანამ შესრულებულს არ ვნახავთ, ათი ათი-ათასჯერაც რომ ვსთქვათ, არ მოგვწყინდება, რომ რუსეთის პოლიტიკა, სახელმწიფო ინტერესი როგორც ეკონომიური, აგრეთვე სამხედრო და სხვა ყოველგვარი მოსაზრება მოითხოვს ესე დაბრუნებული ხალხი ჩვენ ძმურად, სიხარულით და გულღიათ მივიღოთ; რომ შემდეგში ამ ხალხისაგან რუსეთს არავითარი შეწუხება და შიში არა აქვს; რომ თუ კი მივიღებთ, დავაბინავებთ და ხელს მოუწყობთ, ესენი ერთ დროს რუსეთის საუკეთესო და უერდგულესი ქვეშევრდომნი, ყურ-მოჭრილი, მორჩილნი ყმანი შეიქნებიან; გვითქვამს და ვამბობთ, რომ უკან დაბრუნება და განდევნა იმათი, ვინც ჩვენგან და ჩვენთან თავის შეფარვას თხოულობს, ერთი-ათად უფრო მავნებელია, ვინემ ამათი მიღება და ისევ თავის ადგილ-მამულში დასახლება; გვითქვამს და ვიმეორებთ, რომ ამათ ნასახლარში სხვა რომლისამე ტომის ხალხი ვერ დასახლდება, ვერ იხეირებს, ვერ გაძლებს; მხოლოთ ესენი შეეთვისებიან ამ ქვეყანას, მხოლოთ ამათ შეუძლიანთ თავიანთ მიწა-წყლის შემუშავება, გვითქვამს და ვიმეორებთ, რომ სხვებზე, განსაკუთრებით დიდ-კაცებზე დარიგება ადგილებისა ბათუმისა და სოხუმის მაზრებში არავითარ სიკეთეს არ მოიტანს, რადგან უყურადღებოდ აგდებენ ისინი ამ ადგილებს, ქვეყანა ამის გამო გავერანდება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ამას ცხადათ დაინახვენ ის პირნი, რომელნიც ამ ქვეყნების დასახედავად არიან ამ ჟამად უმაღლეს მთავრობისაგან გაგზავნილი; დაინახავენ და მივლენ იმ დასკვნამდინ, რომ სოხუმისა და ბათუმის მაზრების ნივთიერ, ეკონომიურ გასაუმჯობესებლად ყველაზე უკეთესი და უსაჭიროესი ღონისძიება ამ თავით ის არის, რომ ხეირიანი, ადგილობრივი ხალხია და საჭიროების მცოდნე ადმინისტრაცია დაინიშნოს და ყველას, ვინც აქედამ ძალით ანუ ნებით გადასახლებულები მოინდომებენ, მიენიჭოთ სრული უფლება თავის სამშობლოში დაბრუნებისა და თავის ადრინდელ ადგილ-მამულში დასახლებისა. (დროება, N223, 1880 წელი);

****

სოხუმიდამ შემდეგ ამბავს გვწერენ: „14-ს ამა მიმავალ თვისას ოთხ საათზე საღამოს ორს მცველს მოჰყავდათ ორი ტყვე, რომელთაც უნდა მიეტანათ წყალი. გამოვიდნენ ციხიდან თუ არა, დაიწყეს ამ ტყვეებმა რაღაზედაც ლაპარაკი; პატარა ხიდამდინ რომ მიაღწიეს, ტყვეებმა დააგდეს საწყლე და დაუწყეს ერთმანეთს ცემა. წინ რომ მცველი მიდიოდა, ჩავარდა მოჩხუბართ შუაში და უნდოდა გაეზზავებინა; მაგრამ ვერა გააწყო-რა. ბოლო ტყვეებმა დაიჭირეს თითონ გამზავებელი და უწყალოთ ცემეს, მეორე მცველი კი სეირს

უყურებდა. უეცრად ტყვეები გაიქცნენ და ეს საწყალი მცველი დასტოვეს ტალახში ჩაკუშული. მეორე მცველმა ციხისკენ მიმართა ყვირილით: „ტყვეები გაიქცაო!“ შეიქნა დაფის ცემა და გარნისტების ყვირილი, მთელმა ბატალიონმა მიმართა იმ მხარისაკენ საითაც გაიქცნენ ტყვეები; შეესიენ ტყეს მაგრამ ისე გაჰქრნენ აფხაზები, რომ იმათი გზა და კვალი ვეღარ გაიგეს... (დროება, N223, 1880 წელი);

ოქუმი, 2 ნოემბერს

ქურდობა სამურზაყანოში უჩვეულებრივად მოედვა, ამ უკანასკნელ დროში; მაგრამ ახლა თითქმის თვე ნახევარია, რაც ვეღირსეთ სანატრელს დროს და - შევისვენეთ ქურდების კლანჭისაგან; ეღირსათ საბრალ პირუტყვს ღამით სიარული თავისუფლად და ბალახობა; მოისვენეს აქაურ ადგილობრივი სასამართლოების მწერლებმა იმ უზომო განცხადების ბილეთისა, ჩაწერასა ჟურნალებში და საქმისადმი მიკერებისაგან. მაგრამ დაკარგული კი, მეტადრე სამღვდელოებისა, მოუბრუნებლად გაქარწყლდნენ, ვერავითარ კმაყოფილებას იგინი ვერ იღებენ ვერავისგან. მიზეზი ქურდობის დაწყნარებისა გახლავსთ ის დებულება, რომელიც შეადგინეს ადგილობრივი საზოგადოების რომელთამე მაღალ წოდების პირთა მოსასპობელად ქურდობისა. ეს დებულება, საზოგადოებისაგან ხელმოწერილი, გაგზავნილა უმაღლესის მთავრობისადმი დასამტკიცებლად: თუ ვეღირსეთ დამტკიცებას, ხო კარგი, თორემ, თქვენს მტერს, თუ კიდევ თავი აიშვეს შესვენებულ ქურდებმა, მაშინ ვინღა გადაურჩება მათ?

ამ გვარ ქვეყანაში, სადაც ხალხი უსწავლელია, უანგარიშო ჩვეულება, შემარცხვენელნი კაცების ღირსებისა, მიუღია ძველებისაგან და მტკიცედ უჭირავსთ, აუცილებელი საჭიროა რომელიმე საშუალებით ხალხი პატივს სცემდეს ეკლესიას და მღვდელს, რომ სულიერს მწყემსს შეეძლოს სწავლება მისი და დაყენება სწორს გზაზედ. ჩემის შეხედვით, ერთი უკეთური საშვალებათაგანი იქნება რომ კვირა და დღესასწაულს დღეებში სასოფლო სასამართლოები დაიხურებოდნენ შუა დღემდის, სანამ წირვა გათავდებოდეს, მოხელე კაცები ეკლესიაში მოდიოდნენ: მაშინ უსათუოდ ხალხიც მათ წაბაძავდა და შეიკრიბებოდა ეკკლესიაში... /აქაური/. (დროება, N237, 1880 წელი);

1881 წელი

გაზეთი ,,დროება''

ახალი ამბები

ჩვენს ქალაქში იმყოფება ამ ჟამად აბხაზეთიდამ ჩამოსული დეპუტაცია, რომელიც თერთმეტის საპატიო პირისაგან შესდგება და რომელიც, როგორც გვითხრეს, დიდის მთავრის კავკასიის ნამესტნიკის წინაშე შუამდგომლობს, რომ გლეხების განთავისუფლების შემდეგ დარჩენილი ასი-ათასი მან. და აგრეთვე თ. დიმ. ჭავჭავაძისაგან შემოწირული ორი-ათასი მან. შეუერთონ ქუთაისის ან თფილისის საადგილ-მამულო ბანკს და ამ ფულის შემოსავალი აბხაზეთში და სამურზაყანოში სახალხო განათლების საქმეს მოახმარონ. დიდ მთავარს ნამესტნიკს კარგათ მიუღია დეპუტაცია, ყურადღებით მოუსმენია მათი თხოვნა და აღუთქვამს, რომ რაც კი ჩემგან შესაძლებელი იქნება, ვეცდები აგისრულოთო. (დროება, N2, 1881 წელი);

***

კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისაგან გამოცემულს სტატიების „კრებულში“ სხვათა შორის დაბეჭდილია ბ. მედვედიევის ძრიელ საინტერესო სტატია კავკასიის ტყეების შესახებ, რომლიდამაც შემდეგი ცნობები მოგვყავს: კავკასიის აქეთა მხარე სულ 17,068,585 დესიატინას შეიცავს: ამ რიცხვიდან ტყეებს 4,125,000 დესიატინა უჭირავთ. ამ ანგარიშით თითო კაცზე თითქმის ერთ-ნახევარი დესიატინა ტყე მოდის. თბილისის გუბერნიაში არის - 1,104,000 დესიატინა ტყე, ქუთაისისაში - 862,000, სოხუმის მაზრაში - 383,000 და სხვ. თფ. გუბერნიაში ყველაზე მომეტებული ტყე გორის უეზდშია (267,000 დესიატინა), ქუთაისის გუბერნიაში კი რაჭის მაზრაში (200,000 დეს.). მთელი ამ ტყიდამ ხაზინას ეკუთვნის 2,500,000 დესიატ. ტყე და დანარჩენი მილიონ ნახევარი დესიატინა კი კერძო პირებს. ბ. მედვედევი, რომელმანც კარგათ იცის ჩვენი მხრის ტყეების საქმე, ამბობს, რომ, თუმცა ბევრ ქართველ მემამულეებს დიდ-ძალი ტყეები აქვთო, მაგრამ არც ერთი ამ მემამულეთაგანი რიგიანად ვერ უვლის თავის ტყესაო. მხოლოთ თფილისის ახლო-მახლო ტყეების მეპატრონეები ახლა შეუდგნენ ამ საქმეს და თითქო აპირებენო უფრო რიგიანად აწარმოვონ თავიანთ ტყეების საქმეო. ყველაზე უკეთესი ტყეები, ბ. მედვედიევის სიტყვით, შავი ზღვის ნაპირა და სოხუმის მაზრაშია, სადაც ცოტა ხალხი სცხოვრებს და ბევრგან ამ ტყეებს კაცის ხელი არ შეჰხებია. ჩინებული ტყეები იყოვო აგრეთვე თფ. და ქუთაის. უეზდებში, მაგრამ აქ ამ უკანასკნელ დროს ისე უთავბოლოთ, დაუზოგავად და უწესოთ სჭრიანო, რომ საფიქრებელია რამდენიმე ათის წლის განმავლობაში, თუ ყური არ უგდეს, ხალხი დიდს გაჭირებაში ჩავარდებაო. (დროება, N2, 1881 წელი);

ახალი ამბები

ჩვენ გვაცნობეს, რომ გენერალ-მაიორის თავ. გრ. ა. შარვაშიძის თაოსნობით აბხაზეთის საზოგადოებას განუცხადებია სურვილი, რომ „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ იკისროს აბხაზეთში სკოლების გამართვა და ბევრ თავად-აზნაურთა გამოუცხადებიათ კიდეც სურვილი საზოგადოების წევრათ შესვლისა. ჯერ დროებით საზოგადოებას მოსვლია ოც-და-ექვსი კაცისაგან საწევრო ფული და განცხადება წევრათ მიღებაზე. უმეტესი ნაწილი ამათგანი არიან შარვაშიძეები, მარშანიები, ანჩაბიძეები და ემუხვარები. იმ განცხადებაში, რომელიც შემოუტანიათ საზოგადოების მმართველობაში, ისინი, სხვათა შორის, ითხოვენ, რომ სკოლებში პირველ-დაწყებითი სწავლა უეჭველად ქართულ ენაზედ იყოსო, რადგანაც ძველის დროიდამ ეს ენა არისო ჩვენთვის სამოქალაქო და საეკლესიო ენაო. (დროება, N22, 1881 წელი);

ახალი ამბები

სოხუმის სამხედრო მაზრის ადმინისტრაცია აცხადებს, რომ ამ გავლილ 19 თებერვლიდამ ქ. სოხუმში და ოჩამჩირეში გაიხსნა მომრიგებელი სასამართლო ნოტარიუსის ნაწილით და ამასთანავე დაიხურა სოხუმისა, ბიჭვინთისა და ოჩამჩირის ძველი (სიტყვითი) საოლქო სასამართლოები. (დროება, N47, 1881 წელი);

ახალი ამბები

სოხუმის პოლიციის გამგეობა აცხადებს, რომ ვისაც ამ ქალაქში ადგილ-მამული აქვს და ჯერაც არ წარუდგენიათ თავიანთ კუთვნილობის საბუთები, რაც შეიძლება მალე წარადგინონ პოლიციაში; თუ ამ წლის 1 ნოემბრამდინ არ წარადგინეს ამგვარი საბუთები, იმ შემთხვევაში უპატრონო მამულები ქალაქის საკუთრებად ჩაითვლებაო. (დროება, N64, 1881 წელი);

ახალი ამბები

სოხუმის მაზრიდამ, დაბა ოჩამჩირიდამ, გვწერენ, რომ უმაღლესად დამტკიცებულის წესის თანახმად, გავლილ 19 თებერვალს გაიხსნა აქ ახალი სასამართლოებიო. ამ დღეს ჩვენს დაბაში მოვიდა მომრიგებელი მოსამართლე, რომელსაც სამურზაყანოს თავად-აზნაურობამ და ოჩამჩირის მცხოვრებლებმა სადილი გაუმართეს და ყველანი დიდის პატივისცემით მიეგებნენო. (დროება, N65, 1881 წელი);

***

სოხუმიდან შემდეგ ამბებს გვწერენ: „ერთ-დროს გვარიანად განწყობილი ჩვენი ქალაქი, ამ ჟამად თან-და-თან უკან მიდის. სახლები მინგრეულ-მონგრეული, ეზოები უპატრონო, ქუჩები მოუვლელი, თხრილებში მყრალი წყალი, რომელშიაც უანგარიშო ბაყაყები დაგუბებულან. თუმცა აბხაზები ახლა აქ თითქმის სრულიად აღარ ცხოვრობენ, მაგრამ ქურდობა და ავაზაკობა ადრინდელზე უფრო ხშირად ხდება. ამას დაუმატეთ სიძვირე და ხშირი ავათმყოფობა და დამეთანხმებით, რომ ამისთანა ქალაქში უცხო ქვეყნის ხალხი არ უნდა ილტოდეს დასასახლებლად. მაგიერად ჩვენ კორრესპონდენტს მოსწონს იქაური მასწავლებელი: ყმაწვილებს კარგათ ასწავლიან, პანსიონში, შეძლების-და-გვარად, ურიგოთ არ უვლიანო. მაგრამ უბედურობა ეს არისო, რომ სასწავლებელს ცოტა საშუალება აქვსო. ამას წინათ, 22 თებერვალს, ამ სკოლის სასარგებლოდ, წარმოდგენა გამართესო, მაგრამ რადგან სოხუმში ცოტა ხალხი ცხოვრებს, შემოსავალიც მცირედი ჰქონდაო. (დროება, N65, 1881 წელი);

ახალი ამბები

სოხუმიდამ გვწერენ, რომ აღდგომის მეორე დღეს სოხუმის იმერლებს და მეგრელებს გაუმართავთ თამაში მაიდანზე და დაუწყიათ სიმღერა. ბატალიონის კამანდირს დაუსევია სალდათები თოფებით და ბევრი იმათგანი დაუჭრიათ; ბევრი დაუჭერიათ და სატუსაღოში დაუმწყვდევიათ. ორი დაჭრილთაგანი მოკვდა კიდეცაო. ჩვენ არაფერი ვიცით ჯერ ამ სამწუხარო შემთხვევაზე. ისიც, რაც აქ მოვიყვანეთ შემთხვევით კორრესპონდენტისაგან მოგვივიდა. თუ მართალია, ადგილობრივი ადმინისტრაციის ღირსება მოითხოვს ნამდვილი ამბავი გამოცხადდეს ამ საგანზე. (დროება, N81, 1881 წელი);

,,დროების'' ფელტონი, 25 აპრილს. LA CAUCASIE *) E. RECLUS (გამოკრება ელიზე რეკლიუს გეოგრაფიიდამ „კავკასია“) სტატია მეორე, II დასავლეთი კავკასია ყუბანის ხეობა, აბხაზები, ჩერქეზები და შავი ზღვის ნაპირა ყაზახები

აბხაზეთის ნაპირზე კავკასიის მთა უცბათ დაექანება ზღვისაკენ. ამ გვარის მთის ბრეკი არ თავდება ზღვის ნაპირზედაც. რო ცოტათ შეიწიოს, გამომეძიებელი დაინახავს, რომ შიგ ზღვაშიაც აწევს ეს დაღმართი. ჩერნიავსკის გამოზომით ზოგან ეს დაღმართი 3600 მეტრზე ჩადის... თითონ მთები ამ ნაპირის ახლო, მაღალი არიან; ზოგან 3000 მეტრზე სანიადაგო თოვლი ძევს. ჯერ მთის გადაღმართი გადმოღმართთან არ არის შეერთებული. 1883 წლისთვის კი არის დანაპირი ეს გზა, და, მანამდის პატარა ვიწრო გზას სჯერდებიან ზღვის გაყოლებით. ეს გზაც ხშირად ფუჭდება ხოლმე და მოგზაურებმა უნდა მისდიონ ინდოევროპული ტელეგრაფის ძაფს. მდინარეებს აბხაზეთში ბევრი წყალი არა აქვთ, ზოგიერთა მაღალ ხეობას ეტყობა, რომ ძველათ იქ ტბები მდგარან. აბხაზეთი ამწვანებულია მშვენიერი მცენარეებით. საუბედუროთ, გვიმრა აფუჭებს იქაურობას. ის რამდენიმე მეტრის სიმაღლე იზრდება აბხაზეთში, მერე შემოდგომაში დასცვივა და ხშირის წვიმისგან ლპება.

ამისგან ჩნდება ციება. ქარი არ არის ხშირი, არც ძლიერი, მაგრამ ჩრდილო-დასავლეთისკენ მთები იმდენათ მაღლები არ არიან, რომ ჩრდილოეთის ქარი შეაკავონ და ნოვოროსიისკის მახლობლათ ხშირათ ძლიერი ქარი ქრის. 1848 წ. ნოვოროსიისკის ნავთსადგურიდამ ზოგი ხვამალდები ნაპირზე გამოისროლა ქარმა და ზოგი შუა ზღვაში შეიტანა. ჩრდილო ნაპირი კავკასიის მთებისა, ამ ადგილზე, სულ მთლად ეკუთვნის ყუბანის ხეობას. ამ ხეობაში ყუბანი ხშირათ გადადის და ზოგჯერ მთელი კილომეტრონით წყლით ავსებს. თითონ ყუბანზე თფილისის სტანიციამდის, ორიოდე ვერსტი, პატარა პარახოდები დადის. ამ ადგილსავე კავკასია თავდება ცალ-კუნძულით, ტამანით. ეს ცალ-კუნძული (როგორც მეორე ცალ-კუნძული, რომლითაც თავდება კავკასია კასპიის ზღვაში) ჯერ კიდევ ვოლკანიურ საქმობაში არის. აქ ხან გამოჩნდება კუნძული ზღვის ნაპირათ, ხან ისევ ჩაიმალება. აქ არის სამკურნალო თბილი ლაფი (ახტალა) და ნავთის წყაროები. აქაური ნავთის წყაროები დაურიგდა რუსის ჩინოვნიკებს 1870 წელს. ექვსი წყაროდამ იღებენ დღეში 170,000 ლიტრას. ხშირად, როგორც რომელსავე ადგილს, საცა ნავთი ეგულვებოდათ, ჩაბურღავდნენ, ნავთი 15 მეტრზე მაღლა შადრევანივით აისხმებოდა. არც ერთ ქვეყანაში, დედა-მიწის ზურგზე, არ ცვლილა იმდენათ ზედ მცხოვრები ხალხი, რამდენათაც ყუბანის ხეობაში; არც ერთ ქვეყანას არ უხდება „სისხლის ქვეყნის“ სახელი იმდენათ, რამდენათ ყუბანის ხეობას. ამ საუკუნის ნახევარს აქეთ ამ ადგილიდამ აღიხოცა მკვიდროვანი ხალხი და სხვა რასსის ხალხები მოვიდნენ მათი ფუძის დასაპატრონებლათ... ენა, ზნე, ტრადიციები დაიკარგნენ სამუდამოთ; სხვა და სხვა ქვეყნებში გაფანტული ამათ ნაწყვეტებში ვის შეუძლია დღეს იპოვოს ის ზნე და ის სასოება, რომელი ხალხის სულს შეადგენდნენ. ძველთაგან დარჩა მარტო გეოგრაფიული ტერმინები, უცხო ტომთ პირში გადაფუჭებული...

ჩ ე რ ქ ე ზ ე ბ ი იყვნენ ამ ადგილის მცხოვრებნი. 1859 წელში პაული სწერდა, რომ იმათი რიცხვი ნახევარი მილიონი არისო; 1864-ში იყო 300 ათასი. დღეს ამ ხალხიდამ დარჩა მარტო რამდენიმე სახლობა... აბხაზები რუსის ქვეშევრდომნი იყვნენ 1810 წლიდამ და ისე გაქრნენ, როგორც ჩერქეზები. 1864 წ. ამათი რიცხვი იყო 150 ათასი; უკანასკნელი ომის წინათ ამ რიცხვს ორი წილი გამოაკლდა. 20 ათასი მათგანი გადასახლდა შემდეგ ომის გათავებისა. მხარე ცოტ-ცოტათ დაიცალა. *Le vide s'est fait pour recevoir la polulation russe.* ჩერქეზებს საშინელი ბედი ეწიათ. 1864 წელში რუსის მმართველობამ გამოსცა ბრძანება - ვინც სრულად არ დაემორჩილებოდა მმართებლობას, გარდასახლებულიყო იმპერიიდამ. იმათ დაუნიშნეს ერთი თვე, რომლის განმავლობაში თუ არ გარდაიხვეწებოდნენ, მმართებლობა იმათ მოექცეოდა, როგორც სამხედრო ტყვეს. ჩერქეზები დაუმორჩილდნენ რუსის მთავრობის განკარგულებას და პირველს ექვს თვეში 260 ათასმა კაცმა დასტოვა თავის მიწა-წყალი; წავიდნენ ზოგი ევროპიის ოსმალეთს, ზოგი ანატოლიას, ზოგი კვიპროსს და სხვა ოტომანის იმპერიის ადგილებს. ოფიციალური ცნობით სჩანს, რომ 1858 წლიდამ 1864 წლამდის გადასახლებულა 398 ათასი ჩერქეზები. ვინ ჩამოთვლის, ვინ ასწერს ამ „გადმოსვლათა“-ს ამბავს ყველა იმ მწუხარებას და უბედურებას, რაც ამ საწყალმა ხალხმა გამოიარა.. მხნე და რაინდული ტრადიციების მქონი ჩერქეზი უბრალო საქციელისაა და პატრიარხალური ზნეობის, წელ-წვრილი და ფართე მხარ-ბეჭიანი; წოწოლა ლამაზი პირის-სახე გარშამოცულია შავი თმებით და მკვირცხლი თვალებიდამ გამოკრთის ელვა. მისი ტან-საცმელი - ჩოხა-ლამაზათ უხთება და სხვებისთვისაც გახდა ნაციონალურ ტანისამოსათ. მშვიდობის მოყვარე ურიებმაც კი შეიმოსეს ეს ტანისამოსი, თუმცა ჩოხის საქილევები იმათვის სულ გამოუდეგარია. ჩერქეზები, უეჭველათ, იგივე რასის არიან, რომლისაც არიან ქართველები, ლეკები და ჩაჩნები; მათი არიელების მიჩემება ძნელია. შურის-ძიება ჩერქეზებში საღმრთო წესათ მიაჩნიათ, სისხლს მარტო სისხლი დაბანს, მათ რომ კითხო. მტრობა ხანდის-ხან დგმიდამ დგმამდე გადადის, მაგრამ ამ შურის-ძიების დროს სვანებსავით ქვის შენობაში კი არ იმალვიან ჩერქეზები; ისინი გაშლილ ადგილებზე უხვდებიან ერთმანერთს, რადგანაც მარტო მკლავის იმედი აქვთ. საცოლო უთუოდ უნდა

მოიტაცონ. შვილებს ძიძას აზდევინებენ, ამ გვარათ გაზრდაზე აი რას ამბობს რეკლიუ: „მშობლები არ ენდობიან თავისთავს. იმათ ეშინიათ ქალაჩუნობით გააფუჭონ შვილები და ეძებენ მათთვის სხვა მამებს, რომელთაც უნდა ასწავლონ ცხენი და თოფ-იარაღი და ეგრეთვე ცხოვრების წესები და კარგი ლაპარაკი. როდესაც ყმაწვილი კაცის აღზრდა გათავდება; ის მიდის დედ-მამისას, მაგრამ თავის მორდუს ხედავს ისე, როგორც საკუთარ მამას“, სწორეთ ისე, როგორადაც არის ეხლა სამეგრელოში და აბხაზეთში. ჩერქეზები დაყოფილი არიან სამ კასტად: თავადებათ, აზნაურებათ და გლეხებათ. ამათ გარდა არიან მსახურნი. მღვდლებს დიდი გავლენა არა ჰქონდათ რა, თუმცა აზნაურთან გასწორებული იყვნენ. მათი სარწმუნოება შერეული იყო: ისინი წარმართნიც იყვნენ, ქრისტიანიც და მაჰმადიანებიც. როგორც წარმართები, თაყვანსა-სცემდნენ ჭექა-ქუხილის, ომის და სიმართლის ღმერთს - ხიბლეს; ჰაერს, წყალს, ტყეს, პირუტყვებს ყოველს ყავდა სათვითაო ღმერთი...

ა ბ ხ ა ზ ი - ბერძნების აბაზი - თავის-თავს აბსუას ეძახის. აბსუა ნიშნავს „ხალხს.“ ის ჩერქეზზე უფრო დაბალია და უფრო შაგვრიმანი; მისი ენა ჩამოგავს ჩერქეზის ენას, მაგრამ ეს ორი ხალხი სხვა და სხვა ზნისა არის. აბხაზი ჩერქეზზე ნაკლეთ არის მხნე, თუმცა ამასაც თავის ლეკურის იმედი აქვს. სანამ შავი-ზღვა რუსის ზღვათ გახდებოდა, აბხაზები ბარქაშებით დასცურავდნენ ზღვის ნაპირათ: მიდიოდნენ ყირიმს, ოსმალეთს, ეგვიპტეს... ამათაც თავად-აზნაურები ჰყავდათ, თუმცა ხალხი თავისუფალი იყო. ესენიც ნახევარ წარმართები და ნახევარ ქრისტიანე-მაჰმადიანები არიან. იმათი ტაძარი რამდენათაც ეკკლესია იმდენათ ტყე არის... რუსების მოსვლამდის იმათ არ იცოდნენ ფული; სავაჭრო ნიშნათ ძროხა იყო, სარგებლათ ხბო. აბხაზეთში რამდენიმე ათასი აბხაზი-ღა დარჩა, მთის მაღლობზე. ამ მაღლობიდამ ძველადვე სამხრეთისკენ ეჭირათ აბხაზებს თვალი; იქედამ საქართველო უგზავნიდა იმათ თოფ-იარაღს, ფარჩას და სალიტერატურო ენას. „ეხლა კი იძულებულნი არიან უყურონ ჩრდილოეთს, საიდამაც მოსდით იმათ უქაზები, ჯარი და კოლონია, რომელმაც უნდა დაიჭიროს მათი ადგილი. *(Ils sont maintenant forces de regarder vers le nord, d’ou viennent les oukases, les armees et les colons qui doivent les remplacer).* აბხაზეთში დიდი ქალაქები და სოფლები არ არის. სოხუმი უბრალო სოფელია, თუმცა ძველათ, როგორცა სჩანს, დიდი ქალაქი ჰყოფილა. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ეს ქალაქი იყო დიოსკურია, რომელსაც შემდეგ სევასტოპოლი დაერქვა. ზღვის ნაპირათ, წყლის ქვეშ, დღესაც პოულობენ, სოხუმს, ძველი ქალაქის ნაშთ შენობას. მაგრამ უფრო ჩრდილოეთის ნაპირზე უნდა იყოს დიოსკურია. სოხუმს ჩრდილოთ, სჩანს, ყოფილა გაყვანილი კედელი, რომელსაც, როგორც ამბობენ სამოცი მილი სიგრძე ჰქონდაო. ეს კედელი, ამბობენ, მეხუთე საუკუნეში არის გაყვანილიო... ბიჭვინტაც დიდი ქალაქი იყო. ბიჭვინტის ტაძარი იუსტინიანეს აშენებულად მიაჩნდათ 551 წელში. აქ მოდიოდნენ გენუელები, რომელთაც მთელი მხრის განათლებაში მიიღეს დიდი მონაწილეობა. ადგილი არა მაქვს ვილაპარაკო: ტამანზე და მის სხვა-და-სხვა მცხოვრებზე მეათე საუკუნიდამ, აგრეთვე ყაზახებზე და მათ სტანიცებზე, ანაპაზე, გაგრაზე, ეკატირინოდარზე, სტავროპოლზე, მაიკოპზე და სხ. და სხ...

III ცენტრალური კავკასია, თერგის და ყუმასის ხეობა

ამ ნაწილში არის იალბუზი და მყინვარი. იალბუზი თათრული სიტყვაა, ნიშნავს „ყინულის ფაფარს“. იმის მწვერვალზე აქვს ტახთი, რომელზედაც განისვენებს „ქვეყნის ღმერთი ანუ მეუფე სულთა“, როგორც ფიქრობენ თათრები. მყინვარს ზოგიერთები ეძახიანს „ბეთლემის ან ქრისტეს მწვერვალს“. მყინვარის ახლოს არის შესანიშნავი მღვიმე, საიდამაც მეუდაბნოე ადიოდა რკინის ჯაჭვით „ქრისტეს აკვნამდის“ და „აბრაამის კარავამდის“... სხვა მდინარეთ შორის უპირატესობა აქვს თერგს. თერგი მრავალწყლიანია. რომ არხი გაიყვანონ, ეს წყალი საკმაო იქნება კასპიის ზღვის შავ ზღვასთან შესაერთებლათ. ინჟინერი დანილევსკის

პროეკტიც ამ გვარია. იალბუზსა და მყინვარს შორის ჩრდილოეთის მხარე კავკასიისა უჭირავს ყაბართოს. ყაბართელები ჩერქეზებს ნათესაობენ; ისინი ისე ლამაზი, ისე ცქვიტი მიხრა მოხრის და ომის მოყვარენი არიან, როგორც ჩერქეზები. იმათი თავადები არაბეთიდამ ჩამომავლობას ჩემობენ. შეიძლება ხალხი ყირიმელი თათრებისგან გადმოსახლებულიყოს. იმათ მიწა არა აქვს გაყოფილი; სახნავ-სათესი, ან საძოვი ადგილი საზოგადო კუთვნილება, - თითოეულს იმდენი ეკუთვნის, რამდენის შემუშავებასაც მოასწრებს.. საცოლოს მოტაცება წესათ აქვსთ. იმათი რიცხვი არის 32 ათასი. ძველი კავკასიის გადაღმა ხალხებში იმათ პირველი ადგილი ეჭირათ, მაგრამ ისეთ გეოგრაფიულ მდებარეობაში მოემწყვრივნენ, რომ რუსებმა ადვილათ დაიპყრეს. იმ საუკუნეში ბევრი გადავიდა თერგის შუა ხეობაში, მაგრამ უმეტესი ნაწილი იქვე დარჩა, საცა წინათ იყო. იმათ შორისაა რომ არჩევდნენ უკეთესს „ჩერქეზებს“ რუსეთის კანვოისთვის... ამ ადგილზე ყაბართელებს გარდა მოსახლობენ ურიები, ნემეცები, ნოღაები, ოსები და სხ.

ოსები ერთი ოთხად უფრო მეტი სახლობს მთის გადმოღმა, რიონის და მტკვრის ხეობაში. იმათი ოფიციალური რიცხვი არის ას-ორი-ათასი. სწავლულებმა და ისტორიკოსებმა შესახებ ოსებისა სხვა-და-სხვა თეორიები მოიგონეს. ერთი ამბობს, რომ ისინი ალანების ჩამომავლობა არისო, მეორე ფიქრობს, რომ ყველაზე უფრო წმიდა კავკასიის არიელებიაო; ზოგიერთისთვის ისინი გერმანიელების ძმები არიან, ზოგისთვის - სპარჩელების; ვ.ს. მარტენით აზები არიან, პ‌ფ‌ აფ‌ ით - სემიტები. თუ მივხედავთ, რომ ოსებში ყოველ გვარი პირის-სახე არის, გამოუთქმელად მშვენიერის პირის-სახიდამ ყოვლად უშნომდის, უნდა ვიფიქროთ, რომ ოსები სხვა-და-სხვა ხალხების ნარევი უნდა იყოს. იმათში ქართველიც არის, სომეხიც, ყაბართოელიც... ოსები ყველაზე უფრო უშნო ხალხია კავკასიაში. იმათი ენა, ხალხის ნარეობის მიუხედავათ, უეჭველია, არიელ ენებს ეკუთვნის. თითონ ისინი თავის თავს ირონებათ უწოდებენ. ზოგიერთი ჩვეულებით და შინაურ მოწყობილებით ოსები დასავლეთ ევროპის ხალხს მოგვაგონებს. იმათ აქვთ სტოლი, სკამი, ქვეშ-საგები, იციან ევროპული სალამი, კოცნა, ხელის ჩამორთმევა და, რაც უფრო ყველაზე მძიმე საბუთია ნემეცებისათვის, იციან ლუდის გამოხდა. ინდო-ევროპულ რასსას კი იმდენს ვერაფრათ ასახელებენ ოსები. სხვა მთიულებზე უფრო უშნო, ოსები არც მხნეობით და სხვა ღირსებებით არიან საქებნი. ძველიდამვე ისინი ყიდდენ თავის თავს იმას, ვინც მეტს შეაძლევდა; ისინი ხან ქართველების ლაშქარში ერივნენ, ხან რომაელების და ხან სპარსელების. ომის ჩვეულებამ იმდენად გარყვნა ხალხი, რომ ომიდამ დაბრუნებულზე მარტო ერთმანერთის და მოგზაურების ცარცვაში ატარებდნენ დროებას. მათი ღმერთი იყო მტაცველობის ღმერთი - საუბარგ-ი. ოსები ახლაც მტაცებელნი არიან, თუ შემთხვევა აქვთ და გულიც დააჯერეს რომ კაცის-კვლა და ცარცვა შერჩებათ; ხელიც არ გაანძრიეს, როცა უნდა დაეცვათ თვისი თავისუფლება რუსებისგან. იმათ ეჭირათ ცენტრალური ხეობა კავკასიისა და მაშასადამე უკეთესი სტრატეგიული პუნკტი, მაგრამ უბრალო ხმაც არ ამოიღეს როცა აღმოსავლეთით და დასავლეთით ჩერქეზები და ლეკები თავის დამოუკიდებლობისთვის სისხლით ინთხეოდნენ... ნაცვლად ამისა, რომ საღმრთო ომში დაეჭირათ პირველი ადგილი, რომელიც იმათ რიგით ერგებოდა ოსებმა უცადეს, სანამ ძლევა დარჩებოდა რომელსამე მხარეს... ოსები მაჰმადიანები იყვნენ; ეხლა ქრისტიანობენ და პატივს-სცემენ წმ. ნიკოლოზს და ილია წინასწარმეტყველს. უკანასკნელ ათ საუკუნეში იმათ სამჯერ გამოიცვალეს სარწმუნოება. ყაბართოელებს და ოსებს გარდა ასაწერ ადგილში სცხოვრობენ ნოღაელები. ესენი ნამდვილი აზიელები არიან. სტავროპოლის და ასტრახანის ყალმიკებსავით სცხოვრებენ კარვებში, და როცა საქონლის საძოვარი ადგილი უნდა გამოიცვალონ, წვრილ-შვილებს ჩასხამენ კალათებში, აკიდებენ პირუტყვებს და მიდიან სხვა ადგილის საძებრათ. შემდეგ აწერილია პიატიგორსკი, გიორგიევსკი, კავკავი, ეკატერინოგრადი, მოზდოკი, გროზნი, ყიზლიარა და სხვა ადგილები. იმათ ასაწერათ, როგორც ხედავთ, ადგილი არ დამირჩა. /ი. მეუნარგია/. (დროება, N84, 1881 წელი);

,,დროების'' ფელეტონი, 30 აპრილს. LA CAUCASIE *) E. RECLUS (გამოკრება ელიზე რეკლიუს გეოგრაფიიდამ „კავკასია“) სტატია მესამე, IV დაღესტანი. აღმოსავლეთის კავკასია

აღმოსავლეთში კავკასიის მთას უფრო დაბალი მწვერვალი აქვს, ვინემ დასავლეთში, თუმცა საზოგადოთ აღმოსავლეთი კავკასია უფრო აწეულია, ვინმემ დასავლეთი. აქ ყველაზე უფრო მაღალი მთა, თებულოს მთა, 4500 მეტრზე აცილებული არ არის. აღმოსავლეთ კავკასიას შეადგენს კავკასიის მთები მყინვარიდამ დაწყებული ზღვამდის. აქ ცხოვრობენ ჩაჩნები, ლეკები, ავარელები და თათრები. 1868 წელს ამათი საზოგადო რიცხვი იყო 908 ათასი; 1872 წელს 995 ათასი. ამ რიცხვიდამ 478 ათასი სცხოვრებდა მარტო დაღესტანში. მთიულები (montagnards), რომლებიც სცხოვრებენ აქ ხსენებულ ტერიტორიაზე, სხვა-და-სხვა ხალხების ჩამომავლობისანი არიან. თითოეულს მათგანს სხვა ზნე აქვს, სხვა ჩვეულება, სხვა სარწმუნოება, ენა... ნამეტურ ენა. ენის სხვა-და-სხვაობა იმ ზომამდე მიდის, რომ მარტო ერთს დაღესტნის სოფელს ინუქს, რომელშიდაც ოც-და-ათი მოსახლე კაცია, თვისი საკუთარი ენა აქვს, სხვა სოფლებისა და ხალხებისთვის გაუგებარი. თითოეული ამ ხალხთაგანი თავის მხრით დაყოფილია სხვა პატარა ხალხებათ და ენებათ. ჩაჩნები, ამათ რიცხვში, სულ რომ ცოტა ითქვას, ორ სხვა-და-სხვა ჯგუფათ მაინც არის დაყოფილი. ლეკების მიჯეგი და ქართველების ქისტი, ჩაჩანი სცხოვრებს აღმოსავლეთ დაღესტანში, ოსებიდამ და ყაბართოელებიდამ დაყოლებული. მისი ქვეყანა მდინარე სუნჯით დაყოფილია ორათ: დიდათ და მცირე საჩაჩნოთ. მთელმა ქვეყანამ იცის რა გვარათ დაუხვდნენ ჩაჩნები რუსებს. ჯერ წასრულ საუკუნეში დაუდ-ბეგის და ომარ-ხანის დროს და მერე ამ საუკუნეში ყაზი-მოლლა და შამილის დროს, ჩაჩნებმა „უკანასკნელის სისხლის წვეთამდის“ ებრძოლეს ჩრდილოეთის დაუპატიჟებელ სტუმრებს. მაჰმადიანები - სუნიტები, რომლებთაც შიიტებზე უფრო მტკიცედ უჭირავთ თავისი სარწმუნოება, ჩაჩნები თავგანწირულებით ებრძოდნენ რუსებს, ებრძოდნენ იმ ენერგიით, რომელიც მარტო თავისუფლების მოყვარეობას და რელიგიურ ფანატიზმს, შეუძლია მისცეს კაცს. მაგრამ ძალამ აღმართი მოხნა: 1859 წლიდამ საჩაჩნო ყველაზე უფრო ნაყოფიერი ადგილი მთელის კავკასიის გადაღმართისა, სრულიად დაპყრობილია რუსებისაგან. რუსებმა ააშენეს შიგ შუა დაღესტანში ერთი მაგარი ციხე „გროზნაია“ (საშინელი), რომელიც დღეს ჩაჩნებისთვის, მართლა, საშინელი შეიქნა. ჩერქეზებისავით, ჩაჩნებიც აიძულეს გადასახლებულ-იყვნენ მოზდოკის ახლო მინდვრებზე და თერგის ხეობაში. ვინც კი არ ისურვებდა გადასახლებას, უნდა აყრილიყო და ოსმალოს სომხეთში გადასახლებულიყო. მმართებლობამ იმათ დაუნიშნა გზა, რომლითაც უნდა წასულ-იყვნენ ახალს, ჯერეთ უნახავს სამშობლოში. ეს გზა იყო კავკავიდამ ალექსანდროპოლამდის, თბილისში გამოვლით. მთელი თვეები ამ გზის გაყოლებაზე საწყალი ჩაჩნები შარაზე იყვნენ გამწკრეული წვრილ-შვილებითა, საქონლით და შინაური სამკაულით. ოსმალეთში კიდევ ახალი უბედურება ელოდა იმათ. მიწა ვერ იშოვეს სამყოფი, რაისა გამო ოსმალოებთან მოდიოდათ ხშირი უთანხმოება და სისხლის-ღვრა, რამდენჯერმე იქედამაც აიყარნენ ისინი. კიდევ როგორც იყო სამარემ შეიწყნარა ერთი ნაწილი ამ უბედურებისა. დანარჩენის ბედი კი მხოლოდ ღმერთმა იცის. ჩაჩანი ბევრათ გავს ჩერქეზს. როგორც ჩერქეზი, ის არის, ცქვიტი, მედიდური, ლამაზი მიხრა-მოხრის და უყვარს მდიდრული ტანისამოსი. იმათში უმეტესობას მოკაკული ცხვირი აქვს და მოუსვენარი, თითქმის ბოროტი თვალები. მაგრამ არიან სულგრძელნი და ძვირათ კარგავენ ზდილობას, კაცის მოკვლა ამათ არაფრად მიაჩნიათ, მაგრამ შეურაცხყოფას კი არასდროს იკადრებენ... მათი საცხოვრებელი წმინდა სორო არის - ცივი, ბნელი, ნესტიანი. ზოგი მიწაში არის ამოთხრილი, ზოგი ქვებით ახროვებული, ზოგი ნამორი ხისა. რამდენიმე ისეთი საცხოვრებელი შეადგენს აულს. რუსების ჩამოსვლამდის, მთიულების უმეტესი ნაწილი რამოდენიმე თავისუფალ საზოგადოებათ იყო დაყოფილი. თითოეული საზოგადოება შეადგენდა რესპუბლიკის კომმუნას, როგორიც იყო წინაპირელათ შვეიცარიის კანტოები. ეს

საზოგადოება ემორჩილება საერთო განჩინებას. მათი კანონი იყო ადათი. ზოგიერთი საზოგადოება კი მემკვიდრეობით ხანებს ემორჩილებოდნენ. ამათი მეუფება მაჰმადიანების შემოსავლის დროიდამ არის. ჩაჩნები ერთმანერთში თანასწორები არიან. მათ სტუმრის-მოყვარეობას სამზღვარი არა აქვს. სისხლის ძიება ამათშიაც გავრცელებულია ისე, როგორც სხვა მთიულებში, თუმცა ხანდისხან მორიგებაც მოხდება, ამ შემთხვევაში დამნაშავემ თავზე თმა უნდა მოუშვას და ჭირისუფალმა მოიპარსოს ხოლმე ეს თმა და ძმობა შეფიცოს ყურანზე. აქ რეკლიუს მოჰყავს რამდენიმე ჩვეულება ჩაჩნების საზოგადო ცხოვრებიდამ, ერთი ამ ჩვეულებათაგანი აი როგორი ყოფილა. რო ჩაჩანს ცხენი დაეკარგება ის შემოირტყამს წელზე თოფ-იარაღს, მოიხურავს თეთრ წამოსასხამს, ჩაიდებს რამდენსამე ფულებს და გაუდგება გზას. შემთხვევაზე ეს ფული მღვდელს უნდა მისცეს და წამოსასხამმა სუდარის მაგიერობა უნდა გაუწიოს. ამ სიკვდილის ნიშნებით ჩაჩანი ეძებს ცხენს და თუ იპოვის, სასიკვდილოთ შეებმება ცხენის ქურდს; თუ ის, ვისთანაც ცხენი იპოვა, ქურდი არ არის და ცხენი სხვისგან უყიდნია, გამოართმევს ცხენის პატრონს სიკვდილის ნიშნებს, იმოსება თითონ და მიდის ნამდვილ ქურდთან, - სიკვდილი გვიან, თუ მალე, თავის მსხვერპლს ხელს არ შეაცილებს... ეს ჩვეულება რეკლიუს მოჰყავს რომელიღაც ამერიკელი ჟურნალიდამ!.. ლეკებს ჩაჩნების აღმოსავლეთით მდებარე მინდვრები უჭირავთ. ეს მინდვრები შეადგენენ აღმოსავლეთ კავკასიას. კოლენატი ანგარიშობს ლეკებში 55 სხვა და სხვა ტომს. ბერჟე-51-ს, კომაროვი თავის ეტნოგრაფიული ქარტაში 27 ხალხს ნიშნავს. ყველა ამ ხალხებს თავისი დიალეკტი აქვთ. უსლარმა და შირნერმა ეს ენები დააწყვეს ჯგუფებად. უმთავრესი ჯგუფი აღმოსავლეთს დაღესტანში დარგოს და კურას ჯგუფია, დასავლეთ დაღესტანში - ავარელების. სხვა და სხვა ხალხების ერთმანეთთან ლაპარაკი დასავლეთს დაღესტანში ხდება არაბულს ენაზე, აღმოსავლეთ დაღესტანში - ადერბეიჯანის თათრულზე. ყველაზე უფრო შესანიშნავი ხალხი ამათ შორის არის ავარიის ხალხი, რომელიც შეადგენს ლეკების მეხუთედ ნაწილს. ვინ არის ეს ავარები? იმ ავარების ძმები ხომ არ არიან, რომელთაც ერთ-დროს დუნაიზე დააფუძნეს დიდი სახელმწიფო და რომლებზედაც გაიმარჯვა დიდმა-კარლოსმა. ბევრნი ასე ფიქრობენ. თუმცა ლეკებმა მიწის-მუშაობა იციან, მაგრამ რადგანაც დაღესტანში არ არის ნახევარ მილიონისთვის საკმაო სახნავ სათესი მიწა, ლეკი იძულებული შეიქნა ან სხვა ქვეყანაში გადასახლებულიყო, ან იქ ეძია ეს დანაკლისი პური, ან თავის ქვეყანაში მტაცებლობისთვის მიეყო ხელი. ლეკი ჩერქეზზე ნაკლეთ გულობანი არ არის; ის უმფრო გამძლეა და უფრო დაუღალავი, მაგრამ რადგანაც ლეკეთი ბევრ-პატარა ხალხებათ იყო დაყოფილი და ეს ხალხები განუწყვეტელს უთანხმოებაში და ომში იყვნენ ერთმანეთთან და ამას გარდა ლეკებს ჩვეულებათ ჰქონდათ, ალბანიელებისა და შვეიცარიელებისათვის, მიექირავებინათ თავი მეზობელი ხალხის ჯარისთვის, - ლეკები დაწვრილდნენ და დასუსტდნენ. ომში და შეტაკებაში ლეკები არ იქცეოდნენ ისე კეთილ-შობილურათ, როგორც ჩერქეზები. როცა ჩერქეზებს დაატოვებინებდნენ მისგან მოტაცებულ ტყვეს ის უნებიეთ დაუშვებდა ტყვეს; ლეკი კი ამ შემთხვევაში იმას მარჯვენას მოაცლის და შინ მოიტანს გამარჯვების ნიშნათ. ლეკები მაჰმადიანები არიან, მაგრამ ღვინოს და თუთუნს კარგად ეწყობიან. ერთს ლეკურ ხალხზე, დიდოელებზე ამბობენ, რომ ისინი ეშმაკის თაყვანის მცემელნი არიანო. ლეკები ბევრს ეომენ ჯერ ავარიის ხანებს და მერე რუსეთს. როცა შამილი რუსების ხელში ჩავარდა იმას მარტო ოთხასი კაცი ჰყავდა. სხვები სულ დაიხოცა ომის დროს. იმ დროის წესი და ურთი-ერთ შორის უთანხმოება დღესაც არ დაკარგულა იმათში. დარუბანდის დასავლეთში რომ მკვლელობა არის იმდენი მთელს რუსეთის იმპერიაში არ არის. გამოანგარიშებულია, რომ სამასში ერთი კაცი ან მოიკვლის, ან დაიჭრება წლის განმავლობაში. საკვირველია, რომ მისთანა კაცების მეზობლათ სცხოვრებს ისეთი მშვიდი ხალხი, როგორიც არის ყუბაჩები, რომლებიც თოფ-იარაღის ქედვაში არის გართული. არას ოდეს ლეკი ნებას არ მისცემს თავის თავს, რომ ამ ყუბაჩებს ხელი ახლოს. ნეტაი სადაურია ეს ხალხი? თავის თავს ეს ხალხი ფრენგათ უწოდებს, მაგრამ არც მათი პირის-სახე, არც ენა არ ამართლებს მათ სახელს. იმათი რიცხვი 1867 წელში ორი-ათასი იყო. დარგოს მაღალი,

ხუთი სალეკო სოფლების კავშირი (ფედერაცია), შესანიშნავი იყო, როგორც მცხოვრებთა კეთილ-დღეობთ, ისე მჭიდრო მოსახლეობით. ამ მაღალში შეეძლო ყოველ კაცს შეეფარებია თავი, სრულის თავისუფლებით. კასპიის ზღვის ნაპირზე, რომელიც ძველათვე ევროპასა და აზიის შუა გზა იყო, ყოველმა მოგზაურმა ხალხმა დასტოვა თავისი კვალი: აქ ნახავთ მონგოლებს, სემიტებს, არიელებს, თათრებს. ჩრდილოთ არიან კუმიკები, 50 ათასი სული, შუაზე კიდევ სხვა თათრები და ურიები. ეს ურიები, მოსე ხონელის მოწმობით 2500 წლის წინათ არიან მოსულნი. ისინი რო სახელებს არქმევენ თავიანთ შვილებს ისეთივე სახელებნი არიან, როგორც იყო ძველ ებრაელებში, მსაჯულების დროს... აღმოსავლეთ კავკასიის ხალხებზე დაახლოვებით ესა აქვს ნათქვამი რეკლიუს. შემდეგ ამისა რეკლიუ ასწერს მოკლეთ: გუნზაკს, გიმრს, ვედენოს, თემირ-ხან-შურას, პეტროვსკს, დარუბანდს, ყუბას და სხ. დარუბანდზე გადმოცემა ამბობს, ვითომ, მიდიელების მეფეთაგან იყოს გაშენებული, ან ალექსანდრესაგანო. ისე ძველი არ უნდა იყვეს დარუბანდი. ის ან მეხუთე საუკუნის ბოლოს არის გაშენებული, ან მეექვსე საუკუნის დასაწყისში სპარსეთის მეფისაგან (სახსანიდის დინასტია); მასსუდი ფიქრობს რომ ხოსროეს ამუშირვანის აშენებულია. დარუბანდი ერთ დიდს კარს წარმოადგენს. იმას ეძახდნენ „რკინის კარს“, „კარების კარს“. საშვალ-საუკუნის მოგზაურები სწერენ, რომ დარუბანდის კედელი ერთ მილის სიგრძეზე (სხვები იტყვიან ნახევარი მილი) შედიოდა ზღვაში. გადმოცემა ამბობს, რომ ეს კედელი მთელი კავკასიის სიგრძე იყო და ერთ ზღვას მეორე ზღვასთან აერთებდაო. მართალია თუ არა ეს გადმოცემა ამაზე არას ვიტყვით, მაგრამ ის კი ნამდვილია, რომ დარუბანდიდამ 30 კილომეტრის სიგრძეზე ამგვარი კედლის კვალი დღესაც აჩნია. დარუბანდი რუსების ხელშია 1813 წლიდამ. /ი. მეუნარგია/, (დროება, N88, 1881 წელი); *) იხ. „დროება“ 81 და 84 N

„დროების“ კორრესპონდენციები

სოხუმი, 3 მაისს. მეგრელებსა ცოდნიათ აღდგომის პირველს დღეს გასვლა მაედანზედ, ცეკვა და სიმღერა. ამისთვის წელსაც მოგროვდნენ შუა-ბაზარში და სიმღერით მიდიოდნენ. იმ დროს პოლიციის მთვრალი სალდათი და ორი მატროსი სამხედრო გემისა დახდომიათ და მეგრელებისათვის დაუშლიათ სიმღერა. მეგრელებმა იცოდნენ, რომ ამისთანა დღესასწაულზედ არავის დაუშლია სიმღერა მათთვის და აგრეთვე გლოვაც იყო ახსნილი ერთის კვირით, ამისათვის უყურადღებოთ მიიღეს სალდათისა და მატროსების აღკრძალვა. ამათ გული მოსვლიათ და ერთის მეგრელისათვის ლაზათიანი სილა უჭმევიათ. მეგრელებმა სამაგიეროთ პატივი სცეს სალდათსა და მატროსებსა... საიდგანაც არ ყოფილა, ეს შეტაკება დაუნახავს დღის აფხოდის სალდათსა და დაუწყია ყვირილი „ჩვენებს სცემენო!“ რა გაიგონეს სალდათებმა ეს ხმა, მივარდნილან და შექმნილა ცემა-ტყეპა. არ დაუზოგავთ ხალხი. ერთი სალდათი გაქცეულა აფიცერი ტიმჩენკო რუსის მოსახსენებლათ; გზაზედ შემოჰყრია ვიღაც აფიცერი ტიმჩენკო და ამისთვის მოუხსენებია, რომ მეგრელებმა იბუნტესო. აფიცერს უბრძანებია ტრევოგა დაუკრან. მოეშველა სტრელკოვოი კამანდის ერთი როტა, დაერიენ მეგრელებს და რაც შეეძლოთ, თოფის კონდახებით და ხიშტით არ დაუზოგავთ ხალხი. აფიცერი ტიმჩენკო უყვიროდა თურმე სალდათებს: „სცემეთ! პასუხის-მგებელი მე ვიქნები!“ ბოლოს უშველოს ღმერთმა და მისცეს დღე-გრძელობა აქაურ სოტნის ნაჩალნიკს ბეს. დ-ძეს და ძველ ვაჭარ-კაცს პეტრე ბ-ის, რომელთაც ხელი გამოუღიათ და გაუშორებიათ მეგრელები. ის ორი კაცი რო არ მოსწრებოდა, თქვენი მტერია ერთი საცოდაობა მოხდებოდა ამ ჩვენს სოხუმში. სიკვდილით, ღვთის წყალობით და მერმეთ ექიმების შემწეობით, არავინ მომკვდარა. დღემდი კი გახლდათ ლაპარაკი ორი კაცი მოკვდაო. ჩხუბს აბრალებენ ყველანი ბ. ტიმჩენკოს, ეს კაცი ცოტა არ იყოს ცეტი კაცი ყოფილა, როგორც ლაპარაკობენ. ბევრს დღესაც დაინახავთ თავ-პირ შეხვეული დადიან. ამ ჩხუბის შემდეგ 5 დღე ძრიელ შევიწროებული იყვნენ ჩოხიანი კაცები გარეთ ვერ ბედავდნენ გამოსვლას, მართალსა და

მტყუანს იჭერდნენ და სატუსაღოში ამწყვდევდნენ. ბოლოს ხელ-წერილი ჩამოართვეს მეგრელებს და გაუშვეს; 5 დღეს კი იყვნენ დამწყვდეული სატუსაღოში. ტყუილ-უბრალოთ ისეთი პატიოსანი კაცები გაილახა და გაილანძღა, რომ სრულად არაფერში დანაშაული არ იყვნენ, არ რეულან ამ საქმეში, ვიღაც ტელეგრაფისტი არჯანიკიძე მწარეთ უცემიათ; იმას დაკარგვია ცემის დროს ოქროს საათი თავისი ძეწკვით, ღირებული 150 მანეთად. წინა დღით ვიღაცასაგან უსესხია ამ ტელეგრაფისტს 120 მანეთი, შინ წასასვლელად ემზადებოდა, - ისიც დაუკარგავს. დღეს, თქვენის გაზეთის „დროების“ შემწეობით, გამოძიებაში არიან ვინც იყო იმ დღეს დამნაშავე. თქვენი მტერია, ეს ამბავი უყურადღებოთ რო დარჩენილიყო, ძრიელ სამწუხაროთ დარჩებოდა სოხუმელებისათვის შემდეგში. პოლიციის დეჟურნი პრისტავი ბ. ახვლედიანი ძრიელ ხელ-გამოღებულათ მოქცეულა ამ ჩხუბის დროს; მაგრამ ვერა გაურიგებია-რა. /მეგრელი გიგო ჯინაშვილი/. (დროება, N96, 1881 წელი);

ახალი ამბები

სომხურს გაზეთ „მშაკში“ იწერებიან სოხუმიდამ, რომ ამ მოკლე ხანში იქ მისულან ცეცხლის გემით სინოპიდამ (მცირე აზიაშია) გადმოსახლებული სომხები. ამათ, მართალია, ხმელეთზე გამოსვლის უფლება მიეცათ, მაგრამ ყველანი გარეთ ჰყრიან და კარგი იქნებაო, რომ ჩვენებურ სომხებმა რამე შემწეობა აღმოუჩინონო. (დროება, N109, 1881 წელი);

ახალი ამბები

სოხუმის მაზრის დაბა ოჩამჩირიდამ შემდეგ ამბავს გვწერენ 2 ივნისს: „აქაური მაზრის უფროსს პოლკოვნიკს არაკინს მოუვიდა დღეს სოფელ ფოქვეშიდამ მამასახლისის შემდეგი მოხსენება: სოფელს ფოქვეშს მინავალა ერთი ვიღაცა ჩალვადარი; მას მიჰქონდა თურმე იმავე სოფლის მღვდელთან ქაღალდი გამოგზავნილი მის უფროს ბლაღოჩინისაგან. „გზაზედ მას შემოეყარა ფოქვეშის თავადი ტიტუ ყიზალბექის ძე ანჩაბაძე და ჰკითხა სად მიდიხარო? მგზავრმა უპასუხა ამა-და-ამ მღვდლის სახლშიო. ანჩაბაძემ უთხრა, მე გასწავლი მოკლე სწორ გზასო, გამომყევიო. და გაყოლია, ანჩაბაძემ შეიყვანა თურმე ის კაცი წვრილი გზით ტყეში და ცოტა ხანს შემდეგ გამოვიდა და ორ მუშას უთხრა: კაცი შემომაკვდა, წამოდით და დამამარხვინეთო. მუშებმა ჯერ უარი უთხრეს; მაგრამ, როდესაც ტიტუმ უთხრა: თუ არ მომეხმარებით, მე ვიტყვი, რომ თქვენ მოჰკალით კაცი, შეშინდნენ და დათანხმდნენ. წავიდნენ და დამარხეს ჩალვადარი. „იმ ღამეს იფიქრეს ალბათ მუშებმა ამისთანა საქმისთვის დავიკარგებითო, წავიდნენ მამასახლისთან და უთხრეს ტიტუ ანჩაბაძემ კაცი მოჰკლა და ამა-და-ამ ადგილს არის დამარხულიო. ტიტუს ჰკითხა მამასახლისმა, მართლა თქვენ გიქნიათ ამისთანა მკვლელობა, თუ არაო? მას უპასუხებია, მართალია, შემომაკვდა, ფული ქონდა მეგონავო და არ ქონიაო. მეორე დღეს გაგზავნეს მაზრის ექიმი და გამომძიებელი. „ტიტუ ანჩაბაძე ტყეში გაიქცა. ვინ არის ჩალვადარი, ჯერ არ უცვნიათ. ამისთანა შემთხვევები ხშირია ჩვენკენ, საუბედუროთ, უფრო თავად-აზნაურებს აბრალებენ. „ექიმმა დამარხული კაცი ამოიღო საფლავიდამ, ნახა კისერზეც შამოუკრავს ხმალი, მაგრამ თავი კისერზედ მოცილებული არ ჰქონდა.“ (დროება, N118, 1881 წელი);

ახალი ამბები

სოხუმიდამ შემდეგ შემთხვევას გვწერენ: „15 ამა თვეს ღამის 2 საათზედ ერთი სამწუხარო შემთხვევა მოხდა აქ უეცრათ. სამსა ძმათა გვასალიებს აქვთ გამართული კარგათ, ევროპიულათ სასმელებისა და სხვა-და-სხვა სამზღვარ-გარეთის საქონლის მაღაზია. ყველაზე უმცროსი

იმათგანი თეიმურაზი გასულა მაღაზიის უკან ეზოში, ძილი მოჰკიდებია და, რადგანაც, ოთახში ცხელოდა აქ მშვენიერ, მწვანე ბალახზედ ხის ძირში წამოწოლილა და დასძინებია. „ღამის 2 საათამდი სძინებია. შემდეგ გამოღვიძებია და ნამძინარევი თეიმურაზი წამომხტარა და მისულა დუქნის უკან ოთახის კარებთან გასაღებათ; მისდა საუბედუროთ, ხმა არ ამოუღია ისე დაუწყია დაკეტილი კარის გაღება. შიგ ოთახში იწვა ორი მისი ძმა და ერთი ვიღაც სტუმარი ნაჭყეპია, რომელსაც გაუგია კარის წვალება და ხმაურობა თუ არა, ჰგონებია ქურდები დაგვესხაო, გაუღვიძებია შიგ მწოლარე მაღაზიისა მართველი და მის სასთუმლიდგან ამოუღია რევოლვერი და დაუჭერია ხელში. „ამ დროს რაღაცნაირათ კარები გაღებულა და შემოუდგამს საწყალ თეიმურაზს ფეხი; უსვრია ნაჭყეპიას რევოლვერის ტყვია... თეიმურაზი უეცრათ დაცემულა უსულოთ, ერთი კი დაუყვირა - „რათ მომკალით! მე ვარ...“ „იმ წამსვე მიცვივდებიან ძმები და ნაჭყეპია, აიყვანენ და დააწვენენ ლოგინზედ. „საიდგანც არ იყო, ეს შემთხვევა გაიგო ღამის პოლიციის ყარაულმა ბ. თოფურიძემ, რომელმანც შეაგება აქტი, და მისი განკარგულებით მოიხმეს ქალაქის ექიმი; უშველოს ღმერთმა, ამოუღო ტყვია, და გარდაარჩინა სიკვდილისაგან“. (დროება, N130, 1881 წელი);

ახალი ამბები

მოგეხსენებათ, რომ შარშან და წელს რამდენიმე ოჯახი სომხებისა გადმოსახლდნენ სოხუმში მცირე აზიიდგან. ამ გადმოსახლებულ სომხების მდგომარეობის შესატყობად სომხის საეკლესიო მთავრობას ერთი ტერტერა მაგნუნი გაუგზავნია სოხუმში და ეს იწერება ახლა გაზ. „მშაკში“ შემდეგ ამბავს ამათ თაობაზე: „გადმოსახლებულები დამდგარან აბჩალარში, მიწერას და ვაცში. ერთი მღვდელი ჰყავთ. მიწას მუშაობენ, მაგრამ ძალიან გაჭირებულ მდგომარეობაში არიან. ამათ გარდა წელს კიდევ 200 სომხის ოჯახი გადმოსულა ოსმალოდამ სოხუმში და გარედ ჰყრიან უსახლ-კაროდ. ახლაც კიდევ მოდიან. მე ვიყავი სოხუმის მაზრის უფროსთან და ვთხოვე, რომ ამ სომხების ბედზე ეზრუნათ. უფროსმა მითხრა, რომ მთავრობამ უკვე მისცა ამათ დასასახლებელი ადგილიო და ფულის შემწეობა კი ვერ იკისრაო. თქვენ ბევრი მდიდარი სომხები გყავთ თფილისში, რატომ ისინი არ ეხმარებიანო! დაუმატა ბ. უფროსმა. (დროება, N130, 1881 წელი);

ახალი ამბები

ერთი მცხოვრები ქ. სოხუმისა თ. ერისტო ემუხვარი გვთხოვს მადლობა გამოვაცხადებინოთ გაზეთში სოხუმის ფოჩტის კანტორის უფროსისა და იმის თანაშემწისათვის, რადგან ამ კანტორაში დამრჩა ქისა, რომელშიაც 190 მან. ფული იდო, და ამ ჩინოვნიკებმა დაუფარავად და სრულად ჩამაბარესო, თუმცა რომ დაკარგულიყო, იმათ სრულიად ვერ დავაბრალებდი: იმისთანა ადგილას დამრჩა, სადაც გარეშე ხალხი მუდამ მიდი-მოდიოდაო. (დროება, N147, 1881 წელი);

ახალი ამბები

სოხუმიდამ იწერებიან გაზ. „კავკაზში“, რომ ამ თვის 4-ს იქ დაბრუნებულა მთებიდამ კავკასიის სამთო გამგეობის უფროსი ღენ. კამაროვი, რომელსაც დაუვლია სვანეთი და დაუხედავს ყველა გზები, რომელიც სოხუმის მაზრიდამ ყუბანის მაზრაში გადადის მთებზე. ამბობენ, ღენ. კომაროვის აზრით, გზის გაყვანა ყველაზე უფრო მოხსენებული და იაფი კლუხორის ქედზე შეიძლებაო, სადაც ახლაც გადაყავთ ყუბანზე ზაფხულობით საქონელი და ცხენითაც დაიარებიანო. (დროება, N174, 1881 წელი);

ახალი ამბები

ჩვენ გვითხრეს, რომ ამას წინათ თფილისში ჩამოუტანიათ სოხუმიდამ ფილოქსერისაგან გაფუჭებული ვაზის ძირები; აქ მცოდნე კაცებს გაუსინჯავთ და დარწმუნებულან, რომ ეს მართლა ფილოქსერა არისო. (დროება, N181, 1881 წელი);

ახალი ამბები

სამურზაყანოდამ გვწერენ, რომ წელს იქითკენ ისეთი კარგი მოსავალი იყო ჭირნახულისა, როგორიც დიდი ხანია არ ყოფილაო. იქიდამვე გვაცნობებენ, რომ გავლილ სექტემბრის თვეში ვიღაც მოთამაშე - ჯამბაზები (?) მოვიდნენ ოქუმშიო, ერთი კვირა დარჩნენ, მაგრამ ხალხი ძალიან ცოტა დაიარებოდა იმათ წარმოდგენებზე და ამის გამო, როგორც ცარიელები მოვიდნენ, ისეც დაბრუნდნენო. (დროება, N232, 1881 წელი);

„დროების“ კორრესპონდენციები

სამურზაყანოდამ, 7 დეკემბ. როგორც იქნა ეღირსნენ სამურზაყანლები დიდი-ხნის თავიანთ გულის-წადილის შესრულებას: აგერ თვე-ნახევარი მიდის, რაც სოხუმის მაზრის მიწის თაობაზედ შემდგარი კომისია იმყოფება ამ მხარეში. კომისიის წევრთა ერთის ზემლემერიტ, პოლკოვნიკის ვედენსკის თავსმჯდომარეობით, უკანასკნელად დაიწყეს მიზომვა მიწისა აქაურებისათვის დიდის ხნიდამ შემუშავებულის და დაწერილის ზემლემერებისაგან პლანებით. მაგრამ ყველას შეუსრულდა გულის-წადილი, რასაც თითოეული მათგანი მოელოდა, თუ არა? საზოგადოდ არ წაუგიათ, გარდა რომელთამე იმ თავად-აზნაურთა, რომელნიც აქამდისინ ჰფლობდენ ათასობით დესიატინა მიწა-წყალს. აგრეთვე მდაბალი წოდების პირთ ბედი ჯერ არ გახსნილა: მათ პირდებიან მიწის მიზომვას, მაგრამ მიეცემათ თუ არა მათ სრულად, ესე იგი - უმაღლესად გარდაწყვეტილებისამებრ - თორმეტი დესიატინი ეზო და სახნავ-სათესი - არ ვიცით. თავადებს და აზნაურებს მესამედი ნაწილი მხოლოდ მისცეს სამურზაყანოში თითოეულს ხვედრის ნაწილისაგან, ხოლო სხვა ორი ნაწილი აბხაზეთში. მართლაც ძალიანი მოგებულნი არიან იგინი: ზოგიერთნი მათგანი ძალიან ცოტა მიწა-წყლიანნი იყვნენ, ეხლა კი მემამულეებად გახდნენ; ას-ასობით და ათასობით დესიატინი მიწა მიიღო თითოეულმა... კამისიამ უკვე დასამზღვრა საობსჩინო (საზოგადო) ადგილები მაგრამ ჯერ დაყოფილი არ არის ეს ადგილები. ამ ადგილებში ერთ ნაირად უნდა ექმნესთ მონაწილეობა როგორც მაღლებს, ეგრეთვე მდაბლებს; ამიტომ ეს უკანასკნელნი ჯერ კიდევ მოლოდებაში დაშთნენ, რადგანაც მაღლებს, უიმისოდაც, ბევრი ჰქონდათ საყანე ადგილები. აქ მოსამსახურე მღვდლებსაც და ნამსახურ მღვდლების ქვრივ-ობლებსაც, უმაღლესის გარდაწყვეტილებით, მიეცათ თითოეულს - პირველებს - ოც-და-ათ-ათი დესიატინა და მეორეთა - თხუთმეტ-თხუთმეტი. ამ გვარი მოწყალება უმაღლესად მონიჭებული ცოტათი არ იყოს აუმჯობესებს ყოვლად დაცემულს ნივთიერ მდგომარეობას აქაურ სამღვდელოებისას. მხოლოდ, შეიძლება, კამისიაზედ დამოუკიდებლის მიზეზისა გამო, მღვდლებს საზოგადოდ შეხვდათ ადგილები შორს თავიანთი სამსახურის ადგილებისამ, 20, 30, და 40 ვერსის მანძილის სიშორეზედ; მასთან არის გაუწმენდელი ტყიანი ადგილები, ასე რომ ჯერ-ჯერობით სარგებლობა მათგან შეუძლებელია; მაგრამ ნათქვამია: სულ არაობას ცალი ხარი სჯობიაო; ასე ისინიც კმაყოფილნი უნდა იქმნენ. ეკკლესიებსაც უნდა მიუზომონ - კიდევ უმაღლესად გარდაწყვეტილებით - თითოეულს 25-35 დესიატინი. ესეც ხო, რა თქმა უნდა, დიდი მოწყალება არის აქაური ღარიბი ეკკლესიებისათვის; მაგრამ ჯერ არ დაუნიშნავსთ მათთვის მიწები. კამისიის თავმჯდომარემ - ვედენსკიმ გამოაცხადა, რომ ეკკლესიებს მიეცემათ ადგილები თავიანთ სამრევლოშიო, მხოლოდ, არ ვიცით, დაახლოებით მისცემენ მათ დანიშნულს მიწას,

თუ არა; თუ შორს მისცეს, ხო უსარგებლო იქნება მათთვის; და უფრო უსარგებლო იქნება თუ ეკკლესიების ადგილები შეერთებული იქმნენ სასოფლო ადგილებთან. რადგან კამისიას და ადგილობრივ მთავრობას ექნება ზედამხედველობა ადგილების განაწილებაზედ, იმედი უნდა ვიქონიოთ, პატიოსნად და სამართლიანად მოახერხებენ ამ საქმეს და ძლიერისაგან სუსტი დაჩაგრული არ იქნება... /ოქუმელი/. (დროება, N261, 1881 წელი);

1882 წელი

გაზეთი ,,დროება''

ბათუმის აფხაზები

ისტორიაშიც კი იშვიათად შეხვდებით იმ ნაირ უბედურ და წამებულ ხალხებს, როგორც აფხაზებია. წარსულის და მომავლის იმედის დაკარგვის გარდა, არც ახლა იციან, თუ რა ნაირ მათთვის მოუფიქრებელ მდგომარეობაში არიან. ვინ მოსთვლის იმ უბედურებას და ტანჯვას, რაც შეემთხვა ამ ბედისაგან გავერანებულ ხალხს, თუ სოხუმის მაზრიდამ გაფანტვის და თუ ბათუმის მაზრაში და ოსმალოს სხვა-და-სხვა ადგილებში გაფანტვის შემდეგ. მე თვითონ ვარ მოწამე იმ უბედურებისა, როდესაც იმათ შიმშილმა, არა თუ უკანასკნელი მოძრავი ქონება გააყიდვინა, არამედ საყვარელ შვილს, ძმას, დას და ნათესავებს, როგორც იტყვიან, „ერთი კიტრის ფასად“ ჰყიდდნენ და ამ ნაირად ამსობდნენ სვავ ოსმალების არემს და ყმებად სახლებს.

სამაგიეროდ ამათ ადგილებს და მამა-პაპეულ შემუშავებულ მიწა-წყალს ურიგებდნენ იმისთანა პირებსა, რომლებს არც ესაჭიროებოდათ არც თუ იმათი შემუშავება შეეძლოთ და ამ ნაირად „განიყვეს სამოსელი მათი და კვერთხსა მათსა ზედა იყარეს წილი“, და დღეს კი ერთ დროს მშვენიერი მხარე გადაქცეულია ნადირთა სამეფო შამბნარად... არ შევუდგები დაწვრილებით აღწერას იმათი ცხოვრებისას, რადგანაც სიტყვის ბაჟის გარდახდა ბევრია და არც შემიძლია იმათი მდგომარეობა ისე გამოვხატო, როგორც რიგია. მე მხოლოდ მოვიყვან აქ იმ თხოვნის პირს, რომელიც გავლილ თვეში ოთხიოდ წარჩინებულ აფხაზს აქაური სამხედრო ღუბერნატორისთვის მიურთმევიათ და უფრო ცხადად დაინახავთ იმათ აზრს, იმათ მდგომარეობას და იმათ მომავალს. აი ეს არზაც: „ბათუმის აფხაზთა: ახმედ-ბეგ არდიასი, ხაფინ-აღისა, ხასან-აღა მუშხოჯა-ოღლისა, იბრაგიმ-აღა კშინისა და ხუსეინ-აღა მუშხოჯა-ოღლის.

თხოვნა

„ვიდრე ავხსნიდეთ ჩვენ საზოგადო თხოვნას, პირველად თავს ვალდებულად ვრაცხავთ ავხსნათ მიზეზი საზოგადოების თხოვნის ჩვენი სახელით შემოტანისა.

„ჩვენს წინაპართაგან დარჩენილია ჩვენში, აფხაზებში, ჩვეულება, რომ ყოველგან და ყოველთვის ყოველივე საქმებში მფარველობდნენ თავიანთ შორის წარჩინებულნი პირნი და წინა უძღოდნენ ხალხს. ჩვენც, თანახმად ამისა, მოწიწებით გავბედავთ აფხაზების სახელით მოვახსენოთ თქვენს აღმატებულებას.

„კარგად მოგეხსენებათ ამბავი ჩვენი უბედური აფხაზების ბათუმში გადმოსახლებისა; ამ გადმოსახლებულებმა აუტანელის მდგომარეობის მოთმენით, ოსმალოს მმართველობისაგან, მიიღეს შეუმუშავებელი მიწები და ოცი წლის განმავლობაში, მრავალი ახლობელი

ნათესაობის და კაცობრიული საუკეთესო დროს შეწირვით. შეამუშავეს მიღებული მიწები და ამ ნაირად უკანასკნელ მდგომარეობაში, როგორც გავერანებული ხალხი და არა-ადამიანები სცხოვრობენ.

„სრულებით მეტად მიგვაჩნია უკვე თქვენის აღმატებულებისაგან ცნობილი განვიმეოროთ: წარსული ომიანობის დროს ყოველის მხრით ის ტანჯვა და მსხვერპლი, რომლის წყალობითაც მოუთმენელად მოველოდით ჩვენს ქვეყანაში რუსების მოსვლას, რომლითაც მოველოდით განთავისუფლებას ტანჯულის ცხოვრებისაგან; მოველოდით, რომ შევიქმნებოდით ისეთივე თავისუფალი მოქალაქენი, როგორც სხვა რუსის ქვეშევრდომნი არიან. მაგრამ, ჩვენდა დიდად საუბედუროდ და სამწუხაროდ, რუსების ბათუმში შემოსვლის შემდეგ ჩვენ თითქმის საიმისოდ არა ვგრძნობთ შემსუბუქებას ჩვენი წარსული ტანჯული ცხოვრებისას.

„არ შევიდნენ ჩვენს უბედურ მდგომარეობაში. არ მიგვიღეს ჩვენ როგორც ხალხი, როგორ ადგილის მცხოვრებელნი. არ მიგვიღეს ჩვენ არავითარ სამსახურში. წაგვართვეს, ყოველნაირ სასყიდლის მოუცემლად, ჩვენი სახნავ-სათესი მიწები, სახელმწიფო შენობების და რკინის გზის გაყვანისათვის. წაგვართვეს სიმინდით დათესილი ყანები, ეგრეთვეც სასყიდლის მოუცემლად. ჩვენი სათესი ყანები და ბაღები ქრისტიანებს სასაფლაოებად დაურიგეს, რითაც იმ ადგილებში როგორც ცხოვრება, ისრე სარწმუნოება შეგვერყა, და უკანასკნელად ჩვენმა უჩასტკის ნაჩალნიკმა რამოდენიმეჯერ გამოგვიცხადა, რომ ჩვენ გადავსახლდეთ სადმე სხვაგან, რადგანაც ჩვენი მამულები, რომლებიც შეიცავს სახნავ-სათესს მიწებს, ბაღებს, სახლებს და სხვა, ესაჭიროება მთავრობასაო.

„ჩვენ, როგორც სხვა ქვეშევრდომნი დიდი რუსეთისა, არა თუ ჩვენი უძრავ-მოძრავი ქონება, არამედ ჩვენი სიცოცხლეც უკანასკნელ სისხლის წვეთამდი მზადა ვართ შევსწიროთ ჩვენს მთავრობას, როგორც ჩვენ, ისე ჩვენი ქონება ეკუთვნის მას.

„მაგრამ ამ ნაირ აუტანელი მდგომარეობით სასოწარკვეთილებაში ვართ ჩავარდნილნი: არ ვიცით-რა ვქმნათ, რა ნაირი ზომები მივიღოთ ჩვენი კეთილ-დღეობის გასაუმჯობესებლად; არ ვიცით რუსული ენა, არ ვიცით რუსის კანონები და ამით უფრო დაჩაგრულები ვართ.

„ჩვენ არა გვგონია და არც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ თუ მმართებლობას ესაჭიროება ჩვენი მამულები, იმ შემთხვევაში შეუხამებელი ჯილდოს (საღირელი ფასის) მიუცემლად ჩამოგვართვას და ჩამოგვართვას იმ უბედურებს, რომლებმაც ოცი წლის განმავლობაში იმისი შემუშავებისათვის სიცოცხლე შევსწირეთ.

„ზემორე მოხსენებული მდგომარეობის საღწერით დაუმორჩილესის თხოვნით მოვისწრაფვით თქვენს აღმატებულებასთან, რომ შემდეგ საგნებზე პასუხით გაგვაბედნიეროთ: ა) თუ მართალია, რომ ჩვენი უჩასტკის ნაჩალნიკი გვიცხადებს, ჩვენ აწმყო საცხოვრებელი ადგილების დატოებას და გადასახლებას? ბ) სად უნდა გადავსახლდეთ ჩვენ? გ) თუ მმართებლობას ეჭირება ჩვენი მიწები? დ) თუ მმართებლობას ეჭირება, რითი ვიქმნებით ჩვენ დაკმაყოფილებულები? და ვ) რა პირობებით უნდა ვემსახუროთ მმართველობას?

„ამასთანვე ჩვენ თავს ვალდებულად ვრაცხთ დავსძინოთ, რომ, თუ ტანჯული ცხოვრება აფხაზებს ააღელვებს, იმას არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა აქ ექმნება, არამედ ტანჯვა მიიყვანს იმათ იმ მდგომარეობამდე.

„ამასთანავე ვარდგენთ ორს სამოცკაპეიკიან მარკებს.“

ვგონებ, ბატონო მკითხველებო, იმათი ჩვენ ხელში მდგომარეობის გაგებისათვის განმარტება საჭირო აღარ იყოს, თუ იმასაც დავსძენთ, რომ თითქმის ყველაფერს უტყუარს ამბობენ.

მაშ ჩვენ მხოლოდ დაგვრჩენია ვისურვოთ, რომ ჩვენმა ბატ. ღუბერნატორმა ამ საბრალოთ

თხოვნას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და არ გადასცეს საქმის წარმოება იქ, სადაც ზოგს თავისი თავის ვინაობა აღარ ახსოვს მოხუცებულობისაგან და ზოგსაც მამაო-ჩვენოსავით გაუზეპირებია „завтра“, „завтра“ და, ჩინოვნიკური ფორმალისტობის წყალობით, ყოველივე უბრალო საქმებზე ტომობით საქმის შედგენა წმიდად სწამსთ! თუ ასე არ ინებებს ბატონი ღუბერნატორი ამ საქმის გზის მიცემას, მაშინ მხოლოდ შეგვიძლია ავიცდინოთ თავიდან ბათუმში უიმისოთაც გახშირებული ცხადი თავდასხმა, ყაჩაღობა და კაცის-კვლა. /კრაზანა/. ბათუმი, 5 იანვარს 1882 წ. (დროება, N10, 1882 წელი);

დღიური

სოხუმის მაზრის დაბა გუდაუთში ტელეგრაფის სტანცია გაიხსნა. (დროება, N75, 1882 წელი);

დღიური

დ. ოჩამჩირიდამ (სოხუმის მაზრის) მოგვივიდა აქაურ მღვდელზედ საჩივარი: საქმე იმაშია, რომ ეს მღვდელი რუსია და რა თქმა უნდა, მღვდელსა და მრევლს ერთმანეთის არა გაეგებათ-რა. ხალხი სრულებით აღარ დაიარება ეკლესიაში და ან რისთვის წავიდეთო, გვწერს ჩვენი კორრესპონდენტი, როდესაც არა გვერმის-რაო. რაც ეს მღვდელი დაინიშნა ჩვენში სახარების სიტყვა არ გაგვიგონია და ზიარებით ხომ, თითქმის არავინა ზიარებულაო. ყველა ამასთან ეს სულიერი მამა თურმე, როგორც სხვებიც, მეტის-მეტი ვერცხლის მოყვარე არისო. ჯვარის წერისათვის ოც-და-ათი მანეთიდამ იწყებს ვაჭრობასაო და, დიდი ხვეწნის შემდეგ, იქნება ორ თუმნამდის ჩამოვიდესო. იშვიათად მოხდება ხოლმე, რომ მიცვალებულს საფლავამდის მიაცილოსო. მოიტანს ერთ მუჭა მიწას აქვე სახლში დააყრის, რაღაცას წაიბუტბუტებს და მერმე დაგვიყვირებს, Хорошите! ჩვენც რა გზა გვაქვს მიგვყავს ჩვენ ჩვენი მიცვალებული და უმღვდელოდ ვასაფლავებთო. თუ რამე მოვახსენეთ მაშინვე ამას გვეტყვის რომ თქვენ ქართულ „დროებაში“ ჩამწერეთ ჩვენი მღვდელი არ ვარგაო, მაგრამ მე „გოლოსმა“ გამამართლაო. წადით, სადაც გინდათ ეხლა, იქ მიჩივლეთო. ჩვენ ძალიან გვიკვირს, რომ ამას, ვისიც რიგია, ყურს არ უგდებენ და ხალხისაგან, ერთი რუსის მღვდლის გამო, ეკკლესიის დავიწყებას ისე გულგრილად უყურებენ. (დროება, N161, 1882 წელი);

დღიური

ამას წინაზედ კავკასიაში სახელმწიფო ქონებათა სამმართველომ გამოსცა თფილისში ბროშურა სახელად „Филоксера русетში“ აგრონომის გეიდუკისაგან შედგენილი. ბ. გეიდუკის აზრით, თუმცა ჯერ-ჯერობით Филоксера მხოლოდ ორ ალაგას აღმოჩნდა - ყირიმში და სოხუმის გარემოს და ყოვლის ღონით ცდილობენ მის მოსპობას, მაგრამ ესე ადვილად ვერ დასძლევენ ამ ვაზის ძლიერს მტერს და ადვილად გადავა ის სხვა ალაგებშიაცაო. ბ. გეიდუკი საჭიროს ხედავს Филоксერის მოსასპობად შემდეგი ზომების მიღებას: უმაღლესს სააგრონომიო სასწავლებლებში Филоксერის კათედრის დაარსებას, ამ საგნის სპეციალურად მცოდნე პირთა შესაძენად, სხვა-და-სხვა კამისიების, ექსპერტებს, ვაზების დაზღვევას და სხვ. (დროება, N181, 1882 წელი);

დღიური

ჩვენ მოგვივიდა რამდენიმე წერილი დაბა ოჩამჩირიდამ, რომლებშიაც ერთი და იგივე

გარემოებაა აღწერილი: 25-ს ამ თვეს, შუაღამეს მესამე საათზედ, იქაურს მომრიგებელ მოსამართლეს ბ. ბაქრაძეს მიხტომიან ავაზაკები. კარებიდგან რომ ვერ მოახერხეს შესვლა, ერთმა იმათგანმა, ეგიდი ზვანბაიამ შეამტვრია ფანჯარა და უნდოდა შესვლაო, მაგრამ ამ ხმაურობაზედ გამოეღვიძა ბ. სუდიას, აიღო გადატენილი თოფი და იქვე დაუდარაჯდა, როგორც კი შემოყო თავი ზვანბაიამ, გავარდა თოფი. მეორე დღეს, დილით ავაზაკი ნახეს მკვდარი; ტყვია თავში ჰქონდა მოხვედრილი ზვანბაიას, რომელსაც ეჭირა ხელში ექვსის ტყვიით გატენილი რევოლვერიო. შეუდგნენ მაშინვე მისი ამხანაგების ძებნას და ერთი კიდეც დაიჭირესო. ზვანბაია წინაზედაც ყოფილა შემჩნეული ამ გვარ საქმეებში, მაგრამ ნათქვამია „ყოველთვის კოკა წყალს ვერ მოიტანსო“. (დროება, N182, 1882 წელი);

1883 წელი

გაზეთი ,,დროება''

***

როგორც შევიტყეთ, ბ. თურმანს სამზღვარგარეთ შეუდგენია ახალი კამპანია საკმაო თანხით, მარგანეცისა და აფხაზეთის ბზის ხის საწარმოებელად. (დროება, N10, 1883 წელი);

***

უწმინდესს სინოდს, თანხმად თავადის დონდუკოვ-კორსაკოვის შუამდგომლობისა, გადაუწყვეტია: ძველი დრანის (სუხუმის მაზრაშია) ტაძრის ნანგრევებზედ აშენდეს ახალი მამათა მონასტერი. (დროება, N107, 1883 წელი);

დღიური

სოხუმიდამ გვატყობინებენ ერთს უსიამოვნო ამბავს, რომელიც, მართალია შენი მტერი, რომ ჩვენს ვენახებს საქმებს დაჰმართებს! როგორც იცით სოხუმის ახლო, ერთს ვენახში, იპოვეს ფილოქსერა (ვაზის ავადმყოფობა). იმის მაგიერ, რომ ამ დალოცვილს აგრონომებს სულ მთლად გადაეწვათ და წყალით წაელეკათ ის ვენახი, პატარა ალაგი გადაუწვავთ და დანარჩენი გაზაფხულამდე დაეტოვებინათ გამოსაცდელად. გაზაფხულზედაც ადრე კი არ მიუტანებიათ, მიბრძანებულან მაისში, როდესაც ირგვლივ ოთხის ვერსის სივრცეზედ კიდეც მოსდებია წყეული ფილოქსერა ვაზებს. ძლიერ ვეჭვობთ, რომ იქიდამ სამეგრელოში არ გადმოვიდეს და, თუ იქ გადმოვიდა, მაშინ მთელს საქართველოსაც მოედება. ეს იცის ჩინოვნიკ-აგრონომების «ზაკთრამ». (დროება, N121, 1883 წელი);

ტელეგრამები
თბილისი 25 ივნისს

ცუდისა და კარგის „ფეხის“ მოტანა არა გვწამს, მაგრამ მაინც არაფრად გვესიამოვნება, რომ პირველსავე ჩვენს ნომერში ფილოქსერაზედ უნდა მივაქციოთ მკითხველების ყურადღება. არა თუ მკითხველებისა, - მკითხველებს მარტო არაფერი შეუძლიანთ - ადმინისტრაციისაც. სოხუმში, როგორც გვატყობინებენ, ოთხის ვერსის სივრცეზე გაჩენილა ეს საშინელი მტერი ვენახებისა და მალე უფრო მეტზედ გავრცელდება. იქნება ჩვენგან გაგონილი ამბავი ტყუილიც იყოს - ნეტავი აგრე, ჩვენ პირველივე სიხარულით გავამტყუნებდით ჩვენს

კორესპონდენტს, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, როგორღაც მართალსა ჰგავს. ფილოქსერამ დიდი ხანია რაც სოხუმის არე-მარეში დაიბუდა და ძნელი დასაჯერებელია ადმინისტრაციას იმდენი გამჭრიახობა გამოეჩინა, რომ ეს მტერი სრულიად გაეწყო. ერთის სიტყვით მტერი კარს გვადგა და მალე ციხეების გამაგრება უნდა, დარაჯების დაყენება, იარაღის დაფერვა! რა იარაღი გვაქვს ფილოქსერასთან საბრძოლველად? უთავრესად ორი - ცეცხლი და წყალი, ცეცხლი ისე არა, როგორც წყალი. წყლის დაგუბება ფილოქსერასაგან დაზიანებულის ადგილას საუკეთესო ღონისძიებაა მის ამოსაღრჩობად. მაშ აი როგორ უნდა ვებრძოლოთ ამ დაუპატიჟებელ სტუმარს: სოხუმის მაზრიდამ, რასაკვირველია, აღარსად აღარაფერი მცენარე აღარ გამოვიტანოთ და გაჩენილის გასაწყობად უფრო წყლით ამოღრჩობას შევუდგეთ. ეს ყველას ემჯობინება, მეტადრე აფხაზეთში, რადგან წყლები უხვად არის, სადაც კი წყალი არ მიუდგება, იქ სხვა ღონის-ძიება უნდა. ამ სხვა ღონისძიებებზედაც გვილაპარაკნია ჩვენს მკითხველებთან და აქ აღარ გავიმეორებთ. გავიმეორებთ მხოლოდ ამას, რომ შველაა საჭირო, აუცილებელი, საჩქარო შველა. ნუ დაივიწყებს ჩვენი სამეურნეო საზოგადოება, ჩვენი ადმინისტრაცია, ჩვენი ხალხი, რომ აქ თითქმის ჩვენის ქვეყნის მომავალი ბეწვზედ ჰკიდია, რამდენი კუთხეა საქართველოსი, რომ ღვინით იბრუნებს სულს, ღვინით იხდის ხარჯს, ღვინითა ლხინობს; და თუ ფილოქსერა აქეთაც გადმოვიდა, მაშინ ამ კუთხეებს ანდერძის აგება დასჭირდებათ, ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ეს ბედი გვექადოდეს, მაგრამ, რუსულის ანდაზისა არ იყოს, ღვთის იმედი ვიქონიოთ და ჩვენც ხელი გავძრათ. (დროება, N122, 1883 წელი);

დროების კორესპონდენცია

სამურზაყანო, 28 ივნისს. აქაური სოფლის სკოლები (როგორც სამურზაყანოს, აგრეთვე აბხაზეთისა), მოგეხსენებათ, არიან კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელის საზოგადოების ზედამხედველობის ქვეშე, როგორც თვით ეკლესიებიც; თვით ამ საზოგადოების სოფელი გზავნის ხოლმე ამ სკოლებში მასწავლებლებად, უმეტეს ნაწილად, სამასწავლებლო სემინარიაში კურს გათავებულებს, რომელთაც როგორც საზოგადოების ხარჯით გაზდილებს, ვალად აწევსთ ოთხი წლის ვალდებულებითი სამსახური ამ თანამდებობაში, ვისაც სად შეხვდება ეხლა ადვილი წარმოსადგენია. როგორი წარმატება უნდა ექმნეს თავიანთ საქმის კარგად წაყვანაში ახლად მოსულს რუსს ანუ ქართველს უცხო ადგილზედ, სადაც ხალხის ზნეობით და გონებით დაცემულების და მამაკვდინებელი ჰაერის მიზეზებით-ნაცვლად ყოველ გვარი წარმატების და მიზნისადმი მიღწევისა-ეძლევის მას ყოველის მხრით დაბრკოლება!... შემდეგ მასწავლებლის გამოცხადებისა ადგილზედ, გადის რამოდენიმე კვირა და ხანდისხან თვეც - ვინემდის რამოდენიმე ბავშვი შეიკრიბებოდეს სოფლებიდამ, შეიკრიბებიან თუ არა დიდის წვალებით და ვაი ვაგლახით, მაშინაც ეს მუშაობის დრო არისო. (სხვა-და-სხვა წლის დროს), ეს ცუდი ამინდი და წყლობა არისო, კლასების სკამები ცარიელი არიან ხოლმე შუა გულ სწავლების დროს. ამ დროს მასწავლებელი, მცქერალ ცარიელი კლასების კედლებზედ და ნამეტნავად მოწყენილი, მსგავსად გალიაში დამწყვდეულის ჩიტისა, ძალაუნებურად ფიქრობს მხოლოდ იმაზედღა, როგორმე მალე გავლოს ჩვეულებრივი სისწრაფით ოთხმა წელიწადმა - სამსახურის ვადამ და - ეღირსოს სანატრელს და საამურს დროს, როდესაც მოშორდება ჯოჯოხეთის ადგილს და მხიარულის გულით ეღირსება მიესალმოს თავიანთ სამშობლოს. ამ გვარი აზრი, რასაკვირველია, ებადება მას თავში როდესაც, შემდეგ ხანგრძლივი ბრძოლის სხვა-და-სხვა გვარი დაბრკოლებებთან — ეკარგება მას მოთმინება და იმედიც საქმეში გამარჯვებაზედ, და ეს არ არის საკვირველი... როგორ არ უნდა გამოვიდეს იგი მოთმინებისაგან და არ შეიქმნეს იმედ დაკარგული, როდესაც მას აქვს საქმე ისეთ შეგირდებთან, რომლების ენის ინჩიც არა იცის რა კლასში და ესეც-უმეტესი სწავლის დროს გაშვებით-იმყოფებიან თავიანთ დედმამა

და სხვა ნათესავებთან და ლაპარაკობენ ხოლმე თავიანთ დედა-ენაზედ-მცქერალნი ყოველივე ცუდის საქციელისა და მსმენელნი ყოველივე სოფლური ჭორიკანობისა აგრე რო არ იყოს, მაინც რიღასი ეშინიათ ან მასწავლებლებს ანუ მოსწავლეთ: ხომ იციან მათ კარგათ, რომ მათი ინსპექტორი (ზედამხედველი), რომელიც ასი მთის გადაღმა იმყოფება და ახლავს მათ და რომლის მოსვლის დრო დაზეპირებული აქვსთ (ის მოდის ხოლმე ამ მხარეში შემოდგომაზედ); ამიტომაც იგინი გულ დამშვიდებულნი და თავ შეუწუხებულნი არიან დრომდის; ყოველივე დასასწავლი და დასაზეპირებელი (ამ უკანასკნელის საშუალებით განსაკუთრებით ღვთის სჯულის სწავლება მიდის ადამის დროის მეთოდით) დანიშნულ დროს დადგომამდის გადადებული აქვსთ ხოლმე. ბ. ინსპექტორის ანუ ლევიზორის (აქაურები ინსპექტორს ლევიზორს ეძახიან) მობძანების დრო რო მოახლოვდება, - მაშინ ერთი ფაცა-ფუცი აქვსთ და მზადება, მაგრამ, საუბედუროდ, ხშირად მოხდება ხოლმე რომ უეცრად მოუვათ მათ ინსპექტორი ისეთ დროს, როდესაც, როგორც ზევით ვთქვით, ბავშვები დათხოვნილნი იქნებიან თავიანთ სახლებში სამუშაოდ - მაშინ დიდის გაჭირვებით ძლივსღა სოფლის მოხელე კაცების შემწეობით შეკრებენ რამოდენიმე ბავშვს-მუშაობისაგან დაღლილებს და დაქანცულებს. ამგვარად შეკრებილნი ბავშვები, რასაკვირულია, ბევრს ვერ გაიმარჯვებს გამოცდაზედ ინსპექტორისაგან, მაგრამ ეს უკანასკნელი რამოდენად გულ-უხვი და გულ-კეთილი ბრძანდება მაინც კარგის მხრით ადგენს ხოლმე ანგარიშს, საზოგადოდ კარგს წარდგინებას უშვრება ხოლმე მისგან განხილულს სკოლებს!.... აგრე რო არა ჰქნას, - (ნურას უკაცრავად ამის თქმაზედ) მაშ რითი უნდა დაიმსახუროს მან დიდი ყურადღება მთავრობისაგან ბევრი ფულებისა და ჩინების მიღებისა?! წარსული წლის რევიზიის დროს ბ. ხსენებულს ინსპექტორს განუზრახავს თავისი ცოლის წაყვანა ამ მხარეში და როგორც თანმოზიარეს ყოველ ჭირსა და ლხინში იხმარდა ხოლმე. მას მძიმე საქმის შესრულების დროს, ერთ ადგილზედ კიდეც დაუწყია მას კვეხნა, რომ მას მისი ცოლი დიდს შემწეობას აძლევს, რა კარგი იქნებოდა ქვეყნისთვის, რომ სხვა და თანამდების არსნიც ატარებდენ თავიანთ ცოლებს სამსახურო რაიონზედ!... ამ გვარი და სხვა ბევრი დამაბრკოლებელი პირობებისაგან შეცული სკოლები, რასაკვირველია, ძლიერ ცოტათი სასარგებლო არიან ხალხისთვის და შეუძლებელია-რაიმე ნამყოფი მოუტანონ ვინმეს, უკეთუ უკეთესს საფუძველზედ არ დამყარდენ იგინი... ამიტომაც მოგახსენებდით, რომ სამრევლო სკოლა გახსნილი პრიხოდის მღვდლისაგან თავიანთ მრევლში ეკლესიასთან, - ჩვენის ფიქრით და მოსაზრებით, - უფრო საიმედო და ნამყოფიურიც იქნება, ამისთვის რომ ა) მღვდელი მუდმივ თავიანთ მრევლში იმყოფება, იცის მათი ენა, დაახლოებით იცნობს მათ, არის, სხვათა შორის, მათი სულის მასწავლებელი: ბ) აქაური ყმაწვილებთათვის, რომელთა მშობლები და ნათესავები ჯერ-ჯერობით ძალიან ცოტათი არიან ქრისტეს სარწმუნოების ცოდნაში გახსნილნი, აუცილებლად საჭირო არის ქართული ენის შესწავლა, რადგანაც ღვთის მსახურება და ყოველ ქრისტიანული წესები სრულდება ხოლმე ქართულს ენაზედ და რადგანაც ქართულ ენას აქაურ სკოლებში სრულებით არ ისწავლიან; გ) ამ ენაზედ სწავლებას დასაწყისში და შემდეგ რუსულის ენასთან შეერთებით მღვდლები ადვილად მოახერხებდენ, რადგანაც რომელიმე ამ უკანასკნელი თავიანთი კურს შესრულებულები არიან საშვალს და უეზდის სასწავლებლებში, და მით უმეტესად მოსალოდებელი იყო მათგან ამ საქმეში კეთილი ნამყოფისა, რომელ მათ ეყოლებოდათ უფროს ზედამხედველად ყოველ მხრივ ყოვლად განათლებული და სწავლის გავრცელებისადმი გულითად თანამგრძნობელი იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, რომელიც მართავს აბხაზეთის ეპარხიასაც. ამას გარდა, მღვდლებს ერთად ყმაწვილების სწავლასთან შაეძლოთ ქალიშვილების სწავლებაც, - ქალების სწავლებას, მოვახსენებთ, რომელიც თუ სადმე საჭირო არის ჩვენს განსაცდელს და აღელვებულს დროში - უმეტესად ამ მხარეში - სადაც ხალხი გონებით და ზნეობით, როგორც ზევით ვთქვით, ფრიად დაცემულია და ამ გვარ დედებთან, რა საკვირეულია, ნორჩი და უმანკოთი ქმნილებანი ფუჭდებიან. ამასთანავე აქაურებს ებარებათ სასწავლებელში მიცემა არა მხოლოდ ქალების, არამედ ვაჟებისაც: ქალიშვილებისათვის იგინი ფიქრობენ,

სასწავლებელში რომ მივცეთ ქალიშვილი მერმე იგი გაგვირუსდებიანო და რუსებს მისცემენ ცოლებათო და სხ. ხოლო მღვდლებზედ ამას არ იტყვიან. რადგან მათთან მიჩვეულნი და გათამამებულნი არიან და მაშასადამე უფრო ენდობიან მათ და ადვილათაც მისცემენ თავიანთი ქალიშვილებს სასწავლებლად. რასაკვირველია, მღვდლებს ამ შემთხვევაში უნდა ჰქონდესთ ნივთიური და ადმინისტრატული შემწეობა... აწ სრული იმედი გვაქვს ამ ჩვენს ნათქამს ვისიც რიგია ყურადღებას მიაქცევს და უდაბნოში მღაღადებელი ხმად არ დააგდებს.*). *)ეკლესიებთან სკოლებს მაშინა ჰქონდა მნიშვნელობა, როდესაც ჩვენ სარწმუნოების მაჰმადიანობის შიში ჰქონდა, სწავლა სარწმუნოების გამამტკიცებელი იყო და ჩვენი სასულიერო წოდებაც მხურვალედ ეკიდებოდა სწავლის საქმეს. ეხლა დროება შეიცვალა ჩვენ სარწმუნოებას აღარაფრისა ეშინიან. /რედ/. (დროება, N134, 1883 წელი);

განცხადებანი

ქ. სოხუმის პოლიციის სამმართველო იწვევს მსურველთა მეიჯარადრედ ხორცისა ქ. სოხუმის მცხოვრებთათვის, გარდა სამხედროთა, საჭიროებს ყოველ დღე 25 ფუთს ხორცსა, დაწესებული (справочная) ფასი ფუთის ხორცისა ამ დროებით არის ოთხი მანეთი. საბალახო პირუტყვთათვის ქალაქის ადგილზე იქნება უფასოთ და შეინახავს პირუტყვთა ათს თვეზე მეტს. ღალას (пошлина) დაკვლისათვის პირუტყვთა ქალაქი არაფერს ახდევინებს. ჭირი პირუტყვთა ამ მხარეზედ არსად არ არის. გადაწყვეტილი ვაჭრობა იქნება სოხუმის პოლიციის სამმართველოში 26-ს სექტემბერს სიტყვიერის და წერილობითის გამოცხადებით, გირაო (ზალოგი) ითხოვება ათასი მანეთი ნაღდი ფული, ანუ ბანკის ბილეთები. ვადა ხორცის ძლევისა იქნება 15 ოქტომბრიდამ 1883 წლის 15 ოქტომბრამდის 1884 წლისა. კონდიცია ამ საგანზე შეგიძლიანთ ამავე სამმართველოში ნახოთ ყოველ დღე 8 საათიდამ 2 საათამდის. (1-1). (დროება, N178, 1883 წელი);

შინაური ქრონიკა

17 სექტემბერს ქ. სოხუმში გარდაცვლილა გენერალ-ინჟენერი გოგიმეისტერი, რომელსაც ქუთათურები კარგად იცნობდენ. გოგიმეისტერი იყო ინჟენერად ქუთაისის გუბერნიის გზებისა და ოცდა-ათ წელიწადს მსახურებდა. რაც კი იქ გზებია გაყვანილი, თითქმის ამისაგან არის გაკეთებული. ამ ბოლოს დროს, უკანასკნელი ომის შემდეგ, განსვენებული გზათა სამინისტროში მსახურებდა და სოხუმში ჰაერის გამოსაცვლელად იყო მოსული.

სოხუმიდამვე გვატყობინებენ, რომ იქ შენობების აღწერა და დაფასება მოუხდენიათ, რომლისაგან აღმოჩენილა, რომ ომის შემდეგ სოხუმში აშენებულა და შეკეთებულა დანგრეული შენობები მხოლოდ ექვსასი ათასის მანეთისა.

იქიდამვე გვატყობინებენ, რომ ჭირნახულის მოსავალი უწინდელზე კარგიაო, განსაკუთრებით ღვინო ბლომად მოდისო.

იქიდამვე გვწერენ: სოხუმელები ძლიერს სასოწარკვეთილებაში არიან ჩაცვენილნი, რადგანაც ეს ქალაქი ყოველ დღე უკან-უკან იწევს. აქაურები ჯერ-ჯერობით იმ იმედით არიან, რომ ბუხტის (ნავთ-სადგურის) და რკინის გზის გაკეთებას უცდიან, თორემ აქ არა თუ მოვაჭრენი, არამედ არავინ არ დადგება და ამ ადგილს ნაქალაქევი დაერქმევა, როგორც ყულევსაო. (დროება, N192, 1883 წელი);

შინაური ქრონიკა

ჩვენ გვატყობინებენ აფხაზეთიდამ, რომ იქ მმართებლობას ნება მიუცია რამოდენიმე რუსის ბერისთვის დრანდის ძველი მონასტერი განაახლონ და გააკეთონ ძმათა საცხოვრებელიც; ამასთანავე ბერებს აძლევენ სამს დესიატინა მიწას ცხოვრების სახსრად. ამ ქვეყანაში, გვწერს კორესპონდენტი, უწინაც ბევრი მისიონერები ყოფილან და ახლაც ბევრნი მოდიანო, მაგრამ ქრისტეს სარწმუნოებას ვერ შეეთვისენ აქაურებიო.

იქიდამვე გვატყობინებენ, რომ ბულგარების ორი სოფელი ამ დღეებში აყრას აპირებენ და ისევ თავის ქვეყანაში მიდიანო, რადგანაც აქაურობას ვერას გზით ვერ შეეთვისნენო. (დროება, N212, 1883 წელი);

***

ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი: ,,დროების'' 212 ნომერში ვკითხულობთ, რომ აფხაზეთში ბევრი მისიონერები ყოფილან და კიდეც მოდიანო, მაგრამ ქრისტეს სარწმუნოებას ვერ შეეთვისნენ აქაურებიო, თუმცა მთავრობამ რამდენიმე მონასტერი მისიონერ ბერებს მიანდვაო. ამის წაკითხვაზედ მოვიხსენიებთ, რომ გავიგონეთ ფიჭვის მთის (пицунда) მონასტერსაც აძლევენ ბერებს განსაახლებლად და მამათ სადგომად. ფიჭვის-მთის მონასტერი ეკუთვნის იმ გუნდსა ძველის მონასტრებისას საქართველოში, რომელთ შემწეობით განათლებული მხილველი აღადგენს ხოლმე წარსულ ცხოვრებას ხალხისას; ნაშთენნი ძველის მხატვრობისა კედლებზედ (ფრესკები) და არქითექთურა განაცხოველებენ საუკუნეებში ჩამარხულს კულტურას ქვეყნისას. ამ საშუალებით დაწინაურებულ ქვეყნებში ხალხურ ზღაპრებიდამ გამოიკვლევენ ხოლმე სიმართლეს, ლეგენდას ჰხდიან ისტორიად და ხალხს გააცნობენ მის წარსულს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძველს მონასტრებში ამ ნაირს ხელობას ვერ გამოიჩენენ რუსის ბერები და ,,განახლება'' მონასტრისა ის იქნება მხოლოდ, რომ ნანგრევს ალაგს აგურს დაუმატებენ და კედლებს კირით შელესვენ. დიაღ თეთრი და სუფთა გამოვა, მაგრამ იმ კირის ქვეშ დაიფლება უკანასკნელი ნაშთი ძველის ხელოვნობისა და კულტურისა და ამ სახით, შეიძლება, წინამორბედნი მისიონერნი ქრისტიანობისა გამოდგნენ ცივილიზაციის შემბღალველად, როგორც მოხდა ეს მცხეთის ტაძარში.

აი, ესეთი და სხვა ამ გვარი უმეცრება არის მიზეზი, რომ ქრისტეს მცნება ხალხში მსწრაფლად არა ვრცელდება. ისტორიული წარსული აფხაზეთის ხალხისა გვიმტკიცებს, რომ ეს ხალხი მთელს საქართველოსთან ერთად ყოფილა ქრისტიანი და თუმცა უკანასკნელს საუკუნეში ოსმალეთის გავლენამ ნახევარი ხალხისა გაამაჰმადიანა, მაგრამ კვლავ მათი მოქცევა ძველს სარწმუნოებაზედ არ უნდა იყოს ძნელი საქმე!.. მხოლოდ საშუალოდ უნდა იყოს ხალხში გავრცელება ნამდვილის სახარების ნათლისა და არა ლოცვათა დაზეპირება რუსულად და აიაზმის სხურება. რომ ასეთს მოქმედებას და ამ გვარ მოციქულებს დიდი გავლენა არა ჰქონდესთ ხალხში, ეს არ არის გასაკვირველი. სამწუხაროდ ის მიგვაჩნია, რომ კორესპონდენტი სჩანს არ დაჰკვირვებია დროთა ბრუნვით დამახინჯებულს შინაგანს ცხოვრებას იმ ხალხისას, და არ შეუსწავლია უმთავრესი მიზეზები მისი ყოფა-ცხოვრებისა და გაკვრით მოიხსენიებს კი ,,დროებაში'' და ჰკიცხავს მას მაშინ როდესაც იმ ხალხსა აქვს ცოტა ოდენი უფლება იმედოვნობდეს, რომ ქართული პრესსა შეიწყნარებს მის მდგომარეობას და მიიღებს მას მფარველობის ქვეშ ბეჭდვის სიმართლისა და თანაგრძნობისა.

პატივცემული ავტორი სცდება, ვითომც ჩვენს კორესპონდენტს აფხაზეთის გაკიცხვა ჰქონდეს გულში. ჩვენმა კორესპონდენტმა დაასახელა თვით ფაქტი, რომელიც ამ უკანასკნელს ორმოცსამოც წელიწადს ყველასათვის თვალ-საჩინოა. რაც შეეხება მიზეზების გამოკვლევას, წერილის ავტორმაც უნდა იცოდეს, რომ ეს არა-ყოველთვის შესაძლებელია მიზეზთა გამო სხვათა-სხვათა. (დროება, N215, 1883 წელი);

დროების კორესპონდენცია

აფხაზეთი, 10 ოქტომბერს. ედემის ბაღს რომ იტყვიან, სწორედ აქ უნდა ყოფილიყო: ასეთ ლამაზ, ასეთ შემკულს და ბუნებით შეზავებულს ქვეყანას მთელი დედამიწის ზურგზე ვერ შეხვდებით, აფხაზეთის მნახველი ყველა ამას იტყვის ნახვისათანავე, მაგრამ, საუბედუროდ, ედემის შესაფერი ხალხი აქ არ მოიძებნება. აფხაზეთი, როგორც თვით ადგილის წოდება გვიჩვენებს, ეკუთნოდა და ეკუთნის აფხაზებს; მართალია, დროთა ბრუნვას ეს ქვეყანა ბევრჯელ გაუნადგურებია, ბევრჯელ აუოხრებია, აქაურის ადგილებისთვის მოსულ ხალხებს თავისებური სახელები დაურქმევიათ, მაგრამ ძირითადი სახელი მაინც ვერავის მოუსპია ამისთვის. აფხაზეთი ძველთაგან კარგად ცნობილი ქვეყანა არის. თვით იესო ქრისტეს ქვეყნად მოსვლის დროს აფხაზეთის მოსაქრისტიანებლად წამოსულა სიმონ კანანელი, ის სიმონი, რომლის ქორწილზე ქრისტემ წყალი ღვინოდ გარდააქცია. აქ მოსვლისათანავე იგი სიკვდილით დასჯილ იქმნა ადეოვი მეფისაგან. ამას მოგვითხრობს ისტორია. იმ ადგილს, საცა სვიმონი დასაჯეს, შემდეგ ქრისტეს რჯულის გავრცელებისა აღუგიათ სიმონის სახელზე ეკლესია; გასულია რამოდენიმე წელი და დროის ბრუნვას ქრისტიანობა შეუმცირებია აფხაზეთში და სიმონის ეკლესია დანგრეულა. ამ უკანასკნელს დროში რუსის ბერებმა სთხოვეს მმართებლობას ამ ეკლესიის განახლება და ამ ადგილს მონასტრის ან უდაბნოს გაკეთება. მმართებლობამ ნება მისცა; ამას გარდა მონასტერს დაეთმო ოთხი ათას დესიატინაზე მეტი ადგილ-მამული, ამ ჟამად მონასტერში ას ორმოცდაათი ბერი სცხოვრებს. ბერების აზრი იყო, ვითომ მისიონერობა გაეწიათ ხალხში, მაგრამ ყოველივე ამათი მეცადინეობა ამაო შეიქნა, რადგანაც აფხაზებს მაჰმადის რჯული ისე გასჯდომიათ ძვალსა და რბილში, რომ ამის დაგდებას სამშობლოს დაგდება ამჯობინეს და ამ საუკუნის მეორე ნახევარში უმეტესი ნაწილი აფხაზებისა სათათრეთში გარდასახლდენ. ამ უკანასკნელის ომის დროს ხომ თითქმის სულ დაიცალა ეს ქვეყანა. აფხაზების ნამოსახლი ადგილები დაურიგეს ყველას, ვინც კი მსურველი იყო. ამ ქვეყანას, აღთქმის ქვეყნისა არ იყოს, სახელი განთქმული ჰქონდა. ყოველმა კაცმა, ვინც კი ყური მოჰკრა აფხაზეთში მუქთად ადგილს იძლევიანო, აიღეს თავი და აქ მოვიდენ. ხუთი ექვსი წლის განმავლობაში აფხაზეთს მოაწყდა ბერძენი, რუსი, ბულგარი, ნემეცი, მეგრელი, იმერელი, სომეხი და სხვა მრავალი. მმართებლობამაც უარი არავის არ უთხრა. ყველას მისცა სამყოფი ადგილი. მაგრამ ვაი ამისთანა მოსახლობას! გარდა ბერძნისა და იმერელ მეგრელისა, ყველა მოსულებს ამაოდ გაუარათ აქ მოსვლამ. დაერია ადგილობრივი ციებ-ცხელება და, ვინც უკანვე გაქცევა ვერ მოასწრო, ორი სამი წლის განმავლობაში სულ გასწყვიტა. მართალია ამ ამბის გამგონე გაკვირდება და მეტყვის - ეს ქვეყანა სამოთხისა კი არა, ჯოჯოხეთის დარი ყოფილაო; მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ აქ კარგად შეუძლიან ცხოვრება ისევ კავკასიის აქეთა მხრის კაცს - იმერელს, მეგრელს და თუნდა ბერძენსაც, ხოლო რაც შეეხება ნემეცებს, ბულგარებს, ან სხვა ხალხს, იმათთვის აქ ცხოვრება შეუძლებელია. აფხაზეთი კავკასიელებისთვის გულ შემატკივარი დედაა, მაგრამ სხვებისთვის კი დედინაცვალი და მეტად ავი დედინაცვალიც, ჩვენ ეს გამოცდილებით ვიცით. ზოგიერთა რუსის მგზავრები, სტრიქონობით ფულის ამღებელი მწერლები კი გაიძახიან ევროპიდამ გადმოსახლებულს ხალხებს ხეირიანს ადგილებს არ აძლევენო და ამიტომ ვერა სძლებენო! ამიტომ, რადგანაც ზემო-ნათქვამი მიზეზების მოსპობა ძნელია, კარგი იქნება გადმოსახლებულების ცოდვაში აღარ ჩადგნენ და აქ დაასახლონ მხოლოდ იმერლები, მეგრელები და ბერძნები, რომელნიც აქაურ ცხოვრებასაც აიტანენ და მმართებლობისთვისაც სასარგებლო იქნებიან. /გადაღმელი/. (დროება, N216, 1883 წელი);

შინაური ქრონიკა

ამას წინად მკითხველებს შევატყობინეთ, რომ აფხაზეთიდამ ორი ბულგარებით

დასახლებული სოფელი გადასახლებას აპირებსო. ეხლა გვატყობინებენ, რომ ერთი სოფლისათვის ადგილობრივს მთავრობას გადასახლების ნება არ მიუცია, რადგან ბულგარების წასვლის შემდეგ ეს სოფელი სრულიად ცარიელი დარჩებოდა. ბულგარებს ეუბნებიან თურმე, თუ აქ დასასახლებელი გამოჩნდა ვინმე, მაშინ გაგიშვებთო. საკვირველია, ღმერთმან იცის, ხალხი წასვლას ეჩქარება, ეგება არ დავიხოცოთო და ეუბნებიან, მაშინ გაგიშვებთ, თუ სხვა სასიკვდილო კანდიდატი გამოჩნდა ვინმეო. აფხაზეთიდამ მოსულ ამბებში იმ დღეს შეცდომით ვაცნობეთ მკითხველებს, რომ «ბერებს სამს დესიატინას აძლევენო»; უნდა ყოფილიყო «სამასს დესიატინამდის აძლევენო». (დროება, N229, 1883 წელი);

განცხადებანი

ქალაქის პოლიციის სასამართლო იძლევა იჯარით ქალაქის საკუთარ მიწებს მახლობლად ქ. სოხუმისა ადგილობრივს, ბურცს, იაშთხვას და ლოჩქოფი წყლის პირად, ზომით 1500 დესიატინა ძლიერ კარგი და რიგიანი ადგილები ხვნა-თესვისათვის პურისა, სიმინდისა, თამბაქოსი და ეგრეთვე სათიბები, მსურველთ თითეულ პირთ შეუძლიანთ აიღონ იჯარად ორი დესეტინადამ ოცდაათ დესეტინამდი, ორის წლიდან რვა წლის ვადით; ამისათვის პოლიციის სასამართლო იწვევს მსურველ პირთა გამოცხადდენ სასამართლოში აღმოსარჩევად მიწისა, და ვინიცობაა დაეთანხმნენ ქალაქს იჯარის ფულის თაობაზედ და შეეკვრენ პირობას, იმ შემთხვევაში მოიჯარადრე იღებს აღმორჩეულს ადგილს თავისუფლობაში იჯარის ვადის გასვლამდის; ფასი ადგილებისა, რომელზედაც ყოველგან ხილებია და ბახჩები იმას გარდა, პირველს და მეორე წელში ორი მანეთიდან ოთხ მანეთამდის, მესამე წელს სამი მანეთიდან ხუთ მანეთამდის, მეოთხე და მეხუთე წელში ხუთი მანეთიდან რვა მანეთამდის თითოეული დესიატინა წელიწადში. (3-1). (დროება, N231, 1883 წელი);

დროების კორესპონდენცია

აფხაზეთი 13 ნოემბერს. ეხლა აფხაზეთში ყველაზედ მეტად შესანიშნავი საგანი არის აქაური უდაბური ადგილების დასახლება. უკანასკნელის ომის შემდეგ უმაღლესი განკარგულება იყო, რომ მდ. კოდორსა და ფრსირცხას შუა მდებარე ადგილებზე აფხაზები არ დასახლებულიყვნენ. ამათ გარდა სხვას ყველას ეძლეოდა ნება აქ დასახლებისა; როგორც ამას წინათიც ვაუწყე «დროების» მკითხველებს, ამ ქვეყანას სხვა და სხვა მილეთის ხალხი მოაწყდა, მაგრამ აქაურმა ადგილმა ვერავინ ვერ მიითვისა გარდა, ჩვენი იმერელ-მეგრელებისა და ბერძნებისა. ამჟამად, სოხუმის გარშემო შვიდი-რვა მეგრელების სოფელია და სამი თუ ოთხი ბერძნებისა. ამ ხალხმა, როგორც ქრისტიანებმა, მოსვლისა და დაბინავებისათანავე სულიერ მოთხოვნილებაზედაც იწყეს ზრუნვა და სამლოცველოების შენებას შეუდგნენ. აი მაგ., დღეს სოფ. მერხეულში, რომელიც მდებარეობს სოხუმიდამ თოთხმეტ ვერსზე, კარგი გზატკეცილის პირად, მიიპატიჟეს ქალაქის წარმომადგენელნი და მამა დეკანოზი დ. მაჭავარიანი საყდარის კურთხევის დღესასწაულის გადასახდელად. მამა დეკანოზმა მაჭავარიანმა აკურთხა, მკუდართ ეწირა, და შემდეგ აქაურთ მცხოვრებთ მიულოცა მოკლე სიტყვით ეკლესიის კურთხევა და თან განუმარტა მოკლედ ქრისტიანობაში ეკლესიის მნიშვნელობა. ეკლესიიდამ გამოვიდა ხალხი გარე ეკლესიის მინდორზე, სადაც მრევლისაგან გრძელი სუფრა იყო გაკეთებული, რომელზედაც ორას კაცზე მეტმა ისადილა. ეს ეკლესია აუგია ოც-და-ათს ახალ მოსახლე მეგრელებს თავისი საკუთარის ხარჯით. ეკლესიის აშენება, შიგნით მოწყობილობის გარდა, დამჯდარა ათას რვაას მანეთად (1,800 მ.). პირველად დაჰპირებია ადგილობრივი მმართებლობა შემწეობას, მაგრამ ბოლოს დაპირება ვეღარ აუსრულებია; მხოლოდ იმით

შესწევნია, რომ ნება მიუცია მცხოვრებლებისათვის მიცემული ადგილიდამ კაკლის ხეები გაეყიდათ და იქიდამ აღებული ფული ეკლესიისათვის მოეხმარებინათ. ამ საშუალებით შვიდასი მანეთი მოეგროვებინათ, მაგრამ ათას ასი მანეთის გარდახდაც კარგი საქმეა ოცდაათი ახალ მოსახლე კაცისათვის. ამას გარდა სოხუმის ახლო მდებარე სოფ. აბჟაყვაშიაც აშენებენ მეგრელები ქვითკირის საყდარს თავიანთ ხარჯით. ამ სოფლელებს ისე მაინც არ გაუძნელდებათ, როგორც პირველ სოფლის მცხოვრებლებს, რადგანაც აქ ორას მოსახლემდის არის. სამართლიანობა იქნება, რომ ამ ახალ დასახლებულებს, როგორც მმართებლობა, ისე ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება შემწეობას აღმოუჩენდეს თუ საჩუქრით არა, ისე სესხით მაინც, რომ საქმეც გაიკეთონ და ვალიც ნელ-ნელა გაისტუმრონ. ამბობენ, ვითომ სხვა მოსულ ხალხს უფრო პატივი და შემწეობა ეძლევაო... მაგრამ რამდენად მართალია ეს ხმა, დაბეჯითებით ვერ ვიტყვით. ეს კი ვიცით ნამდვილად, რომ სხვა მოსულ ხალხს პირველ მოწყობისათვის ფულს აძლევენ, მგონი, თუთხმეტ თუმნამდის... /გადაღმელი/. (დროება, N240, 1883 წელი);

შინაური ქრონიკა

სოხუმიდამ გვატყობინებენ, რომ სოხუმის მაზრაში აქა-იქ საქონლის ჭირი გაჩნდა და ადგილობრივი მთავრობა ძლიერ ცდილობს ეს ჭირი დროზე მოსპოსო.

იქიდამვე გვწერს ჩვენი კორესპონდენტი: ჩვენი ქვეყანა მსაჯულებში და გამომძიებლებში უიღბლო ყოფილაო. ჯერ იყო და ზედი-ზედ ორი მსაჯული მოგვიკვდა უეცრად და ამ დღეებში გამომძიებელი გვარად ს. ჭკუიდამ შეიშალაო. (დროება, N248, 1883 წელი);

დროების კორესპონდენცია

სოხუმი, 30 ნოემბერს. ვისაც აფხაზეთის და სოხუმის ახლანდელი გაჭირვებული მდგომარეობა გაუგონია, ის ყოველ კეთილს და ამ ქვეყნისათვის საუმჯობესო საქმეს სიხარულით მიეგებება. მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში სამჯერ-ოთხჯერ აოხრდა მტრისაგან. ეს აღმოსავლეთის თაიგული, მაგრამ ამ უკანასკნელმა ომმა ხომ სრულიად გაანადგურა. ომის შემდეგაც რამოდენიმე წელი გავიდა, მაგრამ... შემოესიენ უცხოელები და რაც ძალი და ღონე აქვს იტაცებენ ქუეყნის სიმდიდრეს, ხე-ტყეს. დამშლელი კაცი არ არის. ვისაც რა უნდა, ის მიაქვს. ამის თაობაზე შემდეგს წერილში მსურს დაწვრილებით მოველაპარაკო მკითხველს. ამ კორესპონდენციის აზრი სულ სხვა არის. 25 წლის ომის შემდეგ, როგორცა ვთქვით. აი თუნდ წელს ჩვენს ქვეყანას მრავალნი სახელმწიფოთა წარჩინებულნი პირნი ესტუმრენ, მაგრამ აქეთ არც ერთს მათგანს არ გადმოუხედავს. აუარეს ამ მხარეს და არ კი იკითხეს: არსებობს იგი კიდევ თუ არაო. ჩვენ კი ებრაელებივით პირ-დაღებულნი შევსცქეროდით ზეცას და ველოდით მანქანას. ყველა სტუმარი ჩვენის კავკასიისა ისევ მოიქცა საყუდელსა თვისსა და ჩვენ ხახა მშრალნი დავრჩით. ბოლოს, როდესაც ყოველივე იმედი მიგვიწყდა, ვარჩიეთ, ვარჩიეთ და ეს ამოვარჩიეთ. ხომ ვხედავთ, კაცმა არ მოგვხედა, არც გზებს გვიკეთებენ, ისევ ჩვენ ჩვენს თავზე ვიზრუნოთო. ამიტომ ოცდაათს ნოემბერს ქ. სოხუმში შეიკრიბენ ქალაქის მცხოვრებნი, სადაც დაესწრო გენერალი თ. გრიგოლ შარვაშიძე და მოილაპარაკეს თავის ბედზე. სხვათა შორის, ილაპარაკეს სოხუმიდამ ახალ-სენაკამდის რკინის გზის გაყვანაზე. ეს აზრი პირველად აღძრა თავ. გრ. შარვაშიძემ. ხალხმა დიდის აღტაცებით მიიღო იგი. აღირჩიეს თვის მხრით ამ საქმის წინამძღოლად თავ. გრ. შარვაშიძე, თავ. გიორგი ერისთავი, აზ. პეტ. ბარკალაია და პავ. კეთილაძე. თავის მხრით ქალაქი აძლევს რკინის გზის გამკეთებელს სადგურისთვის მუქთად ადგილს, შენობების მასალას - ხე-ტყეს და ქვას, რაც კი დასჭირდება. ამას გარდა, სოფლებიდამაც ჩამოვიდენ

წარმომადგენელნი და სთხოვეს ადგილობრივ მმართებლობას, რათა მან იშუამდგომლოს უმაღლესს მთავრობასთან აფხაზეთ-სამურზაყანოზე რკინის გზის გაყვანისათვის. ისინიც გზის მკეთებელს მუქთად უთმობენ ადგილებს, როგორც თვით ლიანდაგისას, ისე სადგურებისას. ლიანდაგის გასაკეთებლად მუქთი მუშაობა აღუთქვეს გლეხებმა, ხოლო შემძლე მემამულეები იძლევიან ხე-ტყეს მუქთად, რაც კი თავდაპირველად გზას მოუნდება. ერთის სიტყვით გზის მკეთებელს ბევრი არა დასჭირდება-რა, გარდა რელსების, ხიდების, მაშინების და ვაგონების ყიდვისა და გაკეთებისა. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ, თუ საჭიროებამ მოითხოვა, ნავთის წამღები კამპანიას ადგილს ქალაქი მუქთად დაუთმობს, როგორც რეზერვუარის, ისე სხვა საჭიროებისთვის. თუ ეს გზა გაკეთდა სოხუმის ნავთ-სადგურს დიდი მნიშვნელობა მიეცემა. ეს ნავთ-სადგური კიდევაც რომ არ შეკეთდეს, ფოთის გაკეთებულს ნავთ-სადგურს სჯობნის და, თუ ცოტაოდენი ფული დაიხარჯა, იმ შემთხვევაში ეს ერთი უდიდესი და უმჯობესი ნავთ-სადგური იქნება მთელ შავ-ზღვაზე. ამასთანავე უნდა ვთქვათ, რომ აქაური გავერანებული ადგილები დასახლდებიან და ისევ ჩქარა აღივსება აფხაზეთი მცხოვრებლებითა. /გადაღმელი/. (დროება, N252, 1883 წელი);

შინაური ქრონიკა

ეს არის, ამ სოხუმს არა ეშველა რა. უნდათ იქაურებს რკინის გზა, საშინლად უნდათ, მაგრამ არავინ უსმინა მათს განუზომელ სურვილს. ოზურგეთი კი არ მოდიოდა გულზედ, როცა ბათუმის შტო ოც-და ათს ვერსტზე ააცდინეს, მაგრამ რას იზამდა რაღაც ფხუკიანი გურულების ქალაქი, როდესაც მთელი რკინის-გზების პოლიტიკა აშენებულია იმაზედ, რომ გაიაროს იქითკენ, სადაც უფრო ნაკლები მცხოვრებელნი არიან და ამიტომ სადაც უფრო ბლომად მოიძებნებიან გარეულნი მხეცნი და სხვა ბუნებითი სიმდიდრენი!.. როგორცა სჩანს, სოხუმი ჩაჰხვედრია ამ პოლიტიკას და, «ქისას გაიკარ ხელიო», იმისი არ იყოს, უნდა როგორმე გული დაულბოს გზების კამპანიას: ადგილსაც მუქთად დაგითმობთო, ხე-ტყესაც უფულოდ მოგცემთო, ქვა-ქვიშაც თქვენი ფეშქეში იყოსო, მუშა ხალხსაც უსასყიდლოდ განაცვალებთ, ოღონდ თქვენ მოიტანეთ რელსები და მაშინებიო და ერთი ჩვენს მიწა-წყალშიაც ააყვირეთ ეგ რაღაც საამური საშტვენავიო. რაკი სურვილს ასეთი გულუხვობა აღუძვრია სოხუმელებში, უეჭველია, თითონვე რელსებსაც იშოვნიან, როცა უფრო მადაზედ მოვლენ, გზასაც გააწყობენ, გამართვენ, მაშინებსაც მოიტანენ და მერე, იქნება, რომელიმე კამპანიაც გამოჩნდეს იქამდის გულ-კეთილი და სულ-გრძელი, რომ იკისროს გაკეთებული გზის პატრონობა და მისგან შემოტანილი ფულებიც, ეგება, არ დაიწუნოს და იხმაროს თავისთვის.. ნეტავი არ იქნება, ყველა ესე მოხდეს, მაგრამ... განა მართლა ასე საჭიროა სოხუმისთვის რკინის-გზა?!. კაცო, უწინ რომ არა გვქონდა გზები, შენი ჭირიმე, მორგვივით კისრების პატრონები ვერ ვიყავით, დიაღ!., ესეც მეორე სახეთი გაგვიხდა რაღაც გადავარდნილი სოხუმია!.. მაგრამ აბა რასა იქ, როგორ დააჩუმებ მადაზედ მოსულს, გაშმაგებულს ადამიანს. (დროება, N262, 1883 წელი);

1884 წელი

გაზეთი დროება

შინაური ქრონიკა

სოხუმიდამა გვწერენ: მას აქეთ, რაც აქციზის და გილდიის ბაჟი შემოიღეს ჩვენში, ყოველი წლის დასასრული და დასაწყისი სასიამოვნო მოსაგონებელი არ არის ჩვენებური პროვინციული ქალაქების და დაბების მოვაჭრეთათვის, მაგრამ ყველა პროვინციულ ქალაქებში გაჭირვების მხრით პირველი ადგილი უჭირავს ჩვენს ბედკრულ სოხუმს. დადგა დეკემბერი. გადის 1883 წ. მოახლოვდა ახალი წელი. აქციზის მოწმობის აღებაა საჭირო. ვინც ვერ მოასწრობს, როგორც მოგეხსენებათ, სასტიკად დაისჯება, თუ უმოწმოდ ივაჭრა. ჩვენმა სოხუმელებმაც უნდა აიღონ, თორემ ვაჭრობა არ შეუძლიანთ. ძნელი ეს არის, რომ საბრალო სოხუმელებმა ამ ზამთრის მღელვარე ზღვით ფოთში უნდა გასცურონ და იქ აიღონ მოწმობა. ფოთის ნავთ-სადგური კარგა მოგეხსენებათ ყველას. ფოთში პირ-და-პირ მისვლას. სოხუმიდამ ბათუმზედ და სამტრედიაზედ მოვლა სჯობს. სულ რომ ცოტა ვთქვათ, ასს ვაჭარს მაინც მოუნდება სოხუმიდამ ფოთამდის უნებური მოგზაურობა ამ მოწმობისათვის, რის გამოც ამოდენა უბრალო ხარჯი, აქციზის მმართველობის დაუდევრობის თუ უმეცრების წყალობით, უიმისოდაც ღარიბ სოხუმელებს ყოველ წლობით ბეგარასავით ედებათ. ამ ხარჯსაც რომ თავი დავანებოთ, მაინც სხვა ხიფათი მოელის კიდევ ჩვენს ვაჭრებს. ვთქვათ, მოვაჭრე წავიდა ფოთში, ან სხვას ვისმეს გაუგზავნა რწმუნება მოწმობის ასაღებად, ვთქვათ, ზღვა წახდა და პირველ იანვრისათვის ფოსტა ვერ მოვიდა შორიდამ. რა ჰქნას ვაჭარმა? ივაჭროს, ჯარიმას გადაახდევინებენ და დუქანსაც რამდენიმე ხნით დაუკეტენ – (ამ გვარი მაგალითი ბევრია), არ ივაჭროს და აქციზის დაუდევნელობის წყალობით რამოდენიმე თუმანს იზარალებს. რა უჭირდა აქციზის სამმართველოს, რომ ყოველ დეკემბერში და იანვარში ერთი თავისი ჩინოვნიკი გამოეგზავნა სოხუმში და იმას ეძლია მოწმობა ვაჭრებისათვის. ამითი მოვაჭრენი ასცდებოდენ უნებურ მოგზაურობასაც, ხარჯსაც და დუქნის დროებით დაკეტის ზარალსაც. იმედია, ამ საგანს აქციზის მმართველობა ყურადღებას მიაქცევს და, სამუდამოდა თუ არა დროებით მაინც გამოგვიგზავნის ჩინოვნიკს. (დროება, N13, 1884 წელი);

შინაური ქრონიკა

სოხუმიდამ გვწერენ: თებერვლის 15-ს აქეთ ისე დათბა, რომ ვარდი, ია და ძეწნა კიდევაც გაიშალენო. იქიდამვე გვწერენ: ამ ჩვენს ქალაქში ერთი ვიღაც ფრანცუზი ჩამოგვეთესა და აუარებელი ბზა მიაქვს საფრანგეთშიო. (დროება, N43, 1884 წელი);

შინაური ქრონიკა

ოჩემჩირის მაზრიდამ გვწერენ, რომ იქაც გაჩენილა ყვავილი; ეს ყვავილი ნელ-ნელა სოხუმისაკენ მიისწრაფვისო.

აფხაზეთიდამ გვწერენ, იქაური მცხოვრებნი და ვაჭარი ხალხი ისე მტერსავით ეკიდება თურმე ტყეებს, რომ ტყების სითხელე ამ ძალზედ ტყიან ქვეყანასაც დასტყობია.

თავ. ზ. დ. შ-ძეს სოხუმის ახლო აქვს ერთი დიდი სოფელი - სახელდობ გუმისტა, საცა 150 მცხოვრებლამდის მეგრელი იყო დასახლებული. ეს მეგრელები ადგილის ქირას აძლევდენ

იმდენს, რამდენიც საზოგადოდ სხვაგანა ჰხდება დასახლებულ ხალხს, მაგრამ შარვაშიძის მამულის მმართველს თითქმის ერთი ორად მეტი ფული მოუთხოვია მცხოვრებლებისთვის, რომელნიც იძულებულნი შეიქნენ ეს მამული მიეტოვებინათ. კიდევ კარგი, რომ ადგილობრივმა მთავრობამ ამ მეგრელებს დრანდის მონასტრის ახლო სახელმწიფო ადგილი მისცა დასასახლებლად.

ამ დღეებში, როგორც გვატყობინებენ სოხუმიდამ, იქაურ გუდაუთის განყოფილების უფროსს ბ. მერნაცკის აფხაზეთის ტყის მოვლისა და პატრონობის პროექტი შეუდგენია და მმართებლობისათვის წარუდგენია. ამ პროექტის ძალით აქაური ტყეების პატრონობას მოუნდება 14,000 მანათი ფული. (დროება, N44, 1884 წელი);

დროების კორესპონდენცია

აფხაზეთი. მას აქეთ, რაც ჩვენში ახალი სასამართლოები შემოიღეს, ჩვენის ქვეყნის ყოველის მხრიდამ საყვედური მოისმის მსაჯულების უხეირო მოქმედებაზე. საქმე ხან-და-ხან იქნობამდის მიდის, რომ ამ დაწესებულებას უდროო დაწესებულებად თვლიან. ხალხი ჯერ ამ გვარი დაწესებულებათათვის მომზადებული არ არისო, ამბობდნენ ბევრნი, მაგრამ ჩვენის აზრით ხალხი საზოგადოდ ყოველი რიგიანი დაწესებულებისათვის მომზადებულია, საქმე მხოლოდ დაწესებულებათა წინამძღოლებზეა დამოკიდებული. თუ საქმის მმართველი რიგიანია და რიგიანადაც ესმის თავისი საქმე, დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ხალხიც ამ მმართველისა დიდი პატივის მცემელი იქნება, ვინ არ იცის გამოჩენილი ლივინგსტონის ცხოვრება აფრიკის ველურ ხალხთან, ან რუსის მოგზაურის მიკლუხა მაკლაის ცხოვრება ავსტრალიის ერთ კუნძულზე და ველურ ხალხთან მეგობრობის ამბავი; ორივე ეს გამოჩენილი მოგზაურები დიდს პატივში ყავთ ამ ველურ ხალხებს, ამათ გულისთვის სიცოცხლეს არ დაზოგავენ. ნუ თუ ჩვენებური ხალხი იმ ველურ ხალხზე უკან დგას ჭკვა-გონებით!... მაგრამ აქ სულ სხვა მიზეზია: ჩვენებურ სასამართლოებში თითქმის ყველგან უხეირო მოსამსახურე პირები არიან. მრავალ წვრილმან მოხელეს სასამართლო შემოსავლიან ადგილად გადაუქცევით; სამაგიეროდ, სადაც კი თითო-ოროლა რიგიანი სული გამოერევა, ხალხი იმის თვალ-წარბში შემაცქერალია და ცდილობს ყოველი ღონისძიებით ერთგულება გაუწიოს. რომ ჩემი ნათქვამი უბრალო ფანტაზიის ნაყოფი არ არის, მაგალითითაც დაგიმტკიცებთ: აფხაზეთისთანა მოუმზადებული ხალხი ახალი სასამართლოსათვის, მგონი, კავკასიაში სხვა არ იყოს, მაგრამ ამ ბოლოს დროს, როდესაც ბ. ბერნაცკი დანიშნეს აქაურ მსაჯულად, ხალხიც ბედნიერად სთვლის თავს და მმართებლობისაც მადრიელია. აი ამის მიზეზი რა არის: ბ. ბერნაცკისთან რომ მომჩივარი მოვა და პირადად შეეხვეწება, ეს დაწერილს არზას არ მოსთხოვს ხოლმე, იმ წამშივე თვის მწერალს დააწერინებს საჩივარს და დროსაც დაუნიშნავს. ამას გარდა, არც ადვოკატებს იკარებს, რადგანაც დარწმუნებულია, რომ ადვოკატები უბრალოდ ატყავებენ ხალხსა. ამასთანავე, მასა ჰყავს სამს ენაზე სხვა-და-სხვა თარჯიმნები, რომელნიც კარგ შემწეობას აძლევენ მას. ამ წყობილობის შემდეგ, აქაურ სასამართლოში საჩივარის რიცხვმა იკლო და ხალხიც ძლიერ მადლიერია ამ მსაჯულისა. ჩვენის აზრით, ამ გვარი სისტემა თხოვნის დაწერისა და ვექილების განდევნისა რომ შემოიღონ სხვა მსაჯულებშიაც, მგონი, დიდი სარგებლობა მოუტანოს ხალხს. აი, სხვათა შორის, საშუალება, რომლითაც შეიძლება ცოტათი მაინც შეუმსუბუქდეს ხალხს ახლანდელი სასამართლოებისაგან აკიდებული ტვირთი. ღმერთმა ქნას, რომ ბ. ბერნაცკის მიმბაძველნი სხვანიც გამოჩნდენ. /გადაღმელი/. (დროება, N44, 1884 წელი);

შინაური ქრონიკა

აფხაზეთიდამ გვწერენ: მთელ აფხაზეთსა და სამურზაყანოში მხოლოდ ექვსი დაბალი ხარისხის სასწავლებელია ერთი ორკლასიანი სოხუმში, ოთხი თითო კლასიანი სამურზაყანოში და ერთი ახალი ათონის მონასტერთან. თუმცა ეს სკოლები 15-20 წელია, რაც არსებობენ, მაგრამ იმათი არსებობა ხალხს ჯერ კარგად არც კი შეუტყვიაო. ამ უკანასკნელ დროში ჩვენი ოლქის უფროსი ბ. ვედენსკი ძლიერი მოწადინებულია სოხუმში სამოქალაქო ოთხ კლასიანი სასწავლებელი გახსნას და ერთიც სამრევლო ერთკლასიანი, ხოლო ორი ორკლასიანიც ოჩემჩირეში და გუდაუთშიო. ამ სასიამოვნო ამბავს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ სოხუმის ახლო ბ. ვედენსკის ოც-და-ხუთი დესიატინა ადგილი მიუცია სასწავლებლისათვის იმ პირობით, რომ მესამე და მეოთხე კლასის შეგირდებმა პრაქტიკულად ისწავლონ იქ მიწის მუშაობაო.

სოხუმიდამვე გვწერენ: ჩვენს მაზრაში ათასი ჯურის და მილეთის ხალხი მოდის დასასახლებლად, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ქართველების (მეგრელების) დაბერძნების მეტს სხვას არ ინდობს აქაური ადგილიო. ზოგიერთს ხალხს კიდევ ვერ შეუგნია ეს აფხაზეთის ჰავის დაუნდობლობა და ამ გაზაფხულზე რამოდენიმე მოსახლე ესტელებიც გვესტუმრენ და მეზობლობას გვიპირობენ. ღმერთმა ინებოს კარგი სტუმრები გამომდგარიყვნენ, მაგრამ ვაი თუ აქაური ჰავა ამათაც ისე უწყალოდ მოექცეს, როგორც სხვებს მოექცაო... (დროება, N79, 1884 წელი);

დროების კორესპონდენციები

სოხუმი 1 აპრილს. „Сытый голоднаго не разумъетъ,“ ამბობენ რუსები, ეს ანდაზა ზედგამოჭრილია ახლანდელ ხალხზე. საცა გნებავს, დაუკვირდი, თუ მაძღარს მშიერი ახსოვს; ისევ მშიერს უფრო ახსოვს მშიერი. სოხუმმა, გაჭირვებულმა სოხუმმა, დაგვიმტკიცა მშიერის გულშემატკივრობა. აი, მაგ. ამ დღეებში ერთ აქაურ მასწავლებელს ხარკოვის ერთი ქართველი სტუდენტისაგან მოუვიდა შემდეგი ტელეგრამა: „მშიან, მიშველე რამე, თუ შეიძლება“. ამ სიტყვების გამგონი, ქვის გულის პატრონი უნდა იყოს, რომ მშიერს არ თანაუგრძნოს. ჩვენი მასწავლებელი, უნდა მოგახსენოთ, თვითონ ისე შემძლე არ იყო, რომ თვალსაჩინო შემწეობა აღმოეჩინა ღარიბი სტუდენტისათვის, იფიქრა, იფიქრა და ბოლოს სთქვა: მოდი, ხელის მოწერას გავმართავ, იქნებ რამე უშველო საწყალს მოსწავლესაო; მაგრამ ხელის მოწერა ერთი გვიანდებოდა, მეორე-იმდენიც ვერაფერი შეგროვდებოდა. ბოლოს ერთმა ქართველმა ოფიცერმა უთხრა მასწავლებელს: მოდი, ერთი ლიტერატურული საღამო გავმართოთ რუსულ და ქართულ ენებზეო. ამ ღარიბის სასარგებლოთაო. ამ აზრზე შეაგროვეს მსურველები და შეუდგენ მზადებას. მეორე დღეს სცენის მოყვარეთა ნებართვის საღებათ მასწავლებელი გაგზავნეს ბატ. გედენსკისთან, მასწავლებელს ყოველივე გარემოება დაწვლილებით მოეხსენებინა და ბატ. გედენსკის ამოეღო მაშინათვე ოცდაათი მანეთი და მიეცა მასწავლებლისათვის შემდეგის სიტყვებით: ,,აი ეს ფული გაუგზავნე იმ სტუდენტს, თორემ მშიერს კაცს ჩვენი ყურება არ შეუძლიანო და ლიტერატურულმა საღამომ თუ რამე შემოიტანოს, ისევ დამიბრუნეთ ჩემი ფულიო. საღამოს გამართვაში მიიღეს დიდი მონაწილეობა ბ. ბ. ციმერმანმა, კავალსკიმ, დალმა თავისი მეუღლით, წერეთელმა, გამრეკელმა, გალიცინსკიმ და ჯუღელმა. ამათ გარდა, მთელმა სოხუმის მცხოვრებულმა ხალხმაც თანაგრძნობა გამოუჩინა საღამოს. აქაური სკოლის დიდი ზალა სავსე იყო ხალხით. კითხვა დაიწყო. საღამოს რვა საათზე შემდეგის რიგით: პირველად, რუსულად კითხულობდენ, ამას მოსდევდა ქართული კითხვა და ქართულს - ჭიანური ან სიმღერა. ქართულად წაიკითხეს, ორი თავი კაცია-ადამიანიდამ, პოემა „მეფე დიმიტრი თავ-დადებული“ ჭავჭავაძისა, „უბედური“ პოემა ჭალადიდელისა და ორიოდე

წვრილი ლექსი. საღამო იყო ცხოველი და მხიარული, შემოსავალიც რიგიანი შემოვიდა. სულ, როგორც საღამოდამ, ისე ვახშმიდამ, შემოვიდა 117 მანეთი და 90 კაპ. აქედამ დაიხარჯა ვახშმის გამართვისათვის ოცი მანეთი და 86 კაპ. მუზიკისათვის ექვსი მანეთი და წვრილმანი ხარჯი ექვსი მანეთი და 45 კაპ. წმინდა შემოსავალი დარჩა 84 მან. 51 კაპ. რამდენიმე ამ ფულიდამ ადრევე გაეგზავნა იმ პირს, ვის სასარგებლოდაც იყო გამართული საღამო, ხოლო დანარჩენი ფული თვე-და-თვე გაეგზავნება ოც-ოც მანეთობით, სოხუმი, როგორც მოგეხსენებათ, თვითონაც ძლიერ გაჭირვებაშია ჩავარდნილი, მაგრამ მშიერის და გაჭირვებულის ხელის შეწყობა ამან უფრო იცის სხვა ზოგიერთ მდიდარ ქალაქებზე. თუ კი მტრისაგან აოხრებული სოხუმი არ იზოგავს თავს და შემწეობას აძლევს ჩვენს მშიერ მოსწავლეთ, ნუთუ სხვა ქალაქები უკუნითი უკუნისამდე თავის მუცლის გარდა სხვას არავის მიაწოდებენ ლუკმას. რა უშავს იმ ქალაქებს, რომელნიც რიცხვითაც და სიმდიდრითაც ბევრით მაღლა დგანან სოხუმელებზე, რომ წელიწადში ორი ან სამი საღამო, ან სპეკტაკლი გამართონ და რომელიმე უნივერსიტეტის სამმართველოს გარდასცენ ღარიბ მოსწავლეთ დასარიგებლად. აქედამ ორ გვარ სასარგებლო საქმეს ჩაიდენენ. ერთი - თავის სულსა და გულს ასიამოვნებენ და მეორე - ღარიბს ხელს მოუმართავენ და სწავლის სახსარს გაუჩენენ. ვიმედოვნებთ, რომ სოხუმელების მაგალითისათვის სხვებსაც წაებაძვოს. /გადაღმელი/. სოხუმი. (დროება, N81, 1884 წელი);

აფხაზეთი, 5 აპრილს

წარსული წელი ფრიად შესანიშნავი იყო აფხაზეთისათვის, ამიტომ რომ ადმინისტრაციული წყობილების ცვლილებას ბედნიერება მოჰყვა. ძველის ადმინისტრაციის დროს ჩვენისთანა უბედურდასაცოდავსადამიანსვერიპოვნიდით.აქარიყოსამართალი,არიყომშვიდობიანობა, არ იყო გაჭირვებულთ გაკითხვა და ხელის მომართვა; არ იყო ის, რაც უნდა ყოფილიყო. ეს სულ რისთვის? მკითხავთ, მისთვის, ჩემო ბატონო, რომ მაშინდელი ადმინისტრაციის დიდი მოხელენი ცხოვრებდენ მხოლოდ თავისთვის... ბოლოს ხალხს უბრძანეს იარაღის აყრა. ამ ბრძანებაში სულ სხვა საიდუმლო აზრი იმალებოდა, მაგრამ ღმერთმა არ მოასწრო. თავის ბოროტი განზრახვის სისრულეში მოყვანა. ჩვენი ხალხი ეხლა უფრო ჭკუაზე მოვიდა იმასაც ნანობს, რაც ძველად მას შეემთხვა უგუნურის მოხელეების წყალობით; ეხლა ასე ადვილად ვეღარავინ შეაცდენს. მართალია, ხალხში შინაურული ჩურჩული და მითქმა-მოთქმა აღძრა ამ განკარგულებამ იარაღის დაყრის თაობაზე, მაგრამ ამ დროს უეცრად მობძანდა სოხუმში თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი. მცხოვრებლებმა სთხოვეს იარაღის აუყრელობა. თავადმაც დართო ნება, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ბოროტად არ მიხმარონ იარაღი, მაშინდელმა ჩვენმა ორმა დიდმა ბატონმა მწუხარეს თვალებით შეხედეს ერთმანეთს და, უიმისოდაც ფერ-მხდალებს, ნაცრისფერი დაედვათ, ერთმანეთს ჩაჩურჩულეს: ეს ხრიკი რომ გაიგოს მართებლობამ, ხომ კამჩატკაში ამოგვაყოფინებენ თავსაო. ამ ამბის შემდეგ გავიდა ცოტა ხანი და ჩვენი ბატონები ორთავენი განაშორეს სოხუმის არე-მარეს. იგინი ხომ გარდიხვეწნენ, ჩვენ ისევ იარაღში ვსხედვართ. ჩვენი ახალი მოხელენი ჯერჯერობით პატიოსნად იქცევიან და იმედიც გვაქვს, ამათი ამგვარი მოქცევა დიდ ხანს გასტანს, განაც ამ ბატონებს დიდი ხანია ვიცნობთ.

ამ დღეებში მთელი სოხუმის ოლქში გაისმა სამწუხარო ამბავი მცხოვრებთათვინ. აი საქმე რაში მდგომარეობს: ადგილობრივის მცხოვრებთათვის არის შემდგარი მამულის დამრიგებელი კომისია. ამ კომისიის თავმჯდომარედ აქნობამდის ირიცხებოდა ბ. გედენსკი. ახლა ერთ ძველად აქ ნამყოფს და ხალხისაგან მოძულებულს პირს უთხოვია მთავარ სამმართველოსათვის აფხაზეთში მე გამგზავნეთ კომისიის ხელმძღვანელადაო; მთავარი-სამმართველო, რასაკვირველია, არ დათანხმებულა ამ თხოვნაზე ადგილობრივის

უფროსის უკითხავად. ჩვენც იმედი გვაქვს, ადგილობრივი უფროსი ხალხის სასარგებლო აზრს წარადგენს და ააცდენს მცხოვრებლებს იმ გველ-კაცას გაიძვერობას. სოხუმში. /გადაღმელი/. (დროება, N81, 1884 წელი);

შინაური ქრონიკა

სოხუმის ახლო საკუთარს მამულში გამოჩენილს სწავლულს და პროფესორს ბუტლეროვს საფუტკრე გაუმართავს და მმართველად საქმის მცოდნე და გამოცდილი კაცი დაუყენებია. ამ მმართველს თავის სახლის კარი ღია აქვს თურმე ყველასთვის, ვინც კი მოისურვებს გაიცნოს და ისწავლოს ფუტკრის მოვლისა და მოშენების საქმე. (დროება, N127, 1884 წელი);

შინაური ქრონიკა

აფხაზეთიდამ გვწერენ, რომ სუხუმის ერთს სასტუმროთაგანში თავი მოუკლავს ერთს ყმაწვილს კაცს, რომელიც აქ მოსულა კონსტანტინოპოლიდამ. იმ წინარე ამ ყმაწვილს ოთხი თუმანი მიუღია საიდანღაც. ფულთან ბილეთი ყოფილა; ბილეთში მხოლოდ შემდეგი წერებულა: «სამარის გუბერნიის მცხოვრები № სოლნცევი (გვარი მისი), სტუდენტი პეტერბურგის უნივერსიტეტისა». (დროება, N143, 1884 წელი);

შინაური ქრონიკა

სუხუმიდამ გვწერენ: დიდი ხანია, რაც ველოდით სუხუმში ფილოკსერის პარტიას. ყოველი გემის მოსვლის დროს ნავთსადგური სავსე იყო მუშებით, რომელნიც თითქმის ოთხი თვის განმავლობაში ელიან პარტიისაგან სამუშაოს. ბოლოს, ივლისის პირველს, ჩამოვიდა ფილოკსერის პარტია და ასიოდე მუშა კაცმა იშოვა ლუკმა პური. ივლისის 5 პარტიამ დაიწყო მუშაობა აგრონომი ექსპერტი ვასილიევის ხელმძღვანელობით. პარტია გაიყო ორად ერთი ნაწილი დარჩა სუხუმში და შესდგება 17 კაცისაგან, ხოლო მეორე - მსწრაფლი-ბრძოლი პარტია აგრონომ ექსპერტი ინანოვის ხელმძღვანელობით გაემგზავრება ამ კვირაში აბჯაყვაში, პრისხში, გუდაუთში, კოდორში, ათონის წმ. მონასტრისკენ და სხვა სოფლებში. სუხუმის პარტია დაბინავდა კოლობოვის დაჩაში და ეხლა შეუდგა მუშაობას; შემდეგ ახლო-მახლო მიდამოებს დაათვალიერებს. უმეტეს ნაწილს ფილოკსერის პარტიისას შეადგენენ ქართველები, მეგრელები და აბხაზები; სხვათა შორის, პარტიაში არიან თავ. ო. ნ. ვაჩნაძე და ი.ნ. ერისთავი. პირველი დახელოვნებულია ამ საქმეში და სპეციალურად აქვს შესწავლილი ფილოკსერის ვითარება. ხოლერისა სუხუმელებს ძალიან ეშინიანთ, ეშინიათ მით უფრო, რომ არ იციან, იხმარა რაიმე სანიტარული საშუალება მთავრობამ, თუ არა. დღეს შუაბაზარში ერთი სალდათი უეცრივ ავად გახდა მუცლის ტკივილით, მაშინვე წაიყვანეს გოსპიტალში. ამბობენ, რომ ეს მეორედ ხდება ამგვარი შემთხვევაო. ციებ-ცხელების დრო დადგა და ვინ იცის, რამდენს მსხვერპლს შეიწირავს ეს სენი, ხოლერის ხსენებაც რომ არსად იყოს...

იქიდამვე გვწერენ, რომ ქვაფენილ გზაზედ, ნიკიტინის დაჩის ახლო, საშინელი სიმყრალე სდგასო. სიმყრალე ისე ძლიერია, რომ ვერ გაივლიო, თუ ხუთიოდე წამის განმავლობაში ცხვირზედ ხელი არ მოიჭირეთ და არ შესწყვიტეთ სუნთქვა. ეს მესამე დღეა აგერ რაც ეს სიმყრალე გვაწუხებს და არავითარს ღონეს არა ვინა ხმარობსო, ამბობს კორესპონდენტი. (დროება, N149, 1884 წელი);

შინაური ქრონიკა

აფხაზეთიდამ გვატყობინებენ რომ იქ წელს საღიანობაა და ისეთი სიცხეები არა სდგას, როგორიც შარშან ამ დროს იდგაო. ციებ-ცხელება ჯერ-ჯერობით არსადა სჩანს. და შემდეგაც, იქნება, ღმერთმა დაგვიფაროსო. სიმინდის, ყურძნის და ბალახის მოსავალი წელს მშვენიერია აფხაზეთში და ხილიც უხვად მოგვივიდაო. ქ. სუხუმში ამას წინად ბანაობდა ზღვაში ერთი ქუთაისიდამ მოსული გიმნაზიის მე-VI კლასის შეგირდი და დაიღრჩო. საცოდავი ნათლიასთან იყო აქ და ხარკოვიდამ ელოდა უნივერსიტეტში კურს დასრულებულს თავის ძმას.

ქურდობა და ავაზაკობა სრულიად მოისპო აფხაზეთში. ერთი აბაზი რა არის, ისიც არავის არ ეკარგება. სჩანს აფხაზსაც შესძლებია, გვწერს კორესპონდენტი, მშვიდობიანი და შრომის-მოყვარეობით სავსე ცხოვრება. (დროება, N154, 1884 წელი);

შინაური ქრონიკა

სუხუმის საფილოქსერო დასი მუშაობდა ივლისის 7-20, 137 მუშის დახმარებით, რომელნიც მარგლიდენ ვენახებს და ძირს უთხრიდენ ვაზებს გარეშემო. მუშაობა იწყება ჩვეულებრივ დილის 5 საათიდამ შუა დღემდე და ნაშუადღევს სამი საათიდამ მზის ჩასვლამდე. ამ ხნის განმავლობაში ამოუთხრიათ და დაუწვავთ 1769 ვაზი, თუ ერთისა და ორის წლის წინას არ ვიანგარიშებთ.. მთლად მუშაობის განმავლობაში მხოლოდ ერთს ვაზზე იპოვეს ფილოქსერა 25 საჟენის მანძილზე იმ ალაგიდამ, საცა შარშან იქმნა აღმოჩენილი. ამ ფილოქსერის კვალს ივლისის 11 მიაგნეს. რაც აქამომდე გაკეთებულა, იმედს გვაძლევს, რომ ბრძოლა ფილოქსერის წინააღმდეგ სუხუმის ახლო-მახლო უნაყოფოდ არ დარჩება. («კავკაზი»). (დროება, N162, 1884 წელი);

შინაური ქრონიკა

სოხუმიდამ გვატყობინებენ, რომ იქაური ოსმალეთის კონსული, რომელიც ამ ერთი წლის წინად მისულა იქ, თავის ამალით სამის თვის წინად ოსმალეთშივე წასულა. ამას იქით მისი სადგური დაკეტილიაო, მხოლოდ სახლის წინ მაღალი თეთრი ანძაა ამართული, რომელიც ამ სადგურის ვინაობას მოწმობსო. სოხუმში ყველანი იმ აზრისანი არიან, რომ ეს კონსული უკან აღარ დაბრუნდება, თუმცა ოთხი თვის ვადით კი წავიდაო. არც დიდად საჭიროა აქ ოსმალეთის კონსული, ღვთის წინაშე.

იქიდამვე გვწერს კორესპონდენტი, რომ იქ ამ გაზაფხულზე მისულა ექიმი კავალევი, რთმელსაც რამოდენიმე დღიური ადგილები შეუძენია სოხუმის ერთ მაღლობ ადგილზე და გულ-სუსტ ადამიანებისათვის საავადმყოფოს აშენებსო. ეს ამბავი ძრიელ სასიამოვნოა, თუ ძვირად არ დაუჯდათ იქ ექიმობა ავად-მყოფებს. (დროება, N167, 1884 წელი);

შინაური ქრონიკა

ძნელად წარმოსადგენია გვწერენ აფხაზეთიდამ, რომ სხვა რომელიმე სამსახურის პირნი ისე შეწუხებულნი იყვნენ მატერიალურად, როგორც არიან აფხაზეთ სამურზაყანოს მღვდლები და სოფლის მასწავლებლები, რომელნიც ჯამაგირს კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგ. საზოგადოების საშუალებიდამ ღებულობენ! ცოტაოდენი ჯამაგირი ეძლევათ, მაგრამ ის მაინც რომ თავ-თავის დროზე, მოსდიოდეთ, კიდევ მადლობა ღმერთსა... მაგრამ

აგერ ივლისი მეშვიდე თვე გადის და იანვრის მესამედი არ მიუღიათ. წარსულის წლის სექტემბრისა რომ მიიღეს, ის სულ შარშანდელ ვალებში დაურიგეს, დღიურს საზრდოს და უსაჭიროესს ნივთებს ვაჭრებს ხელთ წერილით ართმევდენ; მაგრამ ნისიასაც გადახდა უნდა, თორემ მეტს აღარავინ ანდობს და ხომ სიმშილით უნდა დაიხოცონ. იქნება, კავკ. ქრისტ. აღმადგ. საზოგადოების რჩევამ მიაქციოს. ამას თავის ყურადღება და იხმაროს რაიმე ღონისძიება?

სუხუმის საფილოქსერო დასს 20-28 ივლისამდე უმუშავნია 149 დღიური მუშის შემწეობით; ამოუთხრიათ 2000 ვაზი, ერთის წლისა და ორის წლის წიდნის გარდა. მუშაობენ მომეტებულ ნაწილად იქ, საცა შარშან იყო მოდებული ფილოქსერა, მაგრამ არც ერთგან, არც ერთს ვაზზე არ უპოვნიათ. ამავე დროს განმავლობაში სუხუმის გარეშე მოუძებნია ფილოქსერა საფილოქსერო დასს, მაგრამ არსად არ აღმოუჩენია. მეოთხე საფილოქსერო დასს ვლადიკავკაზში დაუწყვია მუშაობა ივლისის 25, ბლომად ვენახები გაუჩხრეკია და მაინც არსად ფილოქსერა არ აღმოჩენილა. (დროება, N168, 1884 წელი);

ფრიად შესანიშნავი კრება

ესევე აზრი წარმოვთქვით ჩვენ დედუქტიური მოსაზრების ძალით ექვსი წლის წინედ «თბილისის მოამბეში» შესახებ მეგრელებისა, რომელთაც ჩვენ ვსთვლიდით საუკეთესო კალონიზატორებად აფხაზეთისათვის, სხვათა შორის იმიტომ, რომ ჭაობიანად ციებ-ცხელებიანს ჰაერს მათი სხეული შეჩვეულია და ესენი ბუნებითი შერჩევის კანონს მრავალი საუკუნის განმავლობაში მოუმზადებია ჭაობის მხარის ადვილად ატანისათვის და დაძლევისათვისო-თქო. ჩვენმა მოპირდაპირემ ბ. ვედენსკიმ, რომელიც «კავკაზში» ეწინააღმდეგებოდა მეგრელების დასახლებას აფხაზეთში, ჩვენი აზრი უცნაურ რადმე ჩათვალა და ამტკიცებდა, რომ ხამი ხალხი, რომლის სხეული, ჭაობის შხამით მისუსტებული არ არის, უფრო ადვილად აიტანს ციებ-ცხელებიან ჰაერსაო, ვიდრე მეგრელნი, და შხამულნი მავნე ჰაერის ხანგრძლივი მოქმედებითაო: მაშინ რომ ტომაზის აზრი წარმოთქმული ყოფილიყო, ჩვენს მოპირდაპირეს პირში ბურთს ჩავუდებდით და ჩავაჩუმებდით; მაგრამ ჩვენ იძულებულნი ვიყავით მხოლოდ ჩვენს მოსაზრებაზედ დავფუძნებულიყავით და ამას კი ბატ. ვედენსკისათვის, რასაკვირველია, ავტორიტეტის ძალა არა ჰქონდა. შერჩევითი კანონის მოქმედება არ არის თურმე ერთადერთი მიზეზი, რომელიც ეწინააღმდეგება ციების შხამის მოქმედებას ადამიანის სხეულზედ. ჭირიან ადგილებში მცხოვრებლებს სცოდნიათ თურმე უებარი წამალი, რომელიც ბევრით სჯობნებია ქინაქინასაც და დარიშხანასაც. ექიმების უძლიერესი წამალი ქინაქინა, ტომასის სიტყვით, თუმცა თავდაპირველად ძლიერად მოქმედობს ციებაზედ, მაგრამ შემდეგში მისი გავლენა მეტად სუსტდება, და ამას გარდა თვითონ ქინაქინაც მავნებელია სხეულისათვის, მეტადრე დიდხანს თუ ხმარობენ მას. დარიშხანა თუმცა ქინაქინაზედ უფრო კარგად მოქმედობს ქრონიკული ციების წინააღმდეგ, მაგრამ სხვა მხრით ბევრს ექიმებს იგი მავნებლად მიაჩნიათ და ხალხი ხომ ძალიან ავის თვალით უცქერისო. ციებ ცხელებიანი ადგილების მცხოვრებნი იტალიაში ამ სენის წინააღმდეგ თურმე ხმარობენ ლიმონის გამოხარშულს წვენსა, რომელიც ამ გვარად მზადდება: აიღებენ ლიმონსა, დასჭრიან ისე მთელსა ქერქიანად და მარცვლებიანად წვრილ-წვრილს ნაწილებად, ჩაჰყრიან კოჭობში, დაასხმენ სამს სტაქანს წყალსა და იქამდის ადუღებენ, ვიდრე ერთი სტაქანი წვენი არ დადგება. შემდეგ ანელებენ. ამ წვენსა და სმენ. ტომაზის მიუქცევია ყურადღება ამ წამლისადმი, უცდია მისი მოქმედება ბევრს ავი ციებით ავადმყოფს ადამიანზედა და დარწმუნებულა, რომ ეს წვენი ძლიერი და მშვენიერი წამალია. თავის რეფერატში იგი ძლიერ აქებდა ამ წამალსა და ურჩევდა ექიმებს მისი ხმარება უთუოდ შემოეღოთ. მართალია, ეს წამალი მეცნიერული წყაროდგან არ მომდინარეობს, სთქვა მან

ბოლოს, მაგრამ რადგანაც იგი თითქმის უებარი ღონისძიებაა, ამიტომ ტარმაკოლოგიაში, ერთი უპირველესი ადგილი უნდა დაიჭიროსო, ამბობდა იგი. ჩვენ ძლიერ მდიდარნი ვართ ჭირიანი ადგილებით და ავი ციებ-ცხელებით. ამიტომ ტომაზის აზრი დიდ შეღავათს მისცემს ჩვენს ქვეყანას, თუ ექიმები და საზოგადოება ჯეროვანი ყურადღებით მოეპყრობიან მას. მეტადრე ძლიერ უჭირს ამისთანა ადვილი და იაფი წამალი დასავლეთის საქართველოს, სადაც შავი ზღვის პირად ფრიად ავი ციება გამუდმებული სენია. (დროება, N181, 1884 წელი);

დროების კორეპონდენცია

სოხუმი. აგვისტოს 12-ს. აგერ სამი წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც სოხუმში აღმოაჩინეს ტილოქსერა - ვაზების ჭირი. პირველად აქაური ოლქის მმართველის ბ. ვედენსკის ბაღში და მერე ამ ბაღის მიდამო ადგილებშიც. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ტილოქსერა შემოტანილია სოხუმში პირდაპირ საფრანგეთიდამ. თუმცა კი სამზღვარ გარეთიდამ ვაზების შემოტანა 1873 წლიდამ კანონის ძალით აკრძალული იყო. ამ სამი წლის განმავლობაში სოხუმის სატილოქსერო დასმა დიდი სამსახური გაუწია სრულიად კავკასიასა. აღმოჩენის უმალვე აგრონომებმა ბ. გეევსკიმ და ხოჯაევმა ბევრი იშრომეს და ტილოქსერისაგან დაზიანებულ ადგილებში თითქმის გასწყვიტეს ეს მავნებელი მწერი. მეორე წელს შეუდგა მუშაობას აგრონომი ვასილიევი, მუყაითი და სვინდისიერი მუშა კაცი, რომელმაც თავის მეცადინეობით ორი წლის მუშაობა 9 თვეს შეასრულა, ისე რომ სოხუმში ტილოქსერა თითქმის მოსპობილი იყო. ზოგიერთს საეჭვო ადგილებში შესაძლებელი იყო, რომ ტილოქსერა რაიმე გზით გადატანილი ან გადაფრენილიყო. ამისათვის ამ წელს კიდევ გაემგზავრა დასი სოხუმში (ჩვენდა სამწუხაროდ ძალიან გვიან ივლისის 1, შარშან კი აპრილიდამ მუშაობა დაწყებული იყო) და, ბევრი ძებნის და ჩხრეკის შემდეგ, იპოვნეს ტყის ვაზის (კრიკინის) ფესვებზედ ოციოდე ტილოქსერის მწერი. აქამომდე სხვაგან არსად არ გამოჩენილა ტილოქსერა და, იმედია, არც გამოჩნდება, რადგან თითქმის ერთი ვაზი არ არის დარჩენილი (არც ბაღებისა და არც კრიკინა ყურძნის დაზიანებული ადგილების ახლომახლო 300-700 საჟენამდე), რომელნიც არ ამოეწვათ ცეცხლით. და აი როდესაც ტილოქსერა გაწყვეტილია, საქმე თითქმის დაბოლოვებულია, სოხუმის სატილოქსერო პარტიას არა აქვს საშუალება მართლა ბოლომდინ მიიყვანოს საქმე, დაასრულოს ტილოქსერასთან ბრძოლა და სთქვას: „სოხუმში ტილოქსერა აღარ არის!..“აი ამ დროს, ვიმეორებ, დასი უფულოდ არის და იძულებულია შესწყვიტოს მუშაობა, რადგან სოხუმის პარტიისათვის გადადებულმა ფულმა ბევრი-ბევრი აგვისტოს ბოლომდინ იკმაროს. საქმე კი მოითხოვს, რომ მუშაობა გათავებულიყო პირველს დეკემბერს. ვისაც კი შეუსწავლია ტილოქსერის ბუნება, უნდა იცოდეს, რომ ეს დანარჩენი სამი თვე შეიძლება დიდად საზარალოც შეიქმნეს და სასარგებლოც. ამიტომ სასურველია და საჭიროც, რომ ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება, ვისიც ჯერ არს, მით უფრო, რომ ამდენი შრომა და ფული ტყუილად არ დაიკარგოს, რომ აქედან გზა არ ჰქონდეს ტილოქსერას, ქვეყნის სხვადასხვა კუთხისაკენ. საჭიროა საიდამაც იქნება, მოიპოვონ საშუალება და ფუჭად არ ჩაატარონ ამდენი ხალხის სიმდიდრე, და არ გააღარიბ-გააღატაკონ მრავალი ვენახების პატრონები... /3-ლ. გ-ია/. (დროება, N181, 1884 წელი);

შინაური ქრონიკა

სუხუმის სატილოქსერო დასმა აგვისტოს 8-12-მდე გასინჯა ვაზები შემდეგს ალაგებში: 1) მდ. კელასურსა და მაჭარას შორის, ბ) მდ. კელასურის ხეობაზე, გ) სოფ. ალექსანდროვკაში, დ) სოფ. მერმულში, ე) ბაღ-შარაში, და ვ) წებელდაში. არც ერთ ამ მოხსენებულ ალაგთაგანში ტილოქსერა არ აღმოჩენილა.(«კავკაზი»). (დროება, N184, 1884 წელი);

შინაური ქრონიკა

სოხუმიდამა გვწერენ: ამას წინად გაცნობეთ, რომ აბჟაყვის მცხოვრებ ნემცებს მისცეს აფხაზების ნამოსახლი ადგილები. იმ სოფელში არის დარჩენილი ას-ასი წლის ვენახები, ხეებზედ შესული: ნემცებმა იუკადრისეს ხეებზედ სიარული ყურძნის კრეფის დროს, მისდგეს წრეულს ამ მშვენივრად ხეზედ გასულს ვაზებს და ძირიზედ ჭრიან ხიანად; მათ ადგილზე სთესვენ სიმინდს. არ იქნებოდა ურიგო, რომ ადგილობრივს მთავრობას არ მიეცა ნება ნემეცებისათვის ამ ძველთაგან ნაღვაწი ძვირფასი მცენარის მოსპობისა. იქიდამვე იწერებიან, რომ სოფ. ბაკლანკას, 35 ვერსზე სუხუმიდან დასახლებულა 40 კვამლი რუსეთიდამ გადმოსახლებულნი, რომელთაც ადგილობრივი ციება ძალზედ მუსრავს თურმე. (დროება, N188, 1884 წელი);

შინაური ქრონიკა

სამეგრელოში, ოჩამჩირის არემარეზე, აგვისტოს დამლევს, საშინელი წვიმები ყოფილა და ნიაღვარს დიდი ზარალი მიუცია სოფლებისათვის. (დროება, N197, 1884 წელი);

შინაური ქრონიკა

სუხუმის საფილოქსერო დასს უმუშავნია აგვისტოს 25-დგან სექტემბრის 1-ამდე, მაგრამ ბევრი ვერა გაუკეთებია რა, რადგან სამისა და ოთხის დღის განმავლობაში გადაუდებელი წვიმები ყოფილა. მაინც ამოუთხრიათ და ძირიანად დაუწვამთ 335 ვაზი, რომლებზედაც ფილოქსერა არა ყოფილა. (გაზ. კავკაზი). (დროება, N199, 1884 წელი);

დროების კორესპონდენცია

სოხუმი, სექტემბრის 15. ამას წინად „დროებაში“ იყო დაბეჭდილი კორესპონდენცია სოხუმიდან, რომელშიაც კორესპონდენტი ამბობდა, რომ ფილოქსერა სოხუმში სრულებით გაწყდაო. მართლაც აქამომდე ყველა დარწმუნებული იყო, რომ სოხუმი განთავისუფლდა ამ სენისაგან. მაგრამ ფილოქსერა კიდევ აღმოჩნდა ბ. ვედენსკის სახლის უკან და აი როგორ: პირველადვე, ფილოქსერის აღმოჩენის უმალ, სოხუმში დანიშნულ იქმნენ აგრონომები ბბ. ხოჯაევი და გეევსკი. პირველი ორის წლის განმავლობაში სოხუმის ფილოქსერის ბედი მათს ხელში იყო და ბევრიც იშრომეს, მაგრამ, სამწუხაროდ, უნაყოფოდ; მათი შრომა უნაყოფოდ დარჩა, იმიტომ, რომ, სადაც იმათ პლანტაჟებით*) გამოუთხრიათ მიწა და საცა, მაშასადამე, ფილოქსერა გაწყვეტილი უნდა იყოს, დღეს იმავ პლანტაჟებზედ, ან იმათ ახლო, გარშემო, ფილოქსერის ახალ ბუდეებს პოულობენ. პლანტაჟებით ამოთხრას თავისი კანონი და წესი აქვს და, მგონია, რომ ეს წესები დავიწყებიათ ბ. გეევსკის და ხოჯაევსა. აი, ჩვენის აზრით, მიზეზი იმ გარემოებისა, რომ ამოდენა ხანია სჩხრეკდენ, სთხრიდენ იქაურობას, ფილოქსერა ვერსად აღმოაჩინეს და დღეს კი უცებ ისევ გაჩნდა და ბ. ვედენსკის ბაღში. აიღეთ აგრონომი ვასილიევის ანგარიში 1883 წლისა თავის პლანით, დააკვირდით გეევსკისა და ხოჯაევის მუშაობის პლანსაც, და აშკარად დაინახავთ, რაში შემცდარან ეს უკანასკნელნი. ფილოქსერა. როგორც ვსთქვით, იპოვეს იმ ადგილას, სადაც პლანტაჟი არ არის ათ საჟენზედაც - მაშასადამე ეს ადგილი ცირკულიარის ძალით შემოზღუდული უნდა ყოფილიყო, მიწის პატრონს კანონის ძალით არ შეეძლო არც მოხვნა და არც მოთესა ამ ადგილისა. მაგრამ, რადგან ბ. ვედენსკის მიწა იყო ეს ადგილი და ბ. ვედენსკი დიდი გვარი გახლავსთ, ამიტომ ხათრი არ გაუტეხნიათ, როგორ არ დავუთმოთ ერთი ათიოდე საჟენიო

და აი დღეს ხომ ვხედავთ ნაყოფს - კიდევ აღმოჩნდა ტილოქსერა, როგორც ეტყობა, დიდი ხნისა-თითქმის 6-7 წლისა. აი რანაირად ჩაიარა ბ. გეევსკის და ხოჯაევის შრომამ! მაგრამ იმდენი არც იმათ აქვს დანაშაული, რამდენიც ჩვენს ტილოქსერის კომიტეტს; ჩამოვიდა თუ არა აგრონომი გ. ვასილიევი, ეკსპერტმა მისწერა ამ კომიტეტს, რომ ბ. ვე-თვის, აღეკრძალნით შეზღუდული ალაგის შემუშავება, მაგრამ კომიტეტმაც ხათრი არ გაუტეხა მთელი ოლქის მმართველს და ნება დართო ვე-კის: რაც თქვენს სულსა და გულსა სურს, ის დასთესეთ და მოიყვანეთო ბ. ვ-აც მოხნა და სიმინდი დასთესა იმ ადგილებში სადაც კაცის შესვლაც კი აკრძალული უნდა ყოფილიყო; მაგრამ ბ. ვასილიევის მეცადინეობით ამ წელს თურმე იქ სიმინდი დათესილი არ იყო და ტილოქსერა იპოვეს კიდეც. ეხლა ვკითხავ ბ. გეევსკის, ხოჯაევს და ტილოქსერის კომიტეტს, რომლის კანონის ძალით მისცეს ნება ბ. ვედენსკის მოეხნა საეჭვო ადგილები? ცნობილია, რომ ტილოქსერა ყოველგან ჩნდება და იგი ამ შემთხვევაში არ დაინდობს გავლენიან გვამების ადგილებს ისე, როგორც გლეხების მამულებსაც არ მოეხმარება. და თუ ეს ასეა, რად მიეცა ისეთი უპირატესობა ბ. ვედენსკის. დღეს საქმე გაჭირვებულია, ტილოქსერა კიდევ არის ბ. ვედენსკის ბაღში და ფულები კი არ არის, რომ ბოლო მოეღოს ამ ბრძოლას ტილოქსერის წინააღმდეგ და კომიტეტიც, მგონი, აღარც კი კისრულობს ტილოქსერის გაწყვეტას. ეხლა ხაზინის ინტერესებს იცავენ და ამბობენ, ტილოქსერა ძალიან გამრავლდა და მასთან ბრძოლა ძნელიაო. მაშინ დროც იყო, ფულიც, მაგრამ... ბ. ვე-ის და სხვებს ხათრს არ უტეხდით და ეხლა, როცა საქმე გაძნელდა თქვენის მეოხებით, განზედ დგებით. მაგრამ მომავალი დრო შეუბრალებელია, იმას ვერც ერთი სულდგმული ვერ დაემალება - ის გონიერი მომავალი დრო განსაჯავს თქვენს მოქმედებას! ნუ გგონიათ, რომ თუ ტილოქსერა გამრავლდა ჩვენში და ბრძოლა შესწყდა, ამდენი გაღატაკებული ოჯახების ცრემლი, გოდება და წყევლა თქვენ არ დაგატყდეთ თავსა. ახიც იქნება თქვენზედ. «თქვენსა ცოდვებს ავკაცობა ვეღარსად ვერ გაექცევა, საცა წავა, წინ დახვდება რისხვა ღვთისა და ერის წყევა». *)პლანტაჟებით თხრა მიწისა ის არის, რომ არც ერთი მცირე ადგილი გადაუთხრელი არ დარჩეს. (დროება, N204, 1884 წელი);

შინაური ქრონიკა

სოხუმიდამ გვწერენ შემდეგს ახირებულს ამბავს: „აფხაზეთში ქურდობა მოსპობილი ეგონათ, მაგრამ ამ დღეებში ხელახლად იჩინა თავი: სექტემბრის 30-ს ღამით 2 საათზედ ქურდებმა გატეხეს სოხუმის კლუბი, შევიდენ შიგ, მაგრამ ვერაფერი იპოვნეს; იქიდან გაიარეს იმ ღამესვე მელიქოვის ქუჩა, გატეხეს კარები ივერიის ბერების სახლისა და იქაც ვერაფერი ნახეს, მხოლოდ კლიტე-გასაღები ჩაიდვეს ჯიბეში; იქიდან მეზობლის სახლში შეისეირნეს, მ. თოფურიძის სამზარეულო გააღეს და იქაც ვერაფერი იპოვნეს, მხოლოდ რამდენიმე მანათის საღირალი მოიტაცეს. მერე პ. კეთელაძის სახლს თურმე მიუთაროვეს. სამზარეულოში „დაზაკუსკებულან“ და შემდეგ ვერცხლის კოვზები და სხვა სუფრის ავეჯეულობა მოუპარავთ. ამ ნანადირევს არ დასჯერებიან და მეოთხე სახლში შეცვივნულან. იქ მოუპარავთ 20 გირვანქა ერბო. პრისტავები გაცხარებით ეძებენ გაბედულს ქურდებს. ამბობენ, რომ ეს «ქურდები» რვა კაცამდინ არიანო.“

იქიდამვე გვატყობინებენ: წელს დაასახლეს აფხაზეთში სახელმწიფო ადგილებზე ნემეცები, ბერძნები და მეგრელები; ნემეცებთაგანნი ბევრნი დაიხოცენ სოხუმის ცივებით და ბევრი უკან დაბრუნდა თავის სამშობლოში, მაგრამ, ვინც დარჩა ამ ზაფხულ გაცხარებული მუშაობდა, ასე რომ, სადაც გაუვალი ტყეები იყო, მინდვრად აქციეს და ალაგ-ალაგ ტყეებში აღმოჩნდა ძველებური ნაშენი ეკლესიები და სამარხნი, აჭრელებულნი ზედ-წარწერებით. არ იქნებოდა ურიგო, რომ მიექციათ ყურადღება ამ ნაშთებისათვის; მით უმეტეს, რომ ახალნი მოსახლენი ამაებს არ დაეძებენ და უწყალოდ ანგრევენ და აქცევენ.. (დროება, N219, 1884 წელი);

შინაური ქრონიკა

სოხუმიდამ გვწერენ: „აქაურს ფილოქსერის დასს მიეცა საშუალება და კიდევ გაგრძელდება მუშაობა, მაგრამ რა დრომდე, ეს დამოკიდებულია კომიტეტზედ. აქაურ დასში ცვლილება მოხდა: ექსპერტი ვ. ინანოვი ორის გამომრკვეველით დაიბარეს ქალაქში, სადაც პლანტაჟით თხრას დაიწყებენო. (დროება, N225, 1884 წელი);

შინაური ქრონიკა

სოხუმიდამ გვწერენ იქაურის პოლიციის პრისტავის ბ-ნ თოფურიას მოხერხებაზედ ქურდების აღმოჩენაში შემდეგს გარემოებას: ,,ამას წინად აქაურს ერთს სასტუმროთაგანში დაკარგეს ოც თუმნამდე ფული და ოქროს საათი. ნომერი სასტუმროსი, რომელშიაც დაიკარგა ფული და ნივთი, დაკეტილი იყო, ხოლო ფანჯარა დარჩენოდა მდგმურს ღია. პრისტავს უფიქრია, თუ სასტუმროს მოსამსახურეთაგანია ქურდი, ჩქარა დაეთხოვება სასტუმროს პატრონს და წავა აქედამაო. ხოლო გემით წამსვლელებსაც ყურს ვუგდებ და საეჭვო პირთ გაუჩხრეკელს არ გავუშვებო. მართლაც, ერთის კვირის უკან სასტუმროს მებუფეტეს შეუკრავს ყუთი ,,პასილკად", გაუგზავნია ბათუმში მეგობრის სახელზედ და თავათაც დასთხოვებია „ხაზეინს". პრისტავს დეპეშა დაუკრავს ბათუმის პოლიციისათვის. ესა და ეს პასილკა თქვენ მიიღეთო. პოლიციას გაუხსნია პასილკა და ყოველივე დანაკარგი შიგ აღმოჩენილა და ფული ფოსტის სამმართველოს სახელმწიფოდ შეურაცხავს, რადგან კანონით ნება არავისა აქვს პასილკითა გზავნოსო. თვით მებუფეტე თოფურიას ადგილობრივვე გაუბაწრავს და სასამართლოს წინაშე წარუდგენია".

იქიდამვე გვატყობინებენ, რომ აქ ხშირად შეხვდებით აფხაზს, რომელსაც ცოლად იმერელი ქალი ჰყავს, მაგრამ აფხაზური ერთი სიტყვაც არ იცისო. აფხაზებს საზოგადოდ მისვლა-მოსვლა აქვთ მეგრელებთან და იმერლებთან, მაგრამ ქართულის ენის უცოდინრობა აფხაზების მიერ ძალიან ხელს უშლის ამ ურთიერთობასა და დანათესავებასაო. ,,არ იქნებოდა ურიგო, გვწერს კორეპონდენტი, რომ რომელიმე დაწესებულება, ან თვით მთავრობა გახსნიდეს აქ ისეთს სკოლას, რომელშიაც აქაურს ბავშვებს, რუსულს გარდა, ქართულს ენასაც ასწავლიდენო. მთის სამმართველოს აქვს აქ თავისი სკოლა, მაგრამ სამწუხაროდ ქართულს ენას ამ სკოლაში სრულიად არ ასწავლიან, თუმცა ნახევარი შეგირდებისა იმერლები, მეგრელები და საზოგადოთ ქართველები არიანო. (დროება, N229, 1884 წელი);

დროების კორრეპონდენცია

სოხუმი, ოქტომბრის 20. თითქმის ორი წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც რუსეთიდან მომსვლელ გემებს მოჰყავთ სხვა-და-სხვა უცხო ქვეყნის ხალხნი, რომელნიც აქაურ ადგილ-მამულებზედ აპირებენ დაბინავებას. მაგრამ ეხლა აგერ ერთი თვე იქნება, აქაურ ნავთ-სადგურზედ ყოველ გემის მოსვლაზედ ერთი ამბავია: კვირაში ორჯერ გემებიდამ გამოდიან და გამოდიან ოციდამ-ოც-და-ათამდე რუსთ სახლობანი. ნავთ-სადგური სავსეა ხოლმე მაყურებლებით (მომეტებული ნაწილი მუშა ხალხი), რომელნიც გაკვირვებულნი ოხუნჯობენ მათზე. მათი მიხვრა-მოხვრა, ჩაცმა, ლაპარაკი სხვა ნაირი კილოთი (გადმოსახლებულნი მალაროსები არიან), იმათი ქალები, რომელნიც არ განირჩევიან ტანთჩაცმაში კაცებისაგან, მოკლე კაბები და სალდათური ჩექმები მუხლებამდე რაღაც სხვანაირს, არაჩვეულებრივ ხასიათს აძლევს მათს სახეს, აგებულებას და ეს საკმარისია, რომ დაბალი ხალხი სიცილით და ოხუნჯობით მიეგებოს უცხო სტუმრებს; მაგრამ ცოტათი განვითარებულს კაცს კი სიბრალულით და სიბრაზით ევსება გული. მან არ იცის, რა შედეგი ჰქონდა წინად რუსების

გადმოსახლებას სოხუმში, ვინ არ იცის, რომ ას კაცში ერთი ძლივს რჩებოდა ცოცხალი აქაური ჰავისა და ციებ-ცხელებისაგან, ვინ არ იცის, რამდენი ათასი კაცი გამხდარა ამ გადმოსახლების მსხვერპლად!.. ამ დღეებში მომიხდა ყოფნა კილასურის ხიდზედ და აი რა დავინახე: სამი ურემი სავსე იყო რაღაცა ავეჯეულობით, ზედ ოთხი-ექვსი წლის ბავშვები ისხდენ ოც-და-ათამდე... უფრო დიდი კაცი და ქალები უკან მოსდევდენ. ურმები შევიდენ წყალში, ქვეითნი კი ხიდზედ გავიდენ, (ჯერ ხიდი არ არის დასრულებული). ამ დროს ერთი პაწაწა ბავშვი გადმოვარდა ურმიდან... საბრალო დედა ხიდზედ იყო და კინაღამ თავადაც არ გადავარდა წყალში, მაგრამ მეურმემ დროზედ მოასწრო და დაიხსნა საწყალი დედაც და შვილიც. ესენი გადმოსახლებულნი რუსები იყვნენ. მომეტებული ნაწილი ქალებისა და კაცებისა ჩვეულებისამებრ გადაკრულში ბძანდებოდენ. მე უნებლიედ მივუახლოვდი ერთსა სხვებზედ ფხიზელსა და ვკითხე: Откуда вы братцы? “Мы-то? мы въ Сюхімъ”! Да, зачъмь ватъ туда; въдъ вамъ земли не тамъ отвели? — вы назадъ должны ъхать! —”Мы ужо побівали на тамушной зімлі, да какъ глянули, то первымъ дъломъ плюнули да и утекли назадъ ужъ очень то зімля пескудная! —Кто-же вамъ ту землю далъ, да наконецъ, кто вамъ посовътовалъ сюда ъхатъ?—”А, Генералъ”! — Как Генералъ? — ვკითხე განცვიფრებულმა. — А, Микола Иваничъ! — Генерал Микола Иваничъ? — А тотъ, што въ лісу живетъ — эдакій высокій бородастый, то що въ козацкомъ облащеній. — Да какой же онъ генералъ, онъ просто...—”А бесъ его знаетъ, сказываютъ Генералъ, стало бытъ штука! — А теперь вы зачъмъ въ Сухумъ? — ვკითხე ბოლოს!.. — Как зачімъ, зпамо дъло, на заработки, не то ужъ больно пакостно.. голохуда... ამ დროს ერთმა ახალგაზდა ქალმა დაიკივლა — ერთი მეგრელი წასთამაშებოდა და ეჩქმიტა მისთვის. — Да што ты Матрена писклявишь, а може онъ денегъ дасть.... მე შემრცხვა, პირი მოვიბრუნე... ცოტა ხნის შემდეგ ურმებმა ჭრიჭინი დაიწყეს და ყველანი ჯგუფად წუწუნით გაჰყვნენ უკან, თითქოს საფლავზედ აცილებდენო მკვდარსა და მომაგონდა ნეკრასოვის სიტყვები: Стонетъ онъ по полямъ и дорогамъ, Подъ тельгой, ночуя въ степи; Стонетъ онъ по тюрьмамъ и острогамъ, Въ рудникахъ на желъзной цъпи,.. დიაღ, გული სისხლით გევსება, როდესაც წარმოგიდგება მათი ბოლო: საწყალნი თავის სამშობლოში ჰყიდიან ყველაფერს, გზის ფულს აყუჩებენ, ემზადებიან, რაღაცა ბედნიერებას ელიან და, აი, რას იმკიან; წასასვლელად, უკან გასაქცევად ფული აღარა რჩებათ... შიმშილი, ციებ-ცხელება და ბოლოს სიკვდილი; უბედურებს სიკვდილიც არ ეღირსებათ კაცური, მოშორებულნი თავის სამშობლოს მიწას-წყალს, პირზედ წყევლა-კრულვით და კბილების კრაჭუნით ლევენ სულსა. შემაძრწუნებელი მდგომარეობაა, მაგრამ მეორე მხრით ჯავრი მოგდის იმ ვაჟბატონებზედ, რომელნიც ატყუებენ მათ და ასეთ ვაი ვაგლახში შეჰყავთ. ერთი ამგვარ ვაჟბატონებთაგანი აქ გახლავსთ; ეს არის ის Генералъ-ი, რომელზედაც მელაპარაკებოდა, საცოდავი გლეხი. გვარი იმისი არის ე–ვი, ტყვილა უბრალო ყაზახი, თვითონ გადმოსახლებული რუსეთიდან და აქ Генералъ-ად ცნობილი უმეცართა მორის. ამასთან ერთად უნდა ისიც ვსთქვათ, რომ მეგრელებს, აბხაზებს, რაჭველებს, სოხუმში ალაგს არ აძლევენ და რაც მიუციათ იმასაც უნახევრებენ, თუმცა ჩვენი ხალხი უფრო გასძლებს სოხუმში. აი, ამ გვარად ხდება ორი უბედურება... ერთი ისა, რომ ხალხი ათასობით ციებ-ცხელებისაგან იჟლიტება, მეორე ორი ათასობით სიმშილით იხოცება და თუ არ დაიხოცა ქურდობას და ავაზაკობას იწყობს. (დროება, N235, 1884 წელი);

შინაური ქრონიკა

სოხუმის საფილოქსერო დასს გაუსინჯავს ფილოქსერიან ადგილები და დაუწვავს 1547 ვაზი. ფილოქსერა არც ერთს ამ ვაზთაგანზე არ აღმოჩენილა. დასს გაუსინჯავს აგრეთვე ხელმეორედ ვედენსკის ბაღი, გადაუთხრია ერთიანად და მოუწამლავს ნიადაგი ნავთით. (დროება, N239, 1884 წელი);

შინაური ქრონიკა

სოხუმის საფილოქსერო დასს, როგორც ოფიციალურად ატყობინებენ ამავე გაზეთს ოქტომბრის 21-28-მდე უთხრია გარეული ვაზები, დაუწვავს და მოუშხამავს ნიადაგი ნავთით სხვა-და-სხვა ალაგას. სულ 133 ვაზი ამოუთხრია ძირიან-ფესვიანად ამ დროის განმავლობაში, მაგრამ ფილოქსერა არც ერთს ვაზზე არ აღმოჩენილა. მუშაობდა მუდამ დღე 94-104 კაციო. (დროება, N243, 1884 წელი);

შინაური ქრონიკა

სუხუმიდამ შემდეგი ცნობა მივიღეთ. „საიმპერატორო არქეოლოგიურის საზოგადოების“ წევრს მამა არქიმანდრიტს ლეონიდს განუძრახავს აფხაზეთის ისტორიის შედგენა და ამ აზრით ბლომად აგროვებს ძველის მონასტრების და შესანიშნავი შენობების ფოტოგრაფიულ სურათებს. ეს ერთი თვეა, რაც ფოტოგრაფი დაიარება აფხაზეთის სოფლებში. მას დაჰყვება გამოცდილი და ამ ქვეყნის ვითარების მცოდნე ბერი მამა ინოკენტი სიმონ კანანელის მონასტრისა. (დროება, N258, 1884 წელი);

შინაური ქრონიკა

სოხუმიდამ გვატყობინებენ შემდეგს: ,,სოხუმის ფილოქსერის დასმა თითქმის გაათავა მუშაობა სოხუმში. ამ დღეებში დასი დაიშლება და, ვინ იცის, როდემდე. თუმცა სოხუმში ამ წელს მარტო ორს ადგილზედ იპოვნეს ფილოქსერის ბუდეები (Пятна) და, თუმცა ამბობენ, რომ სოხუმში ფილოქსერა გაწყვეტილიაო, მაგრამ ვინ, ან როგორ დაგვარწმუნებს, რომ აღარსად აღარ მოიპოვება იგი ან მომავალ წელში არსად გამოჩნდება ფილოქსერა? ეხლა ორიოდე სიტყვა თვითონ დასზედ. უწინა და შარშანაც სოხუმში საზამთროდ რჩებოდა ერთი გამომჩხრეკელი, რომლის თანამდებობა ფილოქსერის კომიტეტის ცირკულიარით იყო ხოლმე განსაზღვრული. მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, ეხლა სოხუმში აღარავინ დარჩება. ძალიან სამწუხაროა; სამწუხაროა მით უფრო 1882 წელს რომ სოხუმში არ იყო გამომჩხრეკელი და ბ. ვედენსკიმ დაზიანებულ ადგილებზედ სიმინდი დათესა, სადაც ამ წელს ფილოქსერა აღმოაჩინეს. ჩვენის აზრით, საჭირო იყო, რომ გამომჩხრეკელი დარჩენილიყო წელსაც, რათა ამ გვარივე უწესოება და უკანონობა კვლავაც არ გამეორდეს. „გამომჩხრეკელები ეხლა დაიშლებიან და, ვინ იცის, ზოგი სად წავა და ზოგი სადა, ისე რომ მათი შეკრება მერე ძნელი იქნება. მართალია ახალგაზდა ყმაწვილები მუდამ იშოვება ამ საქმისათვის, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ოთხი ხუთი წლის ნამსხური გამომჩხრეკელი უფრო საიმედოა, ვიდრე ახალი შაგირდი. კომიტეტმა როგორმე უნდა მოუაროს ამ მოუხერხებლობას: აქ სიძუნწე არ გამოდგება. კომიტეტი ათასობით ხარჯავს ფულებს თავის წევრების სხვა და სხვა ჩინოვნიკებისათვის მხოლოდ იმიტომ რომ ქაღალდზედ არსებობდეს იგი და ნამდვილ მშრომელთა კი ღვთის ანაბარად ერეკებიან საზამთროდ ამ ექვსი თვის განმავლობაში. სამწუხაროა ასეთი საქციელი კომიტეტისა, მაგრამ სამწუხაროა უფრო ის რომ, ყურს არ უგდებენ ფილოქსერის კომიტეტის მოქმედებას ისინი, ვისიც პირ-და-პირ მოვალეობას ეს საგანი უნდა შეადგენდეს“. (დროება, N259, 1884 წელი);

ეტნოგრაფიული წერილები
აფხაზეთი
(წერილი მეორე)

საზოგადოდ მებატონეთათვის ყმანი საჭირონი არიან მომეტებულის განძლიერებისათვის მათის შემძლებლობისა და შემწედ გაჭირების დღეს. არა იშვიათად - აფხაზეთის თავადნი, მათის გავლენის განსავრცელებლად საზღვარს გარეთ მათთა სამფლობელთა, მისცემდენ ხოლმე თავიანთ შვილთა აღსაზრდელად, მაგალითებრ, სამურზაყანოში, სამეგრელოში, გურიაში და იმერეთშიაც, რომ იქაც ჰყოლოდათ ერთგულნი კაცნი და მიეღოთ შემწეობა თავიანთ უკიდურესს მდგომარეობაში მდაბალი წოდებაც, რასაკვირველია, მოხარული იყო, ნათესაობა ჩამოეგდო თავადებთან და მათ შორის მოეპოვა შემწენი და მფარველნი. არა თუ ძველ დროში, არამედ დღესაც მთელი სახლეულობა, მთელი სოფელი, როდესაც მოისურვებს მტკიცე ფიცი მიიღოს დასარწმუნებელად რომლისამე გარემოებისა, მოიხსენებს თავის გაზრდილის სახელს შემდეგის სიტყვით: ვიფიცავ ბატონსა, ანუ ვიფიცავ იმის ძესა, ანუ ასულსა, რომ მართალს ვამბობ. ამგვარადვე ფიცულობენ იგინი თითქმის ყოველთვის. გაზრდილნიც განსაკუთრებულის სიყვარულით ეკიდებიან თავიანთ გამზრდელთა, იმათ ქმართა და შვილთა; ეკიდებიან ისე, როგორც თავიანთ დედ-მამას და და-ძმას. მათის გულისათვის იგინი მზად არიან შესწირონ თვით თავიანთი სიცოცხლეც და სამაგიეროდ არა თუ გამზრდელი, არამედ მთელი სოფელი მარადის მზადაა შეეწიოს თავის გაზრდილს ფულითა და ქონებით. გამზრდელნი ირჩევენ კატორგაში წასვლას, ვიდრე იმას, რომ თავიანთ გაზრდილი მთავრობას მისცენ რომლისამე დანაშაულობისათვის და დარწმუნებითაც იციან, რომ გაზრდილი მათი ოდესმე უეჭველად ამ სიკეთეს გარდაუხდის მათ. შემდგომ გარდაცვალების უკანასკნელის აფხაზეთის მთავრის, უგანათლებულესის თავადის მიხეილ გიორგის-ძის შარვაშიძისა (რომელიც აგრეთვე ითვლებოდა გაზრდილად ჩერქეზთა, უბიხთა და ჯიქთა, რომელნიც ყოველს ჟამს ეწეოდენ და წარმოუდგენდენ მას რჩეულთა სპათა უკუ-საქცეველად მტერთა) და შემდგომ ყმების განთავისუფლებისა აფხაზეთში, ამ გვარმა ჩვეულებამ მიიღო სხვა გვარი მიმართულება. აფხაზები ეხლა მიმართავენ ხოლმე ძლიერთა პირთა თავიანთის ინტერესის დასაცველად, და ამის გამო ევედრებიან სასულიერო წოდების, ადმინისტრაციის, ანუ სამსაჯულო უფლების წარმომადგენელთა, რათა მისცენ მათ თავიანთ შვილნი აღსაზრდელად. ზოგიერთნი აფხაზნი, მაგ., იღებენ მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას, მხოლოდ მათის პირადის ინტერესისათვის. ავიღოთ აფხაზთა ზნე-ჩვეულების გამოსახატად, თვით წესი დიდებულის შვილის აღზრდისა: აი, იგრძნო დიდებულის ცოლმა, რომ მოახლოვდა ჟამი შვილის ყოლისა. აფხაზეთის დედაკაცები იმოდენად შორს-გამჭვრეტელნი არიან, რომ წინ-და-წინვე აჩვენებენ არა თუ დღესა, არამედ საათსაც შობისას. ავადმყოფს გარშემო შემოეხვევიან ერთის მხრით ნათესავნი, ნაცნობნი და უმახლობელნი მეზობლის ქალები, ხოლო მეორეს მხრით დანიშნული გამზრდელი, რომელსაც თან ახლავან ქმარი და ნათესავენი, რომ პატიოსნებით გამოჩნდენ სოფელში და გზაზედაც ვნება არა შეამთხვიონ რა ახლად შობილს. ამ შემთხვევის დროს მონაწილეობას იღებენ სოფლის ყმაწვილი ქალები, რომელთაც იციან სამხიარულო სიმღერა და არაკ-ზღაპრების მოთხრობა. ისინი ღამით ამხიარულებენ და შეაქცევენ ავადმყოფს ქალს უძილობის დროს. ქმარი წავა შორს სოფელს, თუმცა კი ჰსურს დაესწროს თავის ცოლის შეწუხების დროს. ამ ქვეყნის ჩვეულებისამებრ, ის ვერ გამოჩნდება თავის სახლში, ვიდრე სრულიად არ მორჩება მისი მეუღლე. შობის დროს მშობიარე ქალი ეჭიდება თოკს, ჭერზე ჩამოკიდებულს და ისე ძლიერ ეწევა, რომ ხშირად მოხდება თოკი მოსწყვიტოს ლურსმანს, და ანუ თვით აიწევა საწოლიდგან, რომ მით შეიმსუბუქოს გარდამეტებული ტკივილი. ამისთანა მდგომარეობაში იგი ცდილობს არ აიმაღლოს ხმა იმ ზომამდე, რომ გააგონოს მამამთილს, ანუ დედამთილსა. უნდა იტვირთოს თავისი მწუხარება და ტკივილი; წინააღმდეგს შემთხვევაში იგი სამუდამოდ აიყრის პატივსა. დასასრულ, სიხარულის ხმა გაისმება: დიდებულის ცოლმა შვა ასული მაგრამ ქალის დედა უმეტესად

ღირსებასა და პატივს მოიპოებდა თავის ქმრისა და მონათესავეებისაგან, თუ რომ ვაჟი ეშვა. მაინც იგი არა ჰკარგავს საზოგადო პატივისცემას, მისთვის რომ არა აქვთ საფუძველი, რაცხდენ მას უნაყოფოდ და რაოდენიმე ხნის შემდეგ იმედი აქვთ მემკვიდრის დაბადებისა. მიიჭრებიან გამზრდელი და მისნი მონათესავენი და წაიყვანენ თავიანთთან ახლად შობილს ქალი-შვილს. მაშინ მოისწრაფიან ქალის მონათესავენი და ულოცავენ მშვიდობით განთავისუფლებას; იგი მოხარულია, მით უფრო, რომ არ შეხვდება ყრმის აღზრდა, და მით დაიცავს ყმაწვილობის მშვენიერებასა და სიტურფესა. ზოგი მშობიარეთაგანი ლოგინიდგან მეშვიდე ან მეხუთე დღეს ადგება; სხვანი ოცდა-მეათესა ან მეორმოცე დღეს და რაც უფრო ადრე დაუტევებს თავის ქვეშ-საგებელს, იმდენად უმეტესად გაითქმის მისი სახელი და მოიპოვებს საზოგადო ქებას. რამდენიმე ხნის შემდეგ მოვა იმისი ქმარი და მიულოცავს თავის ცოლს მშვიდობით განთავისუფლებას ტვირთისაგან. გამზრდელი კი როდესაც შეახვევს ყრმასა, წავა თავის სახლში თავისის ძვირფასის ტვირთით თავის მონათესავეებთან ერთად. მას დიდი ხანია ელოდება მთელი სოფელი. შემდგომ დაბანვისა, პაწია ქალს შეახვევენ ძვირფასს სამოსელში და ჩააწვენენ მდიდრად შემკულს ოთხ-ფეხზედ დადგმულს აკვანში. თავზედ ხელსახოცს მოახვევენ, თავქვეშ დაუდებენ ბალიშს, ტანზედ საბანს გადაახურვენ და აკვანზედ, გულის პირ-და-პირ, ჩამოუკიდებენ მშვენიერს კრიალოსანს, ანუ ვერცხლის მანიაკს ყრმის შესაქცევად, რომ თავის დროზედ არაჩხუნებდეს თავის პაწაწინა თითებით, ყოველ დღე აბანებენ მას. თუ როდისმე კანი გაუწითლდა, მაშინათვე მურყნის დაძველებული ფიცრის ფუტუროს აიღებენ, მოაყრიან და მით მოუსპობენ სიწითლეს. ყრმა იზრდება განსაკუთრებით დედა-კაცის რძით. ძროხის რძეს ძლიერ იშვიათად ხმარობენ, რადგან დედა-კაცის რძე ყოველთვის საშოვარია. მოხდება ხოლმე, რომ კარგად-მყოფი, რომელსაც უხვადა ჰქონდა რძე, უცბად გრძნობს რძის შემცირებას და ზოგჯერ სრულიადაც დაჰკარგავს; მაშინადვე მოუწოდებს დედა-კაცებს, შედგება მათგან რჩევა, რომელიც დაამტკიცებს, რომ გამზრდელისათვის გზაზედ თვალი უკრავთ. ამ გვარის განჩინების გამო გამზრდელებს სასოწარკვეთილება არ ეწევათ ხოლმე. ერთს წამში შემოიკრიბებიან რაოდენიმე მეშუღლენი, რომელთაც წადილი აქვთ ყრმის აღზრდისა, რადგანაც კარგად იციან, რომ იგინიც თავიანთ ქმრებითა და ნათესავებით ყრმის მშობლებთან ნათესაობას დაამკვიდრებენ და სრული უფლება ექმნებათ ისარგებლონ მათის საჩუქრებითა, ყურადღებითა და საფარველით. ზოგჯერ მოხდება, რომ ერთს ყმაწვილს ჰყავს ხუთი ანუ ექვსი ძიძა. როდესაც მიუახლოვდებით ძიძის სახლსა, დაინახავთ, რომ მთელი სახლ-კარობა შემოფარდულია წნელით. შუა გულზედ აღმართულია მოღობილი სახლი, ხოლო მოშორებით სამი კიდევ მოღობილი სარაია. ეზოს გარეთ ჰსძოვენ ცხვრები, ვერძნი, თხები, კამბეჩები და სხვანი. თითქმის მთელი სოფელი მოისწრაფის თქვენდა მოსაგებებლად, ჩამოგსვამენ ცხენებით და ძიძას მიულოცვენ საქმის კეთილად დასრულებასა. მოგებების დროს მამა-კაცნი ხელს არ ჩამოგართმევენ და არც ქუდს მოიხდიან, არამედ, ასწევენ ხელსა, სამ თითს შეჯგუფვენ: ცერსა, მაჩვენებელ თითს და შუა თითს და გიკითხვენ ჩვეულებრივ „საღამო მშვიდობისა! მობძანდით, წყალობას გთხოვთ“. სტუმარნი ეგრეთვე სამს თითს ასწევენ და უპასუხებენ: ჯგუფად „მშვიდობა თქვენდა“. ამასთანავე უნდა ვსთქვათ, რომ სტუმართ-მოყვარეობა აფხაზთა ისე გავრცელებულია, რომ სტუმარი მათ შორის ითვლება საღმრთო პირად და ყოველს ჟამს სასურველია, მათ შორის დაწესებულ ჩვეულებისამებრ, სტუმარი არა ჰკითხავს სახლის პატრონსა — მიიღებენ მას თუ არა. თუ სახლის პატრონი შინ არ არის, კმარა რომ მოხსნას უნაგირი თავის ცხენს და კედელზედ ჩამოჰკიდოს. ამის შემდეგ იგი შინაური შეიქმნება და თუნდა კაცი არ იყოს შინ, დედაკაცები შესაფერ პატივისცემას არ დაიშურებენ. დერეფანი სახლისა, რომელშიაც თქვენ შეხვალთ, წარმოადგენს სასტუმროს, რჩევის ოთახს და ხშირად დარბაზსაც. /კოწია მაჭავარიანი/. (შემდეგი იქნება). (დროება, N275, 1884 წელი);

ეტნოგრაფიული წერილები
აფხაზეთი
(წერილი მესამე*)

დერეფნის გვერდებ-გასწვრივ დაწყობილნი არიან ფიცრები ტახტებად, რომელნიც მსახურებენ როგორც სტუმართ, ისე მასპინძელთ. თვითონ სახლი, აშენებული წნელის ღობით და ჩალით, ანუ გვიმრით დახურული, შედგება ერთის ანუ ორის განყოფილებისაგან, სახლის პატრონის შეძლებისამებრ. პირველს განყოფილებაში კედლის გვერდებზედვე მომართულნი არიან ფიცრული ტახტები ზამთარში სტუმართათვის და აგრეთვე სახლის უფროსისა და მისის მეუღლისათვის. თქვენ გაგაკვირვებთ ერთს კუთხეში ტახტზედ სიმრავლე ქვეშაგებისა; ლეიბები და ბალიშები უმეტესად გადაკრულნი არიან სამოგვით, რომელსაც აკეთებენ თვით სახლის უფროსი ქალი თავისის ქალიშვილების დახმარებით ზაფხულში ეს ქვეშაგები ფრიად სასიამოვნოა; ზამთარში სტუმართათვის გარდააფენენ თეთრს ზეწრებს. სხვა საგებელიც მეტად სუფთა აქვთ და ვერ იპოვით იმისთანა ღარიბ კაცს აფხაზეთში, რომელიც არა ზრუნავენ ქვეშსაგების სიწმინდისათვის. იატაკი მიწისაა, მაგრამ ყოველთვის წმინდად შენახული. დღეში რამდენჯერმე წყლითა რწყავენ. იატაკის შუა ცოტა ჩაღრმავებული ადგილია, სადაც ზამთარში ცეცხლს ანთებენ და ჰსთბებიან სტუმარ-მასპინძელნი. ამ ჩაღრმავებულის ადგილის ზევით ჩამოკიდებულია ქვაბები სიმინდის, ღომის და ხორცის მოსახარშად. ჩამოსაკიდად ხმარობენ გრძელს მარგილის მსგავსს ჯობს, რომლის თავი გასაყარ კოჭზედ არის მიკრული, ხოლო ბოლო მოკაუჭებულია ქვაბების ჩამოსაკიდად. ამ ჯოხს მთელს სიგრძეზედ ღრმა დაჭდეულები აქვს რომ ხარშვის დროს ქვაბები მაღლა ასწიონ ან ძირს დაუშვან. ჭერი არა აქვს სახლსა. მოჩანან მხოლოდ ლართხები, ან გრძელი გასაყრები, რომელზედაც ლართხები მიუკრავთ, გასაკვირველი არ არის, რომ ამისთანა სახლში კომლი დადგეს, თუმცა წნელში ურიცხვი ვინტილიატორებია.

მეორე განყოფილებაში ნახავთ იმ გვარსავე ფიცრის ტახტებს, იმ გვარსავე ლოგინებს მასპინძლის შვილებისათვის. ამ გვარნი სახლნი მოწყობილნი არიან უფრო საზაფხულო სადგომებად; ზამთარში გარეშემო გვიმრას აკვრენ სიცივის დასაჭერად არც ცხელი ზაფხული და არც სასტიკი ზამთარი არავითარ ვნებას არ აძლევს პაწაწა ბავშვებს, რომელნიც თითქმის შიშველნი მალხაზად დახტიან. იშვიათად, თუ იცის ვინმე მათგანმა, რას ჰქვიან გაცივება?

როდესაც აფხაზს სტუმარი მიუვა, ვიდრე დალაგდებოდენ, იწყებენ სხვა-და-სხვა ცერემონიებს. არც სტუმრები და არც მასპინძლები არ დასხდებიან ერთი მეორის უმალ, დიდ ხანს ეთავაზებიან და ეპატიჟებიან ერთი მეორეს დაჯდომას, და ბოლოს რომელიმე მოხუცებული გაბედავს მაგალითის ჩვენებისა. თვითოეული ნაბიჯი, თვითოეული მოძრაობა აფხაზებისა აუცილებელად გამოიწვევს მრავალჯერ თხოვნასა, თავის დაკვრასა, ხელის აწევასა და დაშვებასა. დედა-კაცები იმ დრომდის არ გამოვლენ, ვიდრე არ გასინჯვენ სტუმრებს ფაცხის ჯუჯუტანებიდგან.

სტუმარნი არ მოსთხოვენ მასპინძელს მდიდრულს სანოვაგეს; საკმაოდ მიაჩნიათ მაწონი, ყველი, სიმინდის ღომი და იშვიათად ღვინო, ან ხანდისხან ხორცი. მაგრამ როდესაც უცხო ქვეყნიდგან ეწვევიან ჩერქეზები, მეგრელები, ანუ ადმინისტრაციის წარმომადგენელნი, მაშინ მასპინძელი ხმარობს მთელს თავის ღონის ძიებას, რომ არ შეცხვეს, მიწასთან არ გასწორდეს და კარგად დახვდეს. თუ აკლია, მაშინ მეზობელნი მოუტანენ სხვა-და-სხვა სასმელ-საჭმელს. ამ გვარი დავალება არავის არ დაამძიმებს, რადგან თვითოეულს იმათგანს აქვს სახეში სამაგიერო შემწეობის მიღება, როდესაც მასაც სტუმრები ეწვევიან. ვინიცობაა მოხდა აფხაზს სტუმრები ღამით ეწვივნენ და მასპინძელს არა შეხვდარა და ვერც სამეზობლოდ საიდანმე ხელი გაიმართა, მაშინ ან თვით მასპინძელი, ანუ მისი შვილი, მსწრაფლმსრბოლის ქურციკის მსგავსად გაექანება მახლობელს სოფელში და სწრაფად

მოიტანს ყოველსავე საჭირო სანოვაგს. ვინიცობაა იქაც ვერა იშოვნარა, რაც ძლიერ იშვიათად მოხდება, მაშინ-კი მარჯვე ქურდობასაც არ დაერიდება.

სტუმარს აფხაზნი წინ დაუდგამენ გრძელს ფიცრის სუფრას: პირველად შეუდგებათ ერთი დიდი ცერემონია, რომელი და სად უნდა პირველად დაჯდეს; შემდგომ მოართმევენ წყალს ხელის დასაბანად. ერთს უჭირავს ტაშტი, მეორეს დოქი, ხოლო მესამეს ხელსახოცი. ხელსახოცის მიტანა ყოველთვის შეხვდება ერთს რომელსამე უმშვენიერესს მასპინძელს ქალთაგანს, რომელიცა ყველას მდაბლად თავს დაუკრავს და წავა თავის სადგომში. აქ სხვა განზრახვაა, სახელდობრ ის, რომ სტუმართა ნახონ მასპინძლის ქალიშვილი და შეიტყონ მისი სიმშვენიერე და სიტურფე. შემდგომ ყველა საჭმელებს სუფრაზედ ერთად დააწყობენ და შეუდგებიან სადილს ანუ ვახშამს. მასპინძელი და მისნი მონათესავენი ერთობით თავზედ ადგანან და გულს-მოდგინედ ისმენენ სტუმართ საუბარს და ვერცა რა-ვინ გაბედავს სიტყვის ჩამორთმევას, რაც უნდა სიცრუეს ლაპარაკობდეს. ამას ზდილობა მოითხოვს და სტუმართა პატივის ცემა. შემდგომ რამოდენიმე ხნისა გამოვა მასპინძელი ქალი და თავ-მდაბლად თავის დაკვრით მოკითხვას მოახსენებენ. საღმრთო ვალია თვითოეულის აფხაზისა ყოველის ახალ პირის ნახვის დროს და განსაკუთრებით დედა-კაცისა, წამოდგეს და მშვიდობისა და სიმრთელის ამბავი ჰკითხოს. როდესაც მასპინძელი ქალი გამოვა, მაშინ მასპინძელი კაციც დაჯდება საზოგადო სუფრაზედ.

შემდგომ სადილის გათავებისა, ხელახლად მოართმევენ წყალსა ხელის დასაბანად და პირის გამოსარეცხად; მერმე მასპინძლის ცოლი ალერსიანად ჰსთხოვს სტუმრებს მცირედ მოსვენებასა. მაგრამ მოძრავი ბუნება აფხაზისა ვერ ითმენს ხანგრძლივს მოსვენებას. იგი მადლობას შესწირავს მასპინძელს და მსწრაფლ წავა თავის გზაზედ, ანუ რაიმე საქმეს შეუდგება. როდესაც სტუმარი წასვლას დააპირებს და ცხენზედ შეჯდომას შეუდგება, მისცვივიან მასპინძელი და მონათესავენი მისნი, დაუჭერენ აბჟანდას რომ უფრო ადვილად შეჯდეს ცხენზედ. აქ კიდევ დაიწყება თავაზა და უარის თქმა; მასპინძელი თითქმის ძალით ჰსცდილობს აბჟანდის დაჭერას; სტუმარნიც თითქო უარობენ ამ სამსახურს, მაგრამ შეჯდომის დროს არა ჰსჩქარობენ და მალვით იხედებიან, მოდიან თუ არა აბჟანდის დასაჭერადაო. წასვლის დროს თვითოეული სტუმარი ცდილობს აჩვენოს თვისი სიმარჯვე ცხენზედ ჯდომაში: პირველად იგი გააჭენებს ცხენს, მერე უცბად შეაყენებს და ისე უცბადვე შეახტუნებს მაღლა, რომ გლახა ცხენოსანი ვერც-კი შემაგრდება. ამისთანა ვარჯიშობის დროს იგი ცდილობს მათრახი მარჯვედ შემოჰკრას გვერდებზედ ცხენს და აჩვენოს თვისი გამოცდილება ძლიერის ხმოვანების გამოცემით. თუ სტუმარმა ეს ყველაფერი კარგად მოახერხა, მაშინ ერთიასად დაფასდება იგი მასპინძლის თვალში, და მასპინძლის ქალსაც მოეწონება მისი ვაჟ-კაცობა და სიმარჯვე.

თუ სტუმრები ღამით დარჩნენ, მაშინ ვახშმის შემდგომ, მასპინძლის ქალი მოართმევს წყალსა და ტაშტსა და დაბანს ყველას ფეხთა. გარდა ამისა, აჰყრის სტუმრებს ხმლებსა და სატევრებს, გაჰხდის ჩოხას, ახალუხს, შარვალს, წუღებს და დაუწყობს გვერდზედ. მოჰხდება ხან-დის-ხან, რომ ფეხთ დაბანის დროს, რომელსამე ყმაწვალ სტუმართაგანს მოეწონოს მშვენიერება და სიმარჯვე მასპინძლის ქალიშვილისა. მაშინ გამოუცხადებს იგი გულითადს თავის სურვილსა, მაგრამ ამ გვარს შემთხვევაში არასოდეს არ მისცემს თავის თავს ნებას წარმოსთქვას რაიმე უკადრისი სიტყვა ქალის წინაშე.

გლეხ-კაცთა წოდებაში აფხაზნი ადრე იძინებდნენ და ადრევე ადგებიან ხოლმე; შემდგომ მსწრაფლად ისაუზმებენ, რასაც ღმერთი მისცემს და მიდიან თავიანთ საქმეზედ. საღამომდის ხშირად საჭმელს არ მიიღებენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გრძელი გზა წინ უძევთ, ან სასამართლოში უნდა გამოცხადდენ. აფხაზს უფრო ის სწადიან, ახალი ამბები შეიტყოს საღამოზე საამბობლად და თავის კუჭის დაკმაყოფილებისათვის არა

ზრუნავს. ხუთის წლის შემდეგ ყმაწვილნი აძოვებენ პირუტყვთა, რვა წლიდგან სწავლობენ იარაღის ხმარებასა და ცხენზედ ჯდომასა, ხოლო ათის წლიდგან გამოდიან საზოგადოების მოქმედების ასპარეზზე.

გლახაკი და მთხოვარი არ იპოება აფხაზეთში. თუ გლეხს აფხაზს ბევრი ვაჟი-შვილი ჰყავს, მაშინ ერთი მათგანი რჩება სახლში, მეორე განუშორებლად დასდევს და მწყსის ცხვარსა, ზაფხულში მთაში წაასხავს, და ზამთარში ჰკრეჭს, არჩევს კრავებს და თიკნებსა და ეზიდება რძესა და ყველსა. ხოლო მესამე, თუ იგი სიმარჯვით განსხვავდება, შეუდგება იმ პირს, რომელიცა სოფელში თვისის ვაჟკაცობით, ტაციობით და სხვა ამ გვარი თვისებებით გათქმულია. ამისთანა ვაჟკაცთან იკრიბებიან ყმაწვილნი კაცნი და რამდენსამე წელიწადში ასრულებენ თავიანთ სწავლას, რომელიც მიმართულია განსაკუთრებით წინააღმდეგ სხვის საკუთრებისა. როდესაც დედას წამოეზდება ვაჟიშვილი, მისცემს ხოლმე მას იარაღს და აკურთხებს შემდეგი სიტყვებით: „უფალმა სიმრთელე მოგცეს და წარმატება ყოველს გვარს ქურდობაში, ეცადე დაიმსახურო პატივისდება შენი სოფლის მცხოვრებთაგან და ნუ დამივიწყებ ნურც მე და ნურცა მონათესავეთა შენთა, როდესაც ბედნიერად და წარმატებით წავიდეს შენი საქმე ღამით მსვლელობის დროს“. /კოწია მაჭავარიანი/. (შემდეგი იქნება). (დროება, N276, 1884 წელი);

1885 წელი

გაზეთი ,,დროება''

«დროების» ტელტონი, იანვრ. 12-ს.
ეტნოგრაფიული წერილები
აფხაზეთი
(წერილი მეოთხე*)

ძლიერ ბევრს დროს ჰკარგვენ აფხაზნი სასამართლო ადგილებში რომლისამე საქმის მსვლელობის გულსმოდგინედ მოსასმენლად. რადგანაც მათ მუდამ ხვდებათ პასუხისგება რომლისამე დანაშაულობისათვის, ამისათვის ჰსცდილობენ ზედმიწევნით გაიგონ შინაარსი სასამართლოს მოქმედებისა და წესდებულებისა. მალე შეიტყობენ ხოლმე, რომელი მუხლი სამართალისა უფრო სასარგებლო იქნება მათთვის და, იმის თანახმად, ჰსცდილობენ გაიმართლონ თავი ბრალდებისაგან ისე, რომ კანონმა ვერ შეიძლოს მათი გამტყუნება.. დავიწყოთ ისევ ჩვენს თავ-და-პირველს საგანზედ ლაპარაკი ისევ ძიძაზე განვაგრძოთ ბაასი. რა მდგომარეობაშია ნორჩი კეთილშობილი? მას სახელად უწოდეს „ესმა-ხანუმ“. იგი იზრდება და წარმატებას ეძლევა ყოველს გვარს აფხაზურს სათნოებაში. ძიძა ყოველის ღონის-ძიებით სცდილობს, რომ მისი გაზრდილი შეესაბამებოდეს ზრდილობის იდეალსა, რომელიც აფხაზთ საზრუნავ საგნად აქვთ წარმოდგენილი. ეს იდეალი დედაკაცისათვის მოითხოვს, რომ მან იცოდეს, თუ ვითარ ტყვე-ჰყოს მხილველნი თვისის შვენიერებითა, ტანის მიმორხევითა და სატრფიალო სიმარჯვითა, ხოლო ვაჟთათვის იდეალის მისაწდომელად საჭიროა: წამოსადეგი ტანადობა, ენერგია, მახვილგონიერება, სიტყვა-პასუხში წრთვნილობა და მარჯვედ სიტყვის მოგება და სიმამაცე. აი, ამისათვის ჩვენი პატივცემული ძიძა ხმარობს ყოველს შესაძლებელი ღონისძიებასა, რომ პატარა ,,ესმა-ხანუმს“ ჰქონდეს პაწაწინა ფეხები, წერწეტი და წვრილი ტანადობა, არა-ამაღლებული მკერდი, შავნი წვრილნი წარბნი, მაღალი და გამოჩენილი შუბლი, გრძელნი ნათხზნი თმანი, ცხვირი სწორი, საღი ფერი პირის სახისა,

გრძელი თითები და სატრფო მიმორხევა, შეზავებული სიმარჯვითა. გარდა ამისა, თავადის ქალმა (უნდა იცოდეს სხვა და სხვა ხელ-საქმე. მან უნდა ისწავლოს ციშების (დო შაკი) გაკეთება, საჩოხე და საყაბალახო შალების მომზადება, ჰრთვა ძაფებისა საცვალთათვის, კერვა სამოგვის წუღებისა, კერვა საცვალთა ზედა საცმელისა და ქარგვა სხვა-და-სხვა გვარის ტანსაცმელთა და ღებვა. შესწავლა ამ ხელთსაქმის მას პირველად შეუძლიან თავის ძიძასთან, შემდგომ თავის მშობლებთან, სადაცა ახლავს ქალს თავისი ძიძის ქალი, რომელიც იმყოფება მასთან მეგობრის მსგავსად, თუმცაღა იგი არის გლეხის წოდების შთამამავალთაგანი. მხოლოდ, როდესაც გათხოვდება თავადის ქალი მაშინ შეუძლიან წავიდეს მოხსენებული მეგობარი თავის დედასთან, მაგრამ მუნ არა ჰკარგავს სიყვარულსა და განწყობილებასა თავის გაზრდილს დასთან თვით სიკვდილის დღემდე. ყრმა იზრდება ძიძის რძითა ვიდრე 3, 5, და 7 წლამდე. სოხუმის სახელმწიფო სკოლაში არიან იმისთანა მოწაფენი, რომელთაც კარგად ახსოვთ ის დრო, როცა ძიძის ძუძუ უწოვნიათ, ძიძა არაოდეს არ იღებს განწესებულს საფასეს ყრმის აღზრდისათვის და, კმაყოფილდება მხოლოდ მით, რასაც თავიანთ კეთილის ნებით მისცემენ საჩუქრად გაზრდილის მშობელნი. მესამე წელს ჩვენს ძიძას მიჰყავს ესმა-ხანუმი თავის მშობლებთან. ჩვეულებისამებრ, საჭიროა მშობელნი თავის თვალით დარწმუნდენ რომ ყრმა ჯან-მრთელია და კარგად მოვლილი. წინააღმდეგ, შემთხვევაში ძიძა მხოლოდ რისხვას დაიმსახურებს მშობლებისაგან. ინტერესი ყრმისა იმდენად წმინდაა და ძვირფასი ძიძისათვის, რომ ზრდის დროს მეუღლეობითი კავშირი აღარ აქვს ქმართან, რადგანაც იცის, რომ ორსულობის გამო მისი რძე მავნებელი შეიქნება გაზრდილისათვის. ქმარსაც მტკიცედ და წმინდად დაცული აქვს ეს ჩვეულება. პირველად ქალის მშობლებთან მიყვანის დროს ძიძა მიდის თავადის შვილის წოდებისათვის შესაფერის ძღვნითა. მას მიჰყვება ათი-თხუთმეტი კაცი, მისი მონათესავეთაგან. მშობელნი, როდესაც დარწმუნდებიან რომ მათი ბავშვი, ჯანმრთელია, მადლობას ეტყვიან ძიძას, დაასაჩუქრებენ მას და მხლებელთა მისთა სხვა და სხვა საჩუქრებითა. ამბობენ, რომ ოჩამჩირის მაზრის მცხოვრებმა თავადმა თადა ანჩაბაძემ მისცა თავისი ვაჟიშვილი ტარასხანი გასაზრდელად ერთს ჯიქს, რომელმაც, რამდენიმე წლის გასვლის შემდეგ, მიჰგვარა მამას თვის გაზრდილი ასის შეკმაზულის და ასის შეუკმაზავის ცხენების ძღვნითა. როდესაც ჰკითხა თადა ანჩაბაძემ, რა ჰსურს მიიღოს გამზრდელმა ყმაწვილის გაზრდის შრომისათვის, უპასუხა ამ გვარად: ამ ,,მიზღევით მე ამათ ყოველთათვის ფულითა“. თავადი ანჩაბაძე თუმცა მდიდარი კაცი იყო, მაგრამ არა ჰქონდა ამდენი ფული და ამისათვის მიმართა მრთელს სოფელს, თავის ნათესავებს და თანა-მოგვარეთა და სთხოვა შემწეობა. მხოლოდ მათის შემწეობით შესძლო მან მადლობის შეწირვა ჯიქისადმი, რომელსაც მისცა დიდი უზარმაზარი დოქი, აღვსილი ვერცხლის მანეთებითა და მასთან დაასაჩუქრა იგინიცა, რომელნიცა ახლდენ მისის შვილის გამზრდელსა. იმის დასამტკიცებლად, რომ ჭაბუკმან ტარასხან ანჩაბაძემ მართლა მიიღო გაბრწყინვებული მთიური აღზრდა, უნდა ვსთქვათ, რომ იგი ამ ჟამად გავარდნილია ყაჩაღად სხვა-და სხვა დანაშაულობისათვის. თითქმის სრული კეთილ-მდგომარეობა აფხაზეთისა დამყარებულია ურთიერთ შორის სამსახურსა და შემწეობაზედ. ვთქვათ, ახალგაზრდა, მაგრამ ღარიბი აფხაზი მოხიბლული შეიქმნა ქალის მშვენიერებით, საბრალოს გამწარებით ჰსურს შეირთოს იგი ცოლად. ამ შემთხვევაში მან მხოლოდ წარმოსთქვას თავისი სურვილი, და უცბად ყოვლის მხრიდგან ეზიდებიან სხვა-და-სხვა გვარს საჩუქრებსა, საჭირო ტანსაცმელის გამოწყობისათვის, ქორწილის გამართვისათვის და სახლ-კარიანობის პირველ მოსაწყობად. ახსოვთ საზოგადოდ ყოველთა მისგან სიამოვნება და ჰსცდილობენ ნაცვალს სიამოვნებასა. სიამოვნება მისგან ის თუ იქნებოდა რომ, როდესაც მორეკდა სამეგრელოდამ, ანუ სხვა ადგილებიდამ ნაპარევსა პირუტყვსა, მაშინ მსწრაფლ დაჰკვლიდა რაოდენსამე იმა პირუტყვთაგანსა და გაუმართავდა ნადიმსა, შეაქცევდა უზომოდ და აჩუქებდა ყველას, ვისაც კი რა გახვდებოდა.

მივუბრუნდეთ კვალად ჩვენს თავადის ქალს. ის შვიდსა და რვა წლამდე რაოდენ გზისმე

მოვიდოდა თავისის ძიძით მშობლებთან. მას მართლა აქვს პაწაწინა ფეხები, მისთვის რომ პირველსავე შობის დღეს შეუკერეს - იმ გვარი სამოგვის წუღები, რომლებშიაც ფეხები მჭიდროდა ჰქონდა და აღარ ეზრდებოდა თავისუფლად, აგრეთვე ტანადობა წვრილი, რადგან ძიძამ შეუკერა მას იმ გვარი ვიწრო ტანისამოსი, რომელიც უძლიერესად უჭერს ტანსა, ვიდრე კორსეტი განათლებულ დედაკაცთა. ქალი უკვე ათის წლისაა და იგი გადადის თავის მშობლების სახლში, სადაც ამთავრებენ მის აღზრდას. იგი არაოდეს არ აცხრობს სიყვარულსა თავის ძიძისადმი და არა უშლის რა მას ნახვასა მისსა თითქმის ყოველ დღე. თავის ურვასა და სიხარულსა იგი უყოფს თავის ძიძის ქალიშვილსა, რომელიც ყველგან თან დასდევს. ქალს ჰსურს პირი მისი იყოს უსპეტაკეს თოვლისა, წარბები უშავეს მელნისა, წელი მისი გაეტიოს ოქროს ბეჭედში. ამ ჰასაკში ქალი იწყობს პრანჭვასა და კეკლუცობას, რომელიც დედაკაცთ შობისათანავე დაჰყვებათ ხოლმე. მოვისმინოთ მცირედი სანიმუშო საუბარი, რომელიც ხშირად მოხდება ხოლმე ამ გვარის ქალისა და მის მეგობრის შორის: ძვირფასო ესმა ხანუმ! გვსურს,რომ შენ იყო ყველა ქალებზედ უმშვენიერესი? - დიაღ, მსურს, რომ პირის სახე ჩემი იყოს თეთრი. - აბა ისმინე ჩემი, სიხარულო ჩემო! აი, რა უნდა ჰქმნა: მოიღე ვეცხლის წყალი და თავი არაყი, კარგად გადაადუღე ეს ორივე ერთად, დააყენე და მერმე სწმინდე მარილიანის წყლითა იქამომდე, სანამდის წმინდად დალეკილი არ შეიქმნას. ეს უნდა წაისვა პირის სახეზედ და გაგითეთრებს. ხოლო პირის სახის კანი თუ გსურს გქონდეს ლბილი, უნდა ახალი ჭყინტლის სიმინდის მარცვლები დასჭყლიტო, გამოსწურო და იქიდგან გამოსული წვენი უნდა გაუდგა მზესა. აქედგან შედგება სახამებელი და იმას იცხებდე პირზედ ღამით; ჭორფლისაგან ანუ მზისაგან დამწვარის პირის სახის გადასვლისათვის არის უმჯობესი ყოვლისა ტყემალი, რომელიცა უნდა ადუღო და დუღების დროს ქაფი მოხადო, რომელსაც აქვს თვისება სიმჟავისა. ეს ქაფი იცხე პირის სახეზედ; დარწმუნდი, რომ ყოველგვარი ჭორფლი და მზისაგან დამწვრობა გაქრება. მას მადლობელი ვარ, ჩემო საყვარელო! მაგრამ, რა უნდა ვიხმარო, შუბლის სიმაღლისათვის, წარბების სიწვრილისა და სიშავისათვის, ღაწვების სიყირმიზისათვის და მასთან, რომ პირის სახეზედ არა მქონდეს ბუსუსები და ხალები. - შემიძლიან ამაშიაც მოხმარება. მოიღე გუნდა, შესწვი ცოტაოდენად, შემდგომ წმინდად დანაყე და დაყარე პრტყელს ქვაზედ. მერმედ იშოვნე ნაჭერი ტყვიის ზოდისაგან, დაასხი ცოტაოდენი წყალი დაფქვულს გუნდაზედ და იმ ტყვიის ნაჭერით აურიე. შემდგომ ისვი ეს წარბებსა და წამწამებზედ, და ხელი არ ახლო, ისე გქონდეს სანამ ზედ დაახმებოდეს. ერთისა ანუ ორის საათის შემდეგ გადაირეცხე იგინი და ნახავ, თუ როგორ შავს ფისზედ უფრო შავი წარბები და წამწამები გექნას. ხოლო - წარბების სიწვრილისათვის, აი, როგორ უნდა მოიქცე: აიღე კალმის საჭრელი დანა და მისი წვეტით გამოიქენი ბეწვები იმ ზომამდე, სანამდის ხშირი წარბები დაგიწვრილდებოდეს და გრკალის მსგავსად არ შეგექმნეს. გასაქრობელად ბუსუსებისა და ხალისა პირის სახეზედ საშიშარია დანის ხმარება; უმჯობესია აიღო ორი აბრეშუმის ძაფი, შეგრიხო კარგად და მით გამოიქნა ყველა ხალები პირის სახეზედ; ამისაგან წარმოსდგება ორ-გვარი სარგებლობა: პირველად გაგიქრება ხალი და მეორედ, ლოყები ნათობას დაგიწყებენ, როგორც იაგუნდი და ლალი. /კოწია მაჭავარიანი/. (შემდეგი იქნება). *) იხ. „დროება“ № 276, 1884 წ. (დროება, N9, 1885 წელი);

შინაური ქრონიკა

აფხაზეთში გაჩენილან აუარებელი ველური ღორები. განსაკუთრებით ბევრი არისო მაჟარა შერვაშიძის და თ. ცამბაიას მამულებში, გაგრისა და პიცუნდის მიდამოს. ადგილობრივს მცხოვრებს, მაჰმადიან აფხაზს თუ შემთხვევით შეხვდება მოკვლა ამ ნადირისაო, გვწერენ აფხაზეთიდამ, თორემ განსაკუთრებით ამ მხეცისათვის ნადირობას რად გამართავს, რაში უნდა მაჰმადიანს ღორის ხორციო. ამ რიგად ყოველ წლივს საოცრად შენდება ეს ნადირი ჩვენ მხარეში და ვაი, თუ ერთ მშვენიერს დღეს დაგვერიოს მცხოვრებლებს და „დაგვქილოსო“.

კარგა ხანია ცნობილია აფხაზეთი და განსაკუთრებით სოხუმი, ან როგორც ზღვის ნაპირა ადგილი, ძლიერ მარგებელ ქვეყანად ჭლერქიანებისათვის... ჩვენის კორესპონდენტის სიტყვით, ამ ზამთრით ბევრნი ჩასულან გულით ავადმყოფნი სოხუმს და სულ ცოტა ხანში ბედნიერს ბუნებას და ჰავას ამ ქვეყნისას დიდი შეღავათი მიუცია მათთვის. ამ ბუნების წყალობასთან, რომ სხვა რამეც იყოს მომართული ავადმყოფებისათვის, მაგალითად: საბანებელნი და მოთავსებული სადგომები, მაშინ უეჭველია უფრო წარმატებით მიეცემათ შველა სნეულებსაო. (დროება, N10, 1885 წელი);

შინაური ქრონიკა

დაბა ოჩამჩირეში ამას წინად ორჯერ გაუმართავთ ქართული წარმოდგენა იქაური სკოლის სასარგებლოდ. თუმცა წარმოდგენებმა კარგად ჩაიარეს და ფულიც კეთილს საქმეს უნდა მოხმარებოდაო, მაგრამ, ხალხი ძალიან ნაკლებად დასწრებია, მეტადრე ის ხალხი, რომელიც თავის თავს, მაღალ საზოგადოებას ეძახის, ეს მით უფრო საწყენიაო, გვწერენ იქიდამ, რომ საზოგადოების გულ-გრილობამ ხალისი დაუკარგა წარმომადგენელთ, რადგან ესევე ,,მაღალი საზოგადოება“ დიდის სიამოვნებით ესწრება სხვა-და-სხვა ჯამბაზებისა და ,,სკრიპაჩების“ წარმოდგენებსაო. (დროება, N12, 1885 წელი);

ეტნოგრაფიული წერილები
აფხაზეთი

თუ გინდა რომ გქონდეს მაღალი შუბლი, ეუბნება ძიძის ქალი ესმა-ხანუმს, პირველად გამოცდილს ქალს მოაპარსვინე თმა შუბლს ზევით. ერთს გოჯზედ, შემდგომ იშოვნე შავი ყვავი, ორად გასჭერ იგი და არ გააციო, ისე თბილ-თბილად დაიდევ მოპარსულს ადგილზედ; ამის შემდეგ თავის დღეში აღარ ამოგივა თმა ადგილზედ და შუბლი მაღალი გექნება. რავქნა მაშინ, რომ კაცმა გამიგოს? ნუ გეშინიან, სატრფოო ჩემო! ისინიც ხშირად ხმარობენ სხვა-და-სხვა საშუალობათა. მოხუცებულობის ჟამს კაცები იღებავენ თმასა, ულვაშებსა და წვერებსა. მე თვითონ მინახავს ეს და ძლიერ კარგადაც ვიცი მათი საიდუმლოება. - ეგ კარგი, ჩემო ძვირფასო, მაგრამ ახლა მითხარ, როდის წამიყვან ფერხულის თამაშობაზედ? ზეგ წავიდეთ შენს ძიძასთან, და იქიდგან ფერხულის ცეკვაში, მაშ ახლა გავიცნოთ, თუ როგორი ფერხული იციან აფხაზებმა. კვირაობით და უქმე დღეობით იკრიბებიან ყმაწვილები ვაკე მინდორზედ ხშირ-ფოთლებიან ხეების ქვეშ და იქ რომელიმე გამოაცხადებს ბურთის თამაშის დაწყების საათს. პირველად თამაშობას იწყებენ პატარა ბავშვები, შემდგომ შეუერთდებიან მათ დიდებიც. ამ თამაშობაში ქალები არავითარს მონაწილეობას არ ღებულობენ, მხოლოდ უყურებენ, მოსწონთ ყმაწვილ კაცთა სიმკვირცხლე, ძალი, გაბედვით გარდახტომა თხრილზედ. მრავალნი სწავლობენ მაღლა საჭენის სიმაღლეზედ ახტომასა, ანუ გადახტომას რამდენიმე ნაბდის სიგძეზედ.. გარდა ამისა დააყენებენ ხუთს ანუ ათს კაცს ერთად და თავზედ გადაევლებიან. ხშირად მოხდება ნაძლევი სირბილშიაც. შემდგომ ამ გვარის თამაშობისა შესდგება დიდი წრე ყმაწვილთა ვაჟთა და ქალიშვილთა. სიმგრგვლე მეიდნისა შეიცავს სამოცს და ხანდისხან ასს ალაბს, გვერდზედ თვითოეულს ყმაწვილს ვაჟს ამოუდგება გასათხოვარი, ანუ ახალგაზდა გათხოვილი ქალი. ერთი მათგანი ანიშნებს დამღერებით და ერთს თვალის დახამხამებაზედ ყველანი ჩაჰკიდებენ ხელი ხელს და იწყებენ პირველად ხტომას ერთს ადგილს, შემდგომ მარჯვენის მხრით მარცხენისკენ და მარცხენის მხრით მარჯვენისკენ მიმოსვლას ცეკვა ხტომით. ფერხულში მომღერლების ხმაზედ ტრიალობენ. იმღერიან საზოგადოდ ყველანი დადგენილ წესზედ: პირველად დაიწყებს ის კერძო, რომელიც წრის მეოთხედს შეადგენს, შემდგომ მეორე, მესამე და მეოთხე.

ანუ პირველი ნახევარი დაიწყებს და მერმედ მეორე ნახევარი განიმეორებს მასვე, ასე რომ არ უშლიან ერთი მეორეს და არც მოცეკვართა ცეკვას შეაყენებინებენ. ერთის ანუ ორის საათის შემდგომ მოცეკვარნი ორ კერძოდ განიყოფებიან და თვითოეული მათგანი გამოიყვანს თავის მოლექსეს. იგი პირველად ლექსებით გაამხნევებს მუნ მყოფთა, შემდგომ შეეშუღლება ლექსებში თავის მოპირდაპირე მელექსეს, რომელიც მოსულია მეორე სოფლიდამ. სახლში აღზრდილნი მოლექსე აფხაზნი გამოიჩენენ გასაკვირველს ცოდნას გალექსებაში. მთელი დღით შეუძლიანთ ერთი-ერთმანეთთან გაჯიბრება. წინ და წინ თვითოეული მათგანი თავის სოფელს ქებით შეამკობს, შემდგომ აქებს თავის მომხრეებს, ბოლოს მიმართავს თავის მოპირდაპირეს და დაუზოგავად უშვერის ლექსით იხსენიებს, როგორც თვით იმას, ისე მასთან მყოფთა. მოლექსენი თავიანთ ლექსებს ხორეის ანუ დაქტილის ფორმით ამბობენ. პირველად იწყებს სიმღერას ერთი და შემდგომ თვითოეულის ორის ხანისა, განიმეორებენ ყველას მისნი მომხრენი; მოპირდაპირენი მსგავსადვე მიუგებენ. ამ მოლექსეთ შეშუღლების დროს ცეკვა არა თუ შესდგება, არამედ უფრო და უფრო ცხოველდება. გამარჯვებულ მოლექსეს ქება დიდებას უძღვნიან, ჰაერში შეისვრიან და მისი სახელი დიდხანს რჩება დაუვიწყარი. გარდა ფერხულისა აფხაზთ სხვა დროს გატარებაცა აქვთ: ვაჟნი შეიკრიბებიან ერთად, გამოიყვანებენ მომღერალთ, დაუკრავენ ტაშს და ამ დროს შუა მოედანზედ ვაჟი და ქალიშვილი გამოვლენ, ღირსება მათის ცეკვისა სხვა-და-სხვის ხელოვნებაშია და უმთავრესად დაუღალველობაში. ვაჟი ხმარობს ყოველს გვარს მეცადინეობას, დაღალოს მასთან მოცეკვე ქალი და უარი ათქმევინოს ცეკვის განგრძობაზედ. ხანდისხან ქალიშვილი სჯობნის ვაჟს და სამს-ოთხსაც ზედი-ზედ დაღალავს თამაშობით, ამ გვარი მოცეკვე ქალიშვილებისათვის შეადგენენ საქებარი სიმღერითა, და თუნდა უსახურნიც იყვნენ, მაინც ისინი საქმროს ადვილად იშოვიან. ცეკვაში და საზოგადო საერო დღესასწაულობაში ყველანი, წოდებათა განურჩეველად, მონაწილეობას ღებულობენ. აი, ვთქვათ, შუა-წრეში გამოვიდა ჩვენი ესმა-ხანუმიც; ყველანი თავს უკრავენ და უცბად დაუცლიან ადგილს. მოპირ-და-პირეს მხრით გამოვა ყმაწვილი, მაღალი, ტანადი თავადიშვილი, აგრეთვე მშვენიერის სახისა. მათი თვალები შეეყრებიან ერთი-ერთმანეთს. ყველას თავს დაუკრავენ და იწყებენ, აღელვებულად ცეკვას. ყმაწვილ-კაცს სძლია ქალმა, დღესასწაულობს მისი ძიძა გარდამეტებულის სიხარულისაგან ცრემლს აფრქვევს, ქალის მეგობარი, ძიძის შვილი, კიდევ უმეტესს სიხარულშია. ტამზუგ (სახელი ყმაწვილი თავადიშვილისა) დუმილით უთმობს ქალს გამარჯვებას და დუმილითვე წარმოსთქვამს ფიცსა, რომ მოიტაცებს ქალსა და შეერთდება მასთან საუკუნოდ. წინ-დაწინვე ჰფიქრობს ძიძა თავის გაზრდილის ახალს ცხოვრებაზედ, იგი მოვალეა ააჩქაროს მისი აღზრდა. იგი ზრუნავს სიმშვენიერის გარდა, იმაზედაც, რომ მისმა გაზრდილმა შეითვისოს მტკიცე ხასიათი, გამოცდილება საამოდ და მშვენიერად საუბრობისა, და იცოდეს დაკვრა საკრავზედ და სიმღერა. სიმღერას და დაკვრას ჩონგურზედ, ანუ ჭიანურზედ ჰსწავლობენ ყველა აფხაზები განუჩეველად წოდებისა და სქესისა, ხოლო ექვს-ხმიან სალამურზედ უკრავენ საკუთრად მწყემსნი. თავადის ქალისთვის საჭიროა იცოდეს თოფის სროლა და იარაღის ხმარება, რადგან აფხაზები, როდესაც წავლენ საავაზაკოდ ან სატაცებლად, ხშირად სტოვებენ თავიანთ სახლობას ხანგრძლივის ვადით და ამისათვის დედა-კაცს უნდა შეეძლოს თავის თავისა და ოჯახის დაცვა თავ-დასხმის დროს. ზოგჯერ დედაკაცები გაჰყვებიან თავიანთ ქმრებს, როცა ღამით დადიან. ამ გვარ შემთხვევაში ქალისათვის საჭიროა იცოდეს მოხმარება თვით დაუხედნავის გიჟის ცხენისაც. აფხაზეთში ხშირად შეხვდებით მით დედაკაცსა, ყაბალახით თავშეხვეულს, ჩოხა ჩაცმულს და სრულიად დაიარაღებულს. იგი ჰზის გაშმაგებულ ცხენზედ და ძალზედ მიაჭენებს. თან მისდევენ გამორჩეული ცხენოსნები. დიდს მდინარეში ფონში გასვლა, ასი ვერსის სავალის გავლა, მტაცებლობა, ცეცხლის წაკიდება, ტყვედ წაყვანა, და გაჭირებაში ხმლით შეტაკება მტერთან - ესენი ყოველნი მისთვის ჩვეულებრივს საქმეს შეადგენენ. ვინ დაერწმუნება, რომ აფხაზები ერთს ღამეს მორეკდენ ცხენებს იმერეთიდამ, გურიიდამ, სამეგრელოდამ, და მეორე დღეს გამოვიდოდენ საზოგადოებაში იმგვარად, ვითომც მათ

მთელი ღამე შინ, თავიანთ სახლში გაეტარებინათ? თუმცა ეს დაუჯერებელია, მაგრამ ასე ჩადიოდენ და ხანდისხან ეხლაც ჩადიან ამას. თავადის ქალი ესმა-ხანუმ განვითარდა ყველა ზემოხსენებულ საქმეში და შეეძლო თავის თავი ბედნიერად წარმოედგინა, თუ ერთს დღეს არ ეთქვათ მისთვის რომ მისი ძიძის ვაჟი-შვილი უეცრად წყალში დაიხრჩო, ქალი ფეხ-შიშველი მირბის თავის ძიძასთან მასთან ერთად იგლეჯს მდიდარსა და მშვენიერსა თმებსა, იკაწრის ლოყებს ფრჩხილებით და სისხლის ნაკადული მდუღარე ცრემლთან ერთად იღვრება. შემოიკრიბა მთელი სოფელი წყლიდამ დამხრჩვალის გვამის ამოსაღებად; გამოცდილი მცურავების შემწეობით ჰპოვეს იგი და დამარხეს, მაგრამ ეს საკმაო არ არის. უნდა ამოიყვანონ წყლიდამ მისი სულიც. ამისათვის შეიკრიბენ მომღერალნი, მოცეკვენი, მეჭიანურენი და გარდააგდეს მდინარეზედ. აბრეშუმის ზონარი სირმის ყაითნისა, ზონარს აბმენ პატარა გუდას რომლის პირ-გახსნილი ბოლო ოდნად ეხება მდინარის ზედაპირს. აფხაზნი დარწმუნებულნი არიან, რომ ლოცვა, ცეკვა და მუსიკა გავლენას იქონიებს დამხრჩვალის სულზედ და იგი შევა გუდაში. როდესაც გუდა იწყებს ჰაერით გაბერვას, მაშინ მოჰკრავენ პირს, წაიღებენ და სადაც დამარხულია დამხრჩვალი, იქ მოჰხსნიან და ჰაერს ახალს საფლავში ჩაუშვებენ. ამას რომ შეასრულებენ, მშობელნი და მონათესავენი შინ დაბრუნდებიან უფრო მოსვენებულის გულით, რადგანაც დარწმუნდენ, რომ სული პოვნილ იქმნა და თავის გვამს შეუერთდა. პირველ მყოფთა ერთა მზგავსად, აფხაზნი არიან ამაოდ მორწმუნენი, ყოველს ბუნების მოვლინებაში იგინი ხედვენ რაღასაც საიდუმლოს და ბუნებაზედ აღმატებულს ძალას, წმინდასა, ანუ არაწმინდასა. მაგალითებრ: იმათ ცხოვრებაში დიდს როლს თამაშობს კუდიანი. ღრმად მოხუცებულს დედაკაცს აფხაზეთში კუდიანს უწოდებენ, მაგრამ კუდიანობასავე ხანდისხან სწამებენ ქმრიან ყმაწვილ ქალებსაც, განსაკუთრებით გლეხთა წოდებისას. /კოწია მაჭავარიანი/. *) იხილე „დროება“ „№ 9. (დროება, N12, 1885 წელი);

შინაური ქრონიკა

სოხუმიდამ გვატყობინებენ, რომ იქაც წითელაა მოდებული, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ ავზნეობს და არც არავინ მოუკლავსო.

იქიდამვე გვატყობინებენ, რომ ძლიერ ბევრნი ესტნი მოსულან ესტლიანდიიდამ აქ დასასახლებლად და ძლიერაც ნანობენ თურმე გარდმოსახლებას. გარდმოსახლების მიზეზად ვიღაც თბილისელ პედაგოგსა სთვლიან, რომელიც თბილისიდამ ესტურ გაზეთებში აფხაზეთის ქებას სწერდა თურმე და აღთქმის ქვეყანაზე უფრო მდიდრადა სთვლიდა მას. ალბად შავის ზღვიდამ შეუხედნია ამ ბატონს აფხაზეთისათვის და ისე დაუწერია თავისი კორესპონდენციები. ჩვენს ქვეყანაში ამბობენ თურმე ესტები, უფრო ბევრს ფულსა ვშოვობდითო. იქ ნაშოვნი ფულიც გზაში დაგვეხარჯა, აქ რაც შემწეობა მოგვცეს, ის აქ შემოგვეჭამა, ციებამაც ლამის ტყავი გაგვაძროს და აღარ ვიცით, რა ექნათო. (დროება, N13, 1885 წელი);

ეტნოგრაფიული წერილები
აფხაზეთი
(წერილი მეექვსე*)

აფხაზები დარწმუნებულნი არიან, რომ კუდიანები შლიან არა თუ მარტო კაცს კაცობისაგან, არამედ პირუტყვთაც; აფხაზების წარმოდგენით, ისინი ღამით განშორდებიან ქმრებსა, რომელთაც დააძინებენ ღრმად შელოცვითა და ნაცრი მიყრით, ჩაიცმენ სამამაკაცო ტანისამოსს და დაიარებიან მოსაპარავად. ანუ შესაჭმელად ჩჩვილი ყრმების ფილტვებისა,

ანუ ძროხის რძის გამოსაწოვად. მრავალი აფხაზები ამტკიცებენ, რომ მათ ესე ყოველი თავიანთ თვალით უნახავთ. თუ პირუტყვის ჭირი გახშირდა ამ უბედურობასაც კუდიანებს აბრალებენ და გამოსაცდელად ჩაჰყრიან წყალში. თუ წყალმა ჩასძირა იგინი, მაშინ მართალნი აღმოჩნდებიან, და თუ მოიტივტივა, მაშინ ან დახოცვენ, ან დაუდაღავენ თეძოებს გახურებულის რკინით, ბოროტი სულის გასაშორებლად, ან ჩამოჰკიდებენ და რუჯვენ ძლიერის ცეცხლის ალით. აფხაზებს განსაკუთრებით ეშინიანთ კუდიანებისა მარიამობის მარხვაში. მათის გავლენის ასაცილებლად, თმაზედ წმინდა სანთელს მიიწებებენ ისე ატარებენ მთელს მარხვას.

***

გლეხთა სახლ-კარობაში დედა-კაცის პიროვნება მებატონეთაგან იფარვოდა. როდესაც ყმის ცოლი მივიდოდა მებატონესთან და ქმარს უჩივლებდა სასტიკად მოპყრობისათვის, მაშინ მებატონე საქმის გამოუკვლეველად დაიბარებდა ბრალეულს და დასჯიდა შემდგომის სახით: ბრალეულს მთლად გახდიდენ ტანსაცმელს, შიშველს დააწვენდენ ფიცარზედ, მკერდსა და მუცელზედ დაადგამდენ მაწვნით სავსე ჯამებს და ძაღლებს მიუშვებდენ ამ ჯამების სათქვლეფავად.

***

ჩვენ დიდი ხანია, რაც დავტოვეთ ჩვენი მშვენიერი ესმა-ხანუმ. თუ გვახსოვს, მისი სიყვარული ჩაუვარდა თავადს თამშუგს, რომელიც იძლია მისის ცეკვით და გადასწყვიტა ცოლად შერთვა. თამშუგიც უწინ იზრდებოდა ძიძასთან, რომელიც მას ძლიერ უყვარდა; თამშუგს იგი მიაჩნდა მამათაც, დედათაც, ძმათაც, დათაც, მეგობრათაც და მოტრფიალეთაც. თამშუგსაც ყოველთვის გარს ეხვივნენ თავის ძიძის შვილები, რომელნიც ჰსცვიდენ მას და ყოველსა საქმეში მტკიცე მეგობრობას უწევდენ. მათ შორის სრული თანასწორობა იყო; თამშუგს იგინი თავის ძმებად მიაჩნდა, მათთან ჰყოფდა თავის ლხინსაც და მწუხარებასაც. ათის წლისა რომ შეიქმნა, მშვენივრად ხმარობდა იარაღს, იყო კარგი ცხენოსანი, იღებდა ჯილდოს ცხენების ჭენებაში მარულაზედ და მონაწილეობდა მცირე ქურდობაშიაც. ძიძას დიდი სასოება და იმედი ჰქონდა მისი. თორმეტის წლისა რომ შეიქნა თამშუგ, მისცეს იგი მაღალს სასწავლებელში. ამ სასწავლებლის მოთავე იყო მხნე და მამაცი გამოცდილი თავადი, რომელმაც დაიმსახურა დიდი სახელი და შეიძინა გამოცდილება არა მართლა ეხლანდებურ მაღალ სასწავლებელში, არამედ იმით, რომ ყოველთვის ასწავებდა ყმაწვილკაცთა ქურდობას, მტაცებლობას, ავაზაკობას, მთელს სოფელზედ თავდასხმას იმ განზრახვით, რომ უფრო ბევრი ტყვეები წამოასხას და მონებად გარდააქციოს. ამ გვარის ქცევით აფხაზები ემსგავსებოდენ ძველ ხალხთ, რომელნიც ძლეულთა და დამორჩილებულთა მონებად და მოახლეებად აიყვანდენ ხოლმე. აფხაზეთში ითვლებოდენ ხუთნი წოდებანი: პირველს წოდებას ეკუთვნოდენ თავადნი, მეორეს შთამომავლობით აზნაურნი, მესამეს პირადნი აზნაურნი, მეოთხეს ნახევრად თავისუფალნი გლეხნი, ხოლო მეხუთეს ნამდვილნი გლეხნი მიწის მომქმედნი, რომელთაც ძლიერ მძიმე მუშაობა აწვათ თავზედ. აფხაზები ძალიან სცდილობდენ, რომ მეხუთე წოდება შედგენილი ყოფილიყო არა ნამდვილ აფხაზთაგან, არამედ იმ ტყვეთაგან, რომელნიც წამოესხათ დაცემის დროს სამეგრელოდამ, იმერეთიდამ, გურიიდამ და ქართლ-კახეთიდამ. აი, ამით აიხსნება, თუ რისთვის შეხვდებით გლეხთა წოდებაში გვარსა მეგრულსა, იმერულსა, სვანურსა, გურულსა და სხვათა; მაგალითებრ აბაშიძე, მიქელაძე, ახვლედიანი, დადიშკელიანი, ერისთავი და სხვანი. ამ გვარებს იმერეთს, სვანეთს, გურიას და სამეგრელოში თავადიშვილობისა და აზნაურშვილობის ღირსება აქვთ, ხოლო აფხაზეთში მონობის ხარისხზედ იმყოფებიან.

***

თამშუგმა უკვე მიიღო დიპლომი ყოჩაღი ყმაწვილის კაცისა. მისი ვაჟ-კაცობის სახელი

გაითქვა აფხაზეთის ყველა კუთხეებში. მასთან იკრიბებიან რაოდენიმე ყმაწვილნი კაცნი და სთხოვენ მიიღოს იგინი თავის მფარველობის ქვეშ. თამშუგთანვე მრავალნი მოდიან და სთხოვენ მოუძებნოს მოპარული კამბეჩები და ცხენები. განსაცვიფრებელი და შესანიშნავია, რომ აფხაზებს ქურდობაში თავიანთ წესი აქვთ. ერთი შემთხვევა ქურდობისა არ მოხდება ცოლის უცნობელად და შეუტყობინებლად ქურდობის მოთავისა. მოთავენი გარდასცემენ დარიგებას, თუ როგორ, რა და სად მოიპაროს. თუ მათდა უცნობლად ვინმე რამეს მოიპარავს, სრული დარბევა მოელის. როდესაც აფხაზს დაეკარგება რომელიმე პირუტყვთაგანი, მაშინ იგი ნაცვლად მთავრობასთან მისვლისა, მიდის ქურდების მოთავესთან და მიართმევს შესაფერს ძღვენს. მოთავეც იმავე საათში უჩვენებს, თუ სად არის მისი მოპარული პირუტყვი და საქმე ამით მალე დაბოლოვდება. ამ სახით, თუმცა აფხაზი ზარალში შედის, მაგრამ ისევ ამ მცირე ზარალსა რჩევობს მთელი თვეობით სასამართლოში თრევას მისი საქმის გადაწყვეტამდე. ქურდობის მოთავეთა აქვთ განსხვავებული და საოცარი ნიჭი. იგინი ღამითაც კი სცნობენ მოპარულის პირუტყვის კვალსა და იპოვიან მას ძნელად გზა-გასაგნებ ხშირს ტყეშიაც. პოლიციას თავის დღეში არ შეუძლიან: არავითარის ღონისძიებით ამ გვარის საქმის მიხდომა და შესრულება. თამშუგს შეუძლიან ერთს ღამეს შორი ადგილებიდგან მორეკოს ცხენების, ძროხების და ხარების ჯოგი, დაურიგოს იმავე ღამეს თავის მეგობრებს, ანუ გადასცვალოს სხვებზედ და მეორე დღეს ისე მოვიდეს საზოგადოებაში, ვითომც არა რა მოექმედოს. გარდა ამისა, თამშუგ უებრო და ჩინებული მცურავია. იგი უშიშრად გასცურავს რიონს, ენგურს, კოდორს, კაპოეტის წყალს (ბიზიბს) და საუცხოვოდ ხმარობს ნავსა. იგი მეტის-მეტად უხვი და გამცემია. მხოლოდ აფხაზმა წარმოსთქვას: ,,მე ეს ნივთი მომწონს, ანუ ეს ცხენი კარგია“, იგი მაშინათვე დაუთმობს მოწონებულს ნივთს, თუ ცხენს, რაც უნდა ძვირფასი იყოს იგი. ნაცვლად მიიღებს მისგან ძველსა და დაგლეჯილს სამაგიეროს, მაგრამ ესეც იცის, რომ მისი საჩუქარი, ადრე თუ გვიან, უფრო ღირსეულად იქნება გადახდილი. იარაღი თამშუგის დიდად მოსაწონი და ბრწყინვალეა; ცხენი მისი მაღალია, მშვენიერი და ლამაზად აგებული. იგი არის მისი გულითადი და მოუშორებელი მეგობარი. საზოგადოდ აფხაზს ძვირფასად მიაჩნია თავისი იარაღი, ცხენი, ფეხთ-საცმელი, თეთრეულობა, ყაბალახი და ახალუხი. რაც შეეხება ჩოხას, ის მუდამ დაგლეჯილი და დაძონძილია, რადგანაც ეს იმათში განსაკუთრებულ კეკლუცობად ითვლება. ახალს ახალუხზედ დაბებკილი ჩოხა უნდა ეცვას. აფხაზს ისიც დიდ კეკლუცობად მიაჩნია, როდესაც ყაბალახს არ დაიხურავს თავზედ, მხარზედ გადაიგდებს, და თავს მიუშვერს გაცხელებულ მზის შუქსა, წვიმასა და თოვლს. აფხაზების წარმოდგენით, ესმა ხანუმის გაცნობამდის ჩვენმა თამშუგმა კიდევაც ისახელა თავი და განამტკიცა თავის დიდება ,,წყლის დედის“ ძლევით, რომელიც სთხოვდა მას მეუღლეობითს ცხოვრებას თავისთან ერთის წლის განმავალობაში, მაგრამ თამშუგმა უარჰყო მისი წინადადება, და როდესაც ნაწყენი „წყლის დედა“ გაშმაგებულად ეძგერა მას, მაშინ ყმაწვილმა კაცმა დასცა იგი მიწაზედ. უცრად თავიდამ რაოდენიმე თმა მოსწყვიტა და დამალა იმისთანა ადგილს, სადაც მიგნება ყოვლად შეუძლებელია. თმის მოწყვეტამ „წყლის-დედას“ მოაკლო ძალი, ვეღარ შეიძლო მან ვნება თამშუგისა და შემდეგში მონასავით ემსახურებოდა. აფხაზი წარმოიდგენს „წყლის დედას“, ვითომც იგი იყოს ქალი მშვენიერის, მომხიბლავის სახისა, თავზედ უებარი წაბლის ფერის დაწნული თმა ეყაროს და მტრედისფერი ჟუჟუნი თვალები ჰქონდეს. /კოწია მაჭავარიანი/. (გაგრძელება შემდეგ).*) იხილე „დროება“ №12. (დროება, N19, 1885 წელი);

ეტნოგრაფიული წერილები
აფხაზეთი
(წერილი მეშვიდე*)

ძლიერ ხშირად გაიგონებთ აფხაზისაგან ამ გვარის საუბარს: - ოხ! ძმაო, - ეუბნება ერთი

აფხაზი მეორეს: მე მძლია „წყლის დედამ“ და ამიერიდგან თქვენს საზოგადოებას აღარ ვეკუთვნი. - როგორ? ამ დღეებში შევედი ცხენით გაუვლელ და ყრუ ტყეში, სადაც უცბად ერთს დიდს მუხასთან დავინახე დადგმული სტოლი; სტოლზედ იდგა სარკე და სანთელი; მის წინ იჯდა ,,წყლის-დედა“, ეტრფიალებოდა თავის სიკეკლუცესა და ივარცხნიდა გაშლილს მიწამდე ჩაშვებულს თმას. - რა ჰქენ მერე? განა არ შეგეძლო ცხენი მოგებრუნებინა და გამოქცეოდი იმ საშიშ დედაკაცს? - არა, ძმაო, ხელები ჩამომიცვივდენა და დამიდუნდენ, თვალები ვეღარ მოვაშორე ამ გვარს საკვირველს სახილველს. როდესაც შემამჩნია, უეცრივ დაალაგა თმები დაიწყო ჩემსკენ მოახლოება. მაშინ სრულიად დავკარგე გონება. რას გეუბნებოდა იგი? - ერთი სიტყვაც არ უთქვამს, მხოლოდ ასწია მაღლა ათივე თავის თითი და ამით მაჩვენებდა, თანახმა გავუხდები, თუ არა მეუღლეობითს ცხოვრებაზე ათის წლის განმავლობაში. - შენ, რასაკვირველია, უთანხმოებას გამოუცხადებდი? - დიაღ, მე უარისყოფის ნიშნად თავი გავუქნიე, მაგრამ იგი არ დასცხრა და ჩამოდიოდა ათის წლიდამ ცხრამდე, რვამდე და სხვ. დასასრულ, როდესაც მაჩვენა ნეკი, როგორც უკანასკნელი ნიშანი იმისი, თანახმა გავუხდები თუ არა ერთს წელს მაინც მასთან ცხოვრებას, მაშინ ისეთის საშინელი თვალებით შემომხედა, რომ მასვე წამს თანხმობა განვუცხადე... - გლახა საქმეა, ძმაო, გლახა, მაგრამ კიდევ კარგი, რომ დაქორწინებული არა ხარ, თორემ იგი ძალით მოგაძულებდა ცოლს. მაგრამ ან როგორ უნდა ვთქვა უარი „წყლის დედასთან“ ცხოვრებაზედ, როდესაც, აფხაზების წარმოდგენით, იგი აძლევს კაცს საკვირველს ძალსა, მრავალს ფულს, ცხენებს, კამბეჩებს, თხებს, ცხვარსა და იცავს იმ გვარად, რომ თავის დღეში ქურდობაზედ ვერავინ მიასწრობს. უბედურობა მხოლოდ ის არის, რომ შემდგომ ვადის გათავებისა, ,,წყლის დედასთან“ შეუღლებული კაცი ხესავებ ჰხდება და ყოველთადმი სიძულვილსა ჰგრძნობს.

***

ბოლოს თამშუღ ჰფიქრობს თავის გამბედავ ამხანაგებთან ერთად აღასრულოს თვისი მხურვალე და აღტყინებული სურვილი - მოიპაროს თავის სატრფო ესმა-ხანუმ. ამისათვის აღირჩევს ამხანაგებს, ათს საუკეთესო ცხენოსანს და გაექანება თავის მხლებლებითურთ ხშირის ტყით. ისინი ისე მკვირცხლად დაუბრკოლებლივ მიაჭენებენ ცხენებს, თითქო ფართო და შარა გზა ჰქონდეთ წინ. ორი საათის შემდეგ მათ მიაღწიეს დიდს მოედანს, გაშლილს მაღალს ბორცვზედ. აქედგან მოსჩანან, როგორც ხელის გულზედ, ყველა სოფლები, რომელნიც ესმა-ხანუმის მამის საფარველს ქვეშე არიან. ყოველგან ღრმა მყუდროებაა, მხოლოდ იშვიათად მოისმის ტურების კივილი და ძაღლის ყეფა. მთვარე მოცურავს შარავანდედ გარშემოკრული. მისი ნარნარი სინათლე ფანტაზიურს სახეს აძლევს სხვა-და-სხვა საგნებს. თამშუღ სიფრთხილით მიეახლა ესმა ხანუმის სახლს, ნელიად დაურეკა სარკმელი. სარკმელი გაიღო და იქიდამ გამოჰყო თავი მშვენიერმა ქალმა. ერთს წუთს მივარდა თამშუღ, გამოიტაცა იგი, შეახვია თბილს შალში და შესვა გადარეულს ცხენზედ. იგი ახლა თავის ძვირფასის საუნჯით და მოგზაურებითურთ უფრო მკვირცხლად გაექანა შინისაკენ, მათ, რასაკვირველია, გამოედევნენ მდევარნი. ესმა ხანუმის მშობლებმა შესძრეს მთელი სოფელი, ყველა მონათესავენი და ნაცნობნი სასიძოს შურისსაგებელად ამ გვარის წყენისა და გაუპატიურებისათვის. მაგრამ ყოველ ამას საჩვენებლად სჩადიან, რადგან აფხაზეთში არაოდეს არა ჰსდევნიან მტაცებელ სასიძოს მოპარვისათვის, თუ იგი კარგი სამოყვროა და მეტადრე უფრო, თუ იგი მოახერხებს თავის საცოლის მშობლებისა და მონათესავეთა შესაფერად დაჯილდოვებას. რომ მიახლოვდებიან სასიძოს სახლსა, მხლებელი ცხენოსნები წინ და წინ აცნობებენ გამარჯვებას თავიანთ სოფელს, რომელიც თოფების სროლით და შეკრებილი მიეგებება სასიძოსა და სარძლოს. აქ არიან ძიძა ესმა-ხანუმისა და ყოველნი, რომელნიც ეწეოდენ შეერთებას სასიძოსა და სარძლოსას. ძიძა და მონათესავენი მისნი ლოცულობენ, რომ შურით არავინ მოშალოს სასიძო, ეს მოშლა,

მათის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ აფხაზები სხვა-და-სხვა შელოცვებით, ტყვიითა და დანასკულის ხელსახოცებით მოუსპობენ სასიძოს მეუღლეობის ნიჭსა. შელოცვა მაშინ იციან, როდესაც სასიძო თავის სასძლოს სადგომს უახლოვდება. შესაძლოა ეს არავინ დაიჯეროს, მაგრამ მე თითონ დავესწარ სამს შემთხვევას, როდესაც მამაჩემთან მოვიდენ სასიძოს მშობელნი და სთხოვდენ მოსვენების ნებას სასწაულთ-მოქმედის წმიდის გიორგის ხატისას სოფლის ილორიდამ გარდასაცემად კაცის ამ გვარ მომშლელთა პირთა. ამ ხატისა ძლიერ ეშინიანთ როგორც ქრისტიანებს, ისე მაჰმადიანებსაც. როდესაც მოასვენებდენ მას, შეშინებულნი ბრალეულნი გარდაცემადმდე დაასწრობდენ და ხელახლავ გახსნიდენ შეკრულს სასიძოს, რომელსაც მიეცემოდა კვალად ნიჭი მეუღლეობით ცხოვრებისა. მე კარგად მახსოვს, როდესაც ერთ-ერთმა სამურზაყანოს სოფლის ბედიის მცხოვრებმა ყმაწვილმა კაცმა შეირთო ცოლი, რომელიც მტერობით შეჰკრეს და ამ ყმაწვილს კაცს ისე შერცხვა, რომ ხანჯლით თავი მოიკლა.

***

რა რომ სარძლო დაუახლოვდება სასიძოს სახლსა, პირბადეს გადაიხურავს, რომ არავინ დაინახოს. ბოლოს ცხენები მხლებელთა შესდგენ. ათასი ხელი სისწრაფით მიემართება სასიძოს, სარძლოს და სტუმრების ცხენებიდამ გადმოსაყვანად. სასიძოს მშობელნი სიხარულით აღტაცებულნი არიან, რადგან მათმა ვაჟმა გაიმარჯვა და მოიტაცა სასძლო; მაგრამ ჰსცდილობენ, რომ სიხარული არავის გაუმჟღავნონ, იგინი მხოლოდ სადღესასწაულო ტანისამოსს ჩაიცმენ და მილოცვას სათანადო ყურადღებით მიიღებენ. ირგვლივ არის მზადება ვახშმისა, ანუ სადილისა; ამ დღეს და შემდგომს დღეებში კვლენ ხარებს, ძროხებს, ცხვრებს, ყვერულებს. პირუტყვის ხოცვა განიგრძობა იქამდის, ვიდრე ნათესავები და ნაცნობები ერთი მეორისადმი მიწვევ-მოწვევას არ გაათავებენ. სასძლოსათვის წინ და წინვე არის გაწყოფილი სადგომი, სადაც შეეგებებიან მას და რომელსაც მიუჩენენ ცოლ-ქმარს საუკუნო სამფლობელოდ. ამ დროს არ სრულდება არავითარი წესი არც ქრისტიანული და არც მაჰმადიანული. სასძლო, როდესაც შევა სასიძოს მშობლების სახლში, იმავ დროიდგან ცოლია და სასიძო ქმარი. ამ გვარს ქორწინებას, როგორც მართლ-მადიდებლობის შემოღებამდე, ისე ახლაც შეხვდებით აფხაზეთში. როდესაც მღვდელი მივა ცოლ-ქმართან, რომელნიცა ჰსცხოვრებენ ერთად უმეტეს რამდენიმე წლისა ბედნიერად და მშვიდობიანად, და წინადადებას მისცემს მათის კავშირის გამტკიცებისთვის ქრისტიანულის ქორწინების საიდუმლოთი, მაშინ გაიგონებ მათგან ამ გვარს პასუხს. - მამაო! ჩვენ აგერ ოცი წელიწადია კარგადა ვსცხოვრობთ და რა საჭიროა დაქორწინება ჩვენი; ეკლესიური ქორწინება მხოლოდ შეგვკრავს ისე მტკიცედ და მაგრად, რომ შემდგომ აღარ შეგვეძლება განშორება ერთი ერთმანეთისაგან; ახლა კი, თუ ვისურვეთ, მადლობა ღმერთს, თვითოეულს ჩვენგანს შეუძლია წავიდეს, საითაც ენებება... იმ ღამეს, როდესაც სასძლოს მოიყვანებენ, სასიძო უნდა წავიდეს სადმე და გაატაროს პირველი ღამე და პირველი დღე თავის მეგობრებსა და ნაცნობებში. მეორე ღამეს შეიყვანს მას სასძლოს ოთახში ის, რომელმაც იმაჭანკლა მათ შორის და გაარიგა საქმე. ამ დრომდის სასძლოს გვერდით უზის თავის მეგობარი, მისი ძიძის ასული, რომლის მოვალეობაც არის შეაქციოს სასძლო, ანუ ახადოს პირბადე იმ დროს, როდესაც მონათესავენი და ნაცნობნი შევლენ სასძლოს სანახავად და იმის შვენიერების განსაცდელად. ამ დროს თვითოეული მათგანი მოვალეა სასძლოს თავს ფული გადააგდოს; ყველაზედ უწინ მოვლენ სასიძოს მშობელნი და მათი წოდების შესაფერ ფეშქაშს მიართ-მევენ. თვითოეულის მნახველის შემოსვლის დროს სარძლო უნდა ფეხზედ წამოდგეს და ყოველს მოკითხვაზედ, თვალები ძირს დაჰხაროს და მუნჯური ნიშნით უპასუხოს; თუ ვინმემ რთული რამ ჰკითხა, მაშინ სასძლოს მაგივრად ძიძისშვილი მიუგებს. ძიძასაც აგრეთვე ფეშქაშობენ: პირველს ვახშამზედ ძიძას უფეშქაშებს ან სასიძო და ანუ მშობელნი მისნი ფულით ასი მანეთიდამ ორას მანეთამდე მისთვის, რომ მან ასე მშვენივრად აღზარდა თავის

გაზდილი. /კოწია მაჭავარიანი/. (გაგრძელება შემდეგ). *) იხილ. „დროება“ №19. (დროება, N20, 1885 წელი);

«დროების» ტელტონი, იანვრ. 29-ს.
ეტნოგრაფიული წერილები
აფხაზეთი
(წერილი მერვე*)

შემდგომ ქორწინების ცერემონიის დასრულებისა, ყმაწვილი ქალი გახდება წევრი თავის ქმრის სახლობისა და იწყებს მონაწილეობის მიღებას ყოველსავე საოჯახო საქმეში; მაგრამ ისე კი მოჰქმედობს, რომ არავინ გარეშეთაგანმა არა ნახოს მუშაობის დროს. ამისათვის იგი წინა დღითვე საღამოთი ყველგან განკარგულებას მისცემს, ყველას თითო თითოდ დაუნიშნავს საქმეს; ჰსცდილობს, სტუმრები კარგად მიიღონ და მეცადინეობს, რომ იქცეოდეს თავის დედამთილისა და უფროსი რძლის სურვილისამებრ, თუ კი ისინი ჰყავს. ყმაწვილი ცოლი არასოდეს არ დაჯდება თავის ქმრის მშობლების წინაშე, ცოტას ლაპარაკობს, ან სრულიად ჩუმად არის. სტუმრებს იშვიათად ეჩვენება და მხოლოდ მაშინ მიიღებს, როდესაც სახლში უფროსთაგანი არავინ დარჩება, მაგრამ არც მათთან დაჯდება და რაიმე მაღალს საგანზედ საუბრის გამართვასაც ერიდება. ესმა-ხანუმ დილით ყველაზედ ადრე უნდა ადგეს ლოგინიდგან, ნახოს, ყოველივე წესიერად არის, თუ არა და შემდგომ მივიდეს თავის საკუთარს საპირფარეშო სტოლთან. თავის დღემში თავის-თავს ნებას არ მისცემს, რომ ქმარს ტანჩაუცმელი ეჩვენოს, ან სად უნდა შეხვდეს ქმარი მას ამ სახით, როდესაც ესმა ხანუმა ყველაზე გვიან უნდა დაწვეს და დილით ყველას აასწროს. ყმაწვილი ცოლი თავის ქმარს უვლის როგორც კი შეუძლიან. მორჩილებს, ესიყვარულება, მშვიდობიანად და ყურადღებით ექცევა, მაგრამ ვერ ითმენს იმის ამაყობასა და თავხედობას. თუ ქმრის უგვანობა და სიამაყე ზომას გადავიდა, მაშინ ცოლი დაუტევებს თავის ქმარს, თან წაიღებს მზითევს და თავის მოსამსახურეებსაც წაიყვანს. წავა იგი თავის მშობლებთან, ანუ ძიძასთან და იქიდგან თხოულობს გაშორებასა და უზრუნველ-ყოფას. ქალს გამოესარჩლებიან ყველა მისნი მონათესავენი, მცნობნი და გამზრდელნი, და თუ სრულად არ დააკმაყოფილა ქმარმა შეურაცხყოფილი ცოლი, მაშინ მისნი მოსარჩლენი ჯავრსა ჰყრილობენ ხოცვით, ცეცხლის წაკიდებით, ერთის სიტყვით იმით, რაც კი კანონადა აქვთ დადებული. ამ გვარს შემთხვევაში დედაკაცი თამამად მიდის საერო სასამართლოში, იცავს თავის-თავს და ხშირად საკვირელადა სძლევს მოპირდაპირესა. მას არ ეშინიან არც ცილის წამებისა, არც სხვა კაცთან შეწამებისა. იგი მოახერხებს უარის-ყოფას ბრალდებისას და მტკიცედ დადგება თავის სიტყვაზედ. ამ შემთხვევაში მონათესავენი და მცნობნი დაჰყვებიან მას მოწმებად. სასამართლო თავის მხრით დიდის ყურადღებით ისმენს ქალის საჩივარს და მძიმედ ახდევინებს ქმარს, თუ მართლა იგი დამნაშავე აღმოჩნდა. სწორედ სასიამოვნო სანახავია ქორწინების საქმის გარჩევა აფხაზთა შორის. სხვა დროს ჩუმი დედა-კაცი, ეხლა თამამად ლაპარაკობს, და ლაპარაკობს მშვენიერის ლექსით. დამტკიცებითი საბუთების წყაროს მსგავსად გადმოსდის ბაგიდამ. სადღაა მისი სიწყნარე, სადღაა მისი პატივისცემა ქმრისადმი: იგი ეხლა დიდად მოსჩანს, თვალებში შურისგების ცეცხლი ეგზნება. ჯიბეში დამალული აქვს დანა, სამართებელი, ან დამბაჩა და ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ მსაჯულთა არ მოუსმინონ საჩივარი ბოლომდის. ის თხოულობს სამართლიანს კმაყოფილებას და არა შებრალებას, და თუ სასამართლომ დაადგინა ნამდვილი და ჭეშმარიტი განჩინება, თუნდ იმის სასარგებლოდაც არ იყოს, სიმართლის წინაშე მოიდრეკს იგი თავსა. ესმა-ხანუმმა მალე შეიძინა ყველას სიყვარული, თითქმის მთელის სოფლისა. ყველანი მიდიან მასთან და ჰსთხოვენ შემწეობასა და მფარველობას, ყოველს შეწევნაზედ იგი მზად არის და საჩუქრებსაც არა ზოგავს. აგრეთვე, საჭიროების დროს, შუამდგომლობს კიდეც თავის

ქმართან და დედამთილ-მამამთილთანაც. სასიამოვნოა იმისი ყურება. თმები სუფთად დავარცხნილი აქვს და უკან გრძელ ნაწნავებად გადაყრილი, თვალები ალერსიანი, მიმოსვლა სატრფიალო, საუბარი ყველასთან ტკბილი და საამო. ძიძა და იმისი შვილები ხშირად მიდიან ყმაწვილის ქალის სანახავად. მნახველების მოსვლის დროს დიდსა და პატარას ფეხზედ აუდგება, ხოლო მნახველნი, მიუახლოვდებიან და მარჯვენა ხელს თავს შემოუვლებენ ნიშნად იმისა, რომ იგინი მზად არიან მისთვის თავები გაწირონ. შემდგომ აკოცებენ ან მხარზედ, ან გულზედ და არა პირზედ. მამა-კაცნი ნახვის დროს არ აკოცებენ დედა-კაცებს, მხოლოდ თუ ნახვენ თავიანთზედ უფროსს და თან დაახლოებულ პირთა, მაგალითებრ, თავიანთ გამზრდელთ, მაშინ პირველად, მშვიდობას ეტყვიან და შემდგომ გულზედ აკოცებენ. პირველს წელიწადს მცნობნი მიართმევენ ძღვენს ყმაწვილს თავადსა და იმის ცოლს, ქრისტეს-შობის დღეს და აღდგომას უფრო მეტს ძღვენს მიუტანებენ. ამ დღესასწაულებს, როგორც მრავალი სხვათა, აფხაზები შეეგებებიან პატივისცემით. შობას მიართმევენ თავიანთ გაზრდილებს გასუქებულ ყვერულებს, ხოლო აღდგომას კრავებს, თიკნებს და წითლად შეღებილს კვერცხებს. თავიანთ მხრით თავადი და იმის ცოლი მათ უხვად დაასაჩუქრებენ. თუმცა ჩვეულება ერთი ერთმანეთის ჩუქებისა ძლიერ გავრცელებულია აფხაზებში, მაგრამ იგინი განსაკუთრებით სიძულვილით უყურებენ გლახაკებს. მართლაც, მთელს აფხაზეთში ვერა ნახავთ გლახაკსა და მათხოვარსა. ვინიცობაა, თუ რომელსამე ოჯახი იპოება ბუნებისაგან დამახინჯებული კაცი, უეჭველად ასწავლიან რაიმე ხელობას და მით მოაპოვნინებენ დღიურს საზრდოს. აფხაზნი იმოდენად ამპარტავანნი და მედიდურნი არიან, რომ სიკვდილად მიაჩნიათ ნივთიერად ვისგანმე დამოკიდებულნი იყვნენ. აფხაზი არაოდეს არ წავა დღიურ სამუშაოდ. განა მე გლახაკი ვარ, რომ მოჯამაგირედ წავიდე, მოგიგებს აფხაზი, როდესაც წინადადებას მისცემ დღიურის სამუშაოთი პურის მოპოვებისას. თათრებსა და მეგრელებს თავიანთ შრომითა და ვაჭრობით გავლენა არა ჰქონიათ აფხაზებზედ. აფხაზები არასოდეს არ მოჰკიდებდენ ხელს ვაჭრობას. და ეხლა, თუ ნახავთ კიდევ აფხაზთა შორის ვაჭართ, უმეტესად მაღალს წოდებაში, ვიდრე გლეხობაში. აფხაზი დიდხანს თაკილობდა საზრდოს გაყიდვას ფულზედ. წაიღე ახლა, რაც გეჭირვება, დრო იქნება, მეც დამჭირდეს რამე, და მაშინ შემეწიე. აი, რას ეტყოდენ ხოლმე ერთმანეთს აფხაზები. მაგრამ შემდგომ ცოტ-ცოტათი წაჰხედეს მოსულთა მაგალითსა და იწყეს გაყიდვა თავიანთ მიწის ნაყოფისა. შეკრება კაკლისა და ხილისა აფხაზებს დიდ სირცხვილად მიაჩნდათ. აგრეთვე არ ეკარებოდენ თევზეულობას, მაშინ როდესაც აფხაზეთის მდინარეები თევზით სავსეა. მხოლოდ ერთში ეხლაც მტკიცედა ჰსდგანან იგინი: მოსული ხალხის სიმთვრალეს არასოდეს არა ბაძვენ და არც ეჩვევიან. ყმაწვილი ცოლის ესმა-ხანუმის სახლობაში მოხდა დიდად სამწუხარო ვაება. ბუნების სჯულისამებრ, მოხუცი დედამთილი მისი გარდაიცვალა. ამ ამბავმა მოუკლა გული მთელს მის სახლობას: მამა კაცნი გულსა და პირზედ ხელს იცემენ, გარეტიანებულნი თავშიშველნი დაიარებიან და მწარედ ცრემლს აფრქვევენ; დედა-კაცები იგლეჯენ თავზედ თმასა, იკაწრენ გულსა და პირის კანსა და სისხლი უხვად გადმოსდით; ზოგჯერ გამწარებულნი თავს კედელს ახლიან. მონათესავენი, მეგობარნი და მცნობნი, პატივისცემისათვის მიცვალებულის მოხუცისა, მოვლენ ყოველის მხრით განსვენებულის ქმართან, თავადს ყიზილბეგთან და, ჩვეულებისამებრ, მოუტანენ ზოგი ფულს, ზოგი ღვინოს, ზოგი ცხენსა და ძროხასა, მაგრამ ამასთანავე ყველა მოსულნი უნდა დაჰპატიჟოს და ღამე გაათევინოს. თუ ამისთანა შემწეობა არ იყოს, შეუძლებელი იქნებოდა შესაბამი პატივისცემა ამოდენა ხალხისა. ხალხისათვის საზოგადო სუფრა გაიმართება გადახურულს ქვეშ, ხოლო დედა კაცნი და მაღალი წოდება სახლში სჭამენ პურსა. თუმცა მოხუცებულის კაცის სიკვდილს აფხაზები ისე ძლიერ არ ჰსტირიან, როგორც უდროოდ გადაცვალებულისას, მაგრამ მამა-ხანუმის დედამთილზედა ტირილი ხუთიდამ ათ დღემდე გაგრძელდება. როდესაც მიახლოვდებიან მიცვალებულის სახლსა, მონათესავენი და ნაცნობნი ატყობინებენ თავიანთ მოსვლას საშინელის ყვირილითა და თავ-პირზედ ცემით, მიცვალებულის სახლიდამაც ამ გვარისავე სახით უპასუხებენ; სტირიან რიგ-რიგით

დედა კაცები, რომელნიც კუბოს ორსავ მხარეს შემოხვევიან. რამდენსაც დაუახლოვდებიან მიცვალებულის სახლსა, იმდენი უფრო გაძლიერდება ყვირილი და ბოლოს მწარე გოდებად გადაიქცევა. შევლენ სახლში, მიესალმებიან მიცვალებულს, შემოეხვევიან კუბოს, შუბლსა ჰსცემენ მას და თითქმის თხუთმეტის წამის განმავლობაში უხვად აფრქვევენ ცრემლსა. /კოწია მაჭავარიანი/. (გაგრძელება შემდეგ). *) იხილე „დროება“ № 20. (დროება, N22, 1885 წელი);

«დროების» ტელტონი, იანვრ. -31-ს.
ეტნოგრაფიული წერილები
აფხაზეთი
წერილი მეცხრე
(დასასრული*)

პირველის გოდების შემდეგ დაიწყება მოთქმით ტირილი. გამოვა პირველის რაზმიდამ ერთი უმახლობელესი მიცვალებულის ნათესავთაგანი და იმ გვარის სულისა და გულის შემაწუხებელის ლექსით მოსთქვამს, რომ ძნელია კაცმა თვალთაგან ცრემლი შეიმაგროს; ამას მიუგებს მეორე რაზმის ნათესავთაგანი; სხვანი სხედან თავდახრილნი და წყნარად სტირიან. აგერ შორიდგან მოისმის საზარელი ხმა-მაღალი გოდება. ესენი არიან სატირლად მოსულნი მამაკაცნი. ამათ უპასუხებენ ამგვარისავე გოდებით. სახლის გარეშე ჰსდგანან რამდენიმე კაცნი, რომელნიც მოვალენი არიან შეიყვანონ მომტირალნი. მამანი, დიდნი და პატარანი, კაცნი და ქალნი - ყველანი შავით შემოსილნი არიან. ახლა მოდიან სხვანი: პირის სახე დაკაწრული და დაუსახურებული აქვთ, ხმა წასული გულ-მწვავი ტირილისაგან; იცემენ მედგრად ქვას პირსა და გულზედ და თუ სხვამ ხელი არ დაუჭირა და ნებაზედ მიუშვა, ვგონებ, ცოცხალნიც ვეღარ გადარჩებიან. ესენი არიან ძიძა მიცვალებულისა და მისნი მონათესავენი. ძაძა მათი სქელი ტილოსი და ყვითელ-ფერ ჩართულია. ძიძა და მონათესავენი მისნი მოვალენი არიან ამ გვარს ძაძაში იარონ მთელი წლისა, ანუ ორი წლის განმავლობაში და შემდგომ მხოლოდ შეუძლიანთ გამოიცვალონ და შავი ძაძა ჩაიცვან. გარდა ამისა, ძიძის ქმარი და მონათესავენი თმას აღარ მოიკვეცენ რამდენსამე წელს. როცა დიდი თმა გაეზდებათ, რამდენსამე ნაწნავად დაიწნავენ და ისე დადიან შინ და გარეთ საზოგადოებაში. შექცევას, ლხინს, ქორწილს და სიმღერას მთლად მოსპობენ თავიანთ სახლში. დედა-კაცები, ნიშნად დამდაბლებისა და საზოგადოებაში გარევის უსურველობისა გულის გადასაყოლებლად, მოიკვეცენ თავიანთ მშვენიერი თმის ნაწნავებს და ჩაატანებენ კუბოში მიცვალებულს. შემდეგ, როდესაც გამოსვენების დრო მოვა, ატყდება კიდევ უარესი ტირილი, თავში ცემა, გოდება და ვაება. ეჭიდებიან კუბოს, აღარ ანებებენ სახლიდგან გასვენებასა და უმეტესად მიწაში ჩასვენებას. როდესაც დიდის მეცადინეობით გამოასვენებენ, მაშინ მამაცნი წინ მიუძღვებიან, ხოლო დედა-კაცნი უკან თმა-გაშლილნი მისდევენ. მიცვალებულის გამოსვენების შემდეგ, მაშინათვე აბრეშუმის გრეხილს შემოარტყამენ იმ სახლსა, სადაც იყო მიცვალებული. ამ ჩვეულებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ცოცხლები დაცულ იქმნენ მსგავსის სიკვდილისაგან და რომელიმე მათგანი აღარ შეუდგეს მალე მიცვალებულის კვალსა. დასრულდა დასაფლავება. შემდგომ უხვის სმა და ჭამისა, სტუმრები წავლენ და წამოვლენ. უმახლობელესნი მონათესავენი, განსაკუთრებით ძიძა თავისის ასულით, ყოველს კვირას მოდიან, სადაც მიცვალებული დამარხულია და სტირიან. ამ დროს არ ივიწყებენ თავიანთ ძველს მიცვალებულებსაც და გაუყოფენ მათაც თავიანთ ცრემლსა. საბრალო ქმარი ხშირად ვერ ჰბედავს ტირილს თავის ცოლზედ. თავადი ყიზილბეგი, როდესაც მომეტებული მწუხარება მოთმინებას უსპობს, მიიმალება მოშორებით სადმე, რომ ვერავინ დაინახოს, როგორა ღვრის იგი მწარე ცრემლებს თავის საყვარელის მეუღლის გამო. ხსენება მიცვალებულისა იმით გამოიხატება, რომ სადილისა და ვახშმის დროს, სუფრაზედ დააწყობენ მის სახმარს მოწყობილებას და შესახვედრს კერძს, დაუდგამენ

სავსე ღვინის სტაქანს და შემდგომ ცოტას თავს წაუქცევენ ღვინოს და მოიხსენებენ მიცვალებულის სულსა. მეორმოცე დღეს აღაპს გაუკეთებენ, ხოლო წლის თავს, ანუ მათი თვის შემდგომ, აღუსრულებენ გამოტირილსა. გამოტირილის დროს მიცვალებულის სახლში გაჰფენენ მისს ტანისამოსს და ნივთებს და იმაზედ სტირიან. იმ დღეს ცხენის ჭენებითაც მოიხსენებენ მიცვალებულის სიმამაცესა და გმირობას. შემდგომ მოხუცებულის ჩიჩის სიკვდილისა, მის ადგილს დაიჭერს ყმაწვილი ცოლი თამშუღისა, ესმიხანუმ, მაგრამ სიწყნარეს იგი თავს არ ანებებს და უწინდებურად ექცევა თავის მამამთილს თავადს ყიზილბეგს ყურადღებით, თავაზიანად და პატივისცემით. ყიზილბეგიც მალე გაჰყვება თავის მეუღლის კვალს. რჩებიან მხოლოდ ჩვენი ორი გმირი: თაშმუღ და ესმა-ხანუმ; მათი ცხოვრება უწინდებულად მიმდინარეობს თანხმობით და მშვიდობიანად. თამშუღ საზოგადოდ მცირე ხნით რჩება შინ, ზამთარში სანადიროდ დადის, ჰხოცს ველურს თხებს, ირმებს, იჭერს კვერნებს, დაიარება სამეგრელოში, გურიაში და იმერეთში თავისი ან სხვის საქმისათვის, ხშირად უმიზეზოდაც. აგრეთვე საზოგადო საქმეებში ღებულობს მონაწილეობას და დადის სასამართლო ადგილებში მოწამედ, ანუ მომჩივრად. ცოლი ჰღებულობს სტუმრებს, თითონაც დაიარება სტუმრად სრულის კრებით, განკარგულებას იძლევა საოჯახო საქმეებში, უკერავს ტანისამოსს თავის ქმარს, რომელიც გაჭირების დროს გადაიფენს თავის გმირულ ბეჭებზედ კოტტას, ანუ ბურნუსს თავის ცოლისას და ისე მივა სამსაჯულო ადგილებში. ესმა-ხანუმ თითონ უვლის აბრეშუმის ჭიას, თითონ ჰკრეფს პარკებს, თითონ იღებს ყაჭს და ამზადებს აბრეშუმს. თავის მოახლეებს ესმა-ხანუმ სიყვარულითა და ალერსით ეპყრობა; და ისინიც. თუმცა გლეხი კაცის წოდებისანი არიან, თავისუფლად ესაუბრებიან თავიანთ ქალბატონს, რჩევაში ერევიან და ისე დაჩაგრულნი არ არიან ფიზიკურად და ზნეობით, როგორც საქართველოში და სამეგრელოში; შეუძლიანთ გათხოვდენ კიდეც, მაგრამ მათი ქმრები აძლევენ ხარჯს მეპატრონეთა. ესმა-ხანუმს ეყოლა რამოდენიმე ვაჟიშვილი, იგინი ყველანი მაჰმადის, ანუ უმჯობესად ვთქვათ, წარმართის აღსარებისანი არიან. მაგრამ დედა იმასაც ჰფიქრობს, რომ რომელიმე დიდი კაცის წყალობით ისარგებლოს გაჭირვების დღეს და უგზავნის სამეგრელოს ანუ იმერეთის ეპისკოპოსს უმცროსს ვაჟიშვილს მოსანათლავად და ქართული წერა-კითხვის შესასწავებელად. როდესაც ქმარი ესმა-ხანუმისა სხვაგან არის, მაშინ ცოლი სასამართლო ადგილებშიაც აწარმოვებს საქმეებს. ერთ დღეს ესმა-ხანუმმა ვერ მოასწრო საოჯახო განკარგულების მოხდენა იმ დროს მოვიდა მასთან აფხაზი და მოახსენა, რომ გარჩევა მისი ქმრის საქმისა სასოფლო სასამართლოში სხვა გვარ მიმართულებას ჰღებულობს, სრულიად სავნებელად თავადისა. - მომგვარეთ ცხენები! შესძახებს ესმა-ხანუმ. მსწრაფლ მოუმზადებენ ცხენებს, იახლება ათი ცხენოსანი და მივლენ იმ ადგილს, სადაც საქმე ირჩევა. კვირა დღეს სქელ-ფოთლიან ჩინართა ჩრდილქვეშ შეკრებილია თითქმის მთელი სოფელი. მოსამართლენი სხედან და რაღაზედაც ღრმად ჩაფიქრებულან. მოჩივარნი და მოპასუხენი ფეხზედ დგანან ჯოხებზედ დაყრდნობილნი და ხშირად იფურთხებიან აქეთ იქით, თითქოს ნერწყვი უშლიდეს მათ მჭევრ-მეტყველებას, მოწმებიც ფეხზე დგანან და ყურს უგდებენ. ყოველს მოჩივართა თუ მოპასუხეთა კითხვაზედ მოწამენი მოკლედ უპასუხებენ: ,,დიაღ, დიაღ, ან, არა, არა.“ როდესაც სრულს გარემოებას მოისმენენ მოსამართლენი, დაიწყებენ თავიანთ შორის რჩევას საკმაოდ დიდს ხანს და შემდგომ ერთი მათგანი გამოაცხადებს განჩინებასა. როგორც დაინახეს თავადის მეუღლე ესმა-ხანუმ, მოსამართლენი და ხალხი ადგნენ ყველანი თავიანთ ადგილებიდგან, მოიკითხეს და შემდგომ ჰსთხოვეს დაბრძანება შესაბამ ადგილზედ. შემდგომ ჩვეულებრივის გამოკითხვისა სხვა-და-სხვა ახალის ამბისა, ესმა ხანუმ შეუდგება საქმეს და სთხოვს ყურადღებასა მოსამართლეთა და ხალხსა. იწყებს ლაპარაკს. ძლიერ თავაზიანის და ზრდილის სიტყვებითა და აქებს მოსამართლეთა ღირსებას და მათს პირუთვნელ სამართალსა; შემდგომ გამოაცხადებს თავის მწუხარებას, რომ მის ქმარს, სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო, თვით ვერ მოუხდა პასუხის მიცემა თავის საქმეზედ; ბოლოს სთხოვს მათ, რომ ნება მისცენ წარმოსთქვას სიტყვა თავის სასარგებ-

ლოდ. შეიქნება საზოგადო დუმილი. ესმა-ხანუმ წელში გაიმართება და სცდილობს საზოგადოებისა და მოსამართლეთა მოხიბლვასა, რაისათვისაც უხვად ჰფენს მარჯვნივ და მარცხნივ ქებსა. როდესაც შეატყობს, რომ ხალხის გული მოგებულია და მოსამართლენი ძირს არ იხედებიან (ეს ცუდი ნიშანი იქმნებოდა მისთვის), ესმა-ხანუმ შეუნიშნავად შეეხება თავის საქმესაც, იგი მოსთვლის და წარმოუდგენს აურიცხველ საბუთებს თავის სასარგებ-ლოდ. არ ივიწყებს არც ერთს სიტყვას და დაწვრილებით, მშვენივრად ლაპარაკობს თავის საქმის გასამართლებელად. როდესაც დაასრულებს საჩივარს, უეცრივ მიუბრუნდება თავის მოწმებსა და ჰკითხავს. - ასე არ არის, მეგობარნო, რაც მე ვთქვი? - დიაღ, დიაღ, - იძახიან მოწმები და ხალხი. - მართალს მოვუთხრობ, თუ არა, ჩემნო ძვირფასნო? - მართალს ბრძა-ნებთ, მართალს ბრძანებთ, - ჰყვირის ხმა მაღლად კიდევ ხალხი. მოსამართლენი მისცემენ სიტყვას მოპასუხესაც შემდეგ ბაასისა, დიდ ხანს არ ანდომებენ რჩევას და გამოიტანებენ განჩინებას სასარგებლოდ ესმა-ხანუმისა. ასე სცხოვრობენ და უფრო სცხოვრობდენ აფხაზნი. აწინდელს დროში იგინი რამდენადმე დაშორდენ თავიანთ პირველ ყოფა ცხოვრებას და საზოგადო წარმატების გზას დაადგნენ. ჩვეულება და ზნეობა მათი შეიცვალა, გონებამ იგრძნო განათლების საჭიროება და ახლა ქაღალდით, თუ სიტყვიერად ხშირად სთხოვენ აფხაზნი მთავრობას თავიანთ შვილების მიღებას სხვა-და სხვა სასწავლებლებში. თხოვნას აძლევენ არა თუ მხოლოდ მშობლები, არამედ იმათი მცირე წლოვანი შვილებიც, რომელნიც შორეულ სოფლებიდამ ქვეითად მოდიან და ტირილით სთხოვენ ყველას და თვითეულს შემწეობას სკოლაში მიღებისათვის. უნდა ვიმედოვნობდეთ, რომ მთავრობა არ დაუტევებს უყურადღებოდ ამ გვარს წრფელს სურვილს აფხაზებისას და მისცემს საშუალებას მათთა შვილთა აღზრდისათვის. /კოწია მაჭავარიანი/, (დროება, N24, 1885 წელი);

შინაური ქრონიკა

ამ თებერვლის დამდეგს, გვწერს ჩვენი სოხუმელი კორესპონდენტი, - სოხუმში მისულა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე თ-დი ერისთავი, რომელსაც მინდობილი ჰქონია შეეტყო გადმოსახლებულთა მდგომარეობა, რადგანაც ამათ შორის ნაციონალურის სხვა-და-სხვაობის გამო, თურმე ხშირად უთანხმოება დაუკმაყოფილებია ჰხდება. თ. ერისთავს, როგორც ამ გვარ შემთხვევაში მოხდება ხოლმე, დაუთვალიერებია რამოდენიმე სოფელი, ამათი მოსახლობა ძლიერ მოსწონებია და მესამე დღეს ისევ ბათუმში დაბრუნებულა. (დროება, N31, 1885 წელი);

შინაური ქრონიკა

«დროების» მე-12 №-ში იყო პატარა შენიშვნა იმაზედ, რომ ორი ქართული წარმოდგენა ზედიზედ იყო გამართული დ. ოჩამჩირში სკოლის სასარგებლოდ, მაგრამ ადგილობრივი საზოგადოება ნაკლებად დაესწროო. ამ საგნის შესახებ ერთი პირი გვწერს, რომ პირველ წარმოდგენაზედ საკმაოდ ბევრი ხალხი დაესწრო, მაგრამ რადგან თეატრის მოთავეთ ანგარიში არ წარმოგვიდგინეს შემოსავალ გასავლისა, ამიტომ მეორე წარმოდგენას უგულოდ მოვეკიდეთო. სასიამოვნო იქნებოდა, რომ როგორც ოჩამჩირის წარმოდგენების მოთავენი, ისე ისინი, რომელნიც ჩვენის ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეებში მართავენ საქველმომქმედო განზრახვით წარმოდგენებს, მოკლე ანგარიშს ბეჭდავდენ ხოლმე გაზეთებში და ამით საყვედურებს აიცილებდენ.

აფხაზეთიდამ გვწერენ: სოხუმის მაზრის უფროსის არაკინის დროს ყოველ გადმოსახლე-ბულს, რა ერისაც უნდა ყოფილიყო იგი, აძლევდენ 15 დესიატინა მიწას საკუთრებად, უღელ ხარს და სხვა საჭირო შემწეობას. ეხლა კი, თუმცა სხვებს ესეთივე შემწეობა ეძლევათ,

მაგრამ მეგრელებსა და იმერლებს თხუთმეტის დესიატინის მაგივრად მარტო ხუთ-ხუთი დესიატინა ურიგდებათ... (დროება, N32, 1885 წელი);

***

ჩვენი სენაკელი კორესპონდენტი „დროების“ გუშინდელს ნომერში იწერებოდა, რომ როგორც გავიგეთო ზუგდიდის თავად-აზნაურთ ასი-ათასი მანათი გადაუდვია ერთი მოსალოდნელ დაწესებულებისთვისო... ეს ამბავი მართალი ყოფილა, როგორცა სჩანს გაზეთის „ნოვოე ობოზ.“ მე-397 N-ში დაბეჭდილის ზუგდიდელ კორესპონდენციისაგან. იქაურს თავად-აზნაურობას მართლა გადაუწყვეტია რომ ასი-ათასო მანათი კიდევ მიუმატოს იმ კაპიტალს, რომელიც გადადვა ზუგდიდის მაზრამ ბატონ-ყმობის გაყრის დროს მიღებულ ფულიდან (2%) და სთხოვოს მმართებლობას, რომ ამ ფულებით გაუხსნას მას სავაჟო პროგიმნაზია. გარდა ამისა კრებას დაუდგენია: მოახსენონ ქუთაისის გუბერნატორს და ამიერ-კავკასიის რკინის-გზის გამგეობას, რომ თუ ვინიცობაა სოხუმისაკენ მოსალოდნელი რკინის-გზის შტოს დ. ზუგდიდით ანუ მისი მიდამოთი გაიყვანებენ, მაშინ მაზრის თავად-აზნაურობა უსასყიდლოდ დაუთმობს რკ. გ. გამ. საჭირო მიწას ლიანდაგისა და სადგურებისათვის და თითო კომლს აზნაურზე ექვსს სამუშაო დღეში თითო მუშას. (დროება, N40, 1885 წელი);

შინაური ქრონიკა

სოხუმიდან გვწერენ: ეს წელიწადი ისე გადის თოვლი და წვიმა არ გვინახავს. აქ გაჩნდენ შემდეგი ავადმყოფობები: წითელა, ხველა, ქუნთრუშა და სურდო. ყველა კარგად ჰხდილობს, მხოლოდ მოკვდა ერთი ძუძუს ყმაწვილი და ერთიც დედაკაცი. აქ ვარდებმა კოკორი გამოიღეს, მინდვრები ამწვანდენ.

იქიდანვე გვწერენ: ჭლექით ავადმყოფნი მადლიერნი არიან აქაური ჰავისა, რომელიც ძალიან მოხდენია მათ. მარტის გასულს შინ წასვლას ემზადებიან, რაკი თავს მორჩენა შეატყეს. ჩვენს ქალაქში ამჟამად ოთხი აბანო გააკეთეს. ეს აბანოები ეკუთვნიან: ბ. მირონოვს, ფილიპოვს, პატლიარენკოს და სამთო სკოლას. ვინც ისურვებს ავადმყოფთაგანი, აბანოებში ზღვის წყალს ახმარებენ. დოქტორმა კავალიოვმა განიზრახა რომ აქ გააკეთოს საავადმყოფო სახლები: აშენებაც დაიწყო და სახლის საძირკველი უკვე ამოიყვანა მაღალს, მშვენიერ ადგილზედ, რომელიც დასჩერებია მთელს სოხუმს. (დროება, N42, 1885 წელი);

შინაური ქრონიკა

სოხუმის ფოსტაში ერთი ფრიად კარგი წესი შემოუღიათ: როდესაც ფოსტალიონს წერილები დააქვს, თანვე დააქვს გასასყიდად კონვერტები და მარკები. ეს წესი განსაკუთრებით იქ უფრო მარχვეა, სადაც მცხოვრებნი გაფანტული არიან და ფოსტაზედ კარგა მანძილზედ მოშორებულნი.

სოხუმის სამთო სკოლა თურმე ძალიან დაძველებულა და თუ ამ ცოტა ხანში არ შეკეთდა, მალე დანგრევაც მოელისო. ოთახებშიაც სინოტიის გამო ძალიან ცუდი სუნი დგასო. (დროება, N46, 1885 წელი);

შინაური ქრონიკა

სოხუმიდამ გვწერენ, რომ იქ დიმიტრი მგალობლიშვილის ბაღჩაში ამ დღეებში დაუკრეფიათ მეორედ მოსხმული ვაშლი, რომელიც კარგად ყოფილა თურმე შემოსული. მეორე ხესაც სხმია, მაგრამ მნახველებს სულერთიანად გაუკრეფიათ.

იქიდამვე გვწერენ, რომ ამ თვეში ორჯელ მომხდარა კაცის მკვლელობა: ერთხელ ნემეცს ნემეცი მოუკლავს და მეორედ ადგილობრივ მცხოვრებს ადგილობრივი მცხოვრები. საზოგადოდ ამ ქალაქში თურმე მრავალი უწესოება ჰხდება, სხვათა შორის ქურდობაც, მაგრამ ქურდებს კი ვერ აჩენენ. ამ დღეებში მაგ. სდომებიათ გაქურდვა ბ. ჩერნიავსკისა (ეს ის ჩერნიავსკია, რომელმაც შარშან ჩაის მცენარე გააშენა სოხუმში და წრეულს ამ ჩაის სასმელადაც ხმარობს), მაგრამ ცდას ამაოდ ჩაუვლია. (დროება, N63, 1885 წელი);

შინაური ქრონიკა

სოხუმში მისულა ბუნების მეცნიერების კანდიდატი ოსტროუმოვი, რომელიც ყაზანის ბუნების მეცნიერების საზოგადოებისაგან გამოგზავნილია აფხაზეთში მეცნიერულ გამოკვლევათათვის. (დროება, N81, 1885 წელი);

შინაური ქრონიკა

სოხუმიდამვე იწერებიან, რომ ექვსს ვერსზედ ამ ქალაქიდამ არის ჩალბას მდინარეზედ ერთი ძველი ჩინებულის ხელოვნების ქვის ხიდი, რომელსაც აფხაზები „ვენეციულს ხიდს“ ეძახიან. ხიდი დიდის ხნისა უნდა იყოს: არავინ არ იცის ვინ გააკეთა. როგორცა სჩანს, დიდი შენობა ყოფილა; მაგრამ ახლა იმ მდგომარეობაშია, რომ კაცს შეაზარებს მასზედ გავლა, თუმცა მაგრად კია. არ იქნება ურიგო, რომ იმ სოფლის ხალხმა, მიაქციოს ყურადღება ამ ძველ სამაგალითოდ გაკეთებულს ხიდს და მანამ ჩაიქცევოდეს, შეაკეთონ, რომ ურმებსაც შეეძლოთ სიარული. ჩალბას მდინარემ უცნაური მოდიდება იცის ხოლმე და რადგან სხვა ხიდი არ არის მასზედ, ამას მაინც მიაქციონ ყურადღება. (დროება, N82, 1885 წელი);

შინაური ქრონიკა

აფხაზეთიდამ კაი ამბებსა გვწერენ წლევანდელი მოსავლისას. სადაც უწინ გაუვალი ტყეები იყო, სოფელ ბაბუშარას, აბჟაყვასა და დრანდას ახლო, ეხლა გაცხარებული მუშაობა აქვთ შარშან და წრეულს დასახლებულ აბხაზებსა და მეგრელებსაო. ხვნა-თესვის გარდა, ხელი მიუყვიათ აგრეთვე საქონლის გაშენებისათვის და მათს ნაშრომს კარგი ნაყოფიც მოაქვსო. ზოგიერთ შეძლებულ მებატონეებს სხვა-და-სხვა უცხო ხეხილი და ვაზი ბევრი გაუშენებიათ. ამას გარდა, ჩერნიაევსკის ხელმძღვანელობით რამდენიმე პირს მოუშენებია აბრეშუმის ჭიები სოხუმს ახლო და ამ წარმოებასაც ჯერჯერობით ძალიან კარგი შედეგი ეტყობაო. (დროება, N104, 1885 წელი);

შინაური ქრონიკა

სოხუმიდამ გვწერენ შემდეგს: „ჩვენს ქალაქს დასავლეთის მხრით ახლდა ერთი ამყრალებული და ათას გვარის ქვეწარმავალით სავსე ტბა, რომელიც თავისის სიმყრალით მთელს ქალაქში საძაგელს და დამასნეულებელს ჰაერს ავრცელებდა. სუხუმის ციების გავრცელების უმთავრესს მიზეზადაც ამ ტბას სთვლიდენ აქაური ექიმები. ადგილობრივმა მთავრობამ რამდენჯერმე სთხოვა უმაღლესს მთავრობას. ათი ათასი მანათი მოეცათ ქალაქისათვის რამოდენიმე წლის ვადით ამ ტბის გასაშრობლად, მაგრამ ვერას გახდენ. წელს კი ღმერთმა უშველოს ჩვენს გოროდნიჩს პატლიაროვს, რომელმაც ოცის თუმნის ხარჯით ისეთნაირად გააშრო ტბა, რომ დღეს ის ადგილები სამოსახლოდაც კი ვარგანან,

და ამ დღეებში მუქთად დაურიგდება მსურველებს, რომელთ რიცხვი ახლაც საკმაოდ მოიპოვება. ამ ტბის გაშრობა, რომ რომელიმე ინჟინერისთვის მიენდოთ, მერწმუნეთ ვერც ასე კარგა გააშრობდა და ფულებს კი ბევრად-ბევრს მოანდომებდა“.

სოხუმიდამვე გვწერენ, რომ „იქაურ მომრიგებელ სასამართლოში ივნისის პირველ რიცხვებში განირჩევა ერთი ძლიერ საყურადღებო და საგრძნობელი საქმე, რომელიც მდგომარეობს კორესპონდენტის სიტყვით შემდეგში: წარსულს წელს სამეგრელოს სოფლის ეკის მცხოვრებელი გლეხი წამოსულა სამუშაოდ სოხუმის მაზრაში, მისულა სოფელ მერხეულში და მოჯამაგირედ დასდგომია ერთ გლეხსავე. გასულა ორი სამი თვე; ბიჭი ავად გამხდარა და მომკვდარა, ამის ნათესავებისთვის შეუტყობინებიათ, რომელთაგან ორი უფროსი ძმა მოსულან, უტირიათ და დაუმარხავთ მიცვალებული. შემდეგ შინ წასულან და დედისათვის უთქვამთ ყველაფერი. გულ-დამწვარ დედას უთქვამს: რატომ მკვდარი შვილი მაინც არ მაჩვენეთო, ახლა, გინდათ თუ არა, წამიყვანეთ და საფლავი მაინც მაჩვენეთო. შვილებმა ჩამოიყვანეს, ატირეს დედა საფლავზე და წაიყვანეს შინვე ეგონათ ამით გათავდა საქმე. მაგრამ გავიდა ერთი თუ ორი თვე, მიცვალებულის დედა დაიკარგა. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ. მერე იპოვნეს თურმე საბრალო დედა-კაცი მკვდარის შვილის სიყვარულს გაუტაცნია აფხაზეთში. ქალი სამეგრელოდამ ფეხით ჩუმად მოსულა თავის შვილის სასაფლაოსთან, ღამ-ღამობით ხელით თუ ჯოხით უთხრია: შვილის საფლავი, ორ-კვირაზე გაუთავებია საფლავის თხრა. შვილის გვამი დაშლილი ყოფილა, მაგრამ ძვლები ამოულაგებია საფლავიდამ, ჩაუწყვია ხურჯინში, აუკიდია მხარზე და გასდგომია ისევ სამეგრელოსაკენ გზას ფეხით. ექვსი ღამის სიარულის შემდეგ მისულა ზუგდიდში და შესულა ვიღაც ჯორდანის დუქანში. იქ ღამე გაუთევია, მეორე დღეს მეკუბოვე მოუნახავს და კუბო გაუკეთებინებია. ღამით მოუტანია კუბო, ჩაუწყვია შიგ ძვლები, ოთახის კარები დაუკეტია და გაპარულა შინ, იმ აზრით რომ შვილები და ხალხი მოიყვანოს კუბოს წასასვენებლად. სანამდის საწყალი ქალი შვილებს მოიყვანდა, მანამ მედუქნემ ეს ამბავი პოლიციას შეატყობინა. პოლიციამ კუბო გასინჯვის შემდეგ მიწას მიაბარა, ხოლო საქმე გარდასცა გამომძიებელს, რომელმაც გამოიკვლია საქმე და სოხუმის მომრიგებელს მოსამართლეს გამოუგზავნა დამნაშავე დედის განსასჯელად კანონისამებრ. ვნახოთ, რა სასჯელს მიაყენებენ უიმისოდაც დასჯილ დედას.

იქიდამვე გვწერენ: მაისის 18-დე ისეთი გვალვა იყო, რომ მცხოვრებლები ძლიერ შეშინებული იყვნენ და გულ-ხელ-დაკრეფილნი შესცქეროდენ ცასაო, მაგრამ ცხრამეტ მაისს კი ღამით საკმაო წვიმა მოვიდა, ასე რომ სიმინდს მაინც დასთესავენო. (დროება, N106, 1885 წელი);

შინაური ქრონიკა

აფხაზეთიდანა გვწერენ, რომ ოჩამჩირელები და მთელის ოჩამჩირის მაზრის (კოდორის განყოფილების) მცხოვრებნი ძლიერ შეწუხებულნი არიან დ. ოჩამჩირეში ფოსტის განყოფილების უქონლობით. ქ. სოხუმსა და ოჩამჩირეს შუა ოფიციალური ქაღალდები დააქვს კვირაში ერთხელ შიკრიკს, მაგრამ ეს მთავრობის მოთხოვნილებასაც კანონიერად ვერ აკმაყოფილებს ხოლმე: წყლების ადიდების დროს, რაიცა ჩვეულებრივი მოვლენაა აფხაზეთში, შიკრიკი დიდხანს იგვიანებს. კერძო პირს ამ საშუალებით შეუძლია მხოლოდ უბრალო წერილის გაგზავნა სოხუმის ფოსტის კანტორაში გარდასაცემად და ისიც ალალ-ბედობაზე. ფულის, თუ სხვა წერილების და კორესპონდენციათა გაგზავნა და მიღება ხომ სრულიად შეუძლებელია ოჩამჩირეში. ამიტომ არა ერთხელ მიუმართნიათ თხოვნით უმაღლესს მთავრობისადმი ოჩამჩირეში ფოსტის კანტორის დაარსებაზე, მაგრამ ჯერაც ვერ იქმნა ეს თხოვნა დაკმაყოფილებული.

იქიდანვე გვწერენ: „ორ წელზე მეტია, რაც აფხაზეთში ქურდობა და ავაზაკობა არ არის და

საქონელი დღე და ღამ გაშვებული მინდორზე ბალახობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამუკანასკნელ დროში ამ სენმა, ქურდობამ, აქა-იქ თავი იჩინა; სხვათა შორის ორს საზოგადოებაში გუფუეს და ბესლაზუბისაში თვენახევრის განმავლობაში ექვსზე მეტი ქურდობა მოხდა ცხენისა თუ კამეჩისა; ამ გარემოებას, ცოტა არ იყოს, ადგილობრივ ადმინისტრაციის გაგულგრილებას აწერენ. (დროება, N113, 1885 წელი);

შინაური ქრონიკა

სუხუმიდამ გვწერენ, რომ იქ გავლილს თვეში ორი კაცი დამღრჩვალა: ერთი თათარი ყოფილა და მეორე სალდათი. თუმც მალე მიშველებიან და ამოუყვანიათ წყლიდამ, ექიმისათვისაც დაუძახნიათ, მაგრამ ვეღარაფერი უშველიათ.

იქიდამვე გვწერენ, რომ ჩვენს სოხუმს ყოველ დღე ემატება შენობებიო. რომელი ქალაქიც თვით იზდება, სოხუმი დღით იზდებაო. სადაცკი ცარიელი ადგილები ყოფილა, სხვა-და-სხვა პირებს შეუსყიდნიათ. სობორიც დაუსრულებიათ და კარგი რამ გამოსულა. (დროება, N144, 1885 წელი);

შინაური ქრონიკა

სუხუმის საფილოქსერო პარტიას საყდრის ხევიდან ½ ვერსის მანძილზე აღმოუჩენია 21 ვაზი, რომელთაც ფილოქსერა გასჩენოდათ. ეს ვაზები 15-ოთხ-კუთხ საჟენის სივრცეზე იყვნენ გაფანტულნი. ავადმყოფი ვაზები ნავთით იქმნენ მოწამლულნი. თბილისის საფილოქსერო პარტიამ თიბათვის 21-დან მკათათვის 2-დინ გამოიკვლია საეჭვო ვენახები სართისჭალის საპრისტავოში (თბილისის მაზრაში). ამ ხნის განმავლობაში შემდეგს სოფლებში იქმნა გასინჯული ვაზები: ნემეცების კოლონიაში მარიენფელდში - 9 ვენახში, კოლონიაში ფრეიდენტალში - 9 ვენახში, სოფელ სართისჭალაში -10 ვენახში, კოლონიაში პეტერსდოფში - 10 ვენახში, იორზე - 2 ვენახში, სოფ. მანავში - 5 ვენახში, ს. თოხლიაურში - 18 ვენ. საგარეჯოში - 81 ვენ. და ს. ნინოწმინდაში - 2 ვენ. ამ ვენახებში არსად არ ამოჩნდა ფილოქსერა. («კავკაზი»). (დროება, N147, 1885 წელი);

შინაური ქრონიკა

დაბა ოჩემჩირის მცხოვრებთ (ტუაპსე და ფოთის შუა) სთხოვეს რუსეთის საზოგადოების ნაოსნობის და ვაჭრობის დირექტორს, რომ მათს დაბა ოჩემჩირში საზოგადოების სააგენტო გახსნას. ამბობენ ეს თხოვნა შეწყნარებული იქნებაო. („კავკაზი“). (დროება, N155, 1885 წელი);

შინაური ქრონიკა

აი ოფიციალურად გამოცხადებული ცნობები ფილოქსერის პარტიების მუშაობის შესახებ: სუხუმის პარტიას ივლისის დამდეგს ნავთით მოუწამლავს ის ადგილი, სადაც ამას წინად 31 ვაზზედ, სუხუმის ახლო, ფილოქსერა იპოვეს; მასუკან ამავე პარტიას გაუსინჯავს გარეული ვაზები ადგილის ახლო და 50 საჟენის სიშორეზედ 63 ვაზი უპოვია ფილოქსერისაგან დაზიანებული, რომელთა მოსაწამლავად 139 ფუთი ნავთი დაუხარჯავს. შემდეგ სუხუმის ახლოვე რვა ვენახი გაუსინჯავს და ფილოქსერა არ აღმოჩენილა. დაღესტნის პარტიას ამავე თვეში გაუსინჯავს ათი ვენახი დარუბანდის ახლო და ფილოქსერა არ აღმოჩენილა.

თბილისის პარტიას ივლისის 3-დამ 14-მდე გაუსინჯავს ვენახები პატარძეულში 59 ვენახი, ხაშმში 14 ვენ, ყარაბულახში 4 ვენ, საცხენისში 1 ვენ, ახალ-სოფელში 3 ვენ, მარტყოფში 14 ვენ, ნორიოში 26 ვენ, დიდ-ლილოში 3 ვენ, ლოჭინში 1 ვენ. და მუსრავანში 4 ბაღი. არსად ფილოქსერა არ აღმოჩენილა. მეოთხე პარტიასაც, რომელიც მუშაობდა ეჩმიაძინის მაზრაში, ფილოქსერა არსად უნახავს. (დროება, N157, 1885 წელი);

შინაური ქრონიკა

აფხაზეთიდამ გვწერენ: ჯერ ჯერობით ამ წელს აქ მშვიდობიანობაა. არც ციება არის და არც სხვა ავადმყოფობა, მხოლოდ სიცხეებმა შეაწუხა ხალხი აქამდის; ახლა კი, ივლისის 17, იმისთანა წვიმები იყო, რომ ზარალი თუ მოგვცა თორემ სარგებლობა არა. ყანები წარეცხა, ხეხილები ქარმა დაამტვრია და აგრეთვე ერთი უბედურება მოახდინა ზღვაზედ: ოჩამ-ჩირიდამ წამოსული სახელმწიფო ფილუკით ოჩამჩირის ოლქის უფროსი დოქტორი, ფაბიან კუზინოვიჩი დაიხრჩო ზღვაში თავის მხლებელი თათრითურთ. თურმე ოჩამჩირიდან ივლი-სის 16 საღამოს 9 საათზედ ფილუგით სოხუმში წამოსულიყო და ივლისის 17-ს, საათის 6-ზედ, ცუდს ამინდს მოესწრო გზაში იქ, სადაც კოდორის მდინარე ზღვაში ჩადის. ფილუგა დამტვრეულიყო, შიგ მჯდომნი ზღვაში ჩაცვინულიყვნენ. მატროსებს თავისთვის უშველიათ ცურვით და ზღვისპირის ყარაულების დახმარებით. კუზინოვიჩი ძალიან კაი ხასიათის კაცი იყო და აფხაზებიც ძალიან მადლიერნი ჰყავდა. საბრალოს სამი თვის შერთული ცოლი ქვრივად დარჩა.

იქიდამვე გვწერენ: აქ მოვიდა და დაესახლა ბ. კადიანი, აბრეშუმის ხელობის მცოდნე. იგი ჰფიქრობს ამ საქმეს საფუძვლინად შეუდგეს და შეგირდებიც აიყვანოს თავის ხელობაში გასაწრთვნელად. (დროება, N158, 1885 წელი);

შინაური ქრონიკა

სოხუმის საფილოქსერო დასს გაუსინჯავს სოხუმის ახლოს მდებარე ვენახები, რომელნიც ფილოქსერით არიან დაზიანებულნი და ავადმყოფი ვაზები ამოუთხრიათ და დაუწვავთ. სოხუმზე მოშორებით მდებარე ვენახები კი არა ყოფილან ამ სენით დაზიანებულნი. აგრეთვე არა ყოფილან დაზიანებულნი ტყის ვაზები. (დროება, N190, 1885 წელი);

1885 წელი

ჟურნალი ,,მწყემსი''

აფხაზეთიდამ

ამას წინეთ „მწყემსის“ მკითხველები გავაცანი იმ ჩვეულებათ, რომლებიც არსებობენ აფხაზეთში და სამურზაყანოში მიცვალებულის დასაფლავებაზე და გამოტირილზე. უამბე აგრეთვე მკითხველებს, თუ როგორ აღარიბებენ ისეთაც ღარიბს ხალხს ეს უბრალო ჩვეულებანი. მაგრამ ამ დამაღარიბებელ ჩვეულებას გარდა ამ მხარეში ძლიერ გავრცელებული არის სხვა-და-სხვა ცრუ-მორწმუნეობა, რომელიც მიწასთან ასწორებს გაუნათლებელ ხალხს. სხვათა ცრუ-მორწმუნეობათა შორის აქაურ გაუნათლებელ ხალხში ღრმად ფესვი აქვს

გადგმული ერთ მეტად მავნებელ ლოცვას, რომელსაც ჟინს ეძახიან. (ჟინი მეგრული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს: ზეითურს). თქვენ ვერ ნახავთ აქ ისეთ კაცს, რომ ეს ლოცვა ბეგარად არ ედოს. აი, რაში მდგომარეობს ეს ლოცვა: როცა ვინმე ავათ-გახდება, პატრონი მაშინვე გარბის მარჩიელთან, რომელსაც აქ მელობიეს ეძახიან. მარჩიელებიც ხომ აქ ბლომათ არიან: სოფელი არ იქნება, რომ ორი-სამი მარჩიელი არ იქნეს შიგ. ესეებიც მაშინვე ავადმყოფის პატრონს ეუბნებიან, რომ შენი ჟინის ლოცვა გმართებია და ამის ბრალია ავათ-მყოფობაო. მერე მოუთხრობს კაცს, თუ როგორ უნდა მოიქცეს, რომ უბედურება აიცდინოს თავიდამ. ავათ-მყოფის პატრონი დიდის შიშით და გულ-მოდგინებით მოუსმენს მარჩიელს და გამოსწევს შინისკენ. შინ მოსვლისთანავე შეუდგება საქმეს: იყიდის ერთ კაი ვერძს და ერთ ვაცს. ამ პირუტყვებს შემოავლებენ თავზე ავათ-მყოფს და მერე ავათ-მყოფის სასთუმალზე მიაბმენ დანიშნულ დღემდე. თუ ამ დროს მარხვა იქნა, მაშინ გახსნილებამდის უნდა მოიცადონ და ყველამ უნდა იუქმოს. თუ ვინიცობა არის და ავათ-მყოფნი ვადამდის გარდიცვალა, მაშინ უტირლად დაასაფლავებენ. შემდეგ, როცა ილოცავენ, მაშინ გამოიტირებენ მიცვალებულს. თუ ხსნილია, მაშინ კვირა დღეს ილოცამენ. მონახვენ იმ ადგილს ანუ იმისთანა მაღალ ხეს, რომელსაც ოდესმე მეხი დასცემია და, თუ ისეთი ხე ან ადგილი ვერ ნახეს, რომელსაც მეხი დაცემია, მაშინ დაასობენ ოთხ ბოძს; ზედ დააწყობენ ჭერს და მაზედ დააფარებენ თეთრ პირკალს. შეწირულ ვერძს და ვაცს დაჰკვლენ და მოხარშვენ. მოხარშულ ხორცს ჭერზე დააწყობენ. ტყავს კი უმაღლეს ხეზედ ჩამოკიდებენ. ამ შემთხვევისთვის საჭირო ქვაბი და საქვაბე ახლად უნდა გააკეთებინონ, თორემ ძველის ხმარება არ შეიძლება. ამ ლოცვის დროს თუ იხმარენ ამ ქვაბს და საქვაბეს, თორემ უმისოთ იმისი ხმარება არ შეიძლება. წლის დამლევს, დანიშნულ დღეს იმ ადგილას მოიტანენ: რძეს და ყველით მოზელილ პურს. აქ მოვა მთელი გვარეულობა და მოიტანს: სანთელს, საკმეველს. მოიყვანენ თავიანთ მლოცველებს. თავიანთი ავათ-მყოფიც აქ მოყავსთ. მლოცველი მოჰკიდებს ხელს ავათ-მყოფს, შემოარონიებს სამჯერ ამ ბოძებს და იძახის შემდეგ სიტყვებს: ატრჩაფა ჩოუფარა. ეს მლოცველის სიტყვები ყველასთვის გაუგებარნი არიან. შემდეგ ამ სიტყვებისა ყველანი დაიჩოქებენ და ჟინს მისცემენ შემდეგს ფიცს: კვირაში იუქმონ ერთი კაი სამუშაო დღე, არ იმუშაონ, არც გაყიდონ რამე და არც იყიდონ. არც თავის სახლში და არც სხვაგან მიცვალებული არ იტირონ იმ დღეს და არც სახლი დახვეტონ; მიცვალებულზე შავის მაგიერ თეთრი ან წითელი ტანთსაცმელი ჩაიცვან; აბრეშუმი არ გააჩინონ სახლში. შემდეგ ამ აღთქმისა, ყველანი დაჯდებიან და დროს გაატარებენ. შეწირული ცხოველის ხორცს არას გზით არ აჭმევენ ქალს და ამ დროს არც კი შეუძლია აქ ქალი დაესწროს. ცხოველის ტყავები რჩება ხის წვერზედ. ამ ლოცვის შემდეგ თუ მორჩა ავათ-მყოფი, ხომ კარგი და, თუ არა, ისევ გარბის ავათ-მყოფის პატრონი მარჩიელთან. ისიც მისულს შემდეგს სიტყვებს უყვირის: მეჩიათერექ, მეჩიათერექ! ეს სიტყვები ქართულად ნიშნავენ: შემცთარხარ, წმინდა გულით არ შეგიწირავს მსხვერპლი და ან დაგიკლია რამე და ამიტომ ხელ ახლად უნდა ილოცო ხოზოთი. (ხოზოს რძით მოხარშულ ყველიან ჭადს უძახიან). თუ ავად-მყოფი მორჩა, ხომ კარგი და თუ მოკვდა, მაშინ დაწესებულ დღემდე არ გაამხელენ და არც იტირებენ.

ვინც ამ ჟინის ბრალით ხდება ავათ, პირველად ავად-მყოფობს, როგორც ჩვეულებრივი ავათ-მყოფი და რამდენიმე ხნის შემდეგ დაიწყებს ქადაგებას. ამ გვარი ავათ მყოფობით ხდებიან ავათ უფრო უცოლო ვაჟები და გაუთხოვარი ქალები. ამ პირებს რამდენიმე დღე ძალიან სიცხე აქვსთ, ასე რომ უგრძნობლად გდიან; მერე გამოაცხადებენ, რომ იგინი ღმერთი არიან, ანუ ანგელოზები და მასთან უცხადებენ ყველას, რომ, რაც უნდა ბრძანონ მათ, ყველა უნდა აღუსრულონ. ამისთანა პირები ხშირად უქადაგებენ ხალხს, რომ მათ წმინდათ იქონიონ სახლი, ღმერთს მეტანიით შეევედრონ და მერე იწყებენ თამაშს და ამ თამაშობის დროს იძახიან: ატრჩაფა, ჩოუფა, სხვა მოთამაშენი ამ დროს მისძახებენ: აჰა, იჰაა. ამისთანა ავად-მყოფობით ზოგიერთ ოჯახში ხშირად ხუთიც ხდება ავად და ყველას ღმერთათ და ანგელოზებად მიაჩნიათ თავი. რომელიც ამ სენით პირველად გახდება ავად

ოჯახში, ის ყველასაგან იწოდება შემდეგ თავ-ანგელოზად.

გარდა ამისა, როგორც ზევითაც ვსთქვი, ბევრი სხვა ამისთანა ცრუ-მორწმუნეობანი არიან გავრცელებულნი აქ და ამ ცრუ-მორწმუნეობას ისეთი მაგრათ აქვს ფესვი გადგმული გაუნათლებელ ხალხში, რომ მათი აღმოფხვრა შეუძლებელადაც ეჩვენება კაცს თავდა-პირველად. აი, სწორეთ ადგილი, სადაც სკოლას ფართო ადგილი უნდა ეკავოს და სადაც სამღვდელო პირნი უფრო განათლებულნი უნდა იყონ, რომ მათ თავიანთი სწავლა-დარიგებით იქონიონ გავლენა გაუნათლებელ ხალხზე. აგრეთვე საჭიროა, რომ იმ საზოგადოებათ, რომელთაც ხალხის განათლება აქვსთ სახეში, დიდი ყურადღება მიაქციონ ამ მხარეს. გარდა ამისა, რამდენია აქაური ახალგაზრდები, რომელთაც უმაღლესი და საშუალი სასწავლებლებშიაც მიუღიათ განათლება, მაგრამ ისინი სრულიათ არ მეცადინეობენ, რომ თავიანთ მოძმე ხალხში სკოლები, ან სხვა რამ სასარგებლო დაწესებულებანი დაარსონ. /მ. პ ასათიანი/. (მწყემსი, N16, 1885 წელი);

***

ამ თვის ოცდა ათს საქართველოს ეგზარხოსი გაემგზავრა აფხაზეთისკენ პიცუნდის სობოროს საკუთხად. ოცდა ათს, ნაშუადღევს, გამობრძანდა თბილისიდამ. სურამიდამ განსაკუთრებული პოეზდით წაბრძანდა ბათუმამდის და იქიდამ ზღვის პარახოდით გაემგზავრა. ამ სობოროს კურთხევაზე არის მიპატიჟებული მისი ყოვლად უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელიც. (მწყემსი, N17, 1885 წელი);

მოგზაურობა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, არქიეპისკოპოსის პავლესი. საქართ. ექსარხოსისა თბილისიდამ ბიჭვინტამდი და ძველი ბიჭვინტის სობოროს კურთხევა

ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტრის წინამძღვრის თხოვნით მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი, არხიეპისკოპოსი პავლე იყო მიპატიჟებული ბიჭვინთის ახლად განახლებული სობოროს საკურთხად. დიდი ხნიდამ მსურდა იმ ადგილების დათვალიერება, სადაც ექსარხოსს შეხვდებოდა მოგზაურობა. ვისარგებლე ამ შემთხვევით და ვეახელი თან ექსარხოსს. ამ მოგზაურობამ მეტის მეტი კაი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე და გვსურს, რომ თქვენც გაგიზიაროთ, მკითხველო, ჩვენი შთაბეჭდილება. იმედია, არ მოგწყინდება კითხვა ამ მოგზაურობის აღწერისა, თუ თქვენში არის სიყვარული ჩვენი ძველი ნაშთებისა და მათზე მოთხრობაებისა.

ლა-ს აგვისტოს, სამ საათზე, გაემგზავრა ბათუმისკენ საგანგებო პოეზდით მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ბიჭვინტის განახლებულის ეკკლესიის საკურთხად. ამ ეკკლესიის კურთხევაზე მიწვეული იყო ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი გაბრიელიც, მაგრამ ავათმყოფობის გამო, ვეღარ დაესწრო ამ ეკკლესიის კურთხევას.

ლა-ს აგვისტოს, ნაშუადღევის ექვს საათზე, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა რკინის გზით მობრძანდა ბათუმში. აქ მას მიეგება ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი სხვა მოსამსახურე პირებით და ბათუმის საზოგადოება. მისი მაღალ ყოვლ. უსამღვდელოესობა ვოკზალიდან პირ-და-პირ ბათუმის მართმადიდებელ ეკკლესიაში წაბრძანდა, სადაც მას მიეგება ეკკლესიის კრებული. შემდეგ ჩვეულებრივი ლოცვის შესრულებისა და მრავალ-ჟამიერობითი მათ დიდებულებათა, მემკვიდრის და სხვათა მოხსენებისა, მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა, რომელშიაც აუხსნა რა მსმენელთა მნიშვნელობა განაპირე პირველ ადგილისა, დამოჟნისა და ბოღოზისა, ძლიერ გასაგონი სიტყვებით შთააგონა მათ, თუ როგორ უნდა ეცადონ ყველანი ამისთანა ადგილზე

დაიკავონ თავი ისე, როგორც შეფერის მამულის ერთგულს და ჭეშმარიტს შვილს, რომ სხვა უცხო ხალხის თვალში თავის ქცევით და მოქმედებით შეადგენინონ კეთილი აზრი სხვა შინაურ მოსამსახურეებზედაც. ,,აქ მართებლობისაგან, ბრძანა მქადაგებელმან, არის დაწესებული დამოჟნა; აქ ყველა ნივთი უნდა იქმნეს განხილული და არ უნდა გაუშვან ისე, რომ დაწესებული ბაჟი სახელწიფოის სასარგებლოდ არ აიღონ. აგრეთვე ყურადღება უნდა გვქონდეს მიქცეული გონებით ნაწარმოებზედაც, რომელიც უცხო ქვეყნიდამ შემოვა ამ გზით. არა ნაკლები ყურადღება უნდა გვქონდეს მიქცეული ამაზედაც ამისთვის, რომ ხშირად ძლიერ მავნე სწავლაც შემოდის აქედამ, რომელსაც უნდა უფრთხილდებოდეთ და დიდ ყურადღებას ვაქცევდეთ. აქ არის მშვენიერი ბოღოზი როდესაც ზღვაში არის საშინელი ღელვა, ყველა ხომალდები მიაშურებენ ბოღოზ ადგილს, რომ იქ შეიფარონ თავი და გადარჩნენ დაღუპვას. თვითეულს ჩვენგანს უნდა ახსოვდეს ჩვენი სულის ნავთ-სადგური, სასუფეველი ღვთისა, სადაც ჩვენი სული განისვენებს ამ ქვეყნის შფოთისა და ღელვისაგან. ეს ნივთიერი ბოღოზი ნიადაგ უნდა მოგვაგონებდეს ჩვენ, ძმანო, სასუფეველსა ღვთისასა ჭეშმარიტსა განსასვენებელსა სულისა ჩვენისასა''. შემდეგ მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ დაათვალიერა ეკკლესია და ეკკლესიიდამ წაბრძანდა ზღვის ხოლმანდით ,,მიხაილზე'' სოხუმისკენ.

პირველ სეკტემბერს, დილის შვიდ საათზე პარახოდმა მიგვიყვანა სოხუმში. პარახოდიდამ მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა გადმობრძანდა და პირ-და-პირ სოხუმის ეკლესიაში წაბრძანდა, სადაც მასს ეკკლესიაზე დახვდა კრებული და საზოგადოება. შემდეგ ჩვეულებრივი ლოცვის შესრულებისა უმფროსმა ბლაღოჩინმა დეკანოზმა მ. დ. მაჭავარიანმა მაღალ ყოვლად სამღვდელოს უთხრა შესხმა, რომელშიაც გამოთქვა იმედი, რომ მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა მსგავსათ მისი წინამოადგილეებისა ყურადღებას მიაქცევს მრავალ-გზით მტრისგან დაქცეულს და დატანჯულს აფხაზეთის კუთხეს. ამაზე მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ ბრძანა, რომ თუმცა აფხაზეთის კუთხეს ბევრი ჭირი გამოუცდია მტერთაგან, მაგრამ იმედი არის, რომ რუსის იმპერატორის ხელში ეს მხარე აღდგინდება და დაცემული სარწმუნეობა შემდეგისათვის გამტკიცდება. ეკკლესიიდგან მაღალ ყოვლად სამღვდელო დაბრუნდა და შებრძანდა ხოლმანდში.

დღეს-დღეობით სოხუმი შენობებით არაფერ სასიამოვნო სანახავს წარმოადგენს. თვითონ ეკკლესია, რომლის ასაშენებლად ფულები ბლომათ დაუხარჯავთ, ძლიერ პატარა არის. ბევრ რამე სამწუხაროს გაიგონებთ აქ ბ. კ. - გან სუხუმის მიტოვების და ჯარების გამოყვანის შესახებ, მაგრამ სჯობს არ იცოდეს კაცმა ეს ამბავები... სოხუმიდამ რვა საათზე გავედით პარახოდით და გავემგზავრეთ ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტრისაკენ. სწორეთ ათი საათი იყო დილისა, როდესაც ხოლმანდმა გადასაჩერებელი რკინები გადუშვა ზღვაში. ზღვის ნაპირიდამ მოფრიალდნენ რამდენიმე ფილუკები, რომელებმაც ყველა სტუმრები გაიყვანეს ხმელეთზე. ზღვის პირზე მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას მიეგებენ მონასტრის ბერები მგალობლებითურთ, მორჩილები და მრავალი ხალხი-მლოცველები და ადგილობრივი მცხოვრებლები.

ზღვის პირიდამ მონასტრის ეკკლესიამდი გზა მოფენილი იყო ყვავილებით. მგალობლები მღვდელმთავარს გალობით მიუძღვნენ ეკლესიამდის. მღვდელმთავარი პირ-და-პირ ეკკლესიაში შებრძანდა და ჩვეულებრივი ლოცვის შესრულების შემდეგ წირვა დაიწყო. ეკკლესია მშვენიერად მორთულია და ყოველს კაცს გრძნობაში მოიყვანს სალოცავათ. წირვის გათავებისას მღვდელთ-მთავარი გამობრძანდა და დასდგა ამბიონზე. დაიწყო ქადაგება. ქადაგების თემად აიღო დღის წაკითხული სახარებიდამ იგავი ტალანტზე. ჩვეულებრივი ორატორული მჭევრ-მეტყველებით შთააგონა საზოგადოებას, თუ როგორ უნდა ვცდილობდეთ, რომ ღვთისაგან მოცემული ნიჭი მოვიხმაროთ და ნაყოფი მოვიტანოთ; როგორ უნდა ვეცადოთ, რომ არ მივემსგავსოთ იმ მონას, რომელმანც მიიღო ერთი ქანქარი

და მიწაში დამარხა იგი. მქადაგებელმა ჩვენსავე ცხოვრებაში უჩვენა ბოროტი მონები, რომელნიც, სამწუხაროდ, თავიანთ ნიჭს მარხვენ მიწაში, ანუ თავიანთ მდიდარ ნიჭს ხმარობენ არა საკეთილოდ, არამედ ბოროტად და შესაცდენად მოყვასთა თვისთა. აუხსნა მსმენელთა თუ ვითარ სასჯელს მიეცემიან ამისთანა პირები და გააფრთხილა ყველანი, რათა აერიდონ მათ ხვედრსა. წირვის გათავების შემდეგ მღვდელთ-მთავარი მონასტრის ერთ სადგომში წავიდა დასაბინავებლად.

ეხლა მიბოძეთ ნება მკითხველო შეგატყობინოთ თქვენ ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტრის დაარსების და მისი შინაური ცხოვრების ისტორია, შეგატყობინოთ აგრეთვე გასაოცარი მოღვაწეობა, შრომა და მოქმედება ამ მონასტრის ბერთა და მორჩილთა და მათი წესდება.

ათი წლის წინათ ძველი ათონის პანტელეიმონის მონასტრის ბერები მიიქცენ თხოვნით უმაღლესი მართებლობისადმი და ითხოვეს სამონასტრო ადგილი აფხაზეთის მხარეში ქრისტეს სწავლის აღსადგენელად და გასავრცელებლად აფხაზთა შორის. 1886 წელში უმაღლესად ნება-დართვით მოვიდა მცირე რიცხვი ძველი ათონის ბერთა და გამოირჩია მშვენიერი ადგილი მონასტრის დასაარსებლად აღმოსავლეთის მხრისკენ, ქალაქ სოხუმიდამ, ოც ვერსტზე პირ-და-პირ ზღვის პირათ, სადაც დღესაც არის მოციქული სიმონ კანანელის ძველი ეკკლესია. აქ დაბინავდა ეს მცირე რიცხვი ბერებისა და დაარსდა მონასტერი, რომელსაც ეწოდება ახალი ათონის მოციქულის სიმონ კანანელის მონასტერი.

ეს მონასტერი არის აფხაზეთის მთის ფერდოებზე, ზედ შავი ზღვის პირათ. აქ ჯერეთ ბევრი შენობები არ არიან, მაგრამ რაც შენობა და სადგომები არიან, მშვენიერი სანახავია ზღვიდამ. ზღვის პირს და ხმელეთს ჰყოფს ანკარა მშვენიერი პსირსტნის წყალი, რომელიც მონასტერს ჩამოუდის გვერდით. ამ წყალზე არის გაკეთებული ხიდი. გამოივლი თუ არა ამ ხიდს, მიადგები დიდს ალაყაფის კარებს, რომელიც შეგიყვანს მონასტრის ეზოში და ეკკლესიაში. მშვენიერ სანახავ ადგილს წარმოადგენს მონასტრის და მისი ახლო-ახლო მდებარე ადგილები. ეხლა კარგა ბლომათ არის აქ შენობები, რომელნიც გიმტკიცებენ, რომ იგინი აშენებულან მცოდნე პირებისაგან. შენობებს შუას, ზღვის პირას, არის ერთი ძველი დიდი კოშკი, რომელიც, როგორც სჩანს, ძველ დროში ციხის მაგიერი ყოფილა. დღეს ამ შენობაში არიან მოწყობილნი მშვენიერი სადგომები დიდი პირების მისაღებათ. ამ კოშკზე ამართულია ბაირაღი, რომელზედაც ჯვარია გამოსახული. ეს კოშკი ისე ახლოს არის ზღვაზე, რომ, როგორც ამბობენ, დიდი ღელვის დროს ზღვის ზვირთები უწევენ ხოლმე ძირამდიო. (გაგრძელება იქნება). (მწყემსი, N18, 1885 წელი);

მოგზაურობა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, არქიეპისკოპოსის პავლესი, საქართ. ექსარხოსისა თბილისიდამ ბიჭვინტამდე და ძველი ბიჭვინტის სობორის კურთხევა
(გაგრძელება)

ამ კოშკიდგან დასავლეთის მხარეზედ გადაშლილია შავი ზღვა, ხან წყნარი, ხან აღშფოთებული, რომლის ზვირთები სრულებით ფარავენ ხოლმე ფსირტსხის წყალს. ამ მონასტრიდამ ერთ ვერსტზე, მშვენიერ განმარტოებულ ადგილას, არის ძველი ეკლესია, აღშენებული სიმონ კანანელის სახელზედ. ამ ეკკლესიის აღშენებას ისტორიკოსები მიაწერენ მეოთხე საუკუნეს ქრისტეს შემდეგ. ეკკლესია აღშენებულია იმ ადგილზე, სადაც დამარხული ყოფილა წმიდა მოციქული სიმონ კანანელი. ეს ეკკლესია ამ უკანასკნელ დროს განაახლეს და დღეს მშვენივრად მორთულია და წირვა-ლოცვაც მასში ნიადაგია. ამ ეკკლესიაზედ საქართველოის და სომხეთის ისტორიები მოგვითხრობენ შემდეგს: ,,ორის

საათის სავალის სიშორეზედ ქალაქ სუხუმიდგან, ძველი დიოსკურისა დაინახებიან მრავალ ნანგვრევნი იმ ადგილს, სადაც ფსირტსხის წყალი შეერთვის ზღვას. ამ ნანგრევებში მოჩანს დიდი კოშკი, რომელზედაც ლაპარაკობს საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელი და უწოდებს ამ ადგილს თავის სამეფოის სამძღვრად. ამ კოშკის უკან გაჰყვება დიდი ხევი, რომელიც გადის აფხაზეთში. ამ ხევის მაღლობებზედ მოჩანს ტრახვის ციხის კედლები, რომელიც თავ-განწირულ შეტაკების შემდეგ წაართვეს ბერძნებმა აფხაზებს ბერძნის მეფის იუსტინიანის მეფობის დროს. ზეგარდმოცემისა მებრ. დაშთენილის მეფე ვახტანგის ცხოვრების დროიდამ, სჩანს, რომ წმიდა მოციქული სიმონ კანანელი გარდაიცვალა და დაიმარხა ნიკოფსიაში. ამ ადგილას არის აღშენებული ეკკლესია, რომელიც დღემდის არსებობს მთლად, მხოლოდ გუმბათი არის მოშლილი. ეკკლესიის შენობა არის ბერძნული ხელობისა. საფლავი მოციქულისა უნდა ყოფილიყო ტრაპეზ ქვეშ, მაგრამ ნაწილები მოციქულისა ალბათ გადიტანეს კათალიკოსებმა ბიჭვინტის სობოროში''.

ეს ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტერი პირველად დაარსდა ჩვიდმეტს ოკტომბერს ათას რვაას სამოცდა თექვსმეტსა წელსა. ამ მონასტერში ბერებმა ამავე დროსავე დაარსეს სკოლა. მაგრამ, სამწუხაროდ, დიდხანს არ მოუცდიათ აქ ბერებს. შეიქმნა საზარელი ომი თათრებთან სლავიანების განთავისუფლებისათვის. აპრილის ჩვიდმეტს ჩყოზ-ს წელსა შენობების გასაღებები ბერებმა დაუტოვეს საზოგადოებას და ეს ადგილი მიატოვეს. ყველაფერი ნივთეულება გაიტანეს აქედგან და წაიღეს რუსეთში. ზოგიერთი ნივთები მოიტანეს ქუთაისში. და თვითონ რამოდენიმე ბერი გელათის მონასტერში ცხოვრობდა. გათავდა ომიანობა. პირველს ოკტომბერს, ჩყოც-ს წელსა, დაბრუნდენ ძმანი ამა მონასტრისა უკან და დანგრეულ შენობაებში დაიწყეს ეკკლესია ღვთის მშობლის მფარველობის სახელზედ. სამს თებერვალს ჩყოთ-ს წელსა განაახლეს ძველი ტაძარი სიმონ კანანელისა, რომელიც ათს მაისს ჩყპბ წ. კურთხებულ იქმნა დიდის ამბით საქართველოს ექსარხოსად მყოფის არქიეპისკოპოზის იოანიკიეს მიერ, დღეს მოსკოვის მიტროპოლიტისა.

დღეს მონასტერში მრავალი ბერებია: აქ არის ერთი არქიმანდრიტი, რომელიც მოხუ-ცებულობისა გამო ვეღარ სწირავს. ერთი იგუმენი-იერონი, მმართველი და თავი გამგებელი ამ მონასტრისა, ხუთი მღვდელმონაზონი, სამი ბერ-დიაკონი, ორმოცდა ხუთი ბერი და ოთხმოცდა ათი მორჩილი მონასტერში მუშაობს ყოველ დღე ორასი მუშა რუსთა და აფხაზთაგანი.

აქ ბერებს გაუკეთებიათ მშვენიერი ბაღები, რომელნიც ყველაფერი ხილეულობით არიან შემკობილნი. დაურგავთ ხუთი ათასი ძირი ზეთის ხილისა, რომელიც დღეს ნამყოფით დატვირთულნი არიან; დაურგავთ სამოცდა ხუთი რჩეული ვენახის ვაზები უკეთესი გვარისა ქართველთა და ნიკოპიის ბაღთაგან მოტანილი. დაურგავთ აგრეთვე ორასი სხვა და სხვა ხე-ხილები.

აქ არის სკოლა, რომელშიაც მონასტრის სრულის ხარჯით იზრდება ოცი ყმაწვილი რუსისა და აფხაზისა. აქ მდინარე ფსირტსხაზე გაუკეთებიათ ბერებს მშვენიერი წისქვილი. წყლის გადმოსაყვანად გაუკეთებიათ მშვენიერი ჯებირი, რომლისაგან წყალი დიდზედ არის შეგუბული. ეს ჯებირი ისე ოსტატურათ არის გაკეთებული, რომ როდესაც უნდათ, მთლათ გამოუშვებენ შეგუბულ წყალს. ამ წყალში თევზიც მრავალია. ერთი სიტყვით გასაოცარ სურათს წარმოგიდგენს თქვენ ამ მონასტრის ძმათა ცხოვრება. აქ ყველანი შრომობენ, ან ლოცულობენ, ან და მუშაობენ ბაღებში. მათთვის ღამით ლოცვა არის გაჩაღებული და დღისით მუშაობა. ამ მონასტრის ძმათა ერთი-ერთმანეთის მორჩილება და სიყვარულობითი ცხოვრება გასაოცარია.

პირველ სეკტემბერს მაღალ ყოვლად სამღვდელო პავლემ დაათვალიერა მონასტერი. ნახა სკოლა და ახლად დაწყებული დიდი შენობა ძმათა სადგომად, რომელიც ეხლანდელ მონასტერზედ ცოტა ზევით არის დაწყებული. დაათვალიერა ცხენის რკინის გზა, რომელიც

ამ ბერებს გაუკეთებიათ ზღვის პირიდგან ამ ახალ შენობამდის სხვა-და-სხვა შენობის მასალის საზიდავათ და მეტის მეტად მოეწონა ამ ბერების ნამუშევარი, მეცადინეობა და გამჭრიახობა.

მონასტრიდამ ჩრდილოეთის მხრით არის ამაღლებული ერთი დიდი მთა ზღვიდამ თითქმის ორ ვერსტის სიმაღლეზე და ამ მთის თავზე მოჩანს ძველი ეკკლესიის და ციხის ნანგრევები. ამ გორაზე ბერებს დაუდგამთ სამლოცველო სახლი, რომელსაც რუსები ეძახიან ,,ჩასოვნიას''-ს. ეს სამლოცველო სახლი ძლიერ შორიდამ იხედება ზღვიდამ. ამ სამლოცველოზე ასასვლელად ბერებს გაუკეთებიათ მშვენიერი მიხვეულ-მოხვეული გზა, ასე რომ ცხენით თავისუფლად ახვალთ. მაღალ ყოვლად სამღვდელომ ინება ამ მთაზე აბრძანება და სამლოცველოს დახედვა, მაგრამ პაოზკით ასვლა ცხენებს გაუძნელდა და უკანვე მონასტერში დაბრუნდა.

ჩვენ კი ცხენებით ძლიერ ადვილად ავედით სულ მაღლობზე. ამ მთას ზღვის პირიდამ ცოტა ფარდოები ეყვება და გზაც ამ მხრიდამ ადის დასავლეთით; მაგრამ აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით ისეთი დაქანებული კლდეები აქვს, რომ ფრინველის მეტს მისვლა არ შეუძლია. ამ მთის წვეროდამ დასავლეთის მხრით თქვენ დასჩერებიხართ შავ ზღვას სანამ თვალი მიგიწვდებათ. აღმოსავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით თქვენი თვალი ხედავს მთებს, გორაკებს, მთის ფერდოებს და მშვენიერ მინდვრებს. ამ მშვენიერ, სამოთხის მსგავს ბუნებას თქვენი თვალი დიდ ხანს ვერ მოშორდება და ბოლოს, როდესაც ამ ბუნების ყურებით გაძღებით, უნებლიეთ მკერდიდამ ამოიკვნესებთ, როდესაც მოიგონებთ და შეადარებთ ეხლანდელ აფხაზეთის მდგომარეობას იმ დროს, როდესაც აფხაზთ ჰყავდათ თავისი კათალიკოსები, როდესაც მათში ქრისტიანობა ბრწყინავდა სანთელივით და როდესაც მათში სიცოცხლე დუღდა...

რა სანახავებს არ ნახავთ თქვენ ამ მთის წვერზე? ამ მთის წვეროს სამ პირათ აქვს ციხის კედლები შემოვლებული დასავლეთის მხრით და სხვა მხრით, როგორც ზემოთ ვსთქვით, ფრინველის მეტს მისვლა არ შეუძლია. მთის წვეროზე არის ვაკე ადგილი. აქ უწინ ყოფილა დიდი ეკკლესია აშენებული, რომლის დღეს მარტო კედლებია დარჩენილი და ზოგან თაღიც. ეკკლესიას გარშემო აქვს აკლდამები მიშენებული. რომ დააკვირდებით შენობის ქვებს, რწმუნდებით, რომ ეს ეკკლესია უნდა იყოს ნაშენი იმ მუშებისაგან, რომელთაც ქუთაისში უშენებიათ ბაგრატის ნაშენი, დღეს დანგრეული დიდი სობორი. ამ მთის წვერზე არის ამოყვანილი მიწაში ოთხ-კუთხიანი წყლის დასაგუბებელი, რომელშიაც, ცოტა რომ სთქვას კაცმა, დაეტევა ათასი-ათას ხუთასი ჩაფი წყალი. ეს წყლის შესანახავი ისე მტკიცეთ არის ამოყვანილი მიწიდამ, რომ დღესეც კი სდგას მასში ნაწვიმარი წყალი.

ამ ეკკლესიის ეზო დაუწმენდიათ იღუმენის იერონის თაოსნობით. მრავალ ადგილას აღმოჩენილა სასაფლაოები. აქ ერთი სასაფლაო კუბის მსგავსთ თლილი ქვით არის ამოყვანილი; რომ აუყრიათ ზევიდამ დადებული ქვები, შიგ ძვლების მეტი არაფერი ყოფილა. ერთ ქვაზე, რომელიც სასაფლაოს თავის სწორა ყოფილა დადებული, არის ბერძნულად წარწერილი: დაბადებული 209 წელ. გარდაცვლილი 285 არქიეპისკოპოსი მიხეილი 13 აპრილს. ნამდვილად სჩანს, რომ აქ ყოფილა დამარხული არქიეპისკოპოსი მიხეილი, მაგრამ ამ წარწერის გამოსაცნობად საჭიროა კარგი არხეოლოგი. *) ამ ზემო მოყვანილ სიტყვებს გარდა სხვა კიდევ ბევრი რამ სწერია ქვებზე, მაგრამ ძნელია მათი გამოცნობა, თუ კაცმა კარგად ბერძნული არ იცის. ზოგიერთ სასაფლაოებში აღმოჩენილა ოთხი-ხუთი მიცვალებული ერთად დამარხულნი. ერთ სასაფლაოში უნახავთ ერთი დიდი კაცის ძვლები სიგრძეზე, ფეხით და თავით ამავე სასაფლაოში ყოფილა ორ-ორი პატარა ბავშვების ძვლები დაწყობილი, რომლისაგან სჩანს, რომ ერთად ყოფილან დამარხულნი. ერთი სიტყვით აქ ბევრი რამ არის არხეოლოგიურის მხრით საყურადღებო და, იმედია,

ვინმე არხეოლოგთაგანი არ დაიზარებს ამ შესანიშნავი ადგილის დათვალიერებას. ეხლა ბერებს ერთ ძველ კოშკზე დაუდგამთ ხის სამლოცველო, რომელშიაც არის ივერიის ღვთის-მშობლის ხატის პირი და სხვა ხატებიც. ამ ხატის წინ ნიადაგ ანთია ლამპა და ერთი მორჩილი ნიადაგ აქ ცხოვრებს. ბევრს რამეს ვნახავდით აქ, მაგრამ სამწუხაროდ, ღამემ მოგვასწრო და ამისათვის დავბრუნდით მონასტერში. 1 სეკტემბერს, ღამით, მაღალ ყოვლად სამღვდელო პავლე მონასტერში დარჩა. მეორე დღეს სოხუმიდამ უნდა მოსულიყო სამხედრო ხოლმანდი ,,კავკაზ'' და წავეყვანეთ ბიჭვინტაში. (მწყემსი, N19, 1885 წელი);

მოგზაურობა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, არქიეპისკოპოსის პავლესი, საქართ. ექსარხოსისა თბილისიდამ ბიჭვინტამდი და ძველი ბიჭვინტის სობოროს კურთხევა

(გაგრძელება)

სწორედ ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც ხომალდში შეველით და გავემგზავრეთ ბიჭვინტისკენ ათონიდგან როგორც ჩვენ, ისე ყველა მლოცველები და ახალი ათონის მონასტრის ძმანი. ტაროსი დილით მშვენიერი იყო და ზღვაც ძლიერ წყნარი. გავიარეთ ხუთიოდე ვერსი, თუ არა, შევნიშნეთ ზღვის ღორების (დელფინების) თამაშობა ზღვაში. პარახოდის კაპიტანმა სთქვა, რომ დელფინების თამაშობა მოასწავებს ზღვის აღელვებას, როგორც ეს გამოცდილი აქვსთ პარახოდზე მცხოვრებთო. მართლა არ გაუვლია თუთხმეტ წამს; ამოვარდა აღმოსავლეთის ქარი. თუმც ქარი ძლიერი არ იყო, მაგრამ ზღვა მაინც აღელდა. ქარი იქით უბერავდა, სადეთაც მივდიოდით. გაშალეს იალქნები. ერთი ორად მოუმატა სიარული ხოლმანდმა. კაიუტ-ზალაში ემზადებოდნენ და მშვენიერად გალობდნენ მგალობლები მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობისა. ყველანი თითქმის პალუბაზე იდგნენ. მშვენიერმა გალობამ ყველანი მოიყვანა რაღაცა ტკბილ გრძნობაში. ზღვის ზვირთებმა ძლიერ მოიმატა, მაგრამ სამხედრო ხოლმანდი ,,კაზბეკი'', რომლითაც ჩვენ მივდიოდით, ძლიერ ღრმათ დგას წყალში და ამიტომ ბევრს ვერაფერს ვტყობილობდით. ბოლოს დროს ხოლმანდის ნამეტანმა რყევამ იმოქმედა ზოგიერთ პირებზე...

მივედით, როგოც იქმნა, ბიჭვინტის ბოღოზზე. მაგრამ როგორ გინდა გადასვლა! ერთი ნავი მობმული იყო დიდი ბაწრით ხოლმანდზე და იმით უნდა გადავსულყავით ხმელეთზე, მაგრამ ნავის უფროსმა უარი განაცხადა, რადგან ბოღოზშიც ზღვა ნამეტნავად აღელვებული იყო. სთხოვეს ხოლმანდის კაპიტანს, რომ მოეცადა ერთ საათს მაინც იმ იმედით, რომ იქნება ცოტათი ღელვა დამცხრალიყო და შემდეგ გადავსულიყავით ხმელეთზე, მაგრამ კაპიტანმა ვერ გაბედა გაჩერება, რადგან ეშინოდა ნამეტანი ზღვის აღელვებისა, იმან მოაბრუნა ხოლმანდი და სოხუმისკენ გამოემგზავრა. (მწყემსი, N20, 1885 წელი);

მოგზაურობა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, არქიეპისკოპოსის პავლესი, საქართ. ექსარხოსისა თბილისიდამ ბიჭვინტამდი და ძველი ბიჭვინტის სობოროს კურთხევა

(დასასრული)

ბიჭვინტის სობორო იმდენად შესანიშნავია, რომ ღირს მაზედ ცოტა შევჩერდეთ და დაწვლილებით მოვუთხროთ მკითხველს ყველა ის, რაც დღემდის გამოუკვლევიათ და შეუტყვიათ ამ სობოროზე. ბიჭვინტას, რომელსაც ბერძნულად ეწოდება პიტიუსი და ქართულად ბიჭვინტა, მდებარეობს სამი ვერსტის სიშორეზე ბზიბის წყლიდამ მარცხნივ მხარეზე. ეკკლესია ძლიერ ახლოს არის ზღვაზე. ეკკლესიის კედლიდამ რამდენიმე ნაბიჯზე არის ამოთხრილი ჭა ორი არშინის სიღრმეზე, და შინ მშვენიერი წყალი არის.

ამბობენ, ეს წყალი გამოყვანილია რომელიღაცა მთიდამ, მაგრამ არ იციან კი, საიდამ არის მოყვანილი, ან რა დროიდამ. ბიჭვინტის სობორო კარგი და მტკიცე პლანის არის, მაგრამ გარეგანი შეხედულება მაინც-და-მაინც ისე ლამაზი არა აქვს, როგორც არიან ზოგიერთი ქართველების და სომხების ეკკლესიები. კედლები რამდენიმე ქვით არის ნაშენი და რამდენიმე აგურით, მაგრამ მაშინდელი აგური ეხლანდელს სრულებით არ ჰგავს. ძველი აგური ზოგიერთ ქვაზე უფრო მაგარია. შიგნით ეკკლესიაში თაღები აგურით არიან გადაყვანილნი. გუმბათი არის დამკვიდრებული ოთხ სვეტზე. გუმბათი სპილენძით ყოფილა გადახურული, მაგრამ ბოლო დროს გადუხდიათ და წაუღიათ ვიღაცა ბოროტ პირებს. ეკკლესია არის ძლიერ ვრცელი. მრავალ მლოცველთ შეუძლიათ შიგ დადგომა. აქ არშინის სიმაღლეზე კედლებში, არის გალერეიასავით მოწყობილი, სადაც მრავალ ხალხს შეუძლია დადგომა წირვის დროს. აქედამ ხალხი დასჩერებია ძირს მდგომარე ხალხს და ეკკლესიის მოსამსახურეთა. იკონოსტასი არის ქვით-კირისა. ტრაპეზი აქვს ძლიერ ვრცელი. კათოლიკოზის დასაბრძანებელი აღმოსავლეთით კიბის ხუთ საფერხულის ზევით არის. აქეთ-იქით მღვდელთა დასასხდომი ადგილები ქვისაგან არიან გაკეთებულნი. ტრაპეზი დიდია. ამ სობოროში ტრაპეზი წინეთ ყოფილა გაკეთებული მარმარილოს ქვისაგან, მაგრამ ეხლა აღარ არის ის ტრაპეზი, რომელიც წინეთ მოგზაურებს უნახავსთ. ტრაპეზს ქვეშ, ბალავერში რაღაცა სასიარულო არის მოწყობილი, მაგრამ არ იციან, რისთვის ყოფილან ეს სასიარულოები მოწყობილი მიწაში. ტრაპეზს აქეთ-იქით აქვს მიშენებული ეკვდერები, რომლებშიც, როგორც ვფიქრობთ, სამწირველოები უნდა ყოფილიყოს. კედლებზე აქა-იქ ორ ადგილას მოჩანან ძველი მხატვრობანი, დანაშთენი კედლები თეთრად შეულესავთ.

დასავლეთის მხრისკენ, ეკკლესიის შესავალში არის ცალკე სტოვა, რომელშიაც არის ვიღაცა უცნობი გარდაცვალების საფლავი ზედ ბერძნული წარწერით: მოიხსენე უფალო მოსამსახურე ღვთისა, რომელმაც დააფუძნა ეს ტაძარი და ააშენა გუმბათი კათოლიკოზობის დროს ევდემონოსისა. წელი ქორონიკონსა ზ. ევდემონის სახელით ცნობილი არიან ორნი კათალიკოსნი: ევდემონ ჩხეტიძე, გარდაცვლილი ჩფოთს წელში, და ევდემონ საყვარელიძე, რომელმაც დაიკავა ტახტი აფხაზეთის კათოლიკოსისა ჩქჲვ წელში.

როგორც ამბობენ, ამ მიშენებულ სტოვაში ყოფილა დამარხული წმინდა მოციქული ანდრია, რომელმაც უქადა ქრისტეს სწავლა ხალხს დასავლეთ საქართველოში და შავი ზღვის პირებზე. ბიჭვინტის ტაძრის აშენებას მიაწერენ, როგორც წინეთ მოვიხსენიეთ, ბიზანტიის იმპერატორს იუსტიანიანეს მეექვსე საუკუნეში. ისტორიული მოთხრობა ამბობს, რომ იმპერატორმა იუსტიანიანემ გაავრცელა ქრისტეს სარწმუნოება გაველურებულ აფხაზთა შორის და აღუგო მათ ეკკლესია ღვთის მშობლის სახელზე ბიჭვინტაში, გაავრცელა მათში ქრისტიანული წესები და დაუნიშნა მათ მღვდლები. ბიჭვინტა შეიქმნა უფრო დიდებული მეთოთხმეტე საუკუნიდამ. ამ საუკუნიდამ აქ იყო განსაკუთრებითი პატრიარქი, რომლის უფლება გავრცელებული იყო მთელ საქართველოში: იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, სვანეთში და აბხაზეთში. ბიჭვინტას ჰქონდა აუარებელი მამულები და გლეხები, შეწირულნი მეფეთა და მფლობელ თავადთაგან. სხვა-და-სხვა დროს იმერეთის და ქართლის მეფეთაგან და დადიანთაგან შეწირული გლეხების რიცხვი ბიჭვინტის სობოროს სასარგებლოდ ადიოდა რვაას კომლამდე და ოთხმოც ათას სულამდე. ბიჭვინტა იყო პირველი საკათოლიკოსო ადგილი. აქ იკურთხებოდა წმიდა მირონი და რიგდებოდა ყველა ეკკლესიებზე. აქ დაესხმოდათ სამღვდელ-მთავრო პირებს ხელი და აქედამ იგზავნებოდნენ დასავლეთ საქართველოში. ნამდვილად არ არის შეტყობილი ის დრო, თუ როდეს დაეცა ეს შესანიშნავი ადგილი და როდის დაჰკარგა თავისი დიდი მნიშვნელობა ბიჭვინტის კათოლიკოსმა. საფიქრებელია, რომ ბიჭვინტამ მაშინ დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა, როდესაც მუსლუმანები, თათრები პირველად გაძლიერდნენ შავი ზღვის პირებზე და როდესაც შემდეგ ლევან დადიანის გარდაცვალებისა მოხდა არეულ-დარეულობა და

როდესაც აფხაზეთის და სამეგრელოს მფლობელ თავადებმა დაიწყეს ჩხუბი და მტერობა ურთიერთ-შორის მეჩვიდმეტე საუკუნეში. ამ უბედური არევ-დარევის გამო აბხაზეთის კათოლიკოსები თუმცა იწოდებოდნენ ბიჭვინტის კათოლიკოსებად, მაგრამ წელიწადში ერთხელ წავიდოდნენ ერთად ეპისკოპოსებით და თავადებით შესასრულებლად მირონის კურთხევისა, თორემ მთელი წელიწადი სხვა უფრო მყუდრე ადგილას იმყოფებოდნენ.

ბოლოს-სულ გაუქმდა ეს შესანიშნავი სობორა და დადუმდა ქრისტეს სჯულის ქადაგება მასში. მეთოთხმეტე საუკუნიდამ მეთვრამეტე საუკუნემდის აქ ირიცხებიან თვრამეტი კათალიკოსნი. მათში უკანასკნელია მაქსიმე. შემდეგ ისე გავერანდა ეს ადგილი, რომ უკანასკნელი მღვდელიც აღარ დაშთენილა იქ. დადუმდა ქადაგება მღვდელ-მთავართა, მაგრამ ამ სარწმუნოებას უქადაგებდა ხალხს ტაძრის კედლები. ამ სობოროს შენობა მტკიცედ და შეურყევლად იდგა.

პირველად განსვენებულმა იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა მოინდომა მისი განახლება და მიანდო ეს საქმე ერმალოვს, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო არ შესრულდა. ბიჭვინტის სობორს განახლებაზე მრავალს ფიქრობდა განსვენებული იმპერატორი ნიკოლოს პავლეს ძეც. ბოლოს ეს სობორო განახლდა მისი იმპერატორებითი უმაღლესობის მიხეილ ნიკოლოზის ძის ნამესტნიკოვის დროს ერთი კეთილ მორწმუნე პოლკოვნიკის ვორონოვის თაოსნობით და მეცადინეობით. ეს პირველად განახლებული ეკკლესია იყო ნაკურთხი 28 სეკტემბერს ჩყიც-ს წელსა იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისაგან. ამ დროიდამ დაიწყო წირვა-ლოცვა ამ ტაძარში და ქადაგება ქრისტეს სარწმუნოებისა.

დადგა ჩყოვ წელი. ამ წელში გამოუცხადა ომი რუსეთის იმპერატორმა სათათრეს სლავიანების განთავისუფლებისათვის. თათრებმა მიაშურეს თავიანთი ჯარით აბხაზეთს მხარეს, სადაც მათ ეგულებოდათ გათათრებული დიდი ხნიდამ აბხაზები. აქ მოუსვა თათრის ჯარებმა ხელი ყველა აფხაზებს განურჩევლად და გადაასახლა ისინი სათათრეთისკენ. საცოდავი აფხაზები აიკლეს. ისინი აღარავის დაუზოგავს. დაშთა გავერანებულად მთელი აბხაზეთი. მაგრამ ძველი მტკიცე ქვითკირის ეკკლესიები შეურყევლად დაშთნენ. მათში ეს ბიჭვინტის სობოროც ხელუხლებლად დაშთა გარდა მისი იკონოსტასისა და სახურავისა. უმაღლესი ბრძანებით ეს სობორო გარდაეცა თავისი მშვენიერი ადგილებით ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტერს. ამ მონასტრის ბერებმა გაუკეთეს სახურავი ამ სობოროს, გამოიწერეს ხატები, შეამკეს ის მშვენიერი სამკაულებით და განაახლეს. ეზოში აგრეთვე განაახლეს და შეაკეთეს სხვა შენობებიც....

აი წარსულ სეკტემბრის სამს რიცხვს მოხდა ამ განახლებული ბიჭვინტის ძველი სობოროს კურთხევა დიდის ცერემონიით. წინა ღამეს ღამის თევით ცისკარი შეასრულა თვით მწყემსთ-თავარმა კრებულითურთ. წირვამდის შესრულდა ეკკლესიის კურთხევა. ეკკლესიის კურთხევაში მიიღეს მონაწილეობა: ბლაღონჩინმა დეკანოზმა დავით მაჭავარიანმა, ახალი ათონის მონასტრის იღუმენმა იერონმა, სიონის კათედრის სობოროს კლიუჩარმა გრიგოლ პეტრიევმა, ამ სტრიქონების დამწერმა, ბლაღოჩინმა მღვ. იოსებ ბერძენოვმა და ორმა ათონის მონასტრის მღვდელ-მონაზვნებმა. ეკკლესიის კურთხევის გათავების შემდეგ მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ექსარხოსმა, არქიეპისკოპოსმა პავლემ წარმოსთქვა მშვენიერი მჭევრ მეტყველური სიტყვა.

ტაძრის კურთხევის შემდეგ დაიწყო საღმრთო ლიტურგია, რომლის დასაწყისს მობრძანდა მისი ბრწყინვალებაც მთავარ-მართებელი სამოქალაქო ნაწილისა კავკასიაში, თავადი, ა. მ. დონდუკოვ-კორსაკოვი.

ღვთის მსახურების შემდეგ მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ და მისმა ბრწყინვალებამ დაათვალიერეს ტაძარი და მის გარეშემორტყმული შენობები, შემდეგ,

ნაშუადღევის ორ საათზე, მიიღეს მონაწილეობა ძმურ ტრაპეზში; ტრაპეზის დროს მისმა ბრწყინვალებამ წარმოსთქვა მათის იმპერატორებით დიდებულებათა და მემკვიდრის ცესარევიჩის ძვირფასის სიმრთელისათვის სადღეგრძელო, რომელიც აღტაცებით იყო მიღებული და რომელსაც მოჰყვა საგალობელი ,,ღმერთო მეფე დაიცევ'' (Боже Цария Храни). შემდეგ ამისა მაღალ ყოვლად სამღვდელო მეუფის მიერ წარმოითქვა სადღეგრძელო უავგუსტოესის (ქტიტორის) მნათის ახლად ნაკურთხის ბიჭვინტის ტაძრისა, ხელმწიფის დიდის მთავრისა მიხეილ ნიკოლოზის ძისა და მეუღლისა მისისა, ხელმწიფა დიდი მთავრინა ოლღა თეოდოროვნისა. სადღეგრძელოს წარმოთქმის წინ მისი იმპერატორებითი დიდებულების დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისა, მაღალ ყოვლად სამღვდელო პავლემ წაიკითხა ბორჯომიდამ ტელეგრამმა, რომლის ღირსიც მისმა დიდებულებამ გახადა იღუმენი ახალი ათონის მონასტრისა, მ. იერონი.

,,ძლიერ მადლობელი ვარ სიყვარულობითი დაპატიჟებისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, მე არ შემიძლია მოვიდე თქვენს დღესასწაულობაზე. მაინც გულ-წრფელად მოხარული ვარ, რომ მოვესწარით მშვენიერი ძველი ბიჭვინტის ტაძრის განახლებას.“ მიხაილ.

შემდეგ წარმოითქვა სადღეგრძელოები უწმინდესი სინოდის წევრთა, საქართველოს ექსარხოსის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის პავლესი, თავადის მთავარ-მმართებლისა, უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის კ. პ. პობედონოსცევისა და იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო გაბრიელისა, რომელმაც, ავად-მყოფობის გამო, ვერ შეიძლო მოსვლა ბიჭვინტაში, რათა მიეღო მონაწილეობა ტაძრის კურთხევაში, ყველა მღვდელ-მსახურთა, რომელთაც შეასრულეს კურთხევა, ქველ-მოქმედთა მონასტრისა და ყოველ მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთა. ბოლოს მისმა ბრწყინვალებამ თავადმა მთავარ-მმართებელმა წარმოსთქვა სადღეგრძელო მონასტრის წინამძღვრისა და მისი ძმობისა. მისმა ბრწყინვალებამ თავადმა მთავარ-მმართებელმა თავის სიტყვაში, რომელიც მან მიმართა სუფრაზე დამსწრე პირთ, გამოსთქვა თავისი კმაყოფილება ტაძრის კურთხევის გამო, გამოუცხადა თავისი მადლობა მონასტრის წინამძღვარს და მის ძმობას მისთვის, რომ ისინი ემსახურებიან არა მარტო სარწმუნოების საქმეს, არამედ საქმესაც ცივილიზაციისასა შთანერგვით ადგილობრივს აბხაზეთში საფუძველთა შრომის მოყვარეობისა, მეურნეობისა და სხვ.

იმავე დღეს, საღამოს, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა და მისი ბრწყინვალება ბ. მთავარმართებელი ბიჭვინტიდგან გამობრძანდნენ ,,პუშკინ''-ის პარახოდით. დილის 7 საათზე, 4 სეკტემბერს, ისინი მშვიდობით მობრძანდნენ ბათუმში, საიდგანაც რიონის სტანციამდი მოდიოდნენ ერთად და ამ სტანციიდგან კი მაღალ ყოვლად სამღვდელო წაბრძანდა თბილისში და თავადი მთავარ-მმართებელი - ქუთაისში.

ამით ვათავებთ ჩვენ ამ მოგზაურობის აღწერას. ჩვენს დღეში არასოდეს არ გვიგვრძვნია ერთად სიხარული და მწუხარება, როგორც ამას ვგრძნობდით მთელ ამ მოგზაურობის დროს. ვისი გული არ შეწუხდება, როდესაც დაინახავს ამ უშველებელ გაუქმებულ ტაძრებს, გავერანებულს და უმრევლოს! სად არის ის ხალხი, რომელიც აგებდა ამ უშველებელ ტაძრებს და მასში აქებდა და ადიდებდა ჭეშმარიტ ღმერთსა. ეს შესანიშნავი ხალხი დასცა, გააოხრა, გაასჯულა და დაღუპა სათათრეთმა ამ დაუძინებელმა ყოველ ადგილას ქრისტიანობის მტერმა. მთლად სავსე იყო ეკლესია მლოცველებით, მაგრამ ამ ხალხში აქა-იქ შენიშნავდით ერთ ათსთუთხმეტს აფხაზს; დანარჩენი სულ რუსები იყვნენ. ამ სურათების დანახვა ვის არ შეუწუხებს გულს?.. მეორეს მხრით, როდესაც თქვენ ხედავთ ამ გავერანებულ ეკკლესიებს განახლებულს და მასში ისევ წირვა-ლოცვას გაჩაღებულს, რასაკვირველია, სიხარულს გრძნობთ და იმედი გეძლევათ, დანაშთენი ხალხის მომავალზე...

გულით და სულით ვისურვებთ ახალი ათონის ბერთა თავიანთ მოციქულებრივი

დანიშნულების კეთილად შესრულებას და საქმის დაგვირგვინებას. ჭეშმარიტად მათი ღვაწლი დაგვირგვინებულ იქმნება ცათა შინა, თუ მათ ადგილობრივი დაკარგულნი ცხოვარნი მოაქციეს გზად ჭეშმარიტებისად და აღმოუჩინეს მათ კეთილი და მზრუნველოვანი მწყემს-მოძღვრება... (მწყემსი, N21, 1885 წელი);

***

ჩვენ გვწერენ სუხუმიდამ შემდეგ ამბავს: ,,ოცდა ექვს სეკტემბერს გასტეხეს ქურდებმა აქაური ბატალიონის ეკკლესია. გაიტანეს ერთი ძლიერ დიდი ზანდუკი. ეს ზანდუკი გზაში გაეტეხათ ქურდებს და ამოეღოთ იქიდგან ვეცხლის ბარძიმ-ფეშხუმი და სხვა ვეცხლეულობა: შანდლები და ფული ორას მანეთამდე. ავაზაკები ჯერეთაც ვერ უნახავსთ, მაგრამ იმედია, რომ აქაურ პოლიციას არ დაეფარება ავაზაკები.'' (მწყემსი, N21, 1885 წელი);

1886 წელი

გაზეთი ,,ივერია''

***

ჩვენ გვწერენ სოხუმიდამ, რომ აფხაზეთში ამ ჟამად მეტად გავრცელებულია საქონლის ჭირი. ამ ცოტა ხანში უმსხვერპლია მას თითქმის 800 სული ხარ-კამეჩი. სოხუმის მცხოვრებთაც ვერ აუშორებიათ თავიდამ ეს ფათერაკი. მაგალითად, მარტო ერთს კაცს, გ. ჩიქოანს, გაწყდომია 35 ხარ-კამეჩი და მეორეს ალ. თურქიას კი 40-მდისაც. საკვირველი ის არის თურმე, რომ ერთხელ ჭირ-ნახადი საქონლის მოდგმა კარგად უძლებს სნეულებას და არა ჰკვდებაო. იქიდამვე გვატყობინებენ, რომ დ. ოჩამჩირეში ამას წინედ გადამწვარა თერთმეტი დუქანი ტაბიძეებისა. (ივერია, N3, 1886 წელი);

ახალი ამბავი

აფხაზეთიდამ გვწერენ, რომ იქ ამ შუა ზამთრის თვეში მშვენიერი დარებია თურმე. თოვლი ჯერ არავის უნახავს, მაგრამ ეს არაფერი, სითბო იმდენად საკმარისია, რომ მთა და მინდორი ამწვანებულა და ვარდები თურმე ჰყვავიან. ქ. სოხუმში ბ-ნის ქადიანის ბაღში ვაშლი გაშლილია და თებერვალში მეორედ მოვა მოსავალი ვაშლისაო. უცნაური ამბავი თუ გინდათ, ეს არის! ამავე ბ-ნს ქადიანს მიუყვია ხელი სახლის აშენებისათვის და ბ-ნ ჩერნიავსკისთან ერთად განუზრახავს სკოლა გამართოს, მიიღოს ყმაწვილები და ასწავლოს აბრეშუმის მოვლის წესი. ყმაწვილებს ამისათვის არავითარი ფასი არ გამოერთმევათო. (ივერია, N3, 1886 წელი);

***

აფხაზეთიდამვე გვწერენ, რომ ქალაქ სოხუმში ძალიან გავრცელდა ამ უკანასკნელ დროს ქურდობაო. შობისა და ახალ-წლის უქმეებში უფრო მეტის მძვინვარებით დაუწყიათ ავაზა-კებს ცარცვა-რბევა. გაუქურდავთ ნოტარიუსი, თითქმის სუყველაფერი წაუღიათ, რაც კი რამ ჰქონია სახლში, შეცვივნულან ოლქის სამმართველოში და მწერალი გაუძარცვავთ. გორსკის სკოლაშიც მიხდომიან ზედამხედველს, მომრიგებელს მოსამართლესთანაც შეუსეირნიათ, მაგრამ დროთი შეუტყვიათ მათი დაუპატიჟებელი სტუმრობა. კორრესპონდენტი ჩივის, რომ ასეთმა გაბედულმა ავაზაკობამ და თავზედ ხელ-აღებულმა ქურდობამ მთელი

სოხუმი შიშში ჩააგდოვო. პოლიცია ძალიან ბეჯითად არის, მაგრამ ნივთებსა პოულობს და თვით ქურდებს კი ვერაო. ამისთანა ქურდობის დროს არც ერთი ქუჩა, თურმე, არ არის განათებული სოხუმში. ზოგს ქუჩებში ფარნები არ არის და ზოგან, სადაც არის, იქაც არ ანთებენ ფარნებსაო. (ივერია, N7, 1886 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

სოხუმი. იანვრის 29. რაოდენად უზრუნველად ვეკიდებით ჩვენის ძველის ცხოვრების საისტორიო და საარხეოლოგიო ნაშთებს და რა მცირე ყურადღებას ვაქცევთ ისეთს მონუმენტალიურს საბუთებს, როგორნიც არიან ძველი ნივთეულობანი ხშირად ღირს-შესანიშნავის ზედ-წარწერებითურთ, ამას ცხადად ამტკიცებს მაგალითები ატენის ტაძრის მხატვრობის და ზედ-წარწერისა. ეს შენიშვნა ამას წინად იყო დაბეჭდილი თქვენს გაზ. ,,ივერიაში''. მეორე მაგალითი, რომელსაც მსურს მივაქციო თქვენი ყურადღება, გახლავთ აფხაზეთში ახლად აღმოჩენილი ძველის-ძველი საყდარი. ეს საყდარი იმყოფება ერთს უდაბურს ტყეში, სოხუმიდამ 35 ვერსზედ, წებელდაში. აქ ეხლა რუსები სდგანან და ნიკოლაევის სტანცია ჰქვიან. საყდარს მინგრეულ-მონგრეული გალავანი არტყია. შუაში ეკკლესია სდგას, შიგ სხვა-და-სხვა ხატები ვიპოვეთ, ვერცხლით მოჭედილები, აგრეთვე სპილენძის ნივთეულობა მშვენიერის სურათებით შემკული. ხატებს ძვირფასი თვლები ჰქონდათ ჩასმულნი. სულ ვერცხლი აღმოჩნდა 2 ფუთი და სპილენძი 4 ფუთი. პირველად რომ რუსის გლეხებს ენახათ ეს ეკკლესია, შიგ მიცვალებულის ჩონჩხი დებულიყო და მიკარების უმალვე ფერფლად ქცეულიყო. ყველაზედ შესანიშნავი აქ არის სამალავი, რომელსაც ეკკლესიის ერთის კედლიდამ გაყვანილი ხვრელი მიგაგნებინებთ, მე შიშის ზარმა დამკრა, როცა ამ ბნელს ხვრელში ჩავედი. თან სანთლები მქონდა. უცებ ბნელი განათდა და შეველი სამალავს ოთახში. აქ სამი მიცვალებულის გვამი იდო. შიში უფრო მომემატა, რადგან ამ ოთახიდგან კიდევ რაღაც ხვრელი მისდევდა და მე ვსთქვი, რომ ვაი და იქ ნადირი რამ იყოს დაბუნაგებული მეთქი. მიცვალებულნი მეტად დიდის ტანისანი იყვნენ. თავები დიდის საზამთროს ტოლანი ჰქონდათ, კბილები ცხენის კბილებს უგავდათ, წვივნი მუხლ ქვეით არშინის სიგძისანი ჰქონდათ. ფრიად გავკვირდი. ნუ თუ ასე ახოვანნი ყოფილან უწინდელი ხალხი. აქაურს რუსის გლეხებს გამოუცხადებიათ მთავრობისათვის. ხატები და ნივთეულობა კი მამასახლისს წაუღია და სოხუმში მთავრობისათვის წარუდგენია. ამ ეკკლესიის შესახებ ერთს რუსულს გაზეთში ეწერა, რომ ძველი ხელ-ნაწერებიც უპოვნიათო. იქნება მართლა ხელ-ნაწერებიც იპოვებოდეს სადმე. მით უმეტესს ღირსია ყურადღება მიექცეს ამ ეკლესიას, ვისიც ჯერ არს. (ივერია, N28, 1886 წელი);

***

გაზეთ ,,Кавказъ''-ის სიტყვით უმაღლესს მთავრობას განკარგულება მოუხდენია, რომ სიონის საკათედრო სობოროსს კრებულს ჯამაგირი მოემატოს. კრებულის უწინდელს ჯამაგირს ემატება 1,200 მანეთი. ამ ფულით უწინ აფხაზიაში ბიჭვინტის მონასტერი ინახებოდა და ეხლა, რადგანაც ეს მონასტერი გაუუქმებიათ, ეს ფული სიონის სობოროსთვის გარდმოუციათ. საკათედრო დეკანოზს მოემატება 135 მანეთი. მოლარეს 120 მ. ორ დანარჩენ მღვდელსა და პროტო-დიაკონს, თითოს 10 მანეთი. (ივერია, N30, 1886 წელი);

ოქუმი

მთელი თებერვალი ისე გავიდა, რომ სამურზაყანოში საშინელი ქარი ჰქროდა და დიდი ზარალი მისცა ხალხს. ვის სასიმინდე წაუქცია, ვის სახლის სახურავი მოსტაცა და ვინ იცის

სად გადასტყორცნა. დაბას ოთხიოდე დუქანი მოაკლდა, რომელიც იმსხვერპლა ცეცხლმა. კიდევ კარგი, რომ ცეცხლის დროს ქარი არა ჰქროდა, თორემ თქვენი მტერი, ოქუმში ერთი სადგომიც არ დარჩებოდა. დადგა მარტი და განუწყვეტლივ წვიმა მოდის.

საზოგადოდ სამურზაყანოში მიღებულია სასიძოსაგან სასძლოს მოტაცება. იშვიათად იქნება - ქალი ისე გათხოვდეს, რომ მოტაცებული არ იქმნას თავის საქმროსაგან. ეს ვაჟკაცობას ნიშნავს აქაურების აზრით. მაგრამ სამწუხაროდ ამ მოკლე ხანში ეგ ქალების ქურდობა ძალიან გახშირდა. ამ თუთხმეტის დღის განმავლობაში დ. ოქუმის ახლო-მახლო სოფლებში ექვსიოდე ქალია მოტაცებული. ბრალი მათი, რომ დიდ-მარხვაა ახლა, თორემ გასწევდნენ ფოთისაკენ და იქ დაიწერდნენ ჯვარს. აქაურები გაიძახიან: მოვიტაცებ და ფოთში გვირგვინს ვიპსკვნიო და მერე მზდიონ ნათესავებმა და მთავრობამაცო. (ივერია, N55, 1886 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

დაბა ოჩემჩირე. 15 მარტს. (სამეგრელო) წარსულის წლის ,,დროების'' ერთს ნომერში იყო დაბეჭდილი წერილი ამ სათაურით ,,წყალი და ხოლერა''. ამ წერილში, როგორც მახსოვს, ლაპარაკი იყო პადუის უნივერსიტეტის პროფესორის ბრუნეტის გამოკვლევაზე სხვათა-შორის იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს წყალს ხოლერის გავრცელებაში. ხოლერას ავრცელებს ყველა ის ჭები, მდინარე დ ტბები, რომელშიაც მიკრობები აღმოჩნდებიან. ვისაც ის წერილი წაუკითხავს და თან დაბა ოჩემჩირის ადგილ-მდგომარეობასა და აქაურს ცხოვრებას იცნობს სწორედ ამას იტყვის: აქაური მკვიდრნი რაღაც უხილავის ძალიან მფარველობის ქვეშა ყოფილანო, რომ აქამომდე არც ერთხელ ეს საშიშარი სტუმარი -ხოლერა არ გაჩენილაო.

წყალს გარდა სხვა მრავალი მიზეზებიც მოიხსენება აქ ზაფხულობით ხოლერას ხელის შემწყობი და გამავრცელებელი; ამის გამო აქაურს საზოგადოებას დიდი სიფრთხილე და მეცადინეობა ჰმართებს თავის ჯანმრთელობის დასაცველად, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენში ურემი როცა გადაბრუნდება, გზა, მაშინ გამოჩნება ხოლმე. აქაურის ცხოვრების ვითარება და ადგილ-მდებარეობა ისეთია, რომ საზოგადოებამ უთუოდ თავის დროზედ სანიტარული საშუალება უნდა იხმაროს. დაბა ოჩემჩირე მდებარეობს ზღვის პირზედ და, თვინიერ ზღვის ნაპირისა, ყოველის მხრით ახლავს ერთობ ჭაობიანი ადგილები; რადგანაც მდინარე ჩამოდის დაბადგან ნახევარ ვერსტის სიშორეზე, აქაური საზოგადოება წყალს ჭებიდან იღებს. ადვილი წარმოსადგენია, ამ გვარ ჭაობიან ადგილს და მერმე კიდევ ზღვის პირად ჭებში, რა სუფთა წყალი იქმნება. დადგება თუ არა გაზაფხული და გათბება ჰაერი, აქაურ ჭებში ურიცხვნი თვალით-შეუნიშნავნი წვრიმალნი ცხოველები ჰჩნდებიან; წყალს საძაგელი სუნი და შმორის გემო ეძლევა. რასაკვირველია, ვისაც შეძლება აქვს, ამ გვარ წყალს აუდუღებლად არ იხმარს; მაგრამ მუშა ხალხი კი, როგორც საზრდოს სულ ამ ჭებიდგან ხმარობს წყალს. ვინ დაგვარწმუნებს, რომ ამ ჩვენს ჭებში მიკრობებიც არ ჰბუდობენ? ავიღოთ ეხლა საჭმელი: ხორცისა და ღვინის უქონლობა დაბაში ჩვეულებრივი მოვლენაა ის, რომ ხშირად ჩვენს საზრდოს შეადგენს: პური, ყველი, მწუთხე მარილიანი აბხაზური და ან დამპალი თევზი; ღვინო თუ ვიშოვნეთ, ისიც ძმარი და თუ არა, ამ ჩვენის ჭებიდან ამოღებულ წყალზედ უნდა ,,ვახსენოთ ღვთის სახელი''. ამ გვარის გაჭირვებულის ცხოვრების დრო გვიდგება ყოველ წლობით მარტიდან დამოკიდებული აგვისტოს დამლევამდე; შემდეგ კი დაიწყებენ ხოლმე სოფლებიდან ქათმებისა და ინდოურების ზიდვას. მთელის ზაფხულის განმავლობაში აქ ხან ბათუმიდან, ხან სოხუმიდან შამოაქვთ მოყონებული ხილი: მსხალი, ვაშლი, ნესვი, კიტრი, ატამი და სხვა, რომელთაც ჰყიდიან აქ მთელი თვეობით. ესეც ვგონებ არ არის ცუდი მასალა ხოლერის და სხვა-სენის გასავრცელებლათ.

თვით დაბის სისუფთავეზედ მხოლოდ ეს შემიძლია ვსთქვა, რომ ერთობ ნესტიან ჰავისაგან და უწესოდ დადგმულ ფეხის ალაგების სუნისაგან ისეთი ჰაერი სდგას სიცხეებში, რომ ზღვის პირზედ კაცის გავლა-გამოვლა შეუძლებელია. ამას დავუმატოთ ახლა ის მოძრაობა მუშა ხალხისა, რომელიც ამ ჟამად ოჩემჩირეში არის; ეხლა აქ არის დიდი მუშაობა ტყისა, სიმინდისა და სხვა ხორაგეულობის სყიდვა-გასყიდვის გამო. სამი კამპანიაა (ამხანაგობა) ამ ჟამად აბხაზეთში, ორი საფრანგეთიდან და ერთი ბელგიიდან ტყის სავაჭრო საქმეების საწარმოებელად, და თითქმის ყოველ ცეცხლის გემით მიდიან და მოდიან თავის მუშებით და ვეჯებით ამათი აგენტები. ხოლო ვინ არიან აგენტები? ეს აგენტები არიან ევროპისანი და მოგზაურობა აქვთ იმ ქვეყნებშიც, სადაც ხოლერა ხშირი სტუმარია ხოლმე. ერთის სიტყვით, ჩვენი ოჩემჩირე იქმნება გარემოცული იმისთანა ვითარებითა, რომ სწორედ საშიშარია, ამ პატარა მიყრუებულმა დაბამ ტულონსა და მარსელს არ დაუწყოს ჯიბრი და არ უთხრას: ,,თხა თხის უარესი მგელმა შეჭამოსო''.

ჩვენ ჩვენის მხრით ვურჩევთ აქაურს საზოგადიებას, რომ ამ თავითვე შეუდგნენ საქმეს: ამოირჩიონ რამდენიმე კაცი, შეადგინონ სანიტარული დასი და მიანდონ ამ დასს სიმართლე მზრუნველობასა, როგორც დაბის გასუფთავებისათვის, აგრეთვე მაზედაც, რომ როგორმე ამ დასმა გამოიგონოს რაიმე საშუალება და აქაური საზოგადოება ააცილოს ბინძურ ჭებიდან წყლის ხმარებას, ვგონებ ეს საძნელო საქმე არ არის; რადგანაც აქ მცხოვრებლების რიცხვი ცოტაა და ნახევარ ვერსტზედ მშვენიერი მდინარე ჩამოგვიდის. ორის წყლის მზიდველი მუშა საკმაო იქნება ამისათვის, მიანდონ აგრეთვე იმ აღმორჩეულ პირთ, რათა თვალ-ყური ადევნონ ბაზარს, რომ არავინ გაბედოს გაყიდვა ცუდის საჭმელებისა, დამპალის ხილისა და სხვა ამ გვარის მავნებელის ხორაგისა.

საჭირო არის, რომ მოვიგონოთ წარსულის წლის ივლისი და აგვისტო. ამ ორის თვის განმავლობაში აქ ერთი კაციც არ დარჩენილა, რომ მუცლით ავად არ გამხდარიყოს. მართალია, დიდი ზარალი არაფერი მოუტანია აქ ამ სენს, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ყოველთვის ,,კოკა წყალს არ მოიტანს''. ეს ერთი, და მეორე - ,,ფრთხილთა დედანი არა სტიროდნენო''. ღმერთმა აგვაშოროს ავი ჭირი და სენი, თორემ მერმე რაღას ვუშველით თავს. მეტადრე იმისთანა ადგილას, როგორიც ოჩემჩირეა? ექიმმა რომ ერთი ბოთლი კახური ღვინო წამლათ დაგინიშნოს, ან ბათუმიდან და ან სუხუმიდან უნდა გამოიწერო; ისიც თუ ამინდია, მოგივა, თუ არა და უნდა უცადო ზღვის პირს ამინდს. თუ დაუბერა ქარმა და აღელდა ზღვა, მშვიდობით არა თუ ერთო ბოთლო კახურო ღვინოვ, არამედ ცოლიცა და შვილოც! მოდი და ამისთანა ადგილას ნუ გაუფრთხილდები შენ თავს!! (ივერია, N69, 1886 წელი);

***

აფხაზეთში ერთი საარხეოლოგიო ნაშთი კიდევ აღმოჩენილა. როგორც გვწერენ, ნ. ოლკოვის მამულში სოხუმიდამ სამს ვერსტზედ ტყესა სწმენდნენ მუშები და რაღაც ქვითკირის ხვრელი იპოვესო. ეს ხვრელი მე თვითონ ვნახეო და შევედი შიგაო. სიმაღლითა და სიგანით ერთი საჟენი იქმნებაო. ძირს იატაკი და ზეით ჭერი ქვიტკირისავეაო. მე თითქმის სამი საჟენი გავიარე ამ გვირაბშიო, მაგრამ მეტად შორს წასვლა ვეღარ გავბედე, რადგანაც ბნელოდა და თან სანთელიც არა მქონდაო. (ივერია, N83, 1886 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

სოხუმი. მცხოვრებნი სოხუმისა და აქ მომსვლელნი აქამომდე ეტრფიალებოდნენ სოხუმის მშვენიერ და კეკლუც ბუნებასა, და არავის არ ეგონა, რომ მახლობლივ ჩვენის ქალაქისა ოცდ-ათ ვერსზედ წებელში: ობლად სდგას ძველნი ტაძრები, მდიდარნი ძველის ნივთებითა.

ამ ნივთების პოვნამ და განხილვამ მოგვცა საფუძველი მსჯელობისა, რომ აფხაზეთში ქრისტიანობა მტკიცე ფეხზედ მდგარა და ქართველებს დიდი გავლენა ჰქონიათ აფხაზებზედ. პატივცემულთ მკითხველთ ეცოდინებათ გაზეთებიდგან, რომ წებელში აღმოსჩნდა ძველი ხატები წმიდა ეკატერინისა, წმიდა გიორგისა, წმიდა თეოდორესა და მაცხოვრისა. ზედ წარწერილნი სიტყვანი ამ ხატებზედ არიან ქართულნი ხუცურის ასოებით დაწერილნი. მაშასადამე, უნდა დავრწმუნდეთ, რომ ოდესმე აქ ქართულ წირვა-ლოცვას ჰყოლია მსმენელნი. ერთად ამ ხატებთან ეწყვნენ სხვა-და-სხვა სპილენძის ნივთნი, რომელნიც ამტკიცებენ წარმართების განვლენასაც აფხაზებზედ, მაგრამ ვინც იცის აფხაზეთის ისტორია და უმეტესს დიოსკურიისა (სოხუმს ძველად ეძახდნენ ბერძნები „დიოსკურიას“), არ გაჰკვირდება ქრისტიანულ და წარმართულ ხელოვნების შეერთების გამო. სხვა-და-სხვა საუკუნეებში აქ სცხოვრობდნენ ეგვიპტელები, ბერძნები, რომაელები, თათრები, ქართველები, ამისათვის საკვირველი არ არის, რომ ერთსა-და-იმავე ადგილზედ არიან დარჩენილნი სხვა-და-სხვა გვარნი ძეგლნი და სახსოვარნი მათის საქმისა და მოღვაწეობისა.

ჩვენმა არხეოლოგმა ბატონმა დიმიტრი ბაქრაძემ, რომელმაც განიხილა ვრცლად მოხსენებულნი ძველნი ნივთნი, ნაპოვნი წებელში, დაგვიმტკიცა, რომ წარწერანი ხატებზედ ეკუთვნის მეთერთმეტე საუკუნეს. გარდა ამისა ბნ-მა ბაქრაძემ გვაჩვენა ის შესანიშნავი სპილენძის ჯვარი, რომელიც მან იპოვნა წებელში. ამ წებელში ეხლა სცხოვრობს გაზეთის „кавказъ”-ის რედაქტორად ნამყოფი ბ-ნი ვორონოვი. ვორონოვის მახლობლად სდგას ძველი ტაძარი და ამ ტაძარში აღმოსჩნდა კიდევ შესანიშნავნი ქვები სხვა-და-სხვა გამოხატულებითა. ბაქრაძემ გვიამბო, რომ ამ ქვებ შორის ერთი უმეტესს შესანიშნავი არისო, და მასზედ პირველად გამოსახულია ჯვარცმა მაცხოვრისა, მარჯვნივ და მარცხნივ მაცხოვრისა არიანო ჯვარცმულნი ორნი ავაზაკნი. შემდეგ - ღვთის მშობელი თავის მხოლოდ შობილის ძით; გარდა ამისა იოანე ნათლის მცემელი და ნათლის-ღება იესო ქრისტესი, რომლისკენაც მიმართულია საკურთხეველად ხელი მამა ღვთისა. მეორეს მხრით შესანიშნავი არის მხატვრობა მამლისა. ეს მამალი მკაცრად უყურებს მოციქულს პეტრეს, რომელიც ხელებით პირს იფარებს, რომ არ დაინახოს მამხილებელი თვალები მამლისა. ამის გვერდით არის მხატვრობა პეტრე მოციქულის ჯვარ-ცმისა. მოციქული თავით არის მიკრული ჯვარზედ ქვევით და ფეხებით ზეით, ამათ ქვევით არის სახე ვეშაპისა, რომელსაც გადაუყლაპავს ადამიანი წელამდინ; გარდა ამისა არის დახატული ერთი დიდებული ვაჟ-კაცი, მჯდომარე მშვენიერ ცხენზედ, ეს ვაჟ-კაცი მისდევს ირემსა, ირემის რქებზედ ზის ერთი წმიდა კაცი და სცდილობს არ გაუშვას, ცხენი არის შეკაზმული უნაგირითა და სხვა-და-სხვა მორთულობითა, რომელიც ძველ დროს იცოდნენ და ახლაც იშვიათად, ათასში ერთხელ შეიძლება ჰნახოს კაცმა. მეორე მხედარის სახეც არის, რომელიც აგრეთვე ზის მშვენიერ ცხენზედა; დასასრულ, ჩვენ ყურადღებას იზიდავს გამოხატულობა არქიერისა თავის შესამოსელით. არქიერს გვერდს უდგა საცეცხლურითურთ ერთი მთავარი. იმედი არის, რომ ბ-ნი ბაქრაძე უფრო ვრცლად და უმჯობესად ასწერავს ამ ნივთებს და ამით გაამდიდრებს სხვა-და-სხვა გვარ ხნობასა... /კოწია/. (ივერია, N111, 1886 წელი);

***

სოხუმიდგან მოუწერიათ, რომ გუმისტინის განყოფილების უფროსს უპოვნია ერთი ვერცხლის ფული, რომელზედაც გამოხატულია რომის იმპერატორი მარჯა ავრელიას პირი-სახეო. იმპერატორის სახელი ფულს ლათინურად აწერია. ეს ფული ამ უფროსს აფხაზეთში, განთქმულ პიწუნდის მონასტერში უპოვნია. (ივერია, N114, 1886 წელი);

***

სოხუმიდამ მოუწერიათ, აქაურებმა გარდასწყვიტეს, რომ ააშენონ ქალაქის ხარჯით სკოლა, რომლისათვისაც 14 ათასი მანათია გადადებულიო. ამ სასწავლებელში წერა-კითხვის

გარდა, სახელოსნო კლასებიც იქნებაო და ხელოსნობასა და ბაღოსნობას შეასწავლიან შეგირდებსაო. (ივერია, N127, 1886 წელი);

***

სოხუმიდამ გვატყობინებენ, რომ აქ ამ ჟამად კიდევ მძვინვარებს საქონლის ჭირიო, ლამის ამ ერთის წლის განმავლობაში მთელი საქონელი ხელიდამ გამოგვეცალოსო. მეყასბეებს დაუდგათ ამინდი, თითო ხარს ხუთ-რვა მანეთად ყიდულობენო.

იქიდამვე გვატყობინებენ: ამ დღეებში ეკკლესიის ხეობაში ფილოქსერის გამომკვლელ დასს კიდევ აღმოუჩენია ეს ვენახის ულმობელი მტერი.

იქიდამვე გვწერენ. უბრალო დღიური მუშა დღეში მანეთი ღირსო. ხანდისხან მანეთადაც კაცი არ იშოვნებოდაო. (ივერია, N146, 1886 წელი);

***

სოხუმიდამ გვწერენ: წელს მოსიარულე, ან უკედ ვსთქვათ მოწანწალე არტისტებმა ლამის არაქათი გამოგვაცალონ. მოდის და მოდის სხვა-და-სხვა ჯურის ხალხი ამ საცოდავს სოხუმში. ვინ არის ეს ხალხი? მოგზაური ტრუპპა. რა რჯულის ხალხია? რუსი, სომეხი, ბერძენი, პოლიაკი და სხვა ათასი. სოხუმელები მიესწრაფებიან წარმოდგენაზე; მაგრამ იქიდამ ყურებ-ჩამოყრილნი და იმედ-მიხდილნი მიდიან წინ. იწყევლიან თავს, ფიცს სდებენ, რო აღარ წავალთ წარმოდგენაზე.

სოხუმში ვიღაც ტფილისელი სომხები ჩამოვიდნენ და ისეთი აფიშა გააკრეს, რომ ვიფიქრეთ, ეს მაინც იქნება, კარგი რამ იყოსო. აფიშაში იყო მოხსენებული რომ აზიურს ენებზე იმღერებენ, წარმოადგენენ სხვა-და-სხვა ვოდევილებს და სხვანი და სხვანი. ვიფიქრეთ, იქნება, ახლა მაინც არ მოვსტყუვდეთო; წავედით. პირველად დაიწყეს სომხური სიმღერები, რომელზედაც სომხები უკმაყოფილონი დარჩნენ; შემდეგ იმღერეს რამდენიმე ქართული ლექსი, მაგრამ ჯერ ლექსი ლექს არა ჰგვანდა და მეორედ კილო ებრაულ-სომხური იყო. ამაზე სიმღერის შემდეგ წარმოადგინეს რუსულ-სომხურ-სპარსულ ენაზე ვოდევილი. ვოდევილი გვარიანი იყო შინაარსით. ბოლოს ითამაშეს ქართულად ვოდევილი ორი მშიერი; უშინაარსო, ბალაგანური და საძაგელი რამ იყო. (ივერია, N149, 1886 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

სოხუმი. კურთხეულს ქვეყანას რომ იტყვიან, სწორედ ჩვენი ქვეყანაა. ღმერთს აქ დაუბერტყია თავის წყალობის უხვი კალთა. ზამთარი აქ თითქმის სრულებით არ იცის. თვით იანვარში ვარდნი დაუმზრალნი არიან, მინდვრები მწვანედ შემკობილნი, ზაფხული გგონია მუდმივ აქ. ამბობენ, იტალია მშვენიერი ქვეყანა არისო, მაგრამ ჩვენი აფხაზეთი უმშვენიერესი უნდა იყოს. ლიმონი, ფორთოხალი და სხვა მცენარენი, რომელნიც სამხრეთის თბილს ქვეყნებში ხარობენ, აქაც კარგად იზრდება. ეს არის მიზეზი, რომ შარშან ჩვენმა სამეურნეო საზოგადოებამ ჩინეთიდამ რამდენიმე ჩინელნი ჩაის მოხელენი გამოიწერა. ჩაის მცენარე, ვსთქვათ, ისეთი სათუთი არ არის, რომ გარდა სოხუმისა და იმის არე-მარისა, არსად არ იხაროს. იმერეთში ზესტაფონიდამ მოკიდებული თვით ნოვოროსიამდის დაბლობ და მზიან ადგილებზე ჩაის ბუჩქი ყველგან იხარებს და საჭიროც არის, რომ სამეურნეო საზოგადოება რამდენსამე ათსა და ასს მანეთს დახარჯავდეს და ყველა იმ ადგილებში, საცა ვაზი ზამთრობით დაუმარხველადა სძლებს და ადგილი სამხრეთისაკენ არის მიქცეული და დაქანებული, დაანერგინოს მცხოვრებლებს ჩაის ბუჩქები.

ჩაი ჩვენის საუბრის საგანს არ შეადგენს და ამიტომ ამას თავი დავანებოთ. მე მოგახსენებთ,

რომ აქ აფხაზეთში თითქმის ყოველ-გვარი ძვირფასი მცენარე ხარობს. იმის თქმა აღარ უნდა, რომ პური, ქერი, სიმინდი, ყოველ-გვარი მცენარე ჩვენის ქვეყნისა და ბოსტნეულობა მოდის ადვილად და უხვადა. აქ დღიური ადგილი აძლევს მუშას ორას ფუთ სიმინდამდის, კოდი რომ ოთხს ფუთად ვიანგარიშოთ, გამოვა, რომ ერთი დღიურს 50 კოდი სიმინდი გამოდის. ასეთი გამოსავალი უფრო მაშინ გაუკვირდება კაცს, თუ მიიღებს მხედველობაში რომ იმერეთსა, ქართლსა და კახეთს დიდი შრომა და ჯაფა უნდა სიმინდისა, მაგრამ აქ მიწას იმის მეათედი შრომა და ჯაფა არ ესაჭიროება, რაც ჩვენი ქვეყნის სხვა ადგილასა. ამ ქვეყანაში კარგს მუშა-კაცს შუძლიან ორ-სამ წელიწადს ფულიანი კაცი გახდეს.

მაგრამ, საუბედუროდ, აქაურობა დაცარიელებულია ამ ჟამად, თითქმის ერთი მეასედი ნაწილიც არ არის დასახლებული აფხაზეთისა, საცა გაიხედავ, არე-მარე გავერანებულია, ადამიანი არ მოსახლებს. ამ ომის შემდეგ აქ დაიწყეს გარდმოსახლება სხვა-და-სხვა მილეთის ხალხმა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ჟამად აქ ყველა ხალხზე ბლომად რიცხვითაც და სიმდიდრითაც მეგრელები უფრო არიან. საკვირველი ხალხნი კი არიან ეს მეგრელები. მათდა საქებრად უნდა ვსთქვათ რომ, თუმცა ამათ ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები ეღობებათ, მაგრამ ამათი რიცხვი დღითი დღე ათობით და ასობით მატულობს. მეგრელები სხვათა შორის იმ გარემოების წყალობითაც მატულობენ, რომ ამათთვის აქაური ციებ-ცხელება სურდოს მსგავსი სნეულებაა; სხვა ქვეყნელები კი ასში ერთი თუ იტანს აქაურს ჰავას. მეგრელს გარდა მხოლოდ ბერძნები იტანენ კიდევ კარგად ჰაერს.

წელს უამისოდაც დაჩაგრული და ახლად მოშენებული ჩვენი მხარე საქონლის ჭირმა ძრიელ უკან დასწია. ოთხფეხა, რქიანი, მსხვილი საქონელი თითქმის განახევრდა აქ. მართალია, შარშან კარგი მოსავალი მოვიდა, მაგრამ წელს ძრიელ ეშინიანთ ხარების უყოლობის გამო სიმინდი დაუთესელი არ დარჩესო.

ამ დღეებში დაბრუნდნენ უკან თავის სამუშევრიდამ ის ინჟინრები, რომელნიც ამ ექვსის წლის წინად გაიგზავნენ სოჩასა და სოხუმს შუა გზა-ტკეცილის მიმართულების გამოსაკვლევად. ამბობენ, ამ გზის კეთება წელსვე უნდა დაიწყონო. რასაკვირველია, ასეთ უგზო ქვეყანაში გზის გაკეთება სასიამოვნო საქმეა, მაგრამ ჩემის აზრით, გზა აქ უფრო საჭირო და სასარგებლოა, საცა ხალხი ბლომად სცხოვრობს და გზა კი არ არის; ამ გვარია სოხუმის აღმოსავლეთით მდებარე ადგილები და სამურზაყანო. ეს ადგილები ზღვაზედაც ძალიან არიან დაშორებულნი და არც არავითარი გზა აქვსთ, ამას გარდა ამ ადგილებიდამ გამოდის აუარებელი ხე-ტყე, სიმინდი, დაფნის ფოთოლი და სხვა ადგილობრივი ნაწარმოები. /ანთიმოზი/, (ივერია, N152, 1886 წელი);

***

სოხუმში მოსულა კომისია მოსკოვის არხეოლოგიის საზოგადოებისა. ამ კომისიაში არიან სიზოვი, მიხაილოვი, ნიკიტინი, სალავიოვი და გრაფინია უვაროვისა, რომელთაც განზრახვა აქვსთ, დაიარონ აფხაზეთის ტყეები და გასინჯონ იქაური ძველი ნაშთები. ამაზედ დაწვრილებულნი ცნობანი დღევანდელს ჩვენს კორრესპონდენციაში იბეჭდება. (ივერია, N160, 1886 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

სოხუმი**.** ორი კვირაა, რაც მოვიდნენ აქ საარხეოლოგიო საზოგადოების წევრები: ბბ. სიზოვი და ნიკიტინი. დღეს კიდევ მოემატათ უნივერსიტეტის სტუდენტი, ახალგაზდა გრაფი უვაროვი; დედა გრაფისა დარჩენილა გზაში, ახალის ათონის სვიმონ კანანელის მონასტრის განსახილველად.

აფხაზეთში არის შემდეგი შესანიშნავი მონასტერი: ბიჭვინტისა, ლიხინისა, სვიმონ კანანელისა, დრანდისა, მოქვისა და ბედიისა. იმედი არის, რომ ამ არხეოლოგების შემწეობით ბევრს რამე შესანიშნავს ცნობას შევიძენთ.

თვითოეულს არხეოლოგს აქვს მინდობილი თავისი სამუშაო. მაგალითებრ: ბ-ნ სიზოვმა უნდა გორხანა გათხაროს; ნიკიტინმა, როგორც არხიტექტორმა, უნდა განიხილოს ძველი შენობაები. ამათ თანა ჰყავთ ერთი ახალგაზრდა ფოტოგრაფი. რანაირ მუშაობას მოჰკიდებენ ხელს გრაფინია უვაროვისა და მისი შვილი, ჯერ არ ვიცით.

ბ-ნი სიზოვი უნდა ახსოვდეს კარგად ქუთაისის საზოგადოებასა, რადგანაც ისტორიის მასწავლებლად იყო ქუთაისის გემნაზიაში. აქამდინაც ძრიელ უყვარს ჩვენი ქვეყანა და ბედნიერად მიაჩნია თავის თავი, რომ კიდევ მოუხდა საქართველოში მოსვლა. ამ ორი კვირის განმავლობაში სიზოვმა და ნიკიტინმა გასინჯეს სიმონ კანანელის მონასტერი, დრანდისა და ოთხი სხვა-და-სხვა ძველი შენობა. თითონ სოხუმში სიზოვმა ზღვის პირის მახლობლად გაათხრევინა ერთი ალაგი, სადაც აღმოჩნდა სხვა-და-სხვა გვარი ნამტვრევები კრამიტისა, ეს ნაშთი ამტკიცებს, რომ შავის ზღვის პირად და განსაკუთრებით დიოსკურიაში ბერძნები ყოფილან. (დიოსკურიას ეძახოდენ ძველად ჩვენ ქალაქს სოხუმს.) გარდა ამისა ამ გათხრილს ალაგში აღმოჩნდა ერთი ძველი მანათი აგრეთვე ბერძნების დროისა. დრანდის მონასტრის მახლობლად ერთს დანგრეულს ტაძრის ქვაზედ იმავე არხეოლოგმა სიზოვმა ნახა წარწერა ქართულს ენაზედ, ხუცურის ასოებით: „წმიდა ნიკოლოზი“. ამ გვარი ხუცური ასოები აღმოჩნდა სვიმონ კანანელის მონასტრის მახლობლადაც ერთს ძველს საყდარში. სამწუხაროდ, აქ ვერავინ ვერ მოახერხა წაკითხვა ამ წარწერისა. მხოლოდ ეს ორი სიტყვა ძლივ გაჭირვებით ამოვიკითხეთ: „ქრისტე შემიწყალე“...

მე იმ აზრისა ვარ, რომ აფხაზეთში თავ-და-პირველად ჰქონდათ გავლენა ბერძნებსა, შემდეგ რომაელებს, გენუელენს და ვენეციანელებს და დასასრულ ქართველებსა. ოთხასის წლის თათრების მფლობელობამ ბევრი რამე გააოხრა და ამისათვის სამძიმოა ეხლა ძველის ქრისტიანობის ნაშთების პოვნა.

ის ქვები, რომელიც იპოვეს წებელში და რომელზედაც არის გამოხატული ჯვარ-ცმა ქრისტესი ორის ავაზაკითა, ჯვარ-ცმა პეტრე მოციქულისა და სხვანი, ეხლა სოხუმში აწყვია. არხეოლოგებს ჰსურთ ფოტოგრაფიით გადახატონ. ერთს ქვაზედ ცხადადა სჩანს ხუცური წარწერა: „წმიდა თეოდორე შემიწყალე მე“. დახატული სახე წმ. გიორგისა, რომელიც შუბით ჰკლავს ვეშაპსა; ერთის წმინდანისა, რომელიც ზის ცხენზედ და შუბით კლავს ადამიანსა. როგორც აქ ამბობენ სამღრთო წერილის მცოდნენი, ეს უნდა იყოს წმინდა მერკური, რომელმაც მოჰკლა ივლიანე განდგომილი - რომის იმპერატორი. გასაკვირველია და შესანიშნავი ერთი მხატვრობა: კაცი ზის მეფესავით, ხელს იბანს და ვითომც რაღასაც ეუბნება ახლო მდგომარე მოსამსახურეთა და მხედართა. მოსამსახურეებს უჭირავთ წყლის ჭურჭლები, ხოლო მხედარნი სდგანან და შესცქერიან მეორე კაცს, რომელიც იქვე წევს. ნუ თუ ეს სურათი ჰნიშნავს პილატეს სამსაჯავროს? ძნელია ამისი თქმა.

გრაფინია უვაროვის მოსვლის შემდეგ არხეოლოგები აპირებენ წებელში წასვლასა, ხოლო ბ-ნი სიზოვი მიდის იმ ალაგის დასათვალიერებლად, სადაც კოდორის წყალი ერთვის შავ-ზღვასა. ამ წყლის მახლობლად არის ერთი ალაგი, სადაც მრავლად ჰპოულობენ ძველებურის კრამიტის ნატეხებსა. გარდა ამისა იქვე მახლობლად არის ძალიან მშვენივრად შენახული ქვის აუზი. ეს აუზი მუდამ სავსეა ანკარა წყაროს წყლით. შიგ ჰცურავენ მოწითალო თევზები. დრო და შეძლება უნდა, რომ კარგად გამოიკვლიონ სიმდიდრე აფხაზეთისა. არა თუ ზღვის პირი, არამედ მრთელი აფხაზეთი მოფენილია შესანიშნავის საარხეოლოგიო ნაშთებითა. რა სიმდიდრეა დაფარული დედა-მიწაში ამას ბევრი ხანი გავა, რომ ვერ შევიტყობთ. საკმაოა

ვსთქვათ, რომ აქ არის ქვა-ნახშირი, თეთრი მარმარილო და სხვანი. /კ. მაჭავარიანი/. ქ. სოხუმი, (ივერია, N160, 1886 წელი);

ფელეტონი
მგზავრის შენიშვნები
(სოხუმიდამ სოფლად)

„დადგა გაზაფხული. გაიღვიძა ზამთრის ძილიდამ სიცივით მიყუჩებელმა ბუნებამ. ყოველი სულდგმული გახარებულია, ყველაფერს სიცოცხლის ნიშანი და ხალისი ეტყობაო“, მოგვითხრობენ ხოლმე აღტაცებით გაზაფხულზე იმ ქვეყნების მწერალნი, საცა მართლა რომ გრძელი და საშინელი ცივი და ყინვიანი ზამთარი იცის. ჩვენ, კავკასიის ამიერ მცხოვრებთა და განსაკუთრებით აფხაზეთში მყოფთ, ამ გვარად ვერ გაგვიტაცებს ზამთრის გასვლა და გაზაფხულის დადგომა. აქ იანვარშიაც კი შეჰხვდები ბუჩქიდამ გამომცქერალს, დაუმზრალს და სუნოვანს ვარდს, მინდვრები მთელის წლის განმავლობაში მწვანედ არიან შემკულნი, მრავალნი დიდრონნი მცენარენიც კი მწვანე ფურცლებს არ იცვლიან ხოლმე; მართალია ზოგიერთი მცენარე, როგორც მაგალითად: მუხა, წიფელა, რცხილა და სხვანი ამ გვარნი, იცვლიან ხოლმე იანვარში და ხან ქრისტესშობის თთვეში ფოთოლს, მაგრამ ეს იმდენად არ ეტყობა ჩვენს აფხაზეთს, როგორც სხვა ქვეყნებს. აქ ძნელად თუ გამოარჩევ ერთს დროს წლისას მეორე დროისაგან და შეიტყობ, როდის გავიდა ზამთარი და დადგა გაზაფხული, ან როდის გავიდა შემოდგომა და დადგა ზამთარი. ეს თუ არის მიზეზი, რომ ჩვენებურები, საცა უნდა წაიყვანო, არ მოიწონებენ ხოლმე სხვა ქვეყნების ბუნებას, არ მოდიან ხოლმე სხვებივით აღტაცებაში. აფხაზეთში რომ უცხოელნი მოვლენ, განსაკუთრებით ჩრდილოელნი ნემენცნი და ვაკე-რუსეთის მკვიდრნი, ბუნების მშვენიერების გამო ენა დაებმისთ ხოლმე, აღარ უნდათ მოშორდნენ ამ ქვეყნიურს სამოთხეს; მოსვლისთანავე გარდასწყვეტენ, ჩვენს სამშობლოში ყველაფერს გავყიდით და აქ დავსახლდებითო, მაგრამ, როცა უცხოელნი ასე ლაპარაკობენ, მათ არ იციან აქაურის ადგილის განსაკუთრებული თვისება. ხშირად მოდიან აქ ფულიანები და სამი-ოთხის წლის შემდეგ, თუ ციებ-ცხელებას გადაურჩნენ, გაღატაკებულნი მიდიან ისევ თავის ნაფუძვარზე დასახლდებიან კვალად ძველ ნანგრევთა შორის.

ამ ბოლო დროს აფხაზეთის კეკლუცმა ბუნებამ ბევრი უცხოელი მოიტყუილა და დაასახლა აქ. უმეტესი ნაწილი ამათი, როგორც მკითხველებმა უნდა უწყოდნენ, უკვე გარდასახლდა საიქიოს წიაღსა შინა აბრაამისასა, იქ-საცა მართალნი განისვენებენ, დანარჩენი უმცირესი ნაწილი კი აქა-იქ მოსახლეობს აფხაზეთის ტყე-ველებში. ურიგო არ იქნება, ცოტა რამ მაინც ვიცოდეთ ამ მოსახლეებზე. ვიცოდეთ, ვინ როგორ სცხოვრობს, ან სულიერად, ან ხორციელად, ვის როგორი მამული და ადგილი აქვს მიცემული და ვის როგორი სახლ-კარი მოუმართავს.

***

დილის ხუთი საათი იქნებოდა, როცა მე, აქაური უფროსი და მიწის მზომელი შევსხედით ცხენებზე და გავსწიეთ სოხუმიდამ აღმოსავლეთისაკენ. სოხუმის თან-დანებება და მიტოვება აქაურს მცხოვრებს ისე არ ესიამოვნება, როგორც რომელსამე დიდის ჟღრიამულიანის ქალაქიდამ სოფლად გასვლა, ამიტომ რომ სოხუმი ამ ჟამად მცირე ქალაქივით არის სივრცითაც და შიგ მცხოვრებთა რიცხვითაცა. აქ, მხედართ გარდა, სცხოვრობს სამი ათასი სული კაცი და ქალი (3,000 სული), როგორც შარშანდელის ერთ დღიურის აწერილობიდამ სჩანს; აქაურ შენობათა ფასი არის სულ შვიდას ოცი ათასი მანეთი, (720,000 მან.) ასე რომ ჩვენი სოხუმის სყიდვა ადვილად შეუძლიან ერთს რომელსამე ცოტაოდნად შეძლებულს ამერიკელს, ან ევროპიელს კაცსა. ერთის შეხედვით, სოხუმი კარგს სოფელსა ჰგავს. მიზეზიც

სწორედ ეს არის, რომ აქედამ გასვლა მაინცა-და-მაინც ძრიელ არ გესიამოვნებათ, თუ მარტო გასეირნება და სოფლის ჰაერი გნებავთ და თუ სხვა რამ მიზეზი არა გაქვთ მგზავრობისათვის. ამასაც რომ თავი დავანებოთ, სოხუმიდამ სადმე წასვლა იმითაც არ არის სასიამოვნო, რომ გარშემო ერთი რიგიანი გზა არ მიდის არსაითკენ, ასე 20 ვერსის მანძილზე მაინცა. ძველად, როცა აფხაზები სცხოვრობდნენ, სასოფლო გზები, ავი იყო თუ კარგი, მაინცა ჰქონიათ, ახლა კი ეს გზები უხალხობისა და მკვიდრთა სიმცირისა გამო ხე-ტყეს დაუფარავს და სამუდამოდ წაუშლია პირვანდელის გზების კვალი. ამ ბოლოს დროს, მართალია, ხალხი მოდის სხვა ქვეყნებიდამ და ესახლებიან აქ, მაგრამ დღემდის უგზო-უკვლოდ დაიარებიან და არც არავინა ჰყავთ ამაზე მზრუნველი.

***

სოხუმიდამ მარჯვნივ შავი ზღვა გადაგვეჭიმა თვალ-წინ და გაშმაგებულის ლომივითა ღრიალებდა, თითქო ჩანთქმას გვემუქრებაო. მარცხნივ მაღალი გორაკები მისდევდნენ ერთმანეთს ზედ-მიყოლებით. ამ გორაკებიდამ ზღვის ღრიალს ბანს აძლევდა ბუნება. ზღვის შფოთვისა და აღბორგების ღრიანცელის დროს ხშირად გვესმოდა ბულბულის სტვენა-გალობაცა და გვიტკბობდა ზღვისაგან შეწუხებულს სმენას.

სოხუმიდამ მდ. კელაფურამდის ოთხი ვერსია. ამ მდინარეზეა ახლად აშენებული მშვენიერი ხის ხიდი. თუმცა აქაური მცხოვრებნი იძახიან, ამ ხიდს გიჟი კელაფური ნამქერობაზე გაიტანსო, მაგრამ ეს მე არა მჯერა, რადგანაც ხიდი ახალს და კარგს გეგმაზეა გაკეთებული. ხიდს გაღმა არის პატარა ვაკე ადგილი, ასე ორმოცის დღიურის სივრცისა. ამ ვაკე მინდორს აღმოსავლეთის მხრით ზღვიდამ მოკიდებული ძველი ქვითკირის კედელი მისდევს. ეს კედელი, როგორც აქაურები ამბობენ, კავკასიის მთის ძირამდე, ანუ უკედ ვსთქვათ, სვანეთამდე არის გაყვანილიო. ეს ლაპარაკი ჩვენ არ შეგვიმოწმებია და ამიტომაც არ შეგვიძლიან ვსთქვათ, რამდენად ნამდვილია. ამას გარდა, იმასაც ამბობენ, რომ მდინარის პირად რომ ვაკე ადგილი მოვიხსენიეთ, იქ ქალაქი იყო ძველად გაშენებულიო. ამას სხვათა შორის ამტკიცებს მარმარილოს ფილაქანი თათრულის ზედ-წარწერილობითაო, მაგრამ იმის თქმა კი არ შეგვიძლიან, რა დროინდელია ეს ქვებიო, რადგანაც თათრული კითხვა არ ვიცითო. განვლეთ ეს ძველის დროის ძველი ნაშთი და გავეშურენით ჩვენის გზისაკენ.

***

სოხუმიდან 12 ვერსი გვქონდა სწორედ გავლილი, რომ მოვედით იმ ადგილას, საცა თ. გ. რ. ერისთავის მამული და ტყეებია. მივედით ამ მამულში, მაგრამ რა ვნახეთ!? აქ გახურებული მუშაობაა ამ ჟამად. ადამის დროიდამ ხელ-უხლებელი ადგილები გაუწმენდიათ და ზოგს კიდევ ეხლაცა ჰწმენდავენ და ასუფთავებენ. ვიკითხეთ, ვიწვრილეთ ყოველივე ამის ამბავი და აღმოჩნდა შემდეგი: თ. გ. რ. ერისთავს რამდენიმე ასი და ორასი დღიური თავისი მამული გაუყიდნია მეგრელებისა და იმერლებისთვის შემდეგის პირობით: მსყიდველმა ექვსი წლის განმავლობაში დესისტინაში (ორი დღიური) თითო თუმანი უნდა აძლიოს თ-დს ერისთავს. ამ დროში მსყიდველს ნება ეძლევა, როგორც უნდა ისარგებლოს. აქ, რასაკვირველია, ერისთავიც მოგებულია, რადგანაც აფხაზეთში ჯერ-ჯერობით სამოც მანათად დესიატინა არ გაყიდულა; ამასთან მყიდველიც მოგებაშია, რადგანაც დესიატინა ადგილზე შეუძლიან ასი მანათის შეშა მაინც მოსჭრას. ამასთან ისიც კარგია, რომ გლეხები მესაკუთრედ და მამულის პატრონებადა ჰხდებიან. ამ გვარის საქმისათვის თ. ერისთავი დიდის თანაგრძნობის ღირსია. მხოლოდ ჩვენის მხრით ამას ვიტყვით, რომ ფრიად კარგი იქმნებოდა, თავისი მამული უფრო გლეხებს მიჰყიდოს და არ ჩაუგდოს ხელში ისეთებს, ვინც მერე გლეხებსვე მისცემს იჯარით და სულს ამოართმევს. კარგი იქმნებოდა აგრეთვე თითო მოსახლეს მიეყიდოს არა უმეტეს ათი დესიატინისა, ანუ 20 დღიურისა.

***

განვშორდით ერისთავის მამულს და შევედით ფშაფის სოფელში. აქა სცხოვრობენ მეგრელები, ასეასს კომლამდის; აქ ყველას გორაკებზე გადაუჭიმავს ხის ოდები, მუხის ყავრით დახურული. ეს სოფელი სწორედ იმერულს კარგად მოწყობილს სოფელს მოგაგონებთ. სოფელს ძირს ჭალა მისდევს და მშვენიერი სახნავ-სათესი მიწებია. აქაურები ძრიელ მადლიერნი არიან თავიანთის ბედისა, მხოლოდ მეზობლის სოფლის მცხოვრებთაგან მოსვენება არ აქვს ამათ საქონელს: გადაადგამს თუ არა იმ სოფლის სამზღვარზე ფეხს ამათი საქონელი, იჭერენ და ერთ ათად ახდევინებენ. მეორე სოფლის საქონელმა ამათი ყანებიც რომ გააფუჭოს, მაინც ამათ ნება არა აქვთ ხელი ახლონ. ფშაფელმა მეგრელებმა მითხრეს, დრანდელებს მოურიგდებით ოდესმეო, მაგრამ ეხლა-კი ჩვენი შემწე მაღალის ღმერთის მეტი კაცი არ არის და მეტი ღონე არ არის, უნდა ვითმინოთო. სხვა სოფლებშიაც, როგორც მიამბეს, ასევე ბედი სწვევიათ სამეგრელოდამ გადმოსახლებულს ახალ-შენშია.

***

ფშაფს ზედ მოსდევს სოფელი დრანდა თავის ძველებურის და ახლად შეკეთებულის დრანდის დიდებულის მონასტრით. ეს სოფელი თავის ადგილ-მდებარეობით მთელს აფხაზეთში ერთად ერთი უმნიშნელოვანესი ადგილია. კაცს ასე ჰგონია, რომ აქაურობა ხელ-ქმნილიაო. ადგილი სამხრეთ-დასავლეთიდამ აღმოსავლეთ-ჩრდილოეთისკენ თან და-თან მაღლდება.

აქაურებიც ახალი გადმოსახლებულნი არიან და შედარებით კარგად სცხოვრობენ, მაგრამ ამ ადგილზე რომ ჩვენებური ხალხი მოსახლეობდეს, მართლა რომ სამოთხე იქნება ეს ადგილი. წყალი, შეშა, ნოყიერი მიწა, ჰავა, ბუნება, სიკეკლუცე უხვად აქვს ამ არე-მარეს. ერთმა ჩემმა თანამგზავრმა ასე სთქვა: დრანდის მონასტრის ამშენებელი ნამდვილი პოეტი და ბუნების დიდი მოყვარე ყოფილაო. ამ სოფელში სცხოვრობენ მალდავანები ორმოცდა-ათ ოჯახამდის, მონასტერი ამ ორი წლის წინედ რუსის ბერებს მიეცათ საცხოვრებლად და ამჟამად აქ სცხოვრობს ოთხმოც-და-ათი ძმა-ბერი. ხანდახან, მგონია, ხშირადაც, ძრიელი უკმაყოფილობა მოსდისთ ხოლმე ბერებსა და სოფლელებს, რადგანაც ძრიელ ახლო-ახლო სცხოვრობენ ერთმანერთისგან.

***

დაგვეზარა მოვშორებოდით ამ სოფელს, მაგრამ, მეტი ჩარა არ იყო, უნდა წავსულიყავით, რადგანაც საქმე სხვაგან გვიწვევდა. ჩქარა გავიარეთ დრანდის სოფელი და შევედით ესტების სოფელში. ეს სოფელი მდ. კოდორის კიდეზეა გაშენებული. პირველად არც კი გჯერა, თუ აქ სოფელია, აქა-იქ ორიოდე სახლი სდგას, თითო-ოროლა ფერ მიხდილი ესტი დაღოღავს და წელში ჩვენებური წალდი ურჭვია. ან კი რა სასოფლო ადგილი აურჩევიათ საწყლებს. ამ დაბლობ ადგილას, მე მგონია, ბაყაყებიც კი ციებით უნდა იხოცებოდნენ, არა თუ ესტლიანდიდამ მოსულნი ესტნი. ამათი აქ დასახლების შესახებ მიამბეს შემდეგი: ადრინდელის ადმინისტრაციის აზრი იყო, რომ სოფლები ვაკე ადგილებზე გაეშენებინა და ვაკე გზებითვე შაეერთებინაო. ამ დალოცვილის ადმინისტრაციის წარმომადგენელთ გზა მცხოვრებლებისათვის კი არ უკეთებიათ, მცხოვრებლები უსახლებიათ ისეთ ადგილას, რომ გზამ ადვილად გაიაროსო. ამიტომაც არის, რომ აქ ახლა არც გზა სჩანს და არც სოფელი გადარჩება წელს შემოდგომამდის. ან ამოსწყდებიან, ვინც შარშანდელ ციებას კიდევ გადურჩა, ან სადმე გარდასახლდებიან.

***

ამ საცოდავის სოფლიდამ მივედით სოფ. ვლადიმიროვკაში. აქ სულ წმინდად რუსები

მოსახლობენ. სოფელი პირველ შეხედულობითვე რუსის სოფელსა ჰგავს, მხოლოდ სოფლის შენობებს ზედ მოსდევს სიმინდები, რასაც რუსეთში ვერ შეხვდებით. ამ სოფლის მცხოვრებელნი რუსნიც ძრიელ უჩივიან ციებ ცხელებას; ამ ჟამად, ვინც კი გადარჩენილან ციებ-ცხელებას, გვარიანად სცხოვრობენ, მაგრამ ამათი ცხოვრება რა არის, როცა ასს კაცში ოცი-ღა თუ გადარჩენილა. უნდა გითხრათ, რომ ამ გვარი შეთვისება მიწა-წყლისა ვერაფერი შეთვისებაა. როცა ჩვენ გავიარეთ ამ სოფელში, პატარა ყმაწვილების გარდა ადამიანი არ მოიძევებოდა; მიზეზი ამისი, როგორც შევიტყეთ, მუშაობა იყო; მთელი სოფლის ქალი და კაცი მინდვრად გასულიყო სამუშოდ.

***

ამ სოფელში დიდი ხანი არ გავჩერდით, აქედამ გავემგზავრენით იქვე ახლო მდებარე სოფელ ნიკოლაევსკისაკენ, საცა ამ ორის წლის წინედ ბოლგარნი სცხოვრობდნენ და ამ ჟამად იმათ წასვლის შემდეგ მეგრელებმა შეისყიდეს იმათი ადგილები და ესენი მოსახლობენ. სოფელი, როგორც მიამბეს მცხოვრებლებმა, უწინ, ბოლგარიელთ დროს უფრო ლამაზი და სუფთა იყოვო; ეს შეიძლება მართალიც იყოს, ამიტომ რომ ჩვენებურებს ჩვეულებად აქვთ იყოლიონ შინაური ფრინველები, შინაური ცხოველები, როგორც მაგალითად, ღორი, თხა, ცხვარი, ძროხა და სხვანი. ესე ყოველივე, რასაკვირველია, სოფელს სისუფთავეს არ შესძენენ, მაგრამ უამათოდაც არ შეიძლება ჩვენებურის გლეხის ცხოვრება. ამ სოფელს ზედ აკრავს მეორე სოფელი, რომელიც რუსებით და ბოლგარებით არის დასახლებული.

მეგრელები შეძლებით თითქმის ყველა სხვა აფხაზეთში მოსახლე ხალხზე მდიდრები არიან, მხოლოდ ეს არის ამათი მოუხერხებლობა, რომ ჩვენებური კამეჩის ურემი ვერ შეუცვლიათ რუსულის ცხენით შებმულ „პოვოსკაზე“, რომელიც სიჩქარით ერთი ხუთად სჯობს კამეჩებ-შებმულ ურემს. სანამ კამეჩი სოხუმში ჩამოვიდოდეს, მანამ რუსული „პოვოსკა“ ჩამოვა სოხუმში, გაასაღებს ჩამოტანილს ხორაგეულობას და ისევ იმავ დღეს ბრუნდება შინ. ამ გვარ სისწრაფეს დიდი მნიშვნელობა აქვს გლეხისათვის და ჩვენი გლეხები ჯერ ჯერობით ვერ შესთვისებიან ამ რუსულ ,,პოვოსკას''.

აქ ისიც უნდა მოვიხსენიოთ, რომ ყველა ამ სოფლებს მხოლოდ ორი ეკკლესია აქვთ: ერთი მონასტერი „დრანდა“ და მეორე ამ ნიკოლაევსკის სოფლის ეკკლესია; უმეტესი ნაწილი ამ ეკკლესიებში მოსიარულეთა მეგრელები არიან და მღვდელიც ნიკოლაევის ეკკლესიისა ჩვენებურია. წირვა ლოცვა თითქმის მუდამ სლავიანურ ენაზედ არის ამ ეკკლესიებში, წიგნები სულ სლავიანურებია; ქართული ხუცური წიგნები არ იყო ეკკლესიაში. ქართული წიგნები მღვდელსა აქვს თავის სახლშიო. ჩემმა თანამგზავრმა უფროსმა თავისი საქმე გაათავა, შემდეგ მიგვიპატიჟეს სადილად ნიკოლაევის სოფლის მეგრელებმა და კარგად გაგვიმასპინძლდნენ. საათის მეოთხე იყო, როცა ჩვენ ცხენები მოგგვარეს, გამოვემშვიდობენით სოფლელებს, შევსხედით ცხენზე და საღამოს ცხრა საათზე დავბრუნდით ისევ სოხუმს. /ანთიმოზ ჯუღელი/. (ივერია, N165, 1886 წელი);

***

სოხუმიდამ გვატყობინებენ, რომ იქ კვლავ აღმოჩენილა ფილოქსერა - ეს საშინელი მტერი ვაზისა. აქაური საფილოქსერო დასი გულმოდგინედ მუშაობს ამ თვალთ უჩინარის მწერის გასაწყვეტადაო. (ივერია, N199, 1886 წელი);

***

სოხუმიდამ გვწერენ, აქეთ წელს გაზაფხული ძლიერ ნოტიო იყოვო, ზაფხული ხმელიო და შემოდგომის დამდეგი ნოტიო არის და დიდი სიცივეებიც დაიწყოვო. ამ ჰაერის ცვლილებასა და სხვა-და-სხვაობას საშინელი ციებ ცხელება მოჰყვაო. ასე გასინჯეთ, ამბობს

კორრესპონდენტი, სოხუმში ისეთი ოჯახი არ არის, საცა ორი, სამი კაცი ციებ-ცხელებით არ იყოს ავადაო.

იქიდამვე გვწერენ: „როგორც შევიტყვეთ, ობერ-პროკურორი უწმიდაესის სინოდისა აფხაზეთში მყოფობის დროს ახალ ათონის მონასტერში მიბძანებულა სამს სექტემბერსაო. ძლიერ მოსწონებია ბერების მოწყობილება და უბრძანებია ბერებისთვის: „ჩვენს ქვეყანას დიდი იმედი აქვს თქვენი და თქვენც აასრულებთ, ვგონებთ, იმის სურვილსაო, ამ უდაბურს ქვეყანაში შეიტანთ სწავლა-განათლებას და ქრისტიანობასაც გაავრცელებთო.“ (ივერია, N200, 1886 წელი);

***

სოხუმიდამ გვწერენ, რომ წელს აქ შარშანდელზედ ნაკლებს მოსავალს მოელიან, როგორც სიმინდისას, ისე სხვა ჭირნახულისასაო. (ივერია, N201, 1886 წელი);

***

აფხაზეთიდამ გვწერენ: აქ ისმის, რომ აფხაზეთის კათედრის მღვდელმთავრად ამ მოკლე ხანში მოსკოვიდამ მობრძანდება ეპისკოპოსი, რომელიც ამას წინად დაუნიშნავს უწმინდაესს სინოდსაო. (ივერია, N201, 1886 წელი);

***

სუხუმიდამ გვწერენ: ჭლექით ავად-მყოფნი, ვინც იყვნენ აქ, წავიდ-წამოვიდნენ: ზოგი მორჩა სრულიად, ზოგი ცოტად უკედ შეიქნა და ზოგი კი ისევ ისე იყო, როგორც აქ მოსვლამდეო. 20 სექტემბრამდე აფხაზეთში კარგი დარები იყო. 20 სექტემბერს კი ისეთი წვიმა დაუშვა, რომ ნიაღვარს არე-მარე თან მიჰქონდაო. წვიმამ სულ 15 წამს გასტანა, მაგრამ მაინც დიდი ზარალი მოგვცაო. გზები სულ წაახდინა, ბოგირები წაიღო წყალმა და სიარული ახლა აღარ შეიძლებაო. ბოგირებს კიდევ ისე არ ვიჩივლებთ, ბევრი ფული არ უნდათ იმათ გაკეთებას, საქმე ის არის, რომ კელასურის ხიდიც დაგვინგრია ნიაღვარმა. სამის წლის განმავლობაში აშენებდნენ ამ ხიდს, დიდ-ძალი ფული დახარჯეს და ყველა ამან ფუჭად ჩაიარა. უგზო-უკვლობის გამო სამი კვირაა, ფოსტა არ მიგვიღია ოჩამჩირითგანაო. (ივერია, N208, 1886 წელი);

***

აფხაზეთს წლეულ ცუდი წელიწადი დაუდგაო. სიმინდი კარგი ვერ მოვიდა. შარშანდელი მოსავალი სიმინდისა ბევრადა სჯობს წლევანდელსა, ამ ბოლოს დროს ქურდობა და სახლების გატეხა ძალიან გახშირდა აფხაზეთში.

სამეგრელოდამ გვწერენ, რომ დაბა ოჩამჩირეში აგერ მეორე წელიწადია, რაც მოქმედობს ახლად დაარსებული პირველ-დაწყებითი სკოლაო. სასკოლო სახლი ააშენა თავის ხარჯით ოჩამჩირის საზოგადოებამ. ოჩამჩირეს შეეწივნენ სხვა გარეშემო სოფლებიცაო და სამერმისოდაც იტვირთეს ამ სკოლის ხარჯიო. სახლის აშენებაში მთავრობაც დაეხმარა. სკოლაში ამ ჟამად ასზე მეტი ბავშვი დაიარება: ქალი და ვაჟიო. ამ სკოლის მოსწავლენი აქაურის ვაჭრების შვილები არიან სულა, ესე იგი, იმერლები და მეგრელებიო. ყმაწვილები დაიარებიან აგრეთვე ახლო სოფლებიდამ: ილორიდამა და ბერლახუბადამაო. (ივერია, N215, 1886 წელი);

* * *

სოხუმიდამ საჩივარზედ იწერებიან, რომ გაზეთები რიგზედა და თავის დროზედ არ მოგვდისო. ამას წინად 27 სექტემბრის ნომრები ოდესაში გაეგზავნათ და მერე, ორი კვირის

შემდეგ, მივიღეთ უკან ოდესიდამაო. აგერ კიდევ რამდენი ხანია, გაზეთები არ მოგვდის არც ქართული და არც რუსულიო. ვინ იცის, ჩვენი გაზეთები ხომალდმა ოდესას იქით გააცილაო. მივაქცევთ ამ გვარს უწესობაზედ ჩვენის ფოსტისა და ტელეგრაფის უწყების ყურადღებასა. იმედი გვაქვს, რომ კვლავ სუხუმელებს გაზეთები თავის დროზედ მიუვათ ხოლმე. (ივერია, N224, 1886 წელი);

სოხუმიდამ სოფლად
(მგზავრის შენიშვნები)

აი, დღეს, 12 ოქტომბერს დილით, მეშვიდე საათზე ერთი ჩემი ნაცნობი მოვიდა ჩემთან და მითხრა, თუ დრო გაქვს, „წებელდში“ მივდივარ და წავიდეთო. ეს წინადადება მე დიდად არ მესიამოვნა. დავთანხმდი, რასაკვირველია, იმ წამსვე ჩავიცვი სამგზავრო ტანთ საცმელი, საჩქაროზედ დავნაყრდით მე და ჩემი თანამგზავრნი და გავუდექით გზას. სულ ოთხნი ვიყავით, რადგანაც ჩვენ იმ დღესვე უნდა უკან დავბრუნებულიყავით, ცოტა არ იყოს ფეხ-აჩქარებით მივდიოდით. შვიდი ვერსი იმ გზით გავიარეთ, რომელიც უკვე ამას წინად ავუწერე მკითხველს. შემდეგ მივედით მდ. მაჭარაზე, რომლის ხეობას მისდევს გვარიანი ვაკე და ფართო გზა-ტკეცილი. გზის აქეთ-იქით არის ხშირი ათას გვარ მცენარით დაბურული დიდი ტყე. ამ ჟამად ეს ტყე მაინც-და-მაინც დიდ სასიამოვნოს არას წარმოადგენდა; ამ გზით სასიამოვნოა გავლა გაზაფხულობით და ზაფხულობით; გესმის ურიცხვ ფრინველთა ჟივილ-ხივილი და გალობა; ოც ნაბიჯს ვერ გადასდგამ, რომ რომელმამე ტყის ნადირმა არ გადაგირბინოს წინ. ეხლაც-კი შეგხვდებათ აქა-იქ გარეული ღორი და მშველი, მაგრამ ისეთის მხიარულებით არ დაედევნება ეხლა მონადირე, როგორც ზაფხულობით.

გზების ახლო-მახლო მდებარე ადგილებს რომ უკვირდები, ატყობ, რომ აქ უწინ სოფლები ყოფილა. ამ ჟამად ამას ჰმოწმობენ ხეხილები და კარგის ჯიშის ვაზები. ნასოფლარებში მაინც ამაზე მეტი სხვა რა უნდა დარჩენილიყო. აფხაზები სახლებს უბრალო წკნელისაგან აკეთებენ, არ იციან საშვილიშვილო შენობები. ცეცხლი თუ წაეკიდა აქაურს სოფელს, ისე დაიწვის ყოველივე, რომ სრულიად აღარა დარჩება-რა. ქვითკირისა მხოლოდ ეკლესიები თუ არის სადმე, თორემ სხვა შენობას არაფერსა ჰნახავთ ქვითკირით ანაგებსა. აქა-იქ კოშკებიც არის, მაგრამ ძალიან იშვიათად-კი. ოთხი ვერსი ისე გავიარეთ, რომ არა თუ ნასოფლარი, კაცის ნასადგურებიც არ დაგვინახავს; მერმე წინ გადაგვეშალა ლამაზი ახალ-შენი სოფელი მერხეული თავის ახალის კოპწია ქვითკირის ეკკლესიით. ეს სოფელი არის დასახლებული გზა-ტკეცილის პირად მეგრელებითა. აქ, როგორც მიამბეს, ცხოვრობს ოც-და-ათ მოსახლემდის მეგრელიო უნდა მართალი მოგახსენოთ, რომ ასე კარგად მოწყობილი სახლ-კარი არა აქვსთ არა თუ ასე მცირე ხნობით მოსულ მკვიდრთა, როგორც ეს მეგრელები არიან, არამედ იმათაც-კი, ვინც ასის და ორ ასის წლობით მოსახლეობს ერთსა და იმავე ადგილას. აქ ისეთი გლეხი არ იქნება, რომ ოთხას-ხუთასის მანეთის სიმინდი მაინც არ გაჰყიდოს წელიწადში. ამ სოფელს კარგა ბლომად ადგილ-მამული აქვს მიცემული. სოფლის ბოლოს გაუკეთებიათ მშვენიერი ქვითკირის წყარო, რომლის მახლობლად ჩვენ მგზავრნი დავსხედით და კარგად დავნაყრდით.

გავიარეთ აქედამ ვერს ნახევარი და მარჯვენა მხრივ მაღლობზე დავინახეთ ერთი კოპწია თეთრად გალესილი სახლი. ვისია ეს სახლიო? იკითხა ერთმა მგზავრმა. ამის თქმა და სახლიდამ პატრონის კარებში გამოსვლა ერთი იყო. ეს გახლდათ ბ-ნი ს. კიზირია, აფიცერი. ამ კიზირიას, როგორც მიამბეს, უყიდნია ამ ადგილას ორას ოთხმოცი დესიატინი მამული ძალიან იაფად, თითქმის ჩალის ფასად. ახლა დესიატინაში სამოცი მანეთი რომ სთქვას, არ ალაპარაკებენ და ისე მისცემენ. მაშინ კი ხუთ თუ ოთხ მანეთად უყიდნია. ბ-ნს კიზირიას სიმინდი უთესია ბევრი, ასე რომ ორი თუ სამი ათასი ფუთი სიმინდი მაინც მოუვა წელს.

სხვათა შორის ამ დღეებში ამ ადგილებში ამოუჩენიათ ქვა-ნახშირი საუკეთესო თვისებისა. არ იციან კი რამდენი იქნება. აქედამ ზღვის პირამდის ათი ვერსია მხოლოდ და მისასვლელ-მოსასვლელი გზაც კარგი აქვს.

კიზირიას ადგილს დასავლეთის მხრივ საზღვრავს გენერალ ლინევიჩის ადგილი. ბ-ნი ლინევიჩი დესიატინას ოც მანეთად აფასებს. ამისი მამული სულ 526 დესიატინაა. ლინევიჩის მამულიდამ შევედით ერთს დიდს ხეობაში, რომლის მსგავსი მხოლოდ დარიალის ხეობა თუ არის. გზა ერთი საჟენი ძლივს იქნება სიგანით. მარჯვნივ თვალჩაუწვდენელ ფლატოს ჩაყურებ, მარცხნივ კედელსავით აყუდებული პიტალო კლდე გადმოგყურებს. როგორც იყო განვლეთ ეს კლდოვანი ადგილი დიდის გულის ცახცახით. ეს ვიწრო ხეობა სულ ექვსის ვერსის მანძილზეა. განვლეთ, როგორც მოგახსენეთ, და შევედით წებელდის თავში. აქ არის გაშენებული ორი სოფელი: ვოლგინსკი და პოლტავა. პირველში სცხოვრობენ ბერძნები, მეორეში - რუსები, ის რუსები, რომელნიც ამას წინად ერთმა ვიღაც ყაზახმა მოიყვანა. საწყალი რუსის გლეხები, როგორც უკვე უწყის ჩვენმა მკითხველმა, ცივებით იხოცებიან, ემდურიან თავიანთ ბედს, მაგრამ რა ჰქმნან?!

ბერძნების სოფელი ერთს კარგ დაბას წარმოგიდგენსთ. თითოეულ მოსახლეს აქვს ლამაზი ქვითკირის ორსართულიანი სახლი. ან კი რატომ არ ექნებათ ქვის შენობა, როდესაც ქვის შენება თვითონვე იციან. მართლია, წელს ეს სოფელი ყინვას ძრიელ დაუზიანებია, მაგრამ მაინც კარგს სანახავს წარმოადგენს. ყოველის სახლის გვერდით არის აუარებელი გაქანდრული თუთუნი გასახმობად. ასე გგონია, რაღაც ახალმოდის შენობები დაუწყიათო. ამ სოფლის სასახელოდ უნდა ვსთქვათ, რომ აქაურებს თავის ხარჯით გაუკეთებიათ მშვენიერი ქვითკირის ეკლესია და იქვე ახლოს არის აგებული სკოლისათვის სახლი. ამ სკოლაში სწავლობს ამ ჟამად ათი ყმაწვილი, სწავლა ბერძნულ ენაზეა, რადგანაც მასწავლებელი ტრაპიზონელი კაცია. ყველა ახლად დასახლებულ ხალხში ბერძნებმა და სომხებმა აჯობეს სხვებს, ამათ თითქმის ყველას სკოლა აქვს თავის ხარჯით. სხვები თუმცა კარგად შეძლებულები არიან, მაგრამ სკოლისათვის არა ჰზრუნავენ. /ანთიმოზ ჯუღელი/, (ივერია, N233, 1886 წელი);

***

მკითხველს მოეხსენება, რომ აფხაზეთში სახელდობრ ბზიმის ხეობაზე დიდი ტყეებია ბზისა. ბზა ძალიან ძვირია და ჰღირს 1 მ. 50 კ-დამ 3 მანეთამდე ფუთი. თუ ბზის ხე იმოდენად გაიზარდა, რომ 5 გოჯზე მეტია სისქით, ბზას იმდენი ფასი აღარა აქვს. ბზიმის ტყეს ამ ჟამად არავინ არა სჭრის და არა ჰხმარობს გასაყიდად, რადგან მთავრობამ ჯერ ისევ 1874 წელსვე აღკრძალა ბზის ტყის ჭრა და გასყიდვა. აღკრძალა კიდევ იმიტომ, რომ ჯერ მთავრობას არ გამოუკვლევია, რამდენია სულ ტყე ბზიმის ხეობაზე, რამდენის მოჭრა შეიძლება წელიწადში ისე, რომ თვით ტყეს არა ევნოს-რა, რომ რამდენიც მოიჭრას, იმდენივე მოიმატოს და გაიზარდოს ხელ-ახლად, ერთის სიტყვით, მთავრობას ჯერ ესრედ წოდებული ტაქსაც არ შეუდგენია და არ დაუწესებია. ამის გამო ტყე უქმად არის და არც კერძო პირთათვის, არც მთავრობისათვის სარგებლობა არა მოაქვს-რა და არა თუ სარგებლობა, ზარალი აქვს დიდი თვით სახელმწიფო ხაზინას: ბზის ხეები იზრდება და მაშასადამე ფასი აკლდება. ვინც იცის ამ ტყის ვითარება, ისინი ამტკიცებენ, რომ მთავრობის ზემოხსენებულის განკარგულების გამო, ხაზინას თითქმის 5 მილლიონის მანათის ზარალი აქვს წელიწადშიო.

ამ ჟამად, როგორც ამბობენ, ზოგიერთს კერძო პირთ განუზრახავთ სააქციონერო საზოგადოების შედგენა. ამ საზოგადოებას აზრად ექმნება სჭრას აფხაზეთში ბზის ტყე და ჰყიდოს ბზა რუსეთსა და ევროპაშიო. (ივერია, N242, 1886 წელი);

***

სოხუმის საეპისკოპოსო კათედრაზედ დაუნიშნავთ არხიმანდრიტი გენადი, რომელსაც აკურთხებენ ეპისკოპოსად ქ. მოსკოვშიო.

გაზ. ,,Од. Лист.''-ი ამბობს, რომ ოჩემჩირეს წავიდა დირექტორი იმ საფრანგეთის ფულიანის კაცების ამხანაგობისა, რომელმაც იქ რამდენსამე მილლიონ ფრანკად შეიძინა ნება მოიხმაროს ტყეები პრინცის ოლდენბურგისაო. დირექტორს განზრახვა აქვს, რომ დიდ-ძალი ტყე ჰზიდოს იქიდამ ოდესაში და ოდესიდამ მერე სამზღვარ-გარედაო. (ივერია, N272, 1886 წელი);

1886 წელი

ჟურნალი ,,მწყემსი''

სამურძაყანოდამ

თუმცა კაი ხანია, რაც ჩვენს საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებიდამ ეკკლესიების ტეხა და გლეჯა გვესმის, მაგრამ ამ ჩვენს სამურძაყანოში ამ გვარი შემთხვევა, დამამდაბლებელი კაცობრიობის ღირსებისა, დღემდის არ ყოფილა. მართალია, რომ აქ ქურდობა ძალიან ხშირი მოვლენა არის და რომელი კაციც კაი ქურდი არ არის, ის კაცად არც კი ითვლება აქაურების თვალში, მაგრამ აქ დღემდის არ გაგონილა, რომ ვისმეს ეკკლესია გაეტეხოს და იქიდგან რამე საეკკლესიო ნივთი წაეღოს. ამ ბოლოს დროს, საუბედუროდ, აქაც იჩინა თავი ამ გვარმა მოვლენამ. წარსული წლის დეკემბრის 7-ს აქ გასტეხეს მთელს სამურძაყანოში შესანიშნავი ეკკლესია, რომლიდგან გაიტანეს ყოველივე ძვირფასი საეკკლესიო სამკაულნი, 2500 მ ღირებულნი. ამასთანავე წაიღეს ეკკლესიიდგან წმინდა გიორგის ორი ხატი, რომლებიც გაკეთებულნი იყვნენ ვერცხლისაგან და დაფერილნი ოქროში. ეს ხატები შემკულნი იყვნენ სხვა-და-სხვა ძვირფასი თვლებით, რომელთა ფასი კაცმა არ იცის. ადგილობითმა ადმინისტრაციამ ყოველივე ღონე იხმარა და ხმარობს, რომ ეს დაკარგულნი ნივთები და მათი წამღებლები აღმოაჩინოს, მაგრამ დღემდე ვერას გახდა და, ვგონებთ, შემდეგშიაც არა გამოვიდეს რა.

ზემოდ მოხსენებულნი ხატები ძალიან სახელგანთქმულნი იყვნენ მთელს აფხაზეთში და სხვა მხარეშიაც. ურიცხვი მლოცველები მოდიოდნენ აქ სალოცავაად. ერთს ამ ხატს აქაურები ეძახდნენ ,,წველი მარდიანს'' და მეორეს ,,ჯგუვე მაცხოვარს''. თუმცა სამურძაყანოში დღეს ქრისტეს სწავლას მტკიცედ არა აქვს ფეხი მოდგმული, მაგრამ ამ ხატებს კი დიდს პატივსა-სცემდენ ყველანი, როგორც მამა-პაპათგან დატოვებულ წმინდა ნაშთს. ისეთ ოჯახს ვერ ნახავთ აქ, რომ ამ ხატების შესაწირავად არ ყავდეს გაშვებული ძროხები ანუ სხვა რამე საკლავები; მსხვერპლს სწირავდნენ ამ ხატებს ყოველ წლობით და სხვა დაწესებულ შესაწირავს გზავნიდნენ ადგილობით ეკკლესიაში ორივე ხატების სახელობაზედ. ძვირად მოხდებოდა, რომ ამ ხატების წინაშე რომელიმე სამურძაყანოელს სიცრუე ეჩვენებინა, როდესაც სახარების და ჯვრის წინაშე ნამდვილ სიცრუეზე იფიცებენ ზოგიერთები. ამ გვარად ამ ხატების წყალობით ცოტათი მაინც იყო აქ დაცული ქრისტიანობა. დღეს კი ამ ხატების დაკარგვამ ცუდი გავლენა იქონია ყველაზე. დღეს აქ ყველანი გაიძახიან: ,,ეგრეთმა ძლიერმა ხატებმა როგორ მისცეს ცუდ კაცებს ნება, რომ ისინი ეკკლესიიდგან გაეტანათ და რატომ მათ ეკკლესიაშივეარ დახოცეს ქურდები''. ასეთი საქმეები ხდება ამ ჩვენს განათლებულ საუკუნეში, როდესაც, როგორც აქაური მოხუცებულები ამტკიცებენ, ეკკლესიების ტეხა უწინდელ

დროში არასოდეს არ მომხდარა სამურძაყანოშიო. ამ მოხუცებულების სიტყვებიდამა სჩანს, რომ ზოგიერთი ეკკლესიების კარები უმეტეს ნაწილად არც კი იკეტებოდნენ უწინო, მაგრამ მაგალითი არ ყოფილაო, რომ ვინმეს ეკკლესიიდამ რამე საეკკლესსიო ნივთები წაეღოსო. ამასთანავე ზოგიერთმა მოხუცებულებმა ამ დაკარგული ხატების შესახებ მიამბეს შემდეგი: ,,თუ რომელიმე სოფელში ვინმე შევიწროებული იქმნებოდა ძრიელი პირისაგან, ის მოირბენდა ამ ხატების ეზოში, მაშინ მდევნელი ამ ხატების შიშით თავს ანებებდა დამნაშავეს და თავის დღეში მას არას დაუშავებდა. ამით აიხსნება სწორედ ის ფაქტი, რომ იმ ეკკლესიის მახლობლად, სადაც ეს ორი ხატი ესვენა, ბევრი სხვა-და-სხვა გვარის კაცები სცხოვრობენ. ალბათ ისინი თავის სოფლებიდამ გამოქცეულან რამე დამნაშაობისა გამო და აქ შეუფარებიათ თავი. იმედი გვაქვს, რომ ადგილობითი ადმინისტრაცია ყოველივე ღონეს იხმარს ამ ეკკლესიიდამ წაღებული ნივთების და ხატების აღმოჩენისათვის და ქურდებსაც შესაფერს სასჯელს მიანიჭებს. /სამურძაყანოელი მისიონერი/. (მწყემსი, N5, 1886 წელი);

აფხაზეთიდგან

ოცდა ექვს სეკტემბერს უეცრად მობრძანდა ყველასაგან პატივცემული და საყვარელი ყოვლად სამღვდელო, იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი. უეცრად მობრძანდათქო, ვამბობ იმიტომ, რომ აქ ამა წლის იანვრიდამ ახალი ეპარქია არის დაწესებული. აფხაზეთს საკუთარი ეპისკოპოსი უნდა ეყოლოს და ბატ. სინოდის ობერ პროკურორმა კიდევაც გვაუწყა, რომ ამ მოკლე ხანში მოგივათ ახალი ეპისკოპოსი მოსკოვიდამო. ყოვლად სამღვდელო გაბრიელის მობრძანების მიზეზი გახლდათ ახლად განახლებულის ძველი მონასტრის დრანდის კურთხევა. ამ მონასტრის საკურთხლად პირველად მიმართეს საქართველოს ეგზარხოს, მისს მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობას პავლეს და სთხოვეს მობრძანება, მაგრამ ამ საქმის აღსრულება მან მიანდო იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს; ესეც მობრძანდა. თვით მონასტრის კურთხევაზე არაფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რომ ამ დღეს აქ დიდი ხალხი დაესწრო. საქმე ის არის, რომ უმეტესი ამ ხალხისა გახლდა რუსეთიდამ მოსული დაბალი ერი. ასამდის ამათგან როგორც მიამბეს, კავკასიის ქედიდამ გადმოსულან ამ დღეებში. ერთი თუ ორი სიცივისაგან გზაში მიცვლილა, ორი დედაკაცი ჩემის თვალით ვნახე, რომელთაც ხელ-ფეხი დამზრალი ჰქონდათ ყინვისაგან. მონასტრის კურთხევის შემდეგ მისი ყოვლად-უსმაღვდელოესობა გაბრიელი მობრძანდა ქ. სოხუმში და ოცდა რვა სექტემბერს სწირა აქაურ ახალ სობოროში. წირვის შემდეგ თავის ჩვეულებრივი ცნობილი და საგულისხმო სიტყვა მოგვასმინა კათედრიდამ. მქადაგებელი, მართალი უნდა მოგახსენოთ, მოციქულთ შესადარია. როგორც ზღვას ვერ ამოაშრობთ ათასი კაცი რომ დაეხთნოს ვერას დააკლებს, ისე გაბრიელის დიდ არატორულს ნიჭს ყოველ წამში რომ სიტყვას ამბობდეს, მაინც არაფერი დაეტყობა, ყოველ წამში ახალსა და ახალს აზრს და ჭეშმარიტებას იტყვის. დღესაც ასე იყო, ჯერ გადმოგვცა დღის სახარების შინაარსი და განგვიმარტა იგი, შემდეგ ცოტა ხანს შეჩერდა, მოავლო თვალი ეკლესიაში მდგომთ და სთქვა: „ამ ეკკლესიაში დღეს მე პირველად და უკანასკნელად ვსწირე; ყველა აქ მყოფს გემშვიდობებით. აწ ჩემ მაგიერათ სხვა მღვდელ-მთავარი გეყოლებათ, მე მოვალეთ ვრაცხ ჩემ თავს მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომელნიც შემწეობას მაძლევდნენ ჩემს მძიმე საქმის შესრულებაში. ღვთის შეწევნით მე და ჩემმა ხელის მწყობლებმა ისეთ გზაზე დავაყენეთ ქრისტიანობის საქმე აქ, რომ დღემდის თითქმის მთელი აფხაზები გაქრისტიანდებოდნენ, მაგრამ რუს-ოსმალოს ომმა შეგვიშალა ხელი. სულ თვრამეტი წელია, რაც მე ამ ქვეყნის მღვდელ-მთავარი, მისსიონერი ვარ. ამ დროის განმავლობაში დიდი შემწეობა გამომიჩინეს ჩემმა სამღვდელოებამ განსაკუთრებით მ. დავ. მაჭავარიანმა, რაისათვის დიდი მადლობელი ვარ ამისი, ამასთანავე მადლობას ვუძღვნი ყველა აქაურ სამღვდელოებას. ამათ შემდეგ მადლობას ვუძღვნი ჩემის ვედრებით ღვთისადმი აქაურს ძველს უფროსს, აწ უკვე განსვენებულს ღენერალს გეიმანს. ეს კაცი

როგორც კარგი ადმინისტრატორი იყო, ისე დიდი ღვთის მოყვარე და ქრისტიანი იყო. ის უბრალო აფხაზსს, რომელსაც ტყეში ხეტიალის მეტი არაფერი ესმის, ისე უყურებდა, როგორც რომელიმე განათლებულ კაცს, განსხვავება ამათში, იმის სიტყვით ის იყო, რომ უსწავლელს და უმეცარს აფხაზს უფრო შებრალება და დახმარება უნდაო, ვინემ ნასწავლს და ჭკუა-გონება გახსნილსო. მუდამ ჩემთან დაიარებოდა სოფელ-სოფელ და უმარტავდა ხალხს ქრისტიანობის დიდ მნიშვნელობას და ქრისტეს მოძღვრებას. თუ არ ვცდები გეიმანი ყველა აფხაზს უყვარდა როგორც თავისი კეთილის მყოფელი. დღესაც კი დაუვიწყარია იმისი სახელი ამ ქვეყანაში. ვილოცვიდეთ ღვთის წინაშე განსვენებისათვის სულისა მისისა წიაღსა შინა აბრაამისა“. ამით დააბოლოვა ყოვლად სამღვდელომ თვისი უკანასკნელი სიტყვა. სიტყვას „მშვიდობით“ დიდი ზედ მოქმედება აქვს მსმენელზე, განსაკუთრებით თუ ეს სიტყვა მსმენელის კარგი ნაცნობისაგან, პატივ-ცემულისაგან და საყვარელისაგან არის ნათქვამი. ბრძანა თუ არა ყოვლად სამღვდელომ „მშვიდობით“ თითქმის ყველა იქ მდგომთ თვალთაგან ცრემლები გარდმოღვარეს. /ანთ. ჯუღელი/. (მწყემსი, N28, 1886 წელი);

აფხაზეთის დრანდის განახლებული ძველი ტაძრის კურთხევა იმერეთის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო გაბრიელისაგან და მისი უკანასკნელი სიტყვა აფხაზეთის სამწყსოსადმი

დიდი ხანი არ არის რაც უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ საჭიროდ დაინახა, რათა აფხაზეთში დამოუკიდებელი ეპარქია დაარსებულიყო. ამ ეპარქიაში მსახურებდნენ თავდა-პირველად შემდეგი მწყემსთ-მთავრები: გერმანე, გერონტი და ალექსანდრე, დღეს ქართლის ვიკარი, ეპისკოპოსი გორისა. მაგრამ ეს მწყემსთ-მთავრები დიდის ხნობით არ დარჩენილან ამ ეპარქიაში სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო. ამ უკანასაკნელს დროს უმაღლესი სასულიერო მთავრობის განკარგულებით ეს ეპარქია შეუერთდა იმერეთის ეპარქიას და ეს 18 წელიწადია, რაც ყოვლად სამღვდელო გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა განაგებს ამ ეპარქიას და დაუღალავად ავრცელებს აფხაზეთში ქრისტეს სწავლა მოძღვრებას. ამ თვრამეტი წლის განმავლობაში ყოვლად სამღვდელო გაბრიელის დაუღალავი მოქმედების წყალობით 19 ათას მოსლემან აფხაზებმა მიიღეს ქრისტიანობა და მოინათლენ. ყოვლად სამღვდელო გაბრიელის დაუღალავი მეცადინეობით ამ თვრამეტი წლის განმავლობაში ამ ნახევრობით გამახმადიანებულს ქვეყანაში აღშენდნენ ბევრი ეკკლესიები ახლად და მასთან განახლებულ იქმნენ ბევრს ადგილას ძველი ეკკლესიები. ველურნი აფხაზები, რომელთა შორის უწინ საშიშო იყო მოგზაურობაც ისე მოარბილა ქრისტეს სწავლა-მოძღვრებამ, რომ ისინი დიდის სიხარულით და თანაგრძნობით ეგებებოდნენ ქრისტეს სწავლა-მოძღვრების მქადაგებელთ. ერთი სიტყვით ყოვლად სამღვდელო გაბრიელის ენერგიულმა მოღვაწეობამ იქამდის მიაღწია, რომ ეს უკანასკნელი რუს-ოსმალოს ჩხუბი რომ არ მომხდარიყო აფხაზეთის მკვიდრნი მთლად გაქრისტიანებოდნენ. მაგრამ, ჩვენ და სამწუხაროთ, დღეს ამას ვერ ვხედავთ. თითქმის ყველა გაქრისტიანებული აფხაზები, მის შემდეგ რაც რუსის ჯარმა მიატოვა აფხაზეთი ძალათი წაყვანილ იქმნენ სათათრეთში ტყვედ. აფხაზებთან ერთად ამ უბედურს დროს ბევრი იმერლები და მეგრელებიც, რომელნიც ამ დროს აფხაზეთში სცხოვრებდნენ, იქმნენ ტყვედ წაყვანილნი. იმ აფხაზებთაგან, რომელნიც ტყვედ წაყვანილ იქმნენ, ზოგმა, რომელნიც ჯერ კიდევ კარგად არ იყვნენ დამკვიდრებულნი ქრისტიანობაში, ისევ მაჰმადის აღსარება მიიღეს, ზოგმა, რომელნიც სრულიად მოკლებულ იყვნენ ქრისტიანულ სწავლა დარიგებას, თითქმის მთლად დაჰკარგეს ყოველივე სარწმუნოება, ზოგმა მათგანმა კი დღემდის მტკიცედ დაიცო ქრისტიანობა. ჩხუბის შემდეგ ჩვენდა სასიხარულოდ აღმოჩნდნენ ზოგიერთი შეძლებული პირნი, რომელთაც ხელახლა განიძრახეს აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელება. ამ აოხრებულ ქვეყანაში ხელახლავ იწყეს ახალი ტაძრების შენება და ძველების განახლება. ამ ტაძრებიდგან ისევ მოისმა

ქადაგებითი სიტყვა. ეს ზემოთ მოხსენებულნი პირნი არიან ახალი ათონის მონასტრის რუსის ბერები, რომელნიც შესანიშნავნი არიან თავისი ენერგიით და მოღვაწეობით.*) ამ ბერებმა მშვენიერად განაახლეს შესანიშნავი ძველი დრანდის ტაძარი, რომელიც ჯერ კიდევ მეთერთმეტე საუკუნეში იყო დრანდის ეპისკოპოსების საკრებულო ტაძრად. 27 წარსულ ეკენისთვეს მოხდა ამ ტაძრის კურთხევა, ხოლო ეხლა აკურთხეს მონასტერი. გასაოცარი იყო, რომ ამ მონასტრის კურთხევის დროს შეიკრიბნენ რუსეთის მრავალნი მლოცველნი. მონასტრის კურთხევა შეასრულა ყოვლად სამღვდელო გაბრიელმა დეკანოზი დავით მაჭავარიანის და ადგილობითი სხვა მღვდლებითურთ. ტაძრის კურთხევის შემდეგ ყოვლად სამღვდელომ წარმოსთქვა სიტყვა.

28 ენკენისთვეს, კვირას ყოვლად ყოვლად სამღვდელო გაბრიელმა სწირა სოხუმის საკრებულო ტაძარში. წირვის გათავების შემდეგ წარმოსთქვა მან შემდეგი გამოსამშვიდებელი სიტყვა: ძმანო, მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო, უკანასკნელი წირვის აღსრულება მაღირსა ღმერთმა დღეს თქვენ შორის ამ ახალ ტაძარში. უკანასკნელად შევწირე ღმერთს უსისხლო მსხვერპლი უკეთილ-მსახურესის ხელმწიფე იმპერატორისათვის, თქვენთვის და ყველა მართლ-მადიდებელი ქრისტიანეთათვის. თვრამეტი წელიწადი მეტია, რაც ღვთის შემწეობით ვიშრომე ამ ქვეყანაში. მივაქცევ რა თქვენდამი უკანასკნელ სიტყვასა, ვალად ვრაცხ უგულითადესი მადლობა შეგწიროთ ყველა მათ, რომელნიც სიტყვით და საქმით, რჩევით და თავისი შრომით, თავისი თანაგრძნობით და ნივთიერის დახმარებით ხელს უწყობდნენ ქრისტიანობის საქმეს ამ ქვეყანაში. დაპირველად: ვმადლობ დავლოცავ იმ მწყემსთ, რომელნიც დღესაც ცოცხალნი არიან და ეხლაც მოღვაწეობენ ქრისტეს ყანაში და ყველაზე უფრო ამ მწყემსთა წინამძღვარს, შენ დეკანოზო მ. დავით! რომელიც თავიდგანვე მოუშორებლად და დაუღალავად მოღვაწეობდა ამა ქვეყანაში სასარგებლოდ მართლ-მადიდებელი ეკკლესიისა. უმაღლესმა მთავრობამ უწყის შენი მოღვაწეობა, რომელიც ღირსეულად არის მისგან დაფასებული, და ეს უნდა იყოს შენი მანუგეშებელი. პირმოუფერებლად ვიტყვი, რომ ყოველნი მწყემსნი, რომელთაც ძველად უმსახურიათ და ან რომელნიც დღეს მსახურებენ ამა ქვეყანაში, მოღვაწეობდნენ შეძლებისა და გვარად და მათი ღვაწლი მით უმეტეს თანაგრძნობისა და პატივის ცემის ღირსია, რომ ისინი ამ ქვეყანაში მსახურების დროს ბევრს სიღარიბეს, მწუხარებას და ავად-მყოფობას ითმენდნენ და დღესაც ითმენდენ. მეორეთ დიდის გრძნობით ვიგონებ უკვე გარდაცვალებულთა, საერო წოდების პირთა, რომელთაც ბევრი დახმარება აღმოუჩინეს ამ ქვეყანაში მართლ-მადიდებლობის გავრცელებას. ყველაზე უფრო ვიგონებ და სიკვდილამდის არ დავივიწყებ ჩემს ღვთისადმი ვედრებაში განსვენებულს მონასა ღვთისა, ამ ქვეყანაში უმფროსად ყოფილს, ბასილი ალექსანდრეს ძეს გეიმანს, რომელიც დიდ შემწეობას აძლევდა სამღვდელოებას, რომ მათ ამ ქვეყანაში გაევრცელებიათ ქრისტეს სწავლა. გეიმანი რამდენად შესანიშნავი იყო როგორც კარგი ადმინისტრატორი და მამაცი მხედარი, იმდენად შესანიშნავი იყო როგორც დიდი ღვთის მოყვარე და ქრისტიანი. მან კარგად იცოდა, რომ აფხაზის გულის მოგება უფრო შეიძლება ალერსით და ამით უფრო გავრცელდება მათში ქრისტიანობაც. მაგრამ ამასთანავე არ შეიძლება სიბრალულით არ მოვიგონო ბევრი მწყემსნი, რომელნიც აქაური ცუდი ჰაერის მსხვერპლად გახდნენ და რომელთაც, დაჰკარგეს რა მთელი სახლობა და შვილები, ადრე დაქვრივდნენ, და ან თავიანთი სიკვდილის შემდეგ დაუტოვებიათ ქვრივები და ობლები. ჩემს წმინდა მოვალეობად ვრაცხ ვმოწმო მთელი ქვეყნის წინაშე, რომ ამ მწყემსთა თვრამეტი წლის შრომას არ ჩაუვლია უსარგებლოდ; ღმერთმა მათი შრომა დააჯილდოვა მით, რომ 19 ათასი აფხაზი გაქრისტიანდნენ. ამ უკანასკნელი ჩხუბის დროს რომ თათრები არ შესულიყვნენ აფხაზეთში და ძალად არ წაეყვანათ სათათრეთში ახლად მონათლული აფხაზები, საფიქრებელია, რომ აქამომდე ყველა აფხაზები მართლ-მადიდებელი ქრისტიანები იქნებოდნენ. დასასრულს გადმოგცემთ თქვენ, ძმანო, ჩემს უკანასკნელს მწყემსთმთავრულ დარიგებას. დღეს წაკითხული სახარებისგან თქვენ გაიგონეთ, თუ რა მტკიცე და ცხოველი სარწმუნოება ჰქონდა უბრალო ქანანელ ქალსა. თვით მაცხოვარს გაუკვირდა მისი სარწმუნოება

და სთქვა: ჰოი დედა-კაცო! დიდ არს სარწმუნოება ეგე შენი! ქრისტესადმი ცხოველი და მტკიცე სარწმუნოება - აი ერთად ერთი საშუალება ჩვენი გაწმენდისა და ცხოვნებისა! თუ კაცს არა აქვს მტკიცე და მხურვალე სარწმუნოება, მას არ შეუძლია ქრისტიანე იყოს, კიდეც რომ მონათლული იყოს, დადიოდეს ეკლესიაში და ზიარობდეს. საუბედუროთ ახლანდელ ქრისტიანეთა არა აქვსთ ამისთანა სარწმუნოება! მოციქულის იოანნე ღვთის-მეტყველის სიტყვისამებრ ისინი არც მხურვალე არიან და არც ცივნი, არამედ ისე მოთბილო არიან! ამ ქვეყანაში, სადაც დღეს კიდევ ბევრი მკვიდრნი არიან მოუნათლავნი და რომელნიც მონათლულნი არიან, კიდევ მტკიცედ არ არიან დამკვიდრებულნი სარწმუნოებაში, განსაკუთრებით სამწუხაროა და საშიშო, როცა ჩვენ, უწინდელთა ქრისტიანეთა, განსაკუთრებით რომელნიცა აქა ვმსახურობთ და უმფროსობთ, არა გვაქვს ცხოველი და მხურვალე სარწმუნოება. ამიტომ ამ ჩემი უკანასკნელი თხოვნა თქვენს წინაშე: განაცხოველეთ თქვენს გულში სარწმუნოება, უჩვენეთ აქაურებს კეთილი მაგალითი ქრისტიანული ცხოვრებისა, გადმოიბირეთ ისინი მართლ-მადიდებელი სარწმუნოებისადმი ერთი მხოლოდ კეთილი საქმეებით. ამით თქვენ ყველაზე უკეთესად აღასრულებთ თქვენს სამოქალაქოსაცა და ქრისტიანულს მოვალეობას - ამინ.“ ამ სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე. თითქმის ეკკლესიაში ყველა მდგომთ თვალთაგან გადმოღვარეს ცრემლები. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან მსმენელთ ეს სიტყვა ესმოდათ იმისთანა კაცის პირიდგან, რომელმაც ამდენი თავის შრომა და ძალა არ დაიშურნა ამ თვრამეტი წლის განმავლობაში, რომ ქრისტეს სწავლა მოეფინა ამ გაუნათლებელ ქვეყანაში. *) როცა აფხაზეთში პიწუნდის საკრებულო ტაძარი აკურთხა საქართველოს ექსარხოსმა, არქიეპისკოპოსმა პავლემ, იმ დროს იქ დავესწარი. ტაძრის კურთხევაზე მოსულ ერთ აფხაზს ვკითხე „რომელ სარწმუნოებას აღიარებენ დღეს აფხაზები?“ ამ კითხვაზე აფხაზმა მომიგო: „წინეთ ჩვენ ვაღიარებდით მაჰმადის სარწმუნოებას, შემდეგ მივიღეთ ქრისტიანობა; რუს-ოსმალოს ჩხუბის შემდეგ ჩვენ სათათრეთში წაგვიყვანეს, იქიდგან დავბრუნდით უკან და ეხლა არცერთ ახსარებას არ ვეკუთნით. (მწყემსი, N30, 1886 წელი);

1887 წელი

გაზეთი ,,ივერია''

ახალი ამბები

სოხუმიდამ სწერენ გაზ. „ნოვ. ობოზ.“, რომ აქ ძალიან გახშირდა ქურდობა და ავაზაკობაო. პოლიციას ვერა გაუწყვია-რა და ვერ მოუსპია ეს სენიო. (ივერია, N25, 1887 წელი);

ფელეტონი. საშინელი ვალი
(აფხაზური ლეგენდა)

აფხაზეთის ერთს პატარა სოფელში, რომელსაც მშვენიერი მთა-გორიანი მდებარეობა აქვს, იყო ერთი ლამაზი ქალი, სახელად რატი. ამ სოფლის მამასახლისს ურსანს ეს ქალი გაგიჟებით უყვარდა და სურდა კიდეც ცოლად შეერთო. ურსანი ტანით, სახით, სიმამაცით და მოხდენილობით მთელს სამამასახლისოში განთქმული ბიჭი იყო. რატისაც მოსწონდა ურსანი, მაგრამ არც განსაკუთრებითს სიყვარულსა ჰგრძნობდა იმისი ნორჩი გული. რატი ძრიელ ყმაწვილი ქალი იყო, სულ თოთხმეტ-თხუთმეტის წლისა იქნებოდა; ცხოვრება ჯერ არ გამოეცადნა და მადლიერი იყო თავის ბედისა. თუმცა ურსანს დიდი ხანია თვალი

ეჭირა რატიზე, მაგრამ შერთვაზე ლაპარაკს მაინც ვერ უბედავდა. ერთხელ როგორც იყო ურსანმა გაბედა, სიტყვა ჩამოუგდო რატის ცოლად შერთვის თაობაზე: რატიმ არც „ჰო“ უთხრა და არც „არა“. რატი ობოლი იყო, არავინა ჰყვანდა ერთის ძმის მეტი, რომელიც ერთის წლით თუ იქნებოდა დაზე უფროსი. რატის ძრიელ უყვარდა თავისი ძმა. იმ დროის ამბავს მოგითხრობთ, როდესაც აფხაზების და წებელდელების შორის განუწყვეტელი, დაუცხრომელი ჩხუბი და მტერობა იყო. რატის ძმა პატარა იყო. ჯერ არც ერთხელ არა ყოფილიყო მეზობელ წებელდელებთან საომრად და ამიტომ მოუთმენლად მოელოდა იმ დროს, როდესაც იმასაც ეღირსებოდა ომში წასვლა. ურსანი შეჰპირდა რატის ძმას წებელდელებთან საომრად წაყვანას. აი წასვლის დროც მოახლოვდა. აბხაზები სალაშქროდ ემზადებიან. რატის ძმაც მოემზადა და მიდის. წასვლის წინედ ურსანმა კიდევ განუმეორა რატის თავის გულის წადილი. - აი, ხომ ჰხედავ, ჩემო ძვირფასო რატი, დღეს მივდივართ საომრად. იქიდგან, ღმერთმა უწყის, ან დავბრუნდები ცოცხალი, ან არა, მომეცი სიტყვა, რომ თუ ცოცხალი დავბრუნდი, ცოლად გამომყვები, მომეცი სიტყვა. ერთი შენი სიტყვა, მარტო იმედიც კი გამამხნევებს და მარჯვენას გამიღონიერებს. ნუ, ნუ მეპყრობი ეგრე გულ-ცივად, მოიხედე ჩემს გულშიაც, შემიბრალე მე ბედ-კრული და ნუ მტანჯავ საცოდავსა. მამაცი და წარმოსადეგი ვაჟკაცი ისე გულ-მოჩვილებული, ისე გულ-ჩაკლული ელაპარაკებოდა, ისეთის სიყვარულით სავსე თვალებით შეჰყურებდა რატის, რომ რატის გულმაც ვერღარ შესძლო, თავი ვეღარ დაიჭირა რატიმ, ნაზად და ალერსიანად შეჰხედა თავის ლამაზ საქმროს და უთხრა: - კარგი, ურსან, მე ცოლი და შენ ქმარი, მხოლოდ ამ პირობით-კი: შენ მიგყავს ჩემი ძმა წებელდელებთან საომრად. სიტყვა მომეცი, რომ სიკვდილისაგან დაიფარავ და ისევ ცოცხალსავე მომგვრი ძმას. თუ მაინც და მაინც ბედი უღალატებს და მოჰკვლენ, მაშინ მკვდრის თავი მაინც მომიტანე, რომ უკანასკნელად შემეძლოს გამოვესალმო ჩემს ძვირფასს ძმას და აქ, თავის სამშობლო ქვეყანაში, დედა-მიწას საუკუნოდ მივაბარო. - შენს სიცოცხლეს ვფიცავ, რატი, რომ წმინდად შევასრულებ შენს სურვილს! მიუგო ურსანმა. შენ ამით დიდი ლოდი მოაშორე ჩემს გულს. ეხლა თუნდ მთელი წებელდაც ჩემზე მოვიდეს, მარტოს დამესხას თავს; რაკი შენ ჩემი იქნები, შენი სიყვარული თან გამყვება, მე ვიღა დამიდგება წინ, რა მტერი-ღა გამიძლებს...

***

შეიარაღებული აფხაზები გამოვიდნენ და გასწიეს წებელდისაკენ. აფხაზებს განზრახვა ჰქონდათ, წებელდელებს ერთბაშად დაჰსხმოდნენ თავს, მაგრამ ფრთხილმა წებელდე-ლებმა შეუტიეს და ესენიც მზად დაჰხვდნენ. აი შეიქმნა ჭექა-ქუხილი თოფისა. ორსავე მხარეს ბევრი დაიხოცა; მინდორი ცოტა ხნის განმავლობაში მკვდრებით და დაჭრილებით მოიფინა. ურსანს წარბი არ შეუხრია, უკან ფეხი არ გადუდგავს; ვაჟკაცურად და მამაცურად მიუძღვის წინ თავის მეომარ აფხაზებს და დაუღლელად ომობს. რატის ძმა მხარში უდგა, გვერდითგან არ იშორებს. მაგრამ დახე გაუტანელსა ბედსა, გამოვარდა ტყვია, ეცა ურსანს ბეჭში და ურსანი პირ-ქვე დაეცა. ღონე მიხდილი ურსანი უძრავად ეგდო დედა-მიწაზე. ურსანი ცოტად გრძნობაზე მოვიდა, ნისლ-გადაკრული თვალები ოდნავ გაახილა და რა დაინახა: რატის ძმა ვიღაც წებელდელს შეჰბმია და ვაჟკაცურად ებრძვის. აგერ აკი წებელდელმა დასძლია - დასცა ძირს რატის ძმა, თავი მოჰკვეთა, ჩააგდო იქვე გუდაში და თავის გზას გაუდგა. ურსანმა ერთი საშინლად ამოიოხრა, იმ წამსვე გული წაუვიდა და სრულად გრძნობა დაჰკარგა.

***

რამდენსამე ხნის შემდეგ ურანი გონზედ მოვიდა. ადგა, მიიხედ-მოიხედა გარშემო, მაგრამ აღარც აბხაზები, აღარც მტრები აღარსად სჩანდნენ და რაღაც სიჩუმე და დუმილი სუფევდა, ურსანი მარტო მკვდრებს-ღა ჰხედავდა და მათ შორის რატის ძმაც დაინახა. ამის

დანახვაზე ურსანს ყველაფერი გაახსენდა; რაღაც სევდა და ნაღველი მოაწვა და ამის გულს შეუბრალებლად ქენჯნა დაუწყო. „რაღა უნდა ვქნა უბედურმა, რა პირით უნდა დავბრუნდე ჩემს სოფელში და ან რა თვალით შევხედო ჩემს რატის?! - თავის თავს ელაპარაკებოდა ურსანი, მე შევფიცე რატის: ძმას ან ცოცხალ დაგიბრუნებ, ან, თუ მოჰკლეს, თავს მაინც მოგიტან მეთქი და ეხლა რა პასუხი ვუთხრა? რომ ფიცი მივეცი და ვერ ავუსრულე. ეს ხომ ჩემთვის სირცხვილი და თავის მოჭრაა! ან რაღა პირით უნდა მივიდე სოფელში, ან განა ხალხშიღა გამომესვლება!.. განა ყველა ნიშნ-მოგებით არ დამიწყებს ცქერას, განა ყმაწვილების თითით საჩვენებელიც არ გავხდები, როგორც სატრფოს მოღალატე და ფიცის გამტეხი! ოხ, რატი, რატი, შენ განაცვალებ ჩემს სიცოცხლეს!“ სთქვა ეს და თვალებიდან მწარე ცრემლი გადმოყარა. - ერთი-ღა დამრჩენია, კვნესით ამოიძახა ურსანმა, ავიღო ხანჯალი, დავიცე გულში და საუკუნოდ გამოვეთხოვო ამ დაუნდობელ წუთი სოფელს. სთქვა ეს და წაიღო ხელი ხანჯლისაკენ, მაგრამ უეცრივ ვიღაც უცნობის ხმა მოესმა. - არ გაჰბედო, გადააგდე ხანჯალი! შე საცოდავო, ასე უდროვოდ რად ეთხოვები ქვეყანას! ურსანმა განცვიფრებით აიხედა ზევით და დაინახა, რომ იმის წინ მშვენიერი თვალ-ტანადი ყმაწვილი კაცი იდგა; ყმაწვილი-კაცის დაღვრემილი სახე და მაყვალსავით შავი თვალები ეცნო ურსანს, ეს კაცი წებელდელი იყო. დაინახა თუ არა ურსანმა ეს კაცი, მაშინვე მთელს ტანში რაღაც შიშის ჟრუანტელმა დაუარა. ყმაწვილი-კაცი ისევ დაღვრემილი დგას და ეუბნება ურსანს: - შე უბედურო, ნუ თუ არ იცი, რომ ქვეყანაზედ არის ისეთი სახსარი, რომელსაც შეუძლია შენის ბედნიერების დაბრუნება?! - იმისთანა სახსარი ქვეყანაზე არ იქნება, რომ რაც დავკარგე, ის ისევ დამიბრუნოს, - სასო-წარკვეთილებით უპასუხა ურსანმა და ხელ-მეორედ წაიღო ხელი ხანჯლისაკენ. - არც მთის ბოროტი სული? რაღაც უცნაურის სიცილით წამოიძახა ახალგაზდა წებელდელმა. შენ მხოლოდ იმისი სახელი ახსენე, - ამ წამსვე აქ გაჩნდება და დაგისხნის. ურსანს ხანჯალი ხელიდან დაუვარდა. მთის ბოროტი სული, წაიბუტბუტა თავისთვის ურსანმა, ამასთან მოაგონდა და დაიწყო იმ ლექსის თქმა, როლითაც მთის ბოროტს-სულს მოიწოდებდნენ ხოლმე. უეცრივ ისეთი საშინელი ხარხარი მოისმა. არე-მარემ ბანი მისცა. ყმაწვილმა კაცმა გადაიხადა ნაბადი და გაოცებულმა ურსანმა რატის ძმის მოჭრილი თავი დაინახა. - აი, შენის რატის ძმის თავიც! წაიღე, უთხრა ყმაწვილმა კაცმა და მკვდრის თავი ურსანს კალთაში ჩაუგდო. - მე ხომ შევასრულე შენი სურვილი... მე შენ ისეთი საჩუქარი მოგეცი დღეს, რომელიც შენთვის ყველაზე უძვირფასესია: გახსოვდესკი, რომ დღეის შემდეგ შენ ჩემი მოვალე იქნები. ათ წლამდე ხმასაც არ გაგცემ. ათი წელიწადი რომ გაივლის, ისეთს რამეს წაგართმევ, რომ შენთვის იმ დროს ყველაზე ძვირფასი იყოს. სთქვა ეს ყმაწვილმა-კაცმა, უჩინარად შეიქმნა და თვალ-წინ გაუქრა.

***

ურსანი ადგა, შეიხვია თავის ჭრილობა, გუდაში ჩაიდო სისხლით მოსვრილი თავი და წყნარის ნაბიჯით გაუდგა თავის სოფლისკენ გზას. სოფელს ძრიელ იამა ურსანის დაბრუნება. ცოცხალი აღარავის ეგონა ურსანი, რადგან ომიდგან დაბრუნებულ აფხაზებმა სთქვეს, რომ ურსანი და რატის ძმა ორივენი ომში დაიხოცნენო. სოფლის სიხარულმა ურსანს დარდი ვერ გადაუყარა, ურსანს სულ სხვა ნაღველი აწუხებდა. მოსვლის უმალვე ურსანი გაექანა საბრალო რატის სახლისკენ, სადაც სულჩაკლული რატი იჯდა და მწარედ ჰგლოვობდა თავის საყვარელს ძმას. რატიმ თავის ძმის მოჭრილი თავი რომ დაინახა, უფრო გული დაეწვა და ჩაეთუთქა. მწუხარებით შეპყრობილს ქალს ურსანი დიდს ნუგეშს აძლევდა და ამშვიდებდა. გაიარა ხანმა, რატიმ ცოტად გადიყარა გულიდამ დარდი და მწუხარება, და აი ერთს დღეს თავის საქმროს ურსანს უთხრა: - შენ ხომ შეასრულე შენი ფიცი, ჩემო კარგო, მეც უნდა მტკიცედ ვიყო ჩემს სიტყვაზე და ჩემი დანაპირები ავასრულო. - ნუ თუ, ჩემო მტრედო, მარტო იმისთვის მომყვები ცოლად, რომ სიტყვა მომეცი და იმ სიტყვის გატეხას ერიდები? არაფერი ნუგეშია ჩემთვის. რა ცოლი იქნები შენ ჩემი, თუ სრულის

სიყვარულით, ტკბილის გრძნობით და სურვილით არ მომდევ? რატიმ ეს ეჭვი გადაუყარა და გული გადაუხსნა. ურსანი სრულიად ბედნიერად სთვლიდა თავის თავს და მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა: ურსანი არ უმხელდა, უმალავდა რატის იმ გარემოებას, რომელმაც ასეთი დიდი ბედი სწია, რომ რატიმ სრულიად გული გადუხსნა თავის საქმროს. ურსანმა და რატიმ ჯვარიც დაიწერეს. ამათ ქორწილში მთელი სოფელი დაესწრო. ცოლ-ქმარი ბედნიერად სცხოვრობდნენ. ურსანს თითქმის დაავიწყდა კიდეც ის საშინელი ვალი, რომელიც უცნობმა წებელდელმა დაადო და უთხრა: „ათის წლის შემდეგ გადაგახდევინებო.“ გავიდა ათი წელიწადიც. ურსანი უწინდებურად ბედნიერად სცხოვრობდა, და მხოლოდ ის აწუხებდა რომ შვილი არა ჰყვანდა. - ახ, ნეტავი კი შვილი მოგვეცესო!.. ხშირად ნაღვლიანად იტყოდა ხოლმე ურსანი. ეს ნატვრაც აუხდა ურსანს, - მეათე წელიწადზე მშვენიერი ვაჟი მიეცა და ურსანი ახლა უფრო გაბედნიერდა. როგორც აფხაზების ჩვეულება მოითხოვს, ურსანმა და რატიმ მაშინვე უშოვნეს თავიანთ შვილს კარგი ოჯახი, სადაც უნდა გადაებარებინათ შვილი გასაზრდელად. მოვიდა დროც, როდესაც ყმაწვილი უნდა მიეცათ გასამზრდელოდ. სწორედ წინა დღეს, როდესაც დედ-მამა უნდა შვილს მოჰშორებოდა, ურსანს თავის საწოლ ოთახში ტკბილად ეძინა. უეცრივ ძილში ვიღაც უცნობის ხმა მოესმა. ურსანი შეკრთა და იმ წამსვე გამოეღვიძა. ის იყო მტრედის-ფრად თენდებოდა, ნამძინარევი თვალები მოიფშვნიტა და დაინახა, რომ მის წინა დგას ვიღაც უცნობი კაცი. ეს კაცი ძლიერ ჰგავდა იმ ყმაწვილ კაცს, რომელიც ამ ათის წლის წინად ნახა. – „ათი წელიწადი გავიდა, ურსან, გესმის! დასჭექა მთის ბოროტმა სულმა: ხვალ ჩემი ვალი უსათუოდ უნდა გადამიხადო!“ ურსანს შიშისაგან გონება წაერთო. როდესაც ცოტა გონს მოვიდა, გაკვირვებული ეკითხებოდა თავის თავს: ნუ თუ ეს მართლა ცხადი იყო და არა სიზმარი, არა, სიზმარი იყო, სიზმარი?! ამითი ინუგეშა და ცდილობდა მწარე ამბავი თავიდამ მოეშორებინა. აი დადგა ის დღეც, როდესაც ყმაწვილი უნდა გაეტანებინათ. ურსანმა მეზობლები მოიწვია და დიდი ლხინიც გაუმართა ყმაწვილის წამყვანს. რატი დიდის წუხარებით გამოეშვიდობა თავის ძვირფასს შვილს; წამყვანმა აიყვანა ყმაწვილი და გაუდგა გზას. ამ დროს მოწმენდილ, მოკაშკაშებულ ცაზე პატარა შავი ღრუბელივით რაღაც გამოჩნდა, ყმაწვილისაკენ წამოვიდა და ყველამ აშკარად დიანახა, რომ ეს დიდი არწივი იყო. არწივი შურდულივით ეცა ყმაწვილის წამყვანს, შეუბრალებლად გამოჰგლიჯა ხელიდგან ყმაწვილი, შეისვა მხრებზე, გასწია მაღლა და გაჰქრა შორს ცის სივრცეში. ამ უეცარმა ამბავმა ყველას შიშის ზარი დასცა. რატი მწარე ცრემლითა სტიროდა და თმებს იგლეჯდა, მაგრამ რას უშველიდა. მხოლოდ ურსანი მიხვდა, ვინ იყო ეს არწივი; გამოვარდა სახლიდგან და გასწია უდაბურ მთებში ბოროტის სულის საძებნად. ურსანი დიდხანს დაეხეტებოდა მთებში და მიუვალ ადგილებში. იკვებებოდა მინდვრის ხილით და სვამდა მჩქეფარე წყაროს წყალს. ბევრი იარა, და ბოლოს ავიდა ისეთ მთების წვერზე, სადაც ადამიანის ფეხი ჯერ არ მიჰკარებოდა. იარა დიდხანს ასე უგზო-უკვლოდ. ერთს დღეს უეცრივ შორს სადღაც მოესმა შვილის ტირილი და მთის ბოროტის სულის ხარხარი. ურსანმა სული გაინაბა და მთლად სმენად გარდაიქცა; მაგრამ ყმაწვილის ტირილიც და ბოროტის სულის ხარხარიც ერთბაშად შესწყდა. გარშემო ბუნება მიდუმებული იყო, ყველგან საშინელი დუმილი და მყუდროება სუფევდა, მხოლოდ მთის ქვევით მოისმოდა მონადირეს თოფის ზუზუნი და ზევით არწივის ფრთების შრიალი და შუილი. ერთხელ ურსანს ისე ახლოს მოესმა თავის შვილის ტირილი, რომ აღტაცებით აღარა ახსოვდა-რა, თვალები აუჭრელდა და კინაღამ იქვე მჩქეფარე მდინარის უფსკრულში არ მოიღო ბღარტანი. შემდეგ გონზე მოვიდა, გაიხედ-გამოიხედა ურსანმა და დაინახა თავის შვილი, მაგრამ ყმაწვილი ისეთ მიუვალს ადგილას იჯდა, რომ ადამიანს არამც თუ იქ მისვლა, შორი-ახლოს მიდგომაც ვერ შეეძლო. ყმაწვილი ჩუმად იჯდა და მზის სხივებით გაბრწყინვალებული თამაშობდა; წინ ძვირფასი სათამაშოები ელაგა. ზევით მთის ბოროტი სული იდგა და ტკბილ „ნანას“ დაჰმღეროდა. სასიამოვნო გრილი ნიავი ჰქროდა და ბოროტს სულს გარშემო უთამაშებდა გრძლად ჩამოშლილ ხუჭუჭს და გიშერივით შავს თმებს. ურსანს გულმა ვეღარ გაუძლო, ერთი ამოიხვნეშა და შეცოცდა ამ კლდის წვეროზე. ამ დროს რაღაც უცნაური სიცილი

მოესმა: ურსანი ძირს წამოვიდა და სრულიებით გრძნობა დაჰკარგა. ურსანს მეორე დღესაც ასე დაემართა. ბოროტი სული მხოლოდ შორიდგან ცქერის ნებას აძლევდა და ახლოს კი არ უშვებდა ბედკრულ მამას თავის შვილთან. მივიდოდა თუ არა ურსანი კლდის წვერთან და დააპირებდა ყმაწვილის ხელის მოკიდებას და წამოყვანას, მაშინვე თვლემა მოუვიდოდა ხოლმე და იქვე ჩაეძინებოდა. ბოლოს გაახსენდა ურსანს, რომ იმის სოფელში არის ერთი ღონით, სიმამაცით და ვაჟკაცობით ქვეყანაზე განთქმული ბიჭი, სახელად შირარი. ამასთან ისიც გაახსენდა, რომ ომის დროს ერთს ქრისტიანს ურსანმა წაართვა ხანჯალი, რომლის ტარი ჯვარად იყო გაკეთებული. მაშინ ქრისტიანმა უთხრა: ეს ისეთი იარაღია, რომ ბოროტი სული მოჰკრავს თუ არა თვალს, იმ წამსვე წეწვა-გლეჯას დაიწყებს, თითქოს ცეცხლს უკიდებენო. ურსანმა, როგორც იყო, მონახა შირარი, უამბო თავის უბედურების ამბავი და სთხოვა შველა. შირარმა ნუგეში სცა ურსანს და უთხრა: მთის ბოროტს სულს პირ-და-პირ შევებმები და ყმაწვილს წავართმევო. წავიდნენ ორივენი მთაში. გაიარეს კარგა მანძილი, მოესმათ ყმაწვილის ტირილი და თან მთის ბოროტის სულის ტკბილი „ნანა“. - მშვიდობით, ურსანო! ეგ შენი ხანჯალი მე მომეცი და შენ კი აქ მომიცადე. ახლა კი დაიჯერებ, რომ მართალია იმ ქრისტიანის სიტყვა: - ბოროტს სულს ჯვარი და ხანჯალი დასძლევსო. სთქვა ეს შირარმა და ჯეირანივით შევარდა კლდეზე; ერთის კლდიდგან მეორეზე გადავიდა და მივიდა თუ არა იმ ალაგას, საცა ყმაწვილი იყო, მუხლთ მოეკვეთა, ძილი შეეპარა და თვლემა მოჰყვა. მაგრამ შირარმა მაშინვე თვალებზე ხელი გადისო და ურსანის ხანჯალზე დაიწყო ფიქრი. თავი ბაშლუღით შეიკრა, რომ მის ყურებს არ გაეგონა ბოროტის სულის მოჯადოეული „ნანა“. ამ ნაირად შირარი ნელ-ნელა ზევით ადიოდა კლდეზე. აი ერთი ნაბიჯი კიდევ და მივა იმ ადგილას, სადაც ყმაწვილი ზის და თამაშობს. მაგრამ ერთბაშად თვალ წინ სრულიად სხვა სანახავი წარმოუდგა: შირარის წინ იდგა მშვენიერი, კეკლუცი და ლამაზის ტანის ახალგაზდა აფხაზის-ქალი, რომლის ტანისამოსი ისეთი ბრწყინვალე და თხელი იყო, რომ შირარს შეეძლო თვითეული მისი ძარღვი დაეთვალა. შირარი გაოცდა, ცოტას გაწყდა ბოროტმა სულმა სრულიად არ მოაჯადოვა შირარი; მაგრამ შირარს გაახსენდა თავისი ხანჯალი, წაივლო თუ არა ხელი ხანჯალზედ, ეს მშვენიერი ქალი იმ წამსვე გაჰქრა. შირარმა შეჰკივლა, შევარდა კლდეზე და ერთ წუთიც არ გასულა, რომ წინ დაუდგა ბოროტს სულსა. მთის ბოროტი-სული წამოვარდა, წაავლო ხელი ყმაწვილს და კლდეში უნდა გადაეგდო. შირარი უცებ შეჩერდა. მაშინ ბოროტმა სულმაც ყმაწვილი ყვავილებზე დასვა. შირარს შიშმა ჩქარა გაუარა და ისევ გამბედაობა მიეცა. ამასთან ქვევიდგან ურსანის კვნესა და წუხილი მოესმა და ამან უფრო გაამხნევა. შირარმა მოსტეხა ჯვრიანი ტარი ხანჯალს და წყევა-კრულვით ჯვარით ხელში გამოეკიდა ბოროტს სულს. ბოროტმა სულმა ისეთს საზარელის ხმით შეჰკივლა, რომ მთელმა არე-მარემ ხმა მოსცა და კლდე-ღელე შეანძრია, ყმაწვილი იქვე მიატოვა და თვითონ კი წივილ-კივილით გადიჩეხა კლდიდამ უფრსკულში. შირარმა მოჰკიდა ხელი ყმაწვილს და გამარჯვებული დაბრუნდა ურსანთან. ურსანი თავის თვალით ხედავდა ამდენ ხანს დაკარგულს შვილსა და არა სჯეროდა; ეგონა ეს სიზმარია, თორემ ცხადლივად ვინ მაჩვენებდა ჩემს საყვარელს შვილსაო.

***

აფხაზები ამბობენ, რომ იმ ადგილიდან, რომელსაც ეძახიან „შაითან-საი-ნაშრიკ“, ესე იგი „ბოროტის სულის კლდე“, ეხლაც ისმის ხოლმე სულსაკლავი კვნესა და ოხვრა მთის ბოროტის სულისაო*). /თეოფ. ხუსკივაძე/. *) ეს ლეგენდა ერთს რუსულს ჟურნალშია დაბეჭდილი. (ივერია, N26, 1887 წელი);

***

„მწყემსი“ სწერს აფხაზეთის საეპისკოპოსოზე შემდეგს: „ჯერეთ კიდევ მიტროპოლიტის ისიდორეს საქართველოში ექსარხოსად მყოფობის დროს იყო ლაპარაკი საკუთარის

ეპარქიის დაარსებაზედ აფხაზეთშიო. ექსარხოსის ევსეევის დროს აქ გაიმართა საკუთარი ეპარქია და დაინიშნა ეპისკოპოსად ყოვლად სამღვდელო გერონტი ქართველთაგანი. ყოვლად სამღვდელო გერონტი ძალიან ცოტა ხანს დარჩა აფხაზეთში. იმის შემდეგ დაინიშნა ყოვლად სამღვდელო გერმანე, მაგრამ არც ის დარჩენილა აქ დიდხანს. ყოვლად სამღვდელო გერმანეს შემდეგ აფხაზეთში დაინიშნა ეპისკოპოსად ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, რომელიც კარგა ხანს დარჩა აფხაზეთში. მაგრამ ხალხში რაღაცა აღრეულების მოხდენის მიზეზისა გამო ისიც გადაყვანილ იქმნა ამ ეპარქიიდამ. ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს შემდეგ აფხაზეთში საკუთარი ეპისკოპოსი აღარ დაუნიშნავთ. ერთ დროს ამ შესანიშნავის ძველის დროის ეპარქიის გაუქმებასაც ჰფიქრობდნენ. თვრამეტის წლის განმავლობაში ეს ეპარქია მიწერილი იყო იმერეთის ეპარქიაზე და აგერ თვრამეტის წლის განმავლობაში მას მართავდა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი. ამ უკანასკნელს დროს უწმინდესმა სინოდმა საჭიროდ დაინახა საკუთარის ეპისკოპოსის დანიშვნა აფხაზეთში. დიდხანს ელოდნენ აფხაზეთში საკუთარის ეპისკოპოსის დანიშვნას და აი წარსულ წლის დეკემბრის თთვეში შევიტყეთ უმაღლესი ბრძანება არქიმანდრიტის გენნადის (რუსთაგანია) ეპისკოპოსად დანიშვნაზე აფხაზეთში.“ (ივერია, N26, 1887 წელი);

დაბა და სოფელი

აფხაზეთი, 25 თებერვალს. რუსეთის შიდა გუბერნიებში რომ ვისმეს უთხრათ, დეკემბერში ვარდი ყვავისო, არ დაგიჯერებენ. გეტყვიან, ჩვენს სახელმწიფოში იმ გვარი თბილი და ჰავაზომიერი ადგილი არ მოიპოვება, სადაც ეგ შეიძლებოდეს; ათას ნაირადაც რომ დაუმტკიცო, მაინც ვერ დააჯერებ, ძნელი დასაჯერებელიც არის. მართალია, ძველად, როგორც გარდმოცემა გვეუბნება, საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში იანვარშიაც კი ყოფილა {ვარდი დაუმზრალი}, მაგრამ ეხლა ეს გარდმოცემა აღარა გვწამს. დღეს ჰავა შეიცვალა, სიცივეებმა იმატა, ვარდი ზამთრობით გარედ, ცის ქვეშ აღარ იშლება. აქ, აფხაზეთში ჯერ-ჯერობით ისევ უწინდებური ჰავა არის, ქრისტეშობის თთვეში ვარდი ჰყვავის, ყურძენს ჰკრეფენ, ხეხილს ასხია, საქონელი გარედ ბალახობს და მინდვრად დადის. სიცივეები მაინცა და მაინც ძრიელ არ არის. თბილი ქვეყნებისა და სამხრეთის სათუთი მცენარენი გარედ, ცის ქვეშ ხარობენ. მაგალითად, ამ ჟამად რომ სოხუმში მობრძანდეთ, ზაფხული გეგონებათ, ისეთ ნაირად არის აქაური აგარაკები სამხრეთის მცენარეებით ამწვანებული. ამიტომაც არის რომ ამ ბოლო დროს ამ ქვეყანას მოაწყდა სხვა-და-სხვა თესლისა და მილეთის ხალხი. ყველას უკვირს აქაური ჰავა. მოდიან და აქ ესახლებიან, მაგრამ, საუბედუროდ, აქაურ ჰავას ერთი ცუდი ჩვეულება აქვს; ყოველ ზაფხულობით საძაგელი ციება იცის და, როგორც მოგეხსენებათ, უცხოელნი ვერ იტანენ ციებას და უმეტესი ნაწილი ციების მსხვერპლი შეიქმნება ხოლმე, ანა და ისევ უკან მიდის თავის სამშობლოში, გაღატაკებული, წელში გატეხილი დასუსტებული, დასნეულებული უკან ბრუნდება თავის მამა-პაპათ ნადგომ ადგილზე; ვინ იცის, რამდენი მათგანი გზაში, მისვლამდინვე იხოცება. ამ ჟამად ხმა დავარდა აქ, ვითომ შავის ზღვის აღმოსავლეთის ნაპირებს ისეთი ხალხი უნდა შეურჩიონ დასასახლებლად, რომ ჰავამ არა ავნოს-რაო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ასეთის ხალხის პოვნა ძნელია. თუნდა იპოვებოდეს კიდეც და ჰავასაც გაუძლონ, სხვაფრივ ვერ გაუძლებენ აქაურს ბუნებას. აქაურს ჰავას და ბუნებას შეიშვნევენ უფრო ისინი, ვინც დღესაც თითქმის ამ გვარსავე ჰავისა და ბუნების ქვეყანაში იმყოფებიან. ასეთები არიან დღეს იმერლები და მეგრელები. ეჭვი არ არის, ეს გარემოება ყურადღების ღირსია. ცოდვაა აქ დასახლება იმათი, ვინც ვერ შეიშვნევს ვერაფერს აქაურსა. აქაურის ბუნების ერთი თვისება ის არის, სხვათა-შორის, რომ აქ პური იმდენად არ ხარობს, როგორც სიმინდი და ღომი. უპურობას ძნელად შეეჩვევა ის, ვინც პურით იკვებება. იმერლები და მეგრელები კი ღომითა და სიმინდითაც იოლად მიდიან. ამასთანავე ამ მცენარეთა შემუშავება ისე კარგად

და ადვილად იციან იმერლებმა და მეგრელებმა, რომ ერთი ასად მოჰყავთ და კარგა ბლომდაც ჰყიდიან. /ანთიმოზ ჯუღელი/. (ივერია, N50, 1887 წელი);

დაბა და სოფელი

სამურზაყანო. ორი წელიწადი შესრულდა მას აქედ, რაც სამურზაყანოს არა ჰყავდა საკუთარი უფროსი და მის თანამდებობას ასრულებდა სამურზაყანოს მომრიგებელ-შუამავალი. შარშან დაინიშნა სამურზაყანოს განყოფილების უფროსად ართვინის განყოფილების უფროსი ბ-ნი ბარონ უნგერ შტენბერგი ფრეიგერ ფონ პირველი, რომლის მოსვლას სამურზაყანოელები მოუთმენლად ელოდნენ. რადგანაც ორის თანამდებობის აღსრულება ძნელია ერთის კაცისთვის და განსაკუთრებით ისეთს ქვეყანაში, როგორიც არის სამურზაყანო, ამიტომ დროებით მმართველი ვერ აუვიდა ორის თანამდებობის აღსრულებას. ეს იყო მიზეზი, რომ ქურდობამ და ავაზაკობამ ფეხი მოიდგა სამურზაყანოში უწინდებურად და ამის გამო ხალხი დიდს გაჭირვებაში ჩავარდა. სწორედ ეს გარემოებავე იყო მიზეზი, რომ ახალ უფროსის მოსვლას სამურზაყანოელები ასე მოუთმენლად ელოდნენ. წარსულის თვის დამლევს მობრძანდა ოქუმის დაბაში ბ-ნი ახალი უფროსი ბარონ უნგერი, რომელმაც მოსვლისთანავე ყოველივე თავისი ყურადღება და მეცადინეობა მიმართა ხელ-ახლად დაწყობილ ქურდობის მოსპობას და ერთის კვირის განმავლობაში ოციოდე კაცი, სოფელის განაჩენის ძალით (რომელიც მივიწყებული იყო და ეგდო კანცელარიაში), გაგზავნა რამდენისამე ხნის ვადით ბათუმს. ამისთანა ახალმა განკარგულებამ დიდად იმოქმედა მცხოვრებლებზედ. პატიოსნებით აღჭურვილნი კაცნი დიდს მადლობას უძღვნიან ახალ უფროსს ამის გამო, ხოლო ქურდების მომხრენი ძალიან დაღონებულენი არიან აგეთის განკარგულების გამო და, ცოტა არ იყოს, შიშშიაც არიან ჩაცვივნულნი. ვისურვებთ, რომ სამურზაყანოს აუხდეს ერთი თავისი ნატვრა და გულის წადილი კიდევ. აი საქმე რაშია: თუმცა სამურზაყანოში ოც-და-ათი ათასამდე ითვლება მცხოვრები, მაგრამ სამურზაყანოს არა აქვს საკუთარი სამოსამართლო-სამსაჯულო და იძულებულია ყოველივე საქმე აწარმოვოს ოჩამჩირეს დაბაში (კოდორის ნაწილია), რომელიც ზოგიერთა სამურზაყანოს სოფლებიდგან (უმეტესს ნაწილად) ორმოციდა და ორმოც-და-ათის ვერსტის მანძილზეა მოშორებული. შარშან ხმა გავარდა, ვითომ მთავრობას სურდეს ოქუმში გამართოს სამოსამართლო-სამსაჯულოს განყოფილება. სამურზაყანოს მკვიდრნი დიდს აღტაცებაში იყვნენ ამის გამო, მაგრამ ეს ხმა ჯერ-ჯერობით დარჩა {ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა}. იმედი მაინც არა აქვთ გარდაწყვეტილი, რომ სამურზაყანო არ ეღირსოს საკუთარს მოსამართლე მსაჯულს, ადრე იქნება თუ გვიან. ღმერთმან ინებოს, რომ სამურზაყანოელებს მალე აუსრულდეთ თავიანთი ნატვრა ამ საგნის შესახებ. /ნიკო ობუჯელი/. (ივერია, N53, 1887 წელი);

ახალი ამბავი

სოხუმის ოლქში, როგორც ატყობინებს იქაური ექიმი კოვალსკი კავკასიის საექიმო საზოგადოებას, აღმოჩენილა ოთხ-გვარი მადნეული წყალი. წყლები უპოვნია თვითონ ბ-ნ კოვალსკის წებელდაში. ერთი რკინა-ნარევია, მეორე ნახშირ-მჟავე, მესამე მწკლარტე და მლაშეა და მეოთხე გოგირდ-ნარევი. ნახშირ-მჟავის წყალი მანდვილ ნარზანსა ჰგავსო, იმისათვის ჩუხჩუხით ამოდის და ბოთლსა ხეთქავსო; ამ წყალს მშვენიერი გემო აქვსო. ეს წყაროები მაღლობსა და მშვენიერს ადგილებზეა და არ დაუვარებიან პიატიგორსკის წყლებსაო. მშვენიერი ჰაერი ამ ადგილისა ძრიელ სასარგებლო იქნება ჭლექიანთათვისაო. ბ-ნის კოვალსკის ფრიად საჭიროდ მიაჩნია, რომ კარგად შეისწავლონ მეცნიერთა ამ წყაროების სხვა-დასხვა თვისებანი. („ნოვ.ობოზ.“), (ივერია, N76, 1887 წელი);

საჭირო ცნობანი (წერილი აფხაზეთიდამ)

{ივერიის} ფურცლებზე წელსაც და შარშანაც ჯეროვანი ყურადღება იყო მიქცეული ჩვენში პურისა და ბამბის მოყვანასა და გასყიდვაზე. ეს წერილები, როგორც შევამჩნიე მე აქ, მიყრუებულ პროვინციაში მყოფმა კაცმა, ბ-ნ არასხანიანცის ნათქვამს სიტყვებს უნდა გამოეწვიოს. როგორც თვით ბ-ნის არასხანიანცის სიტყვებიდან, ისე ივერიის წერილებიდამ კაცი ვერ დაინახავდა დაახლოვებით იმას, თუ რამდენის კაცის შრომა მოუნდება ერთის დესიატინის შემუშავებას, ან რამდენი სხვა გვარი ხარჯი დასჭირდება. როცა ამას კარგა ნამდვილად გამოვიკვლევთ, მაშინ უნდა შევიტყოთ, რამდენს მოსავალს იძლევა ერთი დესიატინა - პურს თუ ბამბას. ამ წერილში მე მსურს გამოვიანგარიშო აფხაზეთის მიწას რამდენის კაცის ხელი, იარაღი და ხარის შრომა დასჭირდება, როგორც სიმინდის, ისე ბამბის მოყვანის დროსა. რასაკვირველია, თუ მიწა გაწმენდილია, იგი თავდაპირველად უნდა მოიხნას. ერთის დესიატინის მიწის მოხვნას პირველად მოუნდება ხუთი უღელის ხარის და ხუთის კაცის მუშაობა; უღელი ხარი და ერთი კაცი რომ მანათ ნახევრად იანგარიშოთ დღეში, ერგება ხუთ უღელ ხარსა და ხუთს კაცს შვიდ მანათ-ნახევარი. ეს მიწა ხელმეორედ უნდა მოიხნას და დაითესოს. ამას-კი სამი უღელი ხარი და სამი კაცი მოუნდება, ესეც ოთხ მანათ-ნახევარი, თესლის დათესვასაც - ერთი კაცი, ესეც ათი შაური. დაფარცხვას მოუნდება ერთი დღე ერთი უღელი ხარი და ერთი კაცი, ესეც ეღირება მანათ-ნახევარი. სიმინდია თუ ბამბა უნდა გაიმარგლოს. პირველად სიმინდის გამარგლას მოუნდება არა ნაკლებ ათის კაცისა, - 5 მან. 50 კაპ. გამორადებას ექვსი კაცი - სამი მანათი. ბამბისას ათი კაცი - 5 მანათი. სიმინდის მოტეხვას რვა კაცი - 4 მანათი. ბამბისას - 20 კაცი - 10 მან. სიმინდის გარჩევას - 8 კაცი - 4 მან. ბამბის გარჩევას ჩვენებურად ოც-და-ათი კაცი - 15 მანათი. სიმინდის სასიმინდემდის შეგროვებას, თუ ახლოს არის სასიმინდე, ესაჭიროება ერთი უღელი ხარი და ერთი კაცი - მანათ-ნახევარი, თუ შორს არის, მაშინ სიშორის მიხედვით მიემატება ხარჯიც. ბამბის შეგროვებას მოუნდება ერთი კაცის შრომა - 50 კაპ. სიმინდის სასიმინდეში შეტანას ერთი კაცი - 50 კაპ. სიმინდის დაფშვნას ხუთი კაცი - 2 მან. 50 კაპ. აწყვას და ტომრებში ჩაყრას - ორი კაცი - ერთი მანათი. დესიატინის დათესვას მოუნდება ორი ფუთი - მანათი. სახვნელ-სახნისიც მოცვდება ერთის მანათისა. ამასთან ისიც უნდა იქონიოთ სახეში, რომ ერთის დესიატინის სიმინდის, თუნდ ბამბის დათესვა ხელს არ მისცემს მეპატრონეს, რადგანაც, როგორც ერთს დესიატინას ისე შვიდ-რვას ერთი მუდმივ თვალ-ყურის მდევნელი კაცი ესაჭიროება, ამიტომ უსათუოდ რამდენიმე დესიატინა მაინც უნდა დაითესოს. ვსთქვათ, თქვენ გაქვსთ დათესილი შვიდი დესიატინა სიმინდი. ამას მოუნდება ერთი მუდმივი თვალ-ყურის მგდებელი კაცი შვიდის თვის განმავლობაში, ასე რომ რიგით ერთს დესიატინას ერთ თთვეს უნდება ერთი მუდმივი კაცი, რომელი არა ნაკლებ ერთის თუმნისა დადგება თვეში. ასე და ამ გვარად ერთის დესიატინის შემუშავებას ესაჭიროება სიმინდისას 39 მანეთი 50 კაპ. ბამბისას 71 მანეთი და 50 კაპ. აქ მე ვიანგარიშე მხოლოდ მუშის ქირა, გარდა სასმელ-საჭმელისა. კაცს რომ დღეში შაურის საჭმელ-სასმელი ჩაუგდო, გამოვა 11 მან. ესე იგი სიმინდის მოყვანა დაგიჯდებათ ორმოც-და-თერთმეტი მანეთი ერთი დესიატინა, ბამბისა კი 89 მან. 30 კაპ. ახლა ვნახოთ, რამდენი მოვა სიმინდი ან ბამბა დესიატინაზე. აფხაზეთში ერთმანეთზე რომ ვიანგარიშოთ მოვა სიმინდი ას ორმოცდა-ათი შაური ფუთზე, თუ ზღვის ნაპირად არის, თუ მოშორებით - ორი აბაზი. ესეც 75 მან. – 60 მან., ასე რომ კაცს დესიატინა მიწა აძლევს მოგებას 3-15 მანეთს. თვითონ ფუთი სიმინდი უჯდება 25-30 კაპ., ყიდის 50-60 კაპ. ეს კიდევ გვარიანი პროცენტია ფულიანის კაცისათვის, მაგრამ ავიღოთ ცოლშვილიანი მეოჯახე მარტო ხელი კაცი. ვსთქვათ ერთ კაცს შეუძლიან შეიმუშაოს ორი დესიატინა ადგილი. ვთქვათ ამისი ოჯახი შედგება ხუთის სულის ადამიანისაგან დიდიან პატარიანად. ვსთქვათ ამათ ჰყავთ შინაური ფრინველები და ოთხ ფეხი ცხოველები, მიწაშიაც დესიატინაზე მეოთხედს ადგილის მეპატრონეს აძლევს. გადინარჩუნებს თუ არა გლეხი გასაყიდს სიმინდს? აი აქ არის თავი და პირველი ნასკვი ამ კითხვისა. ორ დესიატინაში

ჩვენის ანგარიშით მოვა 300 ფუთი სიმინდი. მეოთხედი მეპატრონეს მიეცით, დარჩა 225 ფუთი, ვსთქვათ. ყოველ დღე ხარჯავს ოჯახში ოც-ოც გირვანქას წლიდან წლობამდის. ამ სახით, დახარჯავს 182$^{1/2}$ ფუთს; გადინარჩუნებს 42^{½} ფუთს. აქედამ ოცდა-ათი-ფუთი უნდა გაჰყიდოს და დანარჩენი გაჭირების დღისთვის და სათესლედ უნდა შეინახოს. ოცდა-ათ ფუთში აიღებს 12-15 მან.; აი ამას გამორჩება შუათანა გლეხი ორ დესიატინა ადგილს, თუ თვითონ მუშაობს უფულოდ. ჩვენთვის, რა საკვირველია, ამ გვარის გლეხის შემოსავლის შეტყობაა საჭირო და არა ფულიანის კაცის შემოსავლის გამოანგარიშება. ამას, სიმინდს გარდა, სხვა გვარადაც შეუძლიან ასარგებლოს ფული. თუ კი ჩვენს მუშა კაცს ამის მეტი ღონე არა აქვს მოგებისა, რასაკვირველია, ჩვენებურს პურის ვაჭრობას დიდი დღე არ უნდა ჰქონდეს და, თუ ექმნება, რომ მუშა კაცი თავის სარჩო-საბადებელს მოაკლებს მცირეოდენს და ნივრის ფასად გაჰყიდის, თვით კი ნახევარზე მშიერი უნდა იჯდეს და ისე მუშაობდეს. ბამბის შესახებ რაღა მოგახსენოთ. ჩვენებური ბამბა ადგილობრივ იყიდება 7-8 მანეთი. დესიატინაზე მოვა 15 ფ. ან ცოტა მეტი ან ნაკლები. სულ ეღირება 105-120 მან. დესიატინაზე შეიძლება ფულიანმა კაცმა დაინარჩუნოს 23-38 მან. ხოლო რაც შეეხება გლეხს, მას არ შეუძლიან მარტო ბამბის მუშაობას მოჰკიდოს ხელი. ამან ბამბა სხვათა შორის უნდა აკეთოს. შეიძლება გლეხმა ნახევარი ქცევა ან ერთი ქცევა ბამბა შეიმუშაოს სიმინდთან. ბამბის გაყიდვა ამას სრულად შეუძლიან; სამი ან ოთხი ფუთი ბამბა რომ მოიყვანოს, შეუძლიან ეს ბამბა სულ გაჰყიდოს ნახევარ ფუთს გარდა. ეს მისცემს მას ოც თუ ოც-და-ათს მანეთს. ამ გაანგარიშებიდამ მკითხველი ნათლად დაინახავს, რომ ჩვენებურის გლეხის გამდიდრებას, ვიდრე მეურნეობა არ განკარგდება საზოგადოდ, არა ეშველება-რა. ვსთქვათ ზემოხსენებულის შრომით გლეხს დესიატინაზე სამასი ან ოთხასი ფუთი სიმინდი მოუვიდეს, მაშინ იმას ხელს მისცემს ექვსათა და ხუთ შაურად ფუთი სიმინდი გაჰყიდოს. მაშინ მსყიდველებიც ბლომად მოგვაწყდებიან, სიმინდსაც გავასაღებ, არც ჩვენ დავრჩებით მშიერნი. მაშ ისევ იმას უნდა ვეცადოთ, რომ როგორმე მიწის მოსავალი გავაუმჯობესოთ, თორე, ჩვენებურის პურის ვაჭრობა ან ჩქარა მოისპობა, ანადა ძლივს იღოღიალებს და ჩვენ ნახევრად მშიერნი ვიქნებით. მაშ აფხაზეთში, ამ მდიდარს ქვეყანაში თუ ასეთი უნუგეშოა ჩვენი მეურნეობა, ტფილისის, ელისავეტოპოლის და ერევნის გუბერნიებში, რაღა უნდა იყოს! /ანთიმ. ჯუღელი ქ. სოხუმი/. (ივერია, N88, 1887 წელი);

ახალი ამბავი

სოხუმიდამ გვატყობინებენ: ორს მაისს, საღამო შვიდს საათზე, იქ მისულა ზღვათა უწყების გამგებელი. იმ ღამეს გემი დაუყვია. დილის მეათე საათზე ხმელეთზე გამოსულა. აქ მის წინაშე წარმდგარან სხვა-და-სხვა დაწესებულებათა მოხელენი; შემდეგ უნახავს საბოტანიკო ბაღი, მერე წასულა დრანდის მონასტერში, იქიდამ დაბრუნების შემდეგ დაუთვალიერებია ბ-ნ ვედენსკის ბაღი და იქვე უსადილნია. საღამოს ათს საათზე ისევ გემში ჩამჯდარა და ფოთის ნავთ-სადგურის სანახავად გამგზავრებულა. ამბობდნენ, რომ 4 მაისს შუა-დღისას ბათუმშიაც უნდა მისულიყო და იქაურობაც უნდა დაეთვალიერებინაო.

სოხუმიდამვე გვწერენ: აპრილის გასულს ისეთი სიცხეები დაიჭირა აქედკენ, რომ მზეზე ტერმომეტრი 36 გრადუსს ასცდაო. აქ ასეთი სიცხეები სწორედ საკვირველი ამბავია, არა თუ ახლა, არამედ ზაფხულშიაც-კიო. (ივერია, N92, 1887 წელი);

დაბა და სოფელი (მოწერილი ამბავი)

აფხაზეთი, 5 მაისს. წლევანდელი წელიწადი, როგორც ეტყობა, აფხაზებისათვის დიდად საყურადღებო უნდა იყოს. მოგეხსენებათ, რომ წელს აქ ცალკე ეპისკოპოსი დაინიშნა.

მართალია, აფხაზეთში კერძო ეპისკოპოსის დანიშვნა ახალი ამბავი არ არის, მაგრამ საქმე ის არის, რომ ახალ ეპისკოპოსს, ყოვლად სამღვდელო გენადის, რუსეთშივე დაჰპირებიან როგორც უწმინდესი სინოდი, ისე თვით უმაღლესი საზოგადოება და შეძლებულნი ვაჭრები, რომ რა საქმესაც დაიწყობ შენის სამწყსოსთვის, ყველაფერში შენის ხელის შემწყობი ვიქმნებით და დაგეხმარებითო. უნდა ვიფიქროთ, რომ ყოვლად-სამღვდელო მიაქცევს ყურადღებას აფხაზეთის ნამდვილს საჭიროებას და ისე შეუდგება ამ ქვეყანაში ქრისტიანულის მოძღვრების გავრცელებას. ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ეპისკოპოსის გენადის ფიქრი ჩვენის ქვეყნისათვის სასარგებლო იქნება. ჩვენ თვითონ გავიგონეთ ჩვენის ყოვლად-სამღვდელოსაგან შემდეგი საყურაღებო ამბავი: ჩემი თავი და თავი საქმე და საზრუნველი სასულიერო სასწავლებლის გამართვაა აფხაზთათვისაო; თუ არა აფხაზეთისავე ღვიძლი შვილი, სხვა აქ ვერაფერს გახდებაო. თვით ქრისტეს მოძღვრების მქადაგებელნი და მოციქულნი ქრისტეს სწავლებას მანამდისინ არ ასწავებდნენ ერს, სანამ იმ ერის ენას, ზნე-ჩვეულებას არ შეისწავლიდნენ ხოლმეო. ჩვენც უნდა ვეცადოთ ამ ხალხის თითო-ოროლა წარმომადგენელს ვასწავლოთ ქრისტეს მოძღვრება და შემდეგ იმათ მივანდოთ თავის ღვიძლის ერის გაწვრთნაო. საზოგადოდ ამ გვარი მოსაზრება ყოვლად-სამღვდელოსი საყურადღებო მოსაზრებაა, თუმცა-კი უნდა ვსთქვათ, რომ მეგრელნი და გურულნიც იმდენად შესთვისებიან აფხაზთა, რომ შეუძლიანთ არა მცირე სამსახური გაუწიონ ამ ქვეყანას. თუ ძველად ქართველნი ავრცელებდნენ ქრისტიანობას ოსეთში და დაღესთანში, რატომ ეხლა-კი ვერ შეიძლებენ: საქმე მხოლოდ მონდომებაა და სურვილი. ყოვლად-სამღვდელომ რამდენისამე ნაკვეთის მიწის პატრონები დაიბარა იმ აზრით, რომ ეს მიწები შეისყიდოს სასწავლებლისათვის. გეგმა სასწავლებლის შენობისა უკვე შეადგინეს და ამ დღეებში გაიგზავნება, საცა ჯერ არს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აფხაზეთისათვის ერთი ოთხ-კლასიანი სასწავლებელი დიდი ბედნიერებაა, რადგანაც აქ ერთი რიგიანი სკოლა არ მოიძებნება. მართალია, აქ არსებობს მთიელთათვის სკოლა, მაგრამ ერთი სკოლა იმ ერისათვის, რომლის რიცხვი სამოც-და-ათი-ათასს მკვიდრს აღემატება, არა კმარა. /ა. ჯუღელი/. (ივერია, N94, 1887 წელი);

მცირე რამ პროვინციის ცხოვრებიდამ

სოხუმი, ძველი ცხომი და ძველის ძველი დიოსკურია, საკვირველი ქალაქია. თუმცა ეს ქალაქი რამდენიმე ათასი წელია არსებობს და ბუნებაც აქ თავის სილამაზით და ჰავით შეზავებით საარაკო რამ არის, მაინც ვერც უცხო ტომის ხალხსა და ვერც აქაურთ მცხოვრებელთ აქ ფეხი ვერ მოუკიდნიათ. ეს გარემოება ძნელი გამოსაცნობია და თან საკვირველიც არის. მართალია, ძველს დროში ქალაქის აღორძინება და გადიდება ძნელი საქმე იყო, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნემ გარეულ ხალხსაც კი მოაწყობინა უზარ-მაზარი ქალაქები და ამ ქალაქებში გაცხარებული აღებ-მიცემობა და ვაჭრობაა. ჩვენ სოხუმს რა დაემართა ისეთი, რომ მეცხრამეტე საუკუნემაც ვერ უშველა? ნუ თუ სოხუმმა თავისი ცხოვრება დიოსკურიობის დროს დაასრულა, ნუ თუ მაშინ მიაღწია სივაჟკაცემდის და მას აქეთია ბერდება და იხრწნება? ესეც ძნელი საფიქრებელია. იმ ძველის-ძველმა ქალაქებმა, რომლებსაც ვაი-ნაჩრობით ჩვენს დრომდის, ე.ი. მეცხრამეტე საუკუნემდის მოაღწიეს, ისევ წელი გაიმართეს და დღეს ისევ ძველებურზე უფრო სიცოცხლეში შედიან; ჩვენ, სოხუმელებს და სოხუმს-კი რაღა გვემართება? ძნელია-მეთქი ამისი გამოცნობა. მაშ ეს საქმე ისევ მეისტორიეს მივანდოთ, ჩვენ-კი სოხუმის ეხლანდელი სურათი დავუხატოთ მკითხველებს და თან გავაცნოთ ზოგიერთა ხასიათი აქ მცხოვრებელთა. სოხუმი თუმცა ქალაქად არის აღიარებული, მაგრამ უფრო მართალი იქნება, რომ კარგად გაწყობილი სოფელი დავარქვათ. აქ სცხოვრებს სამი ათასამდე მუდმივი და დროებით მოსული კაცი და ქალი. ოთხასამდე შენობაა, რომელიც 1885 წლის ერთის დღის აღწერილობით ნახევარ მილიონზე ცოტა მეტად არის დაფასებული.

მართალია, როგორც აქაურები ამბობენ და როგორც ამას შენობების ნანგრევნი ჰმოწმობენ, აქ უკანასკნელის ომის წინად კარგა დიდი ქალაქი ყოფილა, მაგრამ დროთა უკუღმართს ბრუნვას წარუტაცნია ძველი დიდება და მცხოვრებნი ქალაქისა. დღეს შიგ შუა ქალაქში ის ადგილები, სადაც უწინ ხალხს უცხოვრია, წარმოგვიდგენს მშვენიერს მინდვრის მოედანს, რომელზედაც ბალახობენ და სეირნობენ. უცხოეთიდამ მოსული კაცი ამ ცარიელს მინდვრებს და ბუნების სიმდიდრეს რომ უყურებს, მეტად გაკვირვებულია: ასეთი ბუნების სიმდიდრეა და ასე უყურადღებოდ რად დაუტოვებიათ აქაურობაო. აი, მაგალითად, ამ სამი-ოთხი წლის წინად აქ მოვიდა ერთი კაცი, სახელიდად მ. კ. ეს კაცი ჭლექით ავად-მყოფი იყო. (ახლა-კი თითქმის მორჩა აქაურის ჰაერის წყალობით). ნახა თუ არა აქაური არე-მარე ამ კაცმა, სთქვა: ყველა აქაურები ბრიყვები და რეგვენნი ხართ. არც ასე პირში ლანძღვაა პატიოსანი კაცის საკადრისი. შეხედეთ, ტყე-ველად ამდენი აუარებელი თუთის ხე იზრდება და ვერ სარგებლობთო. ნახეთ მე რა ვქნაო! გამოვიყვან აბრეშუმს და სამი-ოთხის წლის განმავლობაში მთელს აფხაზეთს გავამდიდრებ აბრეშუმით შეძენილის ფულითაო. იმას ასე ეგონა, რომ აფხაზეთში ეს ბედნიერება ჩემს მეტს ვერავის მოუგონიაო და ის კი არ იცოდა, რომ აქ ერთი ოჯახიც არ არის, რომ აბრეშუმის ჭიის მოყვანას არ მისდევდეს. გამოიყვანა ჩვენმა ვითომ-და პიონერმა ჭია, დაიქირავა ბიჭები და ორი გირვანქა ამოღებულ აბრეშუმის მოყვანა ხარჯით დაუჯდა 45 მანათი. ეს არაფერიო, სთქვა ბატონმა კ-მა. მეორე წელს მიმართა კავკასიის სასწავლებლების მზრუნველს, რომელიც ყოველ კეთილ საქმეს თანაუგრძნობს და სთხოვა, შემწეობა აღმომიჩინეო. რაც შეიძლებოდა, მზრუნველმაც შემწეობა აღმოუჩინა, მაგრამ არც აქედამ გამოვიდა-რა და ბ-ნ კ-მ ამ ჟამად სრულიად გაანება თავი მეაბრეშუმეობას. მიზეზი ადვილი გამოსაცნობია. აქაურები ძველებურად იქცევიან: აბრეშუმს ზოგს ჰყიდიან და ზოგს თვითონ შინა ხმარობენ. ახლა მკითხველმა გამოიცნოს, ვინც არის „ბრიყვი და რეგვენი“!? ამ ორის წლის წინად მობრძანდა მეორე ბატონი, მოსკოველი ექიმი, აიარ-დაიარა აქაურობა, შეიტყო ადგილის ფასები და შემდეგ ამანაც უკადრისად მოიხსენია აქაურობა. მთელი იტალია დამივლია და ასეთი ლამაზი ადგილი არსად მინახავსო. ნახავთ, თუ აქ ორის წლის განმავლობაში რა ამბავი მოხდესო? მთელის რუსეთის გულის სისუსტით ავადმყოფებს აქ გარდმოვიყვან და რა ნიცა, ვინ ნიცაო! ეს ყველაზე კარგი ალაგია, მაგრამ დღემდის კაცი არ ყოფილა აქაო. მე, მე გავაბედნიერებ სოხუმელ უგუნურ ხალხსაო! ჩვენც ვიფიქრეთ: კაცო, იქნება უცოდინარნი ვიყვნეთ და არა ვიცოდეთ-რაო. ბატონმა დოქტორმა იყიდა დიდ-ძალი ადგილები ათ დესიატინაზე მეტი ქალაქს ახლო და შეუდგა მუშაობას. რასაკვირველია, მუშებად მეგრელები ჰყვანდა და ის ადგილი, რომელიც თვითონ 20 მანეთად იყიდა, მუშებმა 250 მანეთად დაუსვეს. არ იფიქროთ, რომ მუშებმა რამე ცუდ-კაცობა ჩაიდინეს, არა. მაშ რა მოხდა? ისა, რომ დოქტორმა ბრძანა მიწა ისე უნდა გაიწმინდოს, რომ შიგ ხის ფესვი არ დარჩესო, თორემ ფესვი დალპება და ავს სენს გააჩენსო. მეგრელემა მუშებმა, რასაკვირველია, ფული მიიღეს და ბატონს დოქტორს-კი დღეიმდისინაც ვერავინ გამოუგზავნია ამ ახალს ნიცაში მოსარჩენად. დღეს ამ ადგილებსაც ჰყიდის და იმ სახლსაც, რომელიც მას 10,000 მანეთამდის დაუჯდა. სოხუმის ხსენებზე ფერი ეცვლება ხოლმე. /ან. ჯუღელი/. (ივერია, N99, 1887 წელი);

დაბა და სოფელი (მოწერილი ამბავი)

სოფ. ოჩამჩირე, 15 ივნისს. აქედამ ორმოც ვერსტის მანძილზედ აღმოჩენილა სახელმწიფო მამულში ძვირფასი მადნის წყლები. ეს წყლები სამს ადგილას მოიპოვება ერთის თემის მიდამოთაშორის, სახელდობრ, გუპსისსათემოში, ტკვარჩელში, მდ. კოდორისაკენ. ეს წყლები არჩენს ქარ-ცეცხლიანს, წყალ-მანკიანს, ტყისპიანს, არჩენს აგრეთვე ქალის ავადმყოფობას, ავ-სენს და ძალიან უხდება ჭლექიანს, თუ ჭლექი გაცივების გამოა გაჩენილი. ამ სხვა-და-სხვა სენით შეპყრობილნი ოჩამჩირეს ცხოვრობენ. ესენი წყლებს ისე გაუნთავისუფლებია

ავადმყოფობისაგან, რომ აღარავითარს ტკივილს აღარ უჩივიან. ამ წყლების გზა დაიწყება ოჩამჩირედამ. წყალი გალიზგა ჩამოდის ოჩამჩირეს, და აი ამ წყალს უნდა მიჰყვეთ და პირდ-და-პირ მიგიყვანთ. გზა კარგია, 37 ვერსტამდე შეგიძლიანთ ცხენით კარგად იარით და მერე სამ ვერსტზედ ბილიკია. შეიძლება ამ ბილიკზედაც იაროს ცხენმა, მაგრამ ქვეით-კი სჯობს სიარული. ეს ადგილი მთა-ადგილია, მუდამ გაუდნობელი თოვლია აქ მთაზედ. მთის ძირს გამოდის ერთს ადგილას ცხელი წყალი. ეს წყალი ისეთი ცხელია, რომ ხელს ვერ ჩაჰყოფთ შიგა. მეორესა და მესამე ალაგას გამოდის მჟავე წყალი, ისეთი მჟავე, როგორც მაჭარი. ერთი მათგანი ტკბილია და მოლურჯო ფერი აქვს. ამ წყაროებს ახლოს მშვენიერი და სასიამოვნო სუნი ტრიალებს. აქაურს მჟავე წყალს რომ დაჰლევთ, ისე გგონიათ, ენასა და ყელს მხაჭნის რამეო. სიცხიანი პირი რო ჰქონდეს კაცს, მაინც სასიამოვნოდ დარჩება. ეს ადგილები ყოფილა უწინდელ დროში პირველი სამყოფელი ადგილი აფხაზეთის მთავრებისა. საზაფხულოდ აქ მობრძანდებოდნენ თურმე და სიამოვნობდნენ. ამ მთავრებს, როგორც ამბობენ აქაურები, მშვენიერი სახლი ჰქონიათ ბზაკალის ხით აშენებული. ყოველ ოთახში მილებით ყოფილა ამოყვანილი ეს წყაროები. ერთიდგან პირს იბანდნენ თურმე, მეორიდგან სასმელს წყალს იღებდნენ და სხვ. ახლა ეს ადგილები ისე გამხდარა, რომ ნადგომიკი არა, ვერც კი შენიშნავს კაცი, თუ ოდესმე ფრინველს გაუვლია აქ. ეტყობა-კი რომ ბაღი უნდა ჰყოფილიყო აქ უწინ: უბრალოდ ხეს ვერ იპოვნი; აქაურობა ხეხილით სავსეა. დღეს კომისია სდგას და ჰზომავს ამ ადგილებს. ამ წყლებიდამ სოფელი 3 ვერსტზედ არის. რძე, ყველი, ერბო, ქათამი, ცხვარი ძალიან იაფად იშოვება. ამ წყლებზედ ორი აფხაზი სდგას და, ვინც მიდის სამკურნალოდ, ეს აფხაზები მიიღებენ ხოლმე.. (ივერია, N126, 1887 წელი);

დაბა და სოფელი

ოჩამჩირე, 2 ივლისს. აქეთკენ წელს შესანიშნავი ამინდები დაიჭირა. წარმოიდგინეთ, ჯერ აქამდის არ ვიცით, რა არის სიცხე. ისე გრილა, რომ ნაშუადღევს სამს საათზე უეჭველად თბილი პალტო უნდა ჩაიცვათ, თორემ საშიშია გარედ გასვლა, გაცივდება კაცი. გარდა ამისა, ჩვენში წელს თვალ-საჩინოდ იკლო კაცთა ბოროტ-მოქმედებამ და დამყარდა მშვდობიანობა. ურიგოს არ იზამდა ნასწავლი ხალხი, ვისაც საზაფხულოდ თავ-სახეთქი საქმე არა აქვს-რა, ჰსტუმრებოდა ჩვენს მხარეს. აქ იმათ ბევრი საყურადღებო მასალა დაჰხვდებოდათ ხელ-უხლებელი. ნამეტნავად არხეოლოგებისათვის აქაურობას ძველის-ძველად ბევრი ნაშთები აქვს თითქო საგანგებოდ შენახული და მოუთმენლად ელის მათს კეთილს მობრძანებას. აი, ბატონებო, ამ დღეებში გახლდით ოჩამჩირის მაზრის სოფლებში და სხვათა შორის დავიარე ბედია, ოქუმი და ილორი. სოფ. ბედიას ახლო ტყეში, რომელიც ეკუთვნის თავ. გიდ. შერვაშიძეს, მთაზე დავინახე ერთი დიდი შენობა, ციხესავით გამაგრებული. ადგილობრივმა მეცხვარეებმა მითხრეს, რომ შიგნით ეს შენობა ერთი უშველებელი რამ დიდი არის, მაგრამ შიშით ვერავინ შესულა შიგაო. მე შევეხვეწე, - ოღონდ გამომყევით, მიმიყვანეთ როგორმე მიწამდე და მე დავივლი და გავსინჯავ-მეთქი. სამს საათზე მეტი მოგვინდა, მანამ დაბურვილს ტყეებში გავაგნებდით გზასა და მივადგებოდით შენობის კედლებს. აი რა ვნახე. მთის წვერს გარშემო არტყია კარგა მოზრდილი გალავანი ქვითკირით ნაშენი. გალავანს კარები არსაიდამა აქვს. კედელზე გადავებობღე და შეველი შიგნით. აქ არის მშვენიერი ვაკე ადგილი, მორთული ხეხილით. უბრალო ხეს აქ ვერა ჰნახავთ. არის მხოლოდ ვაშლი, მსხალი, ნიგვზის ხე, თხილი, მაყვალი და სხვ. ვაკეზე არის შენობა სამს ადგილას, ერთმანეთზე მოშორებით. ერთს ადგილას დაინახავთ ქვით გადახურულ თაღიანს შესავალსა. გაივლით ამ კარს და თვალ-წინ წარმოგიდგებათ შენობა სიგრძით ექვსი საჟენი და სიგანით სამი. კედლებში ოც-და-შვიდი თაღია გამოყვანილი. უთუოდ ეს უნდა ყოფილიყო ბერების სენაკები. ამ შენობის იქით მივადექ მეორეს. ეს მეორე შენობა ისეა გაკეთებული, თითქო ცალკ-ცალკე პატარა ოთახები უნდა ყოფილიყო შიგა. თითო ოთახს

თითო კარი აქვს და თითოც ფანჯარა. ამ სადგომიდამ დიდის გაჭირებით გაველ სობოროში. სობოროს გარეშემო კედელი აქვს შემოვლებული. გავზომე შიგნით სობორო და ვნახე, რომ ოთხი საჟენი სიგძე აქვს და სამ საჟენ-ნახევარი სიგანე. სობოროში კედლებზე მრავალი მხატვრობა და წარწერანი სულ ქართულს ენაზეა, ხუცურის ასოებით. ისტორიკოსებმა და არხეოლოგებმა უნდა ჰნახონ, რომ რიგიანად შეიტყონ, თუ რას მოგვითხრობენ და რაზედა ჰღაღადებენ ეს ძვირფასნი წარწერანი. კედლებზედ შენახულია მრავალი მხატვრობაც. ხატებთა შორის თქვენს თვალს იზიდავენ ხატები ქრისტეს დაბადების, მონათვლისა, ჯვარცმისა, ამაღლებისა, ხატი ღვთისმშობლისა და ბევრ სხვა წმინდანებისა. საკურთხევლის კედლებში ორგან ვნახე ქვევრები, ჭურები, ორის საჟენის სიმაღლეზედ დატანებულნი და ქვევრის სახურავებით დახურულნი. საკურთხეველი ერთს ადგილას ჩამოქცეულა და ამიტომ წვიმას კედელი დაუზიანებია და მხატვრობაც ჩამოურეცხნია. სობოროში ჰნახავთ მრავალს რკინეულობას და თიხის ნამტვრევებს. რკინა დაჟანგებულა და ადვილადა სტყდება და აგრეთვე მალე იმტვრევა თიხაც; ხე-ტყე კი სრულებით ჩამპალა. ტრაპეზში არის ერთი ჩარჩო, რომელსაც ხე სულ შემოლპობია და შეჰრჩენია მხოლოდ ლითონის ნაწილი. ვინ იცის, იქნება ამ ჩარჩოში ხატი იყო წმინდანისა, ანუ სახარება და ან კიდევ სხვა რამ საარხეოლოგო განძი. სობოროს ორი კარი აქვს - ერთი აღმოსავლეთისაკენ, მეორე დასავლეთისაკენ. სობოროს ახლო არის კიდევ ერთი პატარა შენობა, რომლამდისაც ვერას გზით ვერ მოვახერხე მისვლა. /ა. აფხაზელი/. (ივერია, N139, 1887 წელი);

ახალი ამბავი

დაბა ოჩამჩირიდამა გვწერენ, რომ იქ თურმე სიმინდები მშვენივრად ამწვანებულია წრეულსა. შარშანდელი სიმინდი, ვისაც ჰქონდა ჰყიდის. ყოველ დღეს 20,000 ფუთი გააქვთ გემებით ვაჭრებს სათათრეთში გასაგზავნად. ფუთი სიმინდი ათ შაურად იყიდება. აგრეთვე ყოველ დღეს მიაქვთ აფხაზეთის სოფლებიდამ ბზაკილი, ბზა, ხან ურმებით და ხან ცხენებით. 30,000 ფუთობით გააქვთ ზღვაში გემებზე გასაგზავნად მარსელსა და პარიჟში. ოჩამჩირეში დიდი ვაჭრობაა თურმე, მაგრამ ძალიან ძვირობაა პურისა, ხორცისა, ყველისა და ქათმისა. რადგანაც იქ ვაჭრობენ მრავალი საფრანგეთელი, ბელგიელი და ინგლისელი კამპანიები.

იქედამვე იწერებიან: ოჩამჩირედამ სამის ვერსტის სიშორეზე, ზღვის პირს, აღმოჩნდა გოგირდის წყალი სოფელს ილორში, კიაღურა ემუხვარიას მამულში. აქაურმა უფროსმა ექიმმა შაბლოვსკიმ სთქვა, რომ ეს წყალი უფრო უკეთესია, ვიდრე პიატიგორსკის და ესენტუკის წყლებიო. ეს ადგილი ვაკე ადგილია და გარშემო არტყია ნაძვის ხე, ურთხელა და ხეხილები. როგორც ეტყობა, უწინდელ დროში აქ უნდა ყოფილიყო სადგომი რომელისამე დიდს კაცისა. იმედია, რომ თავადი კ. ემუხვარია მიაქცევს ყურადღებას და გამოაკეთებს ამ წყაროს ისე, როგორც შეჰფერის ამისთანა ძვირფასს განძსა. (ივერია, N140, 1887 წელი);

ახალი ამბავი

ჩვენი ოჩამჩირელი კორრესპონდენტი გვწერს, რომ დაბა ოჩამჩირეს ეხლა, რა-კი ფოსტაც გაუმართეს, აღარა უჭირს-რა, რადგან თავის შესაფერად თითქმის ყველაფრით მოწყობილია და მდებიარებაც ხელს უმართავს, რომ ფეხ-ადგმით წარმატებისაკენ გაემართოსო. ხალხიც საკმაოდ ჰსტუმრებიათ ამ ზაფხულს. ეხლა იქ თურმე ადგილობრივ მოხელეთა რიცხვი იმდენია, აღებ-მიმცემი ხალხიც ისე ხშირია, რომ დაბას შეუძლიან საკუთარს სასტუმროსაც-კი გაუძღვეს. ამიტომ სასტუმრო უკვე გაუმართავთ. ამ ზაფხულს იქითკენ გაძნელებულ ავადმყოფობის ჩამი-ჩუმიც არსად არის თურმე. ოჩამჩირეს ჰყავს საკუთარი ექიმი და აქვს

თავისი აფთიაქი. ერთს ამასა სჩივის კორრესპონდენტი, რომ მანამ საყასბო წინანდელს იჯარადარსა ჰქონდა აღებული, ხორციც საღი და ახალი ჰქონდათ ოჩამჩირელებს, მაგრამ რაც ახალი იჯარადარი დაგვიდგა, მას შემდეგ ჩვენ რიგიანი ხორცი ვეღარ გვიშოვია და ამიტომ ძალა-უნებურად სოფლებიდამ ქათმებს ვიბარებთ, თუმცა ყველას-კი არ შეგვიძლიან ასეთი ხარჯი გავწიოთო. (ივერია, N149, 1887 წელი);

ახალი ამბავი ქალაქ სოხუმიდამ

სამმა ქალაქმა - ბათუმმა, ფოთმა და სოხუმმა - სთხოვა მთავრობას, რათა მიეცათ ნება ქალაქის სასარგებლოდ დააწესონ გადასახადი ზღვით გატანილს საქონელზე. ამ ქალაქებში ბათუმს უარი მოუვიდა მთავრობისაგან, ხოლო ფოთსა და სოხუმს-კი მიეცათ ნება თავთავიანთ სასარგებლოდ ½ კაპეიკი იღონ ზღვით გასაგზავნ საქონლის ყოველ ფუთზე. სოხუმს იმედი აქვს, რომ კარგა ფული შეუდგება ამ გადასახადის წყალობით, და სოხუმელებს უხარიანთ, რომ ამ ფულით სასარგებლო რამ საქმეს დაიწესებენ თავიანთთვისაო. (ივერია, N161, 1887 წელი);

ახალი ამბავი

დაბა ოჩამჩირედამ: თითქმის ყველაფრით მოწყობილს ოჩამჩირეს აკლდა მხოლოდ ერთი რიგიანი მისავალი გზა. მაგრამ, როგორც იყო დიდი ვაითა და ვაგლახით, ვახერხებდით მისვლა-მოსვლას გარშემო მდებარე სოფლებში, ურმით იქნებოდა, ცხენით, თუ ქვეითად, ჩვენს საცოდავს გზაზე. დღეს-კი, არა თუ რიგიანი გზა არ გაგვიკეთდა, იმისაგანაც ცარიელი დავრჩით, რაც აქამდისა გვქონდა, და ვართ მოჭრილ-მოშორებული დანარჩენს ქვეყნიერობას. ამის მიზეზი გახლავთ ისა, რომ მდინარე გალიზგამ მოგვტაცა ხიდი აგერ ერთი კვირაა. გალიზგას თითქმის ყოველ წელიწადს მიაქვს ხიდი. ჩვენც მუდამ ვაშენებთ, მაგრამ არა გვეშველა-რა. საქმე იმაშია, რომ ერთხელ ვერ ავაშენეთ საფუძლიანად. ამშენებელნი იმოდენა სიმაგრით აკეთებენ, რომ კომისიის მისვლამდი არა დაუშავდეს-რა ხიდსა. მუხის ხე-ტყის მაგიერ ახმარებენ რთხმელისას და ამიტომ ვერა სძლებს და მალე ფუჭდება. წელს ხსენებულ ხიდის გაკეთება დაჯდა ასი თუმანი. ახლა. როგორც ამბობენ, შეუდგენიათ ანგარიში ხიდის ასაშენებლად და ითხოვენ ორას თუმანსაო. (ივერია, N162, 1887 წელი);

„ივერიის“ ფოსტა

ოჩამჩირეში, პეტრე გიორგიძეს. თქვენი შრომა დიდად სასიამოვნოდ დაჰრჩა რედაქციას. შემოდგომიდამ დავიწყებთ მის ბეჭდვას. იმედი გვაქვს, რომ დაპირებულს გაგრძელებასაც მალე გამოგვიგზავნით. (ივერია, N162, 1887 წელი);

ახალი ამბავი

სოხუმიდამ: შიგ ქალაქში აღმოჩენილა ნაცარ-წმენდილის წყალი, რომელიცა ჰრგებს კუჭის ტკივილებსა. სოხუმზე ხუთის ვერსის სიშორით, ესრედ-წოდებულ ვენეციის ხიდთან, მოსადგომიან გოგირდის ცივ წყალსა. ეს ადგილი სოხუმის კუთვნილებას შეადგენს.

მთიულთა სკოლის მასწავლებელს, ბ-ნს ანთ ჯუღელს, სოხუმში, წელსაც ჰყოლია აბრეშუმის ჭია, რომელსაც შეგირდები უვლიდნენ მასწავლებლის ხელმძღვანელობით. აბრეშუმის მოსავალი ძრიელ კარგი ჰქონიათ. (ივერია, N164, 1887 წელი);

ახალი ამბავი

აფხაზეთის სოფელს ჯგერდოში ერთის აფხაზის 17 წლის ქალიშვილს თავის ხელით დამბაჩა უკრავს მუცელში და მოუკლავს თავი. აფხაზების სიტყვით, ეს ქალი ისეთი მშვენიერი ყოფილა სახით და ისეთის პატიოსანის ხასიათისა, რომ კოდორის მაზრაში უკეთესი არ მოიძებნებოდაო. სიკვდილის მიზეზს აბრალებენ იმას, ვითომც საქმრო ამოურჩევია ამ ქალს კეთილშობილთაგანი ყმაწვილი, მაგრამ უფიქრია, რომ მე ის არ მითხოვს, რადგან გლეხისა ვარო, სჯობს არ გავუმხილო მშობლებს ჩემი გრძნობაო, და უიმედო ტანჯვას ამ სოფლად ვარჩევ იმ სოფელს ქალწულად, უცოდველად მივადგე სამოთხის კარებსაო. ეს სიტყვა უთქვამს თავის ნაცნობ ქალთათვის, შესულა ოთახში, სადაც ფიშტო დებულა სტოლზედ, დაუცია და მაშინვე გათავებულა. (ივერია, N165, 1887 წელი);

ახალი ამბავი

ოჩამჩირედამ: 9 აგვისტოს ოჩამჩირელებმა, შეჰკრეს პირობა, ბ-ნი ნიკო ქოიავას და თეიმურაზ ჩაჩავას თაოსნობით, რომ დაიქცეს ხის მაღაზიები და სახლები და მათ ადგილზე გაშენდეს ქვითკირის შენობა არხიტექტორის ნაჩვენებ გეგმაზე; აგრეთვე შუა ბაზარში უნდა გაკეთდეს ისეთი შადრევანი, როგორც ალექსანდროვის ბაღშია ტფილისს. გარდა ამისა, ბ-ნ თურქიას შემწეობით უნდა ამოაშრონ ის ტბები და ხრამები, რომელნიც გარს არტყია ოჩამჩირეს, იმათში დღეს სდგას ყვითელი აყროლებული წყალი, და უნდა გაიყვანოს რიგიანი გასაშრობი მილები. აგრეთვე დღეს რომ ზღვის პირედ თათრული ხის მაღაზიებია აშენებული, უნდათ გადაიტანონ და სხვაგან დადგან. თავად გრიგოლ შერვაშიძის თაოსნობით ამ მაღაზიების ადგილას უნდა გაიყვანონ ზღვის პირზე სასეირნო გზა. რამდენმამე საპატიო კაცებმა დაჰპირდნენ ამ სასეირნო გზისათვის კიპაროსის ნერგების შემოწირვას. ეს ნერგები იქნება გაყოლებული ორ პწკარად ერთის ვერსტის მანძილზედ: ზღვის პირისაკენ იქნება კიპაროსი და მეორე გვერდზედ ნაძვის ხე მდინარე გალისგის პირამდე.

იქიდამვე: ოჩამჩირემ შარშან გადასდო 1,000 მან. სკოლისათვის. ამ ფულით ააშენეს სკოლის შენობა, სადაც მოთავსდება ასი ბავშვი. სკოლაში ასწავლის ორი მასწავლებელი აფხაზთაგანი. დღესა სწავლობს 60 ყმაწვილი. დაბა ოჩამჩირის ხარჯით ეძლევა მასწავლებელთ ჯამაგირი. ბავშვებს ასწავლიან რუსულად და ყოველ დღე ქადაგება აქვთ. ვისაც არ ეყურება რუსული, იმათ მასწავლებელი და ბლაღოჩინი უთარგმნიან. დიდის გულ-მოდგილებითა სწავლობენ აფხაზის ყმაწვილები და სულ წიგნს ჩასჩერებიან, ეგებ გავიგოთ რამე ქვეყნიერებისაო. მამა კერესელიძე ძალიან უბეჯითებს აქაურ ხალხს. წირვის დროს სამი მთარგმნელი ჰყავს. როცა წირვას ათავებს, სახარებას უთარგმნის მსმენელთ აფხაზურად და ქართულად. მამა კერესელიძის წირვა-ლოცვას დიდს სასოებაში მოჰყავს აფხაზი და მეგრელი. ამათ შორის სარწმუნოება თუ მოსპობს ქურდობას, თუ არა და, სხვა ვერაფერი ვერ უშველის. ყოველ ღამე ცხენის ქურდობა ჰხდება. გუშინწინ ღამეს მოჰპარეს ცხენი ურუშაძეს, წუხელი - შენგელაიას. ყოველ დღე სასამართლოში გამოტენილია მოჩივრებით, ასე რომ ცხრა საათზედ დილით შედიან და საღამოს ხუთს საათზედ ძლივს გამოდიან სასამართლოს მოსამსახურენი. (ივერია, N171, 1887 წელი);

ახალი ამბავი

დაბა ოჩამჩირედამ: გალიზგის მდინარეზედ თავად კიაღუ ემუხვარმა გააკეთებინა ნავი ხალხის გასაყვან-გამოსაყვანად უფულოდ, მინამ ხიდი გაკეთდებოდეს ამ მოხსენებულ მდინარეზედ. ახლა-კი იმედია, რომ აფხაზეთის სოფლებთან ისევ დაიწყობა მისვლა-მოსვლა.

იქედამვე: აქაურმა აზნაურიშვილმა, თეიმურაზ ჩაჩავამ, შესწირა ცხრაას სამოც-და-შვიდი მანეთი ოჩამჩირის სკოლას. ამავე პატიოსანს და მართლა კეთილშობილს პირს განუზრახავს, რომ ასი ბავშვის საჯდომი სკამი და წიგნების მაგიდა (სტოლი) თავის ხარჯზედ გააკეთოს. სწავლა დაიწყობა პირველ სექტემბრიდგან. სკოლაში იქნება ასი ბავშვი. (ივერია, N180, 1887 წელი);

ახალი ამბავი

სოხუმიდამ: ახალი ათონის მონასტრიდამ რამდენიმე მლოცველი მოდენილა სოხუმისაკენ; გზაში საღამო ჟამი ყოფილა. ორი მათგანი გზის პირად მიწოლილა და მისძინებიათ. ღამით მისულა მგელი და ორივე დაუგლეჯია. (ივერია, N186, 1887 წელი);

ახალი ამბავი

სოხუმიდამ შეგვატყობინეს, რომ 4 სექტემბერს იქ მისულა მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ბ-ნი ბოგუსლავსკი მადნის წყლების გასასინჯავად, მაგრამ წყლების გასინჯვა ვერ მოუსწრია, რადგანაც 6 ამ თთვის უკანვე გაბრუნება მოხდომია რაღაც მიზეზის გამო. აფხაზეთში საშინელი გვალვები დაუჭერია, სიმინდის მოსავალს ნაკლებს მოელიან თურმე. (ივერია, N188, 1887 წელი);

ახალი ამბავი

სოხუმი. სოხუმიდგან თორმეტის ვერსის სიშორეზე სცხოვრობდა სამსახურიდგან გადამდგარი ღრმად მოხუცებული გენერალ-მაიორი მ. ზავადსკი. თხუთმეტს ამ თთვისას, საღამოს რვა საათზე, ვიღაცანი შევარდნილან ზავადსკის სახლში, მოუკლავთ გენერალი და ორი იმისი მსახური. ამ არეულობის დროს ერთი შინაურთაგანი გამოვარდნილა ფანჯრიდგან, გაქცეულა სოფლისაკენ ხალხის დასაძახებლად, მაგრამ სანამ ვინმე იმ უბედურებას მიუსწრობდა, ავაზაკებმა მკვლელობა კიდევაც ჩაიდინეს და სახლიდგან მრავალი ნივთეულობა წაიღეს; მხოლოდ „სამოვარი“-ღა დასტოვეს. შემდეგ გზას გაუდგნენ და დააწყდნენ ერთს საბრალო მეგრელ ვაჭარს. ამასაც ექვსი ტყვია დაახალეს, მოჰკლეს, ტანთსაცმელი გააძრეს და თავიანთი გზა განაგრძეს. ამბობენ, ავაზაკებმა იმ ღამესვე სოხუმში გამოიარესო. ამ ამბავმა ძალიან შეაძრწუნა მთელი მაზრა; ადგილობრივი ადმინისტრაცია ყოველს ღონისძიებასა ჰხმარობს, რომ როგორმე კვალს მიაგნოს და დამნაშავენი აღმოაჩინოს.

აფხაზეთი. აქა-იქ სოფლებში გამოჩნდა საქონლის ჭირი, რომელმაც გააწყო მრავალი შინაური პირუტყვი და ახლა ადამიანზედაც გადადის. ერთი კაცი უკვე გარდაიცვალა ავადმყოფობით. მკურნალი იყო მოწვეული სენის გამოსაკვლევად და შემწეობის აღმოსაჩენად. მკურნალი, ბ-ნი შაბლოვსკი, თავის თანაშემწეთი გაემგზავრა ოჩამჩირიდამ აფხაზეთის ერთს სოფელში, სადაც დაჰყო ერთი დღე. ნახა, რომ ავადმყოფს ადამიანს თავზე მუწუკს აყრის და სიცხეს აძლევს. მკურნალმა ურჩია ხალხს, რომ სნეული პირუტყვები მიწაში ჩაფალითო, და ისევ უკან დაბრუნდა. (ივერია, N196, 1887 წელი);

ახალი ამბავი

სამურზაყანო: სოფ. საბერიოში გაჩნდა ერთ გვარი ჭირი პირუტყვთა და ჯერ-ჯერობით

ოთხიოდე ძროხა იმსხვერპლა. ამას გარდა ორი კაცი მოკვდა კიდევ ამ ჭირით. ერთს მათგანს გეეტყავებინა ძროხა, მეორეს - კი ხორციც ეჭამა. სოხუმიდამ გამოგზავნეს ფერშალი და იმან ამ ჭირს დაარქვა „სიბირსკაია იაზვა'', მაგრამ ჯერ საქმე არ არის კარგად გამოკვლეული. სასურველია მთავრობა ყურადღებას მიაქცევდეს და უფრო საფუძვლიანად გამოიკვლევდეს ამ ჭირის ვითარებასა.

იქიდამვე: წლეულს სიმინდი ძალიან ნაგვიანევია სამურზაყანოში და დიდად შეაჩერა მისი ზრდა ამას წინად გამდგარმა გვალვამ. მაგრამ ეხლა, ეს ორი დღეა, ისეთი წვიმები მოდის და შარშანდელივით ისეთი სიცივეები დაიჭირა, რომ მგონი გვალვაზე უარესი წვიმამ დაგვმართოს და გაგვიყინოს სიმინდი. (ივერია, N203, 1887 წელი);

1887 წელი

ჟურნალი ,,მწყემსი''

ახალი ეპისკოპოსი აფხაზეთისა

ჯერეთ კიდევ მიტრაპოლიტის ისიდორეს საქართველოში ექსარხოსად მყოფობის დროს იყო აღძრული კითხვა საკუთარი ეპარქიის დაარსებაზედ აფხაზეთში. ექსარხოსის ევსევის დროს აქ გაიხსნა საკუთარი ეპარქია და აქ დაინიშნა ეპისკოპოსად ყოვლად სამღვდელო გერონტი ქართველთაგანი. ყოვლად სამღვდელო გერონტი ძალიან ცოტა ხანს დარჩა აფხაზეთში. იმის შემდეგ დაინიშნა ყოვლად სამღვდელო გერმანე, მაგრამ არც ის დარჩენილა აქ დიდხანს. ყოვლად სამღვდელოს გერმანეს შემდეგ აფხაზეთში დაინიშნა ეპისკოპოსად ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, რომელიც კარგა ხანს დარჩა აფხაზეთში. მაგრამ ხალხში რაღაცა აღრეულების მოხდენის მიზეზისა გამო ისიც გადაყვანილ იქმნა ამ ეპარქიიდამ. ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს შემდეგ აფხაზეთში საკუთარი ეპისკოპოსი აღარ დაუნიშნავთ. ერთ დროს ამ შესანიშნავი ეპარქიის გაუქმებასაც ფიქრობდნენ. თვრამეტი წლის განმავლობაში ეს ეპარქია მიწერილი იყო იმერეთის ეპარქიაზე და აგერ თვრამეტი წლის განმავლობაში მას მართავდა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი. ამ უკანასკნელ დრო უწმინდესმა სინოდმა საჭიროდ დაინახა საკუთარი ეპისკოპოსის დანიშვნა აფხაზეთში. დიდხანს ელოდნენ აფხაზეთში საკუთარი ეპისკოპოსის დანიშვნას და აი წარსულ წლის დეკემბრის თვეში შევიტყვეთ უმაღლესი ბრძანება არქიმანდრიტის გენნადის (რუსთაგანია) ეპისკოპოსად დანიშვნაზე აფხაზეთში.

22 დეკემბერს, თორმეტ საათზე, მოსკოვის სინოდალნი კანტორაში, ათ-თორმეტთა მოციქულთა სობოროში უწმინდესი სინოდის წევრის, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის მოსკოვის და კოლომენსკის მიტროპოლიტის იოანნიკეს, ეპისკოპოსების ბასილის და ალექსანდრეს, სინოდალნი კანტორას წევრების, შავოსანი და თეთროსანი სამღვდელოების უმაღლეს პირთა თანდასწრებით მოხდა სახელ-წოდება არქიმანდრიტის გენადისა სუხუმის ეპისკოპოსის ხარისხზედ. სახელ წოდების წესის შესრულების შემდეგ ეპისკოპოსად წოდებულმა იქ დამსწრე პირთა წინაშე წარმოთქვა შემდეგი სიტყვა: „ყოვლად მოწყალენო და ღვთის მიერ ბრძენნო მწყემსთ-მთავარნო და მამანო, დღეს მე მცირე თანამდებობიდგან მოწოდებულმა მოციქულებრივ უმაღლეს სამსახურისთვის იმ მხარეში, რომელიც ნახევრობით გაველურებულია და სადაც ქრისტეს სარწმუნოების სხივი, ანთებული ოდესმე წმინდა მოციქულისგან, დღეს თითქმის გამქრალია, რა უნდა ვსთქვა?" უყურებ ჩემს თავს და ვხედავ მხოლოდ ჩემს მოუცლელობას და ჩემს სრულებით მოუმზადებლობას ამა დიდი

სამსახურისთვის. თუმცა ისეთი სულით და სარწმუნოებით ძლიერმა და ღმერთ შემოსილმა კაცმა, როგორიც იყო დიდი აბბა, ჩვენი ღირსი სერგი, თავი დაანება ამ სამსახურს; თუმც ისიც კი, რომელიც აღვსილი იყო ღვთის მადლით, ეუბნებოდა მღვდელმთავარს ალექსის: „მომიტევე მე, წმინდაო მეუფეო, თქვენ ვერ ჰპოებთ ჩემში, რასაც ეძიებთ, მაშ მე უძლურმა როგორღა უნდა შევასრულო ეს დიდი მოვალეობა? რა კარგი იქნებოდა, რომ მე დღეს შემეძლოს ვსთქვა მსგავსად იზრაილების ძველი წინამძღვრისა: „გევედრები შენ, უფალო, აღირჩიო უფრო შემძლე ვინმე და ის გაგზავნო (გამოს.4,13) მე ისე მომზადებული არა ვარ ამ დიდი სამსახურისთვის, როგორც შეშვენის იმ პირთ, რომელნიც ასეთ დიდ თანამდებობაზე ინიშნებიან; მე ჩემი განათლება დამისრულებია სემინარიაში სწავლის დამთავრებით; ოც-და-ათი წელიწადია აგერ, რაც სწავლა შემისრულებია სემინარიაში. ყმაწვილი ვიყავი, როცა შევეფარე ჩვენი ღირსის მამის სერგის მფარველობას, და მთელმა ჩემმა ცხოვრებამ, მთელმა ჩემმა მოქმედებამ განვლო ამ მონასტრის კედლებ შუა; მე ვიცოდი მხოლოდ ეკკლესია, მონაზონთა სენაკი და მორჩილობა, რომელიც არ ვრცელდებოდა მონასტრის კედლების გარეშე. სანუგეშოთ და იმედად ისღა მიმაჩნდა მე, რომ ღმერთი ინებებდა და ამ ჩემს საყვარელ მონასტერშივე განუტევებდა ჩემს სულს, მაგრამ ამ დროს ღვთის გამოუთქმელი განგებულებისა ძალით მე მხვდება წილად მღვდელ-მთავრობის სამსახური.“

„შენ, უსაყვარლესო მღვდელ-მთავარო და მეუფეო ჩემო, უწყი ჩემი სისუსტე, შენს წინაშე გამოვიჩინე მთელი ჩემი სულიერი უძლურობა, და თუმც ეხლა ვერაფერსა ვბედავ, რომ წინა აღუდგე ახალს დანიშნულებას, მხოლოდ იმიტომ, რომ ვემორჩილები ღვთის ნებას, რომელიც გამომეცხადა მე უწმინდესი და უმართებულესი სინოდის და თვით-მყრობელი უკეთილმსახურესის ჩვენი ხელმწიფე იმპერატორის აღრჩევით. თვით მწყემს-მთავარმა უფალმა ისეო ქრისტემ სთქვა თავის თავზე წმ. სახარებაში: რამეთუ გარდა მოხვედ ზეცით, არა რათა ვყო ნება ჩემი, არამედ ნება მომავლინებელისა ჩემისა მამისა (იოან. 6,38) და მან დაიმდაბლა თავი თვისი, და იქმნა იგი მორჩილ მამის ნებისა, ვიდრე სიკვდილამდე, და სიკვდილითა მით ჯვარისათა (ფილიპ. 2,8), ჩვენ დაგვიტევა კეთილ-წერილი, რათა შეუდგეთ კვალთა მისთა (პეტრ. 2, 22) ღვთის ნების აღსრულებაში. ამ მორჩილებაზე, თავის ნების და თავის მოსაზრების უარ-ყოფაზე მაცხოვარებითი საქმეში და სრულებით თავის კეთილ მნებელობით მორჩილებაზე ღვთის ნებისადმი, დამოკიდებულია ჩვენი საუკუნო ცხოვნება და ჩვენი ქვეყნიური ბედნიერებაც. დაემორჩილე მთლად ღმერთს, ნუ დიდობ, წადი იქ, სადაც ღმერთი გიბრძანებს, გააკეთე, რაც შეშვენის წმინდა სიმდაბლეს და ღმერთი იქნება შენი შემწე და ყოველივეს შენს სასიკეთოდ შექმნის. მხოლოდ ისეთ დიდ კაცებს სულიერი მეტყველებისას, როგორიც იყო ღირსი მამა ჩვენი სერგი, შეუძლიათ ხან-დის-ხან უშიშრად წინა აღუდგნენ მორჩილებას, მაგრამ ისიც მხოლოდ მაშინ, როცა ისინი წინ-და-წინვე ამაზე ღვთისგან განცხადებას იღებენ. ვბედავ ვსთქვა, ბრძენო მღვდელთ-მთავარნო და მამანო, რომ ჩემში არა ერთხელ მიგრძვნია კეთილ მოქმედება წმინდა მორჩილებისა. ერთხელ მე, პატარა ბავშვი, როცა თვით შეუძლებლად ვიყავი, გამგზავნეს საავათ-მყოფოში ავათ-მყოფების სანახავად; მაგზავნიდნენ ხოლმე მგზავრთა სადგურ სახლში და მე იქ ვემსახურებოდი უცხო მოგზაურთა „ღირსი სერგის სტუმრებს“; მაყენებდნენ სანთლის, ხატების და წიგნების გამყიდველად, და მეც ვემორჩილებოდი და თუმცა მე სუსტი აგებულებისა ვიყავი და მცირე ნიჭიც მქონდა ჩემდამო რწმუნებულ მოვალეობათა აღსრულებისათვის, მაგრამ საქმე ყოველთვის კარგად მიდიოდა, რადგან ყოველივე ესე ხდებოდა ერთი მხოლოდ მორჩილების გამო. მაგრამ დღეს მე ვალად მედება ახალი მორჩილობა, მორჩილობა მღვდელთ-მთავრისა; როგორც ცაა დაშორებული მიწაზე, ისე ეს ახალი მორჩილობა უმაღლესია დღემდის ჩემიერ გავლილ ყველა მორჩილობაზე; შიშით და დიდის კრძალულებით ვიღებ ამ სამსახურს ჩემს თავზე, და ვერ ვბედავ უარ ვჰყო და რამე ვსთქვა წინააღმდეგ ღვთის გამოუთქმელი განგებულებისა, რომელიც სრულდება ჩემზე.“

„აი სწორეთ ამის გამო გთხოვთ და ცრემლით გევედრებით თქვენ, ღირსნო მღვდელ-მთავარნო, უმაღლესი მადლით შემოსილნო, რომ როცა თქვენ თქვენს ხელს დაასხამთ ჩემს უღირს თავზე, მოიგონოთ უძლურება ჩემი და შემევედროთ მხურვალედ დიდს მღვდელ-მთავარს, რომელიც მოვიდა ზეცით, რათა მან გადმომივლინოს მე მადლი, რომელიც უძლებასა ჰკურნებს და ნაკლულევანებათა აღავსებს, და შემქმნის მე ჭურჭლად, რომელიც საჭიროა წმინდა მის ეკკლესიაში მსახურების დროს."

28 დეკემბერს, საღმრთო ლიტურგიის შესრულების დროს, სამების სობორაში აკურთხეს მ. არქიმანდრიტი გენნადი სუხუმის ეპისკოპოსად. კურთხევა შეასრულა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა, მოსკოვის მიტრაპოლიტმა იოანნიკემ პეტრე და მიხაილ ეპისკოპოსები-თურთ. წირვის გათავების შემდეგ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესმა იოანნიკემ, სანამ ახლად ნაკურთხ ეპისკოპოსს კვერთხს შთააბარებდა, უთხრა მას მიახლოვებით შემდეგი სიტყვები:

ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოსო გენნადი! უზენაესმა მწყემს-მთავარმა, უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მის მიერ აღრჩეულ მოციქულებს და იმათი პირით მათი სამსახურის ყველა მოადგილეთა მისცა მცნება: „ეკრძალენით, ნუ უკვე ვინმე შეურაც-ჰყოთ ერთი მცირეთა ამათგანი (მათ. 18,10)." შენ დღეს მწყემს-მთავართა ხელის დასმით მოგენიჭა სამღვდელ-მთავრო მადლი და შეიქმენი ამ სახით მოციქულებრივი სამსახურის მოადგილედ სამშობლო ეკკლესიაში, შთაიბეჭდე, ღვთის მოყვარე ძმაო, ეს მცნება ქრისტეს მაცხოვრისა შენს გულში და იხელმძღვანელე მით შენი ახალი სამსახურის დროს. სხვა სამწყსოებთან შედარებით დიდი არ არის სამწყსო, რომელიც დღეს შენს მხედველებისა და ხელ მძღვანელობასა ქვეშე გადმოდის; მაგრამ ეს სამწყსო მოითხოვს შენგან თუ არა მეტს, არა ნაკლებ შრომას, მოთმინებას, თავ-განწირულს სიყვარულს სხვ. ვრცელ სამწყსოებთან შედდარებით. თითქმის ნახევარი ნაწილი მკვიდრთა, რომელნიც სცხოვრობენ თქვენდამო რწმუნებულ სამწყსოში, გარემოცულია სხვა-და-სხვა ამაო მორწმუნეობითა და ცრუ სწავლითა; უმეტეს მათგანს არ ესმის, თუ რა სწამს მას და რაზეა დამყარებული მისი იმედი. ბევრს მიღებული აქვს მართლ მადიდებელი აღსარება, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ არიან მტკიცედ დამკვიდრებულნი სარწმუნეობაში; მათ იმდენად გაეგებათ ქრისტე მაცხოვრის სწავლა-მოძღვრება, რამდენათაც პატარა ბავშვს გაეგება მის გარეშემო მომხდარი მოვლინებანი. როგორც პატარა ბავშვისთვის რძეა საჭირო, ისე მათთვის საჭიროა პირველ დაწყებით სწავლა-მოძღვრებანი სარწმუნოებაზე. ეკრძალე, ღვთის მიერ საყვარელო ძმაო, და ნუ შეურაცჰყოფ მცირეთა მათგანს. დღეიდამ ყოველი შენი ძალა უნდა შესწირო მათი ცხოვნების საქმეს, რომ შენ უშიშრად შეგეძლოს წარსდგე დიდების მეფის საშიშარ ტახტის წინაშე და გაბედვით უთხრა მსაჯულს: აი აქ არიან ყმანნი, რომელნიც მომე მე. ამისთვის არ არის საჭირო არც ღრმა და ვრცელი სწავლა-განათლება, რომლის გაგება და შეთვისება არ შეუძლია დაბალს და უმეცარ ხალხს, არც უმაღლესი ქადაგებითი სიტყვის ნიჭია საჭირო, რადგან ეს უკანასკნელი გაუგებელი იქნება დაბალი ხალხისათვის, რადგან ის არ არის მომზადებული ამისთვის და არც ის ენა ეცოდინებათ, რომელზედაც შენ უნდა ელაპარაკო მათ. თავდაპირველად იზრუნე, რომ შენში აღძრა თავ განწირული სიყვარული შენი სამწყოსადმი და გქონდეს ჭეშმარიტი სურვილი, რათა შენი სამწყოის კეთილ-დღეობისთვის შენი თავი შესწირო. სიყვარული, როგორც ამბობს მოციქული არა მაღლოინ, არა გალანძღის, არა სირცხვილეულ იქმნის, არა ეძიებს თავისას, ყოველსა თავს იდებს, ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ესავს, ყოველსა მოითმენს. (I კორინთ. 13, 4-7). ასეთი სიყვარული თუ გექნება, ეს შენ შეგიმსუბუქებს შენ დიდ შრომას, რომელიც მოგელის შენ შენს ახალს სამწყსოში; ასეთი სიყვარული შენ გასწავლის მოთმენას და სულ-გრძელად აიტან იმა მწუხარებათა და გაჭირვებათა, რომელნიცა, მოსდევენ მწყემსებურ სამსახურს. ასეთი სიყვარული მოგცემს შენ ძალას, სიმხნეს, რათა შეუშფოთებლად აიტანო ყოველივე შეწუხებანი, რომელნიცა

შეგხვდება შენ შენს ახალ ცხოვრებაში. შენს სანუგეშებლად ვიტყვი კიდევ, რომ დაბალი და გაუნათლებელი ხალხი უფრო მალე შეისმენს და დააფასებს შენს მათდამი სიყვარულს და სამაგიეროდ ისიც შეგიყვარებს, ვინემდის გონება გახსნილი და განათლებული ხალხი. როცა ასეთი ურთიერთობა იქნება მწყემსა და მის სამწყსოსა შორის, მაშინ შრომა მსუბუქდება და ყოველივე გაჭირვებასა და შეწუხებას ადვილად იტანს კაცი. შენ ოცდა ათი წელი გაატარე ღირსის მამის ჩვენის სერგის მონასტერში მის ზეციურ მფარველობასა ქვეშე. მართალია, ღირსმა სერგიმ არ მიიღო სამღვდელ-მთავრო ხარისხი, მაგრამ, ნაცვლად, მის მონასტრიდამ გამოდიოდნენ და დღესაც გამოდიან მრავალნი მომქმედნი პირნი, რომლებიც სამშობლო ეკკლესიის სამღვდელ-მთავრო კათედრებზე ინიშნებიან. როგორც თავ-მდაბალი მისი მორჩილი, რომელიც ოცდა ათი წელიწადი იღვწოდა მის მონასტერში და ტაძარში, სადაც განისვენებენ მისი ნაწილები, დღეს, როცა ღირსი გახდი შენ სამღვდელ-მთავრო მადლისა, მხურვალედ შეევედრე წმ. სერგის, რათა მისი ზეციური მფარველობა იყოს შენზე შენს ახალს სამსახურშიაც. ფრიად შემძლებელ არს ლოცვა მართლისა შეწევნად, ამბობს წმ. მოციქული იაკობი (5. 17). ნიშნად მისა, რომ შენ ჩაგბარდა ღვთის ეკკლესიაში უფლება, არა დასაცველად, არამედ აღსაშენებლად სამწყსოთა მიიღე კვერთხი ესე და შენზე ახლად გადმოსული ღვთის მადლის ძალით მიეცი ლოცვა-კურთხევა ხალხს.“ (მწყემსი, N3, 1887 წელი);

***

აფხაზეთის ეპისკოპოსი გენნადი, როგორც „მოსკოვის უწყებანი“ გვამცნობებს, რომ თერთმეტ თებერვალს სევასტოპოლიდამ გამომგზავრებულა აფხაზეთში. ჩვენ შევიტყეთ, რომ ყოვლად სამღვდელო გენნადი კიდეც მობრძანებულა სოხუმში და იქიდგან პირ-და-პირ წაბრძანებულა ახალი ათონის მონასტერში, სადაც იმყოფებოდა დღეს. (მწყემსი, N5, 1887 წელი);

აფხაზეთიდამ

თითქმის სამი წელიწადი შესრულდა, რაც აფხაზეთის ეპარქიის ეკკლესიებისათვის რევიზია არ უყვია ადგილობით სასულიერო მთავრობას. ივნისის თვეში აფხაზეთის ახალმა ეპიზკოპოზმა გენნადიმ განიზრახა თავის ეპარქიის ეკკლესიების დახედვა. ადგილობითი სამღვდელოება და საზოგადოებაც დიდის სიხარულით მოელოდენ ახალ ეპისკოპოსის ხილვას. ხუთ ივნისს მათი მეუფება მობრძანდა სამურძაყანოში. ყოვლად სამღვდელო გენნადის თან ახლდენ ბლაღოჩინი დეკანოზი მ. დავით მაჭავარიანი, მღვდელ-მონაზონი ხარლამპი, ეპარქიის კანცელარიის მდივანი. სამურზაყანოს სამზღვარზე მათ მეუფებას შეეგებენ ადგილობითი ბლაღოჩინი იოანნე ჩხენკელი და მაზრის უფროსი. ყველა ეკკლესია-ზე, სადაც კი მიბრძანდებოდა ხოლმე ყოვლად სამღვდელო, დიდ ძალი ხალხი იკრიბებოდა მათი მეუფების სანახავად და ლოცვა-კურთხევის მისაღებად. ყოვლად სამღვდელო ეკკ-ლესიის დათვალიერების შემდეგ უქადაგებდა შეკრებილ ხალხს სარწმუნოებაზე; ურჩევდა ხალხს სკოლების გახსნას. ბევრ სამრევლოებში ხალხმა აღუთქვა მათ მეუფებას სკოლისათ-ვის სახლის აღშენება და თავის ხარჯით მასწავლებლის დაქირავება. ყოვლად სამღვდელომ უბრძანა ადგილობით ბლაღოჩინს, რომ ახლად გამართული სკოლების მასწავლებლე-ბად ჯერ-ჯერობით ოთხ-კლასიან სასწავლებლებში კურს შესრულებულნიც გამოდგებიან, რომელთაც მედავითნეებადაც დავნიშნავ ადგილობით ეკკლესიებზე და შემდეგ თუ ისინი რიგიანად წაიყვანენ საქმეს, მღვდლობის ადგილსაც მივსცემო. მაგრამ ამისთანა პირები ძალიან ცოტანი მოიძებნებიან დღეს აფხაზეთში. თორმეტ ივნისს მათი მეუფება მობრძან-და დაბა ოქუმში, სადაც ადგილობით ეკკლესიაში მოისმინა წირვა. წირვის გათავების შემდეგ ხალხმა მიართვა ყოვლად სამღვდელოს პურ-მარილი. შეკრებილს საზოგადოებას ყოვლად

სამღვდელომ ურჩია შვილების სასწავლებელში შეყვანა და მასთან განუმარტა შეკრებილ საზოგადოებას სწავლის სარგებლობა. თუმცა დაბა ოქუმში არის დაარსებული სკოლა კავკასიაში მართლ-მადიდებელი სარწ. აღმადგენელი საზოგადოების ხარჯით, მაგრამ ყოვლად სამღვდელომ საზოგადოებას ურჩია კიდევ საეკლესიო სამრევლო სკოლის გახსნაც ორივე სქესის ყმაწვილთათვის. მასთან ყოვლად სამღვდელომ აღუთქვა საზოგადოებას სკოლის საქმეში შემწეობის აღმოჩენა. შემდეგ მათი მეუფება შებრძანდა ადგილობით სკოლაში, რომელშიაც მოსწავლეთა რიცხვი იქმნება ასამდე. გამოცადა მოწაფეები და ძალიან კმაყოფილი დარჩა მათი მეუფება. ყოვლად სამღვდელომ ერთი თუმანი უბოძა მასწავლებლებს, რომ ამ ფულით მოწაფეებისათვის კონფეტები ეყიდნათ. აქ რამდენიმე პირმა სთხოვა ყოვლად სამღვდელოს ახლად აღშენებული ქვიტკირის ეკკლესიის დახედვა. ნაშუადღევის მეოთხე საათზე მათი მეუფება მობრძანდა ახალი ეკკლესიის დასახედავად. დაათვალიერა ეკკლესია და ბრძანა, რომ ტრაპეზს და სამკვეთლოს სტოლებს სიფართე მოუმატონ; ხალხს აღუთქვა ეკკლესიისათვის ხატების და სხვა საჭირო ნივთების უფასოდ გამოგზავნა.

ყოვლად სამღვდელო შეკრებილ საზოგადოებას ყველგან ურჩევდა მიცვალებულების შესახებ უბრალო ხარჯების მოსპობას. უკეთესი იქნებაო, ბრძანებდა ხოლმე ყოვლად სამღვდელო, რომ ამ უბრალო ხარჯების საფასს თქვენს ეკკლესიებს და თქვენი შვილების სწავლა-განათლებას მოახმარდეთო. ბევრმა პირმა აწირვინა ყოვლად სამღვდელოს მიცვლებულისათვის, მაგრამ მათმა მეუფებამ მღვდელ-მოქმედებისათვის ფულები არავისგან არ მიიღო თავის სასარგებლოდ. ყველა ნაჩუქარი ფულები ადგილობით ეკკლესიებს შესწირა. რევიზიის დროს ყოვლად სამღვდელო ათვალიერებდა ეკკლესიის კრებულის სადგომებს და სადაც ასეთი შენობები სიძველისა გამო არ ვარგოდენ, კრებულთ აღუთქვა ახალი ბინების აღშენება. ერთ ადგილს ყოვლად სამღვდელოს წარმოუდგინეს რამდენიმე თათარი, რომელნიც ჩვენი სარწმუნოების შესახებ უკანონოდ იქცეოდნენ. ყოვლად სამღვდელომ უბრძანა პოლიციას ამ თათრების დაუყონებლივ სათათრეთში გაგზავნა. ზოგიერთ სოფლებში წარუდგინეს ყოვლად სამღვდელოს სოფლის მკითხავები, რომელთაც ყველგან პირობა დაადებია, რომ მათ ამის შემდეგ აღარ გაებედნათ მკითხაობა. 11 ივნისს ყოვლად სამღვდელო გამოეთხოვა ოქუმის საზოგადოებას და გაემგზავრა ჩხორთოლის სამრევლოში. /მღვ. სპირ. ჯინჯიხაძე/. (მწყემსი, N17, 1887 წელი);

სამურძაყანოდამ

აფხაზეთში გავრცელებულა ერთი მეტად ცუდი ჩვეულება, რომელიც დიდ გაჭირებას აყენებს მღვდლებს და ადგილობითი მთავრობასაც. აი ეს ჩვეულება: როცა მღვდელი მონათლავს ყმაწვილს და რომელიმე წმიდანის სახელს დაარქმევს, მშობლები თავიანთ ახლად დაბადებულ შვილებს ნათლობის სახელის გარდა არქმევენ სხვა-და-სხვა სახელებს, როგორც მაგალითად: კაზა, კუზუ, გელვაჩი და სხვანი. ნათლობის სახელის გამოცვლას აქ არაფრად არ აგდებენ. ასეთი უაზრო ჩვეულება დიდ დაბრკოლებას გვაძლევს მღვდლებს საეკლესიო საბუთების შედგენის დროს. ერთ დედ-მამას ყავდა ექვსი ვაჟი შვილი. ამათში გარდაიცვალა ერთი ვაჟი. მიცვალებული უნდა ჩაგვენიშნა გარდაცვალებულთა მეტრიკაში. მშობლებს ვკითხე მიცვალებულის სახელი. მათ მითხრეს, რომ ძოკი ერქვა ჩვენს შვილსო; შემდეგ დასძინეს: ვგონებთ, ივანე ერქვაო. აქედან სჩანს, რომ მათ ერთ რომელიმე შვილს ერქვა ივანე, მაგრამ რადგან ნათლობის სახელს არ ხმარობდნენ, ამიტომ დაავიწყდათ და არ იცოდენ, თუ რომელს ვაჟს ერქვა ეს სახელი. აგრეთვე გაჭირებული გვაქვს მღვდლებს საქმე ჯვარის წერის დროს. როცა სასძლოს და სასიძოს ჰკითხავთ სახელებს, ისინი სულ სხვა სახელებს გვეუბნებიან, ხოლო მათგან წარმოდგენილ მოწმობებში ჩაწერილია სხვა სახელები.

ხშირად მთავრობა გვთხოვს მღვდლებს მეტრიკიდამ ცნობებს სისხლის სამართალში მიცემულ პირთა წლოვანების შესახებ. მთავრობის მოწერილობაში მოხსენებულნი არიან სახელები: კვაჯი, კუზა, ზიყვა და სხვ. საეკკლესიო საბუთებში კი ჩაწერილნი არიან: ბესარიონი, დიმიტრი, ნესტორი და სხვა. ვაძლევთ მთავრობას ცნობებს, მაგრამ რადგან ჩვენგან მიცემულ მოწმობებში მოხსენიებულია სხვა სახელები, ამიტომ მთავრობაც დიდ რწმუნებას ვერ აძლევს ჩვენგან მიცემულ ცნობებს და სისხლის სამართალში მიცემულნი პირნიც, რომელთა წლოვანება ითხოვება, ხშირად მღვდლებს ემდურებიან და ფიქრობენ, რომ, ვითომ, მათი სახელი და წლოვანება ნამდვილად არ უჩვენა მღვდელმა მთავრობასო. ხშირად შეხვდებით აქ ისეთ პირს, რომელსაც 4 და 5 სხვა-და-სხვა სახელი ჰქვია.

საკომლო სიების შედგენის დროს ამისთანა გადასხვაფერებულმა სახელებმა დიდი დაბრკოლება მისცა როგორც მღვდლებს ისე სიების შემადგენელთ. სიების შედგენის წინად ხალხში გავრცელდა ხმა, რომ სალდათად მარტო იმათ წაიყვანენ, რომელთაც შობითგან 25-30 წლამდე ექნებათო. ამიტომ სიების შემადგენელთ ყველას ოცის და ოცდა ერთი წლისას აწერინებდნენ და მასთან სახელებიც ის იწერებოდა, რომელიც დედ-მამისაგან ჰქონდათ დარქმეული შვილებს და არა ის, რომელიც მეტრიკაში იყო ნაჩვენები. ამ სახით მარტო ერთ სამამასახლისოში აღმოჩნდა 600 სულამდე, რომელთაც შეხვდებოდათ კენჭში შესვლა. როცა სიების შედგენა გათავდა, მთავრობამ მოთხოვა მღვდლებს წლოვანების აღმოწერილობა ყველა იმ პირთა, რომელნიც დაბადებულნი იყვნენ 1866 წელში. ჩვენგან მიცემული აღმოწერილობებით იმ 600 პირში, ვგონებ მესამედს არ ერგოს კენჭში შესვლა. ეხლა ხალხმა გაიგო, რომ მარტო 20 წლისას გაიყვანენო და ამიტომ მღვდლებს გვთხოვენ მეტრიკულ აღმოწერილობას. ბევრი ძებნისგან მეტრიკები აგერ მთლად დაიხევიან. ამდენი ჯაფა არ დაგვჭირდებოდა, რომ სიების შედგენის დროს მღვდლებისათვის ეკითხათ სიებში ჩასაწერი პირების წლოვანება და სახელები. სიების შემადგენლები ამორჩეულ დეპუტატებს და ოჯახის უმფროსებს უფრო კითხავდნენ მათი შვილების სახელსა და წლოვანებას. ეხლა ჩვენგან მიაქვთ მეტრიკული აღმოწერილობანი, მაგრამ რაში გამოადგებათ? მეტრიკაში წერია ნათლობის სახელი გიორგი, ხოლო სიებში ნაჩვენებია გვეძია, პეხუ, ძუკუ, ბეჩუ, კიჭო და სხვ. ყოველივე ესე უნდა მიიღოს სახეში სიების შემადგენელ პირებმა და ხელახლად უნდა შეამოწმონ სიები.

აგრეთვე საჭიროა, რომ სახორციელო მთავრობამ აღუკრძალოს აქაურებს, რომ ნათლობის სახელებს გარდა სხვა სახელები არ დაარქვან თავიანთ შვილებს. მართალია, ეს მღვდლების პირ-და-პირი მოვალეობა არის, მაგრამ ხშირად ხალხი მღვდლებს არ უგონებს. /მღ. პავლე ასათიანი/. (მწყემსი, N23, 1887 წელი);

1888 წელი

გაზეთი ,,ივერია''

ახალი ამბავი

სოხუმი: აქ წელს 165 პლანტაცია იყო თამბაქოსი. სულ ეჭირა ათასი დღიური მიწა. დღიურზე რომ ორთა შუა მოსავალი 35 ფუთი ვიანგარიშოთ, შეადგენს 35,000 ფუთსა. აქ ფუთა თამბაქო რვა მანეთად იყიდება, ასე რომ სოხუმის მაზრას წელს თუთუნისაგან შემოუვა 300.000 მანეთამდის. კარგი შემოსავალია, თქვენმა მზემ, მაგრამ მომყვანნი თამბაქოსი ძრიელ

დაღონებულნი არიან იმის გამო, რომ ძველად ყოველთვის ამ დროს გაყიდულიცა ქონიათ ხოლმე თამბაქო, წელს-კი ვაჭარი არსაიდამა სჩანს. მიზეზი არავინ იცის.

იქიდამვე: 15 დეკემბერს აქ იყო ქალაქის დეპუტატების არჩევანი. არჩევანზე ერთმა ახალგაზდა კაცმა საზოგადოებას მოახსენა რამდენიმე სიტყვით, თუ რა მნიშვნელობა აქვს კარგ დეპუტატის არჩევას, თუ რა და რა საგანს უნდა მიექცეს საზოგადოების ყურადღება, რომ ქალაქი გაუმჯობესდეს. მაგრამ ძველებურად ისევ უსწავლელი დეპუტატები აირჩიეს და ჩაუგდეს ხელში ქალაქის ბედი და იღბალი. დროა ქალაქმა საკვლაოდ მაინც იფიქროს თავის თავზე და სთხოვოს მართებლობას თვით-მმართველობის ნება მიეცეს სხვა ქალაქებივით, თორემ ამ გვარ დეპუტატებისაგან არა ეშველება-რა ქალაქსა. (ივერია, N2, 1888 წელი);

ახალი ამბავი

სოხუმი: ამდენს ავადმყოფს ჯერ ჩვენი ქალაქი არ მოსწრებია. ყოველ დღე საიდამ არ გინდათ მოდიან ფილტვით ავადმყოფები, ყველანი ემადრიელებიან აქაურ ჰავას, მაგრამ ციებამ-კი ჯანი გააგდებინა მათ. იქიდამვე: აქნობამდის გვარიანი ამინდები გვედგა, 18 დეკემბრიდამ-კი ცა მოიღუშა და წვიმს; თოვლიც მოვიდა სოხუმის ახლო მთებზე. (ივერია, N3, 1888 წელი);

ახალი ამბავი

აფხაზეთი: სოხუმში დაარსდა, აგერ სამი წელი გადის, ეპარქია და ეპისკოპოსიც დაგვინიშნეს. მათი ყოვლად უსამღვდელოესობა წელიწადში ორჯელ თუ სამჯერ ჩამობრძანდება ხოლმე ჩვენს დაბაში, დანარჩენს დროს-კი სულ ახალ ათონის მონასტერში ცხოვრობს. ამბობენ, მისი ყოვლად უსამღვდელოესობა სოხუმში იმიტომ არ დაბინადრდა, რომ სახლი ვერ იშოვნა თავის შესაფერიო. თუ ეს მართალია, სოხუმელებს უნდა ეძრახებოდეთ, რომ აქამდის ვერ იშოვნეს საიმისო სახლი. (ივერია, N11, 1888 წელი);

***

სოხუმის ეპარქიაში სამრევლო სკოლების საქმე კარგად მიდის მ. ხარლამპის და იოსებ ბერძენოვის მეცადინეობით. აქ უკვე გაიხსნა ხუთი ექვსი სამრევლო სკოლა. სხვა სოფლებში თითქმის ყველგან შემდგარია სოფლის განაჩენი და მომავალ გაზაფხულზე გაიხსნება ყველგან. (ივერია, N11, 1888 წელი);

სოხუმი

ჩვენს არე-მარეში 21 ქრისტიშობისთთვემდის ზაფხულის დღეები იდგა, ვარდი ჰყვაოდა. 22-ს დაიწყო თოვლი და 24-მდი განუწყვეტლივ მოდიოდა, ასე რომ ერთს ადლზე ჩამოჰყარა თოვლი. არავის არ ახსოვს ასეთი თოვლი. 24-ს დაიჭირა კარგი დღეები და თოვლი გააქარწყლა ორს დღეში. ვიფიქრეთ — დაგვიდგა ჩვენებური გაზაფხულიო, მაგრამ მოვსტყუვდით. იანვრის 7-დამ მოკიდებული მოდის და მოდის თოვლი.

იქიდგანვე: სოხუმის ნავთ-სადგურზე 5 იანვარს იშვიათის შემთხვევის მნახველნი ვიყავით. 4 იანვარს აქ შემოვიდა ბროცკის და კომ. ხომალდი. 5-ს, საღამო ჟამს, ორს მატროსს ეთხოვნა კაპიტანისათვის — ქალაქში გაგვიშვიო. კაპიტანი დიდხანს უარზე მდგარიყო, რადგან ზღვა ძრიელ ჰღელავდა, მაგრამ ბოლოს, დიდის ხვეწნის შემდეგ, მაინც თავისი გაეტანათ მატროსებს და ერთის მგზავრით ჩამსხდარიყვნენ ნავში და წასულიყვნენ. მგზავრი და

ერთი მატროსი გამოსულიყო კიდეზე საგძლის საყიდლად, ხოლო ერთი მატროსი ნავში დარჩენილიყო. ბოლოს, როცა შებინდდა, მოვიდა მეორე მატროსი, ჩაჯდა ნავში და დაუწყეს ლოდინი მგზავრსა. ცოტა ხნის შემდეგ წავიდნენ. უეცრად ნავში ჩამოვარდა წყლის მთა და ნავი მატროსებითურთ ძირს წაიღო. ერთი მატროსი თოკით დაება ნავზედ, მეორე-კი მოშორდა ნავს. ეს მეორე რამდენისამე წუთის შემდეგ ზღვის ტალღამ ნაპირზე ამოისროლა უვნებლად, ხოლო პირველი ნავითურთ შიგნით შეიტანა. დაღამდა. ისმის გულსაკლავი ხმა ზღვიდგან — მიშველეთ, ვინა ხართ, ქრისტიანიო! მაგრამ ვისა აქვს თავი გაწირული? ვინ გაბედავს ამ ზღვის გორებში შესვლასა! ბოლოს როგორც იყო ერთმა გულოვანმა მცურავმა გაბედა შესვლა. ჩაიბა წელში თოკი და შეცურდა არეულს ზღვაში. დიდის ხნის ცურვის შემდეგ მონახა ნავი და ზედ მიბმული კაცი. ეცადა თოკი გაეხსნა, მაგრამ არა ეშველა არა. ბოლოს გამოცურდა კიდეზე ხელ-ახლა, წაიღო დანა და გასწია ზღვის პირიდამ მსხვერპლის გამოსაგლეჯად. მივიდა, შეაჭრა თოკი, წაავლო ხელი და გამოეშურა უკან. ზღვის ტალღები მშიერ ვეშაპსავით მოსდევდნენ, მაგრამ ვერას გახდნენ. გამოიტანა ცოცხალ-მკვდარი კაცი ნაპირზე და დიდის მეცადინეობის შემდეგ, როგორც იყო, გონზე მოიყვანეს საწყალი მატროსი. ჯერ არ ვიცით, რა ჯილდო მიიღო ამ გულოვანმა მცურავმა. (ივერია, N13, 1888 წელი);

***

ილორის ეკკლესიის მღვდელი, მ. ივანე გრიგოლია, ჰმართავს სამრევლო სკოლას. ამ სკოლის სასარგებლოდაც აქაურმა საზოგადოებამ გაიწერა შესაწირავი ფული; ამ ფულის მოკრება მინდობილი აქვს აქაურს დიაკვანს, თომა დუნდუას, რომელიც, მართალი უნდა ვსთქვათ, დიდის გულმოდგინებით მოეკიდა ამ საქმეს. (ივერია, N26, 1888 წელი);

***

,,Кут. Губ. Вѣд.''-ი გვაუწყებს, რომ სუხუმს ერთი სკოლა აქვს და ისიც უნდათ გააუქმონ, რადგან ფული არ არის იმის შესანახავადაო, მაშინ როდესაც მარტო შენობის შესაკეთებლად დაიხარჯა 1879 წლიდამ 38,000 მანათიო. (ივერია, N29, 1888 წელი);

ახალი ამბავი

სოხუმი: 21 თებერვალს აქ მოელიან სამხედრო სამსჯავროს, რომელმაც უნდა გაასამართლოს გენერალის ზავადსკის მკვლელები. იქიდამვე: აქ დიდი ქურდობაა. მარტო სამურძაყანოში ნახევარ წლის განმავლობაში ათასი სული საქონელი მოუპარავთ. აფხაზეთიდამ გვწერენ: თებერვლის შუა რიცხვებში კოდორსა და ოჩემჩირეს შუა სამჯერ მოხდა კაცის მკვლელობაო. (ივერია, N38, 1888 წელი);

ახალი ამბავი

სოხუმი: ბედი ხელს გვიწყობს და იმედია, რომ აქედგან წელს დიდ ძალს სიმინდს გაიტანენ საზღვარ-გარეთ. ოსმალეთიდგან კარგა ძალი ვაჭრები მოგვაწყდა და ფუთ სიმინდში 70 კ. იძლევიან. სამაგიეროდ თამბაქო ხელ-უხლებლადა ძევს. ორიოდე ვაჭარი თუ მოსულა ამ ჟამად სოხუმში თამბაქოსათვის, ისიც ბევრია. (ივერია, N39, 1888 წელი);

ახალი ამბავი

სამურზაყანო: თქვენი მტერი და დუშმანი ისე შეგიწუხოთ ღმერთმა, როგორც ჩვენ, სამურზაყანოელები შეწუხებულნი და შევიწროებულნი ვართ ქურდებისაგან. ისე დღე არ

გავა, რომ დ. ოქუმში არ მოვიდეს სხვა-და-სხვა სამურზაყანოს სოფლებიდამ მომჩივანი, რომლისათვისაც ცხენი ან ძროხა გამოუყვანიათ ქურდებს სახლიდგან. ბარე ორიოდე ქურდს მიუტანეს კვალი, დაიჭირეს და სამურზაყანოს უფროსს წარუდგინეს; უფროსმა, რასაკვირველია, გაჰგზავნა სადაც ჯერ არის. გვეგონა, აი, ღმერთო, ერთი ავაზაკი მაინც მოაკლდა სამურზაყანოსაო. ასე ვფიქრობდით ჩვენ, მაგრამ მეტმა ჭირმა არ წაგიღოთ. ჰხედავთ, რამდენისამე ხნის შემდეგ, ის ვაჟბატონი არხეინად ჩამოგისეირნებთ გვერდით: თურმე ან სულ განთავისუფლებულა და თავდებობის ქვეშ გამოუშვიათ. განსაკუთრებით ქვრივ-ობლები და მღვდელ დიაკვნებია ჩვენს მხარეში დაჩაგრული ქურდებისაგან. ამ მოკლე დროში ოქუმის მღვდელს მოჰპარეს ერთი კარგი ცხენი და ერთიც ხარი. იმავე სამრევლოში მოსამსახურე დიაკვანსაც გამოაცალეს ხელიდგან ცხენი. ამას წინად ქურდები შეუცვივდნენ ერთს დედაბერს. სახლში მარტოდმარტო ყოფილა საწყალი და ერთი ცხენი ბმულა დედაბერის შვილისა, რომელიც იმ ღამეს შინ არა ყოფილა. დედაბერმა შეიტყო ქურდების მისვლა, კიდეც იცნო ერთი ქურდთაგანი, მაგრამ ვერას გახდა და ქურდებმა წაიყვანეს მაინც ცხენი. ამ სენს თუ რაიმე წამალი არ დაედო, არ ვიცით რა გვეშველება. ჯერ საქონელი სახლში გვყავს და თუ კი ახლა გვტაცებენ, რა ვქნათ გაზაფხულზედ, როცა საქონელი მინდვრად არის გაშვებული. სამურზაყანოს უფროსი ძლიერ სასტიკად მოეპყრა პირველში ქურდებს და ის იყო შეამცირა კიდეც ქურდობა, მაგრამ საქმე როგორღაც ისე მოხდა, რომ ყველა ქურდები დააბრუნეს ქ. სოხუმიდგან. ის იყო და ის, მას აქეთ დაიწყეს ცოტ-ცოტა ქურდობა და ეხლა ლამის სულ მთლად აგვიკლონ. საქმე იქამდის მივიდა, რომ ერთ დროს ხმაც დაეგდოთ სოფლებში, ქურდობის ნება მოვიდაო.

სამურზაყანოს თითქმის ყველა სოფლებში. ჰმართავენ და ზოგ ადგილას კიდეც გაჰმართეს საეკკლესიო-სამრევლო სკოლები. (ივერია, N42, 1888 წელი);

კორესპონდენცია

აფხაზეთი, 12 თებერვალი. აფხაზეთში გასულის წლის შემოდგომიდგან, ესე იგი, მას აქეთ, რაც გაუქმებულ იქმნა ამ დრომდე მოქმედი წესდებულება (სახეში მაქვს კოდორის და სამურზაყანოს განყოფილებანი სოხუმის ოლქისა), ქურდობა კვლავ უწინდებურადვე გაჩაღდა და გავრცელდა. ცხენის, ხარის, ძროხის, თხისა და ცხვრის მოტაცება და მოპარვა ეზოდგან, ანუ ბოსლიდგან, თუ თავლიდამ, ქვევრიდამ ღვინის ამოღება, ასე გასინჯეთ, ზოგჯერ კაცის მოკვლა ქურდობის დროს, ყოველივე ესე დღეს ჩვენში ჩვეულებრივი მოვლენაა. დეკემბერში ბევრი ქურდობა არ მომხდარა. ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ დეკემბრის დარი ხელს არ უწყობდა ქურდობასაო. ამ წლის იანვარში ქურდობა ისევ გაჩაღდა, მაგრამ, სამწუხაროდ, დაწვრილებითი ცნობები არა მაქვს. ამიტომაც პირდაპირ თებერვალში გადავიდეთ. ზევითა ვსთქვით, რომ ზოგჯერ მკვლელობასაც სჩადიან ქურდებიო. მართლაც, ამ თებერვალშივე შემდეგი უბედური შემთხვევა იყო. ვიღაც მეგრელი, ხასია, მოსამსახურედ მდგარა, როგორც ამბობენ, თავ. ტ. მარშანიას ოჯახში; რაკი სამსახურის ვადა შეუსრულებია, მიუღია 30 მ. და გამგზავრებულა შინისაკენ. როცა მდინარე ღალიძგას გადიოდა თურმე, უკანიდამ ვიღაცას რამდენჯერმე რევოლვერი დაუხლია, ბარე ორი თუ სამი ტყვია მოჰხვედრია საბრალო ხასიას, შემდეგ ავაზაკს ხმლითაც დაუჩეხნია და 30 მან. ფულიც წაუღიათ. საწყალი მოკლული მხოლოდ რამდენისამე დღის შემდეგ იპოვეს წყალში. ამ საქმის თაობაზე თუმცა გამოძიება სწარმოებს, დამნაშავე ჯერ ვერ აღმოუჩენიათ. ამ უკანასკნელ ამბის გარდა ყველა ხსენებული ქურდობა მოხდა მხოლოდ ერთს, სახელდობრ, გუფუს საზოგადოებაში, მერე ისეთს საზოგადოებაში, რომელიც ზედ მთის კალთებზე მიკრული, მთა-გორიანი ალაგი უჭირავს და ბევრი ისეთს მიუვალ ალაგას სცხოვრობს, რომ ბუნებითაც კარგად დაცულნი არიან ქურდებისაგან. სხვა ადგილებში-კი თუ მეტი არა, ამაზე

ნაკლები ქურდობა არსად არის; მაშასადამე, შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რამდენად გავრცელებულია ქურდობა აფხაზეთში. გაუზვიადებლად და თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ისევ დაგვიბრუნდა უწინდელის ქურდობა ავაზაკობის დრო, რომლის დაბრუნებას არ მოველოდდით. ეხლა, სულ ბოლო დროს, კოდორის განყოფილების საზოგადოებას საერთო ყრილობა ჰქონდა დაბა ოჩამჩირეში, სადაც განყოფილების უფროსის წინადადებით მოილაპარაკეს ქურდობა-ავაზაკობაზე. საზოგადოებამ თავისი მოსაზრება დაადგინა, თუ რა ღონით შესაძლოა ქურდების მოსპობაო. ეს მოსაზრება უნდა წარუდგინონ უმაღლესს მთავრობას დასამტკიცებლად. (ივერია, N45, 1888 წელი);

***

ერთს ახალგაზდა განათლებულს აფხაზს განუზრახავს აფხაზურის მწერლობის დაარსება და კიდეც შეუდგენია აფხაზური ანბანი. (ივერია, N46, 1888 წელი);

ახალი ამბავი

სოხუმიდამ შემდეგი საოცარი ამბავი მოგვივიდა, თუმცა არ ვიცით კი, რამდენად დასაჯერებელია: ამ დღეებშიო, გვწერენ სოხუმიდამ, ჩვენ შეგვატყობინეს დეპეშით, რომ სოხუმის მეორე გილდის ვაჭარს, საჩინო ქრისტეფორეს ძეს თურქიას, ჰამბურგის ბანკის ლატარიიდამ 200,688 მარკა რგებიაო. ამბობენ, რომ ბედნიერი ვაჭარი ამ თთვის დამლევს აპირობს წასვლას საზღვარგარეთ თავის მოგების ჩასაბარებლად ჰამბურგის ქალაქშიო.

აფხაზეთი: აფხაზეთში ამ ბოლოს დროს ქურდობა ძალიან გავრცელდა, იპარავენ ცხენსაც, ხარსაც, ძროხას, ცხვარსა და თხასა ბოსლიდგან მოხვდებათ, თუ თავლიდგან, ხშირად ქვევრიდამაც-კი ეზიდებიან ღვინოს. მაგალითებრ, მარტო გუფუს საზოგადოებაში წარსული წლის ნოემბრის თთვეში ჩვიდმეტი კაცი გაჰქურდეს, თერთმეტი ცხენი დაიკარგა, სამი ხარი და ორიც ვაცი. ამავე საზოგადოებაში თებერვლის პირველს ნახევარს თთვეში შვიდი კაცი გაჰქურდეს და დაიკარგა ორი ძროხა და ოთხი ხარი. (ივერია, N48, 1888 წელი);

ახალი ამბავი

სოხუმი: სამს მარტს უმაღლესის ბრძანებით დანიშნული სასამართლო შეუდგა ოთხის კაცის გასამართლებას, რომლებსაც გენერალ ზავადსკისა და სამის სხვა კაცის მოკვლა ბრალდებათ. აგერ ეს ოთხი დღეა, რაც საქმე სწარმოებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით მოწმეთა გამოკითხვაც არ გათავებულა. ამ ორ სამს დღეში-კი საქმეს სრულიად დააბოლოვებენ.

იქიდამვე: 2 თებერვალში ცოფიანმა ძაღლმა დაჰკბინა გ. ტკეჩიშვილის ექვსის წლის ვაჟი, რომელიც აქაურმა მთავრობამ სახელმწიფო ხარჯით გაჰგზავნა ოდესაში საექიმოდ. ყმაწვილი ამ დღეებში დაბრუნდა სოხუმში სრულიად ჯან-მრთელი.

იქიდამვე: სხვა-და-სხვა უბედური შემთხვევა ჩვენს ქალაქში არა კლებულობს. ხუთს მარტს ერთი მოხუცი უნტერ-ოფიცერი იპოვნეს ყელ-გამოჭრილი. ზოგი ამბობს, რომ მოხუცს თავი თითონ მოუკლავსო, ხოლო ზოგი იმ აზრისანი არიან, რომ იგი ავაზაკებს მოუკლავთო. ვნახოთ რას აღმოაჩენს გამოძიება. (ივერია, N52, 1888 წელი);

ახალი ამბავი

ნამდვილად შევიტყეთ, რომ სოხუმის მეორე გილდიის ვაჭარს, ბ-ნს თურქიას 200,688

მარკა-კი არ მოუგია ჰამბურგის ლატარიაში, არამედ სულ 60 მარკა ჰრგებია და არ ვიცით, რა მიზეზით მოუნდა ვიღაც ალექსი სანაიას ჩვენის გაზეთის შეცდენა, როცა ჭეშმარიტებით გვწერდა ამას წინად, 25 თებერვლის თარიღით დანიშნულს წერილს, რომ თურქიამ 200,688 მარკა მოიგოვო. ეტყობა, სანაიას სულ 200,000 მანათიანი მოგება ელანდება და, ხომ მოგეხსენებათ, მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდაო. ხუმრობა ხუმრობად იყოს, მაგრამ საწყალს თურქიასთვის-კი საქმე გაუჭირებიათ ნაცნობებს და მეგობრებს, რომელთა რიცხვი ასზე მეტი აღმოჩენილა, და მაშინვე დეპეშები დეპეშებზე დაუხლიათ: მოგვილოცავს შენი გაბედნიერება და აგრემც ღმერთი გადღეგრძელებს, ცოტაოდენი ჩვენც გვასესხეო.

სოხუმი: 13 მარტს სათათრეთიდამ მოვიდნენ ორას სულზე მეტი სომხები და გუდაუთის ნაწილში დასასახლებლად გაემგზავრენ.

სოხუმის მაზრაში ოც-და-ათი ათას ფუთამდის არის გამზადებული თამბაქო და მსყიდველი-კი არა სჩანს. ამის გამო მუშა ხალხი დიდს გაჭირებაშია თურმე. (ივერია, N58, 1888 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

სოხუმი, 3-12 მარტი. როგორც მკითხველს უკვე მოეხსენება, ჩვენს ქალაქში ამჟამად იმყოფებიან უმაღლესის ბრძანებით დროებით მოსულ სამხედრო სასამართლოს წევრნი პროკურორითურთ იმ ოთხ აფხაზთა გასასამართლებლად, რომლებსაც გენერალ ზავადსკის და სხვა სამის კაცის მოკვლა ჰბრალდებათ. აი თვით საქმეც. შარშან, 15 ენკენისთვისას, ექვსს საათზე საღამოს ჟამს, ბოროტ-განმძრახველნი, როგორც საქმიდამ სჩანს, დასცემიან გენერალ ზავადსკის. როგორც თვით ზავადსკი, ისე იმისი ორი მსახური დაუხოცნიათ, ყოველივე, რაც-კი რამ შინ უპოვნიათ, შეუკრავთ მაფრაშებში, აუკიდნიათ გენერალისავე ცხენზე და გზას გასდგომიან; გამოსულან თუ არა გზაზე, მოსწევიან გუდაუთელ ვაჭარს, ფილიპე ბოკუჩავას, დაუციათ ოთხი რევოლვერი, მოუკლავთ, რაც რამ ზედ ჰქონია, წაურთმევიათ და გაქცეულან. ამგვარი მკვლელობა საზოგადოდ შემაძრწუნებელია, მაგრამ ამ შემთხვევას დიდს მნიშვნელობას აძლევს აქ, აფხაზეთში, ერთი რამ გარემოება. ჩვენ ისტორიიდამ კარგად ვიცით, რომ აფხაზი, თუ-კი ის ოსმალეთის აბრაგებში არა რეულა როდისმე, თავის დღეში ამგვარ ავაზაკობას არ ჩაიდენს. მართალია, აფხაზს ქურდობა უყვარს და თუ ცხენის პატრონმა წინააღმდეგობა გაუწია, შეიძლება კიდეც შემოაკვდეს, მაგრამ რომ აფხაზი ვისმე სახლს დასცემოდეს, ეს ამ ერთს გარდა არ გაგვიგონია. ამიტომაც იყო, რომ 15 ენკენისთვის შემთხვევამ მთელი აფხაზეთი ფეხზე დააყენა. ყველანი ცდილობდნენ ამ ავაზაკობის ჩამდენნი ეპოვნათ და მართლაც, სამს დღეს არ გაევლო და მოედვა კიდეც მკვლელების სახელი სოფლებსა და ქალაქებს. ესენი იყვნენ ოსმალეთიდამ მოსულნი აფხაზნი, შაბაი მარღანია და ზაქარია ოთურბა. ყველა, დიდი და პატარა, შეუდგა ამ კაცების ძებნას, რამდენსამე ადგილს მიიკვლიეს კვალი, მაგრამ გამოქნილი აბრაგები ყოველთვის გაექცეოდნენ ხოლმე. ბოლოს ერთის კაცის ეზოში მიიკვლიეს კვალი. ესეც აი როგორ მოხდა. ერთმა ახალგაზდა, 19 წლის ყმაწვილმა აფხაზმა მოახსენა ადგილობრივს უფროს: ,,მე ვერიე ზავადსკის მკვლელობაში. აი საქმე როგორ იყო: ადამა სმირმა მიმიხმო შინ და მითხრა თუთუნის მოსაპარავად, მივდივართ და, თუ გინდა, შენც მოდიო. მეც წავყევი. ჩვენთან იყო შაბაი მარღანია, ზაქარია ოთურბა და აშუა. მე ცხენები დამაჭერიეს სიმინდში და ესენი წავიდნენ ზავადსკის სახლისაკენ. ცოტა ხნის შემდეგ თოფის ხმაც მომესმა და შემდეგ ნაალაფევით გამოვიდნენ; მე მაშინვე ვსცან, აქ კარგი ამბავი არ არის-მეთქი, მაგრამ რას ვიქმოდი. შემდეგ ბოკუჩავას დავეწიეთ და ის მოჰკლეს. აქედამ ცოტა გზა-კვალის ასარევად სოხუმისაკენ გავიარეთ და მერე ისევ ტყე-ტყე აცისაკენ გავსწიეთ. ნაალაფევი სმირის სახლში გვინდოდა დაგვეტოვებინა, მაგრამ მან ეს არ ინება ბოლოს აშუას მივაბარეთ“. აშუა და სმირი ამ ჩვენების გამო დაიჭირეს და ამათთან ეს ახალგაზდა ბიჭიც.

შემდეგ ბეჯითად შეუდგნენ შაბა მარღანიას და ზაქარია ოთურბას ძებნას, მაგრამ ორი კვირა არ გასულა მკვლელობის შემდეგ, რომ აქ ხმა გავარდა, მარღანია და ოთურბა ოსმალეთშივე გავიდნენ ნავითაო. ხალხმა ცოტა არ იყოს თავისუფლად ამოისუნთქა. სასამართლოც შეუდგა საქმის გამოძიებას. ამ საქმეში ამოჰყო თავი ოსმან მარღანიამ. გამომძიებელმა თითქმის სამოც მოწამეს ჰკითხა; ზოგი მათგანი ბოროტ-მომქმედთ წინააღმდეგ ამბობდნენ, ზოგნი კი იმათ სასარგებლოდ. სასამართლოც ძლიერ გულმოდგინედ მოეკიდა საქმეს და ამ ხანგრძლივის სხდომისა და გამოძიების შემდეგ, ბევრად თუ ცოტად, გამოიკვლია საქმე. სასამართლომ ალ. აბბა, ად. აშუა და ად. სმირი სცნო დამნაშავედ და მიუსაჯა ჩამორჩობა, ხოლო ოსმან მარღანია გაანთავისუფლა. ხალხი ძლიერ ბევრი დაესწრო საქმის გარჩევაზე. როდესაც საშინელს სასჯელს უცხადებდნენ ბრალდებულთ, ალექსი აბბას დამ, გაიგონა თუ არა განაჩენი, შეჰკივლა საშინელის ხმით. ტუსაღები მაინცა-და-მაინც ძლიერ არ შეძრწუნებულან, თითქო აქ არაფერი ამბავიაო; ასე გასინჯეთ, რომ ფერიც არ შესცვლიათ. ერთი ტუსაღთაგანი უგრძნობლად ავად არის და საავადმყოფოში წევს. /ან. ჯუღელი/. (ივერია, N58, 1888 წელი);

ახალი ამბავი

სოხუმი: ჩვენი ქალაქი კარგად შენდებოდა; ასე გასინჯეთ, რომ ომის წინად დანგრეული ქალაქი თითქმის სრულიად აღადგინეს, მაგრამ ამ უკანასკნელმა არა-სამშვიდობო ამბებმა ძლიერ შეაშინა მცხოვრებლები და თითქმის აღარავინ არას აკეთებს.

იქიდამვე: სიმინდს გვარიანი ფასი დაედვა და კარგა ბლომადაც მიდის საზღვარ-გარეთ, უმეტესად ოსმალეთში. ფუთს სიმინდში 67 კაპ. იძლევიან. (ივერია, N59, 1888 წელი);

ახალი ამბავი

სოხუმი: 4-ს აპრილს, დილის ხუთს საათზე, ჩამოარჩევეს სამი აფხაზი, რომლებსაც დროებით სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა გენერალ ზავადსკის მოკვლისთვის. ერთი დამნაშავეთაგანი, სახელდობრ აშუა, ძლიერ თამამად მიეგება სიკვდილსა. (ივერია, N75, 1888 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

დ. ოქუმი (სამურზაყანო), 5 აპრილი. ამ თთვის 1-ს, დ. ოქუმს ესტუმრა ქუთაისის გუბერნატორი, ბ-ნი გროსმანი. რადგანაც ამისთანა მაღალ-ხარისხოვანი კაცები ძვირად ესტუმრებიან ოქუმს, ამიტომ უადგილო არ იქნება მოვახსენო მკითხველებს, რამ გამოიწვია გუბერნატორის დ. ოქუმში მობრძანება. ამას წინად გწერდით, რომ სამურზაყანოში ძლიერ გახშირდა ქურდობაო; აი სწორედ ეს, ქურდობის ამბავი გახლდათ მიზეზი ოქუმში გუბერნატორის მობრძანებისა. სწორედ ნაშუადღევის საათის ხუთი იქნებოდა, როდესაც გუბერნატორი მოვიდა ოქუმში, სადაც დიდ-ძალი ხალხი უცდიდა. მცირე ხნის დასვენების შემდეგ გუბერნატორი გამოვიდა მოედანზედ და საზოგადოებას საუბარი გაუმართა იმის შესახებ, თუ რა დიდი მავნე სენია ქურდობა, როგორ აღატაკებს ეს ცუდი ზნე საზოგადოებას და თვით ქურდებსაც, რომლებიც არავითარსამე ხელობას არა ჰკიდებენ ხელსა. ბოლოს სთხოვა საზოგადოებას: მომეცით ქურდები, რათა მოგაშოროთ ისინიო. ამასთანავე დასძინა, რომ სანამ არ დამისახელებთ

ქურდებს, არ წავალ აქედგანაო. საზოგადოებამ დრო სთხოვა მოსალაპარაკებლად. მეორე საგანი გუბერნატორის საუბრისა იყო სამურზაყანოდგან გაყვანილ ჯარის-კაცების ამბავი. აი რა უთხრა ამის შესახებ ბ-ნმა გუბერნატორმა საზოგადოებას: სამურზაყანო მას აქეთ, რაც თავის სახელს ატარებს, ყოველთვის შესანიშნავი ყოფილა თავისის მამაცობით, სიმარდით და სამურზაყანოელები იშვიათად დაბრუნებულან ბრძოლის ველიდამ დამარცხებულნიო. სწორედ სამწუხაროაო, განაგრძო გუბერნატორმა, რომ სამურზაყანოელი ჯარისკაცი სამსახურს თავს ანებებდეს; სამი მეოთხედი ჯარის-კაცთაგან უკვე გაიპარა სადღაცა და ალბად თქვენც გეცოდინებათ, სად იფარავენ ისინი თავსაო. ამ საგნის შესახებ გუბერნატორმა ათის დღის მოთხოვნით მიჰმართა საზოგადოებას და დაჰპირდა, რომ თუ განმავლობაში ისინი თავიანთ ნებით გამოცხადდებიან ჩემთან, მე არავითარს წყრომას არ შევახვედრებო, ხოლო თუ დანიშნულ ვადამდე არ გამოცხადდნენ, მაშინ იმ სოფლის მამასახლისი, რომლის სამამასახლისოდგანაც წაყვანილია ჯარის-კაცი და ჯარის-კაცის მშობლები მე უნდა წარმომიდგინოს მაზრის უფროსმაო, ამასთან გუბერნატორმა ბრძანა, რომ არ დაიჯეროთ ის ხმა, ვითომც ახალ გაყვანილ ჯარის-კაცებს ცუდად ინახავდნენო. გარწმუნებთ, რომ იმათ კარგა შეძლებულ აფხაზზე უკეთესი სასმელ-საჭმელი ეძლევათო. საზოგადოებამ ამის შესახებ მოახსენა, რომ რაღაც საუბედუროდ სულ ბავშვებს და გამოუცდელ ყმაწვილებს ერგოთ კენჭი ჯარში გასვლისა და ამიტომ ვერ შესძლეს სამსახურიო და დაჰპირდა, რომ თუ რაიმე შესაძლებელია და აქ აღმოჩნდნენ გამოპარულნი, ათის დღის განმავლობაში წარმოგიდგენთო. რაც შეეხება ქურდებს, საზოგადოებამ ვერ წარუდგინა ისინი იმ დღეს გუბერნატორს. რადგანაც გუბერნატორი მიეშურებოდა სოხუმში, სადაც უნდა ჩამოერჩოთ სამი აფხაზი, გენერალ ზავადსკის მკვლელები, ამიტომ აქ დიდხანს არ გაჩერებულა, და ბრძანა, რომ ოლქის უფროსს გამოვგზავნი და იმას წარუდგინეთ ქურდებიო. 2-ს აპრილს, 1-ს საათზედ, ბ-ნი გუბერნატორი წავიდა ოჩამჩირეში. /ნიკო ობუჯელი/. (ივერია, N80, 1888 წელი);

***

აფხაზეთიდგან გვატყობინებენ, რომ იქ ამ ბოლოს დროს ძალიან გავრცელებულა ეკკლესიების ძარცვა-გლეჯა. ქურდებს ეკკლესიებიდგან ხშირად გააქვთ თურმე ხატები და წმინდა ოდიკები. (ივერია, N85, 1888 წელი);

***

აფხაზეთისა და ბათუმის მაზრებში დიდძალი სახელმწიფო მამულებია. ეხლა ეს მამულები, როგორც გვატყობინებენ, პირველის ივლისიდგან გადაუციათ სახელმწიფო ქონებათა სამმართველისათვის. (ივერია, N140, 1888 წელი);

***

დ. ოჩამჩირე: მას შემდეგ, რაც 23-24 უეცრად ადიდებულმა წყლებმა და ზღვამ დიდი ზიანი მისცა მცხოვრებლებს ოჩამჩირეს მახლობლად, ძლიერი სიცხე ჩამოწვა, ნამეტნავად ზღვის პირად. ერთი ქარის ბინდიც არა ჰქროდა, ზღვა ჯინზედ დადგა და მოგვაკლო ნიავი. ამის გამო ამ მოკლეს ხანში სხვადასხვა ავადმყოფობა გაჩნდა, რასაკვირველია, ციებ-ცხელებას პირველი ადგილი უჭირავს. ხალხი მეტად შეწუხებულია ვისაც საშუალება ჰქონდა, წყლებზე წავიდა, და ამით გადარჩა სიცხეს პაპანაქებასა და ავადმყოფობას. (ივერია, N147, 1888 წელი);

ფელეტონი
აფხაზები და აფხაზნი
(საეტნოგრაფიო აღწერა)
წინასიტყვაობა

დროს, როდესაც ცოდნამ კაცისამ ასეთი დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ და სხვადასხვა შტო მეცნიერებისა იზრდება დღე ყოველ, ჟამსა ყოველსა, იხეთქს ახალ-ახალს ყლორტებს, აი ამ დროს ცნობისმოყვარე, ხალისიანი კაცი დიდს გაჭირებაშია: არ იცის, რომელს ერთს ცოდნას, რომელს ერთს შტოს, ყლორტს მეცნიერებისას მიაქციოს უმეტესი ყურადღება, მეტი გულისყური, რომელი ერთი აირჩიოს და ისწავლოს ზედ მიწევნით. სხვა-და-სხვა გვარს ცოდნასა და მეცნიერებათა შორის ნაკლების ყურადღების ღირსი არ არის ის რთული მეცნიერება, რომელიც კაცს თავისს თავს გააცნობს, თავისს თავს ასწავლის: დღევანდელს ყოფას თვალწინ დაუყენებს, წარსულს ცხოვრებაში ჩაახედებს, შეატყობინებს, რა ხორცისა და სულისაა, რა ენა აქვს, ანუ რა ზნე და ჩვეულება კერძოდ ერთს, თუ ყველა იმის ნათესავთა კრებულს. ამ რთულის მეცნიერების ნაწილია. სხვათა შორის ზოგადი ანუ კერძო ეტნოგრაფია. ჩვენ გვსურს, რამდენადაც შევიძლებთ, ავწეროთ ნამდვილად და ჭეშმარიტად - აფხაზეთის ცხოვრება; ეს ადვილი არ არის, აფხაზეთის გეოგრაფიულის მდებარეობისა გამო აფხაზთა ტომის ცხოვრება დღეს ის აღარ არის, რაც ამ ათიოდე წლის წინად იყო. სხვა რომ არა მოვიხსენიოთ რა, უკანასკნელის ომიანობის დროს ერთი წილი აფხაზთა იძულებული იყო ოსმალეთში გარდახვეწილიყო, საიდგანაც ნახევრად აღარ დაბრუნებულა, ზოგიერთნი აქეთ-იქით გაიხიზნენ და გადასახლდნენ. ყოველისავე ამის გამო აფხაზთა ერი იმდენად შემცირდა, რომ დღეს იმის მეოთხედიც არ არის, რაც ოდესმე იყო. რაკი ასე დატრიალდა ბედი აფხაზთა, რაკი ხალხი შემცირდა, აქეთ იქით გაიფანტა, წავიდ-წამოვიდა, ზოგი ვის შეეხიზნა და ზოგი ვისა, იმათ ზნე, ჩვეულება, სარწმუნოება და ყოველივე წესი და ადათი თანდათან შეეცვალათ, გადაუსხვაფერდათ, გაუქრათ და დაეკარგათ. თუ მივიღებთ აგრეთვე სახეში თავ-გამოდებულს მოქმედებას დღევანდელის სამღვდელოებისას ამათ მიერ ქრისტეს მოძღვრების გავრცელებასა და ქადაგებას აფხაზთა შორის და ამასზედ დაურთავთ ეგრედ წოდებულის ცივილიზაციისა და საზოგადოდ განათლების ზედმოქმედებასა და გავლენას, ადვილად მივხვდებით, რომ აფხაზეთში, თუ დღეს არა, ხვალ ბევრს ვეღარასა ვნახავთ იმისას, რაც ოდესმე გვინახავს. ამიტომ ბევრი რამ, რაც ჩვენ ავწერეთ, თვალით არ გვინახავს, აქა-იქ ვძებნეთ, მოვათხრობინეთ, შევკრიბეთ. ამ სიძნელეს გარდა, არის სხვა გვარი სიძნელეც: ერთი წილი ეტნოგრაფიული მასალა შეისწავლება პირდაპირ თავის თავად და შეიძინება ცხოვრების უბრალო, ასე ვსთქვათ, ზედაპირის დაკვირვებით, მაშინ როდესაც სხვა კი თხოულობს შემკრებ გამომკლეველისაგან საკმაო შრომასა და უკეთესს შეგნებას. ეს იმიტომ, რომ ის ეტნოგრაფიული მოვლენანი, რომლებიც ჩვენ აქ სახეში გვაქვს წმინდა საქმედ მიაჩნიათ, დაფარულია და არ ამჟღავნებენ. მაგალითად ბევრი რელიგიური წესები და ცერემონიები დაცული აქვსთ „წმინდა წმინდათასავით“. იმათი ნახვა და შეტყობა ძნელია გარეშე კაცისათვის. ამ შემთხვევაში საჭირო იყო სხვა გვარად გვემოქმედნა, სხვა გვარი ხერხი გვეხმარა, ოსტატობა და, თუ გნებავსთ, ეშმაკობაც გამოგვეჩინა. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ „ლინგვისტიკა“ ძრიელ ეხმარება ეტნოგრაფიასა და ხშირად ერთის სიტყვის ახსნა და გარჩევა უფრო ნათელსა ჰფენს და ჰხსნის რაიმე ეტნოგრაფიულს მოვლენას, ვინემ გრძელი აღწერა ამ მოვლენასი, ხოლო იქ, სადაც რომელიმე ფაქტი გადავარდნილა და დავიწყებულა და მარტო სიტყვა-ღა დარჩენილა ენაში, ამ გვარ შემთხვევაში ასეთის სიტყვის განხილვა და გარჩევა აუცილებლად საჭიროა. ამიტომ ამ საგნისათვისაც არ აგვიქცევია გვერდი. ამ წერილების შედგენის დროს ჩვენ ხელთ არა გვქონია არც ერთი წიგნი, დაწერილი აფხაზთა შესახებ. ჩვენი ერთადერთი წიგნი იყო თვით ნამდვილი ცხოვრება ამ ხალხის. ქვემოთ იქნება წიგნი, რომ განათლებულს მკითხველს ბევრი რამ აჩვენოს წვრილმანად და უმნიშვნელოდ, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ის, რაც ჩვენ წვრილმანად, უმნიშვნელოდ

მიგვიჩნევია, ხშირად დიდის ღირსებისა და მნიშვნელობის გარემოება აღმოჩენილა. რაც უნდა წვრილმანი რამ იყოს ხალხის ცხოვრებაში, იმისი შესწავლა მაინც მოვალეობაა ჩვენი. ნუ დავივიწყებთ, რომ თვით ჩვენი ეხლანდელი განათლება, რომლითაც ასე თავი მოგვაქვს, ღვიძლი ასულია ბარბაროსულის ზნე-ჩვეულებისა წესებისა და სარწმუნოებისა, აფხაზი - ხასიათი აფხაზისა — ცარცვა, თავ-დასხმა და ქურდობა, მჭევრმეტყველობა, სისხლის ძიების საქმე, სამშობლოს სიყვარული. სტუმართმოყვარეობა, დარბაისლობა და სალამი. ფორმალისტობა, ნამუსი და სარგებლობა. საერო თამაშობანი და სახალხო პოეზია.

შავ-ზღვასა, კავკასიონის ქედსა და სამურზაყანოს შუა მდებარეობს ერთი ვიწრო გრძლად არდონის მდინარემდე გადაჭიმული, პატარა, მაგრამ მშვენიერი, ტურფად შემკული და მდიდარი ქვეყანა. ეს ქვეყანა აფხაზეთია და დასახლებული იყო და არის აფხაზთა ტომის ერითა, თუმცა ეხლა ეს ადგილები ნახევარზედ ცალიერია. აფხაზი შუათანა ტანისაა, გამხდარ-გამხდარი, შავგვრემანი, შავ-თმა-წარბა და შავ-თვალა. თვალთა მეტყველება ცოტა ველური და ნაღვლიანი აქვს. ნიჭითა და სილამაზით საკმაოდ მდიდარია ბუნებითად, მაგრამ აფხაზის ხასიათში ბევრს საუკეთესო და პატიოსანს თვისებას სულისასა და გულისას ჰნახავო, საძაგელსა და საზიზღარს ბიწიერებასთან ერთად მოთავსებულს. აფხაზი დაუდგრომელია, ცქვიტი, სწრაფი, ფიცხი, მედიდურის ხასიათით. სადა, თავმომწონე. მცირედი რამ იმისთანა, რაც უპატიურობად მიაჩნია, საკმარისია აანთოს იმისი ბუნება, უამისოდაც ფიცხი და მხურვალე. იგი ახოვანი, გამბედავი, უშიშარი და ქურციკსავით მარდი ვაჟკაცია, ძველ დროდამვე აფხაზს დავარდნილი აქვს სახელი უშიშარისა და გამბედავის ავაზაკისა, აფხაზებისა მუდამ ეშინოდათ მეზობლებს, რადგან მუდამ თავს ესხმოდნენ და სცარცვავდნენ და არბევდნენ. ცარცვა და თავ-დასხმა, როგორც აფხაზთა, ისე ყველა მთიულთა თვისებაა. „ცარცვა და თავდასხმა რომ არ ყოფილიყოვო, - ამბობს ერთი მწერალი*), - მთიული სიცოცხლეს სიცოცხლედ არ ჩასთვლიდა. ეს არის იმისი პოეზია, ლაზათი იმისის არსებობისა, მარტო ვეფხს თუ შეუძლია მთიულზე უკეთ მიეპაროს მძინარე სოფელსა ბნელსა და ქარიშხლიანს ღამეს, როდესაც კაცი თავს ვერ გამოჰყოფს თავის სახლიდამ. ამ დროს არ დაიჩხარუნებს მთიულის ხმალი, რომელიც ტყავის ქარქაშშია, არ დაიწყებს პრიალს მაჟარი, რომელიც გახვეული აქვს შავბეწვიან ბუდეში, ბრაგი-ბრუგს არ აუყენებს იმისი ქალამანი, ლბილი და მოქნილი კატის თათივით, არ დაიჭიხვინებს იმისი ცხენი, დახელოვნებული და გავარჯიშებული ღამე სიარულში. თვით მთიულის ენა, რომელშიაც ნაკლებად არის ხმოვანი ასოები, არ გაამხელს და არ გასცემს, იმიტომ რომ იმისი ლაპარაკი უფრო ფოთოლის შრიალსა ჰგავს, ვიდრე ლაპარაკს. მარტო ვეფხვს შეუძლიან ისე მსწრაფლად, უცებ და თავ-დაუზოგველად დაეცეს კაცს თავს, როგორც მთიული ესხმის. დასისხლიანებულის თვალებით, ხმლით და დამბაჩით ხელში, საშინელის ყიჟინითა, რომელიც შიშის ზარსა სცემს ადამიანსა, ჩაერევა ხოლმე მთიული ბრძოლაში და იმ დროს გამარჯვების მეტი სხვა აღარა ახსოვს-რა“. ასეთი იყო აფხაზიცა და ის მთიელნიც, რომელნიც გარს ერტყნენ აფხაზსა, მაგრამ აფხაზს არავის წინ არ მოუდრეკნია თავი და არავისთვის არ შეუქცევია ზურგი ძველად. ქურდობა აფხაზს ეხლაც ვაჟკაცობად მიაჩნია, და ისეთივე საჭიროებაა მისთვის, როგორც სასმელ-საჭმელი. ყველას, მოხუცებულიდამ პატარამდის, ქალიდამ კაცამდის, ეს სენი ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი და მაღალს წოდებას ხომ პროფესიად გადაუქცევია. დრო და გარემოება იცვლება, თაობა თაობას მოსდევს, მაგრამ ქურდობა ისევ ერთსა და იმავე დონეზე სდგას აფხაზეთში. ან-კი რა არის აქ გასაკვირი? კაცი საზოგადოდ და განსაკუთრებით ყმაწვილი რიგიანს აღზრდას მოკლებულია, მომეტებულად ექვემდებარება გარემოცულ გარემოებათა ზედ-მოქმედებასა და გავლენას. რა გვარს ზნეობის მაგალითებსაცა ჰხედავს, იმასა ჰბაძავს ისიცა. მერე რასა ჰხედავს აფხაზი ყმაწვილობაში, როდესაც იმისი სული ჯერ კიდევ უმანკო და წმინდაა? აფხაზის ბავშვი, წამოიზრდება თუ არა და დაიწყებს თავისუფლად ლაპარაკსა, მომეტებულ დროს დღისით ტყეში და მინდორზედ ატარებს, სადაც უკავია რა წალდი, თავისს თავზე

უფრო გრძელტარიანი, მწყსავს თხასა, ანუ კამეჩებსა. აქ არა ერთხელ ჰხედავს, რომ მელა ხერხით და ეშმაკურად იპარავს კრავს, ანუ ციკანს; სიმშილისაგან გახელებული მგელი მწყემსის ცხვირ-წინ იტაცებს და მიაქვს ტყეში ცხვარი, ანუ თხა; ფრთოსანთა ცხოვრებაშიაც ჰხედავს, რომ სხვა-და-სხვა მტაცებელნი და ძლიერნი მფრინველნი დაათვალიერებენ, სად რა საშოვარიაო, და, იხელიებენ თუ არა მარჯვე დროს, დაეცემიან ფრინველებს, ანუ პატარა ცხოველებს და რა-კი ერთხელ ჩაიგდებენ საშოვარს კლანჭებში, ადვილად აღარავის არ ანებებენ. ყველა ესა და ამ გვარი ბევრი სხვა მაგალითები, ხშირად სისხლის სცენები, რომელსაც ყმაწვილი ხანდახან ყოველი დღე ჰხედავს, რასაკვირველია, სამუდამოდ სტოვებს თავისებურ კვალსა ყმაწვილის ახალგაზდასა და ნორჩს ხსოვნაში. გარდა ამისა სოფელსაც რომ თავი დავანებოთ, იმ სოფელს, სადაც ხან ერთი ჰკარგავს პირუტყვს და ხან მეორე და გამართულია ამის გამო თითქმის ყოველ დღე ყიჟინი, ბავშვი თავის საკუთარის ოჯახის ცხოვრებიდამაც ჩქარა მიხვდება, რომ ქურდობა უფროსთაგან არა თუ დაგმობილია, არამედ თვითონაც თავმოწონებით მისდევენ. აფხაზის ოჯახში ხშირად ცბიერი და ჭკვიანი დიასახლისი ამოიღებს უალაგო ალაგას ჩაგდებულის ჭურიდამ ნაქურდალის საქონლის ხორცს და ჰხარშავს უდროვო დროს მეტის-მეტის გაფრთხილებით, რომ არავინ არ შენიშნოს. ამ გვარებს უფროსნი, მართალია, უმალავენ ბავშვებსა და, თუ იკითხეს რამე, ტყუილებს უპასუხებენ, მაგრამ ცნობისმოყვარე ყმაწვილნი ადრე თუ გვიან მიხვდებიან ხოლმე, საქმე რაშიაც არის, ხოლო ყმაწვილი, როცა წამოიზრდება და გულის-ხმაში ჩავარდება, მშობლები უკურთხებენ იარაღს, აძლევენ და არიგებენ: შეიძინე, იშოვე რამე ქურდობა მტაცებლობით, როგორც შენი ტოლ-ამხანაგნი იქცევიანო. მაშასადამე, ქურდობა ნაკურთხია მშობელთა უფლების ავტორიტეტითაც. მივაქციოთ ყურადღება ერთს სხვა გარემოებასაც. ბავშვს, როგორც ვიცით, გაგიჟებით უყვარს ყოველ გვარი ახალი ამბები და მოთხრობანი, იმისთვის გასაგებნი, მაგრამ რა არის ბავშვისათვის უფრო გასაგები, თუ არა ზღაპრები, ლეგენდები და სხვა სახალხო შემოქმედობის ნაყოფი?.. მოხუცნი მოუთხრობენ ამ გვარ ამბებსა და ზღაპრებს ზამთრობით და იმით ამოკლებენ ზამთრის გძელ ღამეებს. პატარაები, რასაკვირველია, აღტაცებით ყურს უგდებენ, მაგრამ ყოველივე ეს თითქმის ისევე მავნებელია იმათის ზნეობისათვის, როგორც სხვა ყოველივე, რასაც აფხაზის ბავშვი გარშემო ჰხედავს. მომეტებული ნაწილი ზღაპრებისა და ლეგენდებისა თავისს დედა-აზრითა და შინაარსით ქურდობა მტაცებლობის გარშემო ტრიალებს და აღწერილია შიგ, ანუ ქებით არის მოხსენებული: სიმარდე, გულადობა და მამაცობა რომელისამე ყაჩაღისა, ანუ „აბრაგისა“, შემკობილი იმათი მოხერხება ქურდობაში, ჭკუა მახვილობა გაჭირებაში, მამაცობა ტაცებისა და ცარცვა-გლეჯის დროს. აი ამითი აიხსნება ის სამწუხარო მოვლენა, რომელსაც ისეთი დიდი ალაგი უჭირავს აფხაზთა ცხოვრებაში, რომ ხშირად შუათანად განათლებულნი აფხაზნიც-კი, თავისს ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ, კვლავ ქურდობას ჰკიდებენ ხელს. ქურდობაში აფხაზი დაუნდობელია: დღისით უკეთესნი მეგობრები სიტყვითაც და საქმითაც ღამით ერთმანეთს ჰპარავენ საკუთრებასა; ძმას ძმისა, მამას შვილისა და შვილს მამისა რომ მოეპაროს, ეს იშვიათი ამბავი არ არის აფხაზეთში, თითქმის ანდაზად გამხდარა ის გარემოება, რომ აფხაზს როცა სხვისი ვერა უშოვნია რა, მოსაპარავად, თავისი საკუთრება მოუპარავს, ხერხიანობასა და გამბედაობას დიდს იჩენს ამ საქმეში აფხაზი. ხშირია შემდეგი მაგალითი: ბნელსა და ქარიშხლიანს ღამეში ამდგარა აფხაზი, მოუპარავს მეზობლის ცხენი, ცხრა მთას იქით გადაუყვანია, იქ სხვა ცხენზე გარდაუცვლია, ნაცვალი ცხენი წამოუყვანია, მიუვალს ალაგას ტყეში დაუბამს, შემდეგ იმავე ღამეს თავის ლოგინში ჩაწოლილა და დილა ადრიანად, როცა ცხენის დაკარგვის გამო ატეხილა ყიჟინა, იმასაც მიურბენია სასოფლოზე, წყევლა-კრულვით მოუხსენებია ცხენის ქურდი და ქურდის კვალს გამოსდგომია სხვა მეკვლეთა შორის. ქურდობასთან აფხაზმა დიდი უარი და ჰაშას კვრაც იცის... რაც უნდა აშკარად მოუხდეს ქურდობა და შენიშნონ კიდეც მოპარვის დროს, თავისს დღეში არ გამოტყდება დანაშაულში. სოფლის მსაჯულთა წინაშე, რომელნიც სოფლის ხნიერნი და უხუცესნი არიან, არა იშვიათად თვით ბრალმდებელისა და ბრალდებულის მოკეთენი,

წარსდგება ხოლმე ასეთი ჰაშაქარი ქურდი და ისე ხელოვნურად აწყობილს და აკინძულს სიტყვას წარმოსთქვამს, რომ გარეშე კაცს ცხადზე უცხადესად ეჩვენება იმისი უდანაშაულობა, მსაჯულთაც კარგად იციან საქმე რაშია და რა გვარად იმართლებს დამნაშავე თავს, მაგრამ განაჩენს აყენებენ იმას მიხედვით, თუ ვინ როგორი სიტყვა წარმოსთქვა. ასე გამართლებულზე თვით მსაჯულნიც გაიძახიან ხოლმე: „მარჯვე ლაპარაკით, სიტყვის ძალით დაიხსნა თავიო“. არა თუ დიდნი, პატარებიც საოცარს ნიჭს იჩენენ ხოლმე უარის თქმასა და ტყუილის მოგონებაში. ერთი ვიღაც რომაელი, რომელსაც ზედ-მიწევნით შესწავლული ჰქონდა და დახელოვნებული იყო სოფიზმებში, დაბრუნდა რომში და თავის თანამემამულეებს არწმუნებდა, რომ მე სიტყვას წარმოვსთქვამ ჯერ მართალზე და შემდეგ ტყუილზე და ორთავე შემთხვევაში თანასწორედ დავაჯერებ მსმენელებსაო. სწორედ აფხაზიც სცდილობს ასე მომზადებული იყოს, რომ გაჭირების დროს სიმტყუნეშიაც ისე თავი იმართლოს, როგორც მართალს საქმეში, ამიტომაც არის, რომ აფხაზთათვის დიდს ინტერესს წარმოადგენს სასოფლო ყრილობა და დავა. ამ ყრილობას ყველა კმაყოფილებით ესწრება, ახალგაზდანი კიდევ აქ სწავლობენ აფხაზების სოფისტიკისა და რიტორიკის ყველა ჰანგებსა და ხრიკებს. ამას დავუმატოთ ისიც, რომ გატაცებით ამბების მოყვარე და საზოგადოებრივის ხასიათის მქონე ბუნება აფხაზისა დილიდგან საღამომდის ვერა სძლებს შინა; აფხაზს არ შეუძლიან არ გავიდეს სასოფლოზე, სადაც კაცი კაცსა ხვდება ახალ ამბავის შესატყობრად. ერთის სიტყვით, თუ მივიღეთ მხედველობაში, რომ აფხაზი ხშირად მთელს დღეებს უსაქმოდ ამბების კრეფასა და ყბედობაში ატარებს, ჩვენ ადვილად მივხვდებით, რომ იგი მშვენიერი მოლაპარაკე უნდა იყოს. მართალია, მისს სიტყვას გადაჭარბება სჭირს, სამართლიანობა და გულწრფელობა აკლია აზრს, მაგრამ სიტყვა მაინც მჭევრ-მეტყველურია. იგი ყოველთვის სურათია და ხელოვნურად, მშვენიერის შედარებითა და მეტაფორებით ლაპარაკობს, მოძრაობასა და მიმიკას ნიადაგ მიჰმართავს. რაც უნდა მოუხერხებელად იჯდეს მოლაპარაკე, თუ უნდა გაჩვენოს, რომ ის, ვისზედაც მე ვლაპარაკობ, ზეზე წამოხტაო, თითონაც მაშინვე ზეზე წამოხტება, მოლაპარაკე კი არ მოუთხრობს ხალხს ამბავს, უფრო წარმოადგენს იმის ხასიათსა, მიხვრა-მოხვრასა მსმენელთა წინაშე. კარგს სიტყვა პასუხსა და ლაპარაკს, ანუ „მარჯვე ყბას“ აფხაზები დიდს პატივსა სდებენ და იმათის აზრით ვაჟკაცობის შემდეგ პირველი ალაგი უჭირავს კაცის ცხოვრებაში. თუმცა ამ „მარჯვე ყბას“ და ამის შემწეობით გასამართლებასა და გამართლებას ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ აფხაზმა თავისს მტერსა და შეურაცხმყოფელს საქმით ერთიორად რომ გადაახდევინოს და მოუგოს, მაშინაც არ ამოუარდება ხვანჯი გულიდამ და ურჩევნია თავადვე პასუხი უგოს მტერსა, თანახმად ძველის მცნებისა: „თვალი თვალისა წილი და კბილი კბილის წილ“. ხოლო სისხლის ძიება, თუ ჩვენს დროს სრულს თავისს ძალაში ვერ არის, ამ ბოლო დრომდის ხომ ერთს უპირატესს თვისებას შეადგენდა აფხაზთა ცხოვრებაში. /პ. გიორგიძე/ (შემდეგი იქნება) 3/4 *) კავკასია - ბროშურა სერგეი მესხისა. (ივერია, N165, 1888 წელი);

ფელეტონი
აფხაზეთი და აფხაზნი
(საეტნოგრაფიო აღწერა)
წინასიტყვაობა
(გაგრძელება*)

სისხლის ძიება, როგორც ვიცით, ის არის, რომ მოკლულს ნათესავმა მკვლელი, ანუ იმისი ახლო ნათესავი უნდა მოჰკლას, უკანასკნელთა სისხლსა ისევ სისხლით პასუხი უგოს, სისხლი გადაახდევინოს, აიღოს. ამ გვარად სისხლის ძიება გადადის მოდგმიდგან მოდგმამდე, მაგრამ ამით „ძველი სისხლი არა ჰკვდება, არა ლპება”. სისხლის ძიება ღვთაებრივი და წმინდა მოვალეობაა ადამიანის, იმისი გადაუხდელობა, უძიებლობა კაცს

საუკუნოდ სირცხვილეულ ჰყოფს დედამიწაზე; ამას დიდნი და პატარანი, ქალნი და კაცნი ყოველს შემთხვევაში წააყვედრებენ ასეთს საქმესა. თუ კაცმა ვერ იძია სისხლი, თვით სისხლი მაინც ვერ მოითმენს დარჩეს შეურაცხყოფილი: თუ გაჭირდა, თვითონ მოითხოვს პასუხს, თვითონ სისხლივე თავის თავად იძიებს სამაგიერო სისხლს. იმ შემთხვევაში, როდესაც მკვლელი გადავარდებოდა სადმე შორსა, მაშინ, რასაკვირველია, იმისს ახლო ნათესავებზე იყრიდნენ ჯავრსა მოკვლითა, დატყვევებითა, საქონლის წართმევითა, ერთის სიტყვით, აოხრება აწიოკებითა. ერთის უკანასკნელის ყმის მოკვლა სოფელში ორს სოფელს მოსისხლე მტრებად ხდიდა და ერთმანეთს შეატაკებდა. ამას მოჰყვებოდა ერთის ან მეორის იქით-აქეთ გადახიზნვა, გადაწვა და სხვანი, სანამ საქმე ბოლოს მორიგებით არ გათავდებოდა. სისხლის ძიების საქმეში წოდებრივს განრჩევას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თავადიშვილის მიერ მოკლულის გლეხის მონათესავენი ხელს ვერ გამოიღებდნენ მკვლელის ანუ იმისს ნათესავის წინააღმდეგ, რადგან იმათი სისხლი „სწორი არ იყო“. სისხლს იხდიდნენ იმ თავადიშვილის მოყმესა, ანუ გამზდელ გლეხისაგან და ამ შემთხვევაში მოკლულის გლეხის გაზრდილი, თავადი ყოფილიყო იგი, თუნდ აზნაური, ეხმარებოდა და მოთავეც იყო სისხლის-ძიების საქმეში. ესევე განსხვავება დაცული იყო, მაშინაც, თუ დაჩაგრული და შეურაცხყოფილი თავისის და თავის მოპირისპირეს მეგობრებთა, შუამავალთა მეცადინეობის შემწეობით თანხმდებოდა მორიგებაზე, „სისხლის ფასის“ აღებაზე. „სისხლი“, ანუ „სისხლის ფასი“ თავადისა, აზნაურისა და გლეხისა ერთი არ იყო. თუმცა ყოველს შემთხვევაში კაცის კაცობას და მდგომარეობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მაინც, მაგალითად, რომ ვსთქვათ, გლეხის სისხლი ღირდა - 5 კაცის სული და მეტიც, აზნაურისა - 15-ამდის, თავადისა - 25-ამდის. თუმცა იშვიათად „სისხლის ვალში“ მოჰყვებოდა მთელი ჯალაბობაც, მაგრამ უფრო პატარეებით იხდიდნენ ვალსა. ბავშვების ფასი, ვაჟი იქნებოდა თუ ქალი, იმათს სიდიდეზე იყო დამოკიდებული. სიდიდე, ე. ი. სიმაღლე ბავშვებისა კი მტკაველით იზომებოდა. ეხლაც გაიგონებს კაცი აფხაზებში ასეთს სიტყვებს „ოთხის მტკაველის ფასი ცხენი, ხუთის მტკაველის ფასი ცხენი“. უფრო 4, 5 და 6 „მტკაველი“ იყო ხმარებაში, ექვსს მტკაველზე მეტი არ იყო მიღებული, რადგანაც ამ გვარის ბავშვის გამოყენება მართლაც უფრო საძნელო იქნებოდა, ზოგიერთის მომჩივანის გულის მოსაგებლად რამდენისამე კაცის სულს გადასწყვეტდნენ სისხლის ფასად ასე 25-30, მაგრამ „ფორმალისტ“ აფხაზებს აქაც მოგონილი ჰქონდათ ხერხი განაჩენის სიმძიმის შესამსუბუქებლად. „ოთხ-ოთხი, ხუთ-ხუთი და ექვს-ექვსი მტკაველები“ გავაჩინეთ 20: ერთი მივეცით ღალიძგას, მეორე მოქვის წყალსა, მესამე ვოდარს და სხვანიო, - ჩამოსთვლიდნენ მოზრდილ წყლების სახელებს, რომლებსაც სიდიდით შეუძლიანთ კაცი დაარჩონ. ამ წყლებში ოდესმე დამრჩვალთაც სისხლში ჩაუთვლიდნენ და საბოლოოდ ამ სახით საკმაოდ შემცირებულს რიცხვს „მტკაველებისას“ მიუსაჯავდნენ ბრალეულს გარდასახდელად... თუმცა უკანასკნელს დრომდინაც ამ მტკაველით გაზომილ ბავშვებით იზღოდა სისხლი, მაგრამ სისხლის გადახდა შეიძლებოდა საქონლითაცა და ფულითა. მართალია, ყოველს შემთხვევაში სისხლი „მტკაველთა“ რაოდენობის კვალობაზე მიესაჯებოდა კაცსა, მაგრამ შემდეგ, ვისაც ემარჯვებოდა, საქონლითაცა და ფულითაც იხდიდა. 4 მტკაველი ღირდა 30 ძროხა - 30 მან. 5 - 50 „-50“, 6 - 70 „-70“. თვითოეულს ამეებს ზედნადებად ემატებოდა კარგი იარაღი და ტანისამოსი... გარდა ძროხისა, წვრილი ოთხფეხი საქონელი: თხა, ცხვარი და ფუტკარიც მისაღები იყო სისხლის ვალის გარდასახადში. მაგრამ ამათის ფასის გასარკვევად იყო ძროხა და ძროხის ფასი. ამიტომაა, რომ აფხაზისაგან ლაპარაკში დღესაც ხშირად გაიგონებთ: „ერთის ძროხის ფასი თხა“; „ძროხის ფასი ცხვარი“; „ძროხის ფასი ფუტკარი“ და სხვა. სისხლის ფასის გარდახდაში, როგორც საზოგადოდ ყველა ვალისაში, ერთი გარემოება მეტად შემავიწროებელი იყო ქალის პატრონისათვის. ეს ის გარემოება იყო, რომ წინად აფხაზებში თვითოეულ თთვის თავზე სარგებელი მანეთზე შაური უნდა გადაეხადა მოვალეს. ფულად იქნებოდა გადასახდელი თუ საქონლით, სარგებელი მაინც დიდი იყო, ძროხა რომ ემართებოდათ, სარგებლად იწერებოდა ყოველ წლივ იმისი ხბოცა, თუნდა

მოეგო, თუნდა არა: მერე კიდევ ზედ ეკეცებოდა ამ გაზრდილის ხბოს მოშენებულიცა, ასე რომ აფხაზი — მიმღები ჯოხის ჭრასა და თვლაში იყო და სანამ თავნი არ გაორკეცდებოდა, მანამ ხმას არც-კი იღებდა. მხოლოდ ამის შემდეგ-კი საშინლად გამოეკიდებოდა მოვალეს. აი ამ ფულის თთვის თავზე სარგებელს, რომელიც თთვე და თთვე დგებოდა, და საქონლისას, რომელიც წლის თავზე ეკეცებოდა თავნსა, აფხაზურად ერქვა სიტყვა „ამზეჟ“. იგივე კანონი მოქმედებდა სისხლის ზღვევის საქმეშიაც. სისხლის ვალი, ვადას გარდაცილებული წლის შემდეგ, ოთხი მტკაველი ხუთ მტკაველად ჩაეთვლებოდა, ხუთი ექვსად და ექვსი შვიდად. მაგრამ, როგორც ზევითაც იყო ნათქვამი, რადგან შვიდ მტკაველიანი ყმაწვილი არ იყო მიღებული, ამიტომ შვიდ მტკავლიანი ქალი ორად იყოფოდა და ინიშნებოდა ორი ოთხ მტკავლიანად. აი ეს გარემოება მეტად აძნელებდა სისხლის ფასის გადახდას. ამიტომ შეუძლებლობისა გამო არა იშვიათად მთელი ჯალაბობაც ქალში მოჰყოლია, მაგრამ აფხაზები შეწევნითა და საჩუქრებით ნაქებნი იყვნენ და არიან და ეს ჩვეულება ძალიან ეხმარებოდა მოვალეს. საკმარისი იყო ეთქვა აფხაზს სიტყვა: „სისხლი დამედო“-ო, და უცბად მოჰკრებდა რამდენსამე ათსა და ოცს ხარსა და ძროხას... რაკი ამ სახით დაუამდებოდა გული მოსისხლე მტერსა, სცდილობდნენ, მერე იმის დაშოშმანებას სულიერად და ზნეობრივადაც. ამისათვის დაჰპატიჟებდნენ ან თვითონ იმას, ან იმის შვილს და „აკბენინებდნენ“ მკვლელის ცოლის, ან დედის ძუძუზე, იხდიდნენ გაზრდილად, შვილობილად. ამ შემთხვევაშიაც ცალკე საჩუქარსა სძღვნიდნენ. ხშირად ასეც მოჰხდებოდა ხოლმე, რომ, როდესაც მოსისხლე მტერი არავითარის გზით არა ჰყაბულდებოდა მორიგების ჩამოგდებაზე, ფარულად ჩამოტაცებით მოჰყავდათ იმისი შვილი, ანუ რომელიმე იმისი ახლო ნათესავი აღსაზრდელად და ამით ძალაუნებურად ზავი მყარდებოდა მოსისხლე მტრებს შუა, რადგან მოკვლა შვილის გამზდელთა „ძუძუ-მკერდის“ შეურაცხყოფა, გადალახვა და შებღალვა იქმნებოდა, რაიცა ვაჟკაცობას აღარ შეშვენის.

ყოველს ერს ცოტად თუ ბევრად უყვარს თავისი სამშობლო ქვეყანა, მაგრამ არის ისეთი ხალხი დედამიწაზე, რომლისათვის სადაც კარგად ეცხოვრებათ იმისი ბაღდადიც იქ არის. ამას აფხაზზე ვერ ვიტყვით, აფხაზს გაგიჟებით უყვარს თავისი მართლაც ტურფად შემკული ქვეყანა და პოეტთან ერთად თამამად შეუძლიან სთქვას: არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა. აფხაზი „ოჰ შირ“-ის ამოოხვრით ბრუნდება თავისს „აფსნში“ **). სამშობლოს ქება და ლოცვა: „აფსნზე უკეთესი ალაგი დუნიაზე არ არის; ღმერთო, აფსნს ნუ დაჰკარგავ“-ო, მუდამ ენაზე ადგია, ჭირშიაცა და ლხინშიაც. სტუმართ-მოყვარეობა, ეს უძველესის დროის თითქმის ყველა ერთა ქველი თვისება, აფხაზის ხასიათსაც ამკობს, აფხაზს დღესაც ეს ჩვეულება მტკიცედა აქვს დაცული და დიდად სასარგებლო და წმინდა საქმედ მიაჩნია. იმისის აზრით, ყოველს სტუმარს თან დაჰყვება: შვიდ-შვიდი ბარაქა, რომელთაგან ერთი მასპინძელსა რჩება, ხოლო სტუმარს ეს დაკლებული ბარაქა ისევ თავისით შეემატება. რაც უნდა ღარიბი იყოს, აფხაზი სცდილობს სტუმარს შესაფერი პატივი სცეს. არა თუ ყველა შინ შემოსულს განურჩეველად იწვევს და უმასპინძლდება, არამედ სახლის წინ შარა გზაზე გამვლელი ვინმეც რომ დაინახოს საღამო ჟამზე, მაშინათვე მიჰმართავს: „ბზიალა ვაჰბეიტ“ - მშვიდობით გნახეთ, კეთილად გნახეთო. ეს არის სტუმრის მისაღები სალამი. ამით ანიშნებს, რომ სურს და მზად არის მასპინძლად დახვდეს და პატივი სცეს. შემდეგ ეპატიჟება და თხოულობს: „გადმაუხვიეთ, მოისვენეთ; აწ დაღამდა, სადღა წახვალთ, ღამე გაათიეთ და დილა ადრე გზას გაუდექითო“. და თუ მგზავრმა, ნაცნობი იყოს, თუნდა უცნობი, მართლა შეუხვია აფხაზის სახლში, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მიიღებს შესაფერს პატივისცემას... და თუ არ დასთანხმდა, მაშინ მგზავრი მიაძახებს: „უბეიხეტ“ - გამდიდრდი, გმადლობო, და გასწევს თავისს გზაზე. აფხაზთა შორისაც, როგორც სხვა მთიულებშიაც, სტუმარი, მოსისხლე მტერიც რომ იყოს, ხელ-შეუხებელია... ამ სტუმართმოყვარეობასა და პურადობასთან აფხაზი მეტად თავაზიანია, დარბაისელი და პატივის-მდებელი უფროსთა, ყველა ეს გამოიხატება ათასს სხვა-და-სხვა ცხოვრების

წვრილმანებში. აქ ჩვენ მოვიყვანთ რამდენსამე მაგალითს ყოველს დღისურ ცხოვრებიდამ, საზოგადოდ საჭმლის მიღების წინ და შემდეგ აფხაზებში მუდამ ხელს იბანენ. ამ შემთხვევაში პირველად ხელს იბანს უფროსი და შემდეგ სხვები, რიგ-რიგად, უფროს უმცროსობის მიხედვით. აგრეთვე იგივე წესია დაცული ღვინის სმის დროს. ამიტომ ყოველ ამ გვარს შემთხვევაში აფხაზები ერთმანეთს ეთავაზებიან და ეპატიჟებიან, რომ ერთმა მეორეზე უწინ მიირთვას ღვინო, ანუ დაიბანოს ხელი. ამ თავაზიანობასა და პატიჟობაში მართლაც ბევრი დარბაისლური და თავაზიანი სიტყვები იხარჯება: „შენი ჭირიმე, შენ არ მომიკვდე, ყველა ესენი არ მომივიდეს, გამჩენი ღმრთის მადლმა“. გაზრდილის სახელსაც ფიცულობენ. როდესაც ერთი ვინმე პირველ ღვინოს დალევს, ანუ ხელს დაიბანს, შემდეგ იგივე ცერემონია იწყება და ნარჩენებში და ასე ბოლომდისინ. გარდა ამისა, როდესაც უფროსი ხელს იბანს, უმცროსნი ფეხზედ წამოდგებიან. უფროსი ამ დროს სცდილობს ჩვეულებრივის დარბაისლურის სიტყვით დააჯეროს, რომ დაბრძანდნენ. თუ ამ გვარის სიტყვის ძალითაც ვერა გააწყო-რა და არ დაჯდა ის, ვისაც არ ეკადრება ფეხზედ დგომა იმის ხელის ბანის დროს, მაშინ თითონაცა სდგება და ფეხზე მდგომარე იბანს ხელს. აგრეთვე სახლში შესვლის დროს კარებთან იმართება თავაზა და პატიჟობა სტუმრებს შორის, ანუ სტუმართა და მასპინძელთა შორის, რომ ერთი მეორეზე წინ შევიდეს. ცხენზე შეჯდომის დროს უფროსს უმცროსი უჭერს აბზინდას, უზანგს, პირველი-კი ეხვეწება, ნუ სწუხდებიო. ორი ცხენოსანი შეიყარნენ, ვსთქვათ, თუ გინდ ტყეში. უმცროსს მათგანს სათქმელი აქვს რამე. არ შეიძლება ცხენზე იჯდეს და ისე უთხრას, ჩამოხტება და დაიწყებს ლაპარაკს. მეორეც, თუ შესაფერად დაინახავს, ცხენიდამ ჩამოხტება, ან არა-და ეტყვი, რად შესწუხდი, მჯდარიყავიო. ვსთქვათ, ორნი მიდიან და ერთი მიუახლოვდა თავისს სახლსა; მეორემ არ გადუხვია თავისს თანაგზავრის სახლში, თუმცა თხოვნა ბევრი დაიხარჯა. ეს მეორე თავისს თანამგზავრს უცერემონიოდ როდი დაანებებს თავსა და როდი შევა შინ; უთუოდ გაჰყვება, გააცილებს და სანამ არ დაბრუნდება უკან, მანამ თავისი ამხანაგი ჩვეულებრივის თხოვნით არ შეაწუხებს და ასჯერ არ ეტყვის: დაბრუნდით, ნუღარ სწუხდებითო. პატივსაცემ კაცთა კრებაში, თუ გასვლა საჭირო შეიქმნა გარეთ, რაც ხშირად მოხდება სახლის სივიწროისა გამო კაცი და უფრო ქალი ისე თვალთ მაქცურად მოახერხებს გასვლას, რომ ზურგი არავის არ შეაქციოს. ენა აფხაზთა აშკარად ჰმოწმობს აფხაზების ზრდილობა-თავაზიანობასა სიტყვა-პასუხშიაც. იგი ხშირად ხმარობს სიტყვებს: გთხოვ, როგორც განათლებულს ქვეყნებში იციან, შენი ჭირიმე, შენი თავის ჭირიმე, და სხვანი. აფხაზი, მეტადრე ქალები, ამბობენ: „შენ შემოგევლოს ჩემი თავი“, რა ადგილზედაც დგევხარ, იმ ადგილს შემოვევლე“, და მართლა აფხაზის ქალი დიდის ხნით უნახავს, ანუ ავადმყოფს გაზრდილს გარს უვლის სამჯერ ამ სიტყვებით: „შენი ავი, შენი ფათერაკი მე წამეღოს“ - უცგე მცუ გე სეიზგაიტ***). როდესაც აფხაზი თავის საქმეზე მოუთხრობს ვისმეს, ანუ სთხოვს ვინმეს რასმეს, ანუ დავებს, ლაპარაკში მეტად თავს იმდაბლებს; ვისაც ელაპარაკება, იმას-კი პირიქით აქებს. „მე იმოდენა ცოდნის პატრონი არ ვიყავი, ერთი ბრიყვი ვინმე ვარ, მაგრამ თქვენისთანებს რომ დავეკითხეო.. მე რა შემეძლო, მაგრამ თქვენის შემწეობით და იმ საზოგადოების მოწყალებით და შემწეობით, რომელსაც ვეკუთვნი, „ცივ ღომს ვლოღნიდი“... როდესაც აფხაზი მიესალმება აფხაზს, ანუ გამოესალმება ერთსა თუ რამდენსამეს და ფეხზე წამოუდგებიან, ხელების შესაფერის მოძრაობით მრავალჯერ ამბობს: „ბრძანდებოდეთ, ნუ შესწუხდებითო“. საზოგადოდ სალამის მიცემის დროს მიღებულია, რომ სამი თითი მარჯვენა ხელისა ერთმანეთს მიატყუპოს და მაღლა ასწიოს. ამ გვარად აფხაზი დილით მიესალმება უმდაბლესი უმაღლესსა: „შეუბზია“ — დილა მშვიდობისა, guten morgen, Доброе утро; გამოეთხოვება დილით: „შუმშაა ბზიახეიტ — დღე კეთილად, ანუ თქვენნი დღენნი კეთილ იყოს“. შუა დღეზე და დილით სალამი: „მშბზია“ — დღე კეთილისა, guten tag, Добрый день. გამოთხოვების დროს: „შუმშა ბზიახეიტ“, ე. ი. როგორც დილით. საღამოზე სალამი: „ხულა ბზია“, საღამო მშვიდობისა, guten abend, Добрый вечеръ. გამოთხოვების დროს: „უწხაა ბზიახეიტ“ — ღამე კეთილისა, თქვენი ღამე კეთილი იყოს. ღამით: „წხბზია“ — ღამე მშვიდობისა, gute nacht,

Добрая ночь. გამოთხოვებაზე ისე იციან სალამი, როგორც საღამოზე. ერთმანეთს რომ შეჰხვდნენ და გაეყარნენ მგზავრები, ამ სიტყვებით მიესალმებიან და გამოესალმებიან, მაგრამ თუ შეხვედრილები ცოტა ხანს ერთმანეთს ემასლაათნენ, მაშინ გამოთხოვების დროს ერთი ამბობს: „ბზიალა ჰაინიეიტ“– სიკეთით, კეთილისათვის შევეყარენით“. მეორე მიაძახებს: „აბზიაბა ვანიეიტ“ — კეთილს შევხვდი, შეგემთხვიოსო, მარულასა და დოღისაკენ მიმავალნი ეუბნებიან: „აურა უქუპ“, საშოვარი გმართებს, ანუ გელის; პასუხი: თუ მარულას პატრონია, ესეც „ჰაიცქუპ“, ერთად გვმართებს, თუ არა, „კეთილი ნახე“. საქონლის მიმრეკს ეუბნებიან: „აბზა ხაუგალეიტ“, უვნებლად მიიყვანეო. პასუხი: „ბზია უბეიტ“ — კეთილი ნახე... მწყემსს: „უბხა ჰიტ“ კარგად აბალახე, აძოვე; პასუხი იგივე... ყურძნისა ანუ კაკლის მკრეფს ხეზე მჯდომარეს ეუბნებიან: „ნარულბააიტ“ — უნებლადა და ხვავიანად ჩამოხვედი. პასუხი იგივე. მონადირეს: „ზფს იახეუ შზფშუპ“ — ვისიც სული მოსული იყოს, გიცდიდეს, გელოდეს. ვისაც დაკლული ნადირი მოაქვს, ეუბნებიან: „უდრვეტ ეღიხეიტ“ — კვლავინდელი უკეთესი იყოს, და ფოთლებს თავზე გადააყრიან სიმინდის მოტეხის დროს მუშას ეუბნებიან: „მარ უმოუპ“ — ხვავი გაქვს, ხვავი მოგეცეს, მთაზე კარავთან მისვლაზე ამბობენ: „უმცა ხარა ბაანდავ ვროუპ (ანუ ტქვავროუპ)“, ე. ი. თქვენი კარავი (კერა) ტყვეთა დაჭერისაა. პასუხი იგივე „კეთილი ნახე“. ერთის კარავიდგან მეორესთან მიმსვლელი ამბობს: „უმცა ხარაბაჟო შროუპ“ — თქვენი კერა გარეულის თხის მოკვლისა იყოს... საზოგადოდ მუშაობის დროს მოსაქმეს ეუბნებიან: „ბზია უჟიტ“ — კეთილი ჰქენი; პასუხი იგივე. გამოთხოვების დროს ეუბნებიან: „უუსაა ზაზიახეიტ'' — შენი საქმობა კეთილი იყოს. იარაღის დახედვისა და გასინჯვის შემდეგ პატრონს ეუბნებიან: „ხიძ ალაუგეიტ“ — სახელი მოგახვეჭინოს, სახელი შეგეძინოს. ეხლანდელი აფხაზი საქმეშიაცა და სიტყვაშიაც პირ-მოთნეობს და ფორმალისტობს. მუდამ სცდილობს ყოველივე ისე აღასრულოს, როგორც მიღებულია, თუნდა გულით არც კი თანაუგრძნობდეს ასეთს წესს. აფხაზი დასტირის საშინელის თავგანწირვით მიცვალებულსა, რომლის სიკვდილი, იქმნება, უხარიან კიდეც. აფხაზს შეუძლიან გულში სულ სხვა იფიქროს და საქმით-კი სულ სხვა ისაქმოს; შეუძლიან გეპატიჟებოდეს, გეთავაზებოდეს და გულში-კი საშინლად სძაგდე და შენი მტრობა ღრმად ჰქონდეს დამარხული. მაგრამ განა ცოტანი არიან განათლებულს ხალხშიაც ისეთნი, რომელნიც თვალის ასახვევად გუნდრუკს უკმევენ იმას, რაც აზრითა და გულით სისულელედ მიაჩნიათ?! და ამ გვარს საქციელს აფხაზიც, ისე როგორც სხვანიც, მხოლოდ თავისის სარგებლობისათვის ჰკადრულობს, საკუთარის ინტერესისათვის ფარისევლობს და თვალთ-მაქცობს. მართლაც აფხაზი, თუმცა სახელსა და ნამუსს დიდად აფასებს, მაგრამ არც სარგებლობას ივიწყებს მაინცა და მაინც... როდესაც აფხაზი დაუნახავს ვისმეს რაიმე მოსაწონს ნივთს, მაშინვე თავისებურის მომხიბლავისა და ლაქუციანის სიტყვა-პასუხით ითხოვს ამ ნივთს. პატრონიც დაუყოვნებლივ სთავაზობს, ეს ჩვეულება უფრო წინად იყო გავრცელებული. სრულიად საკმარისია სთქვას აფხაზმა რაიმე ნივთზე: „რა კარგია, როგორ მომწონსო?!“ და პატრონი მაშინვე უთავაზებს, მაგრამ იმ იმედით კი, რომ თავისი არ დაჰკარგოს და მართლაც ოდესმე ისეთს რასმესა სთხოვებს და იჩუქებს, რომელიც არაფრით არ ჩამორჩეს ფასითა და ღირსეულობით იმას, რაც თავად გასცა. როდესაც აფხაზს გასაჭირი დაადგება და თავისის მოყვრებით ვეღარას იშველის, მაშინ ახალს მოკეთეს იძენს მოყვრად და იძენს ისეთსა, რომელიც ჰშველის გასაჭირს საქმეში. ამნაირად გატეხილს სახელს აღიდგენს და ამისათვის ბევრსაც დაჰხარჯავს, ამ გვარად თუმცა საქმეს გაიკეთებს, მაგრამ არც ის ავიწყდება, თუ რამდენად დაუჯდა ეს საქმე, რომელიც მაშინ იმისი დარდი და ვარამი იყო... შემდეგ როდესმე, ვით შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, რამდენისამე თთვით ადრე, სანამ სთხოვდეს რასმეს, ამ ახალს მოყვრისას მისვლა-მოსვლას უხშირებს, მზადაა ყოველივე აუსრულოს, „მოსაკითხიც“ უფრო ხშირად მიაქვს იმასთან, ერთის სიტყვით, ისე უჩვენებს თავს, რომ აფიქრებინოს: სწორედ ამაზე უკეთესი მეგობარი არა მყავსო. მერე ერთ-ერთს დღესასწაულზე, როდესაც მოსაკითხი მიაქვს, სთხოვს რასმე და ამ სახით მოყვრულად იბრუნებს გაცემულსა და დანახარჯს. ძღვენით მისვლა–მოსვლა, „ძღვნობა“

მეტად გავრცელებულია აფხაზთა შორის. მაგალითად, აფხაზს არა ჰყავს ცხენი, უნდა კი შეიძინოს, მაგრამ ფასი არა აქვს, გარდასაცვალი საქონელი არა ჰყავს. ფასად ასში ერთი ცხენი არ იყიდება და არც გაისყიდება აფხაზეთში, თუმცა საზოგადოდ, განსაკუთრებით თავად-აზნაურობა, დღეობით-კი არა, საათობით იცვლის ცხენსა. ამ შემთხვევაში უქონელს მიჰყავს ვერძი, ანუ ვაცი და მიაქვს სხვა ხორაგეულობაც რომელსამე თავადთან, აზნაურთან, ანუ შეძლებულს გლეხთან და იქ შოულობს ცხენსა, ასეა თუ ისე, აფხაზს კარგად შეუგნია აზრი იმ ლექსისა, რომელიც ამბობს: რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია. ისე არა უყვარს-რა, როგორც ცხენი და იარაღი, აბხაზურად „აბჯარ“, არა მარტო მაღალს წოდებას, არამედ დაბალსაც. ჯერ კიდევ ძუძუმწოვარა ყმაწვილი მაღალის წოდებისა ჩინებულად ხმარობს ცხენსა და იარაღსა, თითქოს დედის მუცელშივე ესწავლოს, იარაღი: დამბაჩა, ხმალი, ხანჯალი, დანა, სადგისი და სხ. განუშორებელი მეგობარია აფხაზისა. როდესაც აფხაზი ასე შეიარაღებულია, ზის ცხენზე, ნაბადი გვერდზე აქვს გადმოგდებული და მიდის, მიიმღერის, ცხენს მიათამაშებს თავისს ტოლ-ამხანაგებში, მაშინ არის იმისი აღდგომა, უდიდესი დღესასწაული. აფხაზს ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება უცხენოდ იცხოვროს კაცმაო, და ამიტომ ნახევარზე მეტს სიცოცხლეს ცხენზე ატარებს. საზოგადოდ ცხენოსნობა და ცხენზე თამაში გავრცელებულია არა თუ მაღალსა, არამედ დაბალს წოდებაშიაც. პირველად ყველა საერო თამაშობათა შორის, რომელთაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის სულისა და ხორცის ვარჯიშობაში. ცხენოსნობა და ჯირითი უნდა დავასახელოთ. ცხენით თამაშზე ჩვენ შემდეგ ვილაპარაკებთ, აქ კი დავასახელებთ შემდეგს სხვა გართობას: 1) ბურთაობა, 2) „არკილ“-რიკი, 3) ქვის სროლა-ტყორცნა. ქვის სროლა ტყორცნაც საყვარელი გართობაა და ერთნაირის კმაყოფილებით შეექცევიან, როგორც დიდნი, ისე პატარანი. მუსიკა და სახალხო პოეზია აფხაზთა, თუ არა ვცდებით, სდგას საკმაოდ დაბალს ხარისხზე. ერთადერთი სამუსიკო იარაღი ჩანგურია, რომელიც ქართველებისაგან უნდა ჰქონდესთ შემოღებული: ამას გვიმტკიცებს ჩვენ იმისი ქართული სახელ-წოდება აჩანგურ, „ბუკი-აბკი“. აფხაზური ლექსები, რომელთაგან ბევრნი შინაარსით პოეზიას მოკლებულნი არ არიან, ზოგი თითქოს დამყარებულია სიმეტრიის და მწყობრ სიტყვაობის კანონზე. აი ნიმუშებიც: ა) ალიფა ქელამათ, აჯგუ იფა აზდამრ, აფსნნძა მაჰრა დცან იანხუფჰაცა დრამ ხაფსიტ. ვორ-ვულტუ საკაკასა, ბარფუნტუ ჭაპრხუა აშიქვა დალარყეო, აშაფშიქუ დალარსო უს დნარგოოიტ დპუბაზაზ დრცჰაუ-ჰჯიმაგე ბ) ვო ძივავა, ძარ იკვაკვა მარკლ-და! აჰ იფა ვ იჟვომ; ძ იოვომ, აკვარაქვა ეიმიდოვო: ძ ხუჭკ, ძ ხუჭკ. მაშინ როდესაც ზოგიერთი ლექსები სასიამოვნოდ იკითხება, მეტი წილი სიმღერის გარეშე ჰკარგავს ყოველს თავისს შნოსა და ლაზათს რითმას და უფრო იმისს აჩრდილსა და მსგავსებას მხოლოდ აქა-იქ მოჰკრავთ ყურსა. ასე რომ სრულს თანასწორობას შინაარსსა და ფორმას შორის, რომლის მაგალითებსაც წარმოგვიდგენს ჩვენი სახალხო ლექსები, საცა ფორმა შეეფერება შინაარსსა, ჩვენ ვერა ვხედავთ აფხაზურს ლექსებში. მაგრამ მარტო რითმა და მწყობრ სიტყვაობა არ ატკბობს ადამიანის ყურთა სმენას: არის ერთი სახე ლექსთ წყობილებისა, რომელსაც უწოდებენ ალლიტერაციას და რომელიც მდგომარეობს ერთგვარ ხმათა ანუ მარცვალთა ხშირ-ხშირ განმეორებაში (****), ამ ალიტერაციით შემკობილს სიტყვას ვხედავთ ჩვენ უფრო აფხაზურს ლექსებში. აი მაგალითებიც: ა) (ზევით მოყვანილს პირველს ლექსში) ვარვულტუ... ბარფუნტუ ბ) ჭილარ მარდა ყულარდამ გ) არბა არბა სინარბა დ) მასთა მასთაროუ მასთა სთახოუ, სიამულ უცა სიამულ სიახოუ სიანჯარ უცა გველის შელოცვიდგან. ხუტ ხუტ ხუდან-ფა ჭრკვა ჭრკვა ჭრტელაზ არასა ვარასა ვასატან... პ. გიორგიძე (შემდეგი იქნება).*) იხ. „ივერია“ № 165. **) თავისს სამშობლო ქვეყანას აფხაზები უწოდებენ: აფსნ. სიტყვა შესდგება, ჩემის აზრით, შემდეგ სიტყვათაგან: აფსუა — აფხაზი და ან — დედა; აფსუ ან — ფსნ — აფხაზის დედა სამშობლო, აფხაზეთი. ***) აფხაზის რწმენით ამ გარშემოვლების დროს ნამდვილად გადაედება კაცს იმისი ავი და ფათერაკი, რასაც გარს უვლის. ამიტომ, თუ რასმეს შეცდომით შემოუარა აფხაზმა, მაშინვე უკან დაბრუნდება, ავი არა წამომედოს რა ამ გარშემოვლილის სენისაო. ****) ალლიტერაციის მაგალითს, მხოლოდ კი რითმასთან შეერთებულისას, ჩვენს

ლიტერატურაში წარმოადგენს ჩახრუხაული: „თამარ წყნარი შესაწყნარი, ნარნარი პირ-მცინარი“ და სხ. (ივერია, N167, 1888 წელი);

ფელეტონი
აფხაზეთი და აფხაზნი*)
ყოფა-ცხოვრება, აფხაზთა ოჯახი. ქალის მდგომარეობა

აფხაზებში შრომა განაწილებული არ იყო. არა თუ თვითოეული სოფელი, თითქმის ყოველი ცალკე მოსახლეც საჭირო ნივთებს თითონ იკეთებდა იმ მასალიდგან, რაიცა ხელში ექნებოდა; ზოგს კაცი აკეთებს და და ზოგს ქალი. ქალი საიმისო ხელოსნობაში მეტად დახელოვნებული იყო და კიდეც არის. ხოლო სახლი აფხაზისა, როგორც ეხლავე დავინახავთ, ისეთს აღარას წარმოადგენს, რის გაკეთებაც ყოველს აფხაზს თითონვე არ შეეძლოს და არ იცოდეს. არის მხოლოდ ერთად-ერთი ხელობა, რომელიც თხოულობს განსაკუთრებულს ცოდნას. ჩვენ ვამბობთ მჭედლობაზე. ეხლაც აფხაზეთის ყოველს სოფელში თითო, ან მეტი მჭედელია და იგი დღესაც, ვინც-კი მიჰმართავს, უკეთებს ყოველს გვარს იარაღეულობას და ნივთებსა უსასყიდლოდ და ამისთვის საკმაოა მოუტანონ ნახშირი და ძველი რამ რკინეულობა, რაც უნდა იყოს, მჭედლობას, რომელსაც ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს არსებობისათვის ბრძოლაში ბუნებისა და ადამიანის წინააღმდეგ, ჩვენ ვხედავთ როგორც ნიშანს შრომის განაწილებისას. ამ ხელობას, რომელისაც ეგოდენი მნიშვნელობა აქვს და ყოველი აფხაზი ვერ მისწვდება, გარდა სატეხნიკო მნიშვნელობისა, აქვს რელიგიური მნიშვნელობა, რომელზედაც ჩვენ ვილაპარაკებთ შემდეგ. ამ სახით აღებ-მიცემობას, ანუ სხვა რამე მრეწველობას აფხაზი სრულიად არ მისდევს, რადგანაც სირცხვილად მიაჩნია. ბევრი ისეთი საკუთარი ნაწარმოები აქვს აფხაზსა, რომელიც, აღებ-მიცემობა რომ ყოფილიყო აფხაზეთში გავრცელებული, დღესაც კარგს შემოსავალს შესძენდა. მაგალ., აფხაზის ქალი ცხვრისა და თხის ტყავისაგან აკეთებს სამოგვეს მსგავსს „ცუშ“-სა, რომელსაც საზაფხულო ქვეშაგებისათვის ხმარობენ და რაიცა უცხოელთა ძლიერ მოსწონთ, კაცები აკეთებენ საუკეთესო ხისა და რქის კოვზებს. ბევრი მონადირე წელიწადში შვიდ-რვა დათვს მოჰკლავს, მაგრამ ერთს ტყავსაც არ გაჰყიდის. ამას იმიტომ სჩადის, რომ ხელი არ გადაჰყვეს. ყიდვა-გაყიდვაში აფხაზი ფულს არა ხმარობს, ნივთს ნივთზე სცვლის, ამ გვარად ცხოვრების უმთავრესს სახსარს მუდამ საზოგადოებაში გართულის და თავის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობაზე ნაკლებად მზრუნავის აფხაზისას შეადგენს მიწათ-მოქმედება და პირუტყვთა მოვლა. ფუთკრის ყოლასაც მეტად ხელს უწყობს აფხაზეთის მდიდარი ბუნება. მთის კალთებზე მდებარე სოფლებში მცხოვრებთ ბევრს ორასი და მეტი სკა უდგიათ. აფხაზები სთესენ მარტო სიმინდსა და სალოცავებისათვის მასში ერთჯერ პურსა. სიმინდმა სრულიად გააძევა აფხაზეთიდგან ღომი, რომელიც ამ რამდენისამე ათის წლის წინად, როგორც თანამედროვე მოხუცნიც ჰმოწმობენ, თითქმის ერთად-ერთი გავრცელებული მცენარე ყოფილა. ამ გარემოებით. შესაძლოა კაცმა ახსნას აფხაზური სახელწოდება ღომისა, რომელსაც ჰქვიან აფსუა ბსთა - აფხაზური ღომი. ეხლაკი აქ ამ აფხაზურს ღომს კაცი იშვიათად მოჰკრავს თვალსა. გარდა სიმინდისა, შინ სახმარებლად აფხაზებს მოჰყავსთ თამბაქო, ბამბა, სელი, კანაფი და მცირეოდენი ბოსტნეულობა. მაგრამ უმთავრესს დოვლათს აფხაზისას შეადგენს ოთხ-ფეხი შინაური საქონელი და მხოლოდ საქონელია სიცოცხლის ბურჯი, კაცის მკვებავი, იმისი აღმზრდელი და შემნახველი, აფხაზისავე აზრით. უსაქონელოდ აფხაზს ვერ წარმოუდგენია ცხოვრება. უპურობასაც-კი უფრო ადვილად გაუძლებს. აფხაზის აზრით, მწყემსები, რომლებიც უხვად ხმარობენ მარტო ხორცეულობასა და რძითა და ერბოთი იკვებებიან, ნამდვილს ნეტარებაში არიან. ამიტომ აფხაზი ორიოდე საქონლის გულისათვის, როდესაც საძოვარი საკმაოდ არ ეგულება, გადადის ერთის ალაგიდგან მეორეზე**). იმას ამ აყრა-გადასახლებას ისიც უადვილებს, რომ აფხაზებს

არაფრად მიაჩნიათ ფაცხის დადგმა. ისიც მოხდება ხოლმე, რომ, როცა ახლო სოფელში გადასახლდება, თან მიაქვს დაურღვეველად ფაცხა სხვების შემწეობით. სახლი - ფაცხა აფხაზისა ბევრს შესანიშნავს აღარას წარმოადგენს. იგი ორგვარია გარეგანის შეხედულობით: მრგვალი და ოთხ კუთხიანი. კედელი ფაცხისა გეზად ამაღლებულია და თხილის მომსხო წნელები განით დაწნულია უფრო მოწვრილო წნელით. სართულის კაკუტები ამ დაწნულს კედელზეა დაყრდნობილი, ხოლო ზევით თავები ერთი ერთმანეთზეა მიკრული ვენახითა, ანუ წირეხით; ლარძაყინებზე-კი განით კვენდლის შემწეობით დაკრულია აქა იქ ლართხები (ფინები). ეს არა ხელოვნური შენობა დახურულია გვიმბრით, ჩალით, ანუ ისლით. ამ გვარს ფაცხას, როგორც აწერილობიდამაც სჩანს, სართული (და საერთოდ თვით ფაცხაც) კონუსებურის ფორმისა აქვს... მეორე გვარის ფაცხას, რომელიც უსწორო ოთხ-კუთხიანია, წინა კარებთან აქეთ-იქით ორის წაბლის ხის პალოები აქვს ჩასობილი, რომელიც ცოტად გადახრილია ერთიმეორეზე და მათი ორთითიანი (კავებიანი) წვერები ერთი მეორეს უერთდება ამ ხეებს, რომლებიც ცოტად არ იყოს მაკრატელსა ჰგავს, აფხაზები ეძახიან „ამარკატლ“-ქვა. ამ „მაკრატლებსა“ და მეორე მხრით ერთს დვირეზე გადებულია გასაყარი, რომელიც სართულის დასამაგრებელია. სართული ამ ფაცხას უფრო ჩამოშვებული, პირველისაზე უფრო მოპრტყელო, ესე იგი იმერულის ფორმისა აქვს. ამ გვარის ფაცხას, რომელიც გაკეთდება რა სიდიდისაც გნებავსთ, - წინ დიდი დერეფანიც ექმნება და უკან მეორე განყოფილებაც შესაძლოა ჰქონდეს, რომელშიაც კაცი არა სდგას, მხოლოდ სახლის სხვა-და-სხვა ხაბაკები აწყვია, და ზამთრობით საქონელსაც აბინავებენ, ფაცხას თიხით ანუ სხვა რითიმე არა ლესვენ, - ზამთარში იქმნება გვიმბრა შემოაკრან და, მაშასადამე, ქარი თავისუფლად შეისისინებს და, თუ გნებავსთ, წვიმაც შეატანს ხოლმე შიგნით. ფაცხის შუაგულ ალაგას ბუნებით თლილის ქვის, ანუ შეზელილის ნაცარ-თიხისაგან გაკეთებული კერაა (ახუშთაარა). ამ კერაზე სცდილობენ გაუქრობლად ცეცხლი შეინახონ. ცეცხლის ბოლი მაღლა სახურავში გადის, ანუ ქარის კვალობაზე ტრიალებს შიგ ფაცხაში. ამიტომ მთელი ფაცხა და განსაკუთრებით ზედა ნაწილი ჭვარტლისაგან ისე ბრწყინავს, თითქოს განგებ შავად შეღებილი იყოს... ფაცხაში ერთს მხარეზე ტახთია გამართული, ცეცხლის პირზე სდგას გრძელი და ცოტათი ფართო სკამი, რომელიც საჭიროებისამებრ ტახტობასაც ასრულებს. ტახტზე ალაგია ქვეშსაგებ სახურავი, გამზადებული სახლის უფროსის ქალის ხელით; იქვე სდგას ერთი უბრალო სკივრი (კიდობანი), რომელშიაც აწყვია კაცისა და ქალის უსაჭიროესი ნივთეულობა. ზევით კედელზე ჩამოკიდებულია უნაგირი, მათრახი და ზოგიერთი იარაღი. კუთხეში კედელთანვე დაინახავთ ღომის სამზადს იარაღებს, ჩამოკიდებულს პატარა კალათას, რომელშიაც ინახება სანოვაგე, ხის ანუ – რქის კოვზებს, ჯამებს, საწველს, გობს და სხვა წვრილმანს ნივთებს. ჰხედავთ თუნგსა და ტაშტსა, ხოლო ბევრს უკანასკნელი სულაც არა აქვს და თუნგის მაგივრობას ასრულებს გამოქვაბული მწარე კვახი, აყირო. ამას დავუმატოთ საჭრელი იარაღები, დიდი ფართე ქვა და მაზედ მრგვალი ქვაც (მარილის სანაყი) და სადმე იქვე დაგდებული სალესი ქვა. აი, აფხაზის სახლის ყველა ავეჯეულობა შუათანა მოსახლისა. მეორე გვარის ფაცხა აფხაზს უდგას როგორც საერთო დიდი სახლი, ხოლო პირველისა — „ქვაცუ“ ახალ ცოლ შერთულთათვის (ამჰარა). ღარიბები კმაყოფილნი არიან მარტო პირველის გვარის სახლით. მაშასადამე, სახლი აფხაზისა, რომლის ასაშენებლად თითქმის ერთი ღერი ლურსმანიც არ დაიხარჯება, წარმოადგენს უძველესს სადგურთა მსგავსებას მასალითა, გარეგანის ფორმით და სიმარტივით. რგვალის ფაცხის მაგივრად ეხლა უფრო ოთხ-კუთხიანი სადგომი ვრცელდება და ამის ასაშენებლად „მაკრატლების“ მაგიერად ხანდისხან წინ და უკან დვირეებზე დამდგარს ხეებზე ამყარებენ სართულს. ეს კარგი ცვლილებაა. ამისი შედეგია ისიც, რომ ზოგს ფაცხას წინა და უკან ფიცრის კედელი აქვს. ჩვენ დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ კერას ზემოთ ჩამოკიდებულია რკინის ნაჭა და იმის გვერდით ხის კავი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად ხანგრძლივია ერთხელვე შემოღებული იარაღი. ამ ჩამოსაკიდებლებზე ჰკიდია თუჯის ქვაბები, რომლებშიაც იხარშება და მზადდება საჭმელი. ყოველ დღიური და ჩვეულებრივი საჭმელი

აფხაზისა ყველი, სიმინდი, ღომი და მაწონია. უბრალო ღომის გარდა აკეთებენ ახალ ყველ გარეულ ღომსა (აელაχ), რძითა და ყველითა (აჩამუქუა). ზამთრობით აფხაზის საჭმელი უბრალოდ მოხარშული ხორცია. ყველა ხორცზე მეტად აფხაზს თხის ხორცი უყვარს, ღვინოსაც სიამოვნებით მიირთმევს, თუმცა უამისოდაც კი სძლებს, ხოლო უმაწონოდ-კი ვერა, კიბოს და სხ. აფხაზი არ მიეკარება; თევზსაც ძლიერ ერიდება, მხოლოდ ეხლა ცოტ-ცოტა შეეჩვია. ზოგიერთ ბოსტნეულ მცენარეთა ჭამა, როგორც ბალახისა, აფხაზს სასაცილოდ მიაჩნია. საზოგადოდ აფხაზს მწარე და პილპილ-მორეული საჭმელი უყვარს... სალოცავთათვის აფხაზები ამზადებენ სიმინდის ფქვილისაგან პატარა კონუსებურის ფორმის მჭადებსა, რომლებსაც ჰხარშავენ წყალში სამარხოდ, ანუ რძეში სახსნილოდ. ამას აფხაზები უწოდებენ „არვაჟა“. უფროს-უმცროსობა აფხაზის ოχახში ძალიან დაცულია. სახლის უფროსს (ავნ აიჰაბ) ემორჩილება თითოეული წევრი ოχახისა. ოχახში ყველაფერი იმის სურვილისამებრ თადარიგით კეთდება. ქალების შესახებს საქმეებში უფროსობს ოχახის უფროსი ქალი (ავნ ეიჰაბ აფჰს). ასე და ამ რიგად უფროსნი განაგებენ საოχახო საქმეებს და იმათვე ემორჩილებიან უმცროსნი წევრნი ოχახისანი. მართალია, ხშირად უფროსებს ეს უფლება მარტო ფორმალურადა აქვსთ დაცული: როდესაც უმცროსნი საოχახო საქმეში მეტს ჭკუასა, გამოცდილებას და ფხას გამოიჩენენ, მაშინ საქმით ესენი უფროსობენ. სახლის უფროსი კაცი და ქალი სხვათა შორის ყველა საოχახო რელიგიურ ცერემონიათა და ლოცვათა აღმასრულებელნი არიან და სახლის უფროსი მამაკაცი, თუ სხვებზე უფრო ხნიერია, მთელს საგვარო სალოცავებსაც ასრულებს. ამ მიზეზის გამო შვილები შესაფერის პატივისცემით ინახვენ სრულიად დაუძლურებულს დედ-მამას. დედ-მამის სიცოცხლის დროს შვილები იშვიათად გაეყრებიან იმათაცა და ერთმანეთსაც. თუ გაიყარნენ, სცდილობენ არ აწყეინონ დედ-მამას. ამისთანა შემთხვევაში მშობლებს მიაქვთ მთელის ქონების ნახევარი. დანარჩენს შვილები იყოფენ. როცა დედა და შვილები უნდა გაიყარნენ, დედას თავისს ნამზითვი სრულად მიაქვს და გარდა ამისა თვითოეულის (?) შვილის წილის თანაბარიც; შემდეგ, რომელს ერთს შვილსაც ამოირჩევს, იმასთან სდგება საცხოვრებლად. გაყრისა და საერთო ქონების გაყოფის დროს უფროსს ძმას მიაქვს ნაუფროსალი (აიჰაბშახუ): თუ ბევრი საქონელი ჰყავსთ, მიაქვს თითო არჩეული სული ყოველგვარ პირუტყვისაგან, და, თუ ბევრის პატრონი არ არიან, მაშინ ერთს კარგს აიყვანს „ნაუფროსალი“ წილად. უმცროსს ძმასაც მიაქვს ნაუმცროსალი (ეიწბშახუ), რომელიც ნაუფროსალზე ცოტათი ნაკლები იქნება. ამ ნაუფროსალისა და ნაუმცროსალის გამორიცხვის შემდეგ, რაც დარჩება, ამას ძმები თანასწორად ჰყოფენ. მამის სახლ-კარი, ეზო და სხვა რჩება უმცროსს ძმასა. ქალიშვილებს ვაჟებზე ნაკლები გააქვსთ. საზოგადოებაში ზრდილი, თავაზიანი და დარბაისელი აფხაზი შინაურობაში ვერ იჩენს ამ თვისებებს. პირიქით, აქ იგი საკმაოდ χიუტი და კერპია. იგი ყოველთვის ბრძანების კილოთი, მკაცრად ელაპარაკება თავისს უმცროსებს — ცოლს, შვილს და სხვას, ასე რომ, როგორც ბ-ნი სერგეი მეჩი ამბობს, აფხაზს ეზარება ოχახში დახარχოს ერთი ტკბილი, თავაზიანი და ალერსიანი სიტყვა. აფხაზის ქალი დამწყვდეული არ არის; იგი სარგებლობს დიდის თავისუფლებით. მართალია, ოχახზე მამაკაცივით ზრუნავს და თითქმის მომეტებულადაც. აფხაზის ქალი თავისს ზურგით დაათრევს წისქვილში საფქვავსა, არა მარტო იმიტომ, რომ აფხაზი დაუდევარია, არამედ იმიტომ რომ ებრალება თავისი თავი და თავისი ცხენიც-კი. ზოგიერთს ადგილას აფხაზის ქალი დღესაც თავისის ხელით ყოველ დილა საღამოზე ატრიალებს პატარა ხელის წისქვილებს და ამით ჰკვებავს მთელს სახლობას. ეს კიდევ არაფერი. იგი მოცლილს დროს აკაბიწებული გვერდზე უდგას მამა კაცსა და შველის თოხნა-მარგლაში. აგრეთვე კეთილშობილთა ქალები კეთილშობილს კაცებზე ნაკლებს შრომაში არ არიან. ყველა ეს, მართალია, ცოლ-ქმრობის (ანუ საზ. ქალ-კაცის) უღლის სიმძიმეს ოდნად ქალისაკენ გადაჰხრის, მაგრამ ესევე აძლევს აფხაზის ქალს დიდს უფლებასა და თავისუფლებას. ქალი პატივდებული არსებაა. პატარაობიდან სიბერემდე ყველა შესაფერს სალამს აძლევს, ქალი დადის ყველა ყრილობაზე, ტირილსა და აღაპზე; იგი თავისუფლად ტრიალებს მამაკაცებში, ღებულობს

მონაწილეობას იმათთან ერთად ცეკვაში, არა ერთი მაგალითი ყოფილა იმისა, რომ ხშირად ქალი წინამძღოლად ჰყოლიათ. ღამით სიარულის დროს ქალი ასრულებს რელიგიურს წესებსა და ცერემონიებს და მლოცავად ითვლება, როგორც აფხაზთა მიერ გაღმერთებული ზოგ მამრობითის სქესისა, ისეც მდედრობითის სქესის წმინდანებისა. ნათქვამის მიუხედავად ქალი უნდა იყოს უმანკო, მორცხვი, იგი უფროსთ მამაკაცთა წინაშე უნდა ლაპარაკობდეს კრძალვითა და მორიდებით და, ერთის სიტყვით, აფხაზის აზრით, არ ვარგა, რომ მანდილოსანი ქუდოსნობდეს. მიუხედავად ამისა აფხაზის ქალი, უმიზეზოდ ქმრისაგან დათხოვნილი, მიდის უშიშრად საერო ყრილობაზე, სადაც სხვა დროს ქვრივების გარდა ქალები იშვიათად დაესწრებიან, და აქ მამაკაცზე არა ნაკლების გამბედაობით და მჭევრ-მეტყველობით იცავს თავსა. თუ აფხაზს სხვა და სხვა შემთხვევაში შეუძლიან დაითხოვოს ცოლი, სამაგიეროდ ცოლსაც შეუძლიან თავი დაანებოს ქმარსა. პ. გიორგიძე (შემდეგი იქნება). *) იხ. „ივერია“ № 167. **) ეხლა-კი, ამ უკანასკნელის ომიანობის შემდეგ, სხვადასხვა მიზეზის გამო (სხვა-და-სხვა ხალხებთან შეტაკება, მამულების გამიჯვნა მაღალ წოდებათათვის, საძოვრების შემცირება, აღებ-მიცემობისა და ვაჭრობის გაძლიერება), აფხაზების ცხოვრებამ ფერი იცვალა: საქონლის გაშენებამ პირველი ალაგი მიწათ-მოქმედებას დაუთმო და დღეს სიმინდის თესვა დღითი-დღე მატულობს და აფხაზეთიდგან საზღვარ-გარეთ თანდათან მეტი და მეტი სიმინდი გააქვსთ. (ივერია, N169, 1888 წელი);

ფელეტონი
აფხაზეთი და აფხაზნი*)
გაზრდა. გაზრდილი. გამზრდელი

იმ დროს, როდესაც ბატონ-ყმობა სრულს ძალაში იყო, დაბალი წოდება აფხაზეთშიაც ძლიერი შევიწროებული იყო. ბატონი ისე ეპყრობოდა თავისს ქვეშევრდომს, როგორც უკანასკნელს ნივთსა: ართმევდა ყოველისფერს, ჰყიდდა და აგირავებდა, როცა შემთხვევა და გარემოება მოითხოვდა, ბატონ-ყმობის გადაგდების შემდეგაც ამ უკანასკნელს დრომდე ბევრად არ განკარგებულა აფხაზეთში გლეხ-კაცობის მდგომარეობა, რადგან ქურდობა, ცარცვა, ავაზაკობა აფხაზების თავად-აზნაურთა ხელობას შეადგენდა. თუმცა გლეხ-კაცობაც აფხაზეთში ქურდობაში უმეცარი არ არის, მაგრამ მაინც იგი ხომ ვერ გაჰბედავდა სამაგიეროს გადახდას, ე. ი. თავად აზნაურობის საკუთრების მოპარვას... ამიტომ დაბალს წოდებას ისეთი ჩვეულება გამოუგონია, რომლის შემწეობით გლეხს შეეძლო თავისის ბატონის სიყვარულის დამსახურება. ეს ჩვეულება თავად-აზნაურების შვილების აღსაზრდელად აყვანა იყო. თავად-აზნაურნიც კმაყოფილებით აძლევდნენ შვილებს გასაზრდელად და ამით თავად-აზნაურები იძენდნენ სიყვარულითა და პატივისცემით სავსე მოყვრებსა; აგრეთვე იმათს ცოლებს ბავშვებზე ზრუნვა არა სჭირდებოდათ; საზოგადოდ აფხაზის მაღალ წოდების ქალებს მეტად სამძიმო საქმედ მიაჩნიათ ყმაწვილების აღზრდა, უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთში მოსახლე გლეხი არ მოიძებნება, რომელსაც თითო ან მეტი გაზრდილი არა ჰყავდეს თავადი, ან აზნაური. აქედგან ისიც ცხადია, რომ ასშიაც ერთი თავად-აზნაური არ მოიპოვება, რომელიც დედის ძუძუთი იყოს აღზრდილი. რაკი თავად-აზნაურის ქალს შვილი ეყოლება, აღმოჩნდება რამდენიმე გლეხი ყრმის აღსაზრდელად აყვანის მსურველი (ხშირად მოხდებოდა ხოლმე უწინ გლეხებს შუა ჩხუბი და შეტაკება, რადგანაც ყველას თავისთვის სურდა წაეყვანა ახლად დაბადებული) და იმათგან მშობლები აირჩევენ ერთსა. იმ დღეს, როდესაც ძიძას მიჰყავს ბავშვი, მშობლები ჰმართავენ ლხინსა ახალის ძიძის შემოსვლისა გამო. ამავე დღეს მშობლები ძიძას აძლევენ თითო ხელს ტანისამოსს, აკვნის გასაწყობს, პატარა სპილენძის ქვაბსა ბავშვის ამოსაბანად და სხვა-და-სხვა წვრილმანეულობას. აღმზრდელმა ქალმა ამ დროიდამ დაიმსახურა პატივცემული წოდება „ძიძასი“ - „ანაძძეი“ - დედა ძიძა - დედა მძუძე“ და მართლაც ამ დღიდამ როგორც

თვითონ ძიძა, ისე იმისი ქმარი, „აბაძძეი“ „მამა მძუძე“, დიდად პატივცემულნი ჰხდებიან. ძიძას შინ მიჰყავს ბავშვი, რომელიც აგრეთვე იწოდება ამ დროიდამ იმ გვარეულობის „გაზრდილად“ - ახუფჰა, რომელსაც ეკუთვნის ძიძის ქმარი... გამზრდელები ბავშვს არ აკლებენ ტკბილს, სათუთს, ალერსიანს მოვლას, ორი-სამის წლის შემდეგ „გაზრდილი“ პირველად მიჰყავთ დედ-მამისას, რომ უჩვენონ მშობლებს. იმათ მოაქვსთ „გაზდილის“ დედ-მამისათვის ძღვენი: ერთი, ან ორი ხარი, ვაცი, ყვერულები, ღვინო, პური და სხვ. ხორაგეულობა. ისევე იმართება ლხინი ძიძას მოსვლისა და შვილის პირველად მოყვანის გამო. ამ ლხინში, რომელზედაც დაპატიჟებულნი იქმნებიან ახლო-მახლო მეზობლებიც, დიდს პატივსა სდებენ ძიძასა და იმისს ქმარს, იგინი არა თუ „გაზრდილის“, იმისის დედ-მამის უწინაც ხელს იბანენ და ღვინოსაცა სმენ. „გაზრდილმა“ და ამის მშობლებმა აგრეთვე „გამზრდელები“, როცა შემთხვევა მოითხოვს, ცხენზედ უნდა შესვან, ე. ი. უნაგირის აბზინდა დაუჭირონ და სხ. რამდენისამე დღის შემდეგ ძიძა და იმისი ქმარი დასაჩუქრებულნი საქონლით, ტანისამოსით, თუ ფულით შინა ბრუნდებიან თავიანთის „გაზრდილით“. „გაზრდილი“ გამზრდელებისას რჩება 8-9 წლამდე და შემდეგ დედ-მამისას მოჰყავთ, მაგრამ ბავშვს, რომელმაც დაბადებიდგან 8-9 წელიწადი გაატარა ძიძას, რომელიც ძუძუს აწოვებდა და მეტად ტკბილადა და ნაზად ზრდიდა, რაღა თქმა უნდა, სამუდამოდ ჩაენერგება გულში სიყვარული – ძიძისა, ძიძა შვილებისა და მთელის იმ ოჯახებისა; დედ-მამის სახლი-კი საპატიმროდ მიაჩნია; შემდეგაც, როცა დედ-მამა ნებას დართავენ, დაიარება გამზდელებისას. თუ გაზრდილი ობოლია, მაშინ ცოლის შერთვამდე და ცალკე დასახლებამდე გამზრდელებისას იმყოფება, როგორც თავისს საკუთარის სახლში... „გაზრდილმა“ გამზრდელთა ინტერესი ისე უნდა დაიცვას, როგორც საკუთარი. თუ რამე მოჰპარეს გამზრდელებს (ჩვენ ზემოდ შევნიშნეთ, რომ გამზრდელებად („აბრაა“) ითვლება მთელი საგვარეულობა ნამდვილის „გამზრდელისა“), „გაზრდილი“ ვალდებულია დაკარგული საქონელი მოსძებნოს, ანუ ქურდი აღმოაჩინოს და ერთი-ორად გადაახდევინოს. თუ ეს ვერ შეასრულა, დიდი სირცხვილია თავისს ტოლ თავად-აზნაურობაში... თუ ვინმემ გამზრდელთ შეურაცხყოფა მიაყენა სიტყვითა ანუ საქმით და იმათ თავად არ შეუძლიანთ სამაგიეროს გადახდა, „გაზრდილი“ აგებს შესაფერს პასუხს. მაგალითად, თუ თავადმა, ანუ აზნაურმა სცემა რომელსამე გლეხს, მაშინ ამ გლეხის „გაზრდილმა“ სამაგიეროდ უნდა სცემოს, არა დამნაშავე თავადსა, ანუ აზნაურსა, რადგან ეს მეტი იქმნებოდა, ვინაიდგან კეთილშობილისა და გლეხის „სისხლი“ ერთი არ არის, არამედ დამნაშავეს, რომელსამე „გამზდელ“ გლეხთაგანს. თუ გლეხს რაი საქმე აქვს, „გაზრდილი“ ფარულადა და ცხადადაც ყოველს ღონეს ჰხმარობს, რომ იგი გამარჯვებული გამოიყვანოს საქმიდამ. ერთის სიტყვით, გლეხს გვერდს უდგას თავისი გაზდილი ერთი ანუ რამდენიმე თავად-აზნაურითა. რასაკვირველია, როდესაც გაზრდილი მცირე-წლოვანია, იმისს მაგიერობას ასრულებენ იმისი მშობლები და ძმები. ავიღოთ ორი გარემოება ადამიანის ცხოვრებიდან: ჭირი და ლხინი, ე. ი. სიკვდილი და ქორწილი. თუ გაზრდილს მოუკვდა ძიძა, ანუ იმის ქმარი, ანუ „ძიძაშვილები“, მაშინ იგი დასტირის იმათ, შავს იცვამს, თავზე თმას უშვებს, თავისის ხარჯით უკეთებს იმათ კუბოს და მეთადარიგეა მიცვალებულის დატირვისა და დასაფლავების წესებსა და ცერემონიებში, როდესაც მიცვალებულის მოსახსენებლად აღაპი იქმნება, გაზრდილს მოჰყავს დასაკლავი „სულის მისაცემი“, ვერძი, ანუ ცხენი და ამ დროსაც მეთადარიგე დამამშვენიერებელია. აგრეთვე თუ ძიძაშვილს ცოლი მალვითა და მიტაცებით მოჰყავს, „გაზრდილი“ მოთავეა ქალის მოტაცებასა და გადმოყვანაში. თუ ვინიცობა ქალის ჭირისუფლებმა შეუტყეს და გამოეკიდნენ, გაზრდილი თავისს მხლებლებით სიტყვის, ანუ იარაღის შემწეობით არას გზით არ აძლევს ერთხელ გამოყვანილს ქალსა და, საქმის მოგვარებამდე, ქალს თავისს სახლში ინახავს, სადაც თავ-დასხმას ვერავინ ვერ გაუბედავს. როდესაც ძიძაშვილს ცხადლივ მოჰყავს საცოლო, ანუ როდესაც მიჰყავთ ძიძაშვილი ქალი, მაშინ „გაზრდილი“ უმთავრეს მაყრად ითვლება. ახლად მოყვანილს რძალს თავზე გადააგდებს ცხენსა, ხოლო პირბადის ახსნისა და ქალის პირი-სახის ნახვის

დროს ფულსა. ერთის სიტყვით, ყოველ „კეთილშობილურსა და ვაჟკაცურს“ საქმეებში გაზრდილი იცავს „გამზრდელთა“ ინტერესებს, როგორც თავისს საკუთარს. თავისის მხრით გლეხნი გამზრდელნი არაფერს არა ჰზოგავენ გაზრდილისათვის. ისინი ფიცულობენ „გაზრდილის“ სახელსა და როდესაც გამზრდელნი იფიცებენ იმის სახელს, მაგალითად შემდეგის სახით: „კვაჯი“ (მამაკაცის სახელია) არ მომიკვდეს, ანუ ჩიჩიზე ავი არ მენახოს და მე ბრვე სხ, მაშინ ისინი, როგორც თვითონ აფხაზები ამბობენ, წყალსაც არ დალევენ. პატივი და სიყვარული გაზრდილისადმი იქამდე მიაღწევს რომ, თუ გაზრდილი მოუკვდათ, მაინც იმის სახელს გამზრდელნი არ ფიცულობენ: ის (მიცვალებულის სახელს ახსენებენ) არ მომიკვდეს, ე. ი. როგორ ჰკადრონ გაზრდილსა, რომ იგი მკვდარი იყოს მაშინ, როდესაც თვითონ ცოცხალნი არიან, ის იმათთვის ცოცხალია, მუდამ ახსოვთ ისე, როგორც ცოცხალი და არა მკვდარი.. ყოველ წელიწადს გამზრდელთ მიაქვთ „გაზრდილთან“ მოსაკითხი: შობას ყვერულები, ყველი ან პური, ანუ მჭადი, ხოლო აღდგომის დღესასწაულებზე კრავი, ანუ თიკანი და „ჩემუქვათი’’, და ამით მოიკითხავენ ხოლმე გაზრდილებსა. საზოგადოდ ეს მოსაკითხი დღესასწაულებზე გარეგანი ნიშანია მოყვრობისა და უმდაბლესმა უმაღლესს უნდა მიუტანოს. თუ ეს ნიშანი არ იქმნა დაცული მაშინ მოყვრობაც შეწყვეტილია, რაოდენობა კრავებისა და თიკნებისა, რომელთაც მიუტანენ ვისმე აღდგომის დღესასწაულებზე, ანუ რაოდენობა ყვერულებისა შობის დღესასწაულზე გარეგანი საზომია იმისის ღირსებისა და გავლენისა. ძიძაშვილები უერთგულესნი ადამიანნი არიან გაზრდილისათვის „ღამით სიარულში - ქურდობაში. ამიტომ თავადს ანუ აზნაურს ქურდობაში დაჰყავს ძიძაშვილები, რომლებიც იმისთვის გასაჭირში თავს არ დაჰზოგავენ. თუ გაზრდილი გარდაიცვალა, გამზრდელთა მწუხარებავაებასსაზღვარი არააქვს, იმისს დასაფლავებაზე, ჭირისუფლობისა და ჯაფის გარდა, გადასახურავი ფულიც მოაქვსთ, აგრეთვე აღაპზედაც მოჰყავსთ ხარი, ერთი ანუ ორი, ცხვარი და სხ. როდესაც გაზრდილის ცოლის მოყვანაზე ლხინი იქნება, აქაც საკლავებითა და შრომითაც შემწეობას აძლევენ ქალსაც შეძლებისადაგვარად „გადააგდებენ“. ერთის სიტყვით, ფულით, გარჯით და რითაც-კი-შეუძლიანთ, გამზრდელნი მზად არიან ყოველთვის სამსახური გაუწიონ გაზრდილებს. ამ გვარის გაზრდის გარდა აფხაზეთში არის მეორენაირი გაზრდა. ვინმე გლეხთაგანს, მაგალითად, გაზრდილი მოუკვდა, ანუ ჰყავს იგი, მაგრამ საქმეებსა და გაჭირებაში საკმაოდ ვერა ჰხედავს და ამიტომ სურს სხვა ადამიანი მოიგოს „გაზრდილად, მაგრამ ისეთი კაცი, რომელიც წლოვანი და გაზრდილია, ასეთს კაცს აფხაზი გლეხი ეუბნება: „მე მსურს ჩემ სახლში მიგიყვანო, იქ რომ ქალები არიან (ცოლზე), იმათს ძუძუზედ გაკბენინო და შეძლებისამებრ პატივი გცე“, ე.ი. საჩუქარი მოგართვა. დანიშნულს საღამოს ასე დაპატიჟებული კაცი იახლებს ორ-სამს სხვას და მოდის გლეხისას**), სადაც მზადდება შესაფერი ვახშამი. პურის ჭამის დროს დამპატიჟებელი და იმისი მონათესავები წამოდგებიან და დაიჩოქებენ გაზრდილად გასახადის წინაშე; სტაქნით ღვინოს მიართმევენ და დაალევინებენ, რის შემდეგ ისევ წამოდგებიან ფეხზე და ერთ-ერთი უკეთესი მოლაპარაკე დაიწყებს სიტყვას: „დღეს იქით ნამდვილის ძუძუთი გაზრდილის ტოლად გთვლით, ჩვენც თქვენ გზაზე ვადგივართ, რაიცა გვაქვს ჩვენ, თქვენთვის არ დავიშურებთ, და თქვენც, იმედია, ჩვენთვის არარას დაზოგავთ, სხვა გაზრდილებზე წინ დაგაყენებთ“ და სხ. და სხ. ბოლოს მიართმევენ რამდენსამე მანეთს. რამდენისამე ხნის შემდეგ იმავე წესითა და ცერემონიით აძლევენ საჩუქარსა ფულით წინანდელზე ნაკლებს, სხვა მომყოლ თითო თავს („ხაპ“) რასმეს, თვით საჩუქრების მიცემის დროს აფხაზები, ვისაც აძლევენ, ეუბნებიან: „ვაჭა ენუპ“ ***) საჩუქრებს ამ ღამისას და ზოგიერთ სხვა შემთხვევებშიაც აფხაზები უწოდებენ „აჭანწა“ ****). მეორე დღეს დილით აძლევდა საქონელსა, კამბეჩებსა, ხარებსა, ძროხებსა და სხვ. ნაჩუქარმა, გაცემულმა საქონელმა, ფულის გამორიცხვით, ერთი-ორად, ერთი სამად უნდა გადააჭარბოს გაზრდილის მიერ მოყვანილსა და მოტანილს. ბოლოს ეს ამბავი თავდება შემდეგის უაღრესის მნიშვნელობით სავსე ცერემონიით. მიწაზედ დაფენილს ხალიჩასა ანუ ნაბადზე დადგმულს კიდობანზე (სკივრზე) შემოჯდება მასპინძელი ქალი-მომავალი ძიძა, რომელსაც

გვერდით თავისნი ტოლნი უდგანან. შემდეგ კარს გარედამ შემოდის დაპატიჟებული, ქალის წინ დაიჩოქებს, მუხლს მოიყრის და ძუძუს სამჯერ პირში ჩაიდებს, ანუ, როგორც აფხაზები ამბობენ, სამჯერ ძუძუს „უკბენს“ და თითოეულის „კბენის“ შემდეგ იმეორებს ფრაზას: „დღეის იქით მშობელის დედის მსგავსი ხარ“.. ამ დღიდამ ეს კაცი ითვლება ზრდილად“. ჩამომავლობით ტოლებში ამ ჩვეულებას ნამდვილის შვილობილობის ხასიათი ეძლევა. ეს გარემოება უდრის პატარაობიდგან ძუძუთი აღზრდას რომლისამე ადამიანისას და ამიტომ დამოკიდებულებაც ორსავე მხრით ისეთივეა, როგორიც ზემოდ აწერილია. რაღა საჭიროა აღვნიშნო, რომ გლეხები მარტო თავად-აზნაურობის შვილებს არა ზრდიან, თუმცა ეს უფრო ხშირია, — გლეხები სასულიერო კაცთა, მოვაჭრეთა, ანუ ისევ გლეხთა შვილებსაცა ზრდიან. არის ხოლმე იმისთანა შემთხვევაც, რომ აზნაურებს წარჩინებული თავადიშვილები ჰყავსთ „გაზრდილებად“ და სხ. ზემო ნათქვამიდამ მკითხველი თითონაც გამოიცნობს, რომ „გაზრდის“ საქმეს დიდი მნიშვნელობა აქვს აფხაზეთში. მთელი ცხოვრება და დამოკიდებულება თავად-აზნაურთა და გლეხთა შუა, თვით გლეხთა შორის და თავად-აზნაურობის ურთიერთშორისაც, თამამად შესაძლოა ითქვას, ამ „გაზრდაზეა“ აკინძული. ამაზე ცოტად თუ ბევრად აფხაზების ცხოვრების დაახლოვებით მცოდნენიც დამეთანხმებიან.*) იხ, „ივერია“ № 169. **) იმას თან მოჰყავს ერთი ცხენი და მომავალის ძიძასათვის მოაქვს საკაბე.***) „ვაჭა ენუპ“ - ამ სიტყვას თავისი ძველი აზრი და მნიშვნელობა დღეს სრულიად დაუკარგავს. იმითი დღეს აფხაზი იგულისხმებს მხოლოდ შემდეგს: „შენი საჩუქარი (მოსართმევი, ფეშქაში) იყოს“. რაკი ჩაუკვირდებით ამას, მიხვდებით, რომ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს, ათი, მაგ., მანეთი „შენს პირზედ სდევს“. ****) აგრეთვე მეორე შეერთებული სიტყვა „აჭანწა“ წარმომდგარია იმავ ორ სიტყვიდგან, ე.ი. ა. (პირი) ანწარა (დადება; დღეს მხოლოდ საჩუქარი, ფეშქაში) პირდაპირ: „პირზედ დასადებელი“. ეს ორი მაგალითი ვგონებთ იმისი საბუთია, რომ ჩვეულებად ჰქონდათ პირზედ რისმეს დადება. /პ. გიორგიძე/. (შემდეგი იქნება). (ივერია, N173, 1888 წელი);

ფელეტონი
აფხაზეთი და აფხაზნი*)
ცოლის შერთვის წესი აფხაზეთში

ამ ათის წლის წინად აფხაზებში უფრო ხშირი იყო საცოლო ქალის ნამდვილი მოტაცება, როდესაც საქმროს თავისის ტოლ-ამხანაგების შემწეობით მოჰყავდა ქალი იმის და იმისის მშობლებისა და ნათესავების დაუკითხავადა და დაუთანხმებლად - ძალით. ეხლა ეს პირდაპირი მოტაცება იშვიათია, თუმცა აქა-იქ ეხლაც თავს იჩენს ხოლმე... უფრო ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც შეყვარებულის ქალის თანხმობით, მაგრამ წინააღმდეგ ქალისა, ანუ თავის დედ-მამის სურვილისა, მოჰყავს აფხაზს ფარულად, საიდუმლოდ და მოტაცებით. საქმრო თავის ტოლ-ამხანაგებით შეიარაღებული მიდის ქალის მიერ წინდაწინვე დანიშნულს ალაგას, ამ ალაგზე, რომელიც ხშირად სახლიდამ დაშორებული იქნება რამდენისამე ვერსის მანძილზე, შუაღამით გამოდის ქალი, დედ-მამის სახლიდამ გამოპარული. ქალს შეაჯენენ საუკეთესო ცხენზედ და გასწევენ შინ, ანუ რომლისამე გავლენიან კაცისაკენ... მშობლებიც რაკი შეიტყობენ ქალიშვილის მალულად წაყვანას, თავისის მოკეთეებითურთ გამოეკიდებიან და სცდილობენ უკანვე დაიბრუნონ გადაყვანილი ქალი, მაგრამ ეს მეტად ძნელი და იშვიათია. საქმროს და მთელს იმისს დასს სამარცხვინოდ მიაჩნია ქალის დაბრუნება და ამიტომ ყოველს ღონისძიება ხმარობენ და იარაღსაც ჰკიდებენ ხელს, თუ საქმე გამწვავდა. ამასთან დედ-მამის სახლიდამ გადაყვანილი ქალი ყოველს შემთხვევაში გაუპატიურებულად ითვლება და სხვა ვინმე იშვიათად წაიყვანს. ამიტომ ქალი ძალითაც რომ იყოს მოტაცებული, მაინც... თანხმდება და საქვეყნოდ აღიარებს, რომ ბედმა ეს ქმარი მარგუნა და მხოლოდ ამასთან შემიძლიან ცხოვრებაო, ამავე

მიზეზისა გამო ქალის ნათესავებიც თანხმდებიან საქმის მორიგებით გათავებას, მეგობრები ქალის მშობლებისა და საქმროსი ერთად მოიყრიან თავს და ურიგდებიან ერთმანეთს, რის შემდეგაც სიძე სიმამრ-სიდედრს და ცოლის სხვა ნათესავებს შესაფერს საჩუქრებს აძლევს და თვითონაც სამაგიეროს ღებულობს. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ აფხაზი თავისზე უმდაბლესის გვარისა და მდგომარეობის ქალს არც ერთს შემთხვევაში არ მოიტაცებს, რადგან სამარცხვინოდ მიაჩნია. მოტაცება ხდებოდა და ხდება უფრო იქ, სადაც აფხაზს მოჰყავს ან ცოტათი მაინც უმაღლესის ღირსების ქალი, ან თავისი ტოლი ღირსებითა და მდგომარეობით, რომელიც აშკარად არას შემთხვევაში არ გამოჰყვება ცოლად. ვაჟმა ქალს ხელი სთხოვოს და იმისმა მშობლებმა არ გაიმეტონ და კიდეც გაამჟღავნონ, ეს ხომ დიდი სირცხვილი იქნება. ამ გარემოებით აიხსნება, თუ რატომ და რა შემთხვევაში იტაცებს აფხაზი საცოლოს; იტაცებს არა იმიტომ, რომ, როგორც ზოგიერთნი ამბობენ, ცოლის შესასყიდი ურვათი თავიდგან აიცილოს. აფხაზებში, რომ ეს მიზეზი არა მოქმედებს, იქიდანაა სჩანს, რომ ქალის მომტაცებელს ქმარს, მორიგების შემდეგ, რითაც თითქმის მუდამ თავდება ზემოდ აღნიშნულ მიზეზთა გამო მოტაცება, მიელის იგივე ხარჯი, რაც მოუტაცებლად და მშვიდობიანად შემრთველსაც; მხოლოდ ამ უკანასკნელს დრო ეძლევა. საზოგადოდ საქმრომ თავისის ცოლის ნათესავები სურვილისა და შეძლებისადაგვარად უნდა ნახოს, რასაკვირველია, რაც უფრო კარგად ჰნახავს, ის უფრო სასახელოა და უფრო მეტს მზითევსაც უნდა მოელოდეს... თუკი მშობლები მოტაცებულის ქალისა და მომტაცებელის საქმროსი მაინცა და მაინც არ მორიგდებიან, მაშინ ახალნი ცოლ-ქმარნი მიუხედავად ამისა განაგრძობენ ერთად ცხოვრებას, მაგრამ ეს ძლიერ იშვიათი მოვლენაა. თუ მოტაცება ქალისა ყოვლთვის შესაძლო არ არის და ამასთან მომტაცებელს, ადრე თუ გვიან, იგივე ხარჯი მოელის, ცხადია, რომ აფხაზებში აშკარა და მშვიდობიანი ცოლის შერთვაც უნდა ყოფილიყო და კიდეც ვხედავთ აფხაზების ცხოვრებაში. ამიტომ ჩვენ მოკლედ მაინც ავწერთ ამ გვარს ცოლის შერთვას, რადგანაც ამაში იხატება უფრო ყველა წესები და ცერემონიები, რომელიც მიღებული არი ცოლის შერთვის დროს, რადგან მოტაცებით ცოლის შერთვაც, რაკი მორიგებით თავდება, საბოლოოდ ღებულობს ამავე სახეს... აფხაზებშიაც ცოლის დანიშვნა უფრო მაჭანკლების შემწეობით ჰხდება; მაჭანკალი საქმროსა და იმის მონათესავეებს უქებს სარძლოს, საცოლოს, იმისს სილამაზეს, ყოფა-ქცევას, „ხელოვნებას“ და აგრეთვე საცოლოსა და იმის მონათესავეებს — საქმროსა, იმისს გვარიშვილობას, ვაჟკაცობასა, ქონებას და სხვ. თუ საქმე გაარიგა, ლხინში დაკლულ ხარების თავებს და ტყავებს იგდებს ხელში, ჩვეულების ძალით... დათანხმდებიან თუ არა, საქმრო და საცოლო სცლიან უბრალო ნივთებს და ორივე მხრის მონათესავენი ნიშნავენ დროს, როდესაც საქმრო სიძედ უნდა შემოვიდეს. დანიშნულ დროს იგი მაყრებითურთ შემოდის სასიძოდ. თან შემოაქვს შეძლებისადაგვარად საჩუქარი ფულით თუ საქონლით საცოლოს მონათესავეთათვის, შემძლე თავადებს - 20, 30 ცხენი, ზოგი უნაგირით შეკაზმული. უწინ ყმებიც შემოჰყავდათ. სიძის შემოშვების დროის ხარჯიც (ლხინისა) სიძეს ჰმართებს და ამიტომ წინადვე შემოჰგზავნის ხოლმე საკმაო საკლავს ხარებს. და ლხინში სიძეს მაყრები და ქალის მშობლების მიერ წვეულნი სცდილობენ ერთმანეთს გადააჭარბონ ღვინის სმაში, სიმღერასა და მოსწრებულს სიტყვა-პასუხში, ბაასსა და ცხენოსნობაში. მეორე დღეს მაყრებს საჩუქრებს აძლევენ შეძლებისამებრ და სიძესაც აძლევენ ერთს ცხენს, ანუ ფულსა და იარაღს. ამ დღიდგან ქალი და ვაჟი უცერემონიოდაც ითვლებიან ცოლ-ქმრებად. დასაჩუქრებულნი მაყრები მიდიან. რჩება რამდენიმე დღით სიძე თავისის ნდადეთი. იგი ჯერ არა თუ ცოლის ნათესავებს, თითქმის არავის არა სჩვენებია და ლხინის ღამეს კარში, გარეთ შორი-შორს დაიარებოდა, ბნელაში, ან მეზობლის სახლში იწვა. მხოლოდ მეორე დღეს ძალით შემოჰყავთ საერთო სახლში და აქ ნაბად წინ გადმოგდებული, ყაბალახით პირ შეხვეული, ასე რომ თვალები-ღა ოდნად გამოუჩანს, სდგას კედელთან, ანუ კუთხეში ატუზული და კრინტსაც არ იღებს, იმის მაგივრად სიტყვა-პასუხს იძლევა იმისი ნდადე, რომელიც გვერდზე უდგას. პირველ ხნობით სიძე სიდედრ-სიმამრთან პურს არა სჭამს და

შემდეგაც მათთან ერთად ერთს სუფრას თავისს დღეში არ მოუჯდება ზოგიერთს ადგილებში, ცოლი და ქმარი ერთად მთელს სიცოცხლეში არ ეჩვენებიან ქალის მშობლებს და ეს ჩვეულება დღემდინაც მტკიცედ დაცულია ბზიფში და აბჟუაშიაც, მაგალითად ჯგერდეში; ამ ჩვეულებას სხვა ადგილებშიაც მისდევენ, მხოლოდ რამდენისამე წლის განმავლობაში. მკითხველი თვითონაც მიხვდება, რომ ქმარს თვალი უფროსთაგანმა არავინ არ უნდა მოჰკრას თავისის ცოლის „ამჰარაში“ - საწოლს ოთახში შესვლისა და გამოსვლის დროს. ახლად გათხოვილი ქალი, მომწყვდეული თავის პატარა „ამჰარაში“, არ გამოდის საერთო სახლში, სანამ ვინმე გარეშე კაცი არ გამართავს ლხინსა და არ შემოიყვანს. გაიშლება თუ არა სუფრა და შემოუსხდებიან წვეულნი, ვისმე შემოჰყავს ახალი რძალი სტუმრებთან და მშობლებთან. აქ ერთ-ერთი მოხუცი მოკეთეთაგანი, ანუ მამა შამფურზედ აგებულს ღვიძლს აიღებს, წამოდგება და ლოცულობს, რომ მეფე-დედოფალი ბედნიერნი იყვნენ, შეეძინოთ შვილები, ქალიშვილები და ერთმანეთს შეაბერდნენ, როგორც მზე და მთვარეო. თავისის მხრით სიძე ცოლის ნათესავებიდგან შინ დაბრუნებული თავისს დედ-მამას და სხვა უფროსს ნათესავს და მოყვარეს ვერ ეჩვენება სირცხვილის გამო. ამანაც აქ ლხინი უნდა გამართოს და ეს ლხინი, გარდა ზემოთ მოხსენებულის ლოცვისა, იმითი არის შესანიშნავი, რომ ახალმა ცოლშერთულმა შვილმა დედას, მამას, ბიძას, გამზრდელს, ერთის სიტყვით, ყველა ახლო ნათესავსა და უფროსს მოყვარეს თვითოეულად ცალ-ცალკე უნდა საჩუქარი მისცეს ფულით თუ საქონლით (აჭანწაქვა). ამ ლხინს თავისის „აწანჭებით” ჰქვიან „აფხაშარზე“, რაიცა თარგმანი ნიშნავს სირცხვილის სკუდრს, სირცხვილის ასაცილებელს. გათხოვილის ქალის მშობლები, გამოაწყობენ რა მზითევსა, იხმობენ სიძეს ცოლის წასაყვანად, აღნიშნულს დღეს სიძე მოდის მაყრებითურთ. ამ მაყრებს ემატებათ რძლის მაყრებიც. ამათ ერთად გადაჰყავთ რძალი და მიჰყავთ იგი ქმრის სახლში „ბედნიერას“ მღერით, ცხენის თამაშით, ჯირითით, დამბაჩების სროლით **) და, უახლოვდებიან თუ არა, მახარობელი გაიქცევა და ატყობინებს სახლეულობას, ახალი რძალი მოჰყავთო, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ სიტყვით-კი არ აგებინებს, არამედ „არა თქმით“, ე.ი. მოსული მახარობელი მუნჯივით ჩერდება და არაფერს არ ამბობს, ანუ მარტო დამბაჩას გაისვრის. იმას, როგორც კაცს, რომელმაც ამისთანა სამხიარულო ამბავი მოიტანა, თაფლს ანუ შაქარს აჭმევენ. აგერ მოჰკივიან და მოიმღერიან, აგერ საშინელის მათრახების ტკაცა-ტკუცმა თანდათან იმატა და ბოლოს ეს აუარებელი გროვა ცხენოსანთა მოადგა სახლს. აქ ერთს წუთს კიდევ შეექცევიან მაყრები დიდს რგვალს მჭადსა, რომელსაც რძალსა და სახლს ზევით სამჯერ იქით-აქეთ გადისვრიან, რის შემდეგ ნაფიჩხ-ნაფიჩხად აქცევენ და ვისაც რა მოხვდება და შეუძლიან, იტაცებს. კარებთან ერთმანეთზე წვერებით მიბჯენილს ორს ხმალს ქვეშ გატარებით შეჰყავთ რძალი „დიდს სახლში“, მაგრამ სანამ ფეხს შესდგამდეს, მოეგებებიან და თაფლს მოალოკებინებენ, ანუ შაქარს მოაკვნეტინებენ ამ სიტყვებით: „ასე გამჩენმა ღმერთმა ენა ტკბილი მოგცაო“. შინ შესულს ქალს ღომის მარცვლით სავსე ჯამს (ჯამში კვერცხი დევს) აძლევენ და სამჯერ კერას ირგვლივ შემოატარებენ და იგი პირ-ბადე აფარებული ჰყრის ირგვლივ მარცვალსა. შემდეგ დააჯდენენ და მუხლზედ პატარა ვაჟს შეუჯდენენ იმის ნიშნად, რომ პირველად ვაჟი შეგეძინოსო. შემდეგ რძალი შეჰყავთ დამზადებულს „ამჰარაში“ და ამ ღამით იქმნება ნამდვილი საქორწილო ლხინი, მეორე დღესა და შემდეგ შემოდიან ქმრის ნათესავნი, ნახულობენ ახალს რძალსა და გადააგდებენ ვისაც რა შეშვენის და შეუძლიან საქონლით, ანუ ფულით. რაკი მნახველი განაცხადებს, რომ ჰსურს ინახულოს ახალი რძალი და გადასაგდებსაც გამოიღებს, ნდადე პირ-ბადეს ახდის რძალსა. რძალი-კი თვალები დახრილი უძრავად სდგას, მხოლოდ დროგამოშვებით წყნარადა და ნაზად გამოიხედება და სიტყვასაც არ იღებს, მხოლოდ რამდენისამე ხნის შემდეგ ჰოს და არას ნიშნად შასაფერად თავს აქნევს. პირველს ხანობაში რძლის მაგიერობას საქმითა და სიტყვით ასრულებს იმისი ნდადე ქალი. რძალი „ამჰარაში“ რამდენიმე თთვე რჩება, შემდეგ „დიდს სახლში“ შეჰყავთ (აჟაჰარას სალოცავად). მერე-კი იმას აწვება ზრუნვა ოჯახზე. ის ყოველთვის სცდილობს დედამთილისა და მამამთილის სურვილისამებრ მოიქცეს. რძალი

რამდენისამე თთვის შემდეგ დაიწყებს ლაპარაკს, რასაკვირველია, დიდის თხოვნის შემდეგ, ჯერ იმ ოჯახისა და სოფლის უმცროსებთან, შემდეგ უფროსებთანაც. ყველაზე უფრო გვიან გამოელაპარაკება დედამთილ-მამამთილს... ახალ რძალთან, რომელსაც მთელი სოფელი „ჩვენს რძალს“ ეძახის, მოაქვს ყველას საკერავი უფრო იმისის ხელოვნების გამოსაცდელად. პატარძალი ყველას უკერავს, რასაკვირველია, უსასყიდლოდ, საზოგადოდ იგი დიდს ჯაფაშია, რადგან ყველაფერი უნდა გააკეთოს, ყველას პატივი და მორიდება უნდა იქონიოს, ყველას, თავისზე უმცროსებსაც, მოწიწებით უნდა მოეპყროს. ცოლ-ქმარნი ერთად აქაც ცოლის დედამთილ-მამამთილს რამდენსამე წელიწადს არ ეჩვენებიან. როდესაც ესენი სახლში არიან, ქმარმა რომ გარედგან შემოსვლა დააპიროს შემთხვევით, შიგნით მყოფი ცოლი კარში გარბის. შემდეგაც თავისს დღეში ესენი ერთადერთს სუფრას ვერ მოუსხდებიან დედამთილ-მამამთილთან. ვერც შინაური და ვერც გარეული უფროსთან ცოლი ვერ იტყვის ქმარზე „ჩემი ქმარიაო“ და ვერც ქმარი ცოლზე „ჩემი ცოლიაო“. რძალი იმ სკამზე, ანუ ტახტზედ, რომელზედაც ზის მისი დედამთილი-მამამთილი, არას გაჭირებაში არა ჯდება მთელს თავისს სიცოცხლეში. მე მინახავს მოხუცებული ქვრივი ბებერი დედაკაცი, რომელსაც უხსოვარის დროიდგან მკვდარი ჰყავს დედამთილ-მამამთილი. ეს ბებერი არასოდეს არა წვება იმ ლოგინზე (ფიცრებზედ), რომელზედაც ოდესღაც იმისი დედამთილ-მამამთილი წოლილა. კრძალვა და პატივისცემა უფროსებისადმი ისე ძლიერია, რომ ქალი არა დღეში არ იტყვის თავისის ქმრის სახელსა, იხსენიებს მხოლოდ ნაცვალ სახელით შენ, იგი. არ ამბობს დედამთილისა და მამამთილის სახელებს, პირველს ეძახის ქალბატონს და მეორეს ბატონს, არ ამბობს მაზლების სახელებს, ამათ, იმათის სახელების მაგივრად, თავისს საკუთარს სახელებს დაარქმევს. არ ამბობს თავის ქმრისა და საზოგადოდ მთელის ოჯახის გამზრდელთა სახელებს, იმ სოფლის ხნიერ კაცთა სახელებს, იმ ოჯახის გაზრდილისასაც; ამათაც საკუთარს სახელს დაარქმევს. ქმარი-კი მარტო ცოლის სახელს არ ამბობს, იმის მაგივრად, რომ საქმრო აწერილის წესით შემოვიდეს სიძედ საცოლის ოჯახობაში, შეიძლება სახლში დაჰპატიჟოს ამისი დედმამა, შემოიყვანოს შინ, ან თუ ესენი არა ჰყავს, სხვა ახლო საცოლოს ნათესავი და დასაჩუქრებული თავისის მხლებლებით გამოუშვას, შემდეგ-კი იმას პირ-და-პირ მიჰყავს მზითვიანი ქალი. როდესაც სიდედ-სიმამრი, ახლო ცოლის ნათესავი პირველად ესტუმრება სიძეს, ამ უკანასკნელმა კიდევ უნდა აჩუქოს რამე შეძლებისამებრ. როდესაც ცოლ-ქმარნი პირველად მიდიან ერთად ცოლის ოჯახში, მაშინაც ძღვენი მიაქვსთ და თვითონაც რამე საჩუქარს ღებულობენ.*) იხ, „ივერია“ № 173. **) ქალისა და სიძის მაყრები ყოველთვის თამაშობაში ერთმანეთს ეჯიბრებიან, თვით ლხინის დროსაც ღვინის სმაში, სიმღერა ცეკვაში. გარდა ამისა ახალგაზდა ყმაწვილნი იმ სოფლისა, საიდგანაც ქალი მიჰყავთ, უკან გაედევნებიან და სცდილობენ სიძის მაყრებს რამე წაართვან: მათრახი, ქუდი და სხ. და დაატოვებინონ, აგრეთვე თამაშობით. ამავე მაყრებს ქალის გაყვანის დროს ჯოხებს, ტალახს ესვრიან იმ სოფლის ახალგაზდანი. ამ გარემოებიდგან ვხედავთ, რომ მშვიდობიანის გათხოვების დროსაც ფორმალურად დარჩენილია მოტაცების წესი და ჩვეულება. აფხაზეთში ჩვენ ვხედავთ: 1) საცოლოს მოტაცებას, 2) მშვიდობიანად ცოლის მოყვანას ისეთის წესებით, რომელიც ჰმოწმობს, რომ მოტაცება მშვიდობიანს ქორწინებაზე უძველესია და რომ ამათი შემაერთებელია იდუმალის ცოლის მოყვანისა, ანუ არა პირდაპირ მოტაცების ჩვეულება. /პ. გიორგიძე/. (შემდეგი იქნება). (ივერია, N175, 1888 წელი);

ფელეტონი
აფხაზეთი და აფხაზნი *)
რელიგიური რწმენანი აფხაზთა
რელიგია აფხაზთა. მიცვალებულთა სულნი. მზაკვარნი. ჭეშმარიტი ღმერთი. იმისი აფხაზური სახელწოდება ანცა. ეტიმოლოგია და მნიშვნელობა ამ სიტყვისა. წარმართობა. ,,გამჩენ-გამომჭედელნი“

დღეს უმრავლესობა აფხაზთა ქრისტიანობას აღიარებს, უმცირესობა-კი მაჰმადიანობას მისდევს, მაგრამ როგორც ერთნი, ისე მეორენიც ნამდვილად-კი ამ უკანასკნელს დრომდის წარმართნი უფრო არიან. აფხაზების წარმართულს სარწმუნოებაზე ეტყობა დიდი გავლენა და ზედ-მოქმედება ჰქონია მაჰმადიანობასა და უფრო ქრისტიანობას. ეს სამი სარწმუნოება ერთმანეთში არეულია, მაგრამ იმდენად-კი ვერა, რომ იმათი განცალკევება, გამოყოფა და გამოცნობა ერთმანეთისაგან შესაძლოა არ იყოს. ბევრი წარმართული რწმენა დღესაც აქ-იქ წმინდადა და მტკიცედ არის დაცული. ორი უმთავრესი და უდიდებულესი მუხლი ყოველის ერის რელიგიისა იმაში მდგომარეობს, რომ სწამს უკვდავის სულის, როგორც ხორცისაგან განსხვავებულის არსების, ანუ ღუთის (ღმ-თთა) ყოფნა-არსებობა. ამ სახით ჩვენ ჯერ ვილაპარაკებთ ამ საგანზე. ჩვენ იმას ვერ გამოვეკიდებით ეხლა, თუ რა ფაქტები და მიზეზი აიძულებს აფხაზსა სწამდეს სულის არსებობა, ერთის სიტყვით, ჩვენ სახეში არა გვაქვს მოკლეთ მაინც შევეხოთ ეგრედ წოდებულ სულთა თეორიას (ანუ ანიმალიზმის თეორიას), რომლითაც უბრალოდ ხსნიან ბარბაროსების ყველა რელიგიურს რწმუნებას, მხოლოდ საზოგადოდ-კი ვიტყვით, რომ აფხაზების რწმენანი წარმოადგენენ ახალს ილუსტრაციას ამავე თეორიისას, ჩვენ დავიწყებთ ლაპარაკს მკვდრის სულზე. აფხაზს სწამს, რომ კაცის ცხოვრება მარტო სააქაოთი არა სრულდება, არამედ იგი გრძელდება საიქიოშიაც, „გაღმაც“. მე იმაზედაც არას ვიტყვი აქ, თუ როგორა აქვს წარმოდგენილი აფხაზს სამოთხე ანუ ჯოჯოხეთი, მე მინდა ვსთქვა მხოლოდ რა შეხედულობისაა აფხაზი მიცვალებულის სულზე. აფხაზის რწმენით ადამიანის გარდაცვალების შემდეგაც იმისი სული სცხოვრებს და უფრო ხშირად იქ, სადაც გვამია დამარხული, ე.ი. საფლავში და იმის მიდამოში, როდესაც აფხაზი წყალში ირჩობა, მარტო იმისის გვამის მოძებნა და დამარხვა არა კმარა, არამედ სულიც უნდა ამოიხმონ. ამიყვანონ წყლიდგან და ჩაუშვან იქ, სადაც გვამია დასაფლავებული. ამას აფხაზები ამ სახით ასრულებენ: წყლის ორივე ნაპირზე იმ ალაგას, საიდამაც ამოიღეს გვამი, იკრიბებიან მრავალნი ქალნი და კაცნი. წყალზე დაიჭერენ ერთის ნაპირიდამ — მეორემდის გაწვდენილს აბრეშუმის ძაფსა ანუ სირმას, რომელზედაც ჩამოჰკიდებენ თავ-მოხსნილს გუდას ისე, რომ წყლის ზედაპირს ოდნავ ეხებოდეს. ამასობაში ქალები ამ შემთხვევის ჰანგს ჩანგურზე დაუკვრენ და დამღერენ. კაცებიც ქალებთან ერთად მღერიან. ჩანგურის ხმასა და მღერაში მიცვალებულის სული, აფხაზის აზრით, ამოდის წყლიდგან და შედის გუდაში, რომელსაც უცბად თავს მიუკრავენ. აქედამ ეს „სულით“ გაბერილი გუდა იმავე მხიარულებით მიაქვსთ, საფლავზე იმას თავს მოხსნიან და სულის საფლავში ჩაუშვებენ. მკვდრის საფლავზე, რომელსაც აფხაზები შემოზღუდვენ ღობით, ხშირად მშვენიერს ხის შენობას დააკეთებენ ყავრით დახურულს, თუმცა-კი თითონ ფაცხაში სცხოვრებენ. უფრო ახალ მიცვალებულის საფლავზე მოგზაური ჰხედავს სხვა-და-სხვა ხილეულობას: ვაშლს, მსხალს, ატამს, ბიას, ყურძენს და სხ.; კიტრებსა, ნესვის და საზამთროს ნაჭრებსა და სხ. და სხ. ამ ჩვეულებიდგან სჩანს აფხაზი მკვდარს ცოცხალის მსგავსად უყურებს, მაგალითად, რომ მკვდრის სული ცოცხალსავით ცოტაოდენს საჭმელ-სასმელს საჭიროებს. ხილეულობას და სხ. სამარეზე სდებენ, რომ გამვლელმა სჭამოს, სული დაულოცოს და ამით მადლი შესძინოსო მკვდარსა, საფლავზე დაწყობილს ხილსა და საჭმელს აფხაზები საზოგადოდ არა სჭამენ, იმიტომ-კი არა, რომ კაცს ავნებდეს, არამედ იმიტომ რომ უმთავრესი გემო და სიტკბო ასეთის ხილისა ანუ საჭმლისა გამოწუწნულია მკვდრის სულისაგან, ერთის სიტყვით, საჭმელს გემო აღარა აქვს. ქვემოდ მოყვანილ ჩვეულებიდგან უფრო ნათლად სჩანს

აფხაზების წარმოდგენა ამ საგანზე... აფხაზები სიკვდილის დღიდამ თითქმის მთელის წლის განმავლობაში მიცვალებულის ჯერს სდებენ ცალკე ტაბლად ყოველ სადილობა-ვახშმობის დროზე (მაჰმად. ჩვეულება). გარდა აღაპისა და „შაბათის რიგისა“, აფხაზი ყოველ წლობით ამზადებს ტაბლას თავის მიცვალებულთა მოსახსენებლად: ხორციელს შაბათს ძველ მიცვალებულთათვის, ამის წინა შაბათს ახლებისათვის, სატაბლო საკლავის დაკვლის დროს სახლის უფროსი, მოაბრუნებს რა მარჯვნივ, ამბობს: „თუ საიქიობა (გაღმობა) არის, ეძლევა სულსა შენსა“. როდესაც ყველაფერი მზადაა და სუფრაზე დალაგებული, იგი უფროსი მოუდგება სუფრასა და მიჰმართავს თხოვნით მკვდრებს: „მკვდრებო! თქვენის სულის მადლი მოგვანიჭე; სიკვდილით ზიანს ნუ დაგვმართავ; ჩვენ გვიმატეთ, ჩვენს საქონელს უმატეთ, თქვენს შემწეობასა და მფარველობას ნუ მოგვაკლებთ“ და სხვ. ხის შამფურს ჯვარის სახედ გადუსვამს დაწყობილს საჭმლებს და ამბობს: ყოველივე ეს, ცეცხლისა და წყლის მეოხებით გაკეთებული, თუ საიქიობა არის, ეძლევა თქვენს სულებს. ამის შემდეგ ამ ბოლო წინადადების თქმით ჭიქით ღვინოსაცა სვამს. აიღებს კიდევ ღომის ნატეხს, გულ-ღვიძლიდამ და სხვა ასოებიდგან მთლილს პაწაწინა ხორცის ნაჭრებს შიგ ჩააწებებს, ცოტა ღვინოსაც ჩააწვეთებს და შემდეგ კარში გადააგდებს ამ სიტყვებით: „ეს კი თქვენა გქონდესთ მხლებელნო, მომყოლნო სულნო“. აქედამ ჩვენ ვხედავთ, რომ მკვდრის სულის ცხონებასა და შენდობას ბევრს არ დაეძებს აფხაზი. არამედ, პირიქით, იმათ მიმართავენ თხოვნითა. აფხაზების წარმოდგენით აღნიშნულ დღეებში სხვათა შორის მკვდრები მოდიან ცოცხალ მონათესავეებისას და იქ იმყოფებიან უხილავად. ასე გასინჯეთ, როგორც ზემოდ მოყვანილის სიტყვებიდგან სჩანს, მათ შესძლებიათ იახლონ, ან მოიყვანონ გარეშე მკვდრებიც. თუ მასპინძლები შესაფერად და ხვდებიან, ე.ი. თუ კარგს ტაბლას დაახვედრებენ, მაშინ კმაყოფილნი დარჩებიან და მართლაც შემწენი იქმნებიან ცოცხალთათვის, თუ არა-და, მეტად მავნებელნი დამაზარალებელნი. პირველ შემთხვევაში სულთა თავის ტოლებთან დაბრუნებისას შეუძლიანთ დაიკვეხონ ასეთის პატივისცემით, მეორე შემთხვევაში-კი, ე.ი. თუ სულებმა შესაფერი პატივის ცემა ვერ მიიღეს, გულ-მოსულნი და გამწყრალნი ბრუნდებიან და თავიანთს ტოლს მკვდრებს, როცა იგინი იკითხვენ, როგორ მიგიღეს მონათესავეებმაო, იშოვნეთ რამე თუ არაო, უპასუხებენ: „რას ვიშოვნიდით, როცა ისინიც ჩვენსავით მკვდრები ყოფილანო“. ასეთის ფიცხელის განჩინების შემდეგ ის ოჯახი სიკეთეს არ უნდა მოელოდეს: იქ, აფხაზის რწმენით, ამოიხოცება რამდენიმე კაცი. მაშასადამე, სიბრალული-კი არა, უფრო შიში აიძულებს აფხაზს მკვდრებს ვალი უხადოს ყოველ წლობით. საზოგადოდ, როცა მოისურვებს მკვდრის სული ამოდის საფლავიდამ და დაიარება აქეთ-იქით. ხშირად სული მოდის მონათესავეების სახლის მახლობლივ და იწყებს სტვენას. ამ დროს ღვინოს გადუსხმენ ანუ რამეს გადუგდებენ, რათა მოიშორონ და მოიმადლიერონ. მკვდართა სულნი უფრო ღამით დაიარებიან და უსტვენენ. ამ დროს იგინი ხშირად სასაფლაოს გვერდზე გამვლელს გამოეკიდებიან სტვენით. ასეთ რწმენა-შეხედულობათა დასასურათებლად ვილაპარაკოთ ცოტას ხანს თვით აფხაზების პირით. აი რას მოგვითხრობენ იგინი: 1) ნართ სესრყვა მეტად გამოჩენილი ვაჟკაცი იყო. ერთს ბრძოლასა და თავსდასხმაში იმან დაჰკარგა ასი თავისი მოძმენი ნართელები (ნართაა). ნართ სესრყვა ადგა, აუარებელი საკლავი, ხარი და ვერძი დაჰხოცა, შესაფერი სასმელ-საჭმელი გააკეთა და ას კაცთა ერთად დახოცილთათვის მშვენიერი აღაპი (აფსხუ) გარდაიხადა. შემდეგ ერთს ბრძოლაში თვითონაც მოჰკლეს. სად, ანუ როგორ, არავინ არ იცოდა, ერთმა იმისმა მეგობართაგანმა სთქვა, რომ ნართ სესრყვას საფლავი უნდა მოესძებნო და დავიტირო. შემდეგ მრავალის ძებნისა და წვალებისა მართლაც მიაგნო. იტირა, ივალალა. ღამემ მოასწრო, სოფელი ახლო არსად იყო, საფლავის მახლობლად მუხის ძირზე ღამის გასათიებლად მიიძინა. ცხენიც იქვე მიაბა. ნახა სიზმარი... ასნი ერთად მოკლულნი „გაღმა“ მშვენიერს მდგომარეობაში არიან. არა თუ თვითონ, სტუმართაც მშვენიერის სასმელ-საჭმლით უმასპინძლდებიან, ცხენებსაც შესაფერად ინახავენ. ნართ სესრყვა და იმისი ცხენი მშიერი დაიარებოდა და სტუმრის მიღებას საიდგანღა შესძლებდა:

თვითოეული იმ ასი ნართელთაგანი თითო ლუკმა ღომსა და თითო ნაჭერს ხორცს აწვდიდნენ და გულმა ვეღარ მოუთმინა და ჰკითხა: „სესრყვა! სააქაოში შენზე უკეთესი არავინ იყო და საიქიოში რა დაგემართა, რომ ერთის სტუმრის შენახვა ვერ შეგძლებიაო?“ ნართს სესრყვამ უპასუხა: „სტუმარი რიღათი შევინახო, როდესაც მე თვითონ ყოველისფერს სხვისაგან ვნათხოვრობო“. როცა გამოეღვიძა მძინარეს, მიხვდა საქმე რაში იყო. იმდენი ეცადა, ჩინებული აღაპი გადუხადა... ამის შემდეგ კვლავ ნახა სიზმარი. ეხლა-კი ნართ სესრყვა, როგორც ეკადრებოდა, მშვენიერს მდგომარეობაში იყო. თავადაც და სტუმრებსაც კარგად უმასპინძლდებოდა. აი რა დიდი მნიშვნელობა აქვს აღაპსა „აფს-ხუს“. 2) ორი კაცი მიდიოდა გზასა. ერთს მიჰქონდა გუდაში ჩადობილი მეტად მსუქანი გატყავებული ვაცი (ალბად ნაქურდალი იქმნებოდა!). საღამო ჟამს აედევნა ვიღაც კაცი სტვენით, არას გზით აღარ შორდებოდა. ამ დროს ტვირთოსანი მიუბრუნდება და ეუბნება: დაიკარგე ჩემგან, რა გინდაო, და არხეინად განაგრძობს გზასა, მაგრამ სული მაინც არა შორდება. მაშინ თანამგზავრი ეუბნება თავისს ამხანაგს, მოუჭერი ცოტა ხორცი, გადუგდე და მოგშორდებაო, თუმცა პირველად არ უჯერებს, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული ხდება ამხანაგის რჩევა მიიღოს და, რა წამს ხორცის ნაჭერი გადუგდო, სტვენაც მაშინათვე შესწყდა. 3) ერთი კაცი, როგორც უფროსი ძმა, ყოველ წლობით ზევით აღნიშნულ დროს ძველის მიცვალებულების სულთათვის ტაბლას აკეთებდა, ერთს წელიწადს გაიფიქრა: ყოველ წლობით მე ვკლავ საკლავსა, ძმები-კი შემწეობას არ მაძლევენო; წლეულს არც საკლავს დავკლავ, არცა რას დავხარჯავო. მოვიდა დრო ტაბლისა და ამ კაცმა მართლაც თავი მიანება, თუმცა ცოლი-კი ეხვეწებოდა: ნუ ვიზამთ მაგას, თორემ მიცვალებულთა სულნი სიკეთეს არ დაგვაყრიანო, და ამასობაში მართლაც დახე მიცვალებულთა სულთა ძლიერებას!.. შინიდამ გამოვარდნილის ძაღლით უეცრად შეშინებული მოზვერი დაეცა და მარჯვენა თეძო მოიმტვრია. მაშინ-კი აშკარად დაინახეს, რა ძნელი რამ ყოფილა მკვდრის სულის რიგის აუსრულებლობა, 4) სოფ. მოქვის მიცვალებულნი დასაფლავებულნი არიან ზემოთ, ხოლო მორკვულისა ქვემოთ. მოქუელები ყოველ წლობით რიგს უსრულებდნენ თავიანთს მკვდრებს, მორკულელები კი არა, ამიტომ დაცინვით მოქვის მკვდრები ჩამოსძახებდნენ მორკულას მკვდრებსა: „ვერარის მშოვნელნოვ!“ „როდესაც თვითონ იშოვნიან (ვითომ ჩვენი ნათესავნიო) ჩვენც მოგვცემენო“, უპასუხებდნენ, მეორენი. ეგ მიცვალებულნი იკრიბებოდნენ ერთად ღამით და დროს ატარებდნენ სიმღერითა და ცეკვით. დილით არა ერთსა და ორს უნახავს ნათლად ირგვლივ იმათის პაწაწინა ფეხებით ცეკვის დროს დაჟეჟილი ბალახი!!**) მკვდრის სული აფხაზის წარმოდგენით ქონდრის კაცებს მოაგონებს ადამიანს. მაგრამ არა თუ მხოლოდ მკვდართა სულნი, სულნი ცოცხალთანიც შემძლებელნი არიან ხანდისხან იარონ იქით აქეთ და ვნებაც მიაყენონ ვისმე, ანუ რასმე, თუ ყველა კაცთა სულნი ვერა, ზოგისა მაინც ხომ ასეთნი არინ. ჩვენ ვამბობთ მზაკვრებსა და კუდიანებზე, რომელთაც წყალი არ ჩაძირავს და შეუძლიანთ ძუძუებიდამ რძე გამოაწოვონ ადამიანს და უფრო პატარებს შიგნიდამ გულ-ღვიძლი ამოაცალონ და სხ. ამათა ჰყავსთ უფროსი როსკიპი, რომელიც სცხოვრებს ზემოდ სადღაც ტაბაკონას მთაზე. ყველა მზაკვრები ერთგულებისა და ძლიერებისადა გვარად დაყოფილნი არიან ხარისხებად. უმცროსნი შეჯდებიან თაგვზე, ბაყაყზე, კატაზე; უფროსნი კი მელაზე, მგელზე და სხ. ყველა მზაკვრები მოვალენი არიან ყოველ მარიამობის წინა ღამეს თავი მოიყარონ ზემო ხსენებულს ტაბაკონას მთაზე როსკიპის წინაშე და წარუდგინოს თვითოეულმა მთელის წლის თავისის მოქმედების ანგარიში. აქვე უნდა წარმოუდგინონ როსკიპსა ადამიანთა ანუ საქონლის გული, ღვიძლი, თვალები, ფრჩხილი, თმა და სხ. რადგან მზაკვრები, როგორცა ვხედავთ, ხელ-ცარიელნი ვერ გამოჩნდებიან როსკიპის წინაშე, იგინი მთელს მარიამობის მარხვაში და მარიამობის წინა დღეებში განსაკუთრებით ასე გახელებულნი დაიარებიან კაცთა სავნებელად და საზარალოდ. მაგრამ არა მზაკვარმა აფხაზმაც ეს კარგად იცის და სცდილობს სხვა და სხვა საშუალებით (ჯვარის გამართვა, თმაში სანთლის მიწებება) თავი დაიცვას იმათის ვნებისაგან, ხოლო მარიამობის წინა ღამეს თოფის სროლასა, სიმღერასა და გართობაში

მღვიძარეთ ათევს ღამეს... თუმცა მზაკვარი (კუდიანი) მარიამობის წინა ღამით აქეთ-იქით დადის, ანუ ტაბაკონას მთაზე იმყოფება, მაგრამ გამოცდილებიდგან ჩანს, რომ იგი ამავე დროს თავისს სახლშიაც ან კიდევ სხვაგანაც იმყოფება; ერთი და იგივე მზაკვარი ერთსა და იმავე დროს ცხადად უნახავთ ვითომ მგელზე მჯდომარე, მაგრამ ამავე დროს იგი ყოფილა თავისს ტოლ-უბრალო ადამიანთა შორისაც. ამიტომ აფხაზი ჰფიქრობს, რომ მზაკვარი ერთიანად კი არ დაიარება, არამედ დადის სამზაკვროდ იმისი სული, ანუ უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, იმისი მეტსული (აფს ჭდა). *) იხ. „ივერია“ № 176. **) ამ ალაგს აფხაზები უწოდებენ მკვდრების საცეკვავ ალაგს (აფსცა რ კვა შართა). /პ. გიორგიძე/. (შემდეგი იქნება). (ივერია, N179, 1888 წელი);

ფელეტონი
აფხაზეთი და აფხაზნი*)

აფხაზებს აქვსთ ქრისტიანობისაგან მიღებული და შეთვისებული წარმოდგენა ძრიელ ბუნდადა და ბნელად გამოხატული. თუ ჩვენ ხშირად გვესმის სიტყვა ღმერთი (ანცა), ეს უფრო ენის, სიტყვის გასამშვენიერებლად და შესამკობლად იხმარება, ვიდრე საგნად რელიგიურის რწმენისა და თაყვანებისა. წარმართული სარწმუნოება-კი აფხაზებისა არის მრავალ-ღმერთოვანი (პოლიტეისთური) და, როგორც მოსალოდნელიც იყო, გაპიროვანება და გაღმერთება ბუნების მოვლენათა და ადამიანის მოქმედებათა იმისს უმთავრესს თვისებას შეადგენს. ლაჟვარდოვანი ცა, რომელიც დღე და ღამ განუწყვეტლივ დედამიწას დასცქერის, ხან მრისხანედ მოქრუხული, ხან-კი მოჭედილი ურიცხვის მოკამკამე ვარსკვლავებით, ანუ დამშვენიერებული ქვეყნის მანათობელის მზითა; თვით ქვეყანა, ეს „დედამიწა“, ეს მართლაც დედა და წყარო ყოველის სიკეთისა და უხვებისა ადამიანისათვის; თვით მზე, ეს „თვალი ცისა“, მათბობელი და მანათობელი ქვეყნისა; „ღამის გუშაგი“ — ბადრი მთოვარე, ნელა მცურავი ცის კამარაზე, უკუმრელი და გამფანტავი ღამის წყვდიადისა; შიშის ზარ-დამცემი მრისხანე გრიალი მეხისა; ქარი, ხან საამოდ მშვიდი და წყნარი, ხან კი მუქარით მხეცივით ღრიალა; ცისარტყელა ეს ფერადი ზოლი, რომელიც ასე ლამაზად ზეცას გაეკვრის, თითქოს მართლაც ცის სარტყელი არისო; ხე, ტყე, მინდორი და სხვა-და-სხვა ყველა გაპიროვანებული ჰყავდა აფხაზსა და მიაჩნდა ღმერთებად. ზოგი იმ სარგებლობისა გამო და ზოგიც იმ ვნებისათვის, რომელთაც ისინი ანიჭებდნენ და მოუვლენდნენ ადამიანს, ერთის სიტყვით, ერთნი შიშისა და კრძალვის მიზეზით არიან პატივსაცემნი, მეორენი ნიშნად მადლობისა. ცოტაოდენის განსხვავებით ცალკე დგანან მეორე გვარის ღმერთები: ადამიანის სხვა-და-სხვა მოქმედებათა, წარმოებათა და ხელოსნობათა გაპიროვანებანი და, მაშასადამე, ამათი ზედამხედველნი, ამათი ღმერთნი. ის ამ მხრივ, რადგან თამამად შესაძლოა ითქვას, რომ აფხაზები აქნობამდისინაც-კი იმყოფებოდნენ მწყემსობრულს ხანაში, იმათს მითოლოგიაში პირველი ალაგი უჭირავს საქონლის ზედამხედველსა აითარ-ს (აითარ ლაბა - აითარის ჯოხი, მწყემსის ჯოხი), მაგრამ მიწის მუშაობაც არის გაღმერთებული და ამ ჭირნახულის გაპიროვანებას ჰქვიან, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ანაფანაგა; ფუთკრისას ანანა გუნდა; მჭედლობისას შაშა სხვ. და ყველა ესე გვარი რწმენანი და შეხედულებანი აფხაზებისა დარჩენილია და სჩანს უფრო იმ რელიგიურ წესებისა და ცერემონიებისაგან, რომლებსაც ბევრნი დღესაც აღასრულებენ და რომელთაც ჩვენ სალოცავებს ვუწოდებთ. სალოცავთა აწერილობას ჩვენ შემდეგ შევუდგებით და ეხლა-კი ერთს წუთს კიდევ დავუბრუნდებით „ღმერთის“ აფხაზურს სახელწოდებას. ღმერთი აფხაზურად, როგორცა ვსთქვით, არის ანცა. ეს სიტყვა, ჩვენის აზრით, არის მრავლობითი რიცხვი სიტყვისა ან - დედა (ნან-ა). ფორმალურად (გრამმატიკურად) აქ არა ვითარი შეცდომა არ არის: მხოლოდ სიტყვა ან (დედა) მრავლობითს რიცხვში ანცა და ღმერთიც ანცა, ე.ი. გარჩევა ხმის აწყვაშია (კვეთება), რომელიც პირველს სიტყვაში (დედები) ხვდება ბოლოდგან

მეორე ა-ზე, მეორე სიტყვაში-ი (ღმერთ-ში) ბოლოდგან პირველს ა-ზე. მაგრამ არც ამაშია მაინცა და მაინც დიდი განსხვავება ამ ორ სიტყვათა შორის, რადგან სიტყვა ანცა – ღმერთი გამოითქმის ლაპარაკში იმავე ხმის აწევით, როგორც სიტყვა დედები. მაგრამ ჩვენ გვაქვს მეორე საფუძველი ჩვენის მოსაზრების დასამტკიცებლად. სხვა და სხვა სალოცავთა შესწავლისა და შეკრების დროს ჩვენ წავაწყდით შემდეგს ფრაზას: „ანცა რ მზზ“— ღვთის ბრალი მიზეზი. მსხვილად დაწერილი რ, რაც უნდა იყოს იგი **), მხოლოდ მრავლობითის რიცხვის მესამე პირის პიროვანთა ნაცვალ სახელთ დაერთვის, ანუ მრავლობითისავე რიცხვის სახელთა არსებითთა, მესამე პირის ფორმით ხმარებულთა, და სახელნი არსებითნი ხომ ამ სახით იხმარებიან უფრო ხშირად ენაში. მაშასადამე, რა რიცხვში ეთანხმება დამოკიდებულებას სიტყვებთან, რომლებიც აღნიშნავენ სახელებს ანუ ნივთებს, რომელთამე ნივთა მქონეთა, ხოლო, რა თქმა უნდა, ქონებული ანუ კუთვნილი ნივთი, ანუ პირი შესაძლოა ერთიც იყოს, რასაც შენიშვნის მაგალითები წარმოადგენენ. სიტყვა ანცა მრავლობითის რიცხვისა რომ არა ყოფილიყო, არავითარს შემთხვევაში შესაძლებელი არ იქმნებოდა მოხსენებულის აფხაზურის ენის კანონის ძალით ზემორე მოყვანილი კონსტრუქცია: „ანცა რ მზზ“, ე.ი. მრავლობითის რიცხვის მაჩვენებელი მხოლოობითისთვის ხმარებული. ერთად-ერთის სიტყვის შემობრუნება, რომელიც შესაძლოა იმაში მდგომარეობდეს, რომ სიტყვა ანცა იქმნება, როგორც მხოლოობითს, ისე მრავლობითშიაც, ერთ გვარად იხმარებოდეს, ე.ი. იქნება იგი არ იბრუნებოდეს, მაგრამ ამგვარ გამოკამათებას არც ლოგიკური და არც გრამატიკული ფასი და საფუძველი არ უძევს. სიტყვა ღმერთი, როდესაც იგი აღნიშნავს საზოგადოდ ცნებას ღმერთზე, ყველა ენაზე იბრუნება ორისავე რიცხვით, თუკი ენის კანონით შესაძლოა იმისი ბრუნვა, აფხაზურ სიტყვას ან-ცა-ს არა ვითარი დამაბრკოლებელი მიზეზი არ მიუძღვის ამ მხრივ***). ამ გვარად სიტყვა ან-ცა დგას მრავლობითს რიცხვში და, რომ მრავლობითის რიცხვის დაბოლოება მოვაშოროთ, დარჩება ან - დედა, ერთის სიტყვით, თანამედროვე სიტყვა ან-ცა (ღმერთი წარმოსდგა სიტყვისაგან, რომელიც ნიშნავს დედას, და, მაშასადამე, ზემოთ მოყვანილი ფრაზა: „ანცა რ მზზ“, უფრო სწორე იქმნება გადაეთარგმნოთ: დედათა (ღმერთთა) მიზეზი. ამ სალინგვისტიკო მოსაზრებაზე, რაიცა ჩვენ ჭეშმარიტებად მიგვაჩნია, ბევრს არაფერს არ ვამყარებთ აფხაზების პირვანდელის რელიგიის გამოკვლევის საქმეში. ჩვენთვის ამ დროებით ისიც საკმაოა, რომ სიტყვით ანცა სულ სხვა იგულისხმებოდა უწინ, ვიდრე ეხლა, და რომ ენამაც დაამტკიცა ისტორიულნი ცნობანი იმის შესახებ, რომ აფხაზების რელიგია უძველესის დროიდამ იყო პოლიტეისთური. ხოლო წარმართულ ღმერთებს „დედა, დედანი“ დაერქმოდათ როგორც მშობლებს, წყაროს, მიზეზს ადამიანისათვის მავნესა ანუ მარგებელის საქმისა და მოვლენისას. ამ მოსაზრებას სრულიად ეთანხმება ისიც, რომ უწინ მითოლოგიაში მდედრობითის სქესის ღმერთებს ეჭირათ უპირველესი ალაგი. როგორც ქვემოთ ვნახავთ ამას, ბევრნი მოვლენანი ბუნებისა გაპიროვანებულნი არიან მდედრობითის სქესის ღმერთებად. წყლის ზედამხედველი — ღმერთი, „წყლის დედა“ ქალია; მიწაც — „დედამიწაც“ მდედრობითის სქესისად არის გაპიროვნებული, ამას გვიმოწმებს იმისი სახელწოდება, რასაც ქვემოდ დავინახავთ, — ეს მით უფრო, რომ თითქმის ყველა ერს ამ სქესისად ჰქონდა წარმოდგენილი დედამიწა; აგრეთვე არის „ქარი ქალბატონი“, კიდევ არინ ჟაბრან, χაბან — ძროხათა წინაპარი (მდედ.), თხათა წინაპარი (მდედ.); არის ყანის მავნე ღმერთი χაχა და სხვა და სხვ. მაჰმადიანობისა და უფრო ქრისტიანობის შეხებისათანავე ძველად ძველნი რელიგიურნი რწმენანი და წარმოდგენანი, ცხადია, თანდათან ეცვლებოდათ აფხაზებსა და ვრცელდებოდა იმათში აზრი ერთ არსებითს ღმერთზე, ცისა და ქვეყნის შემოქმედზე. ამისდაგვარად თვით სიტყვა ანცაც ნელ-ნელა ცვლილებაში შედიოდა, თუ მორფოლოგიურად არა, ლოგიკურად მაინც... ბოლოს, როდესაც პირვანდელნი რწმენანი გაძევებულნი იქმნენ, თუ სრულიად ვერა, უმრავლესობის გონებიდგან მაინც, და როდესაც ერთ-ღმერთობის იდეამ გაიმარχვა, მაშინ სიტყვა ანცამ სრულიად დაჰკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და გახდა ამ უკანასკნელის აზრის გამომხატველი.

ხოლო თავის უწინდელის მნიშვნელობითა და მრავლობითის რიცხვის ფორმით იგი დარჩა ძველს რელიგიურს ცერემონიათა ენაში, რომელიც გარემოებათა და ჟამთა ძლიერებით ნაკლებად იცვლება და იბღალვის ****), სიტყვა ღმერთი თავისის ეხლანდელის ფორმითა და შინაარსით კვლავ ღებულობს მრავლობითს რიცხვსა*****). საყურადღებოა აგრეთვე: „აშაცა ჩაფაცა“ გამჩენნი გამომსახველნი (გამომჭედელნი), სიტყვანი აგრეთვე მრავლობითის რიცხვისანი, რადგან ეს „გამჩენი გამომსახავი“ ერთი არ არის, არამედ ორი, ანუ მრავალი, ქრისტიანულის სწავლით ესენი ანგელოზებად არიან გადაქცეულნი. ამ „გამჩენ-გამომსახავთა“ მიერ იბადება ყოველი „ახალი სული“. დაბადებისათანავე ისინი უწერენ ახალ დაბადებულს იმისს თავ-გადასავალს, ბედ-იღბალს, სიცოცხლისა და სიკვდილის დროს და ვითარებას, ერთის სიტყვით, ისინი აძლევენ ყოველსა სულს შუბლის წერას (ლახინწრა), ბედის საწერელს. აფხაზი დარწმუნებულია, რომ ადამიანის შუბლზე სწერია იმისის ბედის საწერელი და ეს ყველას შეუძლიან ნახოს თვალითაც. გამჩენ-გამომსახავთა გადაწყვეტილება და განჩინება აუცილებელია, ჩვენ შენიშვნაში მოგვყავს ერთი ამბავი აფხაზებისა ამის დასასურათებლადვე.******) არა ნაკლებ საინტერესოა აგრეთვე ეშმაკის სახელი აფხაზურად — ავზთაა, რომელიც, მგონი, ჰნიშნავს ღვინოს მომყვანსა*******). ლექსიკოლოგია - ამ სიტყვისა, როცა კარგად გამოირკვევა, საკმაოდ დაგვანახვებს აფხაზთა ძველს შეხედულობასა და წარმოდგენას ეშმაკზე. *) იხ. „ივერია“ № 179. **) იგი არის შემოკლებული ფორმა მრავლობითის რიცხვის მესამე პირის კუთვნილობითის ნაცვალ სახელისა, რ ტ (რა არის, საიდგან და როგორ წარმოსდგა ეს, ამაზე ეხლა სიტყვას ვეღარ გავაგრძელებთ). აი მაგალითები: ურთ რ შყ — მათ მათი (თავისი) წიგნი — მათი წიგნი; აწლაქვა რ მო ხურუქვა — ხეები მათი (თავიანთი) ტოტები — ხეთა ტოტები; ურთ რ ბჟ — იმათ; მათი — (თავიანთი) ხმა — იმათი ხმა; აძბაცა რ ხ შვ — მსაჯულთა ჭკუა; ათფჰაცა რ კასქვა — ქალების თავსახურავები; ახიშცა რ შაქი — მწყემსთა თოფი. ***) მრავლ რიც. დაბოლოება აფხაზ ენაზე არის; ცა, ანუ ქვა. სხვათა შორის, როცა სიტყვა მხოლოობითს რიცხვში ბოლოვდება იმავე ცათი, მაშინ იგი იღებს მრავლობითში. მეორე დაბოლოვებას (ქვა). აცა — ტყავი; აცაქვა — ტყავები ანცა — ღმერთი; ანცაქვა — ღმერთები. ****) იხ. წინა შენიშვნა. *****) ცნობილია, რომ როგორც ძველს რელიგიურს წესებსა და ცერემონიებში დარჩენილია ხშირად ხალხის უუძველესნი გარემოებანი ცხოვრებისა (ინდოეთის ბრამინები დღესაც მწვეტ-წვერიანის ჯოხის ტრიალით ხვრეტენ მეორე ხის ნაჭერს და ამ სახით აჩენენ თავიანთ რელ. ცერემონიათათვის „წმინდა“ ცეცხლსა, ერთი უძველესი სახსართაგანი ცეცხლის გასაჩენად), ისე ძველს რელიგიურს ენაში დაცულია უუძველესი ფორმანი სიტყვისა და ენისანი.******)

ორი კაცი გავიდა საქურდლად ღამით. ამ დროს ძლიერმა წვიმამ მოასწრო და წვიმისაგან ერთის სახლის დერეფანს შეეფარნენ. შეიხიზნენ თუ არა ფაცხაში, დაინახეს, რომ მრავალი დედაკაცი შეგროვილიყო შიგ, რადგან იქ იწვა მშობიარე დედაკაცი. ცოტას ხნის შემდეგ დაიბადა ქალიშვილი. მყისვე ჩამოვიდნენ დამბადებლები-გამომსახავები. ერთმა ჩამოსულთაგანმა სხვათა შორის სთქვა: „ახლად დაბადებული იმ ერთს ქურდს ერგოს ცოლად, რომელიც გარედგან შემოიხედავსო. ეს იყოს იმისი ბედის წერაო“. კვერი დაჰკრა მეორემაც. ამისმა მომსმენმა ქურდმა, რომელსაც ნახევარი გზა ცხოვრებისა გავლილი ჰქონდა, სთქვა: მე აგერ მოვხუცდი და ეს კი ეხლა დაიბადაო; ღმერთმა ამაშოროს მაგისი ცოლად შერთვაო, და გაიფიქრა ჩჩვილის მოკვლა. შინ სახლში ქურდულად შევიდა - დიდის ხნის ღამის თევის შემდეგ ყველას აქა იქ მიეძინა, - აიყვანა ჩჩვილი და კარში გავიდა. დანით მუცელი გაუპო, ეგონა. მაშინვე მოკვდებოდა, და ზევით ბანზე შეაგდო ძაღლი არ შესჭამსო. შემდეგ ქურდებმა გასწიეს თავისის გზისაკენ. ბალღის ტირილი ერთს დედაკაცს მოესმა: ჩამოიყვანეს, ჭრილობა აბრეშუმის ძაფით გაუკერეს და მოარჩინეს. იმ ქურდმა, რომელსაც დიდის ხნიდგან ცოლის შერთვა განზრახული ჰქონდა, ვერც ერთს ქალზედ ვერ მოახერხა დაქორწილება, ამასობაში იგი ქალიც გაიზარდა, გასათხოვარი გახდა და

შეხვდა იმ კაცს. ცოლ-ქმრობით ცხოვრების დროს წარსულის მოგონებაში ყოველივე ეს გარემოებაც გამოაშკარავდა, აი ასე აუცილებელია და გარდუვალი გამჩენ გამომსახავთა გადაწყვეტილება და იმათგან დასკვნილი ბედის საწერელი. *******) ავზთაა - ეშმაკი რთული სიტყვაა: პირველი შემადგენელი სიტყვად ჩვენ მიგვაჩნია ავ - ღვინო; მეორე წარმოსდგება ზმნისაგან ააარა - მოკრება (ყურძენზე და არა ღვინოზე), ძღვნა, თუ პირვ. ნახევარს ეშმაკის სახელის წოდებისას ვაწარმოებთ სიტყვისაგან აოვ - კაცი, მაშინ მთელი სიტყვა ავზთა იქნება დაახლოვებით შემდეგს შინაარსს შეიცავდეს: კაცი, ვისაც უძღვნეს... /პ. გიორგიძე/. (შემდეგი იქნება). (ივერია, N180, 1888 წელი);

ფელეტონი
აფხაზეთი და აფხაზნი*)
სალოცავები

ჩვენ ვუწოდებთ სალოცავებს იმ რელიგიურ ცერემონიებს, როდესაც აფხაზი რამე შესაწირავთან შეერთებულის ლოცვითა და ხვეწნა-ვედრებით მიჰმართავს თავისს ღმერთებს ძველიდგანვე მიღებულს წესზე. სალოცავებში ზოგიერთს ეტყობა მეტი გავლენა ქრისტიანობისა, ზოგს კი — ნაკლები, თუმცა წარმართობის კვალი მაინც ემჩნევათ. მაგრამ უმრავლესობა სალოცავთა, როგორც ფორმით, ისე შინაარსით, ჯერ კიდევ წარმართულის ხასიათისაა. ჩვენ სალოცავთა კრებულში მოვაქციეთ უფრო ორის უკანასკნელის გვარის სალოცავები. რასაკვირველია, ხალისიანის კაცისათვის არც ერთი სალოცავი არ არის მნიშვნელობას მოკლებული, მაგრამ სალოცავები იმდენია, რომ ყველა იმათი დაწვრილებით შესწავლა და აღწერა შორს წაიყვანს კაცს. ჩვენ ვცდილობდით უფრო შესანიშნავები ამოგვერჩია. ა) ჩვენს დროს სალოცავები ერთნი სამუდამონი, ყოველ წლობითნი და საყოველთაონი არიან, მაგალითად „ხოზოს აღება“ და სხ., სხვანი კი, თუ ყველას არა, უმრავლესობას მაინც სწამს, მაგალითად, „ზევითური სალოცავი“ და სხ. ბ) ყველა სალოცავს ანუ იმის მიმღებს იმისგან დამოკიდებულს, მოქმედების წრეში ძალა აქვს „უბრალოს, უმიზეზოს“, ე.ი. ავად გახადოს კაცი, ანუ საქონელი რამე შეცდომისა ანუ დანაშაულობისათვის. გ) თვითოეულის სალოცავის ნაბრალევ, ნამიზეზარ ავადმყოფობას თავისი განსაკუთრებული ნიშნები აქვს, რომლებსაც აფხაზი (მკითხავი) დაწვრილებით არჩევს ერთს მეორისაგან. დ) გადაკიდებულის სალოცავის რისხვის ასაცილებლად საჭიროა, ვისაც ემართა ესე გვარი სალოცავი, განმეორებით ლოცვა ანუ მაშინვე, ანუ პირობის ძალით თავისს დროზე იმ დანაკლისის აღვსებითა და დაკმაყოფილებით, რის გამოც ლოცვა ვერ აკმაყოფილებდა სალოცავს და შერისხა კაცი, ანუ ოჯახი, ე) თუ ავადმყოფს არ ემართა რომელიმე სალოცავი და ახლად გამოუვიდა იმისი მიზეზი, იმან უნდა თავს იდვას იგი და ილოცოს მიღებულს წესსა და რიგზე. ე) ბრალი (მიზეზი) სალოცავისა გადადის მოდგმიდგან მოდგმამდე და რამდენისამე თაობის შემდეგ შესაძლოა იჩინოს თავი. ზ) თუ „მიზეზით“ ავადმყოფი იმდენად სუსტია, რომ მაშინვე ვერ მოხერხდება შესაფერის სალოცავის წესების აღსრულება, მაშინ პირობას სდებენ თავისს დროს ანუ პირველ მობრუნებისათანავეულოცონ. ამისათვის მანამდის ავადმყოფს შემოავლებენ რასმე ვერცხლეულობას, სპილენძეულობას, თოფს, წმინდა ნარმას, სანთელს, ანუ სხვას რასმე „ბრალის“ მიხედვით. შემოვლების დროს ამბობენ ამ სახით: „თუ შენი მიზეზია (ბრალია), შვება მიეცი... და ვილოცო როგორც გეკადრებოდეს და როგორც მკითხავი აგვიხსნის“... როდესაც ავადმყოფობა ვერ არის გამორკვეული, თუ რომლის მიზეზისაგანაა იგი წარმომდგარი, მაშინ ამ გვარად ამბობენ: „თუ რისამე „მიზეზითაა“ ავად... შევასრულო ყოველივე, რასაც შევიტყობ და რასაც მკითხავები გვიჩვენებენ“. შემოვლებული ნივთი, როგორც საწინდარი, წმინდად და უხმარებლად ინახება ლოცვის ცერემონიის აღსრულებამდის. ც) თვით სალოცავის ასრულების დროს მლოცველი თხოვნით მიმართავს ამ სახელწოდების სალოცავსა, ანუ ამაში წარმოდგენილს

ღმერთობას, თუ კაცის სალოცავია, კაცისას, თუ საქონლისაა, საქონლისას. ლოცვა (ლოცვის სიტყვების წარმოთქმა) სალოცავის შესაფერი და გარემოების მიხედვით იქნება, მაგრამ უფრო ისეა, რომ ვინც როგორ ახერხებს, ისე ლოცულობს და ლაპარაკობს. ესეც-კი უნდა ვსთქვათ, რომ ლაპარაკის საფანელი და პირ-წყლიანობა აფხაზს იშვიათად შემოაკლდება. თ) ყველა სალოცავის დროს საჭიროა რამე შესაწირავი უსისხლო, ანუ სისხლოვანი, რომელსაც სალოცავთა გვარად ან ყველანი სჭამენ, ან მარტო ზოგნი. ი) ერთი და იგივე სალოცავი სხვა და სხვა გვართა და კაცთა მიერ მეტ ნაკლების განსხვავებით აღსრულდება ხოლმე. კ) სალოცავთა ცერემონიების აღმასრულებლად. ზოგისა კაცია, ზოგისა დედაკაცი, იმის მიხედვით, თუ რომელ სქესისად წარმოიდგინება არსება, ვის სადიდებლადაც იგი აღსრულდება; ანუ ასეა, რომ თუ სალოცავში ავადმყოფი ქალია, მლოცავიც ქალია; თუ კაცია, მლოცავიც კაცია. ახლა შევუდგეთ თვით სალოცავების კერძო აღწერას.

სალოცავები: დედამიწის სალოცავი.

წმინდა უმანკო დედაკაცი ექვსს კაკალსა და რამდენსამე ფეტვის მარცვალს აიღებს და მიჰყავს ავადმყოფი (რომლის ავადმყოფობა ადგილის ბრალით გამოწვეულია). ჯერ ერთის თხმელის (მურყნის) ძირს სამს კაკალს და რამდენსამე მარცვალს შემოავლებს მიწის (ადგილის) სახელობაზე და შემდეგ კიდევ სამს კაკალსა და მარცვალს თხილის ძირს ადაბნას სახელზე, და თხოულობს ავადმყოფის მობრუნებას. ამავე დროს დედაკაცი კაცის მსგავსს კუკს, კოპწიად მორთულს, ჩაჰფლავს იქვე მიწაში ავადმყოფის „ამოსახსნელად“ (დალაჭსხრც) ამ სიტყვებით: „ავადმყოფის ნაცვლად ამას შეექციე, ამას ეთამაშეო“. შემდეგ მარჯვე დროს აცხობენ ერთს დიდს მჭადს „მიწა დედობლისას“ და ორს მოგრძო პურის ღვეძილსა ადაბნისათვის. ორი ღერი წმინდა სანთელი და საკმეველი, მოხსენებული ორი ღვეძილი და მიწის მჭადის ოთხისავე კუთხის ნატეხები მიაქვს დედაკაცსა და ავადმყოფითურთ მიდის სამის გზის შესართავს ადგილას, სადაც ერთის მხრით სდებს მჭადის ნატეხებს, მეორეზე ღვეძილებს, დანარჩენ ორ მხარეზე ანთებულს სანთლებს მიაკრავს; აქვე განზე იტყვის: მიწა ქალბატონო! ეს შენი ფეხთსაცმელიაო, და დასდებს ჩუსტებს... ამ ოთხ-კუთხედის მიწის შიგ შუაში ავადმყოფს დააჩოქებს, თავზე ლეჩაქს გადააფარებს და საკმევლით და სანთლით ხელში მიჰმართავს თხოვნით პირველად „მიწა დედოფალს“: „ადგილ-ანხუ**), ატულა-ანხუსე! შენი მადლი მოანიჭე, ტანის სიმრთელე, გულის სიმრთელე, თავის სიმრთელე მიეცი; ფერი მიეცი, ტყავი მიეცი, ძვალი მიეცი; ლაპარაკი მოანდომე, საქმობის სურვილი და ძალა მიეცი, ავისაგან დაიხსენი და სხვ. შემდეგ აგრეთვე თხოვნით მიჰმართავს ადაბნას***). ბოლოს თხილის ჯოხით ლეჩაქს გადახდის, წამოაყენებს, ზურგზე ხელს გადუსვამს და ერთს წკნელსაც გადაჰკრავს: წადი, დღეის იქით აზატი მომიციაო, და გაუშვებს ავადმყოფს. ამას შემდეგ შინ ბრუნდებიან, კერაზე დატოვებულს მჭადს, რომელსაც მარტო ოთხი ნატეხი-ღა აკლია, შუაში სტეხენ, აქეთ-იქით გასწევენ; კერას გაღმა-გამოღმა დგება ორი დედაკაცი და მლოცველს ავადმყოფს მჭადებსშუა სამ-გზის გაატარებენ. ამასთან ერთი დედაკაცი ამბობს: „გაურიებული მომეცი“, მეორე - „გაქრისტიანებული მომეცი“. ამ სალოცავს ასრულებენ, როგორც ზევითა ვსთქვით, სამის გზის შესართავ ადგილას, ან უკეთ გასაყარ ალაგზე, იმ მოსაზრებით, რომ არსება, რომელსაც შეპყრობილი ჰყავს ავადმყოფი, რაკი ამას განშორდება, სხვას ვისმე შეხვდეს და შეეყაროსო. სადმე მიწაზე დაცემის ანუ ჯდომის დროს თუ აჰყვა ავადმყოფობა, მიწიდამ გადაეკიდა, ლოცვაც ამავე ალაგას იქმნება და აქ ჩაჰფლავენ ლოცვის ანუ შემოვლების დროს ზემოხსენებულ კაცის მსგავსს კუკსაც... „მიწა ქალბატონისაგან“ რამე რომ არ აჰყვეს ავი, უცნობი ადგილზე (მიწაზე) მჯდომი აფხაზი (მეგრელი), წამოდგება თუ არა, ორჯელ დააფურთხებს ამ სიტყვებით: „პაპუა ჩემის ნასახლკარევი, პაპუა ჩემის ნასახლკარევი“.

წყლის სალოცავი

ავად არის ქალი, ანუ კაცი, მაგალითებრ ციებით, და ეს ავადმყოფობა დიდხანს არა შორდება. მკითხავი, რომელსაც აფხაზი მიჰმართავს ექიმის მაგივრად, ეუბნება, რომ წყლის ბრალითაა ავად და უნდა ულოცოთო, ჭირისუფლები მოიყვანენ მოხუც წმინდა დედაბერს, რადგან წყლის უფროსი, „წყლის დედა“ ქალია ****). ეს დედაკაცი ფარულად აიღებს სამს ხელს ავადმყოფის რამე ნივთსა, მაგ. ტანისამოსს, მიაქვს ერთ ერთს წყალზე და ამბობს რა სიტყვებსა: „წყლის დედავ, ქალბატონო, თუ შენ დაიჭირე (ავადმყოფი), უშვიო“, ეხება ამ ნივთებით სამ გზის წყალს და ამოაქვს სამი წვეთი წყალი, რომლებსაც სამს მურყნის ფოთლებში გამოჰხვევს, წამოიღებს და კერას ზემოთ, სხვენზე ჩამოჰკიდებს, იმ მოსაზრებით, რომ ავადმყოფს ასე ციებაც გაუხმებაო; ამის შემდეგ უცბად და იდუმალ გაიქცევა დედაკაცით ამ სიტყვებით: „ასე შენი ციებაც გაიქცესო“. ამ პროცესს ეძახიან: „ციების გამო წყლის ამოღებას“ (აშძ აზჰან აძ იზთრხიტ). როდესაც ამის შემდეგ ავადმყოფი მოχობინდება, მოიწვევენ მლოცველ დედაკაცს. ამზადებენ ორს ქათამს: ერთს მამალს და ერთს დედალს, ღვეძილ პურს, მოჰხარშავენ ხოზოებს და ჩამოჰქნიან სამს სანთელს. დედალი და ერთი სანთელი წყლის დედისათვის, მამალი და ერთი სანთელი იმისის ქმრის სახელზე, ხოლო მესამე სანთელი იმათ მოახლე-მოსამსახურე ქალისათვის, რომელსაც ჰქვიან: აბზაჰავ-აბსაჩავ (კარგად მყოფი, კეთილად მეკვები), რომელიც კეთილის მთქმელად და შუამავლად ირიცხება მოხსენებული ბატონებთან. ნივთები მიაქვსთ და მიდიან წყალზე, მდინარე იყოს, თუნდა წყარო. აქ მლოცველი დაიჩოქებს, ხოლო მლოცავი დედაკაცი აიღებს სანთელს და მიჰმართავს თხოვნით თავდაპირველად, რასაკვირველია, წყლის დედა-ქალბატონს, რომელსაც ამ სალოცავში უპირველესი ალაგი უჭირავს. ამისი სრული სახელი აფხაზურად არის ძძლან ძაჰვვაჟ ხიფსჰა გვაშა - წყლის დედა, წყლის ქალბატონი ხიფსჰა გვაშა (გვაშა ქალის სახელია დღესაც...), რის შემდეგ სანთელს მოუკიდებს და იქ მიაწებებს. შემდეგ აიღებს მეორე სანთელს სთხოვს ავადმყოფის განკურნებას „წყლის დედის“ ქმარს „ბატონს“ და ამასაც იქვე მიაკრავს. ბოლოს მესამე სანთლით ხელში სთხოვს ზემოხსენებულს აბზაჰავ – აბზაჩავს – მოახლე ქალსა, რომ იმანაც მოციქულობითა და კეთილის თქმითა ბატონების წინაშე მოეხმაროს ავადმყოფს, რის შემდეგ ზურგზე ხელის გადასმით მლოცავი ააზატებს ავადმყოფს... გარდა ავადმყოფთა წყლის სალოცავით ულოცავენ ახალს რძალს, როდესაც იგი პირველად მიჰყავთ წყაროზე. და თუ ყოველსავე ნაჩვენებს. ამ შემთხვევაში ვერ აასრულებენ, კვერცხს მაინც ჩააგდებენ წყალში და შესაფერის ხვეწნით მიჰმართავენ წყლის დედას. დედაკაცი მშობიარობას ლოცულობს ან სრულად, ანუ შემოკლებულის ფორმით (კვერცხით) წყლის სალოცავით და ეს იმისთვის მეტად სასარგებლოა, განსაკუთრებით ძუძუსათვის (რძისათვის)... არა თუ ამ შემთხვევებში, უბრალო ტანის ბანასა კი ერიდება აფხაზი მდინარე წყალში, რომ იმით წყლის დედას არ აწყენინოს. ამიტომ რაკი წყლიდამ ტანის დაბანის შემდეგ ამოვა, სამს წერილს ქვას აიღებს და წყლის დედას მიჰმართავს ამ სიტყვებით: „შეგცოდე დღეს: წყალში ჩავედი, ტანი ჩავიბანე, მარა მაპატივეო“, თავზე გადივლებს და წყალში გადისვრის.*) იხ. „ივერია“ № 180. **) პირველი ნახევრები ამ ორ სიტყვათა ნიშნავს: ადგილი, მიწა, მამული; ხოლო მეორე ნახევარი ანხუ (ენხუ -ს მნიშვნელობა დღეს უფრო ძნელი მისახვდომია, თუმცა ამ სიტყვას საკმაო მსგავსება აქვს (ფორმითაცა და მნიშვნელობითაც) ზენდურ სიტყვა an-hu-სთან, რომელიც ნიშნავს: „ბატონი“ ქვეყანა, „ადგილი (იხ, შედარებითი ლექსიკონი ფივისა), მაგრამ უფრო საგულისხმოა სიტყვა ანხუ ვაწარმოვოთ აფხაზურად ძირიდანვე: ანხუ უბრალოდა ვსთქვათ ამ სიტყვათაგან შემდგარია: ან - დედა (იხილე ზევ. და ახვ - ხვედრი და სხ... (იხ. ზევ. პირველი განყოფ. მიცვალ. დატირ.) ადგილ - ანხუ პირდაპირ მიწა დედის ხვედრი, წილი - დედამიწის ხვედრი და სხვ... ***) ადაბნა, აბნა - ტყე, ად - მინდორია, მაშასადამე, თუ რთულ სიტყვად ვიცანით ადაბნა - ად+ანა, ამ სახით ადაბნა - მინდორ-ტყე, უდაბნო იქნება.****) „წყლის დედის“ საცხოვრებელი ალაგი დიდი წმინდა მიუვალი ტბაა

მდინარისა. იგი შეიძლება სცხოვრებდეს აგრეთვე წმინდა წყაროში, რომელსაც არა წმინდა, ღორი, ანუ სხვა რამ პირუტყვი, არ ეკარება. კაცს შეუძლიან იშვიათად ნახოს იგი როგორც წყალში, ისე ნაპირზედაც, ხმელეთზედაც, სადაც იგი გამოდის ხანდისხან. აი სურათი წყლის დედისა, „აფხაზის წარმოდგენით, წყლის დედა მშვენიერი ქალია მომხიბლავის სახისა, თავზედ უებარი წაბლის ფერი დაწნული თმა აქვს და მტრედის ფერი ჟუჟუნა თვალები... ძლიერ ხშირად გაიგონებო აფხაზისაგან ამ გვარს საუბარს“! ჰმ, მე მძლია წყლის დედამ და ამიერიდგან თქვენს საზოგადოებას აღარ ვეკუთვნი... ამ დღეებში შევედი ცხენით გაუვლელი და ყრუ ტყეში, სადაც უცბად ერთს დიდს მუხასთან დავინახე დადგმული ტაბლა; ტაბლაზე იდგა სარკე და სანთელი, წინ იჯდა წყლის დედა, ეტრფიალებოდა თავისს სიკეკლუცესა და ივარცხნიდა გაშლილს მიწამდე ჩამოშვებულს თმას... ხელები ჩამომიცვივდა და დამიდუნდა, თვალები ვეღარ მოვაშორე ამგვარს საკვირველს სახილველს, როდესაც შემამჩნია, უეცრივ დაალაგა თმები და იწყო ჩემსკენ მოახლოვება. მაშინ სრულიად დავკარგე გონება,.. ერთი სიტყვაც არ უთქვამს, მხოლოდ ასწია მაღლა ათივე თითი და ამით მაჩვენებდა: თანახმა გახდები, თუ არა მეუღლეობაზე ათის წლის განმავლობაშიო, მე უარის ნიშნად თავი გავუქნიე, მაგრამ იგი არ დასცხრა და ჩამოდიოდა ათის წლიდამ ცხრამდე, რვამდე და სხვ. დასასრულ, როდესაც მიჩვენა ნეკი, როგორც უკანასკნელი ნიშანი იმისი, თანახმა გავხდები თუ არა ერთს წელს მაინც მასთან ვიცხოვრო, მაშინ ისეთის საშინელის თვალებით შემომხედა, რომ მე იმავე წამს თანხმობა განვუცხადე“... ეტნოგრაფ. კონ. მაჭავარ. გაზ. „დროება“. /პ. გიორგიძე/. (შემდეგი იქნება). (ივერია, N183, 1888 წელი);

ფელეტონი
აფხაზეთი და აფხაზი*)
ცისსარტყელას სალოცავი

ეს სალოცავი საყოველთაო არ არის, მაგრამ ბევრს გვარს-კი მართებს ყოველ წლობით ცის-სარტყელას სალოცავი. უფრო ხშირად ამ სალოცავით ლოცულობენ ავადმყოფნი, როდესაც მკითხავი ახსნის ავადმყოფობას ცისსარტყელას მზეზით... თუ კაცი დიდხანს მოყვითლო ფერისაა, ძალა და ხასიათი აკლია და სხ., ეს, აფხაზის აზრით, „ზეცას რომ აკრავს“ - ცისსარტყელას ბრალია და ის ავადმყოფი კაცი წყალში ჩასულა იმ დროს, როდესაც ცისსარტყელა წყალსა სვამდა და მაშინ გამწიკვლოვანებულა (დაყიშიტ). შემოავლებენ რა რასმე ავადმყოფს და დაჰპირდებიან თუ არა ულოცონ, იგი გაჰყავთ წმინდა დედაბრებს მდინარე წყლის პირას. აქ მოაქვსთ ორი შემწვარი ყვერული, ორი პურის ღვეძილი, რომელნიც ენის ფორმისანი არიან და ამიტომ „ენები“ ჰქვიან, ამათ გარდა ყველა ხორაგეულობა, რაიცა საჭიროა წყლის სალოცავის დროს, რადგანაც ცისსარტყელას სალოცავთან ერთად წყლის სალოცავიც უნდა იყოს. მდინარის ორსავე ნაპირზე დააწყობენ სხვა-და-სხვა წმინდა და მშვენიერ ნივთეულობას: ტანისამოსს, ვერცხლეულობას და სხ. წყლის ერთის ნაპირიდამ მეორემდე გააბმენ აბრეშუმის ძაფის ხიდს. ამ სახით, როცა ყოველივე დამზადებულია, მლოცავი დედაკაცი აიღებს კაცის სახით გაკეთებულს პატარა კუკს, რომელიც მორთულია მშვენიერის ფერად-ფერადის ტანისამოსით, და, ავლებს რა ამას მუხლ-მოყრილ და მიტკალ გადაფარებულ ავადმყოფს, ეხვეწება შვება-განკურნებას ცისსარტყელას ულიფშის სახელით, შემდეგ სანთლით ხელში თავთავის რიგზე მიჰმართავს „წყლის დედა ქალბატონს“ და იმისს ქმარს „ბატონს“. აგრეთვე ლოცვით გადაავლებს სხვა ხორაგეულობასაც და თავ-თავ საჭმელებიდგან ფინჩხებს გადააგდებს. გათავებისას ზემოხსენებულს კაცის სახის ტიკინს თავ-მოხსნილს აყიროში (მწარე კვახში) ჩაამაგრებენ, ირგვლივ მოკიდებულის სანთლებით გააჩირაღდნებენ და წყალზე გადააგდებენ ამ სიტყვებით: „ავადმყოფის ნაცვლად ამას შეექციე, ეთამაშე, ამასთან დრო ატარე“. მლოცავი დედაკაცი-კი ავადმყოფს ზურგზე ხელს გადუსომს, წნელსაც გადაჰკრავს და აზატის მიცემით შინ გამოუშვებს ასე, რომ უკან არ

უნდა მიიხედოს. ლოცვის ცერემონიის ასრულების შემდეგ იქვე წყლის პირზე წინდაწინ გაკეთებულს კარავში სადილობენ დედაბრები. ჭამა მარტო ამათ შეუძლიათ და მარტო აქ, ყოველივე გადანარჩენი წყალში უნდა გადაჰყარონ და ნახმარი ავეჯი წმინდად გარეცხილი შინ უნდა წამოიღონ. ეს სალოცავი ძლიერ მძიმე სალოცავად მიაჩნიათ და ცისსარტყელას ნამდვილი სახელის (აცაყვა) და არა ზემოთ მოხსენებულის ელიაფშ-ის**) უბრალო წარმოთქმაც-კი ეზარებათ. ცისსარტყელას სალოცავის აღსრულებას, — აფხაზების აზრით, მოჰყვება წვიმა.

ქარის სალოცავი (ფშარნა)

აკეთებენ დიდს ყველიან მჭადს, სდებენ ცხმელას ცხრილზე (ჩელტზე), ეგ ააქვსთ სახლზე ცოტა მოშორებით და ევედრებიან ,,ქარსა ქალბატონსა ჩიჩ-სა'' (ჩიჩი ხშირად ჰქვია აფხ. „ქალბატონებს“), რომ კეთილი ქარი ახლო მოუვლინოს, ავი მოაშოროს, ფათერაკისაგან დაიხსნას და სხვ. შემდეგ მჭადის შუაგულს ამოსჭრიდნენ, მიჰქონდათ ახლო ტყეში და ერთს - მაღალ მუხის წვერზე სდებდნენ, ხოლო მეორე დღეს ვინც ყველას დაასწრებდა, ის იფეშქაშებდა.

ხის სალოცავი

მარიამობის დღეს აკეთებდნენ პატარა კვერებს იმდენს, რამდენიც მამაკაცია ოჯახში. ამ კვერებიანათ პატარაებითურთ სახლის უფროსი მიდის ერთ-ერთს ახლო ქორფა ხესთან, ხეს ფეხს მიადგამს და ლოცულობს: „ხეო, შენი მადლი და სიკეთე მომანიჭე... ხიდამ უვნებლად ჩამომიყვანე, ნედლ ტოტზე შევსდგე, გამიმაგრდეს, ხმელზე შესდგე, გამინედლდეს“ და სხვ.

საგარეო სალოცავი ადნყა

სხვა-და-სხვა მიზეზის გარდა, ავადმყოფობას მიაწერენ ხოლმე „გარეულის“ მიზეზსაც. ეს გარეულნი არიან მკვდართა სულნი. ესენი რამე უკმაყოფილობის გამო უწყრებიან ცოცხლებს: კაცი იყოს, გინდ საქონელი, ეს ორივე შესაძლოა. საგარეო სალოცავის, ანუ, რაიცა იგივეა, მკვდრების მიერ „ნაბრალევი“ ავადმყოფი, აფხაზის აზრით, ხშირ-ხშირად ამთქნარებს, მძინარეობს, ცოცხალ-მკვდარსა ჰგავს, ეს იმისი ნიშანია, რომ სული, რომელიც ებრალა, სულსა თხოულობს და, თუ სულის მაგივრად საკლავით არ დაკმაყოფილეს, იგი ავადმყოფს თან გადიყვანს. შემოვლების შემდეგ ერთ-ერთს სამშაბათს ანუ შაბათს აკეთებენ საუკეთესო საჭმელებს: კრავს, ანუ ცხვარს, ქათმებს, მაწონს, „ჩემუქვას“ და სხვ. არა იშვიათად თუ დიდკაცის სულმა ავად გახადა კაცი, მაშინ ძროხასაც ჰკლავენ. ყოველსავე ამას სუფრებზე სახლის დერეფანში დააწყობენ. აქვე, ისე, როგორც ცისსარტყელას სალოცავის დროს, ორ მხარეზე სხვა-და სხვა ძვირფასი და წმინდა ტანისამოსი და ნივთეულობა იქმნება დალაგებული. ავადმყოფ საკიდებელ ნაჭა შემოვლებულ წრის შიგნით დააჩოქებენ. შემდეგ მლოცავი (ქალისა ქალი, კაცისა კაცი) შეევედრება ცხოველთა და მკვდართა (ანგი-ფსნგის) განათავისუფლონ ავადმყოფი, მიანიჭონ სიმთელე, დამზადებული შესაწირავი მიიღონ ავადმყოფის ნაცვლად (და სხ. იხ. ზევ.), ზურგზე ხელს გადუსვამს და აზატის მიცემით აბოლოვებს სალოცავს. კიდევ როცა მკვდრის სული, რომელიც ავადა ხდის, აღიარებულია დიდკაცის, მაგალითად, თავადიშვილის სულად, ლოცვის დროს ცხენსაც იქვე მიაბმენ, ბოლოს მოხსნიან და სიტყვებით: „შენს სულს ჰქონდესო“, მინდორზე მიუშვებენ. ესეთი ცხენი ხშირად, აფხაზის აზრით, იბერება და ჰკვდება, ე.ი. სულს თავისას გადაჰყავს.

აჟაჰარას სალოცავი

სიტყვას „აჟაჰარა“ აფხაზები უწოდებენ სახლის ოჯახის უფროსს, ზედამხედველს არსებას და, მაშასადამე, აჟაჰარას სალოცავი არის ლოცვა სახლის ზედამხედველის სახელით, მეგრულად ამ სალოცავს ნერჩის სალოცავს ეძახიან. ამ სალოცავით, მაგალითად, ლოცულობენ ახალი ცოლ-ქმარი ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ისინი ერთად უფროსებს არა სჩვენებიან, ანუ როდესაც ახალი რძალი დიდს სახლში შემოჰყავთ, აგრეთვე გათხოვებული ქალი - დედ-მამის სახლში პირველად მობრუნებულა გაყვანის შემდეგ ყველა ამ შემთხვევაში თვით საკლავების დაკვლის წინ, მარჯვნივ, იმათის მობრუნების დროს სახლის უფროსი ანუ ერთ-ერთი უუხნიერესი ვინმე შამფურზე ჩამოცმულ გულ-ღვიძლით ხელში აჟაჰარას სთხოვს მლოცველ კაცზე, რომ მან მუდამ თავისის შემწეობისა და მფარველობის ქვეშ იყოლიოს შინ, გარეთ და სხვა და სხვა.

ჭაპუ

კერას ზედამხედველსა ჰქვიან „ჭაპუ“, იმისს სახელობაზედაც არის სალოცავი. მაგალითებრ, როდესაც ბავშვი ნაცარტუტას, თიხას ხშირად სჭამს, სიარულსა და ლაპარაკს დიდ ხანს ვერა სწავლობს, მაშინ დიდის ჭადით ულოცენ ჭაპუს სახელით; შემდეგ იმას წითელის ძაფით შებორკავენ, კარზე დააყენებენ და სხვა ვინმე პატარა ბავშვი ფეხებთან გაუვლის ჭადით ხელში, თან ბორკილსაც მოსწყვეტს და კარში გაიქცევა. ამის შემდეგ ბავშვი ძრიელ ჩქარა ისწავლის სიარულსაო და სხ. ჭაპუს სახელით სწყევლიან დედაკაცები ერთმანეთს. ცხადია „ჭაპუს“ მოქმედების წრე ძრიელ ვიწროთ არის შემოფარგლული: კერათი და კერას გარშემოთი.

ჟაბრანის სალოცავი

ეს სალოცავი ძროხისაა და მას აღასრულებს ყოველი აფხაზი, ვისაც კი ძროხა ჰყავს, ყველიერის შაბათს. ამისათვის წინდაწინვე დამზადებული აქვსთ დიდი ფართე სულუგუნი, რომელსაც „წმინდა ყველს“ ეძახიან. კერაზე დადებული ჭადის ცომზე, სანამ ფოთლებს მოაფარებდნენ, „წმინდა ყველის“ ამოჭრილ შუაგულსზედ დააწებებენ და ამ დროს მამაკაცი დაიწყებს ჟაბრანის სალოცავით, ვის სახელზედაც ლოცულობენ: „ჟაბრანის მთქმელთა ყველას მამჯობინე; საქონელს მიმატე და გამიმრავლე ისე, რომ მომავალში ამ ჭადის ტოლა ყველითა ვლოცულობდე და რომ ძროხები ეზოში არ მეტეოდეს: ავისა და ფათერაკისაგან დაიხსნა, შინ დაიცვა, გარედ დაიცვა, დაძველებულის ბალანისა და განავალის გარდა ზარალი არ მისცე; წინა მავალი საქონელი მირბოდეს; უკანა ვერ ეწეოდეს; ხბოები დათვის ბელივით კუნტრუშობდნენ და კვიცივით ელვარებდნენ და ბრწყინავდნენ, ამასა გთხოვ...“ ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ აიღებს სამს თხილის ჯოხს, ჩაურჭობს ზემო ხსენებულ ქადის ცომში და ზევით გირეს დაარტყავს ამ სიტყვებით: „ვოოც! ჩიფშ!“ (ძროხის სახმობი ხმაა). იმავე სალოცავს, როცა ძროხის ნაცვლად თხას ულოცავენ შაბათის მაგივრად ყველიერის ხუთშაბათს, ჰქვიან ჯაბრანის სალოცავი და სრულდება იმავე სახით, როგორც ზემოდ არის მოხსენებული. სიტყვები ჟაბრან და ჯაბრან, რომლებსაც იხსენიებენ სალოცავებში, ერთი მეორესა ჰხსნის: ჟაბრან რთული სიტყვაა და უნდა შესდგებოდეს შემდეგის სიტყვებისაგან: აჟ-აბ-ან ***), (აჟ - ძროხა; აბ - მამა, ან - დედა. იხ. ზევ.). ა) ჟაბრან - ძროხის მამათა დედა, ძროხის წინაპართა დედა. აგრეთვე ჯაბრან, რომელშიაც ჯა შემოკლებულია და ნიშნავს თხას: ჯა-ა-ან ჯაბრან, თხის წინაპართა დედა, ჩვენ უკვე ვიცით, რომ უკანასკნელ შემადგენელ სიტყვას (ან დედა) შეიცავს სიტყვა ანცა - ღმერთი (იხ. ზევ.)

ხოზოს დაჭერა (ახვაჟკრა)

რელიგიური ცერემონია ხოზოს დაჭერისა არის ყოველ წლობით ჩვენს დროს დიდ მარხვის პირველ ორშაბათს, ამ დროს მრავალი მოხარშულ ხოზოებიდამ აიღებს, დაიჭერს აფხაზი თითოს, ანუ სამ-სამს და თხოვნა-ვედრებით მიჰმართავს იგი სხვა-და-სხვა სახელწოდების ღმერთთა („დედათა“) ამიტომაა, რომ აფხაზი ამ ცერემონიას ეძახის „ხოზოს დაჭერას“, დავაკებას, ხოლო თვით დროს, ოდესაც იმას აღასრულებს, ხოზოს დაჭერას, ანუ დაკავების დროს და ეს დრო ითვლება წელიწადის საზომ დროდ ისე, როგორც ქრისტიანებში დიდნი შობა-აღდგომის დღესასწაულნი. თავდაპირველად სახლის უფროსი აიღებს სამს ხოზოს და საერთოდა სთხოვს ყველა ღმერთებს ამ სიტყვებით: დიდნო ღმერთნო (ანცა დოუქვ-დიდნო დედანო), შემდეგ კერძოდა და დაიწყებს ლოცვას. აიღებს რა სხვა ხოზოს, თავდაპირველად ეხვეწება „ალიშკინტრ“-სა, ძაღლების უფროსსა, და სთხოვს მას ძაღლის ბედი მისცეს, კარგი ძაღლი გააზრდევინოს და გაუმრავლოს, რადგან, თუ ძაღლი გყავს, აფხაზის ფიქრით, საქონელიც შემოგივა და ამისი ბედიც გექმნება და ამიტომაა, რომ აფხაზი ყველაზე უწინ იხსენიებს ალიშკინტრს. სხვა ხოზოთი ხელში აფხაზი ევედრება საქონლის, პირუტყვის ზედამხედველის ღმერთსა „აითარ“-სა: „აითარ! შენი მადლი და სიკეთე მომანიჭე; აითარის მთქმელთ ყველას მამჯობინე“... (იხ. სალ. მეცხრე). ერთის სიტყვით, ლოცულობს საქონლისათვის, მაგრამ არ ივიწყებს ბოლოს თავისს თავსაც. პირუტყვის ღმერთსა «აითარ-ს უპირველესი ალაგი უჭირავს, რადგან, როგორც ჩვენ უკვე ვლაპარაკობდით, საქონელს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მიწათმოქმედებასთან შედარებით. აითარის სახელით აფხაზები ფიცულობენ, როცა უნდათ ნათქვამი დაამტკიცონ, და სწყევლიან ერთმანეთსაც. უპირატესი მნიშვნელობა „აითარი“-სა სჩანს იქიდამა, რომ „ხოზოს დაჭერას“ ეძახიან აგრეთვე აითარის სალოცავს და თთვეც იწოდება აითარის თთვედ. აგრეთვე ამ სახითვე მიჰმართავს შაშანა-ს და სთხოვს: შაშანა ახუც აქუსწა რახუ ნასფ უიმთააიტ“, ვითომ შაშანამ, თმისა გამჩენმან, საქონლის ბედი არ მოგცეს, ანუ: შაშანამ თმოსანის ბედი არ მოგცაო (წყევლაა). აიღებს კიდევ ხოზოს, მიჰმართავს ჭირნახულის ღმერთს, ჭირნახულის გაპიროვანებას ანაფანაგა-ს და სხვათა შორის ამბობს: „ანაფანაგა: ჩემს რკინეულობასა და იარაღს, სადაც გავუსვამ და გავკრავ, ხვავი და ბარაქეთი მომეცი, ვინც გაიტანს ჭირნახულს, საქონელი შესძინე, ვინცა სჭამს - შეარგე“ და სხ.****). აიღებს სხვა ხოზოს და ამბობს: შაშა! იარაღი რასაც დავუშინო, ნუ დამაცდენინებ. მამაზე ჩვენ ქვემოთ ვილაპარაკებთ. მზის მსგავსად მრგვლად მოხარშულს ხოზოს აიღებს და ამბობს: მზეო! მადლსა, სიკეთესა, თავისს რიგზე და დროზე სითბო და სინათლესა, კეთილს დროს ნუ მოგვაკლებ, ამავე ხოზოთი თხოულობს ქალებისათვის, რომ სიმშვენიერით, სილამაზითა, ეშხითა და სიკეკლუცით მზესავით ანათებდნენ, ბრწყინავდნენ და ათბობდნენ კაცის გულს. არის ახალ-მთვარის მსგავსი ხოზო და ამით ლოცულობს მთვარის სახელს. აგრეთვე ამავე ხოზოთი ხელში ვაჟიშვილებს მთვარეს ადარებს, რომ ისინი მთვარესავით ელვარებდნენ; როგორც მთვარის ამოსვლა კაცის გულს ახარებს, ისე თვითოეული მათგანი კაცის გულს მოხვდებოდეს, მოსწონდეს და სხ. არის ბოლოს საცეხველის მსგავსი ხოზო, რომელშიაც სხვა რამდენსამე ხოზოებს თავები ჩამწკრივებული აქვს (გამოხატავს ღომის ცეხვის პროცესს). დაიჭერს რა ამ ხოზოს, აფხაზი სთხოვს დიდთა ღმერთთა, ოჯახის მომატებას, იმის უვნებლად დაცვას, რომ ასე იყვნენ ქალები, რძლები, მათ შორის დედა, ანუ დედამთილი იდგეს და გრიალ-გრიალით ცეხვდნენ. გლეხნი თავისთვის ისურვებდნენ ამას, ხოლო კეთილშობილნი თავისის ყმებისათვის.

ფუტკრის სალოცავი

რგვალ ყველიანს პურს, ხაჭაპურს აცხობენ, შედიან და ულოცავენ ფუთკარს ანანაგუნდას სახელის ხსენებით. შემოდიან მერე შინ და სჭამენ პურს, მაგრამ ისე კი, რომ ერთმანეთი არ დაინახონ: ერთს ერთის კარისაკენ აქვს პირი მიქცეული და მეორეს მეორისაკენ.

მჯათ

ამ სახელ-წოდების ხსენებით ლოცვა აღსრულდება აღდგომის საღამოს დიდის მრგვალისა და ყველანის ჭადით. ლოცვის გათავებისას მლოცველი აიღებს დანაყილს მარილს, რომელსაც სხვა-და-სხვა ბოსტნეულობა ურევია და მაწონში ჩააგდებს, პატარა ტყემლის ჯოხსაც ჩაჰყოფს და ამბობს: „დღეის შემდეგ არ ეყოფა არ ვზომავ, ახალი რძე და ყველი უშვი“. ამ დღეიდამ რძესა და ყველსა ხმარობენ მოთხოვნილებისამებრ სხვა და სხვა გვარად. ამ დრომდის კი ახალს მწვანილს არ ურევენ რძეში, რომ ამით მეწველს საქონელს რძე არ შემოაკლდეს.

ქფათ ოქვნაშ

შაბათს, ახალ ანუ თომას კვირიაკის წინა დღით (ანუ ნააღდგომევს ერთ-ერთს შაბათს) აფხაზი ლოცულობს ქფათის სახელობაზე (საჭიროა შესაწირავი ყველი, მჭადი, ზედაშე ღვინო, სანთელ-საკმელი და სხ.) საერთოდ მთელის ჯალაბობის, სახლობის საღად და უვნებლად (უფრო ციებისაგან) დაცვისათვის. ამ სალოცავისათვის მომზადებულს საჭმელს მარტო ოჯახის წევრნი სჭამენ. ხალხში თქმულებაა: „აღდგომასავით ჩვენს მოკეთეს მოუვიდეს, ქფათასავით შენს მტერსაო“, რადგან აღდგომის საჭმელი არავის არ აღეკრძალება და, მაშასადამე, შესაძლოა უკეთ მოლხენა, ხოლო ქფათის დღეს-კი ეს არ შეიძლება. ქფათის სახელზე ლოცვის აღსრულების სწორს, კიდევ შაბათს დღეს, თითქმის იმავე წესითა და ხორაგეულობით ლოცულობენ ,,ქვანაშ''-ას სახელით, რომელსაც აგრეთვე საერთოდ ევედრებიან ოჯახისათვის... აქ და ზემოდ მეცამეტე სალოცავში მოხსენებული «ქფათ», «ქვანაშ», და მჯათ-ის შესახებ ამ დროებით მეტს ვერას ვიტყვით. ქფათ და მჯათ მამაკაცის სახელებია ეხლა.

კიდევ საქონლის სალოცავები

წვრილს ოთხ-ფეხს საქონელს, მთისკენ გარეკის წინად, შაბათ დღეს, ულოცავენ „ჩემი ექვათი“ და ციკნითა გარეულების, ე.ი. მკვდრების სახელზე! ამავე დღეს საღამოთი რძის ქაშით ულოცავენ აითარის სახელითა. ამ ქაშს პირველად ქალს აჭმევენ, იქნება ძროხებმა საფურე ხბორები მოიგონო... მეორე დღეს მამაკაცნი მიდიან ტყეში, სადაც აკეთებენ პატარა კარავს, რომელზედაც დააწყობენ საჭირო ხორაგეულობას. გვერდზე იქვე მიწაში ჩასობილ და ჩანგალივით სამ-კბილიან ჯოხის წვერზე მოაცმენ თითო-თითო მრგვალ ნედლ ყველს და ამის შემდეგ უფროსი ულოცავს პირუტყვს მეხის (აფუ) სახელით, რომელსაც (სალოცავს) აფხაზი უბრალო ლაპარაკში, შიშისა გამო, ზევითს, ზევითურს უწოდებს. აქ მოყვანილს ქათამს ზოგი ბიბილოს მოსჭრის და ცოცხალს ტყეში გაუშვებს, ზოგიც გაატყავებს და ისე ჩამოჰკიდებს იქ. მთაზე ასულნი მწყემსნი ულოცავენ საქონელს აგრეთვე მთის ზედამხედველ მეხის სახელობაზე. ყველა ამ სალოცავებში, გარდა ჩვეულებრივის ლოცვისა, აფხაზნი ევედრებიან მთიდამ უვნებლად და მშვიდობიანად ჩამოგვიყვანეო.

ანანჰა

15 აგვისტოს, ანუ მარიამობას აფხაზი უწოდებს ანანჰას, აფხაზურის ენის არა მცოდნეც ჰხედავს, რომ ერთი ნაწილი ამ სიტყვისა ხმაურობს მსგავსად ნანა და მართლაც ეს სიტყვა შემდგარია სიტყვათაგან: ანან, ნანა და ნჰარა ლოცვა; ანანჰა-ნანას სახელობაზე ლოცვა, ნანას დღესასწაულია. თუ ჩვენ გვეცოდინება ეს ჩვენ დრომდინა დარჩენილი სალოცავი,

რომელსაც აფხაზი აღასრულებს ამ დღეს, მაშინ უკეთ მიხვდებით ამ სახელწოდების მნიშვნელობას სახლის უფროსი დედაკაცი აიღებს გამომცხვარს ჭადს, ზედ ერთს ვერცხლის ფულს, ეგრედ წოდებულს (ანან ლ ფარა) „ნანას ფულს დასდებს, შედის ბოსტანში და ჩერდება კიტრის ძირთან: სამს კიტრის ფოთოლს ჭადს ქვეშ ამოსდებს, სამს ზევით მოაფარებს და სამს თავზე დაიდებს. მოკიდებულს სანთელს კიტრისავე ღერს მიაწებებს, ხოლო თვითონ ჯერ საკმეველით ხელში ლოცულობს: „დედანო გამჩენნო! შვილების სიმწარეს ნუ მიჩვენებ, მათთვის გაბდღვნილად კუთხეში ნუ დამსვამ, მათს სიკეთეს დამასწარი“.

სადამბადებლო აშაცანჰა

დამბადებლების, ანუ გამჩენ-გამომსახავთა სახელზე ლოცულობს მარტო დედაკაცი, თვითოეულ ამათგანს ჰყავს ამისათვის ყურმოჭრილი ძროხა. ამ ძროხის ხბოით ანუ იმ წელს, როცა საფურე ხბოს მოიგებს ძროხა, ორის ყვერულით ულოცავს გარეშე წმინდათ დედაკაცი და შესთხოვთ გამჩენ-გამომსახავებს ქალისა, იმისის ქმრისა და მთელ იმის ოჯახისათვის. ეს ზემორე მოხსენებულ სალოცავთან (ნანას სალოცავი) არის შეერთებული და ამიტომ ყველა იმისთვის საჭირო საგნები საჭიროა ამ უკანასკნელისათვისაც: ოთხი კვერი, მამალი, „ნანას ფული“ (დამბადებლების შანა ფული კისერზე აბია ყოვლ დედაკაცსა).

თმაზე სალოცავი

შუა დიდ მარხვაში იცოდნენ თმის ლოცვა: მთელის სოფლის ქალები შეიკრიბებოდნენ, აკეთებდნენ მრავალს ხოზოს და მიჰქონდათ წყლის პირას. აქ წმინდა დედაკაცი ქალებს მიაზომებდა მსხვილს და გრძელს და ამბობდა: „ამ სიგრძე, ამ სიმსხოო“, იგულისხმე: თმა. ესეთი სათხოვარი ქალებისა მიმართული იყო წყლის დედის მიმართ. * იხ. „ივერია“ № 183. **) ელიაფშ - ელია+აფშ - ელია წითელი. ***) ყველა სახელნი არსებითნი აფხაზურს ენაში იწყებიან ხმითა ა, რომელიც სიტყვის კავშირში უფრო ხშირად გამოვარდება.****) კიდევ ჭირნახულის სალოცავი და ანაფანაგას სახელით იცოდნენ შემოდგომაზე, როდესაც პირველად შინ შემოჰქონდათ ღომის ძნა, ყანის სალოცავი კიდევ - გარდა იმისა, რომ მარიამობის მარხვაში ჯვარს ააყენებენ, წმინდა სანთელს სიმინდსა და ლობიოს მიაწებებენ ავ სულთა ვნების ასაცილებლად - იციან კიდევ მარიამობას დიდის ჭადით ჯაჯას სახელით. ეს ჯაჯა ყანის ბოროტი, მავნე ღმერთია მდედრობითის სქესისა და მიუმზიდველის სახისა; დაბალია, გაბერილი და საზარელის შეხედულობისაა (დღაღაძა), ჯაჯა ყანაში შედის და, სადაც უნდა, იძახის: „ნაცვის, ნაცვის - ნეკი, ნეკი!“ ე.ი. სიმინდის ტარონე კისტოლა. ამ დროს ამის გამგონე გულადი კაცი რომ გამოეკიდოს იარაღით ხელში, ჯაჯა გაიქცევა, თუ ამ სიტყვებს მიაძახებს: „რაკი ძაკი, რაკი ძაკი“ — წყრთა და მტკაველი, წყრთა და მტკაველი“. /პ. გიორგიძე/. (შემდეგი იქნება). (ივერია, N184, 1888 წელი);

ფელეტონი
აფხაზეთი და აფხაზნი*)
ყურის სალოცავი
(აჰსა რ ლმჰა იკლოუ - ქალების ყურზე ჩამობმული)

მუხლების კვეთა, უხასიათობა და საზოგადოდ სისუსტე, თუ ავადმყოფს ყურსა და თვალში ელანდება ხშირად ცეცხლის ალი, ანუ ტალკვესის გაკვრა, ეს ბრალისაგან არის და ეს ბრალი, აფხაზის აზრით, „ფრიად მძიმე რამ არის“. ამ შემთხვევაში ავადმყოფს შემოავლებენ ღილს, რომელსაც შემდეგ საყურესავით ყურზე ჩამოჰკიდებენ და აქედამაა წარმომდგარი ამ

სალოცავის აფხაზური სახელწოდება. თვით ლოცვის დროს წმინდა, უმანკო ქალს მიჰყავს ავადმყოფი თხილის ძირს. შვიდს თხილის ჯოხს მიწაში ჩაარჭობს და თვითოეულს თითო ღერს სანთელს მიაკრავს, აანთებს და ჯოხებშუა ავადმყოფს დააჩოქებს და ისე ულოცავს. შესაწირავად აქვსთ მრგვალი პური, ამ ლოცვის დროს ახსენებენ კლდე-კლდე მოსიარულე ჰანიფას ახრა-ახრა ინყვოო ჰანიფა, (ჰანიფა აფხაზურად დედაკაცის სახელია). ეს სალოცავი უკეთესია აღასრულონ საქონლის მთისკენ გარეკის დროს, ვინაიდგან იგი „კლდე-კლდე მოსიარულე ჰანიფა“, რომელსაც დაჭერილი ჰყავს ავადმყოფი, ამ დროს საქონელს მთაზე აჰყვება. შემოდგომაზე საქონლის ჩამორეკის დროს რომ ულოცონ, მთიდამ ჩამოსული ჰანიფა იქნება ხელმეორედ შეეყაროს ავადმყოფს.

საღმრთო და ზევითური, ანუ მეხის სალოცავი

ყველა ავადმყოფობათა შორის, რომელნიც, აფხაზის აზრით, გამოწვეულნი არიან სხვა-და-სხვა ზეგარდმო მიზეზითა და ბრალით, ანუ სხვა-და-სხვა კეთილი და მავნე-მომქმედ არსებათა მიერ, ჩვენ შეგვიძლიან დავასახელოთ ის ავადმყოფობა, რომელსაც აფხაზი რაცხს შედეგად ღვთის „მიზეზისა“, ან ბრალისა. ამ ავადმყოფობის ნიშნები არის შემდეგი. ავადმყოფი ძალიან შეწუხებულია, ტემპერატურა ჩქარ-ჩქარა ეცვლება, ხან მატულობს, ხან კლებულობს და ამისდაგვარად ხან „ცივს“, ხან ცხელს ოფლს ასხამს; ხან ბნედა ერევა და თითქოს კვდება, მაგრამ უცებ ისეთი ძალ-ღონე შემოუვა, რომ კედელს (ფაცხისას) ამტვრევს, ჭერისაკენა ხტება. ერთის სიტყვით, რამდენიმე კაცი ვერ იმაგრებს ლოგინზე; ხშირად ხელი, ან ფეხი მოუკრუნჩხდება და ასე უშეშდება, უძრავად ურჩება, თვალები გადმოუტრიალდება და სხ... უფრო საყურადღებოა იმისი სულიერი მდგომარეობა: ავადმყოფი, რომელმაც თავისს დღეში არა იცოდა რა მღერის, იწყებს მშვენიერს სიმღერასა და ლოცვას. შესანიშნავი ის არის, რომ იგი თავისის სახელით-კი არა ლაპარაკობს, არამედ ისე, თითქოს სხვა ვინმე დაბუდებული და მოთავსებულ იყოს იმისს გვამში: „მე თქვენს ავადმყოფს სულს ამოვუღებ, თუ ამას და ამას არ იზამთო“. ასე ლაპარაკობს იგი არა ერთხელ, არამედ თითქმის მუდამ და დაჟინებით. ხან მუქარით მიჰმართავს ვისმეს და მაშინ ესეც იმ გვარადვე ავად გახდება. ასე აქვსთ წარმოდგენილი ეს ავადმყოფობა აფხაზებს და ასეც არის: მრავალი მაგალითი გაგვიგონია ამისი და ჩვენ თვითონ ვყოფილვართ რამდენსამე შემთხვევაში. ეს ავადმყოფობა შესანიშნავია როგორც ფიზიოლოგიურად, ისე ფსიხიურადაც და აფხაზებს შორის აფხაზისავე საშუალება ხშირად უკეთ შველის მას, ვიდრე ნამდვილი საექიმო შემწეობა და ღონისძიება. საქმე ის არის, რომ როდესაც ადამიანი წვება ლოგინში რამე ავადმყოფობის გამო, სანამ მისი სენი ჯერ არ გამწვავებულა, იგი, რასაკვირველია, ჰფიქრობს თავისი ავადმყოფობის მიზეზზე. აქ ცხადია, შესაძლოა აფხაზი წააწყდეს აზრს: იქნება ავად ვიყო ზეგარდმო „ბრალისა, ანუ მიზეზისა“ გამო, ვინაიდგან იგი პატარაობიდამვე მტკიცედ დარწმუნებულია, რომ კაცი ავადა ხდება ამ გვარადაც და ამ ავადმყოფობის ხასიათი და ვითარება მან დაწვრილებით იცის. რაკი ავადმყოფი ერთხელვე დაიწყებს ფიქრს, რომ მე ავად ვყოფილვარ ღმერთთა მიზეზითაო, ანუ „ღმერთთა ბრალმა“ მავნოო და ამ ავადმყოფობის ნიშნებს წარმოიდგენს, რაკი ესეთი აზრი დაიწყებს ავადმყოფის თავში ტრიალსა, იგი ცრუ და მოშლილის მოსაზრების შემწეობით თანდათან იზრდება, მატულობს და ბოლოს შესაძლოა მიიყვანოს კაცი იმ გვარ თავ-თავიწყებამდე რომ დააძინოს ლაპარაკი, ცეკვა, სიმღერა და სხვ. აფხაზების შეხედულობით-კი ეს ავადმყოფობა, როგორც ზევითა ვსთქვით, არის ნამდვილი შედეგი ღმერთთა „ბრალისა“ და რისხვისა (ანცა რ მზზ): თვით ღმერთიაო **) (ან ღმ-ნი) მოთავსებული ავადმყოფი მინდა რაღაც დანაშაულობისათვის თხოულობს დაკმაყოფილებასა და იმუქრება იმსხვერპლოს არა ერთი და ორი, არამედ მთელი სახლობაცა. ნამდვილად დარწმუნებული, რომ ღმერთი იმყოფება ავადმყოფში, აფხაზი, როცა ჰკითხავენ ამ სახით; რით არიან ავად იმ სახლობაშიო?“ პასუხს იძლევა:

„ღმერთი სტუმრად ჰყავსთო“ (ანცა დრთოუპ). მკითხავი, ანუ უკეთ „მელობიე“ ლობიოს მარცვლების გადაყრ-მოყრის შემდეგ კვერს უკრავს და უხსნის ჭირისუფლებს, თუ რის გამო შებრძანებულა ღმერთი და რა გვარის ლოცვით შეუძლიანთ თავი გამოიხსნან სიკვდილისაგან. იმ დროიდამ, როდესაც ავადმყოფობა აღიარებულ იქმნება შედეგად ღვთის ბრალისა, იმ სახლში, სადაც ავადმყოფია, ყოველგვარი მწუხარება მხიარულებად იქცევა, რადგან, აშკარაა, იქ, სადაც ღმერთი იმყოფება, მხიარულება მართებს კაცსა და არა ურვა-მწუხარება, ახალგაზდანი მთელის სოფლიდგან იკრიბებიან და სახლში, სადაც მომაკვდავი ადამიანი წევს, იმართება ცეკვა-სიმღერა. ამ შემთხვევისათვის სიმღერაც არის, რომელსაც სხვა დროს კრძალვისა და შიშის გამო ვერ იტყვიან ხოლმე. არა თუ სიმღერაში, როგორც ზემოდაც იყო აღნიშნული, არამედ ცეკვაშიაც ავადმყოფიცა ღებულობს ზოგჯერ მონაწილეობას. ამასობაში მეორეს მხრით მზადება მიდის ჩვეულებისამებრ და მკითხავისაგან ნაჩვენების წესზე სალოცავის ასასრულებლად. საქმე მთელს გვაროვნობას შეეხება, ლოცვა უსათუოდ კვირა დღეს უნდა აღასრულონ გარდა ორის შესაწირავის საკლავისა, რომელთაგან ერთი კრავი, ანუ ვერძია, მეორე თიკანი, ანუ ვაცი, საჭიროა ორი ღვეძილი პური და ორი ღერი წმინდა სანთელი (ვერძი, ერთი პური და ერთი სანთელი ღვთის სახელზე და ვაცი, ერთი პური და ერთი სანთელი მიქელ-გაბრიელის სახელზე), მოხარშული ხოზოები; ერთი კიდევ პატარა სპილენძის ქვაბი და პაწაწინა (რკინის) ჩამოსაკიდებელი ნაჭა. უკანასკნელი ორი ნივთი მხოლოდ ამ დღეს იხმარება, სხვა დროს წმინდათა აქვსთ შენახული. ყველა ჩამოთვლილი ნივთები და სხვა საჭირო ხორაგეულობა ცოტად სახლზე დაშორებით, ტყიან ალაგას გააქვსთ, სადაც წმინდა მოხუცი, მარჯვნივ მობრუნებისა და შესაფერის ლოცვის წარმოთქმის შემდეგ, ჰკლავს საკლავებს, რომელსაც იქვე ხარშავენ. აქვე მიწაში ჩაარჭობენ ოთხს კავებიანს ჯოხებს, ამაზე გასდებენ ორს ხარიხას, რომლებზედაც გარდი-გარდმო გადაჰყრიან ჯოხებს და სულ ზევით მოაყრიან ფოთლებს. ამ არა-ხელოვნურს ტაბლას გადააფარებენ მიტკალს და იმაზე დააწყობენ ყველა შესაწირავს. აქვე ჩამოჰკიდებენ ნაჭას და იმაზე პაწაწინა „საღმრთო ქვაბს“. ამ სახით, როცა ყოველივე მზადაა, მოჰყავთ ავადმყოფი და აყენებენ ამ ტაბლას წინ, გვერდით მიუდგებიან იმისი გვარის წარმომადგენელნი (მხოლოდ ქალები კი ვერ მიეკარებიან ამ წმინდა ალაგს), ხოლო წმინდა მოხუცი აიღებს სანთელს და ამბობს: „დიდო ღმერთო! დღევანდელი მლოცველი, როგორც რიგია და მკითხავის ნათქვამის თანახმად, წარმოსდგა შენს წინაშე, მოიტანა მშვენიერი საკლავები, პურები... შეიწყალე, შეიბრალე იგი, თუ რამ შეგცოდა, აპატიე, გთხოვ დღეის იქით დაეხსნა მას, უშვა იგი და განათავისუფლო გახსნილის ნასკვის მაგვარად“. სანთელს გადაავლებს, მოუკიდებს და იქ მიანებებს. შემდეგ მეორე სანთლით მიჰმართავს აგრეთვე მიქელ-გაბრიელს. ლოცვის ცერემონიათა შესრულების შემდეგ ავადმყოფი, „მოყვანილი საკაცითა, მარტოდ მარტო მიდის შინ“, დანარჩენი-კი იქვე სადილობენ და შემდეგ სიმღერა-ცეკვით დროს ატარებენ. საღამოზე იშლება ხალხი და დანარჩენ საჭმელსა და ტყავს აქ ხეზე სტოვებენ. ამ „ბრალისა გამო“ აფხაზი ვალად იდებს რომლისამე დღის წმინდად დაცვას, ანუ უქმებას. ამ დღეს, სხვას თავი რომ დავანებოთ, სახლსაც კი არა ჰგვიან. გარეშე კაცს არას გასაჭირში ამ დღეს მუქთად, სანათხოვროდ, თუნდ საფასოდაც იყოს, არარას აძლევენ. მარტო აწერილის წესით სალოცავ შესაწირავით ვერ გაისტუმრებს აფხაზი ღმერთს, არამედ ყოველ წლობით უნდა გაიმეორონ ლოცვა, რომ წლის განმავლობაში რაიმე შეცდომით არ შერისხონ ზენა. ამ ყოველ წლობით განმეორებითს ლოცვას იმ გვარადვე ასრულებენ, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ზოგიერთნი თიკნითა და კრავით კმაყოფილდებიან, ანუ კიდევ უსისხლო შესაწირავითაც. გარდა მოხსენებულის ავადმყოფობისა არის კიდევ სხვა მიზეზი, რის გამოც აფხაზი კისრულობს ყოველ წლობითს ამ გვარს სალოცავს და ყოველ კვირა თითო დღის უქმობას. ეს მიზეზი არის მეხის დაცემა, რასაც იგი თითქმის მომეტებულის შიშით შეჰყურებს, როდესაც მეხი მოხვდება აფხაზის ქონებას: სახლს, პირუტყვს, ხეს, ანუ მამულს, აფხაზი ამას სთვლის მეხის რისხვად და ამიტომ მაშინათვე მიჰმართავს მკითხავს; ეკითხება, რა მიზეზია და როგორ უნდა მოვიქცეო. მკითხავიც დაუნიშნავს ლოცვას და დღის

დაცვას. წესი ლოცვისა თითქმის ერთი და იგივეა, როგორც პირველს სალოცავში, იმ განსხვავებით, რომ აქ ევედრებიან პირდაპირ მეხს. საქონელი, რომელსაც მეხი მოხვდება, აფხაზის რწმენით, ისე მძიმეა, რომ ათასი კაციც ვერ დაანძრევს ადგილიდგან. მაგრამ ასეთს საქონელს ფერხულით თუ ირგვლივ შემოუარეს და იმღერეს ერთი სიმღერა, რომელსაც ,,ატლარჩოუფას'' სიმღერას უწოდებენ, მაშინ ჩვეულებრივის სიადვილით ასწევენ საქონელს. როგორც ,,საღმრთო ბრალის'' ავადმყოფობის დროს, ისე აქაც მწუხარება და ტირილი აღარ შეიძლება. თუ თვითონ ადამიანი იმსხვერპლა მეხმა, იმას არ დასტირიან და არა ჰმარხავენ მიწაში, არამედ მოხსენებულის სიმღერითა და ცეკვით ააქვსთ მაღლა ხის წვერზე და იქ სტოვებენ, თითქოს ამით უნდათ ისევ ზეციდამ ჩამომავალს მეხს კი დაუახლოვონ,***) ზემოდ ნათქვამიდამ გამოდის, რომ ისეთ გვარსა, ანუ ოჯახში, სადაც ემართათ „საღმრთო“, ანუ მეხის სალოცავი, კვლავ გამოჩნდა „საღმრთო“ მიზეზით ავადმყოფობა, ანუ მოხვდა მეხი ვისმე, ანუ რასმე, მაშინ მკითხავი იმ მოსაზრებით, რომ დღე შეგიშლიათო, ანუ რამე უწესოებით შეურაცხგიყვიათ სალოცავიო, უნიშნავს ახლად სალოცავს და ახალს კიდევ სხვა დღეს საუქმებლად. ამიტომ ჩვენ ვხედავთ აფხაზებში არა ერთსა და ორს გვარსა, ანუ ოჯახს, მაინც, რომელნიც ყოველ კვირა ორ-ორს დღეს ინახავენ და უსაქმოდ ატარებენ. *) იხ. „ივერია“ 184. **) აქ იგულისხმება არა ჭეშმარიტი ღმერთი, არამედ წარმართული კეთილი, ანუ ბოროტი, თუმცა ლოცვაში იხსენებენ ღმერთს და მერე მიქეილ და გაბრიელ მთავარანგელოზთა, მაგრამ ეს ქრისტიანობის ზედმოქმედობაა. თვით სახელწოდება (ანცა რ მზზ), როგორც ზევით გავარჩიეთ, პირდაპირ დედათა (ღმერთთა) მიზეზი, ბრალია. ამიტომ აარომ მეცღმერთს განურჩევლად ვხმარობ ხანმრავლობითად, ხანმხოლოობითში.***) ამ მოკლე დროში იყო ასეთი შემთხვევა. ტიროდნენ და ასაფლავებდნენ მიცვალებულს. მეხმა მოჰკლა იქვე მახლობლივ ორი ხარი. უცებ ტირილი ცეკვადა და მოხსენებული ატლარჩოუფას სიმღერად შეიცვალა. ეს ხარები მაღლა ხეზე შესდეს და შემდეგ მკვდარი დაასაფლავეს დაუტირებლად... /პ. გიორგიძე/. (დასასრული იქნება). (ივერია, N185, 1888 წელი);

ფელეტონი
აფხაზეთი და აფხაზნი*)
მჭედლისა და სამჭედლოს მნიშვნელობა აფხაზებში

თავისს სიყმაწვილეში კაცობრიობა სად გაკვირვებითა და გაოცებით შესცქერის ზოგიერთ ხელოვნურად ნაწარმოებს საგნებს, ამიტომ ის კაცი, რომელიც ამგვარ საგნებს აკეთებს, იმისი შეხედულობით არა ჩვეულებრივი კაცია, მაგალითად, მექოთნე, რომელიც თავისს უბრალო მაშინით უფორმო და უხაზო ნივთეულობას აძლევს მშვენიერს ფორმას. უძველესს დროს ძველნი ეგვიპტელნი ღმერთთაგანს გამოჰხატავდნენ ხოლმე მეჭურჭლის სახით, რომელიც თავისს დაზგაზე ადამიანს აძლევს აგებულობის სახეს. ამ მხრივ ხელობა მჭედლისა, რომელიც ადნობს მაგარს ლითონსა და ჰჭედავს და აკეთებს სხვა-და-სხვა სასარგებლო ნივთებსა და იარაღებს, პირველყოფილ კაცობრიობის წარმოდგენაში უფრო გასაოცარი უნდა ყოფილიყო. თვით ეს ხელობა მჭედლისა, როგორც ერთ-ხმად გვიჩვენებენ უძველესნი თქმულებანი სხვა-და-სხვა ხალხისა, გამოგონილია და იმას პირველად მისდევდნენ უზენაესნი არსებანი. შემდეგ, როდესაც ადამიანმაც ხელი მიჰყო ამ ხელობას, ძნელად წარმოსადგენი იყო პირვანდელის კაცისათვის, რომ ადამიანს შეძლება ჰქონოდეს მჭედლობა გაეწია თვალთმაქცურ და მზაკვრულ საშუალებათა უმეოხოდ. აქედამ ბევრ ხალხთა თქმულებაში მჭედლის ეპიტეტს შეადგენს მზაკვარი, ცბიერი, ცრუ და სხ.**). რაკი მჭედლობა უპირატესი ხარისხია ადამიანის ხელობისა, რაკი ამ ხელობისათვის საჭიროა მზაკვრობა და მისნობა, ცხადია, მჭედელი სხვა საქმეებშიაც უნდა იყოს ოსტატი. მართლაც, არა თუ შეუძლიან იმას ავადმყოფის გადაკეთება, მორჩენა, არამედ იგი გამოსცდილი და დახელოვნებულია სიმღერა-ცეკვასა და პოეზიაშიაც. სიტყვები მჭედელი, ჭედვა ხშირად

იხმარება მელექსეების შესახებ, როგორც გერმანულში, ხოლო დაცინვის კილოთი-კი არა. რაკი ცნება მჭედელი შეიცავს მხატვრობას, რაკი ერთხელ მჭედელს შეუძლიან ავადმყოფის მორჩენა, ადვილად წარმოსადგენია, რომ იმასვე შეუძლიან კაცის ავად გახდენაც... ამიტომ მჭედელი, რომელიც აკეთებს მაგარ ნივთიერებისაგან, რკინისაგან მშვენიერს ნივთებს, მჭედელი, რომელიც დახელოვნებულია სიმღერა-ცეკვასა და პოეზიაში, მჭედელი, რომელიც არჩენს და ავად ხდის ადამიანს, აი ასეთი კაცი, რა გასაკვირია, დიდს პატივდებაში რომ იყოს. არა თუ ძველად, არამედ ეხლაც მჭედლები ფინლანდიაში დიდად პატივცემულნი არიან: იმათთან მიაქვსთ არაყი და სხვანი, რომ იმათი გული მოიგონ. დღესაც ამ გვარსავე პატივდებაში არიან მჭედლები აფხაზებში. აფხაზეთში სამჭედლოს და მჭედელსა იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც მორწმუნე ქრისტიანეთათვის საყდარსა და მღვდელს და კიდევ მეტიც. მჭედლობის ხელობის მომგონსა ჰქვიან: შაშა ხე-აჰ-დოუ (შაშა, ხელის (ხელოსნობის) დიდი ბატონი), ანუ შემოკლებით შაშ. შაშაზე, როგორც პირველს მჭედელზე, მოგვითხრობენ აფხაზები, რომ იგი გახურებულს რკინას პირდაპირ ხელით იღებდა, გრდემლის მაგივრად მუხლზე დაიდებდა და ასე სჭედავდაო. სხვა ბევრი არა ვიცით რა ამ შაშაზე, სჩანს-კი, რომ იგი არამარტო მჭედლობისა, არამედ 363 ხელობათა გამჩენი და მფარველია; იგი საშინლად ძლიერი და ფიცხია. იმისის სახელითა ფიცულობენ და სწყევიან ერთმანეთს აფხაზები უბრალო ლაპარაკსა და საქმეებშიაც. თვით სამჭედლო თავისის იარაღებითა და მოწყობილებით არის შაშას ხატი და სხვა არა-რა. ჩვენ გვესმის შემდეგი ფრაზა აფხაზისაგან: „შაშა ბჟ-ნხა იუხარახეიტ - შაშას შვიდმა ხატმა „გებრალოს“ - გავნოს“. მჭედელი, რომელსაც აბარია ესეთი ღვთაებრული ხელობა, სცდილობს წმინდადა და უმანკოდ შეინახოს, თორემ სასჯელი მოელის შაშასაგან. შეცდომათა ასაცილებლად და იმიტომ რომ მამა მუდამ მფარველად და მოკეთედ იყოლიოს, მჭედელი ყოველ წლობით იხდის ხოლმე სალოცავ-საწირავსა ეს სალოცავი სრულდება ასე. ყოველ მჭედელს უმარხია სამჭედლოს ქვევრი, რომელშიაც ყოველწლობით აყენებს ღვინოს. ახალ წლის წინა ღამით ამ სალოცავისათვის ჰკლავენ ვაცს (ანუ ძველადგანვე ქრისტიანები ღორს), აცხობენ ორს მოგრძო ყველიანს პურს, ღვეძილს, ერთს ფართოსა და მრგვალს, და ხოზოებსა. საკლავის გულ-ღვიძლი და ზოგი სხვა ასოები, პურები და სამჭედლოს ჭურიდამ ზედაშედ ერთი ბოთლი ღვინო შეაქვს მჭედელს სამჭედლოში, სადაც იგი რგვალს პურს გრდემლზე დასდებს, ორ ღვეძილებს წინ მხრებზე მიიდებს და ასე მუხლ-მოყრილი შეევედრება შაშას: „შაშა ხე აჰ-დოუ, სამას სამოცდა სამთა ხელობათა გამჩენო!“ და სხ. შემდეგ - თავისს თავისა და საზოგადო ლოცვისა ლოცვით გადაავლებს სამ-სამს „ხოზოს“ თავის ოჯახის თვითოეულ წევრთა და სხვ. სამჭედლოს ანუ შაშა-ბჟას ხატს სამართალში იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც სახარებასა და ცხოველმყოფელ ჯვარს მორწმუნე ქრისტიანეთათვის, ანუ როგორც წმინდა გიორგის ხატს, ისე, როგორც ხატები ერთნაირად ძლიერნი არ არიან (ხალხის წარმოდგენით), ზოგი სამჭედლონიც უფრო ფიცხელნი არიან, ზოგი ნაკლებად. ვისაც ფიცს გაუჩენდნენ თავისს გასამართლებლად, ის ფიცულობდა სამჭედლოში (ფიცის მიღების დროს იტყოდა „ამ ხატის მადლმაო“ და კვერს დაჰკრავდა გრდემლზე). თუმცა კანონით დღეს აკრძალულია, მაინც აფხაზი შინაურულად ეხლაც ხშირად, ფიცულობს სამჭედლოსა და სამჭედლოში. აი მაგალითიც. ვსთქვათ, აფხაზს მოჰპარეს რამე (არა თუ სამჭედურ იარაღების, მჭედლის ქონების მოპარვასაც ვინ გაჰბედავს ადვილად), დამნაშავე იცნო, სამართალში გამოიწვია, მაგრამ, ვსთქვათ, მომხრეთა შემწეობით გაექცა. მაშინ პატრონი დაკარგულისა მიდის მჭედელთან და ამისის სურვილითა და ნება-რთვით (მუქთად ხომ არ იქნება) შედის სამჭედლოში და აქ დასწყევლის და ,,გადასცემს'' ქურდსა: „...ხატო! თუ ძალა გაქვს, ამა-და-ამ კაცმა მომპარა... ეგრე ავად გაჰხადე, ჩემს სახელსა ჰყვიროდეს, ცხვირიდამ სისხლი გასდიოდეს ისე, როგორც ამ სანთელს (აქ იგი შავად შეღებილს წმინდა ჩამოქნილს მოკიდებულს სანთელს თავ-დაღმა გადმოატრიალებს) და მიბრუნებას ნუ მისცემ, მინამ ხატის ხვედრს არ გამოიღებდეს და ჩემსას ორ წილად არ გადამიხდიდეს“. იტყვის ამას და გრდემლზე კვერს დაჰკრავს. რომ უკეთ მოჰხედოს ხატმა, მოწიწებით დაჰკვრის სამჭედლოს,

თუ მამა-კაცია - ყაბალახით, თუ ქალია - თავისის სახურავით. დარწმუნებულია, რომ ადრე თუ გვიან თხოვნა შეუსრულდება და დამშვიდებული ბრუნდება შინ. გავა დრო. დაწყევლილს ოჯახში (ან იმის შვილის, ან შვილის შვილის ოჯახში) გახდება ვინმე ავად სამჭედლოს ნაბრალევ ავადმყოფობით: ცხვირიდამ სისხლის დენა, პირითა ბერვა, ანუ ხელების წევა წინ და უკან რიგ-რიგად ემართება, თითქოს მედლის საბერველს ეწეოდესო და სხ. ასე აგვიწერს აფხაზების ფანტაზია ამ ავადმყოფობას. ჭირისუფლები მაშინვე მიჰმართვენ მკითხავს, რომელიც უმტკიცებს, რომ სამჭედლოს მიზეზიაო და ათასნაირის ხერხით გამოიკითხავს. შემდეგ დაუსახელებს იმ კაცს, რომელსაც დაუწყევლია. ეს კაცი უნდა დააკმაყოფილონ იმისის სურვილისა და მკითხავის რჩევის თანახმად. შემდეგ კი ან მაშინვე და ან ავადმყოფის მობრუნებისთანავე, ავადმყოფი იმ მჭედელს უნდა დაალოცვინონ, რომლის სამჭედლოშიაც იქმნა დაწყევლილი. ამისათვის საჭიროა ავადმყოფმა მიიყვანოს ორი საკლავი ვაცი მკითხავის მიერ დანიშნულის წლოვანებისა. ერთი საკლავი მჭედელსა რჩება, მეორე-კი იკვლება. მოხარშულის საკლავის ასოები და სხვა საჭირო ხორაგი შემოაქვთ სამჭედლოში, სადაც შემოდის მლოცველიც. აქ მჭედელი წესისამებრ მიჰმართავს თხოვნით შაშას და სთხოვს ავადმყოფის მობრუნებასა და განთავისუფლებას და ბოლოს ზურგზე ხელის წასმითა და აზატის მიცემით გამოუშვებს. მჭედელს „დალოცვის ფასად'' ეძლევა რამდენიმე მანეთი და კიდევ ცალკე ფული შიგ სამჭედლოს მოსახმარებლად. ზოგიერთი დაწყევლილი და გადაცემული კაცი ხშირად ერთის ლოცვით ვერ თავისუფლდება სამჭედლოს ხატისაგან და მჭედლის ბეგარისაგან. საქმე ის არის, რომ იგი ვალდებულია ყოველ წელიწადს, სამჭედლოს სალოცავის დღეს, ე.ი. ახალწლის წინა ღამეს მოვიდეს იმავ მჭედელთან, მოიყვანოს თითო მამალი და სხ. და თავი დაალოცვინოს. ეს კაცი იწოდება ამ სამჭედლოს ქვეშე-მლოცველად, იმას ცალკე თავისს სახლში არა ჰმართებს და არც შეუძლიან სამჭედლოს სალოცავი, მხოლოდ-კი ვალდებულია მოხსენებულის სახით ილოცოს იმ სამჭედლოში. აუსრულებლობის გამო ამისა მჭედელი დასწყევლის და „ხატიც“ გადაეკიდება. აქედამ თვითოეულს სამჭედლოს მრავალი სხვა-და-სხვა გვარისა და სოფლის ქვეშე-მლოცველი ჰყავს და, მაშასადამე, თვითოეულ მჭედლისას ახალის წლის წინა ღამეს მრავალი მამალი დაიკვლის. თუ ვისმე ძლიერ გაუჯავრდა და „ებრალა“ სამჭედლო, მაშინ იგი მარტო ხსენებულის ლოცვითა და მსხვერპლით ვერ დაიხსნის თავს შაშას რისხვისაგან: საჭიროა მჭედელს გირაოდ, მოსამსახურედ შვილი დაუყენოს. თუ ეს ვერ მოხდა მცირე წლოვანებისა, ან სხვა რამ მიზეზის გამო, ამ შემთხვევაში ყმაწვილს თმას შეუწვავენ და პირობას სდებენ, რომ, რაკი იგი წამოიზრდება, შაშას მოსამსახურედ წარუდგინონ. ამ გვარს ყმაწვილს შეუძლიან ამ პირობას გადაუხვიოს, რასაკვირველია, მკითხავის დარიგებით, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ თავისი შვილი მაინც მჭედლად (შაშას წინ მოსამსახურედ) უსათუოდ გაგზავნოს. თუ ეს პირობა დროთა ვითარების გამო დავიწყებულ იქმნა, შესაძლოა, აფხაზების აზრით, მთელი იგი სახლობა სრულიად ამოსწყდეს. სამჭედლოს ხატის წინ მოსამსახურედ დაყენებულმა კაცმა, ანუ უბრალო შეგირდმა მჭედლისამ უნდა ისწავლოს ხელობა. სწავლის შესრულების შემდეგ მშობლებმა უნდა ამოიხსნან დაგირავებული შვილი. ამისათვის საჭიროა მოუტანონ კარგი შესაწირავი სამჭედური ხატი და დიდ-ძალი საჩუქარი მჭედელს. განთავისუფლების, დალოცვისა და აზატის მიცემის დროს მჭედელი თავისს ნაშეგირდალს გაატანს თითო ხელს სამჭედურს იარაღს. ახალი მჭედელი ამის შემდეგ თავისას გაჰმართავს სამჭედლოს და თითონაც მეხატური ხდება. მიბარებულმა, რომ ვერა ისწავლოს რა მჭედლის ხელოსნობისა, რაიცა უფრო ხშირადა ხდება, რადგან მჭედელი-ოსტატი იმდენად შეგირდის გამოზრდასა და სწავლებას არ დაეძებს, რამდენადაც იმისს სამსახურს, მაინც საკმაო ხნის შემდეგ, თუკი თავის გამოხსნა შეიძლო, თან მიაქვს თითო ხელი ამ სამჭედლოს გამონაყოფი იარაღეულობა (უამისოდ არ იქნება), რომ ცალკე სამჭედლოს, უკეთ სალოცავის, დაარსება შეეძლოს. ამიტომ ჩვენ ვხედავთ აფხაზეთში ბევრს მოსახლეს, რომელთაც ჭედვისა არა იციან-რა და სამჭედლო ყველა იარაღები-კი ცალკე პატარა ფაცხაში წმინდად შენახული აქვსთ, როგორც უბრალო იარაღები კი არა,

არამედ როგორც ხატი, რომლის წინაშე თავთავის დროსა და რიგზე ლოცვებს ასრულებენ და იარაღები მამიდამ შვილზე გადადის, და სხვა მაგრამ ვაი იმ შეგირდს, რომელიც გულ-ნაკლისად თავისის ოსტატის დატოვებას მოინდომებს. მაშინ ოსტატი იარაღს აღარ გაატანს და არც დალოცავს და ამ გვარი წასვლა ხომ სიკეთეს არ მოუტანს. იარაღებიანადაც რომ გაისტუმროს, მაინც ოსტატი, თუ-კი გულში რაიმე ხვანჯი ჩარჩენილი აქვს, თავისს ხატს შეევედრება და გადაჰკიდებს, ავად გახდის და ისევ თავისს ულმობელს კლანჭებში ჩაიგდებს თავისს ნაშეგირდალს. აი ასეთ დიდი მნიშვნელობა აქვს სამჭედლოს და მჭედელს აფხაზებში და ამიტომ ამათი ყველას ეშინიან და ყველა მოწიწებით ეპყრობა. *) იხ. „ივერია“ № 185. **) მჭედელი აფხაზურად არის აჟიი. შეიძლება ეს სიტყვა წარმომდგარია ზმნისაგან აჟარა (ძირი აჟ), მოტყუება, დაღორება და მართლაც, აფხაზებში მჭედლები საზოგადოდ ცრუდ და მომტყუებლებად ითვლებიან. /პ. გიორგიძე/. (ივერია, N186, 1888 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

აფხაზეთში, კოდორის განყოფილებაში, დაბა ოჩემჩირიდგან – 30-40 ვერსზე, სოფელ ტკვარჩელის ხეობაში არსებობს სამკურნალო წყლები, აი რას მოგვითხრობს ადგილობრივი ლეგენდა ამ სამკურნალო წყლებზე: ერთმა დაკოდილმა ყანჩამ აღმოაჩინა ეს უკვდავების წყაროვო, მითხრა მოხუცმა: ძველ დროში ვიღაც მონადირემ დაჰკოდა თოფით ყანჩა. მსხვერპლი ფოფხვით მივიდა და ამ წყაროზე, იბანა შიგ და სასიკვდილოდ გამზადებულმა ყანჩმა სრულიად გასაღებულმა გასწია უდაბურს ტყეში!! გაკვირვებული მონადირე მივიდა თუ არა იმ ალაგას, ნახა რამდენიმე წყარო, რომელიც მოჩანჩქარებდა თვალმიუწვდენელის მთებიდაგნ, მდინარე ღალიძგას ნაპირად. მას აქეთ ეს წყაროებია ჩვენის ყოველ გვარსნეულების მკურნალი. დღეს მართლა აქ ვხედავთ ოთხ გვარს სამკურნალო წყაროს, განსხვავებულს ერთმანეთისაგან სითბოთი და გემოთი. ერთს ამ წყაროზედ ძველად მეფეს გაუშენებია ქვის სახლი, თათრულის არხიტექტურისა, რომელიც მას აქეთ დარჩენილა უცვლელად. ადგილობრივ მცხოვრებლებს ეს წყაროები მიაჩნიათ მკურნალად ყოველი გვარის სენისა და ამიტომაც აქ დაინახავთ ყოველ ზაფხულობით ათასზე მეტს სულს: კაცს, ქალს, მოხუცებულსა და პატარას, შეპყრობილთ სხვა-და-სხვა გვარის სენით. მე თითონ ვნახე ჩემის თვალით, რომ კუტმა, რომელიც დადიოდა ოსების საშუალებით, ერთი კვირის ბანაობის გამო იგრძნო ამდენი თავისუფლება, რომ იწყო სიარული ერთის ჯოხით. ამისთანა მაგალითები ხშირიაო, მითხრებს აქაურებმა. თითონ ჩემზედაც საუცხოოდ იმოქმედა. ამ წლებმა. შარშან აბასთუმანში ღვთის გლახასავით დახუთული ვიყავი ორივე თვეშით, დღეს, ტკვარჩელის სამკურნალო წყლების წყალობით, დავდივარ მაგრადა და მარდად. გზა სოფელ ტკვარჩელიდგან დანიშნულ ალაგამდე სწორედ: ჯოჯოხეთის ვიწრო გზას მოგაგონებთ. პირისპირ უნახველად ძნელი დასაჯერებელია ის ტანჯვა-წვალება და შიში, რა შიშიც მგზავრებს გადახდებათ ხოლმე. ვიწრო გზა, გაყვანილი ადგილობრივის მთიულის მწყემსებისა და ფუტკრის მძებნელებისაგან, მდინარე ღალიძგას ნაპირად, ისეთს მაღლობზე აგიყვანს, რომ იქიდგან გადმოხედვაც ძნელია და, რაც უნდა ვაჟკაცი იყო, მაინც შეკრთები, თავზე თმა აგეშლება შიშით და თვალში სიკვდილი გეხატება; ყოველი გაუფრთხილებელი ნაბიჯი ცხენისა გიქადის უფსკრულში გადავარდნას. ამ ნაირს გზას მგზავრი უნდა ადგეს სამ საათ ნახევრის სავალზე. ღალიძგას პირად, საცა წყაროებია, თვალმიუწვდენელი მთებია შემკული ბზის ტყით. აბანოს შენობა შეადგენს ორს განყოფილებას: პირველი არის ტანსაცმელის გასახდელი, როგორც საზოგადოდ აბანოებშია; მეორე განყოფილებაში არის ერთი აუზი და ამაში ბანაობენ ყველა კაცი და ქალი, რასაკვირველია ცალცალკე. აუზში ჩაეტევა მუხლ მოკეცით ოთხიოდე კაცი, მაგრამ ხშირად შვიდი და რვაც ჩადის, წყალი იმდენია, რამდენიც ხუთის აუზისათვის საკმარისია, მაგრამ აუზი ამ ერთის მეტი

არ არის და აბანო მოკლებულია ჯეროვანს ზრუნვას, როგორც მთავრობისას, აგრეთვე საზოგადოებისასაც. წყლის სითბო დილით დაახლოებით 25-30 გრადუსი არე უნდა იყოს. შუა დღიდგან საღამომდის აკლდება ცოტათი სითბო, სუნი გოგირდისა აქვს. გარდა ამისა, აქვე მახლობლად ხუთ-ექვს საჟენზე არის სხვა სამი წყარო მეტ-ნაკლების სითბოთი და გემოთიც განსხვავებული, მაგრამ ეს წყლები იკარგება უსარგებლოდ უაუზობის გამო და ერთვის ღალიძგას. ერთი ამათგანი საგრძნობლად ცხელია. აბანოს აუზი დღედაღამ სავსეა ავადმყოფებით. თითოეულს უნდა ადგილი იშოვოს წინად, ამ ხანობაში უთანხმოება სდგება, რომელიც ხშირად გადადის ჩხუბზე. წესისა და რიგის დამცველი ვინღა იქნება. კაციც რომ მოიკლას, ვგონებ, მაშინაც ეს საშინელი შემთხვევა უყურადღებოდ დარჩება. ქურდობაც ხშირად ხდება... აქ ჰბოჭავს აბანოს შემოსავალს ფულს კაცის თავზე თითო მანეთს მთელის სეზონის ქირად ვიღაც ადგილობრივი გლეხი კუჭა არშიბაია, შემოკრებს თუ არა ამ ფულს ხსენებული არშიბაია, მერე თავისს საქმეს გათავებულად სთვლის და არაფერს ყურადღებას არ აქცევს აბანოს, ცოტა ზევით აბანოს შენობიდგან პატარა ვაკეზე სდგას სამი ხის შენობა და ათიოდე აფხაზური კაცსა ორი ამათგანი აუშენებია უკანასკნელს მთავარს აფხაზისას მიხეილ შერვაშიძეს და შემდეგ, რუსის მართველობისაგან შეკეთებულია, ეს სახლები ორივე თითო თვალიანია, მაგრამ სრული; ოთხივე კუთხეში შემოკავებულია ტახტებით; ერთს აქვს ბუხარი, ჭერი და იატაკი. მესამე სახლი, ახალი შენობა, ხუთ თვალიანია. ეს სახლი და ფაცხები, გარდა ერთისა თუ ორისა, გაუშენებია აქაურს თავადს შმაფ ანჩაბაძეს. ეს თავადი აბანოში მოსულ ავადმყოფებს ბევრს ახდევინებს სადგურში, თუ სხვა საჭირო მასალაში. ოჩემჩირელს ვაჭარს, ვიღაც ალანიას, წელს დაუპირებია ამ აბანოს იჯარით აღება, რაზედაც შუამდგომლობდა მთავრობასთან, რომელსაც ნებაც დაურთავს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანონიერი შემოწმება აღმოაჩენდა წყლების სამკურნალო თვისებას. ალანიას, თანახმად ამნაირის განკარგულებისა, წაუყვანია თავისის ხარჯით მცოდნე კაცი, რომელსაც შემოწმების შემდეგ წარუდგენია თავისი აზრი, სადაც ჯერ არს. ამ საგანზე ჯერაც არაფერი განკარგულება არ არის. ამ სამკურნალო წყლებს ყოველ წლობით ათას მანეთამდე შემოსავალი აქვს. აქაურობა რომ მოეწყოს, გზა გაკეთდეს და წესიერება ჩამოვარდეს, შემოსავალი ერთი-ორად და ერთი-სამად იმატებს. /მიხეილ ლოლუა/. (ივერია, N190, 1888 წელი);

ახალი ამბავი

დ. ოქუმი (სამურზაყანო): დაბა ოქუმში ორმოცდაათამდე იქმნებოდა გაშენებული ლამაზი ხის დუქანი: 17-ს ივლისს, ღამის 12 საათზე, გაჩნდა ცეცხლი და საათნახევრის განმავლობაში აუარებელი ავლა-დიდება, რამდენისამე წლის ნაშრომ-ნადაგვი, მთლად ერთიანად შთანთქა ცეცხლმა. დარჩა მხოლოდ ოთხი დუქანი, ისიც მჭედლებისა. ერთს ვაჭართაგანს თორმეტ ათას მანეთის საქონელი დაეწვა, რაც კი რამ ჰქონდა, შიგ ჩაეღუპა საწყალს. თუმცა, როგორც ზემოდ ვთქვით, ზარალი ძრიელ დიდი ნახეს მოვაჭრეებმა, მაგრამ მაინც არც ერთი მათგანი არ დაცემულა სულით და იმავე კვირაში მიჰყვეს ხელი ახლად დუქნების აშენებას. სამწუხაროდ, მთავრობამ აღუკრძალა იმ დროებით დუქნების შენება. ბოლოს ბ-ნის ქუთაისის გუბერნატორისაგან მოუვიდათ განკარგულება, რომ დუქნების გაშენება ოქუმის სოფლის საზოგადოების ნებაზე არის დამოკიდებული, რადგანაც დუქნები გაშენებული იყო საზოგადო ადგილზეო. ოქუმის საზოგადოება ერთობ დიდს ქირას თხოულობს წლის თავზე დუქნის დასადგმელ ადგილზე და ამიტომ ვაჭრებმაც განიზრახეს შეისყიდონ „გვიპარა-პიტაში“ ადგილობრივის მეპატრონესაგან რამდენიმე „დესიატინა“ მიწა და ზედ გააშენონ დუქნები. ჯერ-კი გარდაწყვეტილი არა ითქმის-რა, დარჩება ქალაქი ოქუმში, თუ გადავა „გვიპარა-პიტაში“ - მთავრობაზედაც არის საქმე დამოკიდებული. სამურზაყანოს განყოფილების უფროსი, ბ-ნი ბარონ უნგერი, გადაიყვანეს აქედგან და ახლა იმის მაგიერ

ჰმართავს საქმის მწარმოებელი სამურზაყანოს განყოფილებისა. ვისურვებთ, რომ მალე დაენიშნოთ სამურზაყანოს ღირსეული კაცი ადგილზედ.

სამურზაყანოში წელს მოსავალი ნაკლებია შარშანდელზედ. სიმინდზედ ეს არ ითქმის, რადგანაც, თუ მალე სიცივეები არ დაიჭირა, სიმინდს არა უშავს-რა და შარშანდელზედ ნაკლები არ მოვა. მხოლოდ ღვინის ხსენებაც არ იქნება აქეთ. მოგეხსენებათ, რომ აქეთ მხოლოდ ოდესის („იზაბელა“) ვაზია გაშენებული (ადგილობრივი - ძველი ვაზის χიში იშვიათია ეხლა) და ამ ვაზსაც რაღაც დაემართა წელს, „ოდესამ“ ძლიერ იკლო. საზოგადოდ ყველგან და განსაკუთრებით სამურზაყანოში. ახლამდე ოქუმში მუცელა იყო გავრცელებული, მაგრამ ახლა ღვთით შესწყდა - სამაგიეროდ ძლიერ ხშირია ციებ-ცხელება საზოგადოდ ყველა სოფლებში. (ივერია, N192, 1888 წელი);

ახალი ამბავი

სოხუმი: ჩვენსკენ ძლიერი ციებ ცხელება მძვინვარებს; მოსახლე არ არის, რომ ერთხელ მაინც არ აეცახცახებინოს ციებას და ამიტომ ბევრნი ახლად გადმოსულნი მოსახლენი უკანვე ბრუნდებიან თავიანთს ქვეყნებში. (ივერია, N197, 1888 წელი);

აფხაზური ანდაზები

ზოგიერთ ქვემო მოყვანილ ანდაზათაგანი (თუმცა ჩვენ ცალკე შევკრიბეთ ესენიც) დაბეჭდილია ბარტოლომეის რედაქციით გამოსულ აფხაზურ ანბანში და დანარჩენები პირველად იბეჭდება... აფხაზურის ტექსტისათვის ჩვენ ვხმარობთ ქართულს ანბანს, ქართულს ტრანსკრიპციას, რომელიც უეჭველად უხდება და ყველაზე უკედ აკმაყოფილებს საზოგადოდ ყველა კავკასიის ენების ბგერათა: თ, ფ, ქ, ყ, ძ, წ, ჭ, კ, χ, ჰ, უ. ყველა ეს, რომლებიც არც ერთ ევროპის ენაზე ცალკე (და თითქმის ყველა ენებში ერთადაც) არ მოიძებნება, საჭიროა აფხაზურის ენის სხვა-და-სხვა ბგერათა გამოსახატავად და, მაშასადამე, ცხადია ქართული ანბანი უნდა უფრო უხდებოდეს აფხაზურსა.

1, აკამბაშ ახულ აბოონ, აანდა აბოომზტ. კამბეჩი მხალსა ჰხედავდა, ღობეს ვერა.

2, აკუტ იალშოო აკუტაღი ოუპ. ქათმის შესაძლო კვერცხია.

3, აცგუ აფა აჰნაფ აკვოიტ. კატის შვილი თაგვს დაიჭერს.

4, აჟ აშაპ აჰს აშვამ. ძროხის ფეხი ხბოს არ მოჰკლავს.

5, აცგუ, ახვართა ენაზთამლა, აშ ბააუპ აჰოონ. კატა ვერ შესწვდა საყველეს, ყველი მაინც დამპალიაო.

6, თაკვაჟკ ბუ ცუთაკ ლგუხეან, ლა ლგუხეა, აოვ იკმზტ. დედაბერს შვიდი სოფელი (შვიდის სოფლის ფიქრი) აწუხებდა, ხოლო იმისი დარდი-კი არავისა ჰქონდა.

7, ზნკ აჟშა იზზმდრზ ვნტ იდრჟვან, ვინც ერთხელ ვერ მიხვდა სმას, მეორედ დაალევინეს.

8, აოვ ბზია დზნიავა აოვ იფს დიხაჰავოიტ. კარგი კაცი ვისაც შეეყრება, მას კაცის სული შეეძინება.

9, ავ იაშვა გვარა ითახმ, იმალა დკაჰავოიტ. მთვრალს კაცს წაკვრა არ უნდა, თვითონაც დაეცემა.

10, ავ-ძძეიკ რ ბჟარა ახუფჰა დბჟაფსიტ. ორს ძიძას ერთმანეთ შორის გაზრდილი ყმაწვილი შემოაკვდათ.

11, აკ ზგზ იგზ იდრვან, ვბა ზგზ იგზ იზდრამზტ. ერთის ნაკლულევანების მქონე თავისს ნაკლსა ჰგრძნობდა, ორისა-კი ვერა.

12, ალა კეგვა ალაბ-წრ იზქუსვამ. კუდა ძაღლი ცალ ჯოხზე ვერ გაივლის.

13, აძ არ იგუხეან, აძ ამაჟ იგუხეან. ერთს ლაშქარი აწუხებდა, მეორეს მაზვა (სურსათი).

14, ხუსიკა ეგიიჩოვან, ეგიირაპოვან, ხუსიკა „თან სთოხნიდა და თან სტკეპნიდა.

15, აჩ ეზმიაიზ, აკვადრ დასვონ. ცხენს ვინც ვერ მოერია, უნაგირს ამტვრევდა.

16, არ ირგაზ ირგეიტ, იაანხაზ ბაკურა იკაიცეიტ. ლაშქარმა რაც წაასხა — წაასხა. დანარჩენი ბაკურამ გაირეკა.

17, კუმპლ, აჩა ენნწა, აიშა დქუსვან. გუმპლი, როცა პური შემოილია, ნასუფრალს ხელს ავლებდა.

18, აგრვა დეიმრწოო ენალაგა, უფაწა ეიცაყეუპჰა იარჰოვან. მეგრელს რომ სცარცვავდნენ, ეუბნებოდნენ: წვერები მრუდე გაქვს და იმიტომა გცარცვავთო.

19, აფჰს ბზია ლ-ხაწა მგნფა იითახამ. კარგის ქალის ქმარს საგზალი არ უნდა.

20, აოვ დანძშა აჰჰაბჟ იაჰავომ. კაცს თუ დაკარგვა მოელის, ყვირილის ხმა აღარ მოესმის.

21, ანხავ, იძრა ენააილავი, ილაბა კდხნ დცოოიტ, გლეხის დაკარგვა რაკი მოახლოვდება ჯოხს აიღებს და გასწევს.

22, ასს ზპზ ხააზ იაინზგი იაცეიტ, იაინმზგი. ტკბილის ენის მექონე კრავმა დედაც მოსწოვა და არა-დედაც.

23, ეგიზხარამზტ აბგა ხუჭ ალაქვა ირ ფეიტ. უბრალო (უდანაშაულო) მელია ძაღლებმა შესჭამეს. (ივერია, N198, 1888 წელი);

აფხაზური ანდაზები*)

24, აჰ-აჰკვაჟი ენეიმაცგეხა, აჰთაფჰს ახგარა ლოჟიტ. ბატონსა და ქალბატონს შორის უთანხმოება რომ ჩამოვარდა, მოახლე ქალს დაუმსუბუქდა.

25, ატ აბლა ენოუ: აჯმშ, აჯმშ, აჰოვონ. ბუმ თვალი რაკი იშოვა, „წარბი, წარბიო!“ გაიძახოდა.

26, საბ იჩაგა სმაზარ ეგა სჩარნ. მამის თოხითა ბევრს მოვთოხნიდი.

27, ლასს ირმგაზ ათფჰა ლანი ლარეი კეტლა ეისვან. დიდხანს გაუთხოვრად დარჩენილი ქალი და იმისი დედა ჯოხითა სჩხუბობდნენ.

28, ავსთაა ითა რხნ ამცა ეცრაიწოონ. ეშმაკმა როცა თავისი თივა მოსთიბა, ცეცხლს უკიდებდა.

29, ალაბა ყიშ ახ უკრგი ვაყიშვოიტ, აწხვა უკრგი ვაყიშვოიტ. გასვრილის ჯოხის თავიც გაგსვრის და ბოლოც გაგსვრის.

30, აჩ აწხვა უკრ აძ ურნაგოოიტ, ალა წხვა უკრ აძ უთანაჟვოიტ. ცხენის კუდს რომ ხელი მოჰკიდო, წყალს გაგიყვანს და ძაღლის კუდს რომ ხელი მოჰკიდო, წყალში ჩაგაგდებს.

31, აჩ ფსრ ად ათნხოიტ, აოვ დფსრ იაჟა ითნხოოიტ. ცხენი მოკვდეს, მინდორი დარჩეს; კაცი მოკვდეს, სიტყვა დარჩეს.

32, აჰნაფ აკლჰარა ეზკლსვამზტ ამყუბა აუჰჭაჰაონ. თაგვი ხვრელში ვერა ძვრებოდა და მწარე კვახს-კი უკან იბამდა.

33, ამწშ აუჰახი ამცა კნ, აღვარღვალ ახჩჩოვან. გიდელას ბოლოს ცეცხლი მოეკიდა და თავი-კი დასცინოდა.

34, აფსძ, ხლა იუმკრ, წხვალა იუზკვამ. თევზსა, თუ თავით არა, კუდით ვერ დაიჭერ.

35, აშარა ზხლწზ აბლის იოუპ, ახაწარა ზხლწზ დფეჰამბარუპ. შიში წარმოსდგა ეშმაკისაგან, ხოლო ვაჟკაცობა წინასწარმეტყველისაგან.

36, აჟიი ცგე იტ აქუიწეიტ. ავმა მჭედელმა თავისიც დაამატა.

37, ავ ზძოოზ ახ დხრკლეიტ. ღვინის ქურდი თხლეზე დაიჭირეს.

38, შეჟ იგლაზ იჩან ჩაბ იაწაიკიტ. ვინც დილა ადრიან ადგა, იმან თავის ჭაკს ცხენს კვიცი ფაშატი შეჰმატა.

39, აბგა იშნარცოოზ: „ვასკეფ, ვასკეფl აჰოონ, მგელსა მისდევდნენ და იგი: „ცხვრის დუმა, ცხვრის დუმა!“ იძახოდა.

40, აჰკვაჟ ლაფხე ჰაჭსკ ბლიტ. ქალბატონის წინ გოჭი დაიწვა.

41, ვაგა სასრა დუმშთნ. შენს ბრიყვს სტუმრად ნუ გაჰგზავნი.

42, აკუტ აშგა აშაცხბ იწნახიტ. ქათამმა თავისი საკლავი ფეხით გამოსჩხრიკა.

43, აძ იაგოოზ დჩჩონ. წყალ-წაღებული იცინოდა.

44, აძ უთალაანძა უჩ-ხუმტნ. სანამ წყალში არ ჩახვიდე, ტანთ ნუ გაიხდი.

45, ამშ აშთა ზბაზი ახათა ზბაზი ეიმარკვან. ვინც დათვის კვალი ნახა და თავად დათვის მნახველი ერთმანეთს ეცილებოდნენ.

46, აჩ ზტზ იითივან, აჩანხიჩა იივამზტ. პატრონი ჰყიდდა, მაგრამ მეჯინიბე არა შვრებოდა.

47, ხ ფსრგი, აჟა ფსვამ. თავი რომ მოკვდეს, სიტყვა არ მოკვდება.

48, შხა ლბაან ჩ აუმხვან. მთიდამ ჩამოსვლის დროზე ცხენს ნუ იყიდი.

49, აჰა ფსლოუპ, ახა იზფოო-იზმოო ეიყაროუპ. ღორი მსუქანია, მაგრამ მჭამელნი და არა მჭამელნი სწორნი არიან.

50. ალა ხაგა აჩაშ ეიქგუღვოიტ. ბრიყვი ძაღლი ხაჭაპურს ელოდება.

51, ლან ულფშნ ლფჰა დჰა. დედის მიხედვით ქალი შეირთე.

52, აეშა აშა დავზოუპ, აგულა აგუ. ძმა სისხლსა ჰგავს, მეზობელი გულსა.

53, აფსვა ილა ქირა დაჰოვონ. აფხაზი თვალის ქირას თხოულობდა.*) იხ. „ივერია“ №198. (ივერია, N203, 1888 წელი);

დ. ოქუმი

ოქუმსა და საზოგადოდ სამურზაყანოში ძალიან დიდი სიცხეები დაიჭირა, გეგონებათ სექტემბრის დამლევი-კი არა, მაისის ან ივნისის თთვეებიაო. ყველა სამურზაყანოს სოფლებში მეტისმეტად მოდებულია ციებ-ცხელება. ყანების აღება ჯერ თითქმის არ დაუწყიათ. მოსავალი სიმინდისა შარშანდელზე ნაკლები არ იქნება. მხოლოდ ღვინის ხსენება არ არის. თითო კოკა თუ დააყენა მოსახლემ. ქურდობამ ძლიერ შეგვაწუხა. წუხელის ერთის ეზოდგან ოთხი ცხენი გაიყვანეს. ეს დალოცვილი პოლიციაც რაღაცნაირად მიჩუმდა. გასცემს ბრძანებას მამასახლისებზე და საქმეს ამით ათავებს. კარგი იქნებოდა, რომ ზოგჯერ მთავრობის კაცებიც გარჯილიყვნენ და გასულ-გამოსულიყვნენ სოფლებში, რომ იქნება ცოტათი მაინც ფრთა შეჰკვეცოდათ ქურდებს... (ივერია, N206, 1888 წელი);

აფხაზური ანდაზები*)

54, ალგაჟ სჭამთა ზმბატ, საჟრა იმბანდაზ იჰეიტ. ბებერმა სთქვა: ვისაც ჩემი სიახლე არ უნახავს, ნეტავი სიბერეც არ ენახაო.

55, ათაკვაჟ იყუნლშაზ არბალი ილცაგეიტ. დედაბრისაგან დაწუნებული მამალმა წაართო.

56, ჩაქუ ლგურვა ლან დაგეიტ. ჩაქუს დარდმა დედა წაიღო, ესე იგი ჩაქუს დარდით იმისმა დედამ თქვენი ჭირი წაიღო.

57, ახაბჟ აფხე „ხაბჟ“ ვოვ იზჰოომ. ქაჩალზე ადრე „ქაჩალს'' კაცი ვერ იტყვის.

58, აჩ ზნ ილაფსახოოიტ, ზნ იჰაფსა ხოოიტ, ცხენი ხან ძაღლის ფასადა ღირს, ხან ღორისად.

59, აწბრა იზცმღზ იფნწა ითიააიტ. ქონდარი ვისაცა სძულდა, ცხვირში იმას ამოუვიდა.

60, აძ ეფნუუ აფან იდრვოიტ. წყლის მახლობელმა ფონი იცისო.

61, აჟა ატართა სოურ აჰრთა იშ სოურზ აჰეიტ. კურდღელმა სთქვა: ბინა მქონდეს, საძოვარს ვიშოვნიდიო.

62, აბზია უნ აძ იათ, იძვომ. კეთილი ჰქენი, წყალს გაატანე: არ დაიკარგება.

63, უვა უილწნდაზ უგვოხვოზარ, იკვადრ ახ ვაჰ. თუ გინდა მოყვარეს განეშორო, უნაგირის წინა კოპული სთხოვე.

64, ვაფხე იკაჰავო უიხმჩჩან. შენს წინაშე ვინც დაეცეს, ნუ დასცინი.

65, აბნატ არბაღი იაან ავნტ არბაღი იკანაცოონ. გარეული მამალი მოვიდა და შინაურს აგდებდა.

66, აწლა შათალა იგლოუპ, აოვ ვალა დყოუპ. ხე ფესვითა სდგას, ადამიანი მოყვრითა.

67, აგა-ბღიცი აშხა-ბღიცი ეინიოვოიტ. მთისა და ბარის ფოთლები ერთმანეთს შეეყრება.

68,აბვიტ ავნ ივნაზგი აბვ-წმღკ იგხეიტ, სპილენძის სახლში მცხოვრებსაც ერთი ღერი სპილენძის ლურსმანი დააკლდა.

69, აფშა იაანაგაზ აძ იაგეიტ. ქარის მოტანილი წყალმა წაიღო. (დასასრული იქნება) *) იხ. „ივერია“ № 203. (ივერია, N206, 1888 წელი);

აფხაზური ანდაზები*)

70, აძ შთრალა იცოოიტ. წყალი ნაკვლევით მიდის.

71, ალა ენნწა, აბგა შარცარა ირგოონ. ძაღლი რო გაწყდა, მგელი სანადიროდ გაჰყავდათ.

72, ახრზამანა ყალოოიტ ენრჰა, ახვამწ ალა თნახიტ; ახრზამანა ყამლეიტ, იარა ილაშნ ადიუნ იააქუხეიტ. მეორედ მოსვლის შიშით ჭიამ თვალები მოითხარა, მეორედ მოსვლა არ მოხდა და თვითონ-კი ბრმად დედამიწას შერჩა.

73, ადაღი სზთოუ აძ ზეგი ირეიჰანდაზ აჰეიტ. ბაყაყმა სთქვა: წყალი, რომელშიაც მე ვსცხოვრებ, ყველაზე დიდი ჰქმნაო.

74, ავა ბზიეი ავა ცგეი ეიხთნრწოვამ. კარგსა და ავსა მოყვარეს ერთი მეორეს არ ანაცვალებენ.

75, აფაგე ანცა დიცმღუპ. ამპარტავანი ღმერთსა სძულს.

76, აფაგერა მდრროუპ, ამპარტავნობა უვიცობაა.

77, ნკი ფსკი ეიქვაჰაიტ. ცოცხალი და მკვდარი ერთმანეთს შეეტაკნენ.

78, აკრ ზმაზ იაბ იფსხუგი, იაბ იაბ იფს ხუგი იუიტ; ეგი ზმამზ იაბ იფსხუგი იზმვუიტ. შემძლემ მამისა და მამის მამის აღაპი გარდაიხადა, შეუძლომ მამის აღაპიც ვერ გადაიხადა.

79, აც ზმამზ არბაღი ცაღვარა ეიგოონ, ვისაც ხარი არა ჰყვანდა, მამალი სახნავზე გაჰყავდა.

80, ჩა მბაკვა ჩა ზშხედა? ირმის დაუნახველად ირემი ვის მოუკლავს?

81, აჟა შაყა იტაზ აყარა ივიტ. კურდღელმა რამდენიც იხტუნა, იმდენი ირბინა.

82, აცა იადუ ხარფუპ. ტყავს პერანგი ადევს.

83, ზფა დმფსც უფა დუმრწან. ვისაც შვილი არ მოჰკვდომია, შენს შვილს ნუ ატირებ.

84, ზჭარა უმბაც იაჟრა ვახშჩჩან. ვისი სიჭაბუკეც არ გინახავს, იმისს სიბერეს ნუ დასცინი.

85, ხჩჩა ახ იახივოიტ. დაცინვა დამცინველს ემართება.

86, იდდრ დასუუ იცა დასვოიტ. როცა იგრგვინავს, ყველა თავისს ბეღელს ჯოხს ურტყამს.

87, აჩ ჟლალა ივვოიტ. ცხენი ჯიშით ირბენს.

88, შაჟ ფსვამ, შაჟ ბაავომ. ძველი სისხლი არა კვდება, არა ლპება,

89, ამჟდა აყვარა იქუხვლოოიტ. უბედურს კაცს წყლის პირზე შემოაღამდება.

90, აჟა აბახუ აცგუშვან, აბახუ იაზდრამტ. კურდღელი კლდეს ემდუროდა და კლდემ არა იცოდა რა.

91, ცირა ალაბა ილკშან დეგიწვან. ცირა (ქალის სახელია) ჯოხსაც იქნევდა და სტიროდა კიდეც.*) იხ. „ივერია“ № 206. (ივერია, N208, 1888 წელი);

მობრძანება აფხაზეთში მათ უდიდებულესობათა ხელმწიფე იმპერატორისა, ხელმწიფე იმპერატრიცასი და მათის მემკვიდრეებისა (მოწერილი ამბავი)

გულითა და სულით უნდა გვიხაროდეს, რომ მთიელებიც შეიქმნენო ღირსნი ნახვისა მათის იმპერატორებითის უდიდებულესობათა, აფხაზეთსა სამურზაყანოელებს ფიქრადაც არ მოუვიდოდათ, რომ ოდესმე შეიქმნებიან გაბედნიერებულნი ხელმწიფე იმპერატორისა და მის უდიდებულესობის სახლობის მიბრძანებით. უმეტეს ბედნიერებად უფრო ის მიიჩნიეს აფხაზებმა და სამურზაყანოელებმა, რომ, მხედრობის მაგივრად, ისინი ამოარჩიეს დასაცველად უმაღლესის სტუმრებისა. ბევრნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სოხუმში იქნება ყრილობა ხელმწიფის დასახვედრად ამორჩეულებისაო, მაგრამ ბოლოს გამოეცხადათ, რომ ახალ ათონის მონასტერს მიჰგებებოდნენ. 1840 წელს განსვენებულმა ნიკოლოოზ ხელმწიფემ უბოძა სამურზაყანოელებს წმინდისა გიორგის დროშა ერთგულებისათვის და ამ დროშით ისურვეს სამურზაყანოელებმა შეგებება ხელმწიფისა. ცოტა გაწყდა, კინაღამ დაუშალეს ამ გვარი მიგებება, მაგრამ გაგზავნილს დეპეშა პატივი სცა და ნება მისცა მმართებელმა პატივი მისცა დროშით დახვედროდნენ ათონის მონასტერში. 24 რიცხვი წარსულის ენკენისთვისა მუდამ დაუვიწყარი დარჩება აქაურ მცხოვრებელთათეის, რადგანაც იმ დღეს ეღირსნენ ხელმწიფის და მისის უდიდებულესობის სახლობის ნახვასა. დღე იყო მშვენიერი, მოწმენდილი, ჰაერი თბილი; ზღვამაც თითქო მიჰბაძა ბუნების დამშვიდებასა და წყნარის დუმილით ეჩურჩულებოდა დედამიწას. თქმა არ უნდა, რომ მშვენივრად და დიდებულად მორთეს ბერებმა თავიანთი მონასტერი, სხვა-და-სხვა გვარ ფარჩებით, ყვავილებით და მწვანით იყო შემკული მთელი ის ალაგები, სადაც უნდა გაევლო ხელმწიფეს და მის სახლობას და სადაც-კი მისწვდებოდა მათი ბედნიერი თვალი, თითქმის დილის ათის საათიდგან ყველანი ეშურებოდნენ, რომ თავ-თავისი ადგილი დაეჭირათ. ნავთ-სადგურის მარჯვნივ პურმარილით დაიჭირეს ალაგი თავდაპირველად სუხუმის დეპუტატებმა. შემდეგ იდგნენ დეპუტატები აფხაზეთისა და სამურზაყანოს თავად-აზნაურებისა, შემდეგ გლეხებისა და დასასრულ ისინი, რომელნიც იყენენ დარჩეული სამურზაყანოს დროშის მხლებელად. მარცხნივ იდგნენ პირველად აქაური უფროსი და რამდენიმე სოხუმელი ქალი, ხოლო შემდეგ, თავად-აზნაურთა ქალები ნაციონალურის ტანსაცმელიებით. ათი წამი აკლდა თორმეტს საათს, როდესაც ამობრძანდნენ ნავთ-სადგურის ბაქანზედ პირველად ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა, შემდეგ - მემკვიდრე ცესარევიჩი ნიკოლოოზ და დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე და ბოლოს მათი ამალა. იმპერატორმა წინაპირველად მიიღო პურ-მარილი სოხუმის დეპუტატებისაგან და მადლობა გადუხადა მხიარულის სახით; შემდეგ მიბრძანდა თავად-აზნაურების დეპუტატებთან და მიიღო პურ-მარილი გენერალ მაიორ თ. ზურაბ ჩხოტუას ხელისაგან. ამ გენერალს გვერდზედ უდგა მეორე გენერალი თავადი გრიგოლ შარვაშიძე, რომელიც შეიქმნა ბედნიერი და შემდეგი სიტყვა მოახსენა მათ უდიდებულესობათა: „თქვენო იმპერატორებითო უდიდებულესობავ! მთელი კავკასია გაბედნიერებულია, რომ შენა გხედავს, ბედნიერ მაგრამ ყველაზედ მეტად ჩვენა ვართ. ბედნიერნი, იმიტომ რომ პირველად ჩვენ ვეღირსენით შენს ნახვას ხელმწიფეო. გახარებულნი იმით, რომ პირისპირ ვხედავთ. თქვენს უდიდებულესობას, თავად-აზნაურნი სოხუმის არე-მარესანი: პურ-მარილთან ერთად მზად არიან მოგიძღვნან თავისი სიცოცხლეცა და ქონებაცა!“. ამას შემდეგ ხელმწიფე მიუახლოვდა დეპუტატს, რომელიც პურ-მარილით იდგა. დეპუტატმა მოახსენა მის უდიდებულესობას შემდეგი: „მოგილოცავთ მობრძანებასა, თქვენო იმპერატორებითო უდიდებულესობავ და უუმდაბლესად გთხოვთ შეიწყნაროთ ერთგული უქვეშევრდომლესი გრძნობა არა იმათი მხოლოდ, ვისაც არასოდეს ფიქრად არ მოსვლია ორგულობა, არამედ იმათიც, ვისაც, ჩვენდა საუბედუროდ, შეაჩნდა ღალატი წარსულის ომის დროს“. ხელმწიფე იმპერატრიცა უწინარეს ყოვლისა მიბრძანდა სოხუმის ქალებთან და მიიღო მათგან სალამი და ვარდის კონა, რომელიც ეჭირთ აქაურის

უფროსის დას. შემდეგ მიუახლოვდა თავად-აზნაურთა ქალებს. მათ შორის პირველი ალაგი ეჭირა კნეინა აღათი ელიზბარის ასულს, დადიანის ქალს, შარვაშიძის მეუღლეს. კნეინა აღათი შარვაშიძისამ ვარდის კონა მიართვა, მიულოცა ხელმწიფას მობრძანება მისი აფხაზეთში და მოახსენა შემდეგი: „თქვენო იმპერატორებითო უდიდებულესობავ! მე ამირჩიეს სამურზაყანოსა და აფხაზეთის ქალებმა უუმდაბლესად მოგახსენოთ, რომ თქვენისა და თქვენის სამეუფო სახლობის მობრძანებით გაბედნიერებულია მთელი ჩვენი ქვეყანა. ვევედრებით ღმერთსა, რომ სიმრთელე და სიცოცხლე თქვენი დაიცვას უფალმან მრავალსა წელსა!“. იმპერატრიცამა და აგრეთვე იმპერატორმა მადლობა გადუხადეს და ნიშნად წყალობისა ხელი გაუწოდეს კნეინა შარვაშიძისას, თითონ იმპერატრიცა მხიარულის ღიმილით არა ერთ გზის მიუახლოვდა დამწკრივებულს ქალებსა და ძრიელ ესიამოვნა მათი ნაციონალური ტანისამოსი, ,,რა კარგია'', ,,რა მშვენიერიაო''. ამ სიტყვებით თვალს ავლებდა იმპერატრიცა მათ ჩაცმა-დახურვას ეს დაუვიწყებელი სიტყვები საუკუნოდ შთაებეჭდება გაბედნიერებულის ქალების გულს. აფხაზ ქალებს მუდამ ეხსომებათ ბრწყინვალე და მოღიმარე სახე რუსეთის იმპერატრიცისა. მხოლოდ მან ნახა პირველად ჩვენი ქვეყანა. დიდი ყურადღება მიაქცია ხელმწიფემ სამურზაყანოელების დროშას, ჰკითხა იქვე მდგომთა; „სად, როდის და ვისგან არის ბოძებული ეს დროშაო?“ პასუხი ამისი მოახსენა გენერალ-მაიორმა თ. ერისთავმა. სიამოვნებით დაჰხედა ხელმწიფემ ყველას, ვისაც ჰქონდა გულზედ წმ. გიორგის ჯვარი და ან სხვა ნიშანი. შემდეგ ამისა მათნი იმპერატორებითნი უდიდებულესობანი გაემართნენ ეკკლესიისაკენ. აქ დახვდა მათ სოხუმის ეპარხიის ეპისკოპოსი გენნადი, დეკანოზი დავით მაჭავარიანი, წინამძღვარნი ახალ ათონისა და დრანდის მონასტრებისანი იერონი და ხარლამპი და სხვა სასულიერო გენნადიმ მოახსენა შესხმა: „უკეთილ-მსახურესო ხელმწიფეო! საღმთო წერილი ბრძანებს: „ნათლით მოსილსა სახესა შინა მეფისასა იჭვრიტების ცხოვრება, ხოლო წყალობა მისი, ვითარცა ღრუბელი მცხვედი წვიმითა“. ჩვენ მცხოვრებთათვის განშორებულის, მცირედ დასახლებულის, სანახევროდ გაველურებულის მხარისა, იყო დიდ ნუგეშად იგიცა, რომელ მხარეს ჩვენსა არა ერთ გზის განუცდია და უხილავს ნიში შენისა მისდამი წყალობისა, შენისა მამობრივისა ზრუნვისა მისთა გაჭირვებათა შინა სულიერად და ნივთიერად აჰა! შენ წყალობით ღირს გვყავ ჭვრეტად სახისა შენისა, ესეცა კვალად მცინარე არს. ჩვენ ბედნიერნი ვართ ხილვით ერთად შენთანა უავგუსტოესის დედოფლისა, მამულისა, დედისა, შენისა საყვარლისა პირმშოისა, რუსეთის მამულის სასოებისა და მეორისაცა საყვარელისა შვილისა შენისასა, კურთხეულმცა არს მოსვლა შენი! ადგილი, ესე ოდესმე განათლებული წმინდის პირველ-წოდებულის მოციქულისა მიერ, მორწყულ იქმნა მეორე მოციქულისა სიმონ კანანელისა სისხლითა. მოხედე მას მოწყალე მეფურის თვალითა, რათა იცხოვროს და ჰყვაოდეს ესე სულიერად მთვლემარე მხარე თბილის შარავანდედითა შენისა მნათობისა სახისათა. გვეყავნ კეთილ მნებელობა და წყალობა შენი, ვითარცა ქველ-მოქმედოვანი ღრუბელი მადლიერ მცხვედ წვიმად“. ეკკლესიიდგან ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა წაბძანდნენ ეტლით მახლობელს გორაზედ, სადაც თითონ იმპერატორმა თავისის ხელით დასდვა ქვა აღსაშენებლად ახალის ტაძრისა წმ. პანტელეიმონის სახელზედ. აქედგან იმპერატორი ფეხით მიბრძანდა სიმონ კანანელის მონასტრამდინ. ხოლო იმპერატრიცა ეტლით შეეგება. ბუნების მშვენიერებამა და სხვა-და-სხვა მორთულობამ ამ ალაგისამ დიდად ასიამოვნა სამეუფო სტუმრებსა და დიდხანს ბაასობდნენ ამ საგანზედ, როდესაც იგინი შემობრძანდნენ ყოვლად სამღვდელო გენნადის სადგურში საუზმის მისართმევად. ამ სადგურში დახვდა მათ დეკანოზი მაჭავარიანი, იმპერატორი და იმპერატრიცა რამდენსამე ხანს ესაუბრნენ გაბედნიერებულს დეკანოზსა და ნიშნად წყალობისა ხელიც მისცეს სამთხვევად. ორივე წინამძღვარნი გაბედნიერდნენ მათ უდიდებულესობათა ყურადღებით, მაგრამ ყველაზედ ბედნიერი იყო იმ შესანიშნავ დღეს ეპისკოპოსი გენნადი, რადგანაც მას შეხვდა, ვითარცა პირველ რუსის არქიელს აფხაზეთისას, მისალმებოდა უმაღლესს სტუმრებს, დიდად ესიამოვნა იმპერატრიცას, როდესაც მიერთვა

მშვენიერი ლიმონის შტო რამდენისამე შესანიშნავის ლიმონით. მონასტრის შეგირდებიც არ მოაკლდნენ ბედნიერებასა, რადგანაც მათს გალობას ყური ათხოვთ იმპერატორმა. გამოსალმების დროს იმპერატორმა და იმპერატრიცამ მხიარულის სახით დაათვალიერეს მთელი საზოგადოება, მადლობა სასოებითა უბრძანეს აღტაცებით მაყურებელს ხალხს, ბოლოს მემკვიდრე ცესარევიჩმა გააბედნიერა თავადი გრიგოლ შარვაშიძე და მიიღო მისგან საჩუქრად ჩვენებური მეტად მშვენიერად მორთული უნაგირი. ჩვენი საბრალო სოხუმი დიდს მზადებაში იყო; ეგონათ, ჩვენც გვეღირსებაო ნახვა იმპერატორისა და იმპერატრიცისაო და საღამოს ექვსის საათიდგან თითქმის ათ საათამდე გაჩაღებული ცეცხლის ალში იყო მთელი ქალაქი. /კ. მაჭავარიანი/. (ივერია, N215, 1888 წელი);

განცხადებანი

ისყიდება სოხუმიდამ 24 ვერსზე მამული ვორონოვისა, ათასი დღიური შენობებითა და სამეურნეო მოწყობილობით. ვისაც სურს შეიძინოს ეს მამული, მიმართოს დაწვრილებით გარემოების შესატყობად სოხუმში ივანე ვასილის ძეს ენიუტინს. (24-8). (ივერია, N223, 1888 წელი);

დ. ოქუმი

ჩვიდმეტ ივლისამდე, როგორც იყო, ოქუმშიაც ჰქონდათ ვაჭრობა, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ცეცხლმა შთანთქა ოციოდე დუქანი. დარჩა მხოლოდ ათიოდე. ჯერ ცეცხლი არ გამქრალიყო აქა და ჩვენ ხელი მივყავით დუქნების აშენებას; ერთის თთვის განმავლობაში კიდეც ავაშენეთ და ვაჭრობა ისევ გაცოცხლდა, მაგრამ კვლავ აგვერია საქმე. მიწას, სადაც გაშენებულია დღეს დუქნები, რადგანაც სოფლის საზოგადოების უფლებაშია, სოფელმა დაადვა წლიური გადასახადი - თითქო დუქანზე ხუთ-ხუთი მანეთი; ამ გვარი გარდაწყვეტილება საზოგადოებისა სამმა-ოთხმა ვაჭარმა იუკადრისა, ამ ოთხმა კაცმა იფიქრა, იფიქრა და შემდეგ დიდის მოფიქრებისა დაჰკრა ნაჯახი და გადასჭრა: სჯობს, რომ სავაჭროდ სხვაგან გადავიდეთო! შეადგინეს წერილობითი პირობა, რომლის ძალით ათასი მანეთი ჯარიმა გადაჰხდება იმას, რომელი პირობაზე ხელის მომწერიც არ გადავა იმ ოთხ წინამძღოლთან ერთად ახალ ადგილას სავაჭროდ; ბევრს შეუჩნდნენ, ეფუსფუსნენ და კიდეც მოაწერინეს პირობაზე ხელი... აი საქმე რაშია: ამ ოთხს ვაჭარს ოქუმში არა აქვსთ შენობა, ადგილ-მამული, მათთვის გადასვლა გასეირნებაა, მხოლოდ უბედურება ის არის, რომ ამათის მეოხებით ბევრმა უნდა აჰყაროს გუშინდელი აშენებული დუქნები და ცეცხლიდგან გადანარჩენი ორი კაპეიკი შენობის აყრასა და გადატანას მიახარჯოს. საქმე თითქმის გათავებაზეა მიმდგარი, ორმოც-და-თორმეტი და ნახევარი „დესიატინა“ უკვე იყიდეს საქალაქოდ თავად ბებუთოვ ანჩაბაძესაგან, „დესიატინა“ ოც-და ათ მანეთად. ეს ადგილი ძევს ოქუმზე შვიდის ვერსის მოშორებით. ეხლა საჭიროა მარტო დუქნების აყრა; ოქუმში რჩება ნახევრამდე მკვიდრი ვაჭრები, მოსახლები-კი უკლებლად. (ივერია, N230, 1888 წელი);

ახალი ამბავი

სოხუმიდგან გვატყობინებენ: აგერ ორი კვირაა, რაც აქ გამუდმებული წვიმებია. ამ წვიმების წყალობით ბევრი სიმინდი ფუჭდება მინდვრად. აფხაზეთიდგან გვწერენ: აქ, როგორც საზოგადოდ ყველგან ჩვენს კავკასიაში, ძლიერ ნაკლებად მოვიდა ღვინო. ვგონებთ, რომ გაზაფხულზე ბოთლი ღვინო აქ ათ შაურ ნაკლებ არ გაიყიდება. (ივერია, N254, 1888 წელი);

1888 წელი

ჟურნალი ,,მწყემსი''

***

ამა წლის 29 ივნისს მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ექსარხოსმა პალლადიმ მიიღო აფხაზეთის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო გენნადისგან შემდეგი ტელეგრამმა: ,,ვიჩქარი ვაცნობო თქვენს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, რომ 16-29 ივლისამდე გუდაუთის მაზრაში აფხაზეთში მოიქცნენ მართლ-მადიდებელ სარწმუნოებაზე და მოინათლენ ათასზე მეტი სახლობა აფხაზებისა - მრავალი ქალნი და კაცნი, დიდნი და პატარანი. მალე წარმოვუდგენ თქვენს მეუფებას ახლად-განათლულთა უწყებას''. ამ საქმეში როგორც აფხაზეთიდამ გვატყობინებენ ჩვენ, ბევრი შრომა გაუწევია კნეინა სოფია ელიზბარ დადიანის ასულს შარვაშიძისას, რომელსაც შთაუგონებია აფხაზებისათვის მართლ-მადიდებელ სარწმუნოებაზე მოქცევა. (მწყემსი, N13, 1888 წელი);

ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი

ყოვლად სამღვდელო გაბრიელი ყოველ წლობით ჩამოივლის ხოლმე თავის ეპარქიის უმეტეს ნაწილს, როდესაც მოუხდება ხოლმე 1500 ვერსამდის ცხენით გავლა წელიწადში; ათვალიერებს ეკკლესიებს და ყოველგან, თითოეულ სამრევლოში, მრევლს აძლევს სწავლა-დარიგებას სარწმუნოებაზე და წარმოსთქვამს დღეში სამს ანუ ოთხს ღვთის მსახურების გარეშე სიტყვა-მოძღვრებას, სამწყსოს სულიერ საჭიროებათა დაგვარ შედგენილთ, რომელთაც ხალხი გონებით და ზნეობრივ, რასაკვირველია, წინ წასწიეს. ის აგრეთვე ნახულობს ყველა მღვდლების ოჯახობათა, აძლევს მათ ლოცვა-კურთხევას და ბავშვებს, განსაკუთრებით, რომელთაც ლოცვები იციან, ურიგებს ჯვრებს. ყოვლად სამღვდელოს მოგზაურობის დროს არ უყვარს ზოგიერთებივით დიდის ამბით და ამალით სიარული: ეტლის მაგიერ ჩვენ ვხედავთ ჯორსა, ანუ ცხენსა, ამალის ნაცვლად მოსამსახურეს და მეჯინიბეს; ყოვლად სამღვდელო არ ერიდება არც სიცხეს და არც სიცივეს. საჭირო არ არის მისთვის არც კათედრა, არც წიგნები, არც ქაღალდი და არც კალამი; სრულიად მოუმზადებლად ყოველთვის და ყოველგან წარმოსთქვამს ის სწავლა-მოძღვრებას, რომლითაც მკაცრად ამხილებს მსმენელების ცრუ მორწმუნოებათა და ბიწიერებათ და უნერგავს მათ გულში საღვთო სჯულს და სწავლას. ქადაგების დროს ყოვლად სამღვდელო კათედრის მაგიერ სდგას მაღალ ადგილზე ანუ ქვაზე ან ჯირკზე. ყოვლად სამღვდელოს მადლიანი ფეხი ხვდა აგრეთვე შორეულს, მივარდნილს და მიუდგომელს სვანეთსაც, სადაც ჯერ არც ერთ მღდელ-მთავარს ფეხი არ შეედგა ამ მიყრუებულ ქვეყანაში გზების სრულიად უმექონელობისა გამო. ხშირად ჯორის კუდზე ხელ-მოკიდებული და თითქმის ფორთხვით ადიოდა ყოვლად სამღვდელო სვანეთის მთების ციცაბო და კლდოვან ბილიკებზე. აქ ნახევრობით ველურ სვანებში, რომელთაც მართლ-მადიდებელი ეკკლესიის ყველა წესები და ჩვეულებანი, თითქმის, მთლად დავიწყებოდათ, ზოგჯერ ყოვლად სამღვდელოს სიკვდილისაც კი უნდა შინებოდა, მაგრამ ის უშიშრად უქადაგებდა მათ, რათა ხელახლა მიეყოთ ხელი მართლ-მადიდებელი სარწმუნოების მოთხოვნილებათა აღსრულებისათვის და თავის ძლიერი სიტყვით კიდევაც მოიყვანა ეს სისრულეში და ამასთანავე შეასუსტა მათში მრავალი ბიწიერებანი და ამაოდ-მორწმუნეობანი.

მაგრამ ყოვლად სამღვდელოს შრომა კიდევ უფრო გაორკეცდა იმერეთის ეპარქიასთან აფხაზეთის შემოერთების შემდეგ, რომელიც მოხდა 1869 წელში კავკასიაში ნამესტნიკად

ყოფილის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის აზრისამებრ და სამეგრელოს ეპარქიის შემოერთებისა 1873 წ. აფხაზეთის და სამეგრელოს ეპარქიაში ყოვლად სამღვდელო გაბრიელმა გასწია ისეთივე შრომა, როგორიც პირველად იმერეთის ეპარქიაში, მაგრამ სამეგრელოს ეპარქია უფრო დაცემული იყო ვინემ იმერეთისა; მეორედ ყოვლად სამღვდელო თითქმის ყოველ წლობით თითო თვეს ანდომებდა აფხაზეთის სოფლების ჩამოვლას, სადაც ქადაგების დროს სჭირდებოდა მთარგმნელი. მაგრამ ყოვლად სამღდელომ სძლია ყველა ამ დაბრკოლებათ და ღვთის შეწევნით 18 ათასი აფხაზი მოაქცია მართლ-მადიდებლობაზე. ყოვლად სამღვდელო ყოველგან სასულიერო ქადაგებასთან მჭერ-მეტყველად უქადაგებდა მორწმუნეთა ჰუმანურ კაცობრიული ურთიერთობის ვალდებულებასა, ერთი სიტყვით, იგი გამოდიოდა არა თუ ისე, როგორც მქადაგებელი სიტყვისა ღვთისა, არამედ ისე, როგორც მისიონერი განათლებისა, მოღვაწე მოქალაქეობრიობისა. ღვთის მსახურებას ყოვლად სამღვდელო ასრულებს მეტის მეტი კრძალულებით. თითქმის ყოველ წირვის შემდეგ ის ამბობს სიტყვა-მოძღვრებათ, რომელთაგან შესდგა ორი დიდი ტომი და რომელნიც აგერ მესამეჯერ დაიბეჭდნენ; ეს მოძღვრებანი თბილისის და ქუთაისის სამღვდელოთა კრებისაგან იქმნა მიღებული ეკკლესიებში ბედნიერ დღეებში საკითხავად.

ყოვლად სამღვდელო გაბრიელის დაუღალავი შრომის ნაყოფს ყველა ჩვენგანი თვალითა ხედავს: მათი მეუფების მეცადინეობით და განკარგულებით იმერეთის ეპარქიაში აშენდა ასი ახალი შესაფერი, ქვის და ხის ეკკლესიები, რასაც დიდი შემწეობა აღმოუჩინა უკანასკნელ წლებში დასავლეთის საქართველოს მკვიდრთა ნივთიერის მხრით კეთილ-დღეობამ, რომელიც გამოიწვია გლეხების განთავისუფლებამ. სამღვდელოება და ეკკლესიები ყოვლად სამღვდელომ მოიყვანა წესიერებაში, თანახმად უწმინდესი სინოდისაგან დამტკიცებული შტატებისა, უადგილო და შტატ-გარეთ დარჩენილ მღვდლებს მისცა შტატის ეკკლესიები; უსწავლელი და გაუნათლებელი მღვდლების მაგიერ, ყოვლად სამღვდელომ გაგზავნა სამრევლოებში 40 მღვდელი, რომელთაც სასულიერო სემინარიის კურსი აქვსთ დამთავრებული და დღესაც მათი მეუფება ცდილობს, რომ უფრო განათლებული მღვდელი ჰყავდეს სამრევლოებში. ყოვლად სამღვდელოს გაბრიელის მეცადინეობით აღშენდა ქუთაისში: მშვენიერი საკათედრო ტაძარი და მშვენიერი შენობა სასულიერო სასწავლებლისათვის; გაიხსნა ასამდე საეკკლესიო-სამრევლო სკოლები იმერეთის ეპარქიის სხვა-და-სხვა სოფლებში; ყოვლად სამღვდელომ სასულიერო წოდების ობოლთა და ქვრივთათვის დააარსა სამზრუნველო; მათი მეუფების მეცადინეობით აღდგენილ იქმნა ქართული საეკკლესიო გალობა, რომლის მრავალი საგალობელი გადაღებულ იქმნენ ნოტებზე. მისი მეუფების მეცადინეობით იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობა თან-და-თან უკეთესდება ხაზინიდამ შემწეობის დანიშვნით. ყოვლად სამღვდელოს საკუთარის ხარჯით მის სამშობლო სოფელს ბახვში ახშენებულ იქმნა მშვენიერი ეკკლესია და ამ ეკკლესიის მახლობლად ორ-კლასიანი სკოლა, რომელსაც ნივთიერად ინახავს მათი მეუფება. ყოვლად სამღვდელო გაბრიელი კაცის ღონეს გადამეტებულად მეცადინობდა ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაფუძნებას; მან მოსთხოვა სამღვდელოებას მოწყალებასავით 300 ათასი მანეთი ამ საქმისათვის; ეგონა, რომ დანარჩენს საჭირო ფულს მისცემდა უწმ. სინოდი, მაგრამ უწმიდესმა სინოდმა, საშუალებათა უმექონელობისა გამო, შემწეობა ვერ მისცა ყოვლად სამღვდელოს, რაისა გამო მათი მეუფების განზრახვა ჩაიშალა. მათი მეუფების შემწეობით ქუთაისის წმინდა გიორგის ეკკლესიასთან დაარსებულ იქმნა საეკკლესიო-სამრევლო სკოლა, რომლის მასწავლებელს მათი მეუფება თავის საკუთარ საშუალებათაგან წელიწადში აძლევს ჯამაგირად 200 მანეთს.

ამ სახით, ყოვლად სამღვდელო გაბრიელმა თავისი დაუღალავი მოქმედების, სიმართლის და ჭეშმარიტების გზაზე მოუცილებელი სვლისა პირუთნეველს და მტკიცე მოპყრობის ადამიანთან და დროსთან და განუწყვეტელი თვისი ენერგიული მოღვაწეობის წყალობით

შესძლო დასავლეთ საქართველოს ეპარქიების ჯეროვან წესზე დაყენება და ამ ეპარქიებში ბევრი რამ დააყენა შესაფერ სიმაღლეზე. იმერეთის სამღვდელოებამ, რომელიც ძვირად აფასებს ყოვლად სამღვდელო გაბრიელი მოღვაწეობათა, 1884 წელში განიზრახა ყოვლად სამღვდელოს 25 წლის ეპისკოპოსობაში სამსახურის დღესასწაულობა; მაგრამ მათმა მეუფებამ არ ისურვა ამისთანა პატივისცემა.

აგერ ორი წელიწადი იქნება, რაც სამეგრელო გურია და აფხაზეთი ჩამოაშორეს იმერეთის ეპარქიას, სადაც მათი მეუფება უწინდებური მხნეობით და დაუღალავი ენერგიით შრომობს მისი საყვარელი სამწყსოის სასარგებლოდ. ქართველი ღირსეულად აფასებენ ყოვლად სამღვდელო გაბრიელის მოღვაწეობას და იგინი დიდის სიხარულით აღბეჭდენ თავიანთი ისტორიის ფურცლებზე თავიანთი საყვარელი და დიდად პატივცემული მწყემსთმთავრის მოღვაწეობას. (მწყემსი, N14-15, 1888 წელი);

***

დაბა ოქუმიდან გვწერენ: წრევანდელმა წელიწადმა დიდი ზარალი მოუტანა მთელს აფხაზეთს და განსაკუთრებით დაბა ოქუმს. ჯერ იყო და ცეცხლმა გადასწვა ოქუმის მოვაჭრეების დუქნები. საბრალო ვაჭრებმა თავიანთი ტანთ-საცმელებიც კი ვერ გადაარჩინეს ცეცხლსა. ცეცხლზე უმეტესად აზარალა აფხაზელები წყლების ადიდებამ. მდინარეების მახლობლად მდებარე დათესილი ყანები მთლად წაილეკენ წყლებისაგან, რომელმაც მრავალი მუშა კაცი აატირა და ულუკმოდ დასტოვა. თავ-და-პირველად აქაურებს იმედი ჰქონდათ, რომ ოდესის ღვინო მაინც საყოფად მოვიდოდა, მაგრამ ამ იმედმაც უმტყუნა მათ. ყოველივე ამ უბედურებას თან მოჰყვა მუცელ-კეთილი, რომელიც აქ თითქმის ყველგან არის მოდებული. სენი უმოწყალოდ სწყვეტს ხალხს და კაცი არ არის, რომ მიხედოს ავად მყოფებს. ექიმი თუმცა არის აქ, მაგრამ იგი ისე შორს სცხოვრობს, რომ გაჭირების დროს ყველას არ შეუძლია მიმართოს მას. (მწყემსი, N17, 1888 წელი);

1889 წელი

გაზეთი ,,ივერია''

ოჩამჩირე

დეკემბრის დამდეგს ძალიან დაგვემუქრა ზამთარი, თოვლსა და ყინვას ბლომად გიძღვნითო, მაგრამ მუქარა საიმისოდ არ შესრულდა. ამ ბოლოს დროს სრულიად გამოგვიზაფხულდა. ცოტა-ოდენი თოვლი უკვე გაჰქრა. ეხლა ისე მოთბა ჩვენსკენ, რომ სახლების ფანჯრებსაც-კი აღებენ. ერთია მხოლოდ სამწუხარო აქეთ: ჰაერი მეტად მალ-მალე იცვლება, დაუდეგარია. ერთს წამს რომ თბილოდეს, მეორე წამს ცივა. ამის გამო ხშირია ფილტვების ანთებით ავადმყოფობა და სიკვდილიცა. დღე არ გავა, რომ არ გაიგონო ამასა და ამას ფილტვების ანთება დამართნიაო. მერე აქეთ ძალიან ნაკლებად სწამთ ექიმი და წესიერი მკურნალობა. რომ კვდებოდეს, მკურნალს არ მიჰმართავს და შაურის წამალს არ იყიდის, თუნდა სიკვდილისაგანაც დაიხსნიდეს ის ერთის შაური წამალი. უგზო-უკვლოობა აფხაზეთისა საარაკოა. ამ ქვეყნის მხსნელი ის იქნება, ვინც აქ გზებს გაიყვანს და გააკეთებს. მანამდე-კი ყოველივე აქეთ სიბნელით არის და იქნება მოცული. (ივერია, N4, 1889 წელი);

აფხაზეთი

წრევანდელმა სასტიკმა ზამთარმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. შვიდ იანვრამდე ჩინებული ტაროსი იდგა და აქა-იქ ტყემალმა და იამ ყვავილი მოისხა. შვიდს იანვარს ღამით-კი თოვა დაიწყო. სოხუმში კარგა ხანია, რაც ყინვა-ხველა და ყბა-ყურა არის მოდებული. აქა-იქ ქუნთრუშაც გაჩნდა. იქიდამვე: მართალია, თამბაქოს ფასმა ყველგან ძრიელ დაიწია, მაგრამ აქ წელს ფუთის ფასი თუმნამდე ავიდაო. (ივერია, N9, 1889 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბები)

სოხუმი. სოხუმი იშვიათად იხსენიება ჩვენს გაზეთში, მაგრამ ეს იმისი ნიშანი არ არის, ვითომ აქ რაიმე საყურადღებო და შესამჩნევი არა იყოს-რა. არა, აფხაზეთი და მასთან სოხუმი მეტის-მეტად საინტერესო და საყურადღებო ქვეყანაა. მრავალ არს სამკალ, მაგრამ მცირე არს მომკალნი. მომკალნიც რომ იყოს, ძნელი არის მკა, იმიტომ-რომ სამკალში დგანან ისეთი ნაირნი ნადირნი, რომელთაც კაცის შეჭმა არაფრად მიაჩნიათ. რასაკვირველია, ასეთი ნადირები ყველა ყანებში ბლომად არის, მაგრამ რასა იქმთ, როცა მომკალნი სუსტნი გახლავან. აბა აქ იყონ ათაბაგნი, როგორ დაუვლიან ყანას. აი ეს არის იმის მიზეზი, რომ აქედგან იშვიათად ვატყობინებთ ხოლმე მკითხველს აფხაზეთის ამბებს. აფხაზეთის თავი და თავი უბედურება ის არის, რომ აქაური მკვიდრი, როგორც პატრიარხალური ხალხი, ადვილი დასატყუებელია. აქაურებმა არ იციან, რომ აქ მოდის ათას გვარად გაცვეთილი და გაქნილი მატყუარა, ქვეყნის მჭამელი, რომლებიც ყოველ ღონეს ჰხმარობენ, რომ მკვიდრთ გამოსწუწნონ უკანასკნელი სისხლი. არა მგონია აფხაზები როდისმე იმ გაჭირვებულს ყოფაში ყოფილიყვნენ, რომელშიაც დღეს არიან ზემოხსენებულ ვაჟბატონების წყალობით. აქ ადგილ-მამული სულ სხვა ყოფაშია, ვიდრე სხვაგან სადმე ჩვენში. ამ უკანასკნელ რუს-ოსმალოს ომს წინად, რადგანაც აქაურს მკვიდრს არავითარი წერილობითი საბუთი არა ჰქონდა ადგილის მფლობელობისა და რადგანაც ბევრი აქაური მკვიდრი, სხვა-და-სხვა მიზეზის გამო, სამშობლოს განშორდა, მართებლობამ განიზრახა ადგილები დაენაწილებინა მცხოვრებთ შორის წოდებისა და ჩამომავლობის გვარად. ამასთანავე გლეხობასაც მისცეს რამდენიმე ათასი დღიური ადგილი და სოფლებს უწოდეს Община. თავად-აზნაურობას გამოუცხადეს, თუ ვის რამდენი ადგილი უნდა დაესაკუთრებინა და თან უბრძანეს, რომ ადგილები აირჩიეთ, თხოვნა შემოიტანეთ და მოგეცემათო. ზოგიერთნი თავად-აზნაურნი, რომელნიც იმერეთსა, სამეგრელოში და სხვაგან ნამყოფნი იყვნენ, დატრიალდნენ და ჩაიგდეს ხელში საუკეთესო ადგილები, ხოლო სხვანი, ვითარცა გამოუცდელნი და შინაურნი კაცნი, არხეინად ისხდნენ შინ. მიდიოდა დრო და ჟამი და კაცი ყურს არ იბერტყდა. წლის განმავლობაში ორმოცი და სამოცი კომლი თუ შეიტანდა თხოვნას ადგილ-მამულის თაობაზე. ხშირად ისეთს ადგილს აძლევდნენ ხოლმე, რომ გროშად არ უღირდათ იმ დროებით, რადგანაც სოფლებისაც მოშორებული იყო და არც გზა გაუვლიდა ახლოს. ამის შესახებ ხმა გავარდა და თითქმის აღარავინ არა ჰზრუნავდა ადგილზე. ამ დროს აქაც გამოჩნდა მარდი ვაჭარი, რომელმაც სხვა ნაირად მოაგვარა საქმე: თავისი ჯიბა აავსო, აფხაზები-კი დაავსო. აი საქმე როგორ მოახერხა: წავიდა სოფლად, მონახა ისეთი კაცები, რომელთაც ადგილები ერგებოდათ, და უთხრა მათ: თქვენ, მე შევიტყვე, ბატონებო, რომ ადგილები გერგებათ. მომეცით რწმუნება და ისეთ ადგილს მოგინახავთ, რომ თქვენს შვილსა და მომავალს გავამდიდრებო. როგორც მე ვიცი ბზის ტყეები, იმას მოვაცემინებ თქვენთვის და ეჭვი არ არის გააკეთდებით, მხოლოდ ხელ წერილი მომეცით, რომ ფუთ ბზაში ხუთი შაური ან ექვსი შაური მეტი არ გადამახდევინოთ და არც სხვას მიჰყიდოთო; თუ არა-და, ჯარიმას გადაგახდევინებთ ამდენ-და-ამდენ თუმანსაო. თანაც თავდაპირველად

ასს, თუ ორასს მანეთს აძლევდა ჯერ კიდევ მოუნახავს ადგილში. აფხაზიც ფიქრობდა, თუ არას ვიშოვნი, ხომ არას ვკარგავო, ამ ას მანეთს მაინც შევკვრებო. ამ გვარად ბ-ნ ვაჭარის წყალობით საუკეთესო ბზიანი ადგილები მიეცა ამის მრწმუნებელთ. გათავდებოდა თუ არა საქმე, ვაჭარი წავიდოდა და ეტყოდა თავისს მრწმუნებელთ: რომ მეგონა, არც ისეთი ადგილი გამოდგა შენი ადგილი და თუ გნებავსთ, ერთად ხელ-მოჭრით მომყიდეთ თქვენი მიდამო. კუთვნილი ადგილი; შეიძლება თქვენი ბზის ჭრა ხუთი ექვსის წლის განმავლობაში ვერც კი დავიწყოო. აფხაზიც, როგორც ადვილად დამაჯერებელი, თანხმდებოდა და ჰყიდდა ადგილს ტყიან-მიწიანად. იცით როგორ? დღიურს ოც, ან ოც-და-ხუთ მანეთად და ან მარტო ბზას დღიურს თუმნად, ან თხუთმეტ მანეთად. ეს ახალი სისტემა ადგილების შოვნისა, სხვებმაც შეიტყეს და დაიწყეს ერთი ცარცვა-გლეჯა. ეს ბოროტება საშინლად მძვინვარებს აქ. კიდევ ბევრი აფხაზია დაუკმაყოფილებელი, რომელსაც დღეს თუ ხვალ უსათუოდ ესტუმრება გაიძვერა მელა და დაჰღუპავს, თუ დროზე არ ათხოვეს ყურადღება ამ საქმეს. (ივერია, N9, 1889 წელი);

სამურზაყანო

„ივერიის“ მკითხველს მოეხსენება, რომ სამურზაყანოს სამღვდელოებასა და სკოლებს ხარჯს აძლევს კავკასიის მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება. ოც-და-ექვსი წელიწადი გადის, რაც ზემოხსენებულ საზოგადოება იღვწვის სამურზაყანოში. ზემოხსენებულ „საზოგადოებას“ გამართული ჰქონდა მხოლოდ ორი სკოლა: ერთი დაბა ოქუმში ორ-კლასიანი და მეორე სოფ. დიხაზურგაში ერთ-კლასიანი. მთელს სამურზაყანოში სადაც 36 ათასამდე მცხოვრები ითვლება, მხოლოდ ეს ორი სკოლა იყო აქამომდე. ეხლა-კი ყოვლად სამღვდელო სოხუმის ეპისკოპოზ გენადის თაოსნობით თითქმის სამურზაყანოს ყველა სოფელში გამართულია სამრევლო სკოლა. ისეთი სკოლა იშვიათია ჩვენში, სადაც ყოვლად სამღვდელო გენადის ხუთ-ექვს თუმნამდე საკუთარი ფული არა ჰქონდეს შეწირული. გარდა ამისა იგი ხშირად მიმართავს ხოლმე სხვა-და-ხვა ქალაქს და საზოგადოებას და სთხოვეს შემწეობა აღმოუჩინონ სკოლებს. ამას წინად ბათუმის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორმა, ბ-ნმა ბოღდანოვმა, ყოვლად სამღვდელო გენადის თხოვნისამებრ შემოსწირა სამურზაყანოს სკოლებს სხვა-და-სხვა სამოსწავლო ნივთი სამას ცხრამეტ მანეთისა. ახლად გამართული სკოლა სამურზაყანოში რიცხვით თოთხმეტია, ჯერ-ჯერობით მასწავლებლად თითქმის ყველგან სასულიერო სასწავლებელში კურს შესრულებული ყმაწვილი კაცებია. ორს სკოლაში-კი მასწავლებლად ქალები არიან, რომელთაც სწავლა მიუღიათ სოხუმის საქალებო პროგიმნაზიაში. ყოვლად სამღვდელო გენადის განკარგულებით სამურზაყანოს სამრევლო სკოლების გამგებლებად დანიშნულია სამი მღვდელი: ოქუმის ორ-კლასიანის სკოლის მასწავლებელი და იმავე მრევლის მეორე მღვდელი ნიკოლოზ შენგელაია, მეორეც - საბერიოს მრევლის მღვდელი იოანნე კავჭარაძე და მესამეც - ჭიბურის ხინჯის საეკკლესიო სამრევლო სკოლის მასწავლებელი მღვდელი ბესარიონ გაბისონია. ორს პირველს ტფილისის სემინარიაში აქვს კურსი დამთავრებული. ამასთან არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ბ-ნი ახალი უფროსი სამურზაყანოს განყოფილებისა, გორჩაკოვი, დიდს ყურადღებას აქცევს სკოლებს. (ივერია, N23, 1889 წელი);

***

წარსულს წელს აფხაზეთში მოინათლა ათას ცხრა ას თვრამეტი (1918) სული აფხაზი მაჰმადის სარწმუნოებისა. ამ სასიხარულო საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის დეკანოზს მ. დ. მაჭავარიანს და კნეინა აღათი ელიზბარ დადიანის ასულს შერვაშიძისას, რომელსაც დიდი გავლენა აქვს აფხაზეთში. ეს გარემოება მისმა მაღალ ყოვლად უმღვდელოესობამ, საქართველოს ექზარხოსმა პალადიმ, მოახსენა უწმიდესს სინოდს, რომელმაც მადლობა

გამოუცხადა აფხაზეთის ეპისკოპოსს გენნადის და დეკანოზს მაჭავარიანს, ხოლო კნეინა შერვაშიძისას ლოცვა-კურთხევა გრამატის ბოძებით („მწყემსი“). (ივერია, N27, 1889 წელი);

ოჩამჩირე

ჩვენი დაბა დიდს გაჭირვებაშია. აქაური ვაჭრები ვდგავართ დუქნის კარ-წინ გულ-ხელ დაკრეფილები და თითქმის სახარჯო ფულიც არ შემოგვდის ათ-თუმნიანი რომ მოგვიტანოს ვინმემ დასახურდავებლად, ხუთის ვაჭრისაგან უნდა მოვაგროვოთ და ისე მივცეთ ხურდა მუშტარს. რაკი ვაჭრობამ აქ დაიქვეითა, ყველამ სიმინდის ვაჭრობას მოვკიდეთ ხელი. არამც თუ ვაჭრები, ყველა ამას გამოეკიდა. შარშან სიმინდი იყო ოთხ აბაზად ფუთი ბაზარ ადგილას. ჩვენ ვყიდულობდით ათ-თერთმეტ შაურად. ბევრმა სამ-სამი აბაზიც მისცა - ოთხ-აბაზად გავყიდითო. აი დადგა ეს წელი, გაიარა იანვარმა და არავინ გამოჩნდა მყიდველი. აგერ დღეს ოცი თებერვალია და ეხლაც არავინა სჩანს. რაკი გაგვიჭირდა, ათსა და თერთმეტ შაურად ნაყიდს ეხლა ვყიდით ორ აბაზად, მაგრამ არც ამ ფასად ჰყიდულობენ. ასე-კი დავრჩით პირში ჩალა გამოვლებულები. ამ ჟამად ძალიან ცუდი ამინდებია, შეგვაწუხა წვიმამ და ტალახმა. ქურდობა ჩვენკენ ნაკლებად არის. (ივერია, N41, 1889 წელი);

***

ექვსს ამ თთვისას ქართული სცენის მოყვარეთა აქაურის სკოლის სასარგებლოდ, ქ-ნ მ. ჩაჩავას თაოსნობით, წარმოადგინეს კომედია ანტონოვისა: „ტივით მოგზაურობა“. წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს როგორც მოთავე მ. ჩაჩავასამ, აგრეთვე ქ. ა. ქოიავასამ, მახარაძემ, რ. ხუნცარიამ, მ. ყუზანოვმა, ა. იაშვილმა, თ. ჩაჩავამ, გ. აბაშიძემ და კ. ჟორდანიამ. წარმოდგენამ ერთობ მხიარულად ჩაიარა, საზოგადოებაც დიდ-ძალი დაესწრო და ძალიან კმაყოფილი დარჩა. გაიყიდა ბილეთები სამოც-და ორის მანეთისა და 85 კაპეიკისა. ამ ფულიდგან თოთხმეტი მანეთი მიეცა პარიკმახერს ბათუმიდგან დაბარებულს, თექვსმეტი მანეთი და 40 კაპ. სცენის მოსაწყობად დაიხარჯა, წვრილ-წვრილად დაიხარჯა თერთმეტი მანეთი და ცხრა შაური. სულ დაიხარჯა 42 მან. 85 კაპ. წმინდა მოგება დარჩა 20 მანეთი. ეს ფული და სცენის მოწყობილობა, დარდები და სხვა-და-სხვა სადეკორაციო ნივთები, 16 მან. 40 კაპ. ღირებული, ჩაბარდა აქაურის სკოლის მზრუნველს ბ-ნ თეიმურაზ ჩაჩავას. იმავე მზრუნველს ჩაბარდა თორმეტი მანეთი, შეწირული სკოლის სასარგებლოდ იმათ მიერ, ვინც წარსულს დღესასწაულებზე ვიზიტების ნაცვლად ფულის გარდახდა არჩიეს. ვგონებთ, ურიგო არ იქნება ორიოდე სიტყვა ოჩამჩირის სკოლაზე ვთქვათ როცა ამ სკოლას ჰმართავდნენ, სამოსწავლო უწყებამ აღუთქვა საზოგადოებას ორ კლასიანი ნორმალური სკოლა. საზოგადოებამ დიდის სიხარულით მიეგება ამ კეთილს საქმეს და ერთის წლის განმავლობაში გააშენეს სკოლისთვის მშვენიერი სახლი, რომელიც დაჯდა შვიდას თუმნამდე. აკურთხეს თუ არა სკოლა, ორასამდე შეგირდი მოაგროვეს და მიიწვიეს დროებით მასწავლებელი. აღთქმის აღსრულება დაგვიანდა და ორასის შეგირდისთვის ერთი მასწავლებელი არა კმაროდა. მაშინ სკოლის მზრუნველმა თ. ჩაჩავამ თავისის საკუთარის ხარჯით დაიჭირა დროებით მასწავლებელი, შესწირა სკოლას სკამები, სტოლები და სხვა საჭირო ნივთები, ღირებული ას თუმნამდე. საქმე რიგიანად მიდიოდა იმ იმედით, რომ აღსრულდება ის აღთქმა, რაც თავდაპირველიდან იყო. ეხლა სამწუხარო ის არის რომ იმისთანა მშვენიერს სახლში, სადაც არა თუ ორ-კლასიანი ნორმალური სკოლა, არამედ პროგიმნაზიაც მოთავსდება, მხოლოდ ერთი მასწავლებელი და ორმოცამდე შეგირდია. (ივერია, N45, 1889 წელი)

ქ. სოხუმი

აქაურ ყმაწვილ ქართველობას განზრახვა აქვს ქართული წარმოდგენები გაჰმართოს კლუბის

დარბაზში და ამიტომ მიჰმართა ბ-ნ აბაშიძეს და სთხოვა პიესების არჩევა და საჩქაროდ გამოგზავნა. (ივერია, N71, 1889 წელი);

სოხუმი

განსვენებული ეპისკოპოსი სოხუმისა გენადი ამ თთვის ოთხს დაასაფლავეს ახალ ათონის მონასტერში. დასაფლავებაზე ბრძანდებოდა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლ. (ივერია, N74, 1889 წელი);

ქ. სოხუმი

12 ამ თთვისას აქაურ ახალგაზდობის მეთაურობით გამართულ იქმნა ქართული წარმოდგენა. ითამაშეს ფრანგულიდგან გადმოკეთებული 1 მოქმედებიანი ვოდევილი „მშივრები“. მშვენიერი იყო. ბ-ნი ფრ-ნს არა ერთხელ მიუღია მონაწილეობა სხვაგან წარმოდგენებში და აქაც, როგორც დახელოვნებულმა მოთამაშემ, თავისი როლი სინიდისიერად შეასრულა. ჰკოჭლობდა როლის ცოდნაში ბ-ნი აფ-ძე, მაგრამ, თუ სახეში მივიღებთ, რომ იგი სცენაზე პირველად გამოდის, იმდენს ვერ მოვსთხოვთ. იმედია, მერმისისათვის უფრო გაიწაფვის და გვასიამოვნებს. წარმოდგენის მეთაურთ ძალიან დიდი შეცდომა მოუვიდათ, რომ სათამაშოდ ისეთი უშინაარსო პიესა აირჩიეს, მაგრამ იმედია კვლავ მაინც თავის შეცდომას გაისწორებენ. ქართული საზოგადოებაც გვარიანად დაესწრო. უფრო ბევრი დაესწრებოდა, თუ რომ ფასის სიდიდესა და უადგილობას უკანვე არ დაებრუნებინა. წარმოდგენით ყველა კმაყოფილი დარჩა. ხშირად მოჰკრავდით ხოლმე ყურს ასეთს სიტყვებს: „აწი როცა ქართულად წარმოადგენენ, უსათუოდ მოვალთო“. ამ მოკლე ხანში კიდევ აპირებენ წარმოდგენას. უნდა ითამაშონ ბ-ნ ილ. ჭავჭავაძის „დედა და შვილი“. (ივერია, N82, 1889 წელი);

დ. ოჩამჩირე

ამ თთვის 17-ს დილით წაბრძანდა ოჩამჩირიდგან ქ. სოხუმში სოხუმის ოლქის უფროსი ბ-ნი კუცივალოვი, რომელიც აქ ჩამოვიდა თერთმეტს ამ თთვისას. აქ მყოფობის დროს ბ-ნ ოლქის უფროსმა დაათვალიერა ყველა ქუჩები დაბისა. საზოგადოდ დაბა მოიწონა, ხოლო ყურადღება ათხოვა იმას, რომ ჩვენის დაბის გაუმჯობესებასა და წარმატებაზე არავის უზრუნია. ოლქის უფროსმა ნახა, რომ ჩვენს დაბას შუაში თავიდგან ბოლომდე უდევს ერთობ ჭაობიანი დამპალი წყლიანი ადგილი, სიგანით 15-20 ნაბიჯი. ოლქის უფროსმა აგრეთვე ყურადღება ათხოვა სასიმინდე მაღაზიებს, რიცხვით ორმოცამდეს, რომელნიც ზღვის პირად არიან გაშენებულნი და დაბის სისუფთავის საქმეს ძლიერ აბრკოლებენ, რადგანაც მაღაზიაში სიმინდი ნიავდება და სიმინდის გადამზიდ-გადმომზიდავი მუშა ხალხი მუდამ აქა ჰტრიალებს. ოლქის უფროსმა წინადადება მისცა საზოგადოებას: მაღაზიები სხვა უფრო მოთავსებულ ადგილას გადაიტანეთ, დაბის შუა დიდი თხრილი გაიყვანეთ და ამით დამპალს წყალს გასავალი ადგილი მიეცითო. ამ უკანასკნელის საქმისთვის ოლქის უფროსმა აღუთქვა საზოგადოებას ინჟინრის გამოგზავნა. ინჟინერმა უნდა გამოიკვლიოს, თუ საითკენ უნდა მიეცეს წყალს წასავალი და ან რამდენი ხარჯი დასჭირდება ამ საქმეს. (ივერია, N82, 1889 წელი);

ქ. სოხუმი

14 ამ თვისას ბათუმში უეცრად გარდაიცვალა აქაური მომრიგებელი მოსამართლე ი. ბერნაცკი. 12 წელიწადია, რაც განსვენებული აქა მსახურებდა და საზოგადო სიყვარული და პატივისცემაც დაიმსახურა. ამ უკანასკნელს დროს გადაყვანილ იქმნა ქ. ბაქოში 13 ამ თვისას, საღამოს, ნავთ-სადგურზე დიდ-ძალმა ხალხმა შეიყარა თავი, რათა პატივი ეცა და გამოსალმებოდა ამ პატივცემულს კაცს. მეორე დღეს, 14-ს კი დეპეშამ შეგვატყობინა, რომ ბ-ნი ბერნაცკი ბათუმში ნაპირად გასვლისთანავე უეცრად გარდაიცვალაო. ეს ამბავი მთელს ქალაქს მოედვა. ნიშნად პატივისცემისა გარდაცვალებისადმი, ქალაქმა გადასწყვიტა ბათუმში თავის დეპუტატების გაგზავნა, განსვენებულის გვამის წამოსვენება და დამარხვა თავის ხარჯით სოხუმში. იმავე დღეს სახარჯო ფულების შეკრებასაც შეუდგნენ და 500-600 მანეთამდე შეაგროვეს. 15 ამ თთვისას თითქმის მთელმა ქალაქმა მოიყარა თავი ნავთ-სადგურზე, საიდგანაც ბერნაცკი გააცილეს. ნავთ-სადგური კანდელებით იყო განათებული და საზოგადოების წინ მღვდელ დიაკვნები იდგნენ ჯვარ-ბაირაღებით. ღამის 12 საათზე გემიც გამოჩნდა. გემს ნავებით მიეგებნენ ნაპირიდგან და პირველად ამოიყვანეს განსვენებულის მეუღლე და სამი პაწია ბავშვი. შემდეგ კუბოც ამოასვენეს და ყველამ დიდის ამბით გააცილა მახლობელ ეკკლესიამდე, სადაც იმ ღამეს ესვენა. მეორე დღეს, 16-ს საზოგადოებამ სასაფლაოს ეკკლესიაში მიასვენა და მიაბა მიწას განსვენებული ბერნაცკი. (ივერია, N178, 1889 წელი);

ორიოდ სიტყვა აფხაზურისა და ქართული ენის ნათესაობაზე

ჩვენ გვინდა ორიოდ სიტყვა ვსთქვათ იმაზე, რაზედაც ამდენი ხანია ასე უნაყოფოდ ლაპარაკობენ ჩვენში და რაზედაც მეცნიერებას ჯერ ხმა არ ამოუღია, ასე გასინჯეთ, ფიქრადაც-კი არ მოსვლია ის, თუ რა დამოკიდებულება და ურთიერთობა არსებობს აფხაზურს ენასა და ქართულს შორის. ბოდიშს ვიხდით, რომ ასე უცებ უნდა დავაფრთხოთ ჩვენი მკითხველები სხვა-და-სხვა საფილოლოგიო სიბრძნით, ვთხოვთ მკითხველ საზოგადოებას ცოტა ხანს მოგვაქციოს ყურადღება და მოისმინოს, რაც ამდენს ხანს, უცნაურის ბედის წერით, ჩვენის ყურადღებას არ იზიდავდა. პირვანდელი, თავი და თავი ქართული ენა ჯერ ისევ თავის არსებობის ხანაში, როგორც მაგალითად იმ დროს, როცა ქართველნი ესახლნენ ვანის ტბის ახლო-მახლო, დაიყო და დანაწილდა რამდენსამე ცალკ-ცალკე ენადა და კილოდ. ეხლა აღმოჩნდა, რომ ქართველთა ვანში ცხოვრების დროს მუზასირის ქალაქს თავისებური ცალკე ლაპარაკი ჰქონია, ქართულის მსგავსი და ახლო მონათესავე, მაგრამ განცალკევებული. ხოლო მას შემდეგ, როცა ქართველნი დაბინავდნენ მტკვრისა და არეზის ხეობა-ღელეებში, იმათი სხვა-და-სხვა კილო და ლაპარაკი უფრო განცალკევდა და განთითოეულდა, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული მონათესავე ენები ორს უმთავრეს ჯგუფად გაყოფილა. გარჩევა და საზღვარი ამ ორ ჯგუფ ენათა შორის დაუდვია იმ დიდს სჯულსა და კანონს ენისას, რომლის ძალითაც ერთში სიტყვები იცვლება ნაკვეთის ანუ პრეფიქსის მ-ის მიმატებით, ხოლო მეორეში ლ-ის დამატებით. ეს ორი ჯგუფი დიდხანს დარჩენილა ამ ყოფაში მაგრამ მალე, კიდევ იმავე უცნაურის ბედის წერის გამო, ერთისთვის მწერლობა და ლიტერატურა ურგუნებია იღბალს, ხოლო მეორე ჯგუფი კი დარჩენილა თავის ძველებურს კანსა და ქერქში, თითქოს იმიტომ რომ დიდხანს შეირჩინოს ძველებური ფერი და თვალით დაენახვოს მერმისს თაობასა და მომავალს შთამომავლობასაო. აქ მე სახეში მყავს, ერთის მხრით, ქართველობა და მათი მონათესავე მეგრელობა და მეორეს მხრით სვანობა და დანარჩენნი სხვა წვრილმმანნი ტომნი, რომელნიც უეჭველია, ქართულის მონათესავე ენითა ლაპარაკობენ, როგორც მაგალითად მისსიანნი და სხვ. საკვირველია, როგორც ბევრნიც ამბობენ, რომ ეს რაღაც ქართული გვარის ენები მთელს ქვეყნიერებაზე

ცალკე სდგას სხვათა ენათა შორის. რა თქმა უნდა, ეს გარემოება საოცარია და მით უფრო მეტის სიფრთხილით უნდა ლაპარაკი ამ გარემოების შესახებ, მეტი სიფრთხილე მით უფრო საჭიროა, რომ თვით მეტად მონათესავე ქართველთ ენებს შორის შეგვხვდება სულ უბრალო სიტყვები, რომელიც ერთმანეთს სრულიად არაფრით ჰგავს როგორც, მაგალითად, ქართული ასული და სვანური დინა. სხვა რამ მიზეზი უნდა მოიძებნოს აქ და აი ამ მიზეზის ძებნას შევუდგებით ჩვენც.

იმ მიწა-წყალს ახლო, თითქმის მეზობლად, რომელზედაც სწარმოებდა ისტორია ქართველებისა, სცხოვრობდა და სცხოვრობს დღესაც მეომარი ტომი აფხაზთა, რომელთა ენაც პირველად გააგებინა ქვეყანას ბარონმა უსლარმა. პირველად რომ მისი თხზულება დაიბეჭდა, და თუნდ მაშინაც, როცა უკვე მეორედ დაჰბეჭდეს, არავინ არ მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას რომ მრავალი აფხაზური სიტყვა ქართულის მოდგმისა იყო, არავის არ მოუვიდა ფიქრად გამოერკვია ეს გარემოება. ეს გარემოება მეტად ადვილი მისახვედრიკია იმისთვის, ვინც იცის ყველა ქართულის გვარის ენები. ამბობდნენ, რომ აფხაზური აგლუტინატიურიაო, ხოლო ქართული ფლექსიურიო. ქართულის ენის ფლექსიის შესწავლასკი მაინც არავინ სცადა. მოვიყვანოთ მაგალითისათვის რამდენიმე აფხაზური სიტყვა და შევადაროთ ქართულსა, მეგრულსა და სვანურს სიტყვებს:

სჲყოუჳ-ვარ, ყოფა.

სჲმან-მაქვს, მეგრ. უენუა, ქონვა.

ჩჩჯა- ცეცხლს ახლოს, მეგრ. დაჩხირი, ცეცხლი.

იფისყუეიტ-ვკვეთავ. ვსჭრი.

კუაწ-ხორცი (აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულში ხშირად ჩაემატება ხოლმე სიტყვაში, მაგალითად: ფერხი, ფეხი).

ჩჩა-სვანური ჩაუ, ცხენი.

აბჯარ-იარაღი, აბჯარი.

გუ-გული (ეს გუუ ანუ გული აფხაზურშიაც და ქართულშიაც ბევრს სიტყვაშია ჩართული).

ღიჩ-ქურდი, მახინჯი, მეგრულად ჰნიშნავს ქურდს.

ეუკი-მწვანე, სვან. მეუხე, შავი (შავისა და მწვანე ფერის გამოსათქმელად ცალკე სიტყვები, როგორც უნდა ვიგულისხმოთ მეგრულისა და სვანურის ენის მიხედვით, არა ჰქონიათ პირვანდელს ქართველებს).

კუტჲ-ქათამი, მეგრ. ქოთომი და სხვ. ახლა მივაქციოთ ყურადღება საგრამატიკო ფორმებს. მსგავსება აქ უფრო საოცარია:

1) კ, როგორც მაჩვენებელი ერთობისა, ხოლო ქ მზგავსებით საერთოა, როგორც აფხაზურში, ისე სვანურსა და მეგრულში.
2) ლ, როგორც მაჩვენებელი განმეორებულის მოქმედებისა, საერთოა აფხაზურისთვისაც და სვანურისათვისაც.
3) მ, როგორც უარ-ყოფა, უკუთქმა, ერთი და იგივეა სვანურსა და აფხაზურში.
4) ნ, მნიშვნელობით როდის, საერთოა აფხაზურსა და მეგრულში.
5) რა, ურთიერთობის მაჩვენებელი აფხაზურ ზმნებისაგან წარმომდგარ სახელ-არსებითისა, სრულად იგივეა, რაც მეგრული ლა.
6) უჳ, დაბოლოება აორისტისა, ძალიან ადვილი ასახსნელია მეგრულს ოფე-თი. ეს დაბოლოება იგივეა, რაც ქართულ ზმნების ბოლოს მიმატებული ვარ.

7) ძველებური ნიშანი მრავლობისა თ სჩანს აფხაზურს ნაცვალ-სახელებშიაც, მაგალითად მხოლობითი უი, მრავლობითი ურთ, ჰნიშნავს: იგი, იგინი. ეს უი კარგად განგვიმარტავს ქართულს ნაკვეთს, ანუ პრეფიქსს უ-ს ზმნის მესამე პიროვნებაში.
8) წყა-დაბლა ზმნის დასაწყისში იგივეა, რაც ქართული წა.
9) ინფინიტივი, ანუ განუსაზღვრელი დახვრა არ არსებობს არც ქართულში და არც აფხაზურში.
10) კავშირი ი, მაჩვენებელი ერთობისა, ერთ გვარობისა, ერთი და იგივეა სვანურშიაც და აფხაზურშიაც.

რასაკვირველია, ამასთანავე მრავალი რამ არის ისეთი, რაც არ ემსგავსება ქართულსა, როგორც მაგალითად სახელ-წოდება უფროს-ერთის პრეფიქსისა და რიცხვითის სახელისა, მრავალი სიტყვები, დაბოლოვებანი უღვლილებათა და სხვანი. ყოველივე ესე საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ, როგორც ეგვიპტური დანარჩენ სემიტურ ენების შესახებ, აფხაზურიც დანარჩენ ქართულ გვარის ენების შესახებ არის მხოლოდ უფროსი ძმა, რომელიც ყველაზედ ადრე გაჰყრია თავისს დანარჩენს ძმებს. როგორც ეგვიპტურში მრავალი ფორმა არ მიემსგავსება სემიტურს ფორმებს, ისე აფხაზურშია ქართულ გვარის ენების შესახებ. სამაგიეროდ როგორც ეგვიპტურსა და სხვა სემიტურ ენებში საერთოა კონსტრუქტაცია, საგრამატიკო წყობილების ბუნება და მრავალი ძირი სიტყვებისა, ისე აფხაზურსა და ქართულ გვარს ენებშია. ყოველ ამას გარდა, აფხაზური ენა ორს ფრიად შესანიშნავს საგანს გვიშლის თვალ წინ. ეს საგნები სრულიად ვერ შენიშნეს იმათ, ვინც აფხაზურში აგლუტინატიურს წყობილებას იძიებდა და აფხაზურს ენას ამერიკის ენათა მსგავსად სთვლიდა. ვერ შენიშნეს სახელდობრ ის, რომ აფხაზურში არ არის აწმყო დრო იმ სახით, როგორც ჩვენ გვესმის, და რომ აფხაზურშია მხოლოდ status constructus, რომლის შესახებაც ბარონი უსლარი ამბობდა. საგანი მფლობელი რისამე, რომელიც რუსულში ნათესავობით ბრუნვაში უნდა იყოს აფხაზურში პირველს ალაგს იჭერს და რჩება უცვლელი; საგანი დაფლობილიც არავითარს ცვლილებას არ ეძლევა, მხოლოდ იღებს სანაცვალ-სახელო ნიშნებს, რომელიც აჩვენებს რა დამოკიდებულებაშია საგანი დაფლობილი საგნისა მფლობელისაგან. მთელის ქვეყნიერობის ენათა შორის მხოლოდ სემიტურს ენებს არა აქვთ აწმყო დრო და მხოლოდ ამ ენებსა აქვთ status constructus. მიუმატეთ ახლა ამას პრეფიქსებისა და სუფიქსების არსებობაცა და მკვლევარი დაინახავს ისეთს ძლიერს სემიტურს ფერსა და იერს, რომელიც სხვას არას არ აფიქრებინებს იმის მეტს, რომ მისი საკვლევი საგანი მიმდინარეობს სემიტურის წყაროსაგან. ცხადია შემდეგ ამისა, რომ მკვლევარმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს სხვა ქართულ გვარ ენებსაც. ვინც მცირეოდნად იცის ეს ენები და უსწავლია სემიტური ენებიც, შეჰნიშნავს, რომ მრავალი მსგავსებაა მათ შორის: პირველად ისა, რომ ერთშიაც და მეორეშიაც ერთისა და იმავე ძლიერების პრეფიქსები და სუფიქსებია; მეორედ, ორგანვეა ზმნისაგან წარმომდგარნი სახელნი არსებითნი და, დასასრულ, ქართულ გვარ ენებშიაც და სემიტურშიაც ერთნაირი დახვრანი არსებობს-და სხვანი.

ერთად ერთი საეჭვო საგანია ჯერ წმინდა არიული ხასიათი უღვლილებისა და მერე წესი ორ ნაირის სიტყვათა შეთანხმებისა, მაგრამ რაკი ქართულ გვარ ენათა შორის თუნდ ერთს ენას მაინც ვიპოვით ისეთს, რომ სემიტური უღვლილებანი ჰქონდეს და ამასთან კიდევ status constructus, მაშინ ეჭვი აღარ უნდა ვიქონიო, რომ მთლად მთელი ჯგუფი იმ ენათაცა ეკუთვნის სასემიტო აღმოსავლეთის ენებს. ხოლო აფხაზური რომ ქართულ გვარ ენებს ეკუთვნის, ეს ცხადია, თვალით დასანახავია და მხოლოდ ის ვერა ჰხედავს, ვინც წინად განზრახულის აზრით იკვლევს საგანს. ჩვენ ვიცით, რო წინა-მხარი აზიისა დასახლებული იყო სემიტებით, რომ ტიგროსისა და ევფრატის კიდეებზე ჰყვაოდა დიდებულ ასირიელთა დიდი სემიტური სახელმწიფო. გასაკვირი არ არის, თუ ჯერ ზემო მესოპოტამია და მერე კავკასიაც დასახლებული იყო და არის დღესაც დღემდე უცნობის სემიტიელთა ტომისაგან. დიდებული რელიგიური

აზრები, უმაღლესი განათლება და წარმატება არის სემიტიელთა ტომის ხვედრი და ამითივე თავი უნდა მოსწონდეთ ქართველებსაც, რადგან ისინიც იმავ ღვთაებრივს მოდგმას ეკუთვნიან. ჯერ ისევ პროფესორი ვირხოვი თითქმის გადაწყვეტილი ამტკიცებდა, რომ დიდი ურთიერთობა ჰსუფევს სემიტებისა და კავკასიის ერთა შორისაო; ჯერ ისევ ამ ცოტას ხნის წინად სამთავროში ნაპოვნი და გამოძიებული ნაშთები ბევრს სწავლულს სემიტურ ნაშთებად მიაჩნია, და აგერ ამ საბუთების შემდეგ ფართო მოედანი და საასპარეზო ეშლება წინ შემდეგს მკვლევარსა და საქართველოს შემსწავლელს. /N. N/. (ივერია, N190, 1889 წელი);

სოხუმი

როგორც იყო გვეშველა და ჩვენც გვეღირსა სტამბა, ბათუმელმა მესტამბემ ალ. მახარაძემ გამართა აქ თავისის სტამბის განყოფილება, რომელიც, იმედია, დიდს შეღავათს მოგვცემს, რადგანც დღემდე, თუ რამ დასაბეჭდი გვქონდა, ბათუმში და სხვაგან ვგზავნიდით. (ივერია, N204, 1889 წელი);

***

გუდაუთის მახლობლად აღმოუჩენიათ ვერცხლისა და ტყვიის მადანი, მუშაობას უკვე შესდგომიან. (ივერია, N204, 1889 წელი);

სოხუმი

აგერ ორს თთვეზე მეტია, რაც აქეთკენ წვიმა არა ყოფილა. ამიტომ სიმინდის მოსავალს ძალიან ნაკლებს მოველით. ღვინის მოსავალი-კი, განსაკუთრებით იზაბელასი, უხვი იქნება. აქვე ამ ზაფხულს საშინლად მძვინვარებდა ციებ-ცხელება. რუსეთიდგანა და უცხოეთიდგან გადმოსახლებულნი ისე შეშინდნენ, რომ ბევრი მათაგანი სამშობლოში დაბრუნება აპირობს. (ივერია, N205, 1889 წელი);

სოხუმი

სოხუმელებმა განიზრახეს თვით-მმართვლობის შემოღება და უნდოდათ შუამდგომლობა დაეწყოთ მთავრობის წინაშე, მაგრამ გუბერნიის უფროსმა ურჩია, ჯერ-ჯერობით მაგ აზრს თავი დაანებეთ, რადგანაც ქალაქს ოც-და-ხუთი ათასის მანეთის მეტი შემოსავალი არა აქვს; როცა შემოსავალი იმატებს, მაშინ შეიძლება მოითხოვოთ თვით-მმართველობაო.

იქიდამვე: აქ გვესტუმრა ვიღაც როზოვი, რომელმაც რამდენიმე ლექცია წაიკითხა მეურნეობის შესახებ. იმის ლექციებზე მხოლოდ ორმა ახირებულმა გარემოებამ მიიქცია ჩვენი ყურადღება, სხვათა მრავალთა შორის. ერთი ის იყო, რომ ხურმას არაფერი აფუჭებს, ბევრს ისხავს, გააშენეთო. განა აქ ცოტა ხურმაა, რომ გასავალი არა აქვს და ფუჭად იკარგება? მეორე ამბავი ისაა, რომ ფუტკრები ყურძენს წუწნიან, იმითი თვრებიან და შემდეგ ჩხუბი მოსდით ერთმანეთშიო. (ივერია, N261, 1889 წელი);

სოხუმი

სოხუმი, ეს მეტის-მეტად მიყრუებული „ქვეყანა“, დღეს, ცოტა არ იყოს, ყურადღებას იპყრობს, მთელი რუსეთისას თუ არა, კავკასიისას მაინც. აქაურობა მართლაც რომ დიდის ყურადღების ღირსია ბევრ ნაირად. სოხუმს აქვს მშვენიერი, მსუბუქი და მარგებელი ჰაერი და ზამთრობით მაინც ძვირფასია ესრედ წოდებულ გულით-ავადმყობთათვის. ასეთი

მშვენიერი ჰაერი, როგორც მცოდნენი ამბობენ, მთელს რუსეთში ერთად-ერთი ეს არისო. ერთმა ექიმმა ნიცცის ჰაერზედ გაშორებით მაღლა დააყენა აქაური ჰაერი. ამაზე-კი რა მოგახსენოთ და აქ რომ ზამთარი არ იცის, ეს-კი მართალია, აქ რომ ქარი არა ჰქრის, ამას ყოველი კაცი შეამოწმებს, აქ რომ ზღვა ახლოა, ესეც ხომ ნამდვილია. აი ყოველივე ეს არის სასარგებლო გულის სნეულთათვის. ამიტომ თანდათან მატულობს სხვა ადგილიდგან მოსული სნეულთა რიცხვი. სოხუმს აქვს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა რუსეთისათვის, მხოლოდ აქნობამდის ამ გარემოებას ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას. რუსთ-ოსმალოს ომებმა ორჯელვე თვალ-საჩინოდ დაგვანახვა ეს მნიშვნელობა სოხუმისა. ომერ-ფაშა მთელ ქუთაისის გუბერნიას დაიმორჩილებდა ყირიმის ომის დროს, რომ მოეწადინებინა, ან-და იმის მთავრობას ნება მიეცა ონტოფოდგან წასვლისა. ამ უკანასკნელ ომის დროს განა ცოტა ზარალი მოგვცეს ოსმალებმა, როგორც მცხოვრებთ, ისე ჩვენს მთავრობას? ესე-კი არ დაგვემართებოდა, ჩვენ რომ აქ სიმაგრე გვქონოდა და გზები გაგვეკეთებინა. ორიოდე ჯარის კაცი იდგა აქ ომის დროს. უგზოობის გამო იმათი აქ დარჩენა არ შეიძლებოდა. ისინიც ადგნენ და წავიდნენ. მკვიდრიც და რასაკვირველია, მოსული ხალხიც უკან გაედევნა ჯარს. დარჩა მხოლოდ აფხაზი თავის მამა-პაპეულ ადგილზე უპატრონოდ. ამ დროს გაჩნდა ოსმალთ ჯარი, მიაწვდინა ხელი უმწეოდ დარჩენილ ხალხს, დაურიგა თოფ-იარაღი და უთხრა: თქვენი თავი ჩვენ დაგვიტოვეს, იმათ აღარ უნდიხართ, აწ ჩვენ ხელში იქნებით და უნდა მოგვეხმაროთო. ხალხმაც აიღო თოფი და დაეხმარა ოსმალთ ჯარს... გაიმარჯვა რუსეთმა, მაგრამ სოხუმი დანაცრდა, ათასობით აფხაზის ოჯახი დაიქცა, ხოლო უმეტესი ნაწილი აფხაზებისა ოსმალთ ჯარს გაჰყვა; იცოდნენ, რომ მოღალატეს სიკეთე არ დაეყრებოდა. ამას გარდა სამურძაყანოში განა ცოტა ჯარის კაცი დაიხოცა? მაშინ რაც ამბავი მოხდა, ეს ძნელი საამბობია. არც ერთი ეს არ მოხდებოდა, რომ რკინის გზა ყოფილიყო სენაკიდან სოხუმამდის. მაგრამ რკინის გზა-კი არა, უბრალო გზა-ტკეცილიც არ იყო. მდინარეებზე ხიდი არ მოიძებნებოდა. აი უმთავრესი მიზეზი ზემოხსენებულ უბედურებათა. ომს შემდეგ აგერ თორმეტ წელიწადზე მეტია და არც კოდორზე, არც გალიზგაზე, არც ენგურზე და არც სხვა პატარა მდინარეებზე ხიდი არ მოიძებნება. გზა რომ არ არის და არ არის. სოხუმიდგან ერთი გზა მიდიოდა წებელდისაკენ და ეს გზა ომის წინად გაიყვანეს, თუ არ ვცდები. სიგძე აქვს 25 ვერსი, გზა კარგია. მეორე გზა სიგძით ხუთმეტისა თუ ჩვიდმეტის ვერსის მანძილზე დრანდის მონასტრამდის გადის. საცა ეს გზები თავდება, იქ სოხუმისა და მთელის აფხაზეთის ბედიც თავდება. ნუ გეგონებათ, რომ ვითომ მთავრობას ცოტა ფული დაეხარჯოს აფხაზეთ-სამურძაყანოში გზების და ხიდების გასაკეთებლად. ყოველ წლობით, ამბობენ, ორასი ათასი მანეთი იხარჯება ამ საქმისთვისაო. გზა, გზა, უგზოდ არა გვიხსნის-რა.

ეკონომიურად-კი სოხუმს განა ცოტა მნიშვნელობა აქვს! გააკეთეთ გზა და ეს ყოვლად შემკული ქვეყანა აივსება მცხოვრებლებით ყოველ ნაირი სიმდიდრე თავს გამოჰყოფს. სხვა რომ არა იყოს-რა, საკმარისია მისი სიმინდი და ტყე. სიმინდი ყოველ წლობით 15-20 მილიონი ფუთი გავა გასაყიდად. ტყე ხომ თქმა არ უნდა. გზის გაყვანის შემდეგ ხუთი წელი არ უნდა, რომ ეს სიმდიდრე გაჩნდება. მევენახეობა ხომ აქ პირველი საქმეა, ვენახისათვის ასეთი ადგილი მგონი მთელს საფრანგეთშიაც არ იყოს. /ანთიმოზი/. (ივერია, N263, 1889 წელი);

სოხუმი

ჩვენს მიყრუებულს სოხუმში ნოემბრის დამლევს ჩამოვიდნენ ტფილისიდან სომხის სცენის მოყვარულნი და ორჯელ გაჰმართეს ქართულ-სომხური წარმოდგენა. წარმოადგინეს „არშაკ მეორეს“ მეხუთე მოქმედება „კრთა-კრთა“ სომხურად და „ხეჩოს ლეღვი“ - ქართულად. დეკემბრის 8 წარმოადგინეს ქართულად: „ოინი თუ გინდათ ეს არის“, ვოდევილი, ნათარგმნი სომხურიდამ, და გაიმეორეს „ხეჩოს ლეღვი“. აქაურ სცენის მოყვარეთ შორის თავი იჩინა

თამაშობით ვოლიანსკის ქალმა. ხალხი ნაკლებად დაესწრო. ჩინელების თვალთმაქცობაზე კი დიდი ხალხი დადიოდა. (ივერია, N273, 1889 წელი);

1889 წელი

ჟურნალი ,,მწყემსი''

***

წარსულს წელში აფხაზეთში მოინათლა ათას ცხრაას თვრამეტი (1918) სული აფხაზი მაჰმადის სარწმუნოებისა. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ ამ სასიხარულო საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის დეკანოზს მ. დ. მაჭავარიანს და კნეინა აღათი ელიზბარ დადიანის ასულს შერვაშიძისას, რომელსაც დიდი გავლენა აქვს აფხაზეთში. ეს გარემოება მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ექსარხოსმა პალადიმ მოახსენა უწმინდეს სინოდს, რომელმაც მადლობა გამოუცხადა აფხაზეთის ეპისკოპოსს გენადის და დეკანოზს მაჭავარიანს, ხოლო კნეინა შერვაშიძისას ლოცვა-კურთხევა გრამატის ბოძებით. (მწყემსი, N2, 1889 წელი);

***

ორდენი მიუღიათ აფხაზეთის ეპარქიის მღვდელს მ. იასონ ჩაჩანიძეს და ვლადიკავკავის ეპარქიისას მ. ლავრენტი წერეთელს მათდამი სამრევლოებში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის გავრცელებისათვის. (მწყემსი, N6, 1889 წელი);

ნეკროლოგი

† 31 მარტს ღვიძლის ავად-მყოფობით გადაიცვალა სუხუმის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო გენნადი. სულ ორი წელიწადი და სამი თვეა, რაც განსვენებული დაინიშნა სუხუმის სამღვდელმთავრო კათედრაზედ. შემდეგ, სემინარიაში კურსის შესრულებისა, იგი შედგა ბერად და ოცდაათი წელიწადი სცხოვრობდა სამების სერგიევის ლავრაში. ამ ხნის განმავლობაში მ. გენნადიმ არა ერთხელ მიიქცია უმაღლესი სასულიერო მთავრობის ყურადღება თავისი წმიდა ცხოვრებით და რამდენიმეჯერ მიეცა მას წინადადება, რათა მიეღო მღვდელმთავრის ხარისხი, მაგრამ მ. გენადი ყოველთვის უარს აცხადებდა ამაზე. ბოლოს უმაღლესის ბრძანებით განსვენებული დაინიშნა ეპისკოპოსად სუხუმის კათედრაზე. მისი მღვდელმთავრად ხელ-დასხმა მოხდა 28 დეკემბერს 1886 წლისა. ხელ-დასხმის შემდეგ მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ მოსკოვის მიტროპოლიტმა იოანნიკემ, კვერთხის ჩაბარების დროს, შესანიშნავი სიტყვა უთხრა ყოვლად სამღვდელო გენნადის. აი ზოგიერთი ადგილები ამ სიტყვისა: «სხვა სამწყსოებთან შედარებით დიდი არ არის სამწყსო, რომელიც დღეს შენს მხედველობასა და ხელმძღვანელობის ქვეშე გადმოდის; მაგრამ ეს სამწყსო მოითხოვს შენგან თუ არა მეტს, არა ნაკლებ შრომას, მოთმინებას და თავ-განწირულს სიყვარულს სხვა ვრცელ სამწყსოებთან შედარებით. თითქმის ნახევარი ნაწილი მკვიდრთა, რომელნიც სცხოვრობენ თქვენდამი რწმუნებულ სამწყსოში, გარემოცულია სხვა-და-სხვა ამაო რწმუნებითა და სწავლითა; უმეტეს მათგანს არ ესმის, თუ რა სწამს მას და რაზეა დამყარებული მისი იმედი. ბევრს მიღებული აქვს მართლ-მადიდებელი აღსარება, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ არიან მტკიცედ დამკვიდრებულნი სარწმუნოებაში:

მათ იმდენად გაეგებათ ქრისტე მაცხოვრის მოძღვრება, რამდენათაც პატარა ბავშვს ესმის მის გარეშემო მომხდარი მოვლინებანი. როგორც პატარა ბავშვისთვის რძეა საჭირო, ისე იმათთვის საჭიროა პირველ დაწყებითი სწავლა-მოძღვრებანი სარწმუნოებაზე. ეკრძალე ღვთის-მიერ საყვარელო ძმაო, და ნუ შეურაცხჰყობ მცირეთა მათგანს. დღეიდამ ყოველი შენი ძალა უნდა შესწირო მათი ცხოვნების საქმეს, რომ შენ უშიშრად შეგეძლოს წარსდგე დიდების მეფის საშიშარ ტახტის წინაშე და გაბედვით უთხრა მსაჯულს: აი აქ არიან ყმანნი, რომელნიც მომე მე. ამისათვის არ არის საჭირო არც ღრმა და ვრცელი სწავლა-განათლება, რომლის გაგება და შეთვისება არ შეუძლია დაბალს და უმეცარ ხალხს, არც უმაღლესი ქადაგებითი სიტყვის ნიჭია საჭირო, რადგან ეს უკანასკნელი გაუგებელი იქმნება დაბალი ხალხისათვის, რადგან ის არ არის მომზადებული ამისათვის და არც ის ენა ეცოდინებათ, რომელზედაც შენ უნდა ელაპარაკო მათ. თავდაპირველად იზრუნე, რომ შენში აღძრა თავ-განწირული სიყვარული შენი სამწყსოისადმი და გქონდეს ჭეშმარიტი სურვილი, რათა შენი სამწყსოის კეთილდღეობისათვის შენი თავი შესწირო». ჭეშმარიტად სინამდვილით აღსრულებდა განსვენებულ მღვდელ-მთავარი გენნადი მიტროპოლიტის იოანნიკეს ამ მშვენიერ დარიგებით სიტყვას. განსვენებული სწორედ მაგალითი იყო მისდამი რწმუნებული სამწყოსასთვის თავისი წმ. ცხოვრებით და გასაოცარი უანგარობით. იგი ნიადაგ ზრუნავდა თავისი სამწყსოის წარმატებისათვის და ეკკლესიების გამშვენებისათვის, რაზედაც უხვად ხარჯავდა ფულს თავის საკუთრებიდამ, ყოველივე თავის შემოსავალს და ნაჩუქარ ფულებს, სხვა-და-სხვა მღვდელ მოქმედებისათვის, იგი ადგილობით ღარიბ ეკკლესიებს სწირავდა. მრავალი კეთილი საქმე დაიწყო განსვენებულმა და მრავალის კეთილის დაწყებას ფიქრობდა, მაგრამ შეუბრალებელმა სიკვდილმა აღარ დააცალა. მთელი მისი სამწყსო სიმწუხარით გლოვობს ამისთანა საყვარელი მწყემს-მთავრის დაკარგვას და სასოებს, რომ განსვენებულის ადგილზე მალე დაინიშნება ახალი მღვდელ-მთავარი, რომელიც მტკიცედ დაადგება განსვენებულის კვალს და სისრულეში მოიყვანს მის კეთილ განზრახვათა. (მწყემსი, N7-8, 1889 წელი);

«მწყემსი»-ს კორრესპონდენცია სუხუმიდამ

31 მარტს გარდაიცვალა სუხუმის ეპისკოპოსი ყოვ. სამღვდელო გენნადი, რომლის დასაფლავება დანიშნული იყო ოთხ-აპრილისათვის. განსვენებულის დასაფლავებაზე დასასწრებლად მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის მინდობილებით მობრძანდა სუხუმში გურია-სამეგრელოის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო გრიგორი. სამს აპრილს მათი მეუფება მიბრძანდა ათონში, სადაც ღვთის-მშობლის მიძინების ტაძარში მიეგებენ მათ მეუფებას მონასტრის წინამძღვარი, დეკანოზი დავით მაჭავარიანი და მონასტრის ძმანი. მეორე დღეს, 4 აპრილს, დილის 9 საათზე ყოვლად სამღვდელო გრიგორი წაბრძანდა წმ. მოციქულის სიმონ კანანელის ტაძარში, სადაც ესვენა განსვენებული. ტაძარში შეიკრიბა მრავალი ხალხი. მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო გრიგორი მონასტრის წინამძღვრის იერონის, დეკანოზების მაჭავარიანის, მაჩაროვის და სხვა მღვდელ-მონაზონებითურთ. განიცადენის დროს ერთმა ბერ-მონაზონმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ვრცლად იყო აღწერილი ყველა სასარგებლო მოღვაწეობანი ასე უდროოდ განსვენებულის ყოვლად სამღვდელო გენნადისა. წირვის გათავების შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ყოვლად სამღვდელო გრიგორიმ. მათმა მეუფებამ საკმაოდ განმარტა, თუ რატომ მეცადინეობდა განსვენებული ეპისკოპოსი გენნადი მისდამი რწმუნებული ეპარქიის კეთილ-დღეობისათვის. აქვე უნდა მოვიხსენოთ, რომ განსვენებულის ბევრი სურვილი და ნატვრა, რომელთაც მიზნად ჰქონდათ დაეხსნა მისდამი რწმუნებული სამწყსო იმ უმეცრებისა და არა სანატრელი მდგომარეობიდამ, რომელშიაც ჩააგდო იგი დროთა ვითარებამ, შეუსრულებელი დარჩა. განსვენებული სცდილობდა, რომ სუხუმის

ეპარქიაში დაეარსებია სასულიერო სასწავლებელი აფხაზების შვილთათვის, მაგრამ მისი ცდა არ აღსრულდა. თავის ჯამაგირის უმეტეს ნაწილს განსვენებული ახმარებდა ღარიბებს, რომელნიც ყოველთვის იღებდენ მათი მეუფებისაგან ნივთიერ შემწეობას. წესის აგების შემდეგ განსვენებული დაასაფლავეს ტაძარშივე. ამის შემდეგ ყოვლად სამღვდელო გრიგორიმ დაათვარიელა მონასტრის წისქვილი და საკრებულო ტაძარი. რომელიც ეხლა შენდება და რომელსაც სიგრძე აქვს ოცი საჟენი და სიგანე 15. საღამოზე ყოვლად სამღვდელო გრიგორიმ მიიღო ცნობა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსისაგან, რომ შეედგინათ სია განსვენებულის ყველა ქონებათა. ამისათვის ყოვლად სამღვდელო გრიგორი წაბრძანდა სუხუმში, შეასრულა ეს საქმე და ხუთ აპრილს გაემგზავრა ფოთში. (მწყემსი, N7-8, 1889 წელი);

სამურზაყანოდამ

კიდევ ორიოდე სიტყვა განსვენებულ სოხუმის ეპისკოპოსს გენნადიზედ და მის მოღვაწეობაზედ აფხაზეთის ეპარქიაში. აფხაზეთის ეპარქიამ დაკარგა თავისი სასიქადულო მზრუნველი მამა, ყოვლად სამღვდელო გენნადი, რომელიც დაუღალავად ზრუნავდა მისდამი რწმუნებული ეპარქიის დღეკეთილობისათვის. სწორეთ უსამართლობა და უმადურობა იქნება ჩვენის მხრით, რომ ორიოდე სიტყვით არ მოვიხსენოთ განსვენებული ეპისკოპოსის გენნადის თავ-განწირული სამსახური ჩვენი ეპარქიის სასარგებლოდ. სულ ორი წელიწადია, რაც ყოვლად სამღვდელო გენნადი განაგებდა სოხუმის ეპარქიას, მაგრამ ამ მოკლე ხნის მართვის დროსაც მათმა მეუფებამ დიდი შემწეობა აღმოუჩინა მისდამი რწმუნებულ ეპარქიას. ამ მოკლე ხანში განსვენებულმა ორჯერ დაათვალიერა მისი ეპარქიის თითოეული ეკკლესია და პირადათ შეიტყო როგორც თითოეული ეკკლესიის მდგომარეობა, ისე მისი მრევლისა. ყოვლად სამღვდელო გენნადის მოგზაურობის დროს არ აჩერებდა არც წვიმა, არც მთა-გორიანი და ცუდი გზები; მათი მეუფება თავ-განწირული იყო თავის ეპარქიისთვის და ამიტომ იტანდა ყოველ გვარ გაჭირვებას და ჯაფას. განსვენებული დღე და ღამე იმის ფიქრში იყო, თუ რა ღონით, რა საშვალებით აღმოეჩინა შემწეობა ეკკლესიებისა და სკოლებისათვის და არც უნაყოფოთ ჩაუვლია მისი მეუფების ზრუნვას: ყოვლად სამღვდელო გენნადის მეცადინეობით და თაოსნობით თოთხმეტი სკოლა დაარსდა სამურზაყანოში; ამ სკოლებში დღეს რიგიანად მიდის სწავლის საქმე. განსვენებული ყოვლად სამღვდელო გენნადი ხშირად მიმართავდა ხოლმე რუსეთის სხვა და სხვა მონასტრებს და მდიდარ ეკკლესიებს თხოვნით, რათა მათ შემწეობა აღმოეჩინათ მისდამი რწმუნებული ეპარქიისათვინ და, რასაკვირველია, მათი მეუფების თხოვნაც არ რჩებოდა უყურადღებოთ. განსვენებული ღებულობდა ყოველ გვარ საკლესიო ნივთებს - შესამოსლებს, საეკკლესიო სამკაულებს, ხატებს, წიგნებს და სხ. ამ შეწირულ ნივთებს მათი მეუფება ურიგებდა ეკკლესიებსა. განსვენებულის თაოსნობით წარსულ წელში დ. ოქუმში დაარსდა წიგნთ-საცავი სამურზაყანოს სამღვდელოებისათვის და სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის; წიგნთ-საცავს შესწირა საერო და სასულიერო საუკეთესო მწერალთა თხზულებანი. განსვენებულის თხოვნით დიდ-ძალი სასწავლო ნივთები შემოეწირა ამას წინეთ ქ. ბათუმიდგან სამრევლო სკოლების სასარგებლოდ. ერთი სიტყვით განსვენებული ყოვლად სამღვდელო დიდის სიყვარულით და მამობრივის მზრუნველობით ეკიდებოდა სწავლა-განათლების საქმეს. წარსულს წელში ნოემბრის თვეში მათმა მეუფებამ, როცა იგი სარევიზიოდ ბრძანდებოდა სამურზაყანოში, დანიშნა კრება დ. ოქუმში სამრევლო სკოლების მასწავლებელთა, რომელთაც ხარჯი და გზის ფული თავის საკუთარი ჯიბიდან დაურიგა მათ, როცა ხომალდში ჯდებოდა მათი მეუფება და ახალ ათონის მონასტერში მიემგზავრებოდა, გახსნა პორტმანი და შიგ მხოლოდ ექვსი შაურიღა ჰქონდა ჩარჩენილი. ამით ის მინდა ვსთქვა, რომ განსვენებული თავის ჯამაგირს უხვად ახმარდა ეკკლესიას და

სკოლას. ისეთი სკოლა არ არის აფხაზეთში, რომელშიაც მათ მეუფებას შეგირდებისათვის თუმანი - ან ხუთი-ექვსი მანეთი არ დაეტოებინოს. მე არ შემიძლია განსვენებული ყოვლად სამღვდელო გენნადის ღირსებათა დაწვრილებით აღწერა, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ იგი იყო ძრიელ გულ-კეთილი და სტუმართ მოყვარე გვამი. არ ყოფილა მაგალითი, რომ ახლად ნაკურთხი მღვდელი ან დიაკვანი უსადილოთ ან უჩაეოთ გაეშვას კურთხევის დღეს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ამისთანა მღვდელ-მთავრის სიკვდილმა ასე მწარეთ დააღონა და შეაწუხა როგორც მთელი სამღვდელოება სოხუმის ეპარქიისა, ისე მკვიდრნიც. ცხადია, რომ, თუ კაცი მეტად სწუხს კაცზე, მაშინ იგი ვერ ახერხებს სიტყვის წარმოთქმას. ჩვენც ასე მოგვივიდა: როცა წესის აგების დროს დიაკვანმა მოიხსენა მიცვალებულის სახელი, ისეთი ქვითინი ასტეხა, რომ იძულებული შეიქმნა შეჩერებულ იყო, რადგან ვერ ახერხებდა სიტყვის წარმოთქმას, ხოლო საკურთხეველში მღვდლები ვერ ვახერხებდით ასამაღლებელის თქმას. ხალხი უწყალოდ ღვრიდა ცრემლს. მოგახსენებენ, რომ მონასტერში როცა ახლო-მახლო სამრევლოის მღვდლებმა მოიყარეს თავი პანაშვიდის გარდასახდელად, ისეთი ტირილი ატყდა, რომ ზედი-ზედ სამი მთავარ-დიაკვანი გამოიცვალეს, მაგრამ ვერცერთმა მათგანმა მეტის ტირილისა გამო ვერ გამოთქვა სიტყვა განსვენებული გენნადის სახელის ხსენებაზედ. მგონი მარტო ესეც საკმაოა იმის დასამტკიცებლად, თუ რა კეთილი მამა დაეკარგა სოხუმის ეპარქიას. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ჩვენო ძვირფასო, გულკეთილო მწყემს-მთავარო გენნადი. /მღვდელი ნიკოლოზ შენგელია/. (მწყემსი, N9, 1889 წელი);

«მწყემსი»-ს კორესპონდენცია

კიდევ ორიოდე სიტყვა ახლად გარდაცვალებულ სოხუმის ეპისკოპოსს გენნადიზედ. თუმცა ბევრი რამ იყო ნათქვამი თქვენს პატივცემულ გაზეთს «მწყემს»-ში სოხუმის აწ განსვენებულ ეპისკოპოსს გენნადიზედ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ რედაქცია მცირე ადგილს დაუთმობს გაზეთში ამ ჩემს შენიშვნასაც განსვენებული გენნადის მოღვაწეობაზე. სოხუმის ეპარქიის საეკკლესიო მოსამსახურენი და მთელი საზოგადოება დიდის სიხარულით მოველოდით ქრისტეს აღდგომას, მაგრამ ესრეთი ჩვენი სიხარული მწუხარებად შეიცვალა. ამ მწუხარების მიზეზი გახლდათ ჩვენი პატივცემული ყოვლად სამღვდელო გენნადის მოულოდნელი გარდაცვალება. შემდეგ ოთხი დღის ავადმყოფობისა, როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ყოვლად სამღვდელო გარდაიცვალა 31 მარტს. განსვენებულის გარდაცვალებამ თავზარი დასცა როგორც სამღვდელოებას, ისე მთელი სუხუმის ეპარქიის მკვიდრთა. ანუ ვის არ შეაწუხებდა განსვენებულის გარდაცვალება? იგი იყო ნამდვილი მამა თავის სამწყსოისათვის. განსვენებული გენნადი თავისი უმანკო ცხოვრებით სწორეთ ანგელოზებრივი კაცი იყო; მასთან იგი იყო კაცთ-მოყვარე, უხვი და შემბრალე. განსვენებული იყო ფრიად გონიერი მმართველი მისდამი რწმუნებული ეპარქიისა. ყოველივე ღვთის-მსახურებას იგი ასრულებდა მტკიცედ და უდაბნოის წესისაებრ. განსვენებულის მოღვაწეობას მოწმობენ საქმენი მისნი, რომელნიც დღეს ყველას თვალწინ აქვს. ორი წლის განმავლობაში განსვენებულმა ყოვლად სამღვდელო გენნადიმ დიდი სარგებლობა მოუტანა თავის ეპარქიას. დღე და ღამე განსვენებული მისდამი რწმუნებული ეპარქიის ეკკლესიების და მათში მოსამსახურე სამღვდელოების დღეკეთილობაზე ფიქრობდა. განსვენებული მოწადინებული იყო გაევრცელებია ხალხში სწავლა-განათლება, შეემკო და გაემშვენებია ეკკლესიები და ნივთიერად გაეუმჯობესებია მისი სამღვდელოების მდგომარეობა. ამ ცვლილებათა მოხდენის შესახებ მრავალი წარდგინებანი გაიგზავნა ყოვლად სამღვდელოსაგან, სადაც ჯერ არ იყო, და თუმცა განსვენებული თვითონ ვერ მოესწრო თავის შუამავლობათა განხორციელებას, მაგრამ, იმედია, ეს წარდგინებანი უყურადღებოდ არ იქმნებიან დატოვენულნი უმაღლესი სასულიერო მთავრობისაგან. დღითი დღე მშვენდებოდენ ეკკლესიები და მრავლდებოდენ სამრევლო სკოლები. განსვენებულის ჯანმრთელობაზე

მეტად ცუდი ზედგავლენა იქონია აფხაზეთის მძიმე და ალაგ-ალაგ დამპალმა ჰაერმა. ცუდმა ჰაერმა და ძლიერმა შრომამ მეტად დაასუსტა იგი. თუმცა განსვენებულს კუჭის ავად-მყოფობა ჰქონდა, მაგრამ იგი სამარხო საჭმლის მეტს არაფერს არ იღებდა. ამ ავად-მყოფობას ზედ დაერთო ციება. დღეს რომ გაეციებია განსვენებულისათვის, მეორე დღეს იგი მზად იყო წასულიყო რომელიმე ეკკლესიის დასახედავად, თუ კი ამას საჭიროება მოითხოვდა. წარსულ წელში განსვენებული გენადი რევიზიის დროს ცოცხალ-მკვდარი ჩამოიყვანეს ცხენიდამ და თითქმის უსულგულო დააწვინეს ლოგინში. როცა განსვენებული ცოტა მოსულიერდა, ამოიოხრა და სთქვა: «ოხ, მოსკოვის მცხოვრები სად ჩამოვარდი». ყველანი ურჩევდენ განსვენებულს, რომ იგი მორიდებოდა და არ მიეღო სამარხო საჭმელები ხსნილში მაინც, მაგრამ იგი მზად იყო გამოთხოვებოდა ამ წუთისოფელს, ვინემ დაერღვია რომელიმე დადგენილობა წმიდა ეკკლესიისა. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ყოვლად კეთილო და მოწყალეო მწყემს-მთავარო გენნადი. თუმცა შენ არ ეკუთვნოდი შთამამავლობით შენდამი რწმუნებული ეპარქიის მკვიდრთა, მაგრამ ორი წლის მათში სამსახურით და სასარგებლო მოღვაწეობით შენ დაუვიწყარი შეიქმენი მათ გულში... /ერთი მისიონერთაგანი/. (მწყემსი, N10, 1889 წელი);

«მწყემსი»-ის კორესპოდენცია აფხაზეთიდგან

წრეულს აფხაზეთშიაც დაიწყეს ჯარში გასაწვევ ახალგაზდათა სიების შედგენა, რადგან ამ შემოდგომიდამ აქაც შემოღებული იქმნება სამხედრო ბეგარა. უმაღლესი მთავრობის ესრეთი განკარგულება აფხაზებმა მშვიდობიანად მიიღეს. მხოლოდ ამავე განკარგულებამ, რომლის ძალით სოხუმის ოლქში მცხოვრებ მაჰმადიან-აფხაზებს ჯარში გაყვანის მაგივრად ფულით გარდასახადი დაადვეს, ცოტაოდენი უკმაყოფილება გამოიწვია. თუმცა ზოგიერი აფხაზები აღიარებენ მაჰმადიანობას, მაგრამ იგინი შესამჩნევად განსხვავდებიან ფანატიკ მოსლემანთაგან. მაინცა და მაინც აფხაზებს ძვალსა და რბილში გამჯდარი არა აქვსთ არც ქრისტიანობა და არც მაჰმადიანობა. ამიტომაც აფხაზისათვის სარწმუნოების გამოცვლა ძნელ საქმეს არ შეადგენს. მთელს ოჩამჩირის საბლაღოჩინო მაზრაში, ორი სამრევლოის გარდა, მტკიცედ გაიდგა ფესვი მართლ-მადიდებელმა სარწმუნოებამ და სრულიად განაძევა მაჰმადიანობა ამ მაზრიდამ, ასე რომ დღეს ამ მაზრის სამრევლოებში სულ ორიოდე პირი თუ მოიპოვება მაჰმადის აღსარებისა. აქ დღეს ხშირი მოვლენა არის, რომ ერთსა და იგივე ოჯახში ზოგი მონათლულია და ზოგი არა. ერთს ოჯახში დედ-მამა მონათლულია, ხოლო შვილები არა; ცოლი მონათლულია, ხოლო ქმარი მაჰმადიანია. ერთი დედ-მამის შვილებში ზოგი მონათლულია და ზოგი არა. აფხაზების ესრეთი სარწმუნოებრივი მდგომარეობა აძნელებს სამხედრო ბეგრის საქმის სისრულეში მოყვანას. ერთსა და იმავე სოფელში ზოგიერთი ოჯახიდამ უნდა გაიყვანონ ახალგაზდები სალდათათ, ხოლო ზოგიერთი ოჯახები, რადგან მაჰმადიანობას აღიარებენ, ფულის გადახდით იცილებენ თავიდგან ამ ბეგარას; ერთ ძმას ხვდება ჯარში გასვლა, ხოლო მეორემ ფული უნდა გადიხადოს. ყველას საადვილოდ მიაჩნია ფულის გადახდა, ვინემ ჯარში გასვლა. ეს გარემოება ერთსა და იმავე სოფლის მცხოვრებთა და ერთსა და იგივე ოჯახის წევრთა შორის, ახდენს შურს და მტრობასა. რაკი აქაც შემოიღეს სამხედრო ბეგარა. ყველა აფხაზნი, სარწმუნოების განურჩევლად, უნდა გაეყვანათ ჯარში. აფხაზები ამბობენ: თუ ზოგიერთნი ფულის გადახდით იცილებენ თავიდგან სამხედრო ბეგარას, ჩვენ რაღა დავაშავეთ? ჩვენც მზად ვართ ჯარში წასვლის მაგივრად ფული გადავიხადოთ, და თუ ეს შეუძლებელია, მაშინ თათრობას დაუბრუნდებით; ჩვენ გვეგონა, რომ რუსეთის სახელმწიფოში უპირატესობა ქრისტიანობას ეჭირა, მაგრამ, როგორც სჩანს, ეს უპირატესობა მაჰმადიანებსა ჰქონებია, ამიტომ დღეიდგან ჩვენს შვილებს მაინც აღარ მოვნათლავთ. რიგია, რომ ამ სამწუხარო მოვლენას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს, თორემ ეს საქმე ძალიან შეაფერხებს აფხაზეთში ქრისტიანობის

გავრცელების საქმეს. დღეიდამ არამც თუ აღარავინ აღარ მოინათლება, მონათლულნიც მიატოვებენ ქრისტიანობას. ოჩამჩირის საბლაღოჩინოის სამღვდელოებას განზრახვა აქვს დანიშნოს კრება და მოილაპარაკოს ამ საქმის შესახებ და თხოვნა მიართვას უმაღლესს სასულიერო მთავრობას. მოახერხებს ამას აქაური სამღვდელოება, თუ არა ეს ნამდვილად არ ვიცით; მაგრამ ის კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სამღვდელოების ამ გვარ დადგენილობას ნამდვილ საფუძვლიანად იცნობს ყოველი ის პირი, ვინც დაახლოვებით იცნობს აფხაზების დღევანდელს სარწმუნოებრივს მდგომარეობას და ყოფა-ცხოვრებას. /მღვ. პარმენ ფარეიშვილი/. (მწყემსი, N10, 1889 წელი);

სოხუმის ახალი ეპისკოპოსი, ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე

ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება დამტკიცება უწმინდესი სინოდის მოხსენებისა ვლადიმიროვოლინის მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტის ალექსანდრეს სოხუმის ეპისკოპოსად დანიშვნაზე. აქ საჭიროდ ვრაცხთ ზოგიერთი ბიოგრაფიული ცნობები მოვიყვანოთ სოხუმის ახალს ეპისკოპოზზედ. ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე არის სარატოვის გუბერნიის მკვიდრი, ერის კაცობაში უწოდებდა ივანე ანდრიას ძეს ხოვანსკის. როცა მან სწავლა დაამთავრა სარატოვის სასულიერო სემინარიაში, ახალგაზრდა სტუდენტი სახელმწიფო ხარჯით გაგზავნეს ყაზანის სასულიერო აკადემიაში, რომელშიაც მან შეასრულა სწავლა 1850 წელში კანდიდატის ხარისხით. აკადემიაში კურსის შესრულებისთანავე იგი დაინიშნა მასწავლებლად სარატოვის სემინარიაში, სადაც ასწავლიდა ლოღიკას და პსიხოლოგიას. 50 წლის დამლევს ახალგაზრდა მასწავლებელი, რომელმაც მოკლე ხნის განმავლობაში მოიპოვა მოწაფეების სიყვარული და პატივის ცემა, დაქვრივდა და შედგა ბერად, სახელად ეწოდება ალექსანდრე; იგი დაინიშნა იმავე სემინარიის ინსპექტორად. ამ დროს ამ სემინარიაში რექტორად იყო არქიმანდრიტი ნიკანორი, დღეს ხერსონი მთავარ-ეპისკოპოსი; როცა მ. ნიკანორმა თავი დაანება რექტორობას, არქიმანდრიტი ალექსანდრე იქმნა დანიშნული რექტორის თანამდებობის აღმასრულებლად. შემდეგ იგი დაინიშნა პერმის და ასტრახანის სემინარიის რექტორად. ასტრახანიდამ არქიმანდრიტი ალექსანდრე გადავიდა სამხრეთ რუსეთში და დაინიშნა ხერსონის პირველი რიგის მიძინების მონასტრის წინამძღვრად კრიმში, ხოლო შემდეგ დაინიშნა ვლადიმიროვოლინის მონასტრის წინამძღვრად. ამ ადგილიდგან არქიმანდრიტი ალექსანდრე დაინიშნა სოხუმის ეპისკოპოსად. იგი არის დღეს 66 წლისა. სარატოვში, პერმში და ასტრახანში ცხოვრების დროს არქიმანდრიტი ალექსანდრე იყო ადგილობრივ ეპარქიალურ უწყებათა რედაქტორად. ამ გაზეთებში ბლომად იბეჭდებოდენ მისი საკუთარი სტატიები, უმთავრესად ღვთის-მეტყველების და პოლემიკური შინაარსისანი. როგორც მქადაგებელი, არქიმანდრიტი ალექსანდრე არ არის მოკლებული მქადაგებლობით ნიჭსაც. წარსული თვის მაისის 24 არქიმანდრიტი ალექსანდრე იქმნა წოდებული ეპისკოპოსად პეტერბურგში უწმინდესი სინოდის ეკკლესიაში, ხოლო მისი ეპისკოპოსად ხელდასხმა მოხდა 29 მაისს, ორშაბათს, სული წმიდის დღეს. სოხუმის ახალ ეპისკოპოსს ალექსანდრეს აქვს ვლადიმირის ორდენი მესამე ხარისხისა. (მწყემსი, N11, 1889 წელი);

«მწყემსი»-ს კორრესპონდენცია სოხუმიდგან

მთელი სოხუმის ეპარქია შედგებია ოთხი საბლაღოჩინო ოლქისაგან: ოქუმისა, ოჩამჩირისა, გუდაუთისა და შავი ზღვის ოლქის საბლაღოჩინოსაგან. ოქუმის საბლაღოჩინო იწყება მდინარე ენგურიდგან და თავდება ილორის წმიდის გიორგის ეკკლესიით. ამ საბლაღოჩინო ოლქის ყველა მცხოვრებნი მართლ-მადიდებელნი არიან. მათში მაჰმადის სარწმუნოების

აღმსარებელი არ მოიპოვება. ქრისტიანობას აქ მტკიცედ აქვს ფესვი გადგმული. სამწყსოს და სულიერ მწყემსთა შორის მამა-შვილური განწყობილება და სიყვარული არსებობს. სარწმუნოების მხრით აქაურებზე დიდი გავლენა აქვს სამეგრელოს. ოქუმელები მოსაზღვრენი და მეზობელნი არიან მეგრელებისა. ოქუმელები მეგრელებისაგან იღებენ ზნე-ჩვეულებას და ამ ორივე ხალხს ხშირი მისვლა-მოსვლა აქვს ერთმანეთში. მათში გახშირებულია ხორციელი და სულიერი ნათესაობა. ამ საბლაღოჩინოში დღეს გახსნილია 13 საეკკლესიო-სამრევლო სკოლა, რომლებშიაც ყმაწვილებს წერა-კითხვას და სარწმუნოების პირველ დაწყებით ჭეშმარიტებათ ასწავლიან. ოჩამჩირის ანუ კოდორის საბლაღოჩინო მდინარე ილორიდამ უწევს მდინარე კოდორამდე. ამ საბლაღოჩინოს მკვიდრთა შორის დღესაც ბევრნი აღიარებენ მაჰმადის სარწმუნოებას. აქ ქრისტიანობის გავრცელების საქმეს მეტად აყოვნებენ თათრები და მარჩიელები. გუდაუთის საბლაღოჩინო მაზრა მდებარეობს შავი ზღვის პირას და საკმაოდ ვრცელია. სამწუხარო ისტორიულ უბედურებათა გამო, ამ საბლაღოჩინოში მეტად შემცირებულია ქრისტიანობა. ადგილობით მკვიდრთა უმეტესობა მაჰმადის სარწმუნოებას აღიარებს, ხოლო მცირე ნაწილი მართლ-მადიდებელი აღსარებისაა. როგორც აქაური თათრები, ისე ქრისტიანები სიტყვით უფრო აღიარებენ თავიანთ სარწმუნოებას, ვინემ საქმით. წარსულს წელში ამ საბლაღოჩინოში განსვენებული ეპისკოპოსის გენნადის და დეკანოზის დავით მაჭავარიანის მეცადინეობით და შარვაშიძის მეუღლე კნეინა ელისბარ დადიანის ასულის დახმარებით ორი ათასმა სულმა მიიღო ქრისტიანობა და მოინათლენ. დღესაც ბევრნი არიან აქ მოუნათლავნი და ესენი დიდად აფერხებენ ქრისტიანობის გავრცელების საქმეს. ამიტომ საჭიროა, რომ ამ საბლაღოჩინოს ოლქის ყველა სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურეთ მუყაითად მოჰკიდონ ხელი თავის მოვალეობას. აუცილებლად საჭიროა გახსნა სამრევლო სკოლებისა, რომლებშიაც ადგილობით მკვიდრთა ახალ-თაობას შეეძლოს წერა-კითხვის და საღმრთო სჯულის შესწავლა. მეორედ დიდ შემწეობას აღმოუჩენდა ქრისტიანობის გავრცელების საქმეს მოუნათლავ აფხაზების განშორება მონათლულებისაგან. ამათში ბევრნი ისეთები არიან, რომელთაც ვერას გზით ვერ მოარჯულებს კაცი და რომელთაც მეტად ცუდი გავლენა აქვსთ გაქრისტიანებულ თანამოძმეებზე, აგრეთვე საჭიროა, რომ სახორციელო და სასულიერო მთავრობამ მოახდინოს განკარგულება, რომლის ძალით გაქრისტიანებულ აფხაზს არ შეეძლოს მაჰმადის აღმსარებელი ქალის ცოლად შერთვა, აგრეთვე აღკრძალული უნდა იყოს, რომ მაჰმადის აღმსარებელმა არ შეირთოს, ცოლად ქრისტიანე ქალი. თორემ დღეს ერთსა და იმავე ოჯახში ზოგი მართლ-მადიდებელნი არიან და ზოგნი მაჰმადიანები. შავი ზღვის ოლქის საბლაღოჩინოს მკვიდრნი მთლად რუსები არიან, რომელთა შორის მართლ-მადიდებელ ქრისტიანობას მტკიცედ აქვს ფესვი გადგმული. /მღვ. ი. ოსიძე/. (მწყემსი, N12, 1889 წელი);

ახალი დაბრკოლებანი ქრისტიანობის გავრცელების გზაზედ აფხაზეთში

კორრესპონდენცია, რომელიც ჩვენ მივიღეთ აფხაზეთიდამ და რომელიც წინა ნომერში იყო დაბეჭდილი, გვაძლევს შემთხვევას გამოვსთქვათ რამოდენიმე სიტყვა აფხაზეთში ქრისტიანობის გავრცელების მდგომარეობაზედ. საქმე იმაშია, რომ აფხაზეთში, სადაც ჯერ კიდევ იბრძვიან ერთმანეთში მართლ-მადიდებლობა და მაჰმადის სარწმუნოება, მცხოვრებლები წარმოგვიდგენენ საკვირველ ფერადობას და სიჭრელეს სარწმუნოებით: ერთსა და იმავე სახლში, ერთსა და იმავე ოჯახში, ცოლ-ქმართა, ძმათა და დათა შორის თქვენც შენიშნავთ საშინელს რელიგიურს განსხვავებას, - და მართლაც ისეთ წრეებში, სადაც წევრთა აკავშირებს ღვიძლი ნათესაობა, რაღაც ნაირი მანქანებით თავსდებიან ერთმანეთს შორის ქრისტიანობა და მაჰმადიანობა. აი ქვეყანა, სადაც სამკელის სიუხვე ქრისტეს ყანაში მოითხოვს მშრომელ მუშაკთა, რომელთაც თავის შეეძლოსთ დროზედ

განფანტონ სიბნელე მოსლემანთა სარწმუნოებისა ქრისტეს სწავლის ნათელით. მით უმეტეს ყურადღების ღირსია აფხაზეთი ამ მხრით, რომ იგი არის მოციქულების ქვეყანა, რომელმაც პირველ მოისმინა სახარება ქრისტესი პირ-და-პირ მოციქულთ ბაგეთაგან. ეს ყველაფერი კარგად ჰქონდა შეგნებული უმაღლეს მთავრობას და კიდევაც აქცევდა იგი ამ მხრით ჯეროვანს ყურადღებას აფხაზეთს. დიდი ხანია, რაც იქ მოღვაწეობენ ქრისტიანე მისსიონერები აღსადგენად და გასავრცელებლად მართლ-მადიდებლობისა. ჩვენ არ დავასახელებთ მრავალ აფხაზთა, რომელნიც მოაქრისტიანა იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა და რომელნიც, სამწუხაროდ, ძალით იყვნენ გადასახლებულნი სათათრეთში უკანასკნელი ომის დროს რუსეთსა და სათათრეთს შორის. ჩვენ უჩვენებთ მხოლოდ იმ 2000 მაჰმადიან აფხაზთ, რომლებიც ამ მოკლე ხანში გააქრისტიანა ნეტარხსენებულმა ეპისკოპოსმა გენნადიმ, რომელმაც მოკლე დროის განმავლობაში დაუმტკიცა ყველას, რომ სიყვარული და გულ-მოდგინეთ საქმის ხელის მოკიდებას შეუძლია შეასრულოს დიდი საქმეები და მოიტანოს უხვი ნაყოფნი ყოველს მოღვაწეობის ასპარეზზედ. აბხაზეთის ახალი ეპისკოპოსი, ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე უეჭველად დაადგება თავის წინამოადგილის გაკვალულს გზას და კიდე უფრო წარმატებით წაიყვანს მისიონერების საქმეს აბხაზეთში. მაგრამ ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ მარტო მონათვლა არ კმარა უცხო სარწმუნოების ადამიანისა, საჭიროა იგი გულითა და სულით შეიქნეს ჭეშმარიტი ქრისტიანე. ხოლო ეს შინაგანი საქმეა და მოითხოვს დიდს დროთა და ხელშემწე გარემოებათა და პირობათა. ერთბაშათ შეჩვევა, შეთვისება, შეხორცება ახალი ცხოვრებისა, ახალ აზრთა, რწმუნებათა და შეხედულებათა არას გზით არ შეიძლება, მით უმეტეს ყველა ეს ახალი უნდა დაეტაკოს და შეებრძოლოს დიდის ეჭვებითა და ბორძიკით ყველა იმ ძველ რწმუნებათა, აზრთა და შეხედულებათა, რომელნიც ძვალსა და რბილში გასჯდომია კაცს. აი ეს გარემოება მუდამ უნდა ახსოვდეს მისსიონერთა და სცდილობდენ ყოველის მხრით, რომ ახლად მონათლულნი ჩააყენონ კარგს გარემოებაში, რათა ისინი გახდენ ჭეშმარიტ ქრისტიანებად. წინააღმდეგ შემთხვევაში ახლად მონათლულები მხოლოდ სახელით იქმნებიან ქრისტიანები, ხოლო საქმით კი დარჩებიან სიბნელეში წინანდელი სარწმუნოებისა, ანუ, თუ მარჯვე შემთხვევა ნახეს, დაუბრუნდებიან ძველს სარწმუნოებას. და აი ამას ცხადათ გვიმტკიცებს დღეს აბხაზეთი. როგორც გვაუწყებს ზემო აღნიშნული კორრესპონდენცია აბხაზეთიდამ, მონათლულ აბხაზთ შორის ხშირად გაიგონებთ არა სასიამოვნო დრტვინვასა და საყვედურს. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ მაჰმადიან აფხაზთ სამხედრო ბეგარა ფულით ხდებათ და არა სამსახურით, ხოლო მონათლულნი კი უსათუოდ უნდა გავიდენ ჯარისკაცად. აი რამ აალაპარაკა დღეს გაქრისტიანებული აბხაზები. ეს დიდი უპირატესობა ჰქონია მაჰმადის სარწმუნოებასო და დიდად ნანობენ, რომ ასეთი თავისუფლება დაჰკარგეს ამ სარწმუნოების დატოვებით. ეს რომ შემცდარი შეხედულებაა აბხაზთა, ამაზედ ბევრს ლაპარაკს საჭიროდ არა ვრაცხთ; მკითხველმა უეჭველად იცის, რომ ქვეშევრდომთა მოწვევა ჯარისკაცებად ამტკიცებს სახელმწიფოის ნდობას მათდამი, შეადგენს დიდს პატივს და სიქადულს მათთვის. ცხადია, რომ აფხაზნი ჯერ კიდე ვერ დამშვიდდენ ქრისტიანობაში იმდენად, რომ სრულიად ხელი აიღონ ნივთიერ ანგარიშზედ. ჯერ-ჯერობით მთელი სურვილი გაქრისტიანებისა სტრიალებს მხოლოდ ნივთიერ ანგარიშთა ფარგალში. აღვილად მიხვდება მკითხველი, რომ ეს გარემოება ძლიერ შეაფერხებს და დააბრკოლებს მისსიონერების საქმეს აფხაზეთში, სადაც ქრისტიანობის აღდგენა დაიწყო და მომდინარეობდა დღემდის დიდის წარმატებით. მაგრამ ვისთვისაც კი სანატრელი, ძვირფასი და სასურველია ქრისტიანობის აღდგენა აფხაზეთში, ვისაც ცხადათ ესმის, თუ რამდენ ბედნიერებას და შვებას შეადგენს ქრისტეს სარწმუნოება ადამიანისათვის, ის დაგვეთანხმება, რომ ეს საქმე სამხედრო საქმეს არ უნდა ენაცვალოს არას გზით. საჭიროა ისე მოეწყოს საქმე, რომ არც წვადი დაიწვას და არც შამფური: ჯარისკაცთა გაწვევის საქმეც კარგად წავიდეს და ქრისტიანობის გავრცელებასაც არა ევნოს რა. რატომ არ შეიძლება, მაგალითად, რომ, დროებით მაინც, მთელი აფხაზეთის მკვიდრთათვის ფულზედ

გადაიტანონ სამხედრო ბეგარის ხდა, ან და, ყველანი, სარწმუნოების გაურჩევლად, მოიწვიონ ჯარისკაცებად, ერთი სიტყვით დააწესონ ერთგვარი რამ ყველასთვის და მით მოსპონ საყვედური და დრტვინვა ხალხში. ისეთ კუთხეებში, როგორიც არის აფხაზეთი ამისთანა შემთხვევები ყოველთვის შესაძლოა და იმედია, მართებლობა მიაქცევს ამას ყურადღებას და შეადგენს მათთვის რაიმე განსხვავებულს წესდებას. აფხაზეთი კი კერძოდ და დაუყონებლივ მოელის შველას ამ საქმეში მზრუნველი მთავრობისაგან... (მწყემსი, N12, 1889 წელი);

«მწყემსი»-ს კორრესპონდენცია აფხაზეთიდამ

ჩვენი ხალხი, მიუხედავად თავის შეძლებისა, დიდს ხარჯს ეწევა როგორც თავისი მიცვალებულის დასაფლავების დროს, ისე ამ მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად გამართულ აღაპებისათვის, მაგრამ ეს უბრალო და ნივთიერად ჩვენი ხალხის დამაღარიბებელი ჩვეულება, ვგონებ, ისე არსად არ არის გავრცელებული, როგორც აფხაზეთში. ისეთი ღარიბი აფხაზი არ იქნება, რომ თავის მიცვალებულის დამარხვა და შემდეგ აღაპების გამართვა 200-300 მანეთ ნაკლები დაუჯდეს. კიდევ კარგი, თუ მიცვალებულის ჭირისუფალს შეძლება აქვს, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ღარიბთ არ უნდათ გამოსწყდენ თავიანთ მეზობლებში და ვარდებიან ვალებში. აღაპის დღე ინიშნება ხუთი ექვსი თვით ადრე და ცდილობენ, რომ აღაპის დღე არ შეხვდეს ან მარხვაში და ან ზამთარში. დაპატიჟება აღაპზე საჭირო არ არის. დანიშნული დროის წინა დღით შორეული სოფლებიდამ მოდიან დიდი და პატარა, ქალი და კაცი, და ღამეს მახლობელ სოფელში ათევენ. მეორე დღეს, დილით ადრე გაემგზავრებიან აღაპზე დასასწრებლად. მიცვალებულის პატრონი ცდილობს, რომ ყველას პატივი სცეს, თუმცა თავისი სტუმრების მესამედსაც ვერ იცნობს, როცა სადილს გაათავებენ და კარგადაც შეთვრებიან სტუმრები, შემდეგ იმართება ცხენების ჯირითი. ამ ჯირითის დროს ბევრი უბედურება ხდება. ხშირად ორი-სამი კაცი კვდება და მრავალი მახინჯდება ცხენიდამ გადმოვარდნით, ანუ ცხენების ერთი ერთმანეთზე დატაკების დროს. მდიდარი აფხაზი ამ ხარჯსაც არ კმარობს. იგი ნიშნავს მარულს და მასთან საჩუქრებს. პირველი საჩუქარი იქნება ღირებული არა ნაკლებ ასი მანეთისა და მეტი ხომ ხშირი შემთხვევაა. საჩუქრის მიღების მსურველნი დიდის ხნიდგან შეუდგებიან ხოლმე ცხენების მზადებას, ყველას ჰსურს თავიც გამოიჩინოს და საჩუქარიც აიღოს, მაგრამ ეს სურვილი ზოგს ძვირად უჯდება. წარსულს წელში ერთი ახალგაზდა ყმაწვილი ჩამოვარდა ცხენიდამ და იმავე დღეს სული განუტევა. ამდენ უბრალო ხარჯს ეწევა აფხაზი თავის მიცვალებულის დასაფლავების დროს, მაგრამ ათასი ემუდარო, ერთ კაპიკს ვერ შეაწირვინებ თავისი ღარიბი ეკკლესიის სასარგებლოდ. აქაური სამღვდელოება მოვალეა ეს უბრალო და დამაღარიბებელი ჩვეულება მოსპოს ხალხში, მაგრამ მათი სწავლა-დარიგება ხშირად რჩება «ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა». /მღ. ი. ო-ძე/. (მწყემსი, N18, 1889 წელი);

***

აფხაზეთიდამ გვწერენ: აფხაზები თავიანთ მიცვალებულებს ხშირად მარხვენ თავიანთ ეზოებში, ან იმ ადგილას, სადაც მოეწონებათ. ამიტომ ურიგო არ იქნება, რომ სასულიერო და სახორციელო მთავრობანი ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევდენ ამ საქმეს და დანიშნავდენ საზოგადო სასაფლაოებს ან სოფლის საშუალ ადგილებში და ან ეკკლესიების გალავნებში. (მწყემსი, N18, 1889 წელი);

***

სოხუმის ეპარქიის, გუდაუთის მაზრის, სოფლის კალდახვარას ეკკლესიის კრებული და სამწყსო გულითად მადლობას სწირვენ თავადი გიორგი ინანიშვილის ქვრივს კნეინა ვერა

შერვაშიძის ასულს, რომელმაც ხსენებულს ეკკლესიას თავის ხარჯით აუშენა მშვენიერი სამრეკლო, რომელზედაც დაიხარჯა უმეტეს 400 მანეთისა. (მწყემსი, N18, 1889 წელი);

1890 წელი

გაზეთი ,,ივერია''

სოხუმი

15 იანვარს, დილის ათი საათი იქნებოდა, სოხუმის ტაძრის მთავარ-დიაკვანი, ჩამომავლობით რუსი, რომელსაც ამ ორის კვირის წინად ცოლი გარდაეცვალა, მწარე ფიქრებით შეპყრობილი წასულა და თავის დარჩობა მოუწადინებია მდ. ჩაიბაშში, მაგრამ იმის ბედზე ადგილობრივ სათადარიგო ბატალიონის ჯარის კაცები მიშველებიან და გადაურჩენიათ. (ივერია, N14, 1890 წელი);

სოხუმი

აქაც იყო ესრედ წოდებული „ინფლუენცია“. მართალია, ქალაქში არაფერი უნარი გამოუჩენია, მაგრამ სოფლად-კი დიდი ზარალი მოუტანა ხალხს.

იქიდამვე: წელს აქ ბლომად მოვიდნენ გულით ავადმყოფნი და იანვრამდის კაი ამინდის წყალობით სულ ზღვის პირად დასეირნობდნენ. ახლა ცუდი დღეები დადგა და ავადმყოფებმა მოიწყინეს, მაგრამ მაინც მადლიერნი არიან სოხუმის ჰაერისა. დიდი უბედურება ის არის, რომ აქ უხერხული სადგომებია სნეულთათვის. (ივერია, N14, 1890 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

სოხუმი, 13 იანვარი. ძველი წელიწადი ჩვენთვის კარგის ამინდებით დაბოლოვდა. მთელს დეკემბერს განუწყვეტლივ მზიანი დღეები იდგა. იანვარიც კარგის დღით დადგა და გვეგონა, ეს თთვეც, სხვა მხრით თუ არა, ამინდით მაინც ისახელებს თავსაო, მაგრამ ძლიერ მოვსტყუვდით. მეორე დღეს ჩვენი კეკლუცი სოხუმი თეთრად შემკულ ახალს პატარძალივით იყურებოდა. მთელი დღე თოვდა. მას აქეთ მოკიდებული განუწყვეტელი წვიმა მოდის. მართალია, თოვლი გალხვა, მაგრამ წვიმისაგან დიდის ხნის ქვა მოუყრელი ქუჩები საშინლად ატალახდა. 13 იანვარს დილის ათ საათზე არა ჩვეულებრივს მოძრაობას შენიშნავდით ქუჩაზედ. მიდიოდა ჯგუფ-ჯგუფად სამ-სამი, ოთხ-ოთხი კაცი აქაურ საზოგადო კლუბისაკენ, საცა იკრიბებოდნენ სოხუმის მცხოვრებნი დეპუტატის ასარჩევად. შევიკრიბენით ას შვიდი კაცი, აქედამ გაგვიძღოლეს ადგილობრივი მღვდელი ტაძარში. იქ მან გადაიხადა პარაკლისი და შემდეგ დაგვაფიცა ყველანი. ფიცს შემდეგ ისევ კლუბში გიახელით. წამოდგა თავჯდომარე კრებისა ბატონი გოროდნიჩი (გოროდნიჩი გვარი არ გეგონოთ, თანამდებობაა. ეს გოროდნიჩობა ,,რევიზორის'' დროის ხელობაა და მარტო ჩვენში-ღა დარჩენილა ნეტარხსენებულის გოგოლის ტიპის მოხელე კაცი) და მოახსენა საზოგადოებას რამდენიმე სიტყვა ქალაქის შესახებ და შემდეგ სთხოვა დეპუტატობის კანდიდატების წარმოდგენა. შემდეგ ილაპარაკა ან. ჯუღელმა. მან სთქვა, რომ ამ ორის

წლის წინად მოგახსენეთ ჩემი აზრი ქალაქის განკარგების შესახებ. მას აქეთ კარგა ხანი გავიდა. ამისთვის საჭიროდ ვსთვლი მოკლედ მოგაგონოთ ჩემი ნათქვამი. მე ვსთქვი მაშინ, სხვათა შორის, რომ ციების შესასუსტებლად ჭაობიან-ტყიანი ადგილი, რომელიც უძევს ქალაქს დასავლეთის მხრით, ხუთის-ექვსის წლით მუქთად მიეცეს მსურველს და ყოველი მოგება, რასაც მოიმუშავებს, იმისი საკუთრება იყოს-მეთქი. მართალია, ეს ჩემი წინადადება იმ დროში გაიქირდავეს ზოგიერთებმა, მაგრამ წელს, როგორც იყო განხორციელდა-მეთქი. ქალაქის ადგილები ცუდის წესით იძლევა. უფრო კარგი და სასარგებლო იქნება შემდეგისთვის, უკეთუ ყოველ მოიჯარადეს დავავალებთ, რათა ყოველ დღიურზე, რომელიც იმის ხელთ იქნება, წელიწადში 5-6 ხეხილი დარგას, ან ვენახი გააშენოს-მეთქი. ამას არც მაშინ მიაქციეს ყურადღება და არც ახლა. ქალაქში მთელი ტყე არის უსარგებლოდ, რომელიც იჭერს უიმისოდაც ნოტიო ადგილებში სინოტიეს, და ეს ტყე უნდა მოიჭრას მეთქი. არც ეს წინადადება იყო შეწყნარებული. მაშინაც მოგახსენეთ და ეხლაც ვამბობ, რომ ყოველი მუშაკი ღირსია სასყიდლისა. უკეთუ გვსურს, რომ ჩვენმა არჩეულმა დეპუტატმა იშრომოს ჩვენ საარგებლოდ და თავის საქმეებს თავი დაანებოს, ჩვენ უნდა სასყიდელი დავუნიშნოთ. შარშან-წინ ამაზე წინააღმდეგი გამიხდა რამდენიმე და მითხრეს, რომ დეპუტატისთვის ჯამაგირის დანიშვნა კანონში არ არის მოხსენებულიო. წელს-კი ბ-ნ ქუთაისის გუბერნატორმა ქალაქის წარმომადგენლებს უთხრა, შეგიძლიანთ ჯამაგირით დააყენოთ დეპუტატიო. საზოგადოება ამ აზრის თანახმა გახდა, მაგრამ ბ-ნმა გოროდნიჩმა ფორმალურად დააბოლოვა საქმე, ასე რომ დეპუტატის ჯამაგირის საქმე შემდეგ წლამდის გადაიდო და, ვინც იცის, მაშინ როგორღა გათავდება. შემდეგ კიდევ იყო ლაპარაკი მაგრამ ყოველივე დარჩა „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“. გათავდა აყალმაყალი და დაიწყო კენჭის ყრა. აი შედეგი კენჭის ყრისა:

ძველ დეპუტატს ს. მეტაქსას
ერგო . . . . . 65 თეთ. 33 შავი.
აზვესტოპულოს . . . 66 – 42 –
ს. თურქიას . . . . . 69 – 38 –
თ. გაბუნიას . . . . . 41 – 66 –
ვაფიადის . . . . . .67 – 40 –
პ. ბარკალაიას . . . . . 55 – 52 –
ი. ვლ. ჩერნიავსკის . 33 – 74 –
გ. სპანაკის . . . . . 76 – 31 –
მალანის . . . . . 41 – 66 –
ტეკმეჩოვს . . . . . 62 – 45 –
ამათში დეპუტატებად დარჩებიან სპანაკი, თურქია და ვაფიადი, ამათ კანდიდატებად მეტაქსა, აზვესტოპულო და ტეკმეჩოვი. ამათ შორის, გარდა თურქიასი, ყველანი ბერძნები არიან. /გარეშე მეთვალყურე/. (ივერია, N14, 1890 წელი);

სოხუმი

კარგა ხანია ჩვენს სოხუმში მშვენიერი დარი სდგას. უკანასკნელს ხანებში ისეთი სიცხეებიც დაიჭირა, რომ კაცი იძულებული იყო საზაფხულო ტანისამოსით ეარნა. მხოლოდ ეს სამი დღეა შეწყვეტილი წვიმა მოდის. ქალაქის ქუჩები ტალახის მორევად გადაიქცა. დღისით კიდევ ჰო, კაცი როგორმე გაივლის და თავს უშველის, მაგრამ ღამით, როცა ბნელა, ნამდვილი ჯოჯოხეთია აქაურობა. ლაფში გასვრას ვინა სჩივის, რომ თუ კისერი ან ფეხი არსად მოიტეხეთ. საკვირველია, ღმერთმანი, ჩვენი ქალაქის ბედ-იღბლის გამგეთა ყურის მოყრუება! ფარნები დაუმართნიათ და ნეტა რისთვის, თუ-კი ღამე ქუჩებს არ გაანათებენ.

იქიდამვე: 23 ამ თთვისას მდინარე კილასური, რომელიც სოხუმიდგან ოთხი ვერსის მანძილზეა, ადიდდა და ერთი სოხუმიდგან ურმით მიმავალი რუსი დაარჩო. ხიდის კეთებას შარშან ზაფხულს შეუდგნენ და ამ ჟამად ნახევარზე მეტია გაკეთებული. ვინ იცის, მის დამთავრებამდე კიდევ რამდენს გამოასალმებს ამ წუთი-სოფელს კილასური, მაგრამ საქმე იმაშია, ახლად აშენებული ხიდი დიდხანს გასძლებს თუ არა? ვინ იცის ეგებ ერთი კვირაც არ გასტანოს და განრისხებულმა კილასურმა მისი ხსენებაც გააქროს. (ივერია, N47, 1890 წელი);

სოხუმი

ჩვენშიაც სცდილობენ გაასუფთავონ ქალაქი, გასწმინდონ ეზოები და სუფთად შეინახონ სახლები და ყოველ გვარი სადგურ-შენობანი. მთავრობა სცდილობს ყოველსავე ამას, მაგრამ ბევრი ყურს არ უგდებს იმის ცდას და ბრძანება მთავრობისა უყურადღებოდ რჩება. ბევრს ჩვენში მეტად უსუფთაოდ აქვს შენახული ეზო ყურე, კარგ-მიდამო და სახლები, ზოგს დიდი ქოფაკი უბიათ ეზოში, ქოფაკს უშვებენ ხშირად და ისიც ჰკბენს არა თუ გარეულს, არამედ შინაურსაც. ეტყობა, ჩვენისთანა ხალხში აგრე ადვილი არ არის დამყარება ყველა იმ წესებისა და ასრულება ყველა იმ ბრძანებისა, რომელიც საყოველთაოდ სასარგებლოა... (ივერია, N70, 1890 წელი);

სოხუმი

ყველა-ყველა, მაგრამ აქ რომ ერთი ურიის მაღაზია რაღაც სასწაულით თავისით გაიღო და იქიდგან ურიის პატენტი რომ თავისუფლად გამოძვრა ჩარჩოდგან, ეს კი სწორედ საკვირველებაა. აი საქმე როგორ გახლდათ. მარტში, მგონი, აქ მოვიდა სუჯუნელი ურია და მოიწადინა ფართლის დუქნის გამართვა. აქაურ პოლიციას მიმართა ნება-რთვისათვის, მაგრამ, რაღაც მიზეზის გამო, ურიას არ მისცეს მოწმობა. შემდეგ ურია წავიდა ქუთაისში ბ-ნ გუბერნატორთან და სთხოვა, ნება მიეცა, გუბერნატორმა კანონის ძალით ნება მისცა ურიას გილდის მოწმობის აღებისა და ვაჭრობისა. ებრაელთ პასექობის წინა კვირას ურიამ გამართა მაღაზია, დაიწყო ვაჭრობა და ერთი მეგრელი ბიჭიც ნოქრად დაიყენა. პირველსავე კვირაში ებრაელს ძლიერ დიდი ვაჭრობა ჰქონდა, მერე დუქანი დაჰკეტა და თავის ნოქარს უთხრა: ჩემს აღდგომაზე მივდივარ და შენ აქ იყავი, დღეში თითო მანეთი ჰხარჯე და ჩემს მოსვლამდის დაკეტილს მაღაზიას ყური უგდეო. წავიდა ურია. დარჩა ნოქარი. რამდენიმე დღე გავიდა ამის შემდეგ და გაისმა ხმა: ურიის ნოქარს თავის სახელზე მოწმობა აუღია, დუქანი გაუღია და ურიის მოწმობა დაუწვავსო. ამ ხმას ზედ მოჰყვა სხვა-და-სხვა, არა-დასაჯერი ხმა, ბოროტ ენებს ბევრი რამ შეუძლიანთ სთქვან, მაგრამ ყველა-კი არ არის მართალი. გავარდა ხმა, ვითომც ამ საქმეში რამდენიმე სხვა მოვაჭრენიც ერივნენო. ჩვენ ეს არა გვჯერა, თუმცა-კი გამოძიებამ რამდენსამე კაცს უკვე მოჰკიდა ხელი. ვნახოთ გამოძიება რას აღმოაჩენს.

იქიდამვე: წელს აქ ორასზე მეტი ფილტვით ავადმყოფი გვესტუმრა სხვა-და-სხვა ადგილიდგან. თითქმის ყველანი უკეთ ჰგრძნობენ თავიანთ თავს, ძალიან ბევრი ამათში, ოთხი პროცენტი გამოსალმებოდეს წუთი-სოფელს.

იქიდამვე: მარტის გასვლამდის კარგი ამინდები იდგა, მაგრამ აპრილი-კი მარტს დაემსგავსა. სულ წვიმიანი დღეებია და ქალაქის ქუჩები საშინლად ატალახიანდა.

იქიდამვე: სოხუმში, როგორც მოგეხსენებათ, ქალაქის თვით-მართველობა ჯერ არ არის შემოღებული და ყოველსავე საქალაქო საქმეს პოლიცია განაგებს. ამ დღეებში პოლიციამ მოიწვია ქალაქის მცხოვრებნი და წინადადება მისცა, აირჩიეთ დამფასებელი კომისია,

რათა ნამდვილად შევიტყოთ, რამდენი შემოსავალი ექნება ქალაქს სახლებისაგანაო. (ივერია, N83, 1890 წელი);

სოხუმი

რუსეთის სანავოსნო და სავაჭრო საზოგადოებას ჰყავდა თავის აგენტად ერთი სოხუმელივე ახალგაზდა და მეტის-მეტად გულ-კეთილი კაცი, ჩამომავლობით ბერძენი. ამ სააგენტოს ეს კაცი უკანასკნელ ომიანობის შემდეგ ჰმართავს. წელს, საუბედუროდ, შეამჩნიეს, რომ ამ აგენტს მეტი ფული უნდა შემოეტანა და არ შემოუტანიაო. დანიშნა საზოგადოებამ საქმის გამოძიება და აღმოჩნდა რამდენიმე ათასი მანეთი, უგზო-უკვლოდ წასული. ბევრი ეძებს, მაგრამ ვეღარ მიაკვლიეს გზა. ბოლოს უთხრეს აგენტს, ის ფულები, წადი და გინდა თუ არა მონახე და საკვლავიოდ ჩვენგნით სამსახურისაგანაც თავისუფალი ხარო. ეს იყო და ეს. ის ფულს-ეძებს და დღესაც იმის ძებნაშია. (ივერია, N84, 1890 წელი);

ოჩამჩირე

დიდი უსუფთაობაა ჩვენს დაბაში. თქვენი მტერი, თუ ამ უწმინდურობაში მოგვასწრო რომელსამე ძნელმა მოარულმა: მუსრს გაავლებს აქაურობას. უსუფთაობას გარდა, გვაწუხებს საჭმელ-სასმლის უვარგისობა, დამპალი ჰაერი, ჭაობები და ჭანჭრობები გარშემო. მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ჩვენში ის არის, რომ სუფთა და წმინდა წყალი არა გვაქვს და რაღაც დამპალ ჭის წყალსა ვსვამთ. შავი ზღვის პირად ფოთსა და სოხუმს შუა მარტო ჩვენი დაბაა. აქ შემოივლიან ხოლმე არა მარტო გემები რუსეთის სანავოსნო საზოგადოებისა და იტვირთებიან საქონლით კვირაში ოთხჯერ, არამედ ათასი სხვა ჯურისა და მილეთის კაციც მოდის, ვინ იცის, რამდენისა და რა საქმისათვის. ეს უფრო გვაშინებს, რო მოარული არსაიდამ არ გვსტუმრონ ამ ხშირმა მიმსვლელ-მომსვლელებმა, ზედ ზღვის-პირად ორმოციოდე სასიმინდეა დადგმული. აქა გროვდება სიმინდი, აქ ნიავდება და მერე იტვირთება გემები. ამ დროს ისეთი მტვერი და ვაი-ვაგლახია ხოლმე ზღვის ნაპირას, რომ კაცი ვერ გაივლის. სხვა სასეირო და ჰაერის ჩასაყლაპი ალაგი-კი არსად გახლავთ. მერე ისეთი დაძაბუნებული სასიმინდეებია, რომ გგონია, აი ან ახლა ჩაწვება, ან ახლა და გასჭყლეტავს ხალხსაო. (გაზ. „ნოვ. ობოზ.“), (ივერია, N84, 1890 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

დაბა გუდაუთი (აფხაზეთი). 14 აპრილს. ჩვენ გვეწვია მისსიონერი და ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლების ინსპექტორი არხიმანდრიტი მამა ამბროსი. გუდაუთის ნაწილის საზოგადოებას დიდად სასამოვნოდ დარჩა ამ კაცისაგან ჩვენის ადგილების დათვალიერება, რადგან მან ბევრი ტკბილი სიტყვა გაგვაგონა, დაგვარიგა და ბევრი კარგი გვითხრა. 15 აპრილს ლიხინის ეკკლესიაში სწირა სხვა სამღვდელოებთან ერთად. სოფელი ლიხინი სულ ოთხის ვერსის მანძილზეა გუდაუთიდგან და უფრო საშუალო ადგილას მდებარეობს. საზოგადოება ბევრი შეიკრიბა ეკკლესიაში. შემდგომ წირვისა მ. არხიმანდრიტმა ხალხს უთხრა ქადაგება. სწორედ რომ ვსთქვათ, უფრო დარიგება იყო მისი სიტყვა ვიდრე საეკკლესიო ქადაგება და ხალხზედ იმიტომაც დიდად იმოქმედა მისმა მდაბიო გასაგონის ენით წარმოთქმულმა სიტყვამ. შემდგომად ასეთის სწავლა-მოძღვრებისა აუხსნა ხალხს შვილების სწავლების სარგებლობა და ურჩია, რომ თქვენს საზოგადოებაშიაც სკოლა გამართეთო. ისე დაბეჯითებით ლაპარაკობდა მამა არხიმანდრიტი და ყოველივე ნათქვამი თვისი ისე

ჩააწვეთა ხალხს ყურში, რომ დიდის სიამოვნებით მიიღო საზოგადოებამ ეს წინადადება და იქვე ეკკლესიაში განაცხადეს სურვილი სკოლის გამართვისა. ბოლოს მამა ამბროსი შეეხო ისეთს საგანს, რომელიც ყველაზედ საყურადღებო იყო ჩვენის აფხაზებისათვის. სჩანს, წინადვე შეეტყო მქადაგებელს, თუ ამ ჟამად რა გარემოება უფრო აწუხებს ხალხს. ეს საგანი გახლავს მთავრობის განკარგულება, რომლის ძალითაც ქრისტიანები, როგორც ძველად მოქცეულნი აგრეთვე ახლად მონათლულნი „სალდათად“ გაჰყავთ და მუსლიმანები-კი თავისუფალნი არიან ესრეთის გადასახადისაგან და მხოლოდ ფულად ერთმევათ ცოტა რამ-სულ ოთხმოც-და-ხუთი კაპეიკი ხომლზედ. ამ გარემოებამ ისე ცუდად იმოქმედა ხალხზედ, რომ არამც თუ ქრისტიანობა მიიღო ვინმე, არამედ თვით ქრისტიანები და განსაკუთრებით ახლად მონათლულნი ისევ მაჰმადის სჯულზედ მიიქცნენ და ქრისტიანობაზედ უარი სთქვეს. აი ეს საგანი აუხსნა მამა არხიმანდრიტმა ხალხს. დაარწმუნა, რომ მთავრობას ქრისტიანების სიკეთე უნდა და არა ის რომ ასეთის განკარგულებით უპირატესობას აძლევდეს მუსულმანებს, როგორც თქვენ გიფიქრიათო. აქედგან ის უნდა დაასკვნას რომ მთავრობა ქრისტიანებს უფრო მეტად ენდობა, სახელმწიფოს შვილებად მიაჩნია და მაჰმადიანებს-კი მხოლოდ ხარკსა სთხოვს ფულადაო და სხვ. და სხვ. უკანასკნელ უთხრა, რომ რადგან თქვენ მთავრობის ნამდვილი აზრი ვერ გაგიგიათ, მთავრობამ შესცვალა ეს განკარგულება და როგორც გაზეთებში იყო გამოცხადებული, შემდეგში თქვენც და მუსულმანებსაც „სალდათად“ აღარ გაგიყვანენ და გადასახადს ყველასგან ფულად აიღებენო. ხალხმა დიდის სიამოვნებით მოისმინა ყველა ეს სიტყვები და მადლობა განუცხადა მ. არხიმანდრიტს ასეთის დარიგებისათვის. წირვის შემდეგ ხალხმა ერთხმივ გადასწყვიტა იქონიონ სკოლა, შეადგინა განაჩენი, რომ მოამზადონ სახლი სკოლისა და მასწავლებლისთვის, არხიმანდრიტი დაჰპირდა, როდესაც სკოლის შენობა მზად იქნება, მასწავლებელსაც გამოგიგზავნით, ყველა სკოლის საჭირო წიგნებსა და ნივთებსაც და მასწავლებელსაც ჯამაგირს ჩვენ მივცემთო; ესეთმა მამობრივმა დარიგებამ და შემწეობის აღმოჩენამ და დახმარებამ ძალიან ასიამოვნა ხალხი, თითქოს გული მოულბო ყველას და თბილი სხივი ჩაუფინა... ვიდრე მ. არხიმანდრიტი ცოტას დაისვენებდა და ისადილებდა, საზოგადოებამ ნიშნად პატივისცემისა ფეხი აღარ მოიცვალა იმ ადგილიდგან. მემრე ყველა წარმომადგენელნი საზოგადოებისა გამოეთხოვნენ, დიდი მადლობა გადაუხადეს ასეთის თანაგრძნობისათვის და გაისტუმრეს. მამა ამბროსი ჩვენგან გაემგზავრა პიწუნდისკენ. ჩვენ ვიცით, რომ სხვათა შორის, ახალი ათონის მონასტერშიაც იყო მამა ამბროსი და დაათვალიერა ამ მონასტრის სკოლა და მოსწავლეთა მასწავლებელთ მისცა შესაფერი დარიგება. ღმერთმა ინებოს, რომ ამისთანა კაცები ხშირად დაჰხედავდნენ ხოლმე ჩვენს მივიწყებულს მხარეს და ათასში ერთხელ მაინც გაგვაგონებდნენ კაცობრიულსა და კეთილს სიტყვა-პასუხსა. /ბ. ხ/. (ივერია, N91, 1890 წელი);

ახალი ამბავი

ჩვენ მივიღეთ გუდაუთიდამ (აფხაზეთშია) ბ-ნ ვ. შალიბაშვილის მიერ იქ შეგროვილი 25 მან. განსვენებულის დ. ბაქრაძის სახელობაზე დაარსებულის ფონდის სასარგებლოდ. იყო დღემდე 651 მან., 7 კ. შესდგა ამიანად 676 მან., 7 კ. (ივერია, N95, 1890 წელი);

ოქუმი (სამურზაყანო)

ჩვენც ვეღირსეთ აფთიაქს. აგერ ხუთი თთვეა, რაც აქ აფთიაქი დაარსდა და მოქმედობს, მაგრამ რად გინდა, ექიმი არსად არის და არაფერი. უექიმოდ-კი აფთიაქი და წამლები ძალიან მცირე ნუგეშია. ამას წინად საზოგადოებამ შეადგინა განაჩენი და იკისრა, სთხოვოს მთავრობას მისის საკუთარის ხარჯით დაწესდეს ოქუმში ავადმყოფთ მოსასვენებელი

15 კაცისათვის და ეს მოსასვენებელი ებაროთ ნასწავლს მკურნალსა და ბებიას. ვნახოთ, როდის რა იქნება. მანამდე-კი სწორედ გაცარცვეს ქვეყანა ტყუილმა ექიმებმა: დადიან, დაძრწიან, დააქვთ წითელი მიწა, ჯავზი, გუნდა-ლახუსტაკი და ჰყიდიან მამა-სისხლად, ვითომ ავადმყოფობის სამკურნალოდ. (ივერია, N102, 1890 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

აფხაზეთი, 24 აპრილი. კოდორის „უჩასტკის“ ს. გუფუსაც ეწვია მისსიონერად გამოგზავნილი არხიმანდრიტი, მამა ამბროსი, რომელმაც დაიარა მთელი აფხაზეთი. გუფუში მ. ამბროსის უნდა დაეთვალიერებინა აქაური ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლა, რადგან იგი ირიცხება ინსპექტორადაც ამ უწყების სკოლებისა, რომელიც მისს სამისსიონერო რაიონშია მოთავსებული... სკოლაში მოსწავლეების სწავლა-ცოდნით საკმაოდ კმაყოფილი დარჩა, მაგრამ მ. არხიმანდრიტი გააოცა იმ გარემოებამ, რომ სკოლაში სულ 14 ბავშვი-ღა სწავლობს, რომელთაგან რევიზიის დროს კლასში დახვდა 10-12. თუმცა სკოლა აფხაზეთში არსებობს და აფხაზთათვის, მაგრამ მოსწავლეები თითქმის ნახევარი მეგრელები არიან... სკოლის შენობაც ფრიად გაფუჭებული დახვდა ინსპექტორს. ამიტომ დიდ-ძალ შეკრებილ ადგილობრივ აფხაზებთან საკუთრად სარწმუნოების და ზნეობის გარდა სკოლისა და სწავლა-განათლების საქმესაც დიდი ყურადღება მიაქცია მ. ამბროსიმ.. სამწუხაროდ მეჩვენაო, სთქვა სხვათა შორის მ. არხიმანდრიტმა, რომ თქვენ სწავლის გემო და მისი შეძენის სურვილი ჯერაც გახსნილი არ გქონიათო. გინდათ, შეაკეთეთ სკოლის შენობა რიგიანად და შემოიყვანეთ 20-30 მარტო თქვენი შვილები, არა-და ავიღებთ და სკოლას აფხაზების სხვა სოფელში გადავიტანთ, იმ სოფელში, საცა მცხოვრებნი პირ-იქით გვთხოვენ სკოლას და გვეუბნებიან: „ბავშვებს იმდენს შევიყვანთ, რომ კლასში ტევა აღარ იყოსო და საკლასო შენობასაც ჩვენის ხარჯით ავაგებთო“... ამაზედ გადაჭრით პასუხი მოსთხოვა საზოგადოებას. საზოგადოებამ ცალკე მოლაპარაკების შემდეგ მ. ამბროსის მოახსენა შემდეგი: „გთხოვთ, „კლასი“ არ წაგვართვათ, შენობას რიგიანად შევაკეთებთ და ბავშვებსაც უსათუოდ ბლომად შემოვიყვანთ პირველ სექტემბრისათვისაო“. გარდა ამისა საზოგადოებამ თავის წარმომადგენლების პირით მოახსენა მ. ამბროსის, როგორც მისსიონერს, შემდეგი: „თქვენ გვარიგებთ, ნამდვილ ქრისტიანულს გზას დავადგეთ, მონათლული ვინცა ვართ, ქრისტიანებად ვიყოთ, მარტო სახელით-კი არა, საქმითაც, მოუნათლავ თანა-მოძმეებზედაც ზედ-მოქმედება ვიქონიოთ, უვიც მკითხავებს და „მოლლებს“ არ დავუჯეროთ და სხ. და სხ. ჩვენც, შეძლებისამებრ, ვცდილობდით ნამდვილ ქრისტიანებად გამხდარიყავით და თავიდამ აგვეცილებინა საყვედური, რომელიც გაისმის ჩვენზე, „თქვენ, აფხაზები, არც თათრები ხართ, არც კანონიერი ქრისტიანებიო“. (ივერია, N103, 1890 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

სოფ. დიხაზურგა (სამურზაყანო), 30 აპრილი. მკითხველთ უკვე მოეხსენებათ, რომ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლებში, რომელიც-კი გურიასა, აფხაზეთსა, სამურზაყანოსა, სვანეთში და ახალციხის მაზრაში იმყოფება, ამ წლის 1 მარტიდგან დაინიშნა მ. არქიმანდიტი ამბროსი (კავკასიძე) ინსპექტორადა და მისსიონერადაც ამავე მხარეებში. მ. არქიმანდრიტი ამბროსი თავის თანამდებობის აღსრულებას წმ. აღდგომის მეორე დღიდგანვე შეუდგა. განიხილა აფხაზეთის თითქმის ყველა რათიმე შესანიშნავი

დაბა-სოფელი და მონასტერი, მაგალითად: სოხუმი, სირხა (ახალი ათონი), გუფთა, ლიხინი, სადაც ახალი სკოლა დააარსა, ფიჩუნდა და სხ. ამ ალაგებში და მრავალგან სხვაგანაც იგი ჰმოძღვრებდა და ჰქადაგებდა. მამა არქიმანდრიტმა დიდი ყურადღება მიიქცია ყოველის საზოგადოებისა, სადაც-კი იყო, და რამდენიმე სიტყვა სთქვა იმის შესახებ, თუ რა ძალას შეადგენს ქრისტიანობრივი სარწმუნოება და სწავლა-განათლება კაცობრიობის ზნეობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესობისათვის.

აფხაზეთიდგან ოჩამჩირეს გზით მ. არქიმანდრიტი ამბროსი შემოვიდა სამურზაყანოში და 27 აპრილს გაემგზავრა პირდაპირ დ. ოქუმში, აქ სკოლა განიხილა და მესამე დღეს თავის აქ მყოფობისას, კვირას, სწირა და უქადაგა ეკკლესიაში ხალხს, რომელსაც ძალიან ესიამოვნა მისის ქადაგების მოსმენა. კვირას ნაშუადღევს, მ. არხიმანდრიტი ამბროსი სოფ. დიხაზურგაში მოვიდა. ამ სოფლის სკოლა, ოქუმის სკოლის შემდეგ, მეორე შესანიშნავ სასწავლებლად ითვლება მთელს სამურზაყანოში. ეს სკოლა დაათვალიერა მამა ამბროსიმ, მაგრამ არა გვგონია-კი მოსწონებოდა. უმთავრესი მისი ნაკლულევანება ის იყო, რომ რუსულსა და ქართულს ენაში მოწაფენი კოჭლობდნენ. ამის მიზეზი ის არის, რომ უწინდელნი მასწავლებელნი რასაც რუსულად აკითხებდნენ მოსწავლეთ, რუსულადვე არ უხსნიდნენ თურმე, მხოლოდ უთარგმნიდნენ მეგრულად და მეგრულადვე ჰკითხავდნენ გაკვეთილს. არითმეტიკიდგანაც მეგრულად ჰკითხავდნენ და მეგრულადვე ათქმევინებდნენ პასუხს: ერთის სიტყვით, მოსწავლენი რუსულს ენაზე სწავლობდნენ ისევ მეგრულს. ქართულს არც-კი გაახსენებდნენ, თუმცა ამ ენას შეუდარებლივ უფრო ადვილად ითვისებენ მოსწავლენი, ვიდრე რუსულსა და სხვა ენას, და ამიტომაც ამ ენით უფრო ადვილია ბავშვის ჩაგონება და გახალისება. მ. ამბროსი სკოლაში ყოფნის დროს ნათლად დარწმუნდა, რომ სამურზაყანოში დიდად საჭიროა ქართული ენაო, რომელსაც აქამომდე აქ არა ჰქონდა ყურადღება მიქცეული. ამას ამტკიცებს მთელი ლექსიკონი მეგრულის სიტყვებისა, რომლის თითქმის ერთი ნახევარიც ნამდვილს ქართულს სიტყვებს შეადგენს და მეორე ნახევარს-კი ძირი და ფესვი ისევე ქართულივე აქვს. გამოთქმით ისევ ზმნები არა ჰგავს ქართულს და ამიტომაც ქართველს მეგრული არ ესმის. ქართულის ენის სწავლება მით უმეტეს დაინახა საჭიროდ მ. ამბროსიმ, რომ ამათ, როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, არა აქვთ თავის ენაზედ მწერლობა და ამიტომაც ღვთის მსახურება და ყველა ეკკლესიის წესი მათ შორის მარტო ქართულს ენაზედა სრულდება. ამიტომ თქმა აღარ უნდა, დიდის პატივის ცემის ღირსნი არიან ისინი, რომელნიც შრომას არ დაჰზოგავენ, სამშობლო ენას აღუდგენენ ამ განაპირებულსა და მივარდნილად მყოფს ქართველებს. სასწავლებლების დათვალიერების დროს მ. ამბროსიმ სამურზაყანოში ყველა მასწავლებელი ვალდებული გახადა, რომ ქართული აუცილებლად ასწავლეთო. მიზეზი დიხაზურგის სკოლის შეგირდების სწავლაში სისუსტისა სხვათა შორის ისიც იყო, რომ ოთხი თთვე მასწავლებელი არა ჰყავდათ (ნოემბერის ნახევრიდგან მარტის ნახევრამდე). საღამოს ოთხს საათზედ მ. არქიმანდრიტის ბრძანებით სუდია-მამასახლისმა სკოლასთან შეჰყარა მთელი სოფელი. აქ მ. ამბროსიმ მთარგმნელის პირით სოფლელებს აუხსნა ყოველი მიზეზი მათის ცუდის ყოფა-ქცევისა და ჩვეულებისა და აგრეთვე იმისიც, რომ თქვენში სარწმუნოება მკვიდრად ვერ იკიდებს ფეხსა და შევიწროებულია ათასის ცრუმორწმუნეობის წყალობითაო. რაღა თქმა უნდა, ეს მიზეზი უსწავლელობაა, უცოდნელობაა. რადგანაც ეს სკოლა აქამომდე შეკეთებასა და განახლებას ჰსაჭიროებს, ამიტომ მ. ამბროსიმ ჩააგონა ხალხს, რომ ერთგულად მოექეცით მაგ სკოლის საქმესო. თქვენთვის მთავრობა იმდენსა ჰმზრუნველობს, რომ გიგზავნით მასწავლებელსა და წიგნებს, თქვენც თქვენის მხრით შეასწორეთ სკოლის ოთახები და ხელი შეუწყეთ თქვენის შვილების სწავლის საქმესაო. მ. ამბროსის სიტყვების მოსმენით ნასიამოვნებმა ხალხმა სკოლის განახლება იკისრა და გამოაცხადა, რომ თუ აქამდე დავაგვიანეთ მაგ შენობის შეკეთება, ამისი მიზეზი ოთხის თთვით უმასწავლებლოდ დარჩენაა, იმას უნდა ეჩვენებინა, რაც-კი შესაკეთებელი იყოვო. სოფ. დიხაზურგში მოვიდა გენერალი თავ. ზ. ჩქოტუა და მ. ამბროსი მიიწვია ს. საბერიოში, რომელიც შვიდის ვერსის

მანძილზედ მდებარეობს ამ სოფლიდგან. საქმე იმაში გახლავთ, რომ საბერიოელებს ჰქონიათ სკოლა, მაგრამ იგი 1877/8 წწ. ომის დროს გაუქმებულა, რადგან ყური არავის უგდია. სკოლის მეტად დაძველებული შენობაც ნელ-ნელა ერთიანად დაქცეულა. თავადმა თავის სახლში თავის სოფლელების მხრივაცა და თავის მხრივაც სთხოვა მ. ამბროსის, რომ იშუამდგომლეთ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების წინაშე ამ გაუქმებულ საბერიოს სკოლის კვლავ აღდგენაო. ამას გარდა საბერიოს თავადები (შარვაშიძეები და ჩქოტუები საბერიოში 50 ზედ მეტი კომლია) და მთელ საზოგადოებას დაჰპირდენ, რომ ახალს სასკოლო შენობასაც მალე ავაგებთო. მ. არქიმანდრიტი ამბროსი რა-კი დარწმუნდა, რომ ყველანი არიან მოსურნენი სკოლის გახსნისაო (საბერიოში 700-მდე მოსახლეა), აღუთქვა შუამდგომლობა ზემოხსენებულ საზოგადოების წინაშე. ს. საბერიოდგან მ. ამბროსი წაბრძანდა ზუგდიდითა და სენაკით 2 მაისს ოზურგეთში, სადაც ერთს კვირას დარჩება და შემდეგ ახალციხისაკენ გაემგზავრება. /ბ. ბარნაბიშვილი/. (ივერია, N114, 1890 წელი);

აფხაზეთი

ქურდობა, ღვთის მადლით, შემცირდა. სიმინდი და „ადესა“ მშვენიერს მოსავალს გვპირდება წელს. უბედურება ეს არის, რომ გასულის წლის სიმინდი რიგიან ფასად ვერ გაიყიდა.

იქიდამვე: ჩვენამდინაც მოაღწია ხმამ, რომ უმაღლესის მთავრობის გადაწყვეტილებით, სოხუმის ოლქის ქრისტიან-აფხაზებმა ჯარში გასვლის მაგიერ ფულით უნდა გარდაიხადონ სამხედრო ბეგარაო. მხოლოდ აქ სიტყვამ „ქრისტიანი-აფხაზები“-ო არა მცირე გაუგებრობა და არევ-დარევა გამოიწვია, როგორც აქაურს საზოგადოებაში, ისე თვით აქაურს ადმინისტრაციაშიაც. სოხუმის ოლქის ერთი ნაწილი სამურზაყანოს ნაწილია, რომელიც დასახლებულია სამურზაყანოელებითა. გაუგებარი დარჩა სამურზაყანოელები „ქრისტიან-აფხაზებად“ არიან ჩათვლილნი თუ მეგრელებად. ნამდვილად-კი, მოგეხსენებათ, სამურზაყანოელები იგივე მეგრელები, და მაშასადამე, ქართველები არიან. აბჟუვას მოსაზღვრე სამურზაყანოს სოფლებში მხოლოდ ძლივს ამტვრევენ აფხაზურსა, საზოგადოდ ყველგან მთელს სამურზაყანოში-კი მეგრულად ლაპარაკობენ და არიანისეთივე ქრისტიანები, როგორიც მათი თანამოძმე მეგრელები. ამ ჭეშმარიტს აზრს ადგია ამ საგნის შესახებ და ეს ასე მოახსენა კიდეც, სადაც ჯერ არს, თუ არა ვცდებით, თვით ჩვენმა ადგილობრივმა ადმინისტრაციამაც, მხოლოდ საკვირველი ის არის, რომ, როცა საქმე სწავლა-განათლებას შეეხებოდა სამურზაყანოში, რომ გეთქვათ სამურზაყანოელები იგივ მეგრელი-ქართველები არიან და მაშასადამე, პირველ დაწყებით სწავლა იმ გვარადვე უნდა სწარმოებდეს (ვსთქვათ სამრევლო სკოლებში ქართულად საღმრთო სჯულის სწავლების შესახებ), როგორც სხვაგან საქართველოშიო, ზოგიერთები მოგახსენებდნენ: სამურზაყანოელები აფხაზები არიან და სწავლა-განათლება სამურზაყანოში იმავე წესსა და რიგს უნდა ექვემდებარებოდეს, როგორსაც აფხაზეთშიო. ეხლა-კი, როცა სამხედრო სამსახურის ფულით გარდახდაზე მიდგა საქმე, იგივე ვაჟბატონები გაიძახიან; სამურზაყანოელები ნიადაგ ქრისტიანები ყოფილან, იგინი მეგრელები არიან და არა აფხაზებიო. (ივერია, N134, 1890 წელი);

აფხაზეთი

დადგა მკათათვე და თან დიდი სიცხეებიც მოჰყვა. ამასთანავე გამოიღვიძა ტკვარჩელის სამადნო წყლებმაც. ამ წყლებზედ ტკვარჩელის ხეობის თავში, მდინარე ღალიძგის პირად, ხალხმა ბლომად მოიყარა თავი ოდიშისა და აფხაზეთის სხვა-და-სხვა სოფელ დაბებიდგან. აბანო თითქმის ეხლაც ისევეა მოწყობილი, როგორც იყო აფხაზეთის უკანასკნელ მთავრის დროს, თუმცა იგი ხაზინას ეკუთვნის და იმედი უნდა გვქონოდა, რომ შეკეთდებოდა.

აბანოსავე მახლობლად ხაზინას აქვს დიდი და მშვენიერი ბზის ტყე. ამ ტყეში ახლა მუშაობენ ტაქსატორები რომლებმაც უნდა გამოიკვლიონ სივრცე, ვითარება და ფასი ამ ბზის ტყისა. ამბობენ ერთ მილიონზე ნაკლების ფასის ბზა არ უნდა გამოვიდესო. ხალხიც ჰნატრობს ამ ტყის საჩქაროდ გაყიდვას, იქნება მაშინ მაინც ჩვენს უფერულს ცხოვრებას სიცოცხლე რამ დაეტყოს და საქმე რამ გაჩნდესო. ამ ტყეს აბანოს წარმატებისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს: რა-კი ამდენი ხე-ტყე ჩამოსატანი იქმნება ტკვარჩელის ხეობიდგან, თქმა არ უნდა, რიგიანის გზის გაყვანაც საჭირო გახდება, ხოლო გზის გაკეთება-კი აბანოსაც ფასს დასდებს, რადგან მიმსვლელ-მომსვლელთათვის ადვილად მისაღწევი იქნება. ეხლაც ცხენით შეუძლიან კაცს აბანომდის იმგზავროს, მაგრამ ვინც მთაზე სიარულს შეჩვეული არ არის, იმას მეტად გაუძნელდება. ტაქსატორებმა ახლო-მახლო საბალახო მთებიც უნდა მიმოვლონ, შეიტყონ სივრცე მთებისა და საძოვრების რაოდენობა, რათა ყოველს მათგანს განსაზღვრული გარდასახადი დაედოს. (ივერია, N146, 1890 წელი);

აფხაზეთი

ამ დღეებში დატრიალდა აქეთ შემდეგი უბედურება: 12 ივლისის ღამით თხის ჯოგი მთაზე დაბინავებული იყო ერთს მყუდრო დაბლობ ალაგს; იქვე გვერდზედვე გამოქვაბულში ღამეს ათევდნენ მწყემსი აფხაზები. შუაღამისას ჭექა-ქუხილთან ერთად კოკისპირულად დაუშვა წვიმამ. მთიდამ უცბად წამოვიდა საშინელი ნიაღვარი, რომელმაც თან წაიღო ორასამდის თხა და ოთხი მწყემსი, ამ ოთხს მწყემსში ერთი გადარჩა მხოლოდ. გადარჩენილს რაღაც ხის ტოტისათვის მოეკიდნა ხელი და თავი შეემაგრებინა მეორე დღემდე. სოფელში ამან ჩამოიტანა მეორე დღეს ამბავი იმ საშინელის ღამისა. შეგროვდა საზოგადოება იმ სოფლისა, სადაურებიც იყვნენ დამრჩვალნი, ამოარჩია სამოცი კაცი და გაჰგზავნა დაღუპულების საძებნელად. სამივე დაღუპულნი გუფუს საზოგადოებისანი იყვნენ. ერთი ტკვარჩელის სოფლის მცხოვრები ტოტი არიშბაია, მეორე მისი შვილი შარათხვა არიშბაია და მესამეც გუფუს სოფლის მცხოვრები გოგუა. ერთი ამათგანი, ტოტი არიშბაია, იმავე გამოქვაბულში დალეკილი ნახეს მკვდარი, დანარჩენი ორი ვერსად ვერ უპოვნიათ. ორას თხაში რამდენიმე, რასაკვირველია, დამრჩვალი, იპოვნეს ღალიძგას მდინარეში, ზღვიდამ ცოტად თუ ბევრად დაშორებულ სოფლების გვერდზე. ღალიძგა იმ მთის მახლობლად ჩამოდის, სადაც მოხდა უბედურება. 12 ივლისს, ღამით, საზოგადოდ ღალიძგა ძრიელ ადიდდა, მრავალი წისქვილი გააფუჭა, ყანაც ბევრი წაიღო და ორაგული-კი ბევრი ჩამოიტანა. (ივერია, N157, 1890 წელი);

***

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის კარის გოფმეისტერი გრაფა ა. ფ. ტოლსტოი ამ თთვის 21, კვირას, ამიერ-კავკასიის რკინის გზით სუხუმში გაემგზავრა. (ივერია, N225, 1890 წელი);

გუდაუთი (აფხაზეთი)

ჩვენმა მიყრუებულმა ქვეყანამ, ცოტა არ იყოს, ძლიერ იცის ციებ-ცხელება. ის წყალი, რომელიც შუაში ჩამოუდის ჩვენს დაბას, ზღვის პირას გუბდება, შმორდება და სწამლავს ჰაერს. მერე ვაი იმას, ვისაც ციება გაჰყვება შემოდგომამდე: ჩააცივდება და იმის მოშორება აღარას გზით აღარ მოხერხდება ხოლმე. ამასობაში ჩვენს ბედზედ აქ არც მკურნალი გვყავს და არც აფთიაქი გვაბადია. მკურნალი თუ გინდა სოხუმიდან უნდა დაიბარო და სულ ცოტა 50 მან. უნდა გაიღო მის მოსასვლელად. ქურდობა-ავაზაკობამაც-კი გაგვიჭირვა საქმე და მეორე ციებ-ცხელებასავით კიდევ ის ჩაგვაცივდა. აი სია აქ ჩადენილის ავკაცობისა

სულ ამ ცოტა ხანში: 20 სექტემბერს გაუტეხეს სახლი ზურაბ ხარბედისა და მოჰპარეს 100 მ. ნივთეულობა და ავეჯი. ქურდი-კი ჯერაც აღმოჩენილი არ არის. 22 ოქტომბერს ვაჭარს კოსტა გვაზავას გაუტეხეს დუქანი და გაიტანეს ფულად 120 მან. 31 ოქტომბერს გასტეხეს აქაური ეკკლესია მღვთის-მშობლისა და გაიტანეს 20 მან. ფულად. ამავე ღამეს გაუტეხეს აქაურს ვაჭარს ბახვა ხოშტარიას დუქანი და მოჰპარეს ფული და საქონელი 600 მანათისა. პირუტყვის საქონლის ქურდობა ხომ მრავალია და მრავალი. გაგვიწყდა ილაჯი და სწორედ ამაზე მეტი აღარ შეგვიძლიან. იმედი გვაქვს, რომ მთავრობა დაგვეხმარება და გვიშველის როგორმე. (ივერია, N242, 1890 წელი);

სოხუმი

ამ დეკემბრის მიწურულებში დიდი ღელვა იყო, ასე რომ ბიჭვინდის ახლო საბარგო გემი „ტრუვორი“ ტალღამ კიდეზე გამოაგდო. დიდი უბედურება არა მომხდარა-რა, მხოლოდ ოთხი კაცი დაირჩო. ერთი ამათგანი, როგორც ამბობენ, სოხუმელი მცხოვრები რუსიაო, რომელსაც სტავროპოლის გიმნაზიაში მისაბარებლად შვილი წაეყვანა. მეორე სამწუხარო ამბავი ის გახლავთ, რომ ოც-და-სამს დეკემბერს, დილის თერთმეტს საათზედ, შუა ბაზარში ერთი კაცი მოჰპარვოდა მეორეს და კეტი დაეთხლიშა თავში. საცოდავმა იმ წუთშივე სული განუტევაო. მკვლელი თავის საშველად გაიქცა. იმ დროს პოლიციის მოხელე ბ-ნი მეფისოვი სადღაც ყოფილიყო, შეეტყო თუ არა ეს ამბავი, გამოსდგომოდა მკვლელს, დასწეოდა და შეეპყრა სხვათა დაუხმარებლად მარტოდ-მარტოს.

იქიდამვე: ოც-და-ორს ამ დეკემბრისას აქ მოხდა დეპუტატთა არჩევანები. სულ შეიკრიბა სამას ოთხმოც მცხოვრებთაგან მხოლოდ ას თოთხმეტი მეკენჭე; კენჭის ყრას აი რა შედეგი მოჰყვა: დეპუტატად ნამყოფს ტივმეჩოვს ამოუვიდა 82 თეთრი, 32 შავი, იაკ. გვაზავამ მიიღო 68 თეთრი, 46 შავი, თ. გაბუნიამ 85 თეთრი, 29 შავი, დეპუტ. ნამყოფმა აზვესტაპულომ 94 თ. 20 შ. მიმინოშვილმა 76 თ. 38 შ. პ. ბარკალიამ 85 თ. 29 შ. ხ. ესანდოპულომ 55 თ. 59 შ. ან. გოჩალეიშვილმა 87 თ. 27 შ. ს. თურქიამ 79 თ. 35 შ. და პ. კეთილაძემ 91 თ. 23 შ. ასე, რომ წელს ერთი დეპუტატი ბერძენი იქნება, ხოლო ორი ქართველი. (ივერია, N276, 1890 წელი);

1890 წელი

ჟურნალი ,,მწყემსი''

სარწმუნოების მდგომარეობა ძველად აფხაზებისა

შავი ზღვის ნაპირის მკვიდრთა სარწმუნოებაზე დიდი ზედ-გავლენა ჰქონდათ ბერძნებს და რომაელთ, რომელთა მფლობელობაში იმყოფებოდა ეს მხარე უწინდელს დროში. ბერძნები და რომაელნი იმ დროს კერპ-თაყვანის-მცემელნი იყვნენ და ზნეობითაც მეტად ძირს იდგენ. და რასაკვირველია, რომ ამისთანა ხალხთან დაახლოვება ცუდ ზედ-გავლენას იქონიებდა აფხაზების სარწმუნოებასა და ზნე-ჩვეულებაზედ. თუმცა აფხაზების მახლობლად, სახელდობრ, პონტის სამეფოში, რომლის უმთავრესი ქალაქი იყო დიოსკურია - სოხუმი, სცხოვროდენ ისრაელნი, ჭეშმარიტი ღვთის თაყვანის-მცემელნი, მაგრამ ამ მცირე ხალხს იმოდენი კერპ-თაყვანისმცემელი ხალხი ეხვია გარეშემო, რომ მათი სარწმუნოება თან-და-თან ფერს ცვლილობდა და მახინჯდებოდა. რომიდგან აფხაზებშიაც გავრცელდა უღმერთობა, ანგარება და სხვა და სხვა ბოროტებანი; ასე რომ აფხაზებმა ამ მხრით კიდეც

გადააჭარბეს რომაელებს და ბერძებს. მთელი აფხაზეთი მოიფინა საკერპოებით, სადაც ხალხი უხვად სწირავდა თავის ღმერთებს სხვა-და-სხვა მსხვერპლსა. თუმცა ეს ასე იყო, მაგრამ აფხაზებს ყოველთვის სწამდათ ერთი უმაღლესი არსება, რომელსაც იმავე თვისებას აწერდენ, რასაც ჩვენ ვაწერთ ჭეშმარიტს ღმერთს; მაგრამ ამავე დროს აფხაზები ფიქრობდენ, რომ ეს უმაღლესი არსება მუდამ მონაწილეობას იღებს კაცის საქმეში, სასტიკად სდევნის კაცობრიობას და შეუბრალებლად სჯის კაცს ყოველივე ცუდი საქმისათვის. თითქმის აფხაზებს ისრაელების მსგავსი წარმოდგენა ჰქონდათ ღმერთზე. აფხაზები თავიანთ ლოცვებში, რომელთაც კითხულობენ მსხვერპლის შეწირვის და საღმრთო მოქმედებათა შესრულების დროს, ამბობენ: ახ-დაუ, რომელიც ნიშნავს: «უფალო, მეუფეო დიდო». ანუ ახ-დაუ ზილიპხა-ხხაური, რომელიც ნიშნავს: «ღმერთო დიდო, მოწყალეო, მრავალ-მოწყალეო». აქედგან სჩანს, რომ აფხაზს ღმერთი სასტიკ არსებად მიაჩნიათ, მაგრამ სწამდათ კი, რომ ეს არსება ამავე დროს იყო მოწყალე და შემბრალე. თუმცა აფხაზებს სწამთ ერთი უმთავრესი ღმერთი, მაგრამ ამავე დროს სწამთ მრავალნი ღვთაებანი, რომელნიც აფხაზების აზრით გაჩენილნი არიან ქვეყნისა და კაცის შექმნის წინად. ეს არსებანი აფხაზებს მიაჩნიათ შუამავლად ღმერთსა და კაცთა შორის. ღმერთი აგზავნის ამ არსებათ კაცებთან, როცა საჭიროა ვისიმეს დასჯა, ანუ როცა საჭიროა, რომ ვისმეს მიანიჭოს მოწყალება. აფხაზებს, როგორც გაუნათლებელ ხალხთ, სწამთ მრავალი სხვა არსებანი, რომელთაგან თითოეულს, თითქოს, აქვს საკუთარი დანიშნულება. აფხაზების აზრით ბუნების ყოველ მოვლენას ჰყავს თავისი საკუთარი ღმერთი. საკვირველია, რომ აფხაზებს თავიანთი ღმერთების გამოხატულება არა ჰქონიათ და არც დღეს აქვსთ. აფხაზები უმთავრეს პატივსა სცემენ დჟადჟის - ხვნა-თესვის მფარველს. ამ ღმერთს ევედრებიან წელიწადში: მარტში და ნოემბერში, როცა სიმინდის მოწევა გათავდება. ლოცვის დროს არ იციან განსაკუთრებითი დღესასწაულობა. თითოეული ოჯახი კერძოდ დღესასწაულობს. ამ დღეს სჭამენ მარტო სამარხოს და იმასაც მარტო პურს და ხილს. ლოცვილობს სახლის უფროსი, რომელიც ევედრება დჟადჟის, რომ მან კაი შემოსავალი მისცეს მას და ერთი წლის მოუსავლობა დააჯილდოვოს მომავალი წლის კარგი მოსავლით.

აეტარ - მფარველი შინაური პირუტყვებისა. ამ ღმერთს ევედრებიან შაბათობით. მსხვერპ-ლად სწირავენ რძისგან გაკეთებულს საჭმელებს ან და ძუძუმწოვარ ხბოს, ვისაც კი შეუძლია. საჭმელად ხმარობენ ქაშას, რომელსაც ამზადებენ ახალი ხბოიანი ხორცის რძისაგან. აფხაზების აზრით არ შეიძლება ახალი ხბოიანი ძროხის რძის ხმარება, სანობამდის მსხვერპლი არ შეეწირება აეტარს; წინააღმდეგ შემთხვევაში ძროხას ხბო აღარ ეყოლება. გარეშე ქვაბისა, ანუ თეფშისა, რომელშიაც ასხია ქაშა, დადგებიან მწყემსნი, შემდეგ რომე-ლიც მათში ყველაზე უმფროსია, ის წაიკითხავს ლოცვას: ამ ლოცვაში იგი ევედრება აეტარს ჯოგის გამრავლებას და მტაცებელ ნადირთაგან დაფარვას; შემდეგ სამ კოვზ ქაშას დაასხამს იქვე მახლობლად მდგარ მაყალზე; რომელშიაც აწყვია ნაკვერცხლები. დანარჩენ ქაშას შესჭამენ იქ დამსწრენი. როცა მსხვერპლად ხბოს სწირავენ, მაშინ მისი ხორცის რამოდენიმე ნაჭერს ჩააგდებენ ცეცხლში. აჟვეფშაია - ღმერთი ტყეებისა და ყველა გარეულ ნადირთა. ამ ღმერთს მონადირეები დეკემბრის შუა რიცხვებში და ან გამთავეს სწირავენ მსხვერპლს სა-ნადიროთ წასვლის წინ. მონადირეები გამოიღებენ ფულებს, ამ ფულით ყიდულობენ თხას, ანუ ცხვარს, რომელსაც ჯერ შესწვავენ, მერე უფროსი მონადირე ლოცვილობს და ევედრება აჟვეფშაიას ნადირობის დროს გამარჯვებას და შემწვარი მსხვერპლის ხორცის ზოგიერთ ნაჭერს ყრის ცეცხლში. დზიზ-ლან - მფარველი წლისა. ამ ღვთაებას ევედრებიან მარტო ქალები, მაგრამ ყველანი კი არა. მარტო ისინი, რომელნიც განსხვავდებიან თავიანთი კარგი ყოფა-ქცევით და ცხოვრებით. უფრო ხშირად ევედრებიან ამ ღმერთს ახლად გათხოვილი და ახლად დალოგინებული ქალები. მსხვერპლად სწირავენ ქათამს და ხაჭაპურს. ამ შესაწირავს სჭამენ მარტო ქალები და, თუ ვინიცობაა, კაცი დაესწრო ამ დროს, იგი დაისჯება რაიმე სენით. მოხუცებული ქალები, რომელთაც ეს ლოცვა იციან, სწავლობენ აგრეთვე ბებიობას და კაი საჩუქრებსაც იღებენ. დჟიკერ-სალატ ახ-დუ - მფარველი კაცთა აზრისა.

ამ ღვთაებას ევედრებიან წელიწადში ერთხელ როგორც კაცები, ისე ქალები. ლოცვა და მსხვერპლის შეწირვა ხდება სადმე გაშლილ ადგილზე. წიწილებში ირჩევენ ვარიას, რომელსაც სჭრიან ბიბილოს. ამ დღიდგან ეს ვარიკა ითვლება წმიდად და მისი ხორცის შეჭმა არ შეიძლება. როცა წიწილა გაიზრდება, იმას დაკვლენ და ხარშვენ უმარილოთ და უსანელებლოთ უმატებენ ოთხ პატარა ოთხ-კუთხიან პურს და ყველა ამაებს აწყობენ გობზე. მლოცველი იღებს მსხვერპლს და ქოთნის ნატეხს, რომელზედაც ჰყრია ნაკვერცხლები და ფარულად გამოდის სახლიდგან, რომ იგი არავინ შენიშნოს. ნაკვერცხლებზე დაჰყრის საკმელს და ამ სახით შეევედრება ამ ღმერთს: დჟიკერ-სალატ ახ-დუ! შენ, რომელიც მართავ კაცის გონებას, გაანათლე ჩემი გონება, შენი ნათელით, დამიფარე მე ყოველივე ცუდი საქმისაგან, და მასწავე მე, რათა ყველასთან მშვიდობიანად ვიცხოვრო». ამის შემდეგ მლოცველი პურის და ხორცის პატარა ნაჭრებს სდებს ნაკვერცხლებზე, ხოლო დანარჩენი მსხვერპლით ბრუნდება სახლში და ეპატიჟება როგორც შინაურებს ისე სტუმრებს, რომ მათ ისაუზმონ. თუ მლოცველი ცუდი თვისებისაა, მაშინ არც მახლობელნი და არც უცნობნი არ ეკარებიან მსხვერპლს. შეშჩ - მფარველი სამჭედლო და ზეინკალის ხელობისა. ამ ღვთაებას ევედრებიან ახალი წლის წინა დღით. სახლის უფროსი ჰკლავს ხბოს ანუ ცხვარს, ხოლო მისი ცოლი სათითაო მამალს ოჯახის თითოეული წევრისათვის და ამზადებს ხაჭაპურებს. დაკლული ცხოველების ღვიძლს და გულს შესწვენ ცალკე; შამფურის მაგიერ ხმარობენ თხილის ახლად გაკეთებულ ჯოხს. შემდეგ მომზადებული მსხვერპლი მიაქვსთ სამჭედურში, მჭედელი ყველა თავის ხელ სამწყოს ალაგებს გრდემლზე, რომლის მახლობლად სდებენ მაყალს ნაკვერცხლებით. შემდეგ მთელი სახლობა იჩოქებს გრდემლის გარშემო. მჭედელი იხდის ყაბალახს, იხსნის სარტყელს. იღებს ხელში წმიდა სანთელს, ნაკვერცხლებზე ჰყრის საკმეველს და კითხულობს ლოცვას, რომელშიაც სთხოვს თავის ღმერთს დღეგრძელობას და მასთან ევედრება, რომ მისგან გაკეთებული ყველა ხელსამწყონი სასარგებლო იქმნენ. ამის შემდეგ მჭედელი მწვადის და ხაჭაპურების ნამცეცებს ჰყრის ცეცხლში. მერე სახლის უფროსი ოჯახის თითოეულ წევრს ურიგებს ხორცის და ხაჭაპურის ნაჭერს. ამაებს სჭამენ და ზედ აყოლებენ სამ ყლუპ ღვინოს, რომელიც განსაკუთრებით ამისათვის არის მომზადებული ყურძნის დაწურვის დროს და ინახება სამჭედურში. ამ ღვინოს ვერც სახლის უფროსი და ვერც არავინ სხვა ვერ მიეკარება. აფხაზების აზრით ღმერთი, რომლის სახელი ამაოდ იქმნა ხმარებული, დაუყონებლივ სჯის დამნაშავეს იმ საშვალებით, რა საშუალებაც მოიპოვება მის განკარგულებაში. მაგალითად ის, ვინც იხმარს აფის სახელს ამაოდ, არ შეიძლება დასჯილ იქმნეს რკინის რაიმე ხელსამწყოთი, რადგან ეს უკანასკნელი არის შეშჩის ღვთაების საკუთრება. ყველაზე უფრო იფიცებს ამ შეშჩის ღვთაების წინაშე ხალხი. ფიცი ორ გვარია: სამჭედლოში და მინდორში. სამჭედლოში ფიცი ხდება ამ სახით: მჭედელი გრდემლზე სდებს კვერს და იქვე სდგება, ხელებს გულზე იწყობს; ფიცის მიმღები პირი დგება გრდემლის მეორე მხარეზე, მჭედლის პირ-და-პირ, ხოლო ის, ვისიც გამო ფიცს იღებენ, დგება ცოტა მოშორებით. დასაფიცებელი იღებს ხელში კვერს და ამბობს: «მე თუ დამნაშავე ვიყო მასში, რასაც მაბრალებენ, მაშინ შეშჩმა გამიხეთქოს მე თავი გრდემლზე». ამ სიტყვების შემდეგ სამჯერ დაარტყამს კვერს გრდემლზე და ფიცი დაიდება... მეორე შემთხვევაში მიწაში ასობენ ჯოხს ერთიერთმანეთისაგან ცოტა მოშორებით და მათზე ჰკიდებენ გატენილ იარაღებს; დასაფიცებელი სდგება თოფების ორ პირ შუა (დამსწრენი ცოტა მოშორებით სდგანან), და ამბობს: თუ მე სიცრუე მეთქვას მაშინ შეშჩმა გამიხეთქოს მე თავი ამ თოფების ტყვიით» და ამ სიტყვების შემდეგ სამჯერ გაივლის თოფებ შუა. ცრუზე მოფიცარი თუ როდესმე ავად გახდა, რომელსაც აფხაზების აზრით თან დაერთვის თავის ტკივილი, აგზავნის ნათესავებს მკითხავებთან, გაიგონ ავად-მყოფობის მიზეზი. მკითხავმა, რომელმაც მჭედლის შემწეობით იცის ყველანი, რომელთაც სამჭედურში დაიფიცეს, არჩევს ლობიოს მარცლებით ანუ უცქერის ვარსკვლავებს და ავად-მყოფობის მიზეზად უჩვენებს ცრუ ფიცს, რომელიც მიუღია ავად-მყოფს. მონათესავენი მიდიან იმ პირებთან, რომელთა წინააღმდეგ მიღებულია ავად-მყოფისაგან ფიცი, მიაქვსთ საჩუქრები და ევედრებიან,

მიუტევონ ავად-მყოფს. შემდეგ ავად-მყოფის მორჩენისა და მოწინააღმდეგა მხარის დაკმაყოფილებისა, იმასთან ერთად მიდის, სწირავს ორ მანეთს და მადლობს შეშჩს, რომ მან გადაარჩინა იგი სიკვდილს. მასთან სწირავს ცხვარს, პურს და ღვინოს, რომლებიც მიაქვს მჭედელს; ლოცვის შემდეგ შერიგებულ პირთ შეწირული ცხოველების გულის და ღვიძლის პატარა ნაჭრები და უნაწილებენ მათ მთელი ოჯახის წევრთა და მონათესავეთა. ამ დროს მკითხავი და მჭედელი ყოველთვის საჩუქრდებიან.

აფ - ღმერთი და მბრძანებელი ქუხილისა, ელვისა და ბუნების ყველა მოვლენათა. ამ ღვთაების ლოცვა დიდის დღესასწაულობით სრულდება. ამ დღესასწაულს ასრულებენ ზაფხულში, როცა ჯოგებს მთებში მიდენიან და შემოდგომაზე, როცა ჯოგებს მოერეკებიან მთებიდგან. სოფლის მწყემსნი იყოფებიან დას-დასად და თითოეული დასი ირჩევს ტყეში კაი ადგილს მდინარის ანუ ღელის მახლობლად, შემდეგ დაჰკვლენ ცხვრებს და უმფროსი მწყემსი, რომელიც უნდა წავიდეს მთებში, ევედრება აფის, რომ მან დაიცვას როგორც მწყემსნი, ისე მათი ჯოგი მეხისაგან. ქალებს და ბავშვებს დღესასწაულზე დასწრება არ შეუძლიათ. (მწყემსი, N2, 1890 წელი);

***

გაზეთ «კავკაზში» ვკითხულობთ: «კავკასიაში, განსაკუთრებით გურიაში, მინგრელიაში და აფხაზეთში ხარობს ნიგვზის და ბზის ხეები, რომლებიც ძალიან ბევრი გააქვსთ საზღვარ გარეთ. ამ საქმისათვის დღეს ჯეროვანი ყურადღება მიუქცევია სახელმწიფო ქონებათა მინისტრს. რომ ხსენებულს ადგილებში ეს მცენარეები მთლად არ მოიპონ, მინისტრს საჭიროდ დაუნახავს ნიგვზის და ბზის ხეზე, რომელიც სამზღვარ გარეთ მიექონებათ, გადაახდევინოს ბაჟი ფუთზე 50 კ. მინისტრს თავის დადგენილება უკვე წარუდგენია სახელმწიფო რჩევისათვის». (მწყემსი, N2, 1890 წელი);

«მწყემსი»-ს კორრესპონდენცია აფხაზეთიდამ

ვისაც აფხაზეთში უმოგზაურია, იმას შენიშნული ექნება, რომ აფხაზებს ერთმანეთს სიახლოვეს ცხოვრება არ უყვართ და არც ეხერხებათ. ხშირად ერთი მოსახლე მეორეზე ხუთ-ექვს ვერსზედ არის დაშორებული. ამიტომ აქაურს სოფლებს დიდი ადგილი უკავიათ; ზოგიერთ სოფელს ირგვლივ 25-30 ვერსი უჭერია. ამ სივრცის უმეტესი ნაწილი ტყით არის შემოსილი. როგორც ძველად მტრების დაცემის შიშისა გამო, ისე დღესაც აფხაზები საცხოვრებლად მიუდგომელ და მაღლობ ადგილებს ირჩევენ. ეკკლესიები და საკრებულო სახლები ხშირად სოფლების განაპირას არიან აღშენებულნი. ამიტომ სიშორისა და რიგიანი გზების უმექონელობისა გამო წირვა-ლოცვაზე ხალხი ძვირად დაიარება. წელიწადში აფხაზი მარტო ორჯერ დაიარება ტაძარში, ისიც შობას დააღდგომას. კვირა-უქმე დღეებში კიეკკლესიაში ეზარება მისვლა აფხაზს და სასოფლო ყრილობას კი არასდროს არ აკლდება. რადგან ხალხი ტაძრებში არ დაიარება, ამიტომაც მღვდლები ვერ ქადაგობენ საეკკლესიო კათედრიდგან, იგი კმაყოფილდებიან მხოლოდ შემთხვევითი ქადაგებით, რომელსაც, რასაკვირველია, ისეთი გავლენა არა აქვს ხალხზე, როგორიც აქვს ეკკლესიაში ქადაგებას. მართალია, ყოველი მღვდელი დარიგებას აძლევს ხალხს მიცვალებულის წესის აგების დროს, ნათვლაზე, სნეულის ზიარების დროს და სხვა დროსაც, მაგრამ ამისთანა შემთხვევები, ბევრი რომ ვსთქვათ, თითოეულ სამრევლოში ოცი და ოც-და-ათი თუ იქნება წელიწადში. განა ოცი და ოც-და-ათი სწავლა-დარიგება კმარა ახლად მოქცეული ქრისტიანებისათვის, მერე ისიც აფხაზებისათვის? არა, აფხაზებისათვის საჭიროა მუდმივი ყოველდღიური ქადაგება. თუმცა აქაური სამღვდელოება მხნედ და დაუღალავად ასრულებს თავის მოვალეობას, მაგრამ რა ჰქნას მისმა მხნეობამ და საქმისათვის დაუღალაობამ, როდესაც მის მოქმედებას, ზემოთ აღნიშნულ დაბრკოლებასთან ერთად,

ადგილობითი მთავრობაც არავითარ შემწეობას არ აძლევს. მრევლის სიშორე სოფლის ტაძრებიდგან და მასთან ხეირიანი გზების უმექონელობა ხელს უშლის ხალხს ტაძრებში იაროს კვირა-უქმ დღეებში და მოისმინოს თავის მწყემსთა სწავლა-დარიგება, მაგრამ ესევე გარემოება ხელს უმართავს ქრისტიანობის მოძულე და წინააღმდეგ პირთა, რომლებიც არიან ცრუ მოლები (молы самоэванцы) და საზოგადოთ მაჰმადიანები, რომლებიც ყოველ სოფელში ოთხი-ხუთი მოსახლე სცხოვრობს. ესენი ყოველივე საშუალებას ხმარობენ, რომ გაქრისტიანებული აფხაზები ისევ მაჰმადის სარწმუნოებაზე მოაქციონ. ეს პირნი მიმალულნი არიან სოფლების სხვა და სხვა კუთხეებში და ფარულად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. აღმართ-დაღმართი, კლდეები, ტყით შემოსილი უგზო და მიუვალი ადგილები ამ პირთ არ აბრკოლებთ. იმ ადგილებში, სადაც კი ცრუ მოლებს ხელი მიუწვდებათ, ვერ ნახავთ ერთად შეკრებილ საზოგადოებას, რომ მოლებიც მათში არ იყვნენ. შთამომავლობით მოლები აფხაზები არიან, მაგრამ გარეგანი შეხედულობით არაფრით არ განირჩევიან თათრებისაგან. რუს-ოსმალოს ომის შემდეგ ამ პირებს თავის თანამოძმე მაჰაჯირებთან*) ერთად მიუტოვებიათ თავისი მიწა-წყალი და სათათრეთში გადასახლებულან. მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ იგინი ხელახლად დაბრუნებულან აფხაზეთში და თავის მიწა-წყალზე დასახლებულან. სათათრეთში მათ შეუსწავლიათ თათრული წერა-კითხვა, მკითხაობა, აქიმობა და ზოგს, აფხაზების აზრით, მოლობაც ზედმიწევნით შეუსწავლია. ყოველივე ეს ცოდნა ხელს უწყობს მოლებს იმოქმედონ ქრისტიანობის წინააღმდეგ. ზოგი ამ მოლებთაგან მკითხაობს, ზოგი აქიმობს და, რასაკვირველია, ბევრს თავის პაციენტებს ასალმებს წუთი სოფელს; ზოგი წერს თათრულ ენაზე ლოცვებს (ჩვენებური ანგაროზების მსგავსად), აძლევს მთხოვნელებს და არწმუნებს, რომ ეს ლოცვები მათ ყოველივე უბედურებისა და ავი თვალისაგან დაიხსნის. ეკკლესიის მოშორებით მცხოვრებ აფხაზებს ასეთი ქაღალდები შეშის ნაჭერში აქვსთ გამოკრული და კისერზე ჰკიდიათ, და ზოგიც მოლობს. დანარჩენი მაჰმადიანები ქრისტიანი მეზობლების შესახედავად მაჰმადის ლოცვა-დიდებით და მარხულობით კმაყოფილდებიან. სამღვდელოებას მათ მოსაქცევად ყოველი საშუალება აქვს ნახმარი, მაგრამ მაინც ვერა გაუწყვია რა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ცუდი გავლენა ექნებათ ამ პირებს თავის მეზობელ-მონათესავე გაქრისტიანებულ აფხაზებზე, რომლებსაც ჯერ კიდევ ისე კარგად არა აქვსთ შეთვისებული ქრისტიანული წმიდა მოძღვრებანი, რომ იგი მიხვდენ, რამოდენად მაღლა სდგას ქრისტიანობა მაჰმადის აღსარებაზე. ამ პირთა შთაგონებით ზოგიერთი ქრისტიანე აფხაზები მალავენ ან სხვა სოფლებში გზავნიან თავის ყმაწვილებს, რომ ამითი იგინი მოუნათლავი დასტოვონ. თითონაც ჩუმად «იურაჩრობენ», ე.ი. თათრულად მარხულობენ, ქრისტიან მიცვალებულთ ჩუმად, მღვდლის გაუგებლად მარხვენ და სხვა. ხშირად მოხდება ხოლმე, როდესაც მღვდელი რომელიმე ქრისტიანი აფხაზის სახლში რაიმე მღვდელ-მოქმედებას ასრულებს, თუ მახლობლად მაჰმადიანი ვინმე სცხოვრობს, მოდის თავის შესაქცევად და დასცინის მღვდელს, იმის შესამოსელს, დასცინის მათ ვინც პირ-ჯვარს დაიწერს და ჯვარს ემთხვევა და სხვა. ერთმა მღვდელმა ერთ ამისთანა პირს სთხოვა გარეთ გაბრძანებულიყო და იქ მოეწია თუთუნი, მაგრამ ამ პირმა ამაყად უპასუხა მღვდელს შემდეგი: «ჩიბუხის კომლი და საცეცხლური კვამლი ერთიაო და ამისათვის საჭირო არ არის გარეთ გავიდეო». შეიძლება ყოველივე ეს მკითხველმა ხალხის უმეცრებას მიაწეროს - დამერწმუნეთ, რომ გულწრფელი უმეცრება თუ უმეცრების სახით გამოთქმული ბოროტ-განზრახულება ადვილი გამოსაცნობია. ხშირად ისიც ხდება, რომ მაჰმადიანს ქრისტიანის ქალი მოყავს ცოლად და სამუდამოდ ასალმებს ქრისტიანობას, ან კიდევ თვით აძლევს ქალს ქრისტიანს და ამ შემთხვევაში ამ უკანასკნელის ოჯახში სრულდება მაჰმადის სჯულის წესები. მაგრამ სასიხარულოდ უნდა ჩავთვალოდ ის, რომ ეს მაჰმადიანები ყველა თავის თანამესოფლეებს არ უყვარს; მომეტებული ნაწილის სოფლის მცხოვრებთა მოთმინებიდან არის გამოსული და სულით და გულით მსურველია, რომ ყველანი ერთ სარწმუნოებას ადგენ. მათი სიტყვით, «ჭრელი» არ უნდა იყვნენ და თუ ეს არ შეიძლება, მაშინ ისინი, ვისაც ქრისტიანობა არ

უნდა, ცალკე დასახლდენ, მათ ახლოს არ იდგენ, მაგრამ ეს სურვილი დღემდის მარტო სურვილად რჩება, რადგან ადგილობითი მთავრობა უყურადღებოდ სტოვებს ყოველივე ამას. *) მაჰაჯირები ჰქვიან იმ აფხაზებს, რომლებმაცა იმ ომების დროს უღალატეს რუსებს და გარდასახლდენ ოსმალეთში. /მღ. პ. ფარეიშვილი/. (მწყემსი, N3 და 4, 1890 წელი);

***

აფხაზეთის ეპარქიიდგან ზოგიერთ მისსიონერთაგან ძალიან სამწუხარო ამბები მოგვდის. იწერებიან, რომ მათ დიდ დაბრკოლებას აძლევენ მათი საღმრთო მოვალეობის აღსრულების საქმეში მკითხავები და ცრუ «მოლები». სახორციელო მთავრობაც, იწერებიან ისინი, ჯეროვანს შემწეობას ვერ გვაძლევს ჩვენ, რადგან თვითონ ადგილობრივი მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენელნი პირნი მართლ-მადიდებელი აღსარებისანი არ არიან. საზოგადოდ ამ მისსიონერების წერილებიდგან სჩანს, რომ ქრისტიანობის გავრცელების საქმე დღეს უფრო ცუდად მიდის აფხაზეთში, ვინემ განსვენებულის გენნადის დროს. (მწყემსი, N15 და 16, 1890 წელი);

1891 წელი

გაზეთი ,,ივერია''

***

აფხაზეთის ერთ-ერთ სოფელში, საიდამაც უკანასკნელის რუს-ოსმალოს ომი შემდეგ მკვიდრნი გადასახლებულან მცირე-აზიაში, დასახლებულან ანატოლიიდგან მოსულნი სომეხნი. შემდეგ წინანდელი მკვიდრნი ისევ დაბრუნებულან თავიანთ სამშობლოში და, რაკი უნახავთ, რომ ჩვენი მამულ-დედული სხვას დაუჭერიაო, თავიანთ სოფლის მახლობლადვე დამკვიდრებულან. მამულების შესახებ აფხაზებსა და სომხებს რამდენჯერმე ჩხუბი მოსვლიათ. წელს აფხაზთ ძალა უხმარნიათ და ნება აღარ მიუციათ სომეხთათვის თავიანთ წინანდელ მამულებისა და მინდვრების მოხვნისა. ამაზედ მოსვლიათ დიდი ჩხუბი. ჩხუბში სამი კაცი სომეხი დაუჭრიათ აფხაზებს და სამი კაცი აფხაზი კიდევ სომეხთ დაუჭრიათ. ამ საქმეზე გამოძიებაა დანიშნული (ივერია, N33, 1891 წელი);

გუდაუთი (აფხაზეთი)

ბევრს ვეცადეთ და ვსცდილობთ დღესაც, მაგრამ ვერას გავხდით და სკოლის გამართვა ვერ მოვახერხეთ ჩვენის შვილების აღსაზრდელად. ამას წინად, ჯერ როცა ისევ ყოვლად სამღვდელო გენადი იყო სოხუმის ეპისკოპოსად, ჩვენის მღვდლის შემწეობით გავმართეთ სკოლა იმ იმედით, რომ რიგიანს მასწავლებელს მოგვაშველებდა სოხუმის ეპისკოპოზი, მაგრამ იგი მალე გარდაიცვალა. მის მაგიერ განწესებული ეპისკოპოსი ალექსანდრე გვპირდებოდა შემწეობას, მაგრამ ისიც გარდაიცვალა და დავრჩით ისევ უსკოლოდ და უმასწავლებლოდ. ჩვენი საზოგადოება კი დიდად მოწადინებულია სკოლის გამართვას და მასწავლებელს გარდა, სხვა ყველა ხარჯს სკოლისას თითონ ჰკისრულობს. დიდს მადლს იზამს „წერა-კითხვის საზოგადოება“, რომ დაგვეხმარებოდეს როგორმე ამ საქმეში. (ივერია, N52, 1891 წელი);

დაბა ოჩამჩირე

ჩვენს დაბაში ორჯელ გაიმართა ქართული წარმოდგენა. ამ ორის წარმოდგენიდამ შემოვიდა 126 მან. 90 კაპ., დაიხარჯა სულ 51 მან. 69 კაპ. წმინდა შემოსავალი 71 მან. 31 კაპ. ასე იქმნა განაწილებული: 40 მან. აქაურ სკოლას გარდაეცა, 10 წინამძღვრიანთ-კარის სკოლისათვის გადაიდო, დანარჩენი 24 მან. უნდა გაეგზავნოს შეგირდს. (ივერია, N57, 1891 წელი);

აფხაზეთი

აფხაზების ცხოვრების ერთი უმთავრესი საღსარი იყო და არის რქოსან სხვილ და წვრილ ფეხსაქონლის მოშენება, მაგრამ ეგ საღსარი ცხოვრებისა თანდათან გაუცუდდათ. ამის მიზეზი ის ცვლილებაა, რომელიც შემოვიდა ამ უკანასკნელს დროს აფხაზთა ეკონომიურს ცხოვრებაში... უწინ, როგორც მთისა, ისე ბარის საძოვრები აფხაზს ბევრი ჰქონდა. მთების საზაფხულო საძოვრებს უსასყიდლოდ ხმარობდა, ანუ თუ გაიღებდა სასყიდელს, ძალიან მცირესა. „სვანების“ მთებზე ძოვართათვის ას სულ თხა-ცხვარში ერთს სულს აძლევდნენ სვანებსა; ბარად-კი აფხაზი თითქმის არაფერს იხდიდა, თუ არ ჩავაგდებთ იმ თითო კრავსა ანუ თიკანსა, რომელსაც აძლევდა თავის ნება-ყოფლობითა იმას, ვის მიწაზედაც დადგებოდა ბინად თავისის თხა-ცხვრითა. ამ კრავსა და თიკანსაც უფრო იმიტომ იმეტებდა, რომ მფარველობას უწევდა მამულისა და საძოვრის პატრონი და არა იმიტომ რომ მამულსა ხმარობდა. მამული, იმის აზრით, საერთო და საყოველთაო საკუთრებაა და არა კერძო. ეხლა სულ სხვა დარი დაუდგა აფხაზსა. ეხლა ყველა საბალახო მთები ხაზინის ხელში გადავიდა. ამ მთების ზოგიერთის საძოვრებითა აბჟუვტები, ე.ი. კოდორის მიდამოთა აფხაზნი 1890 წლამდე სარგებლობდნენ უსასყიდლოდ. მასუკან-კი გარდასახადი დაწესდა: ჯერ სახელმწიფო ქონებათა უწყების წარმომადგენელი მოხელე გასცემს მთას იჯარით. მოიჯარადრე თავის მხრით აძლევს საძოვრებს საქონლის პატრონთ და, რასაკვირველია, თავის წილს მოგებას იღებს. ესე თქვათ აფხაზს ასი სული ცხვარი ჰყავს და ამდენივე თხა. საზაფხულო საძოვრებისათვის შეხვდება გარდასახადი: თითო სულ თხაზე ორ-ორი შაური და ცხვარზე-თითო შაური. როცა შეადგენს სულ 15 მან. ახლა შემოდგომა-ზამთარში პატრონმა თხა-ცხვარი უნდა იყოლიოს და აძოვოს მთის კალთებზე. ეს მიწებიც მომეტებულად სახელმწიფო ქონებათა უწყებისაა და აქაც კიდევ ცალკე გარდასახადი უნდა იხადოს: თითო სულ ცხვარზე თითო შაური, ხოლო თხაზე ხუთ-ხუთი შაური, როგორც გამოუცხადეს ამ წლის დამდეგსა. ესეც შეადგენს 30 მანეთსა. გაზაფხულში იმ ალაგას, სადაც შემოდგომა-ზამთარი გაატარა, ვერ სძლებს თხა-ცხვარი და „საგაზაფხულო საძოვრებზე“ გაჰრეკონ. ამისთანა ადგილები კერძო კაცთა, თავადაზნაურთა საკუთრებაა. ესენი ახდევინებენ თითო სულ თხაზე თითო შაურიდამ სამ შაურამდე, აგრეთვე ცხვარზე. ესეც შეადგენს ორასის სულისა 20 მან. მაშასადამე ორასი სულის თხა-ცხვრის პატრონმა ყოველ წლივ უნდა ფულად იხადოს, გარდა ზოგიერთის წვრილმანის ხარჯისა, 65 მან.

აფხაზურ ჯიშის თხა-ცხვარსა, გარდა გემრიელის ხორცისა, თითქმის არაფერი შემოსავალი არ შემოაქვს. ცხვრის მატყლი, რასაკვირველია, სხვაგან გასატანად არ ვარგა და მხოლოდ შინ ხმარობენ აფხაზნი შალებსა და ნაბდებისათვის. როგორც აფხაზური შალი, ისე ნაბადი გაცილებით დაბლა სდგას, არა თუ „ონურ“, არამედ ჯვარულ (ჯვარი სოფელია სამეგრელოში) ნაბადსა და შალზედაც. ამიტომ ეს ნაწარმოებიც მხოლოდ შინ იხმარება. აქედამ ცხადია, რომ შემოსავალი შემოუვა თხა-ცხვარის პატრონს მარტო მის საკლავად გაყიდვითა. მაგრამ აქაც მუშტარი ისევე აფხაზები, ისევ შინაურები არიან და ამიტომ გაყიდვა აქ სხვა რამე საქონელზე გადაცვლაა. აი ამიტომაა, რომ აფხაზთ ფულის გარდახდა საძოვარში მეტად სამძიმოდ მიაჩნიათ. უკეთესის ჯიშის თხა-ცხვარი რომ მოშენდეს, მაშინ, რასაკვირველია „ბალახის“ გარდასახადიც არ იქნებოდა მათთვის სამძიმო და თვითონაც

მეტს სარგებლობას ჰნახავდნენ და ხაზინასაც მეტს შესძენდნენ, მაგრამ სად არის.

ჩვენ ზემოთ ესთქვით, რომ თითო სულ თხაზე ხუთ-ხუთი შაური მოსთხოვეს აფხაზებს შემოდგომა-ზამთარში სახელმწიფო ადგილებით სარგებლობისთვისაო. ეს ამბავი ეხლახან გამოუცხადეს აფხაზებს. ამ ამბავმა დიდი დრტვინვა და ჩივილი გამოიწვია მათ შორის. „თუ მართლა ამდენი გარდასახადი მოგვთხოვეს“, გაიძახიან აფხაზები, „იძულებულ“ ვიქმნებით თხა-ცხვარი სულ მივატოვოთ და აღარ ვიყოლიოთო. მარტო ცხვრის ჯოგის ყოლა აფხაზეთში ყოვლად შეუძლებელია. მთებზე მწყემსებს, სიშორისა და უგზოობის გამო, დაფქული სულ არ მიაქვთ და იკვებებიან მხოლოდ თხის რძითა და ყველით. ცხვარი ამ დროს, როგორც ისინი ამბობენ, სულ არ იწველება. ამიტომ, ვისაც ცხვარი უნდა იყოლიოს, უსათუოდ თხაც უნდა შეიძინოს. თხაზე გარდასახადის მომატება დიდად ძნელი საქმეა... ამიტომ თხა-ცხვრის პატრონები ფიქრობდნენ თავის მოყრას და მოლაპარაკებას, რომ თხოვნა მიართვან მთავრობას თხაზე „ბალახის“ ფულის შემცირების თაობაზე. დასასრულ, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ თხა-ცხვარი უფრო იმისთანებსა ჰყავსთ, რომელთაც თავის რჩენა მამულის მოვლით არ შეუძლიანთ. (ივერია, N64, 1891 წელი);

***

სოხუმის ახალი ეპისკოპოსი, ყოვლად სამღვდელო აღაფოდორი, ერისკაცობაში პავლე ფლეგონტის, ძე პრეობრაჟენსკი, დიაკვნის შვილია და დაბადებულია იაროსლავის გუბერნიაში. სწავლა მიუღია იაროსლავის სასულიერო სემინარიაში. შემდეგ მღვდლად გამწესებულა და 1884 წელს დეკანოზობა მიუღია. 1-ლ თებერვალს 1889 წ. დეკანოზი პრეობრაჟენსკი, ოცი წლის ქვრივი, შესულა ბერად აღაფოდორის სახელით და იმავე დროს უკურთხებიათ არხიმანდრატად. 1889 წელსვე 28 თებერვალს მიუღია ეპისკოპოსობა და დაუნიშნავთ ნიჟგოროდის ეპარქიის ვიკარად. (ივერია, N68, 1891 წელი);

დაბა ოჩამჩირე

საუბედუროდ, დაბა ოჩამჩირესა და იმის ახლომახლო ადგილებში დიდი ქურდობა გავრცელდა. ისე დაძვრებოდნენ ქურდ-ბაცაცები, რომ თუნდა ხუთის ბოქლომებით მიგეკეტნათ კარები, მაინც საშიში და საფრთხილო იყო. აქაურნი მკვიდრნი სწორედ დიდს გაჭირვებასა და წუხილში იყვნენ. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია სოხუმის ოლქის უფროსმა: ქურდობის მოსასპობლად თავისი თანაშემწე ბ-ნი კამსარაკანი გაგზავნა და დაავალა ამ საქმის როგორმე შველა. გაგზავნილმა მოხელემ იხმარა შესაფერისი ღონისძიება: ქურდები აღმოაჩინა, დააპატიმრა და მომრიგებელ-მოსამართლეს გადასცა. მოსამართლემ უკვე განიხილა კიდეც იმათი საქმე და სულ ყველას ვირის აბანოში ამოაყოფინა თავი. მას აქეთ დაბა ოჩამჩირეში სრული მშვიდობიანობა ჰსუფევს და ცუდკაცობასა და ქურდობის ჩამი-ჩუმიც არ ისმის. ქურდობა მოისპო, ყველამ მუშაობას მიჰყო ხელი.

ფუთი სიმინდი სამ აბაზ უზალთუნამდე აიწია. ჯერ-ჯერობით ჩვენი საქმე მარჯვედ მიდის, თუ კიდევ არსად გამოჰყვეს სხვისის საკუთრებისა და ქონების წაღებ-წალეკვის მსურველმა და კვლავ არ გაგვიჭირვეს საქმე. რომ გამოჩნდნენ კიდეც არ გაგვიკვირდება, რადგან ვინ არ იცის, რომ ჩვენში ქურდები ისე იჩენენ ხოლმე თავს, როგორც სოკოები წვიმიან დღის შემდეგ. (ივერია, N77, 1891 წელი);

***

ოჩემჩირიდამვე მივიღეთ ქ-ბნ მარიამ ჩაჩავასაგან გამართულის ქართულ წარმოდგენის ფულისა ერთი თუმანი წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ. (ივერია, N80, 1891 წელი);

***

ამ დღეებში ტფილისიდგან სამი ტყის მომშენებელი დასი გაემგზავრება, რომ ამიერ კავკასიის ტყეებში მუშაობას შეუდგნენ. ამათგან ორი დასი სოხუმის ოლქში მიდის წარსულს წელში დაწყებულის მუშაობის დასამთავრებლად. (ივერია, N104, 1891 წელი);

გუდავათი

საზოგადოდ აფხაზეთი და კერძოდ გუდავათი არასოდეს არ ყოფილა მოსვენებული სხვა-და-სხვა გვარის ავკაცობისაგან, მაგრამ რაც ამ მხრით წელს გაჭირვება დაგვადგა, ღმერთმა მტერსაც-კი ააშოროს. მარტო გუდავათის საბოქაულოში ოცდა-ხუთამდე კაცია ყაჩაღად გავარდნილი, რომელთა წყალობით მუდამ შიშსა და ცახცახში ვართ. 23 აპრილს ღამით სოფელ ლიხნში აფხაზი ჩამბუგი ხაჩივა მოჰკლეს. 10 ამა თთვისას მიუხდნენ დუქანში ბესარიონ ლოლუას, მოჰკლეს და, რაც რამ ებადა, ყველაფერი გაიტაცეს და მიიჩქმალნენ. ამას გარდა ჩვენში არა ყაჩაღთა შორისაც ხშირია ჩხუბი, კაცის კვლა, ქალის მოტაცება და სხვა ამ გვარი ადამიანისათვის არა შეუფერებელი საქციელი.

იქიდამვე: აქაურები დიდის სიხარულითა და აღტაცებით მოველოდით სამრევლო სკოლის გახსნას, რომელიც განსვენებულმა სოხუმის ეპისკოპოსმა ალექსანდრემ აღგვითქვა; მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, სიკვდილმა აღარ დააცალა ყოვლად სამღვდელოს, რომ ეს აღთქმა საქმედ ექცია. ყოველს შემთხვევაში ჩვენ მაინც იმედს არ ვკარგავთ და ახალის ეპოსკოპოსისაგან გამოველით ამ კეთილის საქმის განხორციელებას.

იქიდამვე: ჩვენში აქნობამდე ფოსტის სადგური არ იყო, რის გამოც დიდს გაჭირვებაში ვიყავით: თუ რამ ფოსტით გასაგზავნ-მისაღები გვექნებოდა, სოხუმში უნდა წავსულიყავით. ამ გარემოებას მთავრობამ მიაქცია ყურადღება და 20 ამ თთვიდამ აქ ფოსტის სადგური გაიმართა. (ივერია, N112, 1891 წელი);

***

პოლკოვნიკის ვედენსკის ბაღი სოხუმში, როგორც გაზ. „ნოვ. ობოზრ.“ იუწყება, დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძეს შეუძენია. ამ ბაღში აპირებენ სასახლის აშენებას და აქ რამდენისამე ხნობით წელიწადში დიდის მთავრის ოჯახობა იცხოვრებსო. (ივერია, N156, 1891 წელი);

სოხუმიდგან ახალ ათონამდე
(მგზავრის შენიშვნები)

აფხაზეთი იმდენად შესანიშნავია ბუნების სიმდიდრით, გეოგრაფიულის მდებარეობითა და განსაკუთრებით ისტორიულის ნაშთებით, რომ არა ერთი მოგზაური გაუკვირვებია და მოუყვანია აღტაცებაში. ისეთი მდიდარია ბუნება, რომ მოგზაურმა არ იცის, რას უყუროს და რომელს მხარეს მიაქციოს ყურადღება: მშვენიერს დაბურულს ტყეს, ათას ნაირის ყვავილე-ბით აჭრელებულს ველს, ჩუხჩუხით მომდინარე მდინარის ოდენა წყაროებს, უთვალავს ფშებს, ცამდე ამართულს და იალაღებით სავსე მთებს, თუ აქვე თვალ-გადაუწვდენელს, მოუსვენარ შავის ზღვის ტალღებს. ასე წარმოიდგინეთ, მინდორში თავისუფალს ჰაერზედ იზრდება ლიმონი, ფორთოხალი, ზეთის ხილის ხე, ალეანდრი, კაკტუსი და სხვა იმისთანა ყვავილები, რომელსაც ქართლსა თუ კახეთში, ბევრის მოვლისა და ლოლიაობის შემდეგ, ქილებში ძლივს ვინახავთ და ვახარებთ. სამწუხაროდ, ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ხშირის ჭაობების გამო აქ ისეთი ციება იცის თურმე ალაგ-ალაგ, რომ სამარემდე ვერ მოიშორებს,

ვისაც-კი გადაეკიდება. გეოგრაფიის მხრით აფხაზეთის საზღვრებს შეადგენს: სამხრეთით შავის ზღვის აღმოსავლეთი კიდე, ჩრდილოეთი კავკასიონის ქედი, სამხრეთით მდ. ენგური და დასავლეთით მდ. გაგრა. ამას გარდა, სხვა მდინარეებიც ბევრია, მაგალითებრ: ბზიბა, მიკიშა, თეთრი და შავი მდინარე, ბაკლაკა, ფსირცხა, გუმისტა, კელასურა, კოდორა და სხვა წვრილი წყლები. აფხაზეთი ეკუთვნის ქუთაისის გუბერნიას და სოხუმის განყოფილებად იწოდება. როგორც უკანასკნელის აღწერიდგანა სჩანს, აფხაზეთში 52,000 სული მცხოვრებია: 2,000 მაჰმადის სარწმუნოებისა და დანარჩენნი ქრისტიანები.

პირველად ქრისტიანობას, ქრისტეს ამაღლების შემდეგ, ჰქადაგებდნენ აქ მოციქ. ანდრია პირველ-წოდებული და მისი თანამგზავრი მოც. სიმონ კანანელი. ანდრია მოციქულმა აფხაზეთში დასტოვა სიმონ კანანელი და თითონ რუსეთისაკენ წავიდა. სიმონ კანანელის ქადაგებამ სასურველი ნაყოფი ვერ მოიტანა, რადგან თვით სიმონ კანანელი მოკლულ იქნა ძველს ნიკოფსიაში მეფე ადერიკის დროს, რომელიც ძალიან სდევნიდა ქრისტიანებს. გავიდა რამდენიმე ხანი და ქრისტიანობა მთლად აღმოიფხვრა აფხაზეთში. თუმცა საქართველოში ქრისტიანობა წმ. მოციქულთა სწორმა ნინომ განავრცელა, მაინც აფხაზეთში ქრისტიანობა დამყარდა უფრო გვიან, სახელდობრ, მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარში. ამ დროს ბიზანტიაში მეფობდა იუსტინიანე ავგუსტი, რომელმაც აფხაზეთში ქრისტიანობის განსავცელებლად მამა ევსტრატე გამოაგზავნა. ამისმა ქადაგებამ სასურველი ნაყოფი მოიტანა და მას შემდეგ, თუმცა ხშირად აფხაზები სპარსელების მონობის ქვეშ იყვნენ და ბოლოს მთლად შემუსრეს ეკკლესიები და თვით წმ. მოც. სიმონ კანანელის ტაძარიც დაანგრიეს, მაინც ქრისტეს სწავლას ისე ღრმადა ჰქონდა ფესვები გადგმული ხალხის გულში, რომ შემდეგ დამშვიდებისა და უკანასკნელის ომის გათავებისა 1878 წელს, ხელ-ახლად აჰყვავდნენ ნანგრევნი და მასთან ერთად ქრისტეს სწავლაც. ამ კეთილის საქმის საძირკვლად და ზღუდედ ახალ ათონის სიმონ კანანელის მონასტერია, რომელსაც აქვე ავუწერთ და გავაცნობთ მკითხველებს.

თვრამეტს თიბათვეს, დილის ხუთს საათზედ, მე და ჩემი თანამოგზაურები სოხუმის გზატკეცილს გავუდეგით ახალ ათონისაკენ. სოხუმიდგან ოც-და-ხუთი ვერსია ახალ ათონის მონასტრამდე. ეს მონასტერი გაშენებულია მდინ. ფსირცხას მარცხენა ნაპირას ვიდრე შავი ზღვის კიდემდე. ძველად აქ ბერძნების ახალშენი ყოფილა „ანაკოფია“. ამას ამტკიცებს მაშინდელ დროის ზოგიერთი ძველი ნანგრევიც, მშვენიერი სანახავია მონასტერი ზღვიდგან, როცა ბუნებით მდიდარს მთა-ველს, რამდენსამე ტბას, მონასტრის შენობასა და გუმბათებით და ბრჭყვიალა ვერცხლის და ოქროს ფერის ჯვრებით შემკულს ეკკლესიებს გასცქერის ადამიანის თვალი. ეს სურათი ამ უდაბურსა და მიყრუებულს ალაგს რაღაცა ღვთის სასოებასა ჰბადავს კაცის გულში. ამ მონასტერს გარს არტყია მშვენიერი გალავანი, რომელსაც ორი ჭიშკარი აქვს: ერთი აღმოსავლეთით და მეორე სამხრეთით, სამხრეთის კარების მარცხნივ მონასტრის დუქანია, სადაც ისყიდება სხვა-და-სხვა სამღვთო წერილის წიგნები და სურათები: მაცხოვრისა, ღვთისმშობლისა, სიმონ კანანელისა და პანტელემონ წამებულისა. აქვე ისყიდება იაფის ფასის ყოველგვარი ჯვრები და კრიალოსნები: ქვისა, სადაფისა და მინისა, ძვლისა და ვერცხლისა, კარების მარჯვენა მხარეს არის პატარა სამლოცველო ლამაზის კოხტა კანკელითა და ნახატის კედლებით. კარებს ახლოსვე არის ძველი შენობა, რომელშიაც მოთავსებულია მონასტრის აფთიაქი და რამდენიმე ოთახია მოსამსახურეებისა. მარცხნივ გრძელი ხის შენობაა მლოცველთათვის. ეზოს მარჯვნივ არის ერთი ძველებურად აშენებული კოშკი საპატიო და წარჩინებულ კაცთა მისაღებად. ეს კოშკი ზღვას გადაჰყურებს, ამ კოშკს ზემოდ ორ-სართულიანი სასტუმროა საქალო და სავაჟო განყოფილებით. ამით თავდება ეზოს პირველი ნახევარი და იწყება ბერების სადგომი შენობები, ამ ორს შენობას შუა არის მოედანი, რომლის შუაც მშვენიერი კიპაროსის და ცაცხვის ხევნარია გაკეთებული. ეს ხევნარი მონასტრის წინამძღვრისა და სხვა ბერების სადგომისკენ მიდის. ბერების სადგომი პირდაპირ ლამაზად ნაშენი ეკკლესიაა ორის

სამწირველოთი. ერთი სამწირველო ღვთისმშობლის მიძინებისა და მეორე მიხეილ მთავარ-ანგელოსისა. /ზ. ჩხიკვაძე/. (ივერია, N157, 1891 წელი);

სოხუმიდგან ახალ ათონამდე
(მგზავრის შენიშვნები)

(შემდეგი, იხ. ,,ივერია'' 157). ამ ეკკლესიაში შევედით, წირვა იდგა და ბარე ორმოცამდე რუსი ქალი და კაცი მოსულიყო სალოცავად. როგორც მერე შევიტყე, ესენი რიაზანის გუბერნიიდგან იყვნენ მოსულნი. ისე არ ჩამოივლის თურმე გემი რუსეთიდგან, რომ ორმოცი ან სამოცი მლოცავი არ გადმოსხას მონასტრის ნავთ-სადგურზედ. ეს მონასტერი სასწავლებელსაც არ არის მოკლებული. სასწავლებელი მოთავსებულია ეკკლესიის ზემოდ, ორ-სართულიან შენობაში და აქა სწავლობს ყოველ წლივ ოცამდე გაქრისტიანებულ აფხაზის ობოლი და ან კიდევ ის, ვინც გაქრისტიანების სურვილს გამოაცხადებს. თვით ბერები ასწავლიან რუსულს წერა-კითხვას, გრამატიკას, ანგარიშს, საეკკლესიო გალობას, ბაღოსნობას, ღვინის დაყენებას, აბრეშუმის მოყვანას და სხვა-და-სხვა ცხელ ქვეყნის მცენარეების მოვლას. სასწავლებლის ქვემო სართულში მონასტრის სამკურნალოა მოთავსებული. ეს შენობა თავისის სიფართოთი და მდებარეობით მონასტრის ყველა შენობასა სჯობია.

ახალ ათონის მონასტერს აქვს აგრეთვე საკუთარი, ახალს გეგმაზედ გაშენებული ვენახები, რომელსაც 24 დღიური მიწა უჭირავს. აქვე აქვთ გაკეთებული დიდი მარანი, თავისის შესაფერის საწნახელით, სადაც თვით ბერები აყენებენ ღვინოს. სასწავლებლიდგან ნახევარ ვერსის სიშორეზედ წმ. მოწ. სიმონ კანანდლის ეკკლესიაა. ეს ეკკლესია, როგორც ხალხური ზეპირ-გადმოცემა ამბობს, აშენებულია მეოთხე საუკუნეში სწორედ იმ ალაგას, სადაც სიმონ კანანელი არის დაფლული. ეკკლესია თლილის ქვით არის ნაშენი და მონასტერის ყველა ეკკლესიაზედ დიდია. შიგნით ეკკლესიას მუხის კანკელი აქვს, ხელოვნურის ჩუქურთმით დაჭრელებული. ამ ეკკლესიას წინა აქვს მარმარილოსივე მაღალი ჯვარი. ამ ჯვრის სამივე კუთხიდგან, ანუ ნაპირიდგან შადრევანივით გადმოდის მშვენიერი წყაროს წყალი. მლოცავნი რაღაცა ძალას აწერენ ამ შადრევანს და ამბობენ, რომ, ვინც სასოებით ილოცავს და ამ წყალს დაჰლევს, ყველა სენისაგან განიკურნებაო.

მაგრამ ყველა ეს რა არის იმ ბუნებით მდიდარსა და გასაოცარს ფსირცხას ანუ ტრახეის ხეობასთან და ფსირცხას მდინარესთან, რომელიც აქვე, სიმონ კანანელის ეკკლესიის გვერდით, ხუთის საჟენის სიმაღლიდგან საშინელის ხმით გადმოდის დაბლა. ამ ჩანჩქერის ხმას კაცი ორმოცის საჟენის სიშორეზედ გაიგონებს და ცოტას გაივლის თუ არა თითქო მოწმენდილ ციდგან სწვიმსო, ისე დაჰყურებს დაბლა წყლის წინწკლებს. ერთის სიტყვით, ჩანჩქერის ახლო ძალიანაც რომ უყვიროს კაცმა კაცს, ვერას გააგონება. ეს ჩანჩქერი ბერებს გაუკეთებიათ. იმ ალაგას, საცა ეხლა ჩანჩქერია, ფსირცხას ხეობა თავდება; ისეთი ვიწროა ეს ალაგი, რომ ათს საჟენზედ მეტი სიგანე არა აქვს. ბერებს წინ კედელი აუშენებიათ თლილის ქვისა, სამის არშინის სიგანე და ხუთის საჟენის სიმაღლე და დაბლა დაუტანებიათ წყლის გასავალი კარები, რომელიც ისეა მომართული, რომ თუნდა დაიკეტება, თუნდა გაიღება. ამ ხეობაზედ მოდის მდინ. ფსირცხა, რომელსაც ამ კედლის წინ დიდი ხუთის საჟენის სიღრმე მორევი აქვს და მერე ამ სიმაღლიდგან კედელზედ ვაი უშველებელით გამოდის და დაბლა უფსკრულში იკარგება.

მარცხნივ გაკეთებულია მაღალი კიბე, რომელზედაც კაცს შეუძლიან ავიდეს და მაღლიდან დაჰხედოს ჩანჩქერს. ამ ჩანჩქერიდგან წყალი გაყვანილია მონასტრის წისქვილში, რომელიც თავისის მომართულობით შესანიშნავია და რომელსაც საქართველოს ვერც ერთი წისქვილი ვერ შეედრება. (დასასრული იქნება). (ივერია, N158, 1891 წელი);

***

სოხუმიდამ გვწერენ: აქეთ დიდს მოსავალს მოელიან სიმინდისას. გუდაუთის „განყოფილებაში“ დღემდის საშინელი არეულობა იყო, ვინ ქურდობდა, ვინ კაცს ჰკლავდა და ვინ რა-სხვა გვარს ავკაცობას სჩადიოდაო. ამ ხანებში გამოსცვალეს „განყოფილების“ უფროსი და მკვიდრთ ამ ბოლოს დროს, ცოტა არ იყოს, მოისვენეს და ავკაცობა ისე ხშირი აღარ არისო. აგერ მარტს აქეთია, რაც აქაურს ერთადერთს მასწავლებელს მუშები ადგანან შენობის შესაკეთებლად და მისამატებლად. როგორც ამბობენ, დამთავრდება თუ არა ეს შენობა, სკოლა ოთხკლასიან სახელოსნო სასწავლებლად უნდა გადაკეთდესო. ამ დღეებში სოხუმში მოელიან პეტერბურგიდამ სამეცნიერო კომიტეტის წევრს ანოპოვს, რომელმაც კავკასიის აქეთა მხარეში უნდა აირჩიოს ადგილი, საცა საუმჯობესო იქნება სახელოსნო სასწავლებლის დაარსებაო. (ივერია, N160, 1891 წელი);

***

სოხუმიდამ სწერენ გაზ. „კავკაზ“-ს, რომ ეს რამდენიმე თთვეა აქაურს მთიულთა სკოლას შეკეთება დაუწყეს და უნდათ ოთხკლასიან სახელოსნო სასწავლებლად გადააკეთონ. იმასაც ამბობენ, რომ მთიულთა სკოლას დარჩება და სახელოსნოსაც სხვას გამართავენო ან სოხუმში ან იმის ახლო ადგილებში. ამ საქმისათვის ამ დღეებში მოელიან ბ-ნს აკოფოვს, რომელმაც უნდა ადგილი აარჩიოს მომავალ სახელოსნო სასწავლებლისათვის. სიმინდის მოსავალს ძლიერ კარგს მოელიან სოხუმის მხარესაო, იწერება კორესპონდენტი. (ივერია, N161, 1891 წელი);

სოხუმიდგან ახალ ათონამდე
(მგზავრის შენიშვნები)
(დასასრული. იხ. „ივერია“ N158)

ახალ ათონის მონასტრის წისქვილი ოთხ-სართულიანია. მეოთხე სართულში ხორბალსა, ან სიმინდს ჰყრიან, აქედგან ჩამოდის ხვიმირებში, რომელიც მესამე სართულშია, იფქვება და ჩადის მეორე სართულში, სადაც ტომრებს ავსებს. პირველს სართულში გაკეთებულია ორი დიდი ფურნე. ამ სართულში ჩამოდის გაცრილი ფქვილი ზემოდგან. აქვე ჰზელენ და აცხობენ თვით ბერები. ის იყო გამოეცხოთ პური, როცა მივედით. პური თეთრია და გემრიელი; როგორც ხაბაზებმა მითხრეს, კვირაში ორჯელ, ხან სამჯერ ვაცხობთ ოც-და-ათს ფუთს პურს თითო გამოცხობაზეო. წისქვილის პირდაპირ დიდის მთის წვერზედ სამი ძველი კოშკია, რომელიც, როგორც ეტყობა, ძალიან დიდი ხნის აშენებულია. აქავეა ძველი ეკკლესია, დარღვეული და ნახევრად ჩამოქცეული, რომლის წინ აუშენებიათ ეხლა პატარა სამწირველო ივერიის ღვთის-მშობლის სახელობაზეც. ეს ეკკლესია, როგორც ბერძნულ წარწერებიდგანა სჩანს, აშენებულია მეორე საუკუნეში მეფე ტრაიანის დროს. ამ ეკკლესიიდგან თითქმის ორმოცის ვერსის სიშორეზედ სჩანს თვალ-გადუწვდენელი სარკესავით ზღვა და მიდამო მთა-ველი. ამ მთის ძირში არის შენობა მოსამსახურეთათვის და გვერდით დიდი გობები და თავლაა. ამ შენობების შემდეგ ბაღები და ვენახები იწყება. ბაღებში სთესია ყოველნაირი ბოსტნეულობა და სხვათა შორის ყოველ ნაირი ბადრიჯანი, გოგრა, პილპილი, მდოგვი და ხარდალი. აქვე გვერდით გაშენებულია პატარა ჭალა, რომელშიაც 5,000 მეტი ზეთის-ხილის ხე დგას. მონასტერსა ჰყავს აგრეთვე 800 გეჯა ფუტკარი. სახნავ-სათესი, საძოვარი, მთა და ტყე იმდენი აქვთ, რომ ამოდენა მონასტერს ეყოფა. 1875 წ. 6 სექტემბერს, როცა ათონის ბერებს მიეცათ უმაღლესის მთავრობისაგან ამ მონასტრის განახლების ნება, ამასთანავე ებოძათ 655 დღიური სახნავ-სათესი, 200 დღიური საძოვარი, 400 დღიური მთა და ტყე. მონასტერსა აქვს აგრეთვე საკუთარი სამჭედლო, სადურგლო, სამკერვალო, სახარაზო და წმიდა სანთლის ქარხანა.

ბაღების გადმოსწვრივ არის შვიდი ტბა, თვით ბერებისაგან გაკეთებული. ძირში ყველა ტბას დაგებული აქვს ცემენტი და ისეა მომართული, რომ წყალი ერთის ტბიდგან მეორეში გადადის და ბოლოს ზღვას ერთვის. საშუალო სიღრმე ტბებისა შვიდიდამ რვა არშინამდე იქნება. ამ ტბებში ჩადის მდ. ფსირცხის წყალი და შიგ თევზი უთვალავია; ზოგი იმისთანა თევზი ვნახე აქ, რომ იმის მაგვარი თევზი არსად მინახავს არც ქართლსა და არც კახეთში. როცა თევზის დაჭერა უნდათ ბლომად გაუშვებენ რომელსამე ტბიდგან წყალს და ისე ჰკრეფენ მშრალზე თევზებს. 1888 წ., როცა იმპერატორი მობრძანებულიყო მონასტრის სანახავად, როგორც ბერებმა მითხრეს, ერთი ტბა დაეცალათ წყლით და ოც-და-ათი ფუთი თევზი ამოეყვანათ. ტბები დაშორებულია ერთი ერთმანეთისაგან 4 ან 5 საჟენზედ და შუა-და-შუა გაკეთებულია ზეთის ხილის ხევნარები, ხოლო ტბის კიდეებზედ-კი სთესია ნაირ-ნაირი ყვავილი, რომელიც, როგორც მითხრეს, ზამთარ-ზაფხულს ერთთავად ჰყვავის. რადგან ეხლანდელი მონასტრის შენობები ცოტაა და ვერ იტევს ბერებს, ამისთვის, უმაღლესის მთავრობის ბრძანებით, დაწყებულია ახალი შენობა, რომლის საძირკვლის ჩაყრას თვით იმპერატორიც დასწრებია. ის შენობა ახლანდელ მონასტრის შენობების უკან არის უფრო მაღლობზედ, სიგრძით 70 საჟენი იქნება და სიგანით 45. საძირკველი და კედელი ვიდრე ოთხ არშინამდე სულ თლილი ქვისა აქვს და მერე სქელის რუსულის აგურით არის ნაშენი. ჯერ მარტო ერთი სართულია აყვანილი, ისიც ერთს სიგრძეზედ. შენობა ორ სართულიანი უნდა იყოს და 300-მდე ოთახი უნდა გაკეთდეს ბერებისათვის. შენობის ოთხივ კუთხივ აშენებული იქნება მოზრდილი ეკკლესიები, ხოლო შუაზედ ეზოში დიდი ტაძარი წმ. მოწამე პანტელემონის სახელზედ. როგორც ხუროთ-მოძღვარმა მითხრა, ათს წელიწადზედ ადრე ვერ დამთავრდება ეს შენობა.

ვათავებთ რა ამ მცირე შენიშვნას, ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვათ ბერების ცხოვრებისა და იმათს რაოდენობის შესახებ. ამ ჟამად მონასტერში ორასი ბერი ითვლება და სამასამდე მორჩილი. წირვა-ლოცვა ყოველთვის რუსულად არის, იმ წესით, როგორც მონასტერშია. მთელს დღე და ღამეში ბერები ლოცვას ანდომებენ თორმეტს საათს. ლოცულობენ შუაღამისას, თორმეტს საათზედ, დილის ორს სათზედ, ხუთს საათზედ, რვა საათზედ და საღამოს შვიდ საათზედ. ორშაბათობით, ოთხშაბათობითა და პარასკეობით ერთხელა სჭამენ ბერები პურს თერთმეტს საათზედ, რადგან კვირაში ამ სამ დღეს მარხულობენ; დანარჩენს დღეებში სადილობენ და ვახშმობენ. პურის ჭამის დროს დაირეკება ზარი და ყველანი მოიკრებენ თავს სასადილო ოთახში, სადაც სამ რიგად სხედან თავიანთის წინამძღვარითურთ. ერთი ბერთაგანი რიგით კითხულობს იმ წმინდანის ცხოვრებას, რომელსაც იმ დღეს იხსენიებს ეკკლესია. სადილს შემდეგ ისვენებენ ორს საათს და შემდეგ მუშაობას იწყებენ ზოგი მინდორში, ზოგი სახელოსნოებში, ზოგი ვენახში და ზოგიც წისქვილში. /ზ. ჩხიკვაძე/. (ივერია. N161, 1891 წელი);

სოხუმი

აქაურს მცხოვრებლებს ჯერ არ ახსოვთ, რომ ასეთი კარგი სიმინდის მოსავალი ყოფილიყოს. დრო-გამოშვებით წვიმებმა და გულიანად მუშაობამ მართლა დიდი სარგებლობა მოუტანა აფხაზებს და მეგრელებს. იმედი აქვთ, რომ ერთმა დღიურმა მიწამ ასი ფუთი სიმინდი გამოიღოს სამ-სამ და ოთხ-ოთხ ტაროდ. სოფლებში ყურძნის მოსავალსაც კარგს ამბობენ, მაგრამ თითონ სოხუმში, სადაც-კი იყო ყურძენი, ყველგან გააოხრეს დღისით კრაზანებმა და ღამით ტურებმა. (ივერია. N176, 1891 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

სოხუმი. ჩვენს საბრალო ქალაქს ამიერიდგან კარგი ფერი უნდა დაედოს. ეს გარემოება უნდა მივაწეროთ დიდს მთავარს ალექსანდრე მიხეილის ძეს, რომელმაც წარსულს ივლისის თთვეში გააბედნიერა სოხუმი რამდენსამე დღით აქ ყოფნითა და იყიდა სამოცი ათას მანეთად თითქმის მთელს კავკასიაში შესანიშნავი გენერალ ვედენსკის საბოტანიკო ბაღი. ამ დღეებში კიდეც ჩამოვიდა გამგებელი დიდის მთავრის მამულებისა ზემოხსენებულის ბაღის ჩასაბარებლად. თუმცა ალექსანდრე მიხეილის ძეს მრავალი ალაგი მოუვლია და ბევრი შესანიშნავი ბაღი უნახავს, მაგრამ არსად არ უფიქრია საბოტანიკო ბაღის მოპოება. მაშასადამე, აშკარაა, სოხუმის საუცხოო მდებარეობამ და მისმა ტურფა და კეკლუცმა ბუნებამ შეასყიდვინა ეს მამული. რადგანაც ალექსანდრე მიხეილის ძეს კარგად შეუსწავლია თითქმის მცენარის ცხოვრება და გარდა ამისა დიდი მოყვარული ყოფილა ნადირობისა, ამისათვის იმედია, რომ სოხუმისა და მთელის აფხაზეთის მდიდარი ბუნება მხიარულად გაატარებინებს დროს და ნამდვილის წყაროდგან შეტყობილი გვაქვს, რომ დიდი მთავარი 13, ან 15 ენკენისთვეში მობრძანდება სანადიროდ ჩვენში და წარჩინებულნი მონადირენი დიდად ემზადებიან, რომ სასურველს სტუმარს მართლა კარგი ნადირობა აჩვენონ.

წარსულს კვირას აქა ბრძანდებოდა წევრი სამეცნიერო კომიტეტისა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი ბ-ნი ანოპოვი სოხუმის ორ-კლასიან სასწავლებლისა და აგრეთვე საზოგადოდ აქაურის ადგილის დასათვალიერებლად და იმის ცნობების შესაკრებად, რომ სახელოსნო და სამეურნეო სასწავლებლის დაარსება საჭიროა თუ არა. სოხუმისა და აფხაზეთის მდიდარმა ბუნებამ დიდად გააოცა ბ-ნი ანოპოვი და აქაურს საზოგადოებას დაჰპირდა, რომ უთუოდ ვეცდები, ამ მოკლე ხანში დააარსონ აქ ზემოხსენებული სასწავლებელიო. მოქალაქეები და დეპუტატები დიდს შრომაში არიან, რომ რაც შეიძლება ჩქარა მოსპონ სამუდამოდ ის ჭაობიანი ადგილები, რომელიც სოხუმს ახლოა და დიდად ავრცელებს ციებ-ცხელებას მცხოვრებთა შორის. სასურველი ის არის, რომ ფოთის უსარგებლო და უვარგისს პორტისათვის მმართველობა აგერ ოცს მილიონამდე ფულსა ჰკარგავს და საბრალო სოხუმისათვის-კი ერთს გროშსაც არ იმეტებენ.

სახარების სიტყვები: „ვისაც ჰქონდეს მიეცეს და მიემატოს და, ვისაც არა, რაც ჰქონდეს, ისიც წაერთვას“ სწორედ მართლებოდა სოხუმის შესახებ. უმაღლესის მთავრობის გადაწყვეტილებითა, 18 მარტს ამა 1891 წლისას, ქუთაისის გუბერნიას დაადეს გადასახადად უძრავის მამულისა ყოველ წლივ, სამი წლის ვადით 20416 მანეთი და 18 კაპიკი. ეს გადასახადი სამართლიანად უნდა განესაზღვრათ, მაგრამ ქუთაისის გუბერნიის მმართველობამ სხვა თვალით შეჰხედა ჩვენს სოხუმს და ქუთაისის შემდეგ სოხუმს მიეცა უპირატესობა. წარმოიდგინეთ, რომ ფოთში ერთი ხუთად მეტია მცხოვრები სოხუმზედ და სოხუმელები თავისის ქონებით ვერ შეედრებიან ფოთელებს. მაშასადამე, გარდასახადი ფული უძრავის მამულებისა მეტი უნდა დახვედროდა ფოთის ქალაქს. თითქმის ქალაქი ოზურგეთიც არ დაუვარდება სიმდიდრით სოხუმს, მაგრამ სოხუმელებისგან ყოველ წლივ თხოულობენ 1752 მანეთსა და 43 კაპ. ფოთელებისგან-კი 1461 მანეთსა და 60 კაპ. ოზურგეთელებს სულ მცირე გარდასახადი დაედოთ-501 მანეთი და 32 კაპეიკი. /კ. მაჭავარიანი/. (ივერია, N176, 1891 წელი);

***

ამას წინად ჩვენ ნათქვამი გვქონდა, რომ სოხუმში ორკლკასიანის სასწავლებლის გადაკეთება უნდათ სამეურნეო და სახელოსნო სასწავლებლად, ხოლო ამ საქმის ადგილობრივ გამოსაკვლევად უნდა წავიდეს განსაკუთრებული კაცი მთავრობისაგანაო. ეხლა გაზ. „კავკაზ“-ს ატყობინებენ სოხუმიდამ, რომ ამ დღეებში იქ მისულა საერო განათლების

სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტის წევრი ბ-ნი ანოპოვი და დაუთვალიერებია იქაური ორ-კლასიანი სასწავლებელი. ადგილობრივ საზოგადოების წარმომადგენელთათვის ბ-ნს ანოპოვს გამოუცხადებია, რომ სოხუმში სამეურნეო და სახელოსნო სასწავლებელთა გამართვა აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნიაო. (ივერია, N178, 1891 წელი);

***

სოხუმიდგან იუწყებიან, რომ ამ უკანასკნელს დღეებში 169 მაჰმადიანმა აბხაზმა მართლ-მადიდებლობა მიიღოო. (ივერია, N274, 1891 წელი);

1891 წელი

ჟურნალი ,,მწყემსი''

გუჯრები ბიჭვინტისა

ეჰა ასულო შვენიერო იოვაკიმის ნაყოფო, სიტკბოებითა აღსავსეო, ანნას რტოვო გარდა-ფენილო, სოლომონის ვენახო, რქაო მეწამულო, დილის ყვავილო დაბადებულთა, სურ-ნელ მყოფელო, იესეს კვერთხო, დიდებითა აყვავებულო, იუდას ბრაბანო, ყოველთა და-ბადებულთა სამკაულო, იაკობის კიბეო ზეცად აღმართებულო, ისაკის ვარდო უბიწოებით აღ-ყვავებულო, აბრაჰამის კვერთხო დიდებით აღმოფრჩუნილო სემის 1) დასაბამო, ნათესავთა მშვიდობიანოეს სულისა სამოსელო, ევასა ნათელო და მწუხარებისა უჩინო მყოფელო, ადამის სამოთხეო, პირმეტყველო, ღვთისა მამისა მხოლოსა წინაშე გამორჩეულო და ძისა მხოლოსა პირველო საუკუნეთა მამისაგან დედად ქალწულობით უთესლოთ მშობელად განწესებულო და სულისა წმიდისა ტაძარო სამებისა წმიდისა ცნობისა მომატყუებელო, რომელმან ერთსა სამებისაგან შეიწყნარე და უაღრესო ყოველთა ბუნებათა ჰშევ ძე მხოლოდ შობილო ულმობელად და უხრწნელად. შენ გარდამოიყვანე ქვეყნად ღმერთი და აღიყვანე ადამ ზეცად, შენ აღამაღლე ბუნება ესე დაცემული და დასუ საყდართა ღვთაებისათა, რა ჟამს აღსახენ ღმერთსა ბუნება ადამისი და შევ ღმერთი და კაცი ორთა ბუნებითა. ამისთვიცა მიიღო, რომლისა იგი მიღებად გული უღქმიდა ადამს. შენ მშვიდობა ჰყავ შორის ქვეყნისა და ცათა სისხლითა ძისა შენისათა. შენ დაღიხსენ მტერობა იგი პირველი, რომელიც იყო შორის ანგელოზთა და კაცთა, რა ჟამს იქმენ ცაჲ ქვეყანასა ზედა და მიწისა ზეცათა შინა, შენ ღრუბელო ნათლისა, რომელმან ცუარ სიხარულისა და ცუარი ცხოვრებისა და ცუარი სი-ტკბოებისა, აცურე და აღავსე ქვეყანაჲ ურწყველი ნაყოფითა მრავალ ფერითა, რომლისგან განძღომად სურის ყოველთა დაბადებულთა მიღებად ტკბილთა მათ ნაყოფთა ღვთის მეცნიერებისათაჲ, შენ ხარ ცაჲ სულისა ბრწყინვალებისა, რომელსა ზედა გამობრწყინდა ვარსკვლავი იაკობისი და სიბნელე ღამისა მის უმეცრებისა. და ხსნა და ნათელი დიდებისა მისისა გუახილვა ეზოთა უკანასკნელთა. შენ საყდარო ცეცხლისა ფერო..., შენ ვარსკვლავო ევასო სულისა ცაჲსა აღმობრწყინვებითა და ეტლო მეუფისაო ნივთისაგან მიწისა ბუნებითა.

მოდგამობითა ბრწყინვალედ შემზადებულო, შენ ხარ ტაკუკი (მომცრო ჭურჭელი ღვინისა, ს. სულხან ორბელიანის ახსნა) 1) იგი დიდებული, რომელმან ღმერთაჲ იგი მანანა და იხილე და ყოველნი ხილულნი და უხილავნი სიტკბოებითა აღავსენ. უფროს ბუნებითა მხედველთა შენ ხარ სინათლე იგი ოქროსა, რომელსა ზედა ვიხილეთ ნათელი იგი დაუსრულებელი, რომელი განმართლებს ყოველთა კაცთა მომავალთ სოფლად და თვით გიმხილა ღგიეს მოუკლებელად და შეუცვალებლად ტაძრის მაგის სიწმიდისსა ღადვე შეგმხადა სოლომონ.

დამტევნელი და უტევნელისა არსთა შობადობისა სიტყვისა ღმერთსა და ძველ ოდესმე მოსესაგან მოგასაცვა კარვად სამეუფეოდ ყოვლად წმიდაო, ცათა უტევნელისა დამტევნელო.

ბიჭვინტისა ღვთის-მშობელო! კაცობრივსა ვინაცა სიღრმისგან სიმდაბლისა ვიჯერვინებე აღმოთქვმად რასამე ძალისა ებრსა უფროს დუმილისა, რომელი ხარ სკიპტრა-გვირგვინი მეფეთა დიდებაჲ. პორფირთა მხებელი, სუⷯ 2) ინდელმათ დაცემულთა აღმამართებელო და ლაღთა დამამხობელი შენდამი მსასოებელთა მე მოწყენილთა მათ ცვა-ფარვა. შეწევნა წარმართებთა თქვენთა მიერ სკიპტრა პორფირისა და გვირგვინისა მპყრობელმან აფხათა და ქართველთა მეფობისამან, რანთა, კახთა და სომეხთა მეფეთა განგე და ყოვლისა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისა ორისავე ტახტისა და სამეფოსა ჩვენისა შეწევნითა თქვენითა მტკიცედ ფლობით მპყრობელმან მეფეთა მეფემან დიდმან ბაგრატ რათამცა ღირსი და სამართალი მსახურება ჰყვით აურიცხველისა წყალობისა თქვენისა ჩვენდამო, რომლისა სიმრავლე უფროს სიმრავლესა ვარსკვლავთასა და სივრცესა ზღვათასა.

გარნა ზღვისაგან მკადრე წუⷯთსა უნდოსა ამას და მცირესა ძღუⷯნსა გულის მოდგინებით შევწირავთ და სიღრმით სულისათ ვხმობთ. დედოფალო ნუ საზომისად, არამედ ვითა. მცირისაგან დიდი აბრაჰამისაგან ისაკი, ვინათგან განგება შეუწყალებლობითა ძისა შენისათა არსებად მოსრული. კვალად არს და განმრავლებაცა მოკლებად შეუთქს. ამას და ნარსისა წესისაგან და არს საჯერო ყოფად ვიჩინეთ წმიდისა ტაძრისა თქვენისა და სამკვიდრებელისა და საძვალისა ჩვენისა დიდისა და ცათა მობაძავისა ზესთა არსისა საყდრისა დიდისა ემბაზისა ბიჭვინტისა მცირისა და კნინისა შევწირავ. 1) ⷯ ყოვლად წმიდაო და თვალებისგანცა ანგელოზთასა მიხედვად შესაძრწუნებელო და მიურულებელო მცველ-მფარველო წარმმართებელო მეფობისა ჩვენისაო ბიჭვინტისა ღვთის მშობელო. გკადრეთ და დავდევით და მოვახსენეთ ესე საკვირველ და შესაძრწუნებელი იადგარი, 2) ვითა საშინელისა და ცათა მობაძავისა დიდსა საყდარსა ბიჭვინტისასი გეკადრებოდა, ვითა არავინ ღირს არს. თქვენისა საყდრისა, მამათა, ძმათა დეკანოზთა და მეტრაპელეთა, კანდელაკთა, ჯვარის მტვირთველთა 3) და სახლთა საყდრის შვილთა 4) და შემოსამზღვრით თქვენთა მამულთა და სოფლითა გლეხთა და ქალაქთა 5) შიგან შემწირულთა არა ხელი შევიდოდეს, არცარა ეთხოებოდეს, არცა ბაჟი და არცარა გამოსაღები არას შეცოდებისთვის არა გარდაეხდებოდეს კიდეგან კათოლიკოზისა.

ესე რაცა გვიბრძანებია როგორაცა არავინ ღირს ვართ ამათსა შეცვალებასა არცა მეფენი არცა დადიან-გურიელი, არცა ათაბაგ ამირ სპასალარი, არცა ერისთავნი და დიდებულნი, არცა თავადნი და აზნაურნი, და არცა გლეხნი. და აწ ამას მოგახსენებთ ყოველთავე დიდთა და მცირეთა-ნუმცა ვისგან კადრებულთა დიდისა და ზესთა აღმატებულისა საყდრისა ბიჭვინტისა ძმათა და საყდრის შვილთა წინამძღუარ-დეკანოზთა. კანდელაკ-ჯვარის მტვირთველთა, მეტრაპელეთა ომფორის მოლარეთა, და სახლთა საყდრის შვილთა მამასახლისთა, მესტუმრეთა და ხევის თავთა, ნაცვალო ხელის უფალთა და სახლთა მოხელეთა. აგრევე გკადრეთ ჩვენ მეფემან მეფეთამან მე მეფ დიდმან ბაგრატ თქვენ საშინელსა საყდარსა ბიჭვინტისა ღვთის მშობელსა გკადრეთ და შემოგწირეთ მცირე ესე დაკნინი შესაწირავი საძვალე ჩვენი სახსრად სულისა ჩვენისა დღესა მას განკითხვისასა. გელათის საყდარი სადედოფლო წმიდის გიორგის ასის კუამლის კაცითა რაჭას სოფელი ბარი, სასახლე და მონასტერი ერთის აზნაურის შვილითა ჩიკვაიძითა და ოცდაათი კუამლის კაცითა, ტყითა, ველითა, მთითა, წყლითა, საძებრითა და უძებარითა. აგრეთვე მონასტერი ციხისა ლეჩხუმს საჩხეური წუგნა კურბლუვი ოცდახუთის კუამლის კაცითა.

უფჩას ბურჯანაძენი რვა კუამლი კაცი, ნავენახევის სასახლე ოცდა ათი კუამლის კაცით, ზრუდო სათევზეთ ჭიშურას გამოღმა ჭალის თავი სოფელი ქუთათის სოფთა წმიდის საყდარი ექვსის კუამლის კაცითა, ჯიმასახაროს სასახლე თორმეტის კუამლის კაცითა

ევდემონ კათოლიკოზისა ნასყიდი და ბიჭვინტისა ღვთის მშობლისა შეწირული.

კვალადცა გკადრეთ და მოგახსენეთ ჩვენ მეფეთ მეფემან გიორგი შენ საშინელსა ბიჭვინტისა ღვთის-მშობელსა შემოგწირეთ ჩვენი ნასისხარი ხოშტიბელა სასახლე თორმეტის კუამლის კაცითა ჩუნებს ათი კუამლი კაცი და მივეცით ლაღიძეს გიორგის და შევქენით საყდრის შვილად შემოგწირეთ შენ საშინელსა ბიჭვინტისა ღვთის მშობელსა. აგრევენ ჩვენ მეფეთ მეფემან ძემან თაიმურაზ შემოგწირეთ ხონს და კუხს ოცი კუამლი კაცი. კვალადცა გკადრეთ და მოგახსენეთ ჩვენ დადიანმან პატრონმან მამთამან და ძემან ჩვენმან პატრონმან ლეონ დადიანმან და ძეთა ჩვენთა დადიანმან პატრონმან გიორგი და დადიანმან პატრონმან მამია თქვენ საშინელსა ბ. ღ. 1) მანთხოχის სასახლე და მონასტერი ორმოცის კუამლის კაცითა და ერთის აზნაურის შვილითა რატიანთა წყლითა, ველითა, სანადიროთა შესავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა χიქთ უბანი მთავარანგელოზის მონასტერი თორმეტის კ. კ., 2) ეგურისპირს ნაჟანვი სამოცის კუამლის კაცითა, ხოირს წმ. გიორგის ეკკლესია ოცდახუთ კ. კ., წამხარს გამკერვალია. სასახლე სუბეში სოფელი მუხარი აზნაურის შვილებითა ოცდაათის კ. კ., ტყაურუს მეთევზე და მენავტე ბადგია χურია და დიდთა მარმარის კარის ეგვიპტა და ჩხუნბურა. აგრეთვე აფხაზეთის ბიჭვინტის გარემო სოფელი: აითარნე, არუხა და რაბიწა, აითარნეს მთა და ზეთის ხილავნი. აგრევენ გკადრეთ და მოგახსენეთ ჩვენ გურიელმან პატრონმან როსტომ და ძემან ჩვენმან გურიელმან პატრონმან 3) გიორგი თქვენ თქვენ ს. ბ. ღ. ხიბულა მონასტერი მთავარ-ანგელოზისა სასახლე ორმოცის კ. კ., ტყითა, წლითა, ველითა, შესავალითა და გამოსავალითა, საძებარითა და უძებარითა და გურიას ოცის კ. კ., ოცხანა და ხევის ერთი კ. კ., სალუქვაძე თემირაზაი.

ამას გარეთ სამეფოსა და სადადიანოსა და საგურიოსა შინა ვინცა ვინ თავადი კაცი მოკვდებოდეს თავი ნიშანი კათოლიქოზს მიეცემოდეს და ბატონების ეკკლესია კათოლიკოზის საკურთხი არის, სამწყსო ლიხსა და კაფას შუა და რუსეთს სანზღვარსა და ჭანეთს შუა.

აწ 4) ამას მოგახსენებთ ყოველთა დიდთა და მცირეთა ნუმცა ვისგან კადრებულ ას დიდისა და ზეშთა აღმატებულისა საყდრისა ბიჭვინტისა ძმათა და საყდრის შვილთა თემთა და ქვეყანათა და აგარათა მტერობა და შეცოდება. და ვინცა ამას საშინელსა საყდარსა შესცოდოს და უვარყოს ღმერთი და წარწყმიდოს სული თვისი და გატეხოს და შიგნით საყდრიდამ რამე გაიტანოს, თუ ის კაცი მეფისა იყოს სახასო კაცი და მამული, რასდენაცა განაყოფი იყოს მათითა მამულითა საყდარსა მთათაროს სახასო კაცი სხვისა მეფისასა ვერას ვიტყვი რას, ამისათვის საყდარი მათი არის. და თუ დიდებულთა ანუ თავადისა, ანუ აზნაურთა ყმამან გატეხოს და მოიპაროს, წამოდგეს იმა მეკობრისა ბატონი თორმეტითა მისითა სწორითა კაცითა და ოცდა ოთხითა მისითა სწორითა მეკობრე ექვსმან აზნაურმან გლეხმან უნაბნოდ ფიცოს უცოდინალობაი მეკობრის ბატონისა. თუ ფიცოს მეკობრისა ბატონსა არას ემართლების და გამტეხი მისითა მამულითა და განაყოფითა საყდარსა მოახსენოს და თუ ვერა დაიფიცოს, რასაცა მამულისა მქონებელი იყოს იგი საყდარსა მოახსენონ და მეკობრე და მეკობრისა ბატონი ძელს მისცენ. და თუ გარეთ ზღუდეს შიგნით რამე გაიტანოს სამისა თავადისა სისხლი მისითა წინ წასაძღუენითა საუპტივოდ საყდარსა დაეურვოს. და თუ ზღუდეს გარეთ ახლოსთაგან ზარისა ხმაᲘ ისმოდეს რამე წაოღოს გინა პირუტყვი ანუ სხვა რამე წაიღოს ორისა თავადისა სისხლი საყდარსა დაეურვოს მეკობრობით ქნას გინა მძლავრობითა ანუ ნატაცებითა.

და აწ ვინცა გინაᲘ დიდებულმან ანუ თავადმან ანუ აზნაურმან კათოლიკოზსა აგინოს ანუ საცემრად წაიდოს 1) ორმოცდა ათი გლეხი საყდარსა დაეურვიოს და კათოლიკოზსა ორი სისხლი დაეურვოს დიდითა შეხუეწითა. ვინცა, რომლისა გინდა ძმათაგანსა სცეს ანუ შინა ჩაუხტეს ანუ ხელითა შეიპყრას ანუ პირდაპირ აგინოს ექვსი გლახი საყდარსა დაეურვოს და

ორასი ათასი თეთრი იმას დაეურვოს. და თუ ვინმე ძმათაგანი ანუ საყდრისა შვილი მოკლას ოცი გლეხი საყდარსა დაეურვოს და ორი სისხლი იმას დაეურვოს, ვინცა კათოლიკოზისა ჯოგი გატეხოს ექვსასი ათასი ძველი თეთრი საყდარსა დაეურვოს. ვინცა ამას ზემოთ საყდრის შვილნი და მოხელენი სწერიან მათი ჯოგი გატეხოს ათი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და ორი ათასი იმას დაეურვოს დიდითა შეხუეწითა და ნაძარხი უკლებლად შემოქციოს. ვინცა კათოლიკოზის გამოგზავნილი კაცი გაცარცვოს ათი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს, ოთხი ათასი იმას დაეურვოს.

*) იხ. <მწყემსი>-ს N11.

1) სელი (ს. ს. ორბელიანის ახსნა), მშვიდი, გინა სახელ დიდი, გინა განსვენება.

2) მომცრო ჭურჭელი ღვინისა (ს. სულხან ორბელიანის ახსნა).

2) „ᲩᲘ“_ს საცა ვხვდები, ვწერ „ე“-დ; „ᲯᲘ“-ს = „კი“-დ, აქ სამაგალითოდ მოვიყვანე სიტყვა სუᲩᲘ (სვე).

1) შევწირავ-ის მაგივრად იკითხება შევწირაობ.

2) იადგარი სხვათა ენათა, ქართულად სახსენებელი ჰქვიან (ს. ს. ორბელიანის ახსნა).

3) ჯვარ მტვირთველობა ცალკე თანამდებობა იყო, ხშირად გვხვდება ეს სიტყვა გუჯრებში.

4) <Церковные люди> რუსეთში.

5) ეკკლესიებს ქალაქების ეკუთვნოდნენ, როგორც მაგ. რუსეთში (6. Ключевскій. <Боярская Дума>.

1) <საშინელსა ბიჭვინტის ღვთის-მშობელსა> შესამოკლებლად ამის შემდეგ დავწერ მოკლედ, დასაწყისი ასოებით: <ს. ბ. ღ.>

2) <კუამლი კაცი> დავწერ მოკლედ <კ. კ.>

3) <პატრონი> იწერება ამ შემთხვევაში <ბატრონი>.

4) თუ წაიწიოს (?)

(მწყემსი, N13, 1891 წელი);

საისტორიო მასალა
გუჯრები ბიჭვინტისა
(გაგრძელება*)

ვინცა ზურგით მზიდავი ხარი და ან სეფე ხარი 1) წაიყვანოს თვრამეტი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს-ვინცა მოხელეთა გაგზავნილი კაცი გაცარცვოს ოთხი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და ორი ათასი იმას დაეურვოს. ვინცა ქვერა ეპისკოპოზსა სცეს ანუ შიპყრას, ანუ ავად აგინოს, ანუ უპატიობა რამე ჰკადროს თორმეტი გლეხი საყდარსა დაეურვოს და სამასი ათასი იმას დაეურვოს. თუ გლეხი იყოს რომელმან ჰკადრა მისითა მამულითა საყდარსა დაეურვოს. ვინცა კათოლიკოზსა ყმა, მსახური მოკლას ექვსი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და სამასი ათასი სისხლად და თხუთმეტი ათასი სანახშირედ იმათ დაეურვოს. და რანიცა საყდრისა მოხელენი არიან, ვითარცა საყდრის შვილთა სწერია იმავე წესით იმათ დაეურვოს. ვინცა საყდრის მოინალე 2) კაცი მოკლას შვიდასი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს, ოთხასი ათასი სისხლად და თხუთმეტი ასი სანატშირედ იმათ დაეურვოს. 3) და ვინცა ბიჭვინტის გარემო სოფელი და გლეხი სიდგან ზარისა ხმა ისმოდეს,

გატეხოს ანუ დაარბიოს, ანუ ნახირი გაუტეხოს ექვსასი ათასი ძველი კირმანაული თეთრი საყდარსა დაეურვოს და სამი ათასი იმას დაეურვოს. სახლნი რანიცა აგარანი და სოფელნი მეტოქი მონასტერი და ქალაქი სწერია იმათ შინა მსახლობითნი გლეხნი, მსახურნი და მოინალე ვინცა მოკლას, ექვსასი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და სამასი ათასი თეთრი სისხლად და თხუთმეტი ათასი სანახშირედ იმას დაეურვოს.

ვინც სოფელი და სოფლის კაცი დაარბიოს, ორასი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და ორი ათასი რასდენიცა გლეხნი იყვნენ იმათ დაეურვონ და ალაფი უკლებლად შეაწიონ და რასაც მიზეზისთვის მიხდომოდენ, ისი გაუცუდდეს. და თუ მომხდომი მოკლან სისხლი და სანახშირე გაუცუდდეს და ვინც ჯოგი და ნახირი გაუტეხოს ოცდა ათი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და ორი ათასი იმათ დაეურვოს. ვინცა ეკკლესია გაუტეხოს ოთხი სახლი დაეურვოს. ვინცა ცული წაუღოს ბიჭვინტის საყდრის ყმასა თუ ხუცესი იყოს ორი სახლი დაეურვოს და თუ ერის კაცი იყოს ერთი სისხლი სრული დაეურვოს. ვინცა ქალი დაუგდოს, სრული სისხლი დაეურვოს.

ვინცა ვენახი დაუკაფოს საყდარსა და საყდრის ყმასა ოცდა ათი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს და ათასი ვისიცა ვენახი იყოს იმას და რისათვის უყი ისი გაუცუდდეს. აგრევენ ვინცა წისქვილი გაუტეხოს. ვინცა ბიჭვინტის საყდრის ყმის მეჯინიბე, ანუ მესადილე, ანუ მწყემსი სცეს ანუ გაცარცვოს ათი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს, ათასი ვისიცა იყოს იმას და თუ ვინცა მეკობრობით 1) რამე მოიპაროს ოცი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს. ვინცა კათოლიკოზის უკითხავად ბიჭვინტის წყალი ინადიროს მოსადებლითა ოცი ათასი თეთრი საყდარსა დაეურვოს. ვინცა საყდრის ყმა დაკოდოს უდღოს ადგილსა სამი გები დაეურვოს.

აწ დავამტკიცეთ მეოხებითა ბიჭვინტის ღვთისმშობლისათა საკრძალავი და შესაძრწუნებელი ყოვლისა ადამის ტომისაგან იადგარი დავდევით. ვითარცა სახლთა საყდართა უწარჩინებულესი არის ბიჭვინტის საყდარი ეგრეთვე უმეტესი იადგარი დავდევით და დავამტკიცეთ მტკიცე ბრძანება ესე არა ვისთვის გვიბრძანებია ყველა დაქცევისა და შეუცლელობისა ყოვლის ადამის ტომის კაცისაგან თვინიერ თანა დგომისა და ბეობისაგან კიდე არა სახელითა შემდგომთა ჩვენთა მეფეთა და დედოფალთა. და თქვენ წმინდანო მეფენო, მღვდელ მთავართ მთავარნო აფხაზეთისა და ქართლისა კათალიკოზნო თქვენც ასრე დაუმტკიცეთ. დადიანო-გურიელო, ათაბეგ-ამირ სპასალარნო თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ და მწეეყვენით ბრძანებასა ამასა ჩვენსა.

რომელმანაც გვარმან კაცმან, ანუ მეფემან, ანუ დადიან-გურიელმან, ანუ კათოლიკოზმან, ანუ ეპისკოპოსმან, ანუ თავადთა და დიდებულთა, ანუ აზნაურის შვილთა შლათა ხელყოს შლად და შეცლებად და გმოხუმად 1) ჩვენ მეფეთა და დადიან გურიელისა შეწირულისა მამულსა ბიჭვინტის ღვთის მშოვლისა, მასამცა რისხავს თავად ღმერთი და საშინელი ყოვლად წმ. ღვთის მშობელი და ძე მისი იესო ქრისტე და ცხოველს მყოფელი პატიოსანი ჯვარი, წმინდანი ზეცისა ძალნი ხორციელნი და უხორცონი და რანიცა წმინდანი სვინაქსარსა შინა აღწერილ არიან და აღიწერებიან. რაცა ამა ჩვენგან დამტკიცებულსა იადგარსა შინა სწერიან ანუ დაიწერებიან ამის დაბლად დაქცევად ხელყოს შეჩვენებულმც არის თორმეტთ მოციქულთა მადლითა შვიდთ კრებათ მადლითა და ოთხთ პატრიარქთ მადლითა. ნურამც ეშლების მის სულსა და ხორცსა ნუცა ლოცვითა, ნუცა მარხვითა, ნუცა გლახაკთ მიცემითა და მთა წმიდის მიცემითა. დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან.

კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი მალაქია.
კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი ევდემონ.
კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი ეფთქვიმი.
კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი მალაქია.

კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი მაქსიმე.
კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი ზაქარია.
კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი სვიმეონ.
კანონითა ვამტკიცებ კათალიკოზი დავით.
სახელითა ღვთისითა ჩვენს ბატონს დავითს გვიბოძა დადიანმან ლიონ და დედოფალმან ბატონმან თინათინ (6) ეს წყალპუტია, ჯეჟია გვიბოძა მისისა ცოლშვილითა, რისის მქონებელიც არის მისის ყოველისფრითა და ჩვენ ბიჭვინტისა ღვთის მშობლისთვისა შეგვიწირავს სახსრად და საოხად სულთა ჩვენთა და დედათა ჩვენთა წარსამართებლად. ვინც ეს გამოსწიროს რისხავს ღმერთი.

(სხვა ხელით იწყება).

ნებითა ღვთისათა არის ევდემონ კათალიკოზის შეწირული ერთი ოქროს ხატი ბიჭვინტისა ღვთისმშობელი გელათს ასუვენია. ერთი ოქროს ჯვარი მოთვალ-მარგალიტით. 1) ერთი ბარძიმი ოქროსი მოთვალ-მარგალიტითი. ერთი ოთხთავი ოქროთი მოჭედილი ყივარჯენი. ერთი ოქროს ომფორი მომარგალიტული. ერთი ძველი ომფორი. ერთი ნახლის ბისონი. ერთი სხვა ბისონი ოქრო-ქსოვილი, ერთი საბეჯური სირმით შეკერილი ოქროს ჯვარი აბია. ერთი ოლარი და ერთი ენქერი სირმით შეკერული. ერთი სამკლავე სირმით შეკერული, მომარგალიტებული. ერთი სტიხარი ხუთი მეტაფრასი-წიგნი.

ნებითა ღვთისათა შევსწირე მე აფხაზეთის კათოლიკოზმან ეფთვიმი საყვარელიძემან ბიჭვინტისა ღვთის-მშობელსა: გვირგვინი ოქროს მოთვალ-მარგალიტებული, ომფორი მძიმედ მოთვალ-მარგალიტებული, ბისონი სტავრისა ოქროს ღილებითა. ენქერი სირმისა მძიმედ მოთვალ-მარგალიტებული, ოქროთ ქსოვილი სტიხარი. საბეჯური მომარგალიტებული. ოქროს ხატი მძიმედ მოთვალ-მომარგალიტებული. სამსჯუდლი და ძელი არის შიდა და პატიოსანი ნაწილები. მეორე ქამარი არის მარგალიტისა. მეორე ბისონი არის შავის ატლასისა ოქროს ქსოვილი ვეცხლის თვლებიანი. კიდევე მესამე ბისონი არის ოქროქსოვილი თეთრი მარგალიტის თვლებიანი, მეოთხე ბისონი არის ორპირი ოქროს ღილებიანი. მეხუთე ბისონი არის მრავალჯვარი ხავერდისა ოქროსი ღილებიანი მოთვალ-მარგალიტებული, მეექვსე ბისონი ხავერდისა მრავალჯვარი ვეცხლისა ღილებითა. სტიხარი ოქროქსოვილი. სამკლავე მრავალ ჯვარი მომარგალიტებული. ბარძიმი ბროლისა ოქროთ მოჭედილი, ერთი ფეშხუმი ოქროსი და ერთი ვეცხლისა. ერთი კამარა ოქროსაჲ მოთვალვით, ლახვარი, კოვზი, ოდიკი დახატული, ღრუბელი, ერთი საზედაშე, სამის ნახლის პერექელი, ერთის ოქროს კონდაკი ოქროს მელნით დახატული ოქროს ღერითა. ერთი სხვა კონდაკი დახატული, ერთი სხვა ეტრატისა კონდაკი. ერთი ჟამნი, ერთი დავითნი, ერთი კურთხევანი, ერთი სანთლის ჯვარი მოჭედილი და ლამაზი მოჭრით. ერთი პატიოსანი გულანი წიგნი ლამაზად დახატული სულ ყოვლისფრითა უნაკლულო, ერთი სჯულის კანონი 2), ერთი ქართლის ცხოვრება, ერთი ოქროს დოსტაქანი... ერთი ჯეჯიბი, ცხენის ჯოგი, ზროხის ჯოგი და კამბეშის 1) ჯოგი.

აქედამ მეორე გვერდი იწყება. იგივე წერილი ხუცური ასოებია, მხოლოდ სხვა ხელით ნაწერი.

შენ წმიდათა უვრცელესო და უზეშთაეს შვიდ ცათა უვრცელესო ბიჭვინტისა ღვთის მშობელო ჩვენ ცვაფარვითა შენთა მონდობილმან და მსასოებელმან სახისა შენისამან ჩვენ დადიანმან ბატონმან ლეონ და ტკბილის მამის სანაცვლომან ბატონმან ბიძამ ჩემმან ბატონმა გიორგი ლიპარიტნმან გკადრეთ და შემოგწირეთ შენ საშინელსა ანგელოზისა უხილავსა ბიჭვინტის ღვთის მშობელსა ჩვენდა სადღენგრძელებლად და განსამარჯვებლად, სახსრად და საოხად სულისა ჩვენისად შემოგწირეთ ჭალაკავა ჯალნისეული მამულითა შვილის ხუტუსეული მამული, ორი მონასტერი-ერთი ჯვარის პატიოსნისა და მეორე წმიდის გიორგისა, მისის სასახლითა, მამულითა, საფლავითა, სათევზითა, საყანითა, სანადიროთა, სახოხბითა,

სათივითა, ბეღლითა და მარნითა, ჭურითა შესავლილითა და გამოსავალითა, როგორაცა ხუტუ ჯაიანსა ეხმაროს, ისრე თქვენ იხმარეთ. აწე არის ამის შემავალი გლეხი ხუტუ ჯაიანი, რომ იხმარებოდა, ერთი კუამლი კაცი გრიგოლ გოგოლდაჲ, მეორე მოსახლე ლომინია გოგოლდა, მესამე მოსახლე მიხლია ჩანგელია, მეოთხე მოსახლე ქვაქვალია შანტაჲ, მეხუთე მოსახლე მიკ ალანდი ფივლია, მეექვსე მოსახლე ვაგიჭორდი კეიკაჲ, მეშვიდე მოსახლე ობიშხვა ფივლია, მერვე მოსახლე დაჯიხული ჯანია, მეცხრე მოსახლე ფშას ბიბილია სუტუს ჯაიანის სეული. აწე ამისი არიან თავათ ღმერთი და ბიჭვინტისა ღვთის მშობელი კაცთაგან ლიპარიტიანი, ბატონი გიორგი და ვაზირთ-უხუცესი და მოლარეთ უხუცესი მირაბ ქორთაძე და კაცია ქორთაძე და მესტუმრეთ უხუცესი კაკაუჩა ქვითია. სახლის უხუცესი ქაიხოსრო აფაქიძე, ბოქაულთ უხუცესი ჯავახ ჭალაძე. აწე ამისი შემწირველი ესენი არიან.

აწე შეწირული ჩვენგან მამული და საყდარი ვინცა გამოსწიროს რისხავს მამაჲ ძე და სული წმიდაჲ. ყოვლად წმ. ღვთის მშობელი, ყოველნი წმიდანი ღვთისანი, ზეცისანი და ქვეყანისანი, უხორცონი და ხორციელნი ნურათამცა ეშველების მის სულსა ნურცა წირვითა, ნურცა ლოცვითა და ნურცა გლახაკთა მიცემითა ნურცა იჩლემს წასვლითა და შეწირულითა. დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან. ამინ. ამინ. მეღვინეთ უხუცესი გამიგონი ბუკუჩაა და მზარეული ხუტალვი გვირგვინა.

ჩვენ ქრისტეს ღვთის მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათოლიკოზმან ეფთვიმე საყვარელის ძემან ჭალა მონასტერი და რაც მამული შესწირა დადიანმან ლეონ და ლიპარტიანმან გიორგი ბიჭვინტისა ღვთის მშობელსა ჩვენ მისდა ქრთამად გამოვიღეთ, მივეცით მანუჩარ დადიანსა თორმეტს ტყუედ დაფასებული, კარავი, ერთი ბედაური ცხენი და ერთი ბედაური ჯორი. მანუჩარ დადიანი მიიცვალა, მას უკან მის შვილს ლეონ დადიან მივეც ერთი გაუკეუთელი სარასანი და ერთი ყირმიზი იაზადური ხავედი. ლიპარტიანს გიორგის მივეც ერთი ოქროს მოჭედილი უნაგირი მურასა ვეცხლის ლაგამითა, ვერცხლის სადევითა, ვერცხლის სამკედლითა, ვერცხლის მათრახითა ოქრო-ქსოვილისა. ერთი სიასმურის ხავემის ტყავი თეთრს ხავემს ეაკრავს. მივეც მირაბ ქორთაძესა ერთი ბედაური ცხენი მისის უნაგარითა და ასლითა და ბირაქითა შეკაზმული. კაკლის უხუცესსა ქაიხოსრო აფაქიძეს მივეცი ერთი დიდი თავანგამი ერთის კაცის ასაღები.

კაკაუჩას ქვითას მივეც ერთი კარგი მესხური საუნაგირე მისის იარაღითა, ერთი ზემოური ქაფხაჲ და ერთი ჩალიღაოს ქვემო სხვა საბანი და სურმები მოხელეებსა. აწ რამდენიც კაცმან ან დადიანმან, ან სხვამან კაცმან, ან თავადმან, ან აზნაურის შვილმან ბიჭვინტისა ღვთისი-მშობელსა გამოსწიროს ჭალა მონასტერი და რაც მაშინა მამული შესწირეს-რისხვამცა ღმერთი მამაჲ ძე და სული წმიდაჲ, ყოვლად წმიდაჲ ღვთის მშობელი, ყოველნი წმიდანი ღვთისანი ზეცისანი და ქვეყნისანი, ხორციელნი და უხორცონი. დამამტკიცებელნი ამისნი აკურთხნეს ღმერთმან. ამინ. ამინ.

მქრალი მელნით, უფრო წვრილი ხელით დაწერილია შემდეგი:

აგრევე გკადრეთ და შემოგწირეთ თქვენ საშინელსა ბიჭვინტისა ღვთის მშობელსა ჩვენ ხელმწიფე დადიანმან პატრონმან ლევან თეკლათს საყდარი მთავარ ანგელოზისა საწინამძვროჲ რუვაჲ კუამლის კაცითა, ტყითა, ველითა, საყანითა, სანადიროთა, გასავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა, დღეს რისაც მქონებელი იყონ სამართლიანის საქმითა ამას გარეთ საკანდელაკოს კლიტითა. შემოგწირეს სახსრად და საოხად სულისა ჩვენისა, ასრე რომე სახელი იყო ბატონი კათოლიკოზი მაქსიმე (?) 1)...

აწე ვინცა შლად ჰყოს წყეულ, კრულ და შეჩვენებულ არს მისი სული და ხორცი აქა და მას...

აქედან იწყება ისევ შავი მელნით, გარკვეული ხელით, რომელიც წინად გვხვდებოდა:

ნებითა, შეწევნითა, წყალობითა ღვთისათა ჩვენ გურელ კათოლიკოზმან მალაქია შევსწირეთ ბიჭვინტისა ღვთის მშობელსა მცირე ესე შესაწირავი თავის ერთის წმიდის ანდრია მოციქულის ხატი მომიჭედინებია და თორმეტ საუფლოს კუბოში ჩამისვენებია და ბიჭვინტას დამისვენებია და სამი კუამლი კაცი იქ მისთვის შემიწირავს. ამას გარეთ ერთი მძიმედ მომარგალიტებული ოქროს თვლითა და მარგალიტითა შემკობილი და მისის ოქროს ბუშტებითა.

ერთი ამისი შეფერებული მძიმე ოქროს სირმის ყარყაფათ შეკერული ბისონი ცხრის მურანის ღილითა და ამ ღილებშიან ნიშაურის ფეროზისა და ყირმიზის იაგუნდის მეტი არა ზის-რა. ეს ღილები თვითო ას-ას მარგალიტად ნასყიდი არის. ერთი წყვილი სამკლავები ოქროსი ოთხასის ფლურის მძიმედ მოთვალ-მარგალიტებული. ერთი პატიოსანი ოლარი ხოშორის მარგალიტითა მძიმედ მომარგალიტებული. ერთი მძიმე ოქროს მურისა ქამარი პატიოსანის ყირმიზისა იაგუნდებით, ლალებითა, ნაყაურის ფურიზითა და მარგალიტებითი შემკობილი, შვიდი ქულიჩა და ორი წინა შესაკრავი აქვს. ერთი მძიმე ჩარყაფის მომარგალიტებული ენქერი. ერთი მძიმე ქარყაფით შეკერილი სტიხარი ორის ოქროს ღილითა. ერთი სირმით შეკერული საბეჭური. ერთი ოქროთა თვალითა დამარგალიტებული შემკობილი პატიოსნის ძვლითა დანაწილებული და ოქროს ჯაჭვითა შესაკიდი ხატი.

ერთი სამწირველო ოქროს სარმუზა მურასა პატიოსნის თვლითა და მარგალიტებითა შემკობილი. ერთი მძიმე ჩარყაფისა მომარგალიტებული პორფირი. ერთი მაზარა შავის ატლასის მომარგალიტებული სირმისა მდინარებითა და ოქროს მურის ღილებითა. ერთი მძიმე ოქროს მურასა კავარჯენი ოქრო კახელის ბატონის ეფთვიმე კათოლიკოზისაგან იყო და ზოგ ზოგი თვალი და მარგალიტიცა მისგანვე იყო და მერმე ჩვენ ახლად კიდევ პატიოსნის თვალითა და მარგალიტითა შემიმკია და გამიკეთებია. 1) ერთი სირმისა მომარგალიტებული გვირგვინის ქუდი. ერთი ოქროს ფეშხუმი ორას სამოცის ფლურისა. ერთი მძიმედ გაკეთებული მოთვალული კოვზი. სამი მძიმედ ხალასათ ყირმიზის ფრანგულის ქამხაზე შეკერული პერექლები. ერთი მძიმეთ მოჭედილი და ოქროთ დაფერილი კონდაკი. სამივ კონდაკი შიგან წერიან მისის ხალასათ შეკერულის რუფაქითა, მეორე სხვა კონდაკი ოქროს ვარაყითა წერილი.

ერთი პატიოსანი ძილის პირი ჭრელის ნუსხითა. ერთი ჟამნი. დავითნი. ერთი კურთხევანი. ერთი გულანი კახელის ეფთქვიმე კათოლიკოზისაგან იყო დაწერილი და ხატის შეწირული არ იყო და ბატონის დადიანს წაეღო და მე ვსთხოვე და მიბოძა და აწ მე შემიწირავს. ერთი ეტრატს ოთხთავი დახატული აქვს, მერაბ ქორთაძისაგან ხალიჩა. ერთი ვეცხლის ჯვარი... ერთი მურასა ტაშტი. ერთი მომარგალიტებული სამზეური. ერთი მომარგალიტებული ჩარყაფი 2)..... ოქროქსოვილი ხალიჩა მომარგალიტებული...

ერთი დიდი ოქროს ბარძიმი (?). ერთი დიდი დაქანაბადა. ერთი ყირმიზის სუფრა ერთი ტაშტი წურწუმა ვეცხლის და ტაშტი ჩარხისა. ერთი საყათასი, ერთი დიდი დოსტაქანი. ორი ჩარა დასები ერთი ცხრა.... ნალბაქები.

აწ ადგილებისა და მამულებისაგან ბაუჯელს სასახლე აოხრებული იყო და მომცრო ადგილი იყო და გარეშემო სხვისი ადგილი იყო და ჩვენის თეთრითა მიყიდა და გამომატება და სასახლე ამიშენებია და ქვითკირისა ჯიხური ამიშენებია და დარბაზი დამიდგამს და ორი მოსახლე კაცი ჩვენის თეთრითა მიყიდია და დამისახლებია და ჯოგი დამიყენებია. ამას გარეთ თლილის სასახლე გამიკეთებია საყდრისათვის სამრეკლო ამიშენებია და ქვითკირის მარანი ამიშენებია, ზედა კარგი სახლი დამიდგამს და ტახტი ამიშენებია, ერთი კუამლი კაცი ჯიქაია გვარადა მანდ მიმიყვანია, მებოსტნეთ დამისახელებია და ჯოგი დამიყენებია. მეორე კუამლი კაცი სურებული გვარადა მანდ დამიყენებია და სამისახლებია.

ამას გარეთ ოდიშს სადაც მე მოვინდომე ღალიძგას, ანაკრიას, ფოთს, ჭალადიდს ყოველგზის გალკოლისკარს, ეკალს საქუჩულაროს, ჩვენი ამორჩეული მეთევზენი და სხვა კაცები ოცდაათი მოსახლეები დადიანმან პატრონმან ლეონ მისდა სადღეგრძელოდ, მისის სულისათვის შესწირა და ყოველ წელიწადსა სულისათვის ტრაპეზი გაიჩინა. ამას გარეთ ღალიძიგას სასახლე არეულ და ბატონის დადიანის ძველი გაოხრებული სასახლე იყო და ჩვენცა შევეხვეწეთ და ვსთხოვეთ და თვითონ ხატსა შესწირა და ჩვენცა დაგვამადლა, მივყევით ხელი, დავიწყეთ შენება საყდარი გაგვეკეთებია. დარბაზი და ჯიხური ჩვენის თეთრით მიყიდია და დამიდგამს და გარდამიჭენებია. აგრეთვე ბეღლები, მარანი და რაც სახლები არის ან საყანე, ან საკრეფი, მამული და ჭურები-ყველა ჩვენის თეთრით მიყიდია. ერთი მოსახლე ბატონმან დედოფალმან მიბოძა და სამი მოსახლე ჩვენი... მიმიყვანია და დამისახლებია.

ღორის ჯოგი დამიყენებია და სამუშაო საქმე ყველა გამიჩენია და გამირიგებია. ქვაბები დამიდგამს და მეთევზენი დამიყენებია. ამას გარეთ ილორის ჩხოხოძისაგან ერთი პარტახი მიყიდია და ადგილი წინამძღვრისაგანცა მიყიდია და ერთი კუამლი კაცი მიმიყვანია იქ მეთევზეთ და დამისახლებია. ამას გარეთ სუშეიბს სასახლე გამიკეთებია, საყდარი დამიდგამს დიდი დარბაზი და ჯიხური დამიდგამს და გარდამიჭედინებია, საყანები მიყიდია და ორი კუამლი კაცი ჩვენის თეთრით მიყიდია და დამისახლებია. ხარის და ზროხისა და ცხენისა ჯოგი დამიყენებია.

ამის გარეთ 1) ხოირს სოფელი იყო და სასახლე არ იყო, მერმე ჩვენის თეთრითა სასახლე ადგილი ვიყიდე მეგრელებისაგან და დარბაზი ვიყიდე და დავადგმევინე, ჯიხური დავადგმევინე და გარდავაჭედინე და რაიც სახლები დგას ყველა ჩვენის თეთრითა მიყიდია და სხვა საყანეები საკრეფი მამულები და ჭურები მიყიდია და შემიმატებია. მოსასახლეები დამისახლებია და ზროხები დამიყენებია. ამას გარეთ ხიბულას საყდრის იარაღისათვის ციხე სალაროთ გამიკეთებია, შიგან ორი კუამლი კაცი დამისახელებია, საყდარი, სახლი და ჩარდახი დამიდგამს და ერთ სასახლეთ ის გამიკეთებია. ამას გარეთ ბიჭვინტას გამოღმა სასახლისათვის გამიმატებია დიდა დარბაზი და დიდი ჯიხური დამიდგამს და გარდამიჭედინებია, ტახტი ამიშენებია და გარდამიჭედინებია, სახლ-კარი გამიკეთებია, მოსახლენი დამისახლებია. კამბეშისა, ზროხისა 2), თხისა და ღორის ჯოგი დამიყენებია. საღობი გამიკეთებია, ხარდანი გამიკეთებია და ერთი მოსახლე კაცი ზედ დამისახლებია, ხარდანი 3) გამიკეთებია და მეხარდნე იმერეთიდაღმან მომიყვანია და დამისახლებია.

ამას გარეთ საქუჩილორიოს ბატონმან დადიანმან ერთი სასახლე ოთხის კუამლის კაცითა მიბოძა მისის საყანითა და საკრეფის მამულითა და მისის ყოველისფრითა და მე შემიწირავს. ამას გარეთ ნაგვაზაურის სასახლისათვის ბატონს ლიპარიტიანსა შევეხვეწეთ და ცარიელი სახლკარი, სასახლე-ადგილი მომაქრთამა ორის მოსახლით და ერთი მოსახლე მე მიუმატე. მივჰყავ ხელი და საყდარი ავაშენე და გარდავაჭედინე. დიდი ჯიხური ავაშენე და გარდავაჭედინე, სხვა სახლები, ბეღელი და მარანი და ჭიშქარი ავაშენებინე და სასახლე გავაკეთებინე.

*) იხ. <მწყემსი> N13, 1891 წ.
1) ს. ს. ორბელიანმა არ იცის ეს სიტყვა.
2) აქედან იწყება ის ადგილი, რომელსაც აქვს დიდი მნიშვნელობა ჩვენი საეკკლესიო კანონების შესწავლისთვის.
3) საყურადღებოა ეს ადგილი სამართლის წარმოების შესასწავლად.
1) „ბა“-ს დავარჩინე წაუკითხავად.
1) გმობად.
1) ე. ი. თვალ.

2) სამწუხაროდ არ არის მოხსენებული, რომელი <სჯულის კანონია>.
1) ასე იწერება კამბეჩი.
1) ეს ადგილი მეტად მქრალად არის დაწერილი. ალაგ-ალაგ აღარა სჩანს-რა.
1) უკანონო შეთანხმებაა სიტყვებისა: „ჩვენ შეგვიმკია“ და არა შემიმკია.
2) აქ მელანი გადასულია. ორი სტრიქონის დასაწყისი აღარ სჩანს.
1) გარეთ= გარდა.
2) კამბეში-კამბეჩი (შ=ჩ); ზროხა-ძროხა (ზ=ძ).
3) ხარდანი-ხარიანი ვენახი (საბა სულხან ორბელიანის ახსნა).
(მწყემსი, N15-16, 1891 წელი);

1892 წელი

გაზეთი ,,ივერია''

***

სოხუმელები სთხოვენ ფოსტის მმართველობას ყურადღება მიაქციეთ იმ გარემოებას, რომ ზამთრობით სოხუმში კვირაში მარტო ერთხელ მოგვდის ფოსტა და ისიც რიგიანად არაო, წერილები კიდევ მოგვდის და გაზეთებიც-კი ღმერთმა უწყის, სად იკარგებაო. მიზეზი ის არის, რომ ფოსტას თავისს დროზე არ აბარებენ ბათუმიდგანა და ნოვოროსისკიდგან სოხუმში მომავალს გემებს. სოხუმელები დიდის ყურადღებით შესცქერიან მდ. კოდორზედ ხიდის კეთებას. ეს ხიდი შარშან ზაფხულს უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ წყალდიდობამ რამდენჯერმე წაიღო ხიდის ბურჯები და მასალაც. ინჟენერებმა მაინც თავისი არ დაიშალეს და მომავალს ზაფხულში ეს ხიდი მზად იქნება, მაგრამ ვისთვის ან რისთვის შენდება ეს ხიდი, არავინ უწყის, რადგანაც არც ხიდს აქეთ არის ხეირიანი გზა და არც იქით. (ივერია, N18, 1892 წელი).

***

სუხუმსა და ნოვოროსიისკს შუა გაზაფხულიდგან დაიწყება გზატკეცილის გაკეთება. მუშებად უმეტესად რუსეთიდგან დამშეული გლეხები არიან მოწვეულნი, რომელნიც უკვე მისულან დღეს სუხუმში. (ივერია, N29, 1892 წელი);

***

სოხუმიდგან ამბავი მოვიდა, რომ ამ თთვის 3, ღამის 2 საათზე, აქ მიწა ინძრაო. მიწის ძვრამ 2-3 წამს გასტანაო. (ივერია, N31, 1892 წელი);

***

სოხუმიდგან: „დღეს, 9 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათზედ მოჰკლეს აქაური მომრიგებელი მოსამართლე ვლადიმერ ვადკოვსკი. მკვლელი მისივე ცოლია. სულით ავადმყოფი და ჭლექიანი. ცოლმა მოჰკლა ვადკოვსკი მძინარე რევოლვერით, საბრალოს ტყვია შიგ გულში მოხვდა და იმ წამსვე გარდაიცვალა. ვ. ვადკოვსკი ლამაზი და ახალგაზრდა, სულ 30 წლის კაცი იყო, ყველას საყვარელი და პატივცემული. სოხუმში ლაპარაკობენ, რომ ცოლს წინადაც რამდენჯერმე უნდოდა იმის მოკვლაო. პირველად რევოლვერი ესროლა, მაგრამ, ასცდა, მეორედ მკლავში დასჭრა. ქმარი მაინც ცდილობდა, რომ ამ გარემოებას ავადმყოფს ცოლზე

ცუდად არ ემოქმედნა. ამბობენ, რომ ცოლი ძლიერ ეჭვიანობდა და იმან აიძულა მკვლელობა ჩაედინაო. (ივერია, N35, 1892 წელი);

აბჟუვა ანუ სოხუმის ოლქის კოდორის განყოფილება

ამ ნაკიანის წლის იანვრის თთვემ ჩვენშიაც უხიფათოდ არ გაიარა. წვიმები იყო, წყლებმა მოიმატეს. მოქვის წყალმა ერთი გლეხი დაახრჩო. მდ. თუმუმშიაც, როგორც ამბობენ, ერთი დედაკაცი დამრჩვალა ამავე იანვარს. ს. ფოქვეშში ერთი ქალიც ცეცხლის მსხვერპლი შეიქმნა... თებერვალმა ქარი (ეგ ძვირი და არაჩვეულებრივი სტუმარი ამ მხარეში) შემოგვძღვნა, რომელმაც ჩალითა და გვიმრით დახურულ აფხაზების ფაცხებს დიდი ზარალი მისცა.

იქიდამვე: ერთად-ერთი ავლადიდება აფხაზებისა სიმინდი იყო. იმას დღეს გასავალი აღარა აქვს. ხალხი მეტად შეწუხებულია და შევიწროებული. თუ ამაზე მეტი ფასი არ ექმნა, სარჩოზე მეტს ნურავინ ნუ დავთესთო, ამბობენ აფხაზები. ქურდობა, რომლისაგანაც ცოტად თუ ბევრად მოსვენებული ვიყავით ამ რამდენსამე თთვეს, ბოლოს დროს ისევ ხშირდება. ამასა და სიმინდის კრიზისს, ანუ უფულენციას, ზედ დაერთო ინფლუენციაც. ამ სამს უბედურებას მეოთხეც ზედ დაემატა. ეს უბედურება გახლავთ უგზოობა. არა თუ კავკასიაში, დედამიწის ზურგზე ძვირად უნდა მოიძებნოს ისეთი მხარე, რომელიც ისე იყოს მოკლებული გზებს, როგორც ჩვენი აბჟუაა და საზოგადოდ მთელი სოხუმის ოლქი... სწორედ დროზე მოესწრო აქაურობას მთავრობის განკარგულება, რომ გზა გაკეთდეს სოხუმიდამ ნოვოროსიისკამდე დამშეულთა დახმარებით. არ იქნება ურიგო, რომ მთავრობამ გააკეთებინოს იმათვე გზები საზოგადოდ აფხაზეთშიაც. (ივერია, N38, 1892 წელი);

დ. ოჩამჩირე

დ. ოჩამჩირეში საშინელი ქურდობა არის გავრცელებული. თითქმის ყოველ ღამეს თითო, ან ორ-ორი ცხენი იკარგება. შარშან ამ დროს ჩვენს არე-მარეში ქურდობა სრულიად არ იყო. წელს-კი სულ სხვაა, დაკეტილიდგან გაჰყავთ ცხენები. უგზოობამ ხომ მეტად შეგვაწუხა. ვერც სოხუმამდე და ვერც ზუგდიდამდე ვერ მივსულვართ, რადგან გზები მეტად უვარგისია. (ივერია, N44, 1892 წელი);

სოხუმი

წარსულის წლის დამლევს სოხუმის ეპისკოპოსმა აგაფოდორმა დააარსა საეპარქიო საეკკლესიო ძმობა, რომელსაც აზრად აქვს იზრუნოს ეკკლესიისა და აგრეთვე ხალხში განათლების გასავრცელებლად. მანვე დააარსა კომიტეტი, რომელიც ჰკრეფს შესაწევარს რუსეთის დამშეულთათვის. კომიტეტის წევრია, სხვათა შორის, გენერალ-ადიუტანტი თავადი გრიგოლ ალექსანდრეს ძე შერვაშიძე, კაცი დიდად პატივსაცემი და გავლენიანი აფხაზთა შორის. თავადმა მიიღო გუდაუთის მხარე და აუხსნა ხალხს, რა გაჭირვებაშია ამ ჟამად შიმშილის გამო რუსეთის შიდა გუბერნიების მკვიდრნი. აფხაზებმა დიდის სიამოვნებით მიიღეს წინადადება შერვაშიძისა და აღუთქვეს თითო ფუთი სიმინდი კომლზე, ხოლო თავად-აზნაურთ ხუთ-ხუთი და კიდევ მეტიც, შეძლებისამებრ. ასევე მოიქცა თავადი შერვაშიძე კოდორის მხარესაც, სადაც თითოეულმა გლეხმა იკისრა ორ-ორის ფუთის სიმინდის შეწირვა. შეწირული სიმინდი უნდა შეგროვდეს გუდაუთსა და ოჩამჩირეში. თვით თავადმა შესწირა ამ საქმისათვის ასი ფუთი სიმინდი. სულ ვარაუდით შეგროვდება 50,000 ფუთი სიმინდი, რომელიც გარდაეცემა მთავრობას. (ივერია, N44, 1892 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

სოხუმი. უდროოდ და უღმერთოდ მოკლულ მსაჯულს ვ. ფ. ვადკოვსკის მკვლელი, მისი ცოლი, დღეს თავისუფალია: თანაშემწემ ბრალმდებელისამ არა სცნო საჭიროდ მისი დაპატიმრება. ჯერ ხო ცოლისაგან მძინარე ქმრის მოკვლამ დასცა თავს ზარი აქაურ ქმრებს, ახლა განთავისუფლებამ სულ დავთრები დაუკარგა ამ უბედურებს: „შენი მტერი-ჩვენი საქმეაო, შესჩივიან ერთიერთმანეთს შეშინებული ქმრები: ახალის მოდის ან ტანთ, ან ფეხთსაცმელს არ უყიდი შენს მეუღლეს, შენი მიხვრა-მოხვრა, დალაპარაკება, შეხედვა იმ ქალისა, რომელიც იმას არ მოსწონს, ჭკუაში არ დაუჯდა და გათავდა, ტრახ! დაგცემს მძინარეს რევოლვერს და წაგაბრძანებს უზიარებლად იქ, „სადაც მართალნი განისვენებენ“. მერე ან ბ-ნი გამომძიებელი, ან თანაშემწე ბრალმდებელისა აიღებს, დაიღებს და ასე დაასკვნის: „რადგანაც (მკვლელი) ბრალდებული, აშკარაა, სრულს ჭკუაზედ არ იყო იმ ჟამად და თანაც ეტყობა, რომ „ფსიხოპატკაა“, ამას გარდა სუსტის აგებულებისა და ავადმყოფია, მისი დაპატიმრება საშიშია, განთავისუფლებულ იქმნასო!“ აფერუმ! ვაჟო, თუ რაღაც ჯანაბა-ფსიხოპატკაა, მისი ადგილი საგიჟეთია, თუ სრულს ჭკუაზედ არის-საპატიმროა. ცოტანი არიან, რომ ორი ორშაბათი-კი არა, როგორც ამ შემთხვევაში, ნახევარ ორშაბათსაც არ უძევთ წინ, მაგრამ მაინც და მაინც დაპატიმრებულნი არიან ბოროტ-მოქმედებისათვის! თუმცა „ივერიაში“ „Нов Обоз.“-დგან იყო გადმობეჭდილი წერილი ამ საგნის შესახებ, მაგრამ ვგონებ არ იქნება მეტი ამ საშინელის კაცის-კვლის ამბის გამო კიდევ ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ. განსვენებული ვ. ფ. ვადკოვსკი ლიცეიელი გახლდათ, კარგისა და მდიდარის ოჯახის შვილი, დიდი ნებიერი დედ-მამისა. ვიდრე შეძლება ჰქონდა, ხარჯს არ ერიდებოდა, არა ჰზოგავდა არც თავისთვის, არც თავისის კარგ მეგობრებისთვის. გამიგონია, რომ მომეტებული ნაწილი მამისგან დარჩენილ ქონებისა ძმის ვალების (ძმა გაყრილი ჰყავდა) გადახდას მოანდომაო. მჯერა, გულ-კეთილი კაცი იყო. ნათესაობა და ნაცნობობა დიდი ჰყავდა, ასე რომ ყოველთვის შეეძლო უკეთესი და უფრო შესაფერისი თავის ნიჭისა ადგილი ეშოვნა, სადაც-კი მოისურვებდა, მაგრამ მან სოხუმი ირჩია ცოლის ავადმყოფობის გამო: ურჩიეს ექიმებმა, სუხუმი შენის ჭლექიანის ცოლისათვის დიდად სასარგებლო იქნებაო...

აქაური საზოგადოება ორ ნაწილად გაჰყო ამ უბედურებამ: ზოგი მკვლელს ცოლს ამართლებს, ზოგი-იმის მსხვერპლ ქმარს. მოგეხსენებათ, ცოლ-ქმრობის საქმეში გარევა ძნელიაო, და ძნელია მისი გასჯაც: ბევრი რამ მოხდება ცოლ-ქმარს შორის ისეთი, რაც გარეშეთათვის მიუხდომელი, მიუკვლეველია... ამის გამო მხოლოდ ამ საქმის გარემოებას მოგახსენებთ და თქვენ თვით დაასკვენით, ვინ მართალია და ვინ მტყუანი. ვადკოვსკიმ შეირთო ქვრივი, რომელსაც თან მოჰყვა ქალიშვილი. ვადკოვსკის ცოლის პირველი ქმარი დიდი მდიდარი კაცი იყო და საზღვარ-გარედ, ელდის გამო, ერთბაშად დალია სული. დარჩა კარგი ქონება. ზოგი ქალს ერგო, ზოგი ცოლს. ქალის თავნიდგან ცოლს შეეძლო მოეხმარნა შვილის აღსაზრდელად მხოლოდ სარგებელი, თავნი ისე უნდა ძებულიყო ბანკში ქალის სრულ-წლოვანობამდე. მკვლელი ქეიფის მოყვარე იყო და გაუსო ხელი თავისს თავნს. მალე მტერი მოგიკვდეთ, მალე ცოლ-ქმარმა ბოლო მოუღო იმ ფულს, რომელიც ერგო მკვლელს. რომ აღარა ჰქონდათ-რა საცხოვრებელი, განსვენებული სამსახურში შევიდა, ამბობენ, რომ დასაბამითვე ტანჯული იყო თავის ცოლის ხელშიო: არა ერთხელ შემოუმტვრევია ცოლს ქმრისთვის ყბები, არა ერთხელ ჯოხი დაუმტვრევია მის ზურგზედაო... ამისთანებს ბევრს ამბობენ, მაგრამ ქმარი ყველაფერს უთმენდა და ხმას არ იღებდაო... სიკვდილს დიდი ხანია უქადდა. შარშან ორჯერ ესროლა რევოლვერი, ერთხელ გადარჩა, მხოლოდ მეორედ ოქტომბერში-კი ვეღარ გადაურჩა და ხელში შეიქმნა დაჭრილი ორის ტყვიით. თუმცა ბევრი ურჩიეს უბედურს: მოშორდი მაგისთანა ცოლს, თორემ ბოლოს მოგიღებსო, მაგრამ რჩევა არავისი არ გაიგონა: დღეს არა, ხვალ უნდა მოკვდეს და მომაკვდავს როგორც დავანებო

თავიო, იძლეოდა პასუხს. ის-კი არა თუ, მომაკვდავი დღეს ცოცხალია, გამარჯვებული და ის-კი „მიწაა“! მძინარეს მიეპარა, გაუსინჯა გულის ადგილი, დასცა რევოლვერი და იმ წამსვე სული გაანთხევინა. ეტყობოდა, საცოდავი არც-კი განძრეულიყო: როგორც ეძინა-ხელთავ ქვეშ ამოდებული, ისე ესვენა! შემდეგ ტანსაცმელიდგან ამოართო თურმე ფული და უბრძანა მოახლეს ჩაის მოტანა: „მე ჩემი მოვალეობა შევასრულე და შემიძლიან ეხლა ჩაი დავლიოვო“... ცოლ-ქმარ შუა წინად რა იყო, იმას თავი დავანებოთ. თქვენ ეს გარემოება მოკვლისა განიხილეთ და გასინჯეთ: მძინარეს თოფი დასცეთ, გაძარცოთ და იქვე შიმშილ-მწყურვალება მოიკლათ! გამომძიებელი და ექიმი იმ აზრისანი არიან თურმე, რომ მკვლელი სრულს ჭკუაზედ იყო მაშინაცა და ახლაცაო... ცოლი ძალზეც ეჭვიანობდა თურმე ქმრის შესახებ. სხვა ქალს არ შეეძლო ან დაჰლაპარაკებოდა და ან ქუჩაზედ გაევლო იმათი სახლის გვერდით და შეეხედნა მისთვის, ცოლს ერთი ორომტრიალი უნდა მოეხდინა. /კელასურელი-იპა/. (ივერია, N46, 1892 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

სოხუმი. ეს ორი თთვეა თითქმის, რაც სულ სწვიმს. მოგახსენებენ, რომ აგერ ოცი წელიწადი მეტია, ამ გვარი ზამთარი აქ არ ყოფილაო. ევკალიპტუსები სულ დახმა, დახმა აგრეთვე მრავალი სხვა ძვირფასი მცენარე. როგორც ეტყობა, მალე დაიწყებენ სოხუმსა და ნოვოროსიისკს შორის გზა-ტკეცილის კეთებას. ამას წინად სამხედრო შკუნით, ცოტა ხნით, შემოიარა აქ გენერალმა ზეზემანმა, რომელიც თავისის აფიცრებით ნოვოროსიისკენ მიდიოდა. მოგახსენებენ, ასი ათას მუშამდე არის ნოვოროსიისკშიო. ეჰ, მადლობა ღმერთს, ერთს კუთხეს სუხუმის ოლქისას მაინც ექნება რიგიანი მოსავალი გზა და სხვას თუ არა, გუდაუთელებს მაინც ეშველებათ რამ და შეეძლებათ ჩვენ, სოხუმელებს, გაგვინაწილონ თავისს სარჩო-სანოვაგისა რამ. ეგების, ცოტაოდენი იაფობა ჩამოვარდეს სოხუმში. აქაური ვაჭრები ტყავს გვაძრობენ, ტყავს! იქნება ღმერთმა შეგვიბრალოს და აქედგან ზუგდიდამდი-საც გაგვიკეთონ გზა. ამ ჟამად უგზოობის გამო სამი საუკეთესო, დასახლებული, მოსავლიანი, მდიდარი კუთხე ამ ოლქისა: გუმისტა, კოდორი და სამურზაყანო მოწყვეტილია ქვეყანას. რის გაყიდვაც-კი მამულის პატრონს შეუძლიან, ადგილობრივ რჩება გამოუსადეგლად, ლპება, ოხრდება, ხავსი ეკიდება...

ამ ხანმოკლე ხანში დაიდგმის მშვენიერი და ძვირფასი რკინის ხიდი მდინარე კოდორზედ, მაგრამ გზა-კი არ არის ჯერ და არ ვიცით, რა სარგებლობას მოიტანს აქაურობისათვის: არც მისავალი, არც მოსავალი გზა არა აქვს რიგიანი. მართალია, აქედგან დრანდამდის არის გზა საეტლო-საურმე, მაგრამ არც იქიდგან ხიდამდე, არც ხიდიდგან იქით აღარ არის საურმე, ხეირიანი გზა: ხიდს იქით იწყება უგზო-უკვლობა, ჭაობები, ტყე-ღრე. ამ ორმოცის წლის წინად-კი სოხუმიდგან ზუგდიდამდის მშვენიერი საფოსტო გზა გხლებიათ: 1852 წ. ბრწყინვალე თავადი ვორონცოვი თავისის მეუღლით და ვიცე-ადმირალი სერებრიაკოვი აქედგან თურმე ფაეტონით წაბრძანდნენ ზუგდიდს. ფოსტა ჰქონია იჯარით აღებული ხუბალოვს... დღეს არამც თუ ფაეტონის გზა, ჩვენებური ურემიც-კი, რომელიც იქ გაივლის, სადაც ვერც ერთი ევროპიული ეტლი ვერ გაჰბედავს გავლას, გაჭირვებაშია უგზოობით... ნეტავი ძნელი მაინც იყოს მისი გაყვანა! სულ ვაკეა, ზღვის პირს ახლო, გარეშემო ტყე, და მაშასადამე, ყოველ გვარი გზის საჭირო მასალა, რასაკვირველია, რკინეულს გარდა, სულ იქვეა: ქვიშა, ხე-ტყე, რიყის ქვა-უხვად, ოხრად არის. მუშის შოვნაც ადვილია: სოხუმი გატენილია სხვა-და-სხვა უსაქმო, მათხოვარა, დამშეულ ხალხით. თუ ამათი დაქირავება არ მოხერხდება, ძვირად დაჯდება, მუქთის მუშის შოვნა უფრო ადვილია: თვით ხალხი სოფლიდგან სოფლამდე გაიყვანს გზას, ოღონდ-კი რკინის მასალა მთავრობამ უბოძოს

და რიგიანი, მცოდნე ზედამხედველი დაუნიშნოს. ამ გზის გაყვანის გამო დეპუტაცია გახლდათ წასული ბ-ნ ქუთაისის გუბერნატორთან. მოგახსენებენ, მის აღმატებულებას ებრძანებინოს, რომ დამშეულ ხალხის მოწვევა ამ გზის გასაკეთებლად საჭირო არ არისო; მე თვით ვზრუნავ, თქვენ თქვენს საქმეზედ იზრუნეთო და სხ. ნეტავი-კი გზა გაგვიკეთონ და ჩვენთვის სულ ერთია მუსიას ამუშავებენ, თუ ალიას! სამწუხარო და საყურადღებო ის არის, რომ ეს მდიდარი კუთხე უგზო-უკვლოდ არის, რის გამოც ყოვლად შეუძლებელს, უღმერთო ფასს იღებენ აქ ყოველ გვარს ხორაგში. ხორაგის ფასის რაოდენობას კვლავ მოგწერთ.

ერთი სიძვირის მიზეზთაგანი გახლავთ უხალხობა: მომეტებული ნაწილი აფხაზებისა სათათრეთში გადასახლდა; რომელნიც აქ დარჩნენ, ვერაფერი მიწის მომვლელნი არიან: მამულის შემუშავება, გაუკეთესება თითქმის სირცხვილად მიაჩნიათ. მაგრამ უმთავრესი მიზეზი უგზო-უკვლობაა. ამ ჟამად თუ სოხუმში შემოდის რამ, მეგრელებისა და ესტონელების წყალობით. მოგახსენებენ, ნამდვილად-კი არ ვიცი, ესტონელები აბარგებას აპირებენო: ჰავისთვის ვერ გაუძლიათო. მაშინ აგვიშენდება ოჯახი! აქ გადმოდგებიან უფრო მეგრელები: ჰავასაც აიტანენ და კარგადაც შეიმუშავებენ მამულს. საკვირველი მოხერხებული და გამრჯე ხალხია! დარწმუნებული ვარ, მეგრელებს რომ ნება მისცენ დასახლებისა, სოხუმს გარეშემო ერთი ჭაობი აღარ დარჩებოდა მოკლე ხანში დაუშრობელი. ეს დაბურული, სხვა-და-სხვა მიაზმებით სავსე ტყე კარგად შეთხელებული შეიქნებოდა, ბლენცარას (папоротникъ), ამ ციების ბუდისა, ხსენება აღარ იქნებოდა და რაკი ეს მოხდებოდა, სოხუმში ციებ ცხელება გაქრებოდა და ამაზედ უკეთესი საცხოვრებელი ადგილი აღარ იქმნებოდა. მაგრამ მაგარი ეს არის, რომ მეგრელებს, მოგახსენებენ, აქ დასახლების ნებას არ აძლევენო. რა მიზეზით, არ ვიცი. ჩემის მოკლე ჭკუით-კი ასე ვიცი, რომ მეგრელები უფრო საიმედო და სასარგებლო გახლავან და იქნებიან, ვიდრე ბოლგარელები, ბრატუშკები და გერმანელები. გერმანელები, რაკი ამოსწოვენ, რაც-კი ამოსაწოვია, დაანებებენ აქაურობას თავს და მონახავენ ახალს, უკეთესს ადგილს. მეგრელი-კი, ერთხელ აქ დასახლებული, ფეხს არ მოიცვლის, თავისს ძვალ-ტყავს აქ ჩაჰყრის თავისის ოფლით შემუშავებულს მამულში. ღმერთმა ნუ-კი ჰქმნას და, აბა ერთი თოფი გავარდეს, შეიძლება პირველადვე გერმანელები გადაგვიდგნენ და დაგვიშინონ ტყვია. მაგრამ სჯობს „კლიტე დავადო ბაგესა ჩემსა“. ვიწყვეტ ხმას და ვსვამ წერტილს: ვინ კელასურელი-იპა და ვინ ამ გვარ საგნის შესახებ სჯა! /კელასურელი-იპა/. (ივერია, N49, 1892 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

სოხუმი, 8 მარტი. დიდი ხანია, რაც მე სოხუმიდგან არავითარი ამბავი არ შემიტყობინებია ჩვენის გაზეთის მკითხველებისათვის, მაგრამ ამის გამო იმას-კი ნუ იფიქრებთ, რომ აქ ამ დროს განმავლობაში ყურადღების ღირსი არა მომხდარიყოს-რა. არა, ისეთი ამბები, რომელთაც ხშირად ჰკითხულობთ გაზეთებში, აქაც ხშირია. მაგალითებრ: სხვა მხრიდგან იწერებიან, კარგი მოსავალი იყოო, აქაც კარგი მოსავალი გვქონდა; სხვაგან-ქურდობამ ხალხი შეაწუხაო, არც აქა ვართ ამ სიკეთეს მოკლებული; სხვა მხრიდგან გვატყობინებენ, შიდა-რუსეთის გუბერნიების მკვიდრთ შემწეობას ვაწვდითო, ჩვენც არავის ჩამოვრჩენილვართ ამ მხრით უკან. ერთის სიტყვით, ჩვენშიაც ისეთი ამბებია, რაც სხვაგან, და ამის გამო ვდუმარებდი, ველოდებოდი არა ჩვეულებრივის ამბების მოწერას, მაგრამ არა იქმნა-რა, არაფერი გამოტყვრა ისეთი. დღესაც ამის მოლოდინში ვარ და ვნახოთ, რა გამოვა რისაგან. ამ ჟამად ისევ ჩვეულებრივი ამბები უნდა ავნუსხო, თუმცა ისინიც უცნობი არ არის მკითხველებისათვის. პირველი: აქაური მომრიგებელი მოსამართლე განსვენებული ვადკოვსი მოკლა თავისმა კანონიერმა ცოლმა. რასაკვირველია. საზოგადოდ კაცის კვლა

სასიამოვნო ამბავი არ არის და ცოლისაგან ხომ სამწუხაროზედაც მეტია, მაგრამ ყოველი კაცის მკვლელი ერთ გვარად საზიზღარი და დასასჯელი არ არის. ყოველს მკვლელს თავის მოქმედებისდა გვარად უნდა მიეზღოს. კანონსაც რამდენსამე ხარისხად აქვს დაყოფილი მკვლელების დასასჯელი მუხლი. ცოლმა ქმარი მოჰკლა, აქ რაღა კანონის ხარისხის მოძებნა უნდაო, იტყვის ბევრი. მართალიც არის, მაგრამ მაგარი ის არის, რომ მკვლელი ცოლი თვით მკვდარია, უკანასკნელ დღეშია ჭლექის გამო, დღე-დღეზედ სიკვდილს ელის, არ უნდოდა თავისს ახალგაზრდა, საყვარელს ქმარს საუკუნოდ გამოსალმებოდა და ის-კი სხვას ვისმეს დარჩენოდა. ქმრის მოკვლის დღესვე აღიარა ეს მკვლელობა, სჩანს იფიქრა: ჯერ ამას გავიმძღვანებ წინ, მერე თითონ მეც გავყვებიო. თავს თუ არ იკლავს თითონაც, ალბათ იმიტომ-რომ დარწმუნებულია, დღეს ან ხვალ მოვკვდებიო. ამაზედ უარესი მაგალითებიც მომხდარა სხვაგან. გაგეგონებათ, რომ დედას თავის შვილების მწუხარება ვერ აეტანოს, ჯერ ისინი დაეხოცოს და მერე თავისი თავიც მოეკლას. გაგეგონებათ ისიც, რომ ორს საყვარელს ერთად მოეწამლოთ თავი.

მეორე: სოხუმშიაც ქალაქის საქმეები აწეწილ-დაწეწილია. ქალაქს ოცდა-ხუთი ათასი მანეთი შემოსავალი აქვს, ამდენივე ხარჯი და არაფერი კეთდება. ამ ჟამად ბ-ნს ქუთაისის გუბერნატორს, ქალაქისავე თხოვნით, სურს დაადგინოს სამუდამო კომისია, შემდგარი ქალაქის საიმედო მცხოვრებთაგან. ამ კომისიის ხელში უნდა გაიაროს ყოველმა ქალაქის შემოსავალ-გასავლის საქმემ. კომისიას პირდაპირ გუბერნატორთან ექნება საქმე. პოლიცია და დეპუტატები მხოლოდ ამსრულებელნი იქნებიან იმ დადგინებათა, რომელსაც გუბერნატორი დაამტკიცებს. სოხუმელებს დიდი იმედი აქვთ, რომ მომავლის წლიდგან ქალაქის თვით-მმართველობას შემოიღებენ.

მესამე: ნოვოროსიისკსა და სოხუმს შუა გზატკეცილი უნდა გაიტანონ. ეს ამბავი ძლიერ სასიამოვნოა. შეიძლება ამ ბუნებით მდიდარმა ქვეყანამ მშრომელი ხალხი მოიზიდოს. მართალია, რუსული გაზეთები ბევრსა ლაპარაკობენ ამ ადგილების დასახლების შესახებ, მაგრამ აქ თქმა და ქმნა ერთმანეთს აქაურ ბუნების გამო ვერ ეთანხმება. მართალია, ეს ადგილები ბუნებით ძლიერ მდიდარია, მაგრამ აქ ისეთი ციება იცის, რომ ჩრდილოელი კაცი, რომელსაც ერთხელაც არ გამოუცდია ციების შხამი, ვერ გაუძლებს ამ სენს. ამისი მაგალითი თვალ-წინა გვაქვს. განა ცოტა გადმოსახლებული რუსი, თუ სხვა ტომისა დაიხოცა აქა? ჩემის აზრით, ყველაზედ უმჯობესი იქნება, აქ გადმოსახლდებოდნენ მეგრელები და იმერლები, რომელნიც ციების ნაცნობნი და მეგობარნი არიან. ამას გარდა, ამ მთა-კლდიანს ადგილებს ესენი უფრო შეეთვისებიან, ვიდრე სხვები. /გადაღმელი/. (ივერია, N57, 1892 წელი);

საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი სოხუმის ეპარქიაში

ხელ-დასხმულ იქმნა: მღვდლად ხელ-დასხმულ იქმნა ილორის წმ. გიორგის ეკკლესიის მედავითნე ექვთიმე გაჩეჩილაძე და სოხუმის ოლქის სოფ. ოხურვისის ახლად აგებულს ეკკლესიაში დაინიშნა. დანიშნულ იქმნა: ახალ-ათონის სიმონ კანანელის მონასტრის მღვდელ-მონაზონი საბა დრანდის ღვთის მშობლის მიძინების მონასტრის წინამძღვრის თანამდებობის აღმასრულებლად. (ივერია, N59, 1892 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

სუხუმი, 8 მარტი. ბ-ნს ოლქის უფროსს მოსვლია თურმე ქუთაისის გუბერნატორის წინადადება იმისი, რომ მან წარუდგინოს, მოკლე ხანში, სხვა-და-სხვა ცნობანი, რომელიც

საჭიროა შესაერთებელ სუხუმის და ზუგდიდის გზის გაკეთებისათვის. ოჩემჩირემდის გზა გაივლის თურმე ზღვის მახლობლად, იქიდგან კი ცოტა არ იყოს დაშორდება. დრანდიდგან ოჩემჩირამდის ხელ-ახლად მოუნდება გზის ლიანდაგს გაყვანა, იქით-კი მდინარე ინღურამდის, ავად თუ კარგად, გაყვანილია. მოგახსენებენ გზაც ისე წამხდარია, რომ ახლად გასაკეთებლად ჩაითვლებაო. მაინცა და მაინც ამ გზას იმდენი ჯაფა და ხარჯი არ დასჭირდება, როგორც ოჩემჩირამდის. ჩემის აზრით, კარგი იქმნებოდა, რომ თან გასჭრან ლიანდაგი, სტკეპნონ და აყარონ ქვიშა და კენჭი, თორემ უიმისოდ ეშმაკის მუშაობა იქნება: რაკი ერთი წვიმა მოვა, ისე წახდება, ისე ატალახდება ახლად გაყვანილი, ქვიშა-დაუყრელი გზა, რომ მუცლამდის დავა ცხენი და კამეჩი, ურემი რომ რაღა მოგახსენოთ! აშკარაა, ადგილობრივნი მცხოვრებნი გაიყვანენ ამ გზას თავისი ხარჯით. შეიძლება ბევრად შეუმსუბუქდეს ხალხს ხარჯი, თუ მთავრობამ ნება უბოძა ნაყარ ხე-ტყის გასყიდვისა და აგრეთვე მოაჭრევინა და გაასყიდვინა დაბერებული ხეები, რომელიც დღეს არა ხვალ-სულ ერთია-გადაიქცევა და შეიქმნება უვარგისი, დალპება და რომელიც უშლის ნორჩ ხეს თავისუფლად გაზრდას, თავის აღებას. აქ ბევრი იმისთანა დაბურული ტყეა, რომ ამ გვარად მისი გაწმენდა, თუ არ სარგებლობას, ვნებას არას მისცემს თვით ტყეს, ხალხისთვის კი დიდი შემწეობა იქნება, მეტადრე კოდორელებისათვის, რომელნიც ისე ყუათიანი არ არიან, როგორც სამურზაყანოელოები. იმედია, აქაური თავადაზნაურობა მიიღებს მხურვალე მონაწილეობას ამ გზის გაყვანაში და უღელს მარტო გლეხს არ გააწევინებს...

მოგახსენებენ, რომ იმ ლიანდაგის გაყვანისათვის, რომელიც იწყება ოჩემჩირიდგან და თავდება მდინარე ინგურთან, იქაურ მიდამოთა მცხოვრებთ ხუთ-ხუთი მანეთი გადაახდევინესო კომლზედ. ჯამი შესდგება თითქმის ოცდა-რვა ათას მანეთამდის, ესე იგი ორი ათასს რვაას თუმნამდის... ზოგიერთნი სუტ-ნიჭიანნი და მოხერხებულნი ვაჟბატონნი დიდად გაწყრებიან და ყირაზედ შედგებიან, რომ, ამ გვარ შემთხვევის შემდეგ, ხალხმა, ცოტა არ იყოს, ეჭვი და ყოყმანი გამოიჩინოს, თუ ვინიცობაა კიდევ მოსთხოვეს გზის გაყვანის გარდასახადი ფული. „თქვენმა მზემ, ბრიყვი, კერპი და შეუგონარი ხალხია: თავისის თავი სარგებლობა არ ესმის, ბატონო! უნდა, რომ სულ მისი მოვალეობა სხვამ (ესე იგი ხაზინამ) შეასრულოს! ნამდვილი მხეცი, ტყის ნადირი, ველური ხალხია! ფუ!!“ „ფუუ“ მე ვიცი, ვისაც უნდა, მაგრამ... თევზმა სთქვა: „ბევრი რამ მაქვს სათქმელი, მაგრამ პირი წყლითა მაქვს სავსეო“... როცა ხუთ-ხუთი მანეთი კომლზედ დათვალეს, მაშინ ჭკვიანი და გამჭრიახე ხალხი იყო, ეხლა კი როცა ცოტაოდენი ჭკუა ისწავლეს, ბრიყვნი არიან რაღა! მახლას! ორივე თოკის წვერი ხელში უჭირავთ ამ გვარს ვაჟბატონებს და რომლის წვერის გამოწევაც ჭკუაში დაუჯდებათ, იმას გასწევენ.

*) მე ვწერ „სუხუმი“ და არა „სოხუმი“, როგორც რედაქცია „ივერიისა“. აი რის გამო: ლექსი „სუხუმი“ შესდგების ორ თათრულ ლექსისაგან: სუ-წყალი, მდინარე, და „ღუმ“ „ხუმ“- ქვიშა; ესე იგი ქვიშიანი, ქვიშას წყალი. მართლაც, მდინარე „ბესლეტკა“ (ბასლა), რომელიც მომდინარეობს ამ ქალაქში და ერთვის ზღვას, ქვიშიანია. ძველად, მანამ თათრები დაიჭერდნენ, სუხუმს სხვა-და-სხვა სახელები ერქვა: სებასტოპოლისი (ქალაქი მხსნელისა), დიასკური. მხოლოდ აფხაზები უწოდებენ „აყუ“-ს (ვგონებ, გარყვნილი ლექსი უნდა იყოს რომაელებისა: აქუა-aqua-წყალი. (წყლის პირელები?). აფხაზები თავის თავს უწოდებენ „აფსუა-ს, ხოლო თავისს ქვეყანას „აფსნია“-ს (ი უნდა გამოითქვას როგორც რუსული ы). „აფსი“-სულია; აია-ხალხი, ერი; ნი (ны)-ქვეყანა, მხარე.

გამოცხადდა სია, რომ ყადაღა აღარ არის სიმინდის საზღვარ-გარედ გატანისაო, და ფელუგა ფელუგაზედ მოდის სათათრეთიდგან, იბარგება და ბრუნდება უკუ. ამ დღეებში ფუთი 58 კაპ. ისყიდებოდა. იმედია, სამ აბაზზედ უფრო მაღლა ახტეს. ორ დღეში ორი ათასი ფუთი მეტი გაიყიდა მარტო სუხუმში! (ივერია, N61, 1892 წელი);

***

სოხუმის მომრიგებელ-მოსამართლეს ვიატკოვსკის მკვლელი მისივე მეუღლე გარდაცვლილა („Нов Обоз.“). (ივერია, N74, 1892 წელი);

სოხუმი

გაზეთს „Нов Обоз.“-ს სწერენ სოხუმიდგან, რომ სიმინდის საზღვარ-გარედ გატანის ნებართვის გამო სიმინდის ფასმა ძალიან აიწიაო. უწინ ფუთი სიმინდი 45 კაპეიკად ისყიდებოდა და როცა საზღვარ-გარედ გატანის ნება რთვა გამოცხადდა, ფუთი ფასი 62 კაპეიკამდე ავიდა. მაგრამ ამავე დროს, რადგან ოქროს ფასი დააკლდა და 7 მ. 92 კაპეიკიდგან. 7 მ. 76 კაპეიკამდე დაიწია, სიმინდსაც ისევ დააკლდა ფასი და ეხლა ფუთი 50-54 კაპეიკად ისყიდება. საკვირველიაო, ამბობს კორესპონდენტი, რომ წელს ინგლისელებს აღარ მიაქვთ აქედგან სიმინდი, თუმცა შარშან სულ ინგლისელებს მიჰქონდათ. წრეულს კი სიმინდი უფრო ტრაპიზონში იგზავნებაო. (ივერია, N74, 1892 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

სუხუმი. შეიძლება არ გაგიკვირდეთ, რომ სოხუმში, სადაც მცხოვრებლებნი ქართველები არიან, ქართულად ლაპარაკობენ და ქართული ზნე-ჩვეულება აქვთ, ქართული წარმოდგენა გვეღირსა ამ თთვის ცხრაში, მაგრამ ვინც კარგად იცნობს სუხუმს, ისინი კი გაკვირვებაში მოვლენ და იტყვიან: „რა ამბავია?! ვინ სუხუმი და ვინ ქართული წარმოდგენაო!“ დიდად განცვიფრებულები შეჰყურებდნენ სუხუმელნი აფიშებსაც-კი. ნამეტნავად გაჰკვირდნენ მაშინ, როდესაც გაიგეს, ვინ იღებდა მონაწილეობას. განა იმათ ქართული ლაპარაკი იციანო?! სცენის მოყვარულთა შორის იყო ბ-ნი ნ. ი. ალექსი-მესხიშვილი და მომეტებულს ლაპარაკს სოხუმელებში ეს გარემოება იწვევდა. იმისი იმედი ყველასა ჰქონდა, რადგანაც რუსულს სცენაზედაც რამდენჯერმე მიიღო მონაწილეობა და მშვენივრადაც ითამაშა. მართლაც. მშვენივრად ითამაშა ბ-ნმა ნ. ალექსი-მესხიშვილმა. მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ქ-ნნი ნ. ი. ბერძენაშვილისა და მ. ა. ჩივაძისა, რომელნიც პირველად იყვნენ სცენაზედ. ქ. ბერძენაშვილმა მშვენივრად აასრულა თავისი როლები შუშანასი და ნამეტნავად ანჩხლის ეფემიასი პეპოში. აგრეთვე მშვენივრად ითამაშა ქ. ჩივაძემ კეკეს როლი. კარგად მოუვიდა ის ადგილი, სადაც იგი თავისს ბედს ემდურის. ლაზათიანად წარმოგვიდგინა თვალწინ უდარდელი ქალაქის კინტო ბ-ნმა გრიქუროვმა. ესევე გვასიამოვნა გიქოს როლში ბ-ნმა ფრანგულიანცმა. ყველაზედ დაუფასებელი იყო ნ, ი. ალ. მესხიშვილი პეპოს როლში, მეტადრე მაშინ, როდესაც გიქოს უამბობს, რა სასიამოვნოა თევზაობა და რა სანატრელია ის წამი, როცა... და თევზაობის სურვილით გატაცებულმა, რომელსაც ეგონა, ვითომ წყალში ვდგევარო, ბადე ისროლა და საცოდავი გიქო-კი გაახვია შიგ. ისეთის ხელოვნებით შეასრულა ზოგიერთი სხვა ადგილი კიდევ, რომ ტაშის კვრა დიდხანს არ შეწყვეტილა. თეატრი მთლად სავსე იყო და ბევრი ბილეთების უქონლობის გამო უკან დაბრუნდა. წმინდა შემოსავალი დარჩა 120 მ. 5 კ., რომლიდგანაც 20 მ. აქაურს სასწავლებელს გადასცეს და დანარჩენი „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ გაუგზავნეს. იმედია, რომ ამის შემდეგაც სცენის მოყვარენი არ დაიზარებენ და საზოგადოებას ასიამოვნებენ.

როგორც ამბობენ, აქ აპირობენ სუხუმში ქართულ ერთ-კლასიანის სკოლის გამართვას. ამ სკოლაში ქართულს ენას უპირატესობა ექნება. სამწუხაროა, რომ აქეთ ქართულის ენის ჭაჭანება არსად არ ისმის, არც ერთს სასწავლებელში. წარმოიდგინეთ აქაურის ქართველების

მდგომარეობა: ბევრს მათგანს ისე არ ესმის რუსული ენა, როგორც თქვენს უმორჩილეს სმენას ჩინური, და მთელი წელიწადი ერთხელ ვერსად ვერ მოისმენთ ქართულს წირვა-ლოცვას, თუმცა ქართველი მღვდლები არიან, რომელთაც შეუძლიანთ ქართულს ენაზედ წირვა-ლოცვა. ამ გარემოებას განმარტება აღარ ეჭირვება, რადგან ცხადია, რის მომასწავლებელიც არის ასეთი ამბავი. /წამსვლელი/. (ივერია, N85, 1892 წელი);

***

სუხუმიდგან გვწერენ: ხუთშაბათს, ამ აპრილის 9, როგორც თქვენს გაზეთშიაც იყო მოხსენებული, სასარგებლოდ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და აქაურ მთიულთათვის დაარსებულ სასწავლებელსა (Сухумская горская школа) სცენის მოყვარეთაგან, ნ. ი. ალექსი-მესხიშვილის თაოსნობით, გამართულ იქმნა წარმოდგენა ქართულად და რუსულად. ქართულად წარმოადგინეს ბ-ნ სუნდუკიანცის კომედია „პეპო“, ხოლო რუსულად „Путешественникъ и путешественница“. წმინდა შემოსავალი დარჩა 120 მ. 5 კ. (თორმეტი თუმანი და ერთი შაური). (ბილეთები და აფიშები გაიყიდა 152 მან. და 10 კაპ., ხარჯი გახლდათ 32 მ. და 5 კ.). აქედამ მოყვარეთაგან ერთ-ხმად გარდაწყვეტილ იქმნა, რათა ათი თუმანი და 5 კ. გადიდოს სასარგებლოდ ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა“, ორი თუმანი ჩაჰბარდეს ბ-ნს ზედამხედველს ზემოხსენებულ სკოლისას. ეს ათი თუმანი და 5 კაპ. იგზავნება „ივერიის“ რედაქციაში დანიშნულებისამებრ გარდასაცემად. ამ წარმოდგენაში მიიღეს მონაწილეობა: ქალბატონებმა: ნ. ი. ბერძენოვისამა, მ. ი. ვალისამა, მ. ა. ჩივაძისამა; ბატონებმა: ჯუღელმა, ჭალელმა (ფსევდონიმია), ფრანგულიანცმა, გრიქუროვმა, ადამიამ და ჯანაშიამ. გულითადს მადლობას უძღვნით როგორც ამ პატივცემულ, აგრეთვე თ. კ. ნ. ერისთავს, მამულაიშვილს, ს. ნ. მეტაქსას, ე. ს. ყარა-მურზას, კ. მაჭავარიანს, კ. ტყავაძეს, მ. თოფურიას, ბ. თურქიას და ძმათა გოგრიჩიძეებს, რომელთაც იკისრეს გაყიდვა ბილეთებისა და თავის ნაცნობთა შორის. (ივერია, N91, 1892 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

სუხუმი. მაისის 12 მიწვეულნი გახლდათ ბ-ნ სუხუმის ოლქის უფროსისაგან სხვა-და-სხვა წოდების აღმორჩეულნი კაცნი კოდორის და გუდაუთის „უჩასტკებისა“ მოსალაპარაკებლად და მოსასაზრებლად თუ რა საშუალება იქმნას მიღებულ მოსასპობლად ამ უკანასკნელ ხანებში მეტად ატეხილ ცხენების ქურდობისა. ამ ლაპარაკს დაესწრო და მონაწილეობაც მიიღო აქაურმა მომრიგებელმა შუა-კაცმა ნ. ალექსიევ-მესხიევმა, რის გამო ჩვენმა ყრილობამ, ბაასის გათავების შემდეგ, გულითადი მადლობა გადაუხადა. წაკითხულ იქმნა ის არზა, რომელიც ჩვენმა თავად-აზნაურობამ და გლეხ-კაცობამ კოდორისამ მივართვით ბ-ნ ქუთაისის გუბერნატორს და რომლითაც ვთხოვდით შეწყნარებას ჩვენ მიერ შედგენილ სხვა-და-სხვა ღონისძიებით პროექტისას მოსასპობლად ამ საშინელის სენის. ამ სენმა იძულებულ გაგვხადოს ლამის, რომ ჩვენ თვითონ გავწყვიტოთ ჩვენივე ცხენი-თუ საქონელი-ისე შეგვაწუხეს ქურდებმა. არზის წაკითხვის შემდეგ გამოვუცხადეთ ოლქის უფროსს, რომ უკეთუ ეს ჩვენი დროებით წესები არ იქნება შეწყნარებული მთავრობისაგან, ქურდობა სხვა ფრივ არ ამოვარდება-თქო ჩვენში და მიწასთან გაგვასწორებს-თქო დიდსაც და პატარასაც. ერთი ჩვენთაგანი ხაშუყო ანჩაბაძე წადგა წინ და დაახლოვებით წარმოსთქვა შემდეგი: „ქურდები იქამდის გათამამდნენ, რო არამც თუ გვივარდებიან სახლებში და გვტაცებენ ცხენს და საქონელს, ჯარიმასაც-კი გვახდეინებენ-თუ დროით და ნებით არ ჩავაბარეთ, რასაც-კი გვთხოვენ.'' ამას წინად, წარმოსთქვა ერთმა მოხუცმა მწარის ღიმილით: ერთს ღარიბ-ღატაკს მოჰპარეს ერთად-ერთი მეწველი ძროხა, ჩვილის, მაწოვარის ხბოს

გაყოლება-კი ვეღარ მოახერხეს. მეორე დღეს მოდის მთხრობელი (ან თვითონ ქურდი, ან მისივე ამხანაგი) და ეუბნება ძროხის პატრონს: „ხუთი თუმანი მომეცი და შენს ძროხას დღესვე იპოვნი“. ღმერთი არ არის შენში, ეუბნება ძროხის პატრონი, ჩემი ძროხა მევე ვიყიდო?! ნუ იყიდი-და, ნახამ რაც მოგივა! დამუქრებული შორდება მთხრობელი. იმ ღამეს ის ხბოც გაქრა!“ ბ-ნ ოლქის უფროსის კითხვაზედ თუ რა მიზეზია ასე ატეხილ ქურდობისა, ეს ვუპასუხეთ: „წინად ქურდების ლაგმად გახლდათ ის წესები, რომელიც ჩვენში იყო შემოღებული და რომელიც აწ გაუქმებული გახლავთ, როგორც წინააღმდეგი კანონისა და რომლის აღდგენის ნება-დართვის შუამდგომლობას, სადაც და ვისთანაც ჯერ არს, თქვენა გთხოვთ, გევედრებით. ეს პირველი. მეორე ის, რომ ქურდებს აკავებდა შიში გარდასახლებისა საადმინისტრაციო წესით. ეხლა რაკი ზოგიერთი ჩვენთაგანი, ჩვენშიაც-კი შესანიშნავი ქურდი, ჩვენისავე თხოვნით დამწყვდეული და საადმინისტრაციო წესით გაგზავნილი, დაბრუნდა, მოთავეობითა მათითა ასტყდა ეს საშინელი ქურდობა: იმათ და იმათმა მომხრეებმა გააგდეს მთელს აფხაზეთში ხმა „დასტურია ქურდობისაო!“ თავად რა ვიყავით და ამ ხმის და ცხადის მაგალითის დანახვის შემდეგ, სულ გადავირიენით!.. გვიშველეთ, თქვენი ჭირიმე! დაგვიხსენით ამ ჭირისაგან; არაქათი აღარ არის! ვიმეორებთ: ლამის საქონელი გავიწყვიტოთ და გაგვიწყდეს... ჩვენ ძალიან კარგად გვესმის და ვიცით. რომ რასაც ვითხოვთ, არ ეთანხმება ეხლანდელს კანონებს, მაგრამ ჩვენც იმიტომ გაწუხებთ და გევედრებით შეწყნარებას ჩვენის წესებისას, რომ მეტი ჩარა აღარა გვაქვს, რომ კანონიერის დევნით, „სუდებით“ ვერა გავხდი რა და ვერას გავხდებით კიდეცა...'' ასე და ამ ნაირად ლაპარაკობდა ჩვენ მაგიერ ჩვენი ხაშუყო. ოლქის უფროსმა და მომრიგებელმა შუაკაცმა ნ. ალექსიევ-მესხიევმა ატეხეს ერთიერთმანეთში რაღაც ჩუმი ლაპარაკი, რომლის შემდეგ პირველმა აღგვითქვა შუამავლობა მთავრობის წინაშე შესახებ ჩვენის თხოვნის შეწყნარებისა. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ორის წლის წინად თვით ოლქის უფროსს წარედგინა თითქმის ამ გვარივე წესდებანი, მაგრამ თურმე არ შეეწყნარა. /დამსწრე ვინმე კოდორელი/. (ივერია, N115, 1892 წელი);

***

ამ თთვის გასულს ბ-ნ რატილის ქართული ხორო გაემგზავრება პიატიგორსკსა, კისლავოდსკს, ჟელეზნოვოდსკსა და სხვა წყლებზედ, საცა რამდენსამე კონცერტს გამართავს და შემდეგ სოხუმსა, იალტასა, სევოსტოპოლსა და ოდესაში გაემგზავრება. ბ-ნს რატილს ამ მოგზაურობისთვის მოუწვევია სოლისტად ახალგაზრდა ქართველი მომღერალი ბ. ცხომელიძე. ხორო ეხლავე ამზადებს ახალს რეპერტუარს. ამ თთვის ნახევარში ბ-ნი რატილი გამართავს კონცერტსა ტფილისსა და კოჯორში. (ივერია, N117, 1892 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

სამურზაყანო. (სოხუმის ოლქი): 24 მაისს დ. ოქუმში აქაურ უმფროსის მოწოდებით, სამურზაყანოს მკვიდრთა მიერ აღმორჩეულ დეპუტატთა კრება იყო. ბ-ნმა უფროსმა მ. მ. სტუკოვმა ექვსი განაჩენი შეაყენებინა დეპუტატებს სხვა-და-სხვა საქმეების შესახებ: პირველი განაჩენი შეეხება ოთხ-კლასიან სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის გამართვას სამურზაყანოში. მეორე განაჩენი შეადგინეს დეპუტატებმა ყველასათვის ფრიად საყურადღებო და სასიამოვნო საქმეზე: თანხმად ამ განაჩენისა, უნდა განახლდეს მეფე ბაგრატ მესამის შესანიშნავი ბედიის ტაძარი, რომელიც დღეს ქურდებს ნაპარავ საქონლის ბუნაგით აქვთ გარდაქცეული. მესამე განაჩენი შეეხება ქელეხის საქმეს. ეს ჩვეულება შემდგარ განაჩენის ძალით უნდა მოისპოს ხალხში. მეოთხე განაჩენით საზოგადოება სთხოვს მთავრობას, დაუბრუნდეს სახელმწიფო საავადმყოფო, რომელიც

სამურზაყანოელებს ეკუთვნოდათ და შეცდომით იქმნა გამართული ზუგდიდის მაზრაში სოფელ ჭკადუაშს. მეხუთე განაჩენში მოხსენებული არის, რომ მთავრობის ნება დართვით დ. ოქუმში იქმნას დაარსებული მომრიგებელი სასამართლო. მეექვსე განაჩენი შემდგარია ზუგდიდამდე საფოსტო გზატკეცილის გაყვანის თაობაზე. ამ განაჩენით საზოგადოება სთხოვს მთავრობას, პირველად ხაზინამ იკისროს გზისა და ხიდების გაკეთებაო.

დეპუტატებმა ექვსივე განაჩენზედ სიამოვნებით მოაწერეს ხელი. კრებამ ამოირჩია სამი კაცი და დაავალა, სთხოვონ მთავრობას შედგენილთა განაჩენების სისრულეში მოყვანა და დამტკიცება. სხვათა შორის აქაურ უმფროსსაც სთხოვეს დეპუტატებმა, რათა გაუწიონ მათ საზოგადოებას მთავრობასთან შუამდგომლობა და მოსალოდნელი სამეურნეო სასწავლებელის ხარჯის შესამცირებლად მიეცეთ მკვიდრთ იმ ოცი-ათას-მანეთის სარგებელი, რომელიც დიდი ხანია აქვთ სამურზაყანლოებს მიბარებული მთავრობისთვის შესანახად. ხოლო რაც დააკლდება სასწავლებლისათვის საჭირო ხარჯსა, შემდგარ განაჩენის ძალით, მცხოვრებლებმა უნდა იხადონ ყოველ წლობით. მეფე ბაგრატის ეკკლესიის განახლებისათვის სულზე თითო აბაზი შეიწერეს გარდასახადი. რაც დააკლდება, უნდა შეგროვდეს შემოწირულებით. ქელეხის მოსპობა სამურზაყანოში მეტად სასიამოვნო უნდა იყოს ყველა ცოტაოდნად შეგნებულ კაცისათვის. თუ ამ საშუალებით ქელეხი მოისპო ჩვენს ქვეყანაში, დიდი ეკონომიური წარმატება მოელის ხალხს. ქელეხი ქურდობასაც ხელს უწყობს. კარგს ქელეხში იკვლის არა ნაკლებ ორმოცის ძროხა-ხარისა. ამაშინ ვინ იცის, რამდენი ნაპარევია ხოლმე. ვინც დღეის იქით ქელეხს გაჰმართავს, ვალდებულია, თანახმად განაჩენისა, თავადმა და აზნაურმა გარდიხადოს ჯარიმას ასი მანეთი, ხოლო გლეხმა ორმოცდ-და-ათი მანეთი. ამ გვარად გადახდილი ფული უნდა მოხმარდეს აქაურს სკოლასა ან ეკკლესიას. შემდეგ ამ გვარის ხელშეკრულობისა საფიქრებელია, ამოეთხაროს ფესვი ამ საზარალო და უაზრო ჩვეულებას.

სუხუმიდამ ზუგდიდამდე რიგიანის გზის გაყვანას არა ეშველა-რა. მთავრობა დარწმუნებულია, რომ ჩვენი გზები უვარგისია, მაგრამ ხრეშის მოყრასა და ალაგ-ალაგ გზის გასწორებას, არც მთავრობა ფიქრობს და არც საზოგადოებას დააყენეს ძალა გაეკეთებინათ, თუმცაღა ურიგო არ იქნება პირველ შემთხვევაში ხაზინამ იტვირთოს ზემოხსენებულ გზისა და ხიდების გაკეთება, რადგანაც ამ გვარი გზები სამეგრელოშიაც და სხვაგანაც პირველად ხაზინამ გააკეთა. იმედი გვაქვს, მთავრობა ჩვენს განაჩენსა და თხოვნას უყურადღებოდ არ დასტოვებს. დანარჩენ ორის განაჩენის სისრულეში მოყვანა მით უფრო საიმედოა, რომ საავადმყოფო სამურზაყანოსთვის იყო პირველში დანიშნული და, თუ შეცდომით დაუარსებიათ ჭკადუაშსა, ყოველი შეცდომა უნდა გასწორდეს ადრე თუ გვიან. მომრიგებელი სასამართლოც თავიდგან სამურზაყანლებს გვერგებოდა, რადგან ჩვენს მეზობელს კოდორის სამოურავოში, სადაც დღეს არის სასამართლო, თითქმის ერთი-ორად ნაკლებია მცხოვრებთა რიცხვი, ვიდრე ჩვენსაში. წარმოიდგინეთ ჩვენის მოსამართლეს მიერ დაარსებულ კაცის მდგომარეობა! უნდა გაიაროს ამ ჩვენს გაუვალ გზებზედ ოც-და-ათი, ორმოცი ვერსი და, თუ მეორე დღეს ცოცხალმა ჩააღწია ოჩამჩირეში, მთელი დღე ტალახით გასვრილ ტანისამოსის წმენდას უნდა მოუნდეს, რომ დაცინვისაგან იხსნას თავი. განსაკუთრებით თუ ზამთარია, ჯოჯოხეთის ტანჯვაა ჩვენს გზებზედ მოგზაურობა. ჩვენსკენ კარგი დარები დაიჭირა, დროზედ წვიმა, დროზედ სითბო არ გვაკლია. თუ ასე გასტანა კიდევ, ხვნა-თესვა სიმინდისა მალე გათავდება. იზაბელას წრეულ ნაკლებად ასხია. /ო-ლი ვ-ნო/. (ივერია, N120, 1892 წელი);

ოჩამჩირე

ახლა-კი დიდი იმედი მოგვეცა, რომ მოვისვენებთ ქურდებისაგან. ქუთაისის გუბერნატორმა შეიწყნარა თხოვნა კოდორის სამოურავოს დეპუტატებისა, რომ ქურდობის მოსასპობად

ცალკე კაცები დაინიშნოს ყველგან და იმათ მიენდოთ ქურდების ალაგმვა. ეხლა ყველგან ინიშნებიან ასეთი კაცები. სხვათა შორის, ჩვენშიაც დაინიშნენ და იმედი გვაქვს, რომ ახლა აღარავის აღარა დაეკარგება-რა. (ივერია, N121, 1892 წელი);

სოხუმი

აქეთ ძლიერ ბევრი ადგილები გასწმინდეს სიმინდის დასათესად და კიდევაც დათესეს. ამბობენ, შარშანდელზედ ერთი-ორად მეტი მიწა მოხნეს წელს სიმინდის დასათესადო. (ივერია, N124, 1892 წელი);

სუხუმი

ოსმალეთიდგან გადმოსახლებულმა სომხებმა და ბერძნებმა ბევრი თამბაქო მოიყვანეს შარშან და წელსაც უმეტეს მოსავალს მოელიან, რადგანაც ბლომად ადგილები აქვთ შემუშავებული. ამის მიზეზი გახლავთ პეტერბურგელი ფირმა ბოგდანოვისა, რომელიც აქ ბლომად ჰყიდულობს ადგილობრივს თამბაქოს და რიგიან ფასსაც იძლევა. შარშანდელი ნაყიდი თამბაქო ასი ათას ფუთს აღემატება.

იქიდამვე: სუხუმელებს წარმოდგენების სეზონი ამ ჟამად დაგვიდგა. აუღია ყველას თავი, ვინც-კი ან სცენაზედ ყოფილა როდისმე და ან ცირკში და მოგვსევიან. ლამის უიმისოდაც გატყავებული სუხუმი სრულებით გაატყავონ. (ივერია, N125, 1892 წელი);

სოხუმი

ჩვენ შევიტყვეთ, რომ სამეგრელოდამ რამდენსამე სოფელს გადმოსახლება უნდა თავიანთის მღვდლით აფხაზეთში. ზოგს ამ სოფელთაგანს გზის მაჩვენებელიც არ ჰყავსო. კარგი იქნება შედგებოდეს ამხანაგობა, რომელიც გადმოსახლებულთ ხელს შეუწყობდეს, როგორც ნივთიერად, ისე რჩევით და გზის ჩვენებით. ჩვენ ვართ მხოლოდ უთავო და უპატრონონი, თორემ სხვას ყველას პატრონი ჰყავს. აი მაგალითებრ, რუსინები მოვიდნენ-რამდენიმე მოსახლე კაცი და იყიდეს წებელდაში მშვენიერი ადგილი 1500 დესიატ. 32,000 მანეთად. (ივერია, N127, 1892 წელი);

საბერია: (სამურზაყანო)

გაზეთ „Нов. Обоз.“-ს სწერენ: ამას წინად აქ შემდეგი ამბავი მოხდა. ერთ გლეხის ჩიტა ხასაიას ცოლს, ქმრის ნათესავი ბახვა ხასაია გადაეკიდა და არც დღე, არც ღამე მოსვენებას არ აძლევდა. ბახვა ხასაია მთელი სოფლის ხალხმა შეიძულა და უნდა გადაესახლებინა, მაგრამ ბახვა ხასაიამ დაასწრო სოფლის განაჩენს. ერთს ღამეს ჩიტა ხასაიას სახლთან გაიარა და ცოლ-ქმარს ლანძღვა დაუწყო. ჩიტა ხასაიამ ეს ვერ მოითმინა და გარედ გამოვარდა, შეშინებული ცოლი უკან გამოუდგა ქმარს, მაგრა შემოეხვია მკლავები და არ უშვებდა ბახვასკენ. ბახვა ხასაიამ ამ შემთხვევით ისარგებლა, ღობიდან მარგილი ამოაძრო, დაჰკრა თავში ჩიტა ხასაიას და იქვე სული გაანთხევინა. შემდეგ ბახვა ხასაია ყაჩაღად გავარდა და მთელს სოფელს ემუქრება, გადაგწვავთო.“ (ივერია, N127, 1892 წელი);

სოხუმი

ქართულის თეატრის არტისტმა, ვ. ს. ალექსი-მესხიშვილმა, ორჯელ გამართა რუსული წარმოდგენა და ორჯელვე ბლომად დაესწრო ხალხი, განსაკუთრებით აქაური ქართველობა. (ივერია, N140, 1892 წელი);

აფხაზეთი

ჩვენი ყოვლად უსამღვდელოესი ეპისკოპოსი დიდად მეცადინეობს აფხაზთა შვილების განათლებისათვის. დღეს აფხაზეთის სკოლებიც ამას მიაბარეს და მის ხელქვეით იმყოფება. ყველგან რუსულს ენაზედ სწარმოებს სწავლა. აქეთ სკოლებში ქართულის წიგნების ჭაჭანება ისევე აღარ არის, როგორც დღეს სამეგრელოს სასწავლებლებში. ბევრი აფხაზი კი ისწავლიდა ქართულს ენას და სიამოვნებითაც ისწავლიდა, გარემოება რომ ხელს უწყობდეს. (ივერია, N141, 1892 წელი);

დ. ოჩამჩირე

1 ივლისი. ხოლერის მოლოდინის შიშმა ჩვენი დაბაც შეაფუცხუნა. ქუჩები და ეზოები უფრო ფაქიზად ინახება. ბევრი სიბინძურეში მყოფი ადგილი დაიწმინდ-დასუფთავდა. განყოფილების უფროსის ბრძანებაა გაცემული, რომ თითოეულმა დუქნისა, თუ სახლის პატრონმა თავიანთი კარმიდამონი, ფეხის-ადგილები და სხ., რაც კი შეიძლება, წმინდად შეინახონ. დამპალი ხილეულობა გადიყარა... სრული სისუფთავე ჰიგიენის მხრივ სახლებისა, დუქნებისა, ეზოებისა, ქუჩებისა, ფეხის-ადგილებისა, ზღვის პირისა, მილის წყლისა, ჭებისა და სხვ. ჯერ შორს არის, განსაკუთრებით განაპირა ნაწილებში, მაგრამ ეს ხომ აღარ მოეთხოვება ოჩამჩირეს. შედარებით ისიც, რასაც ჩვენ ეხლა ვხედავთ კაი ღვთის წყალობად ჩაგვეთვლება. ისეთი ადგილებიც იყო ოჩამჩირეში, რომლებსაც, მაგრად ხელი რომ არ მოგეჭირათ ცხვირზედ, ვერც-კი გაუვლიდით გვერდით. ეხლა თუ თავისუფლად არა, უფრო მსუბუქად შეიძლება ამ ადგილებში ამოისუნთქოს კაცმა. ხოლერა, ეგ დაუპატიჟებელი სტუმარი ბევრის ქალაქისა, ღმერთმა თავიდგან აგვაცილოს, მაგრამ ისიც კარგი, რომ მისმა მოლოდინმა ათის წლის ნეხვი გადაგვაყრევინა! ტყუილად კი არ უთქვამთ, რომ ზოგი ჭირი მარგებელიაო. ჭირითა და უბედურებით შეძენილს გამოცდილებას ყოველთვის მოაქვს საზოგადოებისათვის სარგებლობა, მხოლოდ ოჩამჩირელებისათვის კი ეს თითქმის ასე არ არის. აი მაგალითიც. ამ წლის ნათლიღება დღეს ტფილისში მომხდარი გარემოება ერთ დროს ოჩამჩირელებსაც ენის წვერზედ ეკერათ: ნათლიღების უბედურება, ნათლიღების „კატასტროფა“, ჩატეხილი ხიდიო, გაიგონებდით ამათ შორის. მაგრამ აი ოჩამჩირის გვერდზედვე არის ბოგირი აძიქვა-ს წყალზედ, იმდენად დაძველებულ-დაზიანებული, რომ თითქმის თითოეულის გამვლელ-გამომვლელის ბედი ძაფზედა ჰკიდია. ქვეითი, ცხენოსანი, მეურმე რის ვაი-ვაგლახით გადი-გამოდიან. აი, ამ დაზიანებულის ხიდის შეკეთებისათვის ყურსაც არ იბერტყს, არც „უჩასტკის“ სამმართველო და არც „სლობოდას“ სასამართლო. აბა ერთი მსხვერპლი შეიწიროს ამ ბოგირმა, მერე რა ჩქარა დატრიალდეს ერთიცა და მეორეც.

მოგეხსენებათ, რომ სოხუმის ოლქი ორს აღმოსავლეთ განყოფილებას შეადგენს კოდორისა და სამურზაყანოისა. ამ ორ განყოფილებათა მცხოვრებთა რიცხვი 50, 000 სულს აღემატება. ამდენის მცხოვრებისათვის დანიშნულია მხოლოდ ერთად-ერთი ექიმი, რომელსაც ბინა ოჩამჩირეში აქვს. ამდენის ხალხის მოთხოვნილებას როგორ აუვიდოდა ერთად-ერთი ექიმი და ჩვენს ამიტომ ჩივილსა და დრტვინვაში ვიყავით, იქნება მეორეც დაგვინიშნონო. ეხლა? ეხლა მეორის მომლოდინეებმა ერთიც დავკარგეთ. საქმე იმაშია, რომ ამ ხანობით ჩვენი

ექიმი, ბ-ნი ბარსკი, სხვაგან იქმნა გადაყვანილი და კაი ხანი გადის იმის გადაყვანიდგან, მაგრამ მისს მოადგილეს ოჩამჩირეში ვერავისა ვხედავთ. ახლა რა ჰქმნას ავადმყოფის პატრონმა ასეთს მდგომარეობაში?! აღმოსავლეთით ზუგდიდს უნდა მიჰმართოს და დასავლეთით სოხუმს. პირველი ჰშორავს ოჩამჩირეს 50 ვერსითა და მეორე-70-ით. ამ სიშორიდგან ვის შეუძლიან დაიბაროს ექიმი, ან რომ დაიბაროს, რაღას მოასწრობს? გეხსომებათ, რასაკვირველია, რომ ისეთი გზები და წყლებია, რომ ამ გზებით ავდარში მოგზაურობისაგან ღმერთმან ყოველი ქრისტიანის სული დაიფაროს. აი, რა გაჭირვებაში ვართ ჩაცვივნულნი უექიმობისაგან, მერე იმისთანა დროს, როდესაც ხოლერას დღე-დღეზედ მოველით. ასეთის მდგომარეობის შესახებ ბ-ნი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს ტელეგრამით სთხოვა ოჩამჩირის საზოგადოებამ და იმედია, ბ-ნი გუბერნატორი ჯეროვანს განკარგულებას მოახდენს. (ივერია, N148, 1892 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

აბჟუვა (კოდორის განყოფილება სოხუმის ოლქისა). კაი ხანია, რაც აბჟუვადგან არ მოგვიწოდებია თქვენთვის არავითარი ამბავი. ეს იმიტომ, რომ ჩვენი ცხოვრება ერთ გვარად მიმდინარეობს, ნიადაგ ერთი და იგივე ჭირ-ვარამი გვაწუხებს, იგივე რიგიანის განათლების ღონისძიებათა უქონლობა, იგივე უგზოობა, იგივე ქურდობა, იგივე უსამართლობა და სხ. და სხ. ერთის სიტყვით, ჩვენი ცხოვრება ერთ გვარად მიმდინარეობს და არც ფერსა ცვლილობს, არც ზნესა. გეხსომებათ, რომ ამ გაზაფხულის პირზედ მთავრობას წარედგინა ერთი ახლად შედგენილი წესდებულება ქურდობის მოსპობისა და თხოულობდნენ იმის დამტკიცებას. ეს ამბავი თავის დროზედ „ივერიაშიც“ იყო მოხსენებული. აი ეს წესდებულება, მთავრობის მიერ დამტკიცებული, დღეს მოქმედებაშია კიდეც. იმის წყალობით ცოტაოდნად უზრუნველ ყოფილი ვიყავით ქურდობისაგან. მხოლოდ ეხლა, ამ შემოდგომაზედ, თითქმის კვლავინდებურად ჩაღდება ისევ ქურდობა. ამის მიზეზი წესდებულების სიავკარგე-კი არ არის, არამედ ის გარემოება, რომ ყოველ კანონს, თუნდა წესდებულებას მხოლოდ მაშინ მოაქვს მოსალოდნელი სარგებლობა, როდესაც ყოველი მუხლი ამ კანონისა ანუ წესდებულებისა, სრულდება უმეტ-ნაკლებოდ თავ-თავისს დროსა და რიგზედ. კანონი, რაც უნდა სამართლიანი და ჩვენთა საჭიროებათათვის ზედ გამოჭრილი იყოს, მაინც ვერ მოიტანს ჯეროვანს სარგებლობას, თუ არ ასრულებენ აღმასრულებელნი მისნი სწორედ, სრულად და სავსებით.

იმედია, ვისიც ჯერ არს, უფრო ერთგულად, უფრო მუყაითად მოეკიდებიან ამ წესდებულების თითოეულის მუხლისა და მოთხოვნილების აღსრულებას, თუ-კი ნამდვილად გული შესტკივათ საზოგადოების კეთილდღეობისათვის. საჭიროა მემატიანემ აღნიშნოს მეორე ამბავიც. ზედამხედველი სოხუმის მთიელთა სკოლისა, ბ-ნი კ. დ. მაჭავარიანი, გადაყვანილ იქმნა სხვაგან და იმის ადგილზედ ახალი დაინიშნა. ამ ახალმა ზედამხედველმა ჩვენის განყოფილების უფროსთან ერთად ურჩიეს სამურზაყანოსა და აბჟუვას წარმომადგენლებს, კომლზედ სამ-სამი მანათი თავად-აზნაურობას და მანეთ ნახევარი გლეხობას გამოეღოთ, თუნდ ერთბაშად, თუნდ სამის წლის განმავლობაში, და დაჰპირდნენ ამ ფულით სოხუმის დღევანდელს სკოლას ოთხ-კლასიან სასწავლებლად გადავაკეთებთ სამეურნეო განყოფილებითაო. საზოგადოებამ თანაუგრძნო ამ რჩევას და სრული თვისი თანხმობა გამოაცხადა. მესამე ამბავიც. აბჟუვაში ერთი სამამასახლისოა-გუფისა, სადაც სცხოვრობს რვაას კომლამდე მოსახლე. ამ სამამასახლისოს ერთი დიდი სოფელი, ტკვარჩელი, მთავრობის ნება-რთვით, ცალკე გავიდა და დაწესდა ცალკე სამამასახლისო ტკვარჩელისა.

ს. ტკვარჩელი იმითია შესანიშნავი, რომ საკუთარი ტყე აქვს ბზისა. დიდი ხანია, ამ ტყის

გაყიდვის ნებართვას თხოულობდა ტკვარჩელი, რათა აღებული ფული სხვა-და-სხვა საზოგადო საჭიროებას მოჰხმარებოდა. ახლა ბ-ნი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი დაჰკითხებია აქაურს ადმინისტრაციას, რამდენი ათასი მანეთი მოუნდება მაგ სოფელს იმ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რაც ანუსხულია მის თხოვნა-არზაშიო. აქაურს ადმინისტრაციასაც მოუხსენებია, ხუთი ათასი მანათი მოუნდებაო. ჩვენ არას მოგახსენებთ ამ ხუთი ათასის მანათის მეტ-ნაკლებობის შესახებ. გადარჩენილი ტყეც ხომ იმავე სოფლის საკუთრებაა და საჭიროებისადა გვარად მერეც შეეძლება მოიხმაროს. ჩვენ აქ ფრიად საყურადღებოდ ორი საგანი მიგვაჩნია: ერთი როგორ იქნება გაყიდული ეს ხუთის ათასის მანათის ბზა? მეორე - როგორ იქნება მოხმარებული საზოგადო საჭიროებისათვის ეგ ხუთი ათასი მანეთი? ეხლაც დიდი მითქმა-მოთქმაა, რომ ამ თავითვე, ჯერ როცა გუბერნატორის მიერ ნება-რთვაც არ არის დამტკიცებული და მოსული, თითქოს სხვა-და-სხვა მოხერხების წყალობით მიეყიდოს ეს ბზა ერთს ვაჭარს, ტომით უცხოელს, საპალნე (12 ფუთი) ხუთ მანეთად, მაშინ როდესაც სხვა აქაური ვაჭრები, როგორც ამბობენ, ექვს მანეთს იძლევიან საპალნეშიო... სად გაგონილა, რომ ამისთანა საქმე ჩუმად და დამალვით გათავებულიყოს. უნდა გაყიდვა მოხდეს საჯარო ვაჭრობით, უნდა გამოცხადდეს გაზეთებში, უნდა ვაჭრობის დღე დანიშნულ იქმნას და სხვა. მეორე, ვიცით ჩვენის სოფლების ვითარება და ამიტომ გვეშინიან, ვაი თუ ეს ხუთი ათასი მანეთი ისე არ იქმნას მოხმარებული, როგორც სასურველია და წინად განსაზღვრული. ეს ხუთასი თუმანი ნამდვილ, აუცილებელ საზოგადო საჭიროებას უნდა მოხმარდეს ჯეროვნად და კეთილ-სინდისიერად. ამიტომ, ჩვენის აზრით, საჭიროა ზედამხედველობა და მეთვალყურეობა გაუწიოს სოფელს არა თუ მაზრისა, არამედ გუბერნიის ადმინისტრაციამაც.

გავიხსენოთ საგულისხმიერო წერილები ბ-ნ მაჩხანელისა. მეორეს მხრით წარმოვიდგინოთ, რა იქნება ხუთი ათასი მანეთი ნაღდი ფული სამას კომლიან სოფლისათვის. კეთილ მოთავეთა შემწეობით აბა რომელი კარგი საქმე არ გაკეთდება ამდენის ფულით. სხვა არა იყოს რა, ამ სოფელს ეხლა არა აქვს სკოლა და არც ახლო-მახლო მოიძებნება სადმე ასეთი სასარგებლო დაწესებულება. აბა, ეს ფული ერთ ხუთ-ექვს წელს ბანკში შეინახონ, თუ იმის სარგებლით ნივთიერად სამუდამოდ უზრუნველ-ყოფილი სკოლა არ დაიარსონ. თუ მარტო სოფლის ნებაზედ იქნება დამყარებული ეს საქმე, თუ საზოგადო სარგებლობისათვის გულშემატკივარი განათლებულთა დასი არ ჩაერია და არ დაეხმარა სოფელს, ვშიშობთ, ეს ხუთასი თუმანი ისე არ მიიფლანგ-მოიფლანგოს, რომ ხუთიოდე წლის შემდეგ მისი ნაყოფი არა სჩანდეს-რა. ღმერთმა ჰქმნას, რომ ეს ჩვენი წინასწარმეტყველება არ აღსრულებულ-იყოს. იმედია, რომ ამ გარემოებას რუსული გაზეთებიც მიაქცევენ თავისს ყურადღებას. (ივერია, N227, 1892 წელი);

გუდაუთი (სოხუმის ოლქი)

გადავრჩით მშვიდობით წრევანდელ ზაფხულის ვაი-ვაგლახს. ხოლერამ წელს ჩვენამდე ვერ მოაღწია და იქნება, ღმერთმა ინებოს, ვერც მერმის მოაღწიოს. ხოლერის შიშით ფერშლებიც ნაზრუნი ჰყავს ჩვენს დაბას, რომელშიაც შარშან აფთიაქშიც დაარსდა. სამწუხაროდ, ეს აფთიაქი მხოლოდ დღისით არის ღია. ამის გარდა, ხშირად დღისითაც დაკეტილია აფთიაქი, რადგან აფთიაქის პატრონი მარტოდ-მარტოა და ხან რა საქმე გაუჩნდება, ხან-რა. სასურველია, რომ ამ სასარგებლო დაწესებულების საქმე უფრო წესიერად მიდიოდეს. (ივერია, N242, 1892 წელი);

გუდაუთი (სოხუმის მაზრა)

გუდაუთელებმა შეძლეს, როგორც იყო, და ერთ-კლასიანი სასოფლო სკოლა დააარსეს აქა. ამ თთვის ოთხიდამ უკვე დაიწყო სწავლა ახალს სასწავლებელში, სადაც მოსწავლეთა რიცხვი ოცამდის არის. მათ შორის ქართველობაც არის, რუსობაც და ბერძნის ქალი, რომელიც რიგიანად ასწავლის წერა-კითხვას ბავშვებს. სწავლება სწარმოებს რუსულად.

იქიდამვე: წარსულის თთვის დამდეგს ერთი უბედურება მოხდა გუდაუთში. აქ მოსახლობს ერთი ბერძნის ქვრივი, სახელდობრ, ლისავა ტეკმაჩევისა, რომელსაც ჰყავდა ერთად-ერთი თორმეტი წლის ვაჟიშვილი. საღამოს ჟამს, ესე რვა საათზედ, ლისავა ტეკმაჩევისა მეზობლებისას იყო. ვაჟიშვილი კი შინ იყო და უცდიდა დედის მისვლას. როდესაც ბავშვმა მოიწყინა დედის დაგვიანების გამო, ადგა და ოთახში დაიწყო აქეთ-იქით სიარული. სიარულის დროს სახლის კუთხეში ყმაწვილი ჰნახამს წამლით გატენილს თოფის „პატრონასა“. აიღებს ერთს თოფის „პატრონას“, მიიტანს სანთლის ალზედ და დაუწყებს თბობას. პატრონა, რასაკვირველია, გახურდება და იფეთქავს დიდის ხმით. ხმაურობაზედ ხალხი მოიყრის თავს, შემდეგ დედაც მოვა და, შევა თუ არა სახლში, ჰნახავს, რომ მისი შვილი ცოცხალ-მკვდარი ჰგდია იატაკზედ. მეორე დღეს ბავშვი სოხუმს გაჰგზავნეს ექიმთან მოსარჩენად, მაგრამ გზაში გარდაიცვალა. (ივერია, N248, 1892 წელი);

დ. ოქუმი (სამურზაყანო)

ჩვენს დაბაში მოსამსახურე-მოხელეებიანად ერთად 306 მოსახლე იქნება. აქ გამართულია ორ კლასიანი სამრევლო სკოლა, რომლის მასწავლებლად ივ. გეგიაა. ამ სკოლის კურს დამთავრებულთ წელს სოხუმის მთიულთა სკოლაში ეგზამენი კარგად დაიჭირეს და მიღებულ იქმნენ. ამ დღეებში აქ გვესტუმრა ზედამხედველი ზემოხსენებულ სკოლისა ბ-ნი ბოღდანოვი, რომელმაც სამურზაყანოს სხვა-და-სხვა თემიდგან ამორჩეულ დეპუტატებს სთხოვა, შემწეობა აღმოგვიჩინეთ და სოხუმის სკოლა ხუთ-კლასიან სახელოსნო სკოლად გადავაკეთოთო. დეპუტატები ოცი-ათას მანეთის ყოველ-წლიურ სარგებელს დაჰპირდნენ სკოლის უფროსს ამ კეთილი საქმისათვის... მეორე დღესვე საერთო თემთა ყრილობა მოახდინეს ჩვენს დაბაში და ასე გადასწყვიტეს: ოცი ათასი მანეთის შესაგროვებლად მთლად სამურზაყანოს მცხოვრებთაგან თავად-აზნაურთა თითოეულ მოსახლემ სამი მანეთი და გლეხთა თითოეულმა მოსახლემ მანეთ-ნახევარი გადიხადოსო. ბ-ნ ბოღდანოვის თაოსნობით ჩვენს პაწია ქალებსაც სწავლის ტაძარი გაეღოთ. სამურზაყანოს ნაწილის მმართველის მეუღლემ, ბ-ნ ბოღდანოვის თხოვნით, თავის სახლში ერთი ოთახი დაუთმო პირველ-დასაწყისს დედათა სკოლას და უსასყიდლოდაც ასწავლის. აგრეთვე უსასყიდლოდაც ასწავლის პაწია ქალებს გეგიას ქალი... პირველ დღესვე 12 ქალი შეგროვდა... აქვე არ შეიძლება მადლობით არ მოვიხსენიოთ პატივცემული მასწავლებელი ჩვენის დაბისა, ზემოთ მოხმენებული ივ. გეგია, რომელიც მშვენივრად ასწავლის შეგირდებს რუსულ გალობასთან ერთად ქართულსაც და აგალობებს ეკლესიაშიც. (ივერია, N256, 1892 წელი);

სოხუმი

გუდაუთში რუსეთის სანავოსნო საზოგადოების აგენტს ივანოვს ავაზაკები დაეცნენ და წაართვეს 6 ათასი მანეთი და მიიმალნენ. სწორედ მაშინ მოასწრეს ივანოვს გასაძარცვავათ, როცა შინისაკენ მიდიოდა. ამ საქმის ადგილობრივ გასარჩევად წაბრძანდა ოლქის უფროსი პოლკოვნიკი ბრაკკერი. (ივერია, N258, 1892 წელი);

***

სოხუმის მცხოვრებლები სთხოვენ გაზ. „H.O.” შემწეობით საფოსტო მმართველობას, ყურადღება მიაქციეთ ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობასაო. რაც მისვლა-მოსვლა გემებისა გამოიცვალა, ნოემბერს აქეთია ფოსტა ისევ კვირაში ერთხელ მოგვდისო. იმედი აქვთ სოხუმელებს, რომ მთავრობა ყურადღებას მიაქცევს ამ საქმეს, როგორც წარსულ წელში. /ბრაკკერი/. (ივერია, N258, 1892 წელი);

გუდაუთი

აქ ძლიერ გავრცელებულია ძარცვა-გლეჯა და ქურდობა. ადგილობრივ მღვდლის მოჯამაგირეს ოთხმა აფხაზმა წაართვა ცხენი, მღვდელსავე ლიხინაში მოჰპარეს ხარი, ცხენი და კამეჩი. მუგუძირში მღვდელსავე მოჰპარეს 54 ვედრა ღვინო. ამ გვარი შემთხვევა არა ერთი და ორია ჩვენში. სოფ. ზვანდიბშიც ერთს მღვდელს უნაგირი მოჰპარეს. ის იყო გამოიყვანა თუ არა მღვდელმა ცხენი და უნდა შემჯდარიყო, მიუახლოვდა ერთი აფხაზი და დაუწყო ლაპარაკი. მეორე აფხაზმა ამით ისარგებლა, მოხადა ცხენს უნაგირი და გაიქცა. (ივერია, N264, 1892 წელი);

გუდაუთი (სოხ. ოლქი)

ამ წინაზე ჩვენს მკითხველებს ვუამბეთ, რომ აგენტს ივანოვს დაეცნენ ავაზაკები და ფული წაართვესო. აი როგორ იყო ეს საქმე. გემი საღამოს 7 ½ საათზედ მოვიდა გუდაუთში. ივანოვს უნდა გადაეცა ფული გემის უფროსისათვის. ივანოვს პორთფელში ჰქონდა 6,500 მანეთი, ჯიბეშიაც 1,200 მ. ეს ფული გუდაუთში შეკრიბა. თითონ ივანოვი ამბობს, მივუახლოვდი თუ არა გემსაო, ვიღაცა მამეპარა ჩუმად, თავში დამარტყა რაღაც და ძირს დავეციო. ცოტა ხანს უკან გონს მოვედი და ვნახე, რომ პორტფელი წაეღოთ. მერე ეს პორტფელი იმ ალაგას იპოვნეს, სადაც ავაზაკი დამეცა. პორტფელში ფული აღარ იყო. მკურნალმა, რომელმაც ივანოვი გასინჯა, სთქვა, რომ ივანოვს სრულიად არ ეტყობოდა, რომ თავში დაურტყამთო. ამას გარდა ივანოვის ტანთსაცმელი სრულიად სუფთა ყოფილიყო, თუმცა იმ დღეს დიდი წვიმა მოდიოდა და უეჭველად ტანთსაცმელი ტალახით უნდა ჰქონიყო მოსვრილი, მართლა რომ ისე მომხდარიყო ეს ამბავი, როგორც ივანოვი ამბობს. (ივერია, N265, 1892 წელი);

სამურზაყანო

აგერ ორმოცდა-ათი წელი სრულდება მას აქეთ, რაც დ. ოქუმი დაარსდა. ამ ხნის განმავლობაში დიდი სარგებლობა მოუტანა დ. ოქუმმა სოხუმის მთელს ოლქს და განსაკუთრებით სამურზაყანოს. ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებამ დიდი ხანია გაჰმართა აქ თავის ხარჯით ორ-კლასიანი სამრევლო სკოლა. ამავე საზოგადოებამ ააშენა ოქუმში სამი-ოთხი სხვა შენობაც ეკკლესის კრებულისათვის. მთავრობამაც ოქუმშივე ააშენა პოლიციის სამმართველოსთვის დიდი ორ-სართულიანი სახლი, რომელიც ათასთუმნამდე დაჯდა. სამურზაყანოს მკვიდრთა შორის გაცოცხლდა სურვილი სწავლისა და მრეწველობისა, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ზოგიერთ გავლენიან კაცებმა მოისურვეს დ. ოქუმიდგან სხვაგან გადატანა პოლიციის სამმართველოსი და მთელის დაბისა ისეთ ალაგას, სადაც ციებ-ცხელება იცის. (ივერია. N276, 1892 წელი);

მთავრობის განკარგულებანი

სოხუმის სათადარიგო ჯარის პოდპორუჩიკი გედევანიშვილი გადაყვანილ იქმნა განჯის 156-ის პოლკში. ებოძათ: ტიტულიანი სოვეტნიკობა კრასნოვოდსკის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის თანაშემწეს პლატონ ჯაყელს; კოლეჟსკი სეკრეტრობა-ბაქოს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელეს არღუთინსკი-დოლგორუკოვს. (ივერია, N278, 1892 წელი);

1892 წელი

ჟურნალი ,,მწყემსი''

საისტორიო მასალა. სია აბხაზეთის კათალიკოზთა (†) (1389-1796 წ.)

არსენი 1389-1425. ესე იყო პირველი კათალიკოზი აფხაზეთისა, დადგენილი გიორგი მეფისაგან (ცხოვ. იმერეთ. 183 გვ.) სხვა-და-სხვა წყაროებიდამ ამა არსენიმ შეადგინა მოთხრობა (სვინაქსარი) წმ. აბიბოს ნეკრესელისა. არსენის დროსვე შეირყა ორმოციოდე წლის განმავლობაში დამოუკიდებლობა აბხაზეთის საკათალიკოზოსი მძლავრებისა გამო ქართლის მეფეთა (გიორგი, ალექსანდრე და ვახტანგ 1407-1450 წწ.) და ამ ხნის განმავლობაში ისევ მცხეთის კათალიკოზი განაგებდა აბხაზეთის ეკკლესიას. აბხაზეთის საკათალიკოზო განმტკიცდა იმერეთის საკათალიკოზოს განმტკიცებასთან ერთად, სახელდობრ 1464 წლიდამ, როდესაც ბაგრატ მეფემ ოსმალთა მომხრეობით დააუძლურა ქართლის მეფენი. იოაკიმე. 1464-1486. წინად ბედიელ-ცაიშელი, განმგე საკათალიკოსოსი. აბხაზეთის (იმერეთის) ეკკლესიის განცალკევებისათვის დიდაც იღწვოდნენ იდუმალ საბერძნეთის სამღვდელონი, რომ ამით დაემცირებინათ გავლენა მცხეთის კათალიკოზისა. ბაგრატ მეფის გაძლიერებით ისარგებლა ანტიოქია-იერუსალიმელ პატრიარქმა მიხაილმა, მოვიდა ქუთაისში და 1480 წ. ესე იოაკიმე აკურთხა კათალიკოზად აბხაზეთისა, სიხარულით შემწყნარებელმა იმერეთის სამღვდელოების სურვილისა - «განდგომად მორჩილებისაგან მცხეთის კათალიკოზისა». სტეფანე 1487-1516 წ. იხ. сватения, წერილი დ. ბაქრაძისა, 84 გვ. მალაქია I 1519-1542 წ. აბაძიძე. ამა მალაქიას წინადადებით ბაგრატ მეფემ განჰყო ლიხთ იმერი სამ საეპისკოპოსოდ, სადროშოდ. გელათის საეპისკოპოსო ამ დროს დაარსდა (ქართ. ცხ. 271 გვ.) 1533 წ. მალაქიამ აკურთხა ხონის ეპისკოპოსი მანოელ მიძეთიძე. ამ წელსვე წარვიდა ჯიქეთში და საფასითა გამოიხსნა გვამი მუნ მოკლულის გურიელისა და მრავალნი ტყვენი. ევდემოს I. 1544-1578 წ. ჩხეტის ძე. გარდაიცვალა 1578 წ. ზაფხულში. ეფვთიმე I. 1580-1612 წ. საყვარელიძე. აღმწერელი საეკკლესიო წიგნთა. ამმის ჟამს იყო (1605 წ.) კრება «განმართვად წესთა საკკლესიოთა და ზნე-ჩვეულებათა». მალაქია II. 1613-1642 წ. ძე გურიელის გიორგი II. წინად ცაიშელ-ჯუმათელ-ხონელი. იმერეთის მეფე გიორგიმ ეს მალაქია და ლევან აბაშიძე გამოუგზავნა ძღვნით სურამში მდგომს (1615) მძვინვარე შაჰაბაზს და სთხოვდა თეიმურაზ და ლუარსაბ მეფეთა შენდობასა და სამეფოთა დაბრუნება, გარნა ამაოდ (ქართ. ცხ. 38 და 197 გვ.) იხ. მშვენიერი ადგილი «არჩილიანისა» 65-67 გვ. პ. იოსელ. გამოცემა. მიწის ძვრისაგან შემუსვრილი ცაიშის ტაძარი განაახლა 1619 და შეამკო ტაძრის ხატი. (салезн. руковод. къ позн. Кавказа 66 გვ.) გრიგოლ I. 1612-1659 წ. ამა გრიგოლმა ამხილა შემწვარის ძაღლის გაგზავნით დადიანს ლევანს 1640 წ. ტყვეთა განსყიდვა მაჰმადიანთადმი. დროთა შლილობისაგან ერთ ჟამს სამნი იყვნენ კათალიკოზნი: ხან ერთი კათალიკოზობდა, ხან მეორე, ხან მესამე. მაქსიმე I. 1628-1657. მაჭუტაძე. ესე მაქსიმე დადიანმა აღიყვანა საკათალიკოზოსა ტახტსა ზედა, ვითართა ერთგული თვისი 1628 წ., ხოლო გრიგოლ დაამხო. გარნა დროთა შლილობისაგან და ჟამთა დაუდგრომელობისა გამო

ესე მაქსიმე წარვიდა იერუსალიმს 1640 წ. და დაადგრა მუნ; ხოლო კათალიკოზ იქმნა კვალად გრიგოლ. 1640 წ. 8 თებერვალს მაქსიმემ ინახულა რუსის დესპანი მოქვის ტაძარში (ელჩინი) და აჩვენა სიწმინდენი: თეთრი ქვის თითის ტარი ღვთსმშობლისა და წმ. სტეფანეს ნაწილნი (переп. груз. ц. съ. русс. госуд. LIX გვ.) მაქსიმე მიიცვალა იერუსალიმის ჯვარის მონასტერში, სადაც ახატია კიდეც და მუნვე დაეფლა. ბესარიონ I. 1647-1656 წ. ცდილობდა თეიმურაზ მეფისა და ლევან დადიანის შერიგებასა, მაგრამ ვერ მოახერხა: ოსმალთა პოლიტიკამ ძირს დასცა ძლიერება იმერ-ამერ მეფეთა და მათგან გათამამებული და თავ-გასული ლევანი საქართველოში პირველობასა ჩემულობდა. (переп. LXI გვ.) *) დაწვრილებით ცნობები აბ-ხაზეთის საკათალიკოზოს დაარსებაზედ მოყვანილი გვექმნება „საქარ. ეკკლეს. მოკლე მიმოხილვაში“. /პ. ცხვილოელი/. (შემდეგი იქნება). (მწყემსი, №10, 1892 წელი);

საისტორიო მასალა
სია აბხაზეთის კათალიკოზთა
(1389-1796 წ.)

(გაგრძელება*) ზაქარია 1657-1659 წ. ქვარიანი. წინად გენათელი. ოსმალთა მძლავრებისა გამო შავის ზღვის მიდამოებში, ამა ზაქარიას ჟამს (1657 წ.) საკათალიკოზო ტახტი ბიჭვინტიდამ გადმოტანილ იქმნა გელათში, სადაც ზაქარია მიიცვალა და ასაფლავია დიდი ტაძრის ჩრდილოეთ სამწირველო კარის-ბჭეში; მისი საფლავის ქვა დღესაც მოჩანს. იყო დიდი მოყვარე მწიგნობრობისა: ამის გენათლობას აქვს გადაწერილი შესანიშნავი გულანი მონასტრისა. სიმეონ I 1660-1666 წ. ჩხეიძე. ვგონებ ესე იყო უფროსი ძმა სახლთხუცესის სეხნია ჩხეიძისა. დავით 1666-1676 წ. 1682-1705 წ. ნემსაძე. რაღაც შემთხვევისათვის მალე დაამხეს კათალიკოზობიდამ; შემდეგ ისევ აღიყვანეს. ამან აკურთხა მიტროპოლიტად შემოქმედელი იაკობ დუმბაძე 1682 წ. ევდემოს II. 1667-1669-1700 წ. საყვარელიძე. კაცი მაღალის სათნოებისა. მწიგნობარი, აღმწერი საკათალიკოზო კანონთა. ეფთვიმე II. 1669-1674 წ. საყვარელიძე. ამის ბრძანებით აღიწერა ცაიშის გულანი იბ თთვესა; იყო მომხრე ბაგრატ იმერთა მეფისა. სიმეონ II 1675-1681 წ. ძე სეხნია ჩხეიძისა, თანამოაზრე ნაბერალის გიორგი აბაშიძისა. წინად ქუთათელი. (Гуджарни 147 გვ). ნიკოლაოზ 1705-1710 წ. ამან აღწერა განმარტება საღმრთოთა წერილთა და ისტორია; უკანასკნელ დაამხეს კათოლიკობიდან მხილებისათვის ქრისტეანებრივ წესთა გარყვნისა დადიანისაგან და სხ. გრიგოლ II. 1700-1742 წ. ბეჟან ლორთქიფანიძის ძე. ამან შემოსა ბერად და აკურთხა გელათის მონასტრის წინამძღვრად სახელოვანი ანტონ I. ამა გრიგოლს სწერს ეპისტოლეს პატრიარქი იერუსალიმისა დოსითესი ადრიანოპოლიდამ 1701 წ. სექტემბერში. მომხრე ქართლის მეფის ვახტანგ VI ლევანის ძისა ნიკოლოზ გენათელთან ერთად; იყო კაცი გონიერი, დიდი გავლენა იქონია მაშინდელ (1705-1720 წ.) აწეწილ სამეფო საქმეთა დაწყნარებაში, ამის მეცადინეობით გამეფდა გიორგი ალექსანდრეს ძე მეფედ, ხოლო გიორგი აბაშიძე (მეფე) დამდაბლდა. ამანვე შეარიგა ლიპარტიანი გიორგი თავის შვილს ბეჟანს 1715 წ., რომელმაც პატიმარ ჰყო მამა თვისი ციხეში ღალატით. გერმანე 1742-1750. ბესარიონ II. 1752-1779 წ. რაჭის ერისთავს (ვგონებ შოშიტას) ძე. საკათალიკოზოს განაგებდა 1756-1761 წ. 1791 წ. ცოცხალი იყო. 1756 წ. თავის ძმას, რაჭის ერისთავს-მოჰყვა თან ტფილისში შუამავლად მამია გურიელისაგან თეიმურაზ და ირაკლი მეფეებთან და ითხოვდნენ შეწევნასა (ოსმალთაგან ჩამორთმეული ჰქონდა გურიელობა); მეფეთა ამათ მიიღეს დიდის პატივით და ალავერდელის მეტოქი მისცეს ბინად; მისწერეს ახალციხის ფაშას შერიგება და გურიელების დაბრუნება. ფაშამ აღასრულა მეფეთა სურვილი. ბესარიონი დიდის საშოვრით გაისტუმრეს ტფილისიდან. (469 გვ. ქართ. ცხ). იოსებ 1772-1783 წ. ძმა მეფის სოლომონ დიდისა. მაქსიმე II. 1776-1783 წ. აბაშიძე. ესე მაქსიმე ორჯერ იყო რუსეთში წარგზავნილი, ვითარცა დესპანი მეფეთა: პირველად 1769 წ. სოლომონ I წარგზავნა მოსკოვ-

პეტერბურგში შემწეობის სათხოვნელად წინააღმდეგ ოსმალთა, ამ დესპანობის შედეგი იყო გენერალ მაიორის ტოტლებენის ქართლიდან გადასვლა (ასპინძის ომის შემდეგ) იმერეთში და ბრძოლა ოსმალებთან 1770 წ. მეორედ წარგზავნა მეფემან დავით (1783 წ.?) ზურაბ წერეთელთან ერთად. ზურაბი უკანვე მოიქცა სამშობლოდ, ხოლო მაქსიმე დაშთა რუსეთში და 1787-1789 წ. სცხოვრებდა მოსკოვის ვისოკოპეტროვის მონასტერში; 1789-1792 წ. სცხოვრებდა ასტრახანის ღვთაების მონასტერში. აქედამ მოისურვა მოხილვა იერუსალიმისა და ათონის მთისა, ნებაც მოუვიდა, გარნა სნეულებისა გამო დაშთა კიევში და 1792-1795 წ. სცხოვრობდა მღვიმის (Печерская) ლავრაში, სადაც გარდაიცვალა და დასაფლავდა 30 მაისს 1796 წ. (იონა მიტროპ. მოგზაურობა. 140 გვ.). /პ. ცხვილოელი/. (მწყემსი, N11, 1892 წელი);

1893 წელი

გაზეთი ,,ივერია''

სუხუმი

სუხუმი, როგორც ეტყობა, თანდათან წინ მიდის. ქალაქი დღითი-დღე იზრდება, მატულობს. წელს გულ-სუსტთა რიცხვმა იკლო; მიზეზი გახლავთ არა სუხუმის ჰავის უვარგისობა, არამედ ხოლერა, რომელმაც ყველა დიდად ,,შეაშინა''.

იქიდგანვე: 19 დეკემბერს ჩვენს ქალაქში იყო დეპუტატთა არჩევნები. ჩვეულებისამებრ აირჩიეს ორი დეპუტატი და ორი კანდიდატი. არჩევნების დროს დაესწრო ჩვენი ახალი უფროსი ბატონი ბრაკკერი, რომელმაც საზოგადოებას, სხვათა შორის, უთხრა: თქვენთვის, როგორც მე მგონია, კარგი იქნება ახალი საქალაქო დებულების შემოღება. მაგრამ უმჯობესია ამ საგანზედ კარგად მოიფიქროთო. საზოგადოებას ეს აზრი ძლიერ მოეწონა და აირჩია კომისია და დაავალა ამ საქმის დაწვრილებით განხილვა. კომისიამ თავისი აზრი უნდა წარუდგინოს, ვისაც ჯერ არს, ამ იანვარში. ჩვენის მხრივ ვისურვებთ, რომ სუხუმს მალე ეღირსოს ახალი საქალაქო დებულება. (ივერია, N2, 1893 წელი);

ახალი ამბავი

სუხუმი: აქ ერთმა სამსახურ გარეშე მყოფმა პოლკოვნიკმა ამ ბოლოს დროს განიზრახა შედგენა დამზოგველ ამხანაგობისა. აქ ყველაფრის დიდი სიძვირეა და ამიტომ იმედი აქვთ კაი სამსახურს გაუწევს ეს ამხანაგობა თავის წევრთ. საშიშია მხოლოდ, რომ ამ საზოგადოებას იგივე შედეგი არ მოჰყვეს, რაც სხვა ამგვარ საზოგადოებათ მოჰყვა ჩვენში.

იქიდამვე: სუხუმელი ვაჭრები სჩივიან, ვაჭრობა არა გვაქვსო, და ჩვენ თვალწინ-კი ამ შვიდისა და რვა წლის განმავლობაში ისეთი კაცები გამდიდრდნენ, რომელთა თავნი ფული იყო არა უმეტეს ოთხას-ხუთასის მანეთისა. რიგიან ვაჭარს აქ ბლომად შეუძლიან შეიძინოს ფული. ჩვენ ჩვენის მხრივ ვურჩევთ, ამისთანა ვაჭარნი მოვიდნენ აქ და დაიწყონ ვაჭრობა, არას წააგებენ და ხეირს-კი დიდსა ჰნახავენ. (ივერია, N4, 1893 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

დ. ოქუმი (სამურზაყანო 8 იანვარს). ოქუმის საზოგადოებას დიდი ხანია, აქვს მთავრობის მიერ მიზომილი ტყე ბზისა. ეს ბზა, როგორც ერთად-ერთი ნუგეში ჩვენის წარმატებისა, დიდ ბედნიერებად მიგვაჩნია. მართლაცა და, თუ ეს ბზა გავყიდეთ რიგიან ფასად, ცოტა სიკეთეს არ მოუტანს ოქუმლებს. ამას წინად ამ ბზას ბევრი მყიდველი გამოუჩნდა. უნდოდათ ძვირფასი საქონელი იაფად ჩაეგდოთ ხელში, მაგრამ აქაური მომრიგებელი შუა-კაცი მოგვეხმარა და მათი სურვილი ვერ შესრულდა. ახლა საქმე მთავრობაზეა დამოკიდებული. იმის ნებადაურთველად ჩვენ ამ ტყეს ვერ გავყიდით. როგორც ისმის, ეს ნებართვაც მალე მოვა. საჭიროცაა, რომ მალე მოგვეცეს ეგ ნება, მხოლოდ საზოგადოებას დიდი წინ-დახედულობა ჰმართებს მაშინ. ძლიერ კარგი იქნება მოზარდი ბზა ჯერ-ჯერობით არ მოიჭრას, რომ ჩვენს შემდეგაც, ჩვენმა შვილებმა ისარგებლონ ამ ძვირფასის ტყით, ხოლო ხანს გადასული ბზა-კი უნდა გაიყიდოს საჯარო გასყიდვით ერთ ერთს ჩვენს საგუბერნიო ქალაქში, რათა ჩვენმა წვრილმა ჩარჩებმა არ ჩაიგდონ ხელში იაფად; თუ ეს ამნაირად არ მოხდა და ადგილობრივ მოხდა გაყიდვა ბზისა, ისარგებლებენ ამით ჩარჩნი და ჩალის ფასად დაინარჩუნებენ, რადგანაც საჯაროდ გასყიდვის დროს მეტოქეთა რიცხვი ცოტა იქნება ამ მივარდნილ მხარეში. მით უფრო საფიქრებელია ამათი გამარჯვება მოხსენებული საქმეში, რომ კარგი დუსტები არიან ზოგიერთ ჩვენის სოფლის გავლენიან კაცებისა. ზემოდ მოვიხსენიეთ, რომ საჭიროა ტყე მალე გაიყიდოს. ეს იმიტომ არის საჭირო რომ ტყე ხანს გადასულია და უმეტეს ნაწილი მისი უსარგებლოდა ლპება, მით უფრო საჭიროა რომ ამ მოკლე ხანში ოქუმლები აპირობენ ქვის ეკკლესიის აშენებას. თუ ეს ბზა გაიყიდა, აღებული ფულით ეკკლესიასაც ადვილად ააშენებენ და სხვა კეთილ საქმესაც სისრულეში მოიყვანენ. ქურდობისაგან ორი-სამი თვე გავიდა მოსვენებული ვიყავით, მაგრამ წარსულ წლის მიწურულში ორი-სამი მაგალითი კი იყო ქურდობისა. დეკებერმა სრულად და იანვარმა დღემდე მშვენიერი დარები დაიჭირა; თოვლი გვენატრება და არსადა სჩანს. /ი. გეგია/. (ივერია, N8, 1893 წელი);

დღიური

სუხუმი, 12 იანვარს: აქ ხან წვიმაა, ხან - კი კარგად თბილა. ამ სამი-ოთხის დღის წინად ზღვა საშინლად აღელდა. ღელვის დროს დაიღუპა ერთი ბარქასი, რომელიც ბულვარის მახლობლად ნაპირას გამოაგდო, ლუკმა-ლუკმად ნაქცევი. ღელვისავე ბრალია, რომ ზღვამ ყასაბხანა მოიტაცა. ბულვარზედ ერთ ორს ადგილას მიწამ დაიწია. საშინელი, მაგრამ თან მშვენიერი სანახავი იყო განრისხებული და აბობოქრებული მღელვარე ზღვა! (ივერია, N14, 1893 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

დ. ოჩემჩირე, 4 იანვარი, როგორც იყო გადმოვხაბაკდით ამ 1893 წელში, დარები მშვენიერი დაგვესწრა. წარსულ ზაფხულის მომგონე, ვინ მოელოდა ამ ბედნიერ დღესა. იმის შემხედვარე, რასაც აქ წარსულს ზაფხულს ვხედავდით, ყველანი ღმერთს ვევედრებოდით: „ღმერთო, მშვიდობით დამიღამეო“, ეხლა-კი, მადლობა ღმერთს, ჩვენი დაბა ხოლერის მამობილმა, 1892 წელმა, მშვიდობიანად ჩააბარა თავის ახალგაზდა მოადგილეს და უთხრა: გაბარებ რა სხვათა შორის, დაბა ოჩემჩირეს, გაფრთხილებ, რომ, თუ ვინიცობაა განიზრახოს ვინმე ხოლერის წინააღმდეგ ხმის ამოღება, მაშინვე კისერი მოუგრიხე; არავინ გაბედოს დაბის დასუფთავება, ჭაობიანის ადგილების გაშრობა, თხრილების ამოწმენდა;

ერთის სიტყვით, მომავალი ზაფხულისათვის ყოველივე ისე იყოს, როგორც ეხლაა. ცხენების და სხვა შინაურ პირუტყვთა ქურდობას, სახლების ტეხსა და სხვა ამ გვარ საქმეებს თავი დავანებოთ, როგორც უნდა, ისე იწარმოვოს, ეგ ჩვენი მოვალეობა არ არის; შენ მხოლოდ ხოლერის სასარგებლო საქმეს ეცადე. აი, სხვათა შორის, უნდა იქონიო ყურადღება, რომ მდინარე აძიყვაზედ, რომელიც დაბას ერთ ვერსზედ ჩამოუდის, ხიდის გაკეთება არავინ გაბედოს; ეს იმისთვის არის საჭირო, რომ ამ ხიდის, (როდესაც არსებობდა), ერთად-ერთი ღონეა დაბასა და სოფლებ შორის მიმოსვლისა; ამ ხიდზედ უნდა გამოატარონ ყოველივე ისა, რაიცა საზოგადოდ ეძლევა სასყიდლად სოფლიდან ქალაქსა, ანუ დაბასა: ყველი, კვერცხი, ქათამი, ინდაური, ბატი, ფქვილი, შეშა და სხვა; თუ ღმერთმა ქმნა და ზაფხულში ეს ხიდი გაუკეთებელი დარჩა, იცოცხლე, ხოლერას ამ გარემოებამ კარგად შეუწყოს ხელი; იმიტომ რომ ზაფხულობით აქაურნი ხშირად მოკლებულნი არიან ხორცეულს საზრდოს; მაშინ ყოველ დღე საკლავი არ იკვლის და, თუ სოფლიდან სანოვაგე ვერა ჩამოიტანეს-რა, მეტი რაღა გზა ექნებათ, იმითი არ ისაზრდოვონ, რაც ხოლერის „ბაცილებსაც“ ასაზრდოვებს. ამას გარდა, ვინ იცის, ამ ზამთარშიაც შეიძლება რამდენიმე ადამიანი იმსხვერპლოს ხიდის უქონლობამ; გაჭირებულები ხომ ბევრნი მიდიან და მოდიან; ამის მეტი გზა არა აქვთ. მაშ, ან უნდა გავიდნენ წყალში ფონზედ (ზღვის შესაყარში) და ან უნდა დაირჩონ; თუ დაირჩო, ხომ კარგია; ამას წინად არ იყო, მაგალითად, ერთი ცხენოსანი კაცი ჩავარდა ამ წყალში, ცხენი დაირჩო და კაცი გადარჩა; ჩვენთვის სულ ერთია, გინდ წყალს დაურჩვია, გინდა ხოლერას უმსხვერპლია. ჩვენი სურვილი ხომ ის არის, რომ მომეტებული იყოს რიცხვი მსხვერპლთა. ასეა, ბატონო. ადამიანს მრავალი მტერი ჰყავს. ჯერ თვითონ ადამიანი და მისი სიავე, ბოროტება; მერე მისი უზრუნველობა, მერე სიცხე, სიცივე, თოვლი და ქარი, ნესტი და შმორი, ჭაობი და ნაგავი, ათას გვარი სენ-გამჩენი ბაცილები, მერე უგზო-უკვლობა, გზა-დაბნეულობა, სიჩერჩეტე დ სისულელე. ვინ მოსთვლის! აუარებელი მტერი ჰყავს და აბა, რა გასაკვირველია, რომ დროც, ჟამთა ბრუნვაც მისი მტერი იყოს. არა, ამ 1893 წლისაც უნდა გვეშინოდეს, თუ ჭკუა გვაქვს. მერე რუსებს ტყუილად-კი არ ეჯავრებათ რიცხვი „ცამეტი“. ეს წელიწადიც სწორედ მაგ რიცხვისაა: ათას რვაას ოთხმოც-და ცამეტი. რა გვენაღვლება, ვიყურყუტოთ. აბა, თუ ცა მეტია, დედამიწა შევიტკბოთ, წუთი-სოფელი გავიხანგრძლიოთ. /ბახვას სკუა/. (ივერია, N21, 1893 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

სუხუმი. იმ დროს, როდესაც რუსეთის ყოველ კუთხიდამ საშინელის ცივისა და თოვლიანის ზამთრის ამბები მოგვდის, ჩვენ, სოხუმელებს, არ გვჯერა და ვერც წარმოგვიდგენია, თუ მართლა არის სადმე ისეთი ქვეყანა, სადაც ყინვისაგან კაცები იხოცებიან. მიზეზი ამისი ის გახლავთ, რომ ამ ჩვენის ქვეყნის კურთხეულ მხარეს იანვარში ვარდი და ია დაუზრელად ჰყვავის. თოვლი ხომ იშვიათი მოვლენაა. ხშირად მოხდება ხოლმე რომ შვიდ-რვა ვერსის მანძილზე სუხუმიდამ ჩამოთოვლავს, აქ კი მაინც თბილი, უთოვლო დღეები სდგას. წლევანდელი ზამთარი ხომ შარშანდელზე გაცილებით თბილია. შარშან იმდენი მაინც ჩამოთოვლა, რომ ორი დღე ჩვენებურმა მანდილოსნებმა, ამ მარხილის მოტრფიალეთ, მაინც ისრიალეს სუხუმის სწორ და ფართო ქუჩებში. წელს ამ ბედნიერებას მოაკლდნენ ყველანი ერთობით. ცოტა არ იყოს 25 იანვარს გული გაგვიმხიარულდა, გვეგონა მოგვხედა ღმერთმა და მოგვივლინა თოვლი, მაგრამ ძრიელ მოვსტყუვდით. თოვლმა ძლივს დაჰფარა ჩვენი თბილი ნიადაგი, რომელიც ერთის საათის შემდეგ ისევ განიწმინდა და თოვლის ნაცვლად მწვანე ბალახივე დაგვანახვა. აი ეს არის ჩვენში ზამთრის სეზონი, კიდევაც გავიდა და დაგვიდგა გაზაფხული. ზამთარი - ასეთია სუხუმისა და გაზაფხული ხომ ნეტარებაა. სამოთხეს რომ იტყვიან, გაზაფხული სწორედ ის გახლავთ. აქ, სუხუმის მიდამო ხომ სულ

მთა-გორიანი ადგილია, როგორც მოგეხსენებათ, და ამ მიდამოს შესდევს აუარებელი ბულბული და სხვა ფრინველი. ბულბულსაც-კი კარგად სცოდნია ადგილის არჩევა. ასე გგონია, მთელის დედამიწის ზურგზე რაც ბულბულია, ყველა აქ შეყრილა და შესტრფიან ამ ტურფა ქვეყანასაო. არ მოტყუებულან ეს საკვირველი მგოსან მგალობელნი. აქ ამათ, გარდა გარეულის ნადირისა, არავინ შეურყევს მშვიდობიანობას. სცხოვრობენ თავისუფლად, საჭმელი ბლომადა აქვთ და აბა მეტი რაღა უნდათ. იფრთხიალონ აქაური ბუჩქებში და იმღერონ. მართალია აქნობამდე აქაურნი მცხოვრებნიც, ბულბულის გალობის ბრალი იყო, თუ სხვისა რისიმე, ძილს ვიყავით მიცემულნი, მაგრამ აგერ რამდენიმე წელიწადია, გამოვიფხიზლეთ და მივყავით ხელი შრომას. ჯერ ჩვენი კავკასია, საზოგადოდ, მშრომელს კარგა აჯილდოებს, და ეს სუხუმის არე-მარე ხომ ერთი-ათად უფრო მეტ ხეირს აძლევს გამრჯელს კაცს, ვიდრე სხვა კუთხე ჩვენის სამშობლოსი. რა გინდა, რომ აქ არ მოვა. მხოლოდ გაისარჯე და შენი ოფლი ზღვად გასკდება. სუხუმის მიდამო ადგილებში აგერ ხუთი-ექვსი წელიწადია, რაც ვენახების გაშენებას მიჰყვეს ხელი. ვენახის ყველა პატრონები დიდი მადრიელები არიან თავიანთის ვენახებისა. ერთი რომ, ვენახი მოსავალს იძლევა უხვს და ამასთანავე საუცხოვო ღირსების ღვინო დგება. აქაურ ბაღების ღვინო ერთის წლისა მოსკოვში 8-10 მანეთად იყიდება ვედრა. თუ მშვიდობა იქნა, ძრიელ ცოტა ხნის განმავლობაში სოხუმის ღვინო ისეთს სახელს გაიკეთებს ბაზარში, როგორც ყირიმის ან სხვა ადგილების ღვინომ გაიკეთა. ჩვენი ქალაქი თანდათან იზრდება და მატულობს. ის ადგილები, რომელიც ამ ხუთ-ექვსის წლის წინად საჭენი ხუთ-ექვს შაურად იყიდებოდა, ამ ჟამად ორ სამ მანეთად ისყიდება. ერთადერთი ჩვენი უბედურება ის გახლავთ, რომ თვითმმართველობა არა გვაქვს. მართალია ამ ბოლოს დროს ახალი საქალაქო დებულების შემოღებას დაგვპირდნენ, მაგრამ ჯერ იმედით გულს ვერ ვიმხიარულებთ. ბევრმა ამ გვარმა იმედებმა უბრალოდ ჩაგვიარა. შეიძლება ამანაც ისე ჩაგვიაროს. არ ვიცი-კი, რის მიზეზია, და ჩვენ სუხუმლები, ძრიელ უხვი გამცემნი და ქველმოქმედების მოყვარულნი ვართ. ჩვენ, როგორც მოგეხსენებათ, ომიანობის დროს ხომ სულ გაგვანადგურეს; ის შავი დღე, რაც მაშინ სუხუმს დადგა, ტფილისსაც არ დასდგომია აღამახმადხანის დროს. როგორც ტფილისი, ისე სუხუმიც კვალად ჩქარა აღსდგა ნაოხრთაგან და გამშვენდა. ბევრი-კი სრულიად გაღატაკდა და წელში ვერ გაიმართა, მაგრამ ბევრმა კი ზურგი კარგად გაიმაგრა. მიუხედავად ასეთის აოხრებისა, ჩვენ, სუხუმელებმა, ავიღეთ და ამ სამის წლის წინად შიგ შუა გულ ქალაქში ორი სახლი და ნახევარ-დღიური ადგილი მივეცით სოხუმის საეკკლესიო სკოლას, ამავე დროს, რომ გული არ დასწყვეტოდა, სუხუმის სამთო-სკოლას გარდავეცით ასი დღიური მიწა, სუხუმის საეპარქიო სახლისათვის ვიყიდეთ ხუთას თუმნად ღირებული ადგილი და გარდავეცით კუთვნილებისამებრ. აქაურ ეკლესიის შენობა ძლიერი პატარა იყო და ამის გასადიდებლად რამდენიმე ათასი მანათი გავიღეთ. ამას წინად აქაურ პროგიმნაზიის სასარგებლოდ, ქ-ნ აღ. შერვაშიძის მეცადინეობით, ლოტარეია-ალეგრი გაიმართა და ათას მანათზედ მეტი შეგროვდა და გარდაეცა კუთვნილებისამებრ. სცენის მოყვარულთ აღარ ბრძანებთ! იმართება წარმოდგენა წარმოდგენაზე: ეს ტუსაღთა სასარგებლოდაო, ეს ღარიბის სტუდენტების ხელის-გასამართავადაო, ეს სასწავლებლის სასარგებლოდაო, ის ამა-და-ამ საქმის ასაღორძინებლადაო. აი თუნდ სამ თებერვლის წარმოდგენაზე მოგახსენებთ. ბ-ნმა ნ. იაკ. ალექსი-მესხიშვილმა, კნ. მ. შარვაშიძის თაოსნობით, გაჰმართა მომავალ დედათა სასწავლებლის სასარგებლოდ ქართულ-რუსული წარმოდგენა. წარმოადგინეს „ბაიყუში“ ა. ცაგარლისა. მონაწილეობა მიიღეს: ბ-ნმა ალექსი-მესხიშვილმა თავის მეუღლითურთ, ქალ. ნ. ქიქოძემ, ფრანგულიანცმა, გვაზავამ და სხვ. ხალხი ძლიერ ბლომად დაესწრო. რამდენიც დაესწრო, იმდენი კიდევ უბილეთოდ დარჩა, მოთამაშეთაც უშველათ ღმერთმა, ხალხს არ ათქმევინეს, მუქთად დავკარგეთ ფულიო; ყველა კარგი იყო თავის როლში; კაცი ვერ იტყოდა, ვინ ვის სჯობდა. ხალხში ხმა გაისმოდა, ამ გვარი წარმოდგენა ნეტავ თვეში თითო-ჯერ მაინც გვაღირსაო. მოთამაშენი დიდის მადლობის ღირსნი არიან ამ კეთილის საქმის გულისათვის. დიდის მადლობის ღირსია აგრედვე თ. მ. შარვაშიძე, მოთავე ამ საქმისა.

საკვლაოდ, როგორც შევიტყვეთ, აპირობენ აქ რამდენისამე წარმოდგენის გამართვას იმ აზრით, რომ შეაგროვონ ფული და გაჰმართონ ისეთი სკოლა ქართველ ყრმათათვის, საცა რუსულს გარდა, ქართულიც უნდა ისწავლებოდეს. ამ საქმეში, ეჭვი არ არის, სუხუმის ქართველობა დიდ შემწეობას აღმოუჩენს მოთავეთა და თანაგრძნობასაც გაუწევენ, მით უმეტეს, რომ სუხუმში სამი სასწავლებელია, სამივეში ქართველთა შვილები უფრო ბევრნი სწავლობენ და ქართულის ხსენება-კი არც ერთს სკოლაში არ არის. აქ არ შემიძლიან კიდევ ორიოდე სიტყვა არა ვსთქვა ბ-ნ ნ. იაკ. ალექსი მესხიშვილზე. იმან გამოაღვიძა მიძინებული საზოგადოება. აქ ქართველი ქართველად არ სთვლიდა თავს. ქართული თეატრი ხომ სისულელედაც მიაჩნდათ. ამ პატივცემულის კაცის მოსვლის წინადაც იყო რამდენჯერმე ქართული წარმოდგენა, თუ სალიტერატურო საღამო მაგრამ ასე ხალისიანად არ მოდიოდნენ წარმოდგენაზე, როგორც ეხლა. ბ-ნი მესხიშვილი ღირსია მადლობისა ამ გვარის კეთილისა და სასარგებლო მოღვაწეობისათვის. /გადაღმელი/. (ივერია, N38, 1893 წელი);

ახალი ამბავი

დ. ოჩამჩირე: ექვს აპრილს, შუა ღამის 3 საათზე, ოჩამჩირეს მახლობლად დაიღუპა ორთქლ-მავალი (გემი) ნორვეგიისა „ცერესი“. ხსენებული გემი მოვიდა სტამბოლიდან ოც-და ერთს მარტს ტვირთის წასაღებად. გემი იტვირთებოდა შპალებით, რომელნიც უნდა გაეტანათ ბელგიის ქალაქ გენტში. გემი იდგა ოთხ ვერსის მოშორებით დაბა ოჩამჩირედან, სოფელ ცორიკის პირდაპირ, სადაც ტვირთს უდებდნენ. დადებული ჰქონდა 15000 შპალი. უცებ საშინელმა ქარმა მოგლიჯა ხომალდის ანქრები და გემი ზღვაში გაიტაცა. ქარი თანდათან ძლიერდებოდა და მიაცურებდა გემს ნაპირისკენ და გემი მალე ჩაეფლო ქვიშაში. კაპიტანმა, ნორვეგის ქვეშევრდომმა პიტრ ხრისტიანსმა მოაბა შუშხუნას ბაწარი და ისროლა ნაპირის-კენ. მუშებმა დაიჭირეს ბაწარი, გაამაგრეს და ისე გამოიყვანეს გემიდან ხალხი. გემზე კაპიტნის კაიუტა და სამი ნავი ნაფოტებად აქცია ზღვის ღელვამ. თუ ზღვა არ დაწყნარდა, უეჭველია მთელი გემი ერთიანად დაიღუპება. (ივერია, N82, 1893 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

დაბა ოჩემჩირე. ერთხელ ერთის ჩემ მეზობლის სახლს წაეკიდა ცეცხლი და სულ ერთიანად გადიბუგა. მამა-კაცები სახლში არ იყვენ და დედა-კაცებმა, ნაცვლად იმისა, რომ ცოტად მაინც ცეცხლი გაანელონ, ან თავსა და ავეჯს უშველონ, მორთეს ერთი ჩხუბი, დაუწყეს ერთმანეთს ცემა-ტყეპა და ცეცხლმოკიდებულ სახლში აკვანში მძინარე ბავშვი-კი მიატოვეს. ცეცხლზედ მეზობლები მოგროვდენ და ბავშვი ცეცხლმოკიდებული სახლიდან გამოიყვანეს და სტიქიონს პირიდან გამოაცალეს. სწორედ უნდა მოგახსენოთ, დაბა ოჩემჩირის მდგომარეობა დღეს მაგონებს იმ ბავშვის ამბავს. ივლისი დადგა და ჩვენი დაბა, დიდი ხანია, შეიკაზმა ჩვეულებრივის უსუფთაობით; მუშა ხალხის მოძრაობა, სხვა და სხვა (ცეცხლის გემებისა და ხომალდების მისვლა-მოსვლა დღითი დღე მატულობს); ზღვის პირზედ გაშენდა მაღაზიები; ერთის სიტყვით, დიდი მოძრაობაა ხალხისა. ამოდენა მუშა-ხალხისა და პირუტყვისაგან დატოვებული სიბინძურე მთელს დაბაში ჰაერსა სწამლავს. დამპალის წყლით, ჭაობიან ადგილებითა და ბინძურის ჭებით, ხომ ჩვენი დაბა მდიდარი არის და არის. ყველა ამბების შემაყურალი ჩვენი საზოგადოება დღეს, იმის ნაცვლად, რომ თავს უშველოს, გაყოფილა ორ დასად, აუღია ხელი ყველაფერზედ, დავიწყებია ისა, რომ ხოლერა რუსეთის ქალაქებში დათარეშობს, და მისჩერებიან ერთმანეთს, რომელმა რომელი წავაქციოთ, რომელმა რომელს გავუთხაროთ სამარეო. მარტის დამლევს აქ მოგვივიდა სოხუმის

სასანიტარო კომიტეტის მიერ დადგენილი წესდება, სავალდებულო სოხუმის ოლქის მცხოვრებთათვის; ამ წესდების ძალით ოცდახუთს აპრილამდე უნდა შედგენილიყო დაბა ოჩემჩირეში სასანიტარო დასები, უნდა შესდგომოდნენ დაბის გასუფთავებას. აგერ ივლისი შენახევრდა, არც სანიტარები გვინახავს, არც იმათი მოქმედება. ამბობენ, რომ შარშანდელი სიები არის წარდგენილი და იმ სიებში დასახელებულნი ითვლებიან სანიტარებათაო, მაგრამ ცოცხალი-კი არის ყველა შარშანდელი სანიტარები, შეუძლიან წელსაც იკისროს სანიტარის მოვალეობა თუ არა - ეს არავის არ უკითხავს და არც თხულობს. ან-კი რა არის ამის კითხვა. ახალ სასანიტარო მზრუნველების ამორჩევა თითქმის შეუძლებელია აქ, მიტომ, რომ ყველანი ერთი მეორეს უბღვერიან და ფეხებში უყურებენ ერთმანეთს, სარმა როგორ გამოვკრა და პირაღმა გავშალოვო. ამიტომ სჯობიან, რომ ისევ იმ შარშანდელ სიებში მოხსენებული მზრუნველები დარჩენ; საკვირველი ის არის, რომ ამ გვარს საშიშარსა და გასაფრთხილებელ დროში, ნაცვლად იმისა, რომ დაბის ჯანმთელობაზედ ვიზრუნოთ, ვიმეცადინოთ, აგვიღია თავი და ვჯიბრობთ, რომელი მოხელე გამოვცვალოთ და რომელი დავაყენოთო. მამასახლისის არჩევის გამო საზოგადოება გაიყო ორ ნაწილად: ერთის მხარე სამოცზე მეტს ადგილობრივს ვაჭრებს უჭირავთ და მეორესი დანარჩენთ. ამ უკანასკნელ დასის საჩივრითა და ადგილობრივის განყოფილების უფროსის წარდგინებით, ძველი მამასახლისი ჯერჯერობით თანამდებობიდან გადაყენებულია. ამ გარემოებამ გამოიწვია სხვა და სხვა გვარის საჩივრებისა და „დანოსების“ წერა; მამასახლისის მომხრენიც თავგამოდებულნი არიან და იმათი მოწინააღმდეგენიც, ჩვენი საქმეები დღეს აწეწილ დაწეწილია და მის გასასუფთავებლად ჩვენი საზოგადოება ვინემ ამ ჩხუბსა და დავიდარაბას არ მორჩება, ისე ვერ მოიცლის, როგორც ზემოხსენებულ ჩხუბში გართული დედაკაცები, რომელთ ფიქრადაც არ მოუვიდოდათ ცეცხლიდან ბოვშის გამოყვანა. /ბახ...ლია/. (ივერია, N156, 1893 წელი);

ახალი ამბავი

ოჩამჩირე (ზუგდიდის მაზრა): 18 ივლისს ოჩამჩირეში იყო გამართული წარმოდგენა სცენის მოყვარეთაგან ოქუმელ ახალგაზდა ქალებისა და ყმაწვილ კაცების-მიერ. წარმოდგენილი იყო „სამშობლოს“ სამი მოქმედება და „უჩინმაჩინის ქუდი“. თავოსნობდა ამ საქმეში ოქუმელი ვაჭარი ი. გეგიძე. საზოგადოდ წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა. საზოგადოება ოჩამჩირეში კმაყოფილი დარჩა წარმოდგენითა. ესევე პიესები წარმოადგინეს ჯერ ოქუმში და მერე ოჩაჩირეში, მაგრამ ოჩამჩირეში წარმოდგენამ უფრო კარგად ჩაიარა, ვიდრე ოქუმში. ოქუმში შემოსავალი იყო 45 მანეთი; ოჩამჩირეში - ასამდე. ტანისამოსი და სხვა თეატრის მოწყობილობა თავის ხარჯით დაამზადეს წარმომდგენებმა. წმინდა შემოსავალი საქველ-მოქმედო საქმისთვის არის გადადებული. წარმოდგენა იყო ორსავე ალაგას სკოლის შენობაში. როგორც მოხელენი, ეგრედვე ვაჭარნი კმაყოფილნი დარჩნენ და სცენის მოყვარულთ სთხოვეს, დარჩით და კიდევ სხვა რამე წარმოადგინეთო. მადლობის ღირსნი არიან ქ-ნნი ჩხენკელი და გეგიძე, რომლთა მშვენიერად თამაშობამ აღტაცებაში მოიყვანა აქაური საზოგადოება, სასურველია, რომ იმათ მაგალითს სხვებიც მიჰყვნენ. ესენივე აპირობენ. წარმოდგენის გამართვას ზუგდიდსა და სოხუმში. (ივერია, N158, 1893 წელი);

დეპეშა

1 აგვისტო პეტერბუგი. სოხუმის ეპისკოპოსი აგაფოდორი დანიშნულ იქმნა სტავრაპოლის ეპისკოპოსად. (ივერია, N164, 1893 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

აბჟუვა ანუ კოდორი (განყოფილება სოხუმის ოლქისა). თითქმის სრული ერთი თვე წვიმა არ მოსულა ჩვენსკენ. სიმინდის მოსავალს მშვენიერი პირი უჩნდა პირველად, მაგრამ ამ გადაჭარბებულმა გვალვამ დიდად დააზიანა: ზოგან, განსაკუთრებით ზღვისპირებად, იმ ზომამდე, რომ მათი გამობრუნების იმედიც აღარ არის, ზოგან მთლად დამშევისაც ეფიქრებოდათ. დღეს, 5 მარიამობისთვეს, ცა მოიღრუბლა, ნელი წვიმაც დაუშვა, იმედია გაავდარდეს. ჩვენში ვერც სახელ-განთქმული „ადესა“ გვპირდება კაი მოსავალს ამ წელს. ჯერ ერთი, რომ მას კვლავინდებურად არ ასხია, მეორეც არა მწიფდება კარგად, აგერ მარიამობაც მოდის, მაგრამ ყურძენს ჯერ „წითელიც არ გამორევია.“ ქურდობამ ხომ მეტად შეაწუხა ხალხი. ქურდობა-კი არა, აკლებაა სწორედ, ნამდვილი აკლება. ასე „გაცხელებულია“ ქურდობა ზაფხულს, როცა აფხაზეთში საზოგადოდ ქურდობა ყოველთვის უფრო მინელებულია და როცა საუკეთესო ცხენები, თხა-ცხვარი და ხარებიც გარეკილია მთებზე. თუ-კი ქურდები ამას სჩადიან ზაფხულს, შემოდგომაზე ისინი მთლად აიკლებენ ქვეყანას. ვერა ეშველა-რა ამ ქურდობას, მოგეხსენებათ რაღაც წესდებულებაც მოქმედობს ჩვენში მის მოსასპობად, მაგრამ ამ წესდებულებას, თუ ზარალი არა, არავითარი სარგებლობა არ მოაქვს. ამ წესდებულების ძალით, „ქურდებმა (ამათი სია შედგენილია, ხოლო როგორ? - ამაზე აქ ვერას გეტყვით) უნდა დააკმაყოფილონ დაკარგულ საქონლის პატრონები. მარტო იმიტომ, რომ ქურდს აზღვევინონ რამე, ის ქურდობას თავის დღეში არ დაიშლის, თუ ამას თან დასჯისა არ ეშინია, ამასთან სიის გარეშეც ბევრის-ბევრია დარჩენილი ქურდები, ესენი იპარავენ და ან რა ენაღვლება იმათ, რომ მათ მიერ მონაპარი საქონელი ჩაწერილ ქურდებს აზღვევინონ. ეს ჩაწერილი ქურდებიც ერთისა და იმავე ხარისხისა როდი არიან. ისინი განიყოფებიან (ეს კლასსიფიკაცია გახლავს) პირველ, მეორე, მესამე და სხვ. ხარისხოვნებად. ვსთქვათ, პირველის რიგის ქურდები ხუთია და დანარჩენები კი - 35. ეგ ხუთნი იმდენს მოიპარვენ, რამდენსაც ყველა 35. ავიღოთ მაგალითი დაიკარგა - ცხენი, ღირებული 80 მან. რად არ უნდა იპაროს პირველი ხარისხის ქურდმა, თუ მის მიერ ჩადენილ დანაშაულობისათვის სხვები იხდიან 78 მანეთს და თვითონ მარტო ორსა, ხშირად ისეც გამოდის რომ „მაგარი ქურდი“ ბისტსაც არ იხდის. ჩვენ ამ წესდებულების გარჩევაში ვერ შევალთ დაწვრილებით და ეს არც არავისთვისაა საინტერესო. თუ ქურდობა - გახშირდა ჩვენში ეს მაგდენად წესდებულების უვარგისობით არ აიხსნება. არც თუ სრულად და რიგიანად ასრულებენ წესდებულების მოთხოვნილებას. ავიღოთ მარტო ერთი მუხლი: თუ რამე დაიკარგა, ქურდებს გადავახდევინოთო. სხვა კი დაუვიწყნიათ. ამ ერთმა მუხლმა ქურდობა არა თუ არ მოსპო, კიდევაც გაახშირა. სხვა რომ არა იყოს-რა, წესდებულების ძალით, ქურდობით დაზარალებული შვიდისა თუ ცოტა მეტის დღის განმავლობაში უნდა იქმნას დაკმაყოფილებული, ნამდვილად-კი ერთის წლის შემდეგაც არ აკმაყოფილებენ. ამ დროს განმავლობაში იმდენი ქურდობა მოხდა, რომ თვითო საზოგადოებაში დაკარგული საქონლის ფასი ორ-ორ ათასამდე ადის. ამდენის ფულის აღება ვერ მოხერხდა შინაურის წესით. ამიტომ ადმინისტრაციამ დაჰგზავნა ყაზახ-რუსები Для производства взысканія, რომლებიც ტვირთად აწვებათ საზოგადოებას, ხოლო ქურდობა უფრო მატულობს. გზატკეცილის კეთება ოჩემჩირესა და კოდორს შუა უკვე დაიწყეს და ეხლა გაცხარებული მუშაობაა. თითო მოსახლეს ახდევინებენ ამ გზის გასაკეთებლად ცხრა-ცხრა მანეთს, რაიცა ძალიან უჭირთ მით უმეტეს, რომ წელს სიმინდს რიგიანი ფასი არა აქვს. 5 აგვისტო. 1893 წ. (ივერია, N169, 1893 წელი);

დაბა, სოფელი და ქალაქები

დ. გუდავათი (აბხაზეთი): წლეულს აქეთაც სიმინდის მოსავალს ცუდი პირი უჩანს უზომო გვალვის გამო, აბხაზებმა ივლისის დამლევს დასთესეს სიმინდი და ახლა მარგლიან ნაადრევიც ადლ-ნახევარის სიმაღლეზე გააჩერა გვალვამ. ყურძენი აქეთ გვარიანად ასხია, მაგრამ ნამეტანი გვიან იქმნა. კვლავ ამ დროს ჩვენებური ყურძენი მწიფე ყოფილა; „იზაბელას“ ტკბილი და მაჭარიც დაგვილევია. ეხლა-კი ჩვენებური ყურძენი ჯერ ისვრიმად არის და მხოლოდ ,,იზაბელას'' შესთვლია მარცვალი. აბხაზეთში ღვინო ბლომად მოდიოდა, მაგრამ ერთი ორი წელიწადი იქნება, რაც თან-და-თან იკლო ამის მოსავალმა. ქურდობამაც ძალიან იკლო და იმედი გვაქვს, მალე სრულიად მოისპობა. ჩვენი პაწაწა დაბაც გასუფთავდა, ჩვეულებრივი ციებ-ცხელება მოისპო და ამის მიზეზი სწორედ სისუფთავე უნდა იყოს. (ივერია, N183, 1893 წელი);

ახალი ამბავი

ოქუმი (აბხაზეთი): გუშინ, თექვსმეტ სექტემბერს, შეიბყრეს ციმბირიდგან გამოპარული ავაზაკი, ნიკო მარღანია, რომელიც ცხრა წელიწადია, რაც ჩვენში იმალება.

იქიდამვე: წელს სიმინდის მოსავალი ჩვენსკენ შუათანაა. „ადესა“-ს კარგად ასხია, თუ დამწიფდა. გზა-ტკეცილს გვიკეთებენ, მაგრამ გზის გასაკეთებლად შეწერილმა ცხრა-ცხრა მანათის გადახდამ კომლზე ძალიან შეგვავიწროვა. ქურდობა, ჩვენდა საუბედუროდ, არ იქნა და არ მოისპო ჩვენში. (ივერია, N204, 1893 წელი);

ახალი ამბავი

ჩვენ მივიღეთ ოჩემჩირიდამ ბ-ნ იასონ გეგელაშვილის მიერ შეგროვილი სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ 13 მან. ამ ფულისა გვქონდა დღემდე 348 მან. 10 კაპ. შესდგა სულ 361 მან. 10 კაპ. (ივერია, N235, 1893 წელი);

ახალი ამბავი

სოხუმში დაარსდა საეკლესიო საარქეოლოგიო კომისია, რომელსაც საგნადა აქვს შესწავლა ადგილობრივ ეკკლესიის ისტორიისა. (ივერია, N241, 1893 წელი);

დ. ოჩამჩირე. 15 ნოემბერი

დაბა ოჩამჩირე მდებარეობს, როგორც მოგეხსენებათ, შავის ზღვის პირას, იქ, საცა ღალიძგა ერთვის ზღვასა... ოჩამჩირე თანდათან ზრდასა და წარმატებაში შედის ამ ბოლოს დროს. უბრალო ხის დუქნების მაგიერ შიგა და შიგ ქვის შენობათა აგებაც დაიწყეს. ვაჭრობაც საკმაოდ გაძლიერებულია. განსაკუთრებით დიდი მოძრაობა მაშინ არის აქ, როცა სიმინდს კაი მაზანდა აქვს. ამ უკანასკნელ ორ წელიწადს, სამწუხაროდ სიმინდის ფასი დაეცა. ყოველ შემთხვევაში აქედამ დიდძალი სიმინდი გადის ყოველ წლობით - სამზღვარ გარედ. ეს იმიტომ, რომ არა თუ აბჟუველებს (კოდორის განყოფილების მცხოვრებთ), არამედ ნახევარ სამურზაყანოსაც აქ ჩამოაქვს სიმინდი. ამიტომ, დაბასაც კაი შემოსავალი აქვს ყოველ წლობით. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ეგ შემოსავალი დაბის წარსამატებლად, გასამშვენიერებლად და გასასუფთავებლად რიგიანად იხმარებოდეს. შნოებითა და

სიფაქიზე-სიწმინდით დ. ოჩამჩირე, სამწუხაროდ, ვერ დაიკვეხებს. ოჩამჩირეს, როგორც ასეთს სავაჭრო ადგილს, ბევრი ცხენიანი და ურმიანი კაცი ეტანება. მით უფრო, რომ აქ არსებობს სხვა-და-სხვა სამმართველოები. რასაკვირველია, რამდენი ცხენისა და საქონლისაგან უწმინდურობა გროვდება, რომლის დახვეტ-დაწმენდას ბევრს არ დაგიდევენ ისინი, ვისაც ჯერ-არს. მართალია, ოჩამჩირეში წრეულს ხოლერა აღარ გაჩენილა, მაგრამ, ვინ არ იცის, რომ უწმინდურობა-უსუფთაობა ქუჩისა, მოედნისა, კარმიდამოსი, წყლისა და სხ. ხოლერის გარდა ბევრს სხვა-და-სხვა სნეულების გაჩენასაც უწყობს ხელსა... ერთი ზღვის პირის ქუჩა უფრო შნოიანია ოჩამჩირეში. ამ ქუჩის თავზე, სამწუხაროდ, ჩამწკვრივებულია სიმინდის საწყობი შენობანი, რომელთაც აქ „მაღაზიებს“ უწოდებენ და აქვე სანიავებელი მანქანით ანიავებენ ამოდენა სიმინდსა. ამის გამო (განსაკუთრებით ზაფხულობით) ისეთი მტვრის კორიანტელი სდგება, რომ მაღაზიებს ახლო ვერ გაუვლით. ამ ზღვის პირის ქუჩაზე იდგა შენობა, რომელშიაც მოთავსებული იყო მომრიგებელი სამსაჯულო. ეს შენობა ოქტომბრის დამდეგს მთლად გადიბუგა. საქმეები ზოგიერთებს გარდა გადაარჩინეს. შენობა ეკუთვნოდა ბ-ნ თ. ჩაჩავას და დაზღვეული არა ყოფილა. თუ გზატკეცილი, რომლის კეთებას ეხლა ადგანან, გათავდა და ოჩამჩირე შეუერთდა გზატკეცილით რკინის გზას, მაშინ ეს დაბა კიდევ უფრო მეტს წარმატებაში შევა. საჭიროა მხოლოდ თვითონ ოჩამჩირელებმა მიაქციონ მეტი ყურადღება თავის დაბის მოწყობას, გაფართოებასა და გალამაზებას. ამ შემთხვევაში ოჩამჩირე ბევრს მოიგებს: ოჩამჩირეს, სხვა არა იყოს-რა, ზაფხულობით მაინც ბევრი ხალხი ეწვევა - ზღვაში საბანაოდ. მით უფრო, რომ ოჩამჩირეს ღია და გაშლილი მდებარეობა აქვს, მთა ახლო არ აკრავს, ქარი ადვილად უდგება. ამიტომ ციებ-ცხელების მხრივ აქ სუხუმზე უფრო კარგი ჰავაა. ფილტვებით ავადმყოფთათვის-კი სუხუმს ვერ შეედრება, რადგან აქ შედარებით უფრო იცვლება ჰაერი. ოჩამჩირეში ერთად-ერთი ეკლესიაა, წირვა-ლოცვა უფრო ხშირად რუსულადაა. არა თუ მცხოვრებნი და ვაჭარნი, მეტი წილი მოხელეთაც აქ ქართველობაა. ამიტომ ურიგო არ იქმნებოდა, რომ ქართული წირვა-ლოცვა და მოძღვრება-ქადაგება უფრო ხშირად ყოფილიყო. დასასრულ, ორს სიტყვას მოგახსენებთ მთელ აბჟუვაზედაც (კოდორის განყოფილებაზე): სიმინდს ახლა სტეხენ. მოსავალი შარშანდელზედ ნაკლებია, ჯერ „ადესაც“ არ მოუკრეფიათ. საკმაოდ ასხია. ქურდობა? ამ ქურდობის ამბებით ხომ თავი მოგაწყინეთ. ქურდობისაგან სწორედ დიდი შეწუხება გვადგა. (ივერია, N255, 1893 წელი);

ახალი ამბავი

სოხუმი: 18 ქრისტეშობის თვეს სუხუმის სამაზრო ხაზინაში დილის ათ საათზე შესულა ერთი ახალგაზდა კაცი, ბერდანით მხარზე გადაკიდებული და იქ მყოფთ გაუგებლად ბუჰღალტერისათვის ლაპარაკი დაუწყვია; მერმე ბუჰღალტერი უეცრად წამომხტარა და ხაზინადრის ოთახისაკენ გაქანებულა; შემოსულს ახალგაზდა კაცს უეცრად გადმოუღია თოფი მხრიდამ, დაუმიზნია და ტყვია ბეჭებს შუა ზურგში მოურტყავს; საცოდავი ბუჰღალტერი მაშინვე გულ-აღმა დაცემულა და სული დაულევია. დამნაშავეს თოფი იქვე სტოლზე დაუდია და უთქვამს: მე ჩემი სურვილით მოვკალ, კი ვიცი, რაც დამემართებაო. რა საკვირველია იგი დაიჭირეს, ხოლო მოკლულის გვამი აქაურს სამკურნალოში გაგზავნეს. მკვლელი და მოკლულიც ორთავენი რუსები არიანო. (ივერია, N279, 1893 წელი);

სოხუმი (აფხაზეთი)

17 დეკემბერს აქ იყო ქალაქის დეპუტატების არჩევა და შედარებით სხვა წლებთან წელს უფრო უაყალმაყალოდ ჩაიარა არჩევნებმა. ამის მიზეზად, სხვათა შორის, იმას

მოგახსენებენ, რომ ქალაქის თვით-მართველობის შემოღებას მოელიანო, მაგრამ შარშანაც ასე მოელოდნენ და დღემდისაც არავითარი ნამდვილი გარემოება არ ვიცით თვითმართველობის შემოღების შესახებ. თუმცაღა-კი დრო არის ქალაქის მამულ დედულს რიგიანი პატრონი ჰყვანდეს. ქალაქს კარგი მამული აქვს, სხვა შემოსავლიანი წყაროებიც ბევრი აქვს, მაგრამ ყველაფერი ამაოდ მიდის, ე.ი. წლის გასულს არც ფულიდან რჩება რამე ქალაქის ხაზინაში და არც არავითარი საქმე კეთდება. მართალია, ჩვენ სოხუმელებს, იმედი გადაგვიწყდა სიკეთის მოლოდინში, მაგრამ მაინც კიდევ ვსთხოვთ ღმერთს, მოგვხედოს და მოგვივლინოს მხსნელად თვით-მმართველობა, გაგვხადოს ჩვენის ქონების პატრონი ჩვენვე. თუკი ჩვენზე უფრო მცირე და ღარიბი ქალაქები გახდნენ ამ მოწყობილების ღირსნი, ჩვენ რაღა დავაშავეთ... დეპუტატებად კენჭი უყარეს შვიდ კაცს, რომელთაგან კენჭი ხვდათ ამ გვარად: ბ-ნს სპანაკის, ძველს დეპუტატს თეთრი 87, შავი 28. ბ-ნს თექმეჩოვს თეთრი 96, შავი 17. ესენი ბერძნები არიან. მალანიას (აფხაზია) თეთრი 61, შავი 54. ბ-ნს კეთილაძეს (ქართველია) 87 თეთრი, 58 შავი, ბ-ნს გ. ქიქიას (ქართ.) 79 თეთრი, 36 შავი. ბ-ნს ონისიმე კირთაძეს 88 თეთრი და 27 შავი. ამ გვარად კენჭის უმეტესობით ბ-ნი თექმეჩოვი და ან. კირალაძე იქმნენ დეპუტატებად არჩეულნი, ერთი ბერძენი და ერთი ქართველი, ხოლო მათ კანდიდატებად სპანავი და კეთილაძე, ესენიც ერთი ბერძენი, ერთი ქართველი. ამის გარდა საზოგადო კრებამ ერთხმად დაადგინა ხუთის წლის განმავლობაში ვიხადოთ ხუთას-ხუთასი მანეთი იმ პირობით, რომ ეს ფული შენახულ იქმნას რომელსამე ბინაში და, როცა სოხუმის სამთო სასწავლებელი სხვა ტიპის სასწავლებლად გადაკეთდება, მაშინ მიეცეს იმ სკოლას რომელისამე ხელოსნების ან მეურნეობის სასწავლებლადაო. (ივერია, N279, 1893 წელი);

***

ჩვენ მივიღეთ სოხუმიდამ ბ-ნი ნესტორ მასხარაშვილისა და იოსებ კონმარეიშვილისაგან შეგროვილი 10 მან. სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ და 15 მან. რუსთაველის ძეგლის ასაგებად. მივიღეთ აგრედვე რუსთაველის ძეგლის ასაგებად ბატალაშინსკიდამ 9 მან. მივიღეთ აგრედვე სიღნაღიდამ ბ-ნ ივ. ქიტიაშვილისაგან შეგროვილი რუსთველის ძეგლისთვის 37 მან. სალიტერატურო ფონდისა გვქონდა დღემდე 406 მან. 59 კაპ. შესდგა სულ - 416 მან. და 59 კაპ. რუსთველის ძეგლისათავის გვქონდა 471 მ. 42 კაპ. შესდგა სულ - 532 მან. 42 კაპ. (ივერია, N281, 1893 წელი);

1893 წელი

გაზეთი ,,კვალი''

დრანდის ტაძარი

ამ ტაძრის შესახებ ისტორიაში და არხეოლოგიურს აწერილობაში ბევრი ცნობა არ არის რა. ვახუშტი გაკვრით იხსენებს მას; დუბუას თავის თვალით არ უნახავს ეს ტაძარი და აღუწერია სხვის მიერ. განსხვავდება ახლანდელს გეგმისაგან და ეს ალბად აიხსნება იმითი, რომ დრანდის ტაძარი მას შემდეგ ძირიანად შეუკეთებიათ. ამ ტაძარს ისეთი მოყვანილობა აქვს, რომ უნდა ვიფიქროთ, ძალიან ძველი უნდა იყოს, უადრეს მეათე საუკუნისა, ამიტომ რომ მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნის ტაძრებს ბოყვი, რომელზედაც გუმბათია დამყარებული, მაღალი და ვიწრო აქვს; მაშინ როდესაც დრანდის ტაძარს ბევრად დაბალი და განიერი ბოყვი აქვს. დრანდის ტაძარი მდებარეობს ზღვის პირად

ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ, სოხუმიდან ოცდაოთხის ვერსის სიშორეზედ. დუბუას დროს ვაკულსკის გადმოცემით ამ ტაძარში იპოებოდა თურმე მრავალი მარმარილოს სვეტები და ფილაქნები, ალბად ნანგრევები ძველის ტაძრის კანკელისა. 1860 წელს ბაქრაძეს დაუთვალიერებია ეს ტაძარი და შეუნიშნავს გუმბათში დახატული მაცხოვარი, ფერის-ცვალება და რამდენიმე წმინდანნი, კაცის სიმაღლედ დახატულნი. დღეს ეს ტაძარი შიგნით და გარედ კირით შეფეთქილია და არაფერი მოაგონებს კაცს მის ძველებურს სიმდიდრეს და კედლის დიდებულს მხატვრობას. ამ ტაძარს აქვს შიგნით ჯვრის სახე და კუთხეებში რგვალი სამლოცველო ეკვტერები და სამწირველოები. საზოგადოდ ტაძარს ეტყობა ბიზანტიის ხელობა, მაგრამ თვით მუნებურს ხუროთ-მოძღვრებასაც დაუმჩნევია კვალი წამწვეტებული გუმბათით, რომელიც მოგვაგონებს მეგრულ-აფხაზურს ფაცხურს სახურავს. თვით კედლების საშენებელი მასალა ძველებური აგური და კირია, გარეთ კი თლილის ქვის პერანგი აქვს შემოკრული. ყოველივე ამა გარემოების ძალით ეს ტაძარი უნდა იყოს მეცხრე ან მერვე საუკუნისა, როდესაც აფხაზეთის მთავრობა განთავისუფლდა ბიზანტიის დამოკიდებულებისაგან და დაამყარა საკუთარი მეფობა, საკუთარისავე განათლებისა და ხუროთმოძღვრების გეგმის შემოღებით. (კვალი, N13, 1893 წელი);

მოქვის ტაძარი

მოსკოვის არხეოლოგიური საზოგადოება შესანიშნავი სამეცნიერო დაწესებულებაა რუსეთის საისტორიო კვლევისათვის. ამ დაწესებულებას მკვიდრი საფუძველი დაუდვა თავის მეცნიერული ძიებითა ა. ს. უვაროვმა. პირველად მან მიაქცია ყურადღება კავკასიის არხეოლოგიას და იმის თაოსნობითვე იყო დანიშნული 1881 წელს ტფილისში მეხუთე არხეოლოგიური სამეცნიერო კრება. იმ დროინდელმა მისმა გამოძიებამ დაარწმუნა რუსეთი და ევროპა, რომ კავკასიაში ყოფილა კვალი ძველის მსოფლიო განათლებისა და ამ მხრით რუსეთის იმპერიაში საქართველო-სომხეთს ვერც ერთი კუთხე ვერ შეედრება. ძველი საქართველო-სომხეთის ისტორიული ნაშთები ჯერ ხომ ძალიან ცოტაა გამოკვლეული, მაგრამ რაც გამოკვლეულია, ისიც თვალსაჩინო ნათელს ჰფენს ბევრს აქამომდე აუხსნელს შემთხვევებს მსოფლიო ისტორიაში. ესვე აზრია გამოთქმული მესამე წიგნში, რომელიც ამ წელს გამოიცა შემდეგი სათაურით „კავკასიის არხეოლოგიური მასალა“. ეს წიგნი არის სხვათა შორის დამყარებული გრაფინა უვაროვის მიერ შეკრებილს მასალებზე მის კავკასიაში მოგზაურობის დროს. თვითონ ეს სახელოვანი დედაკაცი, პ. ა. გრაფინა უვაროვისა, აწინდელი თავს-მჯდომარე მოსკოვის არხეოლოგიური საზოგადოებისა, ფრიად ძვირფასი პირია კავკასიისათვის. იგი მისდევს თავის სახელოვანის ქმრის კვალს და განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევს კავკასიის ისტორიულს ნაშთებს. იმის მეოხებით მისმა დიდებულებამ ხელმწიფე იმპერატორმა შეიყვარა კავკასიის არხეოლოგიური მეცნიერება, შესწირა ნივთიერი საშუალება და „ინება, რათა მოსკოვის საზოგადოებამ განაგრძოს არხეოლოგიური გამოკვლევა კავკასიისა და მიჰყვეს განსვენებულის გრ. ა. ს. უვაროვის კვალს.“

ჩვენ ახალი მესამე გამოცემა მოსკოვის არხეოლოგიურის საზოგადოებისა ხელთ გვაქვს და ამ წიგნიდან არა ერთხელ მოგვიხდება გადმოღება სხვა-და-სხვა საქართველო-სომხეთის ისტორიულის ნაშთებისა შესაფერი შემეცნებით და საკუთარი ჩვენი მოსაზრების ზედ-დამატებით.

ამ ჟამად ჩვენ დავიწყებთ მოქვის ტაძარზედ საუბარს. მოქვის დიდებული ტაძარი ძევს მთაში, მოქვის მდინარეზედ, აფხაზეთში, შავი ზღვის მახლობლად. ვახუშტის სიტყვით: „ეკლესია არის გუმბათიანი, დიდ ნაგები, აღაშენა მეცხრე მეფემან აფხაზეთამან ლეონ შემკობითა დიდითა. ზის ეპისკოპოსი მწყემსი კოდორის მდინარესა და მოქვის მდინარეს შორის ადგილისა...“ მეფე გიორგი პირველი და ძე მისი ლეონ მესამე აფხაზთა მეფენი მეფობდენ

ოცდაცხრამეტი წელი. საკუთრად ლეონ მესამეს ჰხვდა თვით-მპყრობილობა მხოლოდ ორის წლის განმავლობაში. ცხადია რომ ორს წელს იგი ვერ აღაშენებდა ასეთს დიდებულს ტაძარს, რადგან მას შეემთხვა ბრძოლა კახეთის მთავართან კვირიკე ქორიკოზთან და იყო მოუცლელი. შესაძლებელია, რომ მან მხოლოდ დაასრულა მოქვის ეკლესიის აშენება დაწყებული გიორგი პირველის აფხაზთა მეფის მიერ. თვით „ქართლის ცხოვრება“ უწოდებს გიორგი პირველს ეკლესიათა მაშენებლად. ყოველ შემთხვევაში მოქვის ეკლესია უნდა იყოს აშენებული მეათე საუკუნეში (921 წ. – 951 წლამდე). მართლაც მეცნიერმა ხუროთ-მოძღვარმა, აკადემიკოსმა პავლინოვმა, როდესაც ნახა და დაწვრილებით გამოიკვლია მოქვის ეკლესიის გეგმა, მეცნიერული დასაბუთებით დაამტკიცა, რომ იგი მეათე საუკუნეშია აშენებული ქართულ ხუროთ-მოძღვრების ნიმუშზედაო და ამით უარ-ჰყო დუბუას აზრი, რომელიც ფიქრობდა, ვითომც აფხაზეთის ეკლესიები: ბიჭვინტისა, ბედიისა და მოქვისა ბიზანტიის იმპერატორს იუსტინიანეს აღუშენებიაო მეექვსე საუკუნეში.

აი, რასა სწერენ ბროსე და ბაქრაძე ამ დიდებულს ეკლესიებზედ: „დიდშენი ეკლესია მოქვისა შეფოთლილია სუროთი, თვით გუმბათი ტაძრისა მწვანილოვან ბაღად არის გადაქცეული, რომელზედაც უზარმაზარი ხეები ამოსულან და წარმოადგენს განსაცვიფრებელს სურათს. შიგნით მაღალი თეთრი ქვის ნათალი სვეტები ისრებსავით ამართულან ზეცისკენ და ჰყოფენ ეკლესიას ხუთ კიდობნად (nex). იატაკი ტაძრისა მარმარილოს ქვით არის მოგებული; ფერად-ფერადი შუშის ნატეხები აქა-იქ დაყრილი, საკვირველი ჩუქურთმის წმინდა ხელობა ეკლესიის არშიებზე ამტკიცებენ უმაღლეს ხარისხამდის მიწევნილს ძველს ქართულს ხელოვნებას. შვენიერი დერეფანი ქვის სვეტებზე დამყარებული გარშემორტყმული აქვს ტაძრის შიგნით თითქმის გუმბათამდის. აგურია ნახმარი გუმბათებში და სვეტების თავების ერთმანეზედ გადასაბმელად. კარის ბჭეები (სტოვანი) ჩამონგრეულა, სანათურებში შუშები დამსხვრეულა, ნახევარ არშინი სისქე ნაგავი დაყრილია იატაკზედ; სამწუხაროდ ზედ-წარწერა აღარსად ეტყობა.“ მეჩვიდმეტე საუკუნეში იერუსალიმის პატრიარხი დოროთეოზი ყოფილა საქართველოში და მიმოუხილავს აფხაზეთის ნაშთები. იმის აზრით მოქვის ტაძრის შიგნითი კედლები ყოფილა დახატული დავით აღმაშენებლის დროსა. დღეს მოქვის ტაძარი განუახლებიათ და სამწუხაროდ მისი ძველებური გეგმა შეუბღალავთ, რამდენამდე შეუცვლიათ; მაგალითად გუმბათის თავზედ დაუდგამთ ზემოთ კიდევ რვა-კუთხიანი პაწია გუმბათი; დასავლეთის ბჭეებთან მიუშენებით დიდი სამრეკლო. შიგნით კედლები და სვეტები კირით შეულესიათ; ამის გამო აღარც ძველი მხატვრობა სჩანს და აღარც ჩუქურთმა. /XX/. (კვალი, N16, 1893 წელი);

ბედიის ტაძარი

ბედია მოხსენიებულია ძველადვე საქართველოს მატიანეში. ეს ადგილი ერთი უძველესთაგანია. მისი სახელი საქართველოს პირველ მეფობიდანვე არის ცნობილი სამასის წლის წინად ქრისტეს მოსვლამდე. „ქართლის ცხოვრების ზეპირ-გადმოცემისამებრ, აქ დამკვიდრებულა პირველად ეგროსი, თარგამოსის ერთი ძეთაგანი, რომელსაც აღუშენებია ქალაქი ეგრისი და შემდეგ ეს სახელი დარქმევია როგორც თვით მდინარეს, რომელზედაც ქალაქი ყოფილა გაშენებული, აგრეთვე მთელს დასავლეთის საქართველოსაც - ლიხთ-იქით მხარეს შავ-ზღვამდის. ეს ის ქვეყანაა, რომელსაც სულ ძველად ბერძნებმა უწოდეს კოლხიდა და შესაძლებელია ქართული სიტყვისაგან „კლდე-რიყეთადან“ გადაკეთებულიყვეს ეს სიტყვა, რადგან ეს ქვეყანა მართლაც უწინდელს დროს და ახლაც, ჯიქეთის მხარეზედ ნამეტურ, ზღვის ნაპირის კლდიანს რიყეს წარმოადგენს. საქართველოს პირველმა მეფემ ფარნაოზმა ისიძა ეგრისის გამგებელი ქუჯი, მიათხოვა თვისი დაი. მას აქეთ მის სატახტო ქალაქს, ეგრისს, დაექვა სახელად ბედია. ვახუშტის აზრით თვით ქუჯმა დაარქვაო თავის

ძველ სატახტო ქალაქს ეგრისს ბედია, ვითომც მისთვის, რომ მან აქ ჰპოვა თავისი ბედი, ესე იგი გაბედნიერდა ფარნაოზ მეფის სიძობით. ალაგი ბედია მდებარეობს სვანეთის ქედის გადმოღმა-კალთების ძირში, მდინარე ეგრისზედ, რომელიც ერთვის შავს ზღვას, დაბა ოჩამჩირესთან, მდინარის ენგურის ჩრდილოეთით. მერვე საუკუნეში, როდესაც ლეონ პირველმა მიიღო მეფობა და განათავისუფლა მთელი დასავლეთის საქართველო ბიზანტიის იმპერიის მორჩილებისაგან, მაშინ მან გაჰყო შავი ზღვის მხარეზედ ნაპირები სამ საერისთაოდ: ბედიის საერისთაო, ანუ სრულიად სამეგრელო, ცხუმი (სოხუმის) საერისთაო და აფხაზეთის საერისთაო, ანუ ახლანდელი ჩერნომორიის მხარე. ვახუშტი ჰგონებს, რომ ეს სახელი უწოდეს მას პირველად ბერძნებმა და ვითომც წარმოებდეს ეგროსის შვილიშვილისაგან, რომელსაც რქმევიაო აბაზა, ანუ აბაზღა. ბედიის ერისთავის ღირსების წოდება ყოფილა „ბედიელი“ თამარ მეფის დრომდის. როცა თამარ მეფემ სამეგრელოს ერისთაობა მისცა ვარდან დადიანს, რომელიც წინად იყო ბედიელად, მას შემდეგ აქ ბედიის ტაძარი შეიქმნა ბედიელ მიტროპოლიტთა საჯდომი და მეფის კურთხევის დროს ამ ბედიელ მიტროპოლიტს ეჭირა ოც-და-მეექვსე ადგილი. ამ დროიდან სამეგრელოს ერისთავს ეწოდებოდა დადიანი, ხოლო ბედიელობა დარჩა ღირსებად ბედიის მიტროპოლიტსა. როგორც ბაქრაძის მიერ გადმოცემული ზედწარწერა ბედიის ტაძრის ბარძიმზედ ამტკიცებს, ეს ტაძარი უნდა იყოს აშენებული მეათე საუკუნის გასულს. ახლა ეს ბარძიმი ინახება ილორის ტაძარში და ფეხი აქვს მომტვრეული. მის გარშემო აწერია შემდეგი: „წმინდაო დედა ღვთისაო მეოხ ექმენ წინაშე ძისა შენისა ამა ბარძიმისა შემომწირველთა, ტაძრისა ამის აღმაშენებელთა და საკურთხეველისა ამის შემკობითა აბხაზეთის მეფესა ბაგრატს და დედასა მისსა დედუფალს გურანდუხტს“. მეორე ზედ-წარწერაა ბარძიმის ფეხის გარშემო: „ყოვლად წმინდაო ელახერნისა ღვთის მშობელო მეოხ მექმენ წინაშე ძისა შენისა დღესა მას განკითხვისასა ცვად-ფარვად ჩემდა ბედნიელ მიტროპოლიტისა გერმანე ჩხეტიძესა ამინ“. ბროსეს გადმოუღია ერთი ზედ-წარწერა დასავლეთის კუთხის ქვაზედ: „წმინდაო დედაო ღვთისაო მეოხ ექმენ გალატოზთ უხუცესსა სიმეონს, ამშენებელსა წმინდისა ამის ტაძრისა. ამინ“.

სამხრით კედელზე ბროსეს დროს ყოფილან დახატულნი სიმაღლით დადიანი გიორგი და დედა მისი მარეხი. მის გვერდით ამოუკითხავს შემდეგი ზე წარწერა ფერადი წამლითა: „დიუფალთ დიუფალი მარეხ და შვილი მისი ერისთავი და მსახურთ უხუცესი დადიანი გიორგი“. ეს უნდა იყოს ლევან დადიანის შვილი, რომელიც განაგებდა სამეგრელოს მეთექვსმეტე საუკუნის გასულს. ბაგრატ მესამის გვამი წამოიღო ზვიად ერისთავმან ფანასკერტიდან და დაასაფლავა ბედიას. აქედან უნდა ვიგულისხმოთ, რომ დედოფალს გურანდუხტს და მის შვილს ბაგრატ III-ს, აფხაზეთის მეფეს, აუშენებიათ ეს ტაძარი კარის ეკლესიად და გაუხდიათ თავის სასაფლაოდ. ბედიის ტაძარი ფრიად შესანიშნავია თავისებურობით და თითქმის ყველა საქართველოს ტაძრებზედ უფრო ატყვია ამ ეკლესიას უძველესი ქართული ხუროთ-მოძღვრების კვალი. გარეგანი ქადაკი კარებზედ და ფანჯრებზე შეიცავს ქართულ გლეხთა ნაქარგს, რომელიც თავისებურად არის დაწყობილი, შემკული და ჯერ კიდევ სვეტის ზოლებად არი გადაქმნილად. ამ გვარი ხელოვნება არის ნიმუში უძველესის აზიის ხელოვნებისა, რომელიც იმ დროს აღარც ბიზანტიაში და არც დასავლეთის ევროპაში არ სცოდნიათ. ამ გვარი სახეები ხელოვნებისა მხოლოდ საქართველოში შენახულა. ბედიის ტაძრის გეგმა ჯვარის სახედ არის მოყვანილი. დასავლეთისაკენ ჰქონია შვენიერი ხუროთმოძღვრების გეგმაზე აგებული ფარდული (პორტიკისტოვა). შიგნით ორ ეტაჟიანი ხორო, რომლის ზემო ნაწილი კამერებით უნდა ყოფილიყო შეერთებული თვით ტაძრის გუმბათთან. მას აქვს სამი საწირველო, შუაგული ყველაზე უდიდესი. შიგნით ტაძარი ყოფილა მოხატული, ცა ჰქონია თორმეტ კუთხიანი ბოყვით შეკრული. ორს განის საკურთხეველში ორ-სართულიანი ოთახებია დატანებული. ზემოს სართულის ოთახებში კიბის მიუდგმელად ვერ ავა კაცი. როგორც ეტყობა აქ ყოფილა ტაძრის სალარო

და საგანძური. შიშიანობის დროს აქ უნდა შეენახათ ყოველი ძვირფასეულობა. თვით სართულში შესავალი კარი ისე იკეტებოდა, რომ უცხო კაცი ვერას შენიშნავდა. როგორც აქ დახატულ ნანგრევიდან სჩანს, ბედიის ტაძარი მეტად წამხდარა და დაშლილა დროთა ვითარების გამო. დღეს იგი შეფოთლილია სუროებით და ნანგრევზედ ხეებია ამოსული. ხუროთმოძღვარს პავლინოვს დაწვრილებით შეუსწავლია მისი გეგმა, გაუზომავს და შემდეგ აღუდგენია მისი სურათი, რომელიც აქვეა დახატული. მეთექვსმეტე საუკუნეში გიორგი დადიანს და მის დედას მარეხს ეს ძველი ტაძარი შეუკეთებია და მისი კვალი დღესაც სჩანს აღმოსავლეთის კედელზედ, გარედან, გეგმის შეუფერებელი მოქანდაკებული ჯვარითა. ეს ჯვარი სრულებით არ ეთანხმება ტაძრის დიდებულს შენობას და ხუროთმოძღვრების გემოვნების წინააღმდეგია: ვახუშტის დროს მეთვრამეტე საუკუნეში ბედიის ტაძარი ჯერ კიდევ არ ყოფილა გაუქმებული. *ცხუმი ქართულად ნიშნავს სიცხიანს, მზეზედ მიქცეულს ადგილს. შემდეგ სიტყვა ცხუმი ოსმალებმა გადაამახინჯეს სუხუმად. ავტ. /გ. წერეთელი/. (კვალი, N22, 1893 წელი);

1893 წელი

ჟურნალი ,,მწყემსი''

წმ. მოციქულის სიმონ კანანელის ტაძარი აფხაზეთში

ანაკოპია, ქართლის მატიანეთა მოთხრობით, დაუარსებიათ ბერძნებს ქრისტეს დაბადებამდე. რომ ეს მხარე ერთ დროს იმყოფებოდა რომის იმპერიის მფლობელობაში, ამას მოწმობს ერთი აქაური გორის ციხის ნანგრევები, რომელნიც დღესაც იპყრობენ მოგზაურთა ყურადღებას, ეს ციხე, როგორც მოგვითხრობს ზეპირგადმოცემა, აშენებულია იმპერატორ ტრაიანეს დროს მე-II საუკუნეში ქრისტეს დაბადების შემდეგ; IV საუკუნეში ამ ციხეს იხსენიებენ იმ დროის საეკკლესიო მწერალნი, რომელნიც უწოდებენ ამ ციხეს ასპარს ანუ აპსარს ე.ი. იმ მდინარის სახელს, რომელიც ამ მწერალთა მოთხრობით მდებარეობდა ქალაქ სევასტოპოლიდამ ცოტა მოშორებით (სადაც დღეს სუხუმია, ოც ვერსზედ აპსარიდამ). კონსტანტინე პორფიროგენიტი იხსენიებს ქალაქს ნიკოპსის და იმავე სახელწოდებით მდინარეს. რომ მართლა ანაკოპია ბერძნების ხელში ყოფილა, ამას ამტკიცებს ამ მხარეში დაშთენილი ტაძარი წმ. მოციქულის სიმონ კანანიტელისა; ეს ტაძარი განახლებულია კომნენების დროს (XII საუკუნეში).

როგორც მეექვსე საუკუნის ნახევარში, ისე შემდეგ საუკუნეებში ანაკოპია ყოფილა სატახტო ქალაქი აფხაზეთის გამგე ბერძენთათვის. ეს მხარე დაიპყრო იმპერატორმა იუსტინემ 550 წელში და 786 წლიდან საბერძნეთის მეფენი შეიქმნენ დამოუკიდებელნი გამგენი ამა მხარისა და იწოდებოდნენ აფხაზეთის მეფეებად. მეხუთე საუკუნიდამ დაწყებული მეშვიდე საუკუნის მეორე ნახევრამდის ნიკოპსიას განაგებდენ საბერძნეთის მეფენი. 1130 წ. კი როცა თბილისი იქმნა განთავისუფლებული არაბთაგან და ეს ქალაქი შეიქმნა სატახტო ქალაქად შეერთებულ საქართველოს სამეფოისა, ნიკოპსია შეადგენდა საქართველოს სამეფოის სამფლობელოის განაპირა საზღვარს დასავლეთით. აქ იყო მშვენიერი გალერეია სვეტებზე და პირი მიქცეული ჰქონდა ზღვისაკენ; ამ სვეტებიდგან ორმოცამდე კიდევ დაშთენილა მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულამდე; თათრებმა დაიფლეს ეს ქალაქი მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში და ჯარი ციხეში დააბინავეს. მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ეს მხარე შეუერთდა სამეგრელოს.

1876 წელში ძველი ანაკოპიის ნანგრევებზე დაფუძნდა ახალი-ათონის სიმონ კანანელის მონასტერი, რომელმაც უნდა აღადგინოს აფხაზეთში მართლ-მადიდებელი სარწმუნოება.

1882 წელში განახლებულ იქმნა ანაკოპიის ძველი ტაძარი წმ. მოციქულის სიმონ კანანელისა. ამ ტაძარში, როგორც ზეპირგადმოცემა მოგვითხრობს, არის დასაფლავებული გვამი ამავე მოციქულისა. თუმცა ამ საუკუნის დასაწყისში ქრისტეს სარწმუნოება მეტად დასუსტდა აფხაზეთში, განსაკუთრებით როცა პიწუნდის ღვთის-მშობლის ხატი პიწუნდიდამ გადასვენებულ იქმნა გელათის მონასტერში მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში, მაგრამ ხალხი მაინც დიდ პატივსა სცემდა ამ ტაძარს, სადაც განისვენებდა წმ. ნაწილნი მოციქულისა. ყოველ წლობით მრავალი მლოცველი მიდიოდა ამ ტაძარში მოციქულის წმ. ნაშთთა თაყვანისაცემლად. მაგრამ დროთა ვითარებისა გამო ეს ტაძარი წარმოადგენდა ნანგრევებს, რასაც ამტკიცებს ა. ნ. მურავიევის აღწერილობა ამა ტაძრისა 1840 წ. ,,ჩვენ გამოვედით ზღვის ნაპირას, ამბობს მურავიევი, რომ დაგვეთვალიერებია ტაძარი, რომელშიაც ხალხის სიტყვით, განისვენებს წმ. მოციქულის გვამი, მაგრამ დიდხანს ვეძებეთ ეს ტაძარი ნიკოპსიის ნანგრევებ შორის. ადგილობრივ მკვიდრთა ენა არ ვიცოდით, რომ ვინმესთვის გვეკითხა, თუ სად მდებარეობდა ეს ტაძარი. ბოლოს ვიფიქრეთ, რომ ტაძარი ალბად მთის ციხეში იქნებოდა და გავსწიეთ იქით, მაგრამ ამ დროს გამოგვიჩნდა ერთი კაცი, რომელმაც აღგვითქვა ამ ტაძრის ჩვენება და უკანვე დაგვაბრუნა. გაგვარონინა ნიკოპსიის ნანგრევები, გაგვიყვანა ქალაქის გალავანს იქით ერთ მინდორზე, რომელიც სავსე იყო ნანგრევებით და რომლის შუა იდგა მშვენიერი ტაძარი, რომელსაც ჩანგრეული ჰქონდა გუმბათი; ამ ტაძრის დასავლეთი ეგუტერი გავსილი იყო ქვებით და დაფარული მცენარეებით. სამხრეთის ეგუტერის ზემოთ კიდევ მოჩანდა მაცხოვრის ნახატი. ტაძარი აშენებულია ბიზანტიურს სტილზე. კედლები ტაძრისა მეტად თხელია და ნაშენია რომაელ ანგურისაგან. ტაძრის თაღი დაშვებულია მორჩილა სვეტებზე. მხატვრობა უკვე წაშლილა, მაგრამ დასავლეთის მხრით კედელზე კიდევ მოჩანს: მიძინება ღვთის-მშობლისა და ორი მოწამე. მოციქულის სასაფლაო არსად სჩანს. მაგრამ რადგან, ძველი ჩვეულებისამებრ, წმ. ნაწილებს ასაფლავებდნენ ტრაპეზის ქვემოთ, მე ვილოცე იმ ადგილს ზემოდ, სადაც ტრაპეზი იყო. როცა ეს ტაძარი უკანასკნელად განაახლეს, იმ ადგილს, სადაც ტრაპეზია, ნახეს მანეთი ალექსი კომნენის დროისა; აქედამა სჩანს, რომ უკანასკნელად ეს ტაძარი განუახლებიათ აფხაზეთ-იმერეთის მეფის დავით აღმაშენებელის მეფობის დროს (1089-1130) მეთორმეტე საუკუნეში. ძველი მხატრობისაგან დარჩენილა ტაძარში: ჩრდილოეთის კედელზე განახლებული გამოხატულება წმ. მოწამისა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გამოხატულება არის დიდი მოწამის გიორგისა, რომელიც ძლიერ ჰგავს იმ გამოხატულებას, რომელიც იმექონება ერთ სასწაულთ-მომქმედ ხატზე ათონის მონასტერში, სადაც ეს მოწამე დახატულია ზეზედ მდგომარე და არა ცხენზე მχდომი. კედლები შეთეთრებულია. კანკელი ახალია. დასავლეთის ეგუტერზე დაშენებულია სამრეკლო. სასურველია, რომ ჩამონგრეული დერეფნები ხელახლად შეკეთდეს. ეგუტერის ჩრდილოეთის ნაწილში სჩანს სასაფლაო, რომელშიაც არის რამდენიმე თავის ქალა და ძვლები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ტაძარში, ანუ მის მახლობლად, იყო დასაფლავებული ბატონისშვილი დიმიტრი, ძმა აფხაზეთ-იმერეთის მეფის გიორგისა (1014-1027), რომელიც სასტიკად ეომებოდა თავის ძმას ტახტისათვის და რომელიც, როგორც ვიცით, გარდაიცვალა ნიკოპსიას. სამხრეთ შესავალ კარებში კარის ნალის მაგიერ სძევს დიდი მოგრძო ქვა (ალბად უწინდელი სასაფლაოს ფიქალი, რომელზედაც შუაგულში ამოჭრილია სიმრგვალე, რომელშიაც არის ოთხ-თავიანი χვარი ჩვეულებრივი ბერძნული სიტყვებით; სიმრგვალეს გარშემო ყველა კუთხით არის სამ-სამი ბერძნული ასო. ამ ასოებით დაწერილია; ღვთისა დედაო! აცხონე წმიდა გიორგი მიტროპოლიტი ცხემსკისა (სუხუმისა). ასე იწოდებოდნენ ეპისკოპოსები, რომელთა საკათედრო ტაძრად იყო წმ. მოციქულის სიმონ კანანელის ეკკლესია*). ალბად ეს სასაფლაოს ქვა, ტაძრის განახლებამდე მეშვიდე საუკუნის პირველს მეოთხედში იყო

დადებული ცხომის ტაძრის რომელიმე ეპისკოპოსის საფლავზედ. საკურთხევლის კედლის ერთ ქვაზე იმექონება წარწერა ბერძნულ ენაზე. ეჭვი არ არის, რომ ეს ქვაც სასაფლაოს ქვა უნდა იყოს.

ადგილი, რომელიც უჭირავს ამ ტაძარს, მეტად შვენიერია. იგი სძევს მთის ხეობის პირდაპირ, საიდგანაც მომდინარეობს მდინარე პსირტსხა. მონასტრის გარეშემო არის შვენიერი სასეირნო ადგილები. ტაძრის სამხრეთ-დასავლეთის კუთხეში სდგას დიდი ხნის შტოებიანი კაკლის ხე, რომლის ქვეშ მოწყობილია დასაჯდომი სკამები დასასვენებლად; ტაძრის დასავლეთის კარების პირდაპირ გაკეთებულია აუზი, რომელსაც ამშვენებს ჯვარი; ჯვრის ტოტებიდამ ჩამოდის წყალი თევშებში; აქვე ჯაჭვებით არის მიბმული ლაპოტები, რომლითაც წყალსა სმენ მსურველნი. აუზის უკან მდინარის ქვემო ნაპირამდე გაშენებულია ყვავილები. ტაძრის უკან, მთაში აშენებულია სენაკი ეკკლესიის ყარაულისა და მისი თანაშემწისათვის; იმათ წინ გაკეთებულია ბოსტანი მონაზონთათვის; აღმოსავლეთით მაღლობზედ გაშენებულია ხეხილი და სხვა ხეები. მდინარის მეორე ნაპირზედ აშენებულია მონასტრის წისქვილის შენობა. დასავლეთით მთის ძირზედ გაკეთებულია სახლები მუშებისათვის. მონასტრის მნახველები და მლოცველები გაემგზავრებიან ხოლმე სასეირნოდ სიმონ-კანანიტელის ტაძრისკენ. მონასტრიდამ და ზღვიდამ გზა მიდის ერთი ვერსის მანძილზე ზღვის პირად მონასტრის ხილნარი ბაღის გვერდით, ხოლო გზის მეორე მხრით გაკეთებულია სათიბები და მონასტრის ბოსტანი. მეტად შვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე ამ წმ. ადგილის დათვალიერება და მნახველს სურვილი ებადება, რომ ხელმეორედ დაათვალიეროს ეს ადგილი, ასეთ მოთხოვნილებას ჰბადებს მნახველში ისიც, რომ ამ მონასტერში თითქმის ყოველ დღეს სრულდება დილით ადრე წირვა, რომლის დროს ტაძარი სრულიად სავსეა მლოცველებით.

ეხლა აღვწეროთ ანაკოპსიის უძველესი ნაშთი ციხის ნანგრევები: მეოთხე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ ერთი საეკკლესიო მწერალთაგანი წმიდა დოსითეოსი, ეპისკოპოსი ტირისა და მის შემდეგ ბერი წმ. ეპიფანე კიპრელი იხსენიებენ ამ ციხეს და მდინარე ასპარს სევასტოპოლის მახლობლად (დღეს სუხუმისა). ცხადია, რომ ამ მდინარის აწინდელი სახელი პსირტსხი, იგივეა რაც უწინდელი სახელი ასპარა და ამავე სახელით წოდებული ციხე იგივეა, რომლის ნანგრევები ამშვენებენ ამ ადგილის ერთი მთის წვეროს, რომელთა შუა გამოდის მდინარე პსირტსხა. ამ ციხის ნანგრევებს, განსაკუთრებით კედლებს, დღესაც ემჩნევა რომაული სამხედრო ხელოვნება; ციხის კედლები აშენებულია უბრალო, მაგრამ კარგად შეკეთებული ქვისაგან. კედელი შემოყოლებული აქვს მთის მთელ სამხრეთ მხარეს და მიქცეულია ზღვისაკენ. იმ დროს, როცა ნიკოპსიას ბერძნები ფლობდნენ, ამ ციხეს, როგორც მოწმობს კონსტანტინე ბაღრიანოროდნი, უწოდებენ ნიკოპსიას იმ ქალაქის სახელს, რომელსაც ის იფარავდა, ხოლო გეორგი კედრინი უწოდებს ამას აფხაზეთის ციხედ. ეს ციხე მეჩვიდმეტე საუკუნეში დაიკავეს თათრებმა და მასში დაბანაკებული ჰყავდათ ჯარები მეთვრამეტე საუკუნის დამლევამდე. (მწყემსი, N10, 1893 წელი);

ბედიის ტაძარი

ბედია მდებარეობს ეხლანდელ სამურძაყანოში ოქუმის წყლის ერთ შესართავ წყალთან, ოქუმიდამ 15 ვერსის მანძილზედ. გზა მიუდის ჩრდილოეთით ოქუმიდამ უსწორ-მასწორო და ტყით დაბურულ ალაგობით. ბედია მაღლობზედ არის მედიდურად გადმომდგარი და სასიამოვნოდ დასცქერის მის წინ მდებარე დაცემულს ადგილს შავი ზღვის ნაპირად. ბედია დიდი ხნიდამაა ცნობილი საქართველოს ისტორიაში. ამბობენ, ვითომ აქ ბინადრობდა ეგროსი, მეგრელების მამათ-მთავარი. აქვე იმყოფებოდენ ერისთავები ბედიანებათ და შემდეგ ბედიან-დადიანებათ წოდებულნი და ეპისკოპოზი, რომლის მმართველობის

ქვეშ იყო ეგროსის და დადისის წყლებ შუა მოქცეული ალაგი, ეხლანდელ ოხოჯს და ერთ-წყალს შუა; საქართველოს ერთხელმწიფობის დროს ბედიელს ეჭირა 26 ალაგი 40 ქართველ მღვდელ-მთავრებში და მეფის გვირგვინოსნობის დროს იდგა ცხომის - სუხუმის ეპისკოპოზის ქვემოდ. ეხლანდელი ბედიის ტაძარი აღაშენა მეათე საუკუნეში აფხაზ-ქართლის მეფემ ბაგრატ III, და გაამდიდრა მრავალ სოფლების შეწირვით. ამ ტაძარს თლილი და მოქანდაკებული ქვა არტყია; დიდი არ არის მაინცა და მაინც, მაგრამ ძალიან ლამაზია. ზევით არის გუმბათი, რომელიც შეფოთლილია მცენარეებით. გალავანში ეხლაც არის დარჩენილი ბედიელ-ეპისკოპოზთა სადგომები. შიგნით და გარეთ კედლებზედ ეხლაც მოჩანს წარწერანი, სადაც მოხსენებულია ბედიელი ეპისკოპოსები, გიორგი დადიანი და მეფე კონსტანტინე, რომელნიც სცხოვრობდენ XIV საუკუნეში. (დასასრული შემდეგ №-ში) (მწყემსი, N12, 1893 წელი);

ბედიის ტაძარი
(დასასრული *)

როგორც ბაქრაძის მიერ გამოცემული ზედწარწერა ბედიის ტაძრის ბარძიმზედ ამტკიცებს, ეს ტაძარი უნდა იყოს აშენებული მეათე საუკუნის გასულს. ახლა ეს ბარძიმი ინახება ილორის ტაძარში და ფეხი აქვს მომტვრეული. მის გარშემო აწერია შემდეგი: ,,წმიდაო დედა ღვთისაო მეოხ ექმენ წინაშე ძისა შენისა ამა ბარძიმისა შემომწირველთა, ტაძრისა ამის აღმშენებელთა და საკურთხეველისა ამის შემკობთა აბხაზეთის მეფესა ბაგრატს და დედასა მისა დედუფალს გურდანდუხტს''.

მეორე ზედ-წარწერა ბარძიმის ფეხის გარშემო: ,,ყოვლად წმიდაო ვლახერნისა ღვთის მშობელო მეოხ მექმენ წინაშე ძისა შენისა დღესა მას განკითხვისასა ცვად-ფარვად ჩემდა ბედიელ მიტროპოლიტსა გერმანე ჩხეტიძესა ამინ". ბროსეს გადმოუღია ერთი ზედ-წარწერა დასავლეთის კუთხის ქვაზედ: ,,წმინდაო დედაო ღვთისაო მეოხ ექმენ გალატოზთ უხუცესსა სიმეონს, ამშენებელსა წმიდისა ამის ტაძრისა. ამინ''. სამხრით, კედელზე ბროსეს დროს ყოფილან დახატულნი სიმაღლით დადიანი გიორგი და დედა მისი მარეხი. მის გვერდით ამოუკითხავს შემდეგი ზედ-წარწერა ფერადი წამლითა: ,,დიუფალთ დიუფალი მარეხ და შვილი მისი ერისთავი და მსახურთ უხუცესი დადიანი გიორგი''. ესუნდა იყოს ლევან დადიანის შვილი, რომელიც განაგებდა სამეგრელოს მეთექვსმეტე საუკუნის გასულს. ბაგრატ მესამის გვამი წამოიღო ზვიად ერისთავმან ფანასკერტიდან და დაასაფლავა ბედიას. აქედან უნდა ვიგულისხმოთ, რომ დედოფალს გურანდუხტს და მის შვილს ბაგრატ III-ს, აფხაზეთის მეფეს, აუშენებიათ ეს ტაძარი კარის ეკკლესიას და გაუხდიათ თავის სასაფლაოდ.

ბედიის ტაძარი ფრიად შესანიშნავია თავისებურობით და თითქმის ყველა საქართველოს ტაძრებზედ უფრო ატყვია ამ ეკკლესიას უძველესი ქართული ხუროთ-მოძღვრების კვალი. გარეგანი ქანდაკი კარებზედ და ფანჯრებზე შეიცავს ქართულ გრეხილთა ნაქარგს, რომელიც თავისებურად არის დაწყობილი, შემკული და ჯერ კიდევ სვეტის ზოლებად არ გადაქმნილად. ამგვარი ხელოვნება არის ნიმუში უძველესი აზიის ხელოვნებისა, რომელიც იმ დროს აღარც ბიზანტიაში და არც დასავლეთის ევროპაში არ სცოდნიათ. ამგვარი სახეები ხელოვნებისა მხოლოდ საქართველოში შენახულა.

ბედიის ტაძრის გეგმა ჯვარის სახედ არის მოყვანილი. დასავლეთისაკენ ჰქონია შვენიერი ხუროთმოძღვრების გეგმაზე აგებული ფარდული (პორტიკისტოვა). შიგნით ორ სართულიანი ხორო, რომლის ზემო ნაწილი კამარებით უნდა ყოფილიყო შეერთებული თვით ტაძრის გუმბათთან. მას აქვს 3 სამწირველო, შუაგული ყველაზე უდიდესია. შიგნით ტაძარი ყოფილა მოხატული, ცა ჰქონია თორმეტ კუთხიანი ბოყვით შეკრული, ორს განის საკურთხეველში ორ-

სართულიანი ოთახებია დატანებული. ზემო სართულის ოთახებში კიბის მიუდგომელად ვერ ავა კაცი. როგორც ეტყობა აქ ყოფილა ტაძრის სალარო და საგანძური. შიშიანობის დროს აქ უნდა შეენახათ ყოველი ძვირფასეულობა. თვით სართულში შესავალი კარი ისე იკეტებოდა, რომ უცხო კაცი ვერას შენიშნავდა. როგორც აქ დახატულ ნანგრევიდან სჩანს, ბედიის ტაძარი მეტად წამხდარა და დაშლილა დროთა ვითარების გამო. დღეს იგი შეფოთლილია სუროებით და ნანგრევზედ ხეებია ამოსული.

ხუროთ-მოძღვარს პავლინოვს დაწვრილებით შეუსწავლია მისი გეგმა, გაუზომავს და შემდეგ აღუდგენია მისი სურათი, რომელიც აქვეა დახატული. მეთექვსმეტე საუკუნეში გიორგი დადიანს და მის დედას მარეხს ეს ძველი ტაძარი შეუკეთებიათ და მისი კვალი დღესაც სჩანს აღმოსავლეთის კედელზედ. გარედან, გეგმის შეუფერებელი მოქანდაკებული ჯვარითაა. ეს ჯვარი სრულებით არ ეთანხმება ტაძრის დიდებულს შენობას და ხუროთ-მოძღვრების გემოვნების წინააღმდეგია: ვახუშტის დროს მეთვრამეტე საუკუნეში ბედიის ტაძარი ჯერ კიდევ არ ყოფილა გაუქმებული. *) იხ. „მწყემსი“-ს N12 1893 წ. (მწყემსი, N13, 1893 წელი);

სოხუმის ახალი ეპისკოპოსი პეტრე

ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ სოხუმის ახალ ეპისკოპოსად დაინიშნა კიევის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი პეტრე. მოგყავს ზოგიერთი ბიოგრაფიული ცნობები ყოვლად სამღვდელოს პეტრეს შესახებ: ყოვლად სამღვდელო პეტრე შობიდამ არის 35 წლისა. მაშასადამე მათი მეუფება რუსეთის ეკკლესიის ყველა მღვდელ-მთავრებზე ახალგაზდაა. იგი დაბადებულა და აღზდილა მოსკოვში, იგი არის ერთადერთი შვილი კოლლეჟსკი სეკრეტრისა და ერის კაცობაში ეძახოდენ ალექსი ნიკოლოზის ძეს დუგოვს. მას პირველად სწავლა დაუმთავრებია მოსკოვის კლასიკურ გიმნაზიაში 1877 წელში და იმავე წელში შესულა მოსკოვის უნივერსიტეტში ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზედ; აქ სწავლა დაუმთავრებია 1881 წელში კანდიდატის ხარისხით და როგორც უნივერსიტეტის ერთი საუკეთესო მოწაფეთაგანი, იგი დაუტოვებიათ უნივერსიტეტშივე, რომ მომზადებულიყო პროფესორის თანამდებობისათვის. 1883 წ. კანდიდატს დუგოვს მშვენივრად დაუჭერია ეგზამენი და მიუღია მაღისტრობის ხარისხი. 1884 წ. ალექსი ნ. დუგოვი აღკვეცილა ბერად და სახელად უწოდებიათ პეტრე; შემდეგ მალე უკურთხებიათ მთავარ-დიაკვნად და ბერ-მონაზვნად და მიუშვიათ ლექციების მოსასმენად მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, მეოთხე კურსის სტუდენტებთან ერთად ისტორიულ განყოფილებაში. სიტყვიერი გამოცდის და დაწესებული თხზულების დაწერის შემდეგ ბერ-მონაზონ პეტრესთვის აკადემიის რჩევას მიუცია ღვთის-მეტყველების ხარისხი და ერთი წლით დაუტოვებიათ აკადემიაშივე პროფესორის თანამდებობაზე მოსამზადებლად. 1885 წელში ბერ-მონაზონი პეტრე დაუნიშნავთ ვიფანის სემინარიის ინსპეკტორად, ხოლო 1889 წელში ვლადიმირის სემინარიის რექტორად და აუყვანიათ არქიმანდრიტის ხარისხზედ. 1890 წელში გადასულა მოსკოვის სასულიერო აკადემიის ინსპეკტორის და პროფესორის თანამდებობაზედ, აქედგან 1892 წელში იგი დაუნიშნავთ კიევის სასულიერო სემინარიის რექტორად. კიევის სასულიერო სემინარიის რექტორად მყოფობის დროს ყოვლად სამღვდელო პეტრე ყოფილა ადგილობით სასულიერო ჟურნალის «Руководсство для селъскихъ пастырей»-ის რედაქტორად. ამ ჟურნალში იბეჭდებოდა მათი მეუფების სტატიები და მოძღვრებანი. აგრეთვე ცალკეც დაბეჭდილი ზოგიერთი მისი ნაწერები. (მწყემსი, N18, 1893 წელი);

პიწუნდა

პიცუნდა (ქართულად ბიჭვინტა) სტრაბონის სიტყვით (66 წელში ქრისტეს დაბადებამდე და

24 წელში ქრისტეს შემდეგ) იყო ძველი და დიდი ქალაქი, რომელსაც სახელად ეწოდებოდა პითიუსი, სივრცით ეს ქალაქი იყო 30 ვერსამდე.*) აქ, როგორც სჩანს არრიონის ქარტისაგან მდ. ბზიბი მიმდინარეობდა ტყის შუა და ჩადიოდა პიცუნდის ნავთ-სადგურში; ბზიბის ასეთი მიმდინარეობის ნაშთია თევზის ტბა ინგითი, რომელიც მდებარეობს დასავლეთით პიცუნდიდამ ოთხი ვერსის მანძილზე; ეს ტბა ისეთივე მნიშვნელობისა არის, როგორც პალეოსტომი (რომელიც მდებარეობს რიონის შესართავში). სილიანი კიდე პიცუნდის ნავთსადგურისა, რომელზედაც იზრდება ნაძვის ხე და რომლისაგან ეწოდა სახელი თვით ამ ქალაქს, იმედია, შემდეგში შეიქმნება კავკასიაში საუკეთესო საცხოვრებელ ადგილად გულით ავადმყოფთათვის. როცა VI საუკუნეში აფხაზებმა მიიღეს ქრისტიანობა და ცოტა განათლებაც შევიდა მათშიც, VIII საუკუნიდან დაწყებული ბერძნების დახმარებით, ივერიის დამოუკიდებლად, აფხაზეთში ინიშნებოდენ დამოუკიდებელი კათალიკოსები აფხაზეთის და იმერეთის სახელწოდებით, რომელთაც, პროკოპის სიტყვით, გაიჩინეს კათედრა იმ დიდ ტაძარში, რომელიც ახლად მონათლულ აფხაზთათვის აღაშენა ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე პირველმა 551 წელში. ამ ტაძრის გეგმა გადაღებულია კონსტანტინეპოლს წმიდა სოფიის ტაძრისაგან, მხოლოდ პირველი უფრო პატარაა. ამ ტაძართან სხვა და სხვა დროს აუშენებიათ ტაძრები (რომელთა ნანგრევები დღესაც სჩანს), სამრეკლოები და საცხოვრებელი სახლები, რომელთა ბალავრები მოსჩანან იმ გზის პირად, რომელიც მიდის ტაძრიდამ ზღვისაკენ და რომლის ჩაყოლებით ჩამწკრივებულია ალვის ხეები. ახლად აშენებული პიცუნდის ტაძარი უკურთხებიათ წმ. სოფიას სახელზედ, მსგავსად კონსტანტინეპოლის წმ. სოფიის ტაძრისა და ეს სახელი ეწოდებოდა მას XVI საუკუნემდის; თვითონ სილიანი ზღვის კონცხს (мысъ) ეწოდებოდა წმ. სოფიის სახელი.*). პითიუს იხსენებენ ჩვენი მატიანების მწერალნი მხოლოდ XI საუკუნიდამ და უწოდებენ ბიჭვინტას. პიცუნდა მდებარეობს შავი ზღვის აღმოსავლეთის ნაპირზედ, მდინარე ბზიბის მარცხნივ სამი ვერსის მოშორებით პიცუნდის კონცხიდამ და ერთი ვერსით ზღვის პირიდამ. პიცუნდის მთელი ნავთსადგური ზღვის პირად და შიგნით (სიგრძით 4 და სიგანით 1 ვერსზედ) შემოსილია ნაძვის ტყით, რომელშიაც მოსჩანს ტაძრის გუმბათი, თუმცა თვითონ ტაძარი ტყის გვერდით სდგას. აღმოსავლეთის კედლის წინ ჩამწკრივებულია ალვის ხეები, იმათ ჩრდილ ქვეშ ხარობს ბროწეული, რომელთა შორის მე შევნიშნე ჩინეთური ყვავილები. როცა თვითონ მონასტერს მიუახლოვდები, მარჯვნივ, გადაჭიმულია მშვენიერი მინდორი, რომელზედაც ადგილ-ადგილ ხარობს ხეხილები და სხვა უბრალო ხეები. ტაძარს უბრალო ქვის გალავანი აქვს ირგვლივ შემოვლებული; ეს გალავანი გაკეთებულია XVIII საუკუნეში, როცა თათრები ხშირად აოხრებდნენ აფხაზეთს და XVII საუკუნის ნახევარში აფხაზეთის კათალიკოსები მათგან იძულებულნი შეიქმნენ დაეტოვებიათ პიცუნდა და გადასახლებულიყვნენ იმერეთში (ქუთაისში). 1830 წლიდამ აქ ააგეს რუსების სამხედრო ციხე, რომლის ნაშთად დარჩენილა ციხის სარკმელი, ზარბაზნების დასადგმელი; ეს ციხე მიშენებულია ტაძრის გალავნის ჩრდილოეთ კედელზე. როცა 1830 წელში პიცუნდა დაიკავა რუსის ჯარმა, პიცუნდის ტაძარში ძლიერ იშვიათად სრულდებოდა ღვთის-მსახურება (ლოცვა და წირვა) სამხედრო მოსამსახურეთათვის პოლკის მღვდლისაგან. სალოცავად იწოდებდნენ ამ ტაძარში მლოცველებს პატარა ზარის რეკვით, რომელიც ეკიდა მაღლობელ ხეებზე; ზარზე ლათინური ასოებით ეწერა წელიწადი 1429 *). სევასტოპოლის წარსულს ომების დროს ეს ზარი მოიპარეს. როცა ჩვენმა ჯარმა დაიკავა პიცუნდა 1830 წელში, ტრაპეზზედ ნახეს ქართული სახარება XV საუკუნისა; ეს სახარება დღეს ინახება საიმპერატორო საჯარო წიგნთ-საცავში. რამოდენიმე ნაბიჯში ტაძრის გალავნის ალაყაფის კარებიდამ, მონასტრის აღმოსავლეთის მხრით, არის ჭა, რომელშიაც გაყვანილი ყოფილა წყაროს წყალი, მაგრამ ეს ჭა დღეს ამოვსებულია ხის ფოთლებით. პიცუნდის ტაძარი სულ სხვა გემოზეა აღშენებული, ვინემ საქართველოს და სომხეთის ეკკლესიები. **) სიგრძით ბიჭვინტის ტაძარი 19 საჟენი და ორ არშინ ნახევარია, სიგანით 10 საჟენი და 2 არშინი, ხოლო გარედამ სიმაღლით 14 საჟენი და 2 არშინი. ტაძრის ბალავერი გაკეთებულია უბრალო ქვებისაგან, კედლები სიგანით ორი

არშინია და ნაშენია იტალიანური გამომწვარი აგურისაგან და ალაგ-ალაგ ერთნაირი ზომის ფილაქანი ქვისგან; სჩანს ტაძარი ნაშენია სხვა და-სხვა დროს, როცა კი მოზიდავდნენ ქვას და აგურს. ქვა და აგური ნაშენებია ისე, როგორც კონსტანტინეპოლის ტაძარი. ბიჭვინტის ტაძარი ნაშენებია ნამდვილს ბიზანტიურს გეგმაზე. სამი მხრით: ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთით მისი გუმბათი დაშვებულია სამ მაღალ სვეტის თავზე. მისი ორ სართულიანი სტოვა მიშენებულია ტაძრის ტრაპეზის დასავლეთ ნაწილზე. სამი პატარა დერეფანი, რომელიც ჰქონებია ქალაქს განახლებამდე (1864 წ.), მონგრეულია. მისი ბურთის მსგავსი გუმბათი ამშვენებს ტაძარს. გუმბათი ოდესმე დახურული ყოფილა სპილენძის ფურცლებით, დღეს კი დახურულია იგი რკინით. ტაძრის შიგნით საკურთხეველს ნახევრობით მომრგვალებული სახე აქვს და გაშვერილია აღმოსავლეთით; საკურთხევლის შუაგულზე არის წმიდა ტრაპეზი, მის უკან არის მაღლობი ადგილი კათალიკოსის დასაჯდომელი, მარჯვნით სალარო, მარცხნით სამსხვერპლო. საკურთხეველს ჰყოფს ტაძრიდამ ქვის დაბალი კანკელი, რომელშიაც დატანებულია შვიდი სანათური, ორი კარი მცირე და დიდი გამოსვლისათვის, ადგილობით ხატების ჩასასვენებლად და სამეუფო კარებისათვის, ამ ტაძრის საკურთხეველი ჰგავს სიონის ტაძრისას, რომელიც აშენებულია ატენის მინდორში. საკურთხევლის აღმოსავლეთის კედელზე მოსჩანდა კედლის მხატვრობის ნაშთები; ვლახერნის ღვთის-მშობელი, მოციქულებით, თორმეტი ზეზედ მდგომარე მღვდელ-მთავრები გარს არტყიან კათალიკოსის მაღალ კათედრას. კიდევ 14 წმიდანი, ლაზარეს მკვდრეთით აღდგენა და ფეხის ბანა ძლივსღა მოსჩანდნენ (1860 წლიდგან) საკურთხევლის კედელზე და რამდენიმე მხატვრობა მოციქულთა გუმბათში ფანჯრებ შუა; ყოველივე სხვა მხატვრობა წაშლილია, ანუ მოფხეკილა. როცა უკანასკნელად განაახლეს ეს ტაძარი (1860 წელში), გუმბათში შეუსწორებიათ ზოგიერთი მხატვრობა მაცხოვრისა, და მოციქულების გამოხატულება ფანჯრებ შუა, ხოლო საკურთხეველში აგრეთვე შეუსწორებიათ რამდენიმე წმინდანების მხატვრობაც. *) სტრაბონის სიტყვით ეს დიდი და მდიდარი ქალაქი პიტიუსი აუკლიათ გენიოხებს (ასე უწოდებდენ საზოგადოთ აფხაზთ VI ს. შემდეგ). მესამე საუკუნის დამლევს ქრისტეს შემდეგ პითიუსი აუღიათ და გაუქურდავს სკითებს, რასაც მოწმობს ზოსიმე, მწერალი V საუკუნისა ქრ. შემდეგ.*) იმ კონცხზედ, რომელიც დიდზედ შედის ზღვაში, რიგია აშენდეს პიცუნდის ახალი მფლობელებისაგან სამლოცველო აფხაზეთის ყველა წმიდანების სახელზედ. აფხაზეთის ყველა წმიდათა ხატზე, ჩემის აზრით, დახატული უნდა იქმნენ პიწუნდის ღვთის მშობელი, რომელსაც ხელში უკავია ძე; მის მარჯვნით წმ. იოანნე ნათლის-მცემელი და წმ. იოანე ოქროპირი, მარცხნით წმ. მოწამენი ანდრია და სიმონ კანანელი, ხოლო ღვთის მშობლის ფერხთ-ქვეშ მუხლ-მოყრილი იპატი, ეპისკოპოსი გარსკისა (20 ნოემბერს), წმ. მოწამე ვასილისკი, ეპისკ. კომანსკისა (22 მაისს), წმ. მოწამე ლონგინი (24 ივნისს), ბერძნულს სვინაქსარში, ერთი შვიდ ძმათაგანი ანტიოქიის მეომართა, რომელნიც დიოკლეტიანეს დროს გაგზავნილ იქმნენ დასასჯელად აფხაზეთში, რომელიც გარდაიცვალა ზღვაში მოგზაურობის დროს და დასაფლავებულ იქმნა პიცუნდაში. *) ეს ზარი ალბად მოტანილია გენუელებისაგან, რომელთაც გადევნეს აფხაზეთიდამ ბერძნები XIII საუკუნეში. *) როცა 1860 წელს პიცუნდის ტაძარი განაახლეს, მხოლოდ მაშინ დაემზგავსა მისი ფანჯრები საქართველოს ეკკლესიის ფანჯრებს. (შემდეგი იქნება). (მწყემსი, N18, 1893 წელი);

1894 წელი

გაზეთი ,,ივერია''

ახალი ამბავი

აფხაზეთი: ჩვენკენ ძრიელ გახშირდა ქურდობა. სოფელში ლამის მეტის-მეტად გაგვიჭირდეს ცხოვრება აღარ გაგონილა ამდენი პარვა საქონლისა. ერთს სამამასახლისოში ამას წინად ერთს თთვეში თითქმის ორასი ქურდობა მოხდა. ჩივილსაც ვეღარავინ ჰბედავს: ჯერ უარესისა ეშინიან და მერე, სანამ საჩივრად წავა და სახლში დაბრუნდება, იმასაც წაიღ-წამოიღებენ, რაც ოჯახში აქვს. ერთს შეამჩნიეს ცხენი, მოვიდნენ ქურდები და უნდა მოეპარათ. ამათ გარდა, სხვა ქურდებიც მოვიდნენ იმ სახლში, ჰნახეს გარედ შეკმაზული ცხენები, მოასხდნენ ზედ და გაუდგნენ გზას. პირველად მისულებმა ვერც კარგი ცხენი წაიყვანეს და თავისებიც დაჰკარგეს. ერთის სიტყვით, ჩვენი საქმე ძალიან გაჭირვებულია. ხან მოისპობა ქურდობა და ავაზაკობა, გაყუჩდება საქმე, ხან ისევ იფეთქებს უარესის ძლიერებით. არ ვიცით, როგორ და რა ნაირად უნდა გვეშველოს. ცხადია, თუ ისევ მცხოვრებლებმა არ ვიზრუნეთ და არ გავიმაგრეთ სოფელი, სხვა ვერავინ ვერას გვიშველის. (ივერია, N1, 1894 წელი);

ახალი ამბავი

ჩვენ მოგვივიდა ახალი წიგნი, რუსულად დაწერილი ბ-ნ თ. ჟორდანიას მიერ სახელწოდებით ,,Абхазскіе каталикосы. (Краткій очеркь изь исторіи Абхазской церкви). წიგნი დაბეჭდილია სტავროპოლისა და ეკატერინოდარის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო აღათოდორის სურვილითა და კურთხევითა სტავროპოლში. ამ პატარა წიგნში აწერილია მოკლედ ისტორია ქრისტიანობის დამკვიდრებისა აფხაზეთში, მიზეზი კათოლიკოსობის დაარსებისა ამ ქვეყანაში და სია აფხაზეთის კათოლიკოსთა მათის მოკლე ბიოგრაფიებით. (ივერია, N27, 1894 წელი);

ახალი ამბავი

სოხუმი. იანვრის უკანასკნელ რიცხვებში მოვიდა აქ პეტრე რაზუმოვსკის აკადემიის პროფესორად ნამყოფი ბ-ნი კოსტიჩევი, რომელიც გამოგზავნილი ყოფილა კავკასიაში, ადგილ-მამულების ვითარების შესასწავლად და რუსთა სოფლების ავკარგიანობის გასაგებად აქეთ მხარეს. მას დაუვლია სხვათაშორის აქაურა სოფლები რუსებისა, გამოუკითხავს ყოველივე გარემოება და ერთის კვირის შემდეგ ამავე საქმისათვის სოჩისაკენ გამომგზავრებულა.

იქიდამვე: იქაურ მთის შვილთა სკოლის ზედამხედველი ბ-ნი ბოღდანოვი ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორად დაჰნიშნეს ბ-ნ მონასტირცევის მაგიერ. ბოღდანოვი მხნე და მეცადინე კაცია; სხვა სიკეთისა არა ვიცით რა და ბ-ნს ბოღდანოვს შეუძლია გააღვიძოს ერობა, როგორც მასწავლებლები, ისე სკოლები. ამასთან ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ იგი დიდი მიმდევარია ესრედ წოდებულ პროფესიონალური ცოდნის გავრცელებისა, ეჭვი არ არის, მრავალ სკოლასთან დააარსებს ბაღებს, ბოსტნებს და სხვა და სხვა სახელოსნოებს.

სოხუმიდგანვე: იანვარი გავიდა, საზამთრო პალტოები გავიძვრეთ და იის კრეფას შეუდექით. მართლა რომ აუარებელი ია ყვაოდა.. უეცრად, ხუთს თებერვალს, მოიქუშა ცა და დაიწყო

თოვლა. თოვლას თავი გაანებეთ, ამას მოჰყვა საშინელი ჭექა-ქუხილი და ელვა, რომელიც თოვლის დროს იშვიათია ხოლმე; აქაც არავის ახსოვს, ასეთი ამბავი; დღეს ე.ი. ექვსს ამ თვისას ერთი კ. ჩარექი თოვლი სძევს თვით სოხუმში, გარეშე ადგილებში, მგონია, ნახევარ არშინზედ მეტიც იყო. (ივერია, N31, 1894 წელი);

აფხაზეთი

მეცნიერთაგან შემოჩნეულია, რომ რაც ქვეყანა უფრო მდიდარია ბუნებით და უფრო კარგს მოსავალს იძლევა, მით უფრო ზარმაცია და დაუდევარი იმ ქვეყნის მკვიდრი. ამ ჭეშმარიტებას აფხაზებიც ამტკიცებენ, ცოტა არ იყოს. აფხაზეთი, როგორც უწინაც მითქვამს, ბუნებით მეტის-მეტად მდიდარია. აქაური ნიადაგი ერთი ასად აჯილდოებს მშრომელს; ამიტომაც არის, რომ აფხაზები შრომაში დიდად არ ატანენ თავიანთ თავს ძალას, ამასთან ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ არც მდიდრულ ჭამა-სმას არ არიან შეჩვეულნი. აფხაზისათვის სრულიად საკმარისია ერთი ხელისოდენა ღომი და მცირეოდენი ან ყველის ნაჭერი და ან ერთი ლამბაქი მაწონი, დღე და ღამეს ეს ეყოფა. შეიძლება წლიდან წლობამდის ხუთჯერ-ექვსჯერ ქათმის ან სხვა საქონლის ხორციც სჭამოს. ეს არის და ეს. ფული ხომ აფხაზისათვის, როგორც ევროპიელისათვის, დიდ საჭიროებას არ შეადგენს. უფულოდაც ადვილად გამოდის იოლად. სახელმწიფო გარდასახადები რომ არ უჭირვებდეს საქმეს, სრულიად საჭირო არ არის მისთვის, ან რაში დასჭირდება?! შინა აქვს ყოველივე. შინაურ ქსოვილს იცვამს ტანზე, შინაურ ფეხსაცმელს ატარებს ყველაფერი შინაური აქვს. აფხაზის ნატვრა და იდეალი კარგი ცხენია. ოღონდ კარგი ცხენი მიეცი და თუნდა სხვა ყოველივე წაართვი. აფხაზი ყოველ ღონეს ხმარობს როგორმე თავის იდეალს მიაღწიოს; ამისათვის არაფერს არ დაიშურებს. ამ ბოლოს დროს, როდესაც აქ გაჩნდნენ სხვა-და-სხვა თემის ხალხნი და მოჰკიდეს მიწის მუშაობას ხელი, აბხაზებმაც იწყეს მხნეობა. აქაც გამოჩნდნენ თითო-ოროლნი, რომელთაც მეურნეობა რიგიანად დააყენეს. შეხვდებით ისეთ აფხაზს, რომელსაც ათასი და ორი ათასი ფუთი სიმინდი მოსდის და ხუთასი-ათასი ვედრო ღვინო მოჰყავს; ამგვარად აბხაზებიც გამოაფხიზლა აქ მოსულთა მაგალითმა; ამათ შორის პირველი ადგილი მხნეობაში მეგრელებს უჭირავთ. მეგრელები აქ მეტის-მეტს მხნეობას და სიმარჯვეს იჩენენ. ბევრს მეგრელს აზნაურს შეხვდებით, რომელიც სამეგრელოში, შიმშილიც რომ ჰკლავდეს, წისქვილში საფქვავს არ წაიღებს უკადრისობის გამო, აქ-კი ურემზე ჰზის და მუშაობს, ან მიწას თოხნის. ვინც რა უნდა სთქვას ამათ წინააღმდეგ, და მეკი მოგახსენებთ, რომ მომავალი ამათია აქ. შარშან ერთი საყურადღებო განკარგულება მოახდინეს მეგრელების დასახლების შესახებ აფხაზეთში. დღეის შემდეგ მეგრელებს სოხუმის ოლქში ნება არ მიეცეს დასახლებისაო. ეს განკარგულება გამოიწვია ვითომ იმ გარემოებამ, რომ მეგრელები ქურდობას ეწყობიანო: სხვები კი სხვა მიზეზებს ამბობენ, აქაურ მიდამოში სხვების დასახლება უნდათო. პირველი მიზეზი ჩვენ მით უფრო გვაკვირვებს, რომ დედამიწის ზურგზე ისეთი ერი არ არის, რომელშიაც ქურდი არ მოიძებნებოდეს. მეორე მოსაზრებაც, ვინც-კი იცის აქაურის ციებ-ცხელების ამბავი, უგზოობა და მთა გორიანი ადგილები, ვერაფერი მოსაწონია. მეგრელებს აქ, როგორც ადვილად ამტანს აქაური ჰავისას, როგორც კარგს მიწის მუშაკთა და საიმედო მეომართ ყოველმა კაცმა, ვისიც ჯერ არს და ვისაც რუსეთისათვის სურს სიმაგრე იქონიოს შავი ზღვის პირად, ხელი უნდა მოუმართოს. მეგრელებმა თავისი ერთგულება, მხნეობა და სიყვარული რუსეთისა ბევრჯერ გამოიჩინეს; მოიგონეთ ომერფაშის დრო, მოიგონეთ უკანასკნელი რუსთ-ოსმალთ ომი ვინ უფრო იმხნევა და გამოიჩინა-ვაჟკაცობა ამ ომში?! თუ ყოველივე ამას მოვიგონებთ, ბევრი ლაპარაკი საჭირო აღარ იქმნება. /გადაღმელი/. (ივერია, N31, 1894 წელი);

აფხაზეთი

აქეთ თოვლი მოდის და მოდის. ამბობენ, ასეთი ზამთარი აქ კაცს არ ახსოვსო. იქიდამვე: აგერ რამდენიმე წელიწადი განმავალობს, რაც ერთი ნაციმბირალი ყაჩაღია გავარდნილი, გვარად აიბა, რამოდენიმე კაცი უკვე მოუკლავს და კიდევ ბევრს მოჰკლავს დაჭერა-კი ვერ მოუხერხეს. მართლაც, როგორც ამბობენ, ძნელი დასაჭერიც არის. თურმე არ არის ისეთი ოჯახი, საცა ორი ღამე გაეთიოს ერთად; არც ისეთი ოჯახია, საცა არ ყოფილიყოს. აი როგორ იქცევა თურმე: შუა ღამისას მივა, რომელსამე ოჯახში, შევა სახლში, შინაურებს ჩაჰკეტავს და გარეთ კაცს არ გაუშვებს დილამდე. დილით ადგება თურმე, სჭამს საჭმელს და ეტყვის მასპინძელს, არავის უთხრა: შუადღემდე, თორემ თუ შევიტყე, ამოგწყვეტავთო. ადგება და გადიკარგება. მეორე ღამეს მოულოდნელად მეორე სოფელში მივა, იქაც ისე მოიქცევა, როგორც პირველ ოჯახში. ამ გვარად არავინ არ იცის სად აქვს აიბას ბინა.

სოხუმი: აქეთ დიდძალი თამბაქო მოვიდა, მაგრამ მცირე კანკურენციის გამო ძალიან ნაკლები ფასი აქვსო. რუსეთის ვაჭარმა ბოღდანოვმა და კომ.-ამ სოხუმში ააგო ერთი დიდი ორ სართულიანი ქვის შენობა თამბაქოს შესანახავად. ამ სახლში მოთავსდება ასი ათასი ფუთზე მეტი თამბაქო, რომელსაც პეტერბურგში ჰგზავნის. ეს არის ერთადერთი მყიდველი თამბაქოსი. მართალია, სხვა ფაბრიკანტებიც მოდიან ხოლმე, მაგრამ ისინი ბევრს არ ჰყიდულობენო თუთუნს. (ივერია, N37, 1894 წელი);

აფხაზეთ-სამურზაყანო

ამ დღეებში შემთხვევით დავათვალიერეთ ერთი დიდებული ნაშთთაგანი ჩვენის წარსულისა — ბედიის ტაძარი. თუმცა ჟამთა სიმკაცრეს მეტის-მეტად დაუზიანებია ეს ტაძარი, მაგრამ თავის წარსული სიდიადე იმდენად ეტყობა დღესაც ბედიის ტაძარს, რომ შესვლისათანავე შიგ მოწიწებით ქუდს იხდით და მყისვე განიმსჭვალებით ქრისტიანობრივისა და წარსულთა დროთა პატივისცემის გრძნობითა. სამწუხაროდ, დრო აღარ გვქონდა ყურადღებით დაგვეთვალიერებინა ეს ტაძარი და დაწვრილებით აგვეწერა მისი დღევანდელი მდგომარეობა მკითხველისათვის. სხვა მრავალი მხატვრობათა შორის, რომელთაგან ზოგი მთლად წაშლილია და წაბღალული, განსაკუთრებულის ყურადღების ღირსია ბედიის ტაძრის სამხრეთს კედელზედ დახატული თამარ დედოფლის სახე. ჟამთა ვითარების ულმობელს ძალას ამ ყველა ქართველისათვის ერთგვარად პატივსაცემი სახელოვან მოღვაწის ნახატისთვისაც დაუსვამს თავისი დაღი: მხრები, პირისსახე და თავი, გვირგვინით შემკობილი ამ ნახატზედ კარგად დარჩენილია, განსაკუთრებით თვალები და წარბები, თითქმის სრულიად უვნებლად არის დაცული დღემდე. მხოლოდ ცალი ლოყა წაშლილა; ცალი ხელის ხუთივე თითი კარგად ჩანს. იქ, სადაც თამარ-დედოფალია დახატული, წარწერებიც შედარებით უფრო კარგად მოსჩანს. დასავლეთისა და სამხრეთის კარები, ე.ი. კარების გარშემო გაყოლებული ხელოვნურად ამოჭრილი ქვები მეტად კარგად არის დაცული ეხლაც. ტაძარს გუმბათიცა აქვს, მაგრამ გუმბათის თავი (შუაგული) ჩამოცვივნულია და დანარჩენიც გამზადებულია ჩამოსაცვენად... და საზოგადოდ ეს დიდებული და სახელოვანი ნაშთი ჩვენის წარსულისა ირღვევა, იშლება, ასე რომ სულ რამდენისამე წლის შემდეგ, რასაც ეხლა ვხედავთ, იმის მეხუთედსაც ვეღარ ვნახავთ... ადგილობრივი მცხოვრებნი ბედიელნი (ამ ტაძრის გარშემო მდებარეობს ს. ბედია) ერთის მხრით მეტად მოკრძალებითა და პატივისცემით ეპყრობიან ამ ეკკლესიას, მეორეს მხრით მეტად უმართებულოდ: პატივი და თაყვანის-ცემა იმაში გამოიხატება, რომ ბევრს ეხლაც მოაქვთ აქ შესაწირავად ჩამოქნილი წმინდა სანთლები, ვერცხლისა უფრო სპილენძის ფული, რომლებსაც სდებენ საკურთხევლის წინ ერთს ქვაზედ; უმართებულო საქციელი იმაში გამოიხატება, რომ ზოგიერთს ამ ეკკლესიის ნანგრევი ქვები მიაქვს და

ამით თავიანთ მიცვალებულებს მატურებს უგებენ. ჩვენ გავიგონეთ, რომ ვიღაცეებმა თავიანთ ბუხრების ასაშენებლადაც წაიღეს აქედამ ქვებიო; რამდენად მართალია, არ ვიცით; ვგონებთ კი, ტყუილი უნდა იყოს. კარგი იქნებოდა, რომ აქაურ ორი მღვდლები (ს. ბედია ორსა თუ სამს. მრევლს შეადგენს დღეს) ამ ნაეკკლესიარს მეტს ყურადღებას მიაქცევდნენ, მეტადრე ნახატებს, განსაკუთრებით თამარ დედოფლისას კიდევ რამდენსამე ხანს დაუცავდნენ ქართველ საზოგადოებას. მღვდლებს შემწეობას აღმოუჩენენ, უეჭველია, აქაური მემამულენი თავადნი შერვაშიძენი და ბ. კ. მახარია, რომელიც ცნობილია, როგორც მართალი, ქურდობის მტერი ვაჟკაცი მთელს სამურზაყანოში. (ივერია, N52, 1894 წელი);

ახალი ამბავი

სოჩას და სოხუმში ჩაის მოსაყვანად სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს და საუფლისწულო მამულების დეპარტამენტის მიერ ორი სადგური არსდება. გაზ. „Новости“-ს გაუგონია, რომ ზემოხსენებული დეპარტამენტი ამიერ-კავკასიის საუფლისწულო მამულების მმართველს ი. ნ. კლინგენს ჰგზავნის ცეილონსა, იაპონიასა და და ჩინეთში იმის შესასწავლად, თუ როგორ მოჰყავთ ამ ქვეყნებში ადგილობრივ ჩაიო. (ივერია, N54, 1894 წელი);

ფელეტონი
აფხაზეთი
(გუდავათის განყოფილება)

აფხაზეთი მდებარეობს შავი ზღვის პირად მდინარე ენგურიდგან თითქმის გაგრამდის და შეადგენს სოხუმის ოლქს. გაგრისკენ მოსახლეებს სრულიად ვერა ჰნახავთ და მხოლოდ როცა მდინარე ბზიბს გამოივლით, მაშინ შეხვდებით აფხაზთა ფაცხებს, უსათუოდ გვიმბრით დახურულს. ეს გვიმბრის სახურავი საშინლად გააოცებს უცხო მოგზაურს, რომელიც აღტაცებაში მოჰყავს მშვენიერ ადგილებს და ვენახიან მამულებს. სწორედ, რომ გასაოცარია ამ დალოცვილ ქვეყნის სიღარიბე, გუდავათის განყოფილების მცხოვრებნი განსხვავდებიან სხვა აფხაზთაგან; ეს მხარე უფრო დაშორებულია საქართველოზედ და ამიტომ აქ უფრო დარჩენილა ძველი ჩვეულებანი; ქართულს ან მეგრულს აქ იშვიათად გაიგონებთ, თუმცა აფხაზეთის მთავრის სასახლეში მხოლოდ ქართული ენა იყო მიღებული. რა არის მიზეზი აქაურთა სიღარიბისა? ძლიერ იშვიათად ჰნახავთ, რომ აფხაზი მუშაობდეს. მშვენიერ დღეს, როცა დღიური მუშა ღირს, უკანასკნელი, მანეთი, ექვსი აბაზი - ხშირად შემხვედრია ოცი, ოცდა-ათი ცხენოსანი. რომ ჰკითხოთ - საით მიდიხართო: ისე დავსეირნობთო? გიპასუხებენ. გუდავათში ყოველ დღე განყოფილების უფროსის სამდივნო სავსეა აფხაზებით. ასე გგონიათ საქმეები აქვთო. „ისე მოვედით, გვინდოდა შეგვეტყო, „ნაჩალნიკი“ როგორ არისო“, გიპასუხებენ ოც-ორმოც ვერსიდგან მოსულნი აფხაზნი. აფხაზს გადასახადი 5 მანეთამდის ადევს; ამ ხუთის მანეთის შოვნას ხომ ბევრი მუშაობა არ უნდა, თუ ამასთან ცოტა სიმინდი აქვს და „ოდესის“ ღვინო, სხვა არა უნდა-რა, მაგრამ „ოფლით“ მუშაობა არ მოსწონს აფხაზს. თითოეული საზოგადოება ირჩევს რამდენსამე მარჯვესა და „პატიოსანს“ კაცს ხევის თავებს. ამათ ეძლევა წელიწადში კომლზედ სამ-სამი მანეთი. მოხდება თუ არა ქურდობა, მაშინვე უნდა შეატყობინონ ხევისთავებს. ხევისთავები მოვალენი არიან სამ დღეში ქურდი მიიყვანონ განყოფილების უფროსთან. მიყვანის გარდა ისინი ახდევინებენ ქურდს 60 მანეთს ჯარიმას და მოპარულის ფასს, იმდენს, რამდენადაც დააფასებს თავის კუთვნილებას ის, ვისაც მოჰპარეს, ჯარიმა ხევისთავებისაა. თუ ქურდი ვერ აღმოაჩინეს, ხევისთავები იხდიან მოპარულის ფასს. რასაკვირველია, დაზარალებული ყოველთვის მეტად აფასებს თავის საკუთრებას, ვიდრე ჰღირს. ადვილი მისახვედრია, რომ

ხევისთავებს იშვიათად დაემალებათ ქურდი, და რადგანაც ჯარიმა მას სასარგებლოთ მიდის, რასაკვირველია ქურდის აღმოჩენას მონდომებულნი არიან. საუბედუროდ სწავლა განათლებას აფხაზეთში, სრულიად არ მოუკიდნია ფეხი. პირველი მოვალეობა იმისი, ვისიც საქმეა ზრუნვა ამ ქვეყნის სწავლა-განათლებისათვის, ის არის, რომ ხალხს შეაყვაროს სწავლა და სკოლის კეთილი ნაყოფი აშკარად უნდა დაინახოს ხალხმა. ამისათვის ყოვლად საჭიროა თითოეულ საზოგადოებაში დაარსდეს სასოფლო სასწავლებელი; სასწავლებელი ისე უნდა იყოს, მოწყობილი, რომ შეგირდები - საჩუქრით თუ სხვა რამ ხერხით - მიიზიდოს და რამდენისამე წლის უკან თვით ხალხიც მოინდომებს სასწავლებლის დამართვას, ამ დღეებში გუდავათში იყო სახალხო სკოლების ინსპექტორი ქუთაისის გუბერნიისა, რომელ-მაც გამოუცხადა ხალხს, რომ თქვენი სახლი აშენეთ, მასწავლებელს ჯამაგირი დაუნიშნეთ და მასწავლებელს გამოგიგზავნითო, თან ცოტას ჩვენის მხრითაც მოგეხმარებითო. რასაკვირველია,ეგრესაქმისდაწყებითსწავლა-განათლებავერმოიკიდებსფეხსაფხაზეთში. მთელს გუდავათის მხარეზედ მარტო ერთი საეკკლესიო სკოლა არის ს. ლიხნაში და იმასაც ყურს არავინ უგდებს. ამდენი ყმაწვილები ჯერჯერობით მარტო ცხენოსნობას სწავლობენ. ერთი უპირველესი მიზეზი აფხაზეთის უბედურებისა არის სარწმუნოების დაცემა. ოფიციალურად უმეტესი ნაწილი ქრისტიანია, მაგრამ ნამდვილად კი, არც ქრისტიანია და არც მაჰმადიანი, მუსულმანებს-კი მაინც უფრო მტკიცედ უჭირავთ თავისი სჯული, ვიდრე ქრისტიანებს, რომელთა არავითარი წესი მართლ-მადიდებელის სარწმუნოებისა არა აქვთ; ეკკლესიაში აფხაზი იქნება წელიწადში ერთხელ შევიდეს. შესანიშნავია, რომ აქაურ ქრისტიანებს ნება აქვთ ჯვარ-დაუწერათ ცოლის შერთვისა. მასში სწორედ ორს ან სამს ექნება დაწერილი ჯვარი და შესკვნილი გვირგვინი. ამას აქ ეძახიან „დათით ქორწინებას“. ამნაირ ცოლის შერთვას არც მუსულმანობისა და არც ქრისტიანობისა არა სცხია-რა, ამ სახით აქაური ქორწინება არც სამოქალაქოა და არც საეკლესიო და არც არავინ ხმას იღებს ამაზედ. ვინ იცის, რამდენი უბედურობა წარმომდგარა ამისთანა ქორწინების მიზეზით, რამდენი სისხლი დაღვრილა, რამდენი მტრობა და ავკაცობა მომხდარა და მოხდება კიდევ, როგორც ცოლის მოყვანას, ისრე გაგდებას აფხაზი არავის არ ჰკითხავს; ეს არის მხოლოდ, რომ თუ ცოლი განუტევა ჯარიმა უნდა გადაუხადოს ცოლის დედ-მამას. არ გადაიხდის და შესდგება: ერთი უბედურობა და ვაივაგლახი. ცოლის ნათესავები ამ სირცხვილისთვის სამაგიეროს გადახდას სცდილობენ და ბოლოს უსათუოდ სისხლი იღვრება. ღმერთმა იცის, როდის მოეღება ბოლო ამისთანა უწესო ჩვეულებას, რომელიც სჯულის წინააღმდეგიც არის და საზოგადო ცხოვრებისაცა. ადვილი მისახვედრია, რა შედეგი უნდა მოჰყვეს ასეთს სჯულის გარდამავლობას, მაგრამ ამასაც ყურს არავინ უგდებს. მღვდლები უნდა იყვნენ აქ განათლებულნი მოღვაწენი, რომელთაც კარგად უნდა ჰქონდეთ შეგნებული, რა დიდი, წმინდა საქმეა ამისთანა განაპირა, მივიწყებულ ქვეყანაში სამსახური, დღიურს საზრდოზედ არ უნდა ჰფიქრობდნენ, იმდენად უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი; ეხლა კი რომ ჰნახოთ, როგორ სცხოვრობენ აქაური მღვდლები, სწორედ შეგეცოდებათ. რასაკვირველია, ამისთანა მღვდლები თავის მოვალეობას ვერ აასრულებენ და სარწმუნოება უფრო და უფრო იკარგება. ერთს მღვდელს მეტრიკის სიაში ჰქონდა ჩაწერილი: აზნაური ესა და ეს (სახელი და გვარი), უკანონო ცოლი, მისი ესა და ეს. ამ სიტყვის „უკანონო-ს“ აქ არავინ ყურადღებას არ აქცევს. ამ დღეებში ერთმა თავადი შვილმა მოიშორა თავიდან ქალი, რომელიც „ადათით'' ჰყავდა შერთული და რომელთანაც დიდხანს სცხოვრობდა; მის მაგიერ შეირთო კანონიერად ახალგაზდა ქალი და ამის გამო, რასაკვირველია, ვერავინ ვერას ეტყვის. ამ შემთხვევაში ამ პატიოსანმა კანონიერი ქორწინება მხოლოდ ხერხად გამოიყენა თავის ბოროტის საქმის შესრულებისათვის.

თექვსმეტ ვერსზედ გუდავათიდგან, ზღვის პირას, არის ახალ ათონის მონასტერი. მონას-ტერს განაგებს არხიმანდრიტი. მონასტერს დიდი სახელი აქვს გათქმული მთელს რუსეთ-ში; ვინ იცის, რამდენი ათასი კაცი მოდის ფეხით აქ რუსეთიდგან. საწყლები ჰყიდიან სახლ-

კარს, ყველაფერს სტოვებენ და ხშირად ნოვგოროდის გუბერნიიდგან მოდიან ფეხით ახალ ათონში; რაც ფული თანა აქვთ, მონასტერს უტოვებენ და ბოლოს ბილეთის ფასიც-კი აღარა რჩებათ უკან დასაბრუნებლად; ბოლოს ისევ მონასტერია ხოლმე იძულებული მისცეს ამისთანებს გემის ბილეთის ფასი და ისე გაისტუმროს სამშობლოში. ეხლანდელი არხიმანდრიტი ამ მონასტრისა მამა იერონი შესამჩნევი მხნე და მუშა კაცია. ის აშენებს ეხლა მშვენიერ ტაძარს, რომელიც მონასტერს დაუჯდება რამდენიმე მილიონი. აქედგან დაინახავთ, რა დიდი შეძლება აქვს ამ მონასტერს. ბერებს მიზომილი აქვთ ათასს დესეტინამდე მშვენიერი ადგილი, რომელიც ეხლა მშვენიერად არის გაშენებული. საუბედუროთ, მონასტერს დაჰვიწყებია ერთი თავისი უმთავრესი საქმე, აფხაზეთში სწავლა-განათლების მოფენა და დაცემულ სარწმუნოების აღდგენა. ახალ ეკკლესიის აშენება კარგი საქმეა, მაგრამ, ჩემის აზრით, ხალხში სწავლისა და სინათლის მოფენა და მართლ-მადიდებელის სარწმუნოების გამტკიცება უფრო უკეთესი ძეგლი იქმნებოდა და უფრო უკეთესი დამსახურება ღვთისა და კაცობრიობის წინაშე. ბევრი რამ სიკეთე შეეძლო მონასტერს აფხაზეთისათვის ამოდენის შეძლებით, მაგრამ ეს უანგარიშო ფული ჯერ-ჯერობით სულ შენობათა აგებაზედ მიდის. არხიმანდრიტი იერონი არავის ანგარიშს არ აძლევს არც სოხუმის ეპისკოპოსს და არც უწმინდესს სინოდს; მხოლოდ ძველის ათონის მთის სასულიერო მთავრობა მიაჩნია ყოვლის უფროსად. მონასტერში არის სკოლა და ამ სკოლაში 25 მოსწავლეა! /სამსონ დ/. გუდაუთი, 15 მარტს. (ივერია, N66, 1894 წელი);

ახალი ამბავი

აფხაზეთი. (კოდორის ნაწილი): ჩვენში როგორც ხალხის, ისე მოვაჭრე კაცთა სამწუხარო ის არის, რომ სიმინდის ფასი ძლიერი დაეცა. ჩვენს მხარეში ყოველგვარი შემოსავალ-გასავალი სიმინდზეა დამოკიდებული. ზღვაზე ჩატანილი სიმინდი ახლა ორ აბაზად ჰფასობს ფუთი და არის იმისთანა ადგილები, და სოფლები, რომ ზღვამდე ჩასატანი ურმის ქირა მოუნდება თუთხმეტი კაპეიკი, ისე რომ სიმინდის პატრონს ხუთი შაური დარჩება. თუ სიმინდის ფასმა არ აიწია, დიდ განსაცდელში ჩავარდება ჩვენი მხარე, რადგანაც სიმინდია ჩვენი თავი და უპირველესი წყარო ცხოვრებისა. ქურდობის შესახებ: ძალიან მოსვენებულნი ვიყავით დღემდე, ასე რომ ამ ახალი წლიდგან კაცი იტყოდა, რომ დამეკარგა რამეო. ჩვენდა სამწუხაროდ, მხოლოდ ამ უკანასკნელ დროში თითო-ოროლა შემთხვევამ იჩინა თავი. (ივერია, N81, 1894 წელი);

სოხუმი

ამ დღეებში აქ მოვიდა ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესსია, რომელმაც გაარჩია ერთი საყურადღებო საქმე: შარშან ერთს სოხუმის სასტუმროში დადგა მოსამსახურედ ჩვიდმეტის თუ თვრამეტის წლის ყმაწვილი, თუმცა გვარიც რუსისა ჰქონდა და ჩამომავლობაც, მაგრამ შეხედულობით კავკასიელს ჰგავდა; სასტუმროში ახალმა მოსამსახურემ ღამ-ღამობით სტუმართ ჯიბეების გაჩხრეკა დაიწყო და ორის დღის განმავლობაში რამდენიმე საათიც გააქრო. მეხუთე დღეს ეს ვაჟბატონი საძებნელი გახდა, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ - აღარ არის კაცი. დაგზავნეს დეპეშები მახლობელს ადგილებში და ჩვენი შკოლნიკოვი (ამ ვაჟბატონის გვარია) ახალ ათონში იპოვეს. იქ გარდასცეს სოხუმშივე გამოსაგზავნად ყაზახ რუსებს. იმ დღეს არ შეიძლებოდა წამოყვანა, რადგან გვიან იყო. შკოლნიკოვი, სხვათა შორის, მეტის მეტი ხუმარა და კაცის შემაქცევარი ახალგაზდა გამოდგა. დაუმეგობრდა ამ საღამოს ყაზახებს. ყაზახებიც მსუბუქად მოეკიდნენ. ნავახშმევს როცა ყველანი დაწვნენ დასაძინებლად და დაიძინეს შუაღამისას წყნარად იდგა შკოლნიკოვი, ჩაიცვა ტანთ ერთის

ყაზახის ჩოხა, მეორისა ჩექმები, აიღო ბერდანკა და გაუდგა გზას აფხაზეთისკენ. იმ დღესვე მივიდა სოფ. ამწაროს, საცა სომხები სახლობენ. ესტუმრა ერთს სომეხს, დაუმეგობრდა და უთხრა: თუ ნადირობა გიყვარს, ამ თოფს მოგყიდი იაფადაო. მე სოხუმში მეორე თოფიცა მაქვსო. სომეხმა იყიდა. ბოლოს შკოლნიკოვმა უთხრა: სომეხს: ცხენი მაქირავე, სოხუმში მინდა ავიდეო. სომეხმა აქირავა და ცხენის დასაბრუნებლად თითონ გაჰყვა. კარგა რომ გაშორდნენ. სოფელს, შკოლნიკოვი მოუბრუნდა სომეხს, დასცა გულში რევოლვერი, მოჰკლა და კლდეზედ გადააგდო. თითონ იბრუნა მხარი და გაუდგა გუდაუთისკენ: მეორე დღეს სოჭაში მივიდა, ცხენი საზღვართ მცველს აფიცერს მიჰყიდა და გასწია ნოვოროსიისკს, რაკი სომეხი უკან არ დაბრუნდა, იმისი ვაჟი სოხუმში წავიდა ამბის გასაგებად; ვაჟს ძაღლიც თან გაჰყვა. იმ ადგილს, საცა სომეხი მოჰკლა ავაზაკმა, ძაღლი კლდეს ჩაჰყვა და საშინელი ყეფა ასტეხა; ყმაწვილი სომეხი ჩავიდა ძაღლის ხმაზე და თავს წაადგა მოკლულს მამას. იმ წამსვე გუდავათს გასწია ამბის განსაცხადებლად. ტელეგრამები აფრინა ყოველგან. მეორე დღეს მოვიდა ამბავი: ნოვოროსიისკში დავიჭირეთო. მაგრამ ავაზაკი იქაც დაუსხლტათ ხელიდამ მცველებს და გადაიკარგა. რამდენისამე თვის შემდეგ იგი იპოვეს რიაზანის გუბერნიაში და შებოჭილი მოიყვანეს იქიდამ. გაარჩია ოლქის სასამართლომ იმისი საქმე და მიუსაჯა თორმეტის წლის კატორგა. ავაზაკს თუმცა ხელი და ფეხი შებორკილი ჰქონდა, მაგრამ პირის სახეზედ სრულიად ვერ შეამჩნევდით იოტისოდენა მწუხარებას. სასამართლოში თვითონ იცავდა თავს. სხვათა შორის სთქვა: იმედი მაქვს, ბატონო მსაჯულნო, მიხედავთ ჩემს მცირე წლოვანობას და ისე სასტიკად არ დამსჯით, რომ ყმაწვილკაცობა მუდამ საწყევრად გამიხადოთო. სიყმაწვილე თქვენც გამოგიცდიათ, თქვენც შეიძლება ჩემზე დიდი დანაშაული ჩაგედინოთო, დღეს-კი მე მასამართლებთო. ვინ იცის მე რა მომელის შემდეგშიო“. თორმეტი წელი გადაუწყვიტეს. ამანაც მადლობა გადუხადა და წაიყვანეს საპატიმროში. (ივერია, N105, 1894 წელი);

ახალი ამბავი

აფხაზეთი: აქეთ კაცის კვლა ძრიელ გაადვილდა. სრულიად უმიზეზოთ ესვრიან კაცს რევოლვერს და გააგორებენ. მკვლელი ტყე-ველად გარბის.

იქიდამვე: თამბაქოს წარმოება სოხუმის მაზრაში ძრიელ კარგად მიდის, უბედურება ის არის მხოლოდ, რომ აქ ჩამოეთესლა პეტერბურგელ თამბაქოს ამხანაგობის წევრი, რომელიც ძრიელ ავიწროებს მწარმოებელთ. რამდენიმე საქმე კიდეც სწარმოებს სამსჯავროში.

სოხუმი: 16 მაისს სოხუმში მოვიდა პეტერბურგიდამ ბ-ნი აბაზა, რომელსაც მინდობილი აქვს შეიტყოს ავკარგი შავის ზღვის პირად მდებარე ალაგებისა.

იქიდამვე: მეურნეობისა და სახემწიფო ქონებათა სამინისტროს რწმუნებული სთხოვს ქ. სოხუმს ორმოც დესეტინა ადგილს, საცა აპირებს სამინისტრო სამაგალითო ყანებისა და ბაღების გაშენებას. ქალაქს სამაგიეროდ აძლევენ ერთი სამად მეტს სახემწიფო ადგილს. ქალაქი, რასაკვირველია, თანახმაა მისცეს ზემოხსენებულ ადგილი. (ივერია, N117, 1894 წელი);

ახალი ამბავი

როგორც შევიტყეთ, ბ-ნი რატილი თავისის ქართულის ხოროთი აპირებს იმ კვირას გამგზავრებას ჩრდილოეთ კავკასიისაკენ და გზად გაჰმართავს კონცერტებს გორს, ხაშურს, ყვირილას, ქუთაისს, ახალ-სენაკს, ფოთს, ბათუმს, სოხუმს, ნოვოროსიისკს და იქიდგან ეკატერინოდარში წავა. ხოროს შეადგენს ოცამდე კაცი, ქართულის ქულაჯებით

გამოწყობილი. ბ-ნს რატილს ხორო საუცხოოდა ჰყავს გაწვრთნილი და საკმაო ახალი ქართული საგალობელიც აქვს მომზადებული.

სოხუმი: აქ აბრეშუმის მოყვანას არავინ არ მისდევდა. 1884 წ. აქაურმა მთიელთა სასწავლებლის მასწავლებელმა ა. ჯ. პირველად მოიყვანა აბრეშუმი, ხოლო მის შემდეგ შეეჩვივნენ ნელ-ნელა და დღეს ოცზე მეტი ოჯახი აბრეშუმის წარმოებას მისდევს.

იქიდამვე: როგორც ისმის, აქაური მთიელთა სკოლა სასულიერო სასწავლებლად უნდათ გარდააკეთონ; ეს აზრი შეუტანია, საცა ჯერ არს მის ყოვლად უსამღვდელოესობას სტავრაპოლის ეპისკოპოზს აღაფოდორს, როდესაც სოხუმის ეპარქიის უფროსად იყო. (ივერია, N118, 1894 წელი);

ახალი ამბავი

გუდავათიდგან მოგვივიდა 20 მან. 10 კაპ. განსვენებულ ე. ნინოშვილის ფონდის სასარგებ-ლოდ და ეს ფული უკვე გადავეცით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას.“

სოხუმი: ჯერჯერობით აქეთ მშვენიერი ამინდებია: დროზე სწვიმს, დროზე დარია. ვენახებს ძრიელ ასხია. სიმინდი თითქმის სულ დაითესა. ცოტა არ იყოს, სიმინდის მწარმოებელნი დაღონებულნი არიან, რადგანაც სიმინდის ფასმა ძრიელ დაიკლო.

აბჟუვა (აფხაზეთი): ჩვენსკენ 23 და 24 მაისს დიდი წვიმები წამოვიდა. მდინარენი მეტად ადიდდნენ და გადმოვიდნენ ნაპირებიდგან. დიდი ზარალი მოიტანა ამ წყალ-დიდობამ: ზოგს წისქვილი გაუფუჭა, ზოგს დახნული საყანეები მოსტაცა და სხვ. კიდევ კარგი, რომ დათესილები მაინც არ იყო სასიმინდე ყანები. ამავე წყალდიდობის დროს მდ. ღალიძგაში დაირჩო ტკვარჩელის საზოგადოების სოფლის მწერალი. ქურდობამაც იმატა, სიმინდი ჯერ დათესილი არ არის. ხალხს გული არ მისდის მუშაობაზე, ჯერ ერთი ამ გასულ ზამთარ-გაზაფხულში საშინლად მოდებულ სხვა-და-სხვა სნეულებათაგან და ხშირის სიკვდილისა გამო, უფრო კი იმიტომ, რომ შარშანდელი ნამუშავარიც ჩალის ფასად არის და ვერ გაუსაღებიათ. სიმინდის ფასი ეხლაც დაცემულია და, ამიტომ, დიდი ქესატობაა ჩვენსკენ ჩამოვარდნილი.

იქიდამვე. ჩვენის ახალგაზდა ბელეტრისტის ე. ნინოშვილის უდროოდ გარდაცვალებამ დიდად შეგვაწუხა მისის ნიჭისა და სალიტერატურო მოღვაწეობის პატივის მცემელნი. (ივერია, N119, 1894 წელი);

ტფილისი, 9 ივნისს

ჩერქეზებისა და აფხაზების გადასახლების შემდეგ შავის ზღვის პირის ადგილები დარჩა სრულიად უპატრონოდ. რამდენისამე ათასის წლის განმავლობაში დამუშავებელი მიწა-წყალი, საკვირველი მეურნეობა და ოჯახობა, როგორც ჰმოწმობს კარგი და კეთილშობილი მკვლევარი ჩერქეზთა ცხოვრებისა პოლკოვნიკი პოტტო, გარეულთა ნადირთა ბინად შეიქმნა, ყოველივე გავერანდა და აღიგავა; ნაცვლად სიცოცხლისა და ჩინებულის კულტურისა, ჩერქეზთა სამშობლოს სიბნელე და დუმილი მოეფინა. მაგრამ გავიდა ხანი და მთავრობამ საჭიროდ დაინახა აქა-იქ შავის ზღვის ნაპირებზედ დაებინავებინა სხვა-და-სხვა ტომის ხალხი. ამ განზრახვით ახალმოშენეთ მრავალი შეღავათი და შემწეობა მიანიჭეს: განათავისუფლეს იგი სახელმწიფო გადასახადისაგან, მიუზომეს დიდძალი ადგილები, მისცეს საშუალება ოჯახის გაწყობისა, პირუტყვის მოშენებისა და სხ. და ასე

საიმედოდ დაბინავებულნი ახალ-მოშენენი ნელ-ნელა ან ხელახლავ წავიდენ ისევ თავისს ქვეყანაში, ან, რომელთაც უფრო დაჟინებული სურვილი გამოიჩინეს დარჩენისა ახალს სამშობლოში, სულ მთლად ამოწყდენ. უმთავრესი მიზეზი ასეთის მოვლენისა ის იყო, რომ ახალ-მოშენენი, რომელნიც დაბინავდენ შავის ზღვის ნოტიო ქვეყნებში, სრულიად უღონონი იყვნენ აეტანათ იქაური ჰავა, მტკიცედ მოეკიდათ ფეხი და შეეთვისებინათ ის პირობანი, რომელნიც წილად ხვდათ ამათ წინანდელ ამ ქვეყნის მობინადრე ჩერქეზთაგან. ამიტომ მთავრობამ ერთს ხანს შესწყვიტა მეცადინეობა შავის ზღვის პირის დასახლებისა მაგრამ ახლა, როგორც სოხუმიდან გვწერენ, ხელახლავ აღძრულა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ეს ადგილები ისევ რუსებით დაასახლონ. ამ სახით მთავრობას განუზრახავსო, რომ ნოვოროსიის მხარე, რომელიც ეკუთვნის ყუბანის განყოფილებას, შეაერთოს ბათუმისა და სოხუმის მხარეს და საშუალ ადგილად ამა ქვეყნებისა დანიშნოს სოხუმი. ჩვენ არ ვიცით რამდენად საფუძვლიანია ამ გვარი ხმა; ვერას ვიტყვით რასმე იმაზედაც, თუ რამდენად სასიკეთო იქნება ასეთი ადმინისტრატიული ცვლილება; მაგრამ რაც შეეხება შავის ზღვის პირის დასახლებას რუსეთის შიდა გუბერნიების გლეხებით, ეს ამბავი მაინც და მაინც სარწმუნოდ არ მიგვაჩნია. არ მიგვაჩნია სარწმუნოდ ჯერ ერთი იმიტომ, რომ გამოცდილებამ დაანახვა მთავრობას სრული შეუძლებლობა ასეთის განზრახვისა: არა ერთი და ათი რუსთაგან დასახლებული სოფელი მოისპო ამ ქვეყანაში რამდენისამე წლის განმავლობაში - მაშ რომელის გონიერის მოსაზრებით უნდა იხელმძღვანელოს მთავრობამ, რომ ხელახლავ იგივე შეცთომა განიმეოროს და ჩრდილოელ მკვიდრთა ბუნებისათვის აუტანელ ქვეყანაში ჩამოჰყაროს ხალხი? ამას გარდა, მთავრობას თუ საჭიროდ მიაჩნია შავის ზღვის პირი უეჭველად დაასახლოს, რა მიზეზია, რომ ამ ადგილებს არ მიანიჭებენ ისევ საქართველოში მცხოვრებს ხალხს, რომლის ნიჭსა და ერთგულებაზე, რასაკვირველია, მთავრობას ეჭვი არასოდეს არ უნდა ჰქონდეს! ასეთი უმიწაწყლო ხალხი მრავალია: იმერეთში, სამეგრელოში, ლეჩხუმსა და რაჭაში, სადაც ფასი ქცევა ადგილისა სამას თუმნამდე ადის. თუ მთავრობას განზრახვა აქვს, რომ შავი ზღვის პირი დაასახლოს, პირველად უნდა ვიგულისხმოთ, რომ მიწვეული იქნებიან საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხის მცხოვრებნი, რომელთათვის არც ბუნება იმ ქვეყნისა იქნება საშიშარი და არც სხვა რომელიმე დამაბრკოლებელი გარემოება. იგივე პოტტო, რომელიც ჩვენ ზევით მოვიხსენეთ, ამბობს, რომ დღესაც აუარებელი ძვირფასი სამხრეთის ხეხილი და ვენახი მოიპოვება ჩერქეზეთში, რომელიც ტყედ წასულა და მზრუნველ ხელს მოელისო... მერე ვის შეუძლია ყოველსავე ამას მოუაროს გაგებულად, თუ არა ისევ ქართველს, რომელსა ქვეყანაში? გარდა ამ თვალსაჩინო უპირატესობისა ქართველის ტომისა სხვა ტომთან შედარებით, კიდევ მრავალი ისეთი გარემოებაა, რომელსაც მთავრობა უთუოდ მიიღებს მხედველობაში, როდესაც ამ საყურადღებო საგნის გადაწყვეტას მოინდომებს. /მეველე/. (ივერია, N120, 1894 წელი);

ახალი ამბავი

სოხუმი: 17 მაისს შესდგა ვაჭრების სახარკო კრება სოხუმის ხაზინაში და ჩვენ დიდი იმედით შევყურებდით ამ კრებას, რადგან მოველოდით საქმის წესიერად გასჯას. მაგრამ ბედმა გვიმტყუნა და საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა. საკვირველიც არ არის ამნაირად საქმის წასვლა, რადგან ამ კრებაში ისეთი ხმოსნები ამოირჩიეს, რომელთა უმრავლესობას, გარდა პურის ფქვილის ვაჭრობისა, არა გაეგებათ-რა; ამ ნაირ კაცებს უნდა გაერჩიათ და დაედ-გინათ არა თუ მარტო თავიანთის ვაჭრობის წლიური თანხა და წმინდა სარგებელი, არამედ სხვებისაც. მაგალითებრ, ამათის რჩევით დაადგინეს, რა სარგებლობა ექნება აფთიაქსა და სტამბას. შეიქმნა ერთი დავა და ყაყანი, ყველა თავისთვის სცდილობდა და არა საერთო საქმისთვის და ბოლოს დაადგინეს: წმინდა სარგებელი საწვრილმანო მაღაზიას მანეთზედ ექმნება 10%, ბაზარს 15%, ფიცრების საწყობს - 60%, აფთიაქს - 30% და სტამბას 45%. აი

აქედგან სჩანს, რა ცოდნა და ანგარიში ჰქონიათ აქაურ ვაჭრებს, როდესაც აფთიაქს შეაწერეს 30% და სტამბას-კი 45 %. სად გაგონილა, რომ სტამბის პატრონს, ყოველსავე ხარჯს გარდა, დარჩენოდეს წმინდა სარგებლობა მანეთზედ 45%? ვისურვებთ, რომ შემდეგში ღმერთმა აგვაშოროს ამნაირ ხარჯის გამნაწილებელი. (ივერია, N120, 1894 წელი);

ახალი ამბავი

ჩვენ მივიღეთ ოჩემჩირედგან ბ-ნ კ. გვასალიასაგან ერთი თუმანი განსვენებულ ნ. ბარათა-შვილის სახელობაზედ დაარსებულ სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ. ამ ფონდისა გვქონდა აქამდე 630 მან. 19 კაპ., ამითი შესდგა 640 მან. 19 კ. (ივერია, N126, 1894 წელი);

ვინ უნდა იყვნენ ბესები?

პლ. იოსელიანის თქმით, besses იბერის მაგიერ ხმარებულია, ვინმე მესხის თქმით, ბასიანების ნაცვლად. ჩვენის აზრით, ბესსეს არც „იბერიისაგან“ წარმომდგარა და არც ბასიანისაგან. ძველადგანვე ბერძნები აფხაზებს უწოდებდნენ ავაზგად. იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი სწერს: „აბაზგთ ქრისტიანობა მიიღეს იუსტინიანეს დროს, რომელმაც მათ აუშენა ღვთის მშობლის ტაძარი. მოქვის ტაძარში ვნახე ერთი ხატი, რომლის წარწერაში მოხსენებულნი 1) ალექსი კომნენი და აბაზგთა მეფე დავითი“. ამნაირადვე აფხაზთ იხსენიებენ მრავალნი სხვანიც. ამ სიტყვას არა ერთხელ შევხვდებით ქართულ წყაროებშიაც და რუსულშიაც. რუსეთის მატიანეს თქმით, კიევის მთავარმა იზიასლავ მსტისლავიჩმა 1154 წელს შეირთო „ობეზის“ მეფის ასული. რუსული მემატიანენი აფხაზებს მუდამ იხსენიებენ ობესებად, ობეზებად და ობეზგებად (იხ. Записки касателно россійской“ ист. ტ. V, აგრეთვე „ადდისიონი“ ბროსესი, გვ. 295, ბაქრაძე Пастырь 1888 წლისა, N14, Съверный архивъ, 1825 წლისა). ყველა ამ ავტორების თქმით, ეს „ობეზის“ მეფედ წოდებული ხელმწიფე იყო საქართველოს მეფე დიმიტრი I, პაპა თამარისა. ახლა რად მოხდა, რომ უცხოეულთ ქართველნი ობეზ-ობეს-ებად მონათლეს? საქმე ის არის, რომ 985 წელს აფხაზთა სამეფო შეეწება საქართველოს სამეფოს, შეუერთდა მას და ბაგრატი შეიქმნა თვითმპყრობელი მეფე სრულიად კავკასიისა ჯიქეთიდან გორანგეთამდე. 2) (კასპის ზღვა). მას აქეთ ჩვენი მეფეები იწოდებოდნენ აფხაზ-ქართველთა მეფეებად, ხოლო უცხოელნი მათ უწოდებდნენ ისევ ძველანდებულად: „ობეზების“ მეფეებად ხადიდნენ სრულიად საქართველოს მეფეს დიდი ხნის განმავლობაში, მაგ. ბერი პლანო კარპინი 1246 წელს ქართველებს უწოდს ობესებად, ვოლინის მატიანე ობეზებად (იხ. Съв. архив., 1825 წ.)

ობეზ და ობეს შორს არ არის სიტყვასთან აბსუა, როგორც თავის თავს უწოდებენ აფხაზნი. შარშანაც შევნიშნე, რომ ძველის ძველ დროს ბერძენთა ზოგიერთი მწერლები აფხაზებს ეძახდნენ აპსილად, აპსარად, ვითარცა „ქართლის ცხოვრებაც“ მათ იხსენიებს ხან აფშილად, ხან აფსარად 3) და ხან აფხაზად. ობეზ, ობეს-ებად ოსებს დავსახავდით, იმ ოსებს, რომელთაც „ქართლის ცხოვრება“ მუდამ უწოდს ოკსებად, ხოლო მეგრელნი დღესაც უწოდებენ ოფსებად (ოვსი=ოფსი=ობესი), თუ რომ არ გვქონოდა ზემორე ხსენებული ცნობა პლანო კარპინისა, ვოლინის მატიანისა, აგრეთვე რუსულ მატიანეებში არ ყოფილიყო ხმარებული ხან ობეზ, ხან ობეზგ. ამას გარდა რუსული მატიანე იმასაც ამბობს, რომ იზიასლავისთვის ცოლის მისაგვრელად ობეზგიაში გაგზავნილ იქმნა ხომალდიო. ობეზგთ მეფის ასული იქაურ მკვიდრთ იმავე გზით გამოაცილეს დნეპრის კიდემდის. მაშინ ხომ ოსეთის სამეფო ზღვამდის არ მისწვებოდა. ბასიანის მეფე ჩვენ არა გვსმენია. მართალია ტაო-კლარჯეთს ისხდნენ მთავრები, მაგრამ მათ უფრო მამფლებად იხსენიებდნენ. მარტო დავით კურაპალატი ტაოს მფლობელი, (1001 წელს) იხსენიება მეფეთა მეფედ, ისიც იმიტომ, რომ

მისი ძლიერება უწევდა შორს. ამას გარდა ძველ დროიდანვე ბასიან-კლარჯეთის სამწყსოს განაგებდა საქართველოს ქათალიკოსი. 4) ამიტომაც დაუჯერებელია, რომ იერუსალიმში ამ ბასიანელებს ,,საკუთრად'' დიდი სახელი გაეთქვათ და ტაძარ-მონასტრები თავის სახელით ეშენებინათ.

ამას გარდა ოსმალეთის და სპარსეთის ისტორიკოსები იმერთ მუდამ ეძახიან „ბაშიაჩუღ". ეს სიტყვა თუმცა ითარგმნება „თავ-შიშველად" და თუმცა, მ. სელექნიოვის თქმით 5), იმერეთის ერის დასამცირებლად ხმარებულია, მაგრამ მაინც შეიძლება ამ „ბაშს" 6) ჰქონდეს კავშირი იმავე ძველ წოდებასთან: „ობეს" ანუ „ბესსეს". /ესომ/. 1. Руководство къ познані. Кавказаб გვ. 23. 2. იხ. „საუნჯე მეათე საუკუნისა" და სუმბატის ისტორია (გამოც. ე. თაყაიშვილისა). 3. აფხაზეთს აფსარად უწოდს თვით იოანე საბანის ძე, ავტორი წმ. აბოს (6 იანვარს, 786 წელს) ცხოვრებისა. (იხ. ვახუშტი, დ. ბაქრაძის შენიშვნა, გვ.120). 4. იხ. კათალიკოზის სამწყსო დ. ბაქრაძეს წიგნში Путешествіе по Гуріи Адчфръ, გვ. 84, საცა მოხსენებულია თვით სახელოვანი ხანცოეთი ანჩელისა და ოპიზის ეპისკოპოზთა სამწყსოს დასავლეთით და მისივე წერილი „Извъс. Кавк. Отд. Георг. Общ. Т. VII N 1-ში. 5. М. С. Руководство къ познанію Кавказа. (ივერია, N127, 1894 წელი);

სოხუმი

დღეს, 12 ივნისს, აქაურს ქალაქის ტაძარში გარდავიხადეთ საორმოცო პანაშვიდი ჩვენის ბელეტრისტის ეგნატე ინგოროყვას (ნინოშვილის) სულის მოსახსენებლად. საზოგადოება ბლომად დაესწრო. პანაშვიდი გარდახდილ იქმნა ქართულად, დეკანოზ მაჭავარიანის მიერ. საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დარჩა, რომ ერთხელ მაინც გვეღირსა: ქართულის გაგონება ქართველებს აქაურს ეკკლესიაშიო. მადლობა ღმერთს! აქაურმა ქართველებმაც გამოიღვიძეს ცოტა. ეს პირველი მაგალითია, რომ ქართველ მოღვაწი-სათვის პანაშვიდი გარდაეხადოთ სუხუმში, თუმც არა ერთი და ორი ნიჭიერი მწერალი გარდაგვცვლია ქართველებს. ამას გარდა, სუხუმის ქართველებს ჰსურთ ითხოვონ, სადაც ჯერ არს, რომ აქაურს ტაძარში ქართულად იქმნას წირვა-ლოცვა დრო გამოშვებით და თუ ამის ნება ვერ მიიღეს, მაშინ განზრახვა აქვთ ააგონ საკუთარი ეკკლესია, სადაც მხოლოდ ქართულად უნდა იქმნას წირვა-ლოცვა. ეს აუცილებლად საჭიროა, რადგან ორი მესამედი აქაურ მცხოვრებისა ქართველები არიან, რომლებსაც არც ერთს არ გაეგება რუსული წირვა ლოცვა და ქართულსაც მოკლებულნი არიან, აგრეთვე აქაურს ახალგაზდობას განზრახვა აქვს დააარსონ საზოგადოების დახმარებით აქაურსავე სტამბასთან პატარა ქართული საზოგადო სამკითხველო, რომელიც, ეჭვი არ არის, დიდს სარგებლობას მოუტანს აქაურს ახალგაზდობას. მით უფრო, რომ ჩვენში წასაკითხად-კი არა, სასყიდლადაც ძნელია ქართულის წიგნის შოვნა. /ბახველი/. (ივერია, N128, 1894 წელი);

სოხუმი

მწერალი ერის შვილია, იგი ეკუთვნის საზოგადოდ ყველას და კერძოდ იმ ერს, რომელშიაც იგი დაბადებულა. ამიტომაც ყველა წევრი საზოგადოებისა ვალდებულია ჭირშიაც და ლხინშიაც თავისი მწერლის შემწე და დამხმარებელი იყოს. ამ ბოლოს დროს ეს ჭეშმა-რიტება გვარიანად შეიგნო. მართალია ბევრი ჩვენი საუკეთესო მწერალი სიცოცხლეში ულუკმა-პუროდ იტანჯებოდა, მაგრამ სიკვდილის შემდეგ კი ღირსეული პატივი მიიღეს. ამ ოცი ოც-და-ათის წლის წინად თვით რუსთაველიც რომ მომკვდარიყო, მაინც არავინ ყურს არ გააპარტყუნებდა, არა თუ ახალ-ბაია-ზეთში, თვით ჩვენ დედა-ქალაქს ტფილისშიაც პანაშვიდს არავინ გადაიხდიდა. დღეს არა თუ ქალაქები და დაბები, სოფლებიც-კი თვალ-

ყურს ადევნებენ ჩვენის ქვეყნის ავან-ჩავანს. ეს მოვლენა ძლიერ სასიამოვნოა და ღმერთმაც ჰქნას თან და თან გაძლიერებულიყოს, ასე რომ, არა თუ მარტო სიკვდილის შემდეგ გვეცეს პატივი ჩვენ საზოგადოშვილთა და მოღვაწეთათვის, არამედ სიცოცხლეშიაც. დღეს ე.ი. 12 ივანობისთვისას ჩვენ სუხუმში მცხოვრებნი ქართველნი დიდი და პატარანი შევიკრიბენით აქაურ საკათედრო სობოროში და შევავედრეთ ყოვლის შემძლებელს ღმერთს, სული ახლად გარდაცვალებულის ჩვენის ცხოვრების ახლანდელი დროის სურათების მხატვრის ახალგაზდა ბელეტრისტის ეგ. ნინოშვილისა. პანაშვიდი გარდაიხადა ჩვენმა პატივცემულმა მოხუცმა მამა დეკანოზმა დავ. მაჭავარიანმა. ამასთან ისიც უნდა დავძინოთ, რომ ქართულის წიგნის უქონლობის გამო მამა დეკანოზმა მიიღო შრომა და მთელი დიდი პანაშვიდი ქართულად გადათარგმნა. პანაშვიდის შემდეგ აქ დამსწრეთ ჩამოაგდეს ლაპარაკი იმის შესახებ, რომ როგორმე სახსოვრად განსვენებულის ნინოშვილისა რაიმე საქველმოქმედო საქმე მოაგვარონ. სხვათა შორის დაასკვნეს ის, რომ სთხოვონ განსვენებულის მემკვიდრეთ, რათა ნება მისცენ სოხუმელი ქართველებს, რომელიმე მოთხრობა ეგნატესი გამოსცენ იმ პირობით, რომ ექვსასი ეგზემპლიარი ამ გამოცემისა მუქთად დაურიგდეს სახალხო სკოლებს და სამკითხველოებს რამდენიმე ცალი, ხოლო ექვსასი ეგზემპლიარი გაიყიდოს და შემოსული ფული მიეცეს განსვენებულის ძმის შვილს, რომელიც სწავლობს ამ ჟამად. თუ, ვინიცობაა, მემკვიდრეებმა ნება არ მოგვცენ მაშინ, მაინც გვინდა შევაგროვოთ ფულები და გამოვცეთ რაიმე წიგნი ან მეურნეობის შესახებ და ან ბუნების-მეტყველების შესახებ და დავაწეროთ „ეგ. ნინოშვილის“ სახსოვრად. შემდეგ ზოგს სკოლებს და სამკითხველოებს დავურიგებთ მუქთად, ზოგს გავასაღებთ და კიდევ გამოვსცემთ სხვა წიგნს, თუ ფული დაგვაკლდა, შევავსებთ ჩვენისავე ფულით. /გადაღმელი/. (ივერია, N130, 1894 წელი);

დ. გუდავათი (აფხაზეთი), 11 ივნისი

ორს ამ თვეს საღამოს ჟამს, გვესტუმრა მშვენიერი ჟუჟუნა წვიმა, რომელმაც გააცოცხლა და გამოაღვიძა სიცხე-პაპანაქებისაგან დამჭკნარი ჭირნახული, მაგრამ, სამწუხაროთ, ამ ჟუჟუნა და სასიამოვნო წვიმას მოჰყვა ქარიშხალი, რომელიც ძირიანად აქცევდა და ამტვრევდა ხეებს, სხვათა შორის სოფ. ბარმისში გადააძრო ეკკლესიას სახურავი და ერთიანად დაამტვრია; თვითონ ეკლესიის შენობა რამდენსამე ალაგას არის გახეთქილი, რის გამოც წირვა-ლოცვა შეუძლებელია. საჭიროა, რომ დროზედ შეუდგებოდნენ ამ ეკლესიის შეკეთებას, ვიდრე არავინ უმსხვერპლია. მაგრამ ეს ზარალი წუთიერი იყო: ქარი დაწყნარდა, ბუნება დამშვიდდა, წყალმა დაიკლო, მცენარეებმა ისევ გამოიღვიძეს და აცქვიტეს ყურები, მაგრამ იმ სამწუხარო და სავალალო საქმეს, რომელიც წლობით გასტანს ხოლმე, არ ვიცი რა მალამო დაედება და რა ეშველება. ეს გახლავთ აქაურის სკოლის საქმე. ძალიან ცუდი ბოლო მოელის ამ სკოლას, თუ დროზედ არ დაგვეხმარა, ვისიც ჯერ არს; რადგან მოწაფეთა რიცხვი ყოველ დღე აკლდება, შესაძლებელია მომავალ სამოსწავლო წლიდგან სამუდამოდ გამოვეთხოვოთ ამ სკოლას. მიზეზი ამის ქართულის ენის უსწავლელობაა. საზოგადოება ამ სკოლის სიკეთეს თავიდგანვე სულით და გულით მონდომებული იყო და არის დღესაც. თითოეული მკვიდრი ვალდებულად ჰრაცხს თავის-თავს, გარდა იმ გარდასახადისა, რომელიც გაწერილია კომლზედ სკოლისათვის, პატივი სცეს მასწავლებელს და ყოველ მხრივ დახმარება გაუწიოს რომ საზოგადოებას აღესრულებინა ყოველივე მოთხოვნილება სკოლისა და მასწავლებლის დასაკმაყოფილებლად, მან აურჩია სკოლას მზრუნველი, ახალგაზდა კაცი ს-ნ ს-ლი, რომელიც სულითა და გულით მონდომებულია თავი შესწიროს სკოლას, ოღონდ-კი რითმე გამოადგეს. ამან შეჰკრიბა ამ სკოლის სასარგებლოდ ორასამდე მანეთი ხელმოწერით და სცდილობს სხვაფრივაც მისცეს შემწეობა. ამას წინად მოიწადინა ქართულის წარმოდგენის გამართვაც, მაგრამ თავისაგან დამოუკიდებელი მიზეზისა გამო ვერ მოუხერხდა. საჭიროა აგრეთვე ქართულის წიგნების

გახშირება. აქ ძალიან იშვიათია ქართული წიგნები. ამას წინად ბ-ნ კი თავართქილაძემ გამოგზავნა რამდენიმე ცალი ქართული წიგნი (ვეფხისტყაოსანი, თამარიანი, დუტუ მეგრელის და ნინოშვილის მოთხრობები), რომელიც ძალიან მალე გაიყიდა. სასიამოვნოა ის გარემოება, რომ აქაური მანდილოსნები სცდილობენ შეიძინონ საკითხავად ქართული წიგნები, იმედია კ. თავართქილაძე მოგვაწვდის ხანდახან კარგ მოთხრობებს. ეს წიგნები იმიტომ არის კარგი, რომ აქაური სკოლის მოწაფენი სახლში მაინც წაიკითხავენ, რადგანაც სკოლაში ქართულს არ ასწავლიან. უცნაური ამბავია, ღმერთმანი, ისეთი რა დააშავეს აქაურ ქართველებმა, რომ ამათ შვილებს ქართულს არ ასწავლიან სასწავლებელში. თუ იმას ვიტყვით, რომ მასწავლებელმა თითონ არ იცის ქართული ენაო, ეს ვერაფერი საფუძვლიანი საბუთია, რადგან ამ ჯამაგირით (წელიწადში 300 მან., ორი კარგი ოთახი, მოსამსახურე ბიჭი და შეშა) საზოგადოებას თამამად შეუძლია მოიწვიოს საოსტატო სემინარიაში სწავლა-დამთავრებული მასწავლებელი, რომელიც ქართული წერა-კითხვას გარდა, მოწაფეებს შეასწავლის ქართულ და რუსული გალობასაც, აბრეშუმის მოყვანასაც და სხვ. /თ–ე გ-ძე/. (ივერია, N131, 1894 წელი);

ახალი ამბავი

სოხუმი: ოც-და-სამს ივნისს აქ ჩამოვიდა ბ-ნი რატილი თავისის ხოროთი და გაჰმართა კონცერტი აქაურს კლუბში. ხალხით აივსო კლუბი. რასაკვირველია, უმეტესობა ქართველობა იყო. საზოგადოებას მეტისმეტად მოეწონა ჩვენებური სიმღერები, კლუბის დარბაზში „ვაშას“ და „ქართველ მღერალთა გაუმარჯოს“ ძახილით ყურთასმენა არ იყო. თითო საგალობელი ორჯელ-სამჯერ გაამეორებინეს. სოხუმელები ჰნანობენ, რომ ბ-ნმა რატილმა ერთი კონცერტის მეტი არ გაჰმართაო. (ივერია, N138, 1894 წელი);

აფხაზები განა ბესები არიან?

ბ. ესომ თავისებურის გამოკვლევით ცდილობს რომ Besses წოდება შეათვისოს ძალად აფხაზთ. სახელისა, მოაქვს საბუთად „Записки Касательно Россiиской ист” აგრეთვე Addision ბროსესი, გ. 295. ბაქრაძე Пастырь 1888 წლისა, № 14, Съверный архивь, 1825 წლისა, გვიმტკიცებს, რომ ობეზ აფხაზები არიან და მათი წყალობით იმერლებსაც და ქართველებსაც იგივე წოდება ჰღირსებიათ, რომ თამარ მეფის პაპას დიმიტრი მეფეს ობეზის მეფედ ასახელებენო! ამნაირის მიკერ-მოკერებით უნდა ობეზსაო, ასო გამოაკლოს და ბეზ დასტოვოს ბესსების საძირკვლად, რომ ქართველებს შეასაკუთროს ბესსების მოღვაწეობა პალესტინაში და ბასენელ მესხ-კლარჯთა მოღვაწეობა, თუ რამ ყოფილა როდისმე პალესტინაში, სრულიად უარ-ჰყოს; როგორ თუ მესხ-კლარჯნი ქართველთა ტომ მოდგმას არ ეკუთნოდნენ და უდარესნი იყვნენ უფროს აფხაზთა. „ივერიის“ 17 ივნ. № 127. ამაების განხილვამდის პატივცემულს ბ. ესოს ჯერ კარგად ყურადღება უნდა მიექცია ბ. მ. კელძის წერილზედ, რომელიც ამბობს: „1893 კიევის სასულიერო აკადემია დაასრულა ერთმან რუსის სტუდენტმან (П. Отлоржевскiй) რომელმანც დისსერტაცია დაჰსწერა ამ სახელ-წოდებით (პალესტინის ბერობა მე-V საუკუნეში), ეს თხზულება ძალიან მოიწონეს... მიიქცია ყურადღება პალესტინის მართლმადიდებელ საზოგადოებაში და მიჰმართა თხზულების ავტორს, თქვენი თხზულება დაუთმე ჩვენს საზოგადოებას პალესტინის Сборникъ-ში დასაბეჭდადო. სტუდენტი თანახმა გახდა და შეუთვალა: უფრო ვრცლად შევიმუშავებ ჩემს თხზულებასა, მე V საუკუნის მაგიერ ავიღებ საგნად მე IV-VIII საუკუნოებს და ამ პროგრამაზედ დაწერილს თხზულების ერთი წლის განმავლობაში წარმოვუდგენ საზოგადოებასაო.. დასასრულს ერთი საყურადღებო შენიშვნაც არის, საუკეთესო წყაროებსა და საბუთებში -

სიტყვა „იბერი“ ძალიან იშვიათად შეხვდება კაცს, ამის გამო უმეტესი მკვლევარი იმ აზრს დაასკვნის, რომ ვითომ ქართველებს პალესტინაში ძალიან მცირე ადგილი ჰსჭერიათო; მაგრამ მეორეს მხრით, თითქმის ყოველს ძველს წყაროებში ძლიერ ბევრს ლაპარაკობენ ვიღაც Besses-ებზედა, ამ ხალხს პალესტინაში ყველაზედ დიდი ფართო ადგილი სჭერიათ და ყველაფერზედ მეტი კვალი დაუჩნევიათ პალესტინის კულტურაში. „ივერია“ I მაისი, № 91, ახლა ვსთქვათ ჩვენი ის ძველი დროის წარწერა რა ენაზედ იქმნებოდა, უეჭველად ან ლათინურად უნდა ყოფილიყო და ან ბერძნულად: ლათინებს ქ. წ. პომპეს დროსაც შესწავლილი ჰქონდათ და კარგად იცოდნენ ივერია, აფხაზეთი და ბასენის მხარეცა, ბერძნებმაც ხომ უფრო უკეთესად იცოდნენ, ისინი და არც სხვა ევროპიელნი აფხაზეთის მაგიერ ბესებს არ დაჰსწერდნენ, არასოდეს; ბესები პირ-და-პირ გამოთქმით მიუკი-მოუკიბავად ცხადად ბასენელების სახელწოდებას წარმოგვიდგენენ და სხვას კი არა: უნდა ჰსთქვა თუ რა საბუთითაო? იმ საბუთით, რომ სამესხეთო კარგა ხანს საკუთრივ რომაელების მყარი მმათველობის ქვეშ იყო, პირველად წ. „ანდრია მოციქულისაგან გაქრისტიანდნენ. მაშინ სამესხეთო კაპადუკიამდის ვრცელდებოდა ლონგინოზ ასისთავი, რომელმაც უგმირა ლახვარი ჯვარცმულს უფალს იესოს გვერდსა და გარდმოსდინდა სისხლი და წყალი, კაპადუკიელი იყო; ესვე იყო ქრისტეს საფლავის მცველთ მოთავე. რა ქრისტე მკვდრეთით აღდგომილი ნახა მან, ურიების ქრთამი არ მიიღო თავისთან მყოფ ორ ამხანაგთან ერთად. ესენი გაქრისტიანდნენ და თავიანთ ქვეყანას მოვიდნენ ჰქადაგებდნენ ქრისტეს წ. სარწმუნოებასა: ეს დააბეზღა პილატემ კეისარსა ურიების შეგიზგიზებით, რომ თქვენს სამსახურს თავი დაანება და გაქრისტიანდაო, მოვიდა გამომძიებელი და რა მტკიცე ნახა ქრისტიანობაზედ თავის ამხანაგებთან ერთად იწამნენ თავების მოკვეთითა. ლონგინოზის თავი ურიებს გარდაეცათ. იერუსალემში და მათ სანახველაში დაფლეს, შემდგომ სასწაულით აღმოჩნდა და ბოშა დედა-კაცს თვალები აუხილა*), ამ ლონგინოზისგან მიღებული ქრისტეს სისხლის ნაწილი დღესაც ინახება იტალიის მანდუის ქალაქს წმ. ანდრია მოციქულის ეკლესიაში, ჭურჭელზედამ წარწერითა: „მე ლონგინოზ ოდესმე ასისთავ-ყოფილმან ქრისტეს წმ. სახელის მრწმუნებელმან: ეს მისი გვერდისგან გამოდინებული სისხლი ავკრიბე აქ ჭურჭელში და შევინახე იქამდის, ვიდრე ღმერთი გამოუჩენდეს თავის ჭეშმარიტ მსახურსაო“**) შემდგომ როცა კლემენტ წმ. პაპი გამოიდევნა ყირიმში, მან თავისთან ახლებულის მისიონერებით უფრო გაავრცელა ქრისტიანობა შავის ზღვის პირად, სადაც 70 ეკკლესიები აშენდნენ. (ბარათაშვილის ისტორია ნაწ. II, III). იმ დროს კაპპადუკიის კესარია იყო დედა-ქალაქი, სადაც მრავალნი მესხ-კლარჯნი, ჭანები სცხოვრებდნენ ბერძნებთან და აისორებთან ერთად: ამ კესარიის მამამთავრების მორჩილნი იყვნენ მესხ-კლარჯნი, † 200 იყო თეოფილე ეპისკოპოს მთავარი, † 270 წ. ფერმილიან-ეპისკოპოს-მთავარი, ამის დროსვე წ. გრიგოლი საკვირველ-მომქმედი 270, წ. ლეონდი, აი რას სწერს გელასიო კიზიკელი ნიკიის წ. კრების მომთხრობი 323. „წ. ლეონდიო მამა-მთავარი კესარიისა იყო სამკაული ეკკლესიისა ღვთისა, ეს უფლობდა ეკკლესიებზე და გამართა გალატიისა, პონტისა, პაფლაგონიისა, პოლიმონის პონტისა, დიდისა და მცირე სომხითისაო!“ წ. ბასილმან კესარიის მამა მთავარმან ხომ უფრო დიდ წარმატებაში მისცა ჩვენს მხარეებში ქრისტიანობა განწესებითა ბერმონაზონებითა † 378 წ. ბასილის მოწაფე იყო ევაგრი მარტო მყოფი განთქმული სიწმიდითა პონტოელი, სისიანო კაპპადუკიელი მარტო-მყოფი, წ. გიორგი კაპპადუკიელი, წ. ნიკო კაპპადუკიელი მონათესავე წ. გიორგისა, ესენი ერთიც და მეორეც ქართველის ტომისანი იყვნენ, რომ დიდად პატივსცემს პირველს და მეორემ ხომ ქართულის ენის ცოდნით მოაქცია საქართველო, მერმე უფრო წ. საბა კაპპადუკიელმან გააბრწყინა მონაზონობა, არა მარტო ჩვენს ქვეყანას, იგივე პალესტინაში ააშენა 7 მონასტერი. 531 დაუწენამძღვრა მრავალ მონაზონთა სიწმიდითა და საკვირველ მოქმედებით. ამ წ. საბას სახელზედ აშენებულია საფარის ტაძარი მე-VI საუკუნეში და შემდგომ დიასამიძეებისა, ჯაყელი ათაბეგებისგან გაახლებული. ამ წმ. მამების მიმბაძავი იყო ფოცხოვის ყუდროს სოფლელი კივრიონ-კათალიკოზი, რომელმანც სომხებისაგან შემცდარი ქართველნი

დაამტკიცა ქალკიდონის წმ. კრების აღიარებაზედა და სხვანი. როგორც სომხის ისტორია სწერს წმ. მესროპმან, რა სომხური ანბანი გააწყო გამართა შემდგომ ქართულიც მოაწყო ჯაყელის შემწეობითაო! თქმა არის, იმ დროს მესხებს არა თუ მარტო ქრისტიანობა აბრწყენდათ მოყოლებული წმ. ანდრია მოციქულის მიღმა, არამედ იგივე სამოქალაქო განათლებაც ხელს უწყობდა დიდად. აი სწორედ ამის გამო ეუბნება წმ. მამა გიორგი მთაწმიდელი ანტიოქის პატრიარხს, რომ რაც ქრისტიანობა მიგვიღია ანდრია მოციქულისაგან ამის შემდგომ მტკიცეთ დაშთენილ ვართ ქრისტიანობაზედვეო! (სამოთხე). ამას ტერტულიანოც ჰმოწმობს: „სომხეთისკენ მრავალი ქრისტიანობა არისო“ 220-230 რიცხვებში, ყველამ იცის, რომ სომხეთში ქრისტიანობის ხსენებაც არ იყო იმ დროს, რომ სპარსეთის ცეცხლ-მსახურების გავლენის ქვეშ იყვნენ. აქ მოხსენებულია სამესხეთო, როგორც სომხეთის მოსამზღვრე. როგორც მესხეთმან მისცა საქართველოს განმანათლებლად წმ. ნინო ქალწული, ისე როცა მირიანის ჩამომავლობა მოაკლდათ, გვარამ კურაპალატი მისცა ბაგრატოვან მეფეთა წყაროს საძირკველ სათავედ, რომელთ შთამომავალნი დღესაც არიან მოსკოვში და საქართველოში. მესხ კლარჯნი არა მარტო ქრისტიანობისა იგივე ძველის-ძველად თავიდგანვე განთქმული ყოფილან სამხედრო ძლიერებითა. სეზოსტრიმ მესხებს აკუთნა სამხედრო მოლაშკრობა და მიწის მხვნელობა, მის გამო მაშინდელს ეგვიპტელების მცირე ვერცხლის ფულზედ გამოხატულია ერთ მხარეს ძროხის თავი ნიშნად აბისისა და მეორე მხარეს დედა-კაცის სახე თოთის სახსოვრად, რომელიც უდრიდა ბერძნების ათინა ღმერთს; ახალციხის მახლობლად არს სოფელი აბი სამლოცველო ეგვიპტელებისა და ღადო (ოცხე) ნიშნად მიწის ამაღორძინებელი დემეტრეს მიერ! ასრევე ქსენეფონმა სამხედრო ძლიერებაში ნახა ქ. წ. 400, წლის წინად მესხები და კლარჯები (ჩემი ისტორია). სწორედ ამისთანა წეს-წყობილებისგან ჰქონდათ მესხ-კლარჯთა წინა-ბრძოლობა ქართველთა მეფობისა, მესხების მიმყოლნი იყვნენ ქართველნი ფეხ-და-ფეხ, ამათ უნდა სდგომოდნენ მარჯვნივ იმერელ-მეგრელ აბხაზნი და მარცხნივ კახელნი. როგორც სჩანს, მკვლევარი უფრო ადრინდელ ძველ დროების ნაწამოებს ეხება, ჰსჩხრეკს, იძევს! იმ დროს აფხაზები კი ღრმა წარმართობაში იყვნენ მძინარნი. მე-VI საუკუნოებში რომ იუფლეს ბერძნებმან აფხაზეთზედ იუსტინიანო I კეისარმან ძლივს-ძლიობით შეიტანა მათში ქრისტეს სარწმუნოება. უმრავლესნი-კი ტყის-მსახურებითგან ხელს არ იღებდნენ და ველურს მდგომარეობას არ ელეოდნენ. ვინც ქრისტიანდებოდნენ, იოტის ოდენი გვარის მოყვარულობა არ ჰქონდათ, ნამდვილ ბერძნებად ჰხდებოდნენ და მთელი თავად-აზნაურობა ბერძნების სახელს ირქმევდნენ განურჩევლად. ამის გამო იყო შემდგომ მათმა თავადებმა მეფობა რომ დააარსეს, ვერ მოიდგა ფეხი მათში და იმერეთში გადმოიტანეს ტახტი, რომ მალე ბაგრატოვანებზედ გარდვიდა მათი მეფობა. დღემდის არ გაგონილა, რომ აფხაზებს რამე წარმატება ჰქონოდესთ სულიერად ბერ-მონაზონებით სადმე. ამბობს ბ-ნი ესომი: „ბასიანის მეფე ჩვენ არ გაგვიგონია, მართალია ტაო-კლარჯეთს ისხდნენ მთავრები, მაგრამ მათ უფრო მამფლებად იხსენიებდნენ, მარტო დავით კურატპალატი ტაოს მფლობელი იხსენიება მეფეთა მეფედ, ისიც იმიტომ რომ მისი ძლიერება უწევდა შორსო“. განა იმ მამფლებში ძლიერნი არავინ იყვნენ, განა საკმარი ცოდნა და სიმდიდრე არ ჰქონდათ თავიანთი ხვედრი მხარის სამმართველოდ? მაშ ვისი აშენებულნი არიან ჭოროხის ხეობაში და ტაო კლარჯეთში იმდენი თვალთ-უწვდენი ძლიერი ციხე კოშკნი, საუცხოვო ტაძარი-მონასტერ-გვირაბნი, რუსხმულნი და მისთანანი, ვინ იყვნენ ძლიერი მეომარნი, თუ არ მამფლები, რომელნიც მუდამ ებრძოდნენ არაბებს, თათრებს, ოსმალოებს, თურქმანებს და მისთანა ამკლებ-ამაოხრებელი ქვეყნის ქვეყნად მაწანწალა ბარბაროსებსა მარტოდმარტო თავიანთს ტიალს სანაპირო საზღვრებზედა: გარნა გურამ მამფალი არ იყო, რომ სომხის მეფეს ებრძოდა მარტოდმარტო ძლიერად და არ ადგმევინებდა ფეხს აბიცსა? განა ეს მამფლები არ იყვნენ, რომ ბერად ჰსდგებოდნენ და მთელს თავიანთ სიმდიდრეს მონასტრებს ახმარებდნენ, იერუსალემს, შავს მთას, სინას და სხვაგანაცა; როგორც ხსენებული გურამ მამფალი მაშენებელი ახალციხის, ციხის-ჯვრის და ოცხის ციხეთა,

სუმბატ არტანჯელის ძე დავითია † 952. ბასილ მონაზონი კლარჯი, † 954. ევთიმის მამა იოანე, ევთიმი და სხვანი მონათესავენი მამფლებისა, განა რომ ამათ სიმდიდრე სულ მონასტრებსა და წმიდა ადგილებში იწირებოდნენ? ვინ შეუკრიბა სიმდიდრე ვინ შეჰმოსა ძალი მეფობისა დავით მეფე კურატპალატსა, თუ არ მის წინაპარ ყოფილ მამფლებმან? ასრე მესხ-კლარჯნი მის დროს სამაგალითო ძლიერნი, გონება გახსნილნი, ქრისტიანენი, ხელოვანნი, ვაჭარნი და კარგი მეურნენი ყოფილან, სულიერ წარმატებასთან ნივთიერი შეძლებაც ჰქონიან, როგორც ჰსჩანს დღესაც ციხე ტაძრების სიმრავლისაგან და ღირს სახსოვარი საოცარი სიძველისაგან ნაოხარ ქალაქ დაბებისა. ვისაც უნდოდეს შესწავლა სამესხეთო კლარჯეთის ძველის-ძველ წარმატებულობისა, მან უთუოდ უნდა იმოგზაუროს და თავის თვალით უნდა ნახოს ყოველი: შეაფარდოს საქართველოსა იმერეთის ძველის-ძველ შენობებსა და მაშინ გაიცნობს მის სიმდიდრესა. ესევე ჰმართებსთ მიუცილებლად ჩვენს სწავლულ არხეოლოგ ისტორიკოსებსა, შეადგინონ უნდა თავიანთგან წრე და მოვლონ მრთელი ჩვენი მხარენი. ერთობით დაიწერება გეოგრაფია სრული სოფელ-დაბებისა, ნაოხრებთა, აიწერება ეკკლესიები, გადმოიწერება ზედ-წარწერები, გამოიკვლევა ყოველიფერი ჯეროვანად და მაშინ შეგვეძლება რიგიან წერა ყოველი ჩვენი ძველის ცხოვრებისა ისტორიულად. უამისოდ-კი სულ ამაო შრომა იქმნება ჩვენი და ღონისძიებით არ იქმნება სისრულეში ვერას მოყვანა ჩვენის ისტორიისა, მანამდის რაც საუკეთესო რამ დავსწეროთ და ავხსნათ ჩვენის მიმკვლევითის მოაზრებითა სულ მუდამ საჩხრეკ-საძევი და საკამათო იქმნება. ქ. ახალციხე. /ვინმე მესხი/. *)წმინდანების ცხოვრებაში.**) მე XIII საუკუნოებაში მიხაელ სირიის პატრიარქი სწერს, რომ ლაზიკიის ასისთავმან გაიტანა ქრისტეს კვართი თავიანთ ივერიის დედაქალაქში და მინის ბუდეში დებული ჩამოჰკიდეს ეკკლესიაშიო, უთუოდ მცხეთელ ურიებს ქრისტეს კვართის მოტაცნით მონაწილეობა უნდა ჰქონოდათ ლონგინოზ ასისთავთან. (ივერია, N141, 1894 წელი);

ახალი ამბავი

სოხუმი. აქ საშინელი გვალვა იყო, რის გამოც სიმინდი და თამბაქო, რაც ერთად-ერთს ცხოვრების წყაროს შეადგენს აქაურ მკვიდრთათვის, დაზარალდა და შარშანდელის ნახევარიღა თუ მოვა. იქიდამვე. სოხუმის ქალების პროგიმნაზიას მეოთხე კლასს უმატებენ.

აფხაზეთი. აქ მშვენიერი თამბაქო იცის. მცოდნენი ამბობენ, რომ სოხუმელი თამბაქო, თუ სჯობია, თორემ არ ჩამოუვარდება თვით უპირველესი თათრის თამბაქოსაო. მიუხედავად ამისა, თითო ოროლა კაცი, რომელიც აქ თამბაქოთი ჰვაჭრობს, ყოველთვის ამ ვაჭრობისაგან ზარალშია. რათა? რათა და იმისთვის, რომ ვაჭრობის უნარი არა გვაქვს და საქმის გაძღოლა არ ვიცით!.. იქიდამვე. აქ, სადაც-კი სოფლები დასახლებულნი არიან, ადგილი აღარ არის, რომ მოსახლეთ მოემატოს კიდევ ვინმე. არის ზღვის მოშორებით ერთი ადგილი, რომელსაც ფსხუ ეწოდება და რომელიც სხვა სოფლებზედ 80 ვერსზედ დაშორებულია: აქ თუმცა ადგილი ბევრია, მაგრამ ამ სოფელს გზა არა აქვს და ამისათვის დასახლებას ვერა ჰბედავენ. არ იქნება ურიგო, რომ ამ გზას როგორმე გაიყვანდნენ და ვისაც დასახლება უნდათ, იქ დაასახლებდნენ. (ივერია, N170, 1894 წელი);

ახალი ამბავი

აფხაზეთი: აგერ თვე ნახევარია, რაც კოდორის განყოფილების (აბჟუვის) ზოგიერთ სოფლებში წვიმა არ მოსულა. ასეთმა ხანგრძლივმა გვალვამ მეტად დააზიანა სიმინდის ყანები. მომეტებული ნაწილი ისე გააფუჭა, რომ იმათი გამობრუნება ყოვლად შეუძლებელია.

უსაფუძვლოდ არ ეფიქრებათ ზოგიერთებს სიმშილის ჩამოვარდნისა მომავალ წლისთვის. (ივერია, N175, 1894 წელი);

კორესპონდენცია

ქ. სოხუმი. სიმინდის ფასის დაწევამ, სოხუმის აღებ მიცემობა და ვაჭრობა ძალიან დააქვ-ეითა მთელს დასავლეთს საქართველოში, და დიდი ზარალიც ნახეს აქაურმა სიმინდის მომუშავეებმა, რომლებსაც მიუტოვებიათ თავიანთ სახლ-კარი *) იმ იმედით, რომ აქ ფულს მოვიგებთო; წინა წლებში მართლადაც იგებდნენ ფულს და იმისთანა ყანის მუშა კაცს ნახავდით, რომელსაც ათ-ათ თუმნიანებით ჰქონდათ ჯიბე სავსე. წელს ბედმა უმტყუნათ, ფუთი სიმინდი, რომელიც იმათ უჯდა არა ნაკლებ 50 კაპეიკისა, გაჰყიდეს 35 კ-დან 40 კ-მდის. სიმინდის ფასის დაწევამ ვერ შეაშინა მეყანეები და წელსაც ბლომად დასთესეს სიმინდი, მაგრამ წელს უარესი დაემართათ. ფასს ვიღა უსაყვედურებდა, თუნდა აბაზად ყოფილიყო ფუთი, რომ გვალვას სულ ერთიანად არ გადაეწვა და არ გაენადგურებინა, სწორეთ ორს თვეზედა მეტი იქმნება, რაც აქეთ წვიმა აღარ გვინახავს. ერთ ორჯელ იყო კოკისპირული წვიმა, მაგრამ ამისთანა წვიმამ რაც არ ავნო, არაფერი ურგია მოსავლისათვის. წელს სიმინდს ფასი არა ჰქონდა და არა აქ, როგორც სხვაგან, აგრეთვე სოხუმშიაც, მაგრამ მომავალს წელს უეჭველია კარგი ფასი ექმნება, რადგან თითონ მუშებს დასჭირდებათ ყიდვა სიმინდისა მოუსავლობის გამო. წარსულს წელს, როგორც სტატისტიკურის ცნობებიდგან სჩანს, ქუთაისის გუბერნიის არც ერთს მაზრაში არა ყოფილა სიმინდის ისეთი მოსავალი, როგორიც იყო სოხუმის ოლქში. წელს სხვას თავი დავანებოთ და ვგონებთ შორაპნის მაზრაში **) მეტი სიმინდი მოვიდეს, ვიდრე სოხუმის ოლქში. აგრეთვე გვალვამ ვენახებიც ძალიან დააზიანა. ყოველსავე ამის მიუხედავად სოხუმს მაინც დღითი დღე წარმატება და გაღვიძება ეტყობა. ამ ორის თვის წინათ ბ-ნმა მ. ჩხაიძემ და გ. რუხაძემ გაჰმართეს რამდენიმე „ომნიბუსი“, რომელიც ყოველ დღე დადის სოხუმიდგან სივრცის მონასტრამდის (ახალ ათონისას), სოხუმიდგანა დრანდის მონასტრამდის და იქიდგან ვიდრე მდინარე კოდორამდის. სირცხის მონასტერი მდებარეობს 21 ვერსის მანძილზე და სოხუმიდგან რუსეთისკენ; დრანდის მონასტერი მდებარეობს 18 ვერსის მანძილზედ სოხუმიდგან სამეგრელოსკენ. ამ ორსავე მონასტრებში ყოველ დღე მრავალი მლოცველი მოდის სხვა და-სხვა ქვეყნიდგან, მეტადრე რუსეთიდგან. სირცხის მონასტერში სოხუმიდგან გადის ომნიბუსი ყოველ დღე დილის საათის რვაზედ და ბრუნდება იქიდგან საღამოს საათის შვიდზედ, აგრეთვე მეორე ომნიბუსი გადის დრანდის მონასტერში სოხუმიდგან იმავე საათზედა და იმ დროსვე ბრუნდება. მგზავრი ორივე მხრით ბლომად არის, ასე რომ ბევრჯელ უადგილობის გამო მგზავრი იძულებულია დარჩეს. აგრეთვე ბ-ნს ჩხაიძეს და რუხაძეს მზადა აქვთ ომნიბუსი და ამ დღეებში დაიწყებს სიარულს სოხუმიდგან დაბა გუდავათამდის, (50 ვერსტია სოხუმიდგან), რაც დიდს შეღავათს და სარგებლობას მოუტანს გუდავათელ მგზავრებს. ზამთრობით ხშირად ყოფილა იმისთანა შემთხვევა, რომ სოხუმიდგან გუდავათაში მიმავალი მგზავრი ორთქლმავალს გემს ნოვოროსიაში გაუყვანია უამინდობის გამო და ნოვოროსიიდგან ისევ სოხუმში, ასე რომ ილაჯ-გაწყვეტილს მგზავრს სოხუმიდგან გუდავათაში სამი საათის სავალი სამს კვირას უვლია და მაინც დანიშნულს ადგილზედ ვერ მიუხწევია. ეხლა ომნიბუსის შემწეობით ყოველ დღე შეეძლება სოხუმიდგან გუდავათაში წასვლა. ამ ომნიბუსის პატრონები თითონაც კარგს მოგებას ჰნახავენ და მგზავრთაც ძალიან გაუადვილებენ მოსვლას. ომნიბუსებისავე მიმოსვლა დაიწყებოდა სოხუმიდგან ქ. ზუგდიდამდის, მაგრამ ამას ამ დროებით ცუდი გზა უშლის ხელს, რომლის კეთებაც უკვე დაწყებულია კარგა ხანია და მალე გათავდება. *) აქაური ყანის მუშა ხალხი სხვა-და-სხვა მხრიდგან არიან მოსულნი, აქა ჰნახავთ მეგრელს, გურულს, ბერძენს, სომეხს, ესთონელს და სხვათა. *) შორაპნის მაზრაში ძალიან მოსავალი იცის სიმინდისა. /ბახველი/. (ივერია, N195, 1894 წელი);

ახალი ამბავი

ქ. სოხუმი: 15 სექტემბერს, საღამოს საათის 8-ზედ ელექტრონით გაანათა ქალაქის არე-მარე ახლად მოსულმა სამხედრო გემმა და ამით ამცნო მცხოვრებთ სახელწიფო ქონებათა და მიწათმოქმედების მინისტრის ერმოლოვის მოსვლა, რომელიც ახალ-ათონის კუთვნილის ეტლით მოვიდა. ბინა გამზადებული იყო აქაურის ოლქის უფროსის სადგომში, სადაც დახვდნენ ქალაქის წარმომადგენელნი და ყველა უფროსნი მოხელენი სხვა-და-სხვა უწყებებისა. ქალაქის დეპუტატებმა მიართვეს პურ-მარილი. ბ-ნი მინისტრი აპირებს სამს დღეს დარჩეს სოხუმის მაზრაში, სადაც სურს დაათვალიეროს რამდენიმე სოფელი, მაგრამ უმეტესი ყურადღება ექნება მიქცეული რუსთა სოფლებს. ინახულებს დრანდის მონასტერს და სოხუმის საუკეთესო ბაღებს. (ივერია, N199, 1894 წელი);

კორესპონდენცია

ს. ოტობაია. (ზუგდიდის მაზრა). სოფ. ოტობაია ნოყიერს ნიადაგზეა გაშენებული, რის გამოც მოსავალი კარგი მოგვდის ხოლმე და შეიძლება კაცმა უზრუნველად იცხოვროს, მხოლოდ უბედურება ეს არის რომ ქურდებისაგან განიორ-წყალებულები ვართ. ჩვენი სოფელი მდ. ენგურის ნაპირად მდებარეობს, აფხაზეთის სამზღვართან, და რაც კი ნაქურდალი საქონელი იქნება, სულ ჩვენ სოფელზედ გამოატარებენ ხოლმე. სწორედ შეგვაწუხეს, მაგრამ შეიძლება ღმერთმა გვიშველოს და ამ უბედურებას როგორმე დავაღწიოთ ამ დღეებში, ჩვენის მაზრის და სამურზაყანოს უფროსს ამის შესახებ მოლაპარაკება ჰქონდათ და გადასწყვიტეს; 1) არჩეულ იქმნას 24 კაცი, (12 ზუგდიდის მაზრასა და 12 სამურზაყანოში) იმათვე ზედამხედველად დაინიშნოს თავ. ოთარ დადიშკელიანი. ეს არჩეულნი მოვალენი არიან თვალყური ადევნონ ნაქურდალსა და ქურდებსა, თუ ჩვენგან სამურზაყანოში გაიტანეს ნაქურდალი, სამურზაყანოში ამორჩეულმა თორმეტმა კაცმა უნდა გადაიხადოს იმისი საფასური, ხოლო თუ იქიდგან გადმოიტანეს, ჩვენში ამორჩეული თორმეტი კაცია პასუხისმგებელი. /ც/. (ივერია, N227, 1894 წელი);

ახალი ამბავი

სოხუმი. მიწათ-მოქმედებისა და მეურნეობის სამინისტრო აპირობს აქ ცხელის ქვეყნების მცენარეების მოყვანას. ამ აზრით ქალაქმა სამინისტროს ოთხმოცი დღიური მიწა დაუთმო. (ივერია, N246, 1894 წელი);

სოხუმი

14 ნოემბერს, ღამის თორმეტ საათზედ, აქ ერთი შემაძრუწუნებელი ამბავი მოხდა: ერთის აქაურის საროსკიპოს მოსამსახურემ ბებუთით მოჰკლა შუა ქალაქში ერთი აქაური მცხოვრები რუსი, გვარად ბუგა, და მძიმედ დასჭრა, მარცხენა მხარში მეეტლე. აი საქმე როგორ ყოფილა: ამავე საღამოს ერთს სასმელების დუქანში ნასვამი ყოფილან მოკლული ბუგა და მეეტლე, ამ დროს მისულა იმათთან შეზარხოშებული მკვლელი და ძალაუნებურად შესთვისებია. შემდეგ ერთი კაცი კიდევ მოჰმატებიათ და დაუწყიათ ქეიფი. კარგად რომ დამთვრალან, ჩამჯდარან ეტლში და გაუწევიათ სასეირნოდ. უცებ მკვლელს ეტლის შეჩერება უბრძანებია, ამოუღია ბებუთი, და უკრავს თავისს გვერდზედ მჯდომ ბუგასთვის და იქვე სული გაუფრთხობინებია. მეორედ თითონ მეეტლისათვისაც შემოუკრავს, მხარში მძიმედ დაუჭრია, მესამე-კი გაქცეულა და თავი გადაურჩენია. ამის შემდეგ მკვლელი-კი არხეინად წასულა თავისს

ბინისაკენ. მოკლული პოლიციაში წაიღეს და მძიმედ დაჭრილი მეეტლე-კი საავადმყოფოში გაჰგზავნეს. დამნაშავეს პოლიციამ მიაგნო და სისხლში მოსვრილი დანაც უპოვეს. წარსულის ოქტომბრის დამლევსაც პოლიციელმა მოჰკლა რევოლვერით ჩაჩიბაია, აი გარემოება ამ საქმისა: ვიღაცას პოლიციის ბოქაულისათვის შეუტყობინებია, ამა-და-ამ ადგილას ქურდები იმალებიანო, პოლიციის ბოქაულს გაუგზავნია იმ ადგილას ორი პოლიციელი. როცა მისულან, იქ სამი კაცი დახვედრიათ, არაფერი წინააღმდეგობა არ უხმარია და იქავე გაჩერებულან, მესამე — ჩაჩიბაია-კი გაქცეულა, რადგან ბილეთი არა ჰქონია და შეშინებია, დამიჭერენ და ჩემს სამშობლოში გამგზავნიანო. პოლიციელი გასდევნებია და დაუძახნია, ნუ მირბიხარო, მაგრამ რაკი არ შემდგარა, რევოლვერი უსროლია, ტყვია კისერში მოჰხვედრია და თავში გამოვარდნილა. საბრალო იქვე წაქცეულა, საავადმყოფოში წაუყვანიათ, მაგრამ რამდენისამე დღის წვალების შემდეგ სული განუტევებია. რასაკვირველია, ამ სამში არც ერთი ქურდი არ აღმოჩნდა. /ბახველი/. (ივერია, N248, 1894 წელი);

აბჟუვა (კოდორის განყოფილება სოხუმის ოლქისა)

როდესაც სოხუმის ოლქში მობრძანდა ბ-ნი მეურნეობის მინისტრი და დაათვალიერა ზოგიერთი ახალშენები, გეხსომებათ, რომ ამ უკანასკნელთა მცხოვრებლებმა შესჩივლეს ბ-ნ მინისტრს, აფხაზები გვაწუხებენ ქურდობითაო. ამ გარემოებამ უიმისოდაც შენიშნულს აფხაზებს კიდევ უფრო გაუფუჭა რეპუტაცია მთავრობის თვალში. ჩვენ არ ვამართლებთ ყველა აფხაზებსა და არ ვიტყვით, რომ იმათში ქურდობა არ იყოს გავრცელებული, არც იმას ვახსენებთ, რომ მგელს მგელობა ერქვა და ტურამ დააქცია ქვეყანა, ვიტყვით მხოლოდ, რომ მთელის ერის (თუ ვინმემ ეს იკადრა) ქურდებად დასახვა უსამართლოდ და სინამდვილეს მოკლებულად მიგვაჩნია. რასაკვირველია, აფხაზებშიაც არიან ქურდები, როგორც ყოველ ხალხში, იქმნება ცოტა მეტი რიცხვიც ერიოს იმათში, მაგრამ უმრავლესობა მაინც ქურდობის წინააღმდეგია და სულითა-და-გულით მოწადინებულია, რომ იგი, მათდა სახელის აღსადგენად მოისპოს როგორმე. ბ. მიწათ-მოქმედების მინისტრი კოდორის განყოფილებაშიაც რომ მობრძანებულიყო და ეკითხა აფხაზებისათვის: რა გაწუხებთო, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, იმასვე გაიგონებდა, რაიცა ახალმოშენე რუსთაგან გაიგონა, ე.ი. შესჩივლებდნენ ქურდობა გვაწუხებსო და შეეხვეწებოდნენ, რამე ღონე გვიღონეთო. ასე იმიტომ მოიქცეოდნენ აბხაზები, რომ იმათ „სუდ“-ზე იმედი და სასოება დაჰკარგეს ქურდობის მოსპობის საქმეში, რადგან ისინი არა იშვიათად ხედავენ: კაცის მკვლელი მათში თავისუფლად დასეირნობს, ხოლო უბრალო ალალ-მართალი კი ციმბირშია გაგზავნილი... საცოდავები კი არიან აბჟუვის აფხაზები იმითიც, რომ ერთი ისეთი განყოფილების უფროსი, რომელსაც გამოეჩინოს ნამდვილი მამობრივი მზრუნველობა იმათზე, არავინ ეღირსათ. ეხლანდელი განყოფილების უფროსი ჯერ ახალი კაცია, იმაზე ჯერ არც კარგი, არც ძვირი არა გვეთქმის რა, ხოლო მისმა წინამოადგილეებმა-კი ვერ გაამართლეს ჩვენი იმედები. ამ დღეებში კოდორის განყოფილების მცხოვრებთა წარმომადგენლებს კრება ჰქონდათ. ოჩამჩირეში, სადაც მსჯელობა და თათბირი იქონიეს ქურდობის მოსასპობ რამე ღონისძიებათა მიღებაზედ. აქ, როგორც ამბობენ, შეუმუშავებიათ დებულება ქურდობის მოსასპობად. ამ დებულების უმთავრესი მუხლი, როგორც ამბობენ, იმაში მდგომარეობს, რომ გლეხი, რომელსაც ქურდობის ჩადენა დაატყდება, უნდა „გაიროზგოს“, ხოლო აზნაური უნდა გადაყვანილ იქმნას ადმინისტრაციის ძალით. ამისთანა დებულება უნდა მთავრობას დაამტკიცებინონ. ვეჭობთ, ასეთმა ღონისძიებამ საკმაო სარგებლობა მოიტანოს. აქ საყურადღებო უფრო ის არის, რომ თვით საზოგადოება მოწადინებულია ქურდობა მოსპოს და არა რა საშუალებას არ ზოგავს, ოღონდ ეს სენი თავიდან აიცილოს... სამურზაყანოისა და აბჟუვის (კოდ. განყოფ.) საეკლესიო სამრევლო სკოლები (და თვით ეკკლესიებიც) დაათვალიერა დეკანოზმა მ. დავ. მაჭავარიანმა, რომელიც ამ ოკტომბრის

თვეში დაიარებოდა სარევიზიოდ. ყველგან დეკან. დ. მაჭავარიანი ხალხს უქადაგებდა და მისის ქრისტიანობრ მოძღვრება-დარიგებით მეტად კმაყოფილნი რჩებოდნენ მსმენელნი. ერთგან მ. დეკანოზმა, თავისს პირ-და-პირ საგნის შესახებ მოძღვრების გათავების შემდეგ, ურჩია ხალხს, გაიმართეთ სასოფლო მაღაზიებიო (წრევანდელმა მოუსავლობამ მისცა საბაბი ამაზე სიტყვის ჩამოგდებისა, სიმინდი ნაკლებ მოვიდა წრეულს) და მაგალითად, ტფილისის გუბერნიის სოფლები მოუყვანა... მ. დეკ. მაჭავარიანი წლოვანებით ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელზე უხნიერესია, ვგონებთ, მაგრამ ჯერ კიდევ იმდენად მარჯვედ არის, რომ ამდენი მანძილის გავლა ცხენით და მერე ჩვენებურ, ე.ი. სამურზაყანულ-ავსახურ, გზებზე არაფრად მიიჩნია... ამ დეკანოზზე იყო, რომ ამ რამდენისამე წლის წინედ იმის შიშით, რომ იგი მღვდელ-მთავრის ხარისხზე არ აღეყვანათ და სოხუმის კათედრა არ ჩაებარებიათ, მისმა მოკეთეებმა „დანოსი“ გაგზავნეს, სადაც ჯერ იყო: დეკანოზი მაჭავარიანი იმდენად მოხუცდა, რომ წირვის დროს ფეხზე დგომა აღარ შეუძლიაო... ახლაკი სარევიზიოდ ჰგზავნიან და რამდენი ასი ვერსი უნდა გაიაროს ცხენით, და ზოგან ფეხითაც... ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო. /ჭ/. (ივერია, N253, 1894 წელი);

ახალი ამბავი

სოხუმი. აქ მოვიდნენ ქუთაისიდგან ქართულის დრამიტიულის ხელოვნების მოყვარენი და ორჯერ გაჰმართეს წარმოდგენა. სოხუმელები სახტად დავრჩით, რადგანაც ქართული წარმოდგენა იშვიათად გვინახავს ხოლმე. რასაკვირველია, ძალიან ვისიამოვნეთ. ქართულ წარმოდგენაზე უფრო სასიამოვნო არის ქართველისაგან დასწრება. აქაურმა ახალგაზდობამ ვახშამი გაუმართა მსახიობებს. (ივერია, N256, 1894 წელი);

ახალი ამბავი

ქ. სოხუმი: 3 დეკემბერს აქ დანიშნული იყო არჩევანი აქურის ქალაქის დეპუტატებისა. კანდიდატებად იყვნენ დანიშნული და იყარეს კენჭი სულ შვიდმა კაცმა, ტუკშიჩევს ა. ა. ამოუვიდა 12 შ. 130 თ., სპანაქს ი. პ. 29 შ. 113 თ., შალანიას ლ. ა. 89 შ. 53 თ., აზვესტოპულოს ხ. მ. 20 შ. 122 თ., გორიჩ-ძეს პ. ლ. 53 მ. 89 თ., კეთილაძეს პ. გ. 34 3. 108., მინოშვილს მ. მ. 47 შ. 95 თ. სულ უნდა ამოერჩიათ სამი დეპუტატი. ამ სახით დეპუტატებად ამორჩეულ იქნენ ა. ა. ტეკშიჩევი, ხ. მ. აზვესტოპულო და გ. პ. სპანაქი. სამივენი ბერძნები არიან. არჩევანებმა საზოგადოდ რიგიანთ ჩაიარა, მხოლოდ ერთმა ამომრჩეველმა, ტომით რუსმა, სიმთვრალის გამო ხმაურობა ასტეხა და აქაური ადმინისტრაცია და მთავრობა უდიერად მოიხსენია. ამ კაცს პოლიციამ ოქმი შეუდგინა და სამართალში მისცა. (ივერია, N261, 1894 წელი);

ქ. სოხუმი, 3 ოქტომბერი

სხვა-და სხვა ლოდინმა და იმედმა, სწორე მოგახსენოთ, გული გაგვიწვრილა. ყოველი იმედი და მოლოდინი დღემდის გაცრუებულია. ჩვენთვის არც რკინის გზაა, არც ნავთსადგურის შეკეთება, არც ქალაქის თვით-მართველობის შემოღებაა და არც სხვა რამ სიკეთე. დღეს შემთხვევით მეთორმეტე საათზედ გავიარე ქალაქის კლუბისაკენ და იქ დამხვდა სხვა-და-სხვა ნაირად მორთული საზოგადოება, უმეტესობა ჩვენებურად იყო ჩაცმულ დახურული, დანარჩენნი-კი ევროპიულად, თათრულად, ბერძნულად და სპარსულად. ვიკითხე მიზეზი ამ ჭრელის საზოგადოების აქ შეყრისა და მითხრეს, რომ ქალაქის დეპუტატებს ირჩევენო. მეც ავერიე ხალხში. ხალხი სჯიდა სხვა-და-სხვა საგანს, მაგრამ ჩემი ყურადღება მიიქცია ყველაზე უფრო იმან, რომ ზოგიერთები ამტკიცებდნენ ქალაქის თვით-მართთველობის

შემოღების მავნებლობას. გაიძახოდნენ: საცა ქალაქის თვით - მართველობაა შემოღებული ყველა ქალაქები დაიღუპა, დავალიანდაო. ცოტა შეგნებულნი, რასაკვირველია, წინააღმდეგნი იყვნენ და უმტკიცებდენ, რომ შენს სახლში თითონ შენ უნდა იყო ოჯახის გამგეო, და თუ ვერ უპატრონებ შენ ოჯახს, შენვე იქნები დამნაშავეო. ამ ბაასის დროს გაისმა ხმა: „ეკკლესიაში წამობრძანდით და ფიცი მიიღეთო“. ხალხი დაიძრა და გასწია ეკლესიისაკენ, საცა ფიცი მიიღო. იქიდამ მოვიდნენ და დასხდნენ კლუბის დიდს დარბაზში, საცა არჩევანისათვის ყოველი მზად იყო. თავსმჯდომარემ მოკლე სიტყვით აუხსნა მისი მოვალეობა და შემდეგ სთქვა: „რიგით ძველს დეპუტატებს უნდა ეყაროს კენჭი პირველად, თუ გსურთ, და მერე ახლებსაო“. ხალხმა დაიგრიალა: უკენჭოდ, უკენჭოდ ძველები, ახალი არ გვინდა, რაც ძველებმა გააკეთეს, იმას ახლები გააკეთებენო! ლივიცკი წამოდგა და სთქვა, კენჭი ეყაროს ძველსაც და ახალსაცო. ამას დასთანხმდა თავსმჯდომარეც და შემდეგ დაასახელეს კანდიდატები კენჭის საყრელად. დაიწყო კენჭის-ყრა. შედეგი ამ კენჭის ყრისა მოხსენებულია გუშინდელ გაზეთის ახალ-ამბებში. ისევ ძველი დეპუტატები დარჩნენ. შემდეგ დაადგინეს მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის ნიკოლოოზ მეორის ტახტზე აბრძანებისა და ჯვარის წერის სახსოვრად ორის ღარიბის ვაჟისა და ორის ღარიბის ქალის სწავლის ხარჯი და სახელმძღვანელოების ფასი ქალაქის შემოსავლიდან იქმნას ხოლმე გადადებული ყოველ წლობითაო. /გადაღმელი/. (ივერია, N262, 1894 წელი);

ახალი ამბავი

გუდაუთი. ბ-ნ თ. გოგიტიძის მეცადინეობით მომავალ იანვრიდგან გუდაუთლები ვეღირ-სებით ჩვენს პატარა დაბაში ქართულ-რუსულ-ბერძნულ სამკითხველოს. ჯერ-ჯერობით სამკითხველოში გვექმნება მარტო ჟურნალ-გაზეთობა, მერმე ღვთისა და კეთილის კაცების შემწეობით ვოცნებობთ წიგნებიც შევიძინოთ. აქ ბლომად იჭერენ მშვენიერს კეფალს (თევზია) და ჰგზავნიან ქ. ბათუმს, ოზურგეთს, ქუთაისს, სენაკსა და სხვა ქალაქებში. ადგილობრივ ფუთი კეფალი ღირს მანეთ-ნახევრიდგან ორ მანეთ-ნახევრამდე. (ივერია, N265, 1894 წელი);

1894 წელი

გაზეთი ,,კვალი''

სამურზაყანოს ამბები

სამურზაყანო, მოგეხსენებათ, მოშორებულია საქართველოს თითქმის ყოველ მხრით. თუმცა სამურზაყანო ბუნებისაგან ძლიერ დაჯილდოებულია, მაგრამ რას აკეთებს, - რომ თვით მცხოვრებნი მუდამ ღარიბნი არიან, როგორც ბუნებრივად, აგრეთვე ნივთიერად: ბ-ნი ე. იოსელიანის წერილი „მოამბის“ პირველ N-ში, თუმცა სამართლიანია შესახებ იმერეთ-გურია-ქართლ-კახეთზე, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ხსენებული წერილი ვერ აიტანს სამართლიან კრიტიკას სამურზაყანოს შესახებ და საზოგადოდ სოხუმის ოლქზე. არა ერთხელ მინახავს კაცი, რომელიც ცხოვრებს თითქმის ტყეში და გაიძახის: „შეშა არ მაქვსო“ და მთელ ზამთარში სიცივე აწუხებს. ზამთარში სოფლელები არაფერს აკეთებენ, უბრალო ფაცხასაც არ გააკეთებენ საქონლისათვის, რომ თავიანთ სადგომი განათავისუფლონ მის მავნებლობისაგან. საქონლის მოვლა ხომ სულ არ იციან და გაზაფხულობით თითქმის

ნახევარი ეხოცებათ. თავადები სულ წყალ-წაღებულნი არიან. ვინმე მათგანმა რომ საქმეს ბეჯითად მოკიდოს ხელი და თავის მამულის საქმე კარგად წაიყვანოს, - ეს საზღაპროდ გახდება. წარმოიდგინეთ, თითოეულ მათგანს აქვს არა ნაკლებ ას სამოცი და 200 ქცევა მიწა და თითქმის მშიერ-მწყურვალნი არიან. როდესაც რომელიმე გაზეთში ამოვიკითხავ, ამა-და-ამ ადგილას წიგნთ-საცავი იხსნება, იქ რკინი-გზა გადის, იქ გზა-ტკეცილი, იქ სხვა-და-სხვა ამხანაგობა არსდება, აქ კონკები... გული მიკვდება. აქ კი ტყუილად ხეტიალია და მუდამ უგუნურება. ერთი მაინც რამე მენახა სოხუმის ოლქში, რომ ყურადღების ღირსი ყოფილიყოს. სად არის ჩვენთვის ან მოძღვარი, ან მასწავლებელი, ან სასწავლებლები, ან დარბაისელი თავადები. სამურძაყანო, თუმცა იგივე საქართველოა, როგორც სამეგრელო, მაგრამ ეს ადგილი ჩამორჩენია უკან თავის დაუდევრობით და სხვისაგან დაუხმარებლად უკანასკნელს დაემზგავსება სხვათა შორის ზოგიერთი ჩვეულებით. ჩვეულება აქ, როგორც სხვაგანაც, ბევრ ნაირია: სამლოცველო, საოჯახო, საქორწინო და სხვა. მათ შორის პირველი ადგილი დაეთმობათ სამლოცველო ჩვეულებებს, რომლებიც თავის მხრით იქნებიან აგრეთვე ბევრნაირნი: საღორონთო (საღმერთო), ჟინი (ზენა), ოჭკადირი (სამჭედლო), ციმჰვაშ ხვამა (მარწყვის ლოცვა), ყეყე და სხვა. მე მინდა ჯერ-ჯერობით მკითხველებს გავაცნო, თუ როგორ სრულდება უკანასკნელი ლოცვა, ე.ი. ყეყე, რომელიც იციან თედორობის კვირის მეორე დღეს, ეს ლოცვა, უნდა მოვახსენოთ, თავის დანიშნულებით, მოსაწონია. ამ ლოცვას ასრულებს მარტო ერთი გვარი, ლაცუცბაია, რომელიც შედგება არა ნაკლებ 60 მოსახლისა. მაგათი პაპა გადმოსახლებულა ძველათ ქვემო ოდიშიდან, რომელსაც ჰრქმევია სახელად ქერექი. მიზეზი მისი გადმოსახლებისა ყოფილა კაცის კვლა და ამის გამო იძულებული გამხდარა გადმოხიზნებულიყო ჩვენსკენ. ის თურმე მიენდო შერვაშიძეს ბედიაში, სადაც ახლა ტაძრის ნანგრევია, მოიყვანა ცოლი და დასახლდა თავის ბატონთან. ის ოდიშში აზნაური ყოფილა და ამიტომ შერვაშიძეს აქაც ისე ჩაურიცხავს. როდესაც ჰყოლია შვილი, სახელად კოჩი, ბატონთან რაღაც უკმაყოფილება მოსვლია და იმას გაუროზგავს, რაც თურმე გაგლეხებას ნიშნავს. ქერექიმ გულ-მოსულმა დატოვა თავის ცოლშვილი და გაიქცა ისევ ოდიშში. შერვაშიძემ სახლიდან გამოაგდო ქერექის ცოლ-შვილი, რომელიც დასახლდა ოქუმში. ქერექი და კოჩისაგან, როგორც ზემოთა ვთქვი, 60-მდე მოსახლეა, ღირსებით გლეხნი, წინეთ მაჰმადიანები ყოფილან, ახლა კი მართლ-მადიდებელი ქრისტიანები. ერთხელ თურმე კოჩი წასულა სანადიროთ აფხაზეთში და გზაში უნახავს უზარმაზარი ციხე, სადაც ყოფილა ერთი შესანიშნავი ხატი. ის, რასაკვირველია, ვერ იცნობდა, თუ რა ხატი იყო, ან რით იყო გაწყობილი, მხოლოდ უნახავს, რომ ხატის გარშემო რაღაც ბრჭყვიალებდა. ალბათ ეს ძვირფასი თვლები იქნებოდა. მას მორევია ცნობის-მოყვარეობა, და შესულა ციხეში ამ ხატის გასაშინჯათ. უნდა გვახსოვდეს, რომ ის მაშინ მაჰმადიანი ყოფილა. დაბრუნებულა თუ არა შინ, სახლობისათვის უთქვამს ეს ამბავი და გადაუწყვეტიათ იმ ხატის მოპარვა. უთქვამს თუ არა სიტყვა „მოვიპაროთო“, მაშინვე დაცემულა და ავათ გამხდარა. ერთ კვირაში ისე დასივებულა, რომ კამეჩი გეგონებოდა და ბოლოს მომკვდარა. ამ ხატის გულის მოსაბრუნებლათ, მათ მაშინვე დაუდგენიათ ლოცვა ყეყე. თუმცა ამ ლოცვის ნამდვილი სახელი არის „ჯიხაში ხატი'' (ციხის ხატი), მაგრამ მეტ სახელად ურქმევიათ ყეყე, რადგანაც ვისაც ავნებდა ეს ხატი, იმას აყიყინებდა-ასივებდა. უმთავრესი მიზანი ამ ლოცვისა მდგომარეობს იმაში, რომ ეს იყო დადგენილი ქურდობის წინააღმდეგ. ამ გვარეულობას მტკიცედ სწამდა, რომ თუ ვინმე მათთაგანი მოიპარავდა თუგინდ ნემსს, მაშინვე გასივდებოდა და კვდებოდა. რამდენათაც მართალი იყო ამ ხატის ძლიერება, ის არ ვიცი, მხოლოდ ის კი ვიცი, რომ ამ რწმენას ციხის ხატისადმი, ძალიან სარგებლობა მოჰქონდა ლაცუცბაიებისათის. ამ უკანასკნელ დრომდის თითქმის სხვა გვარეულობაც რიდით იხსენიებდა ამ ხატს და ვერ ბედავდა ქურდობას. თვით ლოცვა სარგებლობდა, ამ გვარად მთელი ოჯახობა შეიკრიბებოდა ერთს წმინდა ადგილას. აქ მოიტანდნენ ფეტვის, ღომის და სიმინდის ფქვილს ბლომათ. დილიდან დაწყებული საღამომდის ხარშავდენ პატარ-პატარა ხოზებს, დამრგვალებულ ცომს, რომელიც შედგებოდა ერთმანეთში არეული

ფეტვის, ღომის და სიმინდის ფქვილისაგან. ერთ რომელსამე ხოზოში გაარჭობდენ პატარა ჩხირს, ეს იმას ნიშნავდა რომ, ვისაც შეხვდებოდა ეს ჩხირიანი ხოზო, მას ძალიან წვეულება უნდა გაემართა ნააღდგომევს. გარდა ამისა აცხობდენ ერთ უზარმაზარ მჭადს; ერთ დიდ ქვაბში ჩაასხამდენ წყალს და ჩამოკიდებდენ ცეცხლზე; იმაში ჩაყრიდენ ორ გობ ფქვილს და ურევდენ, როგორც ღომს; ბოლოს ჩამოდგამდენ ძირს და ზელდენ მთელ დღეს; თვითოეულ მათგანს, როგორც დიდს, აგრეთვე პატარას რამოდენსამე ხანს უნდა ეზელათ ეს ცომი. საღამო ჟამს დააცხობდენ ღადარზე ფრთხილად, თუ ვინიცობაა, მჭადი ცოტათი დაზიანებული გამოვიდოდა, მაშინ ის ნიშნავდა იმას, რომ ერთი ვინმე მათგანი მოკვდებოდა ერთი წლის განმავლობაში. საყეყო ღვინო ცალკე ჭურში ჰქონდათ შენახული. იმ დღეს მჭადსა და ხოზოს მეტს არაფერს ხმარობენ საჭმელად. საღამოს დაიწყებოდა ლოცვა, რომელსაც ასრულებდა ერთი ვინმე მათგანი, ცნობილი თავის მჭერ-მეტყველობით და მხცოვანობით. სახელოვანნი ამგვარ შემთხვევაში ყოფილან ხალხის თქმულობით ორი კაცი: მაქვა და დემათი. რაც ხოზო იყო, ყველას დააწყობდენ დიდს სუფრაზე და ერთ ჯამს ღვინოს დადგამდენ. ბრბო ცალ ფეხზე დაჩოქილი პირს იზამდა დასავლეთისკენ, რადგანაც მაჰმადიანნი იყვენ. (ახლა კი აღმოსავლეთისკენ იზამენ პირს) თითოეულ მათგანს ეჭირათ ხელში თაფლის სანთელი. უფროსი მლოცველი წადგებოდა წინ, აღიარებდა სავსე ჯამს და იტყოდა: „აბანჰხა ხანჰხახუ“ (აფხაზური სიტყვაა, ქართულად: „მოანიჭე შენი ლოცვა-კურთხევა ციხის-ხატო ჩვენს გვარს და შთამომავლობასო“). ბოლოს ადგებოდენ და დაიწყებდენ სმა-ჭამას, ღვინის დალევას არ უშლიდა ყეყე: აქ ესწრებოდენ თავადები, გლეხები, რომელნიც ჭამა-სმაში არა ნაკლებ მონაწილეობას იღებდენ, როცა ცოტა მოღონიერდებოდენ ღვინითა, ადგებოდენ და უვლიდენ თავიანთ სახლებს გარეშემო აღდგომის ლიტანიასავით და ამბობდენ ამ სიტყვებს სიმღერით: „ატლეი ჩოვპა, ჩოვპა, ჩოვპა.“ მთელი ღამე ათენებდენ და ამგვარად თავდებოდა ყეყეს ლოცვა. ახლაც ამგვარად იხდიან ამ ლოცვას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ცალ-ცალკე თითოეული მოსახლე თავის სახლში ასრულებს მას და, რასაკვირველია, რომ ისეთი, როგორც ძველი ამბავი, არ დატრიალდება. ლოცვის შემდეგ შეერთდებიან და ბურთაობა იციან ხოლმე. აგრეთვე ხალხი ამბობს, რომ ციხის-ხატის დღეობაზე უსათუოთ წვიმა იქნებაო. წარმოიდგინეთ, რომ ეს ხუთი წელიწადია, რაც მათი სიტყვა სრულდება. წრეულაც წვიმამ მობურთავეებს ხელი შეუშალა. /აკაკი ოქუმელი/. 2 მაისს დ. ოქუმი. (კვალი, N27, 1894 წელი);

***

სოხუმის ოლქი და განსაკუთრებით სამურზაყანო, ყველას მოგეხსენებათ, როგორი მდიდარია ბუნებით. იშვიათად თუ შეხვდებით სადმე საქართველოს სხვა კუთხეს, რომელიც წარმოადგენს ისეთს ყოველგვარ შემკულ ბუნებასა, როგორც აქ. აქაურ მიწის სინოყივრეს ადამიანი განცვიფრებაში მოყავს. მაგრამ აქაურ მცხოვრებნი, როგორც გონებრივად, აგრეთვე ნივთიერად ბევრად დაბლა დგანან, ვიდრე ქართლ-კახეთ-იმერეთ-გურია-სამეგრელო-სანი. მიზეზათ, ერთი მხრით, ის მიმაჩნია, რომ აქ საზოგადოების ნამდვილი გულ-შემატკივარი პირები ძალიან ნაკლებად გვყავს. სოხუმის ოლქის ინტელიგენციას შეადგენს სახელმწიფოს სხვა-და-სხვა მოხელეები, რომელთაც არც დრო აქვთ და ისინი არც დიდათ იწუხებენ თავს ამით. ისეთი საქველმოქმედო დაწესებულებანი, რომელნიც ზრუნავდენ მეურნეობისათვის, ან განათლებისათვის აქ არ არის. კარგი მასწავლებლებიც აქ იშვიათია, და თუ არის, ისიც ბევრს არაფერს აკეთებს. ამ ბოლო დროს აქ გავრცელდენ „აშორდისტები“, რომელნიც ავრცელებენ, ვითომ სამეგრელო და აფხაზეთი ძმები არიან და არავითარი კავშირი არა აქვთ საქართველოსთანო. ერთი მათგანი გაიძახის აშორდიად მე ვჯობივარო, ნამდვილი ძველებური მეგრული ანბანი მოვიგონე და ვგზავნი დასაბეჭდათო. ახლა თურმე ცდილობს ოჩამჩირეში გადმოვიდეს მასწავლებლად და დააბედნიეროს ოჩამჩირელები „მობრძანებითა თვისითა“. (კვალი, N39, 1894 წელი);

საყურადღებო ამბები

სამეურნეო მინისტრის ბ-ნ ერმოლოვის მობრძანება საქართველოში იმისთანა მოვლენაა, რომლის უყურადღებოთ დატოვება მიუტევებელ ცოდვათ უნდა ჩაეთვალოს გაზეთს. რა შთაბეჭდილება მოუხდენია ჩვენ ქვეყანას მაღალ მოხელეზე, რა საჭიროებებზე მიუთითებიათ ჩვენ მოწინავე პირებს - ეს იმისთანა კითხვებია, რომ ერთობ გვაინტერესებენ. ამიტომ საჭიროთ დავინახეთ ბ-ნ მინისტრის მოგზაურობის შესახებ ვრცლად ვუამბოთ ჩვენ მკითხველებს. სულ პირველად ბ-ნ მინისტრს უნებებია ქ. სოხუმის ნახვა. უმთავრესი ყურადღება მინისტრისა მიუზიდავს გადმოსახლებულ რუსების ახალ-შენებს (ოლგინსკაია, პოლტავცევო და სხვა). ახალ დასახლებულებისათვის დაწვრილებით გამოუკითხავს მათი ცხოვრების ვითარება. რუსებს შეუჩივლიათ ქურდობაზე. „ამ საჩივარმა, დასძენს „ივერიის“ კორესპონდენტი, მინისტრი ძალიან დააღონა და რამდენიმე სასაყვედურო სიტყვაც თქვაო აქაურ მკვიდრთა შესახებ“. სხვებმა კი, ქალაქის დეპუტატების წინამძღოლობით, თხოვეს სამთო სასწავლებლის სამეურნეო სასწავლებლათ გადაკეთება. ამაზე მინისტრმა თანხმობა გამოაცხადა და დახმარება აღუთქვა. სოხუმშივე მინისტრის პატივსაცემად გამართეს ვახშამი, რომელზედაც მან წარმოთქვა სიტყვა და გაატარა ის აზრი, რომ „ამ ქვეყნისათვის საჭიროაო ახალი კულტურიანი ხალხი დასახლდეს“. (კვალი, N41, 1894 წელი);

***

სოხუმიდან ბ-ნ ერმოლოვი გამგზავრებულა ბათუმისაკენ, სადაც მიუწვევიათ საუზმეზე. აქ მას წარმოუქვამს სიტყვა ქ. ბათუმის სხვა-და-სხვა საჭიროების შესახებ: იმის აზრით ქალაქის დამაბრკოლებელი მიზეზი ადგილების გაუმიჯვნელობაა. ამ გარემოებას განსაკუთრებულს ყურადღებას მივაქცევო, ბრძანა თურმე მინისტრმა. საუზმის შემდეგ მინისტრი წაბრძანდა ჩაქვში ჩაის პლანტაციების დასათვალიერებლად. გზაში თ. ალექსანდრე ჩოლოყაშვილს, ნატანების მადნის პატრონს, წარუდგენია მინისტრისთვის შავი კუპრის სხვა-და-სხვა გვარი ნიმუშები. მინისტრს ყურადღებით გაუშინჯავს და დაწვრილებით გამოუკითხავს ახლანდელი მდგომარეობა ამ მადნის წარმოებისა. თ. ჩოლოყაშვილს სხვა საჭიროებათა შორის დაუსახელებია კრედიტის უქონლობა და უთხოვია, რომ სახელმწიფო ბანკიდან კრედიტი გაეხსნას ამ საქმის საწარმოებლათო. ბ-ნი ერმოლოვი დათანხმებულა და იმედი მიუცია თ. ა. ჩოლოყაშვილისთვის, რომ კრედიტი გაგეხსნებათ სახელმწიფო ბანკიდანო. ჩაქვში ადგილობრივ გლეხების საჩივარი მოუსმენია გაუმიჯვნელობაზე და დაპირებია, დახმარებას აღმოგიჩენთო. ამათ გარდა ჩურუქ-სუში (სმეკალოვკაში) მცხოვრებლებმა, ქართველ მაჰმადიანებმა და რუსებმა, ომს შემდეგ დასახლებულმა ცალ-ცალკე არზები მიართვეს. ქართველი მაჰმადიანები შეჩივოდენ გაუმიჯვნელობას; რუსები კი ამას გარდა ადგილის სიცოტავეს, რაც უწინ მოგვცეს ისიც მაჰმადიანებმა დაისაკუთრესო. მაგრამ აქვე აუხსნიათ, რომ ოსმალები კი არა, ისინი ძველთაგანვე აქ მოსახლე ადგილობრივი ქართველი მაჰმადიანები არიანო, რომელთაც უხსოვრის დროიდან ეჭირათ ეს ადგილებიო. რუსების მოახალშენეთათვის მინისტრს განსაკუთრებული იმედი მიუცია. ჩაქვშივე ბ-ნ მინისტრს გაუმართეს სადილი, რომელზედაც მას ხელ-მეორეთ გაუმიჯვნელობაზე ჩამოუგდია ლაპარაკი. სხვათა შორის ეს უთქვამს: „ჩემი აზრით, ამ მხარეში დიდად საჭიროა ადგილების გამიჯვნა და თითოეული მკვიდრის უფლებათა განსაზღვრა, რადგანაც ამ ქვეყანაში მხოლოდ მაშინ მოიდგამს ფეხს კულტურა, თუ სრული უფლება მიენიჭება ადგილისა ყველა იმათ, ვისაც საკუთრისა და თავის მამა-პაპათა გამუდმებული შრომით სამართალიანათ მოუპოვებია ეს უფლებანი. საჭიროა, დავარწმუნოთ ყველა მკვიდრი და ადგილ-მამულის პატრონი, რომ იმათ საკუთრებას არავინ შეეცილება და მაშასადამე თავისუფლად და არხეინად შეუძლიათ განაგრძონ თავისი სასოფლო სამეურნეო მრეწველობა“. (კვალი, N41, 1894 წელი);

1894 წელი

ჟურნალი ,,მწყემსი''

***

სოხუმელი კორრესპონდენტი აცნობებს «ივერიას», რომ იქ ქართველ საზოგადოებას პანაშვიდი გარდაუხდია გარდაცვალებულის ინგოროყვას სულის მოსახსენებლად, მაგრამ საქმე ძლიერ გაჭირვებულა, რადგან ქართული კურთხევანი ვერ უშოვიათ. დიდ მადლობას უძღვნიან დეკანოზ მაჭავარიანს, რომელსაც ეს პანაშვიდი გადაუთარგმნია და შეუსრულებია ქართულად სწორეთ, თუ ეს მართალია, დიდ მადლობის ღირსი ყოფილად მაჭავარიანი!.. პირველად გვესმის, რომ ქართველ დეკანოზს ქართული კურთხევანი არ ქონებია!.. ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ დ. მაჭავარიანმა აფხაზური ენა არ იცის და რომელ ენაზე უქადაგებს მრევლს ნეტავი?! ერთხელ ბათუმის ეკკლესიაში ქართული წირვის მოსმენა მოინდომეს აჭარლებმა და ქრისტიანე მუშებმა. ამ დროს ბათუმის ეკკლესიაში ქართველი მღვდელი იყო წინამძღვრად, მაგრამ მან უარი გამოუცხადა მსურველთ და მიზეზად სწორეთ ისვე დაასახელა, რომ სოხუმში დაუსახელებიათ, ე.ი. ქართული წიგნების უმექონელობა. წიგნების სყიდვა მოითხოვეს მათგან, და მაშინ დაპირდენ წირვა-ლოცვის აღსრულებას ქართულ ენაზე, მაგრამ, ვგონებთ, დღემდისაც არ უყიდნიათ ეს ქართული წიგნები აჭარლებს!.. ფრანგების მისიონერებიც ხომ ასე იქცევიან თურმე უცხო ქვეყნებში: ვინც გაქრისტიანებას მოინდომებს, საეკკლესიო წიგნებს, სამღვდელო შესამოსელს და სხვა საჭირო საკკლესიო ნივთებს მოსაქრისტიანებლები ყიდულობენ და მღვდლების გასაგებ ენაზედ თარგმიან ამ საღმრთო წიგნებს... (მწყემსი, N13, 1894 წელი);

1895 წელი

გაზეთი ,,ივერია''

ახალი ამბავი

ქ. სოხუმი. 20 იანვარს, აქაურმა სცენის მოყვასთა წარმოდგენა გამართეს. წარმოადგინეს ალექსანდრე ყაზბეგის დრამა „არსენა“ და ვოდევილი „მშივრები“. ეს წარმოდგენა გამართული იყო საქველმოქმედო აზრით, ნახევარი შემოსავალისა დანიშნული იყო სოხუმის საქალებო პროგიმნაზიის სასარგებლოდ, და ნახევარი-კი აქაურის სცენის მოსაწყობად, საზოგადოება თუმცა ბევრი არ დასწრებია და არც რაიმე შემოსავალი დარჩენილა, მაგრამ ჩვენთვის ეს წარმოდგენა მაინც დიდად სასიამოვნო იყო. (ივერია, N21, 1895 წელი);

ახალი ამბავი

სოხუმი. იანვრის დამდეგს ერთმა აქაურმა მემამულემ და ყველასაგან პატივცემულმა მოხუცმა ი. თ-ამ რევოლვერით თავი მოიკლა. თ-ა შესანიშნავი მდიდარი კაცი იყო და მთელი თვისი ქონება (სამიათას თუმნამდის) სულ სხვა გარეშე კაცს გარდასცა. მიცვალებულის ნათესავები. ძლიერ დააღონა ამ ამბავმა. იქიდამვე. ჩვენსკენ მშვენიერი დარებია. ზამთარი გადის და ვრთი ავდრიანი დღეც არ გვინახავს. მხოლოდ რაც ზამთარმა დაგვაკლო

ამას ქურდები გვისრულებენ. ერთი თთვის განმავლობაში შვიდი რვა ქურდობა მოხდა. ნამეტნავად სხვილფეხა საქონელს ეტანებიან. სიმინდის სასყიდლად რამდენიმე უცხოელი ჩამოვიდა ჩვენში. ამ ჟამად ფუთი სიმინდი 50-52 კ. ისყიდება. იმედი გვაქვს მაზანდიმ უფრო აიწიოს. (ივერია, N23, 1895 წელი);

ახალი ამბავი

გუშინ რუსეთის ფოსტა არ მოსულა. გერმანულს ჟურნალს ,,გლობუსში“ 1894 წ. 3, 4, 5, 6 №№-ში და სხვებში გადათარგმნილია და დაბეჭდილი მოსე ჯანაშვილის წერილი „Абхазія и Абхазцы“, რომელიც დაბეჭდილი იყო გეოგრაფიულ საზოგადოების ჟურნალის №15-ში. (ივერია, N36, 1895 წელი);

სოხუმი

აგერ შუა თებერვალია მაგრამ არც კი ვიცით ჩვენში ზამთარია თუ არა. ხეხილები ისე ჰყვავის, აპრილის თვე გეგონებათ. ბაღებს და საყანე ადგილებს კიდეც ჰხნავენ და ბარვენ. ბოსტნეული უკვე დაილია. ერთის სიტყვით, მაისის თვესავით გაცხარებული მუშაობაა აქ. ჯერ-ჯერობით სიმინდს კარგი ფასი აქვს აქეთკენ. წელს იმდენს მიწებს ამზადებენ საყანედ, რომ თუ ამინდმა ხელი შეუწყო, ფუთი სიმინდი რომ ექვს შაურად გაჰყიდონ აქაურებმა, მაინც მოგებულნი იქნებიან. სიმინდს გარდა ბევრმა დაიწყო თუთუნის მოყვანა. ჩვენში აქამომდე გულგრილად ეკიდებოდნენ ამ ხელობას, უმეტეს ნაწილად თათრები, ბერძნები და სომხები იყვნენ თუთუნის მოხელენი, მაგრამ ეხლა ჩვენებურებიც შეუდგნენ ამ ხელობას. (ივერია, N36, 1895 წელი);

ახალი ამბავი

ამ დღეებში სოხუმის ოლქში მიდიან მიწის-მზომელები, რომელთაც მთავარ-მართებლის კანცელარია ჰგზავნის მიწის გასამიჯნავად. (ივერია, N71, 1895 წელი);

ახალი ამბავი

სოხუმი. სამშაბათს, ოთხს ამ თვეს, ქალაქის კლუბის დარბაზში სცენის მოყვარულთა წარმოადგინეს „და-ძმა“ ხუთმოქმედებიანი დრამა ვალერიან გუნიასი. იმისდა მიუხედავად რომ ძლიერი ცუდი დარი იყო, საზოგადოება საკმაოდ დაესწრო. წარმოდგენის წმინდა შემოსავალი დანიშნული იყო „ტფილისში ახლად დაარსებულ დედათა სასწავლებლის კომიტეტის სასარგებლოდ“, რომელიც უკვე გაიგზავნება დანიშნულებისამებრ. ამ საღამოს გამართვაში დიდი შრომა გაწია კნეინა გაიანე შარვაშიძისამ, რომელიც დიდი მადლობის ღირსია. (ივერია, N74, 1895 წელი);

სოხუმი

სამს ამ თვეს აქ ერთი ამბავი მოხდა. ქალაქის მოედანზედ, სადაც სხვა-და-სხვა არის ნაირი სათამაშოები არის, აუარებელი ხალხი იყო მოგროვილი. საღამოს დროს შეზარხოშებულ მუშა ხალხს და ჯარისკაცებს (სალდათებს) ჩხუბი მოუვიდათ ერთმანეთში. წამოესწრნენ ცხენებით აქაური პოლკის აფიცრები აუსტრინი და კარაევი, რომლებიც გამოესარჩლნენ

თავისს ჯარისკაცებს და დაუწყეს მათრახის ცემა ხალხს. შეზარხოშებულმა კაცებმა, რასაკვირველია, ეს შეურაცხყოფა ვერ მოითმინეს და პატივცემულს აფიცრებს სამაგიერო მიუზღეს. აფიცრებმა თავს გაქცევით უშველეს; ჯარის კაცთა შორის გალახულთ გარდა ერთი, როგორც ამბობენ, კიდეც მომკვდარა. კიდევ დიდი უბედურება მოხდებოდა, რომ არ დაღამებულიყო და წვიმათ არ მოსულიყო, რამაც გამძვინვარებული ხალხი დაშალა. პოლიცია ბევრს ეცადა მშვიდობიანობა ჩამოეგდო, მაგრამ ვერაფერს გახდა. /წ-ძე/. (ივერია, N74, 1895 წელი);

სოხუმი

2 აპრილი, აქაურის მცხოვრებლების უმეტესობას შეადგენს ყოველი ტომის ხალხი. ვინ გინდა, აქ არ არის. მაგრამ ერთს ადგილს დიდხანს-კი თითქმის არავინა რჩება, ოღონდ ერთს ან ორს თვეს თავი როგორმე შეიფაროს და მერე, ყოვლის მიზეზის გარეშე გადასახლდებიან ხოლმე. აი, მაგალითად. თებერვალში მოვიდა ორი მოსახლე ყუბანის ოლქიდგან და ითხოვს აქ დასახლებას. იმათ დოკუმენტებიდგან აღმოჩნდა, რომ ესენი ჯერ ყუბანის მაზრაში გადმოსახლებულან. აქ მათთვის მიუციათ სამოც-სამოცი დღიური ადგილი საცხოვრებლად. უცხოვრნიათ ერთს წელიწადს, მაგრამ სულ უშრომელად, თურმე მიწას არა ვითარი ნაყოფი არ მოუცია. წელს ზამთარში ვიღაცას უთქვამს ამათთვის, სოხუმის ოლქში ერთი მარცვალი სიმინდი რომ დასთესო ათას-ორას მარცვალს მაინც მოგცემსო. უფიქრიათ, იქ ყოფილა სამოთხეო, მიუტოვებიათ ყველაფერი, მოსულან აქ და მოელიან ამ სამოთხეში ნეტარებას. თებერვალშივე მოდის იმავე სამმართველოში რამდენიმე კაცი და სთხოვს უფროსს წასვლის ნება მისცეს, რადგანაც აქაურს ჰაერში გაძლება არ შეგვიძლიანო. აგერ წელიწად-ნახევარია, რაც აქ დავესახლენით და ლამის ყველანი გავწყდეთო. პირველ მოსვლისას ოც-და ერთი სული ვიყავით და ამჟამად ცამეტი-ღა დავრჩითო... ყველამ კარგად იცის, ვინ აიტანს აქაურს ჰავას და ვისაც სხვაზედ უფრო ესაჭიროება მიწა. ამაზედ ჩვენც ბევრჯელ გვითქვამს ხოლმე და ამჟამად გამეორებაც აღარ ღირს. დღეს, ბრწყინვალე აღდგომას, როდესაც ყოველი ქრისტიანე თანასწორად ხარობენ და ყველა მიდის შუა ღამისას ეკლესიისაკენ, მხოლოდ ჩვენ ქართველები გულ-ნატკენნი გამოვედით ეკლესიიდგან. რადა? თქმაც-კი მეძნელება, მაგრამ შენც უნდა გაგიზიარო, მკითხველო, ჩვენი გულის დარდი. აი საქმე რაში იყო: იმ დროს, როდესაც აღდგომის სახარება უნდა წაეკითხათ, გამობრძანდნენ ყოვლად სამღვდელო, მღვდლები, დადგნენ თავიანთს ადგილზედ და დაიწყეს სახარების კითხვა. ერთმა რიგმა წაიკითხა ბერძნულად, სლავურად და ლათინურად მეორე რიგმა ისევ იმ წესით. ვიყურეთ, ვიყურეთ და ისე გათავდა სახარების კითხვა, რომ ერთი ქართული სიტყვაც არ გაგვიგონია. საკვირველია, ღმერთმანი, ეს ამ ამბავი. სოხუმში თითქმის ორი მესამედი მცხოვრებლებისა ქართველები არიან და წლიდგან წლამდის ერთხელაც არ ესმის ქართული წირვა-ლოცვა. ჩვენ გვიამბეს, რომ აქაურს ქართველებს განუზრახავთ საკუთარის ეკკლესიის აგება, სადაც მუდამ ქართული წირვა-ლოცვა იქნებაო. ეჭვი არ არის ამ ქრისტიანულსა და სასარგებლო საქმეს ადგილობრივი სასულიერო მთავრობა ხელს შეუწყობს. /გადაღმელი/. (ივერია, N75, 1895 წელი);

ახალი ამბავი

სუხუმი: აქ ამ დღეებში ინჟენერი ჩამოვიდა და რკინის გზის გასაყვან ადგილების გამოკვლევას შეუდგა. როგორც ამბობენ, ერთი შტო რკინის გზისა, კავკასიის უღელტეხილზედ გადაივლის და რუსეთისკენ წავა, ხოლო მეორე ახალ-სენაკისკენ.

იქიდგანვე: 12 მაისს ექვსი გლეხი ურმით მიდიოდა გზაზედ. სუხუმიდგან უკანიდგან წამოეწია

ეტლი კანდელის უფროსისა. მეეტლემ უბრძანა მეურმეებს, რათა მათ ეტლისათვის გზა დაეთმოთ. რადგანაც მეურმეებმა მალე ვერ მოცალეს გზა, ხარების სიზანტის გამო, ამიტომ უფროსი დიდად განრისხდა და რევოლვერის სროლა დაუწყო მეურმეებს, და როდესაც ერთი მათგანი ურმიდგან ძირს გადმოვარდა დაჭრილი, კანდელის უფროსი სუხუმისკენ გამოეშურა და პოლიციას ასე მოახსენა „тамъ я убилъ какого-то туземца, пожалуйста, приберите“-ო. პოლიციამ ერთი დაჭრილთაგანი სუხუმში მოიყვანა. მისი მორჩენა საეჭვოა. ხოლო კანდელის უფროსი-კი თავისუფლად დაბრძანდება. (ივერია, N106, 1895 წელი);

ახალი ამბავი

სუხუმიდგან გვატყობინებენ: ივნისის პირველ რიცხვებში აქეთ გამუდმებული წვიმები იყო, ცოტა არ იყოს დაბალი ადგილები დაზარალდა, მაგრამ მიუხედავად ამისა წელს აქეთკენ დიდს მოსავალს მოელიან როგორც სიმინდისას, აგრეთვე ღვინისასაცაო.

იქიდგანვე: ამ ჟამად აქეთ სიმინდს სამ აბაზ-ნახევარი ფასი აქვს. თამბაქოც კარგად ფასობს. წელს თამბაქოს პლანტაციებმა წარსულს წლებისაზედ ბევრად იმატა. ადგილის იჯარის ფასი დესეტინა 25 მანეთია. წელს აქაური საცდელს მინდორში ბ-ნმა ტატარინოვმა ბევრგვარი ხორბლეული და სხვა გვარი მცენარეულობა დათესა. (ივერია, N128, 1895 წელი);

სოხუმი

ივნისი. 13 ამა თვისას აქ მოვიდა გზათა მინისტრი თავხილკოვი, ნავთ-სადგურზედ მიეგებნენ ქალაქის დეპუტატები და სხვა წარმომადგენელნი აქაური ადმინისტრაციისა. მინისტრი დაეკითხა დეპუტატებს: რა უფრო გესაჭიროებათ? ერთმა დეპუტატმა უპასუხა: „მთელს დედამიწაზედ ამისთანა კეკლუცი ქვეყანა, შეზავებული სხვა და სხვა ძვირფასის მცენარეებით და სხვაგვარ ბუნებრივის სიმდიდრით ერთი არ უნდა მოიძებნებოდესო. მიუხედავად ყველა ამ სიკეთეთა, მგონი არც სადმე სხვაგან ასე მოძულებული, ასე სხვა მეზობელ ადგილებზედ მოწყვეტილი ქვეყანაც თუ მოიძებნება. ჩვენ არა გვაქვს არავითარი გზა, რომელიც შეადგენს უპირველეს ღონეს ხალხის კეთილ დღეობისასაო ბატ. მინისტრმა მოკლეთ, მაგრამ გამორკვევით სთქვა: ,,ამ ჟამად უმაღლესის მმართველობის ყურადღება განსაკუთრებით ამ მხარისაკენ არის მოქცეულიო და რასაკვირველია პირველ ყოვლისა გზები გაკეთდებაო. რკინის გზა რომ გადმოვა რუსეთიდგან, ამას თქმა არ უნდაო“. ამის შემდეგ მათმა ბრწყინვალებამ ქალაქის შესანიშნავი ალაგები ინახულა და გაემგზავრა სოჭისაკენ, ამ სიტყვების შემდეგ და იმის შემდეგ, რაც სოხუმ-ნევინომისის გზის გამოკვლევას შეუდგნენ კავკასის უღელტეხილზედ, ეჭვი არ არის გზა გადმოვა რუსეთიდგან სოხუმამდე და სოხუმიდგან ახალ სენაკამდე. გზა გამოვა თუ არა სოხუმში, იმ წამსვე სოხუმი აღადგენს იმ ისტორიულს სახელს ძველის დიოსკურიისას, საცას ერთს დროს სამას-სამოცი თარჯიმანი იყო საიდგანაც მთელს რუსეთს (სკვითებს) და კასპიის იქეთა მხრით ერთ გაჰქონდათ სხვა-და-სხვა გვარი საჭირო საქონელი. ჩვენ ამ მომავალის სიმდიდრის კარებში ვდგევართ და შევყურებთ, თუ როდის გაიღება კარები. ჩვენ ვამბობ, ახლავე გვმართებს სიმარდე და ჭკუა, რომ მომავალ ბედნიერებას ე.ი. სიმდიდრეს ხელი არ ავაცდინოთ და სხვებმა, ვინ იცის ვინ, არ ჩაიგდოს ხელში და ჩვენ მონებათ არ გაგვიხადონ. ეს ქართულს თქმულებას ემზგავსება: შინაური კატა გარეულმა გააგდოო, ჯერ რკინის გზის გამოყვანა არც კი გარდაწყვეტილა, მოდიან სხვა-და-სხვა ქვეყნელნი და ყიდულობენ ადგილებს. ჩვენებურებს სძინავთ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ პატარა წრეს, რომელიც შესდგა ამჟამად აქ და რომელსაც მიზნად აქვს ადგილების შესყიდვა საერთოდ ქ. სოხუმში. ეს წრე მზად არის ყოველი პატიოსანი ქართველი მიიღოს ამხანაგად და ამით გაუადვილოს ყველას, ადგილები

შეაძენინოს. ამ წრეში შემოსვლის მსურველს ვალად ედება ყოველ თვეობით თითო თუმანი შემოიტანოს სამის წლის განმავლობაში და რამდენს ადგილსაც შეიძენენ, ყველა საზიარო იქნება; შემდეგ სამის წლისა ამხანაგობას შეუძლიან ეს ქონება გაინაწილოს თუ მოისურვებს, თუ არა და ისევ საამხანაგოდ დარჩება, მსურველთ შეუძლიანთ სოხუმში ჯერ-ჯერობით მომმართონ მე, ანთიმოზ ივანეს ძეს ჯუღელს, და ყოველს საჭირო ცნობებს მიიღებს პირადად, თუ 7 კაპეიკიან მარკას გამომიგზავნის.

ამას წინად გწერდით, აქაურ კანდელის უფროსმა ერთი მეურმე მეგრელი რევოლვერით დასჭრა, მოვიდა პოლიციაში და განაცხადა, ვიღაც აქაური მოვკალი და უპატრონეთო. ჩვენ გვეგონა დანაშაულის ჩამდენს კანონისამებრ მოეპყრობოდნენ, მაგრამ შენც არ მომიკვდე, ჩემო მკითხველო. საწყალს დაჭრილს სდებს ბრალს კანდელის უფროსი: მეურმე დამეცა, და რომ ყოჩაღად არ ვყოფილიყავი, გამძარცვავდაო. ჯერ არავინ იცის, დაჭრილი მეურმე მორჩება თუ არა, ამ ამბის მითქმა-მოთქმა ჯერ კიდევ არ გათავებულა, რომ სოხუმიდგან მე-17 ვერსზედ ოთხს ამა თვისას ვაჭრებს შეუცვივდნენ „სტრაჟის“ დამთვრალი ჯარისკაცები, ჯერ ბევრი სცემეს, მერე რაც-კი სასმელი მოიძებნებოდა სულ შესვეს, სამასი მანეთამდის ფული წაიღესო ამბობენ და გაუდგნენ გზას, ამის გამო საქმე სწარმოებს, მაგრამ ჯარის კაცები ამბობენ: ჩვენ შევიტყეთ, რომ კონტრაბნადი არის ამ დუქანში და გასაჩხრეკად მივედითო. საქმე გამომძიებელს აქვს გადაცემული. /გადაღმელი/. (ივერია, N128, 1895 წელი);

სასამართლოს მატიანე
ვოლკოვის საქმის გამო

სოხუმი, 30 ივნისსა და 1 ივლისს. დღეს მთელი სოხუმის და იმისი არე-მარე ლაპარაკობს ვოლკოვის საქმეზედ. ყველანი დიდიან პატარიანათ გულ-მოდგინედ ადევნებენ თვალს, თუ როგორ დაბოლოვდება ეს საქმე. ასეთის გაფაციცებით რომ რომელიმე საქმისათვის მთელს საზოგადოებას ედევნებინოს თვალ-ყური ძნელად წარმოსადგენია. ამას წინად აქ სამხედრო სასამართლომ ამ საქმეზედ უფრო დიდი და 2 საყურადღებო საქმე გაარჩია - გენერალი ზავადსკის მკვლელობისა, მაგრამ მაშინ ასეთნაირად საზოგადოება არ იყო დაინტერესებული. რა იყო ამის მიზეზი, მკითხავთ. ამისი თქმა თვით საზოგადოებასაც არ შეეძლო, რომ სუდის გამოძიებისა და ბრალმდებლის და ტუსაღთა დამცველთ სიტყვების შემდეგ ერთს მოულოდნელს შემთხვევას, რომელზედაც ამ წერილის შემდეგ მოგახსენებთ, არ მოეფინა ამ ბნელის საქმისათვის სხივი ჭეშმარიტებისა. ამ მოკლე წინასიტყვაობის შემდეგ ვეცდები გაგაცნოთ, რასაკვირველია, საქმის შინაარსი, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში: 1892 წელს 4 ივლისს, ღამით, ვიღაც ორი შეიარაღებული ბოროტ-განმზრახველი მიაწვა ვოლკოვის სახლს, შეაღო კარი, რომელიც კარგა მაგრა არ იყო დაკეტილი და შესვლისათანავე ერთმა მათგანმა ვოლკოვს რევოლვერი დააჯახა, რომელიც რაღაც ბედად, არ მოხვდა მას. რევოლვერის ხმაზედ უეცრივ წამოხტა ბ. ვოლკოვი და ეცა ერთს ავაზაკთაგანს, რათა გარედ გამოეგდო. ამ დროს ყველანი გარედ გამოვიდნენ უნებლიედ; რაღაც საუბედუროდ ვოლკოვი და მისი მოჭიდავე ავაზაკი ბალკონიდგან - კიბეზედ დაეცნენ და იქიდგან ძირს, ასე, რომ ავაზაკი ძირს მოჰყვა მას. ამ დროს მოვარდა მეორე ავაზაკი და დანის დაკვრა მოუნდომა ვოლკოვს ზურგში, ვოლკოვმა დანა გამოსტაცა ხელიდგან. ამ დროს ავაზაკმა რევოლვერი დაახალა ბ. ვოლკოვს, რომელსაც ტყვია ფეხში მოხვდა. ამ რევოლვერის ხმაზედ და ვოლკოვის ყვირილზედ მოვარდა ვოლკოვის მოჯამაგირე, ავაზაკებმა, დაინახეს თუ არა, რომ მომხმარე კაცი მოდისო, მიანებეს თავი ყველაფერს და გაიქცნენ. ვოლკოვის მოჯამაგირე ცოტაოდენს გაეკიდა ავაზაკებს ყვირილით, მაგრამ ისევ მალე მობრუნდა თავისს ბატონთან ჭრილობის შესახვევად. ეს გარემოება მეორე დღეს განთიადისას შეატყობინეს ადგილობრივს პოლიციას, რომელმაც ყოველი ღონე იღონა,

მაგრამ ყოველმავე ცდამ ამოდ ჩაიარა. საქმე უნდა ჩაჩუმებულიყო, მაგრამ არა. მთავარმართებელმა უბრძანა ადგილობრივს პოლიციას, რაც უნდა გახდომოდა ეპოვნა ვოლკოვის სახლზედ მიმხდომი ავაზაკნი. პოლიციამაც შემთხვევის შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა და დააპატიმრა რვა კაცი, რომელთაგან ოთხი მეგრელი იყო და ოთხი აფხაზი, რვავე დაპატიმრებულნი იყვნენ სოხუმის საბყრობელში. მათი სახელები პატიმართა თავ. ჯოტო შარვაშიძე, აზ. ჩირიკბაია, გლეხნი: გუა, ხანაგვა, ახალაია, შამუშია, ჭაა და აზ. ბოლქვაძე. დღეს, 29 ივნისს, ქუთაისის ოლქის სასამართლოს განყოფილება ასამართლებს ნათქვამ ტუსაღთ, დიდი ხალხია თავმოყრილი. აქაურ კლუბთან, ყველანი ცდილობენ, როგორმე სასამართლოს დარბაზში მოჰყვნენ და ბილეთს ეძებენ საშოვნელად, რადგაც ბილეთით არის შესვლა. ყველას უნდა პირველად ნახონ ეს შესამჩნევ ავაზაკები და მეორედ გაიგონ დაწვრილებით საქმის გარემოება. შევედი სასამართლოს დარბაზში. იქაც აუარებელი ხალხი დამხვდა, პატიმრები თავიანთ ალაგზედ ისხდნენ, ვექილები თავიანთისაზედ. აგერ ათი საათი კაი ხანია გათავდა, საქმე არ იწყება. თუმცა-ღა სასამართლოს წევრნი მოსულნი იყვნენ. ამ შეგვიანების მიზეზი გახლდათ ვოლკოვის დაგვიანება. მოვიდა თუ არა ბ-ნი ვოლკოვი, იმ წამსვე სამსჯავრო სული გამოვიდა და დაიკავა თავისი ალაგი. ყველაზე გასაოცარი ის გახლდათ, რომ ჯერც საზოგადოების პირის სახეზე, ვერც პატიმრებისა ნათესავების სახედ და ვერც თვით სასამართლოს წევრების სახედ ვერ შეამჩნევდით იოტის ოდენ დარდს და მღელვარებას. საქმის ამბავი რომ არ ცოდნოდათ, ამ ხალხის პირველად ნახვაზედ იტყოდით, დღეს რაღაც წარმოდგენის სანახავად მოსულა ხალხი. სერიოზული შეხედულობა მქონდა მხოლოდ ბ-ონს თავმჯდომარეს, ამის მიზეზს მოგახსენებენ ზოგნი, ვითომ იგი დარწმუნებული იყოს ამ საქმის გამო ტუსაღთ დანაშაულობაში, სხვანი-კი იმას, რომ ვითომ იგი საზოგადოდ სერიოზული კაცია. პატიმარნი, გარდა ერთის მოხუცის აფხაზის ბოჯგუასი და მცირე წლოვან ხანაგვასი, რჩეული ბიჭები არიან. არც ერთი ამათზედ თითქმის პატიმრობას კვალი ვერ დაუჩნევია. არც ერთს მათგანს ბოროტი გამომეტყველება არა აქვს. უ–ს შეატყობთ, მხოლოდ რომ ცუღლუტი და გაცვეთილი კაცია, დაიწყო პატიმრების გამოკითხვა. ჭაა გამოტყდა (?), სთქვა: ერთ საღამოს ჩემთან მოვიდა ახალაია და მითხრა: ცხენი დამეკარგა, ის ცხენი ჯოტო შარვაშიძეს ჰყოლია, შენ წამყევი და გამომართმევიეო, მეც დავთანხმდი ახალაიას. უნაგირი არ ჰქონდა, ჩვენსავე მეზობელს გამოართვა, ცხენი მე ვათხოვე და ღამით გავუდექით სოხუმისკენ. მივედით თუ არა მდინარე კელასურთან, იქ დაგვხვდნენ. აი ეს ჩემი ამხანაგები, კვიტატიანი, რომელიც უკვე მოკვდა და ერთი ვიღაც ჩემი უცნობი აფხაზი, მითხრეს, ამაღამ ერთის მდიდარი რუსის სახლს უნდა დავეცეთ და შენც ჩვენთან წამოდიო. მე ვიუარე, მაგრამ ვერას გავხდი, რადგანაც მოკვლა დამიპირეს. შემდეგ მეც დავთნხმდი, მხოლოდ იმ პირობით, რომ ცხენები მე მყოლოდა იქვე კელასურის ხიდთან, მე და ჩემი უცნობი აფხაზი იქვე ხიდთან დავრჩით, ხოლო სხვანი ყველანი ესენი და კვიტატიანი, ე.ი. რვა კაცი, წავიდნენ ფეხით დანიშნული რუსის სახლის გასატეხად. გავიდა ერთი საათი თუ არა, მომესმა რაღაც ბათქუნი ორჯელ მესამედ ნამდვილი თოფის ხმა. ამის შემდეგ არ გაუვლია ბევრ ხანს ახალაია, შამუშია და ბოლქვაძე მოვიდნენ აღშფოთებულნი. თქვეს დავიღუპეთო. გადავჯექით ცხენებზედ და გავწიეთ უკან დრანდისაკენ. გზა-გზა მითხრეს, რომ ახალაიას ყაბალახი წაართვა რუსმაო, ხოლო შამუშიას დანა. მდ. მაჟარის ხიდზედ გავედით თუ არა, დაგვხვდა წინ მამასახლისი შამათავა; შემოგვძახა: ვინა ხართო. ჩვენც ვუთხარით, დრანდის სადნიკები ვართო და გავექანეთ. შემდეგ დაგვიჭირეს ყველანი; მე, რადგანაც გამოვტყდი, თავდებით გამიშვეს, მაგრამ ამ პატიმარის ნათესავებმა სიკვდილი დამექადეს და გაქცევა დავაპირე, ჩემმა თავდებმა განცხადება შეიტანა და ხელახლა შემიპყრეს, მაგრამ ისევ ჩქარა გამიშვეს თავდებით. ბოლოს სასამართლომ დამიბარა, მე შევშინდი და ბათუმს წაველ, ეს ჩემმა თავდებმა იცოდა. იქ მოსწერეს პოლიციას. მე შემიპყრეს, ფეხებში ბორკილი გამიყარეს და დღეს ამ ბორკილიანად თქვენ წინ გახლავარ. ეს არის-და-ეს ჩემი დანაშაული, ახლა რასაც მიზამთ, თქვენ იცით. მთელმა იქ მყოფმა საზოგადოებამ ერთის თვალით ამ ჭაას გადახედა და

მეორე თვალით ამ საქმის დამწყებს მაშინდელს პოლიციის წევრთ. საზოგადოებაში რაღაც ჩურჩული გაისმა. ეს გარემოება ბატ. თავმჯდომარემაც შენიშნა და ზარი დაარაწკუნა სიჩუმის დასამყარებლად. ამის შემდეგ სხვა პატიმრებსაც დაეკითხნენ, თუ რას იტყოდნენ თავის სიმტყუნ-სიმართლის შესახებ. თავი დამნაშავედ არავინ არ სცნო. ყველა მათგანმა იგივე გაიმეორა, რაც უწინ გამომძიებლისათვის ეთქვათ. შესწყვიტეს სხდომა ხუთის წამით. ხალხი სულის მოსათქმელად გარედ გამოვიდა, ახლა აქ შეიქნა ხალხში მითქმა-მოთქმა, ყველანი ერთხმად ამბობდნენ: სწორედ ის ჭაა ვინმესათგან დარიგებულია, თორემ ამგვარი მამაო ჩვენოსავით კაკლა-კაკლად გარემოების ჩამოთვლა ძნელია, თუ კაცს კიდევ ცოტა რამ შერჩენია კაცობრულიო. ამაში ხალხი არც მოტყუებულა, როგორც ჩვენის წერილის ბოლოს ნახავს პატიოსანი მკითხველი. დაიწყო სამართალი, ხალხი თავიანთ ალაგს დალაგდა, გარედ კლუბის ირგვლივ ეზო და ქუჩა სრულებით გაიჭედა ხალხით, თითქმის შინ აღარავინ დარჩენილა. მერე მოიხმეს მოწმეები, რომელთა რიცხვს შეადგენდა 34 კაცი. ამათ შორის გახლდნენ. ორი მაზრის უფროსი, ბ-ნი ზ. ყიფიანი, ნ. იაკ. ალიქსეევ-მესხიევი, რომელიც ვოლკოვის სახლზედ ავაზაკების დასხმის, ავაზაკების შეპყრობის დროს სოხუმის ოლქის დროებითი მმართველი იყო. ორი პოლიციის ბოქაული ზუგდიდის მაზრიდგან, ადგილობ-რივის პოლიციის უფროსი ბ-ნი კოტლიაროვი, ადგილობრივის საპატიმროს ზედამხედველი მამადიანი, აბუევი და თავადი კონსტ. დადიანი. ყველა მოწმებმან თავთავიანთი სარწმუ-ნოების წესისამებრ მიიღეს ფიცი, რომელნიც ცალკე ოთახში გაიყვანეს. შემდეგ რიგისამებრ გამოიხმეს მოწმები. ბატონმა მესხიევმა ისე აჩვენა, როგორც ჭაამ სამსჯავროს წინ, ამაზედ დასძინა, თუ რა განკარგულება მოახდინა ამ საქმის რიგიანად გამოსაკვლევად*). აქ მხოლოდ ვოლკოვის ჩვენებას მოვიყვან ვრცლად, რომელთ ჩვენება შეადგენს საქმის გაგების უსაჭიროებს ძარღვს. ბატ. ვოლკოვმა სთქვა: „ასე შუაღამე გადასული თუ იქნებოდა, მძინარეს შემომესმა უეცრივ კარის გიღება და თოფის ხმა. იმ წუთას ავარდი ლოგინიდგან და დავინახე ჩემს ოთახში ორი უცხო კაცი ადგილობრივ ტანთ-საცმელში. დავეტაკე ერთს მათგანს. იმანაც ხელი მტაცა. ისე ამ ძინძგალით ორთავე კარებში გავედით, მეორე-კი თავისით გავარდა გარედ ბალკონზედ. ამ ძინძგალში, რომ ვიყავით, ორივე კიბეზად გადავვარდით, მაგრამ ბოროტ-განმზრახველი ქვეშ მოვიყოლიე. ამისი ამხანაგი მომვარდა და დანის დაცემა უნდოდა ჩემთვის, მაგრამ უცებ ხელი ვტაცე, დანა წავართვი; ამ დროს იმანვე ამოიღო რევოლვერი და მესროლა. ტყვია მომხვდა ფეხში, რის გამოც იძულებული ვიყავი თავი გამენებებინა ჩემ ქვეშ მყოფ ავაზაკისათვის. ამ დროს ჩემი მოჯამაგირე ბაღათურიაც მოვიდა. ავაზაკები გაიქცნენ, ცოტაზედ დაედევნა მათ ჩემი ბიჭი, შემდეგ მოვიდა და ფეხი შემიხვია. ამ ორი ავაზაკის გარდა ჩემს ბაღში იმ ღამეს არც მე და არც ჩემს მოჯამაგირეს არავინ გვინახავსო. ახალაია უწინ ჩემთან იდგა რამდენიმე წელიწადს მოჯამაგირედ, მაგრამ იმაზედ ეჭვს ვერ მივიტან, რადგანაც ბნელი ღამე არ იყო და კარგად შემეძლო იმისი ცნობაო. ვერც ერთ აქ მყოფ პატიმარზედ ვერ ვიტყვი დანამდვილებით, თუ რომელი იყოო. კოტლიარევმა პოლიცმეისტერმა სთქვა: ჭაამ ჩხომალიას უთხრა, ვინც იყო. ჩხომალიამ სთქვა: ნაობახის უფროსმა თქვა ჭაამ იცის საქმის გარემოებაო. მე ყოველივე მესხიევს შევატყობინე და ამგვარად დავიწყეთ საქმე, მე ამასთანავე სატუსაღოს უფროსს მივანდე, როგორმე შეეტყო ტუსაღებისაგან, თუ ვინ იყო ვოლკოვის სახლზედ დამცემი. (შემდეგი იქნება). (ივერია, N141, 1895 წელი);

სასამართლოს მატიანე, ვოლკოვის საქმის გამო

აბუევი. მე პატიმარს ჩხომალიას მივანდე შეეტყო ახალაიასაგან, ის ხომ არ ყოფილა ვოლკოვის სახლის გამტეხი. იმან ჭაა გამოტეხა, ამათ შემდეგ ჭაა მოიყვანეს საპატიმროში, რომელიც გამოტყდა, მე მესხიევს გადავეცი ეს ამბავიო. შამათავამ სთქვა: მე ცხენი დამეკარგა და მაჟარის ხიდთან ვდარაჯობდი, იქნება ვინმემ უცხომ გამოიაროს-მეთქი. შუაღამე

გადასული იყო; ჯერ ერთმა ცხენოსანმა გამოირბინა საშინელის სიჩქარით, მერე ცოტა ხნის შემდეგ მეორემ. ჩემს შეძახილზედ არც ერთმა მათგანმა ხმა არ გამცა, მე იმ ადგილზედ გათენებამდის ვიყავი, მაგრამ არავის სხვას არ გამოუვლია. ჩხომალია (პატიმარი შეჩენილი): მე და ახალაია ერთად ვიჯექით; რამდენჯერმე ვკითხე ახალაიას ვოლკოვის ამბავი და ყოველთვის უარზედ იდგა, ბოლოს სთქვა: შეიძლება ჭაა იყო ამ საქმეში, რადგანაც მე იმას ერთხელ ვუთხარი ვოლკოვის შეძლების ამბავიო.

შარვაშიძის მოწმებმა, რომელნიც ადმინისტრაციიდგან იყვნენ მოწვეულნი ამ საქმეში, სთქვეს: შარვაშიძემ სთქვა, არ მოვალ უფროსთანაო, გავარდნილი იყო და გვემალებოდაო. ზოგმა სთქვა: ყალბი მოწმების შოვნა უნდათ და როგორც იშოვნიან იმ წამსვე თითონ მოვაო. ერთმა განყოფილების უფროსმა ისიც კი სთქვა, რომ როდესაც შარვაშიძის დასაჭერად ერთი სახლი გავსინჯეთ, თურმე შარვაშიძე იქ იყო, იმ ლეიბს ქვეშ იმალებოდა, რომელზედაც ქალი იწვა. ეს ამბავი მეორე დღეს შევიტყვეო. (აქ ხალხს სიცილი შესკდა).

თითონ შარვაშიძის მოწმებმა თითქმის ერთხმად სთქვეს, რომ ის ნახეს 1892 წ. ივლისის პირველ რიცხვებში ზუგდიდის მაზრაში თავ. აფაქიძის ოჯახში, საცა ერთს გლეხს ცხენი გაუცვალა და მოწმობაც გამოართვაო. იმ ღამეს ბოქაული სახლებს ჩხრეკდა ამ სოფელში. მოვიდა სხვათა შორის აფაქიძის სახლში და ეს მოწმობა შეამოწმა. ეს ის მოწმობაა, რომელსაც სიყალბეს წამებდნენ ზოგიერთნი პოლიციის მოხელენი სოხუმის ოლქისა. მაგრამ რომ ეს ყალბი არ იყო, უფრო იმითი დამტკიცდა, რომ ის კაცი, ვისაც შარვაშიძემ ცხენი გაუცვალა, წამოჰყოლია მას სამურზაყანოში, თხუთმეტი მანეთი ცხენის გამოურთმევია და ცხენის მოწმობაც, რომელიც მამასახლისისათვის შეუმოწმებინებიათ. ამ მოწმობის არსებობა არავინ არ იცოდა დღევანდელ დღემდის, გარდა იმ პირთა, ვისაც უნდა სცოდნოდა. ბრალმდებელმა ჰკითხა ჭანტურიას, შენ-კი მიეცი შარვაშიძეს მოწმობა და ცხენი, მაგრამ შენ არ გამოართვიო? როგორ არაო, გაიხსნა ახალუხის უბე, ამოიღო იქიდგან შარვაშიძისაგან მიცემული მოწმობა, მამასახლისისაგან შემოწმებული ექვს ივლისს. ახლა-კი ყველანი სახტად დარჩნენ. ყველამ წყალი დაიგუბა პირში შარვაშიძის შესახებ. ბოლქვაძის მოწმებმაც სთქვეს, რომ ის ხევის თავად იყო თავისს სოფელში ზუგდიდის მაზრაში. ივნისის უკანასკნელ რიცხვში ორი ცხენი დაიკარგა სოფელში, შეიკრიბნენ მამასახლისთან ყველა ხევის თავები და სხვათა შორის, ბოლქვაძე იმერეთისაკენ გავგზავნეთ ცხენის საძებნელად და ექვს ივლისს კიდევაც მოიყვანა სენაკის მაზრაში ნაპოვნი ერთი ცხენიო.

შამუშიას მოწმებმა ერთხმად სთქვეს: კოწია ბატონიშვილს მოჰყვა აფხაზეთიდგან ავადმყოფი შამუშია ივნისის გასულს. ავადმყოფობა ისე ძნელი იყო, რომ 26 ივნისიდგან ივლისის გასვლამდის ლოგინათ იწვაო. ასე გასინჯეთ, რომ ექიმი ექიმობდა და მღვდელმა აზიარაო. (არ ვიცი რად და არც მღვდლის მოწმობა და არც ექიმის რეცეპტი ამ საქმეში არ იყო). ხანაგვას მოწმებმა სთქვეს. ამის მამას ისეთი სენი სჭირს, რომ იმის უკაცოდ შინ მიტოვება ერთ წუთასაც არ შეიძლებაო. სახლში ხანაგვას გარდა მამისა და ერთი ფეხმოტეხილის ძაღლისა არავინ ჰყავსო. სხვა პატიმრებს არც ხელ-მოსაკიდებელი საბუთი ჰქონიათ ამ საქმეში და არც თავისი მხრით მოწმები ჰყოლიათ. ერთად-ერთი ამათი სამის წლის პატიმრობის საბუთი გახლდათ ჭაას ვითომ-და სხვებზედაც ჩვენება.

გამოკითხვა მოწმეებისაც და პატიმრებისაც გათავდა, დაიწყო ბრალმდებლის ამხანაგმა ლაპარაკი, მაგრამ ბრალს ამ საქმეში ისიც ცოტად სდებდა ჭაას, ახალაიას და ჩირიკბაიას, რადგანაც ისინი ასე თუ ისე გამოტყდნენ, რომ ამ საქმის ჩამდენთ ვიცნობთო. ამის შემდეგ ილაპარაკა ვექილმა ქოჩაქიძემ, რომელმაც, სხვათა შორის, განიხილა საქმის გარემოება ზნეობრივი მხარე ამ შემთხვევისა. მართალია ეს საქმე ძალად შეთხზული და შეკონკილიაო, მაგრამ ამაში ბრალს ჩვენ ვერავის ვერ დავდებთო, რადგანაც ხანდახან საზოგადოდ ცხოვრებაში ისეთი გრიგალი დატრიალდება ხოლმე, რომ ვინ რას შვრება, არც-კი იცისო.

ეს საქმეც ამგვარი არა ჩვეულებრივი სულის და გულის შემაშფოთებელი შემთხვევა იყო და ამის გამო არ იცოდნენ ადგილობრივმა პოლიციის მოხელეებმა რა ექნათ, მოედვნენ ღობე ყორეს და მოგვცეს ხელთსავე ბედი ამა უბედურთა, რომელნიც ჩვენგან უფრო ბევრს სიმართლეს მოელიან. მას აქეთ ბევრი დრო გავიდა, საზოგადოება დაწყნარდა, ჩვენც საქმე შევისწავლეთ, დღესაც აქ მყოფთ პირდაპირ გვითხრეს ესა და ეს კაცი ამა-და-ამ ადგილზედ იყოო. ერთად-ერთი პატიმარი ჭაა არის, რომელიც ამათზედ აჩვენებს მხოლოდ სიტყვით. მაგრამ ეს არ კმარა, კაცმა მიიღოს საბუთათ, ოცი ოც-და-ათი პატიოსანი კაცის ნათქვამი უარ-ჰყოს და ჭაას ლიტონ სიტყვებზედ დაამყაროს თავისი მსჯავრი. ამის გამო ვსთხოვ სამსჯავროს მიიღოს მხედველობაში ყოველივე ესე და გაამართლოს უბრალო სიჩქარის მსხვერპლნიო. აი ეს იყო, მოკლედ რომ ვსთქვათ, ბ-ნ ქოჩაქიძის სიტყვა. ამის შემდეგ ილაპარაკეს სხვა ვექილებმა და იმასვე ამტკიცებდნენ, რასაც ბ-ნი ქოჩაქიძე ე.ი. ხელ-საყოფი საბუთი, გარდა პატიმარის ჭაას ჩვენებისა, არაფერი არა გვაქვსო.

ბოლოს თავმჯდომარე მიუბრუნდა ცალკ-ცალკე ყველა პატიმრებს და ჰკითხა: გაქვთ თუ არა რამ სათქმელი, ეს, რასაც ეხლა იტყვით იქნება თქვენი უკანასკნელი სიტყვაო. ყველამ ასე უთხრა: რაც გვქონდა სათქმელი, უკვე ვთქვით ჩვენც და ჩვენმა მოწმებმა, ახლა თქვენ იცით და თქვენმა ღმერთმაო. სულ ბოლოს უთხრეს ჭაას: აი უკანასკნელად გეძლევა ნება კიდევ სთქვა რამე; რაც სთქვი, მართალია თუ არაო? რაც არის-არის, სხვა რაღა ვსთქვაო-სთქვა მან. ხელ-ახლა დაეკითხა თავმჯდომარე: იქნება ვინმემ რამე ნაირად შეგაგონა და გათქმევინა, მაგრამ როგორც იყო საქმე, ახლა მაინც სთქვიო.

ამის თქმაზედ წამოიმართა ჭაა და სთქვა: ვიცი, რაც უნდა ვსთქვა, მაინც არაფერს მიშველის, მაგრამ საქმე სულ სხვა ნაირად იყო. თავიდგან რომ მოვყვე, შორს წაგვიყვანსო. მე უეცრად დამიჭირეს. არც კი ვიცოდი რათა და ჩამსვეს ნაობახტში, ჩემთან ჩასვეს ახ. ლაკერბაია. იმან მითხრა, კაცო, ვოლკოვის საქმის თაობაზედ დამიჭირეს, შენც იმაზე უნდა იყო დაჭერილი, მოდი ერთს გეტყვი, ესა და ეს კაცები დავასახელოთ და შეიძლება გაგვიშვანო. ჯერ არ დავთანხმდი, მაგრამ ბოლოს ნაობახტის უფროსი მოვიდა და მითხრა: თუ გინდა ჩინი-ორდენი, ჯილდო და პატივი, სთქვი შენც, ვინ იყვნენ შენთან ვოლკოვთან, შენი ამბავი ყველამ იცის და გაგიშვებენო. აი მე ხომ მხედავ, მეც ბევრი ვაი-ვაგლახი გამომივლია, მაგრამ ახლა ხომ მხედავ, თუ რა კაცი ვარ, შენც ასე იქნებიო. მე მეგონა ახ. ლაკერბაიაც ჩემსავით იტყოდა, ავდექ და ყველაფერი ვუამბე, რაც ლაკერბაიამ მითხრა. ცოტა ხანი გავიდა, დავიბარე მესხიევი, რომელმაც მითხრა: შვილო, ნუ გეშინიან, მართალი სთქვი და რაც შემეძლება მე ვიციო. მე მესხიევს ვუამბე ყოველივე, რაც ლაკერბაიამ მითხრა. მან დამისვა დროგზედ და გამომძიებელთან წამიყვანა, იმასაც ვუამბე ყოველივე. თავდები მომთხოვეს, მეც წარვუდგინე. მართლა, თავიდგან იმის თქმა დამავიწყდა, თუ როგორ ვცხოვრობდი. 13 წლისა ვიქნებოდი, ცხენი მოვიპარე სამეგრელოში. იმისათვის ნაოღალევის სამსჯავრო მიბარებდა აქედგან; მე, ეს როგორც გავიგე, შევშინდი და სამურზაყანოში გავიპარე, იქ დავიწყე მალვა. დიდხან ვიმალებოდი; ამ დროს გახშირდა ქურდობა სამურზაყანოში; რადგანაც მაშინ რამდენიმე ჩემი გვარის კაცი აბრაგად იყო გავარდნილი, რომელთა რიცხვში ჩემი სეხნა სტეფანე ჭააც ერია, მე ადვილად დამიჭირა მაშინდელმა უფროსის თანაშემწემ, კამსარაკანმა, მომიყვანა სოხუმში. გაიგო თუ არა ჩემი ამბავი დაწვრილებით, გამიშვა და მითხრა: შენ გეტყობა, მარჯვე ბიჭს გევხარ, თუ გსურს ვსადნიკად შემოდიო, მეც დავთანხმდი და შევედი, შვიდი-რვა თვე ამ ხელობაში ვიყავი. რადგანაც მე ამ ოლქში ბევრს ავს კაცს ვცნობდი, ჩემის წყალობით ბევრი კაცი ჩავარდა მართებლობის ხელში და ბევრიც გაციმბირდა. ბოლოს გამოვედი სამსახურიდგან, დავესახლე სოფლად და ვცხოვრობდი ჩემთვის. გახშირდა თუ არა ქურდობა, ხელახლა მიხმო მოსახმარებლად ბ. დესიმონმა, მეც ვიახელი და ჩუმად ბევრი კაცი ჩავუგდე მას ხელში. ეს გარემოება მგონი ღუბერნატორსაც მოეხსენება. ამ ბოლო დროსაც ასე უნდოდათ ჩემი გამოყენება, მაგრამ როგორც ვხედავ,

ყველანი აქ დარჩებით და საწყალი სტეფანე-კი დაიკარგება. მაგრამ ჩემი ცოდვა იმისს კისერზედ იყოს, ვინც მე უბრალოდ ამ საქმეში გამხვიაო და გადმოუშვა ცრემლები.

მსაჯულები გავიდნენ განაჩენის დასადგენად. თხუთმეტს წამს არ გაუვლია, გამოიტანეს განაჩენი, რომლითაც ყველა პატიმარნი ამ საქმის თაობაზე სრულიად გაანთავისუფლეს. ხალხმა შექნა „ბრავოს“ და „ურას“ ძახილი. დანარჩენი კითხვები, თუ რად იტანჯებოდა აქამდის ამოდენა ხალხი თავისის ნათესავებით... კანონიერია თუ არა ზოგიერთ პირთა ქცევა ამ საქმეშია, დაუსჯელად უნდა ჩაიაროს ყველა ამან და სხვა მრავალი, მიმინდვია მკითხველისათვის და მართლმსაჯულებისათვის. /გადაღმელი/. (ივერია, N142, 1895 წელი);

ახალი ამბავი

დ. ოჩემჩირე, (სოხუმის მაზრა): აქაურ ყრმათა აღსაზრდელად არსებობს ერთი ორ-კლასიანი სასწავლებელი დაარსებული მცხოვრებლების ხარჯით. ამ დღეებში სასწავლებლის საქმეთა ვითარების განსახილველად აქ ჩამოვიდა ქუთაისის საგუბერნიო სახალხო სასწავლებლის დირექტორი ლევიცკი. მცხოვრებლებმა სთხოვეს, სასწავლებელში ქართული წერა-კითხვის სწავლება შემოეღოთ, ლევიცკიმ დიდი უარი განაცხადა, რადგანაც თქვენ - აფხაზნი და მეგრელები ქართულს ენას არა სთვლით სამშობლო ენადაო. (ივერია, N155, 1895 წელი);

ახალი ამბავი

ქ. სოხუმი: ამ დღეებში სოხუმის საზოგადოებამ მოიწვია ქალაქის არხიტექტორათ (ინჟენერი) ახალგაზდა სწავლა-დამთავრებული სვიმონ გიორგის ძე კლდიაშვილი ბ-ნ პ. ნ. ხოვანსკის მაგიერად. (ივერია, N174, 1895 წელი);

აფხაზეთის ამბები

გაზ. ,,ტფილისის ფურცლის'' თანამშრომელს ერთი ფრიად საყურადღებო და იმავე დროს სამწუხარო ამბავი მოჰყავს გუშინდელს ნომერში. ამბავი შეეხება აბხაზებს. თანამშრომელს, როგორც იწერება, შემთხვევით გავლის დროს ერთს სუხუმის ოლქის პირად მდებარე დაბის სასტუმროს წინ, როდესაც თურმე კოკისპირულად ასხამდა წვიმა, უნახავს ასე 30 კაცი აბხაზი სასტუმროს წინ უსასოდ მდგომარე, რომელთაც თავს ჩაფარი ედგათ თურმე და მალ-მალ სტუქსავდა, როდესაც კი ერთი მათგანი, სხვებზედ მეტად მოხუცებული, სცდილობდა გაეგებინებინა, რომ ისინი დამნაშავენი არაში იყვნენ. ერთის საათის შემდეგაო, ამბობს კორესპონდენტი, სასტუმროდგან გამოვიდა თბილს პალტოში გახვეული კაკარდოსანი, რომელიც საშინლად მოღუშულიყო და დაეკითხა ჩაფარს რას ამბობენო. ჩაფარმა უპასუხა, რომ თავს მართლულობენ, ჩვენ არ ვიცით, ხარები ვინ წაიყვანაო. არა, ეგენი გადიხდიან ხარების ფასს, გარდაწყვეტილად წარმოსთქვა კაკარდოსანმა და შებრუნდა ისევ ოთახში. კიდევ დიდხანს იდგნენ იმ საშინელ წვიმაში აბხაზები, მაგრამ მათი განთავისუფლება ფიქრადაც არავის არ მოსდიოდა. ბოლოს მეტად შეწუხებულთ განუცხადეს მთავრობას, ოღონდ გაგვიშვით და გადავიხდით ჯარიმასაო, მხოლოდ მაშინ წავიდნენ შინისკენ ეს საბრალონი. ერთს ვიღაც მემამულეს დაუკარგავს უღელი ხარი, რომელიც, როგორც ბოლოს ვითომ-და აღმოჩენილა, გაუტარებიათ ხსენებულ გლეხების სოფელზედ ტრწაზედ; ამიტომ გუდაუთის ბოქაულმა დააწერა მათ ჯარიმა 200 მან. და ასევე დააწერეს ყველა იმ სოფლებს, რომლებიც სუხუმსა და ტრწას შუა მდებარეობენ. ამ რიგად უღელი ხარი ადგილობრივ მთავრობის მიერ დადებულ ფასით ღირს არა უმეტეს 40 მან. და დაკარგულ ხარებზედ, კი

რამდენსამე ასს მანეთს ახდევინებენ სოფლებს, რომელთა დანაშაული არავისთვის არ არის ცნობილი. და ამგვარი ამბები სულ ხშირია აქ, ამბობს კორესპონდენტი. თუ სადამდის შეწუხებულნი არიან აბხაზნი ასეთის ჯარიმებით, ამას ნათლად დაანახვებს ყველას შემდეგი თხოვნა, რომელიც ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს მიართვა აძუბჯინის საზოგადოებამ; იწერებიან, სხვათა შორის: „წარსულ ომიანობის შემდეგ, ჩვენ აძუბჯინის საზოგადოების მცხოვრებლებმა მოპარულ ცხენებსა და საქონელზედ გადავიხადეთ 14 ათასი მან. ერთხელ სამუდამოდ მიღებულ აზრისა გამო, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ დამნაშავენი ყოველგვარს ქურდობაში, რომელიც კი მოხდება ადგილობრივ მცხოვრებ - მოლდაველთა, ესტონელთა, სომეხთა და ბერძენთა შორის, რომელნიც იჯარით იღებენ აქ დიდს მამულებს, საჭიროა რომელსამე მემამულეს დაეკარგოს გადამკვდარებული ცხენი ან ხარი, რომელიც 10 მან. არა ღირს, და პატრონი დაკარგულის გვიჩივის ჩვენ აძუბჯენელებს და გვახდევინებს მთავრობა 80-სა და 100 მანეთს. ამ ჟამად ადმინისტრაციამ 25 მაისამდე წარსადგენად ჯარიმად შეგვაწერა ფული 1610 მანეთი ადგილობრივ მცხოვრებთა სასარგებლოდ. მაგრამ ჩვენ რომ უკანასკნელი ძროხა, უკანასკნელი ქვაბიც-კი გავყიდოთ, მაშინაც ვერ გადავიხდით ამ ფულს. სიმართლისა, კანონისა და კაცობრიულ სამართლიანობის სახელით გთხოვთ და გემუდარებით, მიიღოთ ჩვენი თხოვნა. ჩვენ სრულიად ვიღუპებით. გაარჩიეთ, ვინ იპარავს ჩვენში, ვინ აფასებს დანაკარგს? კანონიერად აწერენ ჯარიმას, თუ არა? ვინ არის მიზეზი ჩვენის დაღუპვისა“? (ივერია, N180, 1895 წელი);

ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

სოხუმიდგან გაზეთ „ნოვ. ვრ.“-ს სწერენ: „ქართველები განგებ ავრცელებენ ხმებს, ვითომც სოხუმის ოლქში ციებ-ცხელება იცის მუდამ, რათა ამით დააშინონ რუსები, რომელთაც სურთ აქ მამულების შეძენა. ბოლოს დროს მეტად მტრულად უყურებენ რუსებს ადგილობრივი მკვიდრნი. სოხუმის მხარე ახლა იღვიძებს, მალე რკინის გზა გაივლის ამ ადგილებზედ და აქამდის მიძინებულმა მცხოვრებლებმაც გაიღვიძეს; მათ ძალიან ეშინიათ რუსებმა არ დაიპყრან ადგილები ამ მშვენიერ ქვეყანაში. ამგვარის შემთხვევის თავიდგან ასაცილებლად სოხუმში არსდება საზოგადოება ქართველების, აბხაზებისა და ბერძენთა, რომელთაც განუზრახავთ თვალ-ყური ადევნონ მამულებს და თუ სადმე, ან სოხუმში ან სოხუმის მიდამოში, გამოჩნდება გასასყიდი მამული, მაშინვე შეიძინონ ისინი. ამრიგად, უმთავრესი საგანი ახალის საზოგადოებისა არის, ხელიდგან არ გაუშვან აქაური მიწა-წყალი. მაგრამ საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ განზრახულს საზოგადოებას, გარდა აღნიშნულ საგნისა, აზრადა აქვს ეცადოს, რომ უმიწა-წყლო მკვიდრთა და რუსებს შორის სიძულვილი არ მოისპოს. *) რასაკვირველია მეტია იმის განმარტება, თუ რა მავნებელია ეს საზოგადოება რუსების დასახლებისათვის ამ მდიდარს ქვეყანაში, სადაც ლიმონისა და ზეთის ხილის ხე ქუჩებში ყვავის, სადაც ოლეანდრებითა და წნორით არის მოფენილი მდინარეთა და წყაროთა ნაპირები“!

სწორედ არ მოველოდით ,,ნოვ. ვრ“-ში ამგვარს წერილს! ამისთანა შემთხვევის გამო „ნოვ. ვრ.“-მ ისეთ მოხერხებულის წერილების შეთხზვა იცის, რომ ძნელია კაცმა გაარჩიოს-სად თავდება სიმართლე და სად იწყება სიცრუე, ცილის წამება, ჭორი და ინსინუაცია. ახლა-კი საკვირველის მოუხერხებლობით მოუჭორავს სუვორინის გაზეთს... კორესპონდენტი წერილს იმით იწყებს, რომ ქართველებმა განგებ დაჰყარეს ხმები სოხუმის ციებ-ცხელების შესახებ, რათა რუსები დააფრთხონო. მოდი და ნუ გაგეცინება ასეთს ბრალდებას რომ წაიკითხავ! ქართველები სრულიად წინააღმდეგის სენით არიან შეპყრობილნი: ქართველ კაცს ისე გადამეტებით უყვარს თავისი სამშობლო, რომ სამშობლოს შესახებ

ცუდის გაგონებას პირად შეურაცხყოფათა სთვლის და მძაგებელს არ შეარჩენს ცუდს სიტყვას. „ნოვ. ვრ.“-ს კორესპონდენტი კი გვარწმუნებს ქართველები თვით ავრცელებენ სამშობლოს შესახებ ცუდს ხმებსაო... თუ სოხუმის მიდამოების ციების ამბავი სიცრუვეა, ეს ისევ სუვორინის თანამემამულეთა მოჭორილი გახლავს, რადგანაც მათ, არ ვინ იცის, რა მიზეზებისა გამო, ხშირად უყვართ ხოლმე უსაფუძვლო ძაგება ჩვენის ქვეყნის ბუნებისა და უაზრო გინება მისის მცხოვრებლებისა. მაგრამ ვიკითხოთ ერთი: როდის შეიქნა სოხუმის ციების ამბავი სიცრუვით? განა რუსებისავე ექიმებს, სწავლულებს და მწერლებს ბევრჯელ არ შეუმოწმებიათ, რომ იმ ადგილების ჰავა მავნებელია უცხოთათვისაო?! განა მართლა არ ამოუწყვეტია აქაურს ციებ ცხელებას უცხო ახალშენები?! დიაღ, სოხუმის მხარის ჰავის ცუდი გავლენა უცხოელებზედ დღემდის სიმართლე იყო, მაგრამ დღეს რა კი ქართველებს განუზრახავთ იქ ადგილ-მამულის შეძენა, ციებ-ცხელების ამბავი სიცრუედ უნდა იქნას აღიარებული!.. შემდეგ, წერილში ვკითხულობთ, რომ იქაურ მცხოვრებ ქართველთ, ბერძენთ, აბხაზებს და სხვათ განუზრახავთ საზოგადოების შედგენაო ადგილ-მამულების შესაძენად. კარგი და კეთილი, თუ ეს მართალია! სწორედ მოსაწონი და სასარგებლო საქმე განუზრახვათ სოხუმელთ და ღმერთმა ხელი მოუმართოთ. ამ განზრახვის წინააღმდეგ არა ითქმის-რა. თვით „ნოვ. ვრ.“-ც ვერას იტყვის წინააღმდეგს პირ-და-პირ, მაგრამ სამაგიეროდ მას ისეთი ცილის-წამება ჩაურთავს, რომ გაზეთს ნება ეძლევა ახალის „საზოგადოების“ წინააღმდეგ გამოილაშქროს. კორესპონდენტი სწერს, ვითომც მას საბუთი აქვს სთქვას, რომ ახალს საზოგადოებას სურს სიზულვილი დასთესოს მკვიდრთა და რუსთა შორისო!

განა დამტკიცება სჭირია, რომ ეს სრულიად მტკნარი სიცრუვეა და ნამდვილი ცილის წამება? ეს რომ მართალი იყოს, განა კორეპონდენტი აგრე ყრუდ მოიხსენიებდა რაღაც საიდუმლო „საბუთს?“ განა „ნოვოე ვრ.“ ბუკსა და ნაღარას არ დასცემდა, მართლა რომ გაჩენილიყო რუსეთში ამგვარი მავნე საზოგადოება? განა ასე მელანხოლიურად დაიწყებდა წუწუნს ცნობილი „ნოვ. ვრ.“, რომ მართლა საპატიო საბუთი ჰქონდეს ხელში ამგვარ მავნე საზოგადოების წინააღმდეგ?! რასაკვირველია, არავითარი საბუთი არა აქვს და არც შეიძლება ექნეს, რადგანაც არავის ფიქრიდაც არ მოუვა ამგვარ უაზრო საგნების დასახვა... ეს ცილის-წამება გაზეთს დასჭირდა მხოლოდ იმიტომ, რომ სასარგებლო საზოგადოება, რომელსაც ადგილ-მამულების შეძენა განუზრახავს, მავნედ ჩაეთვალა... საზოგადოებას განუზრახავს ბოგანო ხალხის დასახლება და ადგილ-მამულის შერჩენა - ეს სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმეა, მაგრამ, რადგანაც ეს საზოგადოება მკვიდრთაგან შესდგება, მაშასადამე, მავნებელიაო. აი ,,ნოვ. ვრ.’’-ს ლოღიკა!.. ,,ნოვ. ვრ.’’ წინად უფრო ხერხიანად ავრცელებდა ხოლმე ცილისწამებასა და სიცრუეს, დღეს რა მოუვიდა, ნეტავი? (ივერია, N181, 1895 წელი);

ახალი ამბავი

დაბა ოქუმი: სამშაბათს, 24 ოქტომბერს, ჩვენის საყვარელი პოეტის თ. რაფიელ ერისთვის სადღეგრძელოდ გარდაიხადეს დ. ოქუმის ეკკლესიაში პარაკლისი. საზოგადოება ბლომად დაესწრო. (ივერია, N235, 1895 წელი);

1895 წელი

გაზეთი ,,კვალი''

***

„მივმართავ პატივცემულ ახალ-სენაკის, ზუგდიდის, ლეჩხუმის და აფხაზეთის სამღვდელოების დეპუტატებს, რომ თუ მართლა, როგორც მიქაძე ბრძანებს: სახელძღვანელო წიგნების ყიდვა-გაყიდვისათვის იხდიან 100 მანეთს, ეს 100 მანეთი სამღვდელოებამ ახალ-სენაკის წიგნის მაღაზიას დაუნიშნოს და წიგნის მაღაზია პირობით შეეკვრება პატივცემულ სამღვდელოებას, ნაცვლად იმისა, რომ მათი შვილები დღეს ყიდულობენ მაგალითათ: „დედაენას“ 45 კ., მაღაზია დაუთმობს ყდით 35 კ. Рус. Слово-ს ყიდულობს 45, მაღაზია მიყიდის 35 კ. რვეულებს ყიდულობს 5, მაღაზია დაუთმობს 4 კ. და ყოველ რუსეთიდან დაბრუნებულ წიგნში უმატებენ ნაწერზე 10 კ. ხოლო მაღაზია ნაწერზე დაუკლებს 5% ყველა სასულიერო და სამრევლო სასწავლებლებისათვის. /კ. თავართქილაძე/. (კვალი, N3, 1895 წელი);

გუდაუთი (აფხაზეთი)

გავლილ 13 დეკემბერს აქ მობრძანდენ სუხუმის ოლქის უფროსი ბ. ბრაკკერი და ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორი ბ. დიმიტრიევი. თუმცაღა ბ. ინსპექტორი დარწმუნებული იყო, რომ უსათუოთ რევიზია უნდა მოეხდინა გუდაუთის შკოლაში, მაგრამ, სამწუხაროთ, არც ერთი შეგირდი არ დახვედრია, რადგან ენკენისთვის რიცხვიდან ძველი მასწავლებლის მაგიერ დირექციას არავინ არ გამოუგზავნია და ასე ამნაირათ ყურის უგდებლობით გამოესალმა უდროოთ ჩვენი შკოლა ამ ქვეყანას. მეორე დღესვე (14 ნოემბერს) ბრაკკერმა მოიწვია გუდაუთის საზოგადოება, აგრეთვე დაიბარა ყოველი სამამასახლოსოდან ათ-ათი კაცი და გარკვევით აუხსნა ხალხს, თუ რა მნიშვნელობა აქვს შკოლას და აგრეთვე რა სარგებლობა აქვს ხალხისათვის. ამას ბ. დიმიტრიევმა დასძინა: „რადგანაც დირექცია იმდენი მდიდარი და შეძლებული არ არის, რომ თავის ხარჯით გახსნას ყოველსავე საზოგადოებაში შკოლა, ამიტომ ის (დირექცია) თქვენი შემწეობით აპირებს ერთს შუაგულ და მოხერხებულ ადგილზე სასწავლებლის დაარსებას“. - ბ. ბრაკკერის და დიმიტრიევის სიტყვა აქაურ პატივცემულ საზოგადოებამ დიდი სიამოვნებით და აღტაცებით მოისმინა და თანაც დასძინა, რომ ჩვენ საჭმელ პურს მოვიკლებთ და შკოლას შევეწევით, თუ კი რამე დროს გვეშველება გუდაუთში სკოლის დაარსებაო. ურიგო არ იქნება, გაიხსენებდეს ბ. ინსპექტორი იმ გარემოებას, რომ უმეტესი შეგირდთა რიცხვი ქართველობა არის და ამისათვის უსათუოთ საჭიროა ქართველი მასწავლებელი, თუ კი უნდა აქაური შკოლის მომავალში წარმოება. რაც შეეხება მეორე სამაგალითო სასწავლებლის დაარსებას, ამაზედაც როგორც აფხაზებმა, ისე აქაურმა ქართველობამ დიდი იმედი მიცა ბ. დიმიტრიევს შემწეობის მხრით, მხოლოთ ლაპარაკია იმის შესახებ, სად უნდა არჩიოს ის შუაგული და მოხერხებული ადგილი: ზოგი ასახელებს ამ ადგილათ სოფელ ლიხინს, რომელიც ორი ვერსით დაშორებულია გუდაუთზე და ზოგი კი დაბა გუდაუთას. მართალია, ლიხინი ერთი უმდიდრესი და მცხოვრებთა უმრავლესი სოფელია, მაგრამ მდებარებით კი ვერაფერი შუაგული და მოხერხებული ადგილია; გუდაუთში გამოივლის ის დიდი გზა-ტკეცილი, რუსეთიდან მომავალი, რომლის გაკეთებაზე ხაზინას დაუხარჯავს რამოდენიმე მილიონი ფული. თითქმის თერთმეტი საზოგადოება ეკვრის ამ გზას და მხოლოთ ორი საზოგადოება არის სოფელ ლიხინთან დაახლოებული, და არც ამ ორი საზოგადოებისთვის არის ეს ლიხინი დიდი სასარგებლო; ყოველივე საჭიროებისათვის აქაური მკვიდრნი უსათუოთ უნდა გუდაუთში წამოვიდენ.

გარდა ამისა ზამთარში და ავდრიან დღეებში ყოვლად შეუძლებელია მოწაფეებისათვის ლიხინის შკოლაში სიარული. აქედან ნათლათ ჩანს, სად უფრო ჰჯობს შეგირდებისთვის: ლიხინი, სადაც ყოველსავე საჭიროებას მოკლებულია და ცალ-ფეხა კაცის მეტი ვერ შეძლებს სიარულს, თუ გუდაუთა, სადაც თუნდა ასი ვერსის მანძილზე, მოსწავლე გადმოაბიჯებს თუ არა ფეხს თავის ალაყაფის კარებიდან, ისე მოვა შკოლაში, ფეხსაც არ დაისველებს. გარდა ამისა გუდაუთლები ეწევა ამ შკოლას სხვა გარდასახადს გარდა, იმდენი მისას, რამდენსაც საჭიროება მოითხოვს. იმედია, ბ. დიმიტრიევი დაფიქრებით და ყურადღებით განიხილავს საზოგადოების მოხსენებას და ახლა მაინც აღასრულებს იმათ გულით წადილს. აქაური ქართველობა თანდათან ფხიზლდება, აპობს აღელვებულს, კაცის დაუნდობელ ზღვის ტალღებს და ხელს უწვდის ბუნებით მისგან განშორებულ ქალაქის მცხოვრებლებს, როგორც, მაგალითათ, სუხუმელებს, თითქო თხოვდეს იმათ, შეხედეთ თქვენს ღმერთს, ნუ დაგვახრჩობთ ამ უფსკრულ და გაუმაძღარ ზღვაშიო, ნუ დაგვამარხვიებთ შიგ ჩვენს ჭკუა-გონებას და იყოს ჩვენდა შემაერთებელ ხიდათ ხმელეთი; ამათი თხოვნა ისმინა უფალმა და სუხუმელებიც, როგორც კაცობრიობის დამცველნი, არა ერთხელ მოწამე აღელვებულ ზღვაში უდროოთ მოგზაურთა მსხვერპლისა, მართლაც შეუერთდენ გუდაუთას ხმელეთით, სადაც ახლა განუწყვეტლივ ყოველ დღე დანიშნულ საათზე დადიან ეტლები ბ. ბ. ჩხაიძის და რუხაძის თაოსნობით... /თ. გ - ძე/. (კვალი, N3, 1895 წელი);

საყურადღებო ამბები

აფხაზეთიდან. აფხაზეთი თავისი ისტორიულ-არხეოლოგიური ნაშთებით საქართველოს სხვა კუთხეებს არ ჩამოუვარდება. მართლაც განსაცვიფრებელია სიმრავლე ნასაყდრევთა, „ციხე-გალავანთა და ნანგრევთა, რომლებსაც ხედავს კაცი აფხაზეთში: ფეხს ისე ვერ გადადგამთ, რამოდენსამე ათს ნაბიჯს ისე ვერ გაივლით, რომ ან ერთს, ან მეორეს არ წააწყდეთ. მაგრამ ამათ ჯერ თითქმის სულ არ მიჰკარებია მცოდნე კაცის ხელი. წარწერებიან ნაშთებს უფრო ნაკლებ შეხვდებით, თუმცა ასეთებიც მოიპოვებიან აქა-იქ... ეს ყოველივე აშკარათ ღაღადებს, რომ აქ, ისეთ კუთხეში, სადაც ეს-ეს არის, ახლა იკიდებს ფეხს ქრისტიანობა, ოდესღაც დუღდა ქრისტიანობრივი ცხოვრება, გაისმოდა ქართული წირვა-ლოცვა და ქადაგება. მაგრამ განა მარტო ეს მუნჯნი მოწმენი წარსულისა მოგვითხრობენ ამას? ხალხის მეხსიერებაში დარჩენილი თქმულებანიც არაა ნაკლები მნიშვნელობის მექონენი არიან ამ მხრივ. მოვიყვან საჩვენებლათ მაგალითებს.

კოდრის განყოფილების ს. ტკვარჩელში, სამადნო წყლების მახლობლათ, მდინ. ღალიძგის მარცხენა მხარეზე, არის ლაშქინდარა-ს მთა. ამ საკმაო მაღალ მთაზე, საიდანაც კარგათ მოჩანს სამურზაყანო-აფხაზეთი, არის ნასაყდარევი, ანუ ნაუდაბნოევი აკლდამებითურთ. ლაშქინდარას ხატი მეტად ძლიერი და პატივცემული ყოფილა თავის დროზე. ეს იმითაც მტკიცდება, რომ ამ მთის გვერდზე გავლის დროს აფხაზები, უფრო კი მონადირეები, დღესაც შესაფერისი ლოცვა-ვედრებით მიჰმართავენ ხოლმე ლაშქინდარას ხატს... ლაშქინდარას შესახებ აფხაზების ზეპირ-გადმოცემა მოგვითხრობს შემდეგს: ლაშქინდარას მთაზე ძველათ იყო უდაბნო. იქ ცხოვრობდენ მრავალი ბერები. ლაშქინდარადან ჩრდილოეთით, უფრო დაბლა, მეორე სოფ. ფოქვეშში იყო აგრეთვე მეორე უდაბნო (ეს უკანასკნელი შესანიშნავ ბედიის ტაძრიდან შორს არ არის). ამ მონასტრების ბერებს ერთმანეთში მისვლა-მოსვლა ჰქონდათ, მაგრამ თავიანთ აზრებს ერთმანეთს თურმე იმითიც აგებიებდენ, რომ მონასტრებ შორის რაღაც ტელეგრაფის მართულივით ჰქონიათ გაბმული. სხვათა შორის სატრაპეზოთ (სადილათ) ერთმანეთის დაუკითხავათ ვერ დაჯდებოდენ: ლაშქინდარას ბერებს ფოქვეშელებისაგან უნდა მიეღოთ ნებართვა პურის ჭამაზე. ერთ დღეს. როგორღაც ფოქვეშელებმა ლაშქინდარლებს არ აცნობეს და თვითონ კი მიირთვეს სადილი. უყურეს

ლაშქინდრელ ბერებმა, უყურეს: შუადღეს გადაცილდა, სამხრობამდის მივიდა, საღამოც დადგა, დაღამდა კიდეც, მაგრამ ვერარა ცნობა მიიღეს, ახლა კი მიხვდენ ლაშქინდარელი ბერები, რომ ფოქვეშელ ბერებმა ისინი მოატყუეს და მათდა შეუტყობინებლათ თვითონ მიირთვეს სადილი. ეწყინათ ძლიერ ლაშქინდარელ ბერებს. წამოდგა მათი წინამძღვარი, აიღო დიდი „შავი“ ქვა, ჯვარი გადასახა და ჩამოძახა ფოქვეშელებს: „თავზე დაგალეწთ ყოველიფერსო“. დაუმიზნა მონასტერს და გაისროლა. ქვამ ვერ მიაწია მონასტრამდე, მაგრამ ფოქვეშის მონასტრის მახლობლათ, სულ რამდენიმე ადლის სიახლოვეზე დავარდა. ის ქვა ახლაც ძევს იქ და, არა თუ ერთი კაცი, რამდენიმე კაციც ვერ დაანძრევს ადგილიდან. იმას დღესაც აჩნია ხელის მონაკიდები, თითების ნაკვალევი და სხ. - დაათავა აფხაზმა, რომელმაც გვიამბო ეს ამბავი. /პ. ჭ-ა/. (კვალი, N5, 1895 წელი);

სოხუმი

ს. გუფში (ესეც კოდორის ნაწილშია) არის ერთი პატარა ტბა, რომლის გაჩენაზე აფხაზები მოგვითხრობენ შემდეგს: „იმ ალაგს, სადაც ახლა ტბაა, მოსახლობდა ძველათ ერთი ღვდელი. ამ ღვდელს ერთხელ ნადი მოეწვია ყანის გასამარგლათ. ნადისთვის, ჩვეულებისამებრ, რამე სახორცე უნდა დაეკლა. ღორი დააჭერინა და განგებ ჭყვირილი დაუწყებინებია, რომ მონადეებს ჰგონებოდათ, ღორი დაგვიკლაო. ღორი გაუშვა, მივიდა და ღორის ნაცვლათ ძაღლი დაუკლა. ამ ღვდელის სიძე, კარგი ვინმე, ამ დროს აქ ნადში ყოფილა. ახალ გათხოვილ ქალს ღვდლისას ამ თავის ქმრისათვის ფარულათ ეთქვა: „რომელ საკლავის თავ-ფეხს ვერ დაინახავ, იმ საკლავის ხორცსაც ნუ შეჭამო“... მოვიდა სადილობის დროც. სიძე და მენადეები ერთათ დასვეს, მეხორცემ ხორცი ჩამოარიგა. ამავე დროს სიძემ უთხრა მენადეებს: „სანამ თავ-ფეხს არ დაინახავთ, ხორცს ხელს ნუ შეახებთო“. მოითხოვეს თავ-ფეხები. აღმოჩნდა: დაკლული ძაღლი ყოფილიყო. სიძე წამოდგა და დაიწყევლა: „დაქცეულ ღვდელსავით დაგაქციოს ღმერთმა, რომ საწყევლათ ეუბნებოდენ ერთმანეთს, ისე გაუხადოს ჩვენმა გამჩენმაო“. მენადეებიც წამოდგენ და ერთხმათ წამოიძახეს - „შენი ნათქვამი აღსრულდესო“ და ამ სიტყვებთან სამ-სამჯერ თოხები მიწას დაანარცხეს. წყევლა ასრულდა: გასქდა მიწა, ამოვარდა წყალი. სიძემ დაინახა მღვდლის უნაგრიანი ჯორი იქვე მიბმული. ზედ წამოახტა, ცოლიც უკან მოისვა და გასწია: წინ როგორც იყო ფეხის გადადგმას ასწრებდა, მაგრამ უკან ფეხების გადადგმის უმალვე მიწა იქცეოდა, წყალი ამოდიოდა და გუბდებოდა. როგორც იყო, დიდი ვაი-ვაგლახით ღალიძგამდის ჩააღწია. მისი ნაკვალევია ის პატარა ღელე, რომელიც მოხსენებულ ტბას მდინ. ღალიძგას უერთებს... გადარჩა ის ორი მარტო, სხვები ყველანი დაიღუპენ. მას შემდეგ კიდევ დიდხანს ამ ალაგას წყლის ქვეშიდან ამოისმოდა მამლის ყივილი, ძაღლის ყეფა და სხ. ამიტომ დაერქვა, აფხაზების სიტყვით, ამ ტბას „პაპანწყურ“ (ეს სიტყვა აფხაზურათ გადაკეთებული მეგრული სიტყვებია: პაპა-მღვდელი, ნწყუილი-დაქცეული), რომელიც ნიშნავს-დაქცეულ, დაღუპული ღვდელი). დღეს ს. გუფუს მცხოვრებნი, როგორც ახალი ქრისტიანები, სრულიათ არა ჭამენ ღორის ხორცსა და მთელ სოფელში ერთათ-ერთი ღორის ყურიც არ მოიძებნება. ძველათ კი, როგორც ხედავთ, ზემომოყვანილი ლეგენდიდან, გუფულები ქრისტიანები ყოფილან, ჰყოლიათ საკუთარი მღვდელი და ღორის ხორცს ჭამდა არა ერთი და ორი, არამედ მთელი კრებული ადამიანთა. /პ. ჭ - ა/. (კვალი, N7, 1895 წელი);

მცირე ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

ჩვენ გადავათვალიერეთ პატარა ბროშურა, რომლის სათაური ზევით ამოვწერეთ, შედგენილი მ. ჯანაშვილის მიერ და დაწერილი რუსულ ენაზე. შინაარსი ამ წიგნაკისა, გარდა

წინასიტყვაობისა და ორიოდე გვერდისა წიგნის ბოლოს, თითქმის მთლათ გადმოღებულია ჩვენი ეტნოგრაფ. წერილებიდან, რომლებიც ამავე სათაურით („აფხაზეთი და აფხაზი დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში“ 1888 წელს. დამატებათ ბ-ნ მ. ჯანაშვილის ბროშურასი მოქცეული ანდაზებიც იქიდანვე არიან ამოღებულნი. სამწუხაროთ ჩვენს ავტორს ვერ აუცილებია თავიდან ის შეცდომები, რომლებიც გაერია ჩვენ სტატიას „ივერიაში ბეჭდვის დროს *). მაგალითების (რადგან ეს არავისთვის საინტერესო არ იქნება) მოყვანით არ შეგაწუხებთ; საკმაო იქნება, მარტო ერთზედაც რომ მიუთითოთ: ბროშურის მე-14 გვერდზე აფხაზური ტექსტი საშინლათ დამახინჯებულათ არის მოყვანილი. როგორც ანდაზების აფხაზური ტექსტი, ისე ეტნოგრაფიულ მოვლენათა ასახსნელათ და განსამარტებლათ მოყვანილი სიტყვები, სამწუხაროთ მეცნიერთათვის თითქმის სრულიად გამოუსადეგარნი არიან და ვინც მოინდომებს იმითი სარგებლობას მეცნიერული მიზნით, დიდს შეცდომაში ჩავარდება. ასეთი შეცდომები მომეტებულათ იმიტომ მოსვლია ავტორს, რომ „ივერიაში“ მოყვანილი სიტყვის ფორმები სწორეთ ფორმებათ მიუმჩნევიათ. მაგრამ „ივერია“ ჩვენი სტატიისათვის ცალკე ტიპოგრაფიულ ნიშნებს ხომ არ გამოიგონებდა და რამდენათ შეიძლებოდა აფხაზური სიტყვების ქართულათ ამოკითხვა და დაწერა, ისე დასტამბა. ჩვენს ავტორს კი, რომელიც გარდა რუსული ანბანისა ხმარობს ზოგ ასოებს (ნიშნებს) ლათინური და ქართული ალფავიტებისას, მეტი სისწორე და სინამდვილე მოეთხოვებოდა. ბ-ნ მ. ჯანაშვილს უხმარია აფხაზურ ბგერათა გამოსახატათ რაღაც არეული ტრანსკრიპცია, სრულიად გამოუსადეგარი და მოუხერხებელი აფხაზური ენისთვის, ვინაიდგან იგი დაახლოებითაც ვერ გამოხატავს ამ უკანასკნელის მრავალ ბგერათა. ამიტომ, ის კი არა, ავტორს ბევრგან „ივერიაში“ სწორეთ მოყვანილი სიტყვის ფორმებიც დაუმახინჯებია თავის ბროშურაში, რადგან როგორღაც გაწყრომია ქართულ ანბანსა, მაგალ. წიგნაკის მე-20 გვერდზე ვკითხულობთ: Анадздзеи, абадздзеи (ანაძძეი, აბაძძეი უნდოდა); 61 გვერდზე ტექსტში წერია: Аджмш, аджмш (უნდოდა: აჯმშ, აჯმშ) და სხ. და სხ. ამისთანა дж და дз - ებას ჯ და ძ მაგიერ და მებრ სხ. ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით ამ ბროშურაში. ეს მით უფრო შეცდომათ ჩაეთვლება ბ-ნ მ. ჯანაშვილს, რომ იგი მაინც და მაინც შევიწროებული არ ყოფილა, რომელიც უნდოდა ანბანი ეხმარა. იგი მაგალითათ, კი ხმარობს ქართულ ასო წ (ნახეთ თუნდ 62 გვ. წიგ.), ზოგან კიდევ რუსული ასოებით დაწერილს სიტყვის უფრო სწორეთ გამოსახატათ მოჰყავს იგივე სიტყვა ქართულათაც (იხ. მაგ., 31 გვ. ბოლოდან 2 ბწკ.). თუ კი ავტორი ზოგან ხმარობს ქართულ ანბანს, ამიტომ სხვაგანაც არ იხმარა ისეთი აფხაზურ ბგერათა გამოსახატათ, რომელთ ექვივალენტები რუსულს არა აქვს და ქართულს კი მოეპოვება. მაშინ იგი ამ з და дж-ებს მაინც აიცილებდა და აფხაზ. ელემენტი იმ სისწორით მაინც კი იქნებოდა მოყვანილი, როგორც „ივერიაში“ იყო დაბეჭდილი. თვით ქართული სიტყვებიც არ უკადრებია ბ-ნ მ. ჯანაშვილს ფრჩხილებში მაინც ჩაესვა ქართული ასოებით დაწერილნი და მოყავს: дча, чала (ჭა, ჭალას-გულისხმობს, ვგონებთ) дчал диди და სხ. (იხ. გვ. 3). *ბ-ნ მ. ჯანაშვილი, როგორც ვიცით, ადგენს შედარებითს ლექსიკონს კავკასიის ენებისას. თუ ზოგიერთი ენების სიტყვები ისეთივე სინამდვილე-სისწორით აქვს მოყვანილი თავის ლექსიკონში, როგორც აფხაზური სიტყვებია ჩაწერილი დასახელებულ ბროშურაში, მაშინ ჩვენ გულ-წრფელათ ვურჩევთ შემადგენელს, არ დასტამბოს თავისი ლექსიკონი, სანამ კარგათ არ შეისწავლის ყოველი სიტყვის ნამდვილ ბგერას და მის ეტიმოლოღიურს მნიშვნელობას. /პ. ჭ-ა/. აფხაზეთი. (კვალი, N16, 1895 წელი);

კავკასიური ანბანის შესახებ

ქართული ენა ყველა კავკასიური ფესვის ენებში ერთად-ერთი ენაა, რომელსაც საკუთარი ანბანი და ლიტერატურა მოეპოვება. კავკასიის სხვა-და-სხვა მთიულნი, რომლებთანაც ისტორიულ წარსულში რამე კავშირი ჰქონია ქართველობას, ამიტომ თვლიდენ ქართულ ანბანს, ქართულ წერა-კითხვას თავისათ *). ესეც რომ არ იყოს, და მარტო საგნის მეცნიერული

მხარეც რომ მიეღოთ, მაინც გამოდიოდა, რომ თუ ოდესმე საჭირო შეიქნებოდა კავკასიურ ენათა სიტყვების ჩაწერა, უსათუოთ უნდა ხმარებულიყო ქართული ტრანსკრიპცია. თუ მრავალ ენოვან კავკასიის მთიულ ერთათვის ანბანი შედგებოდა, ამ ანბანის საძირკვლათ ქართული ალფავიტი უნდა დადებულიყო. ეს იმიტომ, რომ რაც უნდა კავკასიურ ენათა ურთიერთ შორის დამოკიდებულება საკმაოთ გამოკვლეული არ იყოს, მაინც საფიქრებელია, რომ ყველა ისინი მონათესავენი არიან და ვერც ერთი დღევანდელი ალფავიტი, ისე კარგათ და დაახლოვებით ვერ გამოჰხატავს ხოლმე კავკასიურ ენათა სხვა-და-სხვა ბგერებს, როგორც ქართული, ეს კარგათ შეიგნო ამ საუკუნის მე-40-ე წლებში სახელოვანმა ფილოლოგმა გ. როზენმა **), რომელმაც კიდეც იხმარა ქართული ანბანი, სხვათა შორის, აფხაზთ ენის სიტყვათა ჩასაწერათ. (ნახეთ როზენის სტატია). შემდეგში, მის მაგიერ, რომ ქართული ანბანი, როგორც უფრო მოხერხებული და სხვაზე უფრო დაახლოვებით გამომხატველი კავკასიურ ბგერათა, შეემუშავნათ, შეევსოთ და გაეხადათ კავკასიურ ანბანათ, ენის მკვლევართ გადაუხვიეს ამ სწორე, როზენის მიერ გაკაფულ გზას. ამ შემცდარ გზას დაადგა, სამწუხაროთ, ისეთი სახელოვანი ფილოლოგი, როგორიც იყო ბარონი პ. ვ. უსლარი...

ეს მეცნიერი, აღნიშნავს რა, რომ ქართული ანბანი თითქმის უუსრულესი ანბანია ყველა ანბანებზეო, იმოწმებს გ. როზენისა, შიფნერისა და მამა ცისკაროვის შეხედულებათა, რომლებიც ამტკიცებენო, რომ ბგერათა სისტემა კავკასიურ ენებს ერთი აქვთ ქართულთანო, და რომ ამ უკანასკნელის ანბანი, ცოტაოდენის შევსებით სრულიათ გამოსადეგია მათთვისო. (ნახ. სტატ. ბარ. უსლარისა „О составленіи азбукъ Кавк языковъ გვ. 48-49, Етнографія Кавказа, Абхазскіи языкъ. ТИФЛИСЪ 1887 ГЮ).

ამ სახითაო, დასკვნის ქვემოთ ავტორი, კავკასიურ ენათა ანბანის შესადგენად შეიძლება მივიღოთ ქართული ანბანის სისტემაო. „მაგრამ თუ ჩვენ დავესესხეთ ქართველებს, არა თუ სისტემას, თვით ასოთა გამოხატულებასაც, ჩვენ ნება-ყოფლობით გავაჩენთ სიძნელესა“. (ნახ. იქვე, გვ. 49). აი სად აუხვია უსლარმა მეცნიერულ გზას. მაგრამ ჯერ გავყვეთ მეცნიერსა.

სანამ მოიყვანდეს თავის მიერ რუსულ ანბანის საფუძველზე შედგენილ კავკასიურ ალფავიტს და ამის გვერდით ქართულ, სომხურ და სხ. ანბანებს, იგი წერს: „Чтоби усгранитъ недоумънія, назовемъ находящійся ви первом сталбцъ алфавитъ Кавказскимъ. Въ настоящеъ случаъ онъ изображаетъ Грузинскій алфавитъ, каждая буква его должна битъ выговариваема, какъ соотвътствуюшая грузискаго, слъдовательно, болъе или менъе отлично отъ произцошенія, которое, по начертанію своему, имъетъ она въ русскомъ алфавитъ (იქ. გვ. 50).

აქ უსლარის აზრთა არეულობა (ნებითია თუ უნებური, ამისი რა მოგახსენოთ) და ერთმანეთის წინააღმდეგობა აშკარათ მოჩანს: კავკასიურ ალფავიტში, მისი აზრით, უნდა იხმარებოდეს რუსული (გამოხატულობის) ასოები, მაგრამ გამოთქმით ეს ასოები ისე კი არ უნდა გამოითქვას, როგორც რუსულში გამოითქმებიან, არამედ ცოტათ თუ ბევრათ განსხვავებულათ, ე.ი. სწორეთ ისე, როგორც მათი თანაბარი ქართული ასოები თუ სისტემა. თუ რუსული ასოები ქართულათ უნდა გამოთქმულიყო, მაშ რაღა დააშავა გარეგანმა გამოხატულებამ ქართული ასოებისამ. ან რუსული ასო ქართულათ როგორღა გამოითქმის?! აი, სწორეთ აქ ვიმეორებთ, მოუვიდა უსლარს არა მეცნიერული საქციელი, რომელიც არ დარჩა უშედეგოთ.

უსლარის ანბანში და აგრეთვე იმაზე დამყარებულ სხვა-და-სხვა ანბანებში ერია აქა-იქ ის ქართული ასოები, რომელთ ექვივალენტები რუსულში არ მოიძებნებიან. უსლარის შრომათა უკანასკნელ გამოცემაში ესენიც გამორიცხეს და მათ ალაგზე დასვეს რუსული ასოები სხვა-და-სხვა ნიშნებით შეხამებულნი. ამ ბოლო დროს კი უსლარის ალფავიტის ალაგი დაიჭირა აკადემიკოსების რადლოვის, ვასილიევის და ზალემანის მიერ რუსულ ანბანის საფუძველზე შედგენილმა საზოგადო ლინგვისტიურმა ალფავიტმა, მაგალ. ლ. ლოპატკინსის მიერ

შედგენილი გრამატიკა და ლექსიკონი ყაბარდული ენისა ამ ანბანით არის გადმოცემული. ნიშნობლივ თვისებას ამ ანბანისას შეადგენს სიმრავლე ნიშნებთა (ასოებს ზემოდან ან ქვემოდან) და ორი ასოს შეერთება ერთი ბგერის გამოსახატათ, ე.ი. სწორეთ ის, რაიცა ასე არ მოწონდა თვითონ უსლარსა. (чрезмърное употребленіе знаковъ, равно какъ совокупленіе двухъ буквъ для вираженія одново звука, составляетъ явное несовершенство (ibid. გ. 50).

აქვე დავურთავ, რომ ბ-ნ ა. ცაგარელს თავის მეგრულ ეტიუდების ტექსტებში ნახმარი აქვს ქართული ანბანი, ხოლო მეგრულის ფონეტიკაში ხმარობს ლათინურ ტრანსკრიპციას. აკადემიკოსი შიფნერი, რომელმაც გადააკეთა გერმანულათ უსლარის გამოკვლევანი კავკასიურ ენათა შესახებ, ხმარობს თავის (ლათინურ) ტრანსკრიპციასა, მაგრამ ისე კი, რომ თითო ბგერას გამოჰხატავს თითო ასო (ნიშნებით ხშირათ, რასაკვირველია). ფრიდრიხ მიულერი, პროფესორი ვენის უნივერსიტეტისა, კიდეც თავის საკუთარ ტრანსკრიპციასა (რასაკვირვ. ლათინურის საფუძველზე) ხმარობს კავკასიურ ბგერათა გამოსახატათ. ამ მეცნიერის ტრანსკრიპციით ერთი ბგერა გამოიხატება ხშირათ რამდენიმე ასოების შეერთებით.

ამ გვარათ კავკასიურ ენების მრავალ და სხვა-და-სხვა ბგერათა გამოსახატათ ერთ რომელსამე ალფავიტზე ვერ დამდგარან სწავლულნი და თვით აკადემიკოსების მიერ შედგენილი საზოგადო ლინგვისტიური ალფავიტიც, საფიქრებელია, ისე არ გავრცელდეს, რომ საზოგადო და საყოველთაო სახმარებელი შეიქნას, რადგან (მისი პრაკტიკულ სახმარებლათ გამოუდეგრობაც რომ არ მივიღოთ სახეში) ევროპიელები ლათინურის საფუძველზე დამყარებულ ტრანსკრიპციას ყოველთვის არჩევენ და რადგან, რაც უნდა იყოს, ქართული ანბანის, რაკი ეს ერთხელ არსებობს, მთლათ უყურადღებოთ დატოვება მოუხერხებელია, როცა საქმე ქართულსა და ქართული გვარის დიალექტებს შეეხება. მით უფრო, რომ ახლა წამოყენებულია საკითხავი, თუ რა დამოკიდებულებაში არიან ურთი-ერთ შორის კავკასიური ენები და ამ ენებში იგულისხმება ხომ ქართული გვარის ენებიც.

ჩვენ ქართველებს, რომ კავკასიელ-მთიულთა ალფავითი შემდგარიყო ქართულის საფუძვლითა, ამის გასაყვანათ ბევრი არც შეგვეძლო და, ვგონებ, არც არა გაგვიკეთებია რა. მარტო სიტყვა და რჩევა რას გაარიგებდა ამ გვარ შემთხვევაში. იქნება ახლაც არ იყოს გვიან, რომ მივაქციოთ ამ საგანს ჯეროვანი ყურადღება. ჩვენც გვყავს რამდენიმე სპეციალისტ-ფილოლოგები. ამისთანა მცოდნე პირთაგან უნდა შემდგარიყო კომისია, რომელსაც უნდა ეკისრა შედგენა ისეთი ალფავიტისა, რომელიც გამომდგარიყო ყველა კავკასიურ ენებზე ტექსტების ჩასაწერათ, ალფავიტისა, რომელსაც უნდა გამოეხატა კავკასიურ მთიულ ენების ყველა ბგერანი. ამ მიზნისათვის ჩვენ გამოგვადგებოდა ძველისა და ახალი ქართულის ყველა ასოები. თუ ახლებს არ გამოვიგონებდით. ზოგიერთ ქართულ ასოებს (ზემოდან ან ქვემოდან) დაჭირდებოდა მხოლოთ ათიოდე ნიშნები და მეტი არაფერი*).

ამ გვარი ანბანის მეოხებით, სხვა არა იყოსრა, შეგვეძლო შეგვედგინა შედარებითი ლექსიკონი ყველა კავკასიურ ენებისა, შეგვეკრიბა ამ ენებზე მოლაპარაკე ერთა სახალხო ნაწარმოები (ლექსები, ანდაზა-გამოცანები, არაკები) ამათი ტექსტები გამოგვეცა და ესეთი მასალა მიგვეწვდინა ევროპიელ სწავლულთათვის, რომელნიც იძულებულნი შეიქნებოდენ მიექციათ მეტი ყურადღება ჩვენი ანბანისა, ენისა და ლიტერატურისათვის. ამ სახით ჩვენ დავეხმარებოდით კავკასიის ყოველ მხრივი შესწავლის საქმეს. გარდა ამისა ასეთი ალფავიტის შედგენით და მისი გამოყენებით, ჩვენ გავიცნობდით უკეთ ჩვენ მეზობელ მთიულებს და ჩვენ თავსაც უკეთ გავაცნობდით იმათ...

ვიცი, სხვა რამე მიზეზებიც რომ არ აბრკოლებდეს, ჩვენი სურვილი მაინც დარჩება ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა, რადგან იმისი განხორციელებისათვის საჭიროა საშუალება, რომელიც ჩვენს საზოგადოებას ბევრ და მეტ და მავნებელ რამეებზე კი მოეპოვება, მაგრამ

ამისთანა სასარგებლო საქმისათვის კი არა... /პეტრე-მარკოზ/. *) ერთი აფხაზი თავადიშვილი, რომელიც ოსმალეთში იყო თავის ძმის, ოსმალეთში მუჰაჯირათ გარდახვეწილის სანახავათ გვეუბნებოდა: სტამბოლში კავკასიის ყავახანაში შეიკრიბებიან ხოლმე ჩერქეზებიო (იქ ყველა კავკასიელს ჩერქეზებს ეძახიან თურმე) და ბევრ რამეებზე ოცნებობენო... ერთხელ ოსმალოსა და ჩერქეზებს, შუა ჩამოვარდა კამათობა და თითოეული თავის ეროვნების უპირატესობას ამტკიცებდა. ჩერქეზს სხვათა შორის, ეთქვა: ჩვენ საკუთარ მიწა-წყლიდან გადმოვარდნილი ვართ, უცხო ქვეყანაში ვცხოვრობთ და აქაც ასე მიგვყავს ჩვენი საქმე, აბა საკუთარ სამშობლოში რომ ვიყოთ, რაღა ვიქნებოდითო. ოსმალოს განეგრძო: თქვენ რაღა იყავით, როცა ანბანი არ გქონიათ, წერა-კითხვა არ იცოდითო? „ჩვენი საერთო ანბანი ქართული ანბანი იყოო“, მიეგოთ თურმე ჩერქეზებსა. *) იხ. Ossetische Sprachlehre nebs einer Abhandlung uber das Mingrelische, Suanische und Abchaisische. გ. როზენისა, გვ 83. *) ეს ნიშნები ისე ვერ ააჭრელებდენ ქართულ ანბანს: მაგალ. რომელ მთიულ ენას აქვს ორ ნაირი ჭ, რბილი და მაგარი, რუსულათ, რადგან იქ ჭ არ არის, მაგარი ჭ გამოსახატავათ ორი ნიშანი იქნებოდა საჭირო, ქართულად კი მხოლოთ ერთი. (კვალი, N17, 1895 წელი);

გუდაუთი (აფხაზეთი)

ამ ცოტა ხანში გავმართეთ აქ გუდაუთის სამკითხველოს დარბაზში, ქართული წარმოდგენა და დასასრულ დადგმულ იქნა ცხოველი სურათები რუსების ცხოვრებიდან. ქართულათ წარმოადგინეს „დედა და შვილი“ თ. ილ. ჭავჭავაძისა და ორი მოქმედება ა. ცაგარლის კომ. „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!“ განსაკუთრებით საზოგადოების ყურადღება მიიქცია ქართულ წამოდგენაში ქ-ნ ოლღა ჩიქოანისამ, რომელიც რამდენჯერმე საზოგადოების თხოვნით გამოწვეულ იქნა სცენაზე. მრავალჯერ დააჯილდოვეს ტაშის ცემით და ვაშას ძახილს ხომ დასასრული აღარ ჰქონდა. მართლაც ისე შვენიერათ და საგრძნობლათ შეასრულა ამ ქალმა დედის როლი, რომ დღესაც ყველას თვალწინ უდგია ის ქართლის დედა, რომელიც თავისი უკანასკნელი ერთათ-ერთი საყვარელი შვილიც არ დაუზოგავს მოძმეთა საშველათ და მამულის სახსნელათ. საზოგადოებამ დიდი მადლობა გადაუხადა ქ-ნ ოლღა ჩიქოანისას და თხოვა შემდეგშიაც მიიღოს მონაწილეობა ქართულს წარმოდგენაში. მართლაც დიდს პატივსცემს აქაურ საზოგადოებას ეს ქალი თუ, რომ თავის ნიჭს ჩვენს სცენას მოახმარებდეს. კარგი იქნება რომ მისი შემწეობით ხანდახან მაინც გაიმართოს ქართული წარმოდგენა. კარგათ ითამაშეს ბ. ვანო პ. ბეთანიშვილმა, აგრეთვე განსაკუთრებით დიდი მადლობის ღირსია აქაური მასწავლებელი ბ-ნი ნიკო ჯანაშია, რომელმაც გარდა ამისა, რომ თავისი როლი კარგათ ჩაატარა, შემწეობაც ბევრი აღმოგვიჩინა და ხელი გაგვიმართა. ღმერთმა ჰქნას, რომ ასეთი კეთილი ადამიანები მრავალი მომატებოდეს ჩვენს დავიწყებულს გუდაუთს. ბევრმა სხვებმაც აღმოგვიჩინეს დახმარება, მაგ. დიმიტრი ნადარეიშვილმა მატერიალურის მხრივ დიდი სამსახური გაგვიწია. საზოგადოთ აქ ქართულმა წარმოდგენამ, რომელიც პირველათ იყო გამართული გუდაუთში, კარგათ ჩაიარა. საზოგადოებაც, როგორათაც მოსალოდნელი იყო, ბლომათ დაესწრო, მხოლოთ, სამწუხაროთ, დარბაზის სივიწროვის გამო, ბევრნი უკან დაბრუნდენ. ცოცხალი სურათების დადგმაში მოგვხმარენ ბევრნი. განსაკუთრებით მადლობის ღირსნი არიან ქ-ნნი გრიგოვისა, ლეხტისა და მიხაილ ა. ჟდანოვიჩი, რომელთაც ითავეს სცენის მომზადება და მოწყობა. შემოსავალი წარმოდგენიდან დანიშნულია აქაური სცენის და ტანისამოსის შესაძენათ. იმედია მომავალში უფრო ხშირათ გაიმართება ამ პატივცემულ პირების შემწეობით რუსულ-ქართული წარმოდგენები და არ ჩამოურჩება ჩვენი მხარეც სხვა საქართველოს კუთხეებს. /თ-ლე გ-ძე/. (კვალი, N18, 1895 წელი);

სამურძაყანოს ვითარება

მიუხედავათ ბუნების აუარებელი სიმდიდრისა, დღეს სამურძაყანო სიღარიბე-სიღატაკეშია ჩავარდნილი. სამურძაყანოში არ მოიპოვება არც ერთი მისთანა შკოლა, რომ ცოტათი მაინც ასრულებდეს თავის დანიშნულებას. მართალია, შკოლები, განსაკუთრებით სამრევლო, ბლომათ არის ჩვენში, მაგრამ განა ამათ შეიძლება შკოლები დაერქვას?.. შკოლები არის შემდეგ სოფლებში: 1) ილორში, რომელშიაც სწავლობს 8 შეგირდი; 2) გუდავაში - 10; 3) ბარღევში - 5; 4) სუმუშკურში - 15; 5) ჭუბურხინჯში - 13; 6) საბერიოში არის ქრისტ. გამავრც. საზ. შკოლა, რომელშიდაც სწავლობენ 50-მდის ყმაწვილები; 7) დიხაზურგაში ამნაირივე 40 შეგირდია; 8) ოქუმში - 86; 9) მიერხის სამრევლო შკოლაში არიან 11 მოწაფე; 10) მუხურში - 24: 11) წარჩეში- 27; 12) ბედიაში - 8; და 13) ფახულანში - 20-მდის. გარდა ამისა წარსული წლის დამლევს, როცა დეკანოზი მაჭავარიანი სარევიზიოთ დაბრძანდებოდა სამურძაყანოში, აღუთქვეს სამრევლო შკოლის გახსნა შემდეგ სოფლებში: თამაკონში, პირველ ჭუბურხინჯში, ცხირში, ყალში, შეშუღეთში, ოტობაიაში, ჩხორთოლში, რეფში, მეორე ბელაში და სხ. და სხ. „ყოჩაღ, სამურძაყანოელებოვო“- იტყვის მკითხველი, „კარგათ ყოფილა თქვენი საქმე. ამ დროებით თქვენ გქონიათ 13 შკოლა, საცა სწავლობს სამასზე მეტი ყმაწვილი და მას რომ არ ჯერდებით, კიდევ, თითქმის ყოველ სოფელში აპირებთ შკოლების გახსნასო“. მაგრამ ეს იყო მხოლოთ მაშინ, როცა დეკ. მაჭავარიანი დაბძანდებოდა სარევიზიოთ. მასწავლებლებმა გაიგეს თუ არა დეკანოზის სარევიზიოთ გამომგზავრება, მაშინათვე შეუდგენ შეგირდების მოგროვებას, მათ მოეშველენ ადგილობრივი მამასახლისნი და ძლივს, ზოგი ძალით და ზოგი მოტყუებით, შეაგროვეს ბავშები, ასე რომ იმედია, როცა რევიზორი წავიდოდა, ეს სიმრავლე შეგირდებისა გაქრებოდა. რაიცა შეეხება ახალ შკოლების გახსნას, ეს ხომ სულ ყინულზე შეიქნებოდა დაწერილი. აქაურ შკოლებზე რაც ერთზე ითქმის, მეორეზე, მესამეზე და მეცამეტეზედაც, ის ითქმის. აი, მაგალ. შედიხართ სამრევლო შკოლაში, რომლის ზალაში აქა-იქ მიკრუნჩხულან ექვსიოდე შიშისაგან აკანკალებულნი ბავშვნი ორივ სქესისა. რევიზორი შედის ამალითურთ; შეგირდები ზეზე დგებიან და მასწავლებლის ლოტბარობით იწყებენ ლოცვით გალობას, მაგრამ ვერ ახერხებენ, ეშლებათ და იძულებულნი არიან შუაზე შეწყვიტონ. ეტყობათ, გალობის არა ესმით რა, არამც თუ შეგირდებს, არამედ მასწავლებლებსაც კი. შემდეგ რევიზორი მიმართავს მასწავლებელს შემდეგი სიტყვით: აბა, რა იციან შენმა შეგირდებმა? მასწავლებელი მიუგებს: იციან მხოლოთ რუსულათ წერა-კითხვა, ლოცვები, მოკლე ისტორია, ძველი და ახალი აღთქმისა, თვლა და სხ. აბა, წაიკითხე ბავშო „Отче нашъ.“ ბავშვი დგება და კითხულობს, შეუჩერებლათ, რაც ძალი და ღონე აქვს ჩქარა, უაზროთ: მისთვის არც წერტილი სუფევს, არც მძიმე და არც ნიშანი.

რევიზ. აბა, რაც წაიკითხე, ამიხსენი შენი სიტყვებით, მდაბიურათ, ჯერ რუსულათ და მერე ქართულათ: ბავში პასუხის ნაცვლათ გაოცებული აქეთ-იქით იყურება, მერე გაშტერებული შეხედავს მასწავლებელს, თითქოს საყვედურით. რევიზ. აბა, მეგრულათ მაინც მითხარი, რას ნიშნავს „Отче нашъ“. ბავში არ იძლევა არავითარ პასუხს. რევიზორი ეკითხება მეორეს, მესამეს, მეოთხეს და თითქმის ყველას, მაგრამ ყველანი უგებენ ისე, როგორც პირველი, ზეპირათ და ახსნით კი არა იციან რა. რევიზორი (მასწავლებელს). ასე მეხანიკურათ როგორ შეიძლება სწავლება? თუთიყუშურათ რომ გაიზეპიროს ბავშმა „Отче нашъ“, ახსნით თუ არ იცის, რა გამოვიდა?! აბა, ჰკითხე, რა იციან ქართულათ? ქართულათ! გაკვირვებით ეკითხება მასწავლებელი. ქართულათ არაფერი იციან, ბატონო. რევ. წერა-კითხვა მაინც არ იციან? მასწ. არა, ბატონო! რევიზორს მწუხარების ნიშანი ეხატება სახეზე და მასწავლებელს საყვედურით ეუბნება: თქვენ არ გინდათ იშრომოთ, თვარა როგორ არ შეგეძლოთ ქართულ, მის სამშობლო ენაზე წერა-კითხვა გესწავლებიათ? უსათუოთ ასწავლეთ. როგორ იქნება ბავშმა თავის სამშობლო ენაზე, წერა-კითხვა და ლოცვები არ იცოდეს? აი, ასე უაზროთ, თუთიყუშურათ აზეპირებენ ბავშებს მათთვის გაუგებარ რუსულ სიტყვა-ფრაზებს აქაური შკოლის მასწავლებელნი, თუ კი შეიძლება ეს სახელი უწოდოთ ამ ვაჟბატონებს.

თუ არ ამას, მაშ რას უნდა მოველოდეთ სამურძაყანოის შკოლიდან, როდესაც შკოლების საქმე ჩაუგდიათ ხელში ყოვლად უვიც ვაჟბატონებს, რომელთაც არავითარი სწავლა-განათლება არ მიუღიათ; მხოლოთ ოც-და-ხუთიანების მეოხებით ხელთ უგდიათ ესრეთ წოდებული „право на учителя“ კუნჭულელ კუზიანების და მათ თანამშრომლების ფირმებში) თუ არა ამას, მაშ რას უნდა მოველოდოთ იმ ვაჟბატონებისაგან, რომელთა ცხოვრების მიზანს შეადგენს მსუქანი, მაღლა მხტუნავი ცხენი, სპილოს ძვლით მორთული უნაგირი, კოხტათ შეკერილი ჩერქესკა, ოქრო-მკერდით მოქარგული წუღა-მესტები, ოქროში დაფერილი ქამარ-ხანჯალი, ლივერი, ლეკური, იქით-აქეთ ქორწილებში, ტირილში, აღაპებში სეირნობა და მუქთა დროს ტარება. აი, მათი იდეალი, მიზანი ცხოვრებისა. არანაკლებ სამწუხარო და სავალალოა ის მოვლენა, რომ დღეს სამურძაყანოს შკოლებიდან განდევნილია, უარყოფილია ქართული ენა, მაშინ როდესაც ამ ენაზე უნდა იყოს უმთავრესი ყურადღება მიქცეული საზოგადოთ სამრევლო და სასოფლო შკოლებში და ამით უფრო სამეგრელო-სამურძაყანოში. წინააღმდეგ შემთხვევაში არავითარ ნაყოფს არ მოგვიტანს სამრევლო შკოლები. სამურძაყანო-სამეგრელოს სამრევლო შკოლებში სწავლობენ ღარიბ-გლეხ-თავადაზნაურთა შვილები, რომელთაც სიღარიბისა გამო ათასში ერთსაც არ შეუძლია გააგრძელოს სწავლა არამც თუ მაღალ-საშუალო სასწავლებლებში, არამედ დაბალ სასწავლებელშიაც კი და ძალა-უნებურათ უნდა დაკმაყოფილდეს სამრევლო შკოლებით. ამ შკოლებში რჩებიან ერთი წლიდან ოთხ-ხუთ წლამდის, რომლის განმავლობაში არამც თუ ისეთი უხეირო მასწავლებლების ხელში, და ისეთი ურიგო სწავლით, როგორიც სუფევს დღეს სამურძაყანოში, არამედ რიგიან სწავლებითაც კი ვერ შეისწავლის ამ მოკლე ხანში რუსულ ენას, რომ ცხოვრებაში ცოტათი მაინც რამეში გამოადგეს. თუ ორიოდე სიტყვა ფრაზები და უხეირო წერა-კითხვა ისწავლა ბავშმა, ისიც გამოსვლისთანავე ავიწყდება და ასე ფუჭათ, უსარგებლოთ იკარგება ხუთი წლის შრომა, ხარჯი და მასთან ამდენი ხნის განმავლობაში ერთი ხელი მუშაც აკლდება უიმისოთაც გაღარიბებულ ოჯახს. სულ სხვა იქნებოდა ქართულ ენას უპირატესობას რომ აძლევდენ სამრევლო შკოლებში; სამი-ოთხი წლის განმავლობაში გვარიან მეცადინეობასთან ბავშს შეუძლია მშვენიერათ შეისწავლოს ქართული წერა-კითხვა-ლაპარაკი, რის მნიშვნელობა და სარგებლობა ყველასთვის ცხადია და, ვგონებ, არავითარი განმარტება არ ჭირდება. აი, ამნაირათ შკოლების მდგომარეობამ გამოიწვია ის სიძულვილი, ზიზღი, შეხედულება, მტრობა, როგორიც სუფევს დღეს მკითხველებისადმი ჩვენს მხარეში. შკოლებისადმი სიძულვილმა ზოგიერთ სოფლებში იმ წერტილამდის მიაღწია, რომ გაბრაზებული საზოგადოება და თავის შრომით, მწარე ოფლით გუშინდელ გაშენებულ შვენიერ სახლს, დღეს ცეცხლს უკიდებს და ნიავ-ქარს აძლევს. ზემოხსენებულ შკოლებს არ ეკუთვნის საბერიოს შკოლა და ქრისტიანობის აღმად. საზ. შკოლები. ზემოხსენებულ შკოლაში გაცილებით უკეთ მიდის წერა-კითხვის საქმე რუსულ ენაზე. მიზეზი გახლავთ, რასაკვირველია, მასწავლებლების მხნეთ, ბეჯითათ, გულმოდგინეთ მეცადინეობა, ისინი ქართულ ენის საშუალებით ავითარებენ. საუბედუროთ ოქუმის შკოლაზე დღეს არ ითქმის იგივე. ამ შკოლის ზედამხედველათ (Наблюдатель) მამა კავჟარაძეა. ის ქართული ენის სწავლებას უკრძალავს იქაურ მასწავლებელთ, თუმცა უკანასკნელთ სულით და გულით სურთ და მზათ არიან იტვირთონ შრომა და ქართული ასწავლონ ყმაწვილებს. გვიკვირს და ვერ მივმხვდარვართ, რას ნიშნავს ასეთი საქციელი?! თუ ჩვენი ყველასაგან ცნობილი აშორდიას აზრს მიემხვრეთ და მის კვალს დაადექით, აშორდიასვე მიმდევარი (послбдователь) გახდით, ამ შემთხვევაში გვიბრძანეთ, საჭიროა გამოგვიცხადეთ მაინც, მამაო. და თუ აშორდიას შეგირდი არ ბრძანდებით, მამაო, ასე რათ დევნით ქართულ ენას სამურზაყანოში? შეიძლება, ბრძანოთ: „მთავრობისგან აკრძალული გვაქვსო“, მაგრამ ეგ ხო ცილისწამებაა, მთავრობას თავის დღეში არ აუკრძალავს სამშობლო ენაზე სწავლება. ერთი, ხომ გახსოვსთ, რა სიტყვებით მოგმართათ დეკანოზმა მაჭავარიანმა. მეორეთ, ესეც რომ არ იყოს, ნეტავ რას ნიშნავს, მამაო, მთავრობისაგან ყოველ სკოლა-ეკლესიებში რუსულ-ქართულათ დასტამბული ლოცვები? ნუ თუ ეს იმას არ ნიშნავს, რომ

ლოცვები რუსულათ და ქართულათაც ასწავლეთ შკოლებშიო, აბა, რა ნაირათ ასწავლით ქართულ ლოცვებს, თუ წერა-კითხვა არ ასწავლეთ. გარდა ამისა, მთავრობას თავის დღეში არ აუკრძალავს ქართულის სწავლება სამურძაყანოის შკოლებში და არც იკადრებდა ამას. შეიძლება ქართული ვალდებულ ენათ არ მიაჩნდა; მაგრამ ნუ თუ თქვენ და საზოგადოთ სასწავლებელნი ვალდებულნი არა ხართ წინაშე სვინიდისისა საზოგადოებისა, რომ იტვირთოთ ქართული ენის სწავლება?.. ვგონებ, რომ მამაო კავჟარაძევ, დრო არის დაუკვირდე რა უნდა იყოთ და რას უნდა შვრებოდეთ?!. დასასრულ არ შეგვიძლია, ერთ ორიოდე სიტყვა არ ვთქვა დ. ოქუმის ქართულ სამკითხველოს შესახებ. რამოდენიმე წლის წინეთ განვიზრახეთ დ. ოქუმში დაგვეარსებინა ქართული სამკითხველო, რის ნებართვას ბოლოს კიდეც ვეღირსეთ. მაგრამ რას გვიკეთებს მარტო ნება-რთვა, თუ კი ამ ნება-რთვას ვერ განვახორციელებთ? ამიტომ მივმართავთ პატივცემულ ქართულ საზოგადოებას და განსაკუთრებით წერა-კითხვის გამ. საზ. და ვთხოვთ უმორჩლესათ, აღმოგვიჩინონ დახმარება ფულებით თუ წიგნებით და მით გაგვახორციელებინონ ეს კეთილი განზრახვა. იმედია, არავინ დაიშურებს თავის წვლილს ამ კეთილი საქმისთვის: მით უფრო, რომ დღეს სამურზაყანო განსაცდელშია, უკანასკნელ მდგომარეობაშია და, თუ დროზე არ მივეშველეთ, ლამის სულ გადალურჯდეს ეს მხარე. შემოწირულობა მიიღება ამ ადრესით: Черезъ Зугдидъ въ М. Окумъ. Ивану Гегія. /ალ. ენგურელი/. (,,კვალი'', N30, 1895 წელი);

***

ჩვენ გვატყობინებენ სოხუმიდან, რომ რადგან 13 მარიამობისთვეს შესრულდა 30 წელიწადი განსვენებული ისტორიკოსის სულხან ბარათაშვილის სიკვდილისა, ამიტომ აქაურმა ქართველობამ გადავიხადეთ პანაშვიდი სოხუმის სასოფლო წმინდა გიორგის ეკლესიაში. მწირველი იყვენ დეკ. მ. დ. მაჭავარიანი და მღ. მ. ხელაია. სოხუმის შეგნებული ქართველობა ყველა დაესწრო და შემდეგ ხელის მოწერაც გაიმართა, რათა მარმარილოს ქვა დაედოს საფლავს. (,,კვალი'', N36, 1895 წელი);

დ. ოჩემჩირე (აფხაზეთი)

აფხაზეთში სამწუხაროთ, ძალიან ხშირია კაცის კვლა და ქურდობა, მაგრამ ამ ზომამდი თავ-გასულობას არ მოვსწრებივართო, ამბობენ მოხუცნი. ზამთარი იყო და სამურზაყანოს მაზრა-ში, ს. აბსაძიხის შარა-გზაზე ისე ვერ გაივლიდა კაცი, რომ რაიმე უბედურება არ შემთხვევოდა; იქ ცარცვავდნენ ყოველ დღე მუშა ხალხს, განსაკუთრებით მეგრელებს, რომელნიც, აფხაზების სიტყვით იმათსავით მხნე არ არიან. ერთი თვეა, რაც მიწყდა ასეთი თავისუფალი თარეშობა, მაგრამ ნაცვლად გამეფდა ქურდობა. ქურდობენ, მაგრამ როგორ? ზოგი ქურდობს, როგორც „Новое Время"-ს ერთი კორესპონდენტი, საწყალ ხალხზე უთითებს ქურდიაო და თვითონ „განათლებულათ" ქურდობს. ზოგი... მაგრამ ჩვენდა სამარცხვინოთ ეს საზიზღარი ხელობა, როგორიც არის ქურდობა, აქ სასახელოთ მიაჩნიათ. ცხენს პარავენ განსაკუთრებით მღვდლებს და ვაჭრებს. ერთი ორი თვის შემდეგ ხმა გავრცელდება - შენი დაკარგული ცხენი ნახესო. ვინ ნახა? - რასაკვირველია, მეგობარმა. ყაჩაღებს დაასახელებენ და გამოსაყიდელი ფულია საჭიროო. მისცემ ნახევარ ფასს და სიხარულით რამდენიმე მანეთს კიდევ დახარჯავ, რადგან ასე იაფათ ჩაიგდე ხელში დაკარგული საქონელი. მოგიყვანებენ გაძვალ-ტყავებულ ცხენს. ეცდები და კვლავ გაასუქებ, ისევე მოგპარავენ და განმეორდება პირველი ისტორია. ამ გვარათ ორი თვის განმავლობაში ორჯელ-სამჯერ მოჰპარეს და დაუბრუნეს ცხენი მღდ. ხელაიას. მღდ. ნოდიას, ვაჭარ გ. გვასალიას; ასევე მოუვიდა დ. ოჩამჩირის ბლაღოჩინს ბ. კერესელიძეს, სამოსამართლოს ბოქაულს ტრ. კაჭარავას და სხვებს. სწავლა-განათლების საქმეც აქ ძლიერ სამწუხარო მდგომარეობაშია. სხვადასხვა პირების მოქმედებამ იმ ზომამდის მიიყვანა, მაგ., ოჩამჩირეს საზოგადოება, რომ ამ უკანასკნელს განუზრახავს აქ

არსებული ორ-კლასიანი სასწავლებლის დახურვა. მკითხველი თვითონ მიხვდეს ამ გვარ „მოღვაწეთა“ მოქმედებას, რომ თავი არ მოვაბეზრო იმათი საზიზღარი საქციელის აწერით. საშინელმა გვალვამ გააფუჭა მოსავალი, განსაკუთრებით ზღვისპირათ მდებარე ადგილები. მთელი ორი თვეა, რომ წვიმა არ გვინახავს, საშინელი სიცხეებია, ხანდისხან სითბო 45% ადის. საცოდავი სანახავია ზოგიერთი ყანები; სიმინდს თითის სიგრძე ტარო გაუკეთებია და ღეროიანათ გამხმარა. სამურზაყანოს განყოფილების ზოგიერთ სოფლებში შარშანაც ნაკლები მოსავალი იყო, ასე რომ ახლავე ყიდულობენ სიმინდს. წრეულს საზღვარ-გარეთ სიმინდი თითქმის სულ აღარ გააქვთ, წინეთ მარტო ოჩამჩირიდან გავიდოდა შვიდას-რვაას-ათას ფუთამდე სიმინდი. სიმინდის ფასი ძალიან დაკლებულია (30 კ); მაგრამ საქმეც ის არის, რომ ამ ფასათაც არავის მიაქვს, რადგან საზღვარგარეთ არა აქვს გასავალი; ამიტომ ძალიან შევიწროებულია ხალხი უფულობით. ერთათ-ერთი სახსარი ცხოვრებისა სიმინდი იყო აქ. ხალხმა არ იცის რას მოჰკიდოს ხელი. თითის ტკივილს გული იგრძნობს და გონება ეცდება წამალი მოუპოვოს. ჩვენც ამის იმედი გვაქვს. /ალია - კ/. (,,კვალი'', N36, 1895 წელი);

***

ამას წინათ ერთს ეპიკოპოსს შემოევლო აბხაზეთის ეპარხია, რომელშიაც სამურძაყანოც ირიცხება და დაბა ოჩამჩირის წმიდის გიორგის ეკლესიაში რომ შებძანებულიყო, საკურთხეველზე დაენახა პატარა ვერცხლის ბუდე. ეს რა არისო? უკითხავს ყოვლად სამღვდელოს. მოუხსენებიათ, რომ იმ ვეცხლის ბუდით ძველათ ტყავზე ნაწერი ქართული სახარება დაუფლავთ მიწაში შიშიანობის გამო. დიდი ხანი არ არის, რაც მიუგნიათ ეს წიგნი, მაგრამ სახარება მიწაში დამპალიყო და მხოლოთ ეს ვერცხლის ბუდე გადარჩენილიყოვო. დროც იყო მისი დალპობისაო - მხიარულათ წარმოეთქვას ეპისკოპოსს. (კვალი, N38, 1895 წელი);

ოქუმი

ჩვენ ნამდვილი წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ ის ბრალდება, რომელიც ბ-ნ ენგურელს თავის კორესპოდენციაში სამურძაყანოდან დაუდევს ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების შკოლების ზედამხედველობაზე, მამა კავჭარაძეზე, სრულიად უსაფუძვლო აღმოჩენილა. თვით მამა კავჭარაძეს, როგორც განვითარებულ სულიერს მამას, ნაკლებ ენგურულისა გული არ შეტკივა სამურძაყანოელ მოწაფეებზე და შეძლებისა და გარემოების მიხედვით ყოველ ღონისძიებასაც ხმარობს სამურძაყანოს შკოლებში სამშობლო ენაზე პირველი დაწყებითი სწავლა და გონების გამოფხიზლება სამშობლო ენის მეოხებით არსებობდეს. ამ ჩვენს დროში ბევრათ უფრო დიდს სარგებლობას მოიტანს შეთანხმებით და ერთმანეთთან სიყვარულით შეთვისება და ისე ხელის წარმართება თანამემამულეთა ახალგაზდობის გასანათლებლათ, ვიდრე ერთმანეთის წინააღმდეგობით და შურისძიებით მოქმედება. (კვალი, N38, 1895 წელი);

საყურადღებო ამბები

დრანდა (სოხუმის ოლქი). წრევანდელი სიმინდი და ყურძნის მოსავალი აქეთკენ სასიხარულო სურათს შეადგენს მნახველთათვის. თუმცა სიმინდს კარგი პირი უჩანს, მაგრამ უსწორ-მასწორო ამინდების გამო ჯერ ვერ გამხმარა. გლეხები ამბობენ: „ვაი, თუ ზამთარმა მოგვასწროს და ჭირნახული კალოზე დაგვრჩესო. დრანდა მდებარეობს ქალ. სოხუმიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვიდმეტი ვერსის მანძილზე; აქ არსებობს მონასტერი და მონასტერთან ერთ-კლასიანი სამრევლო სასწავლებელი. სწავლა-განათლებას აქაური მცხოვრებნი ძალიან გულ-გრილათ ეკიდებიან აქაურ მცხოვრებლებს შეადგენენ გადასახლებული რუსები და მოლდავანები. გარშემო სოფლებში ცხოვრობენ: აღმოსავლეთით რუსები, სამხრეთით მეგრელები და აფხაზები (მდ. კოდორს გაღმა).

თუმცა სოხუმი ახლოა, მაგრამ დრანდელებს ფიქრათაც არ მოსვლიათ წარსულ დროებაში დაექირავებინათ ან ექიმი. ან ფერშალი. თუ ვინმე ავათ გახდებოდა, იმის ჭირისუფალს უნდა მოექუსლა ან სოხუმში, ან ოჩამჩირეში ექიმის ანუ ფერშალის მოსაყვანათ, მაგრამ სანამდის ექიმი მოასწრებდა, ავათმყოფი, თუ სასიკვდილო იყო, კიდეც მოკვდებოდა. როგორც იყო, ამ ორი წლის წინეთ იგრძნეს აქაურებმა თავიანთი გაჭირვება და ამ გაჭირვების თავიდან ასაცილებლათ მიმართეს თხოვნით მთავრობას, რათა დაეარსებინათ აქ საავათმყოფო. ეს ორი თვეა, რაც აქ გაიხსნა საავათმყოფო, დანიშნეს ექიმი და ფერშლები. საავათმყოფოსთან არის პატარა აფთიაქი, აქედან წამალი უფასოთ ეძლევათ მხოლოთ იმათ, რომელნიც სახელმწიფო მიწაზე ცხოვრობენ; ასე რომ სახელმწიფო მიწაზე მცხოვრებთ ძალიან გაუადვილდათ ცივების თავიდან აშორება. ამ მოწყალებას მოკლებულნი არიან ის მეგრელები, რომლებიც თ. შარვაშიძის მამულზე ცხოვრობენ. თუმცა „რეცეპტი“ იმათაც უფასოთ ეძლევათ, მაგრამ წამლის სოხუმიდან მოტანა ძვირათ უჯდებათ და ამიტომ ვერ ასრულებენ ექიმის ბრძანებას. აქ ჯერ-ჯერობით აფთიაქი არ არსებობს, რომელიც ერთს უმთავრეს საჭიროებას შეადგენს აქაური ხალხისათვის. ამბობენ, ვითომ ერთს ქართველს აფთიაქარს „ნება აღებული აქვს და იანვრიდან გახსნის აფთიაქსო“. მართლა თუ აგრეა, ღმერთო ხელი მოუმართე მას ამ კეთილ საქმეში. აქ ძვირათ შეხვდებით იმისთანა ოჯახს, რომ ავათ, დახაშმული, არ იყოს, (“malaria”). რასაკვირველია, ამისთანა მიგდებულ ადგილებზე მიუცილებლათ საჭირო არის ექიმი, ფერშალი, აფთიაქი, რომლითაც შეუძლიათ დიდი სარგებლობა მოუტანონ საზოგადოებას. ამ მოკლე ხნის განმავლობაში რვაასამდე ავათმყოფებს მიეცათ საშუალება ამ საავათმყოფოდან. მათ შორის სამი წილი დახაშმით იყო ავათ. (კვალი, N47, 1895 წელი);

ს. კოდორი (სოხუმის ოლქი)

ეს ერთი თვეა, რაც აქაურ მცხოვრებთ ეწვიათ ყვავილი. ამ დაუპატიჟებელმა სტუმარმა ძალიან შეაშინა აფხაზები. რამოდენმეჯერ თხოვეს მთავრობას რომ გამოეგზავნათ ამცრელი ფერშალი, მაგრამ ჯერ არაფერი ჩანს. კარგი იქნება, მიაქციოს ყურადღება ამ გარემოებას იმან, ვისიც ჯერ არს. /სერგი ელიავა/. (კვალი, N47, 1895 წელი);

„კვალის“ კორესპონდენციები

აფხაზეთი. შარშანდელი წელიწადი არც აფხაზეთისათვის იყო ხეირიანი. მართალია, წყალდიდობას ისეთი დიდი ვნება არ მიუცია აფხაზეთისათვის, მაგრამ, სამაგიეროთ, დიდ-თოვლიანმა ზამთარმა კი ფრიად დიდი ზარალი მოუტანა. დაუმატეთ ამას ამ უკანასკნელი ორი წლის მოუსავლელობა და ამასთან სიმინდის ფასის დაცემა და ადვილათ მიხვდებით, თუ რა გაჭირვებაში ჩავარდა აქაური მემამულე და გლეხ-კაცობა. ფული მართლაც, მათივე სიტყვით რომ ვთქვათ, „მთლათ დაიკარგა“, შეძლებულ ოჯახს ფულათ ერთი მანეთიც არ მოეპოვება. გასაკვირველიც არ არის, უმთავრესათ, თითქმის ერთათ ერთი წყარო ფულის შესაძენათ აფხაზისათვის იყო სიმინდის გაყიდვა და მისი გადაზიდვა ურმებით ოჩამჩი-რემდის. ფუთი სიმინდი წელს შვიდ შაურზე მეტათ არ გაყიდულა. ჩატანა ფუთი სიმინდისა ოჩამჩირემდის და საზოგადოთ ზღვამდი, ცოტათ თუ ბევრათ დაშორებულ სოფლებიდან, ფასობს არა ნაკლებ ორი შაურისა. როგორც მოწმობენ გამოცდილი მეურნენი, ათ შაურზე ნაკლებ გაყიდვა ფუთი სიმინდისა საზარალოა მხვნელ-მთესველთათვის. „მანეთათ ძველათ ხუთი ფუთი იყო“ რომ ამბობდენ, სწორედ ის დრო დადგაო, გაიძახიან ყველანი. მერე თუ ნარჩევი, საუკეთესო სიმინდი არ იყო, ზედაც არ შეხედავდენო. ცოტაოდენ ფულს ზოგიერთნი, უფრო მთაში მცხოვრებნი, შოულობდენ თაფლის და სანთლისგან, (ცვილის) მაგრამ აქაც

ბედმა უმტყუნა აფხაზებს: შარშანდელმა დიდ თოვლობამ მრავალი სკები წააქცია, ფუტკარი ამოხოცა.. ვაჭრობას ან სხვა რამე მრეწველობას აფხაზი ხომ არ მისდევს და აბა, ფული საიდან ექნება. ამავე დროს აქ (აბჟუვაში) გავრცელდა ხმა, ვითომ ამ წლის სახელმწიფო გარდასახადი ეპატივებოდეთ (მანიფესტით) მცხოვრებთ, ხალხის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გავიდა რამდენიმე თვე და გამოვიდა განკარგულება ამ წლის სახელმწიფო ბეგარის (გარდასახადის) აკრების თაობაზე. ხალხი სრულიად მოუმზადებელი დახვდა და დიდ გაჭირებულ მდგომარეობაში ჩავარდა. ყოველი საზოგადოებიდან გაისმოდა: ფული ჩვენ არა გვაქვს და არც არავითარი საშვალება მის საშოვნელათო. (რაც ფული იყო საჭირო, იმის საფასური სიმინდი რომ გაეყიდათ, თვით მშივრები დარჩებოდნენ. ან საქონელი (ძროხა და სხ.) აიყვანეთ ფულის მაგივრათ, ან გვიშუამდგომლეთ უმაღლესი მთავრობის წინაშე გვადროვონო. მაგრამ მათი ხმა დარჩა ხმა მღაღადებელისა უდაბნოსა შინა. ძნელი წარმოსადგენია თუ რა ტანჯვა წვალებით იკრიბება აქ ახლა ეს ფულები. 15 კოკა ღვინოს (ზემო აფხაზეთში მშვენიერი „ადესა“ და „ჩვენებური“ ღვინო მოდის) 3-4 მანეთათ აფასებენ, მაგრამ ფულს მაინც ვერ შოულობდენ. ყველა ამასთან ქურდობაც მეტის-მეტათ გავრცელებულია ამ მხარეში. /პ. გ. ჭარაია/. (,,კვალი'', N50, 1895 წელი);

საყურადღებო ამბები

ქ. სოხუმი. აქ შედგა ქართულ სცენის მოყვარულთა ამხანაგობა. აზრადა აქვთ გამართონ წარმოდგენები. პირველი წარმოდგენა გამართეს ოთხშაბათს 15-ს ნოემბერს კნ. გაიანე ი. შერვაშიძის თაოსნობით, რომელიც დიდი მადლობის ღირსია ამისთანა საქველ-მოქმედო საქმეში მონაწილეობის მიღებისათვის. შემოსავალი დანიშნული იყო სუხუმის სამრევლო შკოლის ქართველ მოსწავლეების სასარგებლოთ. წარმოადგინეს თხზულება თ. თ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“ და სხვანი... წარმოდგენამ ჩინებულათ ჩაიარა;

მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ სუხუმში არ არსებობს ქართული სამკითხველო. როგორც გავიგე ზოგიერთთაგან, რამდენჯერ აღუძრავს ლაპარაკი აქაურ ქართველობას სამკითხველოს დაარსებაზე, მაგრამ მარტო სიტყვა და დაპირება რას გვიშველის, თუ ის არ განხორციელდა. აწი მაინც იმედია არ დატოვებენ უყურადღებოთ ამისთანა ნაკლულე-ვანებას, როგორიც არის სამკითხველოს უქონლობა. გამართვენ წარმოდგენებს სამკითხვე-ლოს სასარგებლოთ და კიდევ მოძებნიან სხვა წყაროებსაც, საიდანაც შესაძლებელი იქნება შეგროვდეს ფული სამკითხველოს დასაარსებლათ. არა მგონია, სუხუმში მოიპოვებოდეს ამისთანა ქართველი, რომ შემწეობა არ აღმოუჩინოს ამ კეთილ საქმეს.

აქეთ გვარიანათ აცივდა. ახლო-მახლო მთის კალთები ჩამოთოვა, ზამთარი კარზე გვადგია. ერთი კვირაა, რაც განუწყვეტლივ წვიმს, მაგრამ მადლობა უფალს მდინარეს ჯერ-ჯერობით არაფერი ზარალი მოუტანია მცხოვრებთათვის.

სოხუმის ახლო-მახლო სოფლებში რთველი გათავდა, სიმინდის მოსავალი უკეთესი არ შეიძლებოდა. ზოგიერთმა მეორე სასიმინდეც ააშენა: „ერთში არ დაეტევაო“. მოლოდინი გაუმართლდათ. როგორც გავიგეთ ზოგიერთ სოფლებში საქონლის რაღაც ავადმყოფობა გაჩენილა, რომელმაც ძალიან შეაშინა აქაური გლეხობა. დახმარების აღმოსაჩენათ მთავრობამ გაგზავნა ბეითალი. /სერგეი ელიავა/. (კვალი, N51, 1895 წელი);

შენიშვნა დამწერს

ამას წინეთ „კვალი“-ს მე-30-თე ნომერში იყო მოთავსებული ა. ენგურელის კორესპონდენცია

შემდეგი სათაურით: „სამურზაყანოს ვითარება“. როგორც გვახსოვს ბ. ენგურელმა, ცოტათ თუ ბევრათ, დაახასიათა საზოგადოთ სამურზაყანოს შკოლები, და მასთან კერძოთ შეეხო მ. იოანნე კავჟარაძეს, ზედამხედველს ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების შკოლებისას, რომელნიც სამურზაყანოში ითვლება, სულ სამი. მკითხველს არ მოვაბეზრებ თავს ამ კორესპონდენციის გარჩევით, მით უმეტეს, რომ რაც მასში არის აწერილი, დასაბუთებული, სიმართლეა. ვინც ცოტათი მაინც თვალ-ყურს ადევნებს სამურზაყანოს ვითარებას, დარწმუნებული ვარ, რომ ის, არამც თუ რამე უმართლოს დაინახავს მასში, არამედ ზედაც ბევრს შემაძრწუნებელ ფაქტებს დასძენს. მე მხოლოდ, მინდა ამ დროებით გამოვებაასო მკითხველს მ. კავჟარაძის და მისს მოქმედების შესახებ, რომელიც გამოიწვია იმავე ჟურნალის საყურადღებო ამბებში მოყვანილ უსახელო შენიშვნამ „კვალის“ N38-ში. *) შარშან ზაფხულში დეკ. დავით მაჭავარიანი იყო სამურზაყანოში, რომელსაც მონდობილი ჰქონდა ახალ აშენებულ ეკლესიების დათვალიერება. მან, როგორც თავჯდომარემ საეპარქიო სამოსწავლო რჩევისამ, ისურვა დათვალიერება სამრევლო შკოლებისა და მასთან ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების შკოლისა დ. ოქუმში. როგორც შეგირდების გამოცდამ აღმოაჩინა, სამურზაყანოს შკოლებში ქართული საგნების სწავლა შეწყვეტილი ყოფილა, თუმცა მთავრობისაგან საქმით (ოფიციალურათ) არ ყოფილა აღკრძალული, პირიქით სწავლა დედაენაზე დაფუძნებულიყო სამურზაყანოში, რაც ცხადათ ჰჩანს, ერთი მხრით წიგნსაცავების გასინჯვის შემდეგ, სადაც მრავალი ქართული წიგნები, რვეულები და დედანებია და, მეორე მხრით, მე თვითონ ქართულ ენაზე დამაწყებინეს სწავლა ოქუმის შკოლაში. ამ გარემოებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ძლიერ დააღონა დეკანოზი, და მამობრივი სიყვარულით ჩააგონა მასწავლებელთ, რომ ქართული ენისათვის ცოტა შესამჩნევი ალაგი დაეთმოთ. თუმცა მე პირადათ არ დავსწრებივარ ამ ამბავს, მაგრამ საბუთათ მოვიყვან, ერთი მხრით, ენგურელის კორესპონდენციას, რომლის ავტორი თან დაყვებოდა დეკანოზს და, მეორე მხრით, იმ გარემოებას, რომ როდესაც დეკანოზმა ინახულა ოქუმის შკოლა სოხუმის ოლქის უფროსის თანაშემწის დასწრებით, სადაც მე გახლდით: მან მიმართა ზედამხედველს იმავე რჩევით, რითაც სოფლის მასწავლებელთ. ზედამხედველმა გულ-დადებით მოისმინა დეკანოზის სიტყვები და ფიცხლავ უბრძანა იქავე მდგომ მასწავლებელს, თითო საათი დაეთმო დღეში ქართული ენისათვის. მასთან ისიც უბრძანა, რომ შეედგინა სია იმ სახელმძღვანელო წიგნებისა, რომელნიც კი აკლდათ შკოლის წიგნ-საცავში. როგორც დეკანოზს მოახსენა, ეს სია უნდა გაეგზავნა ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებისათვის, და მასთან უნდა ეთხოვნა მათთვის, სიაში აღნიშნული წიგნები უფასოთ ებოძებიათ. წარმოიდგინეთ, ასეთი ქცევა მამა კავჟარაძისა ახალი „ფასონის“ სემინარიზმი ყოფილა, ე.ი. სიტყვით დევ-გმირობა - საქმით კი მწერობა. (ეს სენი: სიტყვით ციხეების შენება, საქმით არაფრის კეთება, საზოგადოთ გავრცელებულია ჩვენ დალოცვილ ქვეყანაში და, ამიტომ ეს კიდევ მისატევებელი ცოდვაა, მაგრამ მ. კავჟარაძემ ეს როდი დაგვიჯერა, როგორც შევიტყობთ ქვეით). ოქუმის მასწავლებელმა იმ დღიდანვე დაიწყო რუსულთან ერთად, ქართულ ენაშიც მეცადინეობა შეგირდებთან. ვნახოთ, გაიარა რამოდენიმე ხანმა, თურმე ნუ იტყვით, მასწავლებელსა და ზედამხედველს შორის რაღაც უკმაყოფილება ჩამოვარდნილა. არ ვიტყვი იმის შესახებ არაფერს, თუ ვინ იყო მათში მართალი და მრუდი, რადგანაც ეს კერძო ინტერესებს შეეხება, მხოლოთ ამას კი მოგახსენებთ, რომ ამ უთანხმოებამ გამოიწვია შეწყვეტა ქართული ენის სწავლებისა, შკოლაში. მამა კავჟარაძემ უმსხვერპლა კერძო ანგარიშებს საზოგადო საქმე. დიახ, მან გამოიჩინა ორი ყოვლად პატიოსანი უნარი: ცილის-წამება და გზირობა. ეს ხომ ნამდვილია ბატონ კავჟარაძე?!. როგორ მიბრძანებთ, გნებავთ რომ საბუთიც წარმოგიდგინოთ? გადაათვალიერეთ თქვენი ხელით ნაწერი მოხსენება სოხუმის ეპისკოპოზისადმი, სადაც ცილი დასწამეთ საცოდავ მასწავლებელს, ვითომ, მას მიეცეს უპირატესობა, საგნების გადაცემის დროს, ქართული ენისათვის და რუსული კი მიეგდოს გვერდზე; გადაათვალიერეთ იანვარში წარდგენილი ანგარიშები, სადაც იმასვე უჩივით მასწავლებელს; გადაათვალიერეთ

საბერიოს შკოლის ჟურნალი, სადაც თქვენის ხელით აწერია, დაახლოვებით ასე: გიბრძანებთ დღეიდან არ ასწავლოთ შეგირდებს ქართული ენა“. იქნება კიდევ გსურთ რომელიმე საზიზღარი ფაქტები ავალაპარაკო თქვენ წინააღმდეგ?!. არა, ჯერ-ჯერობით ესეც კმარა მოსანელებლათ! ახლა ვკითხავ შენიშვნის დამწერს: რა გააკეთა მ. კავჟარაძემ, „როგორც განვითარებულმა სულიერმა მამამ?“ მიბრძანეთ, ბატონო, რამ ჩააგონა მ. კავჟარაძე, რომ ასე საზიზღრათ იქცევა?!. მთავრობას ხომ ვერ მოიყვანთ მიზეზათ, - რაც ცილის-წამებაა! გადასინჯეთ ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოების წესდება შკოლების შესახებ: თქვენ დაინახავთ იქ პირველი დაწყებითი სწავლის გავრცელებას დედა-ენაზე, და არა მის მოსპობას. მიბრძანეთ, რომელ საკეთილო საქმეში გამოიჩინა მამა კავჟარაძემ „ენერგია და გულშემატკივრობა?“ (მე მგონი, დიდი საძნელო საქმე არ იყო შეესრულებია ის, რაზედაც მიუთითა მთავრობამ, სხვას ჩვენც არ ვთხოვდით.) იქნება ის მიგაჩნდესთ აღმატებულ ღვაწლათ მ. კავჟარაძის მხრით, რომ მის მეოხებით დღეს არამც თუ ოქუმის შკოლაში არის მოსპობილი ქართული ენა, არამედ სამრევლო შკოლებშიც. (სოფლის მასწავლებელნი, როგორც მაცნობეს, შეშინებულნი არიან, რამე ხათაბალაში არ გაგვახვიოსო). მართლაც, რომ დიდი ღვაწლია, - მხოლოთ წინააღმდეგი სინიდისისა და ადამიანის დანიშნულებისა, - და წინამორბედი უვიცობისა. ენგურელის წერილში ცოტაოდნათ იყო დახასიათებული მ. კავჟარაძის მოქმედება, და, წარმოიდგინეთ, იმასაც ფარდას აფარებს ვიღაც მისი მოკეთე. /ა. ოქუმელი/. (კვალი, N52, 1895 წელი);

საქველ-მოქმედო საქმე

გიგზავნით სოხუმში შეკრებილს 26 მანეთს ზეპირ-სიტყვაობის ფონდის სასარგებლოთ. სია შემწირველთა: სამი მანეთი სიმონ ჭეიშვილმა, ორი მანეთი: ე. გაბუნიასამ, სტ. თურქიამ, ივ. ბურჭულაძემ. თითო მანეთი: ივ. გეგეჭკორმა, კლემენ ლომიძემ, პ. კალანდარიშვილმა, ალ. ქუთათელაძემ, მინა ჭავჭიანიძემ, კირ. მიქელაძემ, პორ. ცინცაძემ, საჩ. თურქიამ, კარპეზ წეროძემ. ათ-ათი შაური: გ. ცხომელიძემ, ამბაკო ანდღულაძემ. ამასთანავე იმედი მაქვს, რომ ამ დიდს და სასარგებლო საქმეს ყოველი ქართველი თანაგრძნობას გაუწევს და თავის უკანასკნელს წვლილს ამ საერთო საქმისთვის არ დაიშურებს. /ივანე ბურჭულაძე/. (კვალი, N52, 1895 წელი);

1896 წელი

გაზეთი ,,ივერია''

***

შუამდგომლობა სუხუმის მხარის ერთის მემამულისა და სუხუმის სამეურნეო სადგურისა იმის შესახებ, რომ მათთვის საფრანგეთიდამ ამერიკის ვაზი გამოეწერათ, სამიწათ-მოქმედო სამინისტროს არ შეუწყნარებია იმ მიზეზით, რომ შეიძლება იქიდამ ვაზს თან ფილოქსერა გადმოჰყვესო. (ივერია, N8, 1896 წელი);

სამურზაყანო. (აფხაზეთი)

დიდ ტანჯვა-მწუხარებაში ვართ ჩავარდნილნი უგზოობის გამო. ჩვენს ეგრედ წოდებულ

„ახალ შოშეზედ“ ბევრი ურემია ჩარჩენილ-ჩატეხილი; ერთი კაცი ცხენიანად ჩაფლულა ტალახში, კაცი ძლივს გადარჩა სიკვდილს, ცხენი-კი იქვე ტალახში დარჩა. ხიდები თითქო გაგვიკეთესო, მაგრამ ხიდების თავებზე მიწა როდია მიყრილი და ცხენიანი მგზავრი ვერ მიუდგება იმათ. აქ შარშან თავ. ბ-კი ბრძანდებოდა და დაგვპირდა, საახალწლოდ გზა გაკეთებული გექნებათო. მას უკან ამაო მოლოდინში ვართ და ლამის გადაგვიწყდეს იმედი ჩვენის მდგომარეობის გაუმჯობესებისა. დალოცვილი ჩვენი უფროსები გზების დასათვალიერებლად სწორედ ზაფხულს შეურჩევენ ხოლმე, როდესაც ბევრი მდინარე ამომშრალია. ნეტავი ახლა აჩვენათ, თუ ჩვენსავით ისინიც არ იტირებენ ჩვენის გზების უვარგისობაზედ. შარშან აქ კომლზე ცხრა-ცხრა მანეთი გადაახდევინეს ხალხს გზების გასაკეთებლად და ჯერ-ჯერობით არც გზა გვაქვს, არც ხიდები.

ჩვენში ამას წინად სამინისტრო სკოლების ისპექტორი მობრძანდა. იქითობისას მუხუროს სამრევლო სკოლაში შესულა ბავშვების გამოსაცდელად. სკოლის შეგირდები ბ-ნს ი-რს ქართულში უფრო შეგნებული უნახავს ვიდრე რუსულში. ეს არ მოსწონებია ბ-ნს ი-რს და მასწავლებლისათვის დიდი საყვედური უთქვამს. ამ ჟამად საეპარქიო სამოსწავლო რჩევამ მოხსენებული სკოლის შაგირდების გამოსაცდელად ცალკე პირი გამოგზავნა (ფ. მარ-ნია). სუხუმის სასულიერო მთავრობამ მოითხოვა განაჩენი ყოველ საზოგადოებისაგან ჩვენ სკოლებში დედა-ენის სწავლების შესახებ. რამდენიმე საზოგადოებამ სურვილი განაცხადა და განაჩენიც შეადგინა, უსათუოდ ქართული გვასწავლეთო, ხოლო სოფლის მწერლები ზოგან გაჯიუტდნენ. ქართული რად გინდათ, ჩვენ ხომ მუდამ რუსულად ვწერთ ,,რაპორტებსაო''. ჩვენ ვერ გამოგვიყენებია ქართული ენა და ჩვენი მომავალი თაობა ნეტავ რაში გამოიყენებსო. რამდენიმე ვაჟბატონი დიდ ოინებს სჩადიან ქართული ენის წინააღმდეგ. ქუცმაცობით სხვისი ყურადღების დამსახურებას სცდილობენ. ესენი გახლავს ჩვენი ქვეყნის ახლად აფუებული პატრიოტები. ამ ჯურის მოღვაწენი რვა-ცხრა წლის წინედ სამეგრელოში გაჩნდნენ. ახლა ბედმა არც ჩვენ დაგვაგდო უმოწყალოდ. ამგვარი დევ-გმირები დღეს ბაცილებივით მრავლდებიან სამურზაყანო-აფხაზეთში. /ვანო ოქ-მელი/. (ივერია, N17, 1896 წელი);

ახალი ამბავი

26-ს იანვარს ამა მდგომარის წლისა, პირველსა ჟამსა, დილეულ, გარდაიცვალა მღვდელთ-მთავარი იმერეთისა გაბრიელ, შემწყნარე ქვრივთა და ობოლთა, სასწავლებელთა და სასნეულოთა შემწე, მამაკაცი მაღლისა გონებისა, განვლილი ფილოსოფოსთა სწავლათა შინა, მაგალითი უბრყვილო ცხოვრებისა, მშვიდი, მდაბალი, პატივცემული და საყვარელი ყოველთაგან, მამა სამწყსოსა და ნათელი განათლებისა, უებრო მქადაგებელი, ოქროვანნი სიტყვანი და მოქმედებანი მისნი ემსგავსებოდნენ შრომასა დიდთა მათ ჩვენთა წმიდათა მამათასა, რომელთა ისახელეს განმშვენება უფლისა და მაცხოვრისა იესო ქრისტეს ეკკლესიისა, საუკუნომცა არს ხსენება მისი!.. /ღენერალ-ადიუტანტი უგანათლებულესი თავადი გრიგოლ დადიანი/. (ივერია, N27, 1896 წელი);

***

ჩვენის ძვირფასის აწ განსვენებულის მწყემსმთავრის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის გარდაცვალების გამო სამ დღეში შემდეგი სამგლოვიარო დეპეშები მივიღეთ სხვა-და-სხვა ადგილიდამ: ხარკოვიდამ: „ხარკოვის ქართველობა მწუხარე გულით უერთდება სამშობლო ერის გლოვის ლიტანიას დაუვიწყარ საზოგადო მოღვაწის და სამაგალითო მწყემსთ-მთავრის გაბრიელისადმი, რომელმაც დალია დღენი თვისნი ერის ზნეობრივ და გონებრივ აღზრდაში.“ კახიდამ: „ზაქათალის ოლქის სამღვდელოება თავისის სამწყსოთი გულითადის მწუხარებით ილოცს, რათა უსაყვარლესის მწყემსთ-მთავრის გაბრიელის სულს განსვენება მიენიჭოს.“

სოხუმიდამ: „მრავალის ხალხის თანადასწრებით პანაშვიდი გარდავიხადეთ განსვენებულის გაბრიელის სულის მოსახსენებლად.“ (ივერია, N27, 1896 წელი);

სოხუმი

როგორც უკვე დამტკიცებულია და გამოცხადებულიც იყო, სოხუმში უნდა შემოიღონ „ქალაქის თვით მმართველობა“. ამ ამბავს სოხუმელები დიდის სიხარულით მიეგებნენ და ამის საქმეთ ქცევას-ღა ელოდებოდნენ დღითი-დღე. თებერვლის ხუთს სოხუმის მოქალაქეებს დაურიგა პოლიციამ განსაკუთრებითი „ბლანკები“ სახმოსნო პირების ჩასაწერათ-იმ პირობით, რომ ეს „ბლანკები“ მეორე დღესვე დაებრუნებინათ პოლიციისათვის, რათა შემდგარიყო ერთი საზოგადო სია. ექვსს თებერვალს, საღამოს, დაიწყო ხმოსნების არჩევა და გასტანა მეორე დღის საღამოს ათს საათამდე. არჩევანი იყო გამართული ქალაქის კლუბის დარბაზში, სადაც თავი მოეყარა მთელს სოხუმის საზოგადოებას: ქართველს, რუსს და ბერძენს. გულახდით უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქართველი საზოგადოება კარგათ მომზადებული იყო ამ საქმისათვის, მას კარგათ შეგნებული აქვს მნიშვნელობა ქალაქის თვით მმართველობისა, რაც საქმითაც დაამტკიცა. სულ მეკენჭეთა რიცხვი იყო ოთხმოცდა თოთხმეტი (94) და კენჭი უყარეს ორმოც-და თერთმეტს კაცს, რომელთა ერგო შემდეგი:

სპ. მეტაქსა (90 თეთრი 4 შავი) აპ. გეიდუშეკი (86-7), დ. ანდრიაშენკო (86-7), გ. ზაგრაფოპულო (86-8), ა. ჯუღელი (83-10), თ. შერვაშიძე (78-15), სტ. თურქია (77-16), თ. გაბუნია (77-17), გ. გვალია (77-17), აპ. თექმიჩევი (76-18), ნ. მეტაქსა (76-18), პ. კეთილაძე (73-21), სერებრიაკოვი (73-21), პ. ბარკალაია (71-22), ნ. გოგიჯანოვი (71-22), ნ. მასხარაშვილი (71-22), მ. კართავა (70-23), თ. შერვაშიძე (70-24), მ. თოფურიძე (69-25), გ. თურქია (68-25), საჩ. თურქია (68-26), პ. გოგრიჩაძე (67-25), ა. თურქია (67-25), ლ. თოფურიძე (67-26), დ. ჭავჭანიძე (67-26), მ. მიმინოშვილი (65-29). ეს 26 ზემოაღნიშნულნი პირნი უნდა იქმნან ქალაქის ხმოსნებათ, ხოლო შემდეგი ექვსი მათ მოადგილეთ; ვას. გოგრიჩიძე (64 თეთრი 29 შავი), ა. გოჩელეიშვილი (62-31), ონ. კირთაძე (61-29), ზრ. აზვესტოპულო (60-33), როდზევიჩი (60-34), ბ. გაბუნია (58-34).

ამ დღეებში უნდა წარუდგინონ გუბერნატორს ხმოსნად არჩეულთა სია დასამტკიცებლად და შემდეგ მოხდება არჩევანი ქალაქის თავისა, მისი თანაშემწესი და დანარჩენ მოხელეთა. ვინ იქნება არჩეული ქალაქის თავათ და სხვა წევრებათ, ამას დაგვანახვებს შემდეგი, ხოლო ჩვენ კი იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ხმოსნები იმოქმედებენ თანხმობით და აირჩევენ ამ დიდ მნიშვნელოვან საქმისათვის კაცს, არა კერძო და საკუთარი ინტერესების მიმდევარს, არამედ საზოგადო მოღვაწეს, ხალხის გულშემატკივარს განურჩევლად ერისა და სარწმუნოებისა და პატიოსნებით აღჭურვილს უანგარო მუშაკს. (ივერია, N37, 1896 წელი);

ქ. სოხუმი, 15 თებერვალი

წლევანდელ წლიდამ ქ. სოხუმი ახალს ხანაში შესდგამს ფეხს: ამ წლიდამ აქ, მთავრობის განკარგულებისამებრ, უნდა დამყარდეს ქალაქის თვით-მმართველობა; ეს კი იმას ჰნიშნავს, რომ სოხუმი ამიერიდამ თვითვე შეიქმნება თავისა თავის მმართველ-მომვლელად, თვითვე განაგებს თავისს ბედ-იღბალს, თვითვე დაიცავს თავისს ინტერესებს და უფრო თავისუფლად, უფრო ხელ-შეუშლელად დაიკმაყოფილებს თავისს მოთხოვნილებათ. მაგრამ რომ ამ ნაირმა თავისუფლებამ ქალაქს სასურველი კეთილ-დღეობა მიანიჭოს, ამისთვის აუცილებლად საჭიროა სოხუმელებმა თავიანთი ახლად შეძენილი ძვირფასი განძი თვით-მმართველობის უფლება გონივრულად და შეგნებულად მოიხმარონ, განდევნონ ვიწრო პარტიული ინტერესები.

მაგრამ, ჩვენდა სასიხარულოდ, სოხუმელნი, მგონი, სწორედ სასურველად აპირებენ მოქმედებას ჯერ-ჯერობით და ამ იმედის საფუძვლად ჯერ ხანად ის გარემოებაც კმარა, რომ ამას წინად (თებერვლის 5) მომხდარმა ხმოსანთა არჩევნებმა რიგიანად ჩაიარეს: ხმოსნებად არჩეულ იქმნენ ამ თანამდებობისას სოხუმში. ხმოსანთა რიცხვი 26-ია; ამათში 19 ქართველია, 4 ბერძენი და 3 რუსი. სია ხმოსნებისა გუბერნატორს წარედგინა დასამტკიცებლად.

იმედია ახალი ხმოსნები, როცა იგინი დამტკიცებულ იქმნებიან ამ თანამდებობაზედ, პირ-ნათლად და ენერგიულად წარუძღვებიან თავიანთს მოვალეობას და შეძლებისამებრ გაამართლებენ იმ იმედებს, რომლებიც დაამყარეს მასზე სოხუმელებმა; ვნახოთ როგორ მორიგდებიან იგინი ერთმანერთში ქალაქის გამგეობის შედგენისა და, განსაკუთრებით, ქალაქის მოურავის არჩევის დროს; ვნახოთ, ვის სცნობენ ღირსეულად და როგორს კაცს ჩააბარებენ ამ ფრიად სერიოზულს და დიდად პასუხ-საგებელს თანამდებობას. ჩვენ-კი, ჩვენის მხრით, პირუთვნელად ვეცდებით დავხატოთ, როგორი კაცი უნდა იქმნეს საზოგადოდ არჩეული ქალაქის მოურავად. კაცი, აღჭურვილი ჯეროვანის განათლებით და ცოდნა-გამოცდილებით, მოხერხებით, გამჭრიახის ინიციატორის ნიჭით, პატიოსნებით, შრომის-მოყვარეობით და ენერგიით, სრულიად მოკლებული ყოველ-გვარს წვრილმანს პარტიულს, ანუ ეროვნულს ინტერესებს, სიძულვილს და სამარცხვინო მიდგომილებას, კაცი, საფუძვლიანად მცოდნე ადგილობრივ გარემოებათა და გულით მოყვარული თავისის სამშობლო ქვეყნისა - აი იდეალი ყოველის ქალაქის მოურავისა.

როგორც გვესმის, აქ კიდეც ასახელებენ მოურავად ორს პირს: ბ-ნთ ტატარინოვს და დავით ბაქრაძეს; *) ჩვენც იმის მეტი არა დაგვრჩენია-რა, რომ ეს განზრახვა მოვიწონოთ, რადგანაც ზემოხსენებულნი პატივცემულნი პირნი, ჩვენის ფიქრით, ორივენი საკმაოდ უახლოვდებიან ჩვენ მიერ ზემოდ დასახულს იდეალს... მაგრამ ყველაფერი მოსალოდნელია: ვაი თუ ვინმე უღირსი კაცი იქმნეს ამორჩეული მოურავად და მაშინ დიდს პასუხის-გებაში ჩავარდებიან ხმოსნები საზოგადოების წინაშე, რომელმაც მიანდო მათ თვისი ქალაქის ბედი.

ახლა უნდა აღვნიშნოთ მეორე სანუგეშო მოვლენა. სოხუმში აქამდის არ არსებობს ქართველ მკითხველთათვის არც წიგნთ-საცავი, არც სამკითხველო; დღეს-კი რამდენსამე შეგნებულ პირთ განუზრახავთ დაარსება ქართულ წიგნთსაცავ-სამკითხველოსი ბერძნულ-რუსულის განყოფილებითურთ და კიდევაც შესდგომიან ამ განზრახვის განხორციელებას: გაუმართავთ ხელის-მოწერა წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დასაარსებელ თანხის შესადგენად და ამაზე აზრით აღდგომის დღესასწაულებისათვის აპირებენ ქართულის წარმოდგენების გამართვას. ვუსურვოთ ამ პატიოსან მუშაკთ, რომ მათ სასურველად დაუგვირგვინდეთ ეს სასიქადულო მეცადინეობა, რომელიც, მათდა სასახელოდ, მალამოდ დაედება ჩვენს მრავალ-ტანჯულს დედაენას და ფესვებს გაუმაგრებს იმისთანა ქალაქშიაც, რომელსაც უცხო ელემენტები ისე მძლავრად მოსწოლიან აქეთ-იქიდამ, რომ საცაა სრულიად დაუკარგავენ მას ეროვნულს ელფერს.

ყველა ქართველთაგან დიდის სიმპატიის ღირსია ის პაწია გუნდი სოხუმელ ინტელიგენტთა, რომელიც აქ ყოველთვის გაფაციცებით ადევნებს თვალყურს და თავგამოდებით ესარჩლება-ემსახურება ჩვენს ეროვნულს ინტერესებს, რომელნიც, ჩემის ფიქრით, არსად სხვაგან ჩვენს ქვეყანაში ისე ჩაგრულ-წამებულნი არ არიან, როგორც ამ მხარეში. ამიტომ ყოველი ნამდვილი ქართველი ვალდებულია გულითადი თანაგრძნობა და უხვი დახმარება აღმოუჩინოს ხსენებულის გუნდის მოღვაწეობას. აი ახლა ამ გუნდის წარმომადგენელთ ჰსურთ, რათა განზრახული წიგნთ-საცავ-სამკითხველო, რაც შეიძლება, სამაგალითო იქნეს; კიდეც ჰხმარობენ ყოველს ღონის ძიებას, რომ თავიანთის განზრახვის ასასრულებლად საჭირო და საიმედო წყაროები გამოსძებნონ, მაგრამ, სამწუხაროდ, საკმაო წყაროებს ვერ

შოულობენ და ლამის იძულებულნი გახდნენ მხოლოდ ღარიბი წიგნთ-საცავ-სამკითხველო დააარსონ. მივაქცევთ პატივცემულ ქართველ საზოგადოების ყურადღებას ამ გარემოებას და დიდი იმედი გვაქვს, რომ ამისთანა საქმეებში გულ-უხვი ქართველობა არ დაიზოგავს თავისს წვლილს სოხუმის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს სასარგებლოდ. შემოწირულებათა გამოსაგზავნი ადრესი: Въ г. Сухумъ. Г-ну Михаилу Гвазава.

წელს სოხუმშიაც სასტიკი ზამთარია, თუმცა ეს ადგილი ცნობილია თბილის ზამთრით. ეს მესამე დღეა მშვენიერი დარები სდგას, თორემ აქამდის თოვლისა, ყინვა-სუსხისა და ჭინჭყლიან ამინდებისაგან თავი გვქონდა მოძულებული. /სევ.-ლი/. *) ბ. დ. ბაქრაძემ „ნოვ. ობოზ.“-ში დასტამბულ წერილით უარი განაცხადა კანდიდატურისა. ქ. სოხუმი, 15 თებ. 96 წ. (ივერია, N44, 1896 წელი);

***

სოხუმიდამ ატყობინებენ დეპეშით გაზ. „ნოვ. ობოზრენიეს“: დღეს, 7 მარტს, 2 საათზე სოხუმის ტაძარს ცეცხლი წაეკიდა ნამწვის სანთლისაგან. საკურთხეველში დაიწვა მრავალი შესამოსელი და ერთიც ვერცხლის ხატი. ზარალი სამას თუმნამდეაო“. (ივერია, N56, 1896 წელი);

დ. გუდავათი, (სოხუმის ოლქი)

შაბათს 16 მარტს, აქ წარმოდგენა იყო გამართული. წარმოადგინეს „წუთის საცოლე“, თარგმანი ა. ნებიერიძისა და ორი მოქმედება ა. ცაგარლის კომედიიდამ „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. წარმოდგენიდამ შემოსულ ფულის ნახევარი დანიშნული იყო წყალ-დიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ, ხოლო მეორე ნახევარი ადგილობრივის საზოგადო სამკითხველოს სასარგებლოდ.

იქიდამვე: როგორც შევიტყვეთ, დ. გუდავათში მცხოვრებს ქართველებს განზრახვა თურმე აქვთ, სადაც ჯერ არს, ითხოვონ, რომ აქაურს ეკკლესიაში დრო გამოშვებით ქართულად სრულდებოდეს წირვა-ლოცვა, რადგანაც აქაურ მცხოვრებთა უმეტესობას ქართველობა შეადგენს, რომელსაც რუსული არ ესმის. იმედია, ამ კეთილს საქმეში ადგილობრივი მღვდელიც დაგვეხმარება. (ივერია, N69, 1896 წელი);

1896 წელი

გაზეთი ,,ცნობის ფურცელი''

***

აფხაზეთის, სვანეთის, ჯავახეთის და აჭარის სკოლების და ეკკლესიების ზედამხედველად დაუნიშნავთ ახალგაზრდა ქართველი, ევტიხი მამინაიშვილი. (ცნობის ფურცელი, N8, 1896 წელი);

ქ. სოხუმი

აქაურ სცენის მოყვარენი, კნეინა აღათი შარვაშიძის მოთავეობით, 3 გიორგობისთვეს აპირებენ ქართულის წარმოდგენის გამართვას. დასადგმელად მზადდება: 1) ,,ძუნწი'' თ. გ. ერისთავისა, 2) „ცოლი თუ გინდათ, ეს არის“, ვას. აბაშიძისა და 3) ,,ოინი თუ გინდათ ეს არის“, ვოდევილი სამ. ფრანგულიანცისა. შემოსავალი დანიშნულია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. აქ საქველმოქმედო აზრით ხშირად იმართება ხოლმე ქართული წარმოდგენა და ქართველობა ყოველთვის თანაგრძნობითაც ეკიდება. ეს იმედს გვაძლევს, რომ მომავალის წარმოდგენის სიმპატიური დანიშნულება-დახმარება ამ ჩვენის გაჭირვებულის „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასა“, ახლაც ბევრს ხალხს მიიზიდავს თეატრის დარბაზში, და მით ერთხელ კიდევ დამტკიცდება სოხუმელთა თანაგრძნობა ქართულ საქმისადმი. (ცნობის ფურცელი, N12, 1896 წელი);

***

სოხუმიდან ატყობინებენ გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკ“-ს, რომ ადგილობრივის ქალაქის თვითმმართველობის საქმე მალე დასრულდება და ხალხი საცაა ეღირსება ქალაქის საბჭოს, რომელსაც ბევრი საქმე და დიდი შრომა მოელის სოხუმის გასაუმჯობესებლადაო. (ცნობის ფურცელი, N15, 1896 წელი);

***

ჩვენ გვწერენ დ. სოჩიდამ: (აფხაზეთი). წარსულ ღვინობისთვეში სოჩის (შვაჩეს) მკვიდრნი მსხვერპლნი გახდნენ სოჩისა და მისს მიდამოში უსაქმურად მოწანწალე მუშა ხალხის თავგასულობისა. ერთი მუშა შევიდა აქაურ მეგრელის დუქანში, მოითხოვა არაყი და მანამ სვა, სანამ ჩაეტეოდა. დანახარჯის მიცემაზე-კი უარი უთხრა მედუქნე-მეგრელსა; ეს კი არა, შეურაცყოფაც მიაყენა და საცემრადაც მიიწია. მაშინ კი ვეღარ მოითმინა მეგრელმა: თვითნება მუშტარი კარგად მიამჟავა და უბოდიშოთ გარედ გაუძახა. „შენმა რა მიყოს, თუ სამაგიერო არ გადაგიხადეო“, მიაძახა მუქარით გალახულმა და ბარბაცით წავიდა. მეორე დღეს, თურმე, შეჰყარა გალახულმა თავისვე მსგავსი უსაქმურები, ან, როგორც აქ ეძახიან, „ბოსიავკები“ და დაესხნენ თავს აქაურ ქართველობის მედუქნეებსა. ასტყდა თავგანწირვითი ბრძოლა. ქვები სეტყვასავით წამოვიდა დუქნებისა და შიგ მყოფებისაკენ. მეგრელებმა, როგორც შეეძლოთ, თავი დაიფარეს. მაგრამ მაინც დიდი ზარალი მიაყენეს მედუქნეებს. პოლიცია ფეხზე დადგა და მეგრელებმა იმავ ღამეს ყველამ სატუსაღოში ამოჰყვეს თავი. მთელი ერთი კვირა მეგრელების დუქნები დაკეტილ იყო. ბოლოს, სოჩაში ჩვენი ცნობილი ნაფიცი ვექილი თ. ალ. ქოჩაქიძე მივიდა საქმის გამოსაძიებლად და დაზარალებულებთა ინტერესების დასაცველად. იმედია, პატივცემული თავადი მხნედ მოჰკიდებს ამ საქმეს ხელს და უსამართლობას მალე გამოაქვეყნებს. აი საქმე როგორ იყო და არა ისრე, როგორც სხვა გაზეთებში სწერია. (ცნობის ფურცელი, N20, 1896 წელი);

სოხუმი

ცხრა თვე შესრულდა, რაც სოხუმის მომავალ თვითმმართველობისათვის ხმოსნები აირჩიეს. მაგრამ ამ არჩევნების დამტკიცებას არა ეშველა-რა. არც თუ იმას გვეუბნებიან, უკანონოა ეს არჩევნებიო. თუმცა ბათომის გაზეთი ამბობს, დაირღვევა თებერვლის არჩევნებიო, მაგრამ ეს მხოლოდ სურვილია ამ გაზეთისა. აქ, სოხუმში-კი, ადამიანის ტრადიციას ჯერ არავითარი ცნობა არა აქვს ამ არჩევნების ბედ-იღბლის შესახებ. ამბობენ, თუ დაირღვევა ეს არჩევნები, მიზეზად ის გაუხდება, რომ არჩეულ ხმოსანთა რიცხვში უმეტესობა მეგრელებიაო. (ცნობის ფურცელი, N23, 1896 წელი);

სოხუმი

ეს ერთი კვირაა, საშინელი სიცივეები დაიჭირა სოხუმში. გარშემო გორები გუმასი, აკაფასი და სხვები ამ ორის დღის წინად თოვლით დაიფარა. ღამ-ღამეობით რთვილსაცა სდებს. (ცნობის ფურცელი, N24, 1896 წელი);

სოხუმი

3 ამ თვისათვის დანიშნული ქართული წარმოდგენა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ“ სხვა-და-სხვა მიზეზთა გამო გადადებულ იქმნა 14 ამ თვისათვის. აქაური საზოგადოება მოუთმენლად მოელის ამ წარმოდგენის გამართვას. (ცნობის ფურცელი, N24, 1896 წელი);

სოხუმი

სოფ. აბჟაყვაში შემაძრწუნებელი ავაზაკობა მოხდა. ვენეციელთა ძველი ხიდის გაღმა განმარტოებით მცხოვრები მეგრელი გლეხი ქობალია გახდა მსხვერპლი ამ ავაზაკობისა. ამ ხიდთან სოხუმიდან მომავალს გზას აკეთებენ. მუშებში, სხვათა შორის, სპარსელებიცაა, რომლებსაც მოკლულ ქობალიას სახლში ჰქონდათ ღამ-ღამობით ბინა, 4 ამ თვისას, საღამოზე, სტუმარ-მასპინძელი რაღაზედაც წალაპარაკებულან. ლაპარაკი ჩხუბად გადაქცეულა და ერთ სპარსელს გალესილი დანა კობალიასათვის გულში უძგერებია და იქვე გაუგორებია. მეორე დღეს, დილა ადრიანად, გუმისტინის ნაწილის უფროსს იაკოვჩუკს შეატყობნეს ეს სამწუხარო ამბავი. იაკოვჩუკიც ფიცხლავ წავიდა და ერთი სპარსელი შეიპყრო, რომელიც დაპატიმრებულია. მეორე მისმა ამხანაგმა თავს უშველა და დღესაც დაეძებენ. განსვენებული ქობალია შუახნისა იყო. მეზობლებში უწყინარისა და პატიოსან გლეხის სახელი ჰქონდა. სიკვდილს შემდეგ უპატრონოდ დარჩა ქვრივი ცოლი და ხუთი ერთი-მეორის მომდევნო ბავშვი, რომელთაგან უფროსი 8 წლისაა. მათი ტირილი ქვასაც-კი მოულბობს გულსა... (ცნობის ფურცელი, N25, 1896 წელი);

ს. ილორი (აფხაზეთი)

10 გიორგობისთვეს მთელს აფხაზეთში განთქმულის ილორის ეკლესიაში დღეობა იყო. ხალხი, ჩვეულებრივ, მრავალი დაესწრო. სამურზაყანოელების გარდა ბევრი მლოცველი მოუვიდა გურიიდან, იმერეთიდან და ეგრეთვე სამეგრელოდან. მწირველი ბრძანდებოდა ოჩამჩირის ბლაღოჩინი იოანე კერესელიძე. წირვის შემდეგ მამა კერესელიძემ მლოცველებს ამ დღის შესაფერის ქადაგებით მიმართა, რამაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე. დარი კი ხელს არ უწყობდა დღეობას. (ცნობის ფურცელი, N35, 1896 წელი);

სოხუმი

26 ნოემბერს, ღამე, გაქურდეს აქაურ სკოლის მასწავლებელი ანთიმოზ ჯუღელი; წაიღეს რაც კი რამ ხელს მოხვდათ: ლოგინი, ტანთსაცმელი, ჭურჭელი და სხვა, სულ 400 მანათისა. მეორე დღესვე მოპარული ნივთები უპოვნეს სამრევლო სკოლის ყარაულს სოკოლოვს, რომელიც პასუხისგებაში მისცეს. (ცნობის ფურცელი, N46, 1896 წელი);

სოხუმი

არქიელის ხოროს მგალობელი სოკოლოვი, რომელმაც სოხუმის სამოქალაქო სკოლის მასწავლებლს ანთიმოზ ჯუღელს, ნივთები მოჰპარა, პოლიციამ შეიპყრო, ოთხ დღეს დაპატიმრებული ჰყავდა. ეხლა-კი გამოუშვია, თურმე, და თავისუფლად დადის სოხუმში. ასე ამბობენ, პოლიციამ იმიტომ გაანთავისუფლა, შენი ამხანაგი ქურდები იპოვნე და მოგვიყვანეო. (,,ნოვ. ობოზრ''). (ცნობის ფურცელი, N53, 1896 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი)

ცუდ მდგომარეობაში ვართ ჩავარდნილი უწამლობის გამო. აქ თუმცა არის კერძო აფთიაქი, მაგრამ მის პატრონი, ერთად-ერთი კაცი, აგენტიც არის ერთ-ერთს ხომალდთა საზოგადოებისა და დაბის დეპუტატიც, ადვილი წამოსადგენია, თუ როგორ ძნელია წამლის შოვნა ოჩამჩირეში. დღეში ოცჯერ უნდა მიხვიდეთ აფთიაქში, რომ ერთხელ შეხვდეთ წამლის მომცემს. პროვიზორი ან ხომალდშია, ან საქონელს ათვალიერებს, ან სხვა საქმეებზე დარბის, დარწმუნებული იმაზე, რომ თავისს სპეციალ ხელობიდანაც ვერაფერს წააგებს, რადგან კონკურენტი არავინა ჰყავს და ხუთს დღესაც რო უცადო, მაინც ერთად-ერთ აფთიაქიდგან უნდა გამოიტანო წამალი.

ჩვენში ეხლა კარგი დარებია. სიმინდის ფასს შაური მოემატა, ე.ი. ეხლა 35 კაპ. თათრები ყიდულობენ და აქვე ინახავენ, გაზაფხულზე ფასი მოემატებაო. (ცნობის ფურცელი, N59, 1896 წელი);

სოხუმი

ამ ახლო ხანებში აქ მოვიდა „კავკასიაში ქრისტიანების გამავრცელებ საზოგადოების“ მიერ დანიშნული მისიონერი, მოსკოვის სასულიერო აკადემიაში ახლად კურსდამთავრებული ბ-ნი ევტიხი მამინაიშვილი. ბატონმა მისიონერმა მოიარა აფხაზეთი და ქრისტიანობის გავრცელების საქმე ძალიან უნუგეშო მდომარებაში ჰპოვა. ახლად მონათლული აფხაზები ისევ მაჰმადის სარწმუნოებაზე გადასულან. სოფლებში მოლები გამრავლებულან და მედ-რესები გაუხსნიათ აფხაზების ბავშვებისათვის. კვირა-უქმეობით ეკკლესიებში მარტო მღვდელ-დიაკონს თუ ნახავს კაცი. ეს სამწუხარო მოვლენა შენიშნულია ბზიფში (დასავლეთ აფხაზეთში), რომელიც მამა ამბროსი კავკასიძის შემდეგ უმისიონეროდ იყო დარჩენილი. ბ-ნმა მამინაშვილმა ქრისტიანების ამ უნუგეშო მდგომარეობას განსაკუთრებული ყურად-ღება მიაქცია და აღგვითქვა, სათანადო ღონეს ვიღონებ ქრისტიანობის აყვავებისათვის აფხაზეთშიო. სრული იმედი გვაქვს, ბ-ნ მამინაშვილის მოღვაწეობა აქეთკენ შესაფერს ნაყოფს გამოიღებს, რადგან, ჯერ ერთი, ახალგაზრდა კაცია, ჯანითა სავსე და ყოველის კეთილის მისწრაფებით გამსჭვალული და მეორეც, როგორც ჩვენებური კაცი, უფრო მიხვდება ადგილობრივს საჭიროებას და მისთვის შესაფერ წამლის გამოძებნას. (ცნობის ფურცელი, N63, 1896 წელი);

ბედია (სამურზაყანო)

ჩვენი ძველი დიდებული ბედიის ტაძარი ბერების ხელში გადადის. ამათ უკვე გამოგზავნეს ორი ბერი რუსეთიდან ამ მონასტრისათვის ადგილის დასათვალიერებლად და ადგი-ლობრივის პირობების შესატყობად. გამოგზავნილებმა დაათვალიერეს ბედიის ტაძრის ადგილ-მდებარება და ძალიან მოიწონეს. გარშემო დასახლებულ 30 კომლ გლეხებს განაჩენი

შეაყენებინეს, რომლის ძალით ესენი ვალდებულნი არიან მომავალს მონასტერს დაუთმონ თავიანთი სამოსახლო ადგილები, თვითონ-კი აიყარნენ იქიდან და სხვაგან დასახლდნენ. (ცნობის ფურცელი, N65, 1896 წელი);

ახალი ამბავი

დაბა ოჩემჩირედამ დეპეშით გვატყობინებენ, რომ წულუკიძის ქალი და მისი მომტაცებელნი სამურზაყანოში შეუპყრიათ 21 დეკემბერს. (ცნობის ფურცელი, N66, 1896 წელი);

სოხუმი

თ. წულუკიძის ქალის შესახებ. უკვე გაუწყეთ დეპეშით დაბა ოჩამჩირიდან თ. კოწია წულუკიძისა და მასთან გაქცეულის თავადის ასულის მარიამ წულუკიძის შეპყრობა სამურზაყანოში. ვეშურებით დაწვრილებით გაცნობოთ მათი თავგადასავალი, რომელმაც ფეხზე დააყენა მთელის ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაცია და რომელმაც სხვა ყველა საზრუნავი დაავიწყა ერთის თვის განმავლობაში. ეს ერთი თვე და ხუთი დღეა, რაც ორივე გამოქცეულნი იმალავდნენ თავსა ქუთაისის გუბერნიაში. უკანასკნელს ხანებში, სოხუმის ოლქში გადმოსულან. თან ახლდათ მოსამსახურედ ვინმე ადამია. უცდიდნენ ორნივე ამ ქრისტეშობისთვის მარხვის გასვლას, რომ მერე, გახსნილებულზე, ჯვარი დაეწერათ. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მხოლოდ 21 ამ თვისსას მიაგნო მათს კვალსა. აცნობეს, რომ ორივე ქალ-ვაჟი სამურზაყანოს სოფელს გუდავაში ერთის გლეხის სახლში სცხოვრობენო. ზემო-აღნიშნულს რიცხვს შუაღამისას დაბა ოჩამჩირის ბოქაულმა ბ-ნმა შუბინმა თან იახლა შეიარაღებული ჩაფრები და გასწია იმ გლეხის სახლისაკენ სადაც თავს იფარავდნენ გამოქცეულნი. ძილში მყოფი შინაურები ერთბაშად გამოაღვიძა უდროოდ-მოსულების ხმაურობამ. ახალგაზრდა წულუკიძის ქალი თამამად გამოეგება და უთხრა: „ჩვენ წინააღმდეგობის გამწევნი არა ვართ; მხოლოდ ტანისამოსის ჩაცმა გვაცალეთ და გამოგყვებითო“. იმავ ღამესვე ოჩამჩირეში ჩამოიყვანეს და იქიდან სოხუმის ოლქის უფროსს აცნობეს: შევიპყრეთ, ვისაც დავეძებდითო და გემით გიგზავნითო. 22 ამ თვისას მყისვე მოეფინა ეს ამბავი მთელს სოხუმსა. და ხალხი სულ ნავთსადგურისაკენ გამოიხვეტა, საინტერესო ტყვეების სანახავად. გემში სოხუმის პოლიცმეისტერი კოტლიაროვი და ბოქაულები შეეგებნენ ახლად მოყვანილებსა. ათასი თვალი ქალ-ვაჟს დააცქერდა. 17-18 წლისამ, შავგვრემანმა, ლამაზის სახის პატრონმა, ტან-აყრილმა, ხავერდისებურმა თვალებიანმა თავადის ასულმა ყველას ყურადღება მიიპყრო. ტანთ სადად ეცვა. შინ სათუთად აღზრდილი მთელი ერთი თვე ერთის ადგილიდგან მეორე ადგილას წოწიალით, ცოტა არ იყოს გამხდარიყო. მიუხედავად ამისა, ძალზე შვენოდა. მის გვერდით იდგა მოხდენილი ვაჟკაცი ასე 23-24 წლისა, გრუზა თმიანი, მოკლე ხუჭუჭა წვერ-ულვაშიანი, შავგვრემანივე თავადი კოწია წულუკიძე. საყვარელ ქალის განშორების მოლოდინში, მალ-მალე ეცვლებოდა ფერი. ქალს-კი უფრო უშიშრად ეჭირა თავი და თავისის სითამამით თითქოს სატრფოს გამხნევებას სცდილობდაო. პოლიცმაისტერმა სთხოვა ქალს, გამომყევითო. მარტო? - ჰკითხა ნაზის ხმით თავადის ასულმა. იმას მერე წამოვიყვათო,-უპასუხა პოლიცმეისტერმა. მარტო არ წავალ; თუ ,,ისიც'' წამოვა... ნავში ამდენი ვერ ჩავეტევით, სათითაოდ გაგიყვანთ და ნაპირას ერთად იქნებით. ქალი ხედავდა, რომ ნავი იმისთანებს 50 ჩაიტევდა და უსიტყვოდ კოწიას შეხედა. ვაჟმა თავი-ღა დაუქნია-წადიო. ქალი ნავში ჩასვეს მარტო და ოლქის უფროსთან წაიყვანეს. ოლქის უფროსმა წინასწარი ჩვენება ჩამოართვა ქალსა, ,,ვაჟი, რა ხანია, - უთხრა ქალმა, - მიყვარდა, მაგრამ ჩემი დედ-მამა ჰკიცხავდნენ ჩემს გრძნობასა და კაცს ჩემის სურვილით წამოვყევიო, ძალა

არაფერში არ დაუტანებიაო. რო ჩემი ნება არ ყოფილიყო, აფხაზეთის ტყეებში სიარულით მთელი თვე და ხუთი დღე რად გავიმწარებდი დღესაო“... კოწია წულუკიძე, მარღანია, რომელმაც სახლში თავი შეაფარებინა გამოქცეულთა და ადამია დეკემბრის 22 ღამესვე, გუბერნატორის ბრძანებით, ქუთაისში წამოიყვანეს. ხოლო ქალს სოხუმიდამ ბოქაული ა. გაგუა გამოაყოლეს და გემ „კოსტანტინზე“ ბათომში გამოისტუმრეს, სადაც დედ-მამა და სხვა ნათესავები მოელოდებოდნენ. ბათომის ნავთსადგურზე დიდძალს ხალხს მოეყარა თავი თავ. წულუკიძის ქალის სანახავად. სანამ მგზავრებს გამოუშვებდენ ხმელეთზე, გემზე შემოვიდნენ წულუკიძის საქმისათვის გამოგზავნილი პროკურორი შუხი, ბათომის პოლიცმაისტერი და ადგილობრივის პოლიციის ბოქაულები. წულუკიძის ქალი ცალკე ოთახში შეიწვიეს და პროკურორმა ჰკითხა ამბის ვითარება. პროკურორსაც იგივე ჩვენება მისცა, რაც სოხუმში ოლქის უფროსს. ამის შემდეგ ქალი პოლიციამ მშობლებს ჩააბარა, რომელთაც მეორე დღეს, სახლში უნდა წამოეყვანათ. (ცნობის ფურცელი, N68, 1896 წელი);

სოხუმი. გიორგი წერეთელი და ხე-ტყით ვაჭრობა

ამ ახლო ხანებში ჩვენს ქალაქში ჩამოვიდა ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსი ბ-ნი გიორგი წერეთელი. აქაურებს უნდოდათ თვისი სიმპატია გამოეცხადებინათ დიდებულის მოღვაწისათვის და ვახშამი გაემართათ, მაგრამ ბ-ნ გ. წერეთელის აჩქარებით წამოსვლისა გამო, ვერ მოახერხეს. მის აქ მოსვლას აზრადა ჰქონდა დათვალიერება აქაურის ტყეებისა. პატივცემულს გ. წერეთელს, თურმე განუზრახავს ხე-ტყით ვაჭრობა დაიწყოს. მართალია, მისს საისტორიო მოღვაწეობას, ცოტა არ იყოს, ხელი შეეშლება; მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ აქეთკენ მთელი ვაჭრობა ხე-ტყითა უცხოელ ვაჭრებს აქვს ხელში ჩაგდებული და, ლამის არის, სულ გააჩანაგონ აქაური უტეხი ტყეები. ამის მაგივრად, რომ ჩვენ ვისარგებლოთ ჩვენის საქონლითა, ვიღაც უცხოელები ეზიდებიან ჩვენის ქვეყნის გარეშე ჩვენს სიმდიდრესა. რათა მათს თავ-გასულობას ბოლო მოუღოს და ჩვენი სიმდიდრე ჩვენშივე დაატრიალოს, ცნობილს ისტორიკოსს უნდა ხე-ტყით ვაჭრობის ამხანაგობა შეადგინოს, მონაწილეობა მიაღებინოს ჩვენებურს კაპიტალისტებსა და საქმე პირდაპირ უცხოებთან დაიჭიროს უშუამავლოდ. იმედი გვაქვს, ბ-ნი გ. წერეთელი ჩვეულებრივის სიმხნევით და წინდახედულებით წაიყვანეს საქმესა. იმის იმედიცა გვაქვს, რომ ჩვენი ისტორიკოსი, აქეთკენ ყოფნის დროს, აქაურს არქეოლოგიურს ნაშთებსაც მიაქცევს თვისს განათლებულს ყურადღებას. სულითა და გულით ვისურვებთ მისს წარმატებას და საქმის რიგიანად დამთავრებას. (ცნობის ფურცელი, N71, 1896 წელი);

1896 წელი

გაზეთი ,,კვალი''

***

მთავრობას რამოდენიმე თანხა გადაუდვია, რომ ქ. სოხუმის ნავთ-სადგური შესაფერათ მოაწყოს და გააუმჯობესოს. (კვალი, N4, 1896 წელი);

საყურადღებო ამბები

აფხაზეთი (აბჟუვა). ჩვენსკენ წელს დიდი ზამთარი დგას: ჯერ იყო და გამუდმებითმა წვიმებმა თავი მოაბეზრა როგორც პირუტყვს, ისე ადამიანსაც. მაგრამ ამას ვინღა ჩიოდა, რომ დიდი თოვლიც ზედ არ დართოდა ამ წვიმებს. იანვრის მეორე ნახევრიდან დაიწყო თოვა და ერთი საჟენი თოვლი დადვა მთა-გორიან სოფლებში და სოფლის ნაწილებში, ზღვის პირათ კი ერთ არჩინამდის. ღრმათ მოხუცებულნი ამბობენ, ამოდენა თოვლს არ მოვსწრებივართო. შარშან აფხაზეთში თოვლი თვალითაც არ უნახავს კაცს. ამიტომ ხალხი მეტათ მოუმზადებელი დახვდა წლევანდელ ზამთარს. ამიტომაც ამ დიდმა ზამთარმა აუარებელი ზარალი მოუტანა მცხოვრებლებს: ზოგს სახლი ჩაუმტვრია, ზოგს ბოსელი, ზოგს სასიმინდე და სხ. ხეხილისა და სხ. ხეების წაქცევა-დამტვრევას ვინღა ჩამოთვლის. სხვათა შორის, ს. ტკვარჩელის ეკლესიის სახურავი ჩაამტვრია დიდმა თოვლმა. სოფ. ჭილოვში ერთი გლეხი საქონელს მიერეკებოდა თურმე საყანე ადგილისაკენ. (აფხაზეთში სადაც სიმინდის ღერს მოჭრიან, იქვე ხეებზე ჩამოკიდებენ ხოლმე და დრო და საჭიროების-დაგვარათ ხან იქვე აძლევენ საქონელს ჩალას და ხან შინ მოაქვთ), ამ დროს ზევიდან წამოგორდა თოვლის ზვავი, რომელმაც ქვეშ მოიტანა საწყალი გლეხი საქონლიანათ. რამდენმე დღეს შემდეგ ამოთხარეს თოვლიდან საბრალო გაყინული გლეხი და მიწას მიაბარეს. ცხენით მისვლა-მოსვლა სოფლებს შუა თითქმის შეწყვეტილია. ბევრგან „თხილამურებით“ დაიარებიან ახლაც კი. რადგან მისვლა მოსვლა სოფლებს შუა არ არის, რამდენი ზარალი და უბედურება მოხდა, ნამდვილათ არავინ იცის. ხმელეთზე რომ ასეთი თოვლი მოდიოდა, ამავე დროს ზღვაც საშინლათ ღელავდა და ბობოქრობდა. ამანაც აფხაზეთის ნაპირებს არა მცირე ზარალი მოუტანა. ამისთანა დიდი და ხანგრძლივი ღელვა, 30 წელიწადია, რაც არ გვინახავსო, ამბობენ ოჩამჩირელები. თითქმის ორი კვირა ოჩამჩირე მოწყვეტილი იყო ქვეყნიერებას, რადგან გემები შორს გაურბოდენ მას. ამ დიდმა თოვლმა ერთი სარგებლობაც მოუტანა ქვეყანას: რაც თოვლი მოვიდა, ქურდობა თითქმის მთლათ შეწყდა და დროებით მაინც თავისუფლათ ამოისუნთქა მცხოვრებლებმა. არც ტყის ნადირთ დაუდგათ ხეირიანი დღე, მონადირეებსაც ეს უნდოდათ. იმათ ბევრი ნადირი დახოცეს, ბევრი ცოცხლათ დაიჭირეს. სამწუხაროთ აფხაზები ღორის ხორცს არა ჭამენ, ხოლო გასაყიდათ ვერ გაუტანიათ. ერთი გირვანქა თოფის წამალში იძლევიან დაკლულ გარეულ ტახს, მაგრამ წამღები არავინ არის. ერთი სიტყვით, წლევანდელი საოჯახო წელიწადი ვერაფერი ხეირიანია ჯერ-ჯერობით აფხაზეთისათვის. სიმინდის მოსავალი გვარიანი იყო, მაგრამ იმის დასი ხომ დაეცა და დაეცა. უმაზანდობის გამო სასიმინდეებში ლპება ამ წვიმიან წელიწადს სიმინდი. მოუთმენელათ მოელიან მცხოვრებნი გაზაფხულს, იქმნება სიმინდის მაზანდამ აიწიოს და რამე ეშველოს ჩვენს გაჭირვებასაო. ვნახოთ. /პ. მ./. (კვალი, N9, 1896 წელი);

გუდაუთი (სოხუმის ოლქი)

მართალია, გუდაუთის მაზრა ყოველთვის ცნობილი იყო სუხუმის ოლქის ერთ მოუსვენარ კუთხეთ, მაგრამ, სამწუხაროთ, აქ არასოდეს ავ-კაცობა, ქურდობა, კაცის კვლა და სხვა ბოროტ მოქმედებას იმ ზომამდის არ მიუხწევია, როგორც ახლა. ქურდობა, რომელიც შეადგენს უპირველეს ხელობას აქაურ მკვიდრთა უმრავლესი ნაწილისას, დღეს ისე გაძლიერებულია, რომ ვისაც სურს თავისი ოფლით ირჩინოს თავი, ის ყოველ ღონისძიებას მოკლებულია, რადგანაც მას პირუტყვს არასოდეს არ შეარჩენენ. მაგრამ ამას ვინ ჩივის: 1893 წლიდან, აქ ისე გაძლიერდა კაცის კვლა, რომ თითქმის არ გაივლის ისე დღე, რომ რომელსამე სოფელში კაცი არ მოკლან. ერთ აქაურ საზოგადოებაში (ოთარაში), ერთი წლის განმავლობაში (1895 წ.) მოუკლავთ ოცამდე კაცი; აქ ისეთი უზომო შიშია, რომ, მცხოვრებნი, შეღამდება თუ არა, ჩაიკეტავენ კარს თავიანთ ქოხებისას და მეზობელს ცეცხლი რომ წაეკიდოს ვერ ბედავენ

მისაშველებლათ გამოსვლას. აქაური ძველი კაცები ამბობენ, რომ ამნაირი უბედურება აფხაზეთს ჯერ არ წვევიაო. ამ უბედურების უმთავრეს მიზეზს შეადგენს ის, რომ აქ რამდენიმე დამნაშავე კაცი მთავრობას ემალება და სოფლებში კი დადიან საავაზაკოთ; ამათ ემატებათ სხვებიც და ერთათ ესენი შეადგენენ ავაზაკთა ბრბოს, რომელიც შიშის ზარს გვრის მცხოვრებლებს. მაზრის უფროსი, ბ. ჩიქოვანი, ძალიან გულმოდგინეთ მეცადინეობს ავ-კაცობის წინააღმდეგ, მაგრამ, სამწუხაროთ, ვერაფერს ვერ გახდა ჯერ-ჯერობით. ამ ორი კვირის წინეთ, მან ჩამოიარა მისდამი რწმუნებული მაზრა და, ყველა სოფლებში მამასახლისებათ აარჩევია მაღალი წოდების პირნი, ე.ი. თავად-აზნაურობა, იმ განზრახვით, რომ იმათი მეცადინეობით უფრო შეიძლება ავ-კაცობის მოსპობა. ეს აზრი ბ. ჩიქოვანისა, ჩვენი ფიქრით, არ უნდა დარჩეს სრულიათ უნაყოფოთ, რადგან აქ თავად-აზნაურობა გავლენიანი ხალხია. (,,კვალი'', N25, 1896 წელი);

***

სოხუმის საოლქოში, ოჩემჩირის მახლობლათ, ხილიკვარში, ქუთაისის მცხოვრებს თადეოზ პაიჭაძეს აღმოუჩენია ქვა-ნახშირი („ Кавказь“). (,,კვალი'', N32, 1896 წელი);

***

ქ-ნო რედაქტორო! ჟურ. „კვალის“ მე-25 ნომერში გუდაუთიდან წერილი გახლდათ დასტამბული, სადაც კორესპონდენტი ეხება ჩემდამი რწმუნებულ გუდაუთის მაზრას, აფხაზეთის ერთ ნაწილს, რის გამო, სიმართლის აღსადგენათ, უმორჩილესათ გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩემ წერილს თქვენ პატივცემულ გაზ. „კვალში“. კორესპონდენტი მოგვითხრობს, რომ, თუმც გუდაუთის მაზრა ყოველთვის ცნობილი იყო სოხუმის ოლქის ერთი მოუსვენარ კუთხეთ, მაგრამ, სამწუხაროთ, აქ არასდროს ავ-კაცობას, ქურდობას და სხვა ბოროტ-მოქმედებას იმ ზომამდი არ მიუხწევია, როგორც ამ ჟამათო; ამის დასამტკიცებლათ უჩვენებს სოფ. ოთარას საზოგადოებაზე, სადაც წარსულ 1895 წლის განმავლობაში მოუკლავთ ოცამდე კაცი. გასაკვირია, ნეტავი რომელ წყაროებიდან ამოკრიბა კორესპონდენტმა ეს სტატისტიკური ცნობები? თუ ასე საჭირო იყო მისთვის ესენი, მობრძანებულიყო ჩემთან კორრესპონდენტი, გადაუშლიდი ჩემდამი რწმუნებულ სასამართლოის 1883-1893 წწ. საქმეებს (თუმცა ეს კანონით აკრძალულია) და ნათლათ დაინახავდა, რომ ამ ზემოხსენებულ ხანებში ერთი-სამათ უფრო გახშირებული ყოფილა ავ-კაცობა, ვიდრე ამ სამი წლის განმავლობაში. რაც შეეხება სოფ. ოთარას საზოგადოებას, იქ ოცამდე კაცი კი არ არის მოკლული, არამედ სულ 1895 წ. განმავლობაში მოუკლავთ მხოლოთ შვიდი, ისიც, აი, როგორ: ორი ქალი და ერთი ვაჟი უცაბედათ არიან მკვდარნი და ოთხნი კი შურისძიებით, ან როგორც აქ ეძახიან „სისხლის ამოღებით“, რომელიც მოხდება ხოლმე ქალის მოტაცების დროს და შეურაცხოფის მიყენების გამო. ძალიან იშვიათია, რომ აფხაზმა გაძარცვოს, ან სხვა რაიმე შეძენისათვის კაცი გამოასალმოს წუთისოფელს. „სისხლის ამოღება'' თავიდანვე ჩვეულებათ აქვთ აქაურ მკვიდრთ გადაქცეული და „ჩვეულება ხომ რჯულზე უმტკიცესიაო“, როგორც ამბობენ; ამიტომ ამის მოსპობა ერთბაშათ თითქმის შეუძლებელია. რომ ქურდობაც ჩვეულებრივი მოვლენაა აქ, ესეც მართალია, მაგრამ ისე გახშირებული კი არა, როგორც კორესპონტენტი მოგვითხრობს. სამწუხაროთ, ქურდობის გაძლიერებას რამდენიმეთ ხელს უწყობს თვით მცხოვრებთა დაუდევრობა და უმწყემსობა. მაგალითათ: პატრონს საქონელი ღამე გარეთ დაურჩა; პირუტყვს თუ სახლში მოსვლა დაუგვიანდა, პატრონი იფიქრებს: უსათუოთ მომპარავდენო და თავ-მოხდილი მიქრის სასამართლოსაკენ საჩივარით, რომლითაც თხოულობს დაკმაყოფილებას ან საქონლით და ან ფულით მთავრობის გადაწყვეტილების ძალით. ხშირათ მეორე, ან მესამე დღეს საქონელი თავისით სახლში მოსულა, ან და ის მგლის ლუკმათ გამხდარა და პატრონი კი სასამართლოში ეძებს დაკმაყოფილებას. ამისთანა მაგალითები ბევრია...

ძირითადი მიზეზი ასეთი მოვლენისა გახლავთ, როგორც ზევითა ვთქვი, ძველი დროიდან დარჩენილი და ჩვეულებათ გადაქმნილი „შურის-ძიება“, რომელიც თან დევს ყოველსავე გაუნათლებელ ხალხს; საინტერესოა, თუ როგორ უცქერის აფხაზი თავის ვინაობას და სარწმუნოებას; მაგ., მას რომ ჰკითხო, შენ რა სარწმუნოებისა ხარო, ის თამამათ გიპასუხებს: „აფხაზი ვარ და აფხაზის რჯულს ვიცავო“. რომ ზნე და სარწმუნოება დაეცენ და ხალხი გაირყვნა, ამას ამტკიცებს სხვა-და-სხვა შემთხვევა. მაგრამ აქ ადმინისტრაცია ბევრს ვერას გახდება; ეს საზიზღარი ჩვეულებანი შემცირდებიან მხოლოთ მაშინ, როდესაც ამ მხარეში დაბერავს სწავლა-განათლების შუქი. რაც შეეხება მამასახლისებათ თავად-აზნაურების არჩევას, ეს გარემოება, ვგონებ, უნაყოფოთ არ დარჩეს, რადგან ამ მაღალ წოდების პირთ მეტი გავლენა აქვთ თავიანთ სოფლებში, და თუ ესენი კეთილ სინიდისიერათ მოეკიდებიან სოფელს, ხალხშიაც ისე ვეღარ მოიკიდებს ფეხს სხვა-და-სხვა გვარი ბოროტ-მოქმედება. /უფროსი გუდაუთის მაზრისა ბესარიონი პავლეს-ძე ჩიქოვანი/. (კვალი, N32, 1896 წელი);

გუდაუთი (აფხაზეთი)

აქაური სამკითხველოს საქმე როგორც იყო მოეწყო და დღეს კი უფრო იმედიანათ შევყურებთ. განსაკუთრებით დიდი შრომა მიუძღვის მამა იასონ ჩაჩანიძეს. რაც ის საზოგადოებამ ამოირჩია თავჯდომარეთ, მას შემდეგ მკითხველთა რიცხვი მატულობს. დიდი ამაგი მიუძღვის მას აგრეთვე გუდაუთის საზოგადოების წინაშე. უფრო საყურადღებოა ის გარემოება, რომ მან მონათლა 800-მდე აფხაზი. მისი ქადაგებით, თავმდაბლობით, ტკბილი სიტყვა-პასუხით და მაგალითებით იქამდის მიიყვანა ეს ხალხი, რომ დღეს არც ერთი მათგანი ნამდვილი ქართველ მართლ-მადიდებელ ქრისტიანს არ ჩამოუვარდება და გულდასმით ისმენს მის მამა-შვილურ დარიგებას. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს მისი ქადაგება და წირვის დროს წაკითხული სახარების განმარტება. მამა იასონი ამორჩეულ იქმნა უკენჭოთ სამკითხველოს მმართველობის თავმჯდომარეთ; ყველა საქმეებს თითონ განაგებს და ყოველგვარ საშუალებას ხმარობს ბიბლიოთეკის გასაუმჯობესებლათ. დიდათ დაგვეხმარა და სამუდამო წყარო აღმოუჩინა აგრეთვე ხსენებულ სამკითხველოს, დაეთმო უფასოთ სახლი, შეშა და სანათი. /თ. გ-ძე/. (კვალი, N44, 1896 წელი);

1896 წელი

ჟურნალი ,,მწყემსი''

წერილები და მიწერ-მოწერები ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა სხვა-და-სხვა პირებთან და დაწესებულებაებთან

წერილი ა. ნ. მურაკიევისა, 9 თებერვ. 1871 წ.

ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო!

თუმცა მე პირად ვერ გიცნობთ თქვენ, მაგრამ ალბად თქვენი მეუფება მიცნობს მე ჩემი ლიტერატურული სასულიერო შინაარსის ნაშრომით; მე ჩემის მხრით დიდის სიხარულით წავიკითხე ,,მართლმადიდებელ მიმოხილვაში'' თქვენი მისიონერული მიზნით მოგზაურობა აფხაზეთში და ამ თქვენი მოგზაურობის წაკითხვამ აღმიძრა სურვილი, რომ წერილობით გამომეცხადებია თქვენთვის ის უღრმესი პატივისცემა, რომელსაც მე

იმ დღიდამ თქვენდამი ვგრძნობ. მადლობა ღმერთს, რომ ეს ველური მხარე, რომელიც მე ვნახე 1847 წელში და-ბოლოს ეღირსა ისეთ განმანათლებელს, რომელსაც როგორც ადგილობით მკვიდრს, უფრო სინამდვილით ეცოდინება მისი სულიერი საჭიროებანი, ვინემ ყველა იმ მისიონერთ, რომელთაც სრულებით უსარგებლოთ გზავნიდენ ხოლმე აფხაზეთში. გაცოცხლდა ხელახლავ ძველი ბიჭვინტა და განახლდება ეკკლესია სიმონ კანანელისა, დრანდის მონასტერი და სხვა მრავალი გაოხრებული ეკკლესიები. ნეტავი აჭარა და ახალციხის მხარეც, სადაც ადგილობითი ქართველები დიდის ერთგულებით აღიარებენ მაჰმადის სარწმუნოებას ეხლაც კი, როცა ეს მხარეები რუსეთის მფლობელობაში იმყოფებიან, ეღირსებოდენ თქვენისთანა მქადაგებელს, როგორსაც ეღირსა აფხაზეთი, რომელიც თქვენდამი რწმუნებულ ეპარქიას არც კი ეკუთვნის.

თქვენ ალბად წაკითხული გექნებათ აღწერა საქართველოსი, სომხეთის და ვრცელი აღწერილობა გელათისა ჩემ მიერ. ამის შემდეგ მოტაცებულ იქმნენ გელათიდამ ძვირფასი ხატები. ფრიად მსურს შევიტყო, ნახეს თუ არა ხახულის და ბიჭვინტის ხატები, რომელნიც საქართველოს საუკეთესო განძს შეადგენენ. ხელუხლებელია თუ არა სალაროში ბაგრატის გვირგვინი და ბეჭედი დავითისა? ამასთანავე ძლიერ მსურს მოვიპოვო ფოტოგრაფიული სახე ღვთის-მშობლისა, რომელიც გელათის ტაძრის საკურთხეველშია საოცრად დახატული. ძლიერ მასიამოვნებთ, თუ ასეთ ფოტოგრაფიულ სახეს გამომიგზავნით და მასთან მაცნობებთ ყოველივეს იმ დაკარგული ხატების შესახებაც. მე დაიმედებული ვარ, რომ თქვენ უპასუხოდ არ დასტოვებთ ჩემს წერილს. დავშთები თქვენი მეუფების სრული პატივისმცემელი უმორჩილესი მოსამსახურე... ამ წერილზე მათი მეუფების ხელით აწერია: ,,1871 წელსა, 10 მარტს. პასუხი მიეცა.'' (მწყემსი, N4, 1896 წელი);

სია სასულიერო წოდების პირთა, რომელნიც დაჯილდოებულ იქმნენ მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა წმ. დაგვირგვინების დღეს სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის

საქართველოს საექსარხოსოში ა) ენქერით - ფარსის მაცხოვრის ეკ., გურია-სამეგრელოის ეპარქიისა დეკანოზი იოსებ ვაცაძე; ბ) დეკანოზობის ხარისხით: ხაშმის წმ. გიორგის ეკკლესიისა, თბილისის მაზრისა, მღვდელი ლეონ ბაქრაძე; სენაკის მაცხოვრის ეკ., გურია-სამეგრელოის ეპარქიისა, მღვდელი სიმონ ქავთარაძე; ქ. ქუთაისის იოანნე ნათლისმცემლის ეკკლესიის მღვდელი ოქროპი კაჭახიძე; გ) მკერდის ჯვრით, უწმ. სინოდისაგან ნაბოძებით: ნამესტნიკი მიძინების დრანდის მონასტრისა, სუხუმის ეპარქიისა, მღვდელ-მონაზონი საბა; მოძღვარი თბილისის სასულიერო სემინარიისა, მღვდელი დავით ბერძენოვი; ბაქოს ნიკოლოზის სობორის მღვდელი ბიძინა გამარაევი; კარის-კურის წმ. გიორგის ეკკლ., გურია-სამეგრელოის ეპარქიისა, მღვდელი იესე მახარაძე; ქ. ქუთაისის, წმ. გიორგის ეკკლ. მღვდელი ნესტორ ყუბანეიშვილი; სოფლის ჩხერის ეკკლესიის, შორაპნის მაზრისა, მღვდელი ერმალოზ ვეფხვაძე; სოგლის მუხურის ეკკლესიის, სამურძაყანოს ნაწილისა, სუხუმის ეპარქიისა, მღვდელი დავით მასხულია; *(სტატია არასრულია). (მწყემსი, N10, 1896 წელი);

1897 წელი

გაზეთი ,,ივერია''

სოხუმი

9 თებერვალს სოფ. ბედიაში მცხოვრები აზ. კეგუს მახარია თავის ცოლ-შვილთან ერთად იჯდა თურმე და ვახშამს შეექცეოდა. ამ დრო ვიღაცამ უეცრივ სახლის კარები გააღო და მახარიას თოფი დაახალა რამდენჯერმე. საწყალს ერთი ტყვია გულში მოხვედრია, მეორე კისერში და იქვე სული დაულევია. მკვლელობის გამოძიება სწარმოებს. (ივერია, N28, 1897 წელი);

***

1881 წელ. სოხუმში ბ-ნ ვერდენკის ბაღში ფილოქსერა აღმოჩნდა და მის მოსასპობლად, კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის განკარგულებით, საფილოქსერო დასმა წყალი მიუგდო ბაღსა. ეხლა, როგორც გზა. „კავკაზს“ გაუგონია, ბ-ნი ვერდენსკი მთავრობასა სთხოვს თურმე, რომ საფილოქსერო კამიტეტის განკარგულებამ 16,268 მან. 50 კაპ. ზარალი მომცა და მიზღეთო. (ივერია, N36, 1897 წელი);

სამურზაყანო

აქ მეტად გახშირებულია კაცის კვლა, გაცარცვა და დღე და ღამ თოფის სროლა. ამას წინად აქ სოფელ ბედიას თავისს სახლში მოკლეს კეღუცა მახარია. 13 თებერვალს, ოქუმის აფთექის გამგეს ბ-ნს კანდელაკს კიდევ ღამე მოუხდნენ ქურდები სახლში, ცალი ხარი მოჰპარეს. მოსამსახურეებმა ადრე გაიგეს ხარის მოტაცება და მაშინვე კანდელაკს აცნობეს. იმას უნდოდა ქურდებს გამოჰკიდებოდა, ბერდანის გატენილი თოფი აიღო ხელში, მაგრამ კარში გამოსვლის დროს უეცრად ჩახმახის ფეხი გასავალ კარების ჩარჩოს მოედო, თოფი გავარდა, მოხვდა იქვე მწოლიარე ოთხის წლის იმისს ვაჟსა და საბრალო ისე მძიმედ დასჭრა, რომ იმავე ღამეს, საათის ოთხზედ სული დალია. ქურდობის ჩამდენად სამს კაცს ასახელებენ, რომელნიც მაზრის უფროსს უკვე დაპატიმრებული ჰყავს. (ივერია, N37, 1897 წელი);

ქ. სოხუმი

ვინ არ იცის, რომ სოხუმი მარტო თვისის მშვენიერი ჰავით და ედემისებურის დასურათ-ხატებულის ბუნებით არ არის მიმზიდველი! სოხუმი, ეს თვალი და მშვენება საქართველოსი, ძველთაგანვე განთქმული იყო იმით, რომ აქ მრავლად ეტანებოდა ხალხი ზღვაში საბანაოდ. ზღვაში ბანაობის სეზონი იწყება მაისიდგან და გასტანს ხოლმე მარიამობისთვის გასვლამდე. მსურველთ შეუძლიანთ მთელი შემოდგომა იბანაონ ზღვაში, თვით ქრისტეშობისთვემდე, რადგან აქ თბილა და სიცივე ხელს არ უშლის მობანავეს. უკანასკნელს ხანს ბევრნი მოდიან სოხუმში საბანებლად, გარნა უაბანობის გამო დიდს გასაჭირში იყვნენ. არავინ გამოჩნდა სოხუმში ისეთი, რომ ერთი ასი თუმანი დაეხარჯა და რიგიანი აბანო გაეკეთებინა ზღვის ნაპირად და დახარჯული ფული ერთ-ორად აეღო სულ მცირე ხნის განმავლობაში. „რუსეთის საზოგადოების“ გემთათვის ნავთსადგურის მშენებელმა საჩინო იოსელიანმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია, გამოიანგარიშა მთელი სარგებლობა აქ აბანოს დაარსებისა და შეუდგა კიდეც ამ შენობის კეთებას. აბანო შენდება სწორედ იქ, სადაც ეგრედ წოდებული

„იოსელიანის ნავთ-სადგურია“. ბ-ნი ს. იოსელიანი აპირობს აბანო მთლად ევროპიულს გემოვნებაზედ ააშენოს. საჭირო ავეჯი, თუ სურათები აბანოს მოსართავად ოდესსიდგან დაიბარა. აბანოში მსურველთათვის იქნება როგორც თბილი, ისე ცივი აუზები. იოსელიანს იმედი აქვს, თავისი აბანო მომავალ აპრილის პირველ რიცხვებამდე დაამთავროს, ე.ი. სწორედ იმ დროსათვის, როცა აქ საბანაო სეზონი იწყება. იგი ამასაც არ დასჯერდა და ის პატარა ადგილი, რომელიც ნავთსადგურისა და აბანოს წინ უდევს, ბაღად გადააქცია. ამ ბაღში მობანავეთ აბანოში შესვლამდე შეუძლიათ ისეირნონ. (ივერია, N40, 1897 წელი);

ქ. სოხუმი

ოთხშაბათს, 23 აპრილს, აქაურ სცენის მოყვარეთაგან გამართულ იქმნა წარმოდგენა იაფ-ფასიანი სამკითხველოსა და თეთრის ჯვრის სასარგებლოდ. წარმოადგინეს ქართულად: „ბნელს ოთახში“ და „დატრიალდა ჯარა“, რუსულად: „Блуждающая почка“ და „молчаніе“ ბილბინისა. თამაშობდნენ საზოგადოდ ყველანი კარგად. ყველაზე მოხდენილად-კი თამაშობდა კნ. ა. წერეთლისა, რომელსაც შეხედულებაც ხელს უწყობდა, რომლის უნაკლულოდ შესრულებას; ლამაზადვე შეასრულა თავისი როლი კნ. ა. მიზაბისამ. რუსულ პიესების წარმოდგენაში თავი ისახელა თ. ნ. წერეთელმა. საზოგადოებამ თაიგულები მიართვა მოთამაშე მანდილოსნებს და დიდად ნასიამოვნები დაბრუნდა სახლში. (ივერია, N83, 1897 წელი);

წერილი რედაქციის მიმართ

ქალაქ სოხუმიდგან იყო დაბეჭდილი კორესპონდენცია სოხუმის იაფ-ფასიანი სამკითხველოს შესახებ, რომელშიც კორესპონდენტი სწერს, რომ წელიწადზედ მეტია, რაც სოხუმის საზოგადოებამ თ. სახოკიას თაოსნობით იაფ-ფასიანი სამკითხველო დააარსაო. კორესპოდენტი ძლიერ შემცდარა, რომ მარტო სახოკია უცვნია სოხუმის სამკითხველოს დამაარსებლად და სხვა-კი არავინ, როდესაც სახოკიას ტფილისიდგან ჩამოსვლამდე ნება-რთვა აღებული იყო კიდეც და ხელის მოწერაც გამართული იყო, ხოლო სახოკიამ მარტო დააჩქარა საქმის დაბოლოვება და თვითონაც ტფილისიდგან ჩამოიტანა თავისის მეცადინეობით შეგროვილი სხვა-და-სხვათაგან შემოწირული წიგნები, რისთვისაც, რასაკვირველია, მადლობის ღირსია.

შემდეგ კორესპონდენტი ამბობს, რომ შემდეგში ამ სამკითხველოს თუმცა საკმაოდ ჰყავდა ხელის-მომწერნი, მაგრამ ბოლოს კი ნელ-ნელა ჩამოეცალნენ და იქამდის მიაღწია, რომ უეჭველად უნდა დაკეტილიყო, თუ ისევ სახოკია არ მიშველებოდაო. ნეტა, კორესპონდენტი მაშინ სად იმყოფებოდა, როდესაც თ. სახოკია ამბობდა, რომ სამკითხველო უეჭველად დროებით უნდა დავკეტოთო და სამკითხველოს გამგეს გამოუცხადა კიდეც, რომ 9 ოქტომბრიდან სამკითხველო დაკეტილად ითვლებაო. ჩვენთაგანს რომ არ ეთქვა, რომ სამკითხველოს ასე ხელად და საზოგადოების დაუკითხავად დაკეტა არ შეიძლებაო, დაიკეტებოდა კიდეც. აი, ამ სიმის სურვილისამებრ მეორე ღამეს მოიწვიეს სამკითხველოს დამაარსებელნი და სახოკიამ იმათაც გაუმეორა, სამკითხველო დროებით უნდა დაიკეტოსო, რაზედაც იმათ უარი გამოუცხადეს და სთქვეს, 30 მუდმივი წევრი შევაგროვოთ, თვეში ორ-ორი აბაზი გადავახდევინოთ და დაკეტვით-კი ნურას გზით ნუ დავკეტავთო.

ბ-ნს კორესპონდენტს რამდენიმე წევრი აღუნიშნავს და არა ყველანი, ან უნდა სრულიად აღენიშნა ან სულ არ უნდა დაეწერა. ან ვინა სთხოვდა გამოცხადებას? იმისი მიზეზით დღეს საზოგადოება უკმაყოფილოდ არის. ამბობენ, რომ ჩვენ ფულს ვიხდით და გაზეთში-კი სხვებს აცხადებთ, ჩვენ არაო. სამკითხველოს მუდმივნი წევრნი ძმ. გოგრიჩიძენი, თ. გაბუნია, დ.

ჭავჭანიძე, ძმ. მასხარაშვილნი, სტ. თურქია, გ. და ბ. თურქია, ძმ. ერქომაიშვილნი, ბ. გაბუნია, ა. ჩაჩავა, ძმ. ანუა, ძმ. შოშიტაიშვილნი, პ. ჭეიშვილი, ი. ცეცხლაძე, ნ. ჩიქოქიძე, ბ. ხელაია, ი. ლოლუა, ე. საბაშვილი, გ. კვიტაშვილი, ა. ჯუღელი, გ. ზოგრაფოპულო, ი. ბურჭულაძე, გ. გიორგაძე, კ. წეროძე, ა. რატიანი, მ. გვაზავა, ძმ. სახაროვი, ს. ფრანგულიანცი, ა. ქარცივაძე, სოზ. კობახიძე, მ. ანთელავა და საჩ. თურქია. /სამკითხველოს გამგე: პ. კალანდაშვილი/. (ივერია, N94, 1897);

წერილი სამურზაყანოდგან

განსვენებული თავადი ნიკოლოოზ ზურაბის ძე ჭავჭავაძე უკანასკნელ ომიანობის დროს სოხუმის ოლქის უფროსის თანამდებობას ასრულებდა, შემდეგ ომის გათავებისა, ამ სასიქადულო მამულისშვილმა ოცი ათასი მანეთი უანდერძა სამურზაყანოს მკვიდრთ იმ პირობით, რომ ამ ფულით უნდა დაეარსებინათ სამურზაყანოში ბანკი. ამდენი დრო და ჟამი გავიდა და ეს ფული დღესაც სახელმწიფო შემნახველის კასაში ინახება. ჩვენს საზოგადოებას ფიქრადაც არ მოსდის სთხოვოს მთავრობას ამ ოცის ათასის მანეთით დაარსდეს ადგილობრივი ბანკი ანდერძისა თანახმად და დაიხსნან თავი ქვეყნის მჭამელ მოვახშეებისაგან. ჩვენი კაცი გაჭირვების დროს დაიწყებს წანწალს ფულის სასესხებლად, რასაკვირველია, ამ მარჯვე შემთხვევით სარგებლობს დახელოვნებული მოვახშე და როგორც უნდა აცლის ტყავს მისთვის განმზადებულს ზვარაკსა, მაგრამ ხათაბალა ეს არის, მოვახშეს „ბანკიც“ დაცარიელდა; ნამეტნავად ამ ორის წლის განმავლობაში. სიმიდის ფასის დაცემით თქვენი მტერი ჩვენი ხალხი უკიდურესს მდგომარეობაში ჩავარდა. კარგს იზამს ჩვენის ნაწილის უფროსი, ჩააგონებდეს ხალხს იმ ოცის ათასის მანეთის დანიშნულებისამებრ მოხმარებას. ამ ჟამად ქურდობა თითქმის შესწყდა ჩვენში. მადლობის ღირსია ჩვენის ნაწილის ახალი უფროსი სასტიკ ღონისძიებათა მიღებისათვის ქუდბაცაცების წინააღმდეგ.

ამ სამის თვის წინად აქ ჩამოვიდა დრანდის მონასტრის ბერი, თან ახლდა ერთი მღვდელი შუაგულ რუსეთიდგან ჩამოსული. ამ ორმა მამებმა დაათვალიერეს ბედიის ტაძარი. ეს ბერი სცდილობს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე ამ ნაშთის განახლებისათვის, რომ აქაც გაიჩინოს სავანე თანამოძმეებისათვის. აი სადა სჩანს ჩვენი გულცივობა და დაუდევრობა. ამ ნაშთის პატრონი რომ სხვა, ჩვენზედ უფრო შეგნებული ერი იყოს, სიცოცხლე გაქვთ, არა მარტო ეკკლესიას განაახლებდა, ქვითკირის ზღუდესაც შემოავლებდა. ნუ თუ შეუძლებელი საქმეა თითო აბაზის გადახდა კომლზე, რომ ეს ჩვენი სახელოვანის წინაპრების ნაშრომი ძეგლი განახლებულ იქნას?!..

არ შეგვიძლია დასასრულ არ აღვნიშნოთ ერთი სასიამოვნო ამბავი, რომელიც ოქუმის და მუხურის საზოგადოებაში მოხდა ამ მოკლე ხანში. მიცვალებულის პატრონი ტირილის დღისათვის ოცის, ორმოცის მანეთის პურსა ჰყიდულობდა ვაჭრისაგან. ამ ჩვეულების წყალობით სამუდამოდ ვალში ვარდებოდა ღარიბი კაცი. ეხლა განაჩენი შეადგინეს და დაადგინეს, რომ მიცვალებულის ტირილის დღეს პური არ იხმარონ, მჭადისა და სხვა ოჯახში ნაწარმოებ სანოვაგისა გარდა.

ჩვენსკენ ხვნა-თესვა დააგვიანდა, რადგანაც მაისმა გვალვა დაიჭირა. დღეს საღამოს ცამ პირი მოიქუშა, დედამიწას რისხვით ჩამოხედა და ის იყო კოკისპირული წვიმა ჩამოუშვა. მართალია, ეხლა ყანების თესვა გვიანია, მაგრამ ჩვენი დოვლათიანი ქვეყანა სამყოფს მაინც არ მოგვაკლებს. /ვ. ოქუმელი/. (ივერია, N117, 1897 წელი);

ქ. სოხუმი

2 ივლისს აქ გვესტუმრა ახლად შემდგარი ქართული ხორო ბ-ნ კავსაძის ლოტბარობით და ორი კონცერტი გაჰმართა. პირველს ხალხი საკმაოდ დაესწრო და დიდს აღტაცებაშიაც მოიყვანა დამსწრე საზოგადოება იმათმა მშვენიერმა ეროვნულმა სიმღერებმა. მეორე კონცერტს-კი საზოგადოება ცოტა ნაკლებად დაესწრო. ამის მიზეზად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ამ ზაფხულს მთელი ქალაქის შეძლებული საზოგადოება სააგარაკოდ არის გასული ქალაქში მხოლოდ ისინი დარჩნენ, რომელთაც გარემოება და საქმე ნებას არ აძლევდა წასულიყვნენ სადმე. წარმოდგენის შემდეგ მთელი ხორო (მომღერლები) და ოციოდე სხვა კაცნი ბ-ნმა ს. ს. თურქიამ მიიწვია ვახშმად. მეორე დღეს ხორო დაბა ოჩამჩირისკენ წავიდა, პატივისმცემლებმა გააცილეს ხორისტები. (ივერია, N139, 1897 წელი);

***

სოხუმის საქველმოქმედო საზოგადოების წესდების პროექტი მთავრობას უკანვე დაუბრუნებია დამფუძნებლებისათვის, რომ წესდება ამ ბოლო დროს დაბეჭდილ სამაგალითო წესდების თანახმად იქნეს შესწორებული. (ივერია, N169, N1897 წელი);

***

სოხუმის ოლქის, სოფ. ძუარიდგან სწერენ „ტფ. ფურც.“ ს: „ამ რამდენისამე დღის წინად აქ საზარელი მკვლელობა მოხდა. 20 წლის ყმაწვილმა კაცმა თოფი ესროლა თვისსავე მამას გევორქ ჩაგრიანს და იქვე მოჰკლა. მკვლელი შეპყრობილია“. (ივერია, N170, 1897 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბები)

დ. გუდაუთი (აფხაზეთი). ჩვენი დაბა აშენებულია შავის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირის მშვენიერ მაღლობს ადგილზედ და თავისის ადგილმდებარეობით მთელს აფხაზეთში ერთი საუკეთესოთაგანია: ციებ ცხელება, ეს გამანადგურებელი სენი აფხაზეთის მკვიდრთა, აქ, ცოტა არ იყოს, ძალა-მოკლებულია; ხოლო თუ გაიკაფა გუდაუთის გარშემორტყმულ ტყეები და ნაწვიმარს მიეცა ზღვისაკენ თავისუფალი სადენი გზა, მაშინ ამ მხრივ ჩვენს ბედს ძაღლიც არ დაჰყეფს. წყალით ჩვენი დაბა დაჯილდოებულია: თითქმის ყოველ მოსახლეს ეზოში აქვს სასმელი წყალი, მახლობელ წყაროდგან მილებით გამოყვანილი. ისე კი აღმოსავლეთით ჩვენს დაბას ჩამოუდის პატარა მდინარე გუდოუ (აფხაზურად-დიდგულა), რომლისგანაც მიიღო თავისი სახელწოდება გუდაუთამ. ეს მდინარე, ცოტა არ იყოს, ხელს უწყობს ციებ-ცხელებას, რადგანაც შესართავთან მისი კალაპოტი თითქმის ზღვის დონეზედ (Уровень) უფრო დაბალია, რის გამოც აქ გუბდება წყალი და ჰაერს შხამავს. ამ ჭირსაც ეშველება, დაბას რომ შეძლება ჰქონდეს: მისი გადაგდება და სხვა კალაპოტის მიცემა ადვილია; გარნა ეს ჩვენთვის ჯერ საოცნებოა! დასავლეთით აგრეთვე რწყავს დ. გუდაუთს გუდოუზე უფრო პატარა მდინარე „აძლაგარაძაი“ (წისქვილის წყალი).

ამ 16-17 წლის წინად ის ადგილი სადაც ეხლა ჩვენი კოპწია დაბა ამაყად გამოიყურება, წარმოადგენდა გვინცხათა და ტყით შემოსილს ადგილს, სადაც ტურათა ჩხავილისა და ბაყაყთა ყიყინის მეტს ვერას გაიგებდა ადამიანის ყური. ხოლო დატრიალდა მარჯვე ქართველის (მეგრელის) ხელი და ფული, გაიკაფა ტყეები, გაიმართა სწორი და განიერი ქუჩები, აშენდა დუქნები და სახლები, მილებში მშვენიერმა ანკარა წყარომ დაიწყო დენა! იქ, სადაც 16-17 წლის წინად ტურთა ჩხავილისა და ბაყაყთა ყიყინის მეტს ვერას გაიგონებდით, ეხლა სიცოცხლე სდუღს და გადმოდის, რამდენადაც ეს შეიძლება ითქვას ამისთანა პატარა დაბაზე, და იქ ისმის ეხლა ქებათა ქება ღვთის მიმართ შედარებით მშვენიერს ეკკლესიაში!

ეს სულ ქართველობის მეცადინეობით, ოფლითა და ჯან-ღონით.

ჩვენის დაბის მცხოვრებნი ეხლა ასე განაწილდებიან: 50 ქართველი მკვიდრია (ერთი იმერელი, ორი გურული, დანარჩენი მეგრელობა), 13 ბერძენი, 11 რუსი, 5 აფხაზი და 2 სომეხი. ჩვენი დაბა ერთად ერთი სავაჭრო ადგილია მთელს გუდაუთის ნაწილში, რომელსაც სიგძით 90 ვერსი და სიგანით 15-30 ვერსი ადგილი უჭირავს და შესდგება 12 აფხაზთა საზოგადოებისაგან 3 რუსისა და ერთიც სომხურისაგან. აღება-მიცემა თითქმის მთლად ქართველობის ხელშია. ამათ გარდა, ჰვაჭრობენ სომხები, ბერძნები და თათრები. სააღებმიცემო საგნებია: სიმინდი, ხე-ტყე (ნიგვზის ხე, ბზა და სხვა), ხილეულობა (ვაშლი, მსხალი, ნიგოზი, ბროწეული), ღვინო და თამბაქო. ამ უკანასკნელ წლებში დაიწყეს აქ სომხებმა თამბაქოს მოყვანა, რასაც ძალიან გასავალი აქვს. თამბაქო მოჰყავთ აქაურ მემამულეთა ადგილზედ. აქ ორი სკოლაა: ერთი ერთ-კლასიანი სამინისტრო და მეორე ახლად შობილ მეორე-კლასიანი, სამოსწავლ-სამრევლო სკოლა, რომელიც გვპირდება სოფლის მასწავლებლების მომზადებას.

აქ 1895 წლის იანვრიდგან თ. ი. გოგიტიძის მეცადინეობით სამკითხველო არსებობს. იმედია, აწინდელი მოთავე სამკითხველოსი ბ. ს. ელიავა პირნათლად წაუძღვება თავისს ნაკისრს მოვალეობას, როგორც აქამდის უძღვებოდა, რისთვისაც საზოგადოება დიდი მადლობელი დარჩება.

ჩვენის დაბის უმთავრესს ნაკლად უნდა აღვიაროთ ნასწავლ და გამრჯე ახალგაზრდობის უქონლობა. თუ ერთი-ორი ვინმე გვყავს, მათ შორისაც პოეტისა არ იყოს, „ძმამ მოუდვა ძმასა ხიშტი“... და „რა ორივე დაღალულნი ძაღლმა ჰნახოს, პირი ჰკიდოს!“... და თუ ერთი ერთობაში რამე მისვლა-მოსვლა გვაქვს, ისიც ნუნუას და ბანქოს წყალობით. /ილიკო ვერმიცანაშვილი/. (ივერია, N188, 1897 წელი);

გუდაუთი

28 მარიამობისთვეს სოფელ აჭანდარაში ძმათა ანჩაბაძეთ შეიპყრეს ცნობილი ყაჩაღი მამსირ აბრავ-იდა (აბრაგის ძე) გაბისონია, რომელმაც ამას წინედ სოფელ ლიხნში დასჭრა გუდაუთის ნაწილის უფროსი ბ. პ. ჩიქოვანი და ორი ჩაფარი. ძმათა ანჩაბაძეთ გაბისონია შებოჭვილი დაახვედრეს დროებით გამგეს გუდაუთის ნაწილისას ბ. ნ-ს სტაროსელსკის, რომელმაც მეორე დღესვე წაიყვანა ქ. სუხუმში. იმედია, დანარჩენ ყაჩაღებსაც ამ ცოტა ხანში ბოლოს მოუღებენ, რის შემდეგაც საზოგადოება თავისუფლად ამოისუნთქავს. (ივერია, N190, 1897 წელი);

დ. გუდაუთი

12 ამ თვეს, სოფელ აჭანდარაში მოკლული ჰნახეს სმელ ალთაჩ-იფა, მთელ აფხაზეთში ცნობილი ყაჩაღის მაჰმუთ ალთაჩ-იფას უფროსი ძმა. სმელ ალთაჩ-იფა შინ სცხოვრობდა და არავითარი საქმე არ ჰქონდა. ამ ერთის თვის წინად უბრძანეს დაეჭირა ყაჩაღი ძმა და პოლიციისთვის მიეცა. მან უარი განაცხადა, რის გამოც შებოჭვილი გუდაუთისკენ გამოატანეს ყაზახებს. ს. ალთაჩ-იფა გზაზე ყაზახებს გაექცა და თავისს ძმას შეუერთდა. მას შემდეგ ძმანი აჭანდარის მიუვალ ხევში ინახავდნენ თავის მეორე ცნობილ მაჭიღ ბარციცთან ერთად. მკვლელი ვერ იპოვეს. ამბობენ, ვითომ იმის პირად მტერს მოუკლავსო. სასურველია, რომ როგორმე დანარჩენ ორს იმისს ამხანაგსაც ჩაიგდებნენ ხელში. (ივერია, N199, 1897 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბები)

სოფ. აძვიბუა, ანუ შვაწყალი (აფხაზეთი). ჩვენი სოფელი სძევს მდინარე კოდორის მარცხენა ნაპირზედ და დასახლებულია სულ მთლად აფხაზებით. აქა-იქ თუ შეხვდებით მეგრელებს, ისინიც გააფხაზებულნი არიან. ჩვენის სოფლის მცხოვრებლების უმეტესობას შეადგენენ „მოხაჯირნი“ (მოჰაჯირნი), ესე იგი სათათრეთში უკანასკნელ ომიანობის დროს წასულნი, ანუ ძალად წაყვანილნი და მერე უკან დაბრუნებულნი. ისტორიულად ჩვენი სოფელი ბევრის არაფრითაა შესანიშნავი, გარდა იმისა, რომ უკანასკნელ ომიანობის დროს აქ მოხდა ომი ოსმალებსა და რუსთა შორის, რუსნი ძლეულ და უკუქცეულ იქმნენ. ომმა თავისი დაღი დაასვა სოფელს: მთლად გადაწვ-გადაბუგეს თათრებმა, ასე რომ ერთს სახლსაც ვერსად შეხვდებოდით და მცხოვრებნიც სათათრეში წაასხეს. ორის სამის წლის იქ ყოფნის შემდეგ რის ვაი-ვაგლახით ერთი მესამედი წაყვანილთა დაბრუნდა უკანვე გაღარიბებულ-გაღატაკებული და დანარჩენი ორი მესამედი ზოგი იქ დაწყდა და ზოგიც გაყიდულ იქმნა (ბავშვები და ქალები). აოხრებული სოფელი ისევ 1880-1881 წლებში მოხაჯირეებით დასახლდა. მაგრამ ვაი იმისთანა დასახლებას! ქურდ-ბაცაცებისაგან არც ძილში, არც ღვიძილში არა აქვთ საწყლებს მოსვენება! ვერ იქმნა და ვერა, რომ ფეხი მოეკიდნათ და კაცურად დასახლებულიყვნენ.

მდინარე კოდორის მარჯვენა ნაპირზედ დაფენილია სამი თუ ოთხი ახალშენი, ზოგი რუსების, ზოგი მოლდავანებისა და ზოგიც ესტ-ნემენცებისაგან დასახლებული. აი, სარგებლობენ რა ამ მეახალშენთა მხდალობით, ყოველი ქურდ-ბაცაცი იმათ ელტვის და ჰქურდავს იმისს საქონელს, ნაქურდალი-კი ჩვენის სოფლიდგან გაჰყავთ თავიანთ სოფლებში, რადგანაც ჩვენი სოფელი ერთ-ერთი შემაერთებელი გზაა კოდორის და გუმისტრის ნაწილებისა. თუ არ ჩვენის სოფელთ, აფხაზს არ შეუძლიან კოდორის გაღმა გავიდეს, რადგან მეტი გზა არ მოიპოვება. დროებით დაკანონებულის ძალით, აქ იმ სოფელმა უნდა უზღოს მეახალშენეს თავისი დანაკარგის ფასი, რომლის საზღვრამდის მიიტანენ ნაკვალევს დაკარგულ ცხენისას, თუ საქონლისას. აი, ამ კანონის ძალით 1882 წლიდგან დღემდე ჩვენმა სოფელმა გადაიხადა მეახალშენეთა სასარგებლოდ 14 ათას მანეთზედ მეტი და დღესაც გადასახდელად აქვს 2,330 მან.! ამისთანა უსაფუძვლო ხარჯისა გამო სოფელი საშინელს სიღარიბეშია. ამ ხარჯით შეწუხებულმა და შევიწროებულმა სოფელმა ამ დღეებში მისცა მთავარმართებელს თხოვნა, რომ დაიხსენით ეს საცოდავი სოფელი უსამართლობის და ქურდ-ბაცაცებისაგანო. სხვათა შორის, სოფელი სთხოვს: ეს ახალშენთათვის დაწესებული გადასახადი გარდაახდევინონ დღეის შემდეგ ქურდ საზოგადოებათ: კვიტოულის, ჯგერდისა, ტამიშისა და ჩვენის სოფელ აძვიბუისას; მით უფრო მოსახერხებელია ეს, რომ ამ ქურდების სიას ყოველწლივ ადგენენ სადაც ჯერ არს. იმედია, ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს მთავრობა ამ თხოვნას.

ამას გარდა თვითონ სოფელი აძვიბუასაც ეკარგება საქონელი ორთა შუა რიცხვით 40-50-მდის და თითო რომ დავაფასოთ 25, მან. შესდგება 1000 მანეთის ზარალი შინაურ დანაკარგისა, რომელსაც, რასაკვირველია, არავინ უზღავს, რადგანაც ზემოაყვანილი კანონი მარტო ახალშენთათვის არის აქ შემოღებული. საწყალი ჩვენი გლეხი რამდენს დროს ჰკარგავს თავისის საქონლის ძებნაში, ამას ხომ არ ვანგარიშობთ და არა! აი, ამ ქურდების წყალობითაა, რომ ჩვენს სოფელში ერთს ხეირიანად დასახლებულს გლეხს ვერ შეხვდებით, თუმცა სოფლის ბუნება მდიდარია! ერთი იმერული ოდა რა არის, ერთს ვერ შეხვდებით, თუმცა ხე-ტყე (წაბლისა გინდა, თუ მუხისა) მუქთადაა! აქვე არ შეგვიძლიან სიამოვნებით არ აღვნიშნოთ, რომ რაც ჩვენს სოფელში გამოგზავნილ იქმნა ქურდ-ბაცაცების ასალაგმავად მილიციის პორუჩიკი აზ. ზაალ სალაყაია, თითქმის მთლად მიჩუმდა და მიწყნარდა ქურდობა როგორც გაღმა ახალშენებში, ისე ჩვენ სოფელშიაც. იმედია, ბ. ნი სალაყაია ჩვენს ბედს-შავობას მოჰხედავს და თავისს ძალ-ღონეს მოგვახმარებს.

ჩვენი სოფელი ციებ-ცხელების ბუდეა: აქ ორს კაცს ვერ შეხვდებით, რომ ზაფხულში კაცის სახე და ფერი მაინც ჰქონდეს. არსით წამალია, არსით შველა! მართალია, გაღმა დრანდაში არსებობს აგერ სამი წელიწადია საავადმყოფო, მაგრამ ჩვენ მაინც ვერას გვშველის: ამათი ჩვენ არ გაგვეგება და ჩვენი იმათ. ერთი მეგრელი ფერშალი იყო, საავადმყოფოში, ისიც ცხრა მთას გაღმა გადაჰკარგეს!

აგერ სამი წელიწადია ჩვენს სოფელში არსებობს ერთი-კლასიანი სამრევლო სკოლა, მაგრამ ნაყოფი ცოტა მოაქვს... (ივერია, N200, 1897 წელი);

***

კოდორის (სოხუმის ოლქშია) დაგრეულ ხიდის დასათვალირებლად გზათა სამინისტროს განკარგულებისამებრ, დაარსებულია ცალკე კომისია, რომელიც შესდგება ორის, სამინისტროს მიერ გამოგზავნილის, ინჟინერისა და კავკასიის გზათა ოლქის სატეხნიკო განყოფილების უფროსის ს. ს. სავიცკისაგან. (ივერია, N211, 1897 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბები)

დ. გუდაუთი, (აფხაზეთი), 8 ოქტომბერი. მთელს დასავლეთ აფხაზეთში, ეგრედ წოდებულ ბზიფში, რომელიც შესდგება ჩვენის დაბის გარდა, 12 აფხაზებით დასახლებულ საზოგადოებისაგან, 3 რუსთა და 1 სომეხთა საზოგადოებისაგან, მოგვეპოვება ერთად-ერთი ფერშალი. მცხოვრებლების გარდა, ამ ჩვენს ნაწილში მუდამ ბლომადაა მუშა ხალხი, რომელიც ზოგი თამბაქოს პლანტაციები ჰმუშაობს, ზოგი სად და ზოგი სად. აქ გასაჭირის დროს ექიმის შოვნა ყოვლად შეუძლებელია! საწყალი ერთი ფერშალი ვის სად უნდა გასწვდეს, მაინც კმარა მისი ცოდნა-დახმარება? ექიმი გასაჭირის დროს უნდა გამოიწერო ქალაქ სოხუმიდგან, და ეს გამოწერა ჯდება 50-100 მანეთამდე! ფულს ჯანი გავარდეს, ვისაც შეძლება აქვს, გამოიწერდა, ბეჩავი ხალხი ყველგან ხომ ერთ ტაფაში იხრაკება! მაგრამ, მაგარი ის არის, რომ დროზედ ვერ მოგისწრობს ექიმი: მარტო ჩვენი დაბა რომ ავიღოთ, იმისა და სუხუმს შუა 42 ვერსია და სანამ ამ მანძილს გამოივლიდეს მოწვეული ექიმი, ავადმყოფს კი არა, ჯანსაღსაც, ვგონებ, სული ამოხდება! ეს გუდაუთელები, ეხლა რა ჰქნას განაპირა სოფლების მცხოვრებმა, მაგალითებრ სოფელ კალდახვარისამ, რომელიც სუხუმს ჰშორავს 90 ვერსით? ამას დაუმატეთ ჩვენი უგზოობაც. ახლა, ვიმეორებ, რა ჰქმნას ყოველგან დატანჯულმა ღარიბ ხალხმა? ისევ ისე მკითხავ-ზვარაკებს უნდა მიჰმართოს? ამას ისიც დაუმატოთ, რომ აქაური ექიმები რაოდენად გულქვანი არიან, მაშინ მკითხველს ნათლად დაეხატება თვალწინ ამ მხრივ ჩვენი უმწეობა არა ერთი და ორი მაგალითი ყოფილა, რომ გუდაუთიდგან დეპეშითვე უპასუხოს: „Передайте такому-то фельдшеру сто рублей, тогда прыду“-ო! და სხვა.

შემთხვევით ვსარგებლობ: მიკვირს, რატომ ჩვენს დალოცვილს სუხუმში ერთი ქართველი ექიმი არ არის? ეს კოპწია ქალაქი თითქმის მთლად ქართველებისაგან არის დასახლებული და ყველა იმას მიჰმართავდა, ენის უცოდინარობით უცხო ექიმს ვეღარა სთხოვენ შველას. სასურველია, რომ ახალგაზრდა ექიმი ვინმე აქ დაბინავდებოდეს, არას წააგებს. აი ამ უექიმობისა გამო ხალხი წყდება ბუზსავით სხვა და სხვა სენით, და ამათს ტანჯვას ყურს არავინ აქცევს. მაგალითად, ამ წლის დამდეგს სოფელ დურიფში სახადით სამი ოჯახი დედა-ბუდიანად გაწყდა, და არც-კი არავის მოუკითხავს! რამდენჯერ ყოფილა მაგალითად, რომ უსახლ-კარო მუშა ენახოთ მკვდარი მინდვრად, ან ქუჩაზედ.

არა ნაკლებ გაჭირვებაში ვართ ჩვენის აფთიაქის უვარგისობით: თუ ათასში ერთხელ

გადმოგვხედა ღმერთმა და ხელში ჩავიგდეთ დოქტორის „რეცეპტი“, მაშინ არა ვართ დარწმუნებულნი, რომ წამალს რიგიანად და შესაფერს მივიღებთ. ნეტა როდის მოეღება ბოლო ჩვენის მეაფთიაქის სითამამეს? გვეგონა, ჩვენ ამ მხრივ მზემ თავისი სიცოცხლის მომნიჭებელი სხივები ამოგვიშუქაო, რადგან ბოლოს გუბერნიის საექიმო სამმართველომ მიაქცია ყურადღება ამ ვაჟბატონსო, მაგრამ მოვსტყუვდით. ნათქვამია, უბედურს ქვა აღმართზე მოეწევაო.

ჩვენს მეორე ვარამს შეადგენს მომრიგებელ-სასამართლოს უქონლობა. სამართლის საძებრად სუხუმშივე უნდა წავიდეთ. რადგანაც წასვლა-წამოსვლა უგზო უკვლელობის გამო ძალიან ძნელია და ძვირადაც ჯდება, ამიტომ ცოტა რამ საქმეზე იძულებულნი ვართ სამართლის ძიებას თავი დავანებოთ. კიდევ კარგი, რომ „ცოტა რამეზე“ შინაურულად მოვრიგდებოდეთ, მაგრამ მაგარი ის არის, რომ მორიგების მაგიერ, თავ-პირს ვამტვრევთ ერთურთ და რწყილს აქლემს ვაშობინებთ. აქ ერთს მაგალითსაც მოვიყვანთ: ამ ხუთის წლის წინად ერთის გლეხის 15 მ. ემართა ვიღაც აზნაურს. გლეხმა თითქმის ოც-ჯერ სთხოვა აზნაურს, მომეცი ეს 15 მანეთიო, და მაინც ვერ აიღო. წავიდეს სუხუმში-მეორე თხუთმეტი მანეთი არ ეყოფა სარჯოდ. იფიქრა, იფიქრა და თავი მიანება სულ ამ საქმეს; მაგრამ დახე მის ბედისწერას! ესენი შეხვდნენ ერთმანეთს გზაზედ: აზნაურს თანა ჰყავდა ერთი „კნიაზიც“. აი, აქ გზაზე გაბედა ბეჩავმა გლეხმა და სთხოვა თავისი თხუთმეტი მანათი. ფულის მაგიერ, საცოდავს გლეხს მათრახებით ზურგის კანი აუწვეს. ეს შეურაცყოფა ვერ აიტანა და შური იძია კნიაზზედ: ერთს კრებაზედ თავი გაუჩეხა... ამას მოჰყვა ცამეტის კაცის სიკვდილი! თხუთმეტი მანეთისათვის ცამეტი კაცის სიკვდილი შეუძლებელია, ზღაპარიაო, იფიქრეს მკითხველი, მაგრამ ეს ნამდვილი გახლავთ. აქ „სუდი“ რა შუაშია, შეიძლება მიპასუხოთ. მაგრამ „სუდი“ „კაი“ შუაშია, გურულებისა არ იყოს: საცოდავ გლეხს (მოკლულ იქმნა) თავისს თხუთმეტ მანეთს მიუსჯიდა, რადგანაც აზნაურისაგან ბარათი ჰქონდა და არც შურისძიება, არც კაცის კვლა აღარ იქმნებოდა. აქაურ საზოგადოებათ არა ერთხელ აღუძრავთ მთავრობასთან თხოვნა: გვიშველეთ, „სუდი“ და ექიმი გაგვიმწესეთო.

ეხლა ცოტა რამ თვით ჩვენი დაბაზედაც: აქ ხომ კაცს არ ეცხოვრება წვრილმან თათარ-ვაჭრებისაგან. ეს ვაჟბატონები რიჟრაჟისას მიდიან და გზას უღობავენ სოფლელებს, რათა მუქთად თვითონ ჩაიგდონ სოფლიდგან ჩამოტანილი სანოვაგე. მცხოვრებნი კი სახტად რჩებიან. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ, ვისაც ჯერ არს, და წესიერად მოაწყონ. მივაქცევთ ჩვენის სანიტრების ყურადღებას აქაურ საზოგადოებას სანოვაგის უვარგისობას. აქ გამომცხვარი პური კაცს არ ეჭმევა, დალოცვილი ჩვენი სანიტრები პირველად „მომზადებულ Протоколь“-ით ხელში დადიოდნენ და ეხლა რაღად აიცრუეს გული? ნეხვითა და ტალახით შემკულ ქუჩების თვალიერებამ თუ მიაძინა ეს დალოცვილები?

ჩვენ ერთ-ერთი სასეირნო ადგილი გვქონდა, ეგრედ წოდებული „ბულვარი“. ამ უკანასკნელ დროს ჩვენი „წალკოტი“ საცხენედ გარდააქციეს. უსუფთაობას ვინ სჩივის, რომ შეგვეძლოს უშიშრად შიგ გავლა-გასეირნება: ყოველ წუთში ყველგან უნდა უფრთხოდეთ და გვეშინოდეს იმერულის წიხლისა, თუ გურულის კვანტისა! ხომ ჰხედავთ, ცხენებსაც სარგებლობის მაგიერ, უბედურების მოტანა შეუძლიანთ.

მე მგონია, ჩვენს დაბას მთელს საქართველოში შეუძლიან პირველი ადგილი დაიჭიროს ერთ შემთხვევაში-ბანქოს თამაშობის მხრივა. ვთამაშობთ დიდი თუ პატარა, ღარიბი თუ მდიდარი, მუდამ ჟამს, „დღისით, ბინდისას დილით, ღამეცა“ ეს სახელი თუ არა ჩვენთვის, მაშ რა ჯანდაბაა?

ხანდახან ჭორიკანობა-ჭირიანობას თავს დავახწევდით ქართულ წარმოდგენებით. წრეულს ამ მხრივაც გვიმტყუნა ბედმა: სცენის მოყვარეთ თავი საღათას ძილს მისცეს და ჩვენ მშრალზედ დაგვსვეს. რა არის მიზეზი, არ ვიცით? ნუ თუ ისინი ზოგიერთ უსაქმურ ხალხის

მითქმა-მოთქმით შეშინდნენ და წარმოდგენებს თავი დაანებეს? არ გვგონია. /დათიკო ვერმიცანაშვილი/. (ივერია, N214, 1897 წელი);

წერილი სოხუმიდგან
31 ოქტომბერი

ჩვენი კოპწია სოხუმი დღითი-დღე ჰმატულობს და იზრდება; მშვენიერ და სანახავად სანატრელ სურათად იშლება სიგრძე სიგანით. იქ, სადაც უკანასკნელ ომის შემდეგ ნანგრევების მეტს ვერასა ჰნახავდა კაცის თვალი, ეხლა საკმაოდ მოზრდილი ქალაქი გაგეშლებათ თვალ-წინ, რომლის სილამაზე-სიკეკლუცე ნათლად და სავსებით სჩანს, როდესაც ზღვის ორთქლ-მავალი უახლოვდება ამ ქალაქს: ასე გეგონებათ, ერთიან წალკოტად გადაქცეულაო! ჰავის შესახებ ლაპარაკი და ქომაგობა არ უნდა: ვგონებ, თვით ევროპაში შესანიშნავ ნიცცასაც წაართვას პირველობა. თუმცა ჩვენი ქალაქი თავისთავად ედემს წარმოადგენს, მაგრამ ჩვენ, სოხუმელი ქართველობა (სოხუმი თითქმის ქართველებითაა დასახლებული), ვერა ვართ კარგნი გამრჯენი და მუყაითნი საზოგადო საქმეებში. თუმცა თითოეული ჩვენგანი დილიდგან საღამომდის ფუსფუსებს, დარბის, ჰშრომობს და აკეთებს რაცხას, მაგრამ ეს „რაცხა“ სულ საპირადოა და არა საზოგადო. ჩვენი შრომა და ჯაფა მიმართულია პირად სარგებლობისაკენ, რის გამოც, ცოტად თუ ბევრად, აქაური ქართველობა ქონებრივად წელში გამაგრებულია, მოღონიერებულია. ქართველობა საზოგადო საქმეს გულგრილად ვეკიდებით, ეს იმითაც ნათლად მტკიცდება: აგერ ათი წელიწადია, რაც ჩვენ ქართული წირვა-ლოცვა არ გაგვიგონია. ასე გასინჯეთ, აღდგომასაც არ გვესმის ტკბილ სამშობლოს ენაზედ სახარების კითხვა! რაც პატიოსანმა მღ. ტ. სახოკიამ განისვენა, მას შემდეგ არა ვღირსებივართ მშობლიურს წირვა-ლოცვას, თითქოს პატიოსან მოძღვარს ქართული წირვა ლოცვა თან სამარეში ჩაეტანოსო! ვის უნდა დავაბრალოთ ესა? ისევ ჩვენს თავს, ჩვენს უმოქმედობას, ჩვენს ზარმაცობას, ჩვენს საზოგადო საქმის მიმართ გულგრილობას! ან მეტი რა მიზეზი უნდა იყოს? არაფერი. ჩვენ რომ ერთგულად მოგვეკიდნა ამ საქმისთვის ხელი, გონიერად და ბეჯითად, შეუდრეკლად გვემუშავნა, ეხლა საკუთარი ეკლესია გვექნებოდა. ვითომ-და ორ-ჯელ თუ სამ ჯელ დავიწყეთ ეს საქმე, მაგრამ პირველ დამაბრკოლებელ მიზეზისაგან შეგვეშინდა და ცხრა მთას იქით გადავტყოცნეთ ეს ჩვენი წმინდა არხი. უბრალო მიზეზიცა კმარა ჩვენთვის, რომ საქმეზედ ხელი შეგვიშალეს. არა, აჩქარებით სოფელი ვის მოუჭამია, რომ ჩვენ მოვჭამოთ? მეთაური გვინდა, ნამდვილი მეთაური და საქმეც ადვილად გაკეთდება.

ერთი უდიდესი საჭირ-ბოროტო საგანი როგორც სოხუმისა, აგრეთვე სოხუმის ოლქის მკვიდრთათვის საზოგადოდ სკოლების უქონლობა: მთელი სოხუმის ოლქი, რომელშიაც 110,000 მცხოვრები ირიცხება ქალაქ სოხუმიანად, შევყურებთ ერთად-ერთს სოხუმის ორ-კლასიანს სამთო სკოლას, შევყურებთ იმას და ვდუმთ. რა დაგვემართა? ნუთუ ეს სკოლა საკმარისია ჩვენთვის? კმარა საგათას ძილი და საქმეს მოვკიდოთ ხელი! მერწმუნეთ, საქმეს რომ მუყაითად მოვკიდოთ ხელი, ერთ-ორის წლის განმავლობაში ჩვენს ქალაქში დავიარსებდით სავაჟო პროგიმნაზიას, თუ ქალაქმა მოიმხრო აფხაზეთის თავად-აზნაურობაც, მაშინ საქმე ადვილად გაკეთდება მით უფრო რომ თავად-აზნაურობას თანხაც აქვს და სურვილიც პროგიმნაზიის დაარსებისა. ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ თავად აზნაურობას უნდა ამ მოკლე ხანში მთავრობას სთხოვოს, - პროგიმნაზია დაგვიარსეთო სოხუმში. ამ სასწავლებლის შესანახავ წყაროსაც უჩვენებს: ეს არის 105 ათასი მანეთი უმაღლესად ნაბოძები ყმების გათავისუფლების დროს და 20 ათასი სამურაზაყანოელთა, თავად ჭავჭავაძის ნაჩუქარი. მართალია, ეს უკანასკნელი ფული ერთ ნაწილს აფხაზებისას (სამურაზაყანოელებისა) ჰსურს სხვა საქმეს მოახმაროს, მაგრამ ადვილად შეიძლება

პროგიმნაზიას მოხმარდეს. ეს ორივე თანხა თავისის სარგებლობით 200 ათასს მ. მეტია. მარტო ამ ფულის სარგებელი შეადგენს ყოველ-წლიურად 10 ათასს მანეთს. ამ ფულით ადვილად შეიძლება საქმის დაწყება: ქალაქის თავისს წვლილს გაიღებს, მთავრობაც შემწეობას მოგვცემს და საქმეც ადვილად გაკეთდება, ოღონდ მეთაური უნდა, რომელსაც ვერ ვიპოვით ჩვენს შორის, დიოგენის ფარნითაც რომ ვეძებოთ დღისით-მზისით! /ილიკო ვერმიცანაშვილი/. (ივერია, N239, 1897 წელი);

***

სამურზაყანოდგან სწერენ გაზ. „ახ. მიმ.„-ს: ნაბაკევის სოფლის საზოგადოებამ განაჩენი დაადგინა იმის შესახებ, რომ ციმბირში გადასახლებულ იქმნას ნაბაკევში მცხოვრებელი ხუთი გლეხი: ჩეპია ხუპენია, დიმიტრი კირტბაია, გვაზაია, შენგელია და სხ., რომელთაც ქურდობა ჰბრალდებათ. (ივერია, N241, 1897 წელი);

წერილი გუდაუთიდგან
10 დეკემბერი

საზოგადოდ აფხაზეთი და კერძოდ გუდაუთის ნაწილი, ანუ „ბზიფი“ სრულიად მივიწყებული იყო სწავლა-განათლების მხრივ. მთელს ამ ნაწილში, სადაც 17 ათას სულზე მეტი მცხოვრები ირიცხება, სამი ერთ-კლასიანი სკოლა იყო: გუდაუთის სამინისტრო სკოლა, ლიხნისა და ახალათონის სამრევლო სკოლები. აი, ამ ბოლო დრომდის ამ სამს სკოლას შევყურებდით ამდენი მცხოვრებნი: ჩვენთვის არც შინაური, არც გარეშე კაცი იყო მშველელი. ხოლო უკანასკნელ დროში ქურდობა-ავაზაკობის უფრო და უფრო გავრცელებისა გამო ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა გამოაგზავნა 1895 წელს შემოდგომაზედ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების მაშინდელი ინსპექტორი ბ-ნი დიმიტრიევი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა, რაც შეიძლება მეტი სკოლა დაეარსებინა. ამასთანავე გუბერნატორი ჰპირდებოდა საკმაო შემწეობას საერობო ფულიდგან იმ საზოგადოებათ, რომელნიც დაიარსებდნენ სკოლებს. ეს სულ იმიტომ, რომ ბ-ნი გუბერნატორი ქურდობა-ავაზაკობის მოსასპობლად ერთს საუკეთესო საშუალებად სკოლასა ჰსახავდა. სამწუხაროდ, ამ მოგზაურობამ ბ-ნ ინსპექტორისამ ვერაფერი ნაყოფი ვერ მოიტანა: ყველა საზოგადოება დიდის აღტაცებით მიეგება ბ-ნ დიმიტრიევის აზრს და დაჰპირდნენ, ეხლავე მოგცემთ განაჩენებსაო, მაგრამ მათ დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ვეღარ აღასრულეს. ამ მიზეზებს აქ არ ვახსენებთ, რომ „ბატონს“ არ ეწყინოს. ასე თუ ისე, ჩვენ დღესაც უსკოლობისა გამო ბნელსა შინა ვიმყოფებით. ხოლო წრეულს უფრო მეტი ყურადღება მოგვაქცია დირექციამ და შემოდგომაზედ სოფელ ლიხნში დაგვიარსა ერთ-კლასიანი ნორმალური სკოლა, რომელიც ინახება საერობო ხარჯით. მომავალ იანვრიდგან-კი იმავე საერობო ხარჯით არსდება ერთ-კლასიანი სკოლები სოფლებს ააცში, მუგუძურხვაში და ჯირხვაში. ეს სკოლები ჩვენთვის ეხლა სულზე მისწრებაა და ამიტომ მოთავენი ამ სკოლების დაარსებისა დიდის მადლობის ღირსნი არიან, რადგანაც შეძლება მისცეს ზემოხსენებულ ოთხ საზოგადოებას თავიანთ შვილებს წერა-კითხვა მაინც ასწავლონ.

დირექციასთან ერთად, უფრო ადრე სოხუმის საეპარქიო სამოსავლო საბჭომ მიაქცია ყურადღება ჩვენს უნუგეშო მდგომარეობას ამ მხრივ და სკოლების დაარსებას მიჰყო ხელი. როგორც „ივერიის“ მკითხველებმა უკვე უწყიან, ერთ ორ-კლასიანი სამრევლო სამოსწავლო კურსებით სკოლა შარშან საბჭომ დაგვიარსა დ. გუდაუთში. ამ სკოლაში უკვე ოთხმოცამდე მოსწავლეა. მეორე ერთ-კლასიანი სკოლა შემოდგომაზედ დააარსა „კავკასიაში მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ“ სოფელ აჭანდარაში და მასწავლებლად დანიშნა ტფილისის სასულიერო სემინარიაში კურს-დამთავრებული ექ. თორაძე. სოხუმის სამოსწავლო საბჭომ დაარსა აგრეთვე სამრევლო სკოლები რუსთა

ახალშენებში: ბაკლანოვკასა და პეტრე-პავლოვსკაიაში.

ჩვენთვის ყველაზედ უფრო შესანიშნავია კერძო კაცთა მიერ დაარსებული სამრევლო სკოლები. ამათში პირველობა ეკუთვნის სოფელ დურიფშის ეკკლესიის მედავითნეს ბ-ნს სვიმონ ნოდიას. საქართველოს სხვა კუთხეში სამრევლო სკოლის დაარსება დიდი არაფერია, გარნა აქ კი აქამდის ნამდვილი გმირობა იყო. იქ სურვილი თუ გაქვს, ყველაფერს დასძლევ; აქ ასე ადვილი არ იყო და არ არის ეხლაც. აქ ბ-ნ ნოდიას მაგალითამდის არც-კი ვიცოდით, რომ კერძო კაცს შეეძლო გაუნათლებელ აფხაზთა შორის სკოლის დაარსება. ამან-კი მოიწადინა და ერთის წლის განმავლობაში სკოლაც დაარსა, საზოგადოებას სასკოლო შენობაც ააშენებინა, ორმოცს მოსწავლეს თავი მოუყარა და მთელ წელიწადს უსასყიდლოდ ასწავლა. ამ შემოდგომიდგან-კი მასწავლებელს წლიურად სამასი მანეთი დაუნიშნა საბჭომ. მასწავლებლად ბ-ნი ნოდია დაამტკიცა. ბ-ნ ნოდიას მაგალითს სხვა პირთაც მიჰბაძეს. ჯერ-ჯერობით სამრევლო სკოლები დაარსეს: მღ. იონა ნაჭყებიამ სოფელ ბულაბირხვაში; მღ. ამბაკო თოფურიძემ - სოფელ ბარმიშში და დიაკონ სამსონ კვაჭანტირაძემ - რუსთა ახალშენ ბამბორაში.

როგორც სჩანს, აქაურ სამღვდელოებას შეუგნია, რომ აფხაზების სწორ და კეთილ ღვთისთვის სასიამოვნო და კაცთათვის სასარგებლო გზაზედ დასაყენებლად ეკკლესიასთან ერთად სკოლამაც უნდა იმოქმედოს. ვიტყვით უფრო მეტს; უსკოლოდ ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელიც იქმნება აფხაზთ ცრუ-მორწმუნეობა მოაშორონ და ჭეშმარიტი ქრისტიანობა შეათვისებინონ იქ, სადაც ცეკვა-თამაშით საზოგადოება შეჰყურებს სახლის წვას მარტო იმიტომ, რომ ხელის განძრევა სახლის ცეცხლისაგან გადასარჩენად ღმერთს ეწყინებაო, რადგანაც სახლი მეხისაგან იწვისო, იქ მარტო ეკლესიას უსკოლოდ საზოგადოების მოგონიერება არ შეუძლიან. ვიმეორებ, როგორც სჩანს, ჩვენს სამღვდელოებას ეს შეუგნია და პოლიციასა და მთავრობის შეწუხების მაგიერ, - არიქათ! ვინა ხართ მამაცი? გვიშველეთ! აქ მოლა გაჩნდა, ხალხს ჰრყვნისო. ამიტომ შეჰბოჭეთ და „ნაობახტაში“ ჩაალპეთო: აქ კიდევ ესა და ეს მეხს თაყვანს სცემსო-ციხით და „აპასმათი“ (ჭვავის პური) მოგვარჯულებინეთო; ხალხი სახარების წილ გრდემლის წინაშე (სამჭედლოში) ჰფიცულობსო, ძალა დაატანეთ სახარებაზედ დაიფიცონო და სხვა-და-სხვა ამისთანა უნაყოფო ჩივილების მაგიერ ნაყოფიერ საქმეს მოჰკიდონ ხელი და ჩვენც დარწმუნებულნი ვართ, მეტს გააკეთებენ, ვიდრე უწინ და სამართლიან თუ უსამართლო სამდურავს თავს დააღწევენ. დასასრულ ვუსურვებ ჩვენს სამღვდელოებას, მეტი სიყვარული და მხნეობა გამოიჩინოს ამ გზაზედ სვლის დროს. /ჰამუთ-ბეი/. (ივერია, N262, 1897 წელი);

1897 წელი

გაზეთი ,,ცნობის ფურცელი''

შეწირულობა

სოხუმის იაფფასიან წიგნთსაცავ-სამკითხველოს გამგეობა უგულითადეს მადლობას უცხადებს შემდეგ პირთ, რომელთაც ფულით დახმარება აღმოუჩინეს სოხუმის იაფ-ფასიან წიგნთ საცავ-სამკითხველოს. 30 მანათი - პეტრე ბარკალაიამ; 15 მან. - დეკანოზ დავით მაჭავარიანმა, მღვდ. ბესარიონ ხელაიამ, ერასტო საბაშვილმა, ძმათა ვასილ და პარმენ გოგრიჩიძეებმა, მიხ. თოფურიძემ და საჩინო იოსელიანმა, 10 მან. - თეიმურაზ გაბუნიამ, ძმ. ფილიპე და ნიკიფორე ერქომაიშვილებმა, დიმ. ჭავჭანიძემ და ამხანაგებმა, ძმათა გახუ

და ბეგლარ თურქიამ, ძმათ ნესტორ და ვლადიმერ მასხარაშვილებმა, სტეფანე თურქიამ, ნესტორ გოგიჯანეიშვილმა, გ. ლეონტიევმა, მ. მელიქიშვილმა, ივანე ბურჭულაძემ და საჩინო თურქიამ. 5 მან.: - გ. ზოგრაფ-პულომ, ალექ. ჩაჩავამ, ვას. ადამიამ, კარფეზ წეროძემ, ილარ. მაღლაკელიძემ, ძმ კირთაძენმა და პავლე გაფიადმა. 2 მან. - ბახვა გაბუნიამ, ელ. კაჭარავამ, ტოტია ხარბედიამ, ეგნატე გეგენავამ, ანთ. სალუქვაძემ, დათა დავითიამ, მღვდ. ნიკ. ივანაშვილმა, ან. გოჩოლეიშვილმა, ან. მამულიამ და მღვდ. ნიკოლოზ სასანიამ. 1 მან. - თავ. კირ. მიქელაძემ, მ. გურაბანიძემ, დავით დალაქიშვილმა, სოლომონ კვახაძემ, ალექსი გოგრაძემ, ალ. კვახაძემ, გ. ჭავჭანიძემ, ბ. კაკაბაძემ, აგია თათეიშვილმა, ნ. იამანდოპულომ, საბა ლიპარიდიმ, გ. მეტაქსოპულომ, მათე პაპანდოპულომ, კონს. პაპანდოპულომ, იასონ ხაფთასმა, ალ. ღვინჭილიამ, ნეს. ძაგანიამ, პეტრე ჯღანჯღავამ, ისლამ ყალიჩავამ, ყარამან გაბუნიამ, ისიდ. ცხაკაიამ, ვარ. რუხაძემ, სტ. აბჟიანცმა, ელ. სარღანიდიმ, ივანე მიმინოშვილმა, გ. თურქიამ, გ. ფარცვანიამ, ვ. ტოპერმანმა, ილ. ხომერიკმა, მაქ. როჭოლავამ, გ. ქილაძემ (ფოთიდგან), მიხეილ კლიმიაშვილმა (ტფილისიდან), დანიელ ვალუისკიმ, პროფ. ალ. ხახანაშვილმა, გრიგოლ გვაზავამ და ივანე კეთილაძემ; 50 კაპ.: ივანე დიმიტრიადიმ, გ. ცხომელიძემ და დიმ. ტაბიძემ. სულ 353 მან. და 50 კ. (ცნობის ფურცელი, N78, 1897 წელი);

გუდაუთი (სოხუმის ოლქი)

გუდაუთში 90 კომლი ცხოვრობს. ამათში 80 კომლი მეგრელები და იმერლებია. 1881 წელს გუდაუთის მცხოვრებლებმა თავისის ხარჯით ააგეს ეკკლესია. 1887 წლამდე ამ ეკლესიაში წირვა-ლოცვა იყო ქართულს ენაზედ, 1897 წლიდგან - კი წირვა-ლოცვა ხდება რუსულ ენაზედ, რომელიც მხოლოდ 4-5 კაცმა თუ იცის მათ შორის, ვინც წირვა- ლოცვას ესწრება ხოლმე. გუდაუთის მრევლმა არაერთხელ მიჰმართა მღვდელს იოანნე ჩაჩანიძეს და სთხოვა, ქართულად სწირეთ, მაგრამ მან ამ თხოვნას ყური არ ათხოვა. ეს მით უფრო საკვირველია, რომ ნამდვილად ვიცით, მამა ჩაჩანიძეს არავისაგან არა აქვს ნაბძანები, რუსულ ენაზედ სწიროს გუდაუთში. ეს ამბავი მეტად სამწუხაროა, რადგანაც გუდაუთი შუა გული ადგილია იმ ქვეყნისა, რომელსაც ჯერ ქრისტიანობა რიგიანად არა აქვს შეთვისებული და ამიტომ ძლიერ საჭიროა, რომ ლოცვა და ქადაგება მათ ენაზედ იყოს („ნო. ობოზ.“). (ცნობის ფურცელი, N84, 1897 წელი);

სოხუმის ქალაქის არჩევანების შესახებ

რუსულ გაზეთ Новое Обозрьние-ში დაბეჭდილია წერილი სახოკიასი, სოხუმიდან მოწერილი, შემდეგის შინაარსისა: თერთმეტი თვეა, სოხუმელები ელოდებიან წარსულის წლის თებერვალში არჩეულ ხმოსანთა სიის დამტკიცებას და მაინც არა ეშველა რა ამ დამტკიცებას. ამ ლოდინში - კია სოხუმი, ლამის არის, წყალმა წაიღოს მდინარმა. პოლიციის სამმართველო ჯერ თავისს საქმეებს ძლივს უძღვება და, გულითაც რო უნდოდეს, ქალაქის ინტერესებს ვერაფერ მალამოს ვერ დასდებს. ქალაქის დეპუტატებს, როგორც მოგეხსენებათ, სასყიდელი არაფერი ეძლევათ თავისს შრომისათვის. გარდა ამისა, ჯერ წარსულის წლის იანვარს გაუვიდათ ვადა სამსახურისა, ხოლო დღეს არ იციან ქალაქის მართვის წესი როგორ შეიცვლება, და ამიტომ, სათანადო გულ მტკინველობით ვერ ეკიდებიან ქალაქის საქმესა. სასაცილოც იქმნება, მოვთხოვოთ, ქალაქისათვის კარგად იზრუნეთო. ამ სახით, ქალაქს პატრონი და ჭირისუფალი არავინა ჰყავს. ქალაქის ქონება განადგურდა. ქალაქის საუცხოვო ტყე გაოხრდა და გატიალდა, ის ტყე, რომელსაც კარგის პატრონის ხელში რამდენიმე ათასი მანათის მოტანა შეეძლო წლიურად. ერთი წელიწადიც რომ ამ დღეში დარჩეს, მეტი არც-კი უნდა. ქალაქის ქუჩები, სანიტარული მდგომარეობა და სხვ.

ყოვლად უვარგისია. იმის მაგივრად, რომ სოხუმი საუკეთესო საზღვისპირო საცხოვრებელი ქალაქი და კლიმატური სადგური იყოს, ხალხი ეტანებოდეს და მკვიდრთ შემოსავალს აძლევდეს, დღეს ყველასათვის საფრთხობელად გამხდარა; ვინც რომ ნახავს, გაურბის, თითქო კეთროვანთა ქალაქში ამოჰყვეს თავიო. ყოველისავე ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ, როგორც მოგახსენეთ, პატრონი არა ჰყავს ქალაქსა, რომ თვით-მმართველობის შემოღებამ ასე დაიგვიანა. ამიტომ, სოხუმელებმა წარსულ დეკემბერში, სოხუმის ოლქის უფროსის საშუალებით, ქუთაისის სამხედრო გუბერნატორსა სთხოვეს ან დაგვიმტკიცეთ წარსული არჩევნები, ან ახალი არჩევნები დაგვინიშნეთო. იმედია, სოხუმელთა თხოვნა შეწყნარებულ იქმნება, და სოხუმს ახლა მაინც ეღირსება თვით-მმართველობა. (ცნობის ფურცელი, N86, 1897 წელი);

სოხუმი. ციების შემცირება და ჭლექიანები

სოხუმი და ციებ-ცხელება ამ რამდენისამე წლის წინად სინონიმები იყო. ეს გარემოება ავადმყოფებს, მეტადრე ჭლექიანებს, ძალიან აფრთხობდა. გარნა უკანასკნელ ხანში ციებ-ცხელება სოხუმში, ლამის არის, სულ მოისპოს. წარსულ ზაფხულს, მაგალითად, კანტი-კუნტად თუ იყო ციება ამ ქალაქში. ციების შესუსტებას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ სოხუმის გარშემო ჭაობები გააშრეს. ავადმყოფები წლეულს სოხუმში, ჩვეულებრივ, ბლომად მოვიდნენ. უბინაობამ ძალიან გაუჭირა საქმე ახალმისულებს. მთელს სოხუმში სამად სამი სასტუმროა. ერთს დროს ყველა სასტუმროებში თავისუფალი ოთახების შოვნა აღარ იყო. ისე კერძო ბინების შოვნაც გაჭირდა: ჯერ ერთი ძირია აქ სახლები, და მეორეც, ყველა სახლებს ერთი და იგივე ნაკლულევანება აქვს: ყველა ნოტიოა, ძალიან დაბლა დგანან მიწაში. დრო -კი არის აქაურმა სახლის პატრონებმა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და შემდეგში მაინც თავისი სახლების საძირკვლები ცოტა მაღლა აიყვანონ. მაშინ აღარც სინესტე იქმნება ოთახებში და კარგ ფასებშიც გააქირავებენ პატრონები. (ცნობის ფურცელი, N87, 1897 წელი);

სოხუმის ქალაქის არჩევნების საქმე

როგორც გავიგეთ, განხილულ იქმნა და ამ მოკლე ხანში გადასწყდება დამტკიცდეს შარშან თებერვალში არჩეულ ხმოსანთა სია, თუ ხელ-ახალი არჩევნები დაინიშნოს. (ცნობის ფურცელი, N91, 1897 წელი);

სოხუმი. სამღვდელოების კრება

სოხუმიდამ დეპეშით გვატყობინებენ, რომ იქ დანიშნულია 23 იანვრისათვის საეპარქიო კრება სამღვდელოებისა სხვა და სხვა თავიანთ საჭირ-ბოროტო საგნებზედ მოსალაპარაკებლად. (ცნობის ფურცელი, N91, 1897 წელი);

შემოწირულობა

სოხუმის იაფფასიან წიგნთ-საცავ-სამკითხველოს ვასილ ცხომარიამ და გუთუ ნორაკიძემ შემოსწირეს 8 მან. და 60 კ. სხვა-და-სხვა ნივთები, ტფილისის ფოტოგრაფმა ალექს. როინაშვილმა - „ძმური სიტყვა“ დ. მაჩხანელისა 5 მანათისა, თეოდორე გერმანოსმა 7 მანათის ფიცრები მაგიდისა და განჯისათვის და დ. ჭავჭანიძემ და ამხანაგობამ 2 მან. და 30 კ.

სხვა-და-სხვა ნივთები, რისათვისაც ზემოხსენებულ პირთ თვისს უგულითადესს მადლობას სწერავს სოხუმის იაფ-ფასიან წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგეობა (ცნობის ფურცელი, N101, 1897 წელი);

აფხაზეთი. მხეცური ავაზაკობა

ასეთს უბედურებას არ მოსწრებია კაცი. ლამის მთელი აფხაზეთი ავაზაკთა ბუდეთ გადაიქცეს. დღე ისე არ გაივლის, თითო-ოროლა სამწუხრო ამბავი არ შეიტყოს ადამიანმა, გროშისათვის კაცსა ჰკლავენ!.. მარტო ღმერთმა უწყის, თუ რა ამბებია ამ ჟამად აფხაზეთში!.. სხვა მრავალს ჩვეულებრივ ავაზაკობათა შორის ერთი ყოვლად მხეცური ამბავი მოხდა ს. კინდღში (კოდორის ხეობაში). 30 იანვარს მამასახლისმა შეატყობინა უფროსს: ორი კაცი აწყვია მკვდარი გზაზეო. უფროსი მაშინათვე გაემგზავრა ყაზახრუსებით და რა ნახა მერე? ერთი თავ-დაღმა ეგდო ტალახში, მხოლოდ მეორე სარზე წამოცმული. ერთი აღმოჩნდა გ. გოგია 20 წლისა და მეორე დაბა ხობის მცხოვრები გერგაია. საწყლები სავაჭროთ გამგზავრებულან სოფელში. ნაწილის უფროსი ოთხი დღეა, რაც იქ არის, ჯერ არ დაბრუნებულა. ამბობენ, ბოროტ-მომქმედნი აღმოაჩინესო. (ცნობის ფურცელი, N115, 1897 წელი);

სოხუმი. კაცის მოკვლა

სოფელ ბედიაში (სამურზაყანო) 9 თებერვალს უცნობ ავაზაკებს მოუკლავთ აზნ. კეღუცა მახარია. საცოდავს, თურმე, თავისი ცოლ-შვილი გარს შემოესხა და ვახშამს შეექცევოდა, როდესაც შემოსულან ავაზაკები და შემოსვლისთანავე ორ-ჯერ დაუცლიათ თოფი. ერთი ტყვია გულში მოხვედრია და მეორე კისერში. კეღუცა მახარია მხნე დამხმარე იყო ადმინისტრაციისა ქურდობისა და ავაზაკობის მოსპობის საქმეში. ეჭვი არ არის, რომ მისი მკვლელები, იმ ავაზაკთა გუნდს ეკუთვნიან, რომელიც არა ერთხელ დაუფრთხვია უშიშარს და პატიოსანს მახარიას. გამოძიება სწარმოებს. (ცნობის ფურცელი, N119, 1897 წელი);

სოხუმი. ხმოსნების დამტკიცება

ჩვენ დეპეშით გვატყობინებენ სოხუმიდან, რომ ხმოსნები დამტკიცებულ იქმნენ მთავრობისგანაო. მადლობა ღმერთს, რომ ძლივს მაინც დასრულდა ეს დაუსრულებელი ამბავი და ქალაქ სოხუმს ეღირსა პატრონი. ეხლა სრული იმედია, რომ სოხუმის ხმოსნები მორიგდებიან და შესაფერს კაცს აირჩევენ ქალაქის თავად. სოხუმს სჭირია მხნე, გამჭრიახი, ერთგული და ბეჯითი მოურავი. (ცნობის ფურცელი, N121, 1897 წელი);

სოხუმი. გ. წერეთელი ქალაქის თავად

აქ განზრახვა აქვსთ ქალაქის თავობა გ. წერეთელსა სთხოვონ. მით უფრო სახიერო იქმნება ბ-ნ გ. წერეთლისათვის ამ საპატიო თანამდებობის მიღება, რომ ხე-ტყის კანტორაც აქ ექმნება და იმასაც უგდებს ყურს. (ცნობის ფურცელი, N121, 1897 წელი);

სოხუმი

არიქა, შენ იცი, რაც მალე მოხვალ, თორემ შენს მტერს, რაც ჩვენ ყოფაში ვართ. მართალია,

ხმოსნების არჩევანები დამტკიცდა, მაგრამ თავი არ გვაბია და ჩვენი ეხლანდელი დეპუტატები რას გააწყობენ: ერთი სიმსუქნისაგან საბერველსავით ქშინავს, ასე გეგონებათ მთელი სოხუმის ხე-ტყე მუცელში მოუქცევიაო. მეორე-კი გეგონება ნეკრესის ქარისაგან არის დახუთულიო, ისე საცოდავად გამოიყურება. ოჩამჩირე: თუ წამოხვალთ ჩვენკენ, „პუშკინის“ გემს ერიდეთ, მეტად მკაცრი კაპიტანი ჰყავს. გაიგებდით ამას წინად „ცნობის ფურცლის“ მიუდგომელი კორესპონდენტი თ. სახოკაია ცოტას გაწყდა, ზღვაში გადაუძახა, რატომ შენს ქერქში არ ეტევი შე „ბუნტოვჩიკოო“. (ცნობის ფურცელი, N124, 1897 წელი);

დაბა გუდაუთი (აფხაზეთი). უმამასახლისობა

გასულ ქრისტეშობისთვეს გარდაიცვალა დ. გუდაუთის მამასახლისი გ. თოფურიძე და ჯერაც საზოგადოებას არ ამოურჩევია ამ თანამდებობაზე კაცი, რადგანაც ამ მოკლე ხანში უნდა ამოირჩიონ მამასახლისი, საზოგადოებას მოვაგონებთ, რომ დროა გუდაუთელებმა თავისს საზოგადო საქმეებს მაგრად მოჰკიდონ ხელი და გონიერად წინ წარუძღვენ, შენჩემობა და მამინათლობა უკუ აგდონ და მარჯვე, მოხერხებული საზოგადო საქმეთათვის გულშემატკივარი, გონიერი და პატიოსანი კაცი აირჩიონ მამასახლისად, რათა წარმატების გზაზე დააყენონ ჩვენი დაბა. სიფრთხილე მართებსთ, დაბის უფროსობა არ ჩაუგდონ საზოგადოების ქონების დაბის შემოსავალის ჩაჯიბვის მოტრფიალეს, კარგსა და კეთილს საქმეში უნიჭოსა და უცხო კაცს. ჩვენი დაბა არც ისე ღარიბია შემოსავლითა, რომ, შედარებით, არ შეეძლოს გონიერ და პატიოსან პატრონის ხელში თავის საჭიროების დაკმაყოფილება, და კაცს ათქმევინოს: „რას გააწყობს კაცი, თუ ადგილი და გარემოება ხელს არ უწყობსო“. არა, ვიმეორებთ, ადგილ მდებარეობისა და მშვენიერ ჰავის წყალობით, გონიერ და პატიოსან მომვლელის ხელში, ახლო მომავალში გუდაუთა გარდაიქცევა პატარა, მაგრამ მშვენიერ ქალაქად შავი ზღვის პირზე. იმედია, გუდაუთის ბედის გადაწყვეტაში თავისს ჭკუასა და გამოცდილებას კეთილად მოგვახმარებენ გუდაუთელებისაგან პატივცემულნი დ. ნადარეიშვილი და მ. ბუაძე და შესაფერს კაცს აგვარჩევინებენ გუდაუთის ბედ-იღბლის გამგედ და პატრონად. (ცნობის ფურცელი, N125, 1897 წელი);

სოხუმი. ქალაქის თავის არჩევნების გამო

დეპეშით გვაცნობეს ქუთაისიდან, რომ სოხუმის ქალაქის ხმოსანთა არჩევანი დამტკიცდაო. ეს ამბავი ერთს საათში მთელს სოხუმს მოეფინა და ყველა სიხარულს მიეცა, რადგან წელიწადზე მეტი არის, რაც ამის მოლოდინში იყვნენ აქაურები და დღესაც ძლივსღა ეღირსნენ! მართალია ხმოსანთა არჩევანი დამტკიცდა, მაგრამ ამით ყველაფერი როდი გაკეთებულა და გათავებულა! აი საქმე ახლა არის და გამოფხიზლებაც ეხლა გვმართებს, - ყველამ კარგად იცის, რა მძიმე სატვირთავი საქმეა ქალაქის მოურავობა და ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის რიგიანად წაყვანა. ამისთანა საქმის მმართველად და წინამძღოლად საჭიროა „კაცი“ ბატონებო. კარგად უნდა დავუკვირდეთ ამ სიტყვას, კაცი და ისე გამოვძებნოთ და დავაყენოთ ქალაქის თავად ნამდვილი კაცი, ჩვენი გულშემატკივარი და არა იმისთანა, რომელზედაც დღეს რამდენიმე ხმოსანთ აქვთ ლაპარაკი: „კი ივარგებსო“! თუ საქმე ივარგებზე მიდგა, მაშინ ყველა ივარგებს: გიორგიც, ექვთიმეც და მარკოზიც. ივარგებს კი არა, სწორედ გამოსადეგი, საიმედო, შრომისმოყვარე და გონიერი ადამიანია ჩვენთვის საჭირო; ქალაქის მოურავობა საზოგადოთ ადვილი საქმე არ არის და სოხუმისა მით უმეტესად. გამრჯე, მხნე და პატიოსან კაცის ხელში სოხუმი ერთი ათად უფრო წინ წავა და ახლოს მომავალში შესაფერ ადგილს დაიჭერს შავი ზღვის ნაპირ ქალაქთა შორის. მაგალითებისათვის შორს არ მოგვინდება წასვლა, მოვიგონოთ თუნდა ფოთი. ჩვენმა სახელოვანმა მოღვაწემ, ნიკო ნიკოლაძემ, ისეთი საქმე შესძლო, რომელიც ბევრისთვის

საოცნებო და შეუძლებელი იქნებოდა. მართალია, ნიკოლაძეს ჩვენში ცალი არა ჰყავს, მაგრამ გამრჯე, მშრომელი, ერთგული და გონიერი კაცები მოგვეპოვება და ჩვენც იმათ ჩავჭიდოთ მაგრად ხელი. ჩვენი საწყაო „ივარგებს“ და „არა უშავს“ კი არ უნდა იყოს, არამედ, „საჭირო“, „გამოსადეგი“ და „სასარგებლო“. (ცნობის ფურცელი, N127, 1897 წელი);

სოხუმი. ქალაქის არჩევანების გამო

ამას წინად დეპეშით გვაცნობეს ქუთაისიდან, რომ სოხუმის ხმოსანთა არჩევანი დამტკიცდაო; ხოლო ეს დეპეშა კერძო კაციდან მივიღეთ და, რადგან ის კაცი სანდო პირიც არის, ჩვენც ვერწმუნეთ ამ სასიამოვნო ამბავს და დეპეშითვე ვაცნობეთ გაზეთს „ცნობის ფურცელს“ ხმოსნების არჩევანების დამტკიცება. აქაც ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ და თვით ადმინისტრაციის წარმომადგენელიც გაიძახოდა, მადლობა ღმერთს, რომ დამტკიცდა არჩევანიო. მას შემდეგ, ყოველ დღე ველოდით ოფიციალურს ცნობას ქუთაისიდამ, მაგრამ ეს ლოდინიც გაგვიცრუვდა! აქ კი ეჭვქვეშ შესულნი მოქალაქენი დეპეშით შეეკითხნენ ქუთაისის გუბერნატორს, მართალია თუ არა ხმოსნების დამტკიცებაო და გუბერნატორის კანცელარიის მმართველისაგან მიიღეს შემდეგი პასუხი: „არჩევანების საქმეს გუბერნატორი მთავარ-მართებელს წარუდგენს განსახილველად.“ ახლა კი ცოტა არ იყოს, მეტი ფხა გამოიჩინეს აქაურმა მოქალაქეებმა; დატრიალდენ და გადასწყვიტეს, რო თხოვნით მიჰმართონ ბ-ნ მთავარ მართებელს, რომ, რაც შეიძლება, ჩქარა იქმნას დამტკიცებული არჩევანი. (ცნობის ფურცელი, N138, 1897 წელი);

სოხუმიდამ საკალათე ტირიფის გაგზავნა

სოხუმის საბადოსნო და სამეურნეო საცდელ სადგურის გამგეს ბ-ნს ტატარინოვს ქალ. ახალქალაქში საბეგრო ინსპექტორ ბ-ნ გუკასიანცისათვის გაუგზავნია რამდენიმე რქა საკალათე ტირიფისა ადგილობრივ მკვიდრთა შორის გასავრცელებლად. რამდენად ჩვენ ვიცით, ეს სასარგებლო მცენარე სოხუმის ოლქში მარტო ხსენებულს სადგურში მოიპოვება და ნორმალურ სასწავლებლის განყოფილებაში სოფ. ალექსანდროვსკოს, რომლისთვის ამ სასწავლებლის ზედამხედველს, ბ-ნს ვას. ადამიანს შეუძენია ერთის გერმანელისგან. კარგს ინებებს, ბ-ნი ტატარინოვი ადგილობრივაც გაავრცელებდეს ამ მცენარეს მით უფრო, რომ სოხუმის ოლქის ნიადაგი და ჰავა ძალიან ხელს უწყობს მისს გავრცელებას. (ცნობის ფურცელი, N142, 1897 წელი);

ქ. სოხუმი. ოლქის სასამართლოს სესსია

17 მარტისათვის აქ უნდა ჩამოვიდეს ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესსია. (ცნობის ფურცელი, N142, 1897 წელი);

ქ. სოხუმი. უპასპორტოების გაგზავნა

სოხუმის ოლქიდგან 10 მარტს 30 უპასპორტო კაცი გაისტუმრეს ოსმალოს ქვეშევრდომნი გემით ბათომში. (ცნობის ფურცელი, N142, 1897 წელი);

სოხუმი. ქალაქის ხმოსნების დამტკიცების გამო

როგორც ნამდვილად შევიტყეთ, სოხუმის ქალაქის არჩევნები ქუთაისის საქალაქო საქმეთა საკრებულოს კანონიერად უცვნია. ხოლო ხმოსნების სია მთავარ-მართებლისათვის გაუგზავნია განსახილველად. (ცნობის ფურცელი, N146, 1897 წელი);

სოხუმი. საყასბოების სიშურდლე

ისე არც ერთს ქალაქს არ ეტყობა უპატრონობა, როგორც სოხუმს. აქაო და ქალაქს გამგეობა არა ჰყავსო, ვისაც როგორ უნდა, ისე იქცევა და ყურსაც არ იბერტყავენ სუფთაობის დასაცველად. განსაკუთრებით, ყოვლად საზარელ მდგომარეობაშია აქაური საყასბო, სადაც საქონელს ჰკლავენ ხოლმე. ისეთი ტალახი, ისეთი ბინძურობა არა გვგონია სადმე იყოს. საკვირველია, აქამდის როგორ არ გაჩნდა ხოლერა ან ჭირი. ამ დალოცვილებს ის მაინც დააფიქრებდათ, რომ შავი ზღვის ერთს ქალაქში - ფეოდოსიაში - ამ დღეებში ბომბეიდგან ჩამოსულ გემზე უკვე აღმოჩნდა შავი ჭირით ავადმყოფი და, დღეს არა ხვალ, ეს საზარელი სენი ადვილად შემობრძანდება ჩვენს ბინძურ ქალაქშიაც. (ცნობის ფურცელი, N147, 1897 წელი);

დ. გუდაუთა (აფხაზეთი). უცნაური მეაფთიაქე

ჩვენს გუდაუთშიაც არის ერთი ვითომდა აფთიაქი, მაგრამ ვაი ამისთანა აფთიაქის შემყურეთ. მის ბატონ პატრონისათვის არ არსებობს არცერთი სხვა მეაფთიაქეთათვის სავალდებულო კანონი: არც ნიხრი, არც დრო და არც სხვა!.. ბ-ნი მეაფთიაქე წამლებს გაურეცხელ და ნახმარ ჭურჭელივით იძლევა; ხშირად წასასმელ წამლის ჭურჭელს აწერია „внутренное" და სასმელზე „наружное"! აგრეთვე, ხშირად მის არ ყოფნობის დროს წამალს იძლევა მისი ცოლი; რასაკვირველია, ამას ცუდი შედეგი უნდა მოჰყვეს, რაიც არა ერთსა და ორს აქაურს მცხოვრებს უგემებია! სასურველია, ვისიც ჯერ არს, ამ ვაჟბატონის თვით-ნებობას ყურადღება მიაქციოს და აჰლაგმოს. (ცნობის ფურცელი, N148, 1897 წელი);

ს. კვიტოული (აფხაზეთი). კისერა და უექიმობა

აქ გაჩნდა კისერა (სკარლატინა) და ხალხს მუსრს ავლებს. ოთხის კაცის სიკვდილის შემდეგ ძლივს ვეღირსეთ ფერშლის დახმარებას. საკვირელია, ღმერთმანი, რატომ ხან-და-ხან არ დაგვხედავს დრანდის სავადმყოფოს ექიმი ბ. არშანიცი, რადგანაც ეს მისი მოვალეობაა, როგორც სასოფლო ექიმისა. აქ საშინელი ქურდობაა. ჩვენს ბაზარზე ცხენი და ხარი აღარ დატოვეს ქურდებმა. (ცნობის ფურცელი, N148, 1897 წელი);

სოხუმის ქალაქის თავი

ამავე გაზეთში სწერენ სოხუმიდან, რომ ხმოსნების არჩევნები უკვე დამტკიცებული არის უმაღლესის მთავრობისაგან. ქალაქის მოურავად ზოგიერთს წრეებში ასახელებენ ერთს იქაურს მემამულეს რუსთაგანსო. (ცნობის ფურცელი, N149, 1897 წელი);

დ. გუდაუთა. ქურდების დაჭერა

მთელი ბზიფი (აფხაზეთის დასავლეთი ნაწილი) ქურდებისაგან აკლებული იყო. გუდაუთის ნაწილის უფროსი თ. ბეს. ჩიქოვანი, მიუხედავად თვისის დაუცხრომელის მეცადინეობისა,

მაინც ვერას აწყობდა აღვირ-წახსნილ ყაჩაღებთან. დღეს რომ ერთს დაიჭერდა, ხვალ, დაჭერილის მაგიერ, ორი და სამი და ხან მთელი ბრბო გამოვიდოდა საასპარეზოდ და შიშის ზარსა სცემდა მთელს მხარეს. აქ ქვრივ-ობლებს დააწიოკებდნენ, იქ სოფლის ღარიბ მღვდელს სულს იქით არას შეარჩენდნენ. ყაჩაღების თავ-გასულობას ორი გარემოება შველის აქეთკენ: ერთი ისა, რომ აქაურს უღრან ტყეში ადვილად იფარავს თავს ყოველი ავაზაკი, და აქაურობის უგზოობის წყალობით მათი დევნა ყოვლად შეუძლებელი ხდება ხოლმე; მეორე მიზეზიც ის გახლავთ, რომ თვითონ ადმინისტრაციასაც ცოტა ჰყავს ხალხი და ჩაფრები ქურდების დასაჭერად და ასალაგმავად. ბ-ნმა გუდაუთის ნაწილის უფროსმა ერთს ხერხს მიჰმართა. ყველა სოფლებში მამასახლისებად ადგილობრივი თავადიშვილები აირჩია, ისეთი პირები, რომლების შიში და რიდი ჰქონდა ყველას. ამ საშუალებამ გასჭრა და სასურველი ნაყოფი მოიტანა: ქურდობა შემცირდა შესამჩნევად. გარნა გავარდნილ ყაჩაღების ფარფაშს მაინც ბოლო არ მოეღო. ადმინისტრაცია მაინც თავისას არ იშლიდა. ისე გაუჭირა საქმე ყაჩაღებს, ისე ყოველის გზით შეუკრა ხელ-ფეხი, რომ ილაჯ-გაწყვეტილი ყაჩაღები, რიცხვით 8 კაცი, ამ დღეებში თ. ჩიქოვანს გამოეცხადნენ და უთხრეს: მოგვბეზრდა ტყეში ხეტიალი, ვერ გავუძელით ამდენს შიშს, აჰა, გეახელით და რაც გნებავთ ის გვიყავითო“. გუდაუთის ნაწილის უფროსმა ყველანი სოხუმში წაიყვანა და დაჰპირდა, რადგან თქვენდა თავათ გამოცხადდით, ვეცდები სასჯელი შეგიმსუბუქონ თქვენის ავ-კარგებისათვისო. იმედია, ამის შემდეგ მაინც თავისუფლად ამოისუნთქავენ ყაჩაღებისაგან აკლებული სოფლელები. (ცნობის ფურცელი, N149, 1897 წელი);

სამურზაყანოში სასოფლო ბანკების დაარსების გამო

ამ ოცის წლის წინად განსვენებულმა თ. ჭავჭავაძემ სამურზაყანოელებს უანდერძა 20000 მანათი იმ აზრით, რომ სასოფლო ბანკი დაიარსეთ, საიდგანაც, საჭიროების დროს, ხელის მონაცვლება შეგეძლოთო. დიაღაც რომ საჭირო იყო სამურზაყანოსთვის ასეთი დაწესებულება. შეღავათს მისცემდა ამ მივიწყებულის და ეკონომიურად დაქვეითებულის კუთხის მკვიდრთ სასოფლო ბანკი, საიდგანაც მცირედის სარგებლით ფულს ისესხებდნენ და თავს დაახწევდნენ უსულღმერთო მოვახშეებს, რომლებიც ჩვენს სოფლებს წურბელასავით მისევიან და მათს გადამკიდე სოფლებს სიცოცხლე გამწარებიათ. ახლა ვიკითხოთ, საქმე რამ დააბრკოლა, რა იყო მიზეზი, რომ ამ ოცის წლის განმავლობაში ხსენებულის ტიპის ბანკი არ გაიხსნა და მოქმედება არ დაიწყო სამურზაყანოში? ამაზე წინად „ახალ მიმოხილვასა“ სწერდნენ სამურზაყანოდან, სასოფლო ბანკი რომ გაიხსნას სამურზაყანოში, ბანკისათვის საჭირო მოსამსახურენი არ მოიპოვებიან ადგილობრივადო. ამაზე კავკასიის სამეურნეო საზოგადოების გაზეთი რჩევას იძლევა, რომ იმ სასწავლებლებში, საიდგანაც სოფლის მასწავლებლები გამოდიან, ბანკში სამსახურისათის საჭირო ცოდნაც მისცენო; საჭიროა, ამავე ცოდნით აღჭურვონ სამეურნეო სკოლებში მოსწავლენიო, რომლებიც მერე სოფლებში ბრუნდებიან სამოღვაწეოთო. ამავე გაზეთის აზრით, სამურზაყანოში, სადაც 9 სოფლის საზოგადოება ითვლება, 9 საკრედიტო დაწესებულება უნდა დაარსდეს. მაგრამ რადგან საგუბერნიო ადმინისტრაციას განზრახვა აქვს თან-და-თან დააარსოს ეს ბანკები, ჯერ საჭიროა პირველი ბანკი დაარსდეს სოფ. ოქუმში, სადაც 3 000 მცხოვრები ითვლება. ოქუმის ბანკს უნდა ჰქონდეს თანხად 10,000-15,000 მანათი და სამაგალითოდ და სანიმუშოდ უნდა იქმნეს სხვა ბანკებისათვის. ამ ბანკის დაარსებაში სხვა დანარჩენი სოფლის საზოგადოებანი მიიღებენ მონაწილეობას. რა-კი აქ გაიჩარხება საქმე, მაშინ სხვა სოფლებშიაც შეიძლება დაარსდეს. იქნება, ზოგმა სთქვას, სოფლის ხალხი კარგად ვერ გამოიყენებს სესხად გამოტანილს ფულსაო. მაგრამ ეს ამაო და უსაფუძვლო შიშია, რადგან მოწინავე წოდებაც ჯეროვანად, სოფლის წარმოების გასაუმჯობესებლად, არა ხმარობდა, უმეტეს შემთხვევაში ბანკიდან გამოტანილს ფულს. მიუხედავად ამისა, მთავრობა მაინც

ზრუნავდა და ზრუნავს, ახალი საკრედიტო დაწესებულებანი დაუარსოს და ახალი საშუალება გამოუძებნოს კრედიტის შესაძენად. (ცნობის ფურცელი, N150, 1897 წელი);

გუდაუთში წირვა-ლოცვის შესახებ

ამას წინად „ცნობის ფურცელში“ მოყვანილი გვქონდა და რუსულ გაზეთ „ახალ მიმოხილვაშიაც“ იყო, რომ გუდაუთაში, ადგილობრივ მკვიდრთა სურვილის წინააღმდეგ, მღვდელი იასონ ჩაჩანიძე ქართულად არა სწირავსო. ამ გარემოებისათვის ყურადღება მიუქცევია „პეტერბურგის უწყებებს, რომელიც თავად ე. ე. უხტომსკის რედაქტორობით იბეჭდება პეტერბურგში; ეს გაზეთი ამბობს; „ამას ყურადღება უნდა მივაქციოთ, რადგან, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მარტო გუდაუთაში არ იქმნება ასეთ ამბავიო“. (ცნობის ფურცელი, N156, 1897 წელი);

სოხუმის სამკითხველო

აგერ წელიწადზე მეტია მას შემდეგ, რაც რომ სოხუმის საზოგადოებამ ბ. თ. სახოკიას თაოსნობით იაფ-ფასიანი სამკითხველო დააარსა, რომელშიაც ყველა ნაირი ჟურნალ-გაზეთები და წიგნები მოიპოვებიან. თავიდამ ამ სამკითხველოს თუმცა საკმაოდ ჰყავდა ხელის მომწერნი, მაგრამ ბოლოს კი ნელ-ნელა ჩამოეცალნენ და იქამდინ მიაღწია, რომ უეჭველად უნდა დაკეტილიყო კიდეც, თუ კვალად ბ. თედო სახოკია არ მიშველებოდა. ერთს დღეს მოიწვია საზოგადოება ბატონმა სახოკიამ და აუხსნა, რა მოელოდა მას (ე.ი. სამკითხველოს), თუ ასე უყურადღებოდ დასტოვებდნენ კვლავაც, და ამ ყოვლად პატიოსან ადამიანს საზოგადოებამაც თანაუგრძნო და აღუთქვა სამკითხველოს თვიურად ორ ორი აბაზი თვითოეულმა, რომელსაც დღემდინ პირნათლად იხდიან შემდეგნი პირნი: ძმ. გოგრიჩიძენი, თ. გაბუნია, დ. ჭავჭანიძე, ძმ. მასხარაშვილნი, ბ. გაბუნია, ალ. ჩაჩავა, ძმ. ანუა, ძმ. გოგიტაიშვილნი, ი. ცეცხლაძე, ნ. ჩიგოგიძე, ბ. ხელაია, ი. ლოლუა, გ. კვიტიაშვილი, ა. ჯუღელი, გ. ზოგრაფოპულო, გ. წეროძე, ა. რატიანი, მ. გვაზავა, ზ. ზახაროვი, ს. ფრანგულიანცი. (ცნობის ფურცელი, N156, 1897 წელი);

სოხუმის თავისუფალი მიწები

როგორც გაზეთ „კავკაზსა“ სწერენ სოხუმიდან, იქ დაარსებულ „გადმოსახლების საქმის გამგე კომისიის“ გამოანგარიშებით, სოხუმის ოლქში ამ ჟამად სახელმწიფო ადგილები მხოლოდ 2,000 დესიატინაა, რომელზედაც შეიძლება მარტო 150-180 კვამლი დაესახლოსო. (ცნობის ფურცელი, N156, 1897 წელი);

ქ. სოხუმი. ქალაქის მამულების მოიჯარადრენი

როგორც სოხუმიდანა სწერენ გაზ. „ახ.მიმ.“-ას, ამაზე წინად ქალაქის დეპუტატებს სოხუმის მამულები იჯარით მიუციათ ბერძენ და სომეხ მეთამბაქოებისათვის. იჯარის ფასი დესეტინაზე წინანდლის 20 მანეთიდან 25 მანეთამდე ასულა. არც ერთს მეგრელს არ განუცხადებია სურვილი ამ მიწების იჯარით აღებისა, რადგან თამბაქომ ეს მიწები ისე გამოჰფიტა, რომ სიმინდის მოსაყვანად არ ვარგა. სასურველია, სოხუმლებმა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას. როგორც ვიცით, ისე არც ერთი მცენარე არა ჰღლის და არ აუძლურებს ნიადაგს, როგორც თამბაქო. აქაური მამულები, სადაც-კი მეთამბაქოენი

დგანან, საშინლად გამწარდა. ბერძენი და სომეხი ხომ ამას არ დაგიდევენ, ნიადაგს სასუქი დააყარონ რამე. მანამდე სთესენ ხოლმე თამბაქოს, სანამ ნაყოფს რასმე იძლევა მამული. მერე სხვაგან იღებენ იჯარით ადგილსა. ამიტომ, საჭიროა, ან სულ არ მიეცეს თუთუნის სათესად ეს ადგილები მოიჯარადრეთ, ან, თუ არ დაიშლიან, პირობაში ჩაუწერონ მაინცა, რომ ცოტათი არის, გააპატივონ ნიადაგი, თორემ მალე, სულ 7-8 წლის განმავლობაში, სოხუმის მამულები სრულიად უნაყოფოდ გადაიქცევა. მაშინ დესიატინაში 25 მანეთს კი არა, ერთს მანყულსაც არავინ მისცემს. თქვენს ლხენას, ისეთი გიჟი ვინ იქმნება, რომ მწირი ადგილი აიღოს და იჯარის ფული იხადოს, როცა სხვაგან შეუძლია ნაყოფიერის ალაგის აღება იჯარით და ფულის მოგება; სოხუმელები მარტო აწმყოთი სცხოვრობენ, იმასა სცდილობენ დღეს რამე შემოუვიდესთ; იმას-კი არავინა ჰფიქრობს, დღეს კარგი მამული ხვალ იმნაირივე კარგი და სარგებლიანი იქმნება. (ცნობის ფურცელი, N157, 1897 წელი);

სოხუმი. უსუფთაობა ქალაქში

აქ რამდენიმე კრება მოხდა ამის შესახებ, თუ რა საშუალება იხმარონ, რომ შავი ჭირი არ ეწვიოს სოხუმის ოლქს. ამ კრებებს ის შედეგი მოჰყვა, რომ დაარსდა 18 წევრთაგან შემდგარი „სოხუმის საოლქო კომიტეტი საზოგადო სიმრთელისათვის“, რომელმაც ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის ნება-დართვით, დააბეჭდვინა და გამოსცა ეგრედ წოდებული „სავალდებულო დადგენილებანი“ სოხუმის ოლქის ყველა მცხოვრებთათვის. თვით პროექტი ამ სავალდებულო დადგენილებისა ფრიად კარგია და სასურველიც არის, რომ სისრულეში იქმნას მოყვანილ; იგი შეიცავს 55 მუხლს სხვა-და-სხვა რჩევათა და თვეზედ მეტი იქმნება, რაც გამოიცა მაგრამ ჯერ კი არც ერთი მუხლი ამ სავალდებულო დადგენილებისა არავის არ აუსრულებია და ქალაქში დიდი უსუფთაობა სუფევს. აი, მაგალითად, მე-21 მუხლში მოხსენებულია, რომ აბანოებში სიწმინდე იქმნას დაცულიო და აღიკრძალოს შიგ საცვალ ტანისამოსის რეცხვაო. თუმცა ეს ასე სწერია დადგენილებაში, მაგრამ ამის ასრულებას არავინ ყურს არ უგდებს და აბანოში თავის ბინძურს ტანისამოსს რეცხენ მუშა სომხები და ისეთი მურტალი სუნი სდგას შიგა, რომ ძლიერ მაგარი გულის კაცი უნდა, რომ შეიხედოს და არ შეჰზაროს. საშინელი უსუფთაობაა და დიდი სიბინძურე ჰყრია აგრეთვე დრანდის ბერების სადგომში. ყავახანებისა და სამიკიტნოების უკან კი ღმერთმა დაიფაროს, რომ სანიტარებმა დახედონ, თორემ, მგონი, თვითონაც ინაღვლონ, რად შევყავით ცხვირი ამისთანა ბინძურს ალაგშიო. ერთი სიტყვით, აქაურების შრომა შავ ჭირთან საბრძოლველად იმით დაგვირგვინდა, რომ გამოსცეს „სავალდებულო დადგენილებანი“ და ასრულებას კი, ღმერთმა უწყის, ვინ იკისრებს? თუმცა მოიჯარადრეებიც აირჩიეს და საფასურიც გადაუწყვიტეს შრომისათვის და ქალაქის ნაგვის გატანისათვის, მაგრამ ამით ბევრი მაინც არა გაკეთებულა-რა. ამასთანავე „სავალდებულო დადგენილებანი“ მარტო რუსთველის ენაზედ არის დაბეჭდილი და აქაურ მკვიდრთ-კი მისი არა გაეგებათ რა. /,,verte”/. (ცნობის ფურცელი, N160, 1897 წელი)

სოხუმი

წინა დღეებში აქ გამოიარა გენერალ ვასმუნდტმა, რომელსაც მინდობილი აქვს, რომ კავკასიაში და უმეტესად ზღვის პირებზედ შავი ჭირის შემოსვლის წინააღმდეგ საჭირო ზომები მიიღოს. გარეგნობით ქალაქი ძრიელ მოეწონა ბატონ ბ. ვასმუნდტს და ბათომისაკენ გაეშურა. ახლა, ამ დღეებში აქ მოვიდა რამოდენიმე სამხედრო კაცებითურთ როტმისტრი ბერნოვი, რომელსაც დავალებული აქვს, რომ შვიდის დღის განმავლობაში ცხრა „ბარაკი“ (ფარდული) და ერთი სადეზინფექციო კამერა გააშენოს. მუშაობას უკვე შეუდგნენ და ზღვის პირად, სამი ვერსის მანძილზედ ქალაქიდამ, აშენებენ ფარდულებს, სადაც მოათავსებენ მხოლოდ იმ ავადმყოფთ,

რომელნიც ჩამოსულ გემზედ საეჭვო ავადმყოფნი აღმოჩნდებიან. ქალაქმა კი თავისთვის სხვა ფარდულები უნდა ააგოს თავის საკუთარის ხარჯით, მაგრამ ჯერ კი არაფერი გაუკეთებია. /ინ-ბან/. (ცნობის ფურცელი, N165, 1897 წელი);

სოხუმი

3 აპრილს სოხუმის კლუბის დარბაზში კონცერტი გამართა ზალცბურგიდამ მოსულმა ტიროლელმა მომღერალთა დასმა. ეს დასი შესდგება ოთხი ქალისა და ორი კაცისაგან, რომელნიც შესანიშნავად მღერიან გერმანულს ენაზედ. საკვირველი არის ის გარემოება, რომ ის სიმღერები, რომელნიც დღეს გავიგონეთ ამ ტიროლელ მომღერალთაგან, სრულიად წააგავს გურულ სიმღერებს. საზოგადოებაც აღტაცებული იყო ამ სიმღერით და ყველა, ვისაც გურული სიმღერები სმენია, იმას გაიძახოდა, რომ გურიაში ხომ არ უსწავლიათ ეს სიმღერებიო. კილო ამ სიმღერებისა წმინდა გურული არის. გარდა სიმღერებისა, ნაციონალურ საკრავებზედაც უკრავდნენ. ნეტავ გვეღირსება ჩვენც ისეთი დრო, რომ ჩვენი მანდილოსნები საზოგადოების წინაშე ჩვენს ნაციონალურს, ქართულს სიმღერებს დაჰმღერდნენ ჩონგურზედ, თარზედ და დაირაზედ? (ცნობის ფურცელი, N165, 1897 წელი);

ქ. სოხუმი. ქალაქის დეპუტატების მომავალი არჩევნები

ამას წინად „ცნობის ფურცელში“ მოხსნებული იყო, რომ შარშან ამორჩეული ხმოსნები სოხუმის თვით-მმართველობისა მანამდე არ დამტკიცდებიან მთავრობის მიერ, მანამ არ გადასწყდება კითხვა: ეგრედწოდებულის სანიტარულ ადგილების პატრონები სოხუმის მოქალაქეებად უნდა ჩაითვალონ თუ არაო? ახლა ქუთაისის გუბერნატორისაგან ადგილობრივს ადმინისტრაციას ბრძანება მოუვიდა, სანამ ხმოსნების სია დამტკიცებოდეს, ახალი დეპუტატები აირჩიეთ და ძველებურის წესით აწარმოვეთ ქალაქის საქმეებიო. პოლიცია, საცაა დაურიგებს აქაურს მკვიდრთ უწყებებს ამ საგნის შესახებ და სოხუმელებიც ახალის დეპუტატების არჩევანებს შეუდგებიან. ჩვენ იმედი გვაქვს, სოხუმელები, რომელთაც ამდენის ხნის მწარე გამოცდილებით სავსებით იწვნიეს მთელი სიავ-კარგე აწინდელის დეპუტატებისა, ამ პასუხ-საგებ თანამდებობაზე ღირსეულ პირთ აირჩევენ და თვისი ქალაქის ინტერესებს ისეთს ხალხს ჩაუგდებენ ხელში, რომელთაც მათთვის გული შესტკივათ. ამასთანავე საჭიროა, სოხუმელები მარტო ახალის დეპუტატების არჩევნებს არ დასჯერდნენ; იმათ უნდა იმეცადინონ უმაღლესს მთავრობასთან არჩეულ ხმოსნების დამტკიცებისა და უმაღლესად ბოძებულის თვით-მმართველობის შემოღებისათვის, თორემ სხვა არა იყოს-რა, სირცხვილია, რომ ისეთი პატარა ქალაქები, როგორებიც არიან: ოზურგეთი, თელავი, სიღნაღი და, ასე გასინჯეთ, დუშეთიც კი, თვით-მმართველობის ნაყოფითა სტკბებოდნენ და სოხუმში-კი ისევ მამათ-მთავრული წესები იყოს მართვა-გამგეობისა... (ცნობის ფურცელი, N182, 1897 წელი);

დაბა ოჩამჩირე (აფხაზეთი). წყალ-დიდობისა და ცეცხლისაგან ზარალი

15 აპრილს მოსულ წვიმებისაგან მდ. ღალიძგა საშინლად ადიდდა, ხიდს ახლო გაკეთებული წისქვილი აქაურის მემამულის სპირიდონ ნარაკიძესი მოიტაცა, ხიდს დააჯახა და დალეწა. წისქვილის პატრონს 1,500 მანათის მეტი ზარალი მოუვიდა. იმავ დროს იმავ სპირიდონ ნორაკიძეს სოფ. გინძეეწერში დაეწვა საზღვარ-გარეთ გასაგზავნად დამზადებული ფიცრები 1,600 მანათისა. ფიცრები პატრონს დაზღვეული არა ჰქონია არსად. (ცნობის ფურცელი, N182, 1897 წელი);

ქ. სოხუმი. წარმოდგენა საქველმოქმედო აზრით

23 აპრილს კნეინა ე. წერეთლის მოთავეობით, ადგილობრივის პოლკის დარბაზში გამართული იყო ქართულ-რუსული წარმოდგენა სოხუმის იაფ-ფასიან სამკითხველოს და „თეთრის ჯვრის“ დაწესებულების სასარგებლოდ. ქართულად წარმოდგენილი იყო ორი ვოდევილი:„ბნელ ოთახში“, ჩიქოვანისა და „დატრიალდა ჯარა“, კ. ყიფიანისა. მონაწილეობას იღებდნენ ქართულის სცენის მოყვარენი: ანასტასია-თავადის ვარდენ წერეთლის ასული, მაკ. თურქიასი, კნეინა არმ. მიქაძისა, ბ-ნნი მ. გვაზავა, სამ. ფრანგულიანცი და სვ. კლდიაშვილი. ყველა დასახელებულ პირთ, ორის გარდა, არა-ერთხელ მიუღიათ სოხუმში გამართულ წარმოდგენებში მონაწილეობა და სოხუმის საზოგადოება ასე თუ ისე იცნობს. დღეს მხოლოდ ის შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თან-და-თან სცდილობენ შეგნებით მოეკიდნენ ნაკისრ როლების ასრულებას და საზოგადოების წინაშე პირნათლად გამოსვლასა. ანასტასია წერეთლისა ეს მეორეჯერ გამოდის აქაურის საზოგადოების წინაშე და, უნდა მოგახსენოთ, მოჰხიბლა მაყურებელნი. თამაშობდა პანსიონში მოსწავლე ქალის საშინკას როლს. მიხრა-მოხვრა, მიმიკა, ინტონაცია ამ მოთამაშე ქალისა იმისი უტყუარი თავმდებია, რომ, თუ ამ გზას გაჰყვა, ჩინებული მსახიობი დადგება. იგივე უტყუარი მსახიობითი ნიჭი გამოიჩინა თავადის ასულმა რუსულ პიესებშიაც, რომლებშიაც ის მონაწილეობას იღებდა. საზოგადოებამ შეუწყვეტელის ტაშის კვრით და ცოცხალის თაიგულის ყვავილებით დააჯილდოვა მოთამაშე ქალი. ბევრი აცინა საზოგადოება ბ-ნმა სამ ფრანგულიანცმა, რომელიც სოსია მოსამსახურის როლსა თამაშობდა „დატრიალდა ჯარა“-ში. ერთი რამ უნდა უსაყვედუროთ ჩვენის სცენის მოყვარეთ: პიესების არჩევა. მარტო ვოდევილებით შორს ვერ წავა საზოგადოება; მარტო ვოდევილები ესთეტიურ გემოს ვერ განუვითარებს ამ საზოგადოებას. საჭიროა ვოდევილებს გარდა, ისეთების პიესების დადგმაც, რომელიც მაყურებლის სულსა და გონებას რასმე ეუბნებოდეს, აფიქრებდეს, მისს აზრებს ამოძრავებდეს. წარმოდგენას ხალხი მრავლად დაესწრო. მთლიანი შემოსავალი 20 თუმანს აღემატება. დიდი მადლობის ღირსი ბრძანდება ამ წარმოდგენის მოთავე, პატივცემული კნეინა ე. წერეთლისა, რომელმაც გარდა იმისა რომ აქაურებს თავი ერთად მოუყარ წარმოდგენის საყურებლად, სოხუმის წიგნთსაცავსაც საგრძნობელი დახმარება აღმოუჩინა. (ცნობის ფურცელი, N183, 1897 წელი);

ქ. სოხუმი. რუსის მხატვარ ვერეშჩაგინის მიერ ადგილის ყიდვა

სოფ. ერეშაში, სოხუმის მახლობლად, რუსის ცნობილმა მხატვარმა ვერშეჩაგინმა ამ დღეებში 30 დესეტინა მიწა იყიდა, ბლაღოჩინის მამა იოანე კერესელიძისაგან 5,000 მანათად. ნაყიდ მიწას მშვენიერი მდებარეობა აქვს, ზედ ზღვას დასცქერის და იქიდამ ბათომის მთებიც კი მოსჩანს. ვერეშჩაგინიც სწორედ აქ მიმზიდველ ადგილ-მდებარეობას დაჰხარბებია. აქ უნდა გაიკეთოს სამხატვრო ლაბორატორია და იმუშავოს. (ცნობის ფურცელი, N194, 1897 წელი);

ქ. სოხუმი. წასაბაძვი არიფანა

6 მაისს აქაურმა უცოლო ყმაწვილ კაცებმა ქალაქ გარეთ არიფანა გამართეს. ყველას თეთრი ჩოხა ეცვა. ჯერ მაგალითი არა ყოფილა, რომ ხუთი-ექვსი ჩვენებური ყმაწვილი კაცი დროს-გასატარებლად დამსხდარიყვნენ და ბოლოს ჩხუბი და უსიამოვნება არ მოჰყოლოდეს. ამიტომ, სანამ სუფრაზე დასხდებოდნენ, ჯერ სურათი გადაიღეს და მერე ყველამ თავის ნებით სატევრები ჩამოიხსნეს და ერთს ალაგას დააწყეს. საღამომდე სმა და სიმღერა იყო გაჩაღებული, მაგრამ ერთი საწყენი სიტყვა არავის წამოსცდენია პირიდან. მთელი ქალაქი იმათს საყურებლად ავიდა გორაზე. ყველას უკვირდა, ასე უჩხუბოდ როგორ ჩაიარა ახალგაზდების დროს ტარებამო! საღამოს ლეკურის თამაში გაჩაღდა. თავი იჩინეს ორმა

ყმაწვილმა კაცმა: ქავთარაძემა და თ. გაბუნიამ. ბინდზე მუსიკით ქვევით დაეშვნენ და ღამის 10 საათამდე ზღვის პირას ბულვარზე მათი მწყობრი სიმღერა არ შეწყვეტილა. განზრახვა აქვსთ, ამნაირი არიფანა შემდეგ მაისსაც გამართონ და „უცოლოთა მაისობა“ დაარქვან. (ცნობის ფურცელი, N196, 1897 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი). მოვახშეობა

საღმრთო წერილი გვასწავლის: გაჭირვებულთ უშველეო, მაგრამ ოჩამჩირეში ბრძანდება ერთი ვინმე, რომელსაც ეს მოძღვრება წინა-უკმო ესმის, ე.ი. გაჭირვებულისაგან დახმარების სახელით ისარგებლეო. საქმე ის არის, რომ ეს საყურადღებო კაცი ფულს ასესხებს გაჭირვებულებს, მარა ვაი იმისთანა სესხებას: 50% თუ ძალიან გაჭირვებულია კაცი, მეტსაც ართმევს. ასეთ გადარეულ პროცენტში ის ისესხებს ფულს, ვინც ცხოვრებაში სრულიად გამოუცდელია. ვინ მოსთვლის, რამდენი ძმები შეაძულა ერთმანეთს. რომ ჰკითხო: რისთვის მოქმედებს ასეო, გიპასუხებს: „მე ხომ არ ვეხვეწები არავის წაიღეთქო, ისინი შემეხვეწებიან და თუ არ სჭირიათ, რისთვის სესხულობენო“. ეს ნამდვილია, მარა რა სინიდისის პატრონი უნდა იყო ეს კაცი ან ღვთის ან კაცთა წინაშე! ავაზაკობა და კაცის კვლა დღითიდღე მატულობს. ისე დღე არ გაივლის, ერთი კაცი მაინც არ მოჰკლან. (ცნობის ფურცელი, N199, 1897 წელი);

თავხედური საქციელი

გაზ. „ნოვ.ობოზ.“ სწერენ დ. ოჩამჩირიდამ ერთის პოლიციის მოხელისას; ადგილობრივი ვაჭარი ფარნაოზ დავითაია, თურმე ქუჩაზე მიდიოდა, 6 მაისს; გზაზე შეხვდა პოლიციის მოხელე ვიღაც მანდილოსანითურთ; დავითაიამ ქუდი არ მოუხადა მოხელეს; ეს ამ უკანასკნელმა შეურაცხყოფად მიიღო და მოციქული გაუგზავნა - მეორედ არ გაბედო ასეთი უზრდელობაო, თორემ აქედამ გადაგასახლებო; რამოდენიმე ხნის შემდეგ კიდევ მიჰმართეს დავითაიას მოხელესაგან გამოგზანილმა ყაზახ-რუსებმა, იმავე მუქარით. დავითაიამ უთხრა მოციქულებს, რომ მას ძლიერ კარგად ესმის თავისი მოვალეობაცა და უფლებაც. ათი წამის შემდეგ თვითონ შეურაცხყოფილი მოხელე მოიჭრა დავითაიასთან, დაუწყო მას ლანძღვა, გინება და მუქარა. დავითაიამ ბევრი ეცადა დაემშვიდებია გაცხარებული მოხელე და აეხსნა მისთვის, რომ იგი სრულებით არ არის მოვალე მაინც ქუდი მოუხადოს პოლიციის მოხელეს. ასეთმა საუბარმა მოხელე უფრო გააცხარა და უბრძნა თავის მხლებლებს, ძალით მოეხადათ ქუდი დავითაიასათვის და დაეტუსაღებიათ. დავითაია მართლაც დაატუსაღეს და ქვეითად დარაჯის ქვეშ გაგზავნეს ოჩამჩირედამ ქ. სოხუმში ოლქის უფროსთან. (ოჩამჩირედამ სოხუმამდე 50 ვერსია). სოხუმში დავითაია მისვლისთანავე გაანთავისუფლეს. სამართალიც ამას ჰქვიან!... ტყუილ უბრალოდ დასჯილმა ვაჭარმა იმ დღესვე დეპეშა გაუგზავნა გუბერნიის უფროსს და სთხოვა გამოძიების დანიშვნა. (ცნობის ფურცელი, N201, 1897 წელი);

სოხუმი. თერძების ამქარი მაისობა

17 მაისს, აქაურმა თერძებმა ჩვეულებრივი მაისობა, ანუ „საღმრთო“ გადაიხადეს. მონაწილეობას იღებდა 40 კაცზე მეტი, ამ დღისათვის გამოიწერეს ტფილისიდამ საზანდარი, დღეობამ წესიერად ჩაიარა, როგორც „უცოლოთა მაისობაზე“, ისე თერძების მიერ გამართულ მაისობას ყველას სატევრები ჩამოხსნილი ჰქონდა თავის ნებით, კარგა შებინდებულზე, აიშალნენ, წინ ზურნა გაიძღოლიეს და მთელის ქალაქის ქუჩებს შემოუარეს, ქალაქის მკვიდრნი სულ იმათ უცქეროდნენ, რადგან ზურნის ხმა აქ იშვიათი გასაგონია. ამბობენ, ეს მაისობა თითოეულს მონაწილეს 5 მანათის ნაკლებ არ დაჯდომიათო. ზომიერი ქეიფობა

და დროს გატარება კარგია, მაგრამ უფრო კარგს იზამდნენ აქაურები, რომ ასეთის დროს გატარების დროს მოსუფრალებმა ჩვენი საქველ-მოქმედო დაწესებულებანი არ დაივიწყონ ხოლმე და მათს სასარგებლოდ ერთი ან ორი თუმანი, რომ შეჰკრიბონ თავიანთს შორის, მათს სუფრას არაფერი დააჩნდება. მოკლე ხანში ხარაზები, მერე მეწაღეები და სხვა ხელობის ამქრები აპირებენ მაისობას. (ცნობის ფურცელი, N206, 1897 წელი);

დ. გუდაუთა (აფხაზეთი). გაძარცვა

2 მაისს შუადღისას 3 აბრაგი სოფ. ზვანდრიფში (გუდაურის საბოქაულო) დახვდნენ და გაძარცვეს სენაკის მაზრის ს. მარტვილის - ინჩხურის ორი მუშა ბესა ხელაია და ფილიპე უჩავა, რომელნიც მიდენილან გაგრაში ბზის საჭრელად. ჯერ, თურმე, დაუძახნიათ შეჩერდითო და შესაშინებლად უსვრიათ ბერდანის სისტემის თოფი და სამი რევოლვერი. ზემოხსენებული მუშები შეჩერებულან. აბრაგებს ხელაიასთვის წაურთმევიათ: ნაბადი, ბაშლაყი, ჩოხა, 2 მან. და ოთხი აბაზი ფული, წლის ბილეთი, წინდები, ქისა, თუთუნი და სხვა. ხოლო უჩავას - ნაბადი, ბაშლაყი, სამი მანათი ფული, ბილეთი სამგზავრო წლისა და სხვა. მერე ამოუღიათ სატევარი და უჩავასთვის სამ ალაგას ჩოხა დაუხევიათ, რადგან არ ვარგებულა. შემდეგ კი სამივე ტყეში შემძვრალა. გაძარცულები უკანვე დაბრუნებულან გუდაუთაში და მოუხსენებიათ გუდაუთის უფროს თავ. ბეს. ჩიქოვანისთვის ყოველივე. თავ. ჩიქოვანს მაშინვე ფიცხელი განკარგულება გაუცია აბრაგების აღმოსაჩენად: 9 ყაზახ-რუსები, 5 ჩაფარი, 2 მამასახლისი და 1 ოფიცერი. სალაყაია 4 მაისს გაჰგზავნა იქ, სადაც გაუძარცვავთ მუშები. მერე გაგზავნილმა ოფიცერმა მოაგროვა სოფ. ზვანდრიფშის საზოგადოება და მოსთხოვა აბრაგები. ამის შემდეგ გადასულა ს. ჯირხვაში და იქ დასცემიან ერთს ოჯახს, გვარად შმაფს, ვახშმობისას სადაც უნახავთ ყაჩაღები, გვარად სამივე შმაფი. ერთი მათგანი დაუჭერიათ და ორი გაქცეულა. ხელაიას ბაშლაყიც უნახავთ, დაჭერილის ყაჩაღის სიტყვით ის ორი მისი ბიძაშვილები ყოფილან; იმასთან ერთად დაუჭერიათ რვა პირნი მისივე გვარისა იმ მიზეზით, რომ ისინი ყოფილან ამ ყაჩაღების შემნახავნი, ხელის გამწყობნი და მფარველნი და წამოსულან გუდაუთაში, თან ეს ტყვეებიც წამოუყვანიათ; იმ ღამეს გაქცეული ყაჩაღები ორივე მისულან თავიანთ ოჯახში და გაუმართავთ ტირილი და გამომშვიდობებიან თავიანთს ცოლ-შვილებს, ოჯახობას, ნათესავებს და მეზობლებს. უთქვამთ: აწი ჩვენ ვეღარ გვნახავთ, საუკუნოდ გეთხოვებით, რადგან ჩვენ სათათრეთში გადავდივართო; ხოლო გუდაუთის უფროსს თავ. ჩიქოვანს აღუთქვამს გაძარცვულებისათვის, დაკარგულს ნივთებს უეჭველად ჩაგაბარებთო. იმედია, მხნე და მარჯვე უფროსი საცოდავს მუშებს წვითა და დაგვით მონაგარს არ დაუკარგავს. (ცნობის ფურცელი, N206, 1897 წელი);

სოფ. შაფი (აფხაზეთი). ჭაში დამხრჩვალი

17 მაისს, შაბათს, დილის ცხრა საათზედ, აქაურ სოფლის მცხოვრებ სიკო ჯანაშიას, წყალის ამოსატანი სათლი ჩავარდნია ჭაში, რომელსაც სიღრმე თორმეტი მხარი ჰქონია ქვით ამოკირწყლული, განი 1 ½ ალაბი. მისდა საუბედუროდ, ამ ჭაში სათლის ამოსატანად ჩასვლა განუზრახავს ბაწრით, მასთან ცოლი ყოფილა და მეზობელი. ეს ბაწარი, თურმე, დიდის ხნიდან ნახმარი ყოფილა. მოუწყვია ჩასასვლელად ბაწარი და კიდევაც ჩასულა, თავი რომ დამალვია, გაწყვეტილია ბაწარი და ამ თორმეტის მხარის სიღრმეზედ ჩაშვებულა და, სანამდის ძირს მივიდოდა, ისე დამტვრეულია, რომ იმისი ნახვა ყოველ სულდგმულს შეჰზარავდა. როცა ამ ქვესკნელში ჩავარდნილა, უკანასკნელი სიმწრის კვნესა ოხვრა ამოუშვა. მაყურებელს მეზობელს ყვირილი აუტეხნია და ვაი-ვაგლახით ესეც ჩაშვებულა შიგ

ჭაში სხვა ბაწრით ჯანაშიას მისაშველებლად, მაგრამ, საუბედუროდ, მაგასაც სამის მხარის მანძილი მიჰკლებია ძირამდი, ხელი გაუშვია ბაწრისათის და ესეც იქ ჩავარდნილა. უნახავს თავისი საყვარელი მეზობელი შიგ უგძნობლად მჯდარი. წყალი ნახევარი ალაბი ძლივს-ღა ყოფილა. ამოუყვირნია მეზობელს: არიქა მიშველეთო, რასაკვირველია, სანამდის დაიყვირებდა, მანამდეც მიშველებიან. ფიცარი თოკზე მოუკრავთ და შიგ ჭაში ჩაუშვიათ და, სანამდი ამოიტანდნენ, ექიმი და მღვდელიც მოსულან, მაგრამ ამოტანამდე სული დაულევია. ქვასაც კი მოალბობს მისი წვრილ ცოლ-შვილის ტირილ-ქვითინი. განსვენებული ჯანაშია საზოგადოდ კეთილი და პატიოსანი კაცი იყო. ყველანი გულდაწყვეტილნი არიან ამ ამბით. (ცნობის ფურცელი, N209, 1897 წელი);

დ. ოჩამჩირე. ფარნა დავითაიას საქმე

ამასწინად (ახ. მიმოხ) დასტამბული იყო წერილი ოჩამჩირედან, იქაურს ცნობილს ვაჭარს ფარნა დავითაიას ადმინისტრაციის ერთმა აგენტთაგანმა ქუდის მოუხდელობისათვის შეურაცხყოფა მიაყენა საჯაროდ და ბოლოს, ეტაფით სოხუმში გაისტუმრაო. ეს ამბავი ჩვენ გაზეთშიაც გვქონდა თავის დროზე დაბეჭდილი. ახალ იმავე გაზეთში ვკითხულობთ, რომ ქუთაისის სამხდრო გუბერნატორს სასტიკი ბრძნება გაუცია, ეს საქმე დაწვრილებით გამოიძიეთ და წარმომიდგინეთო. გამომძიებლად დაუნიშნავთ ოჩამჩირის მომრიგებელი შუამავალი ბ-ნი რამევიჩი, რომელიც უკვე მოვიდა ოჩამჩირეში და გამოუძიებია საქმე. დამნაშავეს უთქვამს, როცა შეურაცხყოფა მივაყენე დავითაიას, მთვრალი ვიყავიო. ხოლო მოწმეებს და, მათ შორის, ოჩამჩირის მომრიგებელ-მოსამართლეს უჩვენებია ხუთი წუთის წინათ ვხედავდი და ნასვამობისა არაფერი ეტყობოდაო. საქმე სასამართლოში იქნება გადაცემული. ფარნა დავითაიას ინტერესების დაცვას ცნობილი ნაფიცი ვექილი თ. ალ. ქოჩაქიძე ჰკისრულობს. ფარნა დავითაია ამჟამად ქუთაისში იმყოფება და გუბერნატორს სარჩელსა სთხოვს, როგორც უმართლოდ დასჯილი. ქუთაისშივე დაბარებულ იქნა დამნაშავე აგენტი ადმინისტრაციისა ოჩამჩირედან ამ საქმისა გამო. (ცნობის ფურცელი, N209, 1897 წელი);

სოხუმი. ქალაქის საქმენი

რადგან სოხუმის ხმოსანთა არჩევანის დამტკიცება მეტად დაგვიანდა და დეპუტატებსაც სამსახურის ვადა დიდი ხანია გაუვიდათ, ამისთვის გუბერნიის მთავრობამ მოსწერა აქაურს პოლიციის მმართველობას, რომ დროებით, სანამდე თვითმმართველობას შემოიღებდეს სოხუმში, ახალ დეპუტატთა არჩევანი მოახდინე ქალაქისთვინაო; თანახმად მოწერილობისა, 19 მაისს, დაბარებული იყო საზოგადოება ახალ დეპუტატთა ასარჩევად, ეს ამბავი ძლიერ იწყინა აქაურმა საზოგადოებამ და ზოგიერთი აგრე გაიძახოდა: „თუ სხვას სოხუმზედ უფრო პატარა ქალაქებს კი უკვე ეღირსათ უმაღლესად ნაწყალობევი თვითმმართველობა და თვითონვე ჰზრუნავენ თავიანთს ბედ-იღბალზედ და წარმატებისაკენ მიდიან, ჩვენ, სოხუმლებმა რა დავაშავეთ და ან რა ისეთი დიდი ცოდვა მიგვიძღვის, რომ 1896 წელს თებერვალში მომხდარი ხმოსანთა კანონიერი არჩევანი ჯერაც არ დამტკიცდაო“ (ცნობის ფურცელი, N209, 1897 წელი);

* * *

დეპუტატთა არჩევანი აღარ მომხდარა, რადგან საზოგადოებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ მოკლე ხანში ქალაქის თვითმმართველობას ვეღირსებით და მანამდე ისევ ძველი დეპუტატები დავტოვოთ და როდესაც თვითმმართველობა ჩაიბარებს ანგარიშებს და საქმეებს ქალაქისას,

მაშინ პასუხისმგებლებიც სხვასთან ერთად ძველი დეპუტატები უნდა იყვნენო; თორემ, ვინ იცის, რანაირად აშლილ-დაშლილია ქალაქის საქმეები და რა უფლება გვაქვს, ძველების ცოდვა ახალ დეპუტატებს მოვკითხოთო?! შემდეგ საზოგადოებამ ბ. ა. ჯუღელის თაოსნობით თხოვნით მიჰმართა აქაურს პოლიციის მმართველობას, რომ იშუამდგომლოს ამ უკანასკნელმა ვისთანაც ჯერ არს და დააჩქარებინოს ხმოსანთა არჩევანის დამტკიცება. (ცნობის ფურცელი, N209, 1897 წელი);

სოხუმი. შეურგებელი ფული

ამას წინედ აქ კნ. ელ წერეთლის თაოსნობით წარმოდგენა გაიმართა აქაური იაფფასიან სამკითხველოს სასარგებლოდ; წმინდა შემოსავალიც 13 თუმნადვე დარჩა და ჩვენც მოხარული ვიყავით, რომ სამკითხველოს გავაუმჯობესებთ, მაგრამ ჯერ ეს ვერ მოგვიხერხებია. საქმე ის არის რომ სამკითხველოსათვის ყველა ქართული გამოცემა არ არის გამოწერილი და რამოდენიმე რუსულიც გვაკლია და ფულები კი ისევ შენახული უწყვიათ. სხვა რამ ნახარჯიც არის სამკითხველოსთვის, არც ის გაგვისწორებია. ფული კვერცხი ხომ არ არის, რომ კრუხივით ზედ დავაჯდეთ და ვჩეკოთ! დრო არის ეს ფულები თავის დანიშნულებას მოხმარდეს და სამკითხველოს საქმე გაუმჯობესდეს. /სოხუმელი/. (ცნობის ფურცელი, N209, 1897 წელი);

ოჩამჩირე (აფხაზეთი)

ფარნა დავითაიას საქმის გამო, როგორც „ახ. მიმ.“ სწერენ ოჩამჩირედან კოდორის ნაწილის უფროსი ჩეჩელევი მთავრობას სამსახურიდან გადაუყენებია, რომ ოჩამჩირის მეორე გილდის ვაჭარს ფარნა დავითაიას შეურაცხყოფა მიაყენა და სხვა ბოროტმოქმედებაც აღმოაჩნდა. ამასვე ჰბრალდება სოფ. აძვირბუის მამასახლისის კიწინიას და მისის თანაშემწის ცემა. მამასახლისი კიწინია დღესაც ქუთაისის სატუსაღოშია და მის ცოლს და ფარნა დავითაიას მთავარ-მმართებელის გაუგზავნიათ თხოვნა, ჩეჩელევმა სული ამოგვხადა და გვიშველეთ რამეო. (ცნობის ფურცელი, N212, 1897 წელი);

ქ. სოხუმი. სამართლიანი შენიშვნა

„ივერიის მე-94 ნომერში დაბეჭდილია ჩვენს კორესპოდენციაზედ (რომელიც „ცნობის ფურცელში'' იყო დაბეჭდილი); როგორც სჩანს ბატონს შენიშვნის ავტორს ან თვალთ ჩინი ჰკლებია ან ყურთასმენა, თორემ რა მიზეზია ჩვენი ნათქვამი ვერ გაუგია და ამბობს: „ძლიერ შემცდარა კორესპოდენტი, რომ მარტო სახოკია უცვნია სოხუმის სამკითხველოს დამაარსებლად და სხვა კი არავინო“ მაშინ, როდესაც ჩვენ ვამბობდით ხოლმე: „აგერ წელიწადზე მეტია მას შემდეგ, რაც რომ სოხუმის საზოგადოებამ ბ. სახოკიას თაოსნობით იაფ-ფასიანი სამკითხველო დააარსა-თქო“ მაგრამ ჩვენის აზრით ბატონს, შენიშვნის ავტორს, მისთვის დაუნახავს საჭიროდ ეს ზემოხსენებული სიტყვები, რომ თვითონ ის არ იყო მოხსენებული ჩვენს კორესპოდენციაში და უფიქრნია: ვაი თუ სახოკია დააჯილდოვონ და მე კი, რომელსაც მეტი ღვაწლი მიმიძღვის სამკითხველოს წინაშე, ცარიელი დამტოვონო, აუღია კალამი და ღაღადებს სახოკიას ტფილისიდამ ჩამოსვლამდე ნებართვა აღებული იყო და კიდეც ხელის-მოწერაც გამართულიო“. დიდის მოწიწებით ბოდიშს ვიხდით მღაღადებლის წინაშე, რომ მისი ადგილი სხვას მივეცით, მაგრამ იმედი გვაქვს, მით უმეტეს, რომ ჩვენი შეცდომა მან უკვე გაასწორა და გააცნო საზოგადოებას თავისთავი, როგორც დამაარსებელი და გამგე სამკითხველოსი და ჯილდოსაც მალე მიიღებს.

შემდეგ ჰკითხულობს ბ-ნი შენიშვნის ავტორი: ნეტა მაშინ სად იმყოფებოდა კორესპოდენტი, როდესაც სახოკია ამბობდა: ,,სამკითხველო უეჭველად დროებით უნდა დაკეტილიყო," და ის კი დავიწყებია ეთქვა, ვისის წყალობით უნდა დაკეტილიყო, მაგრამ ჩვენ აქ საჭიროდ არ ვრაცხთ ჩამოვთვალოთ, მით უმეტეს, რომ მას თავის დროზე თავად სამკითხველოს ანგარიში გამოაჩინეს, თუ ეღირსა. ჩვენ მხოლოდ ვიტყვით, რომ ბ-ნი თედო სახოკია დიდად სწუხდა სამკითხველოსათვის, რომ სასურველად არ მიდიოდა მისი საქმე და ყველას ურჩევდა რაიმე შემწეობა აღმოეჩინათ. მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა, თითქოს თავის ჯიბისთვის ჰზრუნავდა და როდესაც ვერას გახდა, მოიწვია საზოგადოება და ურჩია: დაეკეტათ დროებით სამკითხველო; მაგრამ იმ აზრით კი არა, რომ მართლა სისრულეში მოეყვანთ მისი წინადადება, არამედ იმ აზრით, რომ კარგად იცოდა ამას სირცხვილად მიიღებდა საზოგადოება და თავს გამოიდებდა. ასეც მოჰხდა და გამართლდა ის ანდაზა, რომელიც ამბობს: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო", თუ ასე მოქცეულიყო ბ-ნი სახოკია, დღეს სამკითხველოს ხსენებაც კი არ იქნებოდა, არა თუ არსებობა. დასასრულ ეგება ეჭვი აიღონ ჩემზედ და იკითხონ ეს თუ მართალია, რისთვის წინანდელს წერილში არ გამოაქვეყნაო; მისთვის ბატონებო, რომ ნათქვამია „კაცმა მწვადი ისე უნდა შესწვას, რომ არც მწვადი დასწვას და არც შამფურიო" და მეც ასე მოვიქეცი, მაგრამ ჩემი ღვთის წყალობა ღვთის რისხვად მიიღეს ზოგიერთებმა და დღეს კი იძულებელი ვარ გამოვაქვეყნო ყოველივე დაფარული. /ვარლამ რუხაძე/. (ცნობის ფურცელი, N214, 1897 წელი);

დ. ოჩამჩირე (აბხაზეთი). გვალვა, სიწმინდე, მოტყუება

საშინელი სიცხეებია. თვე ნახევარზედ მეტია წვიმა არ გვინახია. ეს ის დროა, როდესაც სიმინდს სთესენ და სიცხეების გამო ბევრგან მიწა დაუთესავი დარჩა და, რაც დაითესა, არც ის ამოვიდა ხეირიანად. ამ წელს თუ ასე გასტანა, მოსალოდნელია შიმშილობაც ჩამოვარდეს. შიმშილი მით უფრო მოსალოდნელია, რომ შარშანაც გვალვის წყალობით ზოგიერთ სოფლებში ცუდი მოსავალი იყო. მთელი მუშა ხალხი გულზე-ხელდაკრეფილი ცას შეჰყურებს, მაგრამ წყალობამ დაიგვიანა. 2 ივნისს სოხუმიდამ გვეწვია სასანიტარო ნაწილის ზედამხედველი ბ. არშენიცინი. ქუჩები დაათვალიერა და სთქვა, რომ უწმინდურობა არისო. ოჩამჩირე ცოტა გამოღვიძდა, თითქოს გალამაზ-გასუფთავდაო. ბოქაულ შუბინის დანიშვნის შემდეგ. ვუსურვებთ მას ოჩამჩირეში დაემსახურებინოს კარგი სახელი და საზოგადოების სიყვარული. სისუფთავე ყოველთვის საჭიროა. მარტო ერთ დღეს კი არ უნდა: „რევიზორი მოდის და გახვეტეთ, აი გაწმინდეთო", არამედ ყოველ დღე და ყოველგან. ერთმა აფხაზმა სიმინდი ჩამოიტანა ცხენით და ოსმალოს გაურიგდა 31 კაპ. ფუთი იმ დროს, როდესაც სიმინდი საზღვარგარეთული გემებს იქით მიაქვთ 29-30 კაპ. ოსმალომ ასწონა და გამოუცხადა აფხაზს 3 ფ. და 7 გირ. არის, სიმინდი კი ნამდვილად 4. ფ და 24 გირ. იწონიდა. ეს შენიშნა აფხაზის მოკეთემ და ოსმალოს უთხრა, სიმინდი ამდენს იწონის და არა იმდენსაო. ოსმალომ გული მოიყვანა და აფხაზიც გარეთ გააგდო და ტომარაც. ტომარა გასქდა და ქუჩაზე სიმინდი დასცვივდა. დაესია ღორები და ბატები და საწყალმა აფხაზმა მესამედზე მეტი სიმინდი დაჰკარგა. საზოგადოდ აფხაზებს დიდი რწმენა აქვთ ოსმალოსი, არ მოგვატყუებსო. ოსმალო დარწმუნებულია აფხაზის გულუბრყვილობაში და ისეთის ტკბილის სიტყვებით უცოცდება ფეხებში, საწყალი აფხაზი დედიშობილა რჩება მის მიერ „ბზია თუჯარად" აღიარებული ალი-ოსმანისაგან.

ოჩამჩირეში სავაჭრო ამხანაგობის დაარსება სურთ. (ცნობის ფურცელი, N224, 1897 წელი);

ქ. სოხუმი. უსამართლო კიცხვა

„ცნობის ფურცლის“ მე-214 N-ში დაბეჭდილია წერილი ჩემს შესახებ, რომელშიაც ბ. ვ. რუხაძე მაბრალებს, ვითომც ჩემის წყალობით იკეტებოდა სამკითხველო და იმ დროს, როდესაც მე მუდამ წინააღმდეგი ვიყავი სამკითხველოს დაკეტვისა და დღესაც ამ აზრისა ვარ, თუმცა სამკითხველოს იმდენი შემოსავალი არა აქვს, რომ ხარჯი დაფაროს. მაგალითებრ, სახლის ქირას მე თვითონ ვიხდი თვეში თუმანს და სამკითხველოს ხანდისხან 8 მანათიც არ შემოსდის. სხვა ხარჯიც ზედმეტია. მაშ თუ ჩემი აზრი კი სამკითხველოს დაკეტვაა, რისთვის არ დავკეტე დღემდის? ვის შეეძლო რამე ეთქვა ან ცუდათ მოვეხსენებიე იმ დროს, როდესაც პირიქით ვადებ თვეში რამდენსამე მანათს? ჩემი სამსახური ზედმეტია. ბატონი რუხაძე აგრეთვე ბრძანებს, რომ წინანდელ წერილში არ მინდოდა დაფარული გამომექვეყნებინა, მაგრამ დღეს კი იძულებული შევიქენი ყოველივე დაფარული მეთქვაო. ნეტა რა დაფარული გამოაქვეყნა? ბეჭდვას არა სჯობია, ბ-ნმა რუხაძემ დაკეტვამდე მიმდგარს წიგნთ-საცავს ხელის მომწერნი უშოვოს! /პავლე კალანდარიშვილი/. (ცნობის ფურცელი, N230, 1897 წელი);

გუდაუთა (აფხაზეთი). გვალვა

ცუდ დღეშია ჩავარდნილი მთელი ზიფუ. მაისს პირველ რიცხვიდან მოყოლებული ცას კრიჭა შეეკრა და ცვარი წვიმა არა ჰღირსებია დედამიწასა. წინა წლებში ამ დროს ყანებს ხასხასი გაჰქონდა და წლეულ-კი დაუთესავი მინდვრეები გულს უკლავს ადამიანს. დედამიწა მთელ ერთს ალაგზე პირი დააღო. თუ ფრთხილათ არ იარა კისერს მოიტეხს კაცი. აფხაზებმა მთლად ხელი აიღეს მუშაობაზე. ასე ამბობენ: ქილა სიმინდი ხუთი შაური ღირს, ვიყიდი და ისე ვირჩენ თავსაო. საშინელი ქესატობაც ჩამოვარდა. ცხოვრება გაჭირდა. ამასთან ქურდობამაც იმატა. ჩვენის დაბის მცხოვრები თითქმის სულ მეგრელობაა. ერთმანეთთან თანხმობით და სიყვარულით რომ სცხოვრობდნენ, ბევრი სასიკეთო და საშვილიშვილო საქმის გაკეთება შეუძლიანთ, მაგრამ, როგორც ყოველგან ჩვენში, აქაც ყველა თავისკენ გაიწევა. „სხვისი ჭირი - ღობეს ჩხირიო“, საქმე კი - რამდენია ჩვენს დაბაში გასაკეთებელი: სკოლა გნებავსთ, სამკითხველო გნებავსთ, თუ ეკლესია, თუ აღებ-მიცემობა. ახლა თვით დაბის ვითარება იკითხეთ. ყველაფერს ზრუნვა უნდა, გაკეთება უნდა. ერთი კაცი ვერაფერს გახდება. უნდა ერთმანეთს მივსცეთ მხარი, ძმურად დავეხმაროთ ყველაფერში და მაშინ წარმატება დაგვეტყობა საზოგადოდ და კერძოდ თითო-თითოს. /გ. ბაღდავაძე/. (ცნობის ფურცელი, N236, 1897 წელი);

სოხუმში

ქალაქის თვით-მმართველობა, როგორც „ნოვ. ობ.„-ს შეუტყვია, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით შემოღებულ იქნება ერთის წლის შემდეგაო. ესეც ბედია, თორემ აგერ ორი წელიწადია, რაც ხმოსნები აირჩიეს და კიდევ ერთი წელიწადი უნდა უცადოს სოხუმმა, სანამ თვით-მმართველობა ეღირსება... (ცნობის ფურცელი, N243, 1897 წელი);

სოხუმი (აფხაზეთი). ისევ სამკითხველოს ანგარიშის გამო

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვ, უმორჩილესად მოათავსოთ თქვენს პატივცემულ გაზეთს „ცნობის ფურცელ“-ში შემდეგი. თუმცა ბევრ სალაპარაკოდ არც-კი ღირს ბ-ნი პავლე კალანდარიშვილის წერილი და თავის მართლება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე მაინც მსურს გამოვსთქვა ორიოდე სიტყვით მართალია თუ არა ბ-ნი პავლე. იგი ჰბრძანებს, „სახლის

ქირას მე თვითონ ვიხდი თვეში თუმანსო და სამკითხველოს ხანდისხან 8 მანეთიც არ შემოსდისო“. შემდეგ დასძენს: „მაშ, ვის შეეძლო რამე ეთქვა, ან ცუდადა მოვეხსენებიეო, იმ დროს, როდესაც პირიქით ვადებ რამდენსამე მანეთსო, ნეტავ ვიცოდე ამით ვის უნდა აუხვიოს თვალები ბ-ნმა პავლემ, ნუთუ მე, რომელმაც კარგად ვიცი სამკითხველოს წარსულიცა და აწმყოცა?! სამკითხველოს ამჟამად 31 მუდმივი წევრი ჰყავს (იხ. „ივერია“ N94, რომელშიაც ჩამოთვლილია მუდმივ წევრთა სახელი და გვარი თვით ბ. პავლეს მიერ), რომელნიც თვეში ორ-ორ აბაზს იხდიან, მაშასადამე, ჯერ მარტო წევრთაგან შემოსდის სამკითხველოს თვეში 12 მან. 40 კაპ. კერძო პირთაგან რაც რომ შემოუვა, ის ხომ ზედმეტი იქნება და ბ-ნი პავლე კი გაიძახის: „თვეში 8 მანათიც არ შემოსდისო და ჩემსას ვადებ რამდენსამე მანათსო“. აი ეგ არის ბ-ნი პავლეს სიმართლე. დანარჩენთა გარჩევაში მე არ შევდივარ ა) მისთვის, რომ დარწმუნებული და ბრმა არავინაა ჩვენში, რომ თეთრი და შავი ვერ გაარჩიოს. ბ) მისთვის, რომ მეშინია მკითხველებს თავი არ მოვაბეზრო ბევრის ლაპარაკით. ამით ვათავებ ჩემს უკანასკნელ შენიშვნას ბ-ნი პავლეს მიმართ და თვითონ კი, როგორც ენებოს, ისე მოიქცეს. /ვ. ა. რუხაძე/. (ცნობის ფურცელი, N243, 1897 წელი);

დ. გუდაუთა (აფხაზეთი). მასწავლებლის გადაყვანა

აქაურის ორკლასიანის სამრევლო სკოლის უფროსი მასწავლებელი, ახალგაზრდა ნიჭიერი პედაგოგი ბ-ნი ბაგრატ მჭედლიძე გადაყვანილ იქმნა დრანდის მონასტრის (აფხაზეთშივეა) სამრევლო სკოლის მასწავლებლად. ხოლო მის ადგილზე გადმოიყვანეს დრანდის სამრევლო სკოლის მასწავლებელი ჟვანია. ბ-ნი მჭედლიძე სულ ერთი წელიწადია, რაც მასწავლებლადაა გუდაუთაში. ამ მოკლე ხნის განმავლობაში საზოგადო სიყვარული დაიმსახურა როგორც გუდაუთლებისა, ისე თვისის შაგირდებისა. გუდაუთის საზოგადოება გულწრფელადა ნანობს ბ-ნი მჭედლიძის აქედან წასვლას, მით უფრო, რომ ასეთი საქმის მცოდნე და ნაკისრ მოვალეობის ერთგულად მოსამსახურე მასწავლებელი აქაურებისათვის იშვიათია. (ცნობის ფურცელი, N246, 1897 წელი);

სოხუმი. ეპისკოპოსის სახლი

უკვე დამთავრდა სახლი, რომელსაც აშენებდნენ უსამღვდელოესობის სოხუმის ეპისკოპოსის ყოვლადსამღვდელო არსენისა და მისის მეუფების კანცელარიისათვის. ეს სახლი 33,000 მანათი დაჯდა. შიგ მოთავსებულია: მისის მეუფების სადგომი, კარის ეკლესია და კანცელარია. (ცნობის ფურცელი, N247, 1897 წელი);

სოხუმი. ჭირნახული

მთელს აფხაზეთში წლეულ მშვენიერი პირი უჩანს ჭირნახულს. აქეთკენ მარტო სიმინდს სთესენ. სხვა ადგილებსავით გვალვა აქეთკენ არა ყოფილა, სიმინდი უკვე ტაროს იკეთებს. წლევანდელის მსგავსი სიმინდი, კარგა ხანია, აქაურებს არ უნახავსთ. განსაკუთრებით მშვენიერი სიმინდია სოფ. მაჭარაში, შაბუშარაში, ბაღმარანში, მერხეულში და ბჟაყვაში. ადესასაც კარგად ასხია. (ცნობის ფურცელი, N248, 1897 წელი);

სოხუმში პროგიმნაზიის დაარსების განზრახვა

გაზეთს „ნოვ. ობოზრ.„-ს ატყობინებენ სოხუმიდან, რომ იქაურს თავადაზნაურობას

განზრახვა აქვს აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე პროგიმნაზიის დაარსებაზე. იქაურს თავადაზნაურობას შეგნებული აქვს, რომ ასეთი საქმე მათი უსაჭიროესი მოთხოვნილებაა და დიდი ხანია ელიან მის განხორციელებას. ეხლა სოხუმში ითვლება ას-ათი-ათასი მცხოვრები და არცერთი რიგიანი და საჭიროებათა დამაკმაყოფილებელი სასწავლებელი არ არსებობს. იქაური სამთო სასწავლებელი მხოლოდ ორკლასიან ნორმალურ სასწავლებელს უდრის. სოფლის სკოლების რიცხვი მეტად ნაკლებია მთელს ოლქში; მხოლოდ 5 სამინისტრო და ამდენივე სამრევლო არსებობს. მცხოვრებლებს - კი, რომელნიც გრძნობენ სწავლის საჭიროებას, არა აქვთ ნივთიერი შეძლება, რომ შვილები მისცენ სასწავლებლად ბათომში. თავადაზნაურობა დაიმედებულია, რომ მათი შუამდგომლობა შემწყნარებული იქნება, მით უფრო რომ მათ აქვთ უკვე მზად საჭირო თანხაც: 1) დანარჩენი უმაღლესად ნაბოძები ფულისა აფხაზების თავადაზნაურთათვის გლეხების განთავისუფლებისთვის, რომელიც 1882 წელს 105 ათას მანეთს ედრებოდა, და 2) 20 ათასი მანათი, რომელიც თ. დ. ს. ჭავჭავაძემ უანდერძა სამურზაყანოს. ეს ორივე თანხა, მათის აზრით ეხლა სარგებლით 200 ათასამდე გაიზრდებოდა. საფიქრებელია, რომ ქ. სოხუმი არ დაიშურებს ერთბაშად შეწირვას შეძლებისდაგვარად და შემდეგშიც დაუნიშნავს ყოველწლიურ შესაწევარს. სულით და გულით ვუსურვებთ სოხუმელებს ამ საჭირ-ბოროტო საქმის მალე განხორციელებას... (ცნობის ფურცელი, N250, 1897 წელი);

ქ. სოხუმი. აქაური ცხელ-ცხელი ამბები

„ზღვაოსნობის საზოგადოებათა“ საყურადღებოდ. მოგეხსენებათ, დიდი ხანია, რაც დაარსდა ეგრედ წოდებული - „Русское Обшеста Пародства и торговли”, რომლის გემები დადიან შავ ზღვაზედ, გადაყავ-გადმოყავთ მგზავრები და გადააქვთ-გადმოაქვთ საქონელი; ამ საზოგადოებას, სანამ სხვა მეტოქე არ ჰყავდა, ძალიან აწეული ქირა ჰქონდა დაწესებული, როგორც მგზავრთათვის, ისე საქონელზედაც. მაგრამ გაჩნდა მეორე ეგრედ წოდებული Руссійкое Обшесто, რომელმაც ძლიერ დაუკლო ფასები შედარებით პირველისა, რომელიც რასაკვირველია, საზოგადოთ მგზავრთათვის სასარგებლო იყო და არის; აგერ ერთი წელიწადია, რაც დაარსდა მესამე - ეგრედწოდებული, „Азовское Обшеста”. ამ საზოგადოებამ ისე დაუკლო ფასები, როგორც მგზავრების გადაყვანას, ისე საქონლის გადატანას, რომ თითქმის გაანახევრა!.. ეხლა ამ სამს საზღვაოსნო საზოგადოებათ ერთმანეთში დაჯიბრება აქვთ გამართული.. არა ჩვენი გემით წადი, არა ჩვენითო - ეუბნებიან მგზავრებს აგენტის მოსამსახურენი... რითაც დიდი შეღავათი მიეცათ ღარიბ მგზავრთ ქალი თუ კაცი, დიდია თუ პატარა, მგზავრი კითხულობს: ნეტა როდის მოვა „აზოვის პარახოდი“-ო.... პირველმა ორმა საზოგადოებამ - (Русское Обшесто და Руссійкое Обшесто) აქ, სოხუმში ზღვის პირად გააკეთეს ხის შენობები, როგორც ამბობდნენ იმ აზრით, რომ თუ ავადმყოფობა რამ გაჩნდეს, ამ შენობებში იქნას კანონიერი ზომები მგზავრთათვისო; მაგრამ, ღვთის წყალობით არავითარი ცუდი გადამდები სენი არ გაჩენილა, სრული მშვიდობაა, ასე, რომ ეგ ორი შენობები, ყოველისფრად მომზადებული მგზავრთა თავ-შესაფარათ, თითქმის ერთი წელიწადია კარებდაკეტილია! ნუთუ ამ შენობებს საქმეში ვერ გამოიყენებენ! რა საქმეშიო, იკითხავთ. მოგახსენებთ: აქ, სოხუმში გემები ღამ-ღამობით მოდიან, იმ დროს როცა სასტუმროები და დუქნები დაკეტილია მგზავრი ბარგბარხანით უნდა გამოვიდეს გემიდგან და, რადგან ბინას ვერ შოულობს სამოითხი საათი გაჩერდეს და თავის ბარგხანით. კიდევ კარგი თუ დარია, მაგრამ თუ ზედვიდან კოკისპირულად გადმოეშვა წვიმა თქვენი მტერი მგზავრები გაჭირვებაში ჩავარდნენ!... ბევრჯერ მინახავს მგზავრები დასვენებული! ნამეტურ, ძნელია ქალები თავის ძუძუმწოვარა ბავშვებით... ამისთვის, კარგი იქნება თუ, აღნიშნულ „საზოგადოებათა“ განკარგულებას მოახდენენ, რომ ეს ორი შენობა ცუდი ამინდის დროს იქნას გაღებული გაჭირვებულ მგზავრთათვის, მეტადრე ღამ-ღამობით... ამით „საზოგადოება“ არას წააგებს და მგზავრნი მადლი-

ერნი იქნებიან და თანაც სამადლო საქმე იქნებოდა... იმედია, ამ საგანს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ ხსენებულ „საზოგადოების“ გამგენი. (ცნობის ფურცელი, N251, 1897 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი). ქართული ხოროს კონცერტი

4 მკათათვეს გვესტუმრა ბ-ნი კავსაძე თავისი ხოროთი და გამართა კონცერტი. დიდათ პატივსაცემია ის ადამიანი, ვინც გავარჯიშებულის მწყობრის ხმით გვაგონებს ჩვენის ქვეყნის და სხვა და სხვა კუთხის სიმღერებს. ის ამითი „ხელს გვიწყობს“ სულიერათ უფრო მტკიცეთ შესაერთებლათ; მხოლოდ გულწრფელად უნდა შევნიშნოთ ბ კავსაძეს, რომ ათ-თხუთმეტი დღის განმავლობაში მოვლა მთელის საქართველოს დაბა-ქალაქებისა და სულისმოუთქმელად კონცერტების მართვა ფიზიკურად დაღლის ადამიანს. მგზავრობით დაღლილს და ზღვით გალახულს ერთი დღე მაინც მოსვენება უნდა, რომ კონცერტი სასურველ დონეზედ დადგმული იყო, თორემ სიჩქარე საქმეს გააფუჭებს და სახელსაც გაუტეხთ მოთავეთ. საზოგადოება იმდენი დაესწრო კონცერტს, რამდენიც დაეტეოდა დარბაზში, სადაც კონცერტი იყო გამართული. საზოგადოებას ძალიან მოეწონა იმერული მგზავრული და სვანური „ბუბაქაქუჩელა“, რომელნიც საზოგადოების თხოვნით განუმეორებელნი იქნენ. თვითონ ბ-ნ კავსაძეს ტკბილი და ძალდაუტანებელი ხმა ჰქონია. ვისურვებთ მისგან ამ საქმის ერთგულად და გონივრულ გაძღოლას. /ალია/. (ცნობის ფურცელი, N255, 1897 წელი);

დ. გუდაუთი (აფხაზეთი). საოცარი თავხედობა ავაზაკებისა და კაცის კვლა

12 ივლისს, ს. ღურუბში, რომელიც ორი ვერსის მანძილზედ ახლავს გუდაუთს, ერთს აქაურს მცხოვრებს აზ. თემშუღ ლაკერბაიას ფსხურა (აღაბი) ჰქონდა გარდაცვალებულის შვილისა. ჩვეულებისამებრ, მიწვეულ ჰყავდა დიდ-ძალი ხალხი და კიდევაც ბევრი ხალხი დაესწრო სხვადასხვა ახლო-მახლო ადგილებიდგან; ხალხი იყო შეკრებილი ერთს მინდორზედ და განიყოფებოდა ორ ნაწილად; მარჯვენა და მარცხენა მხარეს, რადგანაც პანაშვიდის გადახდის შემდეგ იქნებოდა გამართული ცხენების დოღი ამ ხალხთა შორის მოჰყოლია ყაჩაღად გავარდნილი მ. ღუბულია, რომელიც აგერ სამიოდე წელიწადია, რაც ტყეში იმალება, ამ სამის წლის წინეთ ს. ლიხნის მცხოვრების ა. შეყრილბაიას მკვლელობის გამო. ამავე დროს აქ მოვიდა მოკლულ შეყრილბაიას ძმა თ. შეყრილბაია; და რა დაინახა თავისი ძმის მკვლელი, მაშინათვე მიაძახა - ეხლა კი ვერსად წახვალო. ღუბულიამ ამ სიტყვაზედ მოაბრუნა ცხენი და უნდოდა მივარდნილიყო, მაგრამ შეყრილბაიამ რევოლვერი ესროლა და ცხენი მოუკლა ღუბულიას; ღუბულიამ ცხენის წაქცევის უმალ ანება თავი და იქვე მახლობელ ხეს ჩაესაფრა და იქიდან დაუმიზნა ბერდენკა. ბერდენკის ტყვიები ასცდა შეყრილბაიას და მარჯვნივ მხარეს მდგომ ხალხს მუსრი გაავლო. რვამდე კაცი დაიჭრა და ორი ცხენიც მოჰკლა დაჭრილებისა. დაჭრილში ზოგი ვერ მორჩებაო ამბობენ. სწორედ ამ დროს ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა რევოლვერი ესროლა შეყრილბაიას ცხენს და იქვე მოჰკლა. ამბობენ, ღუბულიას ამხანაგიაო. ამნაირმა სურათმა ხალხი არივ-დარია და შეიქმნა ჩოჩქოლი და ხმაურობა. ამით იდროვა ერთმა აფხაზმა, რომელსაც ნდომებია თავის მეზობლის მოკვლა და მივარდნილა ხანჯალით, თავში დაურტყამს და გაქცევა დაუპირებია მაგრამ ეს თავ-თავგადასისხლიანებული კაცი უკან დაედევნა, დაეწია და გულში რევოლვერი დასცა და იქვე სული გააფრთხობინა. მაშინათვე შეიპყრეს მკვლელი და წარუდგინეს სოფლის მამასახლისს; მამასახლისმა განუკითხველათ გადასცა გუდაუთის ბოქაულს და მაშინათვე დააპატიმრეს; ამასობაში ხსენებული ყაჩაღები-კი გაიქცნენ ტყეში. საღამოზედ თავის ჩაფრებით მოვიდა გუდაუთის უფროსი და გამოიძია, მაგრამ პასუხის მგებელი-კი არც არავინ იყო. ამიტომ უბრძანა ჩაფრებს იმ ღამეს ეყარაულნათ ყაჩაღებისათვის სოფლის

გზებზედ, მაგრამ დღესაც ტყულად იქ არიან საყარაულოდ ჩაფრები. რას უნდა გახდეს ადმინისტრაცია და ან სხვები, როდესაც ხალხი არ გასცემს ენას ყაჩაღებს მოყვრობით-კი არა შიშით, რომ იმათაც უარესი დღე არ დააყენონ. ამისთანა ამბები ხშირად ხდება ხოლმე აქაურ ახლო-მახლო სოფლებში. თუმცაღა ბევრი მათგანი ციმბირის ცივ ქვეყნებში სცხოვრობენ, მაგრამ მაინც არ იქნა მათ ჭკუაზე და კეთილ გზაზე დაყენება...

ამინდი და ქარტეხილი: როგორც იქმნა ვეღირსეთ წვიმას ივლისის თვეში და დიდი სიხარული დაეტყო ხალხს, თუმცაღა სიმინდის ტაროები წარსული წლებივით არ არის, მაგრამ ვაზს მაინც მომატებული ასხია. ამ სიხარულს თან სიმწუხრეც დაერთო. ცამეტს ამ თვეს დილით ამოვარდა ზღვის ქარი და მთელის ორის საათის განმავლობაში აწიოკებდა იქაურებს; დალეწა ხეები, ვენახები, სულ ერთნაირად დაგლიჯა ვაზები ხეებზედ და ნახევრად ძირს ჩამოყარა; ხალხი პირდაღებული პირით შეჰყურებს თავის ზვარს და არ იცის საწყალმა რა ღონეს მიჰმართოს და რითი გამოჰკვებოს ცოლ-შვილი სწორედ საზარელი მდგომარეობაა ხალხისა. (ცნობის ფურცელი, N258, 1897 წელი);

სოხუმი. ქალის მოტაცება

სოფ. მერხოულში (18 ვერსია სოხუმიდან) ამას წინად ქალი მოიტაცეს, სოფ. მერხოულში სცხოვრობს ერთი გერმანელი ახალშენი რეკკემანი, რომელსაც ჰყავდა გასათხოვარი ქალი. ამ გერმანელს მამულები აქვს და მოიჯარადრედ ერთი ახალგაზრდა მეგრელი ჰყავდა. თურმე, ამ ყმაწვილსა და გასათხოვარ ქალს ერთმანეთი მოსწონებიათ და მტკიცე სიტყვაც მიუციათ ერთმანეთისათვის, მაგრამ, რაკი დედ-მამა ქალს ნებას არ აძლევდა მეგრელს ცოლად გაჰყოლიყო, ახალგაზრდებს გაპარვა ერჩიათ და ერთ საღამოს მეგრელს წაეყვანა თავისი სატრფო-საცოლე. მშობლებმა მდევარი დაადევნეს და ორივენი შეიპყრეს. გამოძიება სწარმოებს... /ი. ბ-ძე/. (ცნობის ფურცელი, N259, 1897 წელი);

ქ. სოხუმი. ქალის მოტაცება და 30, 000 მანათის მზითევი

ამასწინად „ცნობის ფურცელში“ მოხსენებული იყო ამბავი ქალის მოტაცებაზედ. აი ეხლა დაწვრილებით იცნობება ამ საქმეზედ. სოხუმიდან რვა ვერსის მანძილზე ერთს უცხოელს ადგილი შეუძენია, დასახლებულა კარგად, ამბობენ, მდიდრად არისო. ამას ჰყოლია ორი ქალიშვილი გასათხოვრები. რადგან მამას ქონება სამოცი ათას მანათზე მეტი ჰქონია, რასაკვირველია, თითო ქალს ოცდაათი ათასი მანათი ერგებოდა და აი, ამ ფიქრებით გატაცებული მეგრელი ტანზე აისხამს ფარ-ხმალ აბჯარს და ტარიელად გამოდის - მოიტაცებს უფროს ქალს, ამ დროების ნესტან-დარეჯანს და გააქანებს დაბურულ ტყისკენ... მდევრები გამოუდგებიან, დაეწევიან, ქალს წაართმევენ და მშობლებს ჩააბარებენ, ხოლო ამ ტარიელს - კი მხარ-წაკრულად ჩამოიყვანებენ სოხუმში და ვირის აბანოში ჩააბრძანებენ... ვერა, ვერ ჰგვანებია შოთას „ტარიელს“!.. (ცნობის ფურცელი, N263, 1897 წელი);

დ. გუდაუთი. ქალის მოტაცება.

7 ამ თვეს ღამით აქ მოიტაცა ნაყაჩაღებმა მ. ღ. ბ-იას ქალიშვილი მამის შინ არ ყოფნის დროს. ვერ იქმნა და ვეღარ მოვრჯულდით ჩვენ: ისევ ძველებურად და ჩვენებურადა ვტაცებთ ქალიშვილებს! არავინა გვყავს იმისთანა გულშემატკივარი კაცი, რომ ზნე-წამხდარობაზე აგვაღებინოს ხელი. /მე გახლავარ/. (ცნობის ფურცელი, N264, 1897 წელი);

ქ. სოხუმი. ღალატი და სიყალბე

ამ თვის 8 ხმა გავარდა ქალაქში „დღეს სასამართლოში საინტერესო საქმე ირჩევაო“. მეც გავეშურე სასამართლოში, სადაც დიდძალი ხალხი შეკრებილიყო. სოხუმში ომიანობის შემდეგ დასახლებულა ერთი აფხაზი, გვარად ს...., აუშენებია ქვის სახლი, წვრილი ნადგომობაც თავისი ეზოთი, მოუწყვია და თავისი ცოლით და ვაჟიშვილით სცხოვრებდა; თურმე, ამ ოთხი-ხუთი წლის წინად ეს კაცი და ქალი ორივე გარდაცვლილან, დარჩენილა ვაჟი, ამ ვაჟისათვის მამას, რასაკვირველია, დაუტოვებია ზემოაღნიშნული სახლ-კარი, წვრილი ნადგამობა და ეზო და ამასთან ვალიც ხუთასი მანეთი. მოვალემ რამოდენიმე წელიწადი ითმინა და ბოლოს, მოითხოვა თავისი, მაგრამ ამ ყმაწვილმა ვერ მოახერხა ერთად ხუთასი მანეთი. ბოლოს მოვალემ იჩივლა, სასამართლოდან აღმასრულებელი ფურცელი გამოიტანა და ბოქაულს გადასცა სისრულეში მოსაყვანათ. ბოქაულმა ამ სახლკარ-ეზოში საჯაროთ გაყიდვა დანიშნა ასე, რომ 4,000 მანეთათ ღირებული სახლკარი-ეზო უნდა გაიყიდოს ხუთას მანეთში!.. ეხლა მოისმინეთ მომჩივანის სიტყვები. მეო, დაიწყო მომჩივანმა, როცა ვაჭრობა ახლოვდებოდა და სახლკარ-ეზო მეყიდებოდაო, მივედი ამ ჩემ მეზობელთანო (მოპასუხესთან) და ვთხოვე ფულიო, მან თავაზიანი სიტყვა მითხრა და შემპირდა შემწეობასო; თითონ ვაჭრობის დღეს ადრე მივედი და, რომ მოვთხოვე ფული მაშინ სთქვა, რომ მე ვაჭრობაში დავესწრები, ვივაჭრებ, შენს სახლკარ-ეზოს მე დავირჩენ და შემდეგ ისევე შენ დაგიბრუნებო, მხოლოთ ფულის სარგებელი კი-მომეციო; ეს ცოტა არ იყოს საეჭვოთ მივიღე მე და ამისთვის უცბათ ბარათი ჩამოვართვი 1600 მანეთისაო, უკეთუ სახლ-კარ-ეზო ვაჭრობით მას დარჩებოდა, შემდეგ რომ აღარ ეღალატნა ჩემთვის ამის მიხედვითაო; სახლ-კარ-ეზოს თუ დამიბრუნებდა, მაშინ მე უნდა მიმეცა მისთვის ეგ 1600 მანეთის ბარათი და ის ფული, რომელიც ჩემს მოვალეს მისცა თავის სარგებლითაო. ვაჭრობის შემდეგ აგერ წელიწადია, ბევრჯერ ვთხოვე სახლის დაბრუნება და ხვედრი ფულიც სარგებლით შევაძლიე, მაგრამ არცერთი არ იყაბულა და გულ-მოსული დამიკივლა: „შენ ვინღა ხარო! სახლიც ჩემია, კარიც და ეზოცაო!.. „თუკი სახლ-კარ-ეზო მისთვის უნდა რომელიც ოთხი-ხუთი ათასი მანეთი ღირს, რატომ მე არ მაძლევს იმას, რაც ბარათში მიწერიაო 1600 მანეთსაო? ამის შემდეგ ილაპარაკა მოპასუხემ შემდეგი: მეო, თქვა მან, სახლ-კარ-ეზო ვაჭრობით შევიძინე. ამას არა ვცნობო და ეს ბარათი თუმცა ჩემი მოწერილი კი არის, მაგრამ ყალბია, და აი როგორო: მე, როცა სახლი ვაჭრობაში დავინარჩუნე შემდეგ მომჩივანს და მე უკმაყოფილება გვქონდა ერთი-მეორესთან და არა ვცემდით ხმასაო; ბოლო დროს მომჩივანმა ალერსიანად დამიწყო ლაპარაკი და შევრიგდითო. ერთხელ ცოტა ღვინით შექეიფიანებული ვიყავით და მაშინ ამოიღო ჯიბიდან ქაღალდი, მაჩვენა და მითხრა: „საათს ვაგდებ ლატარიაში და ერთ ნუმერზე ხელი მომიწერეო“. მეც ავდექი და ხელი მოვუწერე. ეხლა ნამდვილად ვიცი, რომ ის ჩემი ხელმოწერილი ქაღალდი 1600 მანეთიან ბარათად გადაუკეთებია და მიჩივისო. მომრიგებელმა მოსამართემ რაკი გაიგო შინაარსი საქმისა, საქმე საეჭვოდ დაინახა და გადასცა გამომძიებელს... სჩანს, ერთი მხრით ღალატია, მეორეს მხრით - სიყალბე, ამათში მტყუანი და მართალი ვინ არს ალაჰმა უწყის... მაგრამ კაცი რომ დაუკვირდეს საქმეს 500 მანეთმა რომ 5, 000 მანეთად ღირებული სახლ-კარ-ეზო ჩაჰყლაპოს ეგ კი ცოდვაა!.. ამ საქმეში, იმედია, სიმართლე დასძლევს ბოროტსა... /სპირიდონ ხან/. (ცნობის ფურცელი, N265, 1897 წელი);

ს. ნობაკევი (სამურზაყანო)

უბილეთო მუშების შეპყრობა მამასახლისაგან. აი კიდევ ერთი სამწუხარო ამბავი „სოფლის მმართველთა“. ს. ბარღეფში (ნობაკევის მოსაზღვრეა) მუშაობს ორი სახერხი მანქანა.

25 ივლისს ბარღეფის მამასახლისს დაუვლია ქარხნები და მუშებისთვის ბილეთები მოუთხოვია; ვისაც ჰქონდა და არა ჰქონდა და ვისაც ან ვადა გასვლოდა, იმათთვის ვადა ერთი თვე მიუცია, ბილეთი დაიბარეთო. მეშვიდე დღეს, ე.ი. 2 ივლისს იმავე ქარხნებს თავს დასცემია ნობაკევის მამასახლისი ორის თავისს თანაშემწით და რაც მომუშავე იყო, წამოერეკა თავისს სოფელ ნობაკევში და „ბრძანება“ გაუცია დაემწყვიდათ „ნაობახჩში“. ეს „ნაობახჩი“ გამოდგა სასამართლოს გვერდით გაშენებული დუქნის ოთახი, რომელშიაც პატრონი მარილსა ჰყრიდა, თურმე. თქვენ წარმოიდგინეთ გოდორის ოდენა ოთახში, სადაც თაგვი კუდს ვერ მოიქნევ, ჩვიდმეტ კაცს, ზეზე გაჩერებულთ ორი დღე ამ სიცხე-პაპანაქებაში უსმელ-უჭმელად ყოფნა რა ჯოჯოხეთური ტანჯვა იქნებოდა. საწყალ მუშების მწუხარება ქვასაც შეაწუხებდა. თუმცა მამასახლისი პირველად ემუქრებოდა მუშებს - უფროსთან გაგგზავნით და წარგადგენთ, როგორც სიავის მოქმედნი და გამოვალპობინებ თქვენს თავს საპყრობილეშიო, მაგრამ არც უფროსთან გაგზავნა საწყლები და თვითონ-კი იმდენს ხანს აწვალა, სანამ 30 მან. არ დაათვლევინებინა (პირველად კაცის თავზე ხუთ-ხუთ მანეთს თხოულობდა). ერთს ღვთისნიერ ადამიანს, ნიკო ჭყონიას, იმათი სულის სახსნელად თუმც ესეც დიდის შეხვეწნით მიაღებინეს, რადგან ჯიუტობდა თითოეული კაცის „ფასს“ ხუთ-ხუთ მანეთის ნაკლებს არ ავიღებო. საოცარი სანახავი იყო, თურმე, როდესაც თავს დაეცა მამასახლისი ქარხნებს. ერთმა იქ მყოფმა აი რა მითხრა: გაცხარებული მუშაობაა, ყველანი თავიანთ საქმეს აკეთებენ. ხერხს გააქვს ბრახა-ბრუხი... მოვიხედეთ, თავზე წამოგვადგა სამი შეიარაღებული კაცი, ხელში ბერდანკის თოფით და ერთმა მათგანმა დაიყვირა: გაჩერდითო!.. ერთს წუთში აირია ყოველისფერი; გვეგონა ყაჩაღები დაგვეცნენ; მუშაობას ყველამ თავი მიანება, აქეთ-იქეთ გარბიან დასამალავად; მაგრამ ერთ იმათგანს კისერზე ჯაჭვი რომ შევნიშნეთ ცოტა იმედი მოგვეცა, თუმცა ის იმედიც მალე გაგვიცრუვდა, რადგან „ჯაჭვიანი“ ახლოს არავის იკარებდა, ბერდანკას ხელში ატრიალებდა, ხან ჩადებდა ტყვიას, ხან გამოიღებდა, ყველასუმიზნებდა და ყვიროდა: გაჩერდით, თორემ ესარის გაგხვრიტეთო... ერთს მუშას ხე გამოჰქონდა მეორე ნაპირიდან ნავით, მამასახლისმა თვალის დახამხამების უმალ ჩადო ტყვია ბერდანკაში, დაიჩოქა ცალ მუხლზედ და დაუმიზნა ყვირილით. მუშას ეგონა, ეს არის, თოფს მესვრისო და ნავიდან წყალში გადავარდა, საიდანაც დროზე მიეშველნენ და ცოცხალ-მკვდარი ამოათრიეს წყლიდან. /მგზავრი/. (ცნობის ფურცელი, N266, 1897 წელი);

გუდაუთი (აფხაზეთი)

ავაზაკების თავ-გასულობა და სამწუხარო შემთხვევა. 22 ივლისს გუდაუთის ნაწილის უფროსი ბ. ჩიქოვანი თავს დაესხა გადავარდნილს ავაზაკს მამსირ აბრაგიფას სოფ. ზვანდრიბში; ბ. ჩიქოვანს თან ჩაფრები ახლდნენ; მიაკვლიეს თუ არა ავაზაკის ბინას, ღამით გარს შემოერტყნენ სახლს. აბრაგიფას შეუმჩნევია პოლიციის მოახლოვება და საჩქაროდ შიგნიდამ სახლის კარებები დაუკეტია და მომზადებულა საბრძოლად; ჩაფრებს ბ. ჩიქოვანის ბრძანებით ავაზაკის შესაშინებლად რამდენჯერმე დაუცლიათ თოფები; ავაზაკსაც დაუწყია სახლიდამ თოვის სროლა და ორი ჩაფარი დაუჭერია: ერთს შუბლში მოხვედრია ტყვია და წარბი წაუგლეჯია, ხოლო მეორესათვის ყური მოუცლია ტყვიას; ბოლოს ბ. ჩიქოვანსაც მოხვედრია კისერში ერთი ტყვია. როდესაც ჩაფრებმა თავისი უფროსი დაჭრილი დაინახეს, ავაზაკს თავი დაანებეს და მისს მოვლას და ჭრილობის შეხვევას მოჰყვნენ; ავაზაკმა ამით ისარგებლა და უგზო უკვლოდ სადღაც გაიპარა და გაჰქრა. ბატონ ჩიქოვანის ჭრილობა, როგორც ამბობენ, მძიმე და საშიში არ უნდა იყოს. მამსირ აბრაგიფას შარშან ქუთაისის ოლქის სასამართლომ თოთხმეტის წლის კატორღა მიუსაჯა ავაზაკობისათვის. /N.N./. (ცნობის ფურცელი, N269, 1897 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი)

სააღებ-მიცემო ამხანაგობის დაარსება. ამას წინად ვწერდით ოჩამჩირეში კოოპერატიულ ამხანაგობის დაარსება სურთ მეთქი. „ეს სურვილი“, თუ ღმერთმა ინება, ახალწლამდინ უნდა განხორციელდეს. ამ ჟამად სალაპარაკო ის არის, თუ რა გვარი ამხანაგობა შესდგეს: ქიზიყის დეპოს მინაგვარი, თუ „შუამავლის“. ამაზე დაწვრილებით მოლაპარაკება და ხელის მოწერის გამართვაც ამ მოკლე დროში მოხდება. ჩვენდა სასიხარულოთ, დღეის შემდეგ ასეთი ამხანაგობის შედგენა სრულიად გაადვილდება, რადგან თვით სამინისტრომ წესდება შეადგინა და გამოსცა ამ გვარ სავაჭრო სახლებისთვის, მხოლოდ წესდება მთავრობის მიერ შედგენილ წესდების თანახმად უნდა იქმნას შედგენილი. იმედია, ეს კეთილი საქმე არ მიიძინებს და განხორციელდება, მით უფრო, რომ ამ საქმეს თავობს ცნობილი და პატივცემული პირი. /ალია/. (ცნობის ფურცელი, N274, 1897 წელი);

სოხუმი

სანიტრები და ხილეულობა. ჩვენი ბაზრის სანიტარი ბ-ნი ანდრიაშჩენკო ძალიან მეცადინეობს: ყოველ დღე დაფაცურობს ქუჩებში; ატმის ბურკა რომ დაინახოს, ააღებინებს მედუქნეთ... კარგია, თუ ასე იმუყაითეს, თორემ თქვენი მტერია, ხილეულობა: ნესვი, კიტრი, საზამთრო და სხვ. იმდენი ჩამოიტანეს სოფლებიდამ და ახლო-მახლო ბაღებიდან, რომ მთლად აივსო ბაზარი; ადვილი წარმოსადგენია, რომ ციებ-ცხელება დიდძალს მასალას იშოვის! ფასები ხომ მეტად ნაკლებია ხილეულობაზე; თითო ნესვი 2, 3 და 5 კაპიკი, კიტრი ათი 1 კაპ., საზამთრო 5, 8 და 10 კაპიკი თითო. მაინც არავინ ყიდულობს! (ცნობის ფურცელი, N274, 1897 წელი);

სოხუმი

ადგილების შესაძენად ამხანაგობა. ამ ორის წლის წინედ ხმა გავრცელდა, სოხუმზედ რკინის გზა გამოივლისო, ამის მიხედვით აქ შეიყარნენ რამდენიმე პირნი ვაჭრები და იყიდეს „აგარაკ-ბაღი“ ჩაფაროვისაგან. ეხლა ეგ ბაღი უნდა დაინაწილონ მყიდველებმა, მაგრამ არ იქნა, ვერ დაინაწილეს... ემდურიან მოთავეს საქმისას!. (ცნობის ფურცელი, N275, 1897 წელი);

სოხუმი

ბიბლიოთეკის ცრუ გულ შემატკივრები. ამ უკანასკნელს ხანებში ჩვეულებათ გახდა, რომ ყოველს კეთილს საზოგადო საქმეს ჩვენში თითო მტერი და ხელშემშლელი აღმოუჩნდეს ხოლმე და რისიც დაარსება და დაწყება რამოდენიმე პირმა და ზოგან მთელმა საზოგადოებამაც ძლივს შესძლო, იმას ერთი ვინმე ვითომ და გულშემატკივარი და საზოგადო მოღვაწე (?) ძირს უთხრის და ქვეყნიდან აღგვას უქადის. ამ გვარმა ვაჟბატონებმა უმეტეს ნაწილად დასავლეთ საქართველოში იჩინეს თავი ამ ბოლოს დროს. ესენი მოუფიქრებლად და ბავშური ჭკუის მსჯელობით მოჰყვებიან რაღაც ბოდვას, ცისა და ბარის ჭორებს და ამით მთელს საზოგადოებას გულს უტეხენ, აფრთხობენ და ყველა საზოგადო კეთილ საქმისადმი ყოველს ნდობასა და იმედს უკარგავენ.

სხვათა მრავალთა შორის, არც ჩვენს სოხუმის სამკითხველოს ასცდა ამ გვარის ბედის წერა. მეორე წელიწადია, რაც ეს სამკითხველო გაიხსნა, რასაკვირველია, ჯერ შეგნებული პირების თაოსნობით და მერმე მთელი საზოგადოების თანა გრძნობით და უხვი შეწირულებით.

დღემდე ამ სამკითხველოს სული უდგას და 30-მდე წევრიცა ჰყავს, მაგრამ აწი კი, ვფიქრობ, რომ ცრუ მოამბეთა წყალობით ყველა წევრები ჩამოეცლებიან და სამკითხველოს ხსენებაც კი გაჰქრება სოხუმში. საქმე ის არის, რომ ამ ხანებში რამდენიმე წერილი დაიბეჭდა გაზ. „ცნ. ფურცელში“ ჩვენი სამკითხველოს შესახებ. ავტორი წერილებისა ვ. რუხაძე იმას გაიძახოდა, რომ სამკითხველოს გამგემ პ. კალანდარიშვილმა ანგარიში სწორეთ არ გვიჩვენა და მეკი ყველა დაფარული გამოვაქვეყნეო. შემდეგ, როდესაც სამკითხველოს გამგემ უპასუხა, რომ შემოსავალი ხარჯს არ ჰფარავს და ტყვილად ცილის წამებას თავი ანებაო, ვ. რუხაძემ კიდევ შეთხზა ერთი წერილი და ამბობს, რომ მეო სამკითხველოს წარსულიც ვიცი და აწმყოცაო და იქვე მოჰყავს შემოსავლის რაოდენობაც. მე კი ჩემის მხრით ამას ვიტყვი, რომ არც ერთს ვ. რუხაძის წერილებზედ, როგორც ყოველს სიმართლეს მოკლებულსა და ღარიბ შინარსიანზე, პასუხის მიცემა არა მსურდა, მაგრამ, რაკი ამ წერილების წყალობით საზოგადოებას ცუდი ეჭვები დაებადა, ამისათვის ჩემს მოვალებათ ვრაცხ, რომ სიმართლე აღვადგინო სოხუმის სამკითხველოს შესახებ. ვ. რუხაძე ამბობს რომ სამკითხველოს 31 წევრი ჰყავს და თვეში 12 მ. 40 კ. შამოუდისო. ეს ცოცხალი ტყუილია და აქედან განა აშკარად სჩანს, რომ ვ. რუხაძეს არც წარსული სცოდნია ჩვენი სამკითხველოსი, არც აწმყო და არცა მომავალი გაუთვალწინებია. რად გაუჭირდა ვ. რუხაძეს სამკითხველოში შესვლა და დავთარში ჩახედვა! სამკითხველოს მკითხველთაგან 4-8 მანათამდე შემოუდის თვეში და არა 12 მ. 40 კ., როგორც იგი ბრძანებს. მართალია, წევრები 30-მდე არიან, მაგრამ უმეტესობა ამ წევრთა თითო რომელსამე ჟურნალ-გაზეთს უწერს სამკითხველოს თავისს ხარჯზე და საწევრო ფული აღარ შეაქვს. ერთის სიტყვით, ვ. რუხაძეს წერილები სიმართლეს ძალიან დაშორებულია და სასურველია კვლავ აღარ შეიყვანოს შეცდომაში არც რედაქცია და არც საზოგადოება. რაც იყო, ის იყო, წარსულს ვეღარ დავეწევით და მომავალში კი ნამდვილი მოკეთე საზოგადო საქმისა უნდა ცდილობდეს იღვწოდეს სიმართლისა და საქმის კეთილდღეობისათვის და არა ჭორიკანობდეს. სხვა რომ არა იყოს-რა, ნუ დაავიწყდებათ ჩვენებური ბრძნული ანდაზა: „ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო“. /ივ. ბურჭულაძე/. (ცნობის ფურცელი, N276, 1897 წელი);

თეატრის მატიანე

სოხუმი ქართული წარმოდგენა. კვირას, 27 ივლისს, უკანასკნელი წარმოდგენა გამართა ქართულმა დრამატიულმა დასმა, რომელიც ქუთაისიდგან გვეწვია სოხუმელებს. წარმოდგენა იყო თვით ჩვენი სახელოვანი მსახიობის ბ. ვ. მესხიევის საბენეფისოდ. წარმოადგინეს კომედია „კინი“, რომლის როლსაც თვითონ ვ. მესხიევი ასრულებდა. ამ უკანასკნელს წარმოდგენაში ყველანი კარგათ თამაშობდნენ; კარგები იყვნენ ნ. ჩხეიძისა და ბ. ნნ. ვ. მესხიევი, ბალან-ჩივაძე და ჯანოევი. ამ დღეს თითქმის მთელი სოხუმის ქართველობა დაესწრო წარმოდგენას და მათს აღტაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა. ყოველ მოქმედების შემდეგ სამ-სამ ჯერ იწვევდენ მესხიევის ტაშის კვრით და ვაშას ძახილით. მოთამაშე მანდილოსნებს თაიგულები მიართვა საზოგადოებამ და ბ-ნ ვ. მესხიევს-კი ოქროთ მოვარაყებული ვერცხლის საჭიქე, თავის მოწყობილობით. წარმოდგენის შემდეგ დასს ვახშამი გაუმართა სოხუმის ქართველობამ. მრავალი სიტყვა წარმოსთქვა ამ ვახშამზედ და მეტად გრძნობიერი და შესაფერი სიტყვები თქვა ბ-ნ ვ. მესხიემა. /ი. ბ-ძე/. (ცნობის ფურცელი, N282, 1897 წელი);

დ. ოჩამჩირე (სამურზაყანო)

ჩვენებური რამე-რუმე. ეს წელიწადი ოჩამჩირელებისათვის დიახაც რომ პირ-შავი შეიქმნა. მოგეხსენებათ, ჩვენი დაბა სულ-დგმულობს სიმინდით და ამ მხრით არ ჩამოუვარდება

არც ერთ კუთხეს საქართველოისას. სამურზაყანო და აბხაზეთი, ეს ჩინებული ადგილები სიმინდის მოსავლისათვის ზედ აკრავს ჩვენს დაბას. ამ ორ მხარეში თუ-რამ ფულის ჭაჭანება არის, ეს მხოლოდ ჩვენი ოჩამჩირის წყალობით. აქ ჩამოდიან, როგორც სამზღვარ-გარეთიდან, აგრეთვე რუსეთის შიდა-გუბერნიებიდან ფულიანი კაცები. ამათ გააქვთ აქედან სიმინდი და ხე-ტყე. შარშან თუმცა კარგი მოსავალი იყო სიმინდისა, მაგრამ ამერიკელების წყალობით სულ-მუქთად გაიყიდა (ფუთი-29, კ-36 კაპ). ამ ფასად თვითონ გლეხს უჯდება ფუთი სიმინდი. ხე-ტყე ხომ სრულიად გაზიდულ იქნა საზღვარ გარეთ და თუ კიდევ დარჩა რამე, ისიც უვარგისია სააღებ-მიცემობით. წელს მოსავალს კარგი პირი უჩანდა და ვფიქრობდით: იქნება ამან მაინც ცოტათი გამოასწოროს ჩვენი საქმეთქო, მაგრამ ეს იმედიც გაგვიცრუვდა. აგერ ერთი კვირაა, რაც კოკისპირულად სწვიმს, ლამის ნიაღვარმა წაგვლეკოს. ასეთი ამინდი, რა თქმა უნდა, მოსავალსაც არ დააყრის ხეირს. ჩვენ მხარეს ისედაც ჭაობიანს ეძახოდნენ; წარმოიდგინეთ ახლა ჩვენი მდგომარეობა; ამ ტბებს რომ ცხელი მზე დააჭერს, როგორი ჰაერი დადგება. ციებასაც ეს უნდოდა, ჩვენზედ უბედური, ვეჭვობ სადმე იქნეს ვინმე. ახლა ვკითხოთ ზღვაზედ რა ამბავი ხდება. ასეთი წამხდარი ზღვა დიდი ხანია არ გვინახავს. ორთქლისა თუ უბრალო გემები ვერ მიდგომიან ჩვენს ნაპირებს. ერთს კარგა მოზრდილ გემს ღუზა მოსწყინდა და ბევრი ქანაობის შემდეგ აქ მახლობელ ნაპირზედ მიალეკა. გემზედ მჯდომი სამი თათარი ძლივს გადარჩა. /ივანე სანაია/. (ცნობის ფურცელი, N283, 1897 წელი);

გუდაუთი (აფხაზეთი)

სამკითხველო. ამ სამიოდ წლის წინად აქ დავაარსეთ უფასო სამკითხველო და საქმე მისი საკმაოდ კარგად მიდიოდა პირველ ხანებში. სამკითხველოს გამგენი გულმხურვალედ მოეკიდნენ ამ კეთილსა და სასიქადულო საქმეს, სამკითხველოსთვის საჭირო წყაროს აღმოსაჩენად დრო გამოშვებით მართავდნენ ხოლმე წარმოდგენებს და საზოგადოებაც თანაუგრძნობდა მათ; ბოლოს სამკითხველოს საქმე ისე კარგ ნიადაგზე დადგა, შიგ იმდენი წიგნები და სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთები მოიპოვებოდა, რომ გვეგონა აღარაფერი გვიშავს, მკვიდრად მოიდგა ფეხი სამკითხველომაო-თქო, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ, ამ ბოლოს დროს. საქმის მეთაურებმაცა და საზოგადოებამაც გული აიცრუვეს სამკითხველოზე მისს ბედსა და იღბალს აღარავინ ჰკითხულობს და, ამის გამო, საქმემაც ჩამოიქვეითა და ლამის სულიც ამოხდეს. იმედია, გუდაუთელები კვლავ გულმოდგინედ შეუდგებიან სამკითხველოს განახლებას და სამუდამოდ მკვიდრს ნიადაგზე დააფუძნებენ მას. /გ. ბ-ძე/. (ცნობის ფურცელი, N283, 1897 წელი);

გუდაუთი

ქუჩების უსუფთაობა. ერთს ბედნიერს დღეს ჩვენი დაბის ქუჩები ძრიელ გაასუფთავეს და გაამშვენიერეს. ეს ის დრო გახლდათ, როდესაც ყველგან ფიცხელი საინტარული ზომები იყო მიღებული შავის-ჭირის მოლოდინში. იმ დროით არჩეულმა სასანიტარო კომისსიამ ბეჯითად მოჰკიდა ხელი თავისს საქმეს და იმდენად გაასუფთავა დაბა, რომ კაცს გულს გაუნათლებდა გახედვ-გამოხედვა. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, დღე-მოკლე შეიქმნა ამ კომისიის გულ-მოდგინე მეცადინეობა; სრულებით აიღო მან ხელი ქუჩა-მოედნების სისუფთავეზე და ისეთი სიბინძურე და ცუდი სუნია ყოველგან ქუჩებში, რომ შავი ჭირიცა და სხვა ათას გვარი სნეულებაც საუკეთესო ბინას გაიჩენს გუდაუთში, თუ დროითი არ მიიღეს ჯეროვანი ზომები და ქუჩები არ გაასუფთავეს. (ცნობის ფურცელი, N285, 1897 წელი);

სოხუმი

საშიშარი ხიდები. ბევრი არაჩვეულებრივი მოვლენა ხდება ჩვენს უპატრონო სოხუმში, მაგრამ ყველა ამას შეეჩვია ხალხი და როგორც თან შეზრდილს ჭირს, ისრე უყურებს; მაგრამ ახლა კი იმისთანა მართლა და არა ჩვეულებრივ მოვლენას ვხედავთ, რომ არ შეიძლება გული არ აუჩქროლდეს ადამიანს. მე მოგახსენებთ სოხუმიდან დრანდაში და იქიდან შორს მიმავალს გზაზე. ორ წელიწადზე მეტია, რომ ამ გზაზედ ხიდები ერთობ ყველა დაზიანებულია, მაგრამ არავინ კი არას ზრუნავს მათ შეკეთებაზედ. დღეში ორჯერ „დელეჟანი“ მიდის-მოდის ამ გზაზედ და ხალხი მიჰყავს-მოჰყავს. რაკი ხიდზედ შესდგამს ფეხს, მაშინ მგზავრების ბედ-იღბალი ისეთს მდგომარეობაში არის, როგორც მგზავრი იყოს ძველ გემზედ დიდი ღელვის დროს ზღვაში. ენა ვერ გამოსთქვამს და კალამიც ვერ ასწერს ამ ხიდების და გზის ამბავს! ამბობენ, ვითომც, ორი წლის წინეთ გადიდვა ამ გზებისთვის საჭირო ფული, მაგრამ სადღაც დიდ ხახაში ჩავარდა და აღარ ჩნდებაო!. /ი. ბ-ძე/. (ცნობის ფურცელი, N289, 1897 წელი);

ოჩამჩირე

ჩხუბი. 17 აგვისტოს საღამოთი ოჩემჩირეში ბულვარზე მოუხდათ უსიამოვნობა ორს აქაურს კარგად ცნობილს ვაჭრებს ერთმანეთში; ბუფეტში ცხარე და მკვახე ლაპარაკის შემდეგ ვაჭრებმა ერთმანეთს კარგა და ლაზათიანი სილები უთავაზეს, თურმე. (ცნობის ფურცელი, N290, 1897 წელი);

სოხუმი

„მოხერხებული ვაჭრობა“. აქ, სოხუმში, ვაჭრობს ერთი ებრაელი. როგორც ამბობენ, ეს ვაჭარი უწინ ძლიერ ღარიბად ყოფილა, მაგრამ ამ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში მისთვის ბედს გაუღიმნია: გამდიდრებულა და დღეს მისი მაღაზია სხვა-და-სხვა ნაირ საქონლით არის გატენილი. ვაჭრობაც სხვებზე უკეთ გამართული და გაჩაღებული აქვს... რომ შეხვალთ ამის მაღაზიაში, უცბად თვალს მოკრავთ ფიცარს, რომელზედაც აწერია შემდეგი განცხადება რუსულად და ქართულად: „ფასები უვაჭრელად“-ო, ნიშნად იმისა, ვითომ საქონელს იაფად ჰყიდის და მცირედის სარგებლით რაღა!.. ამ ვაჭარს ჰყავს დიდი ხანია ერთი ჩვენებური ნოქარი, რომელიც ძალიან ერთგულია, თურმე, თავისს პატრონ-ბატონისა.

თუ რა ოინებს სჩადიან ეს აღა-ნოქარი, დაინახავთ შემდეგიდან: აღა-ნოქარი ითათბირებენ და აზრს გამოაწყობენ, თუ როგორ გაასაღონ ძველის-ძველი საქონელი, რომელიც თუ წელს არ გასაღდა, ორ ჩირადაც არ ეღირება, თურმე! შემდეგ გადმოაწყობენ უვარგისსა და ძველს საქონელს ბლომად და ჩააწყობენ სკივრებში (იაშიკებში) თითქმის ორი-ათას მანეთზე მეტს ღირებულს, გამოაწყობენ ცალებად და გაჰგზავნიან ბათომში ნოქარის სახელზე. ამ საქონლის გამოწყობა-გაგზავნაში მოიმხრობენ ერთს აქაურს მოახლეს, რომელსაც გაანდობენ თავიანთ „საიდუმლო საქმეს“. ესეც, რასაკვირველია, თანახმა გაუხდება. ადგება ნოქარი და თამასუქს მისცემს მოხელეს 700 მანეთისას პირველ მოთხოვნის ვადით და რიცხვი და თარიღი თამასუქში მოყვანილია ორის თვით წინა, ვითომ თამასუქს დრო გასვლია... ფულის მიმცემი ადგება, იმ 700 მანეთს უჩივლებს მოვალეს, სასამართლოდან გამოიტანს აღმასრულებელ ბარათს; ამ დროს ნოქარი ბათომში მიდის, იქ დაიქირავებს დუქანს დროებით, მოწმობას აიღებს ვაჭრობისას და დაიწყებს ვაჭრობას - ჰყიდის იმ ძველის-ძველ საქონელს!... აი ამ დროს მოხელე გამოუდგება უკან ნოქარს, მიუსწრებს ბათომში, სამოსამართლოს ბოქაულს წარუდგენს აღმასრულებელს ბარათს; ბოქაულიც, კანონისამებრ, ხელში აღმასრულებელის ბარათით და თან მოხელეც უცბად თავს

დაეცემიან ნოქარს და საქონელს აუწერავენ, დაუჭერენ. დანიშნავენ საჯაროდ ვაჭრობას... დაინახავს თუ არა ხალხი ამისთანა „ვაჭრობას“, ბუზივით მიაცვივდება და ჰყიდულობენ ამ ძველის-ძველსა და უვარგისს საქონელს, ვითომ იაფად, რაღა!.. საზოგადოებამ რა იცის, ან მთავრობამაც რა უნდა იცოდეს, თუ რა ოინობას სჩადიან!.. აქ სასამართლოც მოტყუებულია და ხალხიც!.. ნოქარი-კი გულს ხელ-დაკრეფილი, ნაღვლიანი, თითქმის მტირალი, გაიძახის: „ვაი შენ, ჩემო თავო, როგორ დავიღუპეო! ამ ურჯულომ მომისწრო, საქონელი ამიწერა და ხუთ მანათიანს ორ მანათად მიყიდისო, ქე მაინც თქვენ, ძმებო - მიაშვერს, თურმე, ხელს ხალხს, - ისარგებლეთ და იყიდეთ ეს საქონელი, ხომ ხედავთ რა იაფად არისო“!..

ამ სიტყვის გამგონე ხალხი იცოდებს საბრალო ნოქარს და ერთი-მეორის ჯიბრით ყიდულობენ, თურმე, ამ უვარგისსა და ძველის-ძველს საქონელს... ამგვარის ხერხით გაასაღეს ორი-ათას მანათზე მეტი ღირებული საქონელი და ფულიც მოიგეს ხსენებულ აღა-ნოქარმა... „მოხერხებული ვაჭრობაა“, მაშ რა არის? /სპირიდონ-ხან/. (ცნობის ფურცელი, N291, 1897 წელი);

სოხუმი

უნიხრო მეეტლეები. ორი წლის წინად აქ არც „დილიჟანსი“, და არც „ფაეტონი“ არ ყავდათ და მიმოსვლა ძალიან გაჭირებული იყო; ეხლა-კი თითქმის 8 – „დილიჟანსია“ და 10 – „ფაიტონი“, რომელნიც დადიან ყველა მხრით სოხუმიდან, მაგრამ მაგარი ის არის, რომ მგზავრმა დღეს რომ 50-60 კ. გადიხადოს ერთი გზობისათვის, ხვალ-ზეგ ისევ იმ გზისათვის უნდა მანათი მისცეს!... ხან-და-ხან კიდევ ზედმეტად მეეტლე მგზავრს კიდეც სცემს და 50 კაპიკის მაგიერ 1 მანეთს ახდევინებს... კარგი იქნება ამ საგანს მიაქცევდეს ყურადღებას, ვისიც ჯერ არს, რათა უვიცი მგზავრი არ იყვლიფებოდეს, შესაფერი ნიხრი დაიდოს ეტლებზე და მგზავრის „ცემა-ტყეპის“... ჩვეულებას ბოლო მოეკვეთოს ამიერიდან უკუნისამდე!..

კაცის დაჭრა. 17 ამ თვისას, აქ სამწუხარო ამბავი მოხდა: ერთი მთვრალი რუსი შევიდა ერთს სამიკიტნოში და არაყი მოითხოვა, მაგრამ დახლიდარმა არ დაუსხა არაყი, რადგან შეატყო სიმთვრალე; გაჯავრებული რუსი გარედ ქუჩაში გავარდა, ქვები მოკრიბა და მოინდომა დუქანში ბოთლების გატეხა, მაგრამ იმავე დახლიდარმა, 18 წლის ბიჭმა ნება არ მისცა, და ხელები გაუკავა; ამ დროს რუსმა ცალი ხელით ამოიღო ჯიბიდან ბებუთის მზგავსი დანა და საბრალო ბიჭს მუცელში დასცა!... დაჭრილი უგრძნობლად ძირს დაეცა. ექიმი მოიყვანეს და ჭრილობა საშიშოდ იცნო... დამნაშავე პოლიციამ შეიპყრო და ციხეში გაგზავნა. /სპირიდონ-ხან/. (ცნობის ფურცელი, N294, 1897 წელი);

თეატრის მატიანე

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი), საქველმოქმედო წარმოდგენა. გასულ კვირას საქველ-მოქმედოთ სცენის მოყვარეებმა საგანგებოთ ამ წარმოდგენისთვის გაკეთებულ ფარდულში წარმოდგენა გამართეს. წარმოადგინეს ვალერიან გუნიას ვოდევილები: „მონადირე“ და „არც აქეთ, არც იქეთ“. დასასრულ დივერტისმენტი. წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა. გარნა ლექსები სულ არ წაეკითხათ ჯობდა, რადგან წიგნიდან არ კითხულობდენ და ზეპირათ-კი არ ცოდნიათ. საზოგადოება ბლომათ დაესწრო. შემოსავალი 47 მანათამდე იყო. დიდი მადლობის ღირსია, ვინც მონაწილეობას ღებულობდა ამ წარმოდგენაში. სასურველია, წარმოდგენები ხშირ-ხშირად გაიმართოს, როგორც ერთი საუკეთესო საშუალება ხალხის გონებრივი გასართობი. (ცნობის ფურცელი, N294, 1897 წელი);

სოხუმი

ყასბების დაჯიბრება. აქ ბარე ათი ყასაბია, რომელთაც ძალიან სახეირო ვაჭრობა აქვთ და დიდძალ ხორცს ასაღებენ. ხარჯი დიდი არ აქვთ, რადგან სოხუმში ბალახი ყოველგან ბევრია და საქონელი მალე სუქდება, საბალახო-ში არაფერს იხდიან. ნიხრი ხორცისა 15 აგვისტომდე იყო-ძროხის 8-7 კაპ. და ცხვრისა 9-8 კაპ. გირვანქა. 16 აგვისტოს-კი სხვა ნაირად დატრიალდა საქმე: ორ ყასაბს ხაბუტიას და გაბუნიას ამ ერთი თვის წინათ ჩამოურეკიათ ყარაჩადან 300 - სული ხარი-ძროხა და 500 სული ცხვარი-თხა და, რადგან ნდომებიათ ცოცხლად გაყიდვა, მიუმართავთ დანარჩენ ყასბებისათვის, რათა იმათ ეყიდნათ საკლავი იმ ფასათ, რა ფასათაც ამათ უჯდათ, მხოლოთ ცოტა მოგება უთხოვიათ. დანარჩენმა 8-ყასაბმა ძალიან უარი სტკიცეს. „რათ გვინდა ჩვენ შენი საქონელიო, ნახევარ ფასადაც რომ დაგვითმოთ მაინც არ ვიყიდითო“. ამაზედ გაჯავრებულან ხაბუტია და გაბუნია, აბა ვნახოთ ვინ მოიგებსო! უცბად განცხადებები გააკრეს ქალაქში „იაფათ ხორციო“. მართლადაც ძროხის ხორცი გახადეს 5 კაპ., ცხვრის 5 ½ კაპ. ეს გაიგო რა ხალხმა, სამი გირვანქის მაგიერ ათ გირვანქა ხორცს ყიდულობენ. ისე მიესია მუშტარი, როგორც ბუზი თაფლს... დანარჩენ 8 ყასაბმა პირი შეკრეს ერთი-მეორეში და თუმცა ძროხის ხორცი 4 კაპ. გააჩინეს, მაგრამ მუშტარი მაინც არ ყიდულობს ამათგან... ხაბუტია და გაბუნია კიდევ მიდიან ყარაჩაში ბლომად საკლავი საქონლის ჩამოსარეკად. /სპირდონხან/. (ცნობის ფურცელი, N295, 1897 წელი);

გუდაუთი (აფხაზეთი)

ყაჩაღების შეპყრობა. გავარდნილი ყაჩაღი და ავაზაკი მამსირ გაბისონია, რომელმაც ამას წინედ დასჭრა ადგილობრივი ნაწილის უფროსი ჩიქოვანი, აგვისტოს 28-ს შეუპყრიათ სოფ ქანდარაში. გაბისონიას დაჭერა განსაკუთრებით მოახერხა თავ. ა-ძემ, რომელსაც, თურმე, მოტყუებით ხელთ ჩაუგდია გაბისონია და როცა ყაჩაღი უიარაღო ყოფილა, ზედ დასცემიან და შეუკრავთ. მერე შეუტყობინებიათ ადგილობრივი მოხელე სტაროსელსკისათვის, რომელიც მოვარდნილა ყაზახებით და გათოკილი ჩაუყვანიათ გუდაუთში. სწორედ ერთის კვირის წინედ შეიპყრეს იმავე სოფელში გაბისონიაზე უფრო თავზე ხელ-აღებული ყაჩაღი ალთა-ჭიპა, მაგრამ დარაჯებს გაქცევიათ. თუ ესეც ჩაიგდეს ხელში, მაშინ იმედია, რომ აფხაზეთის მხარე ცოტათი მაინც დამშვიდდეს. (ცნობის ფურცელი, N303, 1897 წელი);

სოხუმი

სიმინდის ფასის აწევა. წინეთ აქ სიმინდი მაზანდა დავარდნილი იყო: ფუთი 33 კაპ. იყიდებოდა, დღეს აიწია და 52-53 კაპ. გახადეს, ამის გამო, თუმცა აქაური სიმინდის ვაჭრები 5-6 კაცია, მაგრამ ერთი მეორეს ეჯიბრებიან და თუ ერთს აქვს სიმინდი დაპირებული ვინმესთან, ფას გადაწყვეტით, მეორე მიდის და უმატებს ორ-სამ კაპეიკს ფუთზედ... ასე რომ, როგორც მესანდლე თათრებს აქვთ მაზანდა დანიშნული 53 კ. ამ ფასს სოფლად აძლევენ სიმინდში... თუმცა სოფლელებისთვის კარგია, მაგრამ ვაჭრებისთვის კი სამწუხაროა, რადგან ვერას მოიგებენ და შრომას ტყუილა კარგავს... მაგრამ როგორც ყური მოვკარით საქმე სხვანაირად არი თურმე; ერთმა გლეხმა ილაპარაკა: ერთი კალათი მაქვს, რომელიც იტევს წმინდათ ერთ ფუთ სიმინდსაო, ერთ ვაჭარს იმ კალათით დარწყებული სიმინდი მივეცი 500 კალათიო (500 ფუთი), მაგრამ ვაჭარმა რო აწონა 450 ფუთად მიანგარიშაო; ასთე თუ ჩალიშობენ, სჩანს არ ზარალობენ...

ამინდი და მოსავალი. ამინდი მშვენიერია, აგრილდა, სიმინდს წელს ვერ დაიტევს კაცი,

თამბაქოც ასეთი არ ყოფილა ხუთი ექვსი წელიწადია. ყურძენს ხომ ასხია და ასხია. ეხლავ დაიწყეს ვაჭრებმა ბოჭკების გზავნა გუდაუთისკენ. /სპირიდონ-ხან/. (ცნობის ფურცელი, N304, 1897 წელი);

სოხუმი

სკოლისა და სამკითხველოს საჭიროება ჩვენში. უმეტესი ნაწილი მცხოვრებლებისა ქართველობაა და მათ შორის კარგად შეძლებულებიც არიან ზოგიერთები, მაგრამ რა გამოვიდა ამით! წარმოიდგინეთ, ამოდენი ქართველობა მღვთის ანაბარათ არის დატოვებული: მათთვის არც შკოლაა, არც ეკკლესია და არც ერთი სამკითხველო, რომ შეეძლოთ სადმე თავისაბურათ-ვე გაიგონ. ხალხი კვირა უქმეებს ცუდაობაში ატარებს. კარგი იქნებოდა, რომ ვინმე გამოჩნდებოდეს იმისთანა, რომ ითავებდეს სამკითხველოსა და შკოლის დაარსებას სოხუმში. აქ ჩვეულებათ აქვთ ახალგაზდებს, როცა ვინმე მათი ამხანაგი სუხუმიდამ სადმე გადადის ვახშმებს და სადილებს უმართავენ მათ. საქებარი არიან ამ შემთხვევაში აქაური ახალგაზდები, მაგრამ კიდევ უკეთესი იქნებოდა, რომ იმ ფულს, რომელსაც ისინი ვახშმებზე ხარჯავენ, სკოლისა და სამკითხველოს ფონდისათვის გადადონ პატივ საცემი პირის სახელზე, და ეს მგონია, უფრო უკვდავი სახსოვარი იქნება, მინამ სადილ-ვახშამი და ათას ფეროვანი სიტყვების დახარჯვა. ამას გარდა აქ სცენის მოყვარულებიც არიან, რომლებიც შრომას არ დაიშურებენ და წარმოდგენებს გამართავენ ამავე კეთილი მიზნით და ხალხიც უსათუოთ ხელს შეუწყობს მათ. /მექი/. (ცნობის ფურცელი, N304, 1897 წელი);

გუდაუთი (აფხაზეთი)

მოუსვენარი ყაჩაღის შეპყრობა. 27 აგვისტოს, შეიპყრეს მოუსვენარი ყაჩაღი, მამსირ აბრაგიფა (გაბისონია), რომელმაც ამას წინედ კინაღამ მოჰკლა გუდაუთის ბოქაული ბ. ჩიქოვანი. ყაჩაღობა აფხაზეთში ხშირია ხოლმე და ბევრს სახელადაც მიაჩნია, მაგრამ ხსენებულ ყაჩაღსავით ჯერ არც ერთი თავს ისე არ გასულა. ყაჩაღი მამსირ აბრაგიფა, მართლაც აბრაგის შვილი იყო და იმიტომაც უძახდნენ აფხაზები - აბრაგიფას (ყაჩაღის შვილს). მამა მისი ყაჩაღი ყოფილა და შვილიც ყაჩაღად გავარდა. აფხაზების სიტყვით, აბრაგიფას მამის სახელის გაგონებაზედ დაუწყია მამის ხელობა; მამის მამაცობა და გამბედაობა შვილმაც თურმე, ანდერძად მიიჩნია და თვითონაც გავარდა ყაჩაღად 1891 წელს. მამსირ ერთხელ შეიპყრეს კიდეც და მართებულებამ დააპატიმრა ქ. სოხუმის საპატიმროში; მერე ოლქის სასამართლომ მიუსაჯა თოთხმეტი წლის კატორღა; ის იყო უპირებდნენ ციმბირისაკენ გაგზავნას, რომ დრო მოიმარჯვა და გაიქცა; გაქცევის შემდეგ აბრაგიფა თავის სოფლის ახლო-მახლო ტყეებში იფარავდა თავს, წელიწად-ნახევარი იქნება. ყველას თავს ზარს სცემდა. ხშირად ცარცვავდა იქ ახლო-მახლო გზებზედ გამვლელ-გამომვლელებს, ტანისამოსს ხდიდა, ცხენს თუ უნახავადა, ცხენს წაართმევდა და კიდევ რაებს სჩადიოდა, ვინ მოსთვლის. ამიტომაც იმას ადმინისტრაციაც თავ-გამოდებით სდევდა დასაჭერად და ყოველ საშუალებას ხმარობდა. მართლაც ამ გვარმა თავ-გამოდებით დევნამ ადმინისტრაციისაგან ყაჩაღს დიდი ხანი არ დააცალა და წარსულ ივლისის თვეში, ღამით თავს დაესხა ჩაფრებითურთ გუდაუთის ბოქაული ბ. ჩიქოვანი, და ერთ აფხაზის სახლში კიდევაც მოიმწყვდიეს, მაგრამ გაიგო თუ არა, ჩემს დასაჭერად მოდიანო, შიგნიდგან მაგრად ჩაიკეტა კარები და ბერდანკით ხელში ელოდებოდა ბოქაულის და ჩაფრების თავს დასხმას: რა მოუახლოვდნენ სახლს, ავაზაკმა დაიწყო სროლა; გაურჩევლად სიბნელეში ნასროლმა ტყვიამ ბოქაული დაჭრა, შემდეგ ორი ჩაფარიც დაშავდა; ჩაფრები დაჭრილ

უფროსს მისცვივდნენ, ამით ისარგებლა მამსირ აბრაგიფამ და შეუმჩნევლად გამოუსხლტა სახლიდან და თავს უშველა. ამის შემდეგ ერთი ეს აბრაგი და სამი ამაზედ არა ნაკლები ყაჩაღები ერთად წავიდნენ ს. აჭანდარაში, სადაც იმათ სცოდნებიათ მიუვალი კლდე და იქ შეიფარეს თავი; ადმინისტრაციამ მთელი ტყეები დაიარა, მაგრამ არსად არ სჩანდა იმათი ნაკვალევიც და ბოლოს შეიტყვეს, რომ ს. აჭანდარაში იყვნენ. ადმინისტრაციამ მთელი სოფელი ააწიოკა, ვითამდა ავაზაკების ხელის შეწყობისათვის, ბევრი მცხოვრებლებიც დაიჭირა და სოხუმის საპატიმროში გაგზავნა, ასე, რომ ორასამდის კაცი იქმნა ყაჩაღის გამო შეპყრობილი, დანარჩენსაც არ აძლევდა მოსვენებას: ზოგს თავის ცხენიანად აჩერებდნენ კვირიდან კვირამდე, ზოგი მათგანი გზებზედ საყარაულოდ გაჰყავდათ; ერთი სიტყვით ნამეტანი გასაჭირი საქმე დაუდგა სოფლელებს; ამასაც არ აჯერებდნენ. თუ არ დაგიჭერიათ ავაზაკები, ეგზეკუციას ჩაგიყენებთ სოფელშიო. სოფლელებიც იძულებული შეიქმნენ როგორმე, ასე თუ ისე, ყაჩაღი უნდა ჩაეგდოთ მთავრობისათვის ხელში და კიდევაც ჩაუგდეს.

ყაჩაღი აბრაგიფას დაჭერა მოხდა ამნაირად; აბრაგიფა იმ დღეს, 27 აგვისტოს მოსულა ერთ აფხაზის სახლში და უთქვამს მასპინძელისათვის ფული, ან თუ რამ ვერცხლეული გაქვს უნდა მომცე, თუ არ მომცემ მოგკლავო; ამ სიტყვებზე სახლის პატრონმაც უარი ვერ უთხრა და წაუყვანია ოთახში, მიუცია აბრაგიფასათვის ყუთის გასაღები და ყუთიც უჩვენებია, იმასაც არხეინად გამოურთმევია გასაღები, ბერდანკა მუდამ ხელიდან მოუშორებელი იქვე კედეზედ მიუყუდებია და დაუწყვია ყუთის გაღება; ამასობაში სახლის პატრონს, ყაჩაღის თოფი ნელა აუღია და გარედ გამოუტანია, მერე შებრუნებულა ოთახში, დასტაკებია უკანიდან სწორედ იმ დროს, როდესაც ყაჩაღს შიგ ყუთში ჩაყოფილი ჰქონოდა თავი და ორივე ხელები მაგრად დაუჭერია, ყვირილზე სახლის პატრონს ცოლიც მიეშველა და ცოტა ხნის განმავლობაში, მაგრათ თოკით შეუკრავთ, ჩამოუხდიათ ყოველი სხვა დანარჩენი იარაღიც და ყაჩაღი სახლის ბოძზედ მიუბამთ, მაშინვე შეატყობინეს გუდაუთის დროებით გამწესებულ ბოქაულს ბ-ნ სტაროსელსკის, რომელიც საჩქაროდ ჩამოიჭრა და შეკრული და გათოკილი გუდაუთში ჩამოატარეს აქედან პირდაპირ ქ. სოხუმში გაამგზავრეს; ეხლა მთელ სოფელში გაისმის ფუსფუსი, თითქოს ეხლა გამოეღვიძაო და ცოტა მოსვენებას მიეცნენ. /გ. ბაღ-ძე/. (ცნობის ფურცელი, N305, 1897 წელი);

სოხუმი

უსაქმო ახალგაზდების რაოდენობა. წარსულ კვირას აქ გაჩერდენ აფხაზავას სასტუმროში ორი ქალი. ეს ამბავი შეუტყვიათ ჩვენებურს უსაქმურ რაინდებს და ნაშუაღამევის 3 საათზე მთვრალი და გახეთქილები შეცვივნულად ქალებთან, მაგრამ შეშინებული ქალები გარედ გამოვარდნილან, დაუწყიათ წივილ-კივილი და რის ვაი-ვაგლახით თავი დაუღწევიათ თავზე ხელ-აღებულ რაინდებისაგან. ნეტა რად არ ფიქრობენ ეგ ვაჟბატონები. რომ ერთხელაც „კოკა წყალზე გატყდება“ და ავ-ზნეობისათვის ვირის აბანო არ ასცდებათ. (ცნობის ფურცელი, N313, 1897 წელი);

გუდაუთი (აფხაზეთი)

თავხედი ყაჩაღის მოკვლა. ს. აჭანდარაში ცხრა ამა თვეს ღამით ვიღაცას მოუკლავს თავზედ ხელ-აღებული ავაზაკი სმელ ალტა-ჩიპა, რომელიც ამას წინად შეიპყრეს და დარაჯს დაუსხლტა ხელიდან. ამიტომ დარაჯიც სამსახურიდგან დაითხოვეს, რადგანაც მოყვარე იყო ყაჩაღისაო, როგორც ამბობდა სოფელი. ალტა-ჩიპას პოლიციაც თავ-გამოდებით სდევნიდა დასაჭერად და თვით სოფლელებიც. ყველა მოწადინებული იყო როგორმე შეეპყროთ ან მოეკლათ თავხედი სტუმარი და კიდევაც აასრულეს, მაგრამ მკვლელი ჯერ

ვერ აღმოაჩინეს; ვინაიდგანაც სოფლის შესახვევ გზაზედ მკვდარი იპოვნეს მწყემსებმა, რომელიც მაშინათვე შეატყობინეს გუდაუთის უფროსს სტაროსელსკის, რომელიც თავის მხლებითურთ წავიდა მაშინათვე განკარგულების მოსახდენად, ამასთან სოფელსაც შვება დაეტყო თითქოს ეხლამდის ეძინათო, ორი კიდევ უფრო მედგარი და თავზედ ხელ-აღებული ავაზაკები არიანო, ამბობენ და ამათაც აგეთი დღე თუ დააყენეს, შემდეგ იმედია, როგორც აფხაზები ისთე სხვა იქაური მცხოვრებნიც დაადგებიან კეთილ გზას, რითაც მშვიდობიანობა ჩამოვარდება მათში და სხვანი მაინც ვერ გაბედავენ ბოროტ-მოქმედებას და ყაჩაღობას, რომელსაც არავითარი სიკეთე არ მოაქვს თვით ბოროტის ჩამდენისათვის. /გ. ბა-ძე/. (ცნობის ფურცელი, N313, 1897 წელი);

დ. ოჩაჩირე (აფხაზეთი)

თავ-გასულ „აბლაკატის“ საქციელი. გასულ კვირას ერთს დუქანში ხალხი შეგროვილიყო. შუაში იდგა ერთი ახალგაზდა კაცი, ხანჯალზე ხელი დაედო და ვიღაცას ემუქრებოდა. ცნობის მოყვარეთა რიცხვმა თან-და-თან იმატა. გეახლათ ბოქაულის თანაშემწეც. ხანჯლიანი რაინდი გამოდგა ერთი ცნობილი „აბლაკატთაგანი“, რომელიც სამოსამართლო ბოქაულს ემუქრებოდა. ბოქაულის თანაშემწემ ერთი-ორი თქვენი მოწონებული უთავაზა და იარაღი აჰყარა „აბლაკატს“, რომელიც არ დამშვიდდა და გაიძახოდა: ,,ან მე უნდა ვიყო ოჩამჩირეში და ან სამოსამართლო ბოქაულიო“. ამ სიტყვების თქმისათვის მეორე დღეს ხელ-წერილი ჩამოართვეს - მეორეთ არ გაბედო ასეთის სიტყვის თქმა, თორემ ციმბირი აქეთ დაგრჩებაო. საზოგადოება იმასაც ამბობს, რომ ამ „აბლაკატს“ ბევრი ბოროტება ჰბრალდება და სასამართლოში სიარულს უკრძალავენო. მაგალითად, ეს ის აბლაკატი ბრძანდება, რომელმაც ერთ უმნიშვნელო თხოვნის დაწერისათვის 800 მანათი გადაახდევინა ერთის სოფლის გლეხებს და რაკი ფულით ვერ შესძლეს გლეხებმა დაკმაყოფილება, 3-4 მანათში ხარები და ძროხები აუწერა ხელ-წერილის ძალით, რომელიც თხოვნის დაწერამდე ჩამოართვა საწყლებს და ამ პირუტყვთა ხორცით საყასბო გააღო და ისე გააიაფა ხორცი, რომ ძაღლების გამოსაკვებად ყიდულობდნენ. დრო არის, თუმცა გვიან-კია, აილაგმოს ასეთის „აბლაკატების“ მოქმედება. /ალია/. (ცნობის ფურცელი, N322, 1897 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი)

ღვინის მსხვერპლი. „დალიე, თორემ არ იქნება“. ეს ღმერთმა ადღეგრძელოს საძირკველი და საფუძველი“... „დალიე თუ არა და კარში გადი“!... შემომხედეთ, რა ყოჩაღი ვარ, წვეთს არ ვტოვებ ყანწში!“ უჰჰჰ! შემომხედეთ რა ბევრს ღვინოსა სვამს ი ოჯახ ქორი! აი, ასე უნდა ღვინის სმა!!! აი ეს არის პროგრამა ჩვენებურ ქორწილ-ლხინისა და თავის შექცევისა. და სვამენ და სვამენ; ან და როგორ არ დალევ, ლხინში ხარ და არ დალიო, მაშ რა კაცი ხარ! მასპინძელი იმისთვის გპატიჟობს, რომ მოილხინო და ისიც გაამხიარულო და გამხიარულდე სხვა, გარდა ღვინოში ჩახრჩობისა, დაკარგულია. ასეთს უზომო დალევას ერთი სამწუხარო შედეგი მოჰყვა. 19 სექტემბერს ერთი ახალ გაზდა კაცი თეიმურაზ სიჭინავა გახდა მსხვერპლი ღვინისა. განსვენებული სოხუმიდან მაყრათ გამოეგზავნა ძმაკაცს ოჩამჩირეში. ისე დამთვრალა თეიმურაზ, რომ ცხენზე ვერ ჩერდებოდა, გზაზე ცხენისთვის შემოუკრავს, ცხენსაც ძირს ჩამოუგდია და კისერი ძირში მოსტეხია. თუმცა ექიმ-ფერშალი მაშინათვე მიეშველნენ, მაგრამ ვერაფერი უშველეს: ათი საათი იცოცხლა და სული განუტევა. საწყალი ისეთი მშვიდი და პატიოსანი იყო, რომ მისმა უდროვო სიკვდილმა სუყველა მის ნაცნობებს გული დაუთუთქა. ასე წარმოიდგინეთ, დრანდის, სადაც განსვენებული ვაჭრობდა, მოსახლე რუსებს ისე უყვარდათ, რომ თვალში ჩავარდნოდათ, ხელს არ მოისვამდნენ. მეორე მაყარი

ჩამოაგდო ცხენმა, მაგრამ მის მორჩენის იმედი აქვთ. /ალია/. (ცნობის ფურცელი, N323, 1897 წელი);

ს. დრანდა (აფხაზეთი)

ახალი აფთეკა. ეს ერთი თვე მეტია, აქ პროვიზორის თანაშემწემ ბ-ნმა ივანე ბურჭულაძემ აფთიაქი გახსნა. ამას წინად რევიზიაც გაუკეთეს აფთიაქს და წესიერად მოწყობილად იცნეს. აფთიაქის გახსნა აქ დიდი ხანია საჭირო იყო ამიტომ რომ, თუმცა აქ საექიმო თავშესაფართან გახსნილია აფთეკა, მაგრამ იქიდგან ყველას არ შეეძლო წამლების გამოტანა; აქამდის წამლისათვის სოხუმში უნდა ეარნა ხალხს, ოცის ვერსტის მანძილზე. ამიტომ ყველანი ძალიან მოხარულნი არიან, აქ რო აფთეკა გაიხსნა. თვით აფთიაქის პატრონს, ბ-ნ ივ. ბურჭულაძესაც, რომელმაც თავისის თავაზიანის ქცევით ყველას გული მოიგო, ძალიან ემადრიელება ხალხი. (ცნობის ფურცელი, N324, 1897 წელი);

სოხუმი

გადმოსახლების საქმე. როგორც უწყით, აქ არსებობს გადმოსახლებულთა საქმის გაწესრიგებისათვის კომისია. წლეულ 27 თიბათვეს ამ კომისიას სხდომა ჰქონდა და ერთხმად დაადგინა: სხდომები მოვსპოთ, სანამ განკარგულება არ მოვიდოდა იმ დადგენილებათა შესახებ, რომლებიც გავგზავნეთ ადრე აქაურ თავისუფალ ადგილების დასახლების გამოვო. სხდომათა შეჩერების თავი-და თავი მიზეზი ის იყო, რომ აქეთკენ თავისუფალი ადგილი არ არის, რომ სამოსახლოდ ივარგოს. ეს მიზეზი ოქმში შეტანილ იქმნა. მას აქედ კომისიას სხდომა არა ჰქონია. (ცნობის ფურცელი, N330, 1897 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი)

უსაფუძვლო მუქარის გამო. ერთს სამწუხარო მოვლენას წარმოადგენს გაზეთის მოამბის მდგომარეობა პროვინციაში. თუ ვისმე უნდა სოფლის ვითარების გაგზავნა რედაქციაში, ჯერ ციხე უნდა გააშენოს, ტანზე ზარბაზნის გარდა ყოველ-გვარი იარაღი უნდა აისხას და მხოლოდ მერე უნდა გამოსთქვას, რის უთქმელობა ვერ მოუთმენია. თუ ეს ასე არ უქნია, ვაი მის დღეს! ვერ გაუძლებს მუქარას თვალების ბრიალით და სხვა, მაგრამ ამას ვინა სჩივა, ბელა ის გახლავთ, თუ მუქარა საქმედ აქციეს... ამას ამტკიცებს „ცნობის ფურცელში“ ყოველ-დღე დაბეჭდილ „სიმართლის აღდგენა’’. ის ავტორები რომელნიც ღაღადებენ: არიქა, ბ-ნო რედაქტორო, გვიშველეთ. შემიმოწმეთ, რომ „ცნობის ფურცელის ამა და ამ N-ში დაბეჭდილი წერილი მე არ მეკუთვნის, ტყვილა მაბრალებენ და თავის მოჭრას მიქადიანო! სასაცილოა, ღმერთმანი, მასთან ძალიან სამწუხაროც, რომ არ იყოს. ამაზე წინად „ცნობის ფურცელში“ იყო დაბეჭდილი: „გადმოსახლებულ მეგრელთ მდგომარეობა აფხაზეთში“. იქ ერთი პირი ბრძანდება დასახელებული, რომელმაც ხელი შეუშალა საწყალ გადმოსახლებულ გლეხებს. მოდგომია ბატონო ეს პირი და იმის ნაცვლად, რომ თავი იმართლოს, სულ მუქარით მიკლებს. გალანძღვა თუ გინდა, ისე გაგლანძღავ, რომ ენგურმა ვერ გაგრეცხოსო, შენ მარტო ლანძღვა გიზეპირებიაო, ამას გიზამ, იმას გიზამო... ამდენ სიტყვებში ერთი ზრდილობიანი სიტყვა არ მაღირსა. მარტო ერთი და ორი არ გახლავთ ასეთები. /კონდრატი გვასალია/. (ცნობის ფურცელი, N330, 1897 წელი);

გუდაუთი (აფხაზეთი)

რას მივაწეროთ და რა არის მიზეზი? ამ უკანასკნელ ორ სამ წლამდე პირველ ღვინობის თვეს (ოქტომბერს) ჩვენი საყდარი გაჭედილი იყო ხოლმე ქართველ მლოცველებით, რადგანაც ამ დღეს ჩვენის ეკლესიის შემდეგ, ყოველგან საქართველოში დაწესებულ ჩვეულების ძალით, ვიყრიდით ხოლმე თავს ერთად ჩვენ, ქართველები, და ერთმანეთის დღიურ-ჭირ-ვარამს ვიშორებდით, სულით და გულით, ერთ დღეს რა არის, ერთ დღეს მაინც უერთდებოდით ტკბილ მუსაიფში და მასლაათში, ვიგონებდით წარსულს, აწმყოთი უკმაყოფილონი მომავალს, ჩვენის ოცნებაში ია-ვარდით მოფენილს, ვითვალისწინებდით! ამ პირველ ოქტომბერს ჩვენს საყდარში ქართველთაგანი ვიყავით მხოლოდ ამ სტრიქონების დამწერი, მღვდელი და მისი მთავარ-დიაკონი! რას ნიშნავს ეს? ნუ თუ აქაური ქართველობა - რიცხვით 50 მოსახლე - ყველა ისე დაეცა, დაავიწყდა ღმერთიც, სჯულიც და ხატიც, რომ ამ ჩვენთვის დიდებულს დღეს საყდარში ჩვენს გარდა არავინ მოვიდა? და თუ, სამწუხაროდ, ასე დაეცა აქაური ქართველობა, რა არის მიზეზი? თუ ხალხი ისევ ისეა, როგორც უწინ იყო, მას ისევ რწმენა ღვთისადმი შერჩა, როგორიც უწინ ჰქონდა, რა არის მათის მოუსვლელობის მიზეზი? /ან-ინი/. (ცნობის ფურცელი, N333, 1897 წელი);

ოჩამჩირე (აფხაზეთი)

სიმართლის აღდგენა. ბატონო რედაქტორო! გთხოვთ, თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით ნება მიბოძოთ თავი გავიმართლო უ. კონდრატი გვასალიას ცილის წამებისაგან. უ. გვასალია ბრძანებს (იხილეთ „ცნობის ფურცელი“ N297): „ოდიშიდან ჩამოვიდნენ ს. ჯგერდეს (აფხაზეთში) ოცდა ხუთი უმიწა წყლო გლეხები და გაურიგდნენ ერთ აქაურ მემამულეს იმ პირობით, რომ მემამულეს თითოეულ გლეხისათვის სამოსახლოთ ორ-ორი ქცევა (დღიურ) მიწა ფასად უნდა მიეცა, ხოლო დანარჩენ ადგილიდან გლეხები ვალდებული იყვნენ მესამედი შემოსავლისა ეძლიათ. ის ბოკუჩავა, რომელზედაც ბრძანებს. ბ. გვასალია, გახლავთ მე, და, თუ მართლა ასე მიმოქმედნია, სწორეთ მეტის კიცხვის ღირსი ვყოფილვარ. მაგრამ მე ამ საქმეში არავითარი ბრალი არა მაქვს. ამას ვამტკიცებ არამც თუ სიტყვით, არამედ საბუთითაც, რომელსაც ამასთან ვუგზავნი რედაქციას და მიკვირს, რატომ შემომწამა ასეთი ცილი უბრალოთ ბ-ნმა გვასალიამ!

აი, ბატონებო, საქმე როგორ გახლდათ: ს. ჯგერდეს რომელიც ოჩამჩირიდან 25 ვერსზედაა, სახლობს ერთი ჩემი მეგობარი თავადი გვარად მარშანია. ამ თავადმა წარსულ 18 მარტს დამიბარა ოჩამჩირის ნატარიუსის კანტორაში და, როცა იქ გამოვცხადდი, მსთხოვა, წამეკითხა და თითოეულად გამეგებინებია მისთვის შინაარსი პირობის ქაღალდისა, რომელიც იდვა ნატარიუსის წინ დამზადებული და ორსავე მხრით ხელ-მოწერილი. როცა თითოეულად ბ. ნატარიუსის თანდასწრებით, გადავეცი თავადს მარშანიას შინაარსი იმ პირობისა, გაოცებული წამოვარდა და ხმა მაღლა წამოიძახა: „ნუ თუ მე ასე მატყუებდითო? როგორ თუ 50 ქცევა მიწას უფასოდ მივასაკუთრებდი გლეხებსო? მე მათ 50 ქცევა მიწა მივეცი საკუთრად-კი არა, სასარგებლოდ ცხრა წლის ვადით უბაჟოთო, მხოლოდ დანარჩენი ადგილი-კი ბაჟის ქვეშ მივეციო. ბ. ნატარიუსმა უპასუხა, რომ ეს პირობა ამ აზრით კონდრატე გვასალიამ და პაულე ვეკუამ დამაწერიესო, იმათ ასე გამაგებინეს მემამულესა და გლეხების მორიგება ურთ-ერთ შორისო. ეს რომ გაიგო თავადმა, ის პირობა არ დაუხევია, ისე ჯიბეში ჩაიდო. ბოლოს აღმოჩნდა, რომ მიზეზი პირობის მრუდედ შედგენისა პირადი ინტერესები ყოფილა ბ-ნი გვასალიასი.

ბ. გვასალია თავის წერილში ბრძანებს: მემამულეს გლეხებისათვის უნდა მიეცა 50 ქცევა მიწა ფასშიო და სხვა დანარჩენი მიწა იჯარითო და ეს პირობა ბოკუჩავამ დააშლევინა

მემამულესო და ამ უკანასკნელმა პირობა დახიაო“. აი ის პირობა, რომელიც მაშინ დაწერა ბ. ნატარიუსმა ღერბის ქაღალდზე და რომელიც ამასთან ვაახლებ ბ. რედაქტორს და ვნახოთ, აბა თუ ისე სწერია იმ პირობაში! აი რა სწერია იმ პირობაში: „მე, მარშანიამ მოგასაკუთრეთ უფასოთ თქვე გლეხებო 50 ქცევა მიწა და ვალდებული ვარ ეს მიწა დაგიმტკიცოთ კანონიერად, როცა მთავრობისაგან პლანი ჩამბარდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ვიხდი ორი ათას მანეთს ჯარიმას.“ *)

არა ბ. გვასალია გლეხები არავის მოუტყუებია! თქვე დალოცვილო, მემამულეებმა ორმოცდა ათი ქცევა მიწა ასე უფასოდ რომ აძლიონ გლეხებს, მერე რა დარჩებათ მაგათ? ასე უფასოთ რომ ეძლიათ აქაურ მემამულებს თავიანთი მამული გლეხებისათვის, მაშინ ოდიშში არც ერთი გლეხი არ დარჩებოდა და გლეხების ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. ბ-ნი გვასალია განაგრძობს: „მარშანიამ გლეხებს ნამუშავარი წაართვაო და უკანასკნელთ ყოველისფერი მოჰპარესო. ესეც სიმართლეს მოკლებული გახლავსთ. ის გლეხები, გარდა იმ პირობისა, რომლებიც ეშმაკობა იხმარეს პირობის დაწერის დროს, ყველანი ახლაც მარშანიას მამულში არიან სიტყვიერის პირობით და არც ერთისათვის მემამულეს არას ფერი არ წაურთმევია და არც მაგათთვის მოუპარავთ-რა. რომ ვისმე რამ რო მოეპარა კიდეცა, მემამულე მაინც რა შუაში იქნებოდა! ყველა ზემოხსენებული უსამართლოდ ჩვენზე წერა ბ-ნ გვასალიას მოუვიდა პირადი სარგებლობისა და ინტერესისთვის და მიტომ ერთი ორად დამნაშავეა იგი ასეთი საქციელისათვის. /ტაგუ სტეფანეს-ძე ბოკუჩავა/. (ცნობის ფურცელი, N333, 1897 წელი);

**) რედაქციამ მიიღო ზემოხსენებული პირობის ქაღალდი და ყოველივე ისე სწერია, როგორც ბ-ნი ბოკუჩავა ბრძანებს. რედ.*

ქ. სოხუმი

5,000 მანეთი ეკლესიის სასარგებლოდ. ამ ერთი კვირის წინად სოხუმში დაასაფლავეს აქაურის მცხოვრების აზნ. პეტრე ბარკალაიას მეუღლე სალომე როსტომ ქავთარაძის ქალი. განსვენებული ცნობილი იყო თვისი ჭკუითა და მეოჯახეობით. სიკვდილის წინ ანდერძი გააკეთებინა და სხვა ეკლესიებს გარდა, როგორც ძველ-სენაკში დაბადებულმა, ძველი-სენაკის (სამეგრელოშია) მაცხოვრის ტაძარს 5,000 მანათი დაუტოვა გასამშვენებლად და შესამკობლად სხვა-და-სხვა საეკლესიო ნივთებითა. მის მემკვიდრეთ 20,000 მანათის ქონება დარჩათ. (ცნობის ფურცელი, N335, 1897 წელი);

ს. ბარმიში (აფხაზეთი)

მეხისაგან მოკლული და სოფლის ჩვეულებანი. ბარმიში შვიდის ვერსის მანძილზედ ახლავს გუდაუთას. ერთი საზარელი ამბავი მოხდა ამ სოფელში. ერთი აქაური გლეხი 1 ოქტომბერს ყანაში ყოფილა სამუშავოდ. ცუდის ამინდის გამო ნაშუადღევისას სახლში დაბრუნებულა. დიასახლისი თავისის ორი პატარა შვილებითურთ, იქ ახლო კარ-მიდამოზე შინაურ პირუტყვებს ერეკებოდა. ამ დროს უეცრად, თურმე, დაიჭექა და მეხი დაეცა ამ გლეხის სახლს. პატარა ხნის უკან ამ ხმაურობაზედ გაიხედეს ახლო-მახლო მეზობლებმა და დაინახეს, რომ სახლს ცეცხლი ეკიდებაო. მისცვივდნენ მისაშველებლად, სახლთან რომ მივიდნენ, დაინახეს სახლის პატრონი აივანზედ უსულოდ ეგდო. ამასობაში დიასახლისმაც მოატანა და თავის ქმარი მკვდარი რომ დაინახა, მორთო კივილი. მეზობელ აფხაზებთ პირზედ ხელი დაუფარებიათ, ნუ კივიო, შემდეგ მორიდებით და მოწიწებით, თურმე, აიღეს მკვდარი და იქავ შორი ახლოს მიწაზედ დაასვენეს; მერე გაშალეს ხელი და სიმღერა და ცეკვა-თამაში გააბეს, მანამდის, სანამ სახლი მთლად არ დაიწვებოდა. სახლი რომ სულ დაიწვა, აგრეთვე

სიმღერითა და სიცილი-თამაშით - მიწას მიაბარეს მიცვალებული. ეს ჩვეულება აქვსთ, თურმე საზოგადოდ აფხაზებს. მეხით მოკლულს არ იტირებენ, არც ზარალს ნაღვლობენ. თორემ მეხის ღმერთს ეწყინება და ძილის დროს ყველას ერთიანად გაგვჟლეტსო. თუ მეხისაგან რომელიმე შინაური პირუტყვი ან მოკვდა და ან დაშავდა, აფხაზები მაშინათვე წნელის ჩელტზედ დასდებენ, თანაც მღერიან, მაღლა შემოსდგამენ, რომ ფრინველის მეტი მხეციც ვერ მისწვდესო. ეს მეხის არჩივიაო. აფხაზეთში დღესაც ბევრია ცრუ-მორწმუნოება დარჩენილი. მაგალითად, სამჭედლოზედ იფიცებენ და, თუ იმას შემდეგ თავი ასტკივდა, მაშინათვე უნდა შესწიროს ერთი ხარი და სხვა შინაური ფრინველები, რომლითაც თავს დაიხსნის. დღეს ბარმიშში ორმოციოდე კომლი აფხაზი სცხოვრობს. ასე ამბობენ, ჩვენც უნდა გადავსახლდეთ, თორემ ჩვენც ეგ დღე დაგვადგება მეხისაგანო. სასურველია, ვინმე ღვთიანი გამოჩნდებოდეს და ჩააგონებდეს მათს შეცდომას. /გ. ბაღდავაძე/. (ცნობის ფურცელი, N338, 1897 წელი);

სოხუმი

თამბაქოს მოყვანის გამო. როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, სოხუმის ოლქში დიდ ძალი თამბაქო მოჰყავთ და კარგის თვისებისაც. განსაკურებით გუდაუთსა და გუმისტანას ნაწილებში მისდევენ მეთანბაქობის მოყვანას და ბოლოს დროს კოდორშიაც დაიწყეს ძმ. შერვაშიძეების მამულში. თამბაქო მოჰყავთ განსაკუთრებით ბერძნებს და სომხებს; პირველნი სახაზინო მიწებზე მუშაობენ. ხოლო მეორენი იჯარით ღებულობენ კერძო მემამულეთაგან მიწებს. სამწუხარო მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რომ თუმცა თამბაქო კარგის თვისებისაა, მაგრამ რიგიან ფასად მაინც არ იყიდება. ეგ იმას გამო რომ, მწარმოებელნი ღარიბები არიან და მათის სიღარიბით ჩარჩები სარგებლობენ და თავისის სურვილისამებრ ასწევ-დასწევენ ხოლმე ფასს. ურიგო არ იქნებოდა, რომ ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოება და დახმარებას აღმოუჩენდეს საბრალო მეთამბაქოებს, რომელნიც ნივრის ფასად ჰკარგვან თავიანთს ნაწარმოებს. (ცნობის ფურცელი, N341, 1897 წელი);

კოდორი (აფხაზეთი)

სახიფათო ხიდები. მკითხველებს მოეხსენება, რომ წყალ-დიდობისა გამო აფხაზეთში მომეტებული ხიდები ჩაინგრენ. ამას წინედ დაათვალიერეს ეს ხიდები და გადაწყვიტეს მათი შეკეთება, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ანდაზა „სანამ პავლე მოვიდაო, პეტრეს ტყავი გააძვრესო“, ამის არ იყოს, სანამ შეაკეთებენ კარგა ხანი გაივლის და ამასობაში ადვილი შესაძლებელია უბედურება შეემთხვეთ მუდმივ დიდ მოგზაურთ. საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს. /ვ. ა. ნ/. (ცნობის ფურცელი, N342, 1897 წელი);

ქ. სოხუმი

ავადმყოფების მოსვლა. არც ერთს წელიწადს არ მოსულან სოხუმში იმდენი ავადმყოფები, რამდენიც წლეულ შემოდგომაზე. ვინ იცის, რუსეთის რა და რა კუთხიდან არ მოეშურებიან სუსტის გულისანი, ყველას იმედი აქვს, რომ სოხუმის ედემისებური ჰავა გვიშველის, სენისაგან განგვკურნავსო. არცა სცდებიან, საცა ექიმის წამალი უძლურია, იქ სოხუმის ჰავა სასწაულს შვრება ხოლმე. მაგრამ რათ გინდათ! სწორედ ჯვარ-ცმულნი არიან აქ მომსვლელნი უბინაობის გამო. აქ, საზოგადოდ, საღი და მშრალი სახლები გასაქირავებლად ძნელი საშოვარია და თუ იშოვეთ, მამასისხლადაც აქირავებენ. აბა ვისა

აქვს თავი ამისთვის იზრუნოს და ჩვენს ღარიბს ქალაქს ორიოდ გროში შემოსავალი მეტი შესძინოს. რაღაც უბედურს ვარსკვლავზედა ვართ დაბადებულნი, თვით-მმართველობის შემოღებაც ჩვენს ჟინაზე დაგვიანდა და არც ვიცით, როდისმე გვეღირსება თუ არა, ამ ჟამად ავადმყოფების უმეტესი ნაწილი იძულებულია აქაურს სასტუმროებში ეძებოს თავ-შესაფარი; ეს სასტუმროები ჯერ ერთი ძვირია და მეორეც - ავადმყოფთათვის სრულებით მოხერხებულნი არ არიან. დარი საუცხოვო დგას, ასე ბრძანებთ, ზაფხულიაო. ყველანი ჯერ ისევ საზაფხულოდ არიან გამოწყობილნი, შემოდგომის ტანისამოსის ჩაცმა ფიქრად არავის მოსვლია. ზღვაც დაწყნარებულია და მოსეირნეთ მრავლად იზიდავს. /მიხელია/. (ცნობის ფურცელი, N342, 1897 წელი);

სამურზაყანო

ახალი სკოლის გახსნა. სამს დიდს სოფელს განუზრახავს ორ-კლასიან ნორმალურ სასწავლებელს გახსნიან სატოგონში ან გვიმრაპიტაში. (ცნობის ფურცელი, N347, 1897 წელი);

ს. გუდავა (სამურზაყანო)

სკოლის გაუქმება. გუდავაში ორი სასწავლებელია, - სამინისტრო და სამრევლო. საზო-გადოება თხოვნის მიცემას უპირობს, თურმე, სახალხო სკოლების დირექტორს - სამინისტრო სკოლა დაგვიკეტეო, რადგან ხარჯს (კომლზე 1 მ. გარდასახ.) ვერ აუდივართო. (ცნობის ფურცელი, N347, 1897 წელი);

სოხუმი

მიწა-ადგილები გაძვირდა. აქაურნი მკვიდრნი ძრიელ დაიმედებულნი არიან, რომ მალე სასურველად გადაწყდება ქ. სოხუმის შეერთება კავკავის რკინის გზასთან. ამ გარემოებამ სათვალჩინოდ გააძვირა მიწა-ადგილები თვით სოხუმში და ახლო-მახლო სოფლებშიაც. (ცნობის ფურცელი, N352, 1897 წელი);

სოხუმი

თვით-მმართველობის შემოღების გამო. ვერ იქმნა, ვერ ეღირა სოხუმი თვითმართველობას. ლამის არის სული ამოძვრეს ქალაქს უპატრონობით. ახლა გავიგეთ, მანამდე არ შემოიღებენ თვითმართველობას, სანამ „სანიტარულ“ მიწებს დანარჩენ ქალაქს არ შეუერთებენო და ეს კი ვინ იცის, როდის გათავდება. ჩვენში ხომ ყველაფერი წერეთლის მწვადივით უნდა გაგრძელდეს! ამიტომ, სასურველია სოხუმელებმა ერთობრივის ძალით თავი გამოიდონ და უმაღლეს მთავრობას სთხოვონ დაჩქარება საქმისა. თორემ, თქვენი მტერი, თუ ასე კიდევ ცოტა ხანს გასტანა, ბოლო მოეღება ქალაქის ქონებას. /მიხელია/. (ცნობის ფურცელი, N353, 1897 წელი);

ნოვოროსისკ-სოხუმის გზა ტკეცილის შეკეთების გამო

დღეს გაემგზავრება სოხუმსა და ნოვოროსიისკში დეისტ. სტ. სოვ. ინჟენერი ნოვომეისკი, რომელიც ბ. მთავარ მართებლის კანცელარიაში მსახურებს და ირიცხება კავკასიაში შენობებისა

და გზების ტეხნიკად. ბ. ნოვომეისკის მინდობილი აქვს დაათვალიეროს, რა მდგომარეობაშია ნოვოროსსია-სოხუმის გზა-ტკეცილი. (ცნობის ფურცელი, N354, 1897 წელი);

სოჩა (აფხაზეთი)

სკოლის კურთხევა. 22 ოქტომბერს სოჩაში აკურთხეს ორ-კლასიანი სასწავლებელი. კურთხევას დაესწრო დიდძალი საზოგადოება: ოლქის უფროსი პოდპოლკოვნიკი გლაგოლევი, ნაწილის უფროსი დუბავიკი, დეპუტატები: არეშეივი, ტროპოვი, ხოშტარია და ბოკუჩავა, აგრეთვე მოვაჭრენი და მცხოვრებლები. სკოლაში გამართული იყო საუზმე, რომელზედაც მიწვეულ იქმნა ყველა ზემოდხსენებული პირები. პირველად ოლქის უფროსმა აიღო ჭიქა და ადღეგრძელა ხელმწიფე იმპერატორი და წარმოსთქვა მგრძნობიარე სიტყვა. საზოგადოებამ ურას ძახილით და მრავალჟამიერით მიუგო. შემდეგ დალიეს სადღეგრძელო ჩერნომორიის გუბერნატორისა და დეპეშაც გაუგზავნეს. მერე ადღეგრძელეს სამოსწავლო ოლქის უფროსი ინსპექტორი, მასწავლებელი და შაგირდები. საუზმემ გასტანა პირველ საათიდან ხუთ საათამდე. იმ დღესვე მიღებულ იქმნა შეგირდებად ოც-და-სამი კაცი, მათ შორის ცხრა ქართველია. სწავლა დაიწყება 23 ოქტომბერს. ვუსურვებთ ჩვენს ახალს სასწავლებელს ყოველსავე სიკეთეს და განსაკუთრებით ჩვენებურ ბავშვების აღზრდას. /დავით პარკაია/. (ცნობის ფურცელი, N354, 1897 წელი);

სოხუმი

ჩვენის ქალაქის ღირსება. რუსულ გაზეთებში დაბეჭდილია ცნობილ ექიმ-პროფესორის ა. ოსტროუმოვის აზრი სოხუმზე, როგორც კურორტზე. ბ-ნმა ოსტროუმოვმა სოხუმში, იყიდა აქ მიწა ავადმყოფთათვის აბანოების ასაშენებლად, კარგად გაიცნო აქაური ბუნება, მკურნალობითი ძალა სოხუმის ჰაერისა, და ამიტომ მისი აზრი ამ ქალაქზე დიაღ საყურადღებოა. აი რას ამბობს პატივცემული პროფესორი: „სოხუმში ერთგვარი ჰაერია, თბილი, ტენიანი და ქარი სრულებით არ იცის და ამით დიდი უპირატესობა აქვს ნიცცას წინაშე. ეს ექვსი წელიწადია, სოხუმში ავადმყოფებსა ვგზავნი და ყველას არგო აქაურმა ჰაერმა, თუმცა ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ცხოვრების პირობები აქ სრულებით არ ვარგა, ქალაქი მოუწყობელია, აქაურ სახლებსა და სასტუმოებში თუ არ გაჭირებული, სხვა ძნელად დადგება. ყველაზე საუკეთესო თვეები თიბათვიდამ ენკენისთვემდე არის; ამ თვეებში ციება ან სულ არ იცის ან და ძალიან სუსტათა“. პროფესორის ოსტროუმოვის აზრი დიაღ სასიამოვნოა სოხუმელებისათვის, მაგრამ რა ოსტროუმოვი, ყველანი ასეთის კარგის აზრისანი არიან ჩვენს სოხუმზე, ყველას მოსწონს, ყველას ცათამდე აჰყავსთ ქებითა ეს ედემისებური ქალაქი საქართველოსი! თან ყველანი იმას გაიძახიან, ქალაქი მოუწყობელია, სახლების შოვნა უჭირდებათ ავადმყოფთაო. ვინ არის პატრონი, ყურის მგდებელი, ქალაქი ისე მოაწყონ, რომ ხალხი მოიზიდონ და აქედამ მადლიერი გაისტუმრონ?! სანამ თვით-მმართველობას არ შემოიღებენ სოხუმში, მანამ ქალაქს საკუთარი მზრუნველი არ ეყოლება, ამ ქალაქის საქმე ასე იქმნება ჩამორჩენილი და წყალ-წაღებული. /მიხელია/. (ცნობის ფურცელი, N355, 1897 წელი);

სოხუმი

მხატვარმა ვერეშჩაგინმა, როგორც ჩვენის გაზეთის მკითხველებმა იციან, სოხუმის მახლობლად, ს. ეშერაში, მიწა იყიდა. აქ სახლი უნდა იყიდოს და იმუშაოსო. როგორც

გავიგეთ, ამ ადგილის მახლობლად ზოგიერთ ცნობილ მოსკოველებსაც განუზრახავთ მამულების შეძენა დასასახლებლად. (ცნობის ფურცელი, N356, 1897 წელი);

სოხუმი

ძველის ნივთების შესახებ. ეს უკანასკნელი ოთხი-ხუთი წელიწადია, სოხუმმა ძალიან გაიწია სიგრძე-სიგანეზე. რუსეთიდან მოსული მდიდარი ხალხი სულ სოხუმის გარშემო მდებარე გორაკებზე აშენებს სახლებსა. სახლების შენების დროს ხშირად საჭიროდ ხდება მიწის თხრა; ამ თხრის დროს მუშები ხშირად ჰპოულობენ ხოლმე ძველს ფულებს, ნივთებს, სამაჯურებს და სხ. არც გასაკვირველია, რო პოულობენ, იმიტომ რომ სოხუმი ისტორიული ქალაქია და, ვინ იცის, რა და რა ხალხს არ უცხოვრია აქა. აქ შეხვდებით რომაელების კვალსა, ბერძნებისას და სხ. ხალხთა. კარგი, თუ მცოდნე კაცი შეხვდა მუშებს და დაღუპვისაგან იხსნა ნაპოვნი არქეოლოგიური ნივთი. უმეტეს შემთხვევაში, ნაპოვნი ნივთი მეცნიერებისთვის დაღუპულია ხოლმე. ამაზე წინადაც უპოვნიათ მუშებს აქაურის მემამულეს სერებრიაკოვის მამულში მიწის თხრის დროს რამდენიმე ვერცხლის ფული და თითქმის მუქთად ვიღასთვისაც მიუყიდნიათ. იმავ ალაგას წასწყდომიან საფლავს, სადაც აღმოჩენილა კაცის ძვლები, სამი თიხის დოქები და თიხისავე თოჯინები. თიხისათვის უცაბედად წერაქვები მოუხვედრებიათ და გაუტეხნიათ. ნაპოვნ ფულებს მკაფიოდ ეტყობა ერთს მხარეზე ლომი და ამურის სურათი, ხოლო მეორეზე ფარშევანგი ან არწივის მსგავს ფრინველის სახე. სასურველია, ადგილობრივი ქართველი ინტელიგენცია ყურადღებას მიაქცევდეს ასეთს ნივთებს და როგორც კი იპოვნის, „წერა-კითხვის საზოგადოებას'' გამოუგზავნიდეს ხოლმე. /მიხელია/. (ცნობის ფურცელი, N359, 1897 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი)

ჯარში გაყვანილნი. 29 ოქტომბერს დააფიცეს 64 ახლად გაყვანილნი სამურზაყანოელნი (აფხაზები არ გაჰყავთ) ჯარის კაცნი. საზოგადოთ ყრილობამ მშვიდობიანად ჩაიარა; არც ჩხუბი, არც მედუქნეების დაცემა, როგორც წინად იცოდნენ... უწინ 15 ნოემბერს იმართებოდა არჩევანი და ყოველთვის წვიმა და ავდარი ხვდებოდათ. ეხლა თუმცა შემოსავლის აღების დროა, მარა მაინც მადლიერ იყვნენ სუყველა ასეთი განკარგულებისა. მხოლოდ ერთი უსიამოვნება მაინც შეხვდათ: გასაყვანი ჯარის კაცნი შეიკრიბნენ 15 ოკტომბერს, რა დღესაც დაბარებულ იყვნენ, მაგრამ სოხუმიდამ მომავალნი მომწოდებელნი წევრნი ხომალდმა ზღვის აღელვების გამო ბათომში გაიყვანა, რისთვის ხუთი დღე ჯარის კაცთ და მათს შემყურეთ გაუცდათ.

მოსავალი მთელს აფხაზეთში ამ წელიწადს სანაქებოა, მაგრამ სიმინდის ფასის დაწევამ მუშა ხალხს გული აუცრუვა და უწინდებურად არ მისდევენ იმის თესვას. ყურძენი ადესა, (იზაბელა) იმდენი ასხია, რომ ვერაფრის გზით ვერ დამწიფდა და არც ღვინო ვარგა სრულებით. ღვინო სამაგალითოდ იაფია, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, უვარგისია და, როგორც იტყვიან ,,წყალი ჯობია დასალევათ''. ფუთი ღვინო 20-45 კ. ფასობს და მცხოვრებთ არავითარ სარგებლობას არ აძლევს. ერთმა აფხაზმა ღვინოს ფასად თორმეტი აბაზი (12 ფუთის) მიიღო, როდესაც თვით მეურმეს 3 მან. გაურიგდა ჩამოსატანად. ჩემი ღვინო სახლში დამეღვარა არ ჯობდა, ღვინოც დამეკარგა, მეც მოვკვდი იმის თრევით და სამი აბაზი ვალიც დამედოვო - ამბობდა გაბრაზებით აფხაზი. სიმართლე საზოგადოთ სუფევს ჩვენში. მოარული სენი ჯერ ჯერობით არაფერია. ციებ-ცხელებამ ცოტად იკლო, ხინა ჩვენს აფთიაქში მისხალი 30 კ. ფასობს, გარნა ნახევარ მისხალი 20 კაპ. უდროოთ აცივდა და დაგვიყინა კიდეც. /ალია/. (ცნობის ფურცელი, N359, 1897 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი)

კოდორის საბოქაულოს უფროსად ნამყოფის ჩეჩელევის მაგიერ ამ თანამდებობას დროებით ასრულებს ოჩამჩირის ბოქაული ბ-ნი შუბიანი. გამოძიება შტაბს-კაპიტანის ჩეჩელევის საქმეზე უკვე გათავდა და ბ-ნი ჩეჩელევი სამართალში იქმნება მიცემული. ჩეჩელევსა ბრალდება, როგორც ჩვენმა მკითხველებმაც იციან

1) შეურაცყოფა ოჩამჩირის მეორე გილდის ვაჭრისა ფარნა დავითაიასი

2) შეურაცყოფა აძვიბჟის საზოგადოების (კოდორის ნაწილის) მამასახლისის კვიწინიასი

3) ამ მამასახლისის ოჯახის აკლება

4) იმავე მამასახლისის თანაშემწის შეურაცყოფა და მრავალი სხვა დანიშნული თანამდებობის აღსრულების დროს.

ეს საქმე ამ ჟამად კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიაში არის გაგზავნილი და ქუთაისის ოლქის სასამართლოში მალე იქმნება გარჩეული. /უკმაყოფილო/. (ცნობის ფურცელი, N362, 1897 წელი);

სოფ. დრანდა (აფხაზეთი)

აფთეკის გახსნა. ეს ორი კვირა მეტია, სოფ. დრანდაში, ბ-ნმა ივანე ბურჭულაძემ აფთექა გახსნა. აქაურებს და განსაკუთრებით მონასტრის ბერებს ძალიან გაუხარდათ აფთეკის გახსნა. მართალია, აქაურს საექიმო თავშესაფარში არის პატარა აფთექა, მაგრამ იქ მარტო უბრალო (ელემენტარული) წამლები იშოვება და ისიც ფერშლის შემზადებული. ახალს აფთეკაში ყოველგვარის წამლის სყიდვა შეიძლება. თან, ღარიბებს ბატონი ბურჭულაძე ან ნახევარ ფასად აძლევს წამალს ან და-თუ ძალიან გაჭირებულია, სრულიად უფასოდ. მცხოვრებნი სულ აფთეკარის ლოცვაში არიან, ე რა ღვთისშვილი კაცი მოგვივლინაო! ბერებიც ძალიან კმაყოფილნი არიან ახალის აფთეკრისა. როგორც უწყით, დრანდაში საექიმო თავშესაფარიც გახლავსთ. სოხუმიდამ აქ იმიტომ გადმოიტანეს ეს თავშესაფარი, რომ ახლად გადმოსახლებულთათვის რამე შველა აღმოეჩინათ. მაგრამ საქმე ეს გახლავსთ, რომ დრანდელებს ახლა სამაგისო არა უჭირსთ რა, პირიქით მდიდრათაც არიან. გუდაუთის ნაწილი-კი სრულებით უპატრონოთ არის: მათთვის არც ექიმია, არც ფერშალია და არც წამალი. ამიტომ კარგი იქმნება საექიმო თავ-შესაფარს დრანდიდან გუდაუთში გადაიტანდნენ. დრანდელებს ამით არაფერი დაუშავდებათ, მით უფრო, რომ აქ აფთექა იქმნება შეიძლება ფერშლის პუნკტი დარჩეს აქავე. იმედია, ოლქის ადმინისტრაცია ამ საჭირ-ბოროტო კითხვას ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს. /კეღუცა/. (ცნობის ფურცელი, N362, 1897 წელი);

სოფ. დრანდა (აფხაზეთი)

სოფელს წყალი წაიღებს. არა მგონია რომ, სადმე იყოს ისეთი მივიწყებული და ღვთის ანაბარათ დარჩენილი მხარე, როგორიც აფხაზეთია. საითაც გინდათ გაიხედეთ და რომელ სფერასაც თვალი გადაავლოთ, ყოველგან უყურადღებობა და უსამართლობა არის. მხოლოდ ეს კია, რომ ფორმალურად ქაღალდზედ ყველაფერი კეთდება და უმაღლეს მთავრობას ეგზავნება; ნამდვილად საქმით-კი სულ სხვასა ვხედავთ, მაგრამ რას იზამთ და რას გახდებით, როდესაც კონტროლი, საქმის გამჩხრეკი და სიმართლის მძებნელი აქ არავინ არის.

დავიწყოთ თუნდაც კოდორის ხიდიდგან: როგორც უწყით, ამ ხიდის გაკეთებაზედ 600,000 მანეთამდი ხარჯები მოუვიდა მთავრობას ბ. ინჟენერთა წყალობით და ახლა-კი ვინც ნახავს ამ ხიდს, არ შეიძლება წყევლა-კრულვით არ მოიხსენოს მისი გამკეთებელი. ეს ვეებერთელა ხიდი შიგ წელში გაშლილა და წელ-მოტეხილ პირუტყვივით ჩაწოლილა შიგ შუა კოდორში. ეს ხიდი იმ პირობით იყო გაკეთებული, რომ თუ რკინის გზა გამოივლიდა აქეთ, ამ ხიდს უნდა ევარგნა იმისათვის, მაგრამ ღმერთმა გვიშველა და ხიდმა რკინის გზის გაკეთებას დაასწრო და ჩაწვა. თორემ ვინ მოსთვლის, რამდენი ადამიანი შეიქმნებოდა მაშინ ამ ხიდის მსხვერპლათ! როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, თურმე ქვიტკირის ბოძები, რომელნიც ამ ხიდს ამაგრებდნენ, პირდაპირ სილაზე დაუშენებიათ და არა ცემენტით გამაგრებულს საძირკველზე, როგორც ამას მოითხოვდა ტეხნიკა. რასაკვირველია, კოდორის მძლავრმა მდინარემ სილა ნელ-ნელა გამოაცალა ბოძებს და ეს ნახევარ მილიონზე მეტად ღირებული ხიდიც ჩაინგრა წყალში. კოდორის ხიდის ჩანგრევამ დიდი ზარალი მისცა ხალხს, მაგრამ ამ ზარალს კიდევ გაუძლებდა კაცი, რომ უარესი უბედურება არ მოგველოდეს; მდ. კოდორის ნაპირები არ არის გამაგრებული და ეს ერთი ხანია მოიწევს დრანდისაკენ და პატარა კოდორს უახლოვდება; სულ 35 მხარი უკლია მოახლოვებას და საეჭვო აღარ არის, რომ მალე პატარა კოდორს შეუერთდება, დრანდის მონასტერს მოადგება, მთელს სოფლებს წალეკავს და შავს ზღვას ჩააბარებს. ინჟენერებიც-კი დადიან ჩქარ-ჩქარა ეტლით სოხუმიდან და ათასნაირს ფოტოგრაფიულს სურათებს იღებენ ამ ჩანგრეულის ხიდისას, მაგრამ ამით რა გაკეთდება, გარდა იმისა, რომ უბრალოთ ფულები იპნევა! საჭიროა ახლავე გაამაგრონ ნაპირები, თორემ დიდი უბედურება მოგველის აქაურებს. /HUMANUS/. (ცნობის ფურცელი, N362, 1897 წელი);

სოფ. დრანდა (აფხაზეთი)

მასწავლებლის მჭედლიძის გადაყვანა. წრეულს, ენკენისთვეში, აქაურის მონასტრის სამრევლო სკოლის მასწავლებლად გადმოყვანილ იქმნა გუდაუთის ორ-კლასიან სამრევლო სკოლის უფროსი მასწავლებელი ბ. ბაგრატ მჭედლიძე. გუდაუთშიაც და აქაც ბ-ნი მჭედლიძე ითვლებოდა სამაგალითო მასწავლებლად.

სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ბ-ნს მჭედლიძეს დეპეშით აცნობა, რომ ნახიჩევანში, სამოქალაქო სასწავლებელში არის მასწავლებლის ალაგი და, თუ გსურთ, დაიკავეთო. ბ-ნი მჭედლიძე უკვე გაემგზავრა იმ ალაგზე და აგერ ორი კვირა იქნება მალე, რაც აქაური სამრევლო სკოლა უმასწავლებლოთ არის. აქაურებს ყველას გული დასწვა ბ. მჭედლიძის წასვლამ, რადგან ამისთანა გულ-მოდგინე მასწავლებელი ჯერ არ ახსოვთ აქა. /HUMANUS/. (ცნობის ფურცელი, N363, 1897 წელი);

ს. მერხაული (აფხაზეთი)

სიკვდილიც ასეთი უნდა! 27-ს ოქტომბერს, ს. მერხაულის მცხოვრებს ქვაჩალა გაბუნიას თავის ცოლ-შვილთან სადილი მადიანად მიურთმევია. ნასადილევს უთქვამს: მე დღეს მოვკვდები და მღვდელი და მწერალი მომიხმეთ, რომ ანდერძი დავაწერინოვო. მართლაც, ადგილობრივი მწერალი და მღვდელი მოუწვევია და სრული ანდერძი დაუწერინებია ჯანსაღად მყოფ კაცს. როცა წერას მორჩენილად, ყველას გამოსთხოვებია და სულიც ტკბილად განუტევებია... განსვენებული გაბუნია 50 წლის იქნებოდა, თურმე. დამსწრენი დიდათ გაკვირვებულნი არიან ამ ნაირის ტკბილის სიკვდილით და კიდევ დიდხანს ექნებათ სალაპარაკოთ, თუ როგორ იგრძნო განსვენებულმა თავისივე აღსასრულის მოახლოვება და სხვა.

ავდრები. აქეთ მოსავალი და ღვინო ბლომად მოვიდა, მხოლოდ ძალიან შეგვაწუხა გამუდმებულმა ავდრებმა; კვირაზე მეტი იქნება, რაც გადუღებლივ სწვიმს; ისეთი სიცივეები დაიჭირა, რომ სწორედ შუა ზამთარს მოაგონებს კაცს, სულ დიდი და პატარა საზამთრო ტანისამოსით დადიან. /ალექსი სიჭინავა/. (ცნობის ფურცელი, N371, 1897 წელი);

დ. სოჩა (აფხაზეთი)

გარყვნილობის ბუდე. ერთს აქაურს მედუქნეს ბ. ა-ს დუქნის ოთახში ჰყავს ვითომდა მდგმურად ,,ქალები''. ღამდება თუ არა, შეიქმნება ამ დუქანში ლოთობა და ამ ,,ქალების'' სამიზეზო ჩხუბი და დავიდარაბა. უბრალო მუშა ხალხი, რაც-კი რამ გააჩნია, ყველაფერს ამ დუქანში სტოვებს იმ „ქალების ეშხით“ და შინისაკენ ცხვირ-პირ დამტვრეული, მთვრალი ბრუნდება უგროშ-კაპეიკოდ. სხვა რომ არა იყოსრა, მგონი ცხადია, რომ ისეთს დუქნებში, როგორიც ზემოხსენებულია, პატრონებს არ ეძლევათ კანონით ნება, რომ ვისმე ღამე გაათევინონ და გვიკვირს - რა უფლებით გაუჩენია მედუქნეს ამ ,,გზა დაკარგულ ცხოვართათვის'' იქ მუდმივი ბინა? ურიგო არ იქნებოდა, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევდეს ამ გარემოებას, თორემ ჩხუბსა და დავი-დარაბას თავი რომ დავანებოთ, სხვა და სხვა სენით ავადმყოფობა საშიშოა!.. /უცხო კაცი/. (ცნობის ფურცელი, N372, 1897 წელი);

გუდაუთი (აფხაზეთი)

უაღებ-მიცემობა და გაჭირვებული ყოფა-ცხოვრება. წარსულს წლებში ყოველთვის აღებ-მიცემის საქმე უმჯობესი იყო შემოდგომის დასაწყისში, რადგანაც იმ ხანებში ყოველ-გვარი ჭირნახული უხვად იყო და ფასიც შესაფერი ჰქონდა. უხვად ჩამოჰქონდათ სოფლელებს: ვაშლი, ბროწეული, კაკალი და ყურძენი, რომელსაც ყიდულობდნენ ჩარჩები, ხოლო მცხოვრებლებს საშუალება ეძლეოდა და აგრეთვე დაბის მოვაჭრეებიც ხელს ინაცვლებდნენ. შარშან შემოდგომაზე იმდენი ხალხი მოგვაწყდა სხვა-და-სხვა დაბა-ქალაქებიდან, რომ თითქმის ძაღლი პატრონს ვერ სცნობდა. ესენი მომეტებულად იყვნენ ღვინოსა და არაყის მექარხნენი, რომლებმაც ერთმანეთის დაჯიბრებით ძალზე გააძვირეს თავიანთი მასალა. ვაი თუ ამან დააშინა ისინი და წრეულს არც ერთი იმათგანი თვალითაც არ დაგვინახავს. დღემდე კიდევ იმედს არ ჰკარგავდნენ მემამულე აფხაზები - დღეს თუ არა, ხვალ მაინც გაჩნდება სადმე მყიდველი და ჩვენს ნაჭირნახულევსაც გავყიდოთო, მაგრამ ამაოდ გაუცრუვდათ იმედები და ზამთარმაც მოუსწრო; ეხლა-კი ყოველი ცდა ამაოა, რადგანაც ჭურჭლებიც არა აქვთ ჭირნახულისათვის. ამ გარემოებამ მეტად დააღონა როგორც მცხოვრებნი, ისე დაბის მოვაჭრენიც, რადგანაც ერთად-ერთი სახსარი ყურძენი და ღვინო იყო ამათთვის; ეს ხო ეხლა ხელიდან გამოეცალათ და სიმინდის მოსავალს კარგა ხანია გამოეთხოვნენ; აბა რას უნდა გახდეს დღეს ჭირნახულის პატრონი მუშა ხალხი. ერთის ანდაზისა არ იყოს - საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო - სწორედ ასე დაემართა ჩვენებურებს: ხან ჭირნახული არა აქვთ და ხან ჭირნახული აქვთ და მყიდველები არ მოეპოვებათ. სახელმწიფო ხარჯსა და სხვა-და-სხვა ბეგარას ვერ ასდის, სხვა ყოველ-დღიურ მოთხოვნილებას რომ თავი დავანებოთ! /გ. ბ-ღ-ძე/. (ცნობის ფურცელი, N375, 1897 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი)

მეპურეები მდიდრდებიან! აქაო და პურის ფქვილის ფასმა აიწიაო და ჩვენებური მეპურენი პურში ურევენ ისეთ ნივთებს, რომელიც მუქთად უჯდებათ, მაგ.: ჭილობს, ტომრების ნაგლეჯს და განსაკუთრებით ერთგვარ მწერებს, რომელსაც აქ ,,ტარაკანს'' უძახიან. ხუთი

ამისთანა ჭია-ღუა ,,ტარაკანი'' ერთ გირვანქას მაინც აიწონის. ხუთი გირვანქა პურში ერთი გირვანქა მაინც ჭია-ღუა გამოერევა. ეხლა იანგარიშეთ წელიწადში რა შემოსავალი ექნება მეპურეებს მარტო ჭია-ღუისაგან? ამიტომ სასურველია, რადგან ყოველისფერს ბაჟი ადევს, მაგ.: ძროხის ხორცს, ღორს და „ტარაკანს" კი არა, მასაც დაედვას ბაჟი ¼ კაპ. მაინც სულის თავზე; ამით ჩვენს დაბას შემოსავალი ექნება, რადგან ეს საძაგელი, მაგრამ მეპურეთათვის სასარგებლო მწერები იმდენი ბუდობს თითოეულ პურის ცომის საზელში, რამდენიც საჭიროა ოჩამჩირელებისთვის. იმედია, ჩვენი დეპუტატები და დაბის წარმატების მოსურნენი ამას მაინც მიაქცევენ ყურადღებას, თორემ მართლა სირცხვილი არ არის, ჩვენი დაბა ბინძურებით საღორეს ჰგავდეს და მცხოვრებლები კიდევ უბაჟოთ ,,ტარაკნით'' შეზავებულ პურს მიირთმევენ?!. (ცნობის ფურცელი, N385, 1897 წელი);

სოხუმი

კეთილ მოძღვრის წასვლა. ამ ზაფხულში აქაურის საკრებულო ტაძრის მღვდელმა მამა ბეს. ხელაიამ სოხუმს თავი დაანება და ყაზანის სასულიერო აკადემიაში შევიდა სწავლის გასაგრძელებლად. მამა ბ. ხელაიას მთელის მრევლის განუსაზღვრელი სიყვარული ჰქონდა დამსახურებული თავისის მამა-შვილურისა და სათნო ქცევით. ყველას გული დასწვა საყვარელის მოძღვრის მოშორებამ. მამა ბ. ხელაიას ალაგზე, როგორც ნამდვილად გავიგეთ, ეპარქიის მთავრობას გადაუწყვეტია მღვდლად აკურთხოს სოხუმისავე მკვიდრი, ამ ორის წლის წინად ტფილისის სასულიერო სემინარიაში კურს დამთავრებული, ბ-ნი მიხეილ გვაზავა, აქაურის სამრევლო სკოლის მასწავლებელი. (ცნობის ფურცელი, N386, 1897 წელი);

აფხაზეთში საღებავების აღმოჩენა

ოჩამჩირედამ სამი ვერსის მანძილზე, თავ. ე. მ. ემუხვარის მამულში აღმოჩენილა სხვა და სხვა ფერისა, თვისებისა და ხარისხისა საღებავები. მემამულეს მიუწვევია ოსტატები და სანიმუშოდ თავისივე სახლი შეუღებია ამ საღებავებით. თვით ოსტატი აღიარებს, რომ საღებავები მშვენიერის ხარისხისანი გამოდგნენო. ნიმუშები საღებავებისა ოჩემჩირის ნორმალურ სასწავლებელში აწყვია და მსურველთ შეუძლიანთ ინახულონ. (ცნობის ფურცელი, N389, 1897 წელი);

დ. გუდაუთა (აფხაზეთი)

სამკითხველოს შეწევნა ეჭირვება. ისე მივიწყებული და მივარდნილი ვგონებ, არ არის არც ერთი მხარე ტურფა საქართველოსი, როგორც არის ჩვენი დაბა: არსებობს თუ არა ჩვენი დაბა სადმე თითქმის, არავინ უწყის და, მაშასადამე, არავინც ზრუნავს მისს კეთილდღეობას და წარმატებისათვის, გარნა არისღა ვინმე, რომ სხვა ჩვენისთანა მივიწყებულ და მივარდნილ მხარეზე ზრუნავდეს, მათი ჭირი-ჭირად მიაჩნდეს, მათი სიხარული სიხარულად, თვითეული მარχვედ მათ მიერ გადადგმულ წარმატებისა და კეთილ-დღეობისაკენ ნაბიχი უხაროდეს, სიამეს ჰგვრიდეს. არა! χერ ქართველს იმდენად ვეღარ შეუგნია და ვერ შეუსისხლ-ხორცებია საზოგადო, საერთო იდეალი და მისწრაფება! ეს ხომ ჩვენის მაგალითიდანაც ნათლად მტკიცდება: გაიხსნა თუ არა ჩვენს დაბაში წიგნთ-საცავ-სამკითხველო, მაშინვე მივმართეთ სხვა-და-სხვა პირთ და საზოგადო ეროვნულ დაწესებულებათ და ვსთხოვეთ შეძლებისდაგვარად, წიგნებითა თუ ფულით ხელი მოგვიმართეთო, რომ ამით ჩვენმა ნორჩმა სამკითხველომ ღარიბს ხალხს შეძლება მისცეს მუქთად ჟურნალ-გაზეთები და წიგნები წაიკითხოს, მასთანავე თვითონაც ყავახანების მომწამლავ და სულიერად

დამხშველ ზედგავლენას თავი დაახწიოსო. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ხმა არავინ გაგვცა. ამის შემდეგ კერძო კაცთ მიმართ რა საყვედური გვეთქმის! მხოლოდ ჩვენს ღაღადისს ყურადღება მიაქცია და თავისი გამოცემანი გამოგვიგზავნა ქუთაისის ნ. გამომ. ამხანაგობამ, და ერთ-ორმა პირმა. ეხლა ხელ-ახლა მივმართავთ იმათ, ვისაც საზოგადო საქმისადმი გული ეწვის, და ვთხოვთ, რომ წიგნებით თუ ფულით ხელი მოგვიმართონ, რისთვისაც დიდი მადლობელნი ვიქნებით. ადრესი ასეა: Въ м. Гудауты (кут. Губ.) Общественной читальнт. (ცნობის ფურცელი, N391, 1897 წელი);

დ. გუდაუთა (აფხაზეთი)

საჭირო კაცის გადაყვანა. ამ დღეებში აქედან გადაყვანილ იქმნა ფოთში აქაურის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე თეოფილე გოგიტიძე, რამაც ძლიერ დააღონა ჩვენი პატარა დაბა. ამ ყმაწვილმა კაცმა ოთხიოდ წელიწადი დაჰყო ჩვენს დაბაში და შეძლებისა-და გვარად თავისი კვალი დააჩნია ჩვენის დაბის წინ-მსვლელობას. სხვათა შორის მისის მეცადინეობით ვეღირსეთ პირველად ჩვენ, გუდაუთლები წარმოდგენებს, მისის მეცადინეობითვე გაიხსნა ჩვენს დაბაში წიგნთსაცავ-სამკითხველო. ამისთანა ყმაწვილის სხვაგან გადასვლა ჩვენთვის დიდი დასაკლისია, მით უფრო, რომ თითქმის აქ ინტელიგენთაგანი არავინ არის. (ცნობის ფურცელი, N392, 1897 წელი);

დ. ოჩამჩირე (სამურზაყანო)

ჯიუტი მდინარე. გაგვიჭირა საქმე უხიდობამ მდინარე ღალიძგაზედ ამ მდინარემ ბევრჯერ დატვირთული ხარ-ურმები ზღვას ჩააბარა... თუმცა ბოლოს როგორც იქმნა ხიდი გაკეთდა - მაგრამ მდინარემ სხვა გზა მონახა და ხიდს აუქცია, რის გამო დიდ გაჭირვებაში არის ყველა მგზავრი ვინც ოჩამჩირიდან გადის ანუ შემოდის...

ქუჩების შეკეთება. ჩვენს დაბაში მეტად ცუდი ქუჩები იყო და დიდს გაჭირვებაში იყო დიდი თუ პატარა, მაგრამ ეხლა კოდორის ნაწილის მმართველმა შესაფერი ღონე იღონა და იმ ალაგს, სადაც წინედ ვერ გაივლიდი, დღეს მშვენიერად მოკენჭილია. ქუჩების შეკეთებამ ყველა ადგილობრივნი მცხოვრებნი გაგვახარა. დიდი მადლობელიც ვართ.

უზნეო ქალთა ბუდე. ქუჩების შეკეთებამ თუ დიდი შეღავათი მოგვცა და სიარული გაგვიადვილა ამ დაბაში, ეხლა სწორედ ამ შეკეთებულ ქუჩაზედ სადაც ბევრი მცხოვრებია შექუჩული, ერთს სახლში დაბინავდა ვიღაც გორელი სომეხი, რომელმაც თან მოიყვანა რამოდენიმე ზნე გაფუჭებულნი მანდილოსნები, რომელნიც გამოდიან ქუჩაზედ და ხმა მაღლა შესძახებენ გამვლელს: ყმაწვილო აქ მო, აქ მოდიო ამ გარყვნილების საბუდარში მუდმივ ერთი ჩხუბი, აყალ-მაყალი, ქალების წივილ-კივილი და მოჩხუბართა რევოლვერის სროლაა.. ესეთი ალიაქოთი რა თქმა უნდა, უფრო ღამითაა, იმ დროს, როცა ყველა ახლო მცხოვრებნი ძილში არიან... ხმაურობასა და აურზაურში წამოცვივდებიან მცხოვრებნი და ხედამენ, რომ ეგ აყალ-მაყალი ომიანობა იქ არის, სადაც ,,წითელი ფანარია'' გამოჭიმული. ბავშვები ვერ დაუჭერიათ და ვერ დაუშლიათ დედმამებს. გაიგებენ ბავშვები ხმაურობას თუ არა, მაშინვე გარბიან ,,წითელ ფარნისაკენ''. ნუთუ ბოლო არ უნდა მოეღოს ასეთს ყოვლად საზიზღარ საბუდარს!!... /Тап-аіа/. (ცნობის ფურცელი, N395, 1897 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი)

თხოვნა მთავრობასთან. ამ დღეებში აქ იყო ქუთ. გუბერ. სახალხო სკოლების დირექტორი

ფ. ლევიცკი. საზოგადოებას უნდოდა ეთხოვნა ბ-ნ ლევიცკისთვის - ოჩამჩირის ნორმალურ სასწავლებელში ქართულის ენის მასწავლებელი დაენიშნა, მაგრამ, რადგან ასეთმა თხოვნამ ერთჯერ უქმად ჩაიარა, ეხლა საზოგადოებას სურს უმაღლესს მთავრობასთან გაგზავნოს თხოვნა: ნება დაგვრთეთ ოჩამჩირის ნორმალურ სასწავლებელში ქართულის ენის მასწავლებელი დავნიშნოთ თუნდა ჩვენის ხარჯით, თორემ სარგებლობა არ მოაქვს ამ სასწავლებელს და ტყუილად დროს ჰკარგავს ჩვენი შვილები და უბრალოდ ხარჯს ვეწევითო, რადგან იმაში სწავლა დამთავრებულები არაფერში გვარგიან და ორის წლის განმავლობაში სრულიად ავიწყდებათ ზეპირად ნასწავლი რუსულიო, მხოლოდ ხსოვნაში ისა რჩებათ, რაც სახლში გვისწავლებიაო.

მადნების რიცხვი თან-და-თან მატულობს აფხაზეთში: ტკვარჩელი და ჯგერდაში - ქვა-ნახშირის, ბედიაში - ვერცხლისა და ტყვიის, მორეკვილაში - საღებავის, ჭილოუში - სპილენ-ძისა, ერთის სიტყვით, მადნები ბევრია და ინჟინერებიც მალ-მალ გვესტუმრებიან ხან ერთის და ხან მეორის დასათვალიერ-შესამოწმებლად. /კ-ი/. (ცნობის ფურცელი, N399, 1897 წელი);

ს. ბაბუშერა (აფხაზეთი)

საქებარი და მისაბაძი საქმე. სოხუმიდგან კოდორისაკენ მეშვიდმეტე ვერსზეა სოფ. ბაბუშერა, რომელიც გუმისტის ნაწილში მდებარეობს რამოდენიმე სხვა სოფლებთან ერთად ბაბუშერაც თავ. გ. დ.-ძე შერვაშიძეს ეკუთვნის; აქ სახლობს ორასზე მეტი კომლი მიწის მოიჯარადრე მეგრელი.

ხუთმეტის წლის წინად ეხლანდელი ბაბუშერა წარმოადგენდა დაბურულ ტყეს, სადაც სხვა-და-სხვა ნადირი უშიშარ თავშესაფარს ადვილად შოულობდა; მაგრამ ამ ხუთმეტის წლის განმავლობაში გონიერმა და შრომის-მოყვარე ადამიანმა ტყე სახნავ-სათეს მინდვრებად აქცია და ნადირის მაგივრად კაცი დაასახლა. ახლა სოფ. ბაბუშერას ყველა კუთხეებიდან მოსაწონი გზები უვლის, ხალხს აქვს სასოფლო სასამართლო და ყველა მოხელე კაცები ჰყავს; მაგრამ ამას მარტო არ დასჯერდნენ დროებით ბაბუშერლები და მოინდომეს სასოფლო სკოლის გახსნა, რის ნება-რთვის გამოტანისათვის მიჰმართეს ქუთაისის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორს; ბ-ნმა დირექტორმა მათი თხოვნა შეიწყნარა და ნება დართო გაეხსნათ ბაბუშერლებს სასოფლო სკოლა. ამავე დროს თავ. გ. დ.-ძე შერვაშიძემ დაუთმო ხალხს უსასყიდლოდ სკოლისათვის ეზოთ და საბაღეთ რვა ქცევა მიწა და საკუთარის ტყიდან ყოველივე მასალა სასწავლებლის შენობისათვის, რისთვისაც ხალხმა დიდი მადლობა შესწირა თავადს.

ბაბუშერლები ძალიან სცდილობენ, რომ მალე მოასწრონ ახალი სახლი სკოლისათვის. ჯერ-ჯერობით კი სექტემბრიდან სწავლა სწარმოებს სოფლის სასამართლოს ერთს განყოფილებაში, სადაც ამ დროებით ორმოცზე მეტი შეგირდები დადიან. 29 ნოემბერს ქუთაისის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორმა დაათვალიერა ეს სკოლა და ბავშვებმა, მიუხედავად იმისა, რომ სწავლა დიდი ხანი არ დაეწყოთ, თითქმის ყველა კითხვებზე შესაფერი პასუხი მისცეს ბ-ნს დირექტორს; რასაკვირველია, ამ გარემოებამ დიდად ასიამოვნა ბ-ნი დირექტორი და კმაყოფილიც წაბრძანდა. ფრიად სასიხარულოა, ამნაირს მივიწყებულსა და სწავლა-განათლებაში ყოვლად ჩამორჩენილს კუთხეს, როგორც აფხაზეთია, რომ ერთი სასოფლო სკოლა მაინც მიემატა, მასთან სხვა სოფლების ხალხთან შედარებით, რომ ბაბუშერლები ადრე გამოფხიზლდნენ და სასწავლებელიც შეიძინეს. დასასრულ ვუსურვებთ ბაბუშერის ახალს სკოლას ბედნიერს მომავალს, რომლითაც თანდათან გაუმჯობესებულიყოს. /ბაძღუ/. (ცნობის ფურცელი, N402, 1897 წელი);

დ. გუდაუთი (აფხაზეთი)

ფოშტა-ტელეგრაფის კანტორის უწესობა. ჩვენი ფოჩთა-ტელეგრაფის კანტორა ძალიან ცუდად ეპყრობა საწყალ მდაბიო ხალხს: აქაო და ხმის შებრუნება არ შეუძლიანთო; ამათთვის არც დროა, არც წეს-რიგი, გარდა კანტორის მოხელეთა ჟინიანობისა. თუ ადრე მოვიდნენ, ადრეაო და კარში აგდებენ; თუ ცოტა გვიან, მაშინ მთლად კინწის კვრით ისტუმრებენ. მაგალითად, ამას წინედ კანტორაში შევიდა ოქ. ბ-ძე. მაშინვე უფროსი კანტორისა მიჰვარდა და ყვირილი დაუწყო. „Пошель вонь отсюда!“ ,,ვონ, ვოონით'' კარში გააგდო! ამ ახლო ხანში კიდევ ასე მოექცნენ ს. ჩ-ლის და მ-ს. შეიძლება ბ. უფროსმა თავი იმართლოს, რომ დრო არ იყოვო. კარგი და პატიოსანი! თუ დრო არ არის, ზრდილობა მაინც მოითხოვს (კანონს ვინ ჩივის!) რომ კაცურად უთხრას: ეხლა დრო არ არის თქო. მეორე: თუ დრო ერთისთვის არის მეორემ რა დააშავა? ნუ თუ სიღარიბეს და უცოდინარობას ყველაფერს შეადარებენ? კანტორას ეს ასეც ესმის, მგონია: როცა, ბ-ძეს კარში აგდებდნენ, ვიღაც მასწავლებელი არხეინად კანტორაში იჯდა, რომლისთვისაც კაცს ხმა არ გაუცია, რასაკვირველია, გასაწყრომად. შემთხვევის დროს კანტორაშივე არხეინად მუსაიფობდნენ მღვდელი და მასწავლებელი. ერთის სიტყვით, ჩვენი კანტორის კარები მუდამ ღიაა ამა მივარდნილ კუთხის მძლავრთათვის, ხოლო უძლურთათვის მუდამ დაკეტილი. სასურველია, ამ არა სასიამოვნო მოვლენას ყურადღება მიექცეს, ვისიც ჯერ არს, და ახსნილ იქმნას, რომ კანტორა საზოგადოებისთვინაა და არა საზოგადოება კანტორისთვისა! /ისევ ის/. (ცნობის ფურცელი, N402, 1897 წელი);

დ. გუდაუთა (აფხაზეთი)

ჩარჩების თავ-გასულობა. როგორც მკითხველებს მოეხსენება, გუდაუთაში საკმაოდ დიდი ბაზარია, დუქნებიც ბევრია და მცხოვრებნიც ბლომად ახლავს; ბედზე სოფლებიც ისეთებია მეზობლად, რომ დიდძალი სანოვაგე, სხვა-და-სხვა ხელ-საქმე და ხილეულობა მოაქვთ ხოლმე გასასყიდად, მაგრამ უბედურება ეს არის, რომ საბრალო სოფლელს ბაზარში არავინ შემოუშვებს: დახვდებიან მოშორებით გზაზე ჩარჩები და ალაჰმა უწყის, რა ოინებითა და ხერხით ნახევარის დასად დასტყუებენ ნაშრომ-ნაღვაწევსა. მერმე-კი ეგ ვაჟბატონები ჩალის ფასად ნაშოვნს საქონელს მამა-სისხლად ჰყიდიან. საბრალო გლეხმა არც-კი იცის, თუ რა ფასი და მაზანდა აქვს ბაზარში მისს ნაშრომ ნადაგს. ამ ჩარჩებმა გაიშენეს რაღაც ფაცხები ტყეში გზის პირად, ვითომ ვვაჭრობთო და გამვლელსა და გამომვლელს ტყავს აძრობენ. სწორედ დარაჯის კარავი გეგონებათ, ის დუქნები რომ ნახოთ!

ერთი შემაძრწუნებელის მაგალითის მოწმე გახლდით მე თითონ: ერთს აფხაზს სოფლიდამ ყველი მოჰქონდა ბაზარში გასასყიდად; ბუჩქებში ჩასაფრებული ერთი პატარა თათრის ბიჭი დაუხვდა, გზა გადაუჭრა და ვაჭრობა დაუწყო; მორიგდნენ და თათრის ბიჭს უნდა მიეცა ამ ყველში გირვანქა ნახევარი შაქარი და სამი გირვანქა საპონი; ჩაიყვანა ბაზარში და ერთის სომხის დუქანში აუწონა ერთი გირვანქა შაქარი (გირვანქა ნახევარის მაგივრად) და ორი გირვანქა საპონი (სამი გირვანქის მაგივრად) და გაისტუმრა უბირი კაცი... ასეთს მაგალითებს ბევრ ჩამოვთვლიდი, მაგრამ თავი რად მოგაწყინოთ, როდესაც უჩემოდაც ყველამ კარგად უწყის, თუ რა მდგომარეობაში არიან დღეს-დღეობით საზოგადოდ სოფლელნი ამ ჩარჩებისაგან. მე მხოლოდ მინდოდა აღმენიშნა, რომ აფხაზეთში ამ წვრილ ჩარჩობამ საოცრად გაიდგა ფესვები, საბრალო გლეხის ნაწარმოებს სრულებით უკარგავენ ფასს და გლეხიც, რასაკვირველია, გულს იცრუებს შრომაზე და ზარმაცდება. ან-კი რა ხალისი უნდა იქონიოს საბრალომ, თუ მისს ნაშრომში მეხუთედს ფასსაც-კი ვერ აიღებ. - ეგ უბედურება დღეს გადამდებ სენად გადაიქცა და ეჭვი არ არის მთავრობა ფიცხელს ზომებს მიიღებს მისდა მოსასპობლად: რაიც მის ზნეობრივსა და კანონიერ მოვალეობას შეადგენს. /კლდე ალექსანდრეს ძე/. (ცნობის ფურცელი, N406, 1897 წელი);

დ. ოჩამჩირე (სამურზაყანო)

დაობლებული ფანრის ბოძი. კარგა ხანია შევჩერებივართ ჩვენს დაბაში ერთს ფანქრის ბოძს, რომელსაც არავინ ყურადღებას არ აქცევს; ადრე პატივში იყო ეგ ბოძი: თითქმის ყოველს საღამოს მოვიდოდა ხოლმე საგანგებოდ დანიშნული კაცი, გადაავლებდა ხელს და თავზე ბრწყინვალე გვირგვინს დასდგამდა, მაგრამ ეს რამოდენიმე ხანია რაც, საუბედუროდ, იმ ბოძის მახლობლად შენობაში ,,აზოვის ზღვაოსნობის საზოგადოების'' კანტორა მოათავსეს და სწორეთ იმ დღიდამ ჩააქრეს იქ ფარანი: დაბის გამგე დეპუტატები გაიძახიან: ფარანი კანტორამ უნდა გაანათოსო! კანტორა რასაკვირველია, არ ჰკისრულობს ფანრის განათებას და ამბობს: ,,ჩვენ თუ სინათლე გვჭირია, გვაქვს კიდეც ფანარიო, იკითხეთ თქვენ, თორემ ჩვენ არა გვიშავს რაო!'' ამასობაში ჩვენ, იმ ქუჩაზე მიმოვალნი კისერს ვიტეხთ სიბნელეში, მით უმეტესს, რომ საზოგადოდ ოჩემჩირის ქუჩებზე დღისითაც კისერს მოიტეხს ადამიანი და ღამით რაღა იქნება, თქვენც მიხვდებით! იმედია, რომ დაბის დეპუტატები ყურადღებას მიაქცევენ ამ გარემოებას და თუ მაინც და მაინც იმ ფანრის განათებას არ ინებებენ ცარიელი ბოძი მაინც მოგვაშორონ ქუჩიდამ, თორემ ზედ შუბლს ვიმტვრევთ ხოლმე. /San-აია/. (ცნობის ფურცელი, N406, 1897 წელი);

დ. სოჩა (აფხაზეთი)

მუდამ ხუმრობაც არ ვარგა. აქ, იმ კვირას სასაცილო ამბავი მოხდა: მოგეხსენებათ, სოჩაში ნაშუადღევის 4 საათიდამ კვირაობით ჰკეტვენ ხოლმე დუქნებს; ნოქრები და ვაჭრები ქუჩა-ქუჩა დაეხეტებიან, რასაკვირველია, უსაქმოდ. იმ დღესაც გამობრძანდნენ ქუჩაზე ორი ნოქარი მეგობარი და დაიწყეს ოცნებებში ცურვა. ერთმა ინატრა: გოჩა, ნეტავი ეხლა ფულს ვიპოვიდეთ!... ნეტავი შენ საქმე არა გაქვსო, ვინ მოგიმზადებდა ქუჩაზე ფულსო? და თან მალულად ამოიღო ჯიბიდამ ფულიანი ქისა (შიგ სამი მანათი იყო) და გააგდო წინ; მერმე ვითომ ნახა, აიღო და ჯიბეში იკრა: ბედნიერი ყოფილხარ, უთხრა მეგობარს, მალე აგისრულდა ნატვრაო!... რას მეუბნები, რამდენია, თუ ღმერთი გრწამს... შენ რა გაწუხებს, რამდენიცაა, იმდენი იყოს, დათვლასაც მოვახერხებ უშენოდ და მოხმარებასაც... - ეეე! ერთი, რომ ეგ ჩემი ნატვრის შედეგია, მერმე, ესეც რომ არ იყოს, ერთად ვნახევით და კანონით ნახევარი მე მერგებაო! ცოტა შეკრთა ჩვენი ოინბაზი და გულწრფელად უთხრა მეგობარს: ღმერთი, რჯული, ხატი დამიფიცნია რომ ვიხუმრე, ეგ ჩემი ქისაა, შიგ სამი მანათია, ისე, ხუმრობით გავაგდე, ვითომდა შენს ნატვრაზე ფული ვნახეთო... ბევრი იდავეს და ბოლოს პოლიციაში ამოჰყვეს თავი ორთავემ. ერთმა დაიჟინა: ღმერთმანი, ფული ჩემია და ვიხუმრეო, მეორეს არა სჯეროდა: რა ამბობ, რას მიედებ-მოედები, იმ ქისაში სამასი მანათი იყო, ეგ ის ქისა არ არის. პრისტავო, გთხოვთ პროტოკოლი შეგვიდგინოთ და საქმე ზაკონის კანონით გათავდესო, რაც დაგვემართება დაგვემართოს! თუ მე დამეკარგება ჩემი წილი, ხაზინა მაინც ნუ იზარალებს, იმას მაინც ერგოს! შედგინეს შესაფერი ოქმი და ვნახოთ რა გამოვა... /კ. სოჩელი/. (ცნობის ფურცელი, N407, 1897 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი)

ცრუ მოწმობა. საზოგადოთ აფხაზეთში და განსაკუთრებით ოჩამჩირეში მეტის მეტად გავრცელებულია ცრუ-მოწმობა. ჩვენს სასამართლოებში მოწმეები, ჩვენდა საუბედუროდ, გაქიჩმაჩებულნი და მომზადებულნი მიდიან ჩვენების მისაცემად. თვით მომჩივან-მოპასუხეს ეკითხებიან გვასწავლეთ, როგორ აჯობებს თქვენთვისაო, როგორი ჩვენება გინდათ მივსცეთ, რომ საქმე მოგაგებინოთო... რასაკვირველია, მომჩივან მოპასუხენი თავიანთს მოწმეებს ამზადებენ, სწვრთნიან ,,მარულში'' (დოღი) გამოსაყვან ცხენსაებრ,

სასამართლოში მისვლამდე კარგა ლაზათიანად გადააკვრევინებენ, ,,სანდო'' პირს ჩააბარებენ მოწმეებისათვის დასარიგებელს ფულს და მივლენ შუბლ-ახსნილნი მსაჯულთან. თუ საქმე მოიგეს მოწმეების წყალობით, მაშინ კარგად გაუმასპინძლდებიან და ,,ხვედრს'' ფულსაც მიართმევენ გარიგებისა დაგვარად, თუ არა და წყევლა-კრულვითა და ლანძღვა-თრევით იხსენიებენ მოწმის მკვდარსა და ცოცხალს და არც რასმე მიაშავებენ... სამწუხარო მოვლენაა ეგა და ნეტავი თუ ვეღირსოთ ოდესმე, რომ ასეთს გახრწნილობას ბოლო მოეღოს.. ბევრი, ძრიელ ბევრი შრომა და მეცადინეობა ჰმართებს ჩვენს ინტელიგენციას, რომ შეძლებისა დაგვარად ძირიანად მოსპოს ეგა და სხვა ბევრი ამისთანა სოფლის დამღუპველი ზნე-ჩვეულებანი.

არ შემიძლიან ამასთანავე არ შევნიშნოთ, რომ ჩვენი სოფლის მამასახლისები საზოგადოდ ვერ ემსახურებიან თავიანთს დანიშნულებას პატიოსნად და სიმართლით. მათის მეოხებით ხშირად მართალი კაცი ეხვევა ბადეში და იღუპება, ხოლო მტყუანნი და ბოროტ-მოქმედნი თავისუფლად ფარფაშებენ. რასაკვირველია ყველა მამასახლისებზე არ მოგახსენებთ, მაგრამ ისეთები ბევრნი არიან, რომ ჯერ ბეჯითად შეუდგებიან რომელისამე ბოროტ-მოქმედების გამოკვლევას და დამნაშავის აღმოჩენას, შეადგენენ შესაფერს ოქმს და სამართალში მისცემენ (ხან მტყუანსა და ხან მართალს, რასაკვირველია,) და საქმე როცა გასამართლებას მიაღწევს, მაშინ თავის ჩვენებასა სცვლიან და კრძალვით მოახსენებენ ხოლმე მსაჯულს: ,,უკაცრავად, ბატონო, შეცდომით შევაყენე ოქმი... ეგ კაცი დამნაშავე არ არის!'' განა ამას მოითხოვს წესი და რიგი? განა საჭირო არ არის, რომ ამ გარემოებას ყურადღება ექმნეს მიქცეული? /ვ. სიმონაშვილი/. (ცნობის ფურცელი, N410, 1897 წელი);

1898 წელი

გაზეთი ,,ივერია''

***

სოხუმი, 26 დეკემბერს, საღამოს საათზედ, ვიღაც ბოროტ-განმზრახველებმა ძმათა ერქომაიშვილების დუქანი გასტეხეს და დიდ-ძალი ოქრო-ვერცხლეულობა წაიღეს, დუქანი გაუქურდავთ ვიღაც სომეხსა და რუსს, რომლებიც ამ ერთის თვის წინად ჩამოვიდნენ სოხუმში. პოლიციამ სომეხი უკვე შეიპყრო და რუსისთვის-კი დღესაც ვერ მიუგნიათ. (ივერია, N2, 1898 წელი);

***

სოხუმის ოლქის, სამურზაყანოს ნაწილის სოფ. მუხურისა და გალის საზოგადოებათა მცხოვრებლებმა განაჩენი შეუდგინეს იმათ, რომელნიც მუდამ დროს ქურდობასა და ავაზაკობაში ატარებდნენ. ამ განაჩენით გაგზავნილ იქმნება ციმბირში: გაჯინი (იგივე იაკობი) დავითის ძე ანთია, პაჯო ჭანტურია და ჯონჯო (იგივე გერასიმე) ძიკიას ძე გვალია. (ივერია, N3, 1898 წელი);

***

სოხუმში ამას წინად ამოარჩიეს ქალაქის ახალი დეპუტატები, რომელთაც გაზ. „კავკასის“ სიტყვით, განაცხადეს, ჩვენ წინა-მოადგილეთ ქალაქის საქმეები ისე აუწეწ-დაუწეწიათ, რომ თვით ალლაჰიც ვერაფერს გაიგებსო. ახლად ამორჩეულ დეპუტატებს აზრად აქვთ თურმე

მიჰმართონ გუბერნატორს და სთხოვონ მოხელე დაჰნიშნეთ ქალაქის საქმეებისა და ძველის დეპუტატების მოქმედების სარევიზიოდაო. (ივერია, N6, 1898 წელი);

სუხუმი

14 იანვარს, ნინოობა დღეს, ადგილობრივმა საზოგადოებამ, რომელსაც აგერ 10 წელიწადია წირვა-ლოცვა დედა-ენაზედ არ მოუსმენია, სთხოვა სასულიერო მთავრობას რომ ნება მოგვეცით ამ დღეს წირვა და პარაკლისი ქართულს ენაზედ გარდავიხადოთო, მაგრამ სუხუმელთა სამწუხაროდ, ეს თხოვნა არ იქმნა შეწყნარებული. ამ გვარად სუხუმმა საქართველოსთვის ღირს შესანიშნავი დღე ჯეროვნად ვერ იდღესასწაულა. (ივერია, N17, 1898 წელი);

წერილი აფხაზეთიდგან
22 იანვარი

მთელი აფხაზეთი, ანუ სოხუმის ოლქი უექიმობით ძალიან შეწუხებულია. მთელი ეს ნაწილი ქუთაისის გუბერნიისა (სოხუმის ოლქში ასი ათასს სულზედ მეტი მცხოვრებია) ავადმყოფობა-გაჭირვების დროს იძულებულია თავი ატყუებინოს მატყუარა და უვიც დედაკაცებს, მკითხავებს და მათდა სასარგებლოდ უკანასკნელი, ოფლით ნაშოვნი „ფარა“ გამოიღოს. ამ მკითხავ-ექიმ დედაკაცების გარდა, აქ დიდს „მოდაშია“ სათათრეთიდგან ლუკმა პურის საძიებრად გადმოხვეწნილი ვითომ-და „მოლები“, რომელნიც, სარგებლობენ რა ხალხის უცოდინრობითა და განუვითარებლობით, ტყავს აძრობენ „რაღაც“ ქაღალდების ნაგლეჯუკებში: მოლები არწმუნებენ აფხაზთ, განურჩევლად სარწმუნოებისა, რომ ჩვენის ფაჰამბერის „მოჰამედის“ სიტყვები ყოველ სნეულების უებარი წამალიაო და სხ. აქ ერთს სნეულს კაცს ვეღარა ჰნახავ, რომ ამათის „აშყუთი“ (წიგნით) გულ-მკერდი არა ჰქონდეს დამშვენებული. მერე ეს უსირცხვილო მოტყუება რა ფასად უჯდებათ! სწორედ, რომ უექიმობით ჯოჯოხეთის ტანჯვაშია აფხაზები!

გული გიწუხთ, სული გიშფოთავსთ. სასოებას ბედნიერის მომავალსას ჰკარგავთ, როცა აფხაზეთის უდაბურ-უღრან ტყეში წყლის პირად ამისთანა სურათს წააწყდებით: ას წლოვან ხეების ჩრდილში მოდუდუნე მთის ღელეს ნაპირზედ შეგროვილა საკმაოდ ბლომა ხალხი, უფროსებითი მამაკაცნი, და დიდის სასოებით თავისს სალოცავს მსხვერპლს სწირავენ, რომ ამით მისი განრისხებული გული მოისყიდონ და შეაბრალონ ლოგინად დავრდომილი, აქავე ცივს მიწაზედ მწოლიარე აფხაზი, რომელიც უვიც მკითხავებისა და მაწანწალა მოლების შთაგონებით ვითომ იმიტომ გახდა ავად, რომ თავისს სალოცავს ჯეროვნად პატივი ვეღარა სცაო. რასაკვირველია, ეს უმსგავსო მსხვერპლის შეწირვა საწყალს ავადმყოფს უმოკლებს უკანასკნელ დღეებს და სიცოცხლეს უსწრაფებს! ხალხის უვიცობით სარგებლობენ მატყუარა მკითხავები და მოლები და საცოდავს ხალხს ცხვრებსავით ჰკრეჭენ. განუვითარებელი, უსწავლელი ხალხიც იმათ გარდა სხვაგან ხსნას და შველას ვეღარ ჰპოვებს და ზღაპრებით იტყუებს თავს; ექიმი არა ჰყავთ და ფერშალი, გონიერი ჭირისუფალი, სწავლა-ცოდნის მადლით დაჯილდოებული, არა მოეპოვებათ. რა ჰქმნან?

მთელს ოლქში ერთად-ერთი ეგრედ წოდებული სასოფლო ექიმია და ორი თუ სამი ფერშალი. განა შეუძლიანთ ამათ რამე დახმარება აღმოუჩინონ ამოდენა საზოგადოებას ავადმყოფობაში, გულით რომ უნდოდეთ მაინც? არა და არა! ამას ექიმ-ფერშალების უგულობა-ზარმაცობაც დაუმატეთ და მაშინ წარმოიდგენთ სრულს სურათს ჩვენის უმწეობისას. ეს ექიმიც ორი-სამი წელიწადია, რაც დანიშნულია სოფელ წყაბას (დრანდის)

„სასოფლო სასნეულო“-ში. სამწუხაროდ, როგორც ექიმი, აგრეთვე სასნეულოს ფერშლები თითქმის არავითარს ყურადღებას არ აქცევენ თავიანთ მოვალეობას: ექიმი ორ თვეში ერთხელ თუ ეჩვენება ავადმყოფთ დრანდაში, თორემ მეტს არა! იმისთვის ქალაქი სოხუმი სჯობნებია დრანდას! ფერშლები? ერთი ბახუსის ზეგავლენით ავადმყოფთ მტკივან კბილის წილ საღს კბილებს აშორებს და მეორე... ამას დავანებოთ თავი. ვიტყვი მხოლოდ, რომ ერთმა ქვრივმა, სოფელ ბაბუშერას მცხოვრებმა, კ-მ, სადაც ჯერ არს თხოვნა მისცა, დამიხსენით მისი სახარებისაგანო.

აქ არ შემიძლიან არ მოვიყვანო შემდეგი მაგალითი: შარშან გაზაფხულზე სოფელ დურიფში ოთხი ოჯახი ამოწყდა სახადის მაგვარ გადამდებ ავადმყოფობით და არავის-კი აზრად არ მოსვლია იმათი დახმარება! ეხლა გუდაუთას ნაწილში ყვავილია გავრცელებული და იმისს წინააღმდეგ არაფერი ღონისძიებაა ხმარებული. წრეულს შემოდგომაზედ გაღმა კალდახვარაში გაჩნდა რაღაც ავადმყოფობა და ბევრიც იმსხვერპლა. მართალია, გვიან მოვიდა ექიმი, მაგრამ იმათთვის მაინც არაფერი შემწეობა მიუცია, „მალარიააო“ და თავი გაიქნია, უბრალო ქინაქინაც არ გამოუწერია.

უფასოდ დახმარებას ექიმისას ვინ სჩივის, რომ ვინც შეძლებს ფეხის ქირა გარდაუხადოს ექიმს, იმათ მაინც აძლევდნენ შემწეობას. მაგალითად, ამას წინედ დაბა გუდაუთაში ერთს მდიდარს ვაჭარს ძმა გაუხდა ავად, მაშინვე დეპეშა გაუგზავნია სოფლის ექიმს არ-ცინს, რომელსაც თავისს მოვალეობად არც-კი უცვნია, რომ ეპასუხა „ვერ მოვალო“. იმისს მოლოდინში სხვა ექიმი ვერ გამოიწერეს, და საწყალი ავადმყოფი საუკუნოდ გამოეთხოვა წუთისოფელს. ამისთანა მაგალითი ბევრია, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ! დროა, ვგონებ ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობას ამ მხრივ ყურადღება მიექცეს. /ჰამუთ-ბეი/. (ივერია, N22, 1898 წელი);

წერილი სოხუმიდგან
22 თებერვალი

ღვთის წინაშე, საიდგან, ან რაზე დავიწყო ეს ჩემი წერილი, არ ვიცი: რომელი ერთი ჩვენის ბედ-უკუღმართ ცხოვრების ჭირ-ვარამი ავღნიშნო? რას მივაქციო მკითხველის ყურადღება? ამდენი ყოველდღიური ჭირ-ვარამი გვაქვს ჩვენ, სოხუმელებს, რომ ერთი უბრალო საგაზეთო წერილში, მათი აღნუსხვა ყოვლად შეუძლებელია. ავღნიშნავ რამდენსამე. გაზეთებიდგან მკითხველმა უკვე უწყის ყოველი ქართველისთვის დიდებულს წმ. ნინოობას ჩვენი, სოხუმელი ქართველობა, მოკლებულნი ვიყავით საქართველოს დიდებული განმანათლებელი სამშობლო ენაზედ გვედიდა და ჩვენი თავი შეგვევედრებინა მაშინ, როდესაც ქალაქ ყაზანში ორიოდე ქართველთათვის ქართულად ამ დღეს სწირა პატივცემულმა მ. ბ. ხელაიამ.

მეორე ჩვენი სულიერი საზრდო-სამკითხველო პირველ იანვრიდგან დაიკეტა, როგორც ამბობენ, დროებით, მე-კი ვგონებ სამუდამოდ. ეს წიგნთ-საცავ-სამკითხველო ერთმა ყმაწვილმა დაგვიარსა, ქართულ-რუსულ წიგნებით დაგვიმშვენა და ჩაგვაბარა, გარნა ჩვენ ვეღარ მოუარეთ და ასე სწრაფად და უმოწყალოდ სიცოცხლე მოვუსპეთ. განა, მკითხველო, სამკითხველოს ყავახანა არა სჯობს? ჩვენ კი ასე ვფიქრობთ, და თქვენ კი რა მოგახსენოთ; ვფიქრობთ და კიდეც ვამტკიცებთ საქმით. სხვა რომ არა იყოს-რა, სირცხვილი მაინცაა, რომ სოხუმმა ერთი სამკითხველო ვეღარ შეინახოს. ახალგაზრდობას მაინც სცხვენოდეს! ეჰ, რას ვბოდავ! რის ახალგაზრდობა, რა ახალგაზრდობა? აქაურ ახალგაზრდობას ახალგაზრდობის სისხლი მაშინ უდუღს და უჩქეფს ძარღვებში, როცა ყოველსავე ჭირის განმქარვებელ ნუნუას სვამს სადმე „მოდნი ბუფეტში“ და ხრინწიანის ხმით შემოსძახებს ხოლმე:

ყანწით ვსვამ ღვინოს

თქვენს სადღეგრძელოს

და გაუმარჯოს

ჩვენს საქართველოს!..

უვიც მედიდურობით ჰფიქრობს თავისს ბიწიერებით აღსავსე გულში: „ეჰ, ესაა საქართველო ვიხსენი უმეცრებისაგან და სკვითთაგანაო!“ აფსუს, უღირსნო შვილნო ღირსეულ მამა-პაპათა!

ეხლა თვით ქალაქის საქმეების შესახებაც ცოტა რამ. მკითხველმა უსათუოდ იცის, რომ ამ ორის წლის წინად ამორჩეული ხმოსნები ჯერაც არ არიან დამტკიცებულნი და ამიტომ ჯერაც ვეღარ ვეღირსენით აქ თვით მმართველობას. ამიტომაც ეხლა ჩვენი ქალაქი მსუქანი სათლელი დუმაა: ვისაც როგორ ემარჯვება, ისე სთლის უკანტროლოდ, უბოდიშოდ. ესეც ერთი ჩვენის უთავობისა და საზოგადო საქმის მიმართ გულგრილობის დამამტკიცებელი საბუთი.

რას ჰხმარდება ქალაქის შემოსავალი, მარტო უფალმა უწყის: ქუჩებზედ მუხლამდე ტალახია, განათებული არ არის ჩვენი ქალაქი; გაჭირვების დროს რაც ძალი და ღონე გაქვთ რო იყვიროთ, მშველელ პოლიციელს ვეღარ ეღირსებით და რას ჰხმარდება მისი ოც-და-თხუთმეტი ათას მანეთიანი შემოსავალი? არ ვიცით.

ეხლა არ იკითხავთ, რა უბედურ მდგომარეობაში არიან ქალაქის მამულებზედ მცხოვრები მოიჯარადრენი. ამათ შესახებ სჯობს ისევ „ახალ-მიმოხილვის“ კორრესპონდენტი ვალაპარაკო (N4823); მისის სიტყვით, ჩვენის ქალაქის მშვენიერი ტყეები ქალაქისთვის სულ უბრალოდ გაიკაფა და ძვირფასი ხე-ტყე სადღაც გაქრა. ამ ტყესაც თავი დავანებოთ: წამხდარს საქმეს ვერას უშველით, მხოლოდ ეს არის სავალალო და სამწუხარო, რომ ბატონი ქალაქის რწმუნებული დიდს გაჭირვებაში აყენებს მოიჯარადრეებს: იგი, მევახშესავით, უცდის იმ დროს, როდესაც შეუძლიან ხელშეკრულობის ძალით რაც შეიძლება მეტი სხვა-და-სხვა ნაირი „პენი“ გარდაახდევინოს. საცოდავ მეიჯარადრეთ მოინდომეს იმისგან თავის ხსნა მაგრამ ვეღარაფერი მოახერხეს. ეხლა ამ მშვენიერ დაფნის ტყეებისას არ იკითხავთ, რომლითაც სოხუმს ერთხელ თავი მოსწონდა? მისი ხსენებაც გაჰქრა ქალაქისათვის უსარგებლოდ ასე, რომ სამის-ოთხის წლის შემდეგ სოხუმის ახლო-მახლო დაფნის ხსენებაც აღარ იქნება. ესეც ექსპლოატაციაა, მა რა ჯანდაბაა! საზოგადოდ ჩვენ, სოხუმელებს, საერთო, არა საპირადო, საქმეებისსათვის არა გვცალიან, მაშინ გვძინავს, გვძინავს საღათას ძილით. ,,იძინეთ, ძმებო, კვნესით, ღრმა ძილით, საკმაოდ გისვამთ, გეტყობათ, ბანგი...'' /ჰამუთ-ბეი/. (ივერია, N48, 1898 წელი);

დ. ოქუმი

ჩვენის ნაწილის უფროსის მხნე და დაუღალავმა შრომა მეცადინეობამ საგრძნობელი ნაყოფი მოუტანა სამურზაყანოს მკვიდრთ. ათი თვე გადის რაც ქურდობა, ძარცვა-გლეჯა მოისპო ჩვენში. დღეს თავის ნებით გამოეცხადა აქაურს პოლიციას დიდი ხნიდან გავარდნილი ყაჩაღი ჭოლარია. ამ ყაჩაღს არა ერთი და ორი ავ-კაცობა ჩაუდენია, შარშან კინაღამ მოჰკლა ჩვენის ნაწილის უფროსად ნამყოფი ბ-ნ ზენჩენკო. ამავე ყაჩაღმა ერთის კვირის უკან გაძარცვა გზაზედ მიმავალი ვაჭრები დგები, წაართვა ორასი მანეთი ფულად და ცხენი უნაგრიანად. რადგანაც პოლიციამ ჭოლარიას ნათესავები თითქმის სუყველანი გაბაწრა, ჭოლარიაც დაჰნებდა მთავრობას.

სოფლიდგან სოფლამდის ყოველგან კეთდება გზატკეცილი და გაცხარებული მუშაობაა. ამ

ჟამად ბ-ნის უფროსის უმთავრესი ყურადღება მიქცეულია სოფლის მძარცველი და ხალხის გონების დამახშობელ მკითხავებისაკენ. იმედია, ბ-ნი უფროსი ამათაც აჰლაგმავს ხალხის საკეთილდღეოდ.

თებერვალში-კი დარები იდგა, მოვიდა მარტი და თავისებური ჭინჭყლი ასტეხა. (ივერია, N56, 1898 წელი);

***

ქ. სოხუმი. 20 მარტს, ღამე, ვიღაც ბოროტ-მოქმედთ გასტეხეს აჭანდარის ეკკლესია და წაიღეს სხვა-და-სხვა საეკკლესიო ნივთები. რამდენიმე შესამოსი ეკკლესიის მახლობლადვე იპოვეს მეორე დღეს. გუდაუთის ნაწილის მცხოვრებლები შუამდგომლობენ სადაც ჯერ არს, რომ გუდაუთში ან ქსენონი იქმნას დაარსებული და ან განსაკუთრებული მკურნალი იქმნას დანიშნულიო. („ახ. მიმ.“) (ივერია, N67, 1898 წელი);

სოხუმი

ერთის ტყის მწარმოებლის საჩივრისა გამო, რომ მარტო იმ დაფნის ტყის გაჩეხვის უფლებაში, რომელიც საჯარო ვაჭრობით 1,000 მან. გაიყიდა, მე 1,200 მან. გადავიხდიო, უკვე მომხდარი ვაჭრობა უკანონოდ იქმნა ცნობილი. საგუბერნიო მთავრობის განარგულებით ხელ-ახლად ვაჭრობა უნდა მომხდარიყო 13 აპრილს, მაგრამ რაღაც გაუგებარ გარემოებათა გამო არ მოხდა. ეხლა უკვე გამოქვეყნდა, რომ ხსენებული ტყე საჯარო ვაჭრობით მიუყიდიათ 24 აპრილს, ვიღაც სარგანიდისათვის 1,205 მან. და ვაჭრობაში სარგანიდის მეტს მონაწილეობა არავის მიუღია. მსურველი-კი ბევრი იყო და ზოგიერთნი მზად იყვნენ 1,500 მანეთი გადაეხადნათ ამ ტყის საყიდლად. ერთმა ამათგანმა უკვე საჩივარი ქაღალდი მიართვა ქუთაისის გუბერნატორს, რომ 24 აპრილს მომხდარი ვაჭრობა უკანონოდ იქმნას ცნობილი, რადგან მონაწილეობის მიმღების მსურველთა გაუგებელად მოხდა ვაჭრობაო. (ივერია, N92, 1898 წელი);

წერილი გუდაუთიდგან
22 აპრილი

ვინც აფხაზთა ცხოვრებას ცოტაოდნად დაჰკვირებია, უსათუოდ შენიშნავდა, რომ უფროსერთ ცუდ მოქმედებათა აფხაზთა სარჩულად აქვს ეგრედ წოდებული „ძალად ქორწინება“. საქმე ის არის, რომ შესისხლ-ხორცებულ ადათის წყალობით, თუ ერთხელ ვაჟსა, ანუ ქალს, ან იმათ დედ-მამას, და-ძმას სიტყვა წასცდა „წაგიყვან, ან წაგყვები ცოლადო“, ან კიდევ „მოგცემ ცოლად“, მაშინ უკან დახევა ყოვლად შეუძლებელია; გინდა, თუ არ გინდა, გიყვარს, თუ გძულს, მაინც უნდა ცოლად მოიყვანო (ანუ წაჰყვე), თუ კი გინდა მშვდობიანად საქმე გარიგდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე უკაცის-სიკვდილოდ არ დაბოლოვდება. ასე გასინჯეთ, შეიძლება ორივე მხარეს არ უნდოდეს შეუღლება, გარნა მარტო „საზოგადოება რას იტყვისო“! - აფხაზეთის ზოგიერთნი თავზე ხელ-აღებულნი სამარცხვინო რაინდნი, იმისა მიუხედავად, სიტყვა მისცა თუ არა ქალმა, თუ ვინმე ქალი მოეწონათ, საზოგადოების ჩვეულებრისამებრ საჯაროდ აცხადებენ: „ესა და ეს ქალი მე დავნიშნეო და არავინ სხვამ აღარ გაბედოსო იმისი შერთვა, თუ-კი მას არ ესურვება სისხლით ამისთვის ჩემს წინაშე პასუხი აგოსო“! აი, მარტო ეს კმარა, რომ ამ ქალს სხვა საქმროები ჩამოეცალნენ. ანდა ვისა სურს თავისი შუბლი მტრის ტყვიას მიუშვიროს? რასაკვირველია, გამბედავებიც ბევრნი გამოჩდებიან ხოლმე და მაშინ საქმეს სულ სამწუხარო შედეგი მოჰყვება. ამისთანა პირობებში ჩაყენებულმა გასათხოვარმა ქალმა ორში ერთი უნდა აირჩიოს: ან სამუდამოდ გათხოვებისაგან ხელი აიღოს, ან არა და

საყვარელს, ძალად მტაცებლებს უნდა გაჰყვეს ცოლად და საუკუნოდ მას შეუერთოს თავისი ცხოვრება. უფროსერთ შემთხვევაში უკანასკნელს არჩევენ ამისთანა გარემოებაში მყოფი ქალიშვილები, რადგანაც დარწმუნებულნი არიან რომ ერთი და ერთი მათი ახლო ნათესავი ამ საქმისა გამო მტრის მახვილით უდროოდ წუთი-სოფელს უნდა მოჰშორდეს! თითქმის ერთს სოფელს აფხაზეთში ვერა ჰნახავ, რომ მშვენიერ აფხაზის ასული გასათხოვარი ქალი არა სჭკნებოდეს მარტო იმისთვის, რომ საძულველ კაცს არ მიჰყვება ცოლად, ეს ვაჟბატონები-კი მთლად თოფ-იარაღში ჩამსხდარნი ქუჩა-ქუჩა უსაქმურად დახეტიალობენ ყველა საქმეს მომცდარნი და ცუდ-კაცობას ეჩვევიან, ვარჯიშობენ. ტყუილად-კი არ ამბობენ გამოცდილნი აბხაზნი, რომ „ქალი არ იყვეს, ავკაცობაც არ იქმნებაო: სულ მის გამო წარმოსდგებაო“! მთავრობა-კი ამ განადგურებულ აფხაზთა ჩვეულებას ყურადღებას არ აქცევს. ეს სულ ერთმა უბედურმა მათქმევინა: 17 აპრილს სოფელ ლიხნს თავისს მამის სახლში თავი მოიკლა სულ ახალგაზრდა ქალიშვილმა, გვარად გაბლიამ, მხოლოდ იმისთვის, რომ ძალად თავის სურვილის წინააღმდეგ არა-საყვარელ კაცს აძლევდნენ ცოლად! ეს მით უფრო შესანიშნავია, რომ თითქმის პირველი მაგალითია აფხაზთა ცხოვრებაში „თავის მოკვლა“. სასურველია, რომ ამ აფხაზთა გამანადგურებელ უმსგავსო ადათს ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს, და მისი ძალა შესუსტებულ იქმნეს. თუკი თხის ქურდი, ვითარცა ქურდი ისჯება კანონიერად, ნუ თუ კაცის სიცოცხლის მპარავი არ უნდა დაისაჯოს? რა ვუყოთ, რომ ადათისა და ჩვეულების ძალით სჩადიან აფხაზნი ამას? აქაო და ადათიაო, ჩვეულებაა და ყურადღება არ მიაქციონ, ეს ვერაფერი საბუთია? განა ქურდობაც ადათი არ არის მთიულთათვის? ყოველი ხალხის ბედნიერების შემაფერხებელი ადათი კანონით უნდა იდევნებოდეს... /ჰამუთ-ბეი/. (ივერია, N93, 1898 წელი);

***

სუხუმის ოლქის გუდავის სოფლის საზოგადოება შუამდგომლობს კავკასიის უმაღლესს მთავრობის წინაშე, რომ ნორმალური სასწავლებელი გააუქმეთ, რადგან აღარ შეგვიძლიან სასკოლო ფული ვიხადოთო. (ივერია, N94, 1898 წელი);

***

სოხუმიდგან სწერენ გაზ. „ახ. მიმ.“, რომ სოხუმის ეპისკოპოსმა, ყოვლად სამღვდელო არსენიმ მოსთხოვა თავის ეპარქიის მღვდლებს წარმომიდგინეთო:

1) იყო თუ არა ეკკლესიაში წირვა ლოცვა?

2) თუ არ იყო რა მიზეზით?

3) რამდენი ქალი და კაცი დაესწრო ლოცვას, ცისკარსა და წირვას.

4) მათ შორის რამდენი ბავშვი იყო, სკოლის მოსწავლეების გარდა?

5) რამდენი მცირეწლოვანი ეზიარა?

6) ცნობები მოსწავლეების შესახებ, დაიარებიან ეკკლესიაში, თუ არა?

7) თვეში რამდენჯერ გარდაახდევინეს მღვდელს პანაშვიდი, პარაკლისი და წირვა?

8) უთქვამს თუ არა ეკკლესიაში მღვდელს ქადაგება და თუ უთქვამს, თავისი თხზულება იყო, თუ სხვისი.

ყველა ეს ცნობა მღვდლებმა წელიწადში ორჯერ უნდა წარმოუდგინონ ეპისკოპოსს. (ივერია, N99, 1898 წელი);

სოხუმი

ადგილობრივის საპატიმროს საავადმყოფოს გამგე მკურნალის მეცადინეობით მეტად იქმნა შემცირებული სახადით ავადმყოფთა რიცხვი პატიმართა შორის, მაგრამ სუსტმა თვალ-ყურის გდებამ ხელ-ახლად გაავრცელა ეს ავადმყოფობა საპატიმროში. 1-7 მაისამდის 9 პატიმარი გახდა ავად შავის სახადით. გახდა სახადითვე ავად საპატიმროს მეთვალყურე და ის ბერი, რომელიც თვეში 15 მან. უვლიდა ავადმყოფთ. (ახ. მიმ.) (ივერია, N101, 1898 წელი);

სოხუმი

ღამის დარაჯთ: პატარაიამ, კორტუამ და გეგენეიშვილმა საჩივარი მიართვეს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს, რომ შექეიფიანებულმა ბოქაულმა ზავოროტნიმ ღამე კარგა ლაზათიანად მიგვბეგვა ყველანიო. გუბერნატორის განკარგულებისამებრ ადგილობრივი პოლიცმეისტერი ამ ჟამად ცნობებსა ჰკრებს ამ საქმის შესახებ. (ივერია, N101, 1898 წელი);

***

ამ ჟამად ქ. სოხუმში კრება აქვს სოხუმის ეპარქიის სამღვდელოებას. კრებას, სხვათა შორის, განსახილველად წარედგინება ის, თუ რა მონაწილეობა უნდა მიიღოს სოხუმის სამღვდელოებამ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის შენახვის საქმეში. (ივერია, N112, 1898 წელი);

ქ. სოხუმი

28 მაისს უნდა შემდგარიყო კრება სოხუმის ეპარქიის სამღვდელოებისა, მაგრამ მღვდელთა საკმაო რიცხვის მოუსვლელობისა გამო კრება არ შესდგა. ხელ-ახლად კრება გამართულ იქმნება 28 ივნისს სოხუმშივე.

30 მაისს დამთავრდა ადგილობრივის დედათა პროგიმნაზიის მოსწავლეთა გამოცდა. სწავლა დაამთავრა 10 მოსწავლემ, რომელთაგან 8 ქართველია, 1 რუსი და 1 სომეხი. 1 ივნისს ტიფლისს გამოემგზავრა ეპისკოპოსი არსენი, რომელიც ჰნახავს საქართველოს ექსარხოსს ფლაბიანეს და ტიფლისში დაჰყოფს თითქმის ერთ კვირას.

პირველ ივნისსავე სოხუმიდგან გაემგზავრა რაჭის მაზრის შაორის მინდორზედ დასაბანაკებლად ადგილობრივი რაზმი. ამათ მაგიერ აქ ჩამოვიდა ორი როტა ტენგინსკის რაზმისა („ახ. მიმ“). (ივერია, N121, 1898 წელი);

***

13 ივლისს ქ. სოხუმში საჯაროდ ჩამორჩობილ იქმნა ცნობილი ყაჩაღი მამსირ-აბრაგ-იპა გამისონია, რომელმაც სოხუმის ოლქის გუდაუთის ნაწილის უფროსი პორუჩნიკი ჩიქოვანი დასჭრა. (ივერია, N157, 1898 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი)

31 ივლისს ქ-ნ არ-ას და გ-ას თაოსნობით გამართულ იქმნა „საცეკვაო საღამო“. საღამომ ვერაფრად ასიამოვნა დამსწრენი. არც სიმღერა იყო და არც რისამე წარმოდგენა. მხოლოდ გამოვიდა ორი პატარა ბავშვი და ერთმა მათგანმა წაიკითხა რუსულად კრილოვის არაკი: „Волкь изь льсу вь деревню забьжаль“ და მეორე „Ворона и лисица“. ბუფეტი გაემართა ერთს

მიკიტანს, რომელიც ყველაფერს მამასისხლად ჰყიდდა: მაგალითად, ბოთლი ლიმონადი 1 მ. ფასობდა. საზოგადოება გულ-ნატკენი დარჩა. ამ საღამოს 1 რიგის ბილეთი 2 მ. და 50 კ. იყიდებოდა. ყველაზედ სამწუხარო ის არის, რომ ბილეთებს როცა ჰყიდნენ, ამბობდნენ, ერთის ღარიბის სტუდენტის სასარგებლოდ არისო. (ივერია, N168, 1898 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი)

2 აგვისტოს სცენის მოყვარეთ საქველმოქმედო აზრით ქართულ-რუსული წარმოდგენა გამართეს. წარმოდგენილი იყო ქართულად ა. ცაგარლის 2 მოქ. კომედია - „ბაიყუში“ და გ. ერისთავის 1 მოქმ. – „უჩინ-მაჩინის ქუდი“. რუსულად: „Сорокь тысячь“ და „Не вь свои сани не садись“. მონაწილეობას ღებულობდნენ: ქ-ნნი მაკრინე და მაშო თურქიები და რეზნიკოვებისა. ბ-ნნი კ. აბაშიძე, ა. ჩაჩავა, გ. კერესელიძე, გ. კაჭარავა, გ. მახარაძე, კ. გვასალია და ნ. მდივანი. წარმოდგენამ მხიარულად ჩაიარა და მეტად ნასიამოვნები საზოგადოება ღამის 2 საათზე დაიშალა. წარმოდგენა მ. ჩხენკელის და ერთის ღარიბის გიმნაზიის მოწაფის სასარგებლოდ იყო დადგმული.

დიდი მადლობის ღირსნი არიან, როგორც ყველა მოთამაშენი, აგრეთვე პ. პ. ზაიცევი, აგენტი ხომალდთა საზოგადოებისა, რომელმაც ხელოვნურად მოაწყო სცენა, მასწავლებელი ნ. ლადარია და დ. გვასალია, როგორც გამგე და მეცადინე წარმოდგენის კარგად მოწყობისათვის. შემოსავალი 100 მან. იყო. (ივერია, N170, 1898 წელი);

***

პარასკევს, 21 აგვისტოს, რუსეთის საზოგადოების გემით მოვიდა ბათუმში გუდაუთიდგან ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე გენერალ-მაიორი ა. ა. სამოილოვი და შაბათს დილით ამიერ-კავკასიის რკინის გზით გაემგზავრა ქუთაისს. (ივერია, N182, 1898 წელი);

***

სოხუმიდგან სწერენ გაზ. „ახ. მიმ.“-ს; „გენერალ ლეიტენანტის ქვრივის კნ. აღათია შერვაშიძის იმ შუამდგომლობის პასუხად, რომ სოხუმის საკათედრო ტაძარში წირვა-ლოცვა ქართულს ენაზედ სრულდებოდესო, მისმა მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობამ საქართველოს ექსარხოსმა წინადადება მისცა სოხუმის ეპისკოპოსს არსენის, შეწყნარებულ იქმნას რამდენადაც კი შესაძლებელია კნ. შერვაშიძის შუამდგომლობაო. (ივერია, N192, 1898 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი)

31 აგვისტოს გავისტუმრეთ ოჩამჩირედგან ქუთაისისკენ ბლაღოჩინი მ. ი. კერესელიძე, რომელიც 16 წელიწადს ემსახურებოდა, როგორც ყველასათვის საყვარელი და კეთილი მოძღვარი, ოჩამჩირის საზოგადოებას, ხოლო აფხაზეთის ეპარქიას - 28 წ. მამა იოანნეს და იმის ძვირფასის ოჯახობის მოშორებამ დიდად გული დაუთუთქა ოჩამჩირელ მკვიდრთ. საზოგადოებამ გამოსათხოვარი სადილი გაუმართა 30 აგვისტოს და, უღრმელის პატივის ცემის ნიშნად, მაცხოვრის ხატი მიართვა საჩუქრად. სამღვდელოებას ცალკე ჰქონია გამოწერილი ჯვარი მამა იოანნესთვის მისართმევად, მაგრამ დროზედ ვერ მოუსწრო. მეორე დღეს საზოგადოება გამოეთხოვა და მამა იოანნე ქუთაისისკენ გაისტუმრა... მან

თავის ახალგაზრდობა აფხაზეთის ეპარქიას შესწირა და არც უნაყოფოდ ჩაუვლია იმისს შრომას. სადაც ყოფილა, ყველგან სიყვარული დაუმსახურებია. მამა კერესელიძე დიდხანს იყო მისიონერად აფხაზეთის მივარდნილს კუთხეებში, მხოლოდ 1882 წ. ოჩამჩირეში იქნა გადმოყვანილი ბლაღოჩინად. ვისურვებთ, რომ მამა იოანნეს ახალს სამწყსოშიაც ისეთივე სიყვარული და თანაგრძნობა დაემსახურნოს, როგორც დაბა ოჩამჩირეში დაიმსახურა. (ივერია, N200, 1898 წელი);

წერილი აფხაზეთიდგან

ზამთარი მომავალია და აფხაზეთის გზებზედ სიარული გაძნელდება. არც ერთი რიგიანი გზა არ მოიპოვება აფხაზეთში. სოხუმ-ზუგდიდის გზა-ტკეცილი, რომლის გაყვანა ამ ხუთის წლის წინად დაიწყეს, ჯერ არ დაუმთავრებიათ. ამ გზაზედ სოხუმისა და ოჩამჩირეს შუა წინად ეტლები დადიოდა, მაგრამ გზის უვარგისობის გამო სიარული მოისპო. ვერც სამურზაყანო დაიქადებს კარგის გზებით. მოიჯარადრეების წყალობით იქაურს მდინარეებზედ ხიდებს ერთობ მოკლე ვადიანი სიცოცხლე აქვს და შემდეგ მიმსვლელ-მომსვლელნი დიდს გასაჭირში სცვივიან. მდინარე ღალიძგაზედ აგერ ხუთი წელიწადია ხიდს ორივე თავი მომპალი აქვს და იმისს გაკეთებას, არ იქმნა, ვერ ვეღირსეთ, რის გამოც ბევრი დატვირთული ურემი ჩაატარა ზღვისაკენ ამ მდინარემ. თუ გაკეთებას არ უპირებენ, ურიგო არ იქმნება, ეს ხიდი დაშალონ და ან გაჰყიდონ და ან მასალად შეინახონ, თორემ, იმის გარდა, რომ იგი ტყუილუბრალოდ ლპება, გამვლელ-გამომვლელნიც ხელს არ აკლებენ, ვინ ფიცარს იპარავს და ვინ რკინებს. ყველაზედ უფრო ჯოჯოხეთური გზა ილორსა და ოჩამჩირეს შუაა, სახელდობრ - „სუნაშინ“. ამ გზას გადასახვევი არსად აქვს და გინდა თუ არა, მთელი ერთის ვერსტის მანძილზედ კისრამდე ტალახში უნდა იარო. ამ ადგილას ბევრჯელ დააყარეს უფროსების თვალსაჩინოდ ქვა-კენჭი, მაგრამ პირველმა მოსულმა წვიმამ ქვესკნელში გაატარა იგი. შარშან უგანათლებულესი პეტრე ალექ. გრუზინსკი მობრძანდა აქ და, სხვათა შორის, ეს გზაც დაათვალიერა. იმ დროსთვის ამ ადგილას სიმინდის ჩალა ჩაჰყარეს და ზედ კენჭი-ქვა დააყარეს, მაგრამ სულ რამდენიმე დღე იყო ასე ლამაზი ეს გზა და წვიმის შემდეგ წინანდელზედ უარესი გახდა. სრული იმედი გვაქვს, რომ დაუღალავი და მხნე კოდორის განყოფილების უფროსი ამ გზას ყურადღებას მიაქცევს.

აქ ისედაც ჭაობიანი და ნოტიო ადგილებია და ხშირმა წვიმებმა კიდევ უფრო გაანახევრა სიმინდის მოსავალი. ღვინოს შარშანდელის ნახევარსაც არ მოველით, რადგან წარსულმა ზამთარმა ერთობ დააზიანა ვაზები. შარშან ამ დროს ფუთი მაჭარი ჰფასობდა 20-40 კ., ეხლა-კი - მანეთი და მანეთ ნახევარი; მაგრამ ეს კია, რომ წლევანდელი მაჭარი გაცილებით სჯობია შარშანდელს.

წინათ მოსვენება არა გვქონდა ქურდობისაგან, ეხლა-კი ათასში ერთხელ თუ გავიგონებთ - ცხენი დაიკარგა, ანუ ხარიო. ამ მხრივ საზოგადოებამ ცოტა მოისვენა და თავისუფლად ამოისუნთქა, რისთვისაც დიდი მადლობელი ვართ სამურზაყანოს განყოფილების მხნე უფროსისა.

აფხაზები არ მისდევენ არც მეაბრეშუმეობას, არც მეჯოგეობას და არც მეფუტკრეობას. სოფელს ილორში საოცარი ცრუ მორწმუნეობა არსებობს აბრეშუმის მოყვანის შესახებ, იქ ხალხი დარწმუნებულია, რომ აბრეშუმის ჭია თუ დავისვით, წმინდა გიორგი გაგვირისხდება და დაგვხოცავსო. ილორის ეკკლესიის მღვდელმა მამა პ. ხელაიამ იქნება როგორმე დააჯეროს თავისი მრევლი, რომ წმ. გიორგის ესიამოვნება ყოველი კეთილი საქმე და, სხვათა შორის, აბრეშუმის მოყვანაც, თორემ ამისთვის როგორ განრისხდება. /კონდ. გვასალია/. (ივერია, N216, 1898 წელი);

***

შვეიცელ ერთს ამხანაგობას აზრად აქვს სოხუმის მახლობლად გააშენოს „პრობკის“ ხე, ხოლო შემდეგ გაჰმართოს იქ ქარხანა. ამ გვარი ქარხანა პირველი იქმნება რუსეთში. (ივერია, N217, 1898 წელი);

წერილი დ. ოჩამჩირედგან
4 ოქტომბერი

მგონია საქართველოს არც ერთს სხვა ნაწილში წოდების გარჩევა ისეთი მძლავრი და თავის ძალაში არ არის, როგორც აქ - აფხაზეთშია. აფხაზობა დღესაც არაოფიციალურად, შინაურულად, განიყოფება ხუთ წოდებად, რომელთა არევა, აფხაზის აზრით, მომა-კვდინებელი ცოდვაა, გარდა ქვემოთ ჩამოთვლილ პირველ ორ წოდებისა, რომელნიც ერთმანეთს, მაინც და მაინც, არ ეუბნებიან უარს, აზნაური თავადიშვილის ქალს თხოულობს, ან აზნაურის ქალიშვილი თავადიშვილს მიჰყვება ცოლად. აი ეს წოდებანიც:

1) ათავად (თავადი)

2) აამისთა (აზნაური)

3) აშნაყმა (შინაყმა?) შუა წოდებაა გლეხსა და აზნაურს შუა

4) ანხავუ (მცხოვრები გლეხი)

5) ატვ, ანუ ახუვი (ყმა).

თუმცა მთავრობამ უკანასკნელი სამი წოდება შეაერთა და მონათლა „Крестьянинь”-ად, მაგრამ აფხაზს ეს მაინც არ სჯერა და ყოველს საშუალებას ჰხმარობს ზევითი, უფროსი წოდება არ შეერიოს ქვევითს, უმცროსს წოდებას. ამისთვის კაცის კვლასაც არ დაერიდება, ოღონდ მისს წოდებას, გვარს ჩირქი ნუ მოეცხება. ამ გარემოებას-კი აფხაზის ცხოვრებაში დიდი ზარალი მოაქვს, მისს წინ მსვლელობას აფერხებს, აჩერებს. მოვიყვან რამდენსამე მაგალითს, რომ მკითხველს, შეძლებისადაგვარად, ნათლად წარმოუდგინო აფხაზთა წოდებების ერთ-ურთ შორისი დამოკიდებულება.

ამ გაზაფხულზედ სოფელ ტამში მცხოვრებს აშნაყმას, გვარად გაბლიას, მოეწონა და შეუყვარდა, თავისის განსაცვიფრებელის სილამაზის გამო, მეზობელ გლეხის ანჟას ქალიშვილი და, იცოდა რა, რომ ამ მეუღლურის კავშირის წინააღმდეგნი იქნებოდნენ როგორც თავისნი ნათესავნი, აგრეთვე ქალისა, მოიტაცა და შეირთო. აშნაყმა გაბლიებმა ეს იუკადრისეს, როგორ თუ გლეხის ქალი შეირთო ცოლადო და მთელი გვარი გამოლანძღაო, ჩირქი მოსცხოვო, და გვარის გამლანძღველ გაბლიას წინადადება მისცეს, ან ცოლს გაეყარეო, ანა და ჩვენის გვარისა, ჩვენის ძმობისაგან ხელი აიღეო. ამან ყურადღება არ მიაქცია იმათს მუქარას. მაშინ გაბლიებმა შეჰკრეს პირობა ერთმანეთს შორის, არავინ გვარის გამლანძღველი გაბლია სახლში არ მიიღოს, მოკვდეს-არ იტიროს, ლხინში თუ ჭირში არ წაეკაროს, არ დაელაპარკოს და სხვა და სხვა. საცოდავს, ყოვლად უდანაშაულო ქალსაც დაუწყეს დევნა და ლანძღვა-გინება, ვითარც მიზეზს გვარის გამოლანძღვისა. საცოდავი განრისხული გაბლია, როგორც მკვდარი, ისე დადიოდა თურმე. მოწმეების ჩვენებით, „ნაცნობი იმას ვეღარ იცნობდაო, სულიერად ძალიან იტანჯებოდაო“. აქ ადვილი არაა ცოლს კაცი გაეყაროს; აფხაზის ადათით, ცოლის გაყრა სიკვდილით შეიძლება. როგორც საქმიდგანა სჩანს, გაბლიამ სიყვარულს, საყვარელ არსებას ისევ გვარი ამჯობინა და საცოდავი ქალი ივნისის პირველ რიცხვებში თავისსავე ფაცხაში ჩამომრჩვალი ნახეს. პოლიციამ მაშინვე დააპატიმრა ქმარი, ვითარცა ცოლის მკვლელი, და საქმე, სადაც ჯერ

არს, სწარმოებს. ამ უბედურებაში საქმე ის-კი არ არის, ქალმა თვითონ დაირჩო თავი, თუ ქმარმა დაარჩო, ორსავე შემთხვევაში მკვლელია უგუნური ჩვეულება და ამ ჩვეულების დამცველნი, დარაჯნი. ასე თუ ისე, მშვენიერი აფხაზის ასული უდროო-დროს წუთისოფელს გამოასალმეს.

მეორე ამის მსგავსი შემთხვევა მოხდა ამ გაზაფხულზედ სოფელ აძვიბჟაში. ერთს გლეხის ქალიშვილს შეუყვარდა ნაყმევის შვილი, მშვენიერი ვაჟ-კაცი აფხაზი და მალულად ცოლად წაჰყვა. არ ვიცი, ქალის ჭირისუფლებს იმდენი გამბედაობა არ ჰქონდათ თუ სხვა მოფიქრებით, კაცის კვლას (სიძის მოკვლას) და სხვა გვარ შურისძიებას თავი დაანებეს და ეკკლესიაში ერთმანეთს შეჰფიცეს, თავისს სიცოცხლეში ჩვენი შემრცხვენელი ქალი არც სახლში მიუშვათ და არცა ვნახოთო, რომ მოკვდეს არ ვიტიროთო; და ჩვენს ტირილზედაც ნუ გავატარებთო. შეიძლება მკითხველმა გაიკვირვოს, მღვდელმა ამისთანა უგუნურის ფიცის ნება როგორ მისცაო, მეც მიკვირს, მაგრამ ასე კია! ამას არ დასჯერდნენ ქალის ჭირისუფალნი და მიჰმართეს თავისთანა წმინდა გლეხებს და მოახსენეს: „ჩვენმა ქალიშვილმა ასე შეგვარცხვინა და ეს შერცხვენა თქვენც მიგაჩნიათ თქვენის თავის შერცხვენად, ვითარცა ჩვენი ძმები და ამხანაგები წოდებით, თუ არაო?“ გლეხთა წოდებამ ეს თავის შეურაცხყოფად მიიღო და დაადგინა შინაური განაჩენი: მთელის წოდების შემარცხვენელი ნაყმევის შვილი არავითარს საზოგადო ყრილობაში, ლხინსა თუ ჭირში, არავინ არ მიიღოსო და დაევალოს თავის ადგილ-მამულიდგან აიბარგოს და სადმე შორს ეწერში დასახლდესო; ვინც წოდებას პატივსა სცემს, იმან თავის სახლში არ მიიღოს და სხვა. ეს ბერძნების „ასტრაკიზმის“ განმეორება არ არის აფხაზეთში?

აი, ამისთანა ცხოვრების წინსვლის შემაფერხებელ და უკან დამწევს ჩვეულებებს უნდა მიაქციონ სასტიკი ყურადღება ჩვენის ცხოვრების გამგეთ და ყოველი ღონე იღონონ მისის ცხოვრებიდგან აღმოსაფხვრელად, შესასუსტებლად მაინც. გარნა, ჩვენდა საუბედუროდ, არავინ ამის გამო ყურსაც არ იბერტყავს!

ჩვენში ეხლა ქურდობის ხსენებაც არ არის სამურზაყანოს ნაწილის უფროსის წყალობით. ბ-ნმა ლისოვსკიმ (სამურზაყანოს უფროსმა) ნათლად დაგვანახვა, რომ თუ პოლიციამ მოინდომა, ქურდობის მოსპობა ადვილი ყოფილა. მართლაც, პოეტის არ იყოს, „იქ რა უნდა ავაზაკებს, სადაც არის პოლიცია?“ წრეულს ჩვენკენ სიმინდს არა უშავს-რა, ხოლო ღვინის მოსავალი ძალიან ნაკლებია.

7 ენკენისთვეს სოფ. აძვიბჟაში საშინელი სეტყვა მოვიდა და მოსავალი ძლიერ გააფუჭა.

თვით ჩვენის დაბისა რა მოგახსენოთ: უპატრონოდაა დაგდებული! არავინ მისთვის არ ზრუნავს და დაბაში საშინელი უსუფთაობაა: ქუჩა ქუჩას არა ჰგავს, „ბულვარი“ – „ბულვარს“ და სხვა. შეიძლება იკითხოთ, რას აკეთებენო ოჩამჩირელნი? რასა და ან თავისს კერძო საქმეებს, ან ერთმანეთის ცილის წამებასა და ბეზღობაში არიან.

აქ ახლად გადმოიყვანეს ბლაღოჩინად მამა დიმიტრი მარღანია. მამა დიმიტრი მარღანია წარმომადგენელია იმ ახალგაზრდა აფხაზთა ჯგუფისა, რომელნიც სულითა და გულით მოწადინებულნი არიან არ მოისპოს ძველებური კავშირი აფხაზთა და ქართველთა შორის. იმედია, მამა დიმიტრი თავისს ძალ-ღონეს არ დაიშურებს და ემსახურება ოჩამჩირელთა კეთილდღეობას. აქ იმდენი გასაკეთებელი საქმეა, რომ ჩამოთვლაც მეჭირვება. აი, ამ საქმეებს, სხვა ჩვენის დაბის გონიერ წარმომადგენელებთან ერთად, მოჰკიდებს მ. მარღანია ხელს და სასურველად დაასრულებს, რამდენადაც ეს იმისაგან იქმნება დამოკიდებული და შეძლება ექნება. /ჰამუთ-ბეი/. (ივერია, N218, 1898 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბები)

დ. ოჩამჩირე. მე ცოდვილს არა მგონია, რომ თვით დიდებულ პარიჟში იმდენი საქმე ხდებოდეს, რამდენიც ამ ჩვენს ოჩამჩირეში! ამას ისიც დაუმატეთ, რომ აქ, ოჩამჩირეში, კეთილის საქმის ქმნა სირცხვილია და რასაც ჩავდივართ, ყველა საუგოა, და მაშინ მიხვდებით, რა გესლი და შხამი ტრიალებს ოჩამჩირელთ შორის! მაგრამ.... რა მაგრამ? „შიში ვერ იხსნის სიკვდილსაო“, ნათქვამია, და მეც ხომ ოჩამჩირელთ გესლისაგან მაინც ვერ ვიხსნი თავს და ვერა! მაშ ისევ, არა თქმასა, სიმართლის თქმა გამჯობინოთ და თუ, ანდაზის არ იყოს, ცხენი შესაკაზმად დაგვირჩა... დეე, დაგვირჩეს.

აქ ძმა ძმაზედ აღზდგა, მამა შვილზედ და ერთ კაი-უშველებელს ჩხუბსა და დავიდარაბაში არიან. ერთი ამტყუნებს მეორეს, რომ შენ აშორდისტი ხარო, უკეთ, ახალ-მოდის აშორდიზმის ქარიშხალ-ბორიზმის მამა მთავარი ხარო. (ქარიშხალ-ბორიზმი აქ ახალი ტერმინია) ბორისტი-კი გაიძახის, არამცა და არამც ოჩამჩირელმა ქართველებმა არ გაჰბედოთ ქართულად ლაპარაკი, არც ქართული წაიკითხოთ: გქონდეთ შიში და რიდი ჩემის გესლისა და შხამისაო! მესამე იმას ჰყვირის და მეოთხე კიდევ სხვას. რას არ გაიგონებს ცოდვილის ადამიანი ყური აქ: მაგალითად, ამას წინად აქ ერთს, ვითომდა, ყრილობას დავესწარი: უნდოდათ ინტერნაციონალური სამკითხველო-წიგნთ-საცავი დაეარსებინათ. წამოდგა, უკაცრავად, აბძანდა ჩვენის დაბის სახელი და დიდება და კეთილი ინება ბრძანება გაეცა: მე ნებას გრთავთ გამოიწეროთ ყველა ენაზე ჟურნალ-გაზეთები და სხვა. აქ ამ სიტყვებით ნუგეშ-ცემულმა ერთმა ქართველმა გაჰბედა ეკითხა: ქართული გაზეთები, ან ჟურნალები რამდენი გამოვიწეროთო? სსუ! ხმა გაიკმინდეო! აქეთ იქიდგან შემოესმა საწყალს, - ბატონი არ გააჯავროო. მაგრამ დახეთ ბედს: ბატონი კი არ გაჯავრებულა, არამედ გულ-ლმობიერად ბრძანა, ერთს გაზეთს გამოიწერთ, მხოლოდ ამაში რაც გიჩვენოთ, თქვენ ის წაიკითხეთო. და აქ მოჰყვა აღმა-დაღმა ლაპარაკს, რატომ არ ეკითხვით ოჩამჩირელთ ქართულად რამე და სხვა და სხვა! ამ უკუღმართობის გაგონებაზე მოვარდა კეტით მეორე ბანაკის მეთაური და... ესეც მაგალითად კმარა, მკითხველო, ვგონებ.

აი, საზოგადოდ და კეთილის საქმის გაკეთების მაგიერ ჩვენ ერთურთის ლანძღვაში, ერთურთის შესახებ, „დონოსების“ წერაში ვათენ-ვაღამებთ ჩვენს დროს, იმ დროს, რომელიც ინგლისელთა აზრით ფულზედ უძვირესია! საბრალო ფოსტის მოხელენი დიდს ტანჯვაში არიან: ვეღარ ასდიან მოწინააღმდეგეთა დონოსების გზავნას! საცოდავნო ოჩამჩირელნო! თქვენთა წარმომადგენელთ თქვენი სარგებლობა დაივიწყეს, დაივიწყეს ქალაქი, სკოლა, სამკითხველო, ქვრივ-ობოლნი და ერთურთს ეძგერნენ, ვითა პოეტის მამლაყინწანი და ის კი დაავიწყდათ, რომ

ვით მამალი სხვის მამალსა

დაჰმტერდეს და წაეკიდოს.

მას სცემოს და თვით იცემოს,

დაქოჩროს და დაეკიდოს,-

რა ორივე დაღალულნი

ძაღლმა ჰნახოს, პირი ჰკიდოს!!

ჰო, დაავიწყდათ ყოველი თავისი კეთილი საქმე, და „ძმა ძმასა არ ჰზოგავს, მამა შვილს; მოყვარე მოყვრის მტერია“, „იჩაგრებიან საწყლები“. თვით დაბა კი საცოდავ მდგომარეობაშია: აქაურ ქუჩაზე გავლა ყოვლად შეუძლებელია! მწვირსა და ტალახს ვინღა ჰჩივის! საქმე ის არის,

რომ ქუჩაზე რომა მიბრძანდები, ერთიანად მხედრად უნდა გადაიქცეთ, თუ არ გინდათ უპატრონო პირუტყვთაგან მწარედ ვნებულ იქმნეთ: არც იცით რის უნდა გეშინოდეს, გურულის კვანტის, იმერულის წიხლის, თუ მშიერ ძაღლისა! უპატრონო ვართ მიგდებულნი ოჩამჩირელნი!....

იცით, მკითხველო, ჩვენი ოჩამჩირე ისეთ უნუგეშო მდგომარეობაში როდი ყოფილა ამ სამი-ოთხი წლის წინად, როგორშიაც ეხლა იმყოფება! მაგრამ, აი დალახვროს ღმერთმან, აქ ჩამოგვისახლდა ერთი ენა-გესლიანი ვაჟბატონი, რომელსაც თურმე არც ღვიძილში, არც ძილში მოსვენებას არ აძლევდა ბ. აშორდიას დიდება და აკი არ მოინდომა თითონაც აშორდიობა, უკეთ აშორდიზმის ახალი, უფრო მძლავრის შტოს შექმნა! ეს-კი როდი უფიქრია-აშორდიათ, ახალ აშორდიად, თუ იშორდიათ გახდომისთვის გენიოსობაა საჭირო! და რომ წაიბორძიკა, მაშინ, მაღლა-მაღლა აცოცვისთვის „დიდთა უკმია, სხვათ არა, და იქადაგა, წესია, რომ დიდმა ჰყლაპოს პატარა!“ აი, ამ დონკიხოტის წინააღმდეგ ბრძოლაში ვათენ-ვაღამებთ! /მა კორექ/. (ივერია, N231, 1898 წელი);

***

სოხუმიდგან სწერენ „ახ. მიმ.“-ს: „25 ოქტომბერს, ნაშუადღევის 2 საათზედ, 10 შეიარაღებული ბოროტ-მოქმედი თავად გ. დ. შერვაშიძის მამულების გამგეს მიხეილ თოფურიძის სახლს დაეცნენ. ქურდები თოფურიძის სადგომში შევარდნენ და მოსთხოვეს თვით თოფურიძეს ფული, მაგრამ რადგან უარი მიიღეს, დასჭრეს იგი და იმის მეუღლე, შემდეგ 800 მანეთი ფულად წაიღეს და წავიდნენ. იმ ქუჩაზედ, რომელზედაც თოფურიძე სცხოვრობს, არც ერთი პოლიციელი არ აღმოჩნდა. პოლიცია მხოლოდ დილაზედ მოვიდა და ოქმი შეადგინა“. (ივერია, N233, 1898 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბები)

დ. გუდაუთი. სწორედ დიდს შეწუხებაში ვართ ჩვენ, გუდაუთელნი გუდაუთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უკუღმართობისაგან. ამ კანტორაში კაცი რას არ გაიგონებს და რა ლანძღვა-გინებას არ ეღირსება, მაგალითად, კინწის კვრით და „Пошель вонь“-ით გამოაგდეს კანტორიდგან ბ-ნნი ოქ. ბუაძე, ს. ჩ-ღლი, მ. χ-შია და ბ-ვი ყოვლად უდანაშაულოდ: აქაო და ეხლა დრო არ არისო. აქ ისიც უნდა დავუმატოთ, რომ როცა ამათ აგდებდნენ, კანტორაში არხეინად მუსაიფობდნენ მასწავლებელი, ფერშალი და მღვდელი. თუ დრო არ არის, რატომ კაცურად არ ეტყვიან, დრო არ არისო; ან თუ ერთისთვის (მღვდელისა, თუნდა მასწავლებლისათვის) დრო არის, რატომ ბ. ბ-ძესთვის, ან ბ-ვის არ არის? ამას შემდეგ დაუმატეთ, ამ უკანასკნელ დრომდე, ასე თუ ისე, კორრესპოდენციას მაინც იძლეოდნენ საღამოობით რვა-ცხრა საათამდის. ეხლა ესეც მოგვისპეს, რის გამოც დიდს გაჭირვებაში ვართ. საქმე ის არის, რომ გუდაუთელნი, მოწყვეტილნი ვართ დანარჩენ ქვეყნიერობას და მასთან მხოლოდ ჟურნალ-გაზეთებით და მიწერ-მოწერით გვქონდა კავშირი და ეს კავშირიც ეხლა გაგვიძნელეს: აქ ხომალდი ბათომიდგან მოდის 6-7 საათზედ (საღამოს) კვირაში ზაფხულობთ სამχელ, ზამთრობით კი-ორχელ. როგორც აქამდის იძლეოდნენ კანტორაში 8-9 საათამდე წერილებს, ისე რო ეძლიათ, შეგვეძლო კიდევ მიგვეღო წერილი იმავე ღამეს, გვეპასუხა და საქმე გაგვეკეთებინა. ეხლა ეს საშუალებაც მოგვისპეს. ამას ისიც დაუმატეთ, რომ თუ კვირა საღამოსვე, ასე თუ ისე, არ გავეცით ჩვენს წერილებზედ პასუხი, უნდა შემდეგ პარასკევისთვის ვუცადოთ ხომალდს, რადგანაც პარასკევამდის ხომალდი არ მოდის. სასურველია, ამ ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობას ყურადღება მიაქციონ. /ისევ ის/. (ივერია, N234, 1898 წელი);

***

სოხუმიდგან სწრენგაზ. „ახ. მიმ.“-სმიხეილ თოფურიძის გაძარცვის და დაჭრის დაწვრილებით ამბავს. ბოროტ-მომქმედებს წაუღიათ 760 მანეთი ფულად და 2,500 მანეთის ძვირფასი ნივთები (ოქროს საათი, ვერცხლის ქამარი, ხანჯალი და სხვა). კასსა, სადაც 10,000 მანეთი ყოფილა შენახული, ბოროტ-განმზრახველთ ვერ უპოვნიათ. როგორც თვით თოფურიძეს განუცხადებია, ქურდები სხვა და სხვა ენაზედ ლაპარაკობდნენ თურმე - ოსმალურსა, ბერძნულსა, რუსულსა და ქართულზედ. თოფურიძე შვიდ ადგილას დაუჭრიათ, მათში ორი ჭრილობა, მძიმეა. დაუჭრიათ აგრეთვე თოფურიძის მოსამსახურე კაკუჩია, სამს ადგილს - თავსა, ხელსა და გვერდში. ამის მიუხედავად, ექიმის სიტყვით, არც თოფურიძეს და არც კაკუჩიას საშიშო არაფერი მოელის. 26 ოქტომბერს, იმავე გაზეთის სიტყვით, სოხუმში ერთს მუშას, კ.-ს, მოუკლავს თავისი ამხანაგი მუშავე. მკვლელი დაუპატიმრებიათ. (ივერია, N236, 1898 წელი);

წერილი ოჩამჩირედგან
(ოჩამჩირის ორ-კლასიან სასწავლებლის მდგომარეობა უწინ და ეხლა)

1883-84 წწ. ოჩამჩირელ საზოგადოებამ თ. ჩ-ა და ს. თ-იას თაოსნობით, სოფ. ილორისა და ბესლახუბას დახმარებით, ააშენა სამინისტრო სასწავლებლისთვის შენობა, რომელიც 7000 მან. დაჯდა. საზოგადოება სასწავლებლის შესანახად იხდიდა ყოველ-წლობით 1000 მან. და 200 მან-კერძოთ თ. ჩ-ა. დანარჩენს ხარჯს მთავრობა ჰკისრულობდა. პირველად სასწავლებელი ერთ კლასიანი იყო 4 განყოფილებით. სასწავლებლის აშენებაში ვისაც მონაწილეობა ჰქონდა მიღებული, სწავლის ფულს ის არ იხდიდა. პირველად ამ სასწავლებელში მასწავლებლად იყო თომა ეშიბაია, რომელიც სულითა და გულით ეკიდებოდა თავისს საქმეს. სასწავლებელში ასწავლიდნენ მაშინ: სამღრთო ისტორიას, რუსულ ენას, ანგარიშს, მართლ-წერას; მეოთხე განყოფილებაში მოსწავლე გაიცნობდა რუსეთის ისტორიას და დედამიწის ხუთის ნაწილის სახელს. კურსი ამით თავდებოდა.

ბ-ნ ეშიბაიამ დიდი ღვაწლი დასდო სასწავლებელს; მან სწავლა შეაყვარა არამც თუ პატარა ბავშვებს, რომლებსაც მშობლები იოლად იმეტებდნენ, არამედ 18-20 წლის ჭაბუკთაც, რომელნიც ხშირად ოჯახის ბურჯს შეადგენენ. ეშიბაიამ შემოიღო საღამოობით სწავლება. საღამოს 7 საათზე მოსწავლეები კვლავ იკრიბებოდნენ სასწავლებელში, სადაც სწავლა-მეცადინეობა გრძელდებოდა ღამის 10 საათამდე. ამგვარად ბ-ნ ეშიბაიას დღე და ღამე მოსვენება არა ჰქონდა და მისი მოწაფეებიც საუკეთესონი იყვნენ. ეს იქიდგანა სჩანს, რომ ოჩამჩირის სასწავლებლის მესამე განყოფილების მოწაფეები სოხუმის სამთო სასწავლებლის 1 კლასში იჭერდნენ ეგზამენს, რაც დიდს სიყოჩაღეს ნიშნავს. საზოგადოება ბ-ნ ეშიბაიას შრომას მხოლოდ ერთს წუნსა სდებდა: მისმა მოწაფეებმა ქართული არ იცოდნენ. საზოგადოებამ ამ ნაკლის გასწორება მთავრობას სთხოვა. ამ დროს კიდევაც გადაიყვანეს პატივცემული თომა ეშიბაია წალენჯიხის სასწავლებლის ზედამხედველად; ხოლო მის ადგილას კი ლ. ხ-ძე იქმნა დანიშნული, ხონის საოსტატო სემინარიაში კურს დამთავრებული, რომელიც დიდხანს არ დარჩენილა ოჩამჩირეში, რადგან მალე გადავიდა ქუთაისში უკეთესს ადგილზედ. ბ-ნ ზ-ძის შემდეგ ხსენებულ სკოლის უფროს მასწავლებლად დანიშნულ იქნა ბორის ხორავა, სამურზაყანოს მკვიდრი შვილი. ბ-ნმა ხორავამ რამდენიმე ცვლილება შემოიღო სასწავლებელში. მაგალითად, სასწავლებელმა საბაღე ადგილი შეიძინა; ბაღოსნობის მასწავლებელი დაინიშნა და მოსწავლეთ შეძლება მიეცათ ბაღოსნობა ისწავლონ. სასწავლებელმა რამდენიმე ქცევა მიწაც შეიძინა. ამასთანავე გარეგნობითაც გამშვენიერდა სასწავლებელი: თავ. კ. ე-რის დახმარებით წინანდელზედ უკეთესი აივანი გაკეთდა, 200 მანეთამდე ღირებული და სხ. მაგრამ, სამწუხაროდ უნდა ავღნიშნოთ,

რომ სწავლის საქმე უკან თუ არა, წინ არ წავიდა ამ სასწავლებელში. წინად თუ მესამე განყოფილების მოწაფეები სოხუმის სამთო სასწავლებლის 1 კლასში იჭერდნენ ეგზამენს, ეხლა ისინიც ძლივს შედიან იმავე პირველ კლასში, რომელთაც სრულად დაამთავრეს სწავლა ოჩემჩირის ორ-კლასიანს სასწავლებელში და დანარჩენებს მოსამზადებელ კლასებშიაც უჭირთ შესვლა. გარდა ამისა მოწაფეთა რიცხვი საშინლად შემცირდა. ეხლა იმის ნახევარიც აღარ არის სასწავლებელში, რაც ბ-ნ ეშიბაიას დროს იყო. საზოგადოება სასწავლებლის საჭიროებას გულ-ცივად ეკიდება. თვით ბ-ნ ხორავა უმეტეს ნაწილად მგზავრობაშია: ხან სოხუმში დადის, ხან ქუთაისში და ხან კიდევ სხვაგან. აი, აგერ ათი დღე იქნება, სად წავიდა, არავინ იცის. მართალია, ამბობენ - ნიკოლაევკაში (მოლდავანების სოფელია სოხუმის ოლქში) გადაიყვანეს მასწავლებლად, მის ადგილზედ ოჩამჩირეში სხვა მასწავლებელია დანიშნული ბ-ნი კუგატოვიო, მაგრამ ვისგან ჩაიბაროს საქმეები ამ უკანასკნელმა? მასთანვე არავინ იცის, ხორავას დროს რამდენი იყო გარეშე სოფლიდგან მოსწავლენი, რას იხდიდნენ და ვინ სარგებლობდა ამ ფულით. /ხორაშელი/. (ივერია, N236, 1898 წელი);

***

სოხუმიდგან სწერენ გაზ. „კავკას“-ს სოხუმის საეპარქიო კანცელარიამ მიიღო უწმ. სინოდის ბრძანება იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა იქმნას შესრულებული წირვა-ლოცვა სოხუმის ეპარქიის სხვა-და-სხვა მრევლში. ამ ბრძანების ძალით იმ მრევლებში, სადაც რუსები სცხოვრობენ, წირვა-ლოცვა სლავიანურს ენაზედ უნდა იქმნას შესრულებული, სადაც აფხაზები სცხოვრობენ-სლავიანურს ენაზედ არ არის გადათარგმნილი საეკკლესიო წიგნები. მხოლოდ ლოცვებს გადასთარგმნიან და წაიკითხავენ აფხაზურს ენაზედ. იმ სოფლებში-კი, სადაც მეგრელები სცხოვრობენ, უწმ. სინოდმა საჭიროდ სცნო, რომ წირვა-ლოცვა ქართულს ენაზე იქმნას შესრულებული. (ივერია, N244, 1898 წელი);

***

სოხუმიდგან სწერენ „ჩერნ. ვ.“-ს, რომ 7 ნოემბერს ღამე, ვიღაც ბოროტ-გამზრახველთა აქ მართლმადიდებელთა ეკკლესია გაჰქურდესო. ქურდები ეკკლესიის გუმბათზედ ასულან, იქ ფანჯარა გაუტეხიათ და თოკით ერთი თავის ამხანაგი ჩაუშვიათ შიგ ეკკლესიაში. ამ უკანასკნელს გაუტეხია საკურთხეველში ფულის ყუთი და წაუღია იქიდგან 350 მანეთი. ქურდები ჯერ არ აღმოუჩენიათ. (ივერია, N245, 1898 წელი);

***

გუდაუთიდგან სწერენ „ახ. მიმ.“-ს: აფხაზეთის თავად-აზნაურობის იმ ნაწილისთვის, რომელიც რუსეთ ოსმალეთის უკანასკნელ ომის დროს ოსმალეთში გადასახლდა და მერე უკანვე დაბრუნდა, დღემდის არ მიუზომიათ სანადელო მიწები, თუმცა ამის შესახებ მათ არა ერთხელ და ორჯელ აღძრეს შუამდგომლობა. ამა წლის გაზაფხულს ხსენებულ თავად აზნაურთ ხელ-ახლა აღძრეს შუამდგომლობა კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე და ვგონებთ ეხლა მათი თხოვნა შესრულებულ იქმნება: ამ დღეებში იყო აქ მთავარ მართებლის საგანგებო საქმეთა მოხელე თავ. მამატოვი ამ თავად აზნაურთა შესახებ ცნობების მოსაკრებად და აგრეთვე იმის გამოსარკვევად, რამდენია თავისუფალი ადგილი გუდაუთის ნაწილში. (ივერია, N257, 1898 წელი);

მთავარი განკარგულებანი

ებოძა სოხუმის ოლქის გუდაუთის ნაწილის უფროსს პორუჩიკს ჩიქოვანს - შტაბს-კაპიტნობა.

დანიშნულ იქმნენ: კავკასიის სამხედრო ოლქის ჯართა უფროსის განკარგულებაში მყოფი

გენერალ-ლეიტენანტი შალიკოვი-ვილენის სამხედრო ოლქის ჯართა უფროსის განკარგულებაში; ვეიდენბაუმი - ტფილისის გლეხის საქმეთა საკრებულოს წევრების საქმის მწარმოებლად.

გადაყვანილ იქმნა ლენქორანის მომრიგებელი მოსამართლე მამულაიშვილი - ბაქოს მაზრის მომრიგებელ მოსამართლედ.

დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან თავისსავე თხოვნით, ბალატის ზასტავოს უფროსის თანაშემწე კოლიაშვილი. (ივერია, N260, 1898 წელი);

წერილი აფხაზეთიდგან
6 დეკემბერი

როგორც გაზეთებში უკვე იყო დაბეჭდილი, სოხუმის ოლქში მცხოვრებ მეგრელ-ქართველობას ამიერიდგან ეძლევა უფლება წირვა-ლოცვა ქართულად, სამშობლო ენაზედ მოისმინონ. ვგონებ ეხლა შეუძლიან მკითხველს საკმაოდ გაითვალისწინოს ის სიხარული, ის აღტაცება, რა სიხარულ-აღტაცებაც გამოიწვია აქაურ ქართველ მცხოვრებთ შორის უწმიდესის სინოდის სამართლიანმა ბრძანებამ. უეჭველია, ზნეობრივის მხრივ დიდს და თვალსაჩინო ნაყოფ გამოიღებს ეს განკარგულება. ამიტომაცაა, რომ სამართლიანმა განკარგულებამ უწმინდესის სინოდისამ უზომოდ გაგვახარა. როგორც მკითხველს ეხსომება, სოხუმის ქართველობამ არა ერთხელ მოინდომა თავისი საკუთარი საყდარი აეშენებინა, მაგრამ აქამდის არ ხერხდებოდა. დღეს-კი უწ. სინოდის განკარგულების გამო იმედია, ამ საქმის მოთავენი ხელ-ახლა გულმოდგინედ შეუდგებიან და სასურველად განახორციელებენ ამ საშვილი-შვილო საქმეს. დროა აქაურმა ქართველობამ გამოიღვიძოს, გარდა თავისის პირად საქმეებისა, საზოგადო საქმესაც ერთად, თანხმობით მოჰკიდოს ხელი, გულგრილობა, ზარმაცობა საზოგადო საქმეში აწ მაინც მოიშოროს თავიდგან და დანარჩენ ქართველთ აჩვენოს, რომ ისიც ქართველია გულით, საქმით და არა უაზრო სიტყვით! ჩვენ, სოხუმელთათვის, აგრეთვე საჭიროა ქართული სამრევლო სკოლაც. /ჰამუთ-ბეი/. (ივერია, N273, 1898 წელი);

1898 წელი

გაზეთი ,,ცნობის ფურცელი''

სოხუმი. წირვა და პანაშვიდი ერეკლე მეორის სულის მოსახსენებლად

11 იანვარს სოხუმის საკრებულო ტაძარში გადახდილ იყო წირვა და პანაშვიდი საქართველოს დიდებულის მეფე-გმირის ერეკლე II სულის მოსახსენებლად. მწირველი ბრძანდებოდა დეკანოზი დავ. მაჭავარიანი თავმსახურებითა ტაძრის კრებულისა. წირვის გათავების შემდეგ მამა დეკანოზმა შეკრებილ საზოგადოებას ქართულად მოუთხრო ცხოვრება ჩვენის სახელოვან მეფისა და მისი მნიშვნელობა საქართველოს კეთილდღეობისათვის. დასასრულ, მადლობა შესწირა საზოგადოებას სულმნათის მეფის ხსოვნის პატივდებისათვის. მამა დეკანოზმა რუსის საზოგადოებას მოკლედ გააცნო მეფე ერეკლეს ვინაობა, რის შემდეგ გადახდილ იყო პანაშვიდი. საზოგადოება საკმაოდ დაესწრო. სხვათა შორის დაესწრნენ თთ. შარვაშიძენი და კ. დადიშკელიანი. (ცნობის ფურცელი, N426, 1898 წელი);

სოხუმი. იაპონიის ხურმა

სოხუმმა შარშან კავკასიის საბაღოსნო გამოფენაზე, სხვათა შორის, აქ მოწეულ იაპონიის ხურმის ნაყოფით გაითქვა სახელი. ყველას ძალიან მოეწონა და თითო ნაყოფი 15-20 კაპ. იყიდებოდა. აქ მოწეული ხურმა პეტერბურგშიაც გაჰგზავნეს აქედან წარსულ ქრისტეშობისთვეში. იქ ,,მებაღეობის საზოგადოებაში'' ბ-ნ ნ. შმერლინგს დამსწრე საზოგადოებისათვის უჩვენებია და ყველას, თურმე, მოეწონა. (ცნობის ფურცელი, N426, 1898 წელი);

სოხუმი. სასანიტარო ახალშენი

სამიწათმოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში, როგორც ვიცით, შესდგა კომისია, რომელსაც უნდა შეემუშავნა პროექტი შესახებ დაწესებისა ჩრდილოეთ რუსეთში სამოსწავლო სასანიტარო სამეურნეო ახალშენისა. ამ პროექტის თანახმად, ხსენებულს ახალშენს აზრადა აქვს სუსტ აგებულების და სიმრთელის ყმაწვილ კაცებს განსაკუთრებით პრაკტიკულად შეასწავლოს ზოგიერთი დარგი მეურნეობისა. თანაც ისეთ პირობებში უნდა იყვნენ ყმაწვილი კაცები, რომ არც ტანის სიმრთელე დაიჩაგროს მათი და გონიერადაც განვითარდნენ. ამ ახალშენში მიიღებენ ახალგაზდა კაცებს 12-დან 16 წლამდე. უნდა გათავებული ჰქონდესთ ორკლასიანი სასოფლო სკოლის კურსი. ახალშენში მიიღებენ სრულს ხარჯზე და დაჰყოფენ იქამდე, სანამ არ მოვლენ ჯანზე და სანამ ერთს ან რამდენიმე დარგს არ შეისწავლიან პრაკტიკულად მეურნეობისას. მაგრამ ეს-კია, რომ ხუთ წელიწადზე ზევით ვერ დარჩებიან ახალშენში. პრაკტიკულ სწავლასთან ერთად ყმაწვილებს თეორიულადაც ასწავლიან შემდეგს საგნებს: მოკლე ჰიგიენას, პირველ დაწყებით ცნობებს ბუნების მეტყველებისას და მიწის მზომელობისას, ხატვას, აგრეთვე სპეციალურ საგნებს 1 ხარისხის სამეურნეო სკოლების პროგრამით. სკოლასთან გახსნილი იქმნება; საბაღოსნო, საბოსტნო და სავენახო განყოფილება. ასწავლიან აბრეშუმის ჭიის მოვლა მოშენებას, მეფუტკრეობას, დურგლობას და სხვა ხელობებს, გამოანგარიშებულია, ყოველ წლიურად ამ ახალშენს დასჭირდება 34,000 მანეთი. ჯერ გადაწყვეტილი არ არის, სად დააარსონ ეს ახალშენი. ამ ჟამად სამიწათმოქმედო სამინისტრო ცნობებსა კრებს სხვა და სხვა ადგილების შესახებ. ჩვენის აზრით სოხუმი ამისთვის ზედ გამოჭრილი იქმნება, ჯერ ერთი ისეთი ჰავა, როგორიც სოხუმშია თვით ნიცაშიც არ არის. აქაური ბუნების სიმდიდრე ხომ ყველას აკვირვებს. მიწაც შეიძლება ქალაქმა უსასყიდლოდ დაუთმოს ახალშენს. (ცნობის ფურცელი, N430, 1898 წელი);

დრანდა (აფხაზეთი). ქუჩა-ქუჩა მაწანწალები და გადმოხვეწილები

ეს რამდენიმე ხანი არის აქეთ სამათხოვროთ დადიან სომხები. მათხოვრობის მიზეზათ ყველა გიჩვენებთ მარჯვენა ხელს, რომელიც მაჯაში მოუღუნავთ და თითებიც საშინლად დაკვანჩხული აქვთ, ასთე რომ, პირველს შეხვედრაზედ, რაც უნდა გულქვავი და შეუბრალებელი ადამიანი შეხვდეს, არ შეიძლება, დიდი გულმტკივნულება არ აღმოუჩინოს ამ საცოდავ „ქოსატყუილა“ და მართლა ზნეობით დამახინჯებულს გაიძვერებს. ერთი ამისთანა გაიძვერა სომეხი ამ დღეებში შემოვიდა ჩემთან და სამოწყალო მთხოვა; თანაც ხელი საშინლათ დაკვანჩხა და მეორე ხელით იკავებდა. ეს ოსტატობა მას ჩემთან მეტად გადაჭარბებული მოუვიდა, რადგან ჰფიქრობდა, აქ მეტს მომცემენო. მე ეჭვში შევედი და ხელი გავუსინჯე. სომეხმა კი ხელი უკან წაიღო და შემომტირა: „მდგივა, ბადონო, მდგივა“-ო, მაგრამ, როდესაც ძალა დავატანე, თვითვე აღიარა თავისი ცუღლუტობა და ხელიც გამართა და მაჩვენა. რაკი ამ სომეხს გაიძვერაობა თავს დაატყდა, შეშინდა და ჩემ წინ პირქვე დამხობილმა მოტევება მთხოვა. ორი ამხანაგი ამ გაიძვერასი კიდევ გარეთ იცდიდნენ

და, თურმე, ისინიც აგრე ატყუებდნენ ხალხს. მე რომ ისინიც გამომეცადნა, ამ სომეხს, ერთი კაპეიკი მივეცი და დავავალე ისინიც შემოეგზავნა ჩემთან. თვალები გაუბრწყინდა და მითხრა, ისინიც ჩემსავით სტყუიანო და ორივე ჩემთან შამოგზავნა. მე იმათაც ხელი გავუსინχე და ორივენი სრული χან-საღი აღმოჩნდნენ. როდესაც გამოვკითხე მიზეზი ამ ნაირი გაიძვერობისა, პირდაპირ და სინიდისის დაუკითხავათ აღიარეს, რომ, როდესაც კარგი ტაროსია და თბილა ვმუშაობთო და ახლა ამ თოვლ-ყინვაში მეტი რა გავაკეთოთ? უბედური ქმნილებაა სწორეთ ამისთანა ხალხი ჩემის აზრით და ცუდი დასასრულიც უნდა ელოდეს მისს მომავალს. ამ ნაირი მაწანწალა სომხები ბევრნი დაძრწიან აქეთ და საჭიროა აქაურმა ადმინისტრაციამ ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას და ამ თვალთ-მაქც-მატყუარა არამზადებს აღუკრძალოს ხალხის მოტყუება, თორემ გაχავრებულმა ხალხმა ვაი თუ „კულტუროსანთ“ ცემა ტყეპა დაუწყოს!.. (ცნობის ფურცელი, N433, 1898 წელი);

ს. დრანდა (აფხაზეთი). ცრუმორწმუნეობის საზარელი შედეგი

მარჩიელობას აქაურ მცხოვრებთა შორის კარგი ნიადაგი აქვს გაკეთებული და მაგარი ფესვებიც გაუდგამს. რასაკვირველია, ამ სამწუხარო მოვლენას მეტად ხელს უწყობს ის გარემოება, რომ სწავლა-განათლების მხრივ ეს მხარე საზოგადოდ ძლიერ დაქვეითებულია და უცოდინარი სოფლელი ადვილად სტყუვდება მარჩიელთა ენის ლაქლაქით. იყო შემთხვევა, რომ მკურნალმა წამალი გამოუწერა ავადმყოფს, მაგრამ ავადმყოფის ნათესავები მაინც მარჩიელს დაეკითხნენ: ვაძლიოთ თუ არა ეს წამალი ავადმყოფსაო; მარჩიელმაც, რომ თავისი ძლიერება არ დაჰკარგოდა, აღუკრძალა წამლის მიღება. ამნაირად, ფილტვების ანთებიანი ავადმყოფი ერთს დღე და ღამე უწამლოდ დარჩა და როდესაც უკანასკნელს წამში ჩადგა ფეხი, მხოლოდ მაშინ გაახსენეს წამლები და ასვეს, მაგრამ გვიან-ღა იყო... ახალგაზრდა ვაჟკაცმა უდროოდ განუტევა სული! სასურველია, ამ მოვლენას ყურადღება მიაქციოს აქაურმა მღვდელმა და აუხსნას ხალხს: - რა არის კარგი და რა არის ცუდი. ქადაგებით და მამობრივის რჩევით ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს და ეს დიდი სამსახურია ხალხისთვის. /Humanus/. (ცნობის ფურცელი, N434, 1898 წელი);

სოხუმი. სამართლიანი გოდება

გაზ. „ნოვ. ობოზ.“-სა სწერენ სოხუმიდან, რომ სოხუმელები თითქმის ათი წელიწადია, რაც მოკლებულნი არიან ბედნიერებას მოისმინონ ხოლმე წირვა-ლოცვა მათთვის გასაგებ ქართულს ენაზედაო; 14 იანვარს, საქართველოს განმანათლებლის წმ. ნინოს დღესასწაულის დღეს მიჰმართეს თხოვნით საპატრიარქო მთავრობას, რომ ამ დღეს მაინც ეწირათ ქართულად, მაგრამ საუბედუროდ ეგ მათი სამართლიანი თხოვნა უყურადღებოდ დასტოვესო და ამის გამო სოხუმელებს აღარ უდღესასწაულნიათ ის დღე, რომელსაც ასე სასოებით ეკიდება მთელი საქართველოო. (ცნობის ფურცელი, N436, 1898 წელი)

სოხუმი. ქალის მოტაცება

სოხუმშიაც შემოვიდა წესად ქალის მოტაცება. ერთმა აქაურმა შეძლებულმა მემამულემ ალ. ჭი-ამ ამაზე წინად მოიტაცა ერთის სოხუმელისავე ვაჭრის ქალი და მას დღეს აქეთია მშობლებმა დაკარგულის ქალის არაფერი იციან. მომტაცებელი ცოლიანია და ცოლი გაცხარებით დაეძებს თავის გაქცეულს ქმარს და მისს სატრფოს. (ცნობის ფურცელი, N438, 1898 წელი);

სოხუმი. საშინელი ღელვა ზღვისა და მისი შედეგი

16 იანვარს ზღვა საშინლად აღელდა. მძვინვარე ზღვის ტალღების ხმა ქუხილისავით ისმოდა ქალაქსა და არემარეში. 17 იანვარს დილის 9 საათზე ზღვის ტალღებმა ნავთსადგურში მდგარი ერთი ერთდირეკიანი სანდალი და ორიც უდირეკო ნავი, ღუზით გაჩერებული ზღვაში, მოიტაცა და შიგ მჯდომ მენავეებითურთ სანაპიროსკენ გამოაქანა. მენავეთ იმედი გადაწყვეტილი ჰქონდათ. ტალღები ნაპირას მიახეთქებს ნავებს და ჩვენს დაგვახრჩობსო. სამივე ნავი ჯარის კაცების ყაზარმებისაკენ წამოიღო ზღვამ. აქ ჯარისკაცები გამოცვივდნენ, იშოვეს თოკები და მოემზადნენ საშველად. ბედზე სამივე ნავი ისე გააგდო ნაპირას, რომ მენავეებს არაფერი დაშავებიათ. ერთდირეკიანი ნავი ანაკლიელ ხე-ტყის მწარმოებლის მარკოზ ანთაძესი ყოფილა. მენავეებათ მეგრელები უსხდნენ. სოხუმში ფიცრები მოუტანიათ, კიდეც დაუცლიათ ნავი და კიდეც წამოესწროთ ღელვა. ორი დანარჩენი ნავი ერთი ლაზებისაა და მეორე ბერძენისა. სამსავე ნავს ქვედა ნაწილი აქვს გახეთქილი, მარკოზ ანთაძეს ნავს ღუზა დაჰკარგვია და საზოგადოდ ოც-ოც და ათ თუმნის ზარალი. მოუვიდა მენავე მეგრელი ამბობდა: „ოცი წელიწადია, ბატონო, რეიზად (მენავეთა უფროსადა) ვარ და ასეთი უბედური ზღვა არ მინახავსო. ღმერთმა გადამარჩინა, თორემ გადარჩენის იმედი არა მქონდაო“. ზღვამ გააფუჭა, სხვათა შორის, აქაური ბულვარი.

დიდი თოვლი. სოხუმელებს ჯერ არ ახსოვთ ასეთი დიდი ზამთარი, როგორიც წლეულს იყო სოხუმში. ჯერ იყო და საშინელი ყინვები დაიჭირა და რაც რამ თფილის ქვეყნის მცენარეები იყო, უმეტესი მათგანი ძალზე დააზიარა, ზოგი სულ გაახმო. დაზიანდა ნორჩი ევკალიპტუსები და ლიმონ-ფორთოხლები. 17 იანვარს 1/2 ალაბი თოვლი დასდო შიგ სოხუმში, ხოლო სოხუმს გარედ ორი ალაბისა და მეტის სიმაღლე თოვლი იდო დედამიწაზე. ხელმოკლე ხალხი ძალიან შეავიწროვა. შეშა ერთი ოთხკუთხედი მხარი ადრე რო 12-12 მანეთი ღირდა, ამ დიდ თოვლობაში საშინლად გაძვირდა, ოთხკუთხედ მხარს 24-30 მანეთად აფასებდნენ და ისიც არ იშოვებოდა, რადგან გზა შეიკრა და მეურმებს სოფლებიდან ვეღარ შემოჰქონდათ. შეშასთან ერთად გაძვირდა ფქვილი. ერთი ქილა ფქვილი 80-90 კაპეიკი ფასობდა. ავდრებისაგან აქაური ქუჩები გაუვალი გახდა. ტალახი ქუჩებზე მუხლებამდე დგას. (ცნობის ფურცელი, N439, 1898 წელი);

ოჩამჩირე (აფხაზეთი). ავდრები და ზღვის გაფუჭება

თორმეტ ამ თვის აქით ჯერ ფოსტა არ მიუღიათ ჩვენს დაბაში არც რუსეთიდან და არც ტფილისიდან. თორმეტ ამ თვიდან ზღვამ რომ ღელვა დაიწყო, მას აქეთ არ შეწყნარებულა და ამიტომ გემები თვალითაც არ გვინახავს, მეტის მეტად გაფუჭდა ზღვა და სწორედ ამისთანა ღელვა ჯერ არ ყოფილა ჩვენში და არც ბევრს ახსოვთ. 16 ამ თვეს, ნაშუაღამევს ორ საათზე ისეთი მძლავრი ქარი ამოვარდა ზღვიდან, რომ შიშით არავის სძინებია იმ ღამეს. 12 იანვარს რომ დაიწყო თოვა, არ გადაუღია დღემდე კიდევაც ერთ საჟენზე მეტი თოვლი დასდო.

სიმინდის და ხორაგის ფასი. წრეულს სიმინდის ფასი ჯერ-ჯერობით ვერაფერია, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ცოტ-ცოტა ფასიც აიწევს; ჩვენი იმედი ჩვეულებრივ უცხოეთია, სადაც შარშანაც დიდ-ძალი სიმინდი გაზიდეს აქედან. ჩვენში ღორის ხორცი იყიდება 1 მ. 90 კ. - 10. ფუთი. ნოვოროსიიდან მოვიდა ერთი რუსი და ამ ფასად ყიდულობს კიდეც და გზავნის ნოვოროსიაში ყოველ მიმავალ გემით, მაგრამ რა გამოვიდა, ეხლა ეს სიკეთეც მოგვესპო, რადგან, როგორც ზემოდ იყო ნათქვამი გემები ვერ შემოდიან ოჩამჩირეში გაფუჭებული გემების გამო. /ივანე სანაია/. (ცნობის ფურცელი, N440, 1898 წელი);

სოხუმის ხმოსნების საქმე

აგერ ორი წელიწადია, რაც სოხუმის საბჭოში ხმოსნები ამოირჩიეს, მაგრამ მათი დამტკიცება აღარ იქნა. ეხლა, თურმე სოხუმელებს ბ-ნი მინისტრისათვის გაუგზავნიათ თხოვნა. (ცნობის ფურცელი, N442, 1898 წელი);

სოჩა (აფხაზეთი). ზვავის მსხვერპლი

სოჩიდან ორმოცი ვერსის მანძილზე მუშაობენ გზას დიდ ძალი მუშა ხალხი. ოცდაორს იანვარს მთიდან ჩამოწოლილა ზვავი, რომელშიაც მოჰყოლია ოთხი კაცი, ერთი მეგრელი და სამი ბერძენი. ბერძნებ შორის ყოფილა ერთი პატარა ბავშვი 12-13 წლის, რომელიც ხიფათს გადარჩენილა, როგორც იყო გამოუფორთხავს და შეუტყობინებია სხვა მუშებისთვის, რომლებმაც გამოათრიეს ორი მკვდარი, ხოლო მესამე გამოუთრევიათ ცოცხალ მკვდარი, მაგრამ ისიც მალე გარდაცვლილა. საწყალობლებს ბევრი ეწვალათ, რომ როგორმე გამოსულიყვნენ, მაგრამ რომ ვერაფერი ეშველნათ თავისათვის, ხელის თითები სულ შეეჭამათ. ზვავი ბევრგან არის ჩამოწოლილი და ბევრნის დაკარგვას ამბობენ, მაგრამ ჯერ სინამდვილით არ იციან, რადგან ჯერ-ჯერობით დიდი თოვლია და მისვლა-მოსვლა ძნელია. ამ დღეებში აქეთ ძალიანი დიდი ზამთარი არის, სიცივემ ყინვამ და ქარ-ბუქმა მთლად შეაწუხა აქაური მცხოვრებნი, აგრეთვე დიდი ზარალი მიეცა აქაურ მკვიდრებს; ბევრს სახლები ჩაემტვრა თოვლით და ბევრს საქონლებიც დაუხოცა. გზები ხომ მოგახსენებთ, დიდს ხიფათს უქადის გამვლელ გამომვლელს. /კ. სოჩელი/. (ცნობის ფურცელი, N442, 1898 წელი);

სოხუმი. ცეცხლის გაჩენა

27 იანვარს ცეცხლი გაუჩნდა სოფ. კილასურაში თავადის გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძის მამულის ტყის მცველების ფიცრულის სახლს. დაიწვა როგორც სახლი მებატონესი, ისე ყოველივე ავეჯი, რაც შიგ ეწყო. დაიწვა აგრეთვე იმ სახლზე მიდგმული თავლა და შიგ დაბმული ორი ცხენი – ერთი მათგანი ყოფილა მებატონეს მოურავის ბ-ნ მიხ. თოფურიასი და მეორე-კი – ტყის მცველის ალექსი განგიასი. როგორც ამბობენ, ცეცხლი წაჰკიდებია ნაშუადღევს 3 საათზე, როცა ტყის მცველები ამ სახლში არა ყოფილან. ცეცხლი დაუნახავთ იქ მეზობლად მყოფთ მედუქნეებს; მაშინვე მოურბენიათ, მაგრამ ვერა უშველნიათ-რა, რადგანაც, სანამდი ესენი მოვიდოდნენ, ცეცხლი ყოველგნით მოსდებოდა სახლს. (ცნობის ფურცელი, N446, 1898 წელი);

სოხუმი

საქველმოქმედო წარმოდგენა გაიმართება სოხუმში ამ თვის 8-ში და შემოსავალი წარმოდგენიდგან უნდა მოხმარდეს იქაურს სამკითხველოს, რომელსაც, თურმე, არავითარი სახსარი არ მოეპოვება ამ ჟამად. ეჭვი არ არის, რომ სოხუმის ქართველობა თანაგრძნობით მოეკიდება ამ წარმოდგენას, რითაც სამკითხველოს არსებობის სახსარს აღმოუჩენს.

ამინდები. ამას წინედ სოხუმში ნახევარი ალაბის ოდენა თოვლი დასდო და შესაფერად ცივოდა კიდეც, მაგრამ ეს ერთი კვირაა მზემ თოვლი დაადნო, გამოიდარა, არემარე გაშრა, დაცხა კიდეც ისე, რომ ქუჩებს მტვერი ასდის, ხეებმა ფოთლები და ყვავილები გამოიღეს, მდელო ამწვანდა და ბევრნი კიდეც ბანაობენ ზღვაში... (ცნობის ფურცელი, N447, 1898 წელი);

ოჩამჩირე (აფხაზეთი). საზოგადოების განაჩენი

ოჩამჩირის საზოგადოებამ განაჩენი შეადგინა და სოხუმის ოლქის უფროსსა სთხოვა, როგორც მავნე და უკეთური წევრი საზოგადოებისა, თავიდან მოგვაშორეს. ოლქის უფროსმა ამ საქმის გამოსაძიებლად სოხუმის ოლქის სამმართველოს მოხელე ბ-ნი დავ. ელიავა გამოგზავნა. რითი გათავდება საქმე, თავის დროზე გაუწყებთ. (ცნობის ფურცელი, N447, 1898 წელი);

***

სოხუმში, თედო სახოკიას: თქვენი წერილი მივიღეთ, გარემოება ის არის ამ ჟამად, რომ წასვლა პეტერბურღს იქნება უნაყოფო იყოს და მიტომ არც თქვენ შეგაწუხებთ ნააღდგომევამდე. წარმოდგენაზე გვაცნობეთ რამე. (ცნობის ფურცელი, N447, 1898 წელი);

სოხუმი. მინისტრის განკარგულება

სახელმწიფო ქონებათა და სამიწადმოქმედო მინისტრის განკარგულებით აქაურ ბოტანიკურ ბაღიდან ქუთაისის გუბერნიის ყველა სოფლის სკოლებს ორსავე უწყებისას, (როგორც სამინისტროს, ისე საეკლესიო სამრევლოს) შეუძლიათ უსასყიდლოდ დაიბარონ სამის თუმნის სხვა და სხვა მცენარენი და თესლეულობა. ეს განკარგულება ბატონის მინისტრისა ეუწყათ ყველა სკოლების მასწავლებლებს. მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე მთელის გუბერნიიდან მხოლოდ ორმა თუ სამმა მასწავლებელმა დაიბარა ხსენებულ ბაღიდან მცენარენი. ეს ამბავი სხვა ვერაფრით აგვიხსნია, თუ არ ჩვენის სკოლების მასწავლებლების დაუდევრობით. მათის მხრით საკმაოა მხოლოდ კალმის ორიოდე მოსმით აუწყონ აქაურის საცდელ სადგურის გამგეს ბ-ნს ტატარინოვს (ВъСухумъ, завъдывающему опытною станпіею П. Ег. Татаринову) თავიანთი სურვილი მცენარეების გამოწერისა, და მყისვე უხარჯოდ და უდავიდარაბოდ მიუვათ ყოველივე, თუ თვითონ არ იციან, რა მცენარენი დაიბარონ, უნდა მოკლედ აუწერონ რა თვისება აქვს ნიადაგს, სადაც სკოლაა: ზეგანია თუ ვაკე, წითელი მიწაა თუ შავი, ცივა თუ თბილა. ხოლო თესლეულს და მცენარეებს თვითონ სადგურის გამგე აარჩევს და სადგურისავე ხარჯით გაუგზავნის. მხოლოდ წერილში მოხსენებული უნდა იყოს ფოსტა, სადაც მცენარენი უნდა გამოგზავნოს სადგურის გამგემ. ეს უპირატესობა მარტო ქუთაისის გუბერნიის სკოლებსა აქვთ, ხოლო ტფილისის გუბერნიის სკოლები მოკლებულნი არიან ამას. იქაურის სკოლების დირექციამ და სამრევლო სკოლების მეთვალყურემ რომ იშუამდგომლონ, შესაძლებელია, იმათაც დაეთმოსთ თუ სამის თუმნის არა, ორის თუმნის მცენარე მაინც. გარდა ამისა, ყველა გუბერნიების სკოლების მასწავლებელთ შეუძლიათ თესლეულობა სთხოვონ სოფ. ალექსანდროვსკოეს ნორმალურ სკოლის ზედამხედველს ბ-ნს ვას. ადამიას (Въ Сухумъ смотрителю Александровскаго нормальнаго ущелиша Вас. Адамія) და ამისგანაც უსასყიდლოდ მიუვათ. რუსეთიდან ბევრმა სკოლებმა დაიბარეს აქედან კარგის ჯიშის მცენარეთა თესლეულობა და სასურველია ტფილისისას და ქუთაისის გუბერნიების სკოლებმაც დაიბარონ. (ცნობის ფურცელი, N447, 1898 წელი);

სოხუმი
გენერალ-მაიორის თავ. ალექსანდრის ძის შარვაშიძის გარდაცვალება

2 თებერვალს უეცრად გარდაიცვალა დამსახურებული გენერალ-მაიორი თავადი გრიგოლ შარვაშიძე, შობიდან 90 წლისა. 4 თებერვალს განსვენებულის სულის მოსახსენებლად სოხუმის საკრებულო ტაძარში აქაური ეპისკოპოსი სწირავს. ხოლო მეორე დღეს, 5 თებერვალს, წაასვენებენ თავისს მამულში, სოფ. ათარაში, დასაკრძალავად. განსვენებულმა

თავისს მემკვიდრეებს მილიონზე მეტის ქონება დაუტოვა და ორმოცამდე შვილები და შვილისშვილები დარჩა. დაწვრილებით მახლობელს ნომერში გავაცნობთ მკითხველებს განსვენებულის ვინაობას. (ცნობის ფურცელი, N453, 1898 წელი);

სოხუმი. სამეგრელოდან მოსული მუშები

ამ დღეებში ხუთასზე მეტი მეგრელი მოვიდა სოხუმში სამუშაოს საძებრად. მოსულები ამბობენ, დიდი გაჭირვებაა სამეგრელოში, მკაცრმა ზამთარმა საქონელი გაგვიწყვიტა, ცხოვრების სახსარი თითქმის მოგვესპო და აქეთკენ გამოვეშურეთ, იქნება ორიოდ გროში ვიშოვნოთ და ხელი მოვინაცვლოთო. ზოგმა კიდეც იშოვა იმდენი სამუშაო, რომ დღიურ ხარჯად ეყოფათ, უმეტესობა-კი, ღვთის ანაბარა არიან ჯერჯერობით. (ცნობის ფურცელი, N456, 1898 წელი);

სოხუმი. წარმოდგენის გადადება

ამ საყველივროდ ქართულ სცენის მოყვარენი ქართულ წარმოდგენისათვის ემზადებოდნენ, მაგრამ ყველასგან პატივცემულის თავადის გრიგოლ შარვაშიძის მოულოდნელად გარდაცვალებამ ყველა დაამგლოვა და წარმოდგენა სადიდ-მარხვოდ გადაიდო. მაშინ აპირებენ ცაგარლის კომედია „ხანუმა“ დასდგან, რომლისთვისაც მოპატიჟებულია ჩვენი ნიჭიერი მსახიობი-ქალი ნატ. გაბუნია ცაგარლისა. (ცნობის ფურცელი, N457, 1898 წელი);

ოჩამჩირე (აფხაზეთი). ქუჩების განათება

სწორედ გესიამოვნებათ, ისეა ჩვენი ქუჩები განათებული ფარნებით, რისთვისაც ჩვენი დაბის დეპუტატები დიდი მადლობის ღირსნი არიან. მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ აქამდე არაფერი ეშველა აზოვის კანტორის წინ ფარნის ანთებას, სადაც მარტო ხის ბოძი ასვია და ფარანი კი არ დგას. ეს გარემოება ამას წინადაც იყო მოხსენებული „ცნ. ფ.“-ში, მაგრამ ჯერ არავინ მას ყურადღებას არ აქცევს. იმედია, ეს საჭიროება აწი მაინც იქნება დაკმაყოფილებული, ვისგანაც ჯერ არს. (ცნობის ფურცელი, N457, 1898 წელი);

სოხუმი. წითელა

ჩვენ სოხუმშიაც გახშირდა წითელა და ყვავილ-ბატონები. ქალაქმა უკვე დაიქირავა ავადმყოფთათვის თავ-შესაფარი. ხოლო ცოტა არ იყოს, მოუხერხებელ ადგილზეა. ჩვენში ეხლა ისეთი თბილი დარებია, რომ მაისის დღეები მოგაგონდებათ. (ცნობის ფურცელი, N457, 1898 წელი);

სოხუმი. ქალაქის ადგილების გაყიდვა

ლეჩქოფუ ქალაქის ის ნაწილია, სადაც დიდი ტბები და ჯაგნარი იყო ამ რამდენისამე წლის წინად. ახლა ეს ადგილი თითქმის გააშრეს. ჯაგნარი, რაც ზედ იყო მოსჭრეს და თხრილები გასჭრეს ყოველგან ამ ტბების დასაშრობათ. წინედ აქ ქალაქი სამოსახლოდ ჰყიდდა ადგილს. ყოველ ოთხი-კუთხ მხარი ორ შაურად ჰფასობდა, მაგრამ მყიდველი ბევრი არავინა ჰყავდა. მერე უცბად შეაჩერეს გაყიდვა ბ-ნ გუბერნატორის ბრძანებით. აპირებდნენ აქ ზღვა შამოეყვანათ და გაეკეთებინათ ნავთ-სადგური. ჯერ-ჯერობით ეს არ მოხდა და ეხლა ბ-ნ

გუბერნატორს ნება დაურთავს ის ადგილები გაიყიდოსო. ამას წინად ექვსივე აქაურებმა იყიდეს; თითოეულ სამოსახლო ადგილში მისცეს ცხრაას-ცხრაასი მან., ესე იგი, ყოველ ოთხ-კუთხ მხარზე ორი და ათი შაური. დანარჩენი ადგილებიც ამ მოკლე ხანში გაიყიდება.

მიწების გაძვირება. აქაურებმა რიცხვით ცხრამეტმა კაცმა, ამ სამის წლის წინედ იყიდეს მამული ჩაფაროვის მემკვიდრეებისაგან, ზომით ოთხი დესეტინა შვიდი ათას მანეთად. განზრახვა ჰქონდათ, აქ ყველას სათითაოდ სახლები გაეკეთებინათ. ახლა, რადგან მიწების ფასმა სოხუმში ძალიან აიწია, ორ დესეტინას 30,000 მან. აფასებენ და მყიდველიც არის. სასურველია, რომ ამ მამულს ეხლა არ გაყიდნენ, რადგანაც შემდეგში, როცა რკინის გზა გამოვა აქ, მაშინ მიწებს უფრო მეტი ფასი დაედება. /გ. ბარკალაია/. (ცნობის ფურცელი, N457, 1898 წელი);

გუდაუთი (აფხაზეთი). პანაშვიდი მეფე ერეკლეზე

დღეს, 22 თებერვალს, გუდაუთის ქართველ საზოგადოების თანდასწრებით, მღ. ი. ჩაჩანიძემ გადაიხადა ქართულ ენაზე პანაშვიდი ჩვენის სახელოვანის გმირ-მეფის ერეკლე მეორის სულის მოსახსენებლად, რადგანაც ამ თებერვალში შესრულდა ასი წელიწადი, რაც ჩვენი დაუვიწყარი მეფე დაასაფლავეს მცხეთის ტაძარში. /ერმილე/. (ცნობის ფურცელი, N466, 1898 წელი);

უგან. თავ. პ. ა. გრუზინსკი სოხუმში

3 თებერვალს სოხუმში მისულა მთავარ-მართებლის საგანგებო მინდობილებათა მოხელე უგან. თავ. პ. ა. გრუზინსკი, რომელსაც მინდობილი აქვს განიხილოს როგორც ოლქისა ისე განყოფილების გამგეობის საქმეები და აგრეთვე სოხუმ-ზუგდიდის გზა-ტკეცილი. (ცნობის ფურცელი, N477, 1898 წელი);

გუდაუთი (აფხაზეთი). ბილწი მანდილოსნები და მათი მეთაური ვაჟბატონები

ჯოჯოხეთის ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც მიუმატესო, სწორედ ამ გვარად ჩვენს დაბასაც თუმცა სხვა ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ ყველაზედ უფრო საძაგელს სანახაობას წარმოადგენს შემდეგი. აქ საუბედუროდ ტრახტირები და ყავახანები მეტად ბევრია და მომატებულად ოსმალოელთ უჭირავთ და თვითოელ მათგანს შვიდ-რვამდე „მანდილოსნები“ ჰყავთ ვითომდა მუშტრების ხელზედ მოსამსახურედ. „მანდილოსნები“ არიან რუსეთიდან, ზოგნი ყირიმიდგან და ზოგნი ეკატერინოდარიდან და სხვ. ამისთანა ტრახტირებში მიეშურება ყველა თითქოს, რაღაც სეირის სანახავად. შეღამდება თუ არა, ხსენებულ ტრახტირებში ნამდვილი სოდომ-გომორი იმართება. ღამის 10-11 საათის შემდეგ გაისმის ორღანოების ჭრიჭინი, რის გაგონებაზედ ყველას გული უტოკავს და იქითკენ მიეშურება. ნაშუაღამევს ერთბაშად შესწყვეტენ ორღანოს, ვითომც მოსვენებას მიეცნენო, ხოლო უწესობა ამითი ხდება ხოლმე: ჩხუბი აურ-ზაური და სხვა. სამწუხაროდ ასეთ შესაქცევს უფრო ყმაწვილი მუშები ეტანებიან თუმცაღა ხშირად სხვებიც გამოერევიან. გარეგანი შეხედულობით ხელზედ მოსამსახურენი არიან და საქმით კი უწესობას ჩადიან, რომ ჰკითხოთ თვით „მანდილოსნებს“ საიდანა ხართო, ჩვენ თამბაქოს პლანტაციაზედ ვმუშაობთ და ცუდის ამინდის გამო ვერ წავსულვართ სამუშაოდო... ფრიად სასურველია, რომ დაუყონებლივ ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს ამ საქმეს და სამუდამოდ, თუ არა და დღეს დღეობით მაინც აღკრძალულ იქმნას ხსენებულ ყავახანებში „მანდილოსნების“ დადგომა, თორემ თქვენი მტერია ჩვენი ხალხი გაირყვნას და დასნეულდეს! (ცნობის ფურცელი, N477, 1898 წელი);

სამურზაყანო. ყაჩაღის თავის ნებით დამორჩილება

დღეს თავის ნებით გამოეცხადა აქაურ ნაწილის უფროსს 1893 წლიდან გადავარდნილი ყაჩაღი იოსე ჭოლარია. ეს ყაჩაღი სამჯერ არის ციხიდგან გამოპარული, ორჯერ იარაღით წინააღმდეგობა გაუწია ნაწილის უფროსს და მრავალგვარი ავკაცობა ჩაუდენია ამ ხუთი წლის განმავლობაში. მთელი სამურზაყანო შეწუხებული ჰყავდა. ადგილობრივმა ნაწილის უფროსმა რამოდენიმე მახლობელი ნათესავნი ყაჩაღის წარადგინა რუსეთში გარდასასახლებლად და სხვა ასეთის დაშინებით ჭოლარია იძულებული გახდა მიეტანა თავი მსხვერპლად ძმების გამოსახსნელათ გარდასახლებისაგან.

გონებრივი დაქვეითება. ეხლანდელი ნაწილის უფროსის გონივრული მმართველობით ქურდობა მოისპო სამურზაყანოში. ცარცვა გლეჯას მოეღო ბოლო და დამყარდა სრული მშვიდობა. ეხლა დროა იფიქრებდეს ვინმე სწავლა განათლებაზედაც, რომლის მხრით ჩვენი კუთხე ყველასაგან დავიწყებულია. 43 ათას მცხოვრებთა შორის ერთი დასაწყისი სამკლასიანი სასწავლებელი მაინც იყოს!.. /ს - ტი/. (ცნობის ფურცელი, N478, 1898 წელი);

გუდაუთა. მადლობის გამოცხადება

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის „ცნობის ფურცლის“ საშვალებით მადლობა გამოვუცხადოთ იმ პირთ, ვინც კეთილ ინება და შემწეობა აღმოუჩინეს ქ. სოხუმში დ. გუდაუთის ღარიბ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს წასრულ 1896 წ. 24 მაისში. აი შემომწირველთა სიაც: თითო მანათი – ივანე ბურჭულაძემ, ივანე გეგეჭკორმა, ფარნა კიკინმა, ალექსანდრე ღვინჯილიამ, ანტონ ქარცივაძემ, მ. გაბუნიამ, ლევან თოთიბაძემ, პროფ. ალ. ხახანაშვილმა, ფილიპე ერქომაიშვილმა, უცნობმა, ყარფეზ წეროძემ ლექსები კნ. ნინო ორბელიანისა, ღირს 1 მან. ორი-ორი მანათი ალექსი ჩაჩავამ, და მღვ. ა. ხელაიამ. შესდგა 14 მანეთი; ამ ფულით ერთი მშვენიერი ზ. ქართველაშვილის გამოცემა „ვეფხის ტყაოსანი“ უკვე მოუვიდა ხსენებულ სამკითხველოს. /ალ. ჩაჩავა/. (ცნობის ფურცელი, N478, 1898 წელი);

გუდაუთა (აფხაზეთი). სრული უყურადღებობა

„სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოთო“, სწორედ ჩვენზედ ითქმება; წარსული წლის ნოემბერში აქ ჩამოვიდა ვიღაც სომეხი ქალი და ჩამოიყვანა რამოდენიმე ,,მზეთ უნახავი'' ქალები: თქვენი მტერია, რაც ჩვენ დღე დაგვადგა. მათ მოსვლის შემდეგ აღარ გვაქვს მთელი ამ ქუჩის მცხოვრებთ მოსვენება და ძილი, რადგან აუარებელი მათი მოტრფიალე ვაჟბატონები ბუზებივით ირევიან. რასაკვირველია, ჩხუბი და ვაი-ვაგლახიც დღე და ღამ შეუწყვეტელია იმ ქუჩაში, სადაც ,,მზეთ უნახავები'' ბუდობენ. დაუყოვნებლივ საჭიროა, რომ ვინმე ვალდებული პირთაგანმაც სასტიკი ყურადღება მიაქციოს, თორემ თქვენი მტერია, რაც ჩვენ უსიამოვნებაში ვართ ისედაც მრავალ გზით დასჯილნი. ამას გარდა ათას გვარ სენით და ავადმყოფობით დაიშხამება გუდაუთას ახალგაზრდობა და მუშა-ხალხი. განა ეგ ყოველივე ღირსი არ არის სასტიკი ყურადღებისა!..

ნეტავი ძაღლები არ შეგვჭამდნენ! საუბედუროდ, ისე გაივსო ჩვენი დაბა-ქალაქი ძაღლებით, რომ ყოვლად შეუძლებელია უჯოხოთ ან უიარაღოთ ბაზარში მისვლა-მოსვლა. სწორედ დიდი სიფრთხილე გმართებთ, თორემ თუ ერთმა მურიამ მიგაყეფათ, იცოდეთ, აუარებელი ხროვა ძაღლებისა ერთად დაგესევათ. ასეთი სიკეთე ბევრი რამ მოიპოვება ჩვენს დაბაში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უყურადღებობა ჯერ-ჯერობით მხოლოდ სიცივეს გამოა, თორემ გაზაფხულისთვის საკმარის სიცქვიტეს გამოიჩენენ, ვისიც ჯერი არს. /შეწუხებული/. (ცნობის ფურცელი, N480, 1898 წელი);

გუდაუთა (აფხაზეთი). ხალხის გაბეჩავება ბოროტ პირებისაგან

მოეხსენება ყველას, რომ აფხაზეთში ქურდობა თითქმის ხელობად არის გადაქცეული. წარსულ წლებში მეტისმეტად ეტანებოდნენ ამ ცუდს ჩვეულებას. დღე ერთი იყო და ასობით მოდიოდნენ გლეხები, ნაწილის უფროსთან საჩივლებლად, რომ ქურდებმა აგვიკლეს და შინაური პირუტყვები არ შეგვარჩინესო, ნაწილის უფროსი ბ. ჩიქოვანი იცხმარობდა სხვადასხვა ღონეს, რომ როგორმე მოესპო ხალხში ეს უმზგავსი ჩვეულება. და მართლაც მეცადინეობამ უმნიშვნელოთ არ ჩაუარა. უფროსმა შეკრიბა ყველა ერთად და გაყო ქურდები ცალკე და მართლები ცალკე, დახეთ, რომ ქურდების რიცხვმა გადააჭარბა რაოდენობით მართლებს, მაშინ ქურდებზე ისეთი განკარგულება მოახდინა: დღეის შემდეგ დაეკარგება ვისმეს რამე თქვენ უნდა უზღოთ და ან უნდა მოუძებნოთ დაკარგულიო. ცოტა ხანს აქეთ-იქით იყურეს იყაყანეს, მაგრამ ვერას გახდნენ, და ბოლოს დაეთანხმნენ უფროსს. მას შემდეგ ხალხს ცოტ-ცოტა დამშვიდება დაეტყო: ეხლა საუბედუროდ კიდევ სხვა სიბოროტეს მიმართეს, მაგალითად: შურით და მტრობით შეუმჩნევლად ცეცხლს წაუკიდებენ ერთმანეთის სახლს ან სხვა რამე შენობას და მთელს სარჩო საზრდოს ცეცხლის მსხვერპლად ჰხდიან. ამ გამუდმებულმა ჭირმა მეტად გააჩანაგა ხალხი. ს. ლიხინის მცხოვრებს ერთ აფხაზს გვარათ მიქელაძეს თამბაქოს პლანტაცია ჰქონდა გამართული და დიდძალი თამბაქო დაამზადა; ის იყო უნდა მიეყიდნა ქერჩის თამბაქოს მექარხნესათვის, ვიღაც ბოროტ-მოქმედმა ღამით ცეცხლი წაუკიდა და ერთბაშათ გადაბუგა; ცეცხლმავე იმსხვერპლა სახლიც რომელშიაც საწყალი მიქელაძეც იდგა. თამბაქოს მომუშავე სომხები ამბობდნენ (600) ფუთი თამბაქო დაიწვაო; მერე როგორ გგონიათ მეზობლებმა ნუგეშის მაგივრად წუწუნი და საყვედური დაუწყეს თამბაქოს სუნმა შეგვაწუხაო. რადგანაც იმ განაპირზედ ყვავილი მძვინვარებს, გუშინ წინ კიდევ იმავე სოფელში გიციბაიას სახლი დაუწვეს, სადაც სარჩო სიმინდი და ორი ცხენი და მასთან სხვა ყველა ოჯახის მოწყობილობა ერთბაშათ დაეწვა. ეხლა ასეთს უმზგავსობას მიჰყვეს ხელი ავკაცებმა, მაგრამ იმედია ბ. ჩიქოვანი მკაცრი ღონით და მეცადინეობით ქურდობას და ავკაცობას ბოლოს მოუღებს, რითაც ხალხს დიდი შვება მიეცემა.

ამინდები და ქარტეხილი. თებერვალმა ცოტათი გული გაგვიკეთა, როდესაც კარგის დარებით გული საგულეს ჩაგვედვა, მაგრამ მარტმა ძრიელ დაგვაღონა, ქარ ბუქიანი ავდრები გვაგონებს წარსულ იანვარს და დეკემბრის დასაწყისს... /ნაღარა/. (ცნობის ფურცელი, N481, 1898 წელი);

სოხუმი

სამხედრო სასამართლომ ცნობილს ყაჩაღს და ავაზაკს აბრიქიფ მამსირს გამისონიას გადაუწყვიტა სიკვდილით დასჯა ჩამოღრჩობით. (ცნობის ფურცელი, N482, 1898 წელი);

სოხუმი. „ნამეტანი ქველ-მოქმედების“ ნაყოფი

გაზ. „კავკაზს“ შემდეგს ამბავს სწერენ სოხუმიდან: ადგილობრივი საქველ-მოქმედი საზოგადოების საავადმყოფოში, რომელიც დაარსებულია ღარიბ ავადმყოფთათვის, ერთმა კაცმა ურმით მოიყვანა ავადმყოფი გლეხი გ. რუხაია, მაგრამ მორიგე ექიმმა ბ. ბარსკიმ არ მიიღო ავადმყოფი, რადგანაც უკანასკნელს ბილეთი არა ჰქონდა თან. ავადმყოფი დიდხანს იწვა გარედ ურემზე თოვლისა და წვიმის ქვეშ და ლამის სული განუტევა თვით საქველ-მოქმედო საზოგადოების წევრთა თვალწინ. ამ დროს შემთხვევით შეხვედრია ურემს კორესპონდენტი და გაუგია თუ არა საქმის ვითარება, დიდი გაჭირვებით უშოვია ავადმყოფის ვინაობის დასამოწმებელი ბილეთი და გადაუცია მორიგე ექიმისთვის, რომელსაც ამის

შემდეგ უკვე მიუღია ავადმყოფი. მაგრამ საბრალო ავადმყოფი ისე გაფიჩხებულიყო სიცივით, რომ იმავე დღეს გარდაიცვალა. როგორც კორესპონდენტს ჰგონია საზოგადოების წესდებაში არ არის ისეთი მუხლი რომლითაც საავადმყოფოში დაწოლის მსურველნი ვალდებულნი იყვნენ, ბილეთი წარადგინონ საავადმყოფოში; მაგრამ ესეც რომ არ იყოს, ნუ თუ ზნეობრივად ვალდებული არ იყო ბ. მორიგე ექიმი ბილეთის წარდგენამდე მაინც თბილად შეეფარებია ავადმყოფი საავადმყოფოში?.. მაგრამ ალბად ნამეტანი „ქველ-მოქმედებით“ მოსვლია ბ. წიმსს საავადმყოფოსადმი წრე გადასული „ერთგულება“!!! (ცნობის ფურცელი, N483, 1898 წელი);

ოჩამჩირე (აფხაზეთი). ყაჩაღის ოინები

ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელიც აქ კაკლის ხეებს სჭრიდა, ცხენით მივიდა თავის მუშებთან და ცხენი იქვე, მუშების მახლობლად, მიაბა ხეზე. როცა ყმაწვილი მუშებს განკარგულებას აძლევდა, უცებ დაინახა, რომ მის ცხენზე ვიღაც შემჯდარიყო და მიჰქროლავდა. ყმაწვილმა მიაძახა, სად მიგყავს ჩემი ცხენიო, მაგრამ რაკი ვერაფერი გააგონა, შეჯდა მათთან ახალად მოსულ სტუმრის ცხენზე და გამოუდგა გაქცეულს. როცა წამოეწია მას, დარწმუნდა, რომ მისი ცხენის წამყვანი ყაჩაღი ყოფილა, „ბერდენკის“ თოფით შეიარაღებული. ყაჩაღი ჩამოხტა ცხენიდან, რომელიც იმდენად მჭლე და უღონო გამომდგარიყო, რომ მეტი ჭენება ვეღარ შეეძლო. ყაჩაღი მივიდა ყმაწვილთან, ახედ-დახედა მის ცხენს და, როგორც ცხენი ისე უნაგირიც ძლიერ მოეწონა. შემდეგ ყმაწვილს ,,ბერდენა'' მიაყუდა გულზე და მოსთხოვა, თუ სიკვდილს სიცოცხლე გირჩევნია, ეგ ცხენიც და უნაგირიც მე დამითმე დაა რაც რამე თან გაქვს, ყველაფერი მომეციო. ეს შენი ცხენი კი არაფრად ვარგებულა, ამაზე ისევ შენ შეჯექი და წადიო. შეშინებულმა ყმაწვილმა სტუმრის ცხენ-უნაგირიცა და კიდევ რაც რამ ჰქონდა თან, ყველაფერი მისცა ყაჩაღს და გამობრუნდა უარესად გაძარცვული. /სა-ნაია/. (ცნობის ფურცელი, N485, 1898 წელი);

დ. გუდაუთა (აფხაზეთი). ყვავილის მძვინვარება

წელს საზოგადოთ აფხაზეთში ძალიან გავრცელებულია ყვავილი, სახადი და ყელჭივრება. ყვავილის გავრცელებას ხელს უწყობს ცრუ-მორწმუნეობა; საზოგადოთ აფხაზები, როგორც მოსლემანები, აგრეთვე ქრისტიანებიც არ ერიდებიან ყვავილს. ყვავილი მათ ღვთისაგან მოვლინებულ სენათ მიაჩნიათ და ამბობენ: რო მოვერიდოთ, თუ ჩვენი ბედია, მაინც დაგვემართება და დამალვისათვის გაგვირისხდება, ვისაც შეგვეყრება, აღარ მოგვარჩენსო! კიდევაც ამისთანა მოურიდებლობამ უფრო და უფრო გაავრცელა ეს საშიშარი სენი, რომლის მსხვერპლიც მრავალი შეიქმნა. ყვავილის გავრცელების უმთავრეს მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ტირილი; როგორც უბრალო ავადმყოფობით მკვდარს, აგრეთვე ყვავილით მკვდარსაც დიდის ამბით ასაფლავებენ, და დიდძალი ხალხი იყრის თავს. საჭიროა პოლიციამ ყურადღება მიაქციოს, რომ ყვავილის ახალი მოხდილნი ქუჩა-ქუჩა ნუ დადიან, მით უმეტეს, რომ ის ავადმყოფები არიან თათრები და თავიანთი სადგომი განცალკევებულია ქალაქიდან. ჯერ იყო და ზამთარმა შეგვაწუხა. ამას ზედ კიდევ უბედური სენი მოჰყვა. სახადით გუდაუთაში გარდაიცვალა 2, გარეშე სოფლებში კი უფრო მეტი. /მაჭახელა/. (ცნობის ფურცელი, N486, 1898 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი). აღებ-მიცემობა

სხვა დაბებთან შედარებით ოჩამჩირესაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს აღებ-მიცემობაში.

აქ სოფლებიდან შემოდის დიდძალი სიმინდი და ხე-ტყე, რომელიც გააქვთ რუსეთისკენ და საზღვარგარეთ. თუმცა სიმინდისა და ხე-ტყის აღებ მიცემობამ ამ ბოლო დროს იკლო, როგორც საზოგადოდ ყველგან, მაგრამ აქაური ვაჭრები მაინც მხნედ არიან, რადგან იმედი აქვთ საცაა გაიხსნება მადნის მუშაობა სოფელ გუბში და ბედიაში, საიდანაც ყოველი ნაწარმოები ოჩამჩირეში უნდა ჩამოიტანონ. დღეს აქ ხმა დადის: ლუკა მენობადეს მის მიერ აღმოჩენილ მადანში ვიღაც უცხოელი მოვაჭრენი 80.000 მან. აძლევენო, ტაგუ ბუკუჩავას 50,000 მან. და გიორგი გვალიას 40.000 მანეთსაო. /ნაი/. (ცნობის ფურცელი, N486, 1898 წელი);

ოჩამჩირე (აფხაზეთი). მადანზე

აგერ წელიწადზე მეტი გაიძახიან: გუფის მადანის საქმე კარგად მიდისო. თქვენი მტერია, თუ ამდენ ხანს ის ,,კარგად მიდის'', აწი ჩინეთს გადააცილებდა; თუ მოდის, არც ესაა დასაჯერებელი, რადგან გუფი ოჩამჩირეს ოცი ვერსით შორავს და კარგად-კი არა, ჩოჩვით რომ წამოსულიყო, აწი მეცხრეჯერ იქნებოდა ოჩამჩირეში. ჩვენ ის გვაფიქრებს, ოჩამჩირეში ეგებ ღამე მოვიდა და რადგან აქ ფანრებს საშუაღამევს უკიდებენ, ასცდა ოჩამჩირეს, ზღვაში გადავარდა და დაიხრჩო. ან და სულ არ დაძრულა ჯერ ადგილიდან და მხოლოდ მაშინ წამოვა ეტლით, როცა გზას გააკეთებენ, მხოლოდ ეს უკანასკნელი ასე ადვილი არ არის; ის-კი არა სოხუმ-ზუგდიდის გზა-ტკეცილი, რომელიც ისე საჭირო იყო თვით მთავრობისათვის, თუმცა მცხოვრებთ ფული გამოართვეს გასაკეთებლად, მარა გაკეთების ნაცვლად ისე გაფუჭდა, რომ ცხრაჯერ უნდა ეზიაროთ, სოხუმ-ზუგდიდის შუა მგზავრობა თუ მოგიხდათ. /ალია/. (ცნობის ფურცელი, N488, 1898 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი). შენობის დანგრევა

14 მარტს, საღამოს 8 საათ., აქაურის ვაჭრის მემედ მიდილ ოღლის ქვის შენობის ერთი კედელი უეცრათ წაიქცა, დაეცა გვერდზედ მდგომ ხის შენობა და ჩაამტვრია. ამ ხის შენობაში ვაჭრობდნენ თათრები, რომელნიც რაღაც მანქანებით გადაურჩნენ სიკვდილს. /სა-ნაია/. (ცნობის ფურცელი, N489, 1898 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი). სათაკილო ჯიბრიანობა

აქაური მცხოვრებნი და ვაჭრები არიან: მეგრელები, აფხაზები და თათრები. ოჩამჩირის ყოველი ავი და კარგი, რასაკვირველია, ამათ ეკითხებათ, მაგრამ ერთი მხარე რომ კარგს ფიქრობს, მეორე არ ყაბულობს, მესამე სხვა აზრისაა და მათ შორის მუდამ უთანხმოება და აზრთა სხვა და სხვაობაა. ყოველ საქმეში ერთი მხარე მსურველია, მეორე წინააღმდეგი და ამნაირი ჯიბრობით-კი ოჩამჩირე ცუდ მდგომარეობაშია. ამ ჯიბრობა დას-დასობას მოჰყვა რამდენიმე ცუდი შედეგები. /ჯოჯოხეთის კაცი/. (ცნობის ფურცელი, N489, 1898 წელი);

დრანდა (აფხაზეთი). ბოროტ მოქმედის დასჯა

შაბათს, 4 მარტს აქ მობრძანდა ბატონი ქუთაისის გუბერნიის მკურნალის თანაშემწე, რომელსაც მინდობილი ჰქონდა გამოძიება საჩივრისა-აქაური უფასო საავადმყოფო-თავშესაფრის უფროს ფერშალ გოიდენზედ, სოფელ ბაბუშარის მცხოვრების ქვრივის კესარია ქებურიასი. როგორც სჩანს ქვრივის კესარიას საჩივრის ქაღალდიდან, მის ქმარს აწ

განსვენებულს სვერეხი ქებურიას რაღაც უბრალო იარა ასჩენია ხელის თითზედ 1897 წლის ოქტომბერში და სამკურნალოთ მიუმართავს დრანდის უფასო თავშესაფრის ფერშალ გოიდენისათვის. ამ უკანასკნელს უნახავს რა იარა, დაჰპირებია მისს სრულიად განკურნვას მხოლოდ იმ პირობით, თუ სვერეხი ქებურია მას გოიდენს ყოველ თითო ნახვისას და წამლის დადებისათვის ორ-ორს მანეთს მისცემდა და როდესაც განიკურნებოდა, კიდევ მისცემდა ცხენს. ქებურია დათანხმებულა ამ არა ჩვეულებრივსა და საოცარს პირობაზედ, მაგრამ გოიდენს ავადმყოფი მაინც ვერ განუკურნავს და ერთი თვის წვალების შემდეგ ავადმყოფს სული განუტევებია. ფერშალ გოიდენს ცხენი მაინც მოუთხოვნია, თუმცა სიტყვიერი პირობის ძალით ამისი უფლება მას აღარ ჰქონდა, და როდესაც ცხენის მიცემაზედ უარი მიუღია, გაჯავრებული სასტიკად დაჰმუქრებია ქვრივსა, ხოლო ამ მუქარას ის შედეგი მოჰყვა, რომ მას, გოიდენს მოუჭორებია და რაპორტით უცნობებია სოხუმში მცხოვრებ, სახელათ აქაური თავშესაფრის მკურნალისათვის, რომ ქებურია ციმბირის ჭირით მოკვდაო და კიდევ მის ქალსა აქვს თითზედ ციმბირის ჭირი, მაგრამ მე იგი არ მაჩვენეს შემწეობის აღმოსაჩენადაო. ამ მოჭორულ ამბავს ფეხზედ დაუყენებია მთელი აქაური ადგილობრივი ადმინისტრაცია, შექმნილა მიწერ-მოწერა და გადაუწყვეტიათ, რომ ქვრივის სახლ-კარი უნდა დავწვათო, მაგრამ ვიდრე ამ საქმეს სისრულეში მოიყვანდნენ, მკურნალთა კომისიას უნდა შეემოქმებინა ნამდვილად ციმბირის ჭირი სუფევდა ამ ოჯახში თუ სხვა რამ სენი. დაუბარებიათ სოხუმში ქვრივი კესარია და მისი ასული, რომელსაც ხელის გულზედ ცოტა ტყავი ჰქონდა ამძვრალი მუშაობისგან. მკურნალთა კომისიას უცვნია ეს ავათმყოფობა უბრალო იარათ და არა ციმბირის ჭირათ, როგორც ამტკიცებდა ფერშალი გოიდენი. საჩივრის ქაღალდში, სხვათა შორის, იმასაც იხსენიებდა ქვრივი კესარია, რომ გოიდენმა რაღაც მაგარი სუნიანი წამალი დაასხა განსვენებულს თითზედ, რის შემდეგაც კაცი გაშავდა, ანთება მოეკიდა და მოკვდაო. ეს საჩივარი ქვრივს მიურთმევია ბატონ ქუთაისის გუბერნიის მკურნალისათვის და სთხოვს, რომ ფერშალი გოიდენი დასჯილ იქმნას ასეთი ბოროტ მოქმედებისათვისაო. გამოძიება მოხდა კვირას 15 მარტს და ჩვენება ჩამოართვეს სოფ. ბაბუშარის მამასახლისს და აგრეთვე ქვრივსა კესარიას, რომელთა სიტყვითაც დამტკიცდა ყველა ზემოხსენებული ბოროტებანი ფერშალის გოიდენისა. ბატონმა გუბერნიის მკურნალის თანაშემწემ ყველა ეს ჩვენებანი დაიწერა და ვნახოთ რით გათავდება ეს საქმე. (ცნობის ფურცელი, N495, 1898 წელი);

სოხუმი. ქართულ-რუსული წარმოდგენა

თითქმის ერთი წელიწადი გადის, რაც ქართულს ენაზე წარმოდგენა არ გამართულა სოხუმში. ამიტომ გასაკვირველიც არ არის, თუ რა ზომის მოუთმენლობით მოელოდა ქართველი საზოგადოება 22 მარტისათვის დანიშნულს წარმოდგენას! რა თქმა უნდა, დიდად უნდა უმადლოდნენ დიდად პატივცემულს თავადის ასულს, ანასტ. ვარ. წერეთლისას, რომელმაც თავთ იდვა ამ წარმოდგენის გამართვა. წარმოდგენას დანატრებული საზოგადოება დანიშნულს დღეს მით უფრო მოაწყდა ადგილობრივის კლუბის დარბაზს, რომ შემოსავალი დანიშნული იყო სასარგებლოდ იმ ყოვლად სიმპატიურის და სასარგებლო საზოგადოებისა, რომლის დანიშნულება არის – წერა-კითხვის გავრცელება ქართველთა შორის. ადგილობრივის სცენის მოყვარულთაგან წარმოდგენილი იყო სამი პიესა, ერთი ქართულად და ორი რუსულად. რუსულად წარმოადგინეს პოლონელ მწერლის კრიუკოვსკის სამ მოქმედებიანი კომედია, „ფულიანი ტუზები“ და ბაჟანოვის ერთ მოქმედებიანი ვოდევილი. ხოლო ქართულად დადგმულ იქმნა ვალ. გუნიას მხიარული ვოდევილი „ადვოკატთან“. რუსული პიესები სცენის მოყვარეთა გულ-მოდგინების წყალობით, ჩინებულად იქმნა შესრულებული. განსაკუთრებულის ქების ღირსნი ბრძანდებიან თვისის დაკვირვებულისა და შეგნებულის თამაშობისათვის: თავადის ასული ან. წერეთლისა, ს. თ. ფონ-ბერგჰოლცისა და ბ. ა. გორსკისა. საზოგადოდ- კი, მთელს პიესას ეტყობოდა გამოცდილის რეჟისორის ხელი

და მუყაითობა. რაც შეეხება ქართულს პიესას, არც ის იყო ურიგოდ შესრულებული. თავადის ასულმა ან. წერეთლისამ (ნაზიანისა) და მაკრ. თურქაიას სულმა (მართა ანჩხლაძისა) სავსებით გამოიჩინეს თავიანთი ნიჭი შეგნებულ მსახიობთა. არა უშავდათ-რა დანარჩენ მსახიობებთაც, ორიოდეს გარდა. დამსწრე საზოგადოებამ ქართულ პიესაში მოთამაშენი ვოდევილის გათავების შემდეგ განუწყვეტელი ტაშის კვრითა და ვაშას ძახილით გამოიწვია და სცენა კამელიას ყვავილებით აივსო, წარმოდგენის დასასრულ თავადის ასულმა ან. წერეთლისამ და ცნობილმა მოლეკურემ ბ-ნმა თეო გაბუნიამ, ქულაჯაში გამოწყობილმა, მოხდენით ითამაშეს ლეკური, რომელმაც აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება. ბოლოს, ქართველმა საზოგადოებამ ნიშნად გულ-წრფელის მადლობისა ცოცხალი ყვავილების მშვენიერი თაიგული მიართვა წარმოდგენის მოთავეს თავადის ასულს, ანას. ვ. წერეთლისას იმ უანგარო შრომისათვის, რომელიც მაგ გასწია "ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ. წარმოდგენას აუარებელი ხალხი დაესწრო. კლუბის დარბაზში ტევა აღარ იყო. ბევრი უკან დაბრუნდა უადგილობის გამო. სხვათა შორის, წარმოდგენაზე ბრძანდებოდა უგანათლებულესი თავადი პეტრე გრუზინსკი. მთლად შემოსავალი ოც და ხუთ თუმანს აღემატება. (ცნობის ფურცელი, N496, 1898 წელი);

დ. გუდაუთა (აფხაზეთი). სამწუხარო ამბები

აქაური მცხოვრებლები უმეტესად ქრისტიანები არიან, ხოლო ზოგიერთები - მაჰმადიანი ოსმალოები. მიუხედავად ამისა აქ ყოველ კვირა უქმე-დღეს მაღაზიებში გაჩაღებულია ვაჭრობა და მუშტრებს აქეთ-იქით ტრიალი გააქვთ. ეს უმთავრესად იქიდან წარმოსდგება, რომ ყველა აფხაზებმა მაჰმადიანობას ერთბაშად ხელი გაუწოდეს და მუსულმანებად რაცხავენ თავიანთ თავს. მეორე სამწუხარო ამბავი: უწმ. სინოდმა აქ სამრევლო სკოლები გახსნა, მაგრამ მატყუარა ცრუ-მორწმუნე მოლები ხალხში ჩუმად ხმას ავრცელებენ, სკოლაში ბავშვები არ გაუშვათ, თვარა ყველანი დავიღუპებითო; ხალხიც უჯერებს მათ და სისრულეში მოჰყავს მოლების რჩევა-დარიგება. /ბაიყუში/. (ცნობის ფურცელი, N501, 1898 წელი);

ს. აჭანდარა (აფხაზეთი). ეკლესიის გაძარცვა

მარტის შუა რიცხვებში აქაური ეკლესია გასტეხეს ღამით ბოროტ-გამზრახველებმა და ყოველგვარი საეკკლესიო მოწყობილება წარიტაცეს. ზოგიერთების სიტყვით, ეს მოქმედება ჩაიდინეს აქაურმა მუსულმანებმა. ნამდვილი ქურდი-კი ჯერ ვერ აღმოაჩინეს, თუმცა გუდაუთის მაზრის უფროსი ბ-ნი ჩიქოვანი ყოველგვარ საშუალებას ხმარობს მის აღმოსაჩენად. /ნაღარა/. (ცნობის ფურცელი, N501, 1898 წელი);

სოხუმი. პანაშვიდი გ. ქოჩაქიძეზე

სოხუმში ადგილობრივ ინტელიგენციამ საკრებულო ტაძარში გადაიხადა წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის ჩვენის მგოსნის გიორგი ქოჩაქიძის (ჭალადიდელის) სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. (ცნობის ფურცელი, N508, 1898 წელი);

სოხუმი. გადასახლების საქმე

კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ წინადადება მისცა ადგილობრივ საგუბერნიო ადმინისტრაციას იმის შესახებ, რომ შეჩერებულ იქმნეს დროებით სოხუმის საოლქო

გადასახლებულ კომისიის მოქმედება და წარდგენილ იქნეს თავის ადგილზე ცნობები აღნიშნულ კომისიის წარსულ მოქმედების შესახებ: რამდენი ოჯახისთვის მიუცია ადგილი, რამდენი მიწა გაუცია, რომელ ადგილს და რა სარწმუნოებას ეკუთვნიან გადმოსახლებულნი, რომელთაც დაჭერილი აქვთ ამჟამად კომისიის მიერ მიცემული მიწა. (ცნობის ფურცელი, N508, 1898 წელი);

დრანდა (აფხაზეთი). ძალმომრეობა და ქალის მოტაცება

ჩვენში, საქრისტიანოში ყოველი ქრისტიანი იმასა ცდილობს, რომ დიდ მარხვაში წირვა-ლოცვა ისმინოს, წმიდა საიდუმლო მიიღოს და ძველი ცოდვები მოინანიოს, მაგრამ აქეთ, ამ ძველი დროის საქრისტიანო აფხაზეთში კი სულ სხვანაირათ ტრიალებს ჩარხი. დადგა უკანასკნელი კვირა დიდ-მარხვისა და ვხედავთ, რომ თვით სამშაბათს რამოდენიმე სოფლელნი შეიკრიბნენ დუქანში, ძალზე გამოთვრნენ, დაიწყეს ყვირილი, ღრიალი და თავ-ბრუ დასხმულნი ფეხების თრევითა და ბარბაცით დაბრუნდნენ სახლებში. ეს კიდევ არაფერი, რომ მეორე დღეს, დიდ ოთხშაბათს უარესი საქმე არ ჩაედინათ აქაურ ცრუ ტარიელებს და თავ-ქეიფა გმირებს. ჩემს ვაჟბატონები დაიარაღებული 8-9 კაცამდე ღამით დაეცნენ ს. ბაგაფოშტის მცხოვრებს კვაშილავას და მოსტაცეს გასათხოვარი ქალი იმავე სოფლის მცხოვრებ დაქვრივებულ თოდუას საცოლეთ. მოტაცების დროს დიდი წივილ-კივილი გაისმოდა, თურმე; თვით დედას გასათხოვრისას ბევრი უბრძოლია "გმირებთან", გასათხოვარს სულ კბილებით და ფრჩხილებით დაუკაწრავს "სახელოვანი ვაჟკაცები", მაგრამ ძალ მომრეობამ მაინც თავისი გაიტანა და ქალი მისი სასურველი წინააღმდეგ წამოიყვანეს დროებით დასამალავათ სოფ. ბაბუშარაში ნაძალადევი საქმროს მოყვრისას, როგორც გავიგე, ეს ძალ-მომრეობის მსხვერპლი, გასათხოვარი ოთხი თვით დანიშნული ყოფილა ერთს ახალგაზრდა ყმაწვილზედ და არას გზით არა ჰსურს ნაცოლარი თოდუას გაყოლა.

დარბეულ დაწიოკებულს კვაშილავას მიუმართავს აქაურს ადმინისტრაციასთვის და სთხოვს მფარველობას და თავისი ასულის უკან დაბრუნებას. ამ საქმის თაობაზედ მამასახლისსაც ბრძანება მოსვლია, დაიჭირეთ მომტაცებელნი და ჰკითხეთ მოტაცებულს, ჰსურს თუ არა მას თოდუას ცოლობაო; ხოლო არავითარი საქმით კი არავითარი ღონისძიება ჯერ არავის არ უხმარია. საწყალი ქალი სხვის ოჯახში არის დამწყვდეული, მომტაცებელი გმირები არხეინად დასეირნობენ და გაიძახიან: "თუ ეს შეგვრჩა, სხვაც ბევრი გვყავს მოსატაცებელიო"! საჭიროა განსაკუთრებითი ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს, მკაცრი ღონისძიება იხმარონ და ძალ-მომრეობის ჩამდენნი სასტიკათ დასაჯონ, რომ მით ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს ამ გვარი მხეცური მოქმედება. /Humanus/. (ცნობის ფურცელი, N508, 1898 წელი);

დ. ოჩამჩირე. კიდევ აფთიაქის გამო

არა ერთხელ იყო მოხსენებული რუსულსა და ქართულ გაზეთებში ოჩამჩირის აფთიაქის მდგომარეობა, მაგრამ დღემდე არაფერი გვეშველა. თქვენ წარმოიდგინეთ ერთად-ერთს კაცს აფთიაქი აქვს, აგენტიც არის მეზღვაურ საზოგადოებისა და ხომალდებისა დაბის დეპუტატიც და სასტუმროს პატრონიც. დეე, თუ უნდა სამიკიტნოებიც გააღოს, მაგრამ ჩვენ ისა ვთქვათ, წამალს ვინ მოგვცემს? დიდი ბედნიერებაა, თუ აფთიაქში პროვიზორს შეხვდი, როცა დაგჭირდება მაშინ! ის მუდამ სხვა საქმეებშია გართული და მანამდი უნდა უცადო სანამ ის სხვა საქმეებს მიაწყ-მოაწყობდეს თუნდ ასეთ ლოდინში მთელი დღე გასტანო. ანდა სად წახვალ, ოჩამჩირეში ერთი აფთიაქის მეტი არ არის...ხანდისხან წამალს იძლევა ვიღაცა ხელებ დაწამიკებულ არდაგ წამოფარებული ქალი, რომელიც წამ-და-უწუმ იძახის:

„რჯულის მადლმა, ეს ძალიან კაი წამალია. იყიდე და მაშინათვე განიკურნება ავათმყოფიო“. ნუ თუ ასეთი წამლის მიღება საშიში არ არის. საშიშია და კიდევაც უფრთხის ვინც გაგებულია, მაგრამ გაუგებრებს რა ეშველება? ამისთვის კიდევ ერთჯერ ვსთხოვთ, ვისიც ჯერ არს, ყურადღება მიაქციონ ამ ამბავს - აფთიაქი თუ აქვს, აფთიაქში უნდა ბრძანდებოდეს, ან და თანაშემწე იყოლიოს მაინც, როგორც სხვა აფთიაქებშია. /N-ძე/. (ცნობის ფურცელი, N509, 1898 წელი);

დრანდა (აფხაზეთი). უხიდობით გამწარებულნი

როგორც წინათ გვქონდა მოხსენებული, კოდორის დიდი ხიდი ჩაინგრა გასული წლის შემოდგომაზე. ახლა ამ ხიდის გაკეთება ნარდათ აქვს აღებული ვიღაც ბერძენს, მაგრამ ჯერ კიდევ ჩანგრეული ხიდის წყლიდამ ამოღება ვერ მოუხერხებიათ და გაკეთება ორ წლამდის თუ გვეღირსა, ისიც დიდი ღვთის წყალობა იქნება. მანამდე-კი ნავით გაჰყავთ ხალხი, მაგრამ ამ საქმის მოთავეთ სოფლის ბატონ-პატრონთ, სახეში არ მიუღიათ სოფლელის სიღარიბე, არ ჩაუხედნიათ გლეხების ჯიბეში და თითო გაყვანის ფასი ორი შაური დაუნიშნავთ. ეს ფასი მეტად ძვირი არის და აუტანელი უფრო სოფლის ხალხისათვის, მაგალითად, გლეხს კოდორის გაღმა მიწა აქვს სამუშაო და ყოველ გასვლა-გამოსვლაში თუ აბაზი იხადა საბრალომ, მისი მთელი წლის მუშაობისაგან შემოსავალმა მარტო ნავის თუ ბორნის ქირა თუ გაასწორა, თორემ მეტი აღარა დარჩება-რა. ამ მიზეზისა გამო ხალხმა ისევ ფეხით იწყო სვლა კოდორში, ხოლო ბავშვები და ქალები-კი ზურგით გადაჰყავთ. ერთს დღეს აფხაზს ზურგით გაჰყავდა ქალი, მაგრამ შუა წყალს რომ მიაღწია, ძლიერმა კოდორმა უკან დააქანა გამყვანი, საბრალო ქალმა მორთო გულ-შემზარავი წივილ-კივილი და ცოტას გასწყდა კინაღამ უფეშქაშა აფხაზმა ქალი კოდორის წყალს. ნუ თუ არავინ აღმოჩნდება ქრისტიანი, რომ ყურადღება მიაქციოს ამ სამწუხარო მოვლენას და გაყვან-გამოყვანის საქმე გააადვილოს? /Humanus/. (ცნობის ფურცელი, N510, 1898 წელი);

სოხუმი. მეგრელთა ხოროს კონცერტი

კვირაცხოვლობას, 12 აპრილს, ადგილობრივის კლუბის დარბაზში მეგრელ მომღერალთაგან ახლად შემდგარმა გუნდმა ბ-ნ ლოლუას ლოტბარობით კონცერტი გამართა. სანუგეშო ბევრი არაფერი გვესმოდა ამ გუნდის შესახებ, მაგრამ მაინც წავედით. წავედით იმ აზრით, რომ ჩვენებური საქმეა, დახმარება სჭირია, შეიძლება, ცოტა რამ ნაკლი ჰქონდეს, ისეთი ნაკლი, რომლის გასწორება მარტივად შეიძლებაო, ვამბობდით. და... უნდა მოგახსენოთ - ვინანეთ... ჯერ ერთი, ვინანეთ ისა, რომ მთელი საღამო დავკარგეთ მეორედ დარბაზში ხალხის ტევა აღარ იყო და იმ სიცხეში, ცოტას გასწყდა, სული ამოგვხდა, ბოლოს ვინანეთ ფული. მაგრამ ისევ მოგიყვებით, რის მოწამეც გახლდით. აიხადა ფარდა და თვალწინ წარმოგვიდგა თუთხმეტამდე ჩოხებში გამოწყობილი სატევრიანი ყმაწვილები. ერთი შუაში უდგა (ლოტბარი) და რაღაც თვალით ანიშნა დანარჩენებს. იმათაც უცნაურ ჰანგზე ვითომ მეგრული სიმღერები იმღერეს. გაგვიგონია მეგრული სიმღერები კარგიცა და ავიცა, მაგრამ ასეთი არაფერი გვსმენია... ერთი ალთას გაიძახოდა, მეორე ბალთას. ერთის ხმა მეორეს არ უდგებოდა და მეორისა მესამეს და სხ. დამსწრე საზოგადოება მათს მაგიერ სირცხვილით დაიწვა. თვითონ ლოტბარს თითქო ყელში ძვალი გასჩრია და იღრჩვებაო, ისეთის ხმით გვიტკბობდა სმენას. უმეტესობას და ეტყობოდა, რომ ნაქეიფარები იყვნენ და ხმა წართმეულნი ეს გარემოება უფრო აბრაზებდა საზოგადოებას... მეგრული სიმღერები ხომ ვერა სთქვეს და ვერა. მაგრამ საუცხოვო გურული სიმღერები: ,,ინდი, მინდი, ხასანბეგურა, ხელ-ხვავი'', რაღად გადაამახინჯეს და ჯვარს აცვეს, ერთი კაცმა ჰკითხოს ამ ვაჟბატონებს?

პროგრამაში ეწერა ეს სიმღერები გადმოვაკეთეთ (?) და ისე უნდა ვიმღეროთო. თქვენს ლხენას ამ მშვენიერს სიმღერებს განა გადმოუკეთებლად ვერ გაიგებოდა და ვერ დააფასებდა აქაური საზოგადოება?!. არა, რომ ეს გუნდი საზოგადოებაში გამოსაჩენი არ არის ამ სახით, ცხადია. ჯერ მთელი ორი და სამი წელიწადი უნდა ივარჯიშონ, ისიც მცოდნე და გამოცდილის კაცის ხელმძღვანელობით, თორემ ასე ფონს ვერ გავლენ. როგორც იყო, ბ-ნ გაბუნიას და თეოფანე ქავთარაძის ლეკურმა ცოტათი დაამშვიდა ბოლოს აღელვებული საზოგადოება... /გ. ბარკალაია/. (ცნობის ფურცელი, N511, 1898 წელი);

დ. ოჩამჩირე. საშიში ეკკლესია

ოჩამჩირელებს ერთად-ერთი ხის პატარა ეკკლესია გვაქვს და ისიც აგერ სიძველისა გამო თავზე ჩამოგვენგრევა, წვიმა ჩამოდის და დამპალი ფიცრის ნატეხები ცვივა. სამრეკლოც უარეს მდგომარეობაშია. რაც გაშენდა განსვენებული სოსო თურქიას თაოსნობით (11-12 წინად) მას აქეთ ერთხელაც არ შეუხედავთ რიგიანად. ქვიშა, კირი სულ ჩამოცვინდა და სინოტიოს გამო აგური ნელ-ნელა ირღვევა; შეიძლება სამრეკლო წაიქცეს, რომელიც ეკკლესიას დაეცემა თავზე, წირვის დროს შეიძლება დიდი უბედურება დატრიალდეს, უბედურება კი ყოველს წუთში მოსალოდნელია; ამისთვის სასურველია, უბედურების დატრიალებამდე გაუქმებულ იქნას ამ ეკკლესიაში წირვა-ლოცვა ან და დაჩქარებით შეაკეთონ ეკკლესია და სამრეკლო.

ცუდი ყოფა-ქცევისანი. სამწუხაროდ ოჩამჩირეში ცუდი ყოფა-ქცევისა და მასთან დასნეულებული ქალები "უპატენტოდ" ბინადრობენ, რომელთა მეოხებით ბევრი ყმაწვილი კაცი უდროვოდ დაკარგვია ჭირისუფალს. ასეთ ამბავს ყოველგან სასტიკ ყურადღებას აქცევენ, იმედი უნდა ვიქონიოთ ოჩამჩირეშიც ასე იქნება. თუ დასჭირდებათ შეტყობა სად ბინადრობენ ასეთი ქალები, დასჯილ ყმაწვილებს ჰკითხონ და ისინი უჩვენებენ. დასასრულ მადლობის ღირსია ოჩამჩირის ბოქაული ბ-ნი ა. შუბინ, რომელმაც ამას წინად "ცნობის ფურც." მოხსენებულ ამგვარ ამბებს ყურადღება მიაქცია, იმედია ეხლაც არ მოაკლებს ყურადღებას ზემოდ ხსენებულ ამბავს. /ხორშელი/. (ცნობის ფურცელი, N512, 1898 წელი);

სოხუმი. ავადმყოფობა სატუსაღოში

აქაური სატუსაღოს უსუფთაობა და ვიწროობა ხელს უწყობს სხვა-და-სხვა გვარი ავადმყოფობის გაჩენას. დღეს სატუსაღოს საავადმყოფოში, სადაც ავადმყოფთათვის მხოლოდ რვა ტახტი სდგას, ადგილი აღარ არის, და ავადმყოფნი წვანან ჯანსაღ ტუსაღებსთან ერთათ. სახადით ავადმყოფთაც-კი არა აქვთ მიჩენილი განსაკუთრებული საწოლი. ამასთანავე ავადმყოფნი მოკლებულნი არიან ჯეროვან ექიმობას. თუმცა სატუსაღოს საკუთარი ექიმი ჰყავს, მაგრამ ეს ექიმი ეწევა ათას-გვარ სხვა თანამდებობასაც და ამის გამო ავადმყოფ ტუსაღთათვის ძალიან ნაკლებად სცალიან ხოლმე. (ცნობის ფურცელი, N513, 1898 წელი);

სოხუმი. წარმატება და დაწინაურება

სოხუმი დღითი-დღე წარმატებაში შედის, და ეს იქიდანაც სჩანს, რომ საქმეთა რიცხვი ლეგიონია და დღითი დღე უსაქმოს უსაქმო ემატება. ყოველისფერში წარმატება ეტყობა სოხუმს. მაგალითად 1) ხუთის წლის წინად ეგრედ წოდებული ბესლეტკაში ქუჩებზე მტვერი დაახრჩობდა კაცს. მხოლოდ ეხლა ისე მოურწყავთ, რომ კისრამდის ტალახია. 2)

ხუთიოდე წლის წინად წიგნთ-საცავ-საცვალ-სამკითხველო დაიბადა სოხუმში, ღმერთს ისე უბრძანებია, რომ ამ ხუთის წლის განმავლობაში კიდევაც დაბერებულა და ფეხებს ძლივს დაათრევს. 3) ამ ოთხის წლის წინად წიგნის მაღაზია გააღეს; ისე წინ წასულა, რომ რაც წიგნები იყო, სულ გაუტაცნიათ (გაყიდულა) და ეხლა დუქანში თაროებისა და ერთი დავთრის მეტი არაფერია. 4) ამ სამი ოთხიოდე წლის წინად ჩვენებურებთა ამხანაგობა შესდგა, რომელსაც აზრადა ჰქონდა, რაც ცარიელი ადგილები იყო სოხუმში, ყველა შეეძინა და მერე ის იჯარით გაეცა ჩვენებურ გაჭირვებული ხალხისთვის. ეს ამხანაგობა ისეთ წარმატებაში შესულა, რომ 300 ოთხკუთხი საჭენი მიწა შეუძენია, რომელსაც ამ დღეებში ისევე ყიდის და მერე ამხანაგობას სურს სოხუმის ოლქი მთლათ შეიძინოს, ამისთვის სანდო პირებს გზავნიან ვისთანაც საჭიროა მოსალაპარაკებლად, თუ რა ღირს მთლათ სოხუმის ოლქი ენგურის ხეობიდან მოყოლებული ვიდრე გაგრამდეო. 5) ხუთიოდე წლის წინათ სოხუმელებმა განიზრახეს ეკკლესიის აშენება, სადაც ქართული წირვა-ლოცვის მოსმენა შესძლებოდა ხალხს, რადგან საკათედრო სობოროში ჩვენებურად არ სრულდება წირვა-ლოცვა. ეს საქმე ისე წასულა წინ, რომ ამ ხუთიოდე წლის განმავლობაში ეკლესია კიდევაც აუშენებიათ, წირვა-ლოცვაც ყოფილა, ოცდა-ხუთი სხვა და სხვა მღვდელი გამოცვლილა. მერე სიძველის გამო დანგრეულა კიდეც. ამ ამბავს სიზმარსავით იგონებენ სოხუმელები: ჰოო!.. გვახსოვს, გვახსოვს, რაღაცა იყოვო... /ალია/. (ცნობის ფურცელი, N514, 1898 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი). „მეგრელთა ხორო“

18 ამ თვეს ბ-მა პ. ლოლუამ გამართა კონცერტი საგანგებოდ გაკეთებულ ფარდულში, რომელიც დროებით ოჩამჩირეში მყოფ რუსულ სახალხო ცირკს ეკუთვნის. სულით და გულით ველოდით ,,მეგრელთა ხოროს'' წარმოადგენენ, როგორ გვასახელებენ, რა შემუშავებულ ხმებს გაგვაგონებენ ჩვენი სახალხო ხმებიდან. აგრეთვე სულით და გულით მოვიწადინეთ ჩვენ, ოჩამჩირელებმა, გურული იყო იგი, მეგრული თუ იმერული შემწეობა აღმოგვეჩინა ახლად დაარსებულ საქმისათვის, რის მოწამეც აუარებელ ხალხის დასწრება იყო ლოლუას კონცერტზე. მაგრამ... ნეტა სულ არ გაემართათ ასეთი სასაცილო კონცერტი. ხოროს შედგენა ალბად ადვილი საქმეა და მოუყრია იმ დალოცვილს ლამაზ შესახედავ ყმაწვილ კაცებისთვის თავი და ჰგონებია, რომ ჩინებული ხორო უკვე შემდგარია, რომელიც ,,იგალობებს'' და ის კი დავიწყებია, რომ გალობას დამუშავება უნდა, თორემ სცენაზე გამოსვლა მოუმზადებლად თავის შერცხვენა, საზოგადოების გალანძღვა და ხალხის შეურაცყოფა. მერე რა დააშავეს მეგრელებმა ლოლუას წინაშე? თავის ხოროსთვის დაურქმევია ,,მეგრელთა ხორო'' ე.ი. საუკეთესო კრებული მეგრელ მომღერლებისა.. მახლას! ბ-ნ ლოლუას მშვენიერი ყმაწვილ კაცები შეუკრებია და ის-კი დავიწყებია, ხორო ბუნდოვან სურათს კი არ წარმოადგენს, არამედ სმენას უტკბობს მაყურებელს. 27 ხმა 27 წამში ,,იმღერეს'' და დასასრულ ლეკური ითამაშა ფ. ქავთარაძემ, რომელმაც ცოტად დააშოშმინა საზოგადოება, რომელიც ამ საღამოს გულ ნატკენი დაიშალა. /კონდ. გვასალია/. (ცნობის ფურცელი, N516, 1898 წელი);

გუდაუთი (აფხაზეთი). სამწუხარო ამბავი

14 აპრილს ს. დურუფშის მცხოვრებმა გვარათ აგუბაზმა, თავისი მამა მოკლა რევოლვერით. ამ ამბავმა ხალხი დიდად ააღელვა, რადგანაც ასეთი ამბავი ძალიან იშვიათია ჩვენში. მკვლელობის ჩადენის მიზეზი ყოფილა: აგუბაზს სამი ვაჟი ჰყოლია, ორი ცოლშვილიანი ყოფილა და ერთი უმცროსი უცოლშვილო. უფროსი ვაჟი ნახევარი წელიწადი იქნება, რაც რომ გამოსალმებია წუთის სოფელს და დარჩენია ცოლი. მამამთილს, ნდომებია, რომ უმცროს შვილისათვის ცოლად ქვრივი რძალი შეერთო, მაგრამ მეორე უფროსი შვილი

უარზედ ყოფილა, რადგანაც უთქვამს, ჯერ ერთი რომ კანონიერი არ არის ამ გვარი საქციელი, და მეორეც ძმა ჯერ კარგად არც კი გვიგლოვიაო, მაგრამ ეს მამამ არ გაუგონა, მოსვლიათ უკმაყოფილება და წაჩხუბებიან. მამას უთქვამს ჩვენ მუსულმანები ვართ და კანონიც ნებას მოგვცემსო, რის შემდეგაც მატყუარა მოლას დაჰკითხებია, მოლას ნება მიუცია. მამაც წამოსულა და ეს ქალი უნდა შეერთო უმცროსი ვაჟისათვის, მაგრამ საქმე უკუღმა დატრიალდა უფროსი ვაჟი მაინც არ დაჰყვა ნებაზედ. ჩხუბის დროს შვილმა იძრო რევოლველი, მამას ესროლა და იქვე გააგორა. მკვლელმა ტყეს მისცა თავი, ფირალათ გავარდა. ადგილობრივმა მთავრობამ საშუალებანი მიიღო მკვლელის დასაჭერად, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერი აღმოუჩენიათ. /ნაღარა/. (ცნობის ფურცელი, N522, 1898 წელი);

სოხუმი. უკანონო საჯარო ვაჭრობა

ამას წინად აქ საჯარო ვაჭრობით გაიყიდა დაფნის ტყე, რომელიც ქალაქს ეკუთვნოდა. ერთი ტყის მწარმოებლის საჩივრის გამო, რომელიც აღნიშნულ ტყეში ხის მოჭრის უფლებისათვის 1000 მანეთის მაგივრად, რამდენადაც იგი გაყიდულ იქმნა, იძლეოდა 1,200 მანეთს, ეს ვაჭრობა უკანონოდ იქმნა ცნობილი. გუბერნიის მთავრობის განკარგულებით, ახალი საჯარო ვაჭრობა დანიშნულ იქმნა 13 აპრილისათვის მაგრამ რაღაც გაუგებარ გარემოების მეოხებით, აღნიშნულ დღეს ვაჭრობა არ მომხდარა, ახლა-კი გავიგეთ, რომ ეს ტყე მიუყიდნიათ 24 აპრილს ვიღაც სარგანიდისათვის 1,205 მანეთად და რომ გარდა სარგანიდისა არავის მონაწილეობა არ მიუღია, თუმცა მას ჰყავდნენ ისეთი კონკურენტები, რომლებიც მზად იყვნენ მიეცათ ამ ტყეში 1500 მ., ერთმა მათგანმა უკვე შეიტანა საჩივარი ქუთაისის გუბერნატორთან ვაჭრობის უკანონობაზე, რომელიც მოხდა 24 აპრილს, მაისში მონაწილეობის მიღების მსურველთა გაუგებრად. (“ნ. ო.”). (ცნობის ფურცელი, N523, 1898 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი). სიმინდის ფასის აწევა

ჩვენს დაბაში გაცხარებული ვაჭრობაა სიმინდისა. ყოველ-დღე 200-ზე მეტი ურემი ჩამოდის სოფლებიდან სიმინდით დატვირთული. ფუთში აძლევენ 55-60 კაპ., ვაჭარმა კარასაგანგმა ერთი გემი უკვე დატვირთა სიმინდით და საზღვარ-გარეთ გაისტუმრა. ამ ვაჭარსვე სურს კიდევ რამდენიმე გემის დატვირთვაც. /გეგი სანაია/. (ცნობის ფურცელი, N526, 1898 წელი);

სოხუმის საერო დარაჯთა შეიარაღება

ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციას შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ მიეცეს მას 110 ბერდანის თოფი სოხუმის საერო დარაჯთა შესაიარაღებლად. (ცნობის ფურცელი, N528, 1898 წელი);

დ. ოჩამჩირე

სამღვდელოებათა კრება. 1 მაისს ოჩამჩირეში სამღვდელოებათ კრება ჰქონდათ აფხაზეთში ქრისტიანობის დაცემის წინააღმდეგი ზომების მიღებისა და მათი გაჭირვებულ მდგომარეობათა შესახებ.

სიმინდის გაძვირება. სიმინდის ფასმა შესამჩნევად აიწია და მშრომელი ხალხის სიხარულს საზღვარი არა აქვს. დღეს ფუთი 57 კაპ. იყიდება.

ამინდი. მაისი უკვე დადგა და ჯერ კიდევ ცივი დღეებია. წრევანდელ ყინვებს მთლად ამოუხმია ზოგიერთ ხილის ხეები, მასთან ზოგან ვაზებიც. ყვავილი გაჩნდა, მაგრამ ჯერ არავინ უმსხვერპლია.

ამხანაგობა. ოჩამჩირელებს განზრახვა აქვთ ერთმანეთის მტრობას თავი ანებონ, შეადგინონ ამხანაგობა, რომელსაც აზრად ექმნება სიმინდის წარმოება და ამით აიცილონ, რომელიმე მატროსების ბატონობა. გამარჯვებას ვუსურვებთ. /ხორშელი/. (ცნობის ფურცელი, N528, 1898 წელი);

გუდაუთა (აფხაზეთი). დასჯილი მოაშიყენი

6 მაისს, საღამოს მესამე საათი იქნებოდა, რომ შავი ზღვის ნისლმა დაფარა მთელი აქაური მიდამო, თითქმის ერთ ორ საჟენზე ერთი მეორეს ვერ იცნობდა. სწორეთ ამ დროს სეირნობდნენ ქალაქის ახლო განაპირზედ მანდილოსნები. ეს შეუმჩნევიათ იქვე მიმავალ აფხაზებს, ს. ლიგინის მცხოვრებლებს და რაღაც ახირებულის კილოთი მითომ და გამოესარჩლნენ მანდილოსნებს, რომელნიც მაშინათვე მიხვედრილან აფხაზების ცუდს განზრახვას. აფხაზები ცოტა არ იყოს გათამამებულან, მაგრამ საბედნიეროდ ამ დროს წამოსწევიან იქვე მოსეირნე ვაჭრები, რომლებმაც ერთი იმ თავგასულთაგანი დაიჭირეს და პოლიციას ჩააბარეს და ჩასვეს გუდაუთის საპატიმროში. მარცხი არა ფერი მომხდარა რა. ამინდები და ქარტეხილი. 30 აპრილს საღამოს, ჟამზედ ამოვარდა დასავლეთის ძლიერი ქარი, რომელიც ნახევარ საათის განმავლობაში ქროდა, მაგრამ დაელეწა სახლები, ზოგს სახურავი ახადა, ხეხილები სულ ერთიანად დაგლიჯა, აგრეთვე ს. ზვანდრუბშის ეკლესიას სახურავი სულ ერთიანად გადააძრო გუმბათიანათ. /ნაღარა/. (ცნობის ფურცელი, N532, 1898 წელი);

სოხუმი

ყოვლად უსამღვდელოესის არსენის განკარგულებით, 19 აპრილს, ცირკულიარით წინადადება მიეცათ სოხუმის ეპარქიის ყველა ბლაღოჩინებს შემოიღონ დაწვრილებითი ანგარიშები შესახებ მრევლის სიარულისა ეკლესიებში შაბათობით, კვირაობით და უქმე დღეებში. ამასთან პასუხები უნდა მისცენ შემდეგ კითხვებზე: 1) იყო თუ არა წირვა-ლოცვა ეკლესიაში? 2) თუ არ იყო, რა მიზეზით? 3) რამდენი მრევლი იყო ღვთის მსახურებაზე (მწუხრზე, ცისკარზე, წირვაზე)? 4) მათ შორის რამდენი იყო ბავშვი, გარდა სკოლის მოწაფეთა? 5) რამდენი მცირე წლოვანი ეზიარა? 6) ცნობები შესახებ მოწაფეთა სიარულისა ეკკლესიაში? 7) აწირვინებდა ან პარაკლის ახდევინებდა ხოლმე თუ არა მრევლი და რამდენი ყოფილა ასეთი წირვა-პარაკლისი? 8) ქადაგობდა თუ არა მღვდელი ეკკლესიაში ღვთის მსახურების დროს თავის ან სხვის თხზულებას? ეს ცნობები უნდა წარედგინოს ყოველ ნახევარი წლის შემდეგ. (ცნობის ფურცელი, N533, 1898 წელი);

ქ. სოხუმი

გაზ. „კავკაზს" ქ. სოხუმიდან შემდეგს ფრიად საყურადღებო ამბავს სწერენ. ამ 30-ოდე წლის წინად სოხუმის ოლქის მაშინდელი უფროსის გეიმანის დროს ქალაქმა სოხუმის მაიაგანის გარშემო მდებარე ადგილი, სივრცით 300 დესეტინა, დაუთმო იმ თავისუფალ მატროსებს, რომლებიც მოისურვებდნენ აქ დასახლებას. ხოლო ამ ადგილის დასახლება სასურველი იყო ერთი მხრით ქალაქის ჰაერის გასაწმენდად, რადგან იმ დროს ციება საშინლად მძვინვარებდა

სოხუმში, სამ მხარეზე გარშემორტყმულ უტეხ ტყეებისა და ჭაობების სიახლოვის გამო; მეორე მხრით, ამ ადგილის დასახლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმით, რომ ქალაქი მისი შემწეობით უშიშარი შეიქნებოდა აფხაზეთის მუდმივი თავდასხმისაგან, რომლებიც აღნიშნულ ტყეებში იმალებოდნენ. მაგრამ გავიდა 30 წელიწადი და არ გამოჩნდა არც ერთი მატროსი ამ ადგილზე მეურნეობის დაწყების სურვილი განეცხადებინა. ამის გამო ეს ადგილი დღემდე დაუსახლებელი დარჩებოდა, რომ ქალაქს არ მოეფიქრა და იგი იჯარით არ გაეცა მეგრელებზე. დღეს ამ ადგილზე ცხოვრობს 25 სული მეგრელი, რომელთაგან ზოგიერთები 20 წელი მეტია აქ მეურნეობას ეწევიან. მეგრელებმა მთელი ეს ადგილი ყანებად და ვენახებად აქციეს; გააშრეს ჭაობები და ამით შეამცირეს ცივება. მაგრამ აი ამ წლის მარტში პოლიციას გამოეცხადა ორი ოჯახი და სთხოვა „მატროსების მიწაზე" დაგვასახლეთო. პოლიციამ იმის ნაცვლად, რომ მიეცა მათთვის თავისუფალი ადგილი, უბრძანა ორ მოიჯარადრეს გადასახლდით აქედან და თქვენი ეზოები, თავისი შენობებით, მიეცით ამ ორ მატროსსაო. საბრალო მოიჯარადრენი იძულებულნი შეიქნენ აპრილში, გახურებულ მუშაობის დროს, თუ მიეტოვებინათ სახლი თავიანთი ოჯახობით და მეზობლებისას შეეფარათ თავი. ერთ მათგანს დროც არ მისცეს სასიმინდიდან სიმინდი გამოეტანა და ამ ნიადაგზე გამოწვეულ უსიამოვნების გამო საბრალო გლეხი დატუსაღებულ იქმნა ერთი დღე და ღამით. მაგრამ ეს ცოტაა. პოლიცია აიძულებს გადასახლებას დანარჩენს 23 ოჯახსაც, თუმცა გარდა ზემოხსენებულ მატროსებისა არავის აქ დასახლება ჯერ არა სურს და თუმცა აქ თავისუფალი ადგილი, გარდა იჯარით გაცემულისა, 160 დესეტინა მეტია. ამ ჟამად ყოველ ცისმარე დღე ბედშავი მოიჯარადრენი იმის ნაცვლად, რომ მუშაობდნენ, ატუზულან პოლიციის სამმართველოს წინ და თხოულობენ შემწეობას. მაგრამ პოლიცია შეუდრეკლად ადგას თავის გადაწყვეტილებას და მოიჯარადრეებს იმის ნებასაც არ აძლევს, რომ თარჯიმანის შემწეობით მეგრულად ელაპარაკონ. მოიჯარადრეებს სხვა გზა აღარ დარჩენიათ და განზრახვა აქვთ კავკასიის უმაღლეს მთავრობასთან იჩივლონ. ამ ამბავზე, რომელიც ჩვენ მოკლედ გადმოვიღეთ, გაზ. „კავკაზი" შემდეგს შენიშნავს: „ვბეჭდავთ რა ამ წერილს, რომელიც სანდო პირისაგან გვაქვს მიღებული, ვერ დაგვიჯერებია მისთვის! ჩვენ ვერას გზით ვერ გაგვიმართლებია, ის-კი არა და ვერ აგვიხსნია მასში აწერილი ამბები. კიდეც რომ გადაწყვეტილი იყოს „მაიაკის ადგილის" სხვაზე გადაცემა, როგორ არ უნდა მისცემოდათ მოიჯარადრეთ შესამჩნევი ვადა, რომ მათ შესძლებოდათ მიხედვ-მოხედვა და სხვაგან მიდგომ-მოდგომა?! ეს ხომ უბედურ გლეხების სრულიად ბედის ანაბარად გაშვებას ნიშნავს. მაგრამ მშვიდობიან მიწის მუშების, რუსეთის ქვეშევრდომთა მთელი სოფლის გადასახლება თავისთა თავადაც არა სასურველი ფაქტია, და ძლივს თუ შეიძლება მისი გამართლება რაიმე მოსაზრებით. დროა აღვიაროთ, რომ სამოქალაქო უფლების ნაწილში, მშვიდობიან შრომის ნაწილში, „არ არს არცა ელლინი, არცა ებრაელი". ხოლო თუ აქაც ეროვნული თვალით შევხედავთ საქმეს, ვინ არის ჩვენთან, რუსებთან, უფრო მახლობელი, თუ არ წარმომადგენელნი ერთმორწმუნე ქართველ ტომისა, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ემსახურებოდა ჩვენს დიდებულ ისტორიულ დანიშნულებას?! ამის დავიწყება ცოდვაა... ის კიარადა უპრაქტიკობაცაა". (ცნობის ფურცელი, N533, 1898 წელი);

ოჩამჩირე (აფხაზეთი). სამკითხველოს გამო

საჭიროა ვიცოდეთ ამ ორიოდე წლის წინად ფული იკრიბებოდა ოჩამჩირეში სახელწოდებით: „უფასო სამკითხველოს დასაარსებლად". ნეტავ რა შეემთხვა ან ამ ფულს, ან სამკითხველოს? ფული სამოც მანეთამდე იყო შეკრებილი. ურიგო არ იქნება ამ საქმის მოთავენი გამოაქვეყნებდნენ, რა ბედი ეწია მათ დაწყებული საქმეს? სიმინდის ფასი კვლავ დაეცა, ეხლა ფუთი 38 კ. იყიდება. /ხ-ი/. (ცნობის ფურცელი, N564, 1898 წელი);

სოხუმი. ცოლ-ქმრის საჩივარი

12 თიბათვეს ადგილობრივმა მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია საქმე აქაურის ცნობილ მდიდარ მოქალაქის ალექსი ჭილაიასი და მისის ცოლის საჩივრისა. საქმე ის იყო, რომ ხსენებულმა ალ. ჭილაიამ მოიტაცა ერთის აქაურის მცხოვრების გასათხოვარი ქალი და სოხუმიდან გაიქცა თავისის სატრფოთი. ობლად დარჩენილმა ცოლმა რამდენი არა სთხოვა თავისს ქმარს, თავი დაანებე მოტაცებულს ქალს, ჭკუა მოიკრიბე და შენს ოჯახს სახელს გაუტეხავო, მაგრამ ქმარმა ქვა შეაგდო და თავი შეუშვირა. მე უთქვენოდაც კარგადა ვარო, შემოუთვალა უნუგეშოდ დაგდებულ ცოლსა. მეტი გზა რომ არ იყო, გამწარებულმა ცოლმა სასამართლოში უჩივლა თავისს ურჩს ქმარს: ან ჩემთან იცხოვროს და სხვისი ქალიშვილი გაუშვასო, ან თვიური სარჩო გამიჩინოსო. მაგრამ ქმარმა შინ დაბრუნებაზე უარი განაცხადა. მოსამართლემ განიხილა რა საჩივარი ალ. ჭილაიას ცოლისა, ალექსი ჭილაიას მიუსაჯა: ყოველთვიურად აძლიოს თავისს ცოლს სარჩოდ 50 მანეთი. (ცნობის ფურცელი, N565, 1898 წელი);

წირვა-ლოცვის საქმე სოხუმში

სოხუმის საეპარქიო მთავრობას, როგორც გაზ. „ნ. ო.“-ეს ატყობინებენ, ბრძანება მოსვლია უწმ. უმართ. სინოდისაგან იმის შესახებ, რომ როგორც სოხუმში, ისე ეპარქიის ეკკლესიებში წირვა-ლოცვა წარმოებდეს ადგილობრივ მცხოვრებთათვის გასაგებ ენაზე. ადგილობრივი მცხოვრებნი, რომელებიც 10 წელიწადი მეტია მოკლებულნი არიან დედა-ენაზე წირვა-ლოცვის მოსმენას, მოუთმენლად მოელიან აღნიშნულ ბრძანების ასრულებას. (ცნობის ფურცელი, N568, 1898 წელი);

სოხუმელების თხოვნა პორტისა და რკინის გზის შესახებ

ამ დღეებში სოხუმელებს თხოვნა მიურთმევიათ მთავარ-მართებლისათვის იმის შესახებ, რომ მოწყობილ იქმნეს სოხუმში პორტი და გაყვანილ იქმნეს რკინის გზა, რომელმაც სოხუმი ამიერ კავკასიასთან და ჩრდილოეთ კავკასიასთან უნდა შეაერთოს. ასეთივე თხოვნა წარუდგენია სოხუმის ქალაქის პოლიციის გამგეობას ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისათვის. („ნ. ობოზრენიე“). (ცნობის ფურცელი, N568, 1898 წელი);

დრანდა (აფხაზეთი). უმღვდელობა სოფელში

აპრილის თვეში გარდაიცვალა სოფელ ნიკოლაევსკის მრევლის მღვდელი მ. ლ. ჯიქია. ამის შემდეგ აგერ მესამე თვე გადის და მღვდელი იქ კი არავინ დაუნიშნავთ, თუმცა მთხოვნელები კი ბევრნი და ღირსეულნი არიან. ეს სამრევლო ოთხი სოფლისაგან შესდგება და უმღვდელოთ კი დიდს გაჭირვებაში არის ჩავარდნილი ხალხი. წირვა-ლოცვას რომ თავი დავანებოთ, სხვა მღვდელი მოქმედებისათვის, რომელიც უსაჭიროესია, ათი-თორმეტი ვერსიდან მოჰყავთ მღვდელი და კიდევ კარგი თუ თუ მღვდელს დრო დაურჩა და მოიცალა სხვა მრევლისათვის! ხოლო რაც შეეხება საზიარებლათ მოწვეულს, ვეჭვობ, რომ თორმეტი ვერსიდან მღვდელმა ყოველთვის დროზედ მოუსწროს და უზიარებელი არ მოკვდეს კაცი. ერთი სიტყვით მრევლი უმღვდელოთ გაჭირვებაშია ჩავარდნილი და დიდათ სასურველია, ყურადღებას მიაქცევდეს, ვისაც ჯერ არს და გაჭირვებულ მრევლს დროზედ აღირსებდეს მღვდელს! /Humanus/. (ცნობის ფურცელი, N568, 1898 წელი);

სოხუმის რკინის გზა

კავკავის რკინის გზის საზოგადოებას ამ ჟამად, როგორც გაზ. „ნოვოსტი“-ს აუწყებენ, უკვე დაუმთავრებია პირობების გამოკვლევა სადგ. ნევინომისკიდან სოხუმამდე რკინის გზის გასაყვანად. განზრახული გზა, ამ გამოკვლევის თანახმად, სიგრძით 296 ვერსი იქნება, გაივლის ყუბანის ოლქზე და ქუთაისის გუბერნიაზე, ბატალპაშინსკში, სადგ. ბელოპეჩეტსკში, ნიკოლავსკში და უსტჯუგუტში. ლიანდაგი გაჰყვება ყუბანის გზად, კბილების აუხვევს მდ. გილანს და დრანდის მახლობლად გადუხვევს სოხუმისაკენ. ხოლო ამ გზის შესაერთებლად ამიერ-კავკასიის რკინის გზასთან დრანდიდან გაყვანილ იქმნება ცალკე შტო, რომლის მიმართულებაც განსაზღვრულია გამოკვლევით. ამ შტოს სიგრძე ექნება 98 ვერსი, გაივლის აბასთუმნის მახლობლად, გადასჭრის რამდენსამე მდინარეს და სხვათა შორის ინგირი, რომელზედაც საჭირო იქნება დიდი რკინის ხიდი. ამ შტოს შეერთება ამიერ-კავკასიის გზასთან განზრახულია ფოთის მახლობლად. (ცნობის ფურცელი, N569, 1898 წელი);

სოხუმი. მეტივე მუშების დახრჩობა

სოხუმის ოლქში კოდორის ნაწილში არის ხერხის მანქანები უფ. ჟოლკერისა, რომელსაც ხეები ჩამოაქვს მთიდან. აქ მუშაობენ დიდძალი მუშები - მეტივეები, რომლებიც გამოიწერეს გორის მაზრიდან. 19-ს ივნისს გზაზე ტივი გადაბრუნდა და წყალში დაიხრჩო ორი მეტივე, გორის მაზრის სოფ. ოდისთავის მცხოვრებნი, როგორც გავიგეთ, ორივე მეტივე წვრილ ცოლშვილის პატრონები ყოფილან. მკვდრები ჯერ კიდევ არ არიან ნახული. და არც მძებნელი არავინ ჰყავთ. ურიგო არ იქნება, რომ მანქანების პატრონმა ყურადღება მიაქციოს გლახა გზებს კოდორზე და გარდა ამისა უყურადღებოდ არ დასტოვოს დამხრჩვალი კაცების წვრილი ცოლშვილი. /ხორგელი გრიგოლი ანთელავა/. (ცნობის ფურცელი, N572, 1898 წელი);

სოხუმი. ბოროტ-გამზრახველთა შეპყრობა

ის ბოროტ-გამზრახველნი, რომელთაც სცადეს გუდაუთის ნაწილის უფროსის ვ. პ. ჩიქოვანის მოკვლა, უკვე აღმოუჩენიათ. ესენი ყოფილან ძმები სულეიმან და ისმაილ ავიძბები და მათი თანამოგვარე ჯგვატან ავიძბა. როგორც მათ განმარტეს, მათი ბოროტ განზრახვის მიზეზი იყო იმ სასჯელის შიში, რომელსაც მოელოდნენ ძმანი ავიძბანი თავის მიერ ჩადენილ დანაშაულის გამო. საქმე ის არის, რომ სანამ ბ. ჩიქოვანს დასჭრიდნენ, ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ დაუჭრიათ ავიძბების მეზობელი მ. აკვაძბა. ბ. ჩიქოვან ეჭვი მიუტანია ძმ. ავიძბებზე და მოუთხოვია მათთვის აფხაზთა ჩვეულებისამებრ ფიცის მიღება. ავიძბებს ამაზე უარი უთქვამთ და რამდენჯერმე უთხოვიათ ბ. ჩიქოვანისთვის სასამართლოს გადაეციო, სადაც მათ ჰქონიათ თავის გამართლების იმედი ცრუმოწმების შემწეობით. მაგრამ ჩიქოვანს მათი თხოვნა არ შეუწყნარებია, ამის გამო მათ გადაუწყვეტიათ თვითონ ჩიქოვანის მოკვლა და ამ განზრახვის ასასრულებლად მიუგზავნიათ მასთან თავიანთი თანამოგვარე ჯვატან ავიძბა. (ცნობის ფურცელი, N572, 1898 წელი);

სოხუმი. კურს-დამთავრებულნი აქაურ სამთო სკოლაში

წრეულს სოხუმის ორკლასიან სამთო სკოლაში სწავლის კურსი დაამთავრეს 13 ყმაწვილმა. აი, მათი გვარებიც: ანჩაბაძე დავ., ბერულავა ექვთ., ვასილიევი გრ., დავითაია იულ., დგებია სილ., მაღი ალექსი, ყარაპულეტი ლ., ნადარეიშვილი გრ., რუხაია დიომიდე, სოპლემეზი

ქრისტ., ჯაფარიძე ვარ., და გვასალია გერას., ამათში 8 ქართველია, 3 - ბერძენი, 1 - რუსი და 1 - აფხაზი. (ცნობის ფურცელი, N573, 1898 წელი);

გუდაუთი (აფხაზეთი). გვალვა

8 მაისიდან დაწყებული ჩვენში დედა-მიწას ცვარი წვიმა არ დასცემია, ამის გამო დღეს საყანე ადგილები გამხდარა ველებად და საქონლის საძოვარ ადგილებად, უამისოდაც არა-მუშა აფხაზები, აბა რას გააკეთებენ. აფხაზებმა რომ იცოდნენ მიწის დამუშავება ზამთრობით, როგორათაც ეს ქვემო იმერეთში და სამეგრელოში იციან, მაშინ ძალა-უნებურათ მაინც დაითესებოდა ყანები. ახლა ხალხმა არ იცის, რა საშვალებას მიმართოს, ან ცოლშვილის ჭირ-ვარამს როგორ გაუძლოს ან სხვა მოთხოვნილებას და ფოსტის გადასახადს, მაგრამ ესენი ჯერ კიდევ ცას შეყურებენ, და მოელიან წვიმას, ეგებ ყანები სანახევროთ მაინც დავთესოთო? ხოლო რომ დათესონ ჭირნახული, მოვა თუ არა, ალლახმა უწყის.

სიმინდის ფასის დაწევა. ერთად ერთი სიმინდი იყო ჩვენი აღებ-მიცემობის ამაყვავებელი და ამ ბოლო დროს მისი ფასიც ძალიან დაეცა. ეს ექვსი-შვიდი წელი ვერ ვეღირსეთ სიმინდის ფასის აწევას. ერთხელ კი აიწია თავი, მაგრამ არ დასცალდა და ჩარჩ-ბერძნების წყალობით ისევ დაეცა. ასე წარმოიდგინეთ წინანდელზე კიდევ უარესი დაემართა. 60 კ. ნაყიდი სიმინდი 38 კ. იყიდება.

თამბაქოს პლანტაცია. თამბაქოს შავი დღე ადგია ჩვენში. გვალვამ დახეთქა მიწის ზედა პირი და დახეთქილ მიწაში მოჰყვა ნორჩი თამბაქოს ძირებიც.

მეხის დაცემა. აქაურ მცხოვრების ჟუკოვის სახლს 20 ივნისს მეხი დაეცა და სახურავი ჩაამტვრია. სახლი ქვისაა, ორ სართულიანი. მარცხი არა მომხდარა-რა, რადგან თავად ჟუკოვი ამ დროს შინ არ ყოფილა, ხოლო მისი ცოლშვილი სამზარეულოში იმყოფებოდა.

ერთი სასიხარულო ამბავი. ამდენ უბედურებასთან, როგორც იყო, ერთი სასიხარულო ამბავიც გავიგეთ: ქ. ნოვოროსიისკიდან ქალაქ სოხუმამდის რკინის გზა გაკეთდება და ელექტრონის მატარებელი ივლისო, ამ ამბის გამო ყველა მოხარულია და ვისურვებთ ეს საქმე დაემთავრებინოთ.

უზნეობა. გუდაუთში არსებობს ერთი „ხარჩევნია“, სადაც იმყოფენია - ყირიმიდან და რუსეთის სხვა და სხვა მხარეებითგან მოსული მანდილოსნები; ეს უკანასკნელიც გვალვას გაუჩერებია. ვითომდა გვალვის გამო თამბაქოს პლანტაციებზე ვერ უმუშავნიათ და წვიმას უცდიან. საღამოობით ეტანებიან ყმაწვილები, რომელთაგანაც დუქანში ხშირად იმართება აყალ-მაყალი და ჩხუბი. საჭიროა ამ საქმეს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს. საჭიროა ეს მანდილოსნები აქეთ-იქით დაიქსაქსებოდნენ, რადგან ისინი ცუდი სენით არიან შეპყრობილნი და მოსალოდნელია, რომ უარესიც დაემართებათ.

ბანქობია. აქაური ვაჭბატონები დილიდან საღამომდე და საღამოდან გათენებამდის ტრახტირებში ატარებენ დროს და გაცხარებით ბანქოობენ. /გ. ნაღარა/. (ცნობის ფურცელი, N575, 1898 წელი);

სოხუმი. მამაშვილის დაკარგვა

ამას წინათ სოფ. აბჟაყვაში ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა. იქაურს მცხოვრებ ვინმე ბერულავასთან მოჯამაგირეთ იდგა სენაკის მაზრის მცხოვრები ნიკ. გრიგოლია, რომელსაც თანა ჰყავდა თავისი 13 წლის ქალიშვილი. ერთს დღეს ბერულავას სახლში სამოცი მანეთი

მოუტანია და, გრიგოლიას ქალიშვილი რომ უყურებდა ისე, ზანდუკში შეინახა. შინაურები რომ გარედ ყოფილან, გრიგოლიას ქალიშვილს ზანდუკი გაუღია, ფული ამოუღია და ლეიბში დაუმალავს. ფულის დაკარგვა მალე გაიგეს. ეჭვი აიღეს ქალიშვილზე. ჩააცივდნენ, გამოტყდიო. გრიგოლიასაც უთხრეს, შენი ქალიშვილი მოიპარავდა უსათუოდ და გამოტეხე როგორმეო. მამამ დიდი ფიცი სთქვა, ჩემს ქალს ისე ღმერთი როგორ გაუწყრებოდა, რომ თქვენი ოჯახისთვის ასეთი უწესოება ეკადრებინაო. ბოლოს ქალი დაიმარტოხელეს და ძალა დააყენეს. ისიც გამოტყდა, მართალია, მე მოვიპარე და ლეიბში შევინახეო. მამის თანდასწრებით ლეიბი გაარღვიეს და ამოიღეს მოპარული 60 მან. ამის მნახველს გრიგოლიას ელდა ეცა. ვერ აიტანა ასეთი სირცხვილი თავისის ქალისა: იქვე, კედელზე, ჩამოკიდებული სატევარი ჩამოგლიჯა და გულში დაიტაკა. ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნიაო.

დაჭრილი გრიგოლია იმავ დღეს სამხედრო ლაზარეთში ჩამოიყვანეს. იქ სამი დღე დაჰყო ავადმყოფმა და მეოთხეზე გამოიქცა, მოიტაცა თავისი ქალიცა და სადღაც გადაიკარგვნენ ორივე მამა-შვილი. ამბობენ თავი დაიხრჩო გრიგოლიამ და თავის ქურდი ქალიშვილიც დაახრჩოო. ადმინისტრაცია ორივეს დაეძებს. /გ. ხარკალაია/. (ცნობის ფურცელი, N575, 1898 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი). ფ. დავითიას და მარ. ჩაჩავას საჩივარი

24 თიბათვეს ადგილობრივმა მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია საჩივარი აქაურის ვაჭრის ფარნა დავითიასი აქაურსავე მცხოვრებ პრაპორშჩიკის მეუღლე მარიამ ჩაჩავაზე შეტანილი. როგორც „ცნ. ფურც.“ მკითხველებმა იციან, ადრე ქ-ნმა მარიამ ჩაჩავამ ხსენებული ფარნა დავითაია სოხუმის ეპისკოპოსთან დააბეზღა: ფ. დავითია და სპირ. ნარაკიძე ყოველგვარ კანონის საწინააღმდეგო საქმეში ერევიან, მთავრობის მუხანათი და ორგულნი არიან და სხ. და სხ. ფარნა დავითაიამ და სპ. ნარაკიძემ სასამართლოში უჩივლეს მარიამ ჩაჩავას, უსაბუთოდ დაგვაბეზღა და ჩვენს სახელს ჩირქი მოსცხოვო, ამიტომ პასუხის გებაში მიეცითო. მოსამართლემ საქმის გარჩევის დროს, მარიამ ჩაჩავას მოსთხოვა, კანონიერი საბუთები წარმოადგინეთ, რომ ეს პირნი მართლა ისეთები არიან, როგორებადაც თქვენ დაგიბეზღებიათო. მარიამ ჩაჩავა მოსამართლეს დაჰპირდა, წარმოვადგენ ამ საბუთებსაცაო. საქმე მომავალ ენკენისთვის 14-თვის გადაიდო. /ხორავა/. (ცნობის ფურცელი, N575, 1898 წელი);

სოხუმი. ახალი ექიმის დანიშვნა

ეს ერთი თვეა, სოხუმის ქალაქის ექიმმა, რომელსაც, გარდა ქალაქის ექიმის თანამდებობისა, ათამდე სხვა თანამდებობის აღსრულება ჰქონდა ნაკისრი, ქალაქის ექიმობაზე უარი განაცხადა. მისს ადგილას ქალაქის დეპუტატებმა აირჩიეს ექიმი დ. დიმიტრიევი, კაცი ყოვლად კეთილი. ბ-ნმა დიმიტრიევმა თვისის დაუზარლობით, უანგაროებით და მოყვასის უზომო სიყვარულით სამართლიანად დაიმსახურა ადგილობრივი საზოგადოების გულ-წრფელი პატივის ცემა. წარსული მისი მოღვაწეობა თავმდებია იმისი, რომ ამიერიდან უფრო განუმტკიცებს საზოგადოებას მისდამი სიყვარულსა და პატივის ცემას. ამიტომ, სრულის სიხარულით ვეგებებით ჩვენთა დეპუტატთა არჩევანს. იმედია, ჩვენი ქალაქი, ეს ჯირყინა ყოველ გვარის უსუფთაობისა, ეს ბუდე ყოველგვარ გადამდებ სენისა, ქალაქის ექიმად ბ-ნის მ. დიმიტრიევის არჩევის შემდეგ ფერსა და სახელს საუკეთესოდ გამოიცვლის, მოსულ ავადმყოფებისათვის საფრთხობელა არ იქმნება, როგორც აქამდე იყო, არამედ უფრო მიიზიდავს მათს რიცხვს. (ცნობის ფურცელი, N577, 1898 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი). ჩვენი ავ-კარგი

ოცი წელიწადია რაც ოჩამჩირე არსებობს. 1877 წ. რუს-ოსმალოს ომიანობამ აღგავა დედამიწის ზურგიდან ძველი ოჩამჩირე. მხოლოდ ომის გათავების შემდეგ ახალი ოჩამჩირე ცოტა დაბლა ღალიძგისპირად გაშენდა. ამ ხნის განმავლობაში იგი დაბის პირობაზე გვარიანად გაიზარდა. ამჟამად ოჩამჩირეში არის შემდეგი დაწესებულებანი: სამოსამართლო განყოფილება, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, აქვს ბინა კოდორის ნაწილის უფროსს, არის აფთიაქი თავისს ნაკლულევანებით, ეკკლესია, ექიმი და ფერშალი, ორკლასიან ნორმალური სასწავლებელი და სხვა. დუქნების რიცხვი 100-მდია. ფოსტის გემი დადის კვირეში სამჯერ ბათომიდან ე.ი. ორშაბათს, ოთხშაბათ-კვირაობით ბათომიდან, გარნა ორშაბათ-პარასკევ-შაბათობით რუსეთიდან. ამას გარდა ორი სხვა საზოგადოების გემებიც დადიან: - „აზოვის“ და „რუსეთის“. იშვიათად გამოერევა ისეთი დღე რომ წამსვლელი გემს არ შეხვდეს.

ჟურნალ-გაზეთების რიცხვი ყოველ წლივ მატულობს. ამ ჟამად ოჩამჩირეშს მოდის შემდეგი დროგამოშვებით გამოცემანი: „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, (13 ც.) „მოამბე“, „კრებული“, „კვალი“, „ჯეჯილი“ და „მწყემსი“. რუსული: „ახალი მიმოხ.“, „კავკაზი“, „ჩერ. ვესტ.“. „ნივა“, „ბირჟ. ვედ.“, „ნოვ. ვრემია“, „ნედელია“ და სხ. გარდა ამისა, წიგნებიც იყიდება მაგრამ სამწუხაროდ არც წიგნის მაღაზიაა ოჩამჩირეში და არც სამკითხველო; კითხვის ინტერესი ბევრს აქვს ოჩამჩირეში. ამისთვის სასურველია „წერა-კით. გამავრც. საზოგადოება“ აგენტს იყოლიებდეს ოჩამჩირეში, რომელსაც მის მიერ გამოცემულ წიგნებს გამოუგზავნის გასაყიდათ, რასაკვირველია ისეთს აგენტს, რომელიც „მოიცლის“ და ინტერესი აქვს ამ საქმისა და არა ისეთს, რომელსაც „არ სცალია“ და გაუგზავნოს, მაინც სახლში ექნება შენახული. თვით დაბას განაგებს დაბის ბოქაური და ორი დეპუტატი. წლიური შემოსავალი აქვს დაბას 7-8 ათას მანეთამდე. სისუფთავე კარგად არ არის დაცული; ქუჩების თხრილში დამპალი წყალი დგას, საიდანაც მთელი დღე განუწყვეტელი ბაყაყების ყიყინი მოისმის. ეს დამპალი წყალი ზაფხულობით ხელს უწყობს საშიშო ციებ-ცხელებას. ოჩამჩირეში ბაზრობა რას ჰქვია ჯერ არ იციან. სოფლიდან ჩამოტანილ საქონელს ის მედუქნეები ჰყიდულობენ, რომელნიც თავში არიან მოქცეულნი და მერე ისინი მამასისხლად აძლევენ მცხოვრებთ. ქართულ-რუსული წარმოდგენა აქ 3-4 ჯერ იმართება წელიწადში, განსაკუთრებით ზაფხულობით, როცა ახალგაზდები სასწავლებლებიდან ჩამოვლენ. ამ დღეებში ვაპირობთ საქველმოქმედო მიზნით წარმოდგენის გამართვას.

შეიძლება ოჩამჩირე ახლო მომავალში სულ სხვა სახით გამოჩნდეს რადგან მის გარშემო ბევრი სიმდიდრე იპოვნეს, აი მაგ., 2 ივლისს, დაიწყეს ოქუმის (სამურზაყანოშია) მადანის მუშაობა დროებით პირობის ძალით, მუშაობა გაგრძელდება სამ თვეს და ნამდვილი პირობა მაშინ შეიცვლება, როცა შეიტყობენ მადნის სიმდიდრეს. მადანი ვერცხლისა და ტყვიისაა. ქურდობამ ოჩამჩირეში კვლავ მოიკიდა ფეხი და აგერ ერთი თვის განმავლობაში რამდენიმე ცხენი დაიკარგა აგრეთვე ხარიც. ხშირმა წვიმებმა დაბლობ ადგილის მოსავალი გააფუჭა. /ლ/. (ცნობის ფურცელი, N577, 1898 წელი);

სოხუმის ქალაქის მოურავად

სოხუმის ქალაქის მოურავად, როგორც გავიგეთ, ასახელებენ ჩვენს საზოგადო მოღვაწეს თავ. ვლადიმერ სიმონის ძე მიქელაძეს, რომელიც ამ ჟამად სამეურნეო საურთიერთო ბანკში დირექტორად არის. (ცნობის ფურცელი, N577, 1898 წელი);

სოხუმი. სულით ავადმყოფის უპატრონობა

ეს რამდენიმე წელიწადია, სოხუმსა და მის მიდამოებში დაძრწის დაგლეჯილი ტანისამოსით სულით ავადმყოფი, სოხუმის ეპარქიის ერთი სოფლის მღვდლად ნამყოფი ს. ს-ია, რომელიც 8 წელიწადი მეტია, რაც ჭკუაზე შეშლილია, საბრალო ავადმყოფი მიგდებულია ბედის ანაბარად: არ გააჩნია არც თავშესაფარი, არც ცხოვრების სახსარი და ხანდახან რამდენიმე დღე მშიერია. სოფ. ათარაში (სოხუმის ოლქი) ავადმყოფს ჰქონდა 60 ქცევა მიწა. ამას წინად ეს მამული, რომელიც ღირდა 3,000 მან., საჯარო ვაჭრობით გაუყიდეს ვალში 100 მანეთად. ს. ს. რა თქმა უნდა, არ გამოცხადებულა სასამართლოში. მას აპეკუნიც კი არა ჰყავს დაყენებული. საჭიროა საეპარქიო მთავრობამ ან ავადმყოფის თანამსახურებად ნამყოფთ, მიაქციონ მას ყურადღება. („ნ. ო.“). (ცნობის ფურცელი, N578, 1898 წელი);

სოხუმი. ზღვის წყლის აბანო. საჩ. იოსელიანისა

ბევრი რამ აკლდა და დღესაც აკლია სოხუმსა, ბევრს-გვარ გაჭირვებას ითმენდნენ აქ საექიმოდ ჩამოსულნი ავადმყოფნი, მაგრამ ყველაზე საგრძნობელი ნაკლულევანება - უაბანოობა იყო. ზაფხულობით შეიძლებოდა აქაურს ზღვაში ბანაობა, მაგრამ ზამთრობით-კი ყველასთვის მიუვალი იყო ზღვა. თუმცა სახეირო იყო ყველასათვის, მაგრამ არავინ გამოჩნდა ისეთი, რომ ეს ნაკლი სოხუმისთვის აეცილებინა და ზღვის აბანო გაეკეთებინა, სადაც შესაძლებელი ყოფილიყო ზამთარ-ზაფხულ ებანავათ მსურველთ. როგორც იქნა, ამ გაჭირვებისგანაც იხსნა თავი სოხუმმა. აქაურმა ცნობილმა კომერსანტმა საჩინო იოსელიანმა 6 ივნისს უკვე დაასრულა ზემოხსენებულის სახის აბანოს შენება. აბანოს შენობა ადგილობრივის ფოსტის კანტორის წინ არის, ზღვის პირას. შეიცავს რვა ნომერს კოხტად და ფაქიზად მორთულს, ევროპიულს გემოვნებაზე მოწყობილს. მსურველებს, შედარებით, მცირეოდენი სასყიდელი გადახდება და შეუძლია მოითხოვოს როგორც ცივი წყალი ზღვისა, ისე თბილი. აბანოში სისუფთავისათვის, აგრეთვე იმისთვის, რომ ავადმყოფმა შესაფერის სითბოის წყალი იხმაროს, მოწვეულია ქალაქის ექიმი ბ-ნი დიმიტრიევი. ამ სახით, სოხუმში მომსვლელთ საშუალება აქვთ ისარგებლონ როგორც აქაურის მშვენიერის ჰაერით, ისე ზამთარ ზაფხულ იბანავონ აქაურის ზღვის წყლითა. (ცნობის ფურცელი, N580, 1898 წელი);

დ. გუდაუთი. თხოვნა მომრიგებელ-სასამართლოს დაარსებაზე

როგორც გავიგეთ, ადგილობრივ მკვიდრთა თხოვნა გუდაუთის პოსადად წოდების შესახებ შეწყნარებულ იქნა მთავრობის მიერ, და ახლა გუდაუთის განყოფილების მცხოვრებნი ამზადებენ საერთო თხოვნას დ. გუდაუთში მათთვის მომრიგებელ სასამართლოს დაარსების შესახებ, რომელიც დიდი ხანია აუცილებელ საჭიროებას შეადგენს აქ.

გუბერნატორის თანაშემწის მოსვლა. 25 ივნისს აქ მოვიდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე გენ. მ. სამოელოვი. მას მიეგება პურ-მარილით სლაბოდის გამგეობის მამასახლისი, რომელსაც ბ. სამოელოვმა დაწვრილებით გამოკითხა დაბის მცხოვრებთა საჭიროების შესახებ და დახმარების აღმოჩენა აღუთქვა. /გ. ბაღდავაძე/. (ცნობის ფურცელი, N581, 1898 წელი);

სოხუმი. მღვდლების გაჭირვება

ადგილობრივს საეპარქიო კანცელარიას დღემდე არ ჰყავს თარჯიმანი. ამის გამო დიდ გაჭირვებაში არიან ის მღვდლები, რომლებმაც არ იციან რუსული, ხოლო ასეთები აქეთ

მრავლად არიან. როცა ჩამოვლენ ხოლმე ესენი სოხუმში თავიანთი მთავრობის ბრძანებით, ან-და კერძო საქმეების გამო, იძულებულნი არიან ძებნონ ქალაქში რუსულის მცოდნე ნაცნობი, ან მიენდონ უცნობს. დიდი გაჭირვება ადგათ სოხუმში მოსულ მღვდელს აგრეთვე იმის გამო, რომ თავიანთი უკიდურესი სიღარიბის გამო ისინი იძულებულნი ხდებიან დადგნენ დუქნებსა და ბინძურ სამიკიტნოებში. /„ნ. ო.“/. (ცნობის ფურცელი, N585, 1898 წელი);

დ. გუდაუთი (აფხაზეთი). უბედური შემთხვევა

აქ ერთი თათარი ცივებით ავადმყოფობდა, ერთ მეგრელს, როგორც გულშემატკივარ ამხანაგს, წამალი მიუცია და უთქვამს: როგორც დალევ, მორჩები და თავის დღეში აღარ გაგაციებსო. მართლაც დალია საწყალმა და საუკუნოდ სული განუტევა. თურმე, საწამლავი ჰქონებოდა სადღაც და ქინაქინის მაგიერ (სტრიხინინი) მიუცია, ცრუ ექიმის სიტყვა კი ასრულდა, მართლაც შემდეგ აღარ გაუციებია და გამოესალმა წუთი სოფელს. ამისთანა მაგალითები პირველი არ არის საზოგადოდ და საჭიროა სასტიკი ყურადღება იყოს მიქცეული, რომ დუქნებში საწამლავს არ ინახავდნენ და არ ჰყიდნენ, თორემ ბევრს უდანაშაულო კაცს დასჯიან გაუფრთხილებლობის გამო.

მოსავლის სიუხვე. წრეულს ბევრი ხილი გააქვთ აქედან სხვა და სხვა ქალაქებში. ჯერ-ჯერობით ყიდულობენ: თხილს, ვაშლს, მსხალს და ქლიავს, რომლებიც ბლომათ მოდის აფხაზეთში. მოსავალს კარგი პირი უჩანს, მეთუთუნეები სიხარულით აღარ არიან, ისეთი დარები დაუდგა მათ თუთუნს, მაგრამ, როცა მოაგონდებათ გადასახლება მაშინ კი ყოველივე ავიწყდებათ. მომეტებული მეთამბაქოენი, სომხობაა და ამათ კი მთავრობა ამ ბოლო დროს ისევ ძველ სამშობლოში - ოსმალეთში გზავნის.

ღამურა ქალები. აქაური ყავახანები და სამიკიტნოები სავსეა უნამუსო მანდილოსნებით, თუმცა ბევრი სწერს გაზეთებში მათ საქციელზე, მაგრამ პოლიციამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია. ამდენ ხანს ყავახანები იყო ამ ქალბატონების თავ-შესაფარი, ახლა კი სადაც გინდათ და არ გინდათ ყოველგან გამრავლებულა, როგორც გაზაფხულის სოკო, ყოველ ქუჩაზე თითო თავისუფალი ბინა აღმოუჩენიათ და თავისუფლათვე ცხოვრობენ; როგორც ყველა საქმეში საერთო ძალა სჯობია, რასაკვირველია, ამათაც ამხანაგობები დაუარსებიათ, სამ-სამი და ოთხ-ოთხი ერთად მოქმედებენ. დაღამდება თუ არა, ბულვარში გავლა შეუძლებელია. თუ დროზე ყურადღება არ მიექცა ამ გარემოებას, თქვენი მტერია, გუდაუთში ცხოვრება აღარ ეღირება, გარყვნიან და დაასნეულებენ აქაურ ახალგაზრდობას. /მაჭახელა/. (ცნობის ფურცელი, N588, 1898 წელი);

სოხუმის ოლქის საქმე

გაზ. „ჩერნ. ვესტ.“-ს „ფრიად სარწმუნო წყაროებიდან“ გაუგია, რომ მთავრობას კითხვა აღუძრავს იმის შესახებ, რომ სოხუმის ოლქი, რომელიც ამ ჟამად ქუთაისის გუბერნიაში შედის, შეუერთდეს შავი ზღვის პირის გუბერნიას. (ცნობის ფურცელი, N592, 1898 წელი);

ს. ბედია (სამურძაყანო)

დიდი ხანი არ არის, რაც ს. ბედიაშიდ ააშენეს ეკლესია კნ. ალექსანდრა გრიგოლის ასულის შერვაშიძის ხარჯზედ – მან იკისრა ამ საქმის შესრულება და შეასრულა კიდეც. მანვე კნ. შერვაშიძისამ აღძრა ლაპარაკი ს. ებერაში სკოლის დასაარსებლად. დედა-შვილურის

დარიგებით და ჩაგონებით დაარწმუნა გლეხები, თუ რამდენათ საჭირო და სასარგებლოა სკოლა. მცხოვრებლები დაითანხმა და აღუძრა სურვილი ამ ფრიად სასარგებლო საქმისადმი. თავის მხრით შესწირა სასკოლო ადგილი და აღუთქვა ყოველ წლიურად ფულად დახმარება. უსურვებ ამ კეთილს ადამიანს სიცოცხლეს, რომ უფრო მეტი ნაყოფი მოგვცეს და ვინატროთ ჩვენს დაბა-სოფლებში გამრავლებულიყოს ასეთი მოღვაწე ქალები, მიებაძოთ კნ. შერვაშიძის მაგალითისათვის და მიზნათ აეღოთ შრომა და არა მუქთად ყოფნა და ჭორების გადაცემ-გადმოცემაში დროს ტარება. /დროებით მოსული/. (ცნობის ფურცელი, N592, 1898 წელი);

ოჩამჩირე. ქართული წარმოდგენა საქველ-მოქმედო აზრით

19 ივლისს აქაურმა სცენის მოყვარე ყმაწვილ-კაცებმა გამართეს წარმოდგენა, რომლის წმინდა შემოსავალი დანიშნულია ბ. გრიგოლ ზუხუბაიასთვის. ამ ყმაწვილმა წლეულს დაასრულა სწავლა სტავროპოლის გიმნაზიაში და აპირებს წასვლას ერთს რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში სწავლის განსაგრძობათ. წარმოადგინეს ხუთმოქმედებიანი დრამა გუნიას „და-ძმა“. მონაწილეობა მიიღეს ბ. კოტე აბაშიძემ, ნ. მდივანმა, გ. მახარაძემ, ს. მესხმა, გ. კაჩარავამ. გ. აბაშიძემ. ქ-ნთ ტურქიაებმა და სხვებმა. აგრეთვე მონაწილეობა მიიღო რუსის საზოგადოების აქაურმა აგენტმა ბ. ზაიაცევმა და დ. გვასალიამ, რომელნიც მადლობის ღირსნი არიან სცენის მოწყობისა და სხვაფრივ ყოველ-გვარ მეცადინეობისათვის, რათა წარმოდგენას კარგად ჩაევლო. რაც შეეხება სცენას, ტანისამოსს და სხვა მოწყობილებას, ადგილის დაგვარად, მეტად კარგი იყო; მოთამაშეთ თავიანთი როლები კარგათ შეასრულეს: მეტად კარგად ითამაშეს კ. აბაშიძემ (გაიოზი), ნ. მდივანმა (ფარად ფაშა), გ. კაჩარავამ (გიორგი), ქ-ნ ტურქიამ (მარინე); ბ. მახარაძეც არ იყო ცუდი თავადის „ოტიას“ როლში. ტუსაღების სიმღერა სასიამოვნო მოსასმენად ითქვა; წარმოდგენამ ძალიან კარგად ჩაიარა და ყველანი მადლობელი დავრჩით; საზოგადოება დაესწრო ბლომად, ასე რომ სულ-ყველა ადგილები იყო დაჭერილი და ზეზეც ბევრნი იდგნენ. წმინდა შემოსავალი არა ნაკლებ 80 მანეთისა იქნება, რომელიც უნდა გადაეცეს ზემოხსენებულს ზუხუბაიას. /იქ მყოფი/. (ცნობის ფურცელი, N593, 1898 წელი);

სოხუმელების თხოვნა

სოხუმის მცხოვრებთ წარუდგენიათ კავკასიის უმთავრეს ადმინისტრაციისთვის საერთო თხოვნა სოხუმში პორტის დაარსების შესახებ და აგრეთვე რკინის გზის გაყვანის შესახებ, რომელმაც უნდა შეაერთოს პორტი ამიერ-კავკასიასა და ჩრდილოეთ კავკასიასთან. (ცნობის ფურცელი, N598, 1898 წელი);

ოჩამჩირე (აფხაზეთი). სასამართლოს მატიანე

30 ივლისს ოჩამჩირის მომრიგებელ სამოსამართლო განყოფილებაში გარჩეულ იქმნა საქმე ლ. ჟორდანიასი, რომელიც უჩივოდა კოდორის ნაწილის უფროსად ნამყოფს ბ-ნ ჩეჩელევს ცილის წამებას. მოწმედ იყო თვით მომრიგებელ მოსამართლე და მომრიგებელი შუამავალი; თვით ბ-ნი ჩეჩელევი საქმის გარჩევას არ დასწრებია. მომრიგებელ მოსამართლემ ბ-ნ ჩეჩელევს დაუსწრებელ განჩინებით ორი თვით დაპატიმრება მიუსაჯა. (ცნობის ფურცელი, N599, 1898 წელი);

სოხუმელების საერთო თხოვნა

სოხუმელების საერთო თხოვნა, რომელიც წარედგინა კავკასიის მთავარ-მართებელს და რომელიც შეეხება სოხუმში პორტის მოწყობას და ამ პორტის ამიერ კავკასიასთან და ჩრდილოეთ კავკასიასთან რკინის გზით შეერთებას, ამ ჟამად გადაცემული აქვს ქუთაისის საგუბერნიო გამგეობას. (ცნობის ფურცელი, N600, 1898 წელი);

აფხაზების იარაღის აყრა

„ჩერნ. ვ.“-ის სიტყვით, გუდაუთში გაემგზავრა ქუთაისის გუბერნატორის თანაშემწე გენ. მ. ა. ა. სამოილოვი, რომლის ხელმძღვანელობითაც აეყრებათ იარაღი გუდაუთის განყოფილების მცხოვრებ აფხაზებს. ამავე საგნისათვის გაგზავნილია მე-70 ქვეითი ჯარის ბატალიონი გუდაუთში ყაზახებთან შესაერთებლად. იარაღის აყრა გამოწვეულია იმით, რომ მცხოვრებთ არ უყვართ მშვიდობიანი ცხოვრება და ხშირად ბოროტათ ხმარობენ იარაღს. ეს პირველი შემთხვევაა იარაღის აყრისა კავკასიაში. (ცნობის ფურცელი, N600, 1898 წელი);

გუდაუთისა და ოჩამჩირის განყოფილებათა მცხოვრებთ თხოვნა

წარუდგინეს ოლქის ადმინისტრაციას იმის შესახებ, რომ კერძო პირთ უფლება მიეცეთ შეიძინონ აღნიშნულ ადგილებში მიწები შენობების ასაგებად. (ცნობის ფურცელი, N603, 1898 წელი);

გადმოსახლებულნი სოხუმის მხარეში

გადმოსახლებულ რუსებმა სთხოვეს მართებლობას, რომ 15 წლის განმავლობაში არავითარი სახელმწიფო გადასახადი არ გადაგვახდევინოთო, მაგრამ ფინანსთა სამინისტროს აზრით ეს უმართებულო იქნებაო და მიეცეს იმათ ისეთივე შეღავათი, როგორიც სხვა ამ მხარეში გადმოსახლებულთ ეძლევათო. (ცნობის ფურცელი, N604, 1898 წელი);

დ. გუდაუთი (აფხაზეთი)

გუბერნატორის მობრძანება სამხედრო ჯარითურთ. 2 აგვისტოს აქ მობრძანდა რუსეთის საზოგადოების გემით ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე, რომელსაც თან მოჰყვა სამასი ქვეითთა სამხედრო ჯარი და 70 ცხენოსანი რაზმი. რამ გამოიწვია აგეთი მოგზაურობა ჩვენში, ყველას ეხსენება. კოკამ ყოველთვის ვერ მოიტანა წყალი და ერთხელ გატყდა – აფხაზებსაც ასე დაემართათ. მუდმივ ბოროტ-მოქმედებამ და კაცის კვლამ მთავრობა აიძულა იარაღი ჩამოეხსნა ყველა აქაურ მცხოვრებთათვის.

სამწუხარო ამბავი. 3 აგვისტოს, საღამოს 9 საათზე, ერთის აქაურის მცხოვრების ო. ბუაძის სახლში რევოლვერის ხმა გაისმა. ამ ბუაძის მახლობლათ სახლობს მ. მარღანაძე, რომელიც მაშინვე რევოლვერის ხმაზე მისულა მეზობლისას და უნახავს მიწაზე გაშოტვილი ბუაძის გვამი, რომელსაც წყნარის მორცხვობით თავს დაჰქვითინებდა მისი მეუღლე. მარღანაძემ ეს ამბავი მყისვე აცნობა პოლიციას, რომელიც მაშინვე გამოძიებას შეუდგა, მაგრამ მიზეზი ვერ გაიგო. საბრალო ბუაძემ ცოტა გაახილა თვალი და სთქვა ცოლის სახელი და ისევ მიითვლიმა სამუდამოდ. საბრალო ბუაძეს დარჩა წვრილი შვილები. თვითონ ჯერ ახალგაზრდა კაცი იყო. /ნაღარა/. (ცნობის ფურცელი, N604, 1898 წელი);

დ. გუდაუთი (აფხაზეთი). იარაღის აყრა

კვირას, 2 ამ თვეს, აქ მობრძანდა ქუთაისის გუბერნატორის თანაშემწე გენერალ-მაიორი ა. სამოილოვი, რომელსაც თან მოჰყვა 260 ჯარის-კაცი და 50 ყაზახი 12 აფიცრით. კვირა საღამოსვე გუდაუთლებმა გაუმართეს ვახშამი ბ-ნ სამოილოვს თავისის აფიცრებით და ჯარის-კაცებით. გაიგეს თუ არა აფხაზებმა ჯარის მოსვლა, შიშის ზარმა აიტანა და ყოველივე იმედი დაჰკარგეს. ორშაბათს დაიბარა აფხაზები და გამოუცხადა: 1) ყველამ იარაღი აიხსენით და მალე მომიტანეთო, ვინც გაბედავს და იარაღს დამალავს, იმას დასჯიან 40 როზგის დაკვრით; 2) უნდა მოიყვანონ 4 გავარდნილი ყაჩაღი, რომლებიც იმალებიან (ჩიქოვანის დაჭრის საქმეზე). ბ-ნი სამოილოვი დარჩება აქ ერთი თვე, ან მეტიც. /მაჭახელა/. (ცნობის ფურცელი, N606, 1898 წელი);

გუდაუთი (აფხაზეთი). ცოფით ავადმყოფნი და დაშავებულნი

წარსულს ივლისის დასაწყისში, უეცრად დაკბინა ერთი აქაური მცხოვრები ცოფიანმა ძაღლმა და შინაური პირუტყვებიც. ცოტა ხნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ თვრამეტ მათგანს სჭირდა ცოფი, ამიტომ ზოგიერთ იმათგანმა ტფილისის ცოფიანთა საავადმყოფოს მიაშურა, რომ როგორმე თავი დაეხწია ამ საზარო სენისაგან, მაგრამ უმეტესი ნაწილი ცოფით დაშავებულთა უპატრონო და ღარიბნი აღმოჩნდნენ. ამიტომ ამათთვის მოუხერხებელი იყო ამ სენისაგან განკურნება. აქ მოუწოდეს ს. სუჯუნის (სენაკის მაზრა) მცხოვრებს ყირიმ ბერიძეს, რომელიც მთელს ოდიშში და იმერეთში სახელ-განთქმულია ცოფის წამლობაში, მოვიდა და მაშინათვე შეუდგა თადარიგს. რა თქმა უნდა, წამალი ყველას დაალევინა და შვიდი დღის განმავლობაში ყველანი თავისუფალი გახდა, რომელთა შეძლების და გვარათ გასამრჯელო გამოართვა. საოცარი სანახავი იყვნენ. ეს ცოფით ავადმყოფნი რომ ერთი მეორეს ზიზღით და ღრენით უყურებდნენ. სწორეთ მადლობის ღირსია ბ-ნ ყირიმ ბერიძე, რომელმაც მხნეთ და ასე სწრაფათ გადაარჩინა საბრალოები. სასურველია ბ. ყირიმ ბერიძე გაუზიარებდეს ვისმე ცოფის წამალს. /ნაღარა/. (ცნობის ფურცელი, N606, 1898 წელი);

დ. გუდაუთი (აფხაზეთი). მთავრობის განკარგულებანი

2 აგვისტოს აქ მობრძანდა ქუთაისის გუბერნიის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწე გენ. მაიორი სამოილოვი, რომელსაც თან მოჰყვნენ ჯარი კურისნკის მეორე პოლკისა. საღამოს რვა საათზე რუსეთის სავაჭრო გემი „ნიკოლოზი“ გაჩერებული იყო ღუზაზე. ბნელს, უმთვარო ღამეში მშვიდობით გამოვიდნენ ზღვიდან, რის შემდეგაც ბ. სამოილოვი მიპატიჟებულ იქმნა მხლებლებითურთ გუდაუთის მოვაჭრეთაგან. მეორე დღეს ბ-ნმა სამოილოვმა მოიხმო ყველა მამასახლისები და უფრო გამოცდილი პირები და შემდეგი წინადადება მისცა: სამ დღეში შეკრიბონ ყოველივე იარაღები აწერილ სიებით და თავიანთ სასოფლო კანცელარიებში დაცულ იქმნას. მამასახლისები შეუდგნენ სისრულეში საქმის მოყვანას. ბ-ნი სამოილოვი ჯარითურთ გაემგზავრა ს. ლიხნში, რომელიც ორი ვერსის მანძილზე ახლავს გუდაუთს და იქაურს ტაძარში მან მოისმინა წირვა; შემდეგ წირვისა ადგილობრივმა მღვდ. მამა ლაქირბაიამ ამღერა თავისი მოწაფეები და უამბო გუბერნატორს ყველაფერი აფხაზეთის შესახებ. შემდეგ სადილისა ბ-ნმა სამოილოვმა დაათვალიერა ჩამოხდილი იარაღები და ბრძანა გუდაუთს გაგზავნა. შემდეგ ამისა გაემგზავრა დანარჩენს სოფლებშიაც. საღამოზე სამი ურმით მოიტანეს იარაღები, ბერდანკები და ამერიკის რევოლვერები, ხმლები და ხანჯლები, შეფასებული 8,167 მან. ფიცხელი ბრძანებაა შეიპყრან ფირალები ალტაჩიბი, ბარციცი და ოსმალოს ქვეშევრდომი რეჯებ ქოროღლი. /ნაღარა/. (ცნობის ფურცელი, N609, 1898 წელი);

სამურზაყანო

მდიდარი და ნოყიერი ნიადაგი. ახლანდელი სამურზაყანოს ნაწილის უფროსის წყალობით აქ ქურდობას და ავაზაკობას მოეღო ბოლო. დამყარდა სრული სიმშვიდე და მცხოვრებლებმა სრულის სიბეჯითით მოკიდეს თოხს ხელი, რასაც ამტკიცებს სიმრავლე დათესილ ადგილებისა. დიდი სიმდიდრე მოელით სამურზაყანოელთ თუ შეეჩვივნენ მუშაობას. მიწა ზედმიწევნით ნაყოფიერია. გარდა სიმინდისა, რომელიც წარჩინებულათ მოდის, ეჭვი არ არის, რომ იქნება ფრიად კარგი ხარისხისა: პური, ღომი, შვრია, ჭვავი, ბრინჯი (ს. გუდავაში და რეფში) და სხვა მცენარეები მხოლოდ, საუბედუროდ ჯერ სიმინდს ვერ შორდებიან.

ტყეები და მადნეულობა. გარდა მდიდარ სახნავ-სათესისა სამურზაყანოს აქვს მდიდარი ტყეები, სადაც ასწლოვანი მუხები, ნაძვი, ბზა და მრავალნაირი ძვირფასი ხეები ამშვენებენ თითქმის მეხუთედ ნაწილს სამურზაყანოისას. ეს სიმდიდრე ხელ-უხლებელია ჯერ უგზოობის მიზეზით. ბუნებას ისე დაუჯილდოებია სამურზაყანო, რომ თითქმის მთებიც არ მიუცია უსარგებლო. თუმცა ჯერ გამოუკვლეველია, მაგრამ საეჭვო არ არის, რომ სამურზაყანოს აღმოსავლეთი ნაწილი, მეტადრე მთები: ოქუმისა, რეჩხისა, ბედიისა და საბერიოსი მდიდარია მრავალნაირი მადნებითა. შარშან ერთმა სოხუმის მოვაჭრე გ. გვალიამ და ოჩამჩირის მცხოვრებ ფ. ივანიდისმა მთავრობის ნება-დართვით აღმოაჩინეს სოფელ ოქუმში ტყვია-ვერცხლის მადანი, რომელიც მიუყიდიათ ოდესელ ვაჭარ გალპერინისათვის. ამ მაგალითმა ბევრს აღუძრა სურვილი გამდიდრებისა; ბევრმა მიატია თავიანთი ხელობა, სამსახური, სამუშაო და მთა-მთა დაიარებიან სიმდიდრის მოსაპოვებლად. მადნის მძებნელები დიდის სიხარულით ბრუნდებიან მთიდან და თან მოაქვთ ქვებით სავსე ტომრები.

მადნის ციებ-ცხელება. სად დაიკარგე ჩემო თადა, რომ ერთი კვირეა ვერ გხედავ? - ვკითხე მე ერთ ჩემ ნაცნობს. „მადანს ვეძებდი, ბატონო, და ვნახე კიდეცა, აი ინებეთ პირველი „სორტის“ მარმარილოს ქვა ვიპოვნე. ერთი დიდი უშველებელი მთა თლათ სავსეა ამით“. ამ დროს თადამ ამოიღო ჯიბიდან ქაღალდში გახვეული ქვა და გარდმომცა. დავაკვირდი კარგათ თუ არა შევნიშნე, რომ ერთის მხრით ამ ქვის ნატეხზე ხუცური „შა“... ეწერა და ორი თანატოლად ამოჭრილი ხაზები მტკიცედ აჩნდა. არ იყო საეჭვო, რომ ეს თადას მადანი რომელიმე განსვენებულის სასაფლაოზე დებულ მარმარილოს ქვის ნატეხი უნდა ყოფილიყო, მით უფრო რომ ეს ქვის ნატეხი თადას უპოვნია ბედიის ძველ მონასტრის მახლობლად და წარმოუდგენია, რომ მთელი ის მთა იმ ქვიდან შესდგებაო. სიმდიდრის სურვილმა მოფიქრების ნება არ მისცა თადას და იმავე დღეს გაუგზავნია სამი თხოვნა სხვა და სხვა დაწესებულებაში ოთხ-ოთხ აბაზიანი მარკებით, ესე იგი, გარდა ერთი კვირის უფასო შრომა სასჯელისა თადამ ექვსი მანეთი დახარჯა ფულად (აქ ოთხაბაზიანი მარკა მანეთი ღირს). მეორე აქაურ მცხოვრებს ხუთმეტი ვერსის სიშორიდან ერთი ფუთნახევარი უბრალო მთის თეთრი კაჟები ჩამოუთრევია. თურმე ძვირფასი თვლები გონებია და საკუთარ ზურგის მეტს არავის ენდო.

მადნის ადგილები. ამას წინათ აქ იყო ერთი ამერიკელი „გეოლოგი“ როზნბერგი, რომელმაც ბევრი სხვა და სხვა მადნები აღმოაჩინა სამურზაყანოში, მაგალითად: სოფელ ოქუმში: ვერცხლი, ტყვია, თითბერი, სპილენძი, რკინა და გვარჯილა; სოფ. რეჩხში მთის ბროლი (горный хрусталь); სოფ. ჩხორთოლში: რკინა, ზუმბური, სპილენძი და ფისა; სოფ. საბერიოში. ქვის ნახშირი; სოფ. ბედიაში მარმარილოს ქვა, გიშერი და სხვა. მართლაც ბევრი რამ ძვირფასი მადანი არის სამურზაყანოში, მხოლოდ არა ჰყავს პატრონი და არის ჩაგდებული ისეთ ადამიანთ ხელში, რომლებს კაჟი ვერცხლი ჰგონიათ, დღეს ან ხვალ ეს სიმდიდრე უეჭელად გადავა უცხოელთ ხელში უსასყიდლოდ და ჩვენ კი დავრჩებით პირში ჩალა გამოვლებული. გვმართებს დროზე მივაქციოთ ყურადღება ჩვენივე სარგებლისათვის. /ს-ტი/. (ცნობის ფურცელი, N619, 1898 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი). გამოთხოვება კეთილ მოძღვართან

30 აგვისტოს ოჩამჩირის საზოგადოებამ გამოსათხოვარი სადილი გაუმართა ბლ. მ. იოანე კერესელიძეს, რომელიც სოხუმის ეპარქიიდან ქუთაისში გადავიდა. ოჩამჩირის საზოგადოებამ, ნიშნად 16 წლის (თითქმის ოჩამჩირის არსებობიდან) მოღვაწეობისა ოჩამჩირეში, მიართვა მაცხოვრის ხატი წარწერით: „ჯვარს ეცვა სიმართლე და აღსდგა მკვდრეთით. დაუვიწყარ მამა იოანე კერესელიძეს ოჩამჩირელ საზოგადოებისაგან ნიშნად უღრმესი პატივისცემისა მისი 16 წლის მამობრივი მფარველობისა ოჩამჩირის საზოგადოებაში“. გამოსათხოვარ სადილს დაესწრო როგორც ვაჭრები და მცხოვრებნი, ისე ინტელიგენცია. სადილზე გამოსათხოვარი სიტყვა წარმოსთქვა აკადემიის სტუდენტმა მღვ. მ. ბეს. ხელაიამ, სპირიდონ ნარაკიძემ, მეტია გუნია-თურქიასამ და სხვებმა... სადილის შემდეგ მამა იოანე და მისი ოჯახობა დამსწრე საზოგადოებამ სახლამდე მიაცილა „მრავალ ჟამიერის“ სიმღერით. გზაზე ერთმა ახალგაზრდამ მშვენიერი სიტყვა უთხრა. მეორე დღეს, 31 აგვისტოს, მთელი საზოგადოება გამოეთხოვა, ზოგიც ხომალდში შეჰყვა და გაისტუმრეს მამა იოანე და მისი ოჯახობა ქუთაისისკენ. მამა იოანე 28 წელიწადია აფხაზეთის ეპარქიაში მსახურობს და დიდი სამსახურიც მიუძღვის; ის იყო დიდხანს მისიონერად აფხაზეთის მივარდნილ კუთხეებში, სადაც თავისი მთავრობის ყურადღება და ჯილდოც დაიმსახურა. საზოგადოება დიდს პატივს სცემდა და აფასებდა მამა იოანეს კეთილ გულს და ძვირფასს მის ოჯახობას. მის ადგილზე დანიშნეს მღვდელი დიმიტრი მარღანია. ვუსურვებთ მასაც დაემსახურებინოს საზოგადოების სიყვარული და პატივისცემა. /კონდ გვასალია/. (ცნობის ფურცელი, N622, 1898 წელი);

სოხუმი. ქართულ წირვა-ლოცვის შესახებ

პასუხად გენერალ-ლეიტენანტის ქვრივის, კნეინა აღათი შერვაშიძის თხოვნისა სოხუმის საკრებულო ტაძარში ქართულს ენაზე წირვა-ლოცვის შესრულების შესახებ, როგორც „ახ. მიმ.“-ს სწერენ, მისს მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობას საქართველოს ექსარხოსს ფლაბიანეს წინადადება მიუცია სოხუმის ეპისკოპოსის ყოვლად-სამღვდელო არსენისათვის, რამდენად-კი შესაძლებლად დაინახოთ, შეიწყნარეთ კნეინა შერვაშიძის თხოვნაო. სოხუმელები დიდათ მოხარულნი არიან მისის მეუფების მწყემს-მთავრულის განკარგულებისა და მოუთმენლად მოელიან გასაგებ ენაზე წირვა-ლოცვის მოსმენას. (ცნობის ფურცელი, N624, 1898 წელი);

დრანდა (აფხაზეთი). კეთილი ექიმი

ორ თვეზე მეტი არ არის, რაც დრანდის თავშესაფრის მკურნალის მოვალეობას დროებით ასრულებს ლეჩხუმის მაზრის მკურნალი ბ-ნი ტერ-ტეროვი. ბ. ტერ-ტეროვის დანიშვნამდე მკურნალის ნახვა თავშესაფარში თითქმის შეუძლებელია იყო ხალხისათვის, რადგან თვეში ერთხელ ამობრძანდებოდა მკურნალი და ისიც უდროვო დროს. ასე რომ სოფლელი ავადმყოფის ბედ-იღბალი, რაც უნდა სენით ყოფილიყო იგი შეპყრობილი, მხოლოდ ფერშალზე იყო დამყარებული და ისიც იმისთანა ფერშალზე, რომელსაც საფერშალო სასწავლებელში როდი მიუღია სწავლა, არამედ მხოლოდ სამხედრო სამსახურის დროს ლაზარეთში ცოტაოდენი რამ შეუსწავლია და როტის ფერშალის წოდება მიუღია. ხოლო რაკი ტერ-ტეროვი დაინიშნა, ის მას შემდეგ კვირაში ერთს დანიშნულს დროს ღებულობს ავადმყოფ სოფლელებს განურჩევლად ეროვნებისა, აუჩქარებლად და გულდასმით სინჯავს მათ და ხშირად ნაშუადღევის ოთხ საათამდინაც მუშაობს თავშესაფარში, მაშინ, როდესაც წინანდელი მკურნალი მხოლოდ ენაზე დახედვით სინჯავდა ავათმყოფს და

ისიც მხოლოდ 11 საათიდან 12 საათამდე, თორემ შემდეგ, რაც უნდა გაჭირვებული მძიმე ავათმყოფი მისულიყო შემწეობისათვის, მისთვის თავშესაფარის კარები დახშული იყო და „Пріемъ Кончень“-ო მიიღებოდა პასუხად. გარდა ამისა ბ-ნმა ტერ-ტეროვმა კარგათ იცის ქართული ენა და წერა-კითხვა, ასე რომ ახლა აქაური მკვიდრთ აშორებული აქვთ ის უსიამოვნება რომელიც აქ წინათ ენის უცოდინრობას მოელოდა. დასასრულ არ შეგვიძლია ხალხის სურვილთან ერთად ჩვენც არ ვისურვოთ, რომ აქ შემდეგისათვისაც მკურნალად დარჩებოდეს ბ-ნი ტერ-ტეროვი, როგორც სასარგებლო და მკვიდრთათვის გასაგებ ენის მცოდნე კაცი. /Humanus/. (ცნობის ფურცელი, N624, 1898 წელი);

ახალი ქართული წიგნი

ჩვენ მივიღეთ რუსეთის ცნობილის მწერლის დ. მორდოვცევის ისტორიული რომანი აფ-ხაზეთის ცხოვრებიდან – „ამირანის შვილნი“. ეს რომანი ადრე ჟურნალ „მოამბე“-ში იბეჭდებოდა და ახლა მთარგმნელს ბ-ნ თ. სახოკიას ცალკე გამოუცია. წიგნი საკმაოდ სუფთად არის გამოცემული, შეიცავს 300 გვერდს „მოამბის“ ზომისას და ღირს 1 მან. (ცნობის ფურცელი, N626, 1898 წელი);

ოჩამჩირე (აფხაზეთი). ფ. დავითაიასი და მარიამ ჩაჩავას საქმე

როგორც „ცნობის ფურცლის“ მკითხველებმაც იციან. ადგილობრივს სასამართლოში 11 ამ თვეს დანიშნული იყო საქმე დ. ოჩამჩირის მცხოვრებთ აზ. ფარნა დავითაიასი და სპირ. ნარაკიძესი, რომელნიც უჩივოდნენ სასამართლოში ოჩამჩირისავე მცხოვრებ პრაპორშჩიკის თეიმურაზ ჩაჩავას მეუღლეს მარიამს – სოხუმის ეპარქიალურ მთავრობასთან წერილობით დაგვაბეზღა და უსაფუძვლო ცილის წამებით ჩვენს სახელს ჩირქი მოსცხოვო. დანიშნულს დროს სასამართლოში გამოცხადდნენ მომჩივანნი აზ. ფარნა დავითაია და სპირ. ნარაკიძე, ხოლო პასუხისსაგებლად დაბარებული მარიამ ჩაჩავა არ გამოცხადდა. მომჩივანთა სთხოვეს მომრიგებელ მოსამართლეს, მოპასუხე მ. ჩაჩავასი მოსაყვანის უწყებით იქმნას დაბარებულიო. მ. ჩაჩავას ვექილმა ბ-ნმა იურკევიჩმა სთხოვა ბ-ნს მოსამართლეს, მოპასუხის დაუსწრებლად გაირჩეს საქმეო. მაგრამ მოსამართლემ მხოლოდ ფ. დავითაიასი და სპირ. ნარაკიძის თხოვნა იცნო კანონიერად და დაადგინა: მოსაყვანი უწყება იქმნას გაგზავნილი მარიამ ჩაჩავასთანო, საქმე კი 31 ოქტომბრისათვის გადაიდო. საზოგადოება მოუთმენლად მოელის ამ საქმის გადაწყვეტას. /დ. ოჩამჩირელი/. (ცნობის ფურცელი, N631, 1898 წელი);

დრანდა. მოსავლის განახევრება

მთელი წლევანდელი ზაფხული თითქმის გვალვა იყო და როგორც სიმინდისა აგრეთვე სხვა მოსავალსაც დიდი ზიანი მისცა. ხოლო ენკენისთვემ უარესი დღე დაგვაყენა და როდესაც საჭირო იყო სითბო და მზიანი დარები მოსავლის დასამწიფებლათ, სწორედ იმ დროს საშინელი წვიმები დაიწყო, ძალზე აცივდა და მთებიც ახლოს ჩამოთოვლა. ამასაც აღარ დაგვაჯერა ბუნებამ და ალაგ-ალაგ კაკლის ოდენა სეტყვა დაჰკრა და მოსავალი სანახევროთ გაანადგურა. /Humanus/. (ცნობის ფურცელი, N631, 1898 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი). მადლობის გამოცხადება

მე ჩემის მხრით და მ. გუნია-თურქიას მონდობილობით უგულითადესს მადლობას ვუცხადებ,

ვინც 19 ივლისში გამართულ ქართულ წარმოდგენა „და-ძმაში“ მონაწილეობა მიიღო და მით დახმარება აღმოუჩინა ახალგაზრდა სტუდენტს გ. ზუხუმაიას. ხარჯის გარდა წმინდა შემოსავალი 78 მ. და 13 კ. დარჩა, რომელიც გ. ზუხუმაიამ მიიღო. კვლავ უგულითადესს მადლობას მოვახსენებ ამ წარმოდგენის სულის ჩამდგმელთ და მოკეთეებთ: ქ-ნთ მაკრინე სვიმონის ასულ თურქიას, რომელიც სოხუმიდან ამ წარმოდგენისათვის გვესტუმრა და წარმოდგენაში მონაწილეობის მიღების გარდა საკუთარ ფულით, თუ ბილეთების გაყიდვით დიდი შემწეობა აღმოგვიჩინა, აგრეთვე მაშო თურქიას, თავ. კოტე აბაშიძეს, სვიმონ მესხს, გიორ. აბაშიძეს, გიგო ოჩამჩირელს, გიორ. კაჭარავას, გრ. მახარაძეს, ან. მდივანს და სხ. აგრეთვე ჰ. ჰ. ზაიცევს და მასწავლებელს ნ. ლადარიას, რომელთაც სცენის მოწყობა იკისრეს, მხოლოდ პ. ზაიცევმა ფარდულისათვის საჭირო ლურსმანი და სხვა წვრილმანი მასალა საკუთარის ხარჯით იკისრა. ივანე გეგიას და აკაკი ჩხენკელს, რომლებმაც ფარდა-დეკორაცია უსასყიდლოთ გვათხოვეს, გიგო თურქიას, რომელმაც ფარდულის ასაშენებლად ეზო დაგვითმო და დახმარებაც აღმოგვიჩინა. დიდი მადლობის ღირსია აგრეთვე პატივცემული საზოგადოება; რომელმაც სრული თანაგრძნობა გამოიჩინა. ზოგიერთებმა ფულათაც შესწირეს. მაგალ. სპირ. ნარაკიძემ ბილეთები იყიდა და სხვას დაურიგა... მადლობის ღირსია ბათომიდან გამოწერილი პარიკმახერი არსენა, რომელმაც მცირე სასყიდელი აიღო... /წარმოდგენის გამგე კ. გვასალია/. (ცნობის ფურცელი, N632, 1898 წელი);

სოხუმელთა საყურადღებოდ

„ნოვ. ობ.“-ეს პეტერბურგიდან დეპეშით აუწყებენ, რომ გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება: მოქცეულ იქმნეს ქ. სოხუმის მიჯნებში „სანიტარული ადგილებიც“ (санитарные участки), რის გამო ამ ადგილების პატრონებს ეძლევათ ამომრჩეველთა უფლება. (ცნობის ფურცელი, N633, 1898 წელი);

სოხუმი. ქართველ ექიმის ჩამოსვლა

ქ. ლოზანიდან (შვეიცარიაშია) უკვე ჩამოვიდა აქაური მკვიდრი ბ-ნი ალექსანდრე მაჭავარიანი, რომელმაც წრეულ სწავლა დაამთავრა ლოზანის უნივერსიტეტში საექიმო ნაწილზე ექიმობის დოქტორის ხარისხით. (ცნობის ფურცელი, N634, 1898 წელი);

დრანდა (აფხაზეთი). ლოთობის გავრცელება

ყველა დაბებში და სოფლებშიაც არის ხალხის თითო-ოროლა გულ-შემატკივარი, ბერი და ანუ ერი; ასეთი პირნი თავში უდგანან შეუგნებელ ხალხს და შეძლებისამებრ შრომობენ მათ ზნეობრივ და გონებრივ წარმატებისათვის. აქ კი, ამ ბედუკუღმართს მხარეში ხალხისთვის სულ არავინ თავს არ იტკივებს და ის პირნი, რომელთაც პირდაპირი მოვალეობაა ხალხს მამობრივი რჩევა-დარიგება მისცენ და გზა ჭეშმარიტებისა აჩვენონ, პირიქით ისეთ საქმეებს სჩადიან, რომ მათი მაგალითის მიმდევარი ბევრი გულ-უბრყვილო სოფლელი ეჩვევა ლოთობას და დუქან-დუქან ხეტიალს. აქ სამიკიტნოებისა და სასმელების დუქნების რიცხვი თანდათან მატულობს და აქაურნი მკვიდრნიც სულ უფრო და უფრო ეჩვევიან ლოთობას. ეს სენი მათ უმთავრესად აქაურ ახალშენთაგან მოედვათ. 20 სექტემბერს, დილიდანვე შეიკრიბნენ დუქნებში და გამართეს ქეიფი, აქ ნახავდით მოქეიფეს წვრილ-ცოლშვილის პატრონს ღარიბს სოფლელს, სამოცი წლის თმა-ჭაღარა მოხუცს და ახალ-გაზდობას. რაკი დათვრნენ ეს ვაჟბატონები, გამართეს ჩხუბი ყვირილი და ასტყდა ერთი აურ-ზაური. ამას კიდევ ზედ დაერთო ერთი სასაცილო და თანაც სამწუხარო ამბავი; სადღაც ნათლობაში ნაქეიფარმა ერთმა აქაურმა პირმა თავისი თანამოსამსახურითურთ დაისვენა აქ ერთს დუქანში და, რაც

იქ მეჯლისში დაკლებოდა იმის დასრულება აქ მოინდომა და ლუდი მოითხოვა. სანამ ეს პატივცემულნი ოჯახში ლუდს შეექცეოდნენ, ცხენს რომლითაც მობრძანდნენ, მოსართავები მოეშვა და უნაგირი ძირს დავარდა, უნაგირზე შემოკრული იყო ხორცი, რომელიც „არშივათ“ მოჰქონდათ სახლში, ხოლო რაკი ძაღლებმა იგრძნეს მოხარშული ხორცის სუნი ეცნენ ხორცსა და უნაგირიანათ წაიღეს; ცხენების ამ ამბის მნახველნი დაფრთხნენ და გაიქცნენ. მედუქნე სტუმრებთან მიიჭრა, რომ ეს ამბავი ეცნობებინა, მაგრამ აქ უარესი სანახავი ნახა: ეს პატივცემულნი პირნი, ალბათ ბახუსის მოქმედებით, წაჩხუბებულიყვნენ და კრივი გაემართათ; რომ მედუქნეს დროზე არ გაეშველებინა ერთი მეორეს შავ დღეს დააყენებდნენ. გარეთ სხვა დუქნებში სოფლელნი ჩხუბობდნენ და ჩაფრები ძლივ-ძლიობით აშველებდნენ მათ ერთმანეთისგან. ამისთანა შემთხვევა ხშირია აქეთ. დიდათ სასურველია ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდეს ამ მოვლენას ვისგანაც ჯერ არს და ერთს წესიერების დამცველს მაინც დაგვინიშნავდნენ აქ. /Humanus/. (ცნობის ფურცელი, N644, 1898 წელი);

სკოლები აფხაზეთში

წელს აფხაზეთში გაიხსნა სამი სავაჟო და ერთი საქალებო დასაწყისი სკოლა. (ცნობის ფურცელი, N647, 1898 წელი);

სოხუმი

მოსავლის განახევრება. მთელი წლევანდელი ზაფხული თითქმის გამუდმებული გვალვა იყო და როგორც სიმინდს, აგრეთვე სხვა მოსავალსაც დიდი ზიანი მისცა. ხოლო ენკენისთვემ უარესი დღე დაგვაყენა. როდესაც საჭირო იყო სითბო და მზიანი დარები მოსავლის დასამწიფებლად, სწორედ იმ დროს საშინელი წვიმები დაიწყო, განსაკუთრებით ენკენისთვის დამლევში. მთელი ერთი კვირა ნახევარია, რაც დღე და ღამე სწვიმს, ძალზედაც აცივდა და ახლო-მახლო მთებიც ჩამოსთოვა. წყლებიც ისე ადიდდა, რომ დილიჟნებისა და ეტლების მიმოსვლას თქვენ დაეთხოვეთ, ფეხით მიმავალთათვისაც გზა შეიკრა სოხუმსა და კოდორს შუა, რადგან მდინ. კილარუსზე დიდ წყლიანობის გამო ხიდიც წაღებულია. ამასაც არ დაგვაჯერა ბუნებამ და 29 ენკენისთვეს, ნაშუაღამევის 1-ლ საათზე, თხილის ოდენა სეტყვა მოვიდა, მოსავალი, განსაკუთრებით ყურძნისა, სულ დარეგვა. თუ ოქტომბერმა ამნაირად გასტანა, საშიშია მოსავალი მთლად დაგვეკარგოს, რადგანაც მისი აღება მუშა კაცისთვის შეუძლებელი იქნება.

ღელვა ზღვაზე. 1-ლ ოქტომბერს ზღვა საშინლად აღელდა და ძალიან დააზარალა მოიჯარადრე ნავთ-სადგურისა, რომელიც ბულვარის პირდაპირ კეთდება. მთელი ხის მასალა და ხარაჩოები წაიღო, რკინის ურო ბოძის დასასობი და თავის ასაწევ მანქანით დაანგრია და არც ერთი მათგანი არ მოიძებნება – ვინ იცის ზოგი სად მიჰყარა და ზოგი სად. როგორც ამბობენ, ზარალი 1000 მან. აღემატებაო. /გიორგი ბარკალაია/. (ცნობის ფურცელი, N649, 1898 წელი);

დ. გუდაუთი

ჩვენს დაბაში ჩამოვიდა ამ დღეებში ვიღაც ახალგაზრდა კაცი, რომელმაც თან ჩამოიყვანა რამდენიმე ნამუსზე ხელ-აღებული ქალი და დააბინავა ერთ აქაურ საუკეთესო ქუჩაზე. მათ მოსვლის შემდეგ დიდი უსიამოვნება მოგვადგა მთელ ამ ქუჩის მცხოვრებთ: ზნე-დაცემულ ქალებს აუარებელი მუშტრები გაუჩნდნენ, რომლებს შორის ხშირად ხდება ჩხუბი, ხანჯლის

ტრიალი და ერთი აურ-ზაური. ურიგო არ იქნება ამ ამბავს ყურადღებას მიაქცევდეს, ვისიც ჯერ არს.

ამინდები. 27 სექტემბრიდან განუწყვეტლივ სწვიმს, რომელმაც დიდი ზარალი მისცა ხალხს. /მახლობელი/. (ცნობის ფურცელი, N649, 1898 წელი);

სამურზაყანო. მადნის წარმოების საქმე

სექტემბრის დამლევს, დ. ოქუმში ჩამოვიდნენ: ოდესელი მილიონერი გალპერნი, გეოლოგი როსბერგი, ინჟინერი ცეიტლინი და შტეიგერი მარტინოვი დასათვალიერებლად იმ ადგილისა, სადაც აღმოჩნდა ტყვია-ვერცხლის მადანი (ს. ოქუმში). ბ. გალპერნს განუზრახავს ააშენოს ს. ოქუმში ქარხანა და გაიყვანოს ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა ოქუმიდან ს. გუდავაში (ზღვის პირად), სადაც მშვენიერი ყურე იმყოფება. იმის ანგარიშით მადანი წელიწადში მილიონ ფუთზედ მეტი უნდა იქნეს გატანილი აქედან. ეს გარემოება და მეტადრე გზის გაყვანა გუდავაში, ძლიერ სასიხარულოა სამურზაყანოელთათვის, რადგანაც ოჩამჩირის გზამ ყველას მოაძულა თავი თავისი უვარგისობით. ვისურვებთ, რომ განზრახვა ბ. გილპერნისა მალე იქმნეს აღსრულებაში მოყვანილი. /ს-ტი/. (ცნობის ფურცელი, N649, 1898 წელი);

ახალი დანიშნულება

სოხუმიდან გაზ. „ნ. ო.“-ს აუწყებენ, რომ სოხუმის ოლქის მმართველი ბრაკერი თავს ანებებს თავის თანამდებობას; ხოლო მის კანდიდატად ასახელებენ სოხუმის მმართველის უფროსს თანაშემწეს პოდ. დე-სიმონს. ართვინის ოლქის უფროსის თანაშემწეც გაბუნია აგრეთვე თავს ანებებს თავის თანამდებობას, ხოლო მის ადგილზე ნიშნავენ გუდაუთის განყოფილების უფროს, პორ. ჩიქოვანს, რომლის ადგილს როგორც ისმის, დაიჭერს ბ. ელიავა. (ცნობის ფურცელი, N652, 1898 წელი);

გუდაუთი (აფხაზეთი)

იარაღის აყრა და მისი შედეგები. ამ უკანასკნელ წლებში აფხაზებმა განსაკუთრებით მიჰყვეს ხელი იარაღების შეძენას. ვისაც იარაღის ხმარება შეეძლო, ვაჟკაცათაც ის ითვლებოდა, გახშირდა ბოროტ-მოქმედება და ავკაცობა. ამ საქმეს მთავრობამ ყურადღება მიაქცია და დაუწყო ბოროტ-მოქმედთ დევნა. ბევრი მათგანი ტყეში გაიჭრა თავის შესაფარად, ხოლო რამდენიმე მათგანი-კი ცივ ქვეყნებისკენ გაამგზავრეს. მაგრამ ამით ისინი არამც თუ ცხრებოდნენ, არამედ უფრო და უფრო ცუდს საქმეებს სჩადიოდნენ, რადგანაც სისხლს გადახდა უნდაო, ამბობდნენ. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ მთავრობამ აფხაზებს, როგორც მოგეხსენებათ, უკვე აჰყარა ყოველივე იარაღი და ხალხს ხელ-წერილი ჩამოართვა, რომ ამიერიდან იარაღი არ ატარონ. იარაღის აყრის შემდეგ მთავრობამ მოითხოვა ის პირები, რომლებიც მოსვენებას არ აძლევდნენ ხალხს. ეს პირნიც ხალხმა დაუზარებლივ გასცა და ისინი ჯერჯერობით სოხუმის საპატიმროში არიან დატუსაღებულნი. მხოლოდ ორი თავ-ხედი ტყეთ გავარდნილი რაინდი ვერ მოიგდეს ხელში. იარაღების აყრის შემდეგ, აფხაზებმა რაღაც მოსვენება იგრძნეს, თითქო მათ აეხადათ მძიმე აუტანელი უღელი და სიმშვიდე ჩამოვარდა ხალხში. არა ნაკლებ მოსვენებას მიეცა შინაური პირუტყვებიც, რომელიც დაწიოკებული იყო ქურდ-ბაცაცებისაგან.

მოსავალი. აქ სიმინდსა და ვაზს კარგად ასხია. მხოლოდ ამ ბოლო დროს ცუდმა ამინდებმა

ცოტაოდენი შეაშინა ხალხი, მაგრამ იმედია ისევ კარგი დარები დაგვიდგება. აქ ამ ჟამად აუარებელი ხალხი მოაწყდა სხვა-და-სხვა ქალაქებიდან. ყველა ესენი არაყისა და ღვინის ქარხნებს ამზადებენ. თამბაქოს პლანტაციების პატრონებმაც გამოიფხიზლეს და დიდი ფაცა-ფუცით მუშაობენ. მათ გაყიდეს ფუთი თამბაქო 10-11 მანეთად. აგრეთვე მეთევზეები იჭერენ „კეფალს“ და ფუთს 80 კაპ. 1 მან. ჰყიდიან.

დაჭრა. 28 სექტემბერს, დ. გუდაუთში ზღვის პირად ყავახანაში წაიჩხუბნენ ოსმალეთის ქვეშევრდომი მატროსები. ორი მათგანი მძიმედ დაიჭრა თავში. სამი პოლიციამ შეიპყრო.

ორ-ცოლიანი ბერძენი. ერთ ბერძენს ტრაპიზონში ცხოვრების დროს ცოლი შეურთავს. იქ უცხოვრია ოთხიოდე წელი და შემდეგ გამომგზავრებულა ქ. სოხუმში, საიდანაც შემდეგ გადმოვიდა გუდაუთაში. ცოტა ხნის შემდეგ აქაც შეირთო ცოლი. დღეს ტრაპიზონიდან უწინდელი ცოლი მოუვიდა ერთი შვილითურთ. ბერძენს, მეტი რაღა გზა ჰქონდა, მიიღო უწინდელი ცოლიც, მაგრამ ცოლ-ქმარს ხშირ-ხშირად ჩხუბი და უკმაყოფილება მოსდით ოჯახში. ამ ამბავმა პოლიციის ყურამდეც მიახწია. როცა ბერძენს ჰკითხეს: ეს რა ჩაგიდენიაო? მან უპასუხა: ოსმალეთში აგეთი ჩვეულება აქვთ, რამდენიმე ცოლს ირთავენ და ეს კანონს არ ეწინააღმდეგება, მე-კი რატომ უნდა ჩავითვალო კანონის დამრღვევადაო! /ნაღარა/. (ცნობის ფურცელი, N652, 1898 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი)

ავდრები და წყალდიდობა. მოულოდნელად აცივდა; რამდენიმე დღეა განუწყვეტლივ სწვიმს. მდ. ღალიზგა, რომლის ნაპირზე ოჩამჩირეა გაშენებული, ადიდდა; 1 ოქტომბერს 3 ურემი სიმინდით დატვირთული მოიტაცა; მეურმეები და კამბეჩები ძლივს გადარჩნენ. მხოლოდ 6 ოქტომბერს სოხუმელ მეეტლეს ცხენი დაეხრჩო, რომელიც იმერეთში ეყიდნა და სოხუმში მიჰყავდა.

უხიდობა. მდინ. ღალიზგაზე აგერ ხუთ წელიწადზე მეტია, რაც გაფუჭებულია ხიდი, რისთვისაც დიდათ შეწუხებულია მცხოვრებნი. მოგეხსენებათ, ქალაქის ახლო მდინარე უხიდოთ რა ბატონი ბრძანდება, მით უფრო, თუ ამ მდინარეზე არც ბორანი და არც ნავია. ღალიგაც ასეთს მდინარეს ეკუთვნის და დიდი ზარალიც მოაქვს. მეტის-მეტად საჭიროა ამ მდინარეზე ხიდის გაკეთება.

მღელვარება ზღვაზე. 1-2 ოქტომბერს საშინელი ქარიშხალი იყო შავ ზღვაზე: ასეთი ქარიშხალი იშვიათი მოვლენაა ამ ზღვაზე. სხვათა შორის ოჩამჩირეშიც გამოაგდო ორანძიანი გემი, რომელიც სიმინდის წასაღებად იყო ტრაპიზონიდან მოსული. უბედურება არ მომხდარა. შიგ მჯდომი მეზღვაურნი მარჯვეთ მოქმედებდნენ და ასე წარმოიდგინეთ, თვით გემი დაუმსხვრეველი გადაარჩინეს, მხოლოდ გემის პატარა ნავი ტალღამ ნაპირზე დაანარცხა და დაამსხვრია.

სიმინდის მაზანდა. სიმინდი ამ ჟამად ოჩამჩირეში 43 კაპ. იყიდება. 7 ოქტომბერს ერთი ხომალდი მოვიდა და იტვირთება სიმინდით, რომელიც საზღვარ-გარეთ მიაქვს. /ხორშელი/. (ცნობის ფურცელი, N652, 1898 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი). ცრუმორწმუნეობა და ბოშა დედაკაცები

ამ ჟამად ოჩამჩირეში სერბიელნი ციგნები არიან, რომელნიც სხვათა შორის, მარჩიელობი-თაც ატყუებენ ხალხს. სასურველია პოლიცია აღუკრძალავდეს „ციგნებს“ მარჩიელობას, რადგან მას გლახა შედეგი მოსდევს: ათასგვარ ეჭვს უბადებს თავში და სასოწარკვეთილებაში

აგდებს კაცს. ერთს მოხელეს შეეყვანა დუქანში ასეთი ბოშა დედაკაცი და გაფაციცებით ელოდა გაეგო მისგან რაში მდგომარეობდა მისი ბედ-იღბალი. ბოშა დედაკაცმა თავდაპირელად ათი შაური გამოსტყუა, მერე ჭიქა თუ სხვა, ზოგი ქურდობით და ზოგი „გასამრჯელოთ“, ჩაილაგა ჯიბეში და გაუდგა გზას. გაბრუებული მოხელე დიდხანს არ მოსულა გონზე; თურმე მისთვის წყალში დახრჩობა უწინასწარმეტყველებია. ყოველიფერი იცის, ამბობდა იგი მერე პირჯვრის წერით; აბა რა იცოდა მე რომ საწყენი ბარათი მივიღე, დედმამა მკვდარი მყავდა და სხვ., როდესაც ვკითხე შენი თავის ამბავი შენვე არ გაგიგია და ცხრამთის იქით გადმოხვეწილმა რაღა უნდა იცოდეს, არ გრცხვენია ამისთანა მაწანწალა გატყუებს-მეთქი, შენ უნდა იცოდე, რომ ცუდს თუ იზამ დაგსჯიან, მდინარე ადიდებული თუა და მასთან ფონიც არ იცი არ უნდა შეხვიდე, თორემ დაიხრჩობი, აგრეთვე ისიც უნდა იცოდე, რომ ბარათს ყოველი კაცი ღებულობს და ყოველი კაცი ჰფიქრობს მტერი მყავსო, რომელიც ან შავგვრემანი იქნება ან თეთრწითელა-მეთქი და სხ. მას შერცხვა, ბოშა დედაკაცს ქლიბებიც მოეპარა მისთვის; იწყო წუხება მაგრამ „წამხდარსა საქმეს რას არგებს მერმე-ღა თითზე კბენანი’’.

ავადმყოფობა. გადამდები სნეულება ჯერ-ჯერობით არ არის, თუმც ძველი ცივება, როგორც ექიმები უწოდებენ ყველას ჰქონია, რაიცა სიცოცხლის ელფერს უკარგავს კაცს თვალებში.

ჭირნახული. მოსავალი ნაკლებია ამ უკანასკნელ დროს წვიმამ ხელი შეუშალა მოსავლის ამოღებას. ღვინოს შარშანდლის მეხუთედს არ ელიან, თუმცა უკეთესი კი დგება და მეტადაც ჰფასობს. ამ ჟამად ადესის მაჭარი ოჩამჩირეში 1 მ. 50 კ. იყიდება. შარშან კი როგორც მოგეხსენებათ, ძალიან იეფი იყო ღვინო 30-80 კ. ფუთი. /ხორშელი/. (ცნობის ფურცელი, N654, 1898 წელი);

სოხუმი. შტაბს-კაპიტანის ჩელევის გასამართლება

ფარნა დავითაიას საქმის გარდა ჩეჩელევს ბრალდებოდა საქმით შეურცხყოფა, აძვიბჟის საზოგადოების, კოდორის ნაწილის, სასოფლო მოსამართლისა და იმავე საზოგადოების მამასახლისის ეკუბ კვიწინიასი. გარდა იმისა, რომ ორსავე შეურაცხყოფა მიაყენა, ჩეჩელევმა უდანაშაულოდ თავისუფლება წაართვა მამასახლისის სახლობას და მის ოჯახში უსასყიდლოდ იქეიფა, როგორც თვითონ, ისე მხლებელმა ჩაფრებმა. ეს ამბავი მოხდა 1896 წ. 21 ენკენისთვეს.

მოსამართლის პასუხი ჩეჩელევს არ მოეწონა, რა უკმეხად მეუბნებაო და თავში ჩაარტყა და თან ქუდი გადაუგდო. როცა მოსამართლე ქუდის ასაღებად დაიხარა, ჩეჩელევმა ხელიდან ჯოხი გამოსტაცა და ისიც რამდენჯერმე დაარტყა. ამასობაში მამასახლისიც მოვიდა და მოახსენა ჩეჩელევს, ფულების ერთი ნაწილი ავკრიფე და მეორე ნაწილსაც ავკრეფაო. ამ ლაპარაკის დროს მამასახლისი, როგორც ამბობენ, დოინჯ-შემოყრილი მდგარა. ასეთი უზრდელობა ჩეჩელევს არ მოეწონა და მოიწადინა ზრდილობის გაკვეთილები მათრახის შემწეობით მიეცა. მაგრამ აფხაზი-მამასახლისი სრულებით არ იყო დაჩვეული მათრახსა, მოთმინებიდან გამოვიდა, ღონივრად ხელი ჰკრა ჩეჩელევს და თავს უშველა. გამოეკიდნენ ჩაფრები, რევოლვერიც კი ესროლეს, მაგრამ მამასახლისი გაიქცა.

ჩეჩელევი, არც აცივა, არც აცხელა, ჩაფრებითურთ ს. ათარაში წავიდა, მამასახლისის სახლში, იმედი ჰქონდა, იქ დამხვდებაო, მივიდა მამასახლისის სახლში. იკითხა, სად არისო, მაგრამ შინაურებმა უთხრეს, არც ის გვინახავს და არც ის ვიცით, თქვენსა და იმას შორის უსიამოვნება რამე მოხდაო. მაშინ ჩეჩელევმა დააჭერინა მამასახლისის ორსული ცოლი, მისი ძმისწული ქალი, ძმა და პატარა შვილი და ყველანი ბოსელში დაამწყვიდია, რომ გაუჭირდებათ, მეტყვიან სად იმალება მამასახლისიო.

მამასახლისი ეკუბ კვიწინია კი, როგორც მერე აღმოჩნდა, ჩეჩელევთან შეტაკების შემდეგ მაშინათვე სოხუმში გაქცეულა ოლქის უფროსთან და მოუხსენებია ასე და ასე მოხდაო. ჩეჩელევმა საღამომდე გააჩერა კვიწინიას სახლობა ბოსელში და მერე გამოუშვა - თან უბრძანა, ვახშამი გაგვიკეთეო. ამაზე სახლობამ უარი უთხრა. მაშინ გაცეცხლებულმა ჩეჩელევმა ჩაფრებს უბრძანა დაეკლათ მოზვერი, თხა, ქათმები და ვახშამი მოემზადებინათ. მოხადეს ქვევრები... იმათაც ორი დღე-ღამე იქეიფეს, ცხენები სიმინდის ყანას მიუსიეს და ნაომარს დაამსგავსეს საწყალის გლეხის ოჯახი. ამ საქმის გამო დაბარებულ მოწმეებს ფიცის ქვეშ ჰკითხეს. ყველამ ჩეჩელევი გაამტყუნა, გარდა თვით ჩეჩელევის თარჯიმანისა, მილიციის პროპორშჩიკის სალაყაიასი და ერთის ჩაფრისა.

ჩეჩელევმა ამ საქმეში დამნაშავედ არა სცნო თავი. როგორც „ცნ. ფ.“ 658 N-ში უკვე გვქონდა მოხსენებული, პალატამ განიხილა ზემო აღნიშნულნი დანაშაულნი კოდორის ნაწილის, სოხუმის ოლქის, ნაუფროსალის შტაბს-კაპიტანის ჩეჩელევისა, დამნაშავედ სცნო და გადაუწყვიტა ექვსი თვე საპატიმრო, ხოლო მერე საპატიმრო $3^1/_2$ გაუპტავახტაში ჯდომით შეუცვალა. გარდა ამისა შეუმცირეს ზოგიერთი უფლებანი სამსახურის დროს. (ცნობის ფურცელი, N660, 1898 წელი);

ოჩამჩირე (აფხაზეთი). ხორავას გადაყვანა

დანამდვილებით შეგვიძლია ვაუწყოთ მკითხველებს, ზედამხედველი აქაური ორ კლასიან სკოლისა ბ. ხორავა გადაყვანილ იქნა რუსების სოფელ ვლადიმიროვკაში იქაურის სკოლის მასწავლებლად. ხორავას ალაგზე ოჩამჩირეში დანიშნეს ვლადიმიროვსკის სკოლის მასწავლებელი. (ცნობის ფურცელი, N661, 1898 წელი);

სოხუმი. სოხუმის საზოგადო ბანკის დაარსების შესახებ ყრილობა

ხუთშაბათს, 22 ოქტომბერს, თ. გიორგი ჩიჩუამ სოხუმის საპატიო მკვიდრნი ერთ-ერთ სასტუმროში მოიწვია ქალაქის საზოგადო ბანკის დაარსების შესახებ მოსალაპარაკებლად. დამსწრეთ თავადმა ჩიჩუამ დაუხატა აქაურ ვაჭართა და საზოგადოდ აღებ-მიცემის პირთა გაჭირვებული მდგომარეობა იმის წყალობით, რომ ქალაქში არ არსებობს ისეთი საკრედიტო დაწესებულება, საიდანაც საჭიროების დროს სესხით ხელის მონაცვლება შეეძლოს ვაჭარსა და მწარმოებელს. ამიტომ, მოახსენა პატივცემულმა თავადმა დამსწრე საზოგადოებას, აქაურთათვის აუცილებლად საჭიროა დაარსდეს საზოგადო ბანკი, საიდანაც, შედარებით ნაკლების სარგებლით, ყველას შეუძლია სესხის გატანაო. თან მომავლის ბანკის პროექტსაც გააცნო საზოგადოება თავადმა ჩიჩუამ. ყველამ სიხარულით მოისმინა თავ. ჩიჩუას წინადადება და ერთხმად აღიარეს საჭიროება ასეთი ბანკის დაარსებისა. კრებაზე 20 კაცზე მეტი არ იყო. ზოგმა სთქვეს, საჭიროა სხვებსაც შევატყობინოთ და ისე შევუდგეთ საქმესაო. ამიტომ თავიანთ შორის სამი კაცი აირჩეს და იმათ მიანდეს ხელ-ახლად შეკრება საზოგადოებისა. იმედია, სოხუმელები გულ-მხურვალედ მოეკიდებიან ამ საქმეს და მათისავე სარგებლობისათვის სათანადო ზრუნვას გამოიჩენენ. /გ. ბარკალაია/. (ცნობის ფურცელი, N664, 1898 წელი);

დ. ოჩამჩირე. მადნების საქმე აფხაზეთში

3-4 წლის წინად მადნების ხსენებაც არ იყო ჩვენსკენ, მაგრამ რაკი აფხაზეთის ძვირფასი ტყეები: ბზა, ნიგოზი, მუხა, წაბლი და სხ. მოინელეს, იმავე დროს სიმინდის ფასიც დაეცა.

გამეფდა უფულობა და აი ამას მოჰყვა მადნების ძებნა მთებში. დიახ, ეხლა მადანი გახდა მომავალი ბედის წყაროდ და სუყველას მისკენ უჭირავს თვალი, სუყველა მას დაეძებს. თხოვნა თხოვნაზე იგზავნება სამთო სამმართველოში. რასაკვირველია, სუყველა მართალი არ გამოდგება, ბევრს კაჟებისა და უბრალო ქვების მადანი აქვს ნათხოვნი და იმედიც აქვს, რომ მას ეკუთვნის ნანახი განძი, რომელსაც არავინ შეეცილება; მაგრამ ამ არა მადნებთა შორის აღმოჩნდა ნამდვილი მადნებიც და ზოგან ისეთებიც, რომელთა საქმე უეჭველად კეთილად დაბოლოვდება. სწორედ გაჭირვებამ დაგვანახა, რომ ჩვენს დიდებულ მთებში ბლომად მოიპოვება ბედნიერების წყარო, მაგრამ საქმე ის არის, ვინ დაეპატრონება ამ ბედნიერების წყაროს, ვინ დაუდგება ამ წყაროს მოთავედ, ვინ გაბედნიერდება? ეს არ არის ერთის და ორი დღის საქმე, არ არის ათასის და ათი ათასი მანეთის საქმე. მაზე იქნება დამოკიდებული ასი და ათასი კაცის კი არა, მთელის მხრის მკვიდრთა დღეგრძელობა და ასეთს განძს სიფრთხილით უნდოდა და უნდა მოქცევა.

კარგა ხანია მადნების წყალობით ოჩამჩირეს ხშირი სტუმარი გაუხდა ფულიანი კაცები და ინჟინრები. ამ დღეებში იტალიელი კაპიტალისტმა გ-ნი, რომელსაც თან ინჟინრები ახლდა, ინახულა ს. ტკვარჩელის მადანი (ქვა-ნახშირისა) და გამოიკვლია რკინის გზის გასაყვანი ადგილი, საზღვარ-გარეთ გაემგზავრა ამხანაგობის შესადგენად. მეორეს გუფის მადანში, რომელიც თავ. ბ-იას და ბ-ას ეკუთვნის, თაობს ბუტმინ დე-კაცმანი და მისი საქმეც მალე დაბოლოვდება (მადანი რკინისაა): აგერ ორ თვეზე მეტია ოქუმში მუშაობა დაიწყეს (ვერცხლი და ტყვია) ოჩამჩირის ახლო თავ. ა. ე-მა საკუთარ მამულში საღებავი წამალი აღმოაჩინა და სხ. ერთი სიტყვით, ამ ჟამად მადნებსა შინა ვიმყოფებით! მაგრამ ერთი რამ გულს გვიკლავს და აი რა.

ყველა ამ მადნების მძებნელნი უბრალო სოფლის მკვიდრნი იყვნენ, მაგრამ დღეს ვინ იცის ვის უვარდება ხელში და ვინ კეთდება! მართალია, თითო-ოროლა ამ მადნების საქმეში ჩვენებურებიც ურევია, მაგრამ ისეთები, რომელთაც არავითარი გამოცდილება არ მიუღიათ ამგვარ საქმეებში და რასაკვირველია ასეთი პირები ადვილად შეიძლება შეცდენ და დაიყოლიოს გამოცდილმა და დახელოვნებულმა პირმა მით უფრო თუ ასეთ პირს ცოდნაც შესწევს და ფულიც. სწორედ ასეთი პირებისთვის (ჩვენებურებისთვის) საჭირო იყო გზის მაჩვენებელი და ნუ თუ ასეთი კაცები ჩვენში არ მოიძებნებოდა, რომელთაც იოტის ოდენად მაინც შესტკენოდათ გული თავისიანებისთვის. ვიცი, ჩვენ ინჟენრებიც გვყავს, გულ-შემატკივარი ნასწავლიც, რისთვის მათ არ მიმართეს ამ დალოცვილებმა „ორ-ორა“ ჩვენებურებმა? ნუ თუ... მაგრამ (ზოგჯერ თქმითაც დაშავდების) და ამიტომ მხოლოდ ვიტყვი იმას, რომ ვისთვისაც დაგვიანებული არ არის, იმედია ამ ნაკლს აიცილებენ თავიდან. /ხორშელი/. (ცნობის ფურცელი, N664, 1898 წელი);

სოხუმი. მიხ. თოფურიძის დაჭრა და გაძარცვა

ღვინოობისთვის 25, ღამის 2 საათზე, სოხუმში მომხდარი შემაძრწუნებელი ამბავი აშკარად ამტკიცებს ყოვლად უმწეო მდგომარეობას აქაური მცხოვრებლებისას, ხსენებულ რიცხვს 10 უცნობი ბოროტ-მოქმედნი დაესხნენ თ. გიორგი შერვაშიძის მოურავს ბ. ნ. მიხეილ თოფურიძის სახლს. თვითონ თოფურიძე ის იყო მოვიდა სახლში და დასაწოლად ემზადებოდა, ისე თავს დაესხნენ ათამდე შეიარაღებული კაცი, ერთ მათგანს მიხ. თოფურიძე შეებრძოლა და კიდეც შემოითრია თავის ოთახში, ისე მეორე ამხანაგმა სატევარი თავში დასცა თოფურიძეს და იქვე გააგორა. ამასობაში დასჭრეს მისი მოსამსახურე ბიჭიცა და დაიწყეს თარეშობა ოთახში. კასა, სადაც თოფურიძე ფულს ინახავდა, დაკეტილი დახვდათ. მოსთხოვეს თოფურიძეს, გაგვიღეო, იმან უთხრა, მე ხომ ხედავთ ადგომა არ შემიძლია და აი გასაღები გააღეთ და მშვიდობაში მოგახმოროთ რაც შიგ არისო. ყაჩაღებმა კასა ვერ გააღეს და გასაღები შიგ

იმდენი აცოდვილეს, სანამ შიგ არ ჩაუტყდათ. რაკი კასას ვერა მოუხერხეს, დაიწყეს ფათური და თვითონ თოფურიძეს ამოაცალეს 800 თუმანი. ამას არ დასჯერდნენ, ააცალეს: ოქროს საათი, ვერცხლის ქამარი, სატევარი, რევოლვერი და სხვა ნივთები რამოდენისამე ასი მანეთის ღირებული. ჩაალაგეს ყველაფერი ჩემოდანში და არხეინად გაუდგნენ გზასა. ძე-ხორციელს არავის შეუტყვია არც მათი მოსვლა და არც წასვლა. მერე იმ სახლს, სადაც თოფურიძე იდგა, ოთხის მხრით ჩაუდის გზა. ღამის დარაჯი ქალაქის შუაგულშიაც არა დგას და, რა თქმა უნდა, აქაც არ იდგა. მეორე დღეს დილით პოლიციაც მოვიდა და, როგორც მიღებულია, ოქმი შეადგინა. იმავ დღეს ქუთაისში დეპეშა დაუკრეს დაშავებულის ძმას ექიმს სამსონ თოფურიძეს, რომელსაც ამ დღეებში მოელიან.

აქ ამ ჟამად ქუთაისის ოლქის სასამართლოს წესია, სხვათა შორის, სამურზაყანოს მცხოვრების კეკუცა მახარიას მოკვლის საქმეს არჩევს. ბრალდებულთა რიცხვში ერთი მღვდელიც ურევია, გვარად ქ. ამ საქმის გამო 66 კაცი მოწმეა მოწვეული. /გ. ბარკალაია/. (ცნობის ფურცელი, N667, 1898 წელი);

გუდაუთი (აფხაზეთი). მოულოდნელი სენი

ამა წლის ენკენისთვის დასაწყისში აქ ჩამოვიდნენ რაჭიდან მუშები. ერთ კვირასაც არ გაუვლია მათის ჩამოსვლის შემდეგ, რომ ერთს მუშათაგანს ნ. კ-ძეს გამოაჩნდა ყვავილი, მაგრამ რადგანაც ვერ მიხვდნენ, რომ ყვავილი იყო, ამიტომ დაუწყეს სხვა-და-სხვა წამლებით კურნება; საბრალო ავადმყოფი მთლად ერთიანად გაშავდა და მეორე დღეს სამუდამოდ გამოესალმა წუთი-სოფელს. ნათესავებმა მიჰმრთეს პოლიციას და სთხოვეს სამშობლოში წაღების ნება მიეცა, მაგრამ პოლიციამ უარი უთხრა. მიცვალებულის გვამი მიაბარეს მიწას თუ არა, მეორე დღეს ორი მუშა რაჭველი ავად გახდა და ამათაც ის სენი გამოაჩნდა. ეხლა თუმცა სიფრთხილით ეპყრობიან ავადმყოფებს, მაგრამ მაინც საშიშია, რადგანაც მუშებს შიგ შუაგულ ქალაქში აქვთ ბინა და ავადმყოფებიც იმათთან არიან, ხალხი ხშირად ტრიალებს ახლო სნეულების ბინასთან. ამის გარდა იმავე ბინასთან წყლის მილია გამოყვანილი. ამიტომ უცილობლად საჭიროა ყურადღება მიაქციოს ადგილობრივმა პოლიციამ და ავადმყოფებს სადმე ქალაქის განაპირზე გაუჩინოს ბინა. /ნაღარა/. (ცნობის ფურცელი, N667, 1898 წელი);

დ. გუდაუთა. თავისუფალი ადგილების გამო

აქ ახალ წლის შემდეგ ბევრია მონდომებული, რომ ადგილები შეიძინონ სამოსახლოდ. თუმცა აქამდისაც სწყუროდა ხალხს შეეძინა ადგილები, მაგრამ მოუხერხებელი იყო, რადგანაც თხოვნით უნდა მიემართათ ქუთაისის გუბერნიის მმართველისთვის და ამგვარად ელოდნენ პასუხს. პასუხი გუბერნატორიდან ხშირად წელიწადი გვიანდებოდა. ეხლა, როგორც გვესმის, გუბერნატორმა კავკასიის მთავარ-მართებელთან კითხვა აღზრა შემდეგის წინადადებით, რომ მიეცეს გუდაუთში ადგილის მთხოვნელებს ადგილი უვაჭრელადო, რომელნიც გუდაუთშივე შესძლებენ მის ჩაბარებას. ამიტომ მოუთმენლად ელოდება ხალხი მთავრობისაგან განკარგულებას. /ნაღარა/. (ცნობის ფურცელი, N668, 1898 წელი);

სოხუმი. კიდევ მ. თოფურიძის გაძარცვის შესახებ

უკვე შეგატყობინეთ მ. თოფურიძის გაძარცვის ამბავი. ზოგს ამბავს დაწვრილებით გატყობინებთ. ფულად წაიღეს 700 მანეთი. წაიღეს აგრეთვე ოქროს საათი, სატევარი,

ხმალი, დამბაჩა, ვერცხლის ქამარი, ვერცხლის მასრები და სხ. ოქრო-ვერცხლეულობა, სულ 2,500 მანეთის ღირებული. კასაში, რომლის გაღება ვერ მოახერხეს, 10 ათასი მანეთი ფული დებულა. არ იციან, ავაზაკები რა რჯულის ხალხი იყვნენ, ამიტომ რომ ყველანაირ ენაზე ლაპარაკობდნენო, როგორც მ. თოფურიძე ამბობს. მესმოდა თათრული, სომხური და ქართული ენებიო. ბიჭს - კი ოთხი ჭრილობა აქვს: ამათში სამი დიდი ჭრილობა: ორი თავში და ერთი ხელზე და ერთიც გვერდზე. ექიმის სიტყვით, საშიში არც ერთი არ არისო. ავაზაკებს დაეძებენ, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავინ აღმოუჩენიათ.

კაცის მოკვლა. 26 ოქტომბერს ქალაქის მოედანზე ერთმა მუშამ ჭ-მ ხანჯლით მოკლა თავისი ამხანაგი რუსი. ესენი მუშაობდნენ თურმე ერთს მეკასრესთან, მკვლელი შეიპყრეს და გამოძიება სწარმოებს.

ისევ ავაზაკობა. 27 ოქტომბერს თავს დაესხნენ ავაზაკები აქაურს მცხოვრებს ბ-ნ პაევსკის. ჯერ ფანჯარა შეუმტვრევიათ და შემძვრალან, მაგრამ ვერაფერი გაუტანიათ, გარდა ორის გვაბანაკისა (პალტო). ისიც ერთი გზაში დავარდნია, რადგანაც იქვე მდგომ მდგმურს, სოხუმის პოლკის აფიცერს, გაუგია და რევოლვერის სროლა დაუწია. ავაზაკები შეშინებულან და გაქცეულან. ბ-ნ პაევსკის სიტყვით, ავაზაკები ბარე ხუთნი ყოფილან. მთელი სოხუმი შიშის ზარმა აიტანა, განსაკუთრებით შეშინებულნი არიან იმ უბნის მცხოვრებნი, სადაც პაევსკი გაძარცვეს. აქ მოსალოდნელია ავაზაკები ამას არ დასჯერდნენ და კიდევ ისხვერპლონ ვინმე, რადგან აქ, რაც სოხუმი დაარსდა, პოლიციის მოხელენი არა მდგარან და მცხოვრებნი ღვთის ანაბარა არიან დატოვებულნი. /ვ. ბ-ია/. (ცნობის ფურცელი, N669, 1898 წელი);

დ. გუდაუთი, ნოქრების შევიწროებული ცხოვრება

აქაური ნოქრები ერთობ შევიწროებულია. სხვა და სხვა ნაკლულოვანებას თავი ვანებოთ, ერთი უმთავრესი ნაწილი მაინც უნდა მოვიხსენიოთ, რითაც მკითხველებს ცოტათი მაინც განუზიარებთ მათ აწმყოს. გუდაუთში ჯერ არ მიუღწევია იმ განათლების შუქს, მაგალითად, რომელიც გვესმის სხვა და სხვა დაბებიდან და ქალაქებიდან; ხშირად შეხვდებით ხოლმე გაზეთებშიაც, რომ ამა და ამ ქალაქში, ანუ დაბაში საკვირაო დააარსეს ნოქრებისათვის და სხვა, მაგრამ აქაური ნოქრები ამისთანა ბედს სამუდამოთ აცდენია, მაგრამ ერთი საგანი კი აბრკოლებს ამათ ვიწრო ცხოვრებას, რადგანაც კვირა უქმე დღეებში გაჩაღებულია ვაჭრობა. ამიტომ ამათთვის მოუხერხებელია ეკკლესიაში სიარული, თითქმის ხუთი ექვსი წელი ისე გადის, რომ წმინდა ზიარებაც არ მიუღიათ, შეიძლება ეკკლესიაში წელიწადში ერთხელ მოუხვდეს შესვლა, მაგრამ ისიც აღდგომას, რადგანაც მაშინ ყველანი ერთბაშად კეტენ კარებს მაღაზიებისას, ისიც საღამომდის. ამ ნაირათ კარგი იქნება, რომ ამ საქმეს ყურადღებას მიაქცევდეს ვინმე და სამადლო საქმეს იზამდეს ნოქართა შორის, რომ კვირაობით მაინც მოისვენოს და ეკლესიაში მღვთის ვედრების დროს თავისუფალი იყოს, რადგანაც ქრისტიანულ წეს-რიგი იქნება და ღორ-მუცელობას დაჩვეული ახალი თაობაც გამოფხიზლდება. ვისურვებთ ეს საქმე აღესრულებიოთ კეთილად, როგორც რიგი და სჯული მოითხოვს. /ნაღარა/. (ცნობის ფურცელი, N669, 1898 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი). საზარელი ავაზაკობა

მთელი ოჩამჩირეს მცხოვრებნი ააღელვა ერთმა არა ჩვეულებრივმა საზარელმა ავაზაკობამ. 5 ნოემბერს პოლიციას შეატყობინეს: აქაური მოხელე (მეთოფე) ანტონ შელია, რომელიც თავის დუქანს ერთს საათსაც არ სცილდებოდა, დაიკარგაო. დუქნის კარს ბოქლომი ჰქონდა დადებული. პოლიცია შეუდგა ძებნას, მაგრამ ყოველივე შრომამ მუქთად ჩაიარა - შელია არ

აღმოჩნდა. მეორე დღეს დუქანი გატეხეს და აი რა ნახეს: დუქანში ყოველისფერი მინგრეულ-მონგრეული იყო, ყუთები დამტვრეული იყო და ქაღალდები აქეთ-იქით გაფანტული; ზევით ჭერის ფიცრები ჩამტვრეული იყო, საიდანაც ბოროტ მომქმენდნი ჩამძვრალან: ქვეშაგებ-საბანი ნაკუწ-ნაკუწად დაფლეთილი იყო, შელია კი არც აქ აღმოჩნდა. ეჭვი არ არის კაცი მოკლული უნდა იყოს, ხოლო რა უყვეს მკვდარს, იმათმა ბოროტმა სულმა უწყის. პოლიცია სასტიკად დაეძებს ავაზაკებს. თვითონ ანტონ შელია უცოლშვილო ახალგაზდა კაცი იყო, მასთან ცნობილი, როგორც ფულიანი კაცი, რომელიც ასესხებდა ფულებს და უკანონო სარგებელსაც ახდევინებდა. აგრეთვე ცნობილი იყო თავისი ცინიკური ცხოვრებით. დუქანში ბიჭს არ იყენებდა, არც სტუმარს იღებდა და არც სტუმრად ეწვეოდა ვისმე. ერთ ჭიქა ღვინოს დიდ დღესასწაულში თუ დალევდა. ფული თურმე ყოველთვის ჰქონდა 2000-3000 მ. ვექსილები 5-6 ათასი მანეთისა. დუქანში არც ფული აღმოჩნდა და არც ვექსილები. რამდენიმე შენიშნული კაცი დაჭერილია.

სასიკვდილოდ კაცის დაჭრა. მეორე სამწუხარო ახალი ამბავი ის არის, რომ 4 ნოემბერს სასიკვდილოდ დასჭრა სოფ. ბედიის მცხოვრებმა მახარიამ იმავე სოფლის მცხოვრები აზ. მაჰმუდ წუშბაია. დაჭრის მიზეზი აი რა იყო: შარშან ამ დროს მოკლულ იქმნა თავისივე სახლში მთელ აფხაზეთ-სამურზაყანოში ცნობილი ვაჟკაცი, მდევნელი ქურდობა-ავკაცობისა კეღუცა მახარია, რომლის მოკვლა დაბრალდა მახმუდ წუშბაიას შვილს და მის მეგობარს გ-ლიას, რადგანაც მახმუდ წუშბაიას და მახარიას შორის მტრობა და შური იყო ჩანერგული. ეს საქმე გასულ ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში გარჩეულ იქმნა სოხუმში ქუთაისი ოლქის სასამართლოს სესიას მიერ, რომელმაც დამნაშავედ იცნო წუშბაია (შვილი) და გ-ლია და ათ-ათი წელიწადი მადნებზე მუშაობა გადაუწყვიტა. მაჰმუდ. წუშბაია (მამა) გადურჩა ყოველგვარ სასჯელს. ეს კი არაფრად ეპიტნავა მოკლული მახარიას შვილს, მით უფრო, რომ წუშბაია ქადნულობდა თურმე, მასაც დავანახვებ მალე თავის მამასო. აი ეს ორი მოსისხლე მტერი ერთმანერთს შეხვდნენ დ. ოჩამჩირეში. ცხენზე მჯდომ წუშბაიას შეუნიშნავს დუქნის კარზე გაჩერებული თავის მტერი მახარია, რომლისთვის ასეთის სიტყვებით მიუმართავს: „ერთი შვილი დამეკარგა, მაგრამ სადაც უნდა იყოს ის ცოცხალია, მხოლოდ შენ-კი მამაშენი უნდა დაგანახვო და დამბაჩისკენ გაუსვია ხელი, მაგრამ მახარიას მსწრაფლ დაუკრავს თავში ჯოხი და ცხენიდან ჩამოუგდია მოხუცებული წუშბაია, მერე კი ხანჯლით ორალაგას დაუჭრია - მუცელში და თავში. ჭრილობა ფერშალმა ორაგველიძემ შეუხვია. თვით მახარია პირ-და-პირ პოლიციაში წარსდგა, სადაც შეიპყრეს. /ხორშელი/. (ცნობის ფურცელი, N676, 1898 წელი);

სოხუმზე რკინის გზის გამოყვანის საქმე

გზათა სამინისტროში ამ მოკლე ხანში განხილულ იქნება კითხვა მომავალ რკინის გზის ლიანდაგის შესახებ შავის-ზღვის ნაპირას ნოვოროსიისკიდან სოხუმამდე. სოხუმიდან ახალ-სენაკამდე რკინის გზის გაყვანა უკვე გადაწყვიტა სამინისტრომ. (ცნობის ფურცელი, N677, 1898 წელი);

სოხუმი. წირვა-ლოცვის საქმე სოხუმის ეპარქიაში

როგორც კავკაზს სწერენ სოხუმიდან, სოხუმის საეპარქიო კანცელარიას მოსვლია უწმინდესის და უმართებულესის სინოდის ბრძანება სოხუმის ეპარქიაში წირვა-ლოცვის შესრულების შესახებ. თანახმად ამ ბრძანებისა, იმ სამრევლოებში, სადაც რუსები სცხოვრობენ, წირვა-ლოცვა სლავიანურად უნდა იყვეს; იქ, სადაც აფხაზები სცხოვრობენ სლავიანურადვე უნდა იყვეს წირვა-ლოცვა, რადგან აფხაზურ ენაზე საეკკლესიო წიგნები

თარგმნილი არ არის, ლოცვები კი, რომლებიც უკვე თარგმნილია აფხაზურად, ამ ენაზე უნდა იქმნეს წარმოთქმული ეკლესიაში; რაიცა შეეხება იმ სამრევლოებს, სადაც მეგრელები სცხოვრობენ, უწმინდესს სინოდს საჭიროდ დაუნახავს ებრძანებინა აქ ქართულად უნდა იქმნეს წირვა-ლოცვაო. სოხუმელები, რომელნიც ასე დანატრებულები არიან ქართულ წირვა-ლოცვასა, იმედია, მალე ეღირსებიან იმ დღეს, რომ ღმერთი თავის სამშობლო ენაზე ადიდონ. (ცნობის ფურცელი, N678, 1898 წელი);

დრანდა (აფხაზეთი). ახირებული ჩვეულების უსიამოვნო შემდეგი

თითო ახირებული ჩვეულება ყოველგან იციან, მაგრამ აქ რომ ერთი ცუდი ჩვეულება სცოდნიან ქორწილის დროს, ღმერთმა დაგიფაროს. ამ დღეებში აქ სოფ. ფშიფში ერთ მეგრელს სასძლო მოჰყავდა და როგორც საზოგადოთ მიღებულია, „კუჩხა ბედინერის“ სიმღერით შეიყვანეს მაყრებმა სახლში. აქ დახვდებათ ყველა სტუმრები და ერთი მასპინძელთაგანი, რომელსაც $^1/_4$ გირვანქის ოდენა გამომცხვარი პური უჭირავს ხელში. რაკი ყველანი შეიკრიბებიან სახლში, მასპინძელი შუაზე გაჰყოფს ამ პურს და ისვრის მაღლა. აი აქ არის საჭირო ვაჟკაცობა და გმირობის გამოჩენა, - კარგ ვაჟკაცად ის ითვლება, რომელიც ამ პურებს წაართმევს ყველას და თვითონ შეჭამს, აგრე მოხდა ამ მექორწილეს სახლშიაც; შეიქნა ერთი აურზაური, ყვირილი, ტაცება, შეიχგუფა ხალხი და ეს χგუფი ერთად სახლის შუაგულ დანთებულ ცეცხლში ჩაწვა, ცეცხლზედ χაჭვით ჩამოკიდებული იყო დიდი ქვაბით ცხელი ხარშო, ეს ქვაბიც დაინძრა, ხარშო დაიღვარა, პირველად ერთს რვა წლის ბოვშვს გადაესხა ზურგზე და შემწვარი გოჭივით აუყენა კანი, მერმე ორს χეელ ახალგაზრდა ყმაწვილებს დაესხათ წელზე და საშინლად დააშავა. ქალებმა მორთეს წივილ-კივილი და ქორწილი ტირილათ შეიცვალა. რასაკვირველია, ეს ყველაფერი უმეცრების ნიადაგზედ აღმოცენებულია, მაგრამ, სანამ კარგ მოწყობილ სკოლასა და სასწავლებელს ვეღირსებოდეთ, საჭიროა ადგილობრივმა მღვდელმა ყურადღება მიაქციოს ამ მოვლენას. მამობრივი დარიგებით და გონიერი ქადაგებით მღვდელს შეუძლია ბევრი სიკეთე შესძინოს თავის მრევლს და ამისთვის ცოტა მაინც უნდა მოიცალოს, რადგან „ზრუნვა ხალხისათვის“ მისი წმინდა მოვალეობა არის. /დრანდელი/. (ცნობის ფურცელი, N686, 1898 წელი);

სოხუმი. მოსამართლის გარდაცვალება

ამაზე წინად აქ გარდაიცვალა აქაური მომრიგებელი მოსამართლე ფეოდ. ნიკ. უსტიანოვიჩი. განსვენებული ცნობილი იყო როგორც დაუზარელი და პირუთვნელი აღმსრულები თავისის თანამდებობისა, ამასთან, როგორც ყოვლად პატიოსანი და დაჩაგრულის ქომაგი ადამიანი. ამით აიხსნება ისა, რომ აქაურნი მცხოვრებნი, განურჩევლად წოდებისა და ეროვნებისა, ყველანი მისტირიან ამ კეთილ-შობილს ადამიანს. განსვენებული სანამ სოხუმში გადმოვიდოდა, რამდენსამე წელიწადს ზუგდიდის მაზრაში მსახურებდა და იქაც სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ყველასი.

ღარიბთათვის შეგროვილი ფული. განსვენებული უსტიანოვიჩი სხვათა შორის, თავისის ხარχითა ზრდიდა ერთს ობოლს მეგრელს ფოთის საზღვაოსნო სკოლაში. რაკი უსტიანოვიჩი მოკვდა, ხსენებული შაგირდი, რომელსაც ერთი წელიწადი უკლია სწავლის დამთავრებამდე, უსახსროდ დარჩა. განსვენებულის ხსოვნის პატივისმცემელთ განიზრახეს ამ შაგირდისათვის პატრონობა გაეწიათ. ამ აზრით, აქაურ ქალაქის ექიმის მეუღლემ ქ-ნმა ო. დიმიტრიევისამ და სოფ. ბერჰოლცის ასულმა ხელის-მოწერა გამართეს და იმათის თავგამოდებულის მეცადინეობით მოკლე ხანში 700 მან. შეგროვდა. ამ ფულიდან 300 მანეთი გადაეცა უსტიანოვიჩის მიერ აღსაზრდელად აყვანილს შაგირდს. დანარჩენი 400 მანეთი

განზრახვა აქვსთ აქაურს ღარიბებს დაურიგონ, ანდა კასაში შეიტანონ და იმის პროცენტები ღარიბებსვე დაურიგონ ხოლმე დღესასწაულებში. დიდის მადლობის ღირსნი არიან ხსენებულნი ქალბატონნი ასეთის კეთილი საქმისათვის. მათის მეცადინეობის წყალობით, იმედია, არა ერთსა და ორს და გაჭირვებულს ქვრივ-ოხერს, ობოლს და უპატრონოს მოეწმინდება ცრემლი თუ სამუდამოდ არა, დროებით მაინც. იმედია, ადგილობრივი საზოგადოება ამ თანხას გაზრდის, რომ მისი სარგებელი უფრო ბევრს გაჭირვებულს გასწვდეს და დაედოს მალამოდ.

მახ. თოფურიძის გაძარცვის გამო. „ცნობის ფურცელში“, სადაც თავ. გ. შარვაშიძის მოურავის ბ-ნი მიხ. თოფურიძის გაძარცვის შესახებ წერილი გვქონდა, შეცდომით მოვიხსენიეთ, რომ გაძარცვის დროს ბ-ნს თოფურიძეს კასაში 10,000 მანეთი ჰქონდაო. როგორც ნამდვილად გავიგეთ მ. თოფურიძეს იმჟამად კასაში არაფერი ჰქონია და ჩვეულებაც არა აქვს თურმე ფული, თუ ათასობიცა აქვს, კასაში შეინახოს. როგორც შემოუვა ერთად, მაშინვე ტფილისში ჰგზავნის თურმე. ჭრილობა ბ-ნს თოფურიძეს საცაა, სულ მოურჩება და ზეზე წამოდგება კიდეცა. მისი გამძარცველები დღესაც ვერ უპოვნიათ. /გ. ბარკალაია/. (ცნობის ფურცელი, N688, 1898 წელი);

ოჩამჩირე. გემის დაღუპვა

20 ნოემბერს ბათომიდან გამოვიდა „რუსეთი“-ს, საზოგადოების გემი „პეტრე“ ოდესისაკენ. გემზე იყო 300-მდე მგზავრი. ფოთში „პეტრემ“ ღამე გაათია, მიიღო ბარგი გაუდგა გზას. როცა ნაშუადღების $2^1/_2$ საათზედ 21 ნოემბერს „პეტრე“ ოჩამჩირეს უახლოვდება, მის პირდაპირ გამოჩნდება რუსეთის ზღვაოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების გემი „ეკატერინა“, „პეტრე“ მისცურავდა ნაპირის მახლობლად და მარცხენა მხარეზე წითელი ფარანი ჰქონდა. ასეთივე ფარანი და იმავე მხარეზე ჰქონდა „ეკატერინესაც“, ასე რომ ორსავე გემს დადგენილ წესის მიხედვით მარჯვენა მხარე უნდა დაეჭირა. „პეტრემ“ რა შენიშნა პირდაპირ მომავალი გემი, რომ ის ნაპირზე არ მიეგდო, პირი იბრუნა შუა ზღვისაკენ და წითელ ფარნის მაგივრად აანთო მწვანე ფარანი, შემდეგ, ალბად დაჯახების შიშით ისევ წითელი ფარანი აანთო და უკან იბრუნა პირი. როგორც კი „ეკატერინას“ კაპიტანმა ეს მანევრი შეამჩნია და დაინახა, რომ შეჯახება აუცილებელი იყო, ასტეხა ხანგძლივი სტვენა და უბრძანა უკან-უკან დაეწიათ გემი სრულის სისწრაფით, მაგრამ ამან ვერ უშველა რა საქმეს, „პეტრე“ სწრაფად და საშინლად დაეჯახა „ეკატერინას“ ცხვირზე. როცა „პეტრემ“ უკან-უკან წევა დაიწყო, „ეკატერინა“ სწრაფად ჩასძირა წყალში. ყველა, ვინც გემის ბანზე იმყოფებოდა, დაიღუპა. ოთხი მატროსი დაიღუპა, გაისრისა, ერთი ქალი მოკლულ იქმნა, ერთი ქალიშვილი დაიკარგა უგზო უკვლოდ. დაიღუპა აგრეთვე ვარშავის ერთი სავაჭრო ფირმის აგენტი აზ. მ. ჟუკოვსკი, რომელიც ოდესიდან ბათომში მიდიოდა. „პეტრე“-ზე დაიღუპა ორი მატროსი, რომლებიც გემის ცხვირზე იყვნენ! „პეტრეს“ კაპიტანმა განაცხადა, გემების დაჯახების დროს მეძინაო; გადარჩენილი მგზავრები ოჩამჩირეში გადმოსხეს, ხოლო „ეკატერინას“ კომანდა „პეტრეზე“ გადაიყვანეს, რომელიც ბათომში წავიდა. „პეტრე“-ს შესამჩნევად დაუზიანდა ცხვირი. გემის ბანზე შეჰყარეს მრავალი ბარგი, რომელიც დაღუპულ გემის ცხვირში იმყოფებოდა. „ეკატერინესთან“ დაიღუპა 50,000 ფუთამდე ბარგი. დაშავებული მგზავრები გაგზავნილ იქმნენ ბათომის ქალაქის საავადმყოფოში. (ცნობის ფურცელი, N688, 1898 წელი);

დ. ოჩამჩირე. გემის დაღუპვა

გემი „ეკატერინე“ დაღუპულია ოჩამჩირესა და ფოთს შუა, სახელდობრ ს. გაგიდას პირდაპირ. ოჩამჩირედან 6-7 ვერსია. 26 ნოემბერს ოდესიდან მოვიდა პატარა ხომალდი (შკუნა)

დაღუპული გემის დასათვალიერებლად. ანძები კარგად მოჩანან, ხომალდში ყოფილა 50,000 ფუთი საქონელი, სახელდობ: 1,500 ბოჭკა ცემენტი, 3,600 ფუთი შაქარი, 500 ტომარა პურის ფქვილი, 7 ვაგონი რკინა და სხვა მანუფაქტურისა და შუშეულობის საქონელი. დამხრჩვალთა გვამი ჯერ-ჯერობით ზღვას არ გამოუგდია. დამხრჩვალნი, რომელნიც მოიკითხეს, შემდეგნი არიან: ერთი რუსის ქალი (ამოუთრევიათ წყლიდან, მაგრამ უკვე დამხრჩვალიყო), მეორე კიდევ რუსის გოგო 13 წლისა (იმის გვამი დაკარგულია), დედა და დაი, რომელნიც მასთან ყოფილან, გადარჩნენ; ერთი სომეხი, ერთი რუსეთელი ვაჭარი და სამი გემში მოსამსახურე ზღვაოსანი. გადარჩენილია 14 მგზავრი და დანარჩენი გემის მოსამსახურენი.

„პეტრე“-ზე სამი მოსამსახურე მოკლულია და 3 საზარლად დასახიჩრებულია. დამხრჩვალ მეზღვაურთა შორის, რომელთა გვამი დაკარგულია, ურევია ერთი ჩვენებური, გვარად ცინცაძე, რომელსაც ბოცმანის ხელობა სჭერია, მისი დაღუპვა უცნაურია: მას საწოლი ბინა ჰქონია გემის მარცხენა მხრით, მხოლოდ იმ ღამეს თავის მეგობარ ზღვაოსნის საწოლში დაწოლილა მარჯვენა მხრით. ამრიგად ის დაიღუპა, რადგან ხომალდი მარჯვენა მხრით დაეჯახა, ხოლო მის საწოლში მწოლარე მეზღვაური უვნებლად გადარჩა. გემ „პეტრეზე“ 328 მგზავრი ყოფილა, რომელნიც უვნებლად ოჩამჩირეში გადმოსხა და თვითონ ძალიან დაზიანებული ბათომში დაბრუნდა. /კ. გვასალია/. (ცნობის ფურცელი, N692, 1898 წელი);

სოხუმის საქალაქო სკოლის შენობის შეკეთება

როგორც ისმის, სოხუმის ოლქის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ სოხუმის საქალაქო სკოლის შენობის შესაკეთებლად, რომელიც ამ ჟამად დიდად დაზიანებულია, გადადებულ იქმნეს საჭირო კრედიტი და მუშაობა ამ შენობაზე დაწყებულ იქნეს ახლავე, ჯერ სანამ წვიმები არ დაწყებულა. (ცნობის ფურცელი, N693, 1898 წელი);

გუდაუთი (აფხაზეთი)

აქამდის აფხაზეთში იშვიათი იყო სკოლები, დღეს კი ყოველ სამრევლოში არის თითო სამრევლო სკოლა და აგრეთვე სამინისტროც. ხოლო ს. ლიხინოში-კი გარდა სამინისტრო და სამრევლო სკოლებისა, ორი საქალებო სასწავლებელიც არის. ლიხინის მაგალითს სურთ მიბაძონ სხვა სოფლებმაც, რომლებიც აპირობენ საკუთარი საქალებო სკოლების დაარსებას. ყველა სკოლები აქ აფხაზეთისთვის არის დაარსებული. დღემდე აფხაზებს ვერ შეეთვისებინათ სწავლა-განათლება, დღეს-კი უკანასკნელ ღონეს არ დაიშურებენ ამ კეთილს საქმისათვის. სხვათა შორის დ. გუდაუთში არსებობს ერთი ორკლასიანი სამრევლო სკოლა და ერთიც ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა, რომლის გადაკეთება უნდათ ორ-კლასიანად. მაგრამ ამ სკოლებს არ დაშჯერდებიან და ფიქრობენ დააარსონ ორი საქალებო სასწავლებელი ერთი სამინისტრო და მეორე სამრევლო-საეკლესიო. /გ. ბაღდავაშვილი/. (ცნობის ფურცელი, N706, 1898 წელი);

სოხუმის ეპისკოპოსის შუამდგომლობა

სოხუმის ეპარქიის ეპისკოპოსს, ყოვლად-სამღვდელო არსენის შუამდგომლობა აღუძრავს კავკასიის უმაღლესი მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ სახაზინო და საქალაქო ადგილ-

მამულიდან მიეცა სოხუმის ეპარქიის სამრევლო სკოლას ხუთ-ხუთი დესეტინა ადგილი. (ცნობის ფურცელი, N707, 1898 წელი);

აფხაზეთი. მცხოვრებთა გაჭირვება

ბევრი სამწუხარო ამბები ხდება ჩვენს კურთხეულ მხარეში, მაგრამ ყურადღებას კი არავინ აქცევს. თვით აფხაზთ შორის ძრიელ მცირეა ისეთ პირთა რიცხვი, რომლებიც ხალხს გამოექომაგონ. აი მაგალითად, - ამ რამდენისამე წლის წინათ სოფ. ბამბორაში ოცდა-ათიოდე გადმოსახლებული გლეხი დაასახლეს ბამბორის საზოგადოების მიწა-წყალზედ და იმას კი არავინ მიაქცია ყურადღება, რომ ეს ადგილი, რომელზედაც ახალშენები დაასახლეს, ერთად-ერთი ისეთი ადგილი იყო ბამბორელთათვის, სადაც აძოვებდნენ შინაურ პირუტყვებს და საიდანც სარგებლობდენ ხე-ტყით. მას შემდეგ, რაც ეს ადგილი წაართვეს, ხალხი დიდს გაჭირვებაში ჩაცვივდა და ორ წელიწადზე მეტია, რაც ყოველგვარ შევიწროვებას ითმენენ. ბამბორელნი შინაურ პირუტყვს ახლაც იმავე ადგილზე მიერეკება, რადგან მეტი გზა არსად აქვთ, ხოლო ახალი მეზობელი კი როგორც ნახავს აფხაზის ძროხას ანუ კამეჩს ამ ადგილში იჭერს და 5-6 მანათ ნაკლებ არ აძლევს აფხაზს. რა ქნას საწყალმა სოფლელმა? სად იშოვოს ყოველთვის ამდენი ფული, რომ გამოიხსნას თავისი პირუტყვი? ის ისევ იძულებულია ან ძალით ან მალვით დაიბრუნოს თავისი პირუტყვი, და ამის გამო ხშირათ ახალ ჩამოსახლებულთა და მკვიდრთა შორის შფოთი და აყალ-მაყალი ხდება. ამას წინათ ბამბორის მცხოვრებლებმა საერთო თხოვნით მიჰმართეს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს, რომელსაც განუმარტეს რა თავიანთი შევიწროვებული მდგომარეობა, სთხოვეს ჩვენი ადგილი ისევ ჩვენ დაგვიბრუნეთო, იმედ გაცრუებულმა სოფლელებმაც შინაურ პირუტყვებზედაც სრულიად აიღეს ხელი, რადგან საძოვარი ალაგი არ ეშოვებათ მახლობლად. სასურველია ყურადღებას მიაქცევდნენ ამ ამბავს, ვისიც ჯერ არს და შრომის მოყვარე მშვიდ ხალხს დაიხსნიდეს შევიწროვებულ მდგომარეობიდან. /Humanus/. (ცნობის ფურცელი, N713, 1898 წელი);

ს. დრანდა (აფხაზეთი). უსუფთაობა

ინდოეთში შავი ჭირის გაძლიერებამ ყველა გამოაფხიზლა და ქალაქებში და დაბებში ყოველგან სიწმინდეს აქცევენ განსაკუთრებულ ყურადღებას. მხოლოდ ჩვენს ს. დრანდაში ყველაფერი ხელს უწყობს სიბინძურეს და თუ ვინიცობაა შავი ჭირი დაინძრა თავის ადგილიდან, პირველად დრანდაში გაიკეთებს „რეზინდენციას“. აქ ყოველგან სიბინძურეა. სოფლელებს ვერას გზით ვერ შეუგნიათ, რომ საღორე და სხვა საქონლის ბინა თავის საცხოვრებელ ბინას უნდა მოაშორონ და ყოველ დღე ღამე სიმყრალე არ უნდა იყნოსონ. სახლების გარშემო რომ ტლაპო უდგათ, იქ საჭიროა ორიოდ სამიოდე ურემი ქვიშა დაჰყარონ და ტალახში დახრჩობას თავი დაახწიონ. სიბინძურეში სოფლელებს არც ზოგიერთი აქაური მედუქნეები დაუდებენ ცალს, განსაკუთრებით ერთი მედუქნეთაგანი ყასბობასაც ჩემულობს, მოჰყავს თუ სადმე მომაკვდავი პირუტყვი ნახა სოფელში და მუქთად ჩაიგდო ხელში და პირდაპირ დუქანთან, სადაც ბაზარია და ხალხი იყრის თავს, იქვე ჰკლავს პირუტყვს და იქვე ყრის შიგანს და ყველა სიბინძურეს, რისგანაც საზარელი სუნი დგება მთელს დაბაში. სასურველია ყველა ამას ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ ვისაც ჯერ არს, თავ-გასული მედუქნე ალაგმონ და მცხოვრებნი დაგვიფარონ ასეთი უწმინდურობისაგან. /დრანდელი/. (ცნობის ფურცელი, N713, 1898 წელი);

1898 წელი

ჟურნალი ,,მწყემსი''

***

სოხუმიდან საქართ. ექსარხოსს მაღალ-ყოვ. უსამღვდელოესს ფლაბიანესთან თხოვნა იქმნა გაგზავნილი იმის შესახებ, რომ ადგილობრივ საკათედრო ტაძარში ორ კვირაში ერთხელ წირვა-ლოცვა ქართულს ენაზედ სრულდებოდეს ხოლმე და ქართველ მრევლს მღვდელთ ქართულად გარდაუხადონ ხოლმე ყოველგვარი საეკკლესიო წესიო. /ც. ფ./ (მწყემსი, N11, 1898 წელი);

***

აფხაზები და მეგრელები მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას ძლიერ გულცივად ეკიდებიან და ამ სარწმუნოების პირველდაწყებითი ჭეშმარიტებანი მათში, თითქმის, არავინ იცის. ტაძრებში ძლიერ ძვირად დაიარებიან, გულით არ ეკიდებიან აღსარების და წმ. ზიარების საქმეს. 1895 წ., როგორც ჩანს აღსარებითი სიებიდან, 59,225 აბხაზთა და მეგრელთაგან სოხუმის ეპარქიაში, აღმოჩნდა 28,437 სული, რომელთაც არ უთქვამსთ აღსარება და არ ზიარებულან. გარდა ამისა აფხაზებს მართლ-მადიდებელ სარწმუნოებასთან შეერთებული აქვსთ სხვა და სხვა რწმენა-ჩვეულება არა მარტო თათრებისაგან გადმოღებული, არამედ კერპ-თაყვანის-მცემელთაგანაც, როგორც მაგალითად: პატივისცემა სამჭედლოსი, საღმრთო მუხებისა და მათ პატივსაცემლად მსხვერპლის შეწირვა და აგრეთვე მიცვალებულთა მოხსენება, რომელიც შესდგება მარტო დღესასწაულობისა და ტირილისაგან და ამ დროს საჭიროდ არ რაცხვენ რაიმე სარწმუნოებრივი წესების აღსრულებას. საიდუმლო ქორწინებას მართლ-მადიდებელნი აფხაზნი ძლიერ მოუფიქრებლად ეკიდებიან. ახალგაზდა ქალების მოტაცება ყმაწვილი კაცებისაგან და მათთან დაუქორწინებლად ცხოვრება (ხშირად ახლო ნათესავებში), ხშირი შემთხვევაა და ამ ჩვეულებას ძლიერ მტკიცედ აქვს ფესვი გადგმული აფხაზებში და ამ ცუდ ჩვეულებას ისინი ცოდვად არა თვლიან. აგრეთვე აფხაზებში დღესაც ძლიერ ხშირად სრულდება შურისძიება და ცხენის ქურდობა, რომელსაც აფხაზები დამნაშაობათ არც კი სთვლიან, პირიქით ცხენის ქურდობა კაი ბიჭობათ მიაჩნიათ, ხოლო შურისძიება საღმრთო მოვალეობას. (მწყემსი, N20, 1898 წელი);

1898 წელი

ჟურნალი ,,აკაკის თვიური კრებული''

აბრსკილ (ამირანი)
(აფხაზური ლეგენდა, ჩაწერილი ნიკ. ჯანაშიასაგან)

ძველ დროში აფხაზეთში ცხოვრებდა შვენიერი ქალი, სახელოვანი და მდიდარი ოჯახის ასული, რომელმაც პატარაობიდანვე მისცა აღთქმა ღმერთს, რომ ქალწულათ დავრჩებიო. მშობლებს ძლიერ გაუხარდათ, რომ მათმა ქალიშვილმა ღვთის მსახურებას და ვედრებას თავი შესწირა. რამოდენიმე წლის შემდეგ ეს ქალწული დაორსულდა. მშობლებს არ სწყენიათ ეს გარემოება, რადგანაც დარწმუნებული იყვენ, რომ მათი ქალი ზეგარდმო

ძალით იყო ორსულათ. ქალს ეშვა ვაჟი. ეს ვაჟი ძალიან ჩქარა იზრდებოდა. ათი წლის რომ გახდა, ნამდვილი ვაჟკაცი იყო სახითაც, ღონითაც, მამაცობითაც და გულადობითაც. ამ ვაჟს სახელათ დაარქვეს აბრსკილ. აბრსკილმა ჩქარა მოიპოვა სახელი მთელს აფხაზეთში თავისი გულადობით და ვაჟკაცობითა, ქვრივ-ობოლთ და დაჩაგრულთ მფარველობით. მისი დიდების ამბავი მთელ ქვეყანას მოეფინა და ვერც ერთი მტერი აფხაზეთისა აბრსკილის შიშით ვეღარ გაბედავდა აფხაზეთის მთა და გორი გადაელახა თავისი ფეხით. აბრსკილის დროს აფხაზეთის მტერთა მახვილნი თავისსავე ქარქაშებში იჟანგებოდა, ვერავინ ბედავდა აფხაზეთის წინააღმდეგ მათს მოხმარას. ამიტომაც ყოველი აფხაზი - დიდი თუ პატარა, ღარიბი თუ მდიდარი, ქალი თუ კაცი, თავადი, აზნაური თუ გლეხი აბრსკილთან დაახლოვებას, დანათესავებას ეძებდა, რათა მისი მტერთათვის შემზარავი სახელის დიდების ქვეშ მყუდროებაში ეცხოვრა! აბრსკილის დროს ტურფა აფხაზეთი მისი ძლიერებით მტრების შემოსევა-დარბევისაგან დაფარულ-დაცული ჰყვავოდა და სიგრძე-სიგანით იზრდებოდა.

მისსავე დროს აფხაზები შინაურ მავნე კაცთა და მცენარეთაგანაც იყვენ დაფარულნი და დაცულნი. გმირი სადაც წააწყდებოდა ქერა ჭრელ-თვალებიან კაცებს აღარ ტოვებდა ცოცხალს, რადგანაც ამათ შეეძლოთ თავისი ავი თვალებით ხალხის გაფუჭება (გათვალვა). ამავე აზრით გრძნეულებით შემოსილ გვარებს - აშვბა და ქაცვბას - არ აყენებდა დედამიწაზე; აგრეთვე არც ერთს კაცისათვის მავნე მცენარეს არ ტოვებდა. მაგალითად, არ ახარებდა გვიმრას. მისს დალოცვილ დროში ძროხა და კამეჩი დღეში სამჯერ იწველებოდენ, თხა-კი დღეში ოთხ-ხუთ ჯერ, რადგანაც ყველა მინდვრები შვენიერი მობიბინე ბალახით იყო შემკული და არა გვიმრითა და საქონელისთვის ურგები ბალახებით.

მისი სახელი მოეფინა მთელს დედამიწას (ადუნეთ). მძლავრი მტრებიც მასთან დაახლოვებას და კავშირის დაჭერას ცდილობდენ. ყველა სცემდა მას თაყვანს. ამით გმირმა აბრსკილმა თავისი თავი ღმერთის სწორათ მიიჩნია და ყოლიფერში ურჩობა დაუწყო მას. ღმერთი მას მიაჩნდა ტოლათ და ამხანაგათ და არა უფროსათ. ასე გასინჯეთ, ორ ხეს შუა გახლართულ ვაზის ქვეშ არ გაიარდა აბრსკილი, თუ თავდაუხრელათ მას ქვეშ შეუძლებელი იყო გასვლა. თავი რო დავხარო, იტყოდა გმირი, ღმერთს ეგონება თაყვანსა მცემსო! ამიტომ ამისთანა ვაზს, სადაც ნახავდა, ჩეხდა.

ბევრი ღონისძიება იხმარა ღმერთმა, რომ აბრსკილი გონზე მოეყვანა და თავისთვინ თაყვანი ეცემინებია, მაგრამ ამაოთ. მაშინ ურჩ გმირზე განრისხებულმა შემოქმედმა უბრძანა თავის ანგელოზთ დაეჭირათ აბრსკილი, შებოჭვილ-შეკოჭვილი ჩაეგდოთ ქვესკნელში და საშინლათ ეტანჯათ მანამ, სანამ გონს მოვიდოდა და ღმერთს თაყვანს არ სცემდა. ანგელოზებიც შეუდგენ ღვთის ბრძანების აღსრულებას. გაიგო თუ არა აბრსკილმა ეს, მაშინვე აირჩია ორი უშიშარი ბინა: ერთი მთა ერცახუს მწვერვალზე და მეორეც შავი ზღვის პირათ. ამ ალაგთაგან ერთ-ერთზე ისვენებდა თვითონ გმირი და თავის რაშსაც ასვენებდა, სანამ მისი დამჭირავი ანგელოზები მიუახლოვდებოდენ მას. მაშინ ის შესკუპდებოდა თავის ერთგულ რაშზე, რომელიც ერთი გადახტომით გაჩნდებოდა მეორე ბინაზე. აქ ისევე ისვენებდა ანგელოზების მოსვლამდის. როცა კი ეს უკანასკნელნი მიუახლოვდებოდნენ, ისევ ისე გაჩნდებოდა პირველ ადგილზე. *)

**) მეორე ვარიანტი: აბრსკილს ერთი ყავარჯენი ჰქონდაო, რომლის შემწეობით ერთი გადახტომით მთის მწვერვალიდან შავი ზღვის პირათ გაჩნდებოდა და აქედან მთის მწვერვალზეო. გრძნეულმა დედაბერმა (იხ. ქვემოთ) ანგელოზთ მისცა ერთი მატლი. რომელმაც გადაუხრა აბრსკილს ყავარჯენი (ალაბაშა). გმირმა ეს არ იცოდა, დაეყრდნო ალაბაშას და გადახტომა მოინდომა - ყავარჯენი შუაზე გადატყდა, აბრსკილ დაეცა და დაჭერილ იქმნა.*

დიდათ შეწუხებულმა ანგელოზებმა, რომ უფლის ბრძანება ვეღარ შეასრულეს, მიმართეს საშველათ ერთს გრძნეულს დედაბერს, რომლის რჩევითაც ერთ-ერთს აბრსკილის არჩეულ ადგილზე ქონ წაცხებული ხარის ტყავები დააფინეს. თვითონ ორ დასათ განიყვენ, ერთი ამ ტყავების ახლოს ტყეში მიიმალა, მეორე გუნდი კი გაექანა აბრსკილისაკენ. როცა პირველ გუნდისაგან შეშინებულმა აბრსკილმა გაახტუნა თავისი რაში და დასკუპდა გაქონილ ხარის ტყავზე - რაშს ფეხი წასცდა, დაეცა და დასცა თავისი მხედარიც. მაშინვე ანგელოზნი მოცვინდენ და აბრსკილ შეკოჭეს; შეკოჭეს გმირი, რომლის მზგავსი ცასქვეშეთს არ მოვლენია.

დიდმა მწუხარებამ მოიცვა მთელი აფხაზეთი თავის საყვარელი და მისი კეთილდღეობის ერთგული დარაჯის დაჭერის გამო; დიდათ დაღონდა, მაგრამ რას იზამდა! თავისს მწუხარება-ვარამს მჩქეფარე ცრემლებში-ღა ადნობდა, მარტო ტირილში-ღა იშვებდა ცოტას მაინც. ტიროდა ყველა, ტიროდა და ცხვირ-პირს იხოცდა, იკაწრავდა და მოსთქვამდა: „ვინ გაუწევს საწყალს აფხაზეთს აბრსკილობას და ვინ დაიცავს გამხეცებულ მტერთაგანო.“ რა ღონისძიება არ იხმარეს აბრსკილის გამოსახსნელათ, მაგრამ ამაოთ! ღმერთს წინ ვინ აღუდგებოდა! ყველა იყო დამწუხრებული აბრსკილს დაჭერით, გარდა აშვბა და ქაცვბასი და ქერა ცისფერ თვალებიან კაცებისა. მთელი ბუნება ტიროდა გმირის დაკარგვას, გარდა გვიმრისა და მავნე მცენარეთა!

ანგელოზებმა, იმავე დედაბერის რჩევით, რაში დაამწყნდიეს ძალიან ღრმა მღვიმეში. ამ მღვიმეში უშველებელი რკინის პალო ჩაარჭვეს მიწაში, რომელზედაც აფხაზეთის გმირია ვეება ჯაჭვებით მიბმული. აქვე მის გვერდით გდია დიდი ურო (ჩაქუჩი). ამ მღვიმეშივეა დაბმული აბრსკილის რაში, რომელსაც ღვთისაგან საჭმელათ მიჩნეული აქვს ფოლადი. უფალმა აბრსკილს მცველათ მიუყენა ერთი პატარა ჩიტი - „ადარგანწუხვა“ *)

**) ადარგანწუხვა პატარა მოტიალო ნაცრის ფერი ჩიტია. ეს ჩიტი როცა დედამიწაზე დადის სულ მუდამ კუდს აქნევს. ეს ვარიანტი იმერეთშიაც არის და ამ ჩიტს ჰქვია ბოლოქანქარა (მაბზაკუნა).*

როცა დასჯილი გმირი იმოდენათ დაასუსტებს პალოს, რომ ერთი-ღა ამოწევაა საჭირო, რომ პალო მიწიდან ამოაგდოს, მაშინ ეს ჩიტი პალოს თავზე დააფრინდება და ძალზე დაღლილ გმირს გული მოუდის ხოლმე და რაც ძალი და ღონე აქვს - უფროს ჩიტს მოუქნევს, მოვკლავო; ჩიტი თვალ-და ხელ-შუა გაძვრება. ურო-კი ეცემა პალოს, რომელიც ისევე ჩაერჭობა მძლავრათ მიწაში. ასე და ამ რიგათ დღესაც იტანჯება აბრსკილ იმ მღვიმეში. **)

***) მეორე ვარიანტი: ღმერთმა ამ მღვიმეში აბრსკილის თვალ-ყურის გდება უბრძანა იმავე დედაბერს, რომელსაც ამასთანავე უბრძანა გმირისთვის არ ეჭმია საჭმელი, სანამ ის არ შეინანიებდა თავის დანაშაულს და ღმერთს შენდობას არ თხოვდა. ბებერს შეეცოდა აბრსკილი, ღვთის ბრძანება გასტეხა და საჭმელი აჭამა გმირს, რისთვისაც უფალმან ლეკვათ გადააქცია. აბრსკილს პალო რაშის ტკვეროს გამო როცა გადაიქცევა ძაფის ოდენათ და მისი გადატეხა შესაძლებელ იქნება, ამ დროს ეს ლეკვი საჭმელს ჭამს (მინამდე აღკრძალული აქვს ჭამა) და გამოძღება თუ არა, პალო ისევ უწინელის სიმსხოთ იქცევა. გმირსაც ეკარგება იმედი ახლო განთავისუფლებისა.*

აბრსკილს დღეს თავისი პირადი მწუხარება ისე არ აწუხებს, როგორ უბედური მდგომარეობა აფხაზეთისა.

ერთხელ აბრსკილის პატივისმცემელნი წავიდენ მის დასახსნელათ. თან წაასხეს თორმეტი ვირი, სანთლებით დატვირთული, რომლითაც მღვიმეში გზას ინათებდენ. ამ სანთლების შემწეობით ეს თავდადებულნი აფხაზნი იმდენათ მიუახლოვდენ, რომ მისი ხმა ესმოდათ. ამ დროს სანთლებიც შემოელიათ. თავისი გარემოება აბრსკილს შესჩივლეს. მან აუხსნა

აფხაზთ, რომ მასთან მისვლა ყოვლათ შეუძლებელიაო, რადგანაც, ღვთის ბრძანებით, იმდენათ გშორდებით, რამდენათაც თქვენ მიახლოვდებითო; ამიტომ ურჩია შინ დაბრუნებულნიყვენ. „ჩვენ სანთლები არა გვაქვს, როგორ და რითი დავბრუნდეთ უკანო? გზას ვეღარ გავიკვლევთო!“ შესჩივლეს. მაშინ აბრსკილმა ურჩია, ვირები დაებრუნებიათ უკან და მათ გაჰყოლოდენ.

გმირს გულმა არ მოუთმინა და გამოჰკითხა მათ მდგომარობა აფხაზეთისა. ჰკითხა: „ისევ გამრავლდენ აშვბა და ქაცვბა, ქერა ცისფერ-თვალებიანი ადამიანნი? გვიმრა მავნე და უსარგებლო ბალახები ისევ გამრავლდენ და არ აძლევენ სასარგებლო მცენარეს ზრდასო? ისევ დღეში სამ ჯერ იწველება ძროხა და კამეჩიო და თხა ოთხ-ხუთჯერო? გარეშე მტერი ისევ აწუხებს აფხაზეთს, როგორც ჩემს დაბადებამდის აწუხებდაო?“ როცა აფხაზთა აწინდელი უნუგეშო მდგომარეობა აფხაზეთის უამბეს აბრსკილს, მან მწარეთ წამოიძახა: „ნუ მეტყვით ჩემის საყვარელი აფხაზეთის შესახებ მეტსო! აღარ შემიძლია მეტის მოსმენა და ატანაო!“ გმირმა საუკუნოთ თავი დაღუნა და მწუხარებას მიეცა, რომ მას შველა აფხაზეთისათვის არ შეეძლო. ვირებმა ეს აფხაზნი მშვიდობით გამოიყვანეს სინათლეში. (აკაკის თვიური კრებული, N5, 1898 წელი);

1899 წელი

გაზეთი ,,ივერია''

***

გაზ. „ახ. მიმ.“-ს სწერენ სოხუმიდგან: როგორც პეტერბურგიდან იუწყებიან, სოხუმის ეპისკოპოსი გადაჰყავთ ქ. ტულაში, ხოლო იმის ადგილას სოხუმის ეპისკოპოსად ჰნიშნავენ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად ნამყოფს, მოსკოვის სინოდის კანტორის წევრს ყოვლად სამღვდელო გრიგოლის. (ივერია, N6, 1899 წელი);

სასამართლოს მატიანე
მარიამ ჩაჩავას საქმე

19 იანვარს ქუთაისის ოლქის სასამართლომ სააპელაციო წესით განიხილა ორი საქმე, რომლითაც დ. ოჩამჩირეს მცხოვრებელს მილიციის პრაპორშჩიკის ცოლს მარიამ ჩაჩავას ჰბრალდება ქაღალდით ცილის წამება სპირიდონ ნარაკიძესი და ვაჭრის ფარნა დავითაიასი. ამ საქმის გარემოება შემდეგია: წარსულის წლის 24 იანვარს და 17 თებერვალს მარიამ ჩაჩავამ სუხუმის ეპისკოპოსს და სუხუმის ეპარქიის საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებლის მეთვალყურეს მიართვა განცხადებანი, რომელშიაც ეპისკოპოსის სახელობაზედ უჩიოდა სპირიდონ ნარაკიძესა და ფარნა დავითაიას, რომ ეს არა კეთილ საიმედო კაცნი უპატიურებას მაყენებენ, თავიანთი თავი „ნამდვილ ქართველებად მიაჩნიათ, რომელთაც უნდა გაანათლონ ყველანი კანონით აღკრძალულის საშუალებანით. წინააღმდეგობას უწევენ სამსახურის კაცთა ყოველს დაწყობილებას და კანონის მიერ აღკრძალულს საქმეს ჰქადაგებენო. იმათთან ერთად ჰმოქმედებს ადგილობრივი მღვდელი მ. კერესელიძე“. ყოველივე ეს მთავრობას ვაცნობე, მაგრამ ეხლა შევიტყე, რომ ამ სამთ ახალი „საზიზღარი'' საქმე ჩაუდენიათ. ეს საქმე ის არის, რომ როცა 1897 წლის შემოდგომაზედ გემით ბათუმს წავედი, თურმე ფარნა დავითაიამ უთხრა მ. კერესელიძეს: „მამაო, წავიდა (ჩაჩავა), უნდა

აიაზმა ასხუროთ შებილწულს წყალის ნაპირსაო“. მარიამ ჩაჩავა სთხოვდა ეპისკოპოსს, დამიხსენით მ. კერესელიძის დევნისაგანო. მეორე განცხადებაში, რომელიც სასულიერო გამომძიებლის მ. იასტრებოვის სახელობაზეა დაწერილი, მარიამ ჩაჩავა სწერს, რომ მ. კერესელიძე სრულიად ყურს არ უგდებს თავისს სასულიერო საქმეს: იმისს მრევლში ხატი არავისა აქვს, ჯვარი ყელზედ არავის მოეძევება; მ. კერესელიძე არ ასრულებს ყოვლად უსამღვდელოესის იმ განკარგულებას, რომ რუსულადა სწირე ეკლესიაშიო, პარაკლისის დროს მუხლ-მოდრეკით ლოცვას არა ჰკითხულობს; ყოველ ამის ნაცვლად იგი დამეგობრებია არა კეთილ-საიმედო და ყოველის რუსულის მოწინააღმდეგე ვაჭარს დავითაიასა და ნარაკიძეს და როდესაც ნარაკიძემ მკრეხელობა ჩაიდითა იმითი, რომ ეკლესიას შეაფურთხა, მ. კერესელიძემ ეს საქმე ჩააფუჩეჩა გამომძიებლის წერეთლისა და პოლკოვნიკის ქორქაშვილის დახმარებითაო.

ეს განცხადებანი მარიამ ჩაჩავასი გახდა იმის მიზეზად, რომ გამოძიება იქმნა ხელ-ახლად დაწყებული ნარაკიძეს წინააღმდეგ მკრეხელობის გამო და მ. კერესელიძის საქმის გამოძიებაც დანიშნეს. ქ-ნ ჩაჩავას ბრალდებანი მტკნარი სიცრუე აღმოჩნდა, ასე რომ ნაკარიძეს წინააღმდეგ აღძრული საქმე მოსპო ქუთაისის ოლქის სასამართლომ, ხოლო მ. კერესელიძე სამსახურში აღმატებულ იქმნა კიდევ - იგი დ. ოჩამჩირედგან ქ. ქუთაისში გადაიყვანეს. სპირიდონ ნარაკიძემა და ფარნა დავითაიამ კი უჩივლეს მარიამ ჩაჩავას, ცილი დაგვწამაო. საქმეში წარდგენილი იყო ოქმი იმ ჩვენებისა, რომელიც მ. კერესელიძისათვის ჩამოერთმევინათ მკრეხელობის საქმის შესახებ. ამ ოქმიდგანა სჩანს, რომ კოდორის ნაწილის უფროსი ჩეჩელევი ძალას ატანდა თურმე მ. კერესელიძეს, ნარაკიძე სამართალში მიეცი მკრეხელობისათვისაო, მაგრამ მ. კერესელიძე არ დასთანხმდა, რადგან მთელი ეს ბრალდება განგებ შეთხზულად მიიჩნია. ამის გამო ჩეჩელევმა დაუყვირა თურმე: „თქვენ ქართველი ხართ და გინდათ მიაჩუმოთ ეს საქმე, მაგრამ ვნახოთ, ვინ ვის შეაჯდება ზურგზედ - ქართველი რუსს, თუ რუსი ქართველსაო“. საქართველოში მარიამ ჩაჩავას იცავდა ნაფიცი ვექილი რ. იურკევიჩი. ბრალმდებელთაგან მარტო სპირიდონ ნარაკიძე გამოცხადდა. ქუთაისის ოლქის სასამართლომ აზნაური ქალი მარიამ ჩაჩავა დამნაშავედ იცნო, რომ ნარაკიძესა და დავითაიასათვის ცილი უწამებიაო, და შვიდის დღით სახლში დაპატიმრება მიუსაჯა. („ახ. მიმ.“), (ივერია, N17, 1899 წელი);

წერილი სოხუმიდგან
17 იანვარი

გასული წელიწადი ჩვენთვის, სოხუმის ოლქის მცხოვრებთათვის, შესანიშნავია იმითი, რომ ამ წელს ჩვენის ცხოვრების ერთი უსაშინლესი სენთაგანი - ქურდობა-ავაზაკობა შემცირებული, ჯერ ხანობით თითქმის აღმოფხვრილ იქმნა. ამ წელიწადმა ნათლად დაგვანახვა, რომ თუ გულ-მოდგინედ მოეკიდა ადგილობრივი პოლიცია ავაზაკ-ქურდების ალაგმვას, მათის საზოგადოების ბედნიერების შემასუსტებელ მოქმედების შეჩერება ადვილად შესაძლებელი ყოფილა.

ასე თუ ისე, აფხაზეთის მკვიდრთ ერთის წლით არის მაინც შეისვენეს და ბოროტ კაცების უშიშრად ტკბილ ცხოვრებას მიეცნენ: დღეს აქაური მკვიდრი თავისუფლად და მოსვენებით არის; მისი შიში და ფიქრი არა აქვს, რომ აი საცაა ჩემი ერთად-ერთი მარჩენალ საქონელს წაართმევს ქურდიო და სხ. საწყალმა პირუტყვმაც ცოტად მოისვენა: უწინ კუდში დასდევდა პატრონი და ეხლა-კი თავისუფლად დანავარდობს მშვენიერს აფხაზეთის ტყეებში. უწინ შეღამდებოდა თუ არა, პირუტყვს შეაგდებდენ ბოსელში და საწყალ პატრონსაც ბოსლის კარების წინ მთელი ღამე ატუზებული უნდა გაეთენებინა, თუ არ უნდოდა თავისს

მარჩენალ საქონელს საუკუნოდ მოჰშორებოდა. ვისაც ეს არ შეეძლო, ვაი იმისს დღეს: ყოველ ცისმარე დღეს სოფლებში ატყდებოდა ერთი ვაი უშველებელი, ყვირილ-ჩხავილი ქვრივ-ობოლთა, მათი კრულვა-წყევლით ჰაერი ივსებოდა. იმათი პატრონი და მშველელი არავინ იყო: სასოფლო პოლიცია იმათ არავითარ ყურადღებას არ აძლევდა; არც სხვას ვისმეს ეცალა იმათთვის. პირ-იქით, კაკარდოსნები უწყრებოდნენ საქონლის პატრონთ: რატომ არ მომწყემსეთო. მოვიყვან ერთს მაგალითს: ერთს საწყალს გლეხს ერთად-ერთი მისი მარჩენალი ძროხა მოჰპარეს; მიჰმართა ბოქაულს და რა გამოტანა? ბოქაულმა დაამწყვდია: რად მოგპარეს, ან მე რად მომმართეო? დღეს კი ქურდობისა არა ისმის რა და ყოველი აფხაზი, ქურდ-ბაცაცების გარდა, რასაკვირველია, ბედის ლოცვაშია. ამის მიზეზად კი დასავლეთ აფხაზეთში უნდა ჩაითვალოს გუდაუთის ნაწილის ყოფილი უფროსი ბ-ნი ბესარიონ ჩიქოვანი, რომელმაც არა დაიშურა რა ქურდებისა და ავაზაკების ასალაგმავად და კინაღამ თავისი თავიც შესწირა ამ საქმეს. მკითხველმა უკვე უწყის, რომ ბ-ნი ჩიქოვანი გასულ ზაფხულში ვიღაც ბოროტ-მოქმედისაგან მძიმედ დაჭრილი იქმნა. მეორე არა ნაკლებ მხნეობის მქონე და საშინელი მტერი ქურდ-ბაცაცებისა გახლავთ სამურზაყანოს დროებით მმართველი ბ-ნი ლისოვსკი, რომელმაც მოსვლისთანავე სამურზაყანოში ქურდობა მოსპო და ეხლა ხალხს ნელ-ნელა აჩვევს საზოგადო, საერთო მუშაობას, მაგალითად, გზების გაყვანას და სხვა. ვისურვოთ, მკითხველო, რომ ეს მყუდროება არ დარღვეულიყოს აფხაზეთში და ხალხს მიეცეს საშუალება, უშიშრად, გულ-დადებით, დარწმუნებით, რომ მისი დღევანდელი ნაამაგარი ხვალ სხვის ქონების მტაცებლების საკუთრება, უკანონო საკუთრება არ გახდება, თავისის საქმეების კეთებისა! /ჰამუთ-ბეი/. (ივერია, N23, 1899 წელი);

წერილი აფხაზეთიდგან

სამი წელიწადი გადის, რომ ქურდობა მისწყდა ამ ჩვენს მხარეში და ხალხიც და პოლიციაც დაწყნარებული იყო. ეხლა-კი, როგორც ეტყობა, ისევ გათამამდნენ ქურდები და ცოტა-ცოტათ ისევ მიჰყვეს ხელი ქურდობას. აგერ ერთ თვეზედ მეტია, რაც სოფ. ჯგერდის მღვდელს მამა ჩხაიძეს ბოსლიდგან ღამე ერთი კარგი ცხენი მოჰპარეს; მას აქეთ ყოველ დღე ემუდარება მღვდელი ადგილობრივ პოლიციას, მიშველეთ რამე, ძალა დაატანეთ სოფლის შენიშნულს ქურდებს, რომ ჩემი ცხენი მომიყვანონ, მაგრამ ჯერჯერობით მღვდლის თხოვნა დაუკმაყოფილებელი არის და არც ქურდებს დაეძებენ. ამ მაგალითით წათამამებულმა წვრილმა ქურდებმაც წამოჰყვეს თავი: ამ დღეებში სოფ. ბაბუშარაში ერთ გლეხს ძროხა მოჰპარეს და მეორეს ღვინით სავსე ქვევრი მიწიდგან ამოუთხარეს და წაიღეს. ძროხისა და ღვინის ქურდი აღმოაჩინეს, მაგრამ რაღაც გამოურკვეველ მიზეზებისა გამო ადგილობრივმა სოფლის მოხელემ არავითარი ღონისძიება არ მიიღო ამ ქურდის პასუხის-გებაში მისაცემად. მოხდა ქურდობა კიდევ სოფელ დრანდაში, სადაც წინადაც ბევრჯერ თურმე ეკარგებოდათ შინაური ფრინველები, მაგრამ, დარწმუნებულნი იყვნენ რა დრანდის ახალშენელები, რომ ეს ქურდობა ჩაიდინა აქაურა მკვიდრმაო, თავიანთ შორის ქურდს აღარ ეძებდნენ და „ტუზემეცს“ აბრალებდნენ ამ ყველაფერს. ამ შემთხვევაში-კი სოფ. ჩერნიგოვსკის მცხოვრები ივანე მანისტოვი აღმოჩნდა ქურდი, რომელმაც ხუთი ქათამი მოჰპარა დრანდაშივე დროებით მცხოვრებს ბ-ნ უედინოვს და მიჰყიდა დრანდის მოვაჭრეებს. მეორე დღესვე დაიწყეს ძებნა ქურდისა და ქათმებისა. ივანე მანისტოვმა აღიარა თავი დამნაშავედ; არყის ფული შემომაკლდა და იმისთვის მოვიპარეო. ქურდი შესაფერის ოქმით წარუდგინეს სადაც ჯერ არს. დრანდაში ამ ჟამად თექვსმეტიოდე ვაჭარი და სხვა-და-სხვა ხელოსანია; ხალხიც ბლომად იყრის აქ თავს, მეტადრე სამიკიტნოებში, რომელთა რიცხვი ოთხი ხუთია, ასე რომ, ეს ალაგი უფრო დაბას მოგაგონებთ, ვიდრე სოფელს. როგორც მოგახსენეთ, სამიკიტნოების რიცხვი საკმაოა, მაგრამ არავითარი სანიტარული წეს-რიგი აქ არ არსებობს. საკვირველია ღმერთმანი, ქალაქებში დიდს ყურადღებას აქცევენ სიწმინდეს,

აარსებენ სასანიტარო კომისიებს და სასტიკად სდევნიან სიბინძურეს; ჩვენ რა დავაშავეთ, რომ ყურადღებას არავინ გვაქცევს?!. /„აბსუა“/. (ივერია, N29, 1899 წელი);

***

სოხუმიდგან სწერენ „ახ. მიმ.“-ს, რომ 5 თებერვალს აქ ჩამოვიდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ მაიორი სამოილოვი სოხუმის საოლქო სამმართველოს სარევიზიოდ. (ივერია, N34, 1899 წელი);

წერილი დ. გუდაუთიდგან
5 თებერვალი

ჩვენმა გუდაუთმა აგერ მეორე წელიწადი სრულდება, რაც თავისა უფლება „სლობოდკის“ სახელწოდებისა დაჰკარგა: უმაღლესმა მთავრობამ განგვიმარტა, რომ, რადგანაც დაბანი გუდაუთი და ოჩამჩირე ჯარების შტაბების ახლოს არ არიანო, არ აქვთ უფლება სლობოდკად იწოდონო და მისის (სლობოდკის) უფლებებით ისარგებლონო. დღეს ჩვენი გუდაუთი არც სლობოდკაა, არცა პოსადი, და ჩვენც არ ვიცით, რა ვუწოდოთ. გუდაუთელებმა არა ერთხელ და ორჯელ მიჰმართეს უმაღლესს მთავრობას თხოვნით - გუდაუთი პოსადად დაგვიმტკიცეთო. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერაც ვერ ვეღირსენით ამისს პასუხსა და ეს გარემოება-კი ჩვენის დაბის წარმატებას და წინ წაწევას აფერხებს და აბრკოლებს; საქმე ის არის, რომ გუდაუთს უმაღლესად ნაბოძები აქვს 800 დესეტინა მიწა, რომლითაც დაბა ვეღარ სარგებლობს საჭიროებისამებრ: სლობოდკის უფლებების მოსპობისათანავე გუდაუთს მოესპო უფლება მისცეს მსურველთ სამოსახლო მიწები ღირებულ ფასად. ამ განკარგულებით ის ზრდა-განვითარება შეფერხებულია. ჩვენს დაბას თავისს მშვენიერ ადგილ-მდებარეობის გამო ბევრი ეტანება დასასახლებლად: ჯერ-ჯერობით 300 თხოვნაზედ მეტია შეტანილი, სადაც ჯერ არს, მოგვყიდეთ სამოსახლო მიწის ნაჭრებიო; მთხოვნელთა უმრავლესობა შეძლებული და ცხოვრების ასპარეზზე წინ წასულია, რომელნიც უეჭველია, რაიმე წარმატებას დაატყობდნენ ჩვენს დაბასა. სასურველია, რომ მთავრობა ჩვენს თხოვნას შეიწყნარებდეს და ამით არ შეუშლიდეს ბუნებრივ ზრდას ჩვენის დაბისას ხელს. მეორე არა ნაკლებ საჭირ-ბოროტო საგანი როგორც ჩვენი დაბის მკვიდრთათვის, აგრეთვე მთელის ნაწილის (გუდაუთის) მცხოვრებთათვის მომრიგებელ სასამართლოს ახლოს უქონლობაა, რომლის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა „ივერიაში“ ლაპარაკი. დღეს ჩვენის მხრის მკვიდრთათვის თითქმის არ არსებობს ქვეყანაზედ მომრიგებელი სასამართლო, რადგანაც მისი სიშორე შეუძლებელადა ჰხდის ჩვენთვის საჭიროების დროს მას მივმართოთ: აბა, მიბრძანეთ, როგორ ვისარგებლოთ იმ დაწესებულებით, რომელიც, სულ მცირე რომ ვთქვათ, 40-60 ვერსიით დაშორებულია ჩვენზედ? ამას ისიც დაუმატეთ, რომ ჩვენ და სოხუმის მომრიგებელ სასამართლოს არ გვაერთებს რაიმე სახეირო გზა! ამიტომაცაა, რომ აქაური მკვიდრი რჩეობს ისევ მკლავის ძალას მიჰმართოს საჭიროების დროს, ვიდრე „სუდს“. ამ საჭიროების შესახებ აქაურ მკვიდრთ არა ერთხელ მიჰმართეს შუამდგომლობით, სადაც ჯერ იყო, მაგრამ აქამდის არაფერი არ გამოვიდა. ეხლა-კი, ვგონებთ, მთავრობამ შეიწყნაროს ეს ჩვენი კანონიერი თხოვნა და გუდაუთში დაგვიარსოს მომრიგებელი სასამართლო: ჩვენის თხოვნის გამო ადგილობრივს მთავრობას დაეკითხნენ თავისს აზრს ამის შესახებ. მთავრობამაც ჩვენდა სასარგებლოდ სიმართლე აღიარა: „აუცილებლად საჭიროა“. ვნახოთ, თუ ბედმა გაგვიღიმა!

მესამე ჩვენი არსებითი საჭიროება, ვგონებთ, ადრე დაგვიკმაყოფილონ. როგორც მკითხველს მოეხსენება, გუდაუთის ნაწილში, სადაც 25 ათასს აღემატება მცხოვრებთა რიცხვი, არც ერთი ექიმი არ მოგვეპოვება, რის გამოც საჭიროების დროს იძულებულნი ვართ ისევ ძველებურ,

მამა-პაპაეულ მკითხავ-ქადაგთ მივმართოთ! აგერ ათი წელიწადია მთავრობას ვეხვეწებით, ვემუდარებით თითქმის ყოველ წელიწადს, ექიმი გამოგვიგზავნეთო, და ეხლა, როგორც ამბობენ, თხოვნა გვისრულდება: აქ ამბავი მოვიდა ქუთაისიდგან, რომ გადაწყვეტილია სოფელ დრანდიდგან ამ მოკლე ხანში დ. გუდაუთაში გადმოიტანონ სასოფლო ქსენონიო. ღმერთმა ჰქმნას! მხოლოდ ეს კია, რომ შოთას სიტყვები გვისრულდება: „ღმერთმა ერთი რად აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოსო?!“ ჩვენისთანა, შეიძლება უფროც გაჭირვებულ ხალხს ართმევენ და ჩვენ გვაძლევენ... მაგრამ, ნათქვამია, „ჯერ თავო და თავო და მერე ცოლო და შვილოვო“, ჩვენც აღტაცებით მოველით ქსენონს!

როგორც უკვე მოგეხსენებათ „ივერიის“ მკითხველებს, გუდაუთის ნაწილის უფროსად დაგვინიშნეს ბ-ნი დ. გ. ელიავა, მხნე, ძალ-ღონით აღსავსე და ხალხის მოსიყვარულე კაცი. აქაურ მკვიდრთ იმედი აქვთ, რომ ბ-ნი ელიავა თავისს ძალ-ღონეს, თავისს დაუღალავ მხნეობას ჩვენის დაჩაგრულის მხრის წარმატებასა და აღყვავების გზაზედ დაყენებას მოახმარებს. ჯერჯერობით ამისს სრულს იმედს გვაძლევს ბ-ნი ელიავა: უფრო გულდადებით და სიყვარულით ეკიდება სკოლების მოწყობა - გამრავლებასა, გზების გაყვანას, შინაურ საქმეების მოწყობასა, ხალხის დამშვიდება-დაშოშმინებასა და სხვათა. ვუსურვებთ სულითა და გულით წარმატებასა და გამარჯვებას ამ გზაზედ. დასასრულ, ორიოდე სიტყვა გუდაუთის ახალ „სტაროსტის“ და დეპუტატების შესახებ. როგორცა სჩანს ჩვენი ახალი „მთავრობა“ დაბის საქმეებს უფრო ენერგიითა და სიყვარულით ეკიდება: გუდაუთის მოშენებასა და მოლამაზებას. მართალია, ჩვენი დაბა დიდის არაფრის შემძლეა, მაგრამ რისიც შემძლეა, იმის სასარგებლოდ მოხმარებას შნო და ცოდნა უნდა და ამ მხრივაც, ვგონებ, ბედი გვიღიმის! /ჰამუთ-ბეი/. (ივერია, N35, 1899 წელი);

***

სოხუმიდგან ატყობინებენ ადგილობრივ გაზეთებს, რომ სოხუმის პოლიცმეისტერი კოტლიაროვი და ბოქაული ზავოროტნი დათხოვნილ იქმნენ თანამდებობიდგანო. (ივერია, N46, 1899 წელი);

ს. დრანდა (აფხაზეთი)

პირველ თებერვლიდან შაფის ეკკლესიის მღვდელი მამა დ. ხუციევი სადღაც გაემგზავრა და ოჯახობას და ნაცნობებს უთხრა, რომ ხუთი დღის ვადით მივდივარ სამსახურის გამო და მეექვსეზედ დავბრუნდებიო. აგერ სამ კვირაზედ მეტია მას შემდეგ, მაგრამ მღვდელი არა სჩანს და არც რამ ცნობა არის მის შესახებ. როგორც მრევლი, აგრეთვე მღვდლის ოჯახი საგონებელში არიან ჩავარდნილნი და არ იციან, სად ეძიონ მღვდელი და როგორ მოიქცნენ. (ივერია, N48, 1899 წელი);

წერილი სამურზაყანოდგან

თებერვლის სუსხმა ამინდმა ათას გვარი სნეულება გააჩინა ჩვენში. უბედურება ამასთანავე ის არის, რომ ავადმყოფობასთან საბრძოლველად სრულიად მოუმზადებელია ეს მხარე; რაც თავი და თავია - არც ექიმი გვყავს და არც წამალი იშოვება. ამ მხრივ მთლად უყურადღებოდ არის მთელი სამურზაყანო და კოდორის განყოფილება. ამ ორ განყოფილებაში, სადაც მცხოვრებთა რიცხვი 80,000 სულია და რომლის სივრცე 1600 ოთხ-კუთხი ვერსი იქნება, ერთად-ერთი ექიმია, მასთან, სამწუხაროდ, კაცი ფრიად სნეული რომელსაც ცხენით სიარული ეძნელება და მით უფრო ქვეითად. ამასთანავე ის სახელმწიფო სამსახურს უნდება და ძალაც რომ შესწევდეს, მაინც მოუცლელია გარეშე ავადმყოფთათვის. აგრეთვე არის

ორი ფერშალი და ერთი ვითომ და აფთიაქი. აი ეს არის და ეს. ამით თავდება სამკურნალო დაწესებულება სამურზაყანოსა და კოდორის განყოფილებისა. ბევრჯერ გამიგონია, რომ ფერშალმა 7-10 ვერსის მანძილზე წასვლის ქირად ავადმყოფისაგან 25 მანეთი აიღოვო, როდესაც გაკვირვებით მიკითხავს: კარგი, ვთქვათ, ფერშალმა თავისი იკადრა, მაგრამ ავადმყოფის პატრონმა რისთვის ჩაუთვალა ეს ფულები მეთქი, უპასუხნიათ - „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოვო“.

ამას წინად ოჩამჩირეში ერთი ახალგაზდა შეძლებული კაცი გახდა ავად. პირველად თურმე სუყველანი კარზე ფეხს იმტვრევდნენ, მაგრამ მალე უკლეს სიარულს და ბოლოს მთლად დაანებეს თავი. როდესაც შევხვდი ფერშალს და ვკითხე, - ეხლა რად არ დადიხართ ავადმყოფთან - მეთქი, მიპასუხა: ხელად ფულს არ იძლევიან და ისე ეშმაკის მუშა არ გახლავარო. საქმე გაჭირდა და სოხუმიდგან მოიწვიეს ექიმი ბ-ნი დ-ვი. ავადმყოფი გასინჯა ექიმმა, დაათვალიერა წამლების შუშები და ასე უთხრა იქ დამსწრეთ თურმე: თქვენ ღვთის ანაბარად ყოფილხართ დატოვებული, ეხვეწეთ ღმერთს, გაკმაროთ ამდენი ტანჯვაო. ავადმყოფს წამლები მიუღია, მაგრამ როგორ გავიგო, რა წამალი მიიღო, როდესაც შუშებს წარწერა არა აქვსო. ამბობენ, რომ ოჩამჩირეში ჩქარა დაარსდება ავადმყოფთა თავშესაფარიო. ღმერთმა ინებოს! /კ. გვასალია/. (ივერია, N52, 1899 წელი);

***

სოხუმის ოლქის სოფ. ფშანიდგან სწერენ „ახ. მიმ.“-ს: ჩვენს სოფელში, რომელიც მხოლოდ ქართველებისაგან შესდგება, წირვა-ლოცვა არა სრულდება სოფლელთათვის გასაგებ ენაზედ. ადგილობრივი მღვდელი დ. ხუციშვილი წირვას საეკკლესიო-სლავიანურს ენაზედ ასრულებს და თავს იმით მართლულობს, რომ ხუცური კითხვა არ ვიციო, თუმცა უწმ. სინოდმა 1898 წელს 3 სექტემბერს ბრძანება გამოსცა, რომ აფხაზეთის იმ სოფლებში, სადაც ქართველები სცხოვრობენ, წირვა-ლოცვა ქართულს ენაზედ უნდა სრულდებოდესო“. (ივერია, N69, 1899 წელი);

***

გუდაუთიდგან სწერენ „ახ. მიმ.“ -ს, რომ გუდაუთის ნაწილში ძალიან არის გავრცელებული ყვავილი და წითელაო. ამ ავადმყოფობათ ათიოდე კაცი უმსხვერპლია. (ივერია, N69, 1899 წელი);

წერილი გუდაუთიდგან
(აფხაზეთი)

წრევანდელი წელიწადი ღვთის რისხვად მოგვევლინა გუდაუთელებს. მართალია, ეს წელიწადი თბილი იყო, მაგრამ სნეულებანი და ერთობ მავნე, რადგან ჩვენთვის არ არსებობს მედიცინა. როგორც არა ერთხელ გვითქვამს, ჩვენი მხარე, სადაც ოცი ათასზე მეტი მცხოვრებია, შეჰყურებს ერთად ერთს ფერშალს, რომელიც აგერ მეხუთე თვეა თვალით არ გვინახავს. მეორე ნუგეში აქაურ მკვიდრთ მიაჩნიათ მკითხავ-ქადაგნი, რომელნიც დიდს პატივდებაში არიან. ხშირ მიმოსვლისა და აღებ-მიცემობის გაცხოველების წყალობით იმისთანა სნეულებანი გაჩნდა აქ, რომელთა სახელიც-კი არ იცოდნენ აქაურებმა ამ შვიდი - რვა წლის წინად. აფხაზი და ვენერიული ავადმყოფობა ვის გაუგონია წინად? დღეს - კი სოფლადაც ვრცელდება ეს სენი. ყვავილი, ყელ-ჭირვება, წითელა, კოროცე (ხველა-ყივანა) და სხვანი ჩვენში წრეულს ხშირი სტუმარი გახდა, როგორც თვით დაბაში, აგრეთვე სოფლადაც. ამათ ზედ დაურთეთ აქაური ხაშმის ციება და მისი ერთგული თანაშემწე ფილტვების ანთება, და სრული სურათი დაგიდგებათ თვალ-წინ ჩვენის გაჭირვებულ მდგომარეობისა. ყველა ეს

სენი მუსრს ავლებდა და ეხლაც ავლებს აქაურ ხალხს. შველა - კი არსაიდგან არა გვაქვს და ახლო მომავალში არც მოველით. ჩვენი იმედი იმის შესახებ, რომ დაბა გუდაუთში სასოფლო ქსენონი დაარსდებაო, ჯერ არ განგვიხორციელდა და არც ვიცით, როდის ვეღირსებით. აქვე მოვიყვანთ იმის მაგალითებს, თუ რა შედეგი მოჰყვა ჩვენში უექიმობას: სოფელ კალდახვარაში აგერ მესამე თვეა, რაც ყვავილი მძვინვარებს; რვა კაცი უკვე გამოასალმა წუთი-სოფელს და ეხლაც ოცამდე ლოგინად ჰყავს დაწოლილი. უბრალო ამცრელი რაა, ამასაც ვეღარ ეღირსნენ საცოდავნი კალდახვარელნი და იძულებულნი იყვნენ თავისვე ხარჯით (თითო აცრაზე 20-30 კ.) კერძო ფერშალი მოეწვიათ ყვავილის ასაცრელად. ამავე სენმა დაბა გუდაუთში ორი კაცი იმსხვერპლა. რაც შეეხება წითელას, ეს წლეულს ძალიან მოედო აქაურ სოფლებს, და ზოგიერთი სკოლა იძულებული იყო სწავლა დროებით შეეჩერებინა ამ სენის გამო. აგერ ორი თვეა, რაც დაბა გუდაუთი ყოველ დღეს თითო კაცს მიწას აბარებს. ერთი საშინელი, ჩვენთვის გამოურკვეველი სენი მძვინვარებს აქ: სრულად ჯანსაღი კაცი უეცრად გახდება ავად, უზომო სიცხეს აძლევს და მესამე დღეს ესალმება წუთისოფელს. ამ სენით ერთი ჯან-საღით აღსავსე ოჯახი დაცარიელდა. ჩვენი გაჭირვება შევატყობინეთ, ვისაც ჯერ იყო, მაგრამ ამაოდ. ციებ-ცხელებით დასუსტებულ აქაურ მკვიდრს ერთი გაციებღა ეყოფა, რომ სამუდამოდ თვალი დახუჭოს, აქ ციება უფრო აუტანელია ახლად ჩამოსახლებულ რუსთათვის, რაიცა აშკარად მტკიცდება შემდეგი ციფრებიდგან: სოფელ ბომბორაში, სადაც 38 მოსახლეა, ოთხი წლის განმავლობაში დაიბადა 11, გარდაიცვალა 41 სული. თერთმეტ დაბადებულთაგან სამიღაა ცოცხალი. სოფელ ბაკლავნოკაში (ააცში) 1887-1897 წ. დაიბადა 137 და მოკვდა 260 სული. ესე იგი ათის წლის განმავლობაში მოკვდა 123 სულით მეტი, ვიდრე დაიბადა. არა უკეთეს მდგომარეობაში არიან დანარჩენ სოფლების მცხოვრებნი გუდაუთის ნაწილისა. დროა, ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობას ყურადღება მიაქციონ, ვისიც ჯერ არს, და გადაშენების გზას აგვაშორონ. /ჰამუთ-ბეი/. (ივერია, N71, 1899 წელი);

ს. ფშაფი (აფხაზეთი)

ამ დღეებში ერთი უცნაური ბოროტ-მოქმედება ჩაიდინეს აქ: ღამით ფშაფის ეკკლესიის კლიტე გასტეხეს. ფულად ეკკლესიაში იმ ღამეს მხოლოდ ოც მანეთამდე იყო, რადგან წინა დღით მღვდელმა დ. ხუციშვილმა დანარჩენი ფულით საეკკლესიო სლავური წიგნები გამოიწერა პეტერბურგიდგან. ქურდს კი არც ამ ოცი მანეთის წაღება უსურვებია და არც სხვა ძვირფასი ნივთებისთვის უხლია ხელი, თუმცა ნივთები, ცოტა რომ ვთქვათ, 2,000 მანეთისა - კი არის ეკკლესიაში. აშკარაა, როგორც სოფელიც ამბობს, ბოროტ-განმზრახველს სულ სხვა აზრით გაუტეხია ეკკლესია და არა იმისთვის რომ გაეძარცვა იგი. ადგილობრივმა მამასახლისმა ეს ამბავი აცნობა გუმისთის ნაწილის უფროსს, მაგრამ საქმე ჯერ ისევ მიჩუმებულია. სასურველია, განსაკუთრებით ყურადღება მიექცეს ამ საქმეს და ბოროტ მოქმედების ჩამდენი აღმოჩენილ იქმნას. თუ ეს ბოროტ-განზრახვა მართლა იმ აზრითაა ჩადენილი, რომ სხვას, ალალ-მართალ კაცს ჩირქი მოეცხოს, ეს ხომ ავაზაკობაზედ გადამეტებული ავაზაკობაა და ნუ თუ ასეთი ბოროტ-მოქმედი უნდა დაიმალოს და ღირსეულად არ დაისაჯოს!? (ივერია, N84, 1899 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

ს. ფშაფი, (აფხაზეთი). 1897 წლის 28 დეკემბერს ფშაფის ეკკლესიის მღვდელმა დ. ხუციშვილმა ერთად შეჰყარა თავისი მრევლი, აუხსნა სკოლის საჭიროება მოზარდ ახალ თაობისათვის და წინადადება მისცა - სთხოვეთ სოხუმის ეპარქიის სამოსწავლო საბჭოს წერაკითხვის სკოლის

დაარსების ნება მოგვცენ და მასწავლებლად, როგორც გამოცდილი პედაგოგი და კარგი ნასწავლი კაცი, ნ. კოროჩანსკი დაგინიშნონ, რომელსაც სემინარია აქვს დამთავრებულიო. მოძღვრის რჩევამ გასჭრა და იმავე დღეს ფშაფელებმა განაჩენით სთხოვეს, ვისიც ჯერ იყო, რომ წერა-კითხვის სკოლს დაარსების ნება მოგვეცით და მასწავლებლად უსათუოდ ნ. კოროჩანსკი დაგვინიშნეთო; ამ დროებით უბრალო სახლში გვექნება სკოლა, მაგრამ ექვსი თვის განმავლობაში საკუთარს შენობას ავაგებთ სკოლისათვისაო. სოფლის თხოვნა შეწყნარებულ იქმნა და მასწავლებლადაც ბ-ნი კოროჩანსკი დაუნიშნეს, მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს კოროჩანსკი არც სემინარიელი ყოფილა, არც გიმნაზიელი და არც მასწავლებელი; მას მხოლოდ მოსამზადებელი სკოლის ორი განყოფილება გაუთავებია და შემდეგ მონასტერში მორჩილად უმსახურნია. რაღა თქმა უნდა, ერთის მხრივ მასწავლებელს ხელს უშლიდა ადგილობრივი ენის უცოდინარობა, მეორე მხრივ, თვით თავისი მოუმზადებლობა. და ეს სკოლაც ხუთის თვის შემდეგ დაიკეტა. შემდეგ ფშაფელებმა თვით მოინდომეს სამრევლო სკოლის დაარსება და გამოცდილი მასწავლებლის მოწვევა: ააგეს სკოლისათვის შენობა და სთხოვეს ვისთანაც ჯერ არს, რომ სკოლისათვის მასწავლებელი დაგვინიშნეთო, მაგრამ ჯერ მათი თხოვნა დაუკმაყოფებელი არის და მოზარდ თაობას ძვირფასი დრო ეკარგება. ასეთი შემთხვევა ბევრია აქეთ, მაგრამ ვინ არის ყურადღების მიმქცევი?!. /„აფსუა“/. (ივერია, N84, 1899 წელი);

წერილი აფხაზეთიდგან

13 აპრილს მდინარე კოდორი ნაპირიდგან გადვიდა და მას შემდეგ სოფელ ვლადიმიროვკას აწიოკებს და ანადგურებს. რამდენიმე სოფელი მთას შეეხიზნა და წვრილი ცოლ-შვილით კარვებში დაბინავდა, მაგრამ აქაც დიდმა წვიმებმა ხალხის მწუხარებას ზედ მეტი ჭირი დართო. შიგ შუა სოფელში ისეთი დიდი წყალი მოდის, რომ ცხენით თუ გავა კაცი, თორემ ისე შეუძლებელია. წყალმა წალეკა - გაანადგურა სოფლელთა ბოსტნეულობა-ბაღები, დაიღუპა მრავალი შინაური ფრინველი, ლამის სახლებიც დაანგრიოს და სხვ. მთავრობამ ორი როტა ჯარისკაცი გამოგზავნა სოხუმიდგან სოფლელთა საშველად, მაგრამ ჯარი რას გააწყობს, როდესაც წყლის დამაგრება ამ ჟამად არაფერს არ შეუძლიან. მიზეზი ასეთის უბედურებისა აქ დაარსებული ხე-ტყის ქარხანაა ნ-ნის მაქსიმოვისა. ეს ქარხანა უალაგოალაგას არის გამართული; ხე-ტყეს ქარხნისათვის მდინარის შემწეობით ეზიდებიან, მაგრამ კოდორი შმაგი და დაუდგრომელი მდინარეა და ხეებს ხშირად გზაში ჰრიყავს ხოლმე, შემდეგ წყალი იგუბება, ნაპირებს გადადის და ახლო-მახლო მამულებს აფუჭებს. ამ შემთხვევაშიაც მდინარე ქარხნის ხეებით შეიგუბა სოფ. ვლადიმიროვკაში, მოაწვა სოფელს და ანადგურებს ყველაფერს. ქარხნის დაარსების შემდეგ მუდამ შიშში იყვნენ ვლადიმიროვკის მცხოვრებნი და რამდენჯერმე ითხოვეს - მოგვაქციეთ ყურადღება, მდინარე კოდორი აკლებას გვიქადისო, მაგრამ სოფლის თხოვნას დროზედ არავინ არ მიაქცია ყურადღება და ეხლა - კი, როდესაც უბედურება დატრიალდა, ჯარიც გამოიწვიეს და სოფლელნიცა, მაგრამ გვიანღაა. ვერ ვიტყვით, რომ ხე-ტყის ქარხანა ბ-ნ მაქსიმოვისა სასარგებლო არ იყოს ამ მხარისათვის, პირიქით, ეს ფრიად საკეთილო და სასარგებლო საქმეა აქაურ მცხოვრებთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მაგრამ, საუბედუროდ, საქმე თავათვე იმ ნაირად მოაწყეს, რომ სარგებლობასთან ერთად დიდი ზარალიც მოაქვს ხალხისათვის. წყლის დაგუბებამ დიდი ზარალი მისცა აგრეთვე აქაურ მემამულეებს. ცოტა რომ ვთქვათ, ასი დესეტინა კარგი მიწა არის გაფუჭებული წყლისაგან. წალეკილ სოფლის სანახავად მოვიდნენ ბ-ნნი ბრალმდებლის ამხანაგი და გუბერნიის ხუროთმოძღვარი. /აფსუა/. (ივერია, N86, 1899 წელი);

***

დაბა ოჩემჩირეს მახლობლად დიდძალი ქვის ნახშირი აღმოჩენილა. ამ ახლო ხანაში სააქციონერო საზოგადოებაც შესდგება და წარმოებას დაიწყებს. როგორც მცოდნე კაცების გამოკვლევიდგანა სჩანს, ოჩემჩირის ქვის ნახშირი მშვენიერი თვისებისა ყოფილა და ტყიბულის ნახშირს გაცილებით სჯობიან. (ივერია, N90, 1899 წელი)

წერილი სოხუმიდგან
28 აპრილი

როგორც უწყიან მკითხველებმა, დიდის ხნის მოლოდინის შემდეგ, როგორც იყო სოხუმელებს ბედმა გაგვიღიმა და გვეღირსა თვითმმართველობის უფლება. დღეს, 28 აპრილს დაიფიცეს ახლად ამორჩეული და საგუბერნიო მმართველობისაგან დამტკიცებული ქალაქის ხმოსნები, რომელთაც დიდი ბეჯითობა და უანგარო შრომა სჭირიათ, რომ ჩვენის უპატრონობით დაჩაგრულ ქალაქის საქმეები გამოაკეთონ და თვით ბუნებით უხვად დაჯილდოებულს სოხუმს მისცენ საშუალება ბუნებრივის ზრდა-განვითარებისა და ხელი შეუწყონ, რათა ჩვენმა ქალაქმა ღირსეულად დაიჭიროს კუთვნილი და შესაფერი ადგილი შავი ზღვის ნაპირის ქალაქთა შორის. როგორც ვხედავთ, ჩვენს ხმოსნებს ღირსეულად შეუგნიათ თავისი მოვალეობა, ჯერჯერობით მაინც, ქალაქის სამოურავო კანდიდატი გამონახეს და, უეჭველია, კიდეც აირჩევენ, რადგანაც ხმოსანთა უმეტესობას ჰსურს ქალაქის თავად აარჩიონ ქართულს მწერლობაში საკმაოდ ცნობილი განჯის საგუბერნიო მმართველობის წევრი ბ-ნი ალექსანდრე სარაჯიშვილი. ჩვენი ხმოსნები სწორედ ამ ჟამად უკეთესს კანდიდატს ვეღარ იპოვიდნენ: ბ-ნი სარაჯიშვილი ცნობილია ვითარცა მხნე, ბეჯითი, გამოცდილი და უანგარო საზოგადო მოღვაწე და ადმინისტრატორი. სწორედ ამისთანა მოურავი იყო საჭირო ჩვენი ქალაქისათვის, რომლის აბნეულ-დაბნეულ საქმეების გასარიგ-გასაწყობად საჭიროა ფრთხილი ადმინისტრატიული ნიჭი და გამოცდილება შრომის უნარითურთ. როგორც ამბობენ, თვით ბ-ნი სარაჯიშვილიც თანახმაა ამ თანამდებობაზედ კენჭი იყაროს. მაშ, მოულოცოთ სოხუმელებს და უსურვოთ გამარჯვება! ქალაქის მდივნად ასახელებენ ა. ნიკიტინს. /ჰამუთ ბეი/. (ივერია, N95, 1899 წელი);

სოხუმი

ქალაქის საბჭოს პირველი სხდომა უკვე მოხდა და საბჭოს დროებით თავჯდომარედ არჩეულ იქმნა გენ. ნ. პ. დამაკინი, რომლის დამტკიცებას ამ თანამდებობაში ამ დღეებში მოელიან. თავჯდომარის დამტკიცების შემდეგ საბჭო შეუდგება ქალაქის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას მიმდინარე წლისათვის, რის შემდეგ მოხდება თანამდებობის კაცთა არჩევნები. კანდიდატად ქალაქის მოურავის თანამდებობაზედ ასახელებენ ა. ი. სარაჯიშვილს.

ამ დღეებში ფოთიდგან სოხუმში მოიყვანეს ორი იმ ბოროტ მოქმედთაგანი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს თავ. გ. დ. შერვაშიძის მოურავის მიხ. თოფურიძის გაძარცვაში. შეპყრობილნი ოზურგეთის მაზრის დ. ჩოხატაურის მცხოვრებნი არიან, გვარად კობიძენი. ორივე ბოროტმოქმედი ქ. ფოთის ბოქაულს ს. კახიძეს შეუპყრია იმ დროს, როცა მათ მოტაცებულ ნივთების მიყიდვა სდომოდათ ერთ ოქრომჭედელისათვის („ახ, მიმ.“). (ივერია, N98, 1899 წელი);

***

როგორც მკითხველებმა უწყიან, სოხუმის ქალაქის მოურავად არჩეულმა ბ-ნმა ბარკალაიამ უარი განაცხადა ამ თანამდებობაზედ. ეხლა, როგორც ისმის, სოხუმის ქალაქის მოურავის კანდიდატად ბ. სარაჯიშვილს ასახელებენ. (ივერია, N113, 1899 წელი);

***

სოხუმში დაიწყო შავი ზღვის პირის ტყის მოხელეთა კრება, რომელსაც საგნად აქვს სახაზინო ტყეებიდგან ბზის გაცემის საქმის განხილვა. (ივერია, N114, 1899 წელი);

***

სოხუმიდგან იწერებიან, რომ ხის ხიდების ასაშენებლად სოხუმისა და ზუგდიდის გზაზედ ნაანგარიშევია 42,430 მან. ხიდების აშენება უკვე დაუწყიათ და გაათავებენ მომავალ ივლისის შუა რიცხვამდე. (ივერია, N125, 1899 წელი);

***

სოხუმიდგან „ახ. მიმ.“-ს სწერენ: სოხუმის ქალაქის გამგეობის არჩევნები, რომელიც მოხდა 17 მაისს, არ დაამტკიცა საგუბერნიო მთავრობამ (როგორც მკითხველმა უწყის, ქალაქის მოურავად არჩეულმა პ. ბარკალაიამ უარი განაცხადა ამ თანამდებობაზედ). ქუთაისის საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ წინადადება მისცა ქალაქის საბჭოს თავჯდომარეს, ხელმეორედ მოახდინეთ ქალაქის მოურავისა და აგრეთვე მისის თანაშემწის არჩევნებიო. ეს არჩევნები უნდა მოხდეს ამ დღეებში. ადგილობრივს საქალებო გიმნაზიაში კურს-დასამთავრებელი ეგზამენები უკვე დასრულდა. სწავლა დაამთავრა 10 მოსწავლემ, მათ შორის 2 ქართველია“. (ივერია, N130, 1899 წელი);

ახალი ამბავი

სოხუმიდგან დეპეშით გვატყობინებენ, რომ სოხუმის ქალაქის მოურავად 26 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 3 ხმისა, არჩეულ იქმნა ა. ი. სარაჯიშვილი; ხოლო იმის თანაშემწედ - მკურნალი კოზმინიო. (ივერია, N136, 1899 წელი);

ქ. სოხუმი

26 ივნისს, საღამოს ექვს საათზედ, დანიშნულ იყო არჩევნები ქალაქის მოურავისა და იმის თანაშემწესი. მოურავის კანდიდატად დასახელებულნი იყვნენ: მრავლის ხმით ა. ი. სარაჯიშვილი და თითო ხმით - გენერალი ლამაკინი და ლ. მ. ბერენსი. ყუთი დაუდგეს მარტო ა. ი. სარაჯიშვილს, რომელიც არჩეულ იქმნა 26 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 3 ხმისა. ქალაქის მოურავის თანაშემწის კანდიდატად დასახელებულ იქმნენ მოსკოველი ექიმი კაზმინი, კერძო ვექილი ლევიცკი, აქაურ სამთო სასწავლებლის ზედამხედველად ნამყოფი დ. აჯამოვი, აქაურ პოლიცმეისტრად ყოფილი კ. ი. კოტლიარევი და აქაურივე პოლიციის საქმის მწარმოებელი კორჩიცი. უკანასკნელმა ორმა უარი განაცხადა კენჭის ყრაზედ. ყუთი დაიდგეს კაზმინმა, აჯამოვმა და ლევიცკიმ. კაზმინს ამოუვიდა 17 თეთრი და 12 შავი, აჯახოვს - 9 თეთრი და 19 შავი, ლევიცკის - 7 თეთრი და 22 შავი. (ივერია, N139, 1899 წელი);

წერილი სამურზაყანოდგან

სამურზაყანო საქართველოს ერთი მივარდნილი კუთხეთაგანია, რომელსაც მზის სინათლე გვიან სწვდება, ასე რომ, სადაც ქართულს ასწავლიან, „ბუნების კარიდგან“ გაიგებს მოსწავლე,

რომ სამურზაყანო საქართველოს ნაწილს შეადგენს, სადაც ქართველ ტომის ხალხი - მეგრელები, რიცხვით 40000, სცხოვრობს და ამის იქით... ნაკლებად ვიცნობთ სამურზაყანოს ეთნოგრაფიულად და ეკონომიურად. მაგრამ თუ არიან ამ საგნის სპეციალისტნი, დიდს სიძუნწეს იჩენენ და თავიანთ ცოდნას შავის დღისათვის ინახავენ.

აწინდელი სამურზაყანო შეადგენს სოხუმის სამხედრო ოლქის ნაწილს. ეს კუთხე 2400 ოთხკუთხი ვერსი იქმნება და შეიცავს 40,000 მეტს მცხოვრებს. სამურზაყანოს განაგებს ნაწილის უფროსი, რომელსაც ბინა დ. ოქუმში აქვს. სამურზაყანო ნაყოფიერი ქვეყანაა და ხეტყით მდიდარი, მაგრამ მკვიდრნი, სამწუხაროდ, ბუნების სიმდიდრით ვერ სარგებლობენ, როგორც რიგია. ხელის განძრევა ეზარებათ და ღარიბად არიან. იმ დღიდგან ამ დღემდის, ე.ი. არას დროს სამურზაყანოს მკურნალი არა ჰღირსებია, არის ერთად ერთი ფერშალი და ისიც დიდის მოსვენებით ატარებს დღეებს ოქუმში. ამ რიგად ცრუ მორწმუნეობა, მკითხაობა და სოფლის ექიმობა გაბატონებულია სამურზაყანოში.

სამურზაყანოში გავრცელებულია პირუტყვის ქურდობა, რაიცა მშვიდობის მოყვარე ხალხს უზომო ზარალს აყენებს. მუშაობის დღეს გავსილია ოჩამჩირის სასამართლოს დარბაზი ხალხით; ზოგი მოწმეა და ზოგი დამნაშავე. მუშა დღეს ბევრი ყოვლად მართალი ოჯახის პატრონი ჰკარგავს, ხოლო ცხენის ქურდი 5-10 მანეთიან ცხენისთვის სრულიათაც იკარგება. 1897 წ. ახლად დანიშნულმა სამურზაყანოს ნაწილის უფროსმა ლ-იმ შეჰკრიბა ქურდობაში შენიშნულნი, ილორის წმინდა გიორგი დააფიცა, ხატი, რომელიც ძლიერად ითვლება მთელ სამურზაყანოსა და აფხაზეთში, ქურდობა არ ჩაედინათ, ქურდი არ დაემალათ და ქურდისთვის პატივი არ ეცათ. ეს საუკეთესო საშუალება გამოდგა ქურდობის წინააღმდეგ. ქურდობამ რამდენიმე ხნით მართლა მოიკლო, მაგრამ შემდეგ ქურდებმა მაინც იპოვნეს გზა; ერთმა გლეხმა ასე შემომჩივლა მე თვითონ: „თუ გგონია ქურდობა მოისპო? მართალია, უფროსმა დაგვაფიცა ილორის წმინდა გიორგიზე, მაგრამ ჩვენც მოვიგონეთ ხერხი: შემოდგომაზედ თითო თითოდ მივალთ და შესაწირავს მივართმევთ მის დიდებულ თავს და ასე ვეტყვით: დაგელოცა სამართალი! ხომ იცის შენმა კარგმა თავმა, რომ ჩვენ წმინდა გულით არ დაგვიფიცავს, შენთვის დამალული არა არის-რა; გწირავთ შესაწირავს და ჩვენ გაგვანთავისუფლევო!“ ამას ყველაზე ძაბუნი გლეხი ამბობდა, და ადვილი მისახვედრია, თუ ვისგან გაიგონებდა იგი ამ სიტყვებს.

სამურზაყანოში არიან ქურდების დედები ანუ დამსახურებული ქურდები. ესენი უფრო კარგის გვარის შვილნი არიან. სამურზაყანოში, როგორც აფხაზეთში და ნაკლებად სამეგრელოში, ძიძიშვილობა დიდად ფასდება. გაზრდილს დიდი გავლენა აქვს თავისს ძიძის შვილებზედ; ის მფარველია თავისი ძიძის შვილის მთელი გვარეულობისა. გლეხი ყოველ გაჭირვებაში ფიცულობს - ესა-და ეს გაზდილი არ მომიკვდესო, ძიძიშვილებისთვის თავდადებულია; თუ ისინი ვინმემ გალანძღა, ის თავისს გალანძღვათ მიიჩნევს და მზად არის თავი გადააგოს. ამისთვის სამაგალითოდ ალაგმულია ლანძღვა-გინება და ყველანი ზრდილობით ექცევიან ერთმანეთს. სამაგიეროდ ძიძიშვილმაც უნდა გადაუხადოს თავისს სათაყვანო გაზრდილს: მზადაა ყოვლისფერში ემსახუროს, მაგ., თუ გაზრდილს სტუმარი ეწვია და საკლავი არა ჰყავს, ძიძიშვილი თითქმის მოვალეა, თუნდა ქვესკნელიდგან ამოიყვანოს, საკლავი იშოვნოს. ის მიდის სხვა სოფელში და იპარავს ძროხას ანუ ხარს. მერმეთ ვის ჰპარავს? რასაკვირველია დაბალ ღობეს, გლეხს. ასეთი ამბავი ხშირია. ყოველ დღე ზოგი ხარს დაეძებს, ზოგი ცხენს, ზოგი კვალს მისდევს, ზოგი უფროსთან მირბის თავ-მოგლეჯილი. თუ რომელიმე ქურდი იგდო ხელში სამართალმა, ქურდის მომხმარენი შემოესევიან გარს და არაფერს ჰზოგავენ უშველონ რამე. რაღა თქმა უნდა, ხარჯს ითხოვს და ისედაც ღარიბი კაცი მთლად ღარიბდება. თუ მშვიდობით დაბრუნდა შინ, კვლავ ქურდობას უნდა მიჰყოს ხელი, რადგან შრომას გადაჩვეულია და მასთან სიღარიბე აწუხებს. ამ გვარად ქურდობა ხელობადაა გარდაქცეული. ციმბირი, საპყრობილე „სახელია“ ვაჟკაცისთვის, რადგან ქურდების დედების წამქეზებელ

ენით, სახლში ჯდომა დედაკაცის ხვედრია. რომელსამე ციმბირელს ოცჯერ მეტი თაყვანის მცემელი ჰყავს, ვიდრე კარგს მოძღვარს, ანუ სოფლისათვის თავდადებულ მასწავლებელს. ამ გვარად სამურზაყანო, რომელსაც სინათლე შორს უვლის, სამწუხარო მდგომარეობაშია. ხალხი უწყინარი, უჩივარი, ყველასგან დაჯაბნული. იმათის უწყინარობით სარგებლობენ ზოგიერთნი უსაქმო და გაიძვერები და მთელს საზოგადოებას სახელს უტეხენ. დროა, სამურზაყანოს ყურადღება მიექცეს, მაგრამ უმჯობესია თითონ გაიღვიძოს მან, დაეწიოს თავისს ძმებს: სამეგრელოს, გურიას და სხ. დაუკვირდეს თავისს ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს. სამურზაყანოში ყოვლად უვარგისი გზებია. სოფლის მამასახლისად ირჩევენ გავლენიანი კაცები ისეთებს, როგორიც იმათთვის არის საჭირო.

დასასრულ ურიგო არ იქნება, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ თავისს მოწყალე თვალს გადმოავლებდეს სამურზაყანოს და წერა-კითხვის სასწავლებელს დაარსებდეს. მართალია, წყაროა საჭირო, მაგრამ წყაროს აღმოჩენის დროს მხედველობაში უნდა ჰქონდეთ, რომ წ. კ. საზოგადოებას წევრებად ჰყავს სამურზაყანოს მკვიდრნი: თავადნი ანჩაბაძე, ჩქოტუა, აზ. მარღანია, აქირთავა და სხ., თავის ქვეყნის მოყვარულნი, რომელნიც, ცხადია, შემწეობას აღმოუჩენენ ამ სკოლას. /კ. გვასალია/. (ივერია, N150, 1899 წელი);

***

სოხუმიდგან „ახ. მიმ.“ - აუწყებენ, რომ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს არ დაუმტკიცებია სოხუმის ქალაქის მოურავად ა. ი. სარაჯიშვილი, რომელი ცარჩეულ იქმნა ამ თანამდებობაზედ გასულ 28 ივნისს, და დაუნიშნავს სოხუმის ქალაქის მოურავად სამსახურიდგან გადამდგარი შტაბს - როტმისტრი ლ. მ. ბერენსი, რომელმაც პირველ არჩევნებზედ, 17 მაისს, მიიღო 9 თეთრი და 17 შავი კენჭი. (ივერია, N151, 1899 წელი);

სოხუმის ქალაქის საბჭო

23 ივლისს იყო პირველი კრება სოხუმის ნორჩი ქალაქის საბჭოსი. კრებას თავჯდომარეობდა ქალაქის მოურავი ბ-ნი ბერენსი. კრების პირველი განსახილველ საგანს შეადგენდა მოსამსახურეთათვის ჯამაგირების დანიშვნა. ქალაქის მოურავმა, განუმარტა-რა საბჭოს თავისი მოსაზრებანი, წინადადება მისცა დაენიშნა წლიურად შემდეგი ჯამაგირები: 1200 მან. მდივნისათვის, 1000 მან. ბუჰგალტრისათვის, ხუთას-ხუთასი მანეთი ორ უფროს მწერლისათვის, სამას-სამასი მანეთი ორ უმცროს მწერლისათვის და ორ მოსამსახურე ბიჭისათვის ორას ორმოცი მანეთი. ხმოსნებს ეუცხოვათ ამოდენა ჯამაგირების დანიშვნა და მოახსენეს ბ. მოურავს, რომ ქუთაისისა და ფოთის საბჭოში გაცილებით ნაკლებ ჯამაგირებს იღებენ კანცელარიის უმცროსი მოხელენიო, თუმცა შედარებით მათ უფრო ბევრი შრომა აწევს. მაგრამ მათაც ჩქარა მოულბათ გული და მიიღეს ბ-ნ მოურავის წინადადება შემდეგის ცვლილებით: დაენიშნოს მდივანს 1200 მან., ბუჰგალტერს 900, უფროს მწერლებს ერთს 480 და მეორეს 360 მან., და ორ უმცროს მწერალს 300 მან. თითოს. რაც შეეხება ძველ მოსამსახურეთ, ქალაქის ხუროთმოძღვარს, ექიმს და ბაზრის ზედამხედველს, საბჭომ იმათთვის ძველი ჯამაგირები დასტოვა, ვიდრე 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვა შესდგებოდეს. ბატონმა ქალაქის მოურავმა მოახსენა საბჭოს, რომ რადგან გამგეობის მოსამსახურენი ვერ მოვასწრებთ პოლიციიდამ საქმეების მიღებას, საჭიროა დავიქირავოთ რამდენიმე კაცი საშველათო, და სთხოვა გადადებულ ყოფილიყო ამისათვის 300 მან., რაზედაც ხმოსნებმა თანხმობა განაცხადეს. როცა ამ საქმეს მორჩნენ, საბჭომ სურვილი განაცხადა, მდივნისა და ბუჰგალტრის თანამდებობაზე დანიშნულ იქმნან უმაღლესს სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი. შემდეგ საბჭომ გადასდო 1770 მან. საკანცელარიო ნივთებისა და საბჭოსათვის ავეჯების შესაძენად, შენობის გასათბობად, გასანათებლად და საჭირო

წიგნების შესაძენად. ბატონმა მოურავმა უთხრა ხმოსნებს, რომ კრების დროს საჭიროა ჩაის მირთმევაო და სამოვრის შესაძენათ ოცი მანეთი გადავდვათო. ეს წინადადება შეწყნარებულ იქმნა. მაშინ ხმოსანმა ბ-ნ სახოკიამ იკითხა: ჩაი და შაქარი ვისი-ღა ფულით უნდა იყიდოს სხდომების დროს საბჭომაო? თავჯდომარემ ბ-ნმა ბერენსმა ირონიულად უპასუხა, რომ თუ ეს მაინცა და მაინც ქალაქს გააღარიბებს, მე ვღებულობ ჩემ თავზეო. შემდეგ კომისიები იქმნა არჩეული პოლიციისაგან ქალაქის საქმეების, ფულისა, მიწებისა და სხვ. ჩასაბარებლად და ამ კომისიების მოსალოდნელ ხარჯათ გადადებულ იქმნა 100 მან.

საბჭოში ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, რომ ქალაქს წყალი არ ჰყოფნის და საჭიროა სადმე ახლოს წყაროები მოვსძებნოთ და გამოვიყვანოთო. წყლის შემოკლების მიზეზი, როგორც თითონ ქალაქის მოურავმა და ზოგიერთმა ხმოსანმაც განაცხადეს, ქალაქის აუზიდამ წყლის ბაღების მოსარწყავად მიჰყავთ ზოგიერთ აგარაკის პატრონთ და ისიც უსასყიდლოთ. ქალაქში წყლის ნაკლულევანების მიზეზი ხელ-უხლებლად დარჩა და გარდასწყვიტეს სხვაგან დაუწყონ წყლის ძებნა, ახალი წყლის ძებნა, ბ-ნ მოურავის წინადადებით, მიენდო ხუროთმოძღვარს ბ-ნ ისაკოვს; რისთვისაც საბჭომ გადასდო 250 მან.

დასასრულ ბ-ნმა მოურავმა მოახსენა საბჭოს, რომ საუკეთესოდ ვსთვლი თვეში ერთხელ იქმნას დანიშნული კრებაო და შესაფერ დროთ ამისთვის ოცი რიცხვი მიმაჩნიაო. ეს იმიტომო, რომ საჭიროა კრებისათვის მოხსენება შევადგინო, მოვემზადო და ისე მოვიდეო და ამას თვეში ერთხელ თუ მოვასწრებ, მეტად ვერაო. თუმცა საჭიროება მოითხოვს, რომ თვეში ორჯერ მაინც იქმნას დანიშნული სხდომა, რადგან ბევრი საგნები აქვს გადასაწყვეტი ჩვენ ნორჩ საბჭოს, მაგრამ წინადადება მაინც შეწყნარებულ იქმნა. /მექი/. (ივერია, N162, 1899 წელი);

წერილი სოხუმიდგან

სოხუმის ქალაქის გამგეობა მოსამსახურეთა ჯამაგირები, საბჭოს მიერ დანიშნული, ქუთაისის საგუბერნიო საკრებულოსაგან შეცვლილ იქმნა ამ ნაირად: ბუჰღალტერს დაენიშნა წლიურად 700 მან., ერთ უფროსს მწერალს - 300 მან., ორ უმცროსს მწერალს - 480 მან. და ორ მოსამსახურე ბიჭს - 360 მან საბჭოსა და გამგეობისათვის ავეჯებისა და წიგნების შესაძენად - 800 მან. მდივნის ჯამაგირის შესახებ არაფერი ცნობები არ არის ჯერ, უნდა ვიფიქროთ, რომ დამტკიცებულ იქმნა საბჭოს მიერ დადგენილი 1200 მან. ვისაც არ შეხვდებით სოხუმში, ყველა იმას გაიძახის, რომ უწყლობით ვიხჩვებითო. აი ამის მიზეზი: უწინ, როცა ქალაქში მილებით წყალი გამოუყვანიათ, ბევრს სახლის პატრონს და დაწესებულებათ განუცხადებიათ სურვილი თავიანთ ეზოებში და სახლებში წყლის გაყვანისა თავიანთვე ხარჯით. ამის შესახებ აუღიათ ჯეროვანი ნებართვა, გარდაუხდიათ ქალაქის სასარგებლოდ ფული და აქამდის უსარგებლნიათ როგორც მათ, ისე ახლო მახლო მცხოვრებ ღარიბ ხალხსაც ამ წყლით. დღეს ქალაქის მოურავმა ყველას დაუკეტა მილები და მოუსპო წყალი და ამ პაპანაქება სიცხეში უწყლოდ დასტოვა ხალხი. ყველა გაკვირვებულია, რად მოიქცა ასე ბ-ნი ბერენსი; თუ წყლით სარგებლობის წესის შეცვლა სურდა, რატომ საბჭოს კრება არ დანიშნა და არ მოახსენა თავისი მოსაზრებანი ამ საგნის შესახებ. არა გვგონია, ბ-ნმა ბერენსმა არ იცოდეს, რომ ქალაქის მოურავი, კანონით, აღმასრულებელია საბჭოს დადგენილებისა, და ამ უკანასკნელის დაუკითხავად არავითარის ახლის წეს-რიგის შემოღების უფლება არ აქვს. მაშ როგორ მოხდა, რომ საბჭოს დაუკითხავად ქალაქის მცხოვრებთ წყლის მილები დაუკეტა, წარმოუდგენელია. ამ ჟამად ძალიან ბევრია აქ ციებით ავად. ციების გავრცელებას აქ, სხვათა შორის, უვარგისი და უმწიფარი ხილიც უწყობს ხელს, რომელიც ბლომად იყიდება და ყურადღებას-კი არავინ აქცევს. /მექი/. (ივერია, N174, 1899 წელი);

სოხუმის ქალაქის საბჭო

20 აგვისტოს შესდგა მეორე კრება სოხუმის ნორჩის საბჭოსი. კრებას თავჯდომარეობდა ქალაქის მოურავი ბ-ნი ბერენსი. ამ კრების გარდასაწყვეტად ცხრა საგანი იყო წარმოდგენილი. ხმოსანთა შორის საკმაო დიდი კამათი გამოიწვია წინადადებამ იმის შესახებ, რომ დაადონ თუ არა გარდასახადი სახლებსა და ეზოებში მილებით გაყვანილ წყალს, და თუ დაადონ, რა რიგ უნდა იქმნას ნაანგარიშევი დახარჯული წყლის რაოდენობა? ნ-ნი ბერენსი სთხოვდა საბჭოს, უსათუოთ დავადვათ წყალს გარდასახადიო, და მისათვის წყლის საზომი მანქანები გამოვიწეროთ დახარჯული წყლის რაოდენობის გასაგებათო. საბჭომ უარჰყო ბერენსის წინადადება მანქანების გამოწერის შესახებ მათი სიძვირისა გამო. ზოგიერთმა ხმოსანი ურჩევდა საბჭოს, ოჯახის წევრთა რაოდენობის კვალობაზედ ყოფილიყო გარდასახადი გაწერილი. ბოლოს გარდასწყვიტეს: დაედოს გარდასახადი მათ, ვისაც მილებით აქვს წყალი გაყვანილი, იმ პირობით-კი, რომ იგივე წყალი მოსპობილ ექმნათ მათ ივლისსა და აგვისტოში, თუ ვინიცობაა უმთავრეს აუზში წყალმა იკლოვო. შემდეგ არჩეულ იქმნა კომისია, რომელსაც დაევალა გამოკვლევა იმისა, თუ რა სახით იქმნეს გაწერილი გარდასახადი წყალზედ. აქვე ბ-ნ მოურავისაგან წაკითხულ იქმნას წერილი ხუროთ-მოძღვრის ოსაკოვისა, რომელიც ურჩევდა ქალაქს გამოეყვანა პატარა ნაკადული, ეგრედ წოდებული „სუხუმკა“ და შეერთებინათ უმთავრესი აუზისათვის. ბ-ნმა ბერენსმა დიდის ქებით მოიხსენია ეს წყალი და ურჩია საბჭოს მიღებულ ყოფილიყო წინადადება ბ-ნ ოსაკოვისა, მაგრამ, როგორც პროფესორმა ოსტროუმოვმა, ისე სხვა ხმოსნებმაც განაცხადეს, რომ ეს წყალი ფრიად უვარგისი და მავნებელი არისო, ამასთანავე ყოველთვის მღვრიე და მისი შერევით იმ წყალსაც გააფუჭებთ, რომელიც ახლა აქვს ქალაქსაო. ხმოსანმა ჯუღელმა სთქვა: მე ვიცი ქალაქიდამ ერთი ვერსტის მანძილზე მშვენიერი წყაროებიო, რომლებიც კარგი თვისებისა არის და ადვილი გამოსაყვანიცო, მაგრამ როგორღაც არავის მიუქცევია ყურადღებაო.

შემდეგ ბ-ნმა თავჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ ქალაქს არა ჰყავთ ისეთი კაცი, რომელიც ყურს უგდებდეს იჯარით გაცემულ მიწებს და ჰკრეფდეს ხარჯსო, რითაც დიდი ზარალი მოსდის ქალაქსო. ამისათვის საჭიროა დავაარსოთ ხარჯთ-მკრეფი თანამდებობა 480 მან. ჯამაგირით წელიწადშიო. გთხოვთ, ვინც თანახმანი ხართ ჩემი წინადადებისაო, დაამთავრა თავისი სიტყვა ბ-ნმა მოურავმა, - დამჯდარი ბრძანდებოდეთო და ვინც არა-ფეხზე წამოდექითო. უმრავლესობას ჯდომა უფრო ესიამოვნა, მანამ ადგომა და ამ რიგათ მოურავის წინადადება შეწყნარებულ იქმნა. აქვე უნდა შევნიშნოთ და ეს თვით ბატონმა თავჯდომარემაც აღიარა, რომ ქალაქის ოთხი ტყის მცველი უსაქმობის გამო ზოგი პოლიციის უწყებებს ატარებს და ზოგიც შიგ პოლიციაში მსახურობს. ეს საკვირველიც არ არის, რადგან ქალაქის ტყეები ახლა იქამდის შემცირდა, რომ საჭირო აღარ არის ოთხი ტყის მცველი და ამიტომ სამი ტყის მცველიც კარგად აუვა მას და ერთს მათგანს შეიძლებოდა ხარჯთ ამკრეფობა დაჰკისრებოდა.

წაკითხულ იქმნა მოხსენება, რომელშიაც ბ-ნი თავჯდომარე ურჩევდა საბჭოს, რომ გაიწმინდოს, ეგრეთ წოდებული, „მაიაკიო“ (150 დესეტინა ადგილი), რომელიც მატროსების დასასახლებლათ არის დანიშნულიო, და ამით მიწის მზომელს გაუადვილდეთ მუშაობაო, ქალაქი ამაში ზარალს არ ნახავსო, რადგან მოჭრილი ტყე გაისტუმრებს ხარჯსო. თუმცა ხმოსანთა შორის გაისმა ჩურჩული, რომ იქ ჩირგვების მეტი არაფერიაო და რა უნდა გავყიდოთ, მაგრამ მაინც იქმნა მიღებული ეს წინადადება.

ამის შემდეგ წაიკითხეს მოწერილობა ქუთაისის გუბერნატორისა სამოქალაქო ექიმის დანიშვნის შესახებ, 980 მან. ჯამაგირით წელიწადში და ფერშალისა 200 მან. საბჭომ სურვილი განაცხადა იყოლიოს როგორც ექიმი, ისე ფერშალი, მაგრამ რადგან ჯერ საშუალება არ აქვს, დაადგინა ამ საგნის გადაწყვეტა სამერმისოდ გადასდვას. ამავე კრებაზე იქმნა გადადებული

საბჭოს დარბაზის შესაკეთებლად 1200 მან. და ბ-ნ პოლიცმეისტრის წინადადებით, დაენიშნათ პოლიციელთ საჭმლის გასაუმჯობესებლად 27 მან. თვეში. ბოლოს საბჭომ დაადგინა, ქალაქის ფული, რომელიც სხვა და სხვა ბანაკებში ინახება, გადმოტანილ იქმნას სოხუმის ხაზინაში და შემდეგ გარდა სოხუმის ხაზინისა არსად არ შეინახოს ფული. უნდა შევნიშნოთ, რომ ჩაის მირთმევა საბჭოს დარბაზში დიდი უხერხულობაა: რა უნდა მოისმინოს კაცმა იქ, სადაც ყოველი მხრიდგან ფინჯნების და კოვზების ჭახაჭუხისაგან ყურები აქვს გამოჭედილი. რა საქმისა სცხელათ ხმოსნებს, როდესაც იმათი ყურადღება იმაზე უფროა მიქცეული, რომ ცხელმა ჩაიმ პირი არ დაგვთუთქოსო და ან ჭიქა ხელიდგან არ გაგვიცურდეს და ჩაი კალთაში არ ჩაგვესხასო. აქ ხომ მაგიდები არ უდგად წინ ჭიქების დასადგმელათ. ამას თუ მიუმატებთ კიდევ იმას, რომ დარბაზში თავისუფლად სწევენ თამბაქოს, როგორც ხმოსანნი, ისე დამსწრენიც, თქვენ წინ უფრო ყავახანა დაგეხატებათ, ვიდრე საბჭოს დარბაზი. /მექი/. (ივერია, N186, 1899 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

დ. ოჩამჩირე, (აფხაზეთი). ოჩამჩირე ოსმალური სიტყვაა და ნიშნავს ადგილს, სადაც ბზა ჰხარობს (ჩემჩირ-ბზა). წინად აქ მართლა ბზის საბუდარი ყოფილა, მაგრამ ეხლა მისი ნაკვალევიც არ აჩნია. ოჩამჩირე მოზრდილი დაბაა, გაშენებული ფოთ-სოხუმ შუა, იქ, სადაც მდინარე ღალიძგა ერთვის შავს ზღვას. წინად ოჩამჩირე (ანუ ძველი ოჩამჩირე, რომელიც 1878 წლის ომიანობამ აჰგავა დედამიწის ზურგიდგან) იყო საცხოვრებელი ადგილი აფხაზეთის მთავრებისა. ამ ჟამად ოჩამჩირეში არის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, მომრიგებელი სასამართლო, აფთიაქი, ექიმი და ფერშალი, ორ-კლასიანი სასწავლებელი და ასიოდე დუქანი. აღებ-მიცემობა აქ მეგრელებისა და ლაზების ხელშია. გემი თითქმის ყოველ დღე შემოდის აქ. ოჩამჩირედგან ყოველ წლობით გადის ერთ მილიონ ფუთამდე სიმინდი, რომელიც მიაქვთ ოსმალეთსა და საფრანგეთში. სიმინდის საყიდლად ბერძენს აქვს კანტორა გამართული, რომელსაც წვრილი ვაჭრები ართმევენ ფულს. ამ ფულით სოფლებში ჰყიდულობენ სიმინდს და მასვე აძლევენ გარიგებულ ფასში, როგორც ამბობენ, აფხაზეთის და სამურზაყანოის მემამულეთ განუზრახავთ დააარსონ ამხანაგობა, რომელმაც სიმინდის ვაჭრობას უნდა მიჰყოს ხელი. ოჩამჩირე თანდათან წარმატებაში შედის და ლამაზდება; ამასთანავე იგი ყოველ დღე მოელის, რომ იმის მახლობლად ქვა-ნახშირის მადნებში მუშაობა დაიწყება და მაშინ, რაღა თქმა უნდა, უფრო გაუმჯობესდება. ოჩამჩირელებს ძლიერ ეშინიათ - სოხუმ-სენაკის რკინის გზამ შორს არ გაგვიაროსო. მაგრამ ეს შიში უსაფუძვლოა. რა მოსაზრებით უნდა დასტოვოს რკინის გზამ ოჩამჩირე? ოჩამჩირის დიდს ნაკლულევანებას შეადგენს ის, რომ აქ უსუფთაობაა, ბაზრობა არ იციან, არ არსებობს აბანო და არც სამკითხველო. აქ ყველაზედ მეტს ჰხარობს ყავახანები. ეს ისეთი საყვარელი დაწესებულებაა ოჩამჩირელებისათვის, რომ აქაურს, ეგრედ წოდებულს, ბულვარში უწინარეს ყოვლისა ყავახანა აშენდა, სადაც ქაღალდის და ნარდის თამაშს დასასრული არა აქვს. ვისაც დაეკარგება ქმარი, ანუ შვილი, ანუ ძმა, აქ დაეძებს, და ხშირად მოხდება, რომ კიდევაც იპოვნის ხოლმე. /კ. გვასალია/. (ივერია, N189, 1899 წელი);

***

სოხუმიდგან „ახ. მ“-ს აუწყებენ, რომ სოხუმის ქალაქის მოურავის თანაშემწედ არჩეული მოსკოველი მკურნალი კაზმინი არ იქმნა დამტკიცებული ამ თანამდებობაში და საგუბერნიო მთავრობას ქალაქის მოურავის თანაშემწედ დაუნიშნავს სოხუმის ქალაქის მკურნალი მ. დმიტრიევი, რომელიც უკვე შესდგომია თავისის თანამდებობის აღსრულებას. (ივერია, N192, 1899 წელი);

***

სოხუმიდგან „ახ. მიმ.“-ს სწერენ, რომ იქ 11 სექტემბერს დაასაფლავეს აზნ. პეტრე ბარკალაია, რომელიც ერთ-ერთ უძველეს მცხოვრებად ითვლებოდა ქ. სოხუმში. განსვენებულს თუმცა არავითარი განათლება არ მიუღია, მაგრამ ყოველ საზოგადო საქმეში უცხოველეს მონაწილეობას იღებდა. თვალ-საჩინო სამსახური მიუძღვის წინ განსვენებულს უმიწაწყლო მეგრელებით სოხუმის თავისუფალ ადგილების დასახლების საქმეში. ბარკალაიას დარჩა კარგა დიდი შეძლება. 5,000 მ. შესწირა მოზარდის თაობის განათლების საქმეს. (ივერია, N202, 1899 წელი);

წერილი სოხუმიდგან
(ბაღეულობისა და აბრეშუმეულობის გამოფენა)

17 სექტემბერს დაიწყო სოხუმში ბაღეულობისა და აბრეშუმეულობის გამოფენა. გამოფენის გახსნას დაესწრო ქუთაისის გუბერნატორი გენ. მაიორი გერშელმანი, დაწესებულებათა წარმომადგენელნი, ქალაქს მოურავი ხმოსნებითურთ და სხ. უმთავრესს მონაწილეობას გამოფენაში ადგილობრივი ბაღების პატრონები იღებდნენ. ზოგ მათგანს საკუთარი ფარდულები აქვთ გაკეთებული თავიანთ ექსპონატების დასაწყობად. იმათ მოსდევს სკოლები და შემდეგ კერძო კაცნი. ყვავილეულობისა და სადეკორაციო მცენარეულობათა შორის პირველი ალაგი დიდის მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის ბაღიდგან მოტანილს ექსპონატებს უჭირავს. რაც შეეხება ბოსტნეულობასა და მეფუტკრეობას, სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ ვერც ერთი ვერ შეედრება ბახვის (გურიაში) ორ კლასიან სასწავლებლის, ალექსანდროვსკის (სოხუმის ოლქის) ორ-კლასიან სასწავლებლის ექსპონატებს. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ალექსანდროვსკის ორ-კლასიან სასწავლებლის ექსპონატთა შორის უზარმაზარი გოგრები, რომლებიც თითო ექვსი შვიდი ფუთი იქნება და აფხაზური ვაზის „კაჭიჭის“ ნამორი, რომელიც იმოდენაა, რომ ადვილად შეიძლება ფიცრებად დაიხერხოს. ერთის სიტყვით, ბევრჯელ დაუმტკიცებია ამ სკოლის ზედამხედველს ბ-ნ ადაიას თვისი შრომის-მოყვარეობა და ცოდნა ამ საქმეში და ეხლაც არ ჩამორჩა სხვებს. ძალიან ჰკოჭლობს სოხუმის საცდელი მინდორი და სადგური: მათი ექსპონატები ისეთ ბნელს კუთხეში მიუკუჭნიათ, რომ ვერც კი შეამჩნევს კაცი; გარდა ამისა, მცენარეებს არ აწერია რა ხნის დარგულია ანუ დათესილი, რომ კაცმა წარმოდგენა იქონიოს, რა მცენარე როგორ ვარგობს უწყებულს ნიადაგზე, როგორც ფოთის სასწავლებელი მოქცეულა.

აბრეშუმეულობის ქსოვილებში შეუდარებელია ბათუმის სახელოსნო სასწავლებლისაგან გამოფენილი ქსოვილები. ვერ წარმოიდგენს კაცი, თუ ეს ჩვენებური ნაწარმოებია და არა საზღვარგარეთული. აქვეა ტიფლისის სააბრეშუმო სადგურიდგან მოტანილი საფეიქრო, ძაფის ამოსახვევი მანქანა და სხ.

19 სექტემბერს, ნაშუადღევს ოთხ საათზედ, ლექციების კითხვა იყო დანიშნული. ლექცია წაიკითხა ბ-ნმა კლაუსენმა ხეხილების მოშენებასა და მოვლის შესახებ. ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო და ვინც დაესწრო, ისიც ან ვაჭრები და ან მოხელეები. სოფლის ხალხი, რომელიც მიწას მუშაობს და რომლის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს გონივრული მოვლა-მოშენება ხეხილისა, სრულიად არ დასწრებია. ამის მიზეზად ის უნდა ჩაითვალოს, რომ გამოფენა არის გამართული ბულვარში, სადაც ისედაც ერიდებოდათ სოფლებს სვლა, და ეხლა, როდესაც ეს ბულვარი ათას გვარის ბაირაღებით ააჭრელეს და „კაკარდიანი“ ხალხით გაივსო, ჯოხითაც ვერავის შერეკავთ იქა; გარდა ამისა, შესვლისათვის ფული უნდა გადაიხადოს და ეს-კი ყველას არ შეუძლიან. ამ დღეებში აბრეშუმის მოვლისა და

ძაფის ამოხვევის შესახებ ლექციებს წაიკითხავს ქართულად ბ-ნი ქუთათელაძე. ცხადია, ქართველი საზოგადოება რომელიც მოკლებულია თავის დედაენაზედ გაიგონოს რამე სოხუმში, ისარგებლებს ამითი.

19-სავე საღამოს შვიდ საათზე, კრება ჰქონდათ ბაღეულობის კულტურის მოღვაწეთ, ადგილობრივის ბაღების პატრონებთან ერთად, ოლქის სამმართველოს დარბაზში. კრებაზე, როგორც თავჯდომარის ბ-ნ ლამაკინის სიტყვით გამოირკვა სოხუმის საცდელი სადგური და მასთან არსებული მინდორი ვერ ასრულებენ თავიანთ დანიშნულებასო. არ აქვთ საკმაო მცენარეები, რომ დააკმაყოფილონ მსურველნიო და ბაღიც ყოველთვის დაკეტილია და შეუძლებელია იმისი დათვალიერებაო. კრებამ გარდასწყვიტა დაათვალიეროს საცდელი სადგური და მასთან არსებული ბაღი; აღნიშნოს მისი ნაკლულოვანება და სთხოვოს, ვისაც ჯერ არს, შევსებულ იქმნას, რაც აკლია ბაღს.

შემდეგ ბ-ნმა შაროვმა სთქვა, რომ ხშირად მომმართავენ ხოლმე და მთხოვენ: შეიძლება, თუ არა აბრეშუმმა იმოდენი სარგებლობა მოიტანოს სოხუმის ოლქში, რომ ჰღირდეს მისთვის დროსა და შრომის დაკარგვაო. რომ აბრეშუმი სოხუმის ოლქში ივარგებსო, განაგრძო ბ-ნმა შაროვმა, ამას ის გვიმტკიცებს, რომ ძველად, ჩერქეზებისა და აფხაზების გაძევებამდის, აქ ეს დარგი წარმოებისა ჰყვაოდაო. ამის მოწამენი უზარმაზარი თუთის ხეებია, რომლებითაც ახლა სავსეა ტყეებიო. რაც შეეხება პარკის ღირსებას უნდა მოგახსენოთ, რომ ქუთაისის გუბერნიის პარკს პირველი ალაგი უჭირავს მარსელის ბაზარშიო. აბრეშუმი უსათუოდ დიდ სარგებლობას მოიტანს სოხუმის ოლქში, მხოლოდ საჭიროა თუთის კულტურულად გაშენება, რომ მეაბრეშუმეები ისეთ გაჭირვებაში არ ჩავარდნენ, როგორც წელს თუთის ფურცლის უქონლობის გამოო. ამისათვის საჭიროა საჩქოლეები იქმნას დაარსებულიო. კრებამ გარდასწყვიტა: აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, დაარსებულ იქმნას ორი საჩქოლე სოხუმის ოლქისა და შავი ზღვის გუბერნიისათვის. ამის შემდეგ კრებები გაიმართება ყოველ საღამოს, ვიდრე გამოფენის გათავებამდე. /მექი/. (ივერია, N207, 1899 წელი);

***

„ახ. მ.“-ს სოხუმიდგან სწერენ: აქამდე ვაჭრობას სოხუმში მხოლოდ კვირაობით სპობდნენ, წირვის დროს და ნაშუადღევის 2 საათის შემდეგ სხვა დღეებში-კი ნოქართა სამუშაო დრო არაფრით არ იყო განსაზღვრული. მუშაობას ისინი ჩვეულებრივ დილის 5 საათიდგან იწყებდნენ და ათავებდნენ ღამის 11 ან 12 საათზედ. ახალგაზრდა ნოქრების მდგომარეობა სწორედ საბრალისი იყო. ამ ბოლო დროს ნოქრებს ის მცირეოდენი მოსვენებაც-კი მოესპოთ, რომლითაც კვირაობით სარგებლობდენ, და მათივე ცხოვრება კიდევ უფრო აუტანელი შეიქმნა. ამ გარემოებამ აიძულა აქაური ნოქრები საერთო თხოვნა წარედგინათ ქუთ. გუბერნატორისათვის მათის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. გუბერნატორმა ეს საქმე სოხუმის ქალაქის საბჭოს გადმოსცა განსახილველად. საბჭომ ნოქრების შუამდგომლობა შესაწყნარებლადა სცნო და დაადგინა ვაჭრობის შეწყვეტა:

1) კვირაობით წირვის დროს დილის 9 საათიდგან 12 მდე და ნაშუადღევის 2 საათიდგან მთელის დღით;
2) უქმე დღეებში მთელი დღე და ღამით;
3) საქმის დღეებში საღამოს 9 საათიდგან დილის 6 საათამდე. (ივერია, N232, 1899 წელი);

დ. გუდაუთი (აბხაზეთი)

გუდაუთში იყრის თავს სოხუმ-ნოვოროსიის შუა გაყვანილ გზატკეცილზე მომუშავე ხალხი,

სულ რუსეთში შიდა გუბერნიიდგან დროებით ჩამოსულები. ზაფხულობით ეს მუშები დიდს განსაცდელი ცვივიან ციებ-ცხელების გამო: ციებ-ცხელებიან ჰაერს დაუჩვეველი ხალხი მთელი ზაფხულობით ავადობს აქ. ხშირად როგორც ზაფხულში, ისე ზამთარშიც ბევრს ჩაჰყვება ხოლმე ციება. ამ გვარ გაჭირვებულთა რიცხვში ბევრია წვრილი ცოლ-შვილიანი კაცი. (ივერია, N233, 1899 წელი);

***

ამ ბოლოს დროს სოხუმში ძალიან გავრცელდა „კაფე-შანტანები“, რომლებიც გარყვნილის ქალებით არის სავსე. ეს სასტუმროები სწორედ რომ საშინელი მახეა ხალხისათვის, რომლის ერთად-ერთ გასართობ ადგილებად მხოლოდ ყავახანები და სასტუმროები გამხდარა სოხუმში. ვაი მისი ბრალი, ვინც „კაფე-შანტანის“ ახლოს გაივლის. წინ მოეგებება სასტუმროს მოსამსახურე ტკბილ-მოუბარი და შეიპატიჟებს სტუმარს, დაჯდება თუ არა და დააპირებს რისიმე მოთხოვნას, მიუახლოვდება, ეგრეთ წოდებული „კაფე-შანტანის დირექტორი“, რომელსაც მოჰყავს ხელ-გამოდობილი ქალები და ეუბნება სტუმარს: აი, ამ ქალებს სურთ თქვენი გაცნობა. სტუმარიც, რასაკვირველია, დიდის სიამოვნებით გაეცნობა და ისიც მოჰყვება ხოლმე უსირცხვილო ღიტინს: მე ამით გამიმასპინძლდი და მე ამითო, და მანამ არ მოეშვებიან, ვიდრე ყველა მის ფულებს, და ხშირად ნივთებსაც, თუ გააჩნია, არ დაატოვებინებს. საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ გარემოებას და დაიკეტოს ეს სასტუმროები, რომლებსაც გარშემო პატიოსანი ოჯახები ახვევია. (ივერია, N237, 1899 წელი);

სოხუმის ქალაქის საბჭო

20 სექტემბერს იყო ჩვეულებრივი სხდომა სოხუმის საბჭოსი. ამ დღეს ბევრი ხალხი დაესწრო კრებას. ქალაქის მოურავმა პირველად წაიკითხა სოხუმის ნოქრების თხოვნა იმის შესახებ, რომ კვირაობით ვაჭრობა წირვის დაწყებამდე და წირვის გამოსვლიდამ ორ საათამდე იყოსო და დანარჩენს დროს თავისუფალი ვიყვნეთო. დიდ უქმეებში კი მთელი დღე ყოფილიყო შეწყვეტილი ვაჭრობა.

ხმ. სახოკია, მე მგონია, რომ შესაძლოა დიდ უქმეებშიაც და კვირაობითაც შეწყვეტილიყოს ვაჭრობა და თავისუფალი იყვნენ ნოქრები მთელს დღეს. ის აზრი, ვითომც სოფლელთ არ შეუძლიანთ საქმე დღეს მოცდენაო, უსაფუძვლოა. ეგრეც რომ იყოს განა იმათთვის კი საჭირო არ არის უქმეებში დაისვენონ და ღმერთს ევედრონ?

ხმ. ჯუღელი. თვით უფალმა ღმერთმა უბრძანა კაცს - ექვსი დღე იმუშავე და მეშვიდეს დაისვენეო, მგონია ყოველი პატიოსანი კაცის მოვალეობაა-არ დაარღვიოს ღვთის ბრძანება. საჭიროა, კვირა-უქმე დღეებში სრულიად თავისუფალნი იყვნენ ნოქრები.

ხმ. თ. გაბუნია. ის წესი შემოვიღოთ, რომელიც მახლობელ ქალაქებში არსებობს; დავეკითხოთ ქუთაისს, ტფილისს და ბათუმს.

ქალ. მოურავი. მე მგონია, უკეთესი იქნება, რომ კომისია ავირჩიოთ, მოვიწვიოთ თვით ნოქრები და იმათთან ერთად გარდავწყვიტოთ ეს საქმე.

ხმ. სახოკია. მე არც კომისიის არჩევის თანახმა ვარ და არც სხვის დაკითხვისა. ყველას თავისი სინდისი უნდა ამოძრავებდეს. დავეკითხოთ, ბატონებო, ჩვენს სინდისს და ისე გარდავწყვიტოთ.

კრებამ დაადგინა კვირაობით ვაჭრობა იქმნეს მხოლოდ დილიდგან წირვის დაწყებამდე და წირვის გამოსვლიდგან ორ საათამდე; დანარჩენ დროს კი თავისუფალი იყვნენ ნოქრები ორშაბათს დილამდე. სახელმწიფო და საეკლესიო უქმეებში-კი სრულიად შეწყვეტილ

იქმნას ვაჭრობა. საქმე დღეებში ვაჭრობა დაიწყონ დილის ექვს საათზედ და შესწყვიტონ საღამოს ცხრა საათზედ.

შემდეგ წაკითხულ იქმნა ს. მიმინოშვილის თხოვნა იმის შესახებ, რომ ჩემს ორს ქალს, რომლებიც სოხუმის პროგიმნაზიაში სწავლობენ, ქალაქის სტიპენდია დაენიშნოს, და განცხადება პროგიმნაზიის უფროსისა, რომ მოსწავლე ქალებს - მარ. კინწურაშვილს და ელეონორა მაევსკაიას არ შემოუტანიათ სწავლის ფულიო და შეიძლება საბჭომ სტიპენდია დაუნიშნოს მათაო. საბჭომ ორივე თხოვნა შეიწყნარა.

ხმ. ჯუღელი. კარგი იქმნებოდა, რომ მთიელთა სკოლის ზედამხედველსაც მიებაძნა პროგიმნაზიის უფროსისათვის: უთუოდ, იქიდგანაც მრავალი ღარიბი მოსწავლე იქმნება გამორიცხული ფულის შემოუტანლობის გამო.

ხმ. სახოკია. ხშირად მოხდება, რომ მდიდრის შვილებსაც არ შეაქვთ სწავლის ფული დაუდევრობის გამო. საჭიროა, ნამდვილად ვიცოდეთ სიღარიბე იმ ყმაწვილების მშობლებისა, რომელთაც ვათავისუფლებთ სწავლის ფულის შეტანისაგან.

ქალაქის მოურავმა წაიკითხა პოლიცმეისტერის თხოვნა, რომ საბჭომ წლიურად სამასი მანეთი მაძლიოს ეტლით სამოგზაუროდო.

ხმ. ჟუდრა. სამართლიანად მიმაჩნია რა თხოვნა ბ-ნ პოლიცმეისტერისა, საჭიროდ ვცნობ ბოქაულებსაც დაენიშნოთ წელიწადში ას-ასი მანეთი მაგ საგნისათვის. მხოლოდ ეს-კია სასურველი, რომ ეს ფული საქმეს მოხმარდეს, და არა მხოლოდ ჯამაგირის მომატებას შეადგენდეს.

ხმ. ჯუღელი. მეც ისე მგონია, როგორც ხმოსანმა ჟუდრამ განაცხადა, რომ ეს ფული მხოლოდ ჯამაგირის მომატება იქნება მათთვის და ამის თავიდგან ასაცდენად, ვგონებ, საუკეთესო იქნებოდა ქალაქს ეტლი შეეძინა და ამ ეტლით ესარგებლნა პოლიციას საჭიროების დროს.

ხმ. სახოკია. რადგან ყველა ქალაქს აქვს ამ საგნისათვის გადადებული ფული, სოხუმმაც უნდა გადასდოს. ჩემის აზრით, უნდა გადაიდოს პოლიცმეისტრისათვის 360 მან. და ბოქაულებისათვის ას-ასი მანეთი წლიურად, როგორც, მაგალითად, ფოთშია.

ხმ. აჯამოვი. დავუნიშნოთ პოლიცმეისსტერს 300 მან. და ბოქაულებს ორას-ორასი წელიწადში. შემდეგ მცირე კამათისა, საბჭომ გარდასწყვიტა კენჭის ყრით დაენიშნოს პოლიცმეისტერს 300 მან. და ბოქაულებს ას-ასი საჭიროების დროს ეტლით სამოგზაუროდ.

ქალ. მოურავმა წაიკითხა ხმ. ჟუდრას მოხსენება, რომელშიაც ეწერა, რომ ქალაქის თვით-მართველობამ ვერ გაგვიმართლა იმედებიო. სადაც-კი გაიხედავთ ყველგან საქმე კუს ნაბიჯებით მიდისო და ისიც-კი არ კეთდება, რაც უწინ კეთდებოდა, როდესაც ქალაქის საქმეებს პოლიცია განაგებდაო.

ხმ. სახოკია. ნება მიბოძეთ, გკითხოთ, ბ-ნო თავჯდომარე, გაქვთ უფლება ითავჯდომარეოთ ამ შემთხვევაში, თუ არა? ბერენსი ჟუდრას განცხადება იმას არა ჰნიშნავს, რომ მე სასჯელში ვიყო მიცემული. სახოკია: მე ვგონებ, კანონი არ გაძლევთ ნებას. ბერენსი ეძებს კანონის წიგნში და ცოტა ხნის შემდეგ ეუბნება გენერალ ლამაკინს: გსურთ მიიღოთ თავჯდომარეობა? გენ. ლამინკი. მე მსურდა გამეგო რას ამბობს კანონი, ანუ რომელი მუხლია.

ბერენსი: მე, მართალია მოგახსენეთ, არ ვიცი, რომელი მუხლია და ვერც მიპოვნია ეხლა. ამ დროს ვიღაც მაყურებელთაგანმა გადმოსჩურჩულა - 120 მუხლიაო, რის შემდეგაც ბ-ნმა ბერენსმა იპოვნა ეს მუხლი და წაიკითხა, რომ ნება არა აქვთ გამგეობის წევრთ მონაწილეობა მიიღონ ამნაირ საქმის გარჩევაშიო. თავჯდომარეობა მიიღო გენერალმა ლამაკინმა.

გენ. ლამაკინი. მე არა მაქვს წაკითხული მოხსენება ჟუდრასი. საჭიროა წავიკითხო, მოვიფიქრო და მერე შევუდგე საქმის გარჩევას. გთხოვთ გადავსდოთ ეს საქმე და დღეს დანარჩენი საგნები დავასრულოთ.

ხმ. სახოკია. მე გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, ეხლავე შევუდგეთ ჟუდრას განცხადების გარჩევას, რადგან ჯერი იმაზე მისდგა. რაც მოვასწროთ, მოვასწროთ დღესა, რაც არა და ხვალისათვის გარდავსდოთ.

ხმ. ჯუღელი. არც კანონი გვაძლევს ნებას გამოვტოვოთ რომელიმე საგანი და შემდეგზედ გადავიდეთ.

გემ. ლამაკინი. მაშ დავიწყოთ. (ჟუდრას) თქვენი მოხსენება უნდა „პუნქტებად“ დავყოთ და თვითეულს პუნქტზედ თქვენ უნდა საბუთი წარმოადგინოთ. (კითხულობს) დღითი დღე ქალაქის საქმეები უკან მიდის. არავინ ჰფიქრობს ქუჩების შეკეთება... (ჟუდრას) რა საბუთი გაქვთ ამის დასამტკიცებლად? რას ეძახით თქვენ ქუჩების შეკეთებას?

ხმ. ჟუდრა. რა საბუთი უნდა მქონდეს; ყველას ჰხედავს ქუჩების მდგომარეობას. ქუჩების შეკეთებას ვეძახით ქვიშის მოყრას, ჩაღრმავებულ ალაგების ამოვსებას და სხვა.

ხმ. სახოკია. თქვენო აღმატებულებავ! არ არის თქვენთვის საჭირო მდივანი? აირჩიეთ ვინმე.

გენ. ლამანიკი. ჰოდა, მე ვარ მდივანიც. (კითხულობს) ქალაქი უბადრუკს მდგომარეობაში იქნება ცეცხლს გაჩენის დროს, რადგან არ აქვს ხეირიანი საქრობი მანქანა... (ჟუდრას) ამისა რა საბუთი გაქვთ?

ხმ. ჟუდრა. ყველამ იცის, რომ არ მოგვეპოვება ცეცხლის საქრობი მანქანა.

სახოკია. ჩვენ თუ ეგრე მივყევით, ვერაფერს ვერ გავაკეთებთ. ჯერ პირველი „პუნქტის“ შესახებ არაფრი განაჩენი დაუდგენია საბჭოს და შემდეგზედ გადადიხართ, აქ მარტო თქვენ და ჟუდრა კამათობთ ერთმანეთში, ხანდახან მეც გამოვერევი და ამით თავდება საქმე. ნუ თუ სამი კაცი შეადგენს საბჭოს? გარდა ამისა, ოქმი არ იწერება, სიტყვები უმრავლესი იკარგება ჰაერში. ბოლოს, როცა გავათავებთ მაგ მოხსენებას ამ რიგად, როგორც ეხლა მიდის საქმე, რა უნდა დავასკვნად? გთხოვთ, აირჩიოთ მდივანი, თორემ თქვენთვის ყოვლად შეუძლებელია მდივნობაც და თავჯდომარეობაც.

გენ. ლამაკინი. მე აქ ვნიშნავ ქაღალდზედ მე არავინა მყავს სახეში, რომ ავირჩიო. (განაგრძობს კითხვას) ათობით ხიდია დანგრეული და შეკეთებას საჭიროებენ. (ამ დროს მაყურებელთა შორის გაისმის ხარხარი).

გენ. ლამაკინი. ვინც მანდ ხარხარებთ, გთხოვთ გაბრძანდეთ გარეთ.

სახოკია. თქვენო აღმატებულებავ, როცა წაიკითხოთ რომელიმე პუნქტი მოხსენებისა, დაეკითხეთ საბჭოს, გაიგეთ აზრი ხმოსნებისა და შეიტანეთ ოქმში განაჩენი, თორე ეგრე ვერას გავხდებით.

გენ. ლამაკინი. ეს შეიძლება ეხლაც გასწორდეს. წაიკითხა ისევ თავიდამ მოხსენება. ხმოსნებს უთხრა, ვინც თანახმანი ხართ, რომ ქუჩები შეუკეთებელია ქალაქში, იჯექით და ვინც არა, ადექითო. არავინ არ ადგა.

შემდეგ წაიკითხა ისევ ხიდების შესახებ და შეეკითხა ჟუდრას, რა საბუთი გაქვთ, რომ ხიდები არ არის შეკეთებულიო.

ჟუდრა. მე ვერ ვიტყვი, რომ ყველა ხიდი შეუკეთებელი იყვეს: არის შეკეთებული რამდენიმე ხიდი. მაგრამ ეს შეკეთება გამგეობის სურვილმა-კი არ გამოიწვია, არამედ იმან, რომ

გუბერნატორი რომ მობრძანდებოდა სოხუმში, იმ ქუჩებზედ უნდა გაევლო, სადაც ხიდები გაფუჭებული იყო. ეს გუბერნატორის მოსვლის წინა დღით შეამჩნიეს, და, რადგან მუშები ვერსად იშოვნეს, ჩემის მუშებით გავაკეთე მე თვითონ..

სახოკია. მე ვიცი, რომ სამი მეოთხედი ხიდებისა შეუკეთებელია.

გენ. ლამაკინი. რამდენი ხანია, რაც პოლიციისაგან საქმეები მიიღო გამგეობამ?

ჟუდრა. სამი თვე იქნება.

გენ. ლამაკინი. სამი თვე არამც თუ თვითმმართველობის არსებობაში, ადამიანის სიცოცხლეშიაც არაფერს არ ნიშნავს. არ შეიძლებოდა, რამე თვალსაჩინო გაკეთებულიყო ასე ცოტა ხანს.

ჟუდრა. არამც თუ გარეთ, აქაც, სადაც ჩვენ ვზივართ, ვერ ვუყურებ რისამე შესახებ მზრუნველობას, გამგეობა იმასაც კი არა სცდილა, რომ ერთი ქონის სანთელი მაინც დაენთო დერეფანში, რომ კისრები არ დაგვემტვრია ბნელაში.

გენ. ლამაკინი. დარწმუნებული ვარ, რომ ყველა თქვენ შენიშვნაზედ პატივსადები საბუთი ექნება გამგეობას, რომელსაც ის უსათუოდ წარმოადგენს.

სახოკია. თქვენ, როგორც ჩანს, აქ გამგეობის დაცვა იკისრეთ.

გენ. ლამაკინი. მე არც მიკისრია გამგეობის დაცვა და არც ნება მაქვს მაგისი. მე მხოლოდ ვთქვი, რომ გამგეობას უსათუოდ ექნება პატივ-სადები საბუთები მეთქი.

ხმ. მეტაქსა. ჩემის აზრით, კარგი იქნებოდა კომისია აგვერჩია, რომელსაც უნდა დაევალოს ქუჩების დათვალიერება და ანუ სხვა, სად რა ნაკლულევანება არის, თორემ ჩვენ აქ ვსჯით და არ ვიცით კი რასა.

ჯუღელი. ბ-ნი ჟუდრა ისე მოქცეულა, როგორც კეთილ-სინდისიერი ხმოსანი: თვალ-ყური უდევნებია ყველაფრისათვის, შეუმჩნევია, სად რა ნაკლულოვანება აქვს ქალაქს და აღუნუსხავს გამოსაქვეყნებლად. იმის ლაპარაკი, რომ უცოდინაროდ სჯა არ შეიძლებაო, მართალია, მაგრამ ისიც მართალია, რომ რომელმა ხმოსანმაც არ იცის, რა ხდება მის გარშემო, ის არ ასრულებს თავისს დანიშნულებას.

შემდეგ ხმები გაიყო. ზოგი იძახდა, კომისია ავირჩიოთო, ზოგიც იმას, რომ ამ კომისიის დამტკიცებას კიდევ თვეები უნდა ვუყუროთ ტყუილადო და არც არის საჭიროო.

გენ. ლამაკინი. ვისაც გსურთ აირჩეს კომისია, იჯექით და ვისაც არა ადექით. უმრავლესობამ არჩია ჯდომა, როგორც ყოველთვის. ამის შემდეგ თავჯდომარემ გამოაცხადა, რომ ახლა კრებას ვსპობ ხვალამდეო. დარბაზში შემოვიდნენ ისევ მოურავი და მისი თანაშემწე და დაიჭირეს თავიანთი ადგილები.

ქალ. მოურავი ბერენსი. გავათავოდ, ბატონებო, ბარემ რაც დარჩა. კითხულობს თხოვნებს იმ ხმოსნებისას, რომლებიც ხმოსნებისაგან განთავისუფლებას თხოულობდნენ. სულ ხუთ კაცს შემოეტანა თხოვნა. ბ-ნმა ბერენსმა წინადადება მისცა ხმოსნებს, შეიძლება გსურთ სთხოვოთ, რომ დარჩნენ ისევ ეს ხმოსნები, რომელნიც წასვლას აპირებენო. საბჭომ უარი განაცხადა და მათ მაგიერ დასახელებულ იქმნა კანდიდატები. ამ დროს წამოდგა თვით გენერალი ლამაკინი, დაუკრა თავი ყველას და სთქვა, მეც აღარა მსურს აწი ხმოსნად დარჩენაო, და გავიდა. საბჭოს თავჯდომარედ გენ. ლამაკინის მაგიერ საბჭომ აირჩია კერძო ვექილი ლევიცკი, რომელიც უკვე წარდგენილ იქმნა დასამტკიცებლად. /მექი/. (ივერია, N237, 1899 წელი);

***

როგორც „ახ. მ.“-ს სწერენ, სოხუმში პეტერბურგიდგან ამბავი მისულა, რომ სოხუმის ეპისკოპოსი არსენი, მოხუცებულობის გამო, თავს ანებებს ეპისკოპოსობას და მის ადგილზედ ინიშნება ტფილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორის თანაშემწედ ნამყოფი ყოვლად სამღვდელო ისიდორეო. (ივერია, N241, 1899 წელი);

წერილი გუდაუთიდგან
(აფხაზეთი)

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, აგერ სამი წელიწადია, რაც დაბა გუდაუთას აღეკრძალა მსურველთათვის მიეყიდნა თავისუფალი სამოსახლო მიწები და ამით ჩვენის დაბის წინმსვლელობა-წარმატება შეჩერდა, შეფერხდა მცირე ხნით მაინცა. საქმე ის არის, რომ დაბას უმაღლესად ნაბოძები აქვს 800 დესიატინა მიწა და 500 ნაჭერზედ მეტი თავისუფალი დაგეგმილი სამოსახლო ნაჭერი. მდიდარმა და მშვენიერმა ბუნებამ, ზღვის პირად მდებარეობამ, საღმა ჰავამ და მიწის სიიაფემ, ჩვენს დაბას ბევრი მუშტარი უშოვნა, რომელთაც ჰსურთ აქ დასახლდნენ. მსურველთა უმრავლესობას შეადგენს პეტერბურგისა და მოსკოვის დიდკაცობა. მაგრამ დღემდის დაბას არა ჰქონდა ნება ეს თავისუფალი სამოსახლო ნაჭრები გაეყიდნა. ამ გაზაფხულზე-კი საზოგადოებას, თავისისავე თხოვნის თანახმად, მოუვიდა უფლება სამოსახლო მიწები მიჰყიდოს მსურველთ, განურჩევლად ეროვნებისა. აგრეთვე ბრძანება მოუვიდა ადგილობრივ პოლიციას და სადაბო თვით-მმართველობას მოიყვანონ ცნობაში აქამდის კანონიერად, თუ უკანონო კერძო კაცთა მიერ დასაკუთრებული ადგილები. ამ უკანასკნელის ბრძანების აღსრულებას დაუყოვნებლივ შეუდგნენ. თუ ძალად მამულების დამჩემებელთ დაესაკუთრა ეს ადგილები, მაშინ წაერთმევა იგი იმ ხალხს, რომლის დაუცხრომელის შრომითა და სისხლ-ნარევ ოფლითა ბაყაყთა საკონცერტო ჭაობებიდგან მშვენიერ თვალ-წარმტაც პატარა ქალაქად იქცა ჩვენი გუდაუთი! ძალიან კარგი იქნება, რომ უმაღლესი მთავრობა წაექომაგოს ამ უსიტყვო ხალხს და იმათი ბედი უკუღმართად არავის გადააწყვეტინოს. აქვე საზოგადოების საყურადღებოდ ვიტყვი, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენს საუცხოვო მხარეს მიაქცია ყურადღება როგორც მეცნიერებამ, აგრეთვე მთავრობამ და საზოგადოებამაც, და შორს არ არის ის დრო, როცა აქამდის მივიწყებული ჩვენი მხარე კავკასიის ერთ საუკეთესო დამამშვენებელ მხარედ გარდაიქცევა. პეტერბურგის პროფესორის პასტერნაცკის აზრით, გაგრის ხეობა არამც თუ არ ჩამოუვარდება ბუნების სიმშვენიერითა და ჰავის სისაღით მთელს ევროპაში ცნობილს ნიცცას, არამედ ბევრითა სჯობს. აქ დიდი ფაცა-ფუცია მამულების ყიდვისათვის. ჩვენს საზოგადოებას ვურჩევთ დროზედ მოჰკიდოს ხელი და შეიძინოს როგორც თვით დაბაში, აგრეთვე სოფლადაც მიწა-მამული. ჯერ-ჯერობით ეს ხელმოკლე კაცისათვისაც ადვილ მოსახერხებელია. ამ მოკლე დროში გუდაუთში გაიყიდება სამას ნაჭრამდე სამოსახლო მიწა (250 ოთხ. კ. საჟ.) და თითო ნაჭერი ჰფასობს 25-300 მან. გაყიდვის დღე გაზეთში იქნება გამოცხადებული. ამ შემოდგომაზედ ავირჩიეთ დაბის მამასახლისი, დეპუტატები და მამასახლისის თანაშემწე. არჩეულ იქმნენ ბ-ნნი ბელმოვსკი, ალტუნინი და კონოპლია. ძველი მამასახლისი ბ-ნი სვიმონ ჩაჩავა და დეპუტატი დიმიტრი ნადარეიშვილი-კი დათხოვნილ იქმნენ. მიზეზი დათხოვნისა არავინ იცის; თუმცა ამბობენ, რომ ეს მიზეზი უმიზეზობაა. /ჰამუტ-ბეი/. (ივერია, N242, 1899 წელი);

წერილი აფხაზეთიდგან

დღე არ გაივლის, რომ ქურდობა არ მოხდეს. ვის ხარებსა ჰპარავენ, ვის ცხენსა და სხ.

ერთი სიტყვით, სულ აგვიკლეს ქურდებმა. მოიპარავს ქურდი ცხენს და მშვიდობით! ამ გარემოებებში ჩავარდნილმა სოფლელმა აღარ იცის, რა ჰქმნას; ცხენი თუ ჰყავს, ანუ ხარები, თავისად აღარ მიაჩნია რადგან იცის, რომ დღეს თუ ხვალ მაინც ქურდი იგდებს ხელში და თითონ კი ცალიერ ტარიელი დარჩება. ამ დღეებში სოფ. ბაბუასარაში შვიდამდე ცხენი და ხარები დაიკარგა; ს. დრანდაში მარტო ერთ რუსს მოჰპარეს სამი ცხენი.

დღეს თითქმის ყოველ ქრისტიან ერსა აქვს ეკკლესია და ჰყავს თავისი მოძღვარი. სადაც ნახევარზედ მეტი მაჰმადიანი ანუ სხვა სარწმუნოებისა სცხოვრობენ, იქაც-კი არსდება ეკკლესიები და იგზავნება მღვდლები მართლ-მადიდებლობის გასავრცელებლად. აქ კი, ჩვენს ბედუკუღმართს მხარეში, სულ სხვანაირად ტრიალებს ჩარხი! აქ ვინც ძველთაგანვე ნამდვილი ქრისტიანეა, მოკლებულნი არიან ეკკლესიასაც და მღვდელსაც. სხვა რომ არა ვთქვათ რა, თავ. გ. დ. შერვაშიძის მამულში მცხოვრებ ორას კომლამდე მეგრელთ არცა აქვთ თავისი ეკკლესია და არცა ჰყავთ მღვდელი. ესენი მხოლოდ მეზობელ სამრევლოს მღვდლებსა ან დრანდის მონასტრის ბერებს თუ მიჰმართავენ ხოლმე მღვდელ-მოქმედების ასასრულებლად, თორემ მეტი არა დარჩენიათ-რა. ცოტა რომ ვთქვათ, ორას კომლში რვა ასამდე სული ქრისტიანი მაინც იქნება, და ნუ თუ ამოდენა ქრისტიანენი უეკკლესიოდ და უმღვდლოდ უნდა იყვნენ დარჩენილნი?

სრული იმედი გვაქვს, რომ ამოდენა ქრისტიანთა უნუგეშო მდგომარეობას ყურადღებას მიაქცევენ როგორც თავ. გ. დ. შერვაშიძე, მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმდგენელ საზოგადოების მისსიონერები მამა ივანიცკი და თვით მამულის მოურავი ბ-ნი მ. თოფურიძე და ერთმანეთთან მორიგებით და დახმარებოთ ეცდებიან, რომ დააკმაყოფილონ ქრისტიან მცხოვრებლების სულიერი მოთხოვნილება. /მკვიდრი/. (ივერია, N263, 1899 წელი);

დაბა და სოფელი
(მოწერილი ამბავი)

ს. დრანდა (აფხაზეთი). ამ ორის წლის წინად სოხუმის ოლქის ბევრს მცხოვრებს არც-კი ესმოდა, რა არის მეაბრეშუმეობა და რა სარგებლობა მოაქვს ადამიანისათვის ამ მეურნეობის საუკეთესო დარგს. მხოლოდ შარშან კავკასიის სააბრეშუმო სადგურის მეაბრეშუმემ ბ-ნმა ზანისმა აბრეშუმეულობის გამოფენა გაჰმართა სოხუმის ოლქის სოფ. დრანდაში; გამოფენის აზრი, რასაკვირველია, ის იყო, რომ ხალხი გასცნობოდა მეაბრეშუმეობას და გავრცელებულიყო იგი აქაურ ეკონომიურად დაქვეითებულს მცხოვრებთა შორის. კეთილმა აზრმა გამოფენისამ სასურველს საწადელს მაინც ვერ მიაღწია, რადგან სოფლისაგან ნაკეთებ აბრეშუმის პარკს ბაზარი ვერ მოუპოვეს და ბევრს თავისი პარკი სახლშივე დარჩა დაუმუშავებელი და გაუფუჭდა. დაშინებულმა სოფლელებმა ბევრმა წრეულს აღარ მიჰყო ხელი აბრეშუმის მოყვანას. საჭირო შეიქმნა კერძო კაცთა დახმარება, რომ მცხოვრებთა შორის აღმართულიყო სურვილი აბრეშუმის მოყვანისა და აი, სწორედ ამ აზრით თავი გამოიდვა დრანდის ერთმა მუჭა ინტელიგენციამ და ამ წლის მარტიდგანვე შეუდგა მეაბრეშუმეთა ამხანაგობის შედგენას. დრანდის ინტელიგენციის სანუკვარო აზრს სრული თანაგრძნობა მოჰყვა და სულ მცირე ხანს ამხანაგობაში ასთორმეტამდე ახალი წევრი ჩაეწერა.

ამხანაგობა შეეცადა ამ წელშიაც რაიმე ნაყოფი გამოეღო და სარგებლობა მეაბრეშუმეობისა აშკარად დაენახვებინა ხალხისათვის. ამ აზრით ამხანაგობამ დაურიგა ხალხს საღი ჭიის თესლი, გააწყო პარკის სახმობი და სახრჩობი, დაიქირავა მცოდნე კაცი პარკის მოვლა-გახმობისათვის და შეუდგა სოფლელთაგან პარკის შესყიდვას. მაგრამ ნუ იტყვით, თურმე ის დაწყევლილი ჩარჩები თვალით უხილავ სენსავით დაჰფრინავენ და სადაც არა გგონიათ

მათი ჭაჭანება, იქ ამოჰყოფენ ხოლმე თავს. წრეულს რამდენსამე ასეთმა ჩარჩმა ნახევარზედ მეტი აფხაზეთი დაიარა და ავადმყოფი აბრეშუმის ჭიის თესლი შეატყუეს ხალხს. თითო ექვს მისხლიან კოლოფს ასეთი თესლისას 4 მან. 50 კაპ. ნაკლებ არ აძლევდნენ ხალხს და ვისაც ფული არა ჰქონდა, თესლს სანახევროდ უტოვებდნენ იმ პირობით, რომ მოწეულ პარკის ნახევარი მკეთებელს უნდა დარჩენოდა და ნახევარი კი ჩარჩს წაეღო. ასეთი იყო ჩარჩის განზრახვა; ორნაირად უნდოდა გაეტყავებინა ხალხი და პარკიც მუქთად ჩაეგდო ხელში. მაგრამ ჩვენმა ნორჩმა ამხანაგობამ წრეულს სწორედ სულზედ მიასწრო ჩარჩებთან საბრძოლველად. ჩარჩებმა ნედლის პარკის ფასი ფუთზედ 7-8 მან. გამოაცხადეს სოფელში, ხოლო ჩვენი ამხანაგობა - კი 12 მან. აძლევდა თითო ფუთში და ამით ჩარჩებიც აიძულა ასეთივე ფასი ეძლიათ.

ამხანაგობის მოქმედების გათავების შემდეგ, 10 ღვინობისთვეს წევრთა საზოგადო კრება მოიწვიეს ს. დრანდაში ამხანაგობის მოქმედებისა და ანგარიშების განსახილველად და ამხანაგობის სხვა და სხვა საქმის გარდასაწყვეტად. ანგარიშებიდან აღმოჩნდა, რომ წრეულს ამხანაგობას ფულად და ავეჯად წმინდა მოგება 524 მან. 56 კაპ. დარჩენია. კრებამ დაამტკიცა ანგარიში და თან დაადგინა, რომ ამხანაგობა უსათუოდ იქმნას დაარსებული ს. დრანდაშიო და ოთხი კაცისაგან ამოირჩია კომისია, რომელსაც დაევალა ამხანაგობისათვის წესდების შემუშავება და იმის დამტკიცებისათვის ზრუნვა. /აფსუა/. (ივერია, N267, 1899 წელი);

1899 წელი

გაზეთი ,,ცნობის ფურცელი''

ყოვლად სამღვდელო გრიგორი სოხუმის ეპისკოპოსად

როგორც „ნოვ. ობ."-ს სოხუმიდან ატყობინებენ, პეტერბუგიდან ამბავი მისულა, რომ სოხუმის ეპისკოპოსი ქ. ტულის კათედრაზე გადაყავთო. ხოლო არსენის ადგილზე კი ნიშნავენ გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოსად ნამყოფს მოსკოვის სინოდალურ კანტორის წევრს ყოვლად სამღვდელო გრიგორს. (ცნობის ფურცელი, N722, 1899 წელი);

გუდაუთი (აფხაზეთი). ახალი წელი და ახალი ამბები

ახლად შემოღებულმა წარმოდგენამ ყურადღება მიიქცია. არტისტებმა წინდაწინვე გამოაცხადეს, რომ იანვრის ექვსს წარმოდგენა გვექნება და ბილეთები გაგვისაღეთო; მართლაც და დანიშნულს დღეს მოვიდენ სტუმრები სასტ. „კავკაზში", სადაც წარმოდგენა იყო დანიშნული; მაგრამ საუბედუროდ - მაყურებლებს არ ღებულობდენ, რადგანაც „სეკრეტნი" წარმოდგენა გვაქვსო, აბა რას იზამდენ, გულხელ-დაკრეფილნი უკანვე დაბრუნდნენ. ერთად-ერთი მამა-პაპური რამ დარჩენილა: ახალ წელს მეზობლების ერთმანეთში მილოცვა. ეს ერთი კი ძველებურათ შეასრულეს, მაგრამ ამასაც არ ჰქონდა ძველებური ფერი, „ვიზიტათ" მოსიარულენი ერთობ განსაცდელში ჩავარდენ აფხაზებისაგან. ყმაწვილები მწკრივ-მწკრივათ ქუჩებზე მწყობრათ მიდიოდნენ თან ნელის ღიღინით, რომელსაც აფხაზების ურემი ბანს აძლევდა. ბოლოს როდესაც მოთმინებიდან გამოვიდენ „მოვიზიტენი" პოლიციასთან დააბეზღეს აფხაზები. „დღეს დიდი დღეა, ახალი წელია და ესენი ურმით დადიანო". პოლიციამაც შეიპყრო რამოდენიმე მათგანი და დაატუსაღა. (ცნობის ფურცელი, N723, 1899 წელი);

სოხუმი. მოსულ ავადმყოფთა მდგომარეობა

აქ მოსულ ავადმყოფებს მეტად გაჭირვებული აქვთ ცხოვრება. გარდა იმისა, რომ ბინები აქ მეტად ძვირია, ავადმყოფებს სიცოცხლე აქვთ მოწამლული ბინების პატრონთა თავგასულობისაგან. აი ერთი მაგალითი: ამას წინად სოხუმში ჩამოვიდა ვარშავის უნივერსიტეტის სტუდენტი ჩერსაკოვი და დადგა „ფრანციის“ სასტუმროში. რამდენიმე დღის შემდეგ სასტუმროს პატრონმა იმ მოსაზრებით, რომ სტუდენტს დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დარჩენიაო, მოსთხოვა მომაკვდავ ყმაწვილს, გადი ჩემ სასტუმროდგან და „სადაც გენებოს“, იქ წადიო. საბრალო სტუდენტს ვერაფერი უშველა მისმა წინააღმდეგობამ ასეთი უკანონო და უკაცურ მოთხოვნაზე, ის ძალდატანებით გააგდეს ავდარში გარეთ ქუჩაზე. საცოდავი ახალგაზდა კაცი მთელი დღე ეძებდა ბინას, მაგრამ, როგორც მძიმე ავადმყოფი, არავინ შეუშვა სახლში. ავადმყოფობით და სიცივით ღონე მიხდილმა სტუდენტმა ბოლოს საშინელი ტანჯვა წამების შემდეგ, როგორც იქმნა იშოვა შესაფერი, მაგრამ მესამე დღეს სულიც განუტევა. ასე მოუწამლა უკანასკნელი წუთები უბედურ ყმაწვილს სასტუმროს პატრონის უგულისობამ. („ნოვ. ობ.“). (ცნობის ფურცელი, N731, 1899 წელი);

სოხუმის ეპისკოპოსი

გაზ. „მწყემსი“ უარყოფს იმ ცნობას თითქო სოხუმის ეპარქიის ეპისკოპოსად ინიშნებოდეს ყოვლად სამღვდ. გრიგორი. (ცნობის ფურცელი, N744, 1899 წელი);

რევიზია სოხუმში

5 თებერვალს სოხუმში მივიდა ქუთაისის სამხედრო გუნერნატორის თანაშემწე გენ. მ. სამოილოვი, სოხუმის საოლქო მმართველობისა და ადგილობრივი პოლიციის სარევიზიოდ. (ცნობის ფურცელი, N750, 1899 წელი);

თეატრის მატიანე

სოხუმი. ქართული წარმოდგენა. კვირას, 7 თებერვალს, ადგილობრივი კლუბში კნეინა დადიშქელიანის მეთაურობით გამართულ იქმნა საქველმოქმედო აზრით ქართული წარმოდგენა. დადგმულ იქმნა აქვსენტი ცაგარლის ცნობილი კომედია „ხანუმა“. თვითონ „ხანუმას“ როლს თამაშობდა განგებ ამ საღამოსთვის მოწვეული ჩვენი ნიჭიერი მსახიობი ქალი ნატალია გაბუნია-ცაგარლისა. დანარჩენი როლები განაწილებული ჰქონდათ ადგილობრივ სცენის მოყვარეთა. სახელდობრ მონაწილეობას იღებდნენ: კნეინა არმინდა მიქაძისა, ქ-ნნი ბ. ხრამელაშვილისა, მაკრ. თურქიასი და ან. ჩხენკელისა, ბბ. ხოხიაშვილი, რაჟდენ ქუთათელაძე, დ. თავზარაშვილი, პეტრე ჩაჩავა და თ. სახოკია. პიესა საკმაოდ კარგად ითამაშეს. განსაკუთრებით ქალებმა ისახელეს თავი. ვაჟებში ყველაზე მეტად ბ-ნს დავ. თავზარაშვილს ეტყობოდა სავსებით შეეგნო თავისი როლი, ხმა, მიხვრა-მოხვრა, კილო ლაპარაკისა - ნამდვილ გლეხისა ჰქონდა. ასე, რომ მისმა პატარამ, მაგრამ შეგნებულად შესრულებულმა როლმა მეტად ასიამოვნა მაყურებელნი. თვით ნ. გაბუნია-ცაგარლისაზე ის უნდა ითქვას, რომ დამსწრე საზოგადოებისთვის დაუვიწყარი იქნება ეს საღამო მისი მეოხებით. ამ საღამოს სოხუმელებმა სოხუმის სცენაზე პირველად ნახეს როგორც თვით მშვენება ჩვენის სამშობლო სცენისა პატივცემული ნატ. გაბუნია-ცაგარლისა, ისე მართლა ნიჭიერად მოთამაშე ქართველი მსახიობი ქალი. ტაშის კვრასა, ვაშას ძახილს და სცენაზე გამოწვევას დასასრული არა ჰქონდა. სოხუმელები განებივრებულები არ არიან ამისთანა

ნიჭიერ მსახიობების ნახვითა, ამიტომ ამ ღამეს სულითა და გულით ისიამოვნეს. ნიშნად გულითადი პატივისცემისა მადლიერმა საზოგადოებამ პატივცემულ მსახიობ-ქალს საჩუქრად მიართვა ძვირფასი გულის ქინძისთავი, ვერცხლის დანა-ჩანგალი, კოვზი და მშვენიერი თაიგული ცოცხალი ყვავილებისა. კლუბის დარბაზი სავსე იყო ხალხით, ბევრი ფეხზე იდგა, ბევრიც უადგილობის გამო შინ დაბრუნდა. წმინდა შემოსავალი თორმეტ თუმნამდე დარჩა, რომელიც უნდა გადაეცეს ერთს ხელ-მოკლე ქართველ სტუდენტს. გულითადის მადლობის ღირსია პატივცემული კნეინა ელისაბედ დადიშქელიანისა, რომელმაც თავთ იდვა ესოდენი შრომა და ერთის მხრით ხელი გაუმართა ღარიბ მოსწავლე ქართველს და, მეორე მხრით, აქაურს საზოგადოებას, რომელიც დაინტერესებული იყო ქართულს წარმოდგენას, შეძლება მისცა დამტკბარიყო აქაურს სცენაზე ჩვენის მსახიობ ქალის ნიჭიერ თამაშობის ყურებითა. (ცნობის ფურცელი, N750, 1899 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი), უსუფთაობაზე

სამწუხაროა ოჩამჩირის ქუჩების და საზოგადოდ დაბის სანიტარული მდგომარეობა. ასეთი უსუფთაობა ჯერ არ მოგვსწრებია ოჩამჩირეშიო, ამბობენ მოხუცნი. ვერც ერთს ქუჩაზე კაცი ვერ გაივლის ისე, თუ ცხვირზე ხელი არ მიიფარა. სასურველია, რომ დაბის პატრონებმა თვალი გააღონ და იზრუნონ თავიანთ ჯანმრთელობისთვის, თორემ სანამ ინდოეთიდან გვესტუმრებოდეს, მანამდის ოჩამჩირეში დაიბადება სახელოვანი შავი ჭირი. ამინდები და ავადმყოფობა. ჩვენს აფთეკარს კიდევ არა ჰყავს თანაშემწე. ჩვენს დაბაში ყელ-ჭირვებაა; მომრიგებელ მოსამართლეს ორი შვილი მოუკლა. თოვლი ჩვენში არ მოსულა, ამ უკანასკნელ დროს სუსხიანი ტაროსი დაიჭირა. /კ. გვასალია/. (ცნობის ფურცელი, N753, 1899 წელი);

სოხუმი. ბაღის გაჩეხა

12 თებერვალს ღამით ადგილობრივ საქალაქო ბაღში ვიღაც ბოროტმომქმედმა გასჩეხა ყველა პატარა ნაძვის ხეები, რომლებიც ბაღის მშვენებას შეადგენდნენ. ბაღს არ გააჩნია არავითარი ზედამხედველობა და მოვლა-პატრონობა, თორემ, რა თქმა უნდა, ასეთი გულის ამმღვრევი ამბავი არ მოხდებოდა.

უსუფთაობა. რაც დრო გადის, ქალაქის უსუფთაობა სულ უფრო და უფრო მატულობს. ქუჩები და თხრილები გავსებულია ყოველგვარი სიბინძურით, რომელიც საძაგელ მყრალ სუნს უშვებს. თვით ქალაქის შუაგულში დამდგარია წუმპე, რომელშიც სხვა და სხვა გვარი გადანაყარი მცენარეულობა ლპება და ჰაერს წამლავს. ბაზრის მოედანი აგრეთვე სავსეა უწმინდურობით! სასაკლაოს სიბინძურე ხომ არც-კი აიწერება. ერთი სიტყვით, სოხუმი, იმის მაგივრად რომ სამკურნალო ადგილად გამოდგეს ავადმყოფთათვის, რომლებიც აქ რუსეთის ყოველ კუთხიდან მოეშურებიან ჰაერისათვის, ლამის თვითონ გადაიქცეს ყოველი ავადმყოფობის ბუდედ. (ცნობის ფურცელი, N754, 1899 წელი);

ქალაქის არჩევნები სოხუმში

3, 4, 5, და 6 მარტს დანიშნულია სოხუმში ქალაქის ხმოსნების არჩევნები. ასარჩევია 41 კაცი. ქალაქის მოურავად ჯერ არავის ასახელებენ. ამას წინად რამდენიმე ამრჩეველმა განიზრახა წერილით წინადადება მიეცათ სოხუმელ სახლის პატრონის, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის ა. ა. ოსტროუმოვისათვის, რომ მას კენჭი ეყარა სოხუმის ქალაქის მოურავის თანამდებობაზე, მაგრამ შემდეგ ორი-სამი ამრჩევლის წინადადებით გადასწყვიტეს, სანამ

ხმოსნების არჩევნები არ გათავდება, წერილს ნუ გავაგზავნითო. (ცნობის ფურცელი, N762, 1899 წელი);

სოხუმის საქმეები

როგორც მოხსენებული გვქონდა, სოხუმის პოლიცმეისტერი შტაბს-კაპ. კოტლიაროვი და ქალაქის ბოქაული ზავოროტინი სამსახურს თავს ანებენენ. ახლა „ახ. მიმ.“-ს სწერენ, რომ ხსენებულ პირთაგან სამსახურის დატოვება გამოუწვევია ქუთაისის ქალაქის საქმეთა საკრებულოს სოვეტნიკის ცელიარიისკისაგან სოხუმის პოლიციის რევიზიას. იმავე გაზეთს ატყობინებენ იქიდანვე, რომ სოხუმის ქალაქის საბჭოს ხმოსნების მომავალ არჩევნებზე თავმჯდომარედ დანიშნულია, პოლიცმეისტერის კოტლიაროვის მაგივრად, სოხუმის ოლქის უფროსის თანაშემწე პოდ-პოლკ. დე-სიმონი. (ცნობის ფურცელი, N767, 1899 წელი);

არჩევნები სოხუმში

სოხუმის ხმოსანთა არჩევნები ოთხის წლის ვადით (1899-1902წ.) ძველი არჩევნების გაუქმების გამო განმეორებით მოხდა 3, 4, 5, და 6 მარტს. კენჭი იყარა სულ 75 კაცმა, მათ შორის ამორჩეულ იქმნენ 38 ხმოსანი, და 8 მათი კანდიდატი. ამოირჩნენ ხმის უმეტესობით. 1) ოსტროუმოვი ა. ა. (მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი) 185 ხმით, წინააღმდეგ 17. 2) დიმიტრიევი მ. ნ. 153-10. 3) თურქია სტ. 149-11, 4) ბერენსი ლ. მ. 148-17, 5) მეტაქსა სპ. ნ. 147-16, 6) ლომაკინი ნ. პ. 135-18; 7) გოგრიჩიძე ვ. ლ. 140-22; 8) ანბუჩაძე ტ. ზ. 139-26; 9) შერვაშიძე ი. გრ. 134-27; 10) წაგრაფოპული გ. ფ. 134-28; 11) ჟუდრა ლ. დ. 128-35; 12) ჯუღელი ა. ი. 127-35; 13) მეტაკსა ნ. პ . 125-34; 14) გეგელაშვილი ან. რ. 123-41; 15) კლდიაშვილი ს. გრ. 122-41; 16) დჟმალოვი დ. გრ. 122-43; 17) ჩიქოვანი ნ. გრ. 120-41; 18) კნ. დადიშკელიანი კ. კ. 120-42; 19) მავროპულო ქრ. 115-45. 20) თურქია საჩინო 117-46; 21) გაბუნია თ. მ. 116-46, 22) ყარამურსა ხრ. სტ. 114-44. 23) მიმინოშვილი მ. ი. 414-48, 24) გოგრიჩიძე პ. ლ. 112-49, 25) ქირტაძე მ. ი. 110-48, 26) სახოკია თ. ტ. 104-51. 27) თოფურიძე მ. ვ. 108-55, 28) გვალია გ. ბ. 107-55, 29) მასხარაშვილი ნ. ი. 103-59, 30) გოგიჯანოვი ნ. 103-60; 31) თოფურიძე ლ. ვ. 101-59; 32) თურქია გახუ 101-59; 33) ლევიცკი პ. ნ. 101-61. 34) ერქომაშვილი ფ. დ. 101-62, 36) ვაფიადი პ. ს. 101-63; 36) ცომაია პ. რ. 97-66; 37) კეთილაძე პ. გ. 36-61; 38) გვაზავა იკ. ს. 96-68, 39) გოჩოლეიშვილი ა. მ. 96-68; 40) ანდრიაშენკო დ. ს. 94-71, 41) სალსკი ნ. ივ. 92-69. 42) კეთილაძე ივ. დ. 91-67, 43) იამანდოპული ნ. 90-71. 44) თოფურიძე შ. ს. 90-71; 45) ცეცხლაძე ივ. ნ. 88-73, და სერებრიანიკოვი ს. ივ. 86-76, არჩეულთა შორის არიან: ქართველი - 26 კაცი, რუსი - 7 და 5 ბერძენი. კანდიდატთა შორის 4 ქართველია და 3 რუსი. (ცნობის ფურცელი, N770, 1899 წელი);

გუდაუთი (აფხაზეთი). აქიმობა და ავადმყოფობა

მთელ დედამიწის ზურგზე არა მგონია რომ მოიძებნოს, ეგრე მიყრუებული და უპატრონო კუთხე როგორათაც გუდაუთია, მადლობა ღმერთს თუმცა ბევრი სხვაც რამეა ნაკლულოვნება, მაგრამ, ყველაზე შესამჩნევი და საყურადღებოა, აქაურ მკვიდრთა გულ-უბრყვილო საქციელი. აქ აფხაზები შეადგენენ 20-25 ათას მცხოვრებს, რომელიც აქამდე უექიმოთ ათრევენ თავიანთ ხვედრს, სამარს სიკვდილით. *(გაზეთი დაზიანებულია, სტატია არასრულია). (ცნობის ფურცელი, N776, 1899 წელი);

ახალი ამბავი

სოხუმის ქალაქის მოურავად როგორც გვატყობინებენ, აზრადა აქვთ მოიწვიონ ცნობილი მემამულე თავადი ანდრია მიხეილის ძე ერისთავი. ჩვენ ჩვენის მხრით სიამოვნებით მივეგებებით სოხუმელების კანონიერ სურვილს, რადგან თავ. ანდრია ერისთავი საკმაოდ ცნობილია დასავლეთ საქართველოში, ვითარცა განათლებული, სამსახურში გამოცდილი (მომრიგებელ შუამავლად იყო ათიოდე წელიწადი) და საზოგადო მისწრაფების მოღვაწე თავის ერის დღეგრძელობისათვის. (ცნობის ფურცელი, N777, 1899 წელი);

***

რკინის გზას სოხუმსა და ეკატერინოდარს შუა, რომელიც უკვე მთავრობისაგან ნებადართულია, ამ გაზაფხულზე მუშაობას შეუდგებიან. მუშაობას, როგორც ამბობენ, ორივე მხრიდან დაიწყებენო. გზას აშენებს როსტოვი-კავკავის რკინის გზის საზოგადოება. (ცნობის ფურცელი, N787, 1899 წელი);

სოხუმის ახალი პოლიცმეისტერი

ქუთაისის ახალი გუბერნატორის გენერალის გერშელმანის განკარგულებით სამსახურიდან დათხოვნილ პოლიცმეისტერის შტაბ-კაპიტანის ვ. კოტლიაროვის მაგიერ თანამდებობაზე საგუბერნიო მთავრობას დაუნიშნავს კაპიტანი ლაკირბაია, აფხაზეთის მკვიდრი. (ცნობის ფურცელი, N793, 1899 წელი);

საკარმიდამო მიწების ყიდვა გუდაუთში

გაზ. „ნოვ. ობ.“-ს სწერენ გუდაუთიდან, რომ ამ სამი წლის წინედ აღკრძალული სახლ-კარ-მიდამო მიწების ყიდვა, უმაღლესი მთავრობისაგან ხელახლად ნება დართული იქმნა. გუდაუთში მიწის ყიდვა საჭირო იქნება და ყიდვა შეუძლიან ყველას. მომეტებული მყიდველები შეძლებული რუსები არიანო. (ცნობის ფურცელი, N798, 1899 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი)

თავდაბალი მოსამსახურე. დიდის მადლობის ღირსია ანდრე ჩეჩელევი ადრე კოდორის ნაწილის უფროსად ნამყოფი, რომელიც ოჩამჩირის ეკკლესიის მედავითნეს უსასყიდლოდ ეხმარება სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ. აგრეთვე მან შესწირა ხსენებულ ეკლესიას რამოდენიმე ძველი საეკლესიო ნივთები ბერებისგან გამოგზავნილი. თავის მშვენიერ ბოხის ხმითაც გვიტკობს ყურთა სმენას ეკკლესიაში... ვუსურვებთ მას დიდხნის სიცოცხლეს ოჩამჩირეში მისდა სასახელოდ და ოჩამჩირელების სასარგებლოდ! საკვირველნი არიან საქმენი შენნი ადამის ძეო!..

ორკლასიან სკოლის მდგომარეობა. ყოფილმა სკოლის ზედამხედველმა აწ სამსახურიდან გამორიცხულმა ბორის ხ-ვამ ძალიანს ცუდს მდგომარეობაში გადასცა თავის თანამოადგილეებს ხსენებული სკოლა. სწავლის საქმე ცუდათ მიდიოდა, რადგან საზოგადოებასა და ხ-ვას შორის ყოველ დროს ბრძოლა იყო გამართული. თვით შენობა თუმც ახლად შეკეთებულ იყო, მაგრამ სახურავი მალე გაუფუჭდა. საბაღე ადგილი შემოსაკავებელ იყო, რადგან დამპალი მესრები ძლივს იმაგრებდნენ თავს წაქცევისაგან. არა მცირე მეცადინეობის შემდეგ მოუხდათ სწავლის თავის დონეზე დაყენება ა. შჩეპანსკის და კ. მარშანიას, საბაღე ადგილსაც შემოაკავებენ, რასაც დახმარებას უჩენს

სკოლის მზრუნველი. სკოლა ეხლა უკეთეს მდგომარეობაშია. ერთი ნაკლიც ჩვენს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა. თავის დროზე კორესპონდენციის მიღება ჩვენს კანტორაში გასაჭირია, რადგან ერთად ერთი მეფოჩტე ვერ სწვდება დიდძალ ქაღალდების რიგებს. ფოჩტას აქ კვირეში სამჯერ ვღებულობთ. სანამ მეფოჩტე კისრამდი ქაღალდებში ჩაფლული არჩევდეს კორესპონდენციებს, შემყურეთ მიეძინებათ სკამზე. მხოლოდ ხანდის-ხან გაისმის მეფოჩტეს ხმა - ამა-და-ამ კაცს აქ ხომ არ სძინავსო. ეს კი არაფერი „თავის დროზე მიღებაა“.

ჭირნახული. აქეთკენ ჯერ სიმინდის თესვა არ დაუწყიათ, რადგან გვალვა უშლის მუშებს ხელს. აბრეშუმის ჭიის მოვლას აქაც მიჰყვეს ხელი. წრეულს ბევრს ჰყავს, მაგრამ სავალალო ის არის, ფურცელი ნაკლებათ იშოვება. სიმინდი ფუთი 40 კ. იყიდება. /ალია/. (ცნობის ფურცელი, N808, 1899 წელი);

ქალის მოტაცება და მკვლელობა

გაზ. „ნოვ. ობ.“ ატყობინებენ სოხუმიდან, რომ სოფ. კილასურში წარსულ აპრილის 20-ში, ბაღმარანის მცხოვრები სპირიდონ ახალაია თავის ამხანაგებით თავს დასცემია ტუტუ გოგუას სახლს, რათა მისი ახალგაზრდა 19 წლის ქალი მოეტაცნა. თავ-დასხმის დროს ამტყდარა თოფის სროლა და სასიკვდილოდ დაუჭრიათ გოგუას ქალი, თვითონ ახალაია და რამდენიმე პირი. (ცნობის ფურცელი, N816, 1899 წელი);

გუდაუთი (აფხაზეთი). გუბერნატორის მობრძანება

ამა თვის 6 რიცხვებში აქ მობრძანდა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი გენერალ მაიორი გერშელმანი, რადგანაც წინ-და-წინვე ყველამ იცოდა გუბერნატორის მობრძანება, ამიტომ დილიდანვე შეიკრიბენ ყველანი ნავთ-სადგურთან. ბ. გუბერნატორი ეტლით მობრძანდა ქალაქ სოხუმიდან საღამო ჟამს. ადგილობრივ მცხოვრებთ უნდოდათ ბ-ნი გუბერნატორისთვის ბევრი რამე ეთხოვათ დაბის გაუმჯობესებლად, მაგრამ ვერაფერი მოახსენეს. ბ-ნმა გუბერნატორმა მეორე დღეს დაათვალიერა აქაური სკოლები და დახმარებაც აღუთქვა, რისთვისაც მადლობელნი დარჩნენ აქაურნი მკვიდრნი, მერე ბ-ნი გუბერნატორი გაემგზავრა ქალაქ სოხუმში.

ყაჩაღის მოკვლა. წარსულ კვირეებში მოკლეს ს. კალდახვარაში განთქმული ყაჩაღი, ბოროტმომქმედი რომელიც ამდენხანს აწიოკებდა მთელ აფხაზეთს. დღეს ხალხმა შვება იგრძნო რადგანაც გადარჩნენ მუდმივ უბედურების მოლოდინს.

მამულების ყიდვა. ყოველ დღე მოდიან რუსეთის კაპიტალისტები და ყიდულობენ აქაური თავადებისაგან მამულებს, ჯერ-ჯერობით გაიყიდა ექვსი მამული ერთი 64,000 მანათად, მეორე 10,600 მან. მესამე 7,400 მან. მეოთხე 16,000 მან. მეხუთე 4,000 მან. და მეექვსე 2,500 მან. ეს მამულები აგერ ორი თვეა რაც გაიყიდა, დღესაც ბევრნი არიან მყიდველები კარზე მომდგარნი და თუ ასე წავიდა ჩვენი საქმე, ეჭვი არ არის მთელი აფხაზეთი მალე გაიყიდება.

ამინდი და აქაური მუშები. აქ ხომ საზოგადოთ გვიან იციან ხვნა თესვა, მაგრამ წრეულს როგორც ეტყობა დამწვარზე მდუღარეც ემატება; ჯერ აფხაზებს სახნისიც არ გაუსინჯავს არგებს მუშავობაში თუ არა, დღე მუდმივ ცხენით სოფელ-სოფელ დაიარება და ქეიფობს, რომლის სიზარმაცე მიეწერა გვალვას მიზეზს.

თამბაქოს ფასები. წრეულს თამბაქოს მომუშავეებმა ბევრად გაისქელა ჯიბეები, რადგანაც ფუთი თამბაქო გაიყიდა 14-60 მან. /ნ-ა/. (ცნობის ფურცელი, N816, 1899 წელი);

***

სოხუმში ქალაქის მოურავად, როგორც გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი“ იუწყება, ხმის უმეტესობით აურჩევიათ ადგილობრივი მოვაჭრე ბ-ნი ბარკალაია. ეს არჩევანი კიდეც წარუდგენიათ ქუთაისის საგუბერნიო მმართველობისათვის დასამტკიცებლად. ჩვენ ეს ამბავი ტყუილი გვგონია: სოხუმელებმა მთელი ქალაქი მოვლეს ქალაქის მოურავის ძებნაში და თუ აგრე ადვილი იყო, მაშინ ან თავს რაღად იწუხებდენ ან სხვას რად აწუხებდენ. (ცნობის ფურცელი, N826, 1899 წელი);

არჩევნები სოხუმში

17 მაისს, სოხუმის კლუბის დარბაზში დანიშნული იყო არჩევნები ქალაქის მომავალი თვითმართველობის მოსამსახურე პირთა. ასარჩევი იყო ქალაქის მოურავი და მისი თანაშემწე. ხმოსნებმა ბევრი სთხოვეს საბჭოს თავმჯდომარეს გენერალს - ლომაკინს, მომზადებულნი არა ვართ არჩევნებისთვის და სხვა დროისთვის გადაგვადებინეთ არჩევნებიო; მაგრამ ბ-ნმა თავმჯდომარემ არ შეიწყნარა ხმოსნების თხოვნა და არჩევნებს შეუდგა. ქალაქის მოურავის თანამდებობაზე კენჭი იყარეს სამსახურიდამ გამოსულმა შტაბ-როტმისტრმა ბ-ნმა ბერენსმა და აქაურმა ცნობილმა მემამულემ აზნაურმა პეტრე ივანეს ძე ახალაიამ, რომელმაც შემდეგის სიტყვით მიმართა ხმოსნებს არჩევნებამდე: „ბატონებო, დიდს მადლობას მოგახსენებთ რომ პატივი მეცით და სოხუმის მოურავად ჩემი არჩევა განიზრახეთ. აქამდე, როცა კი შემეძლო, იმასა ვცდილობდი სოხუმისათვის მეზრუნა და მისთა მკვიდრთა კეთილდღეობისათვის მეღვაწნა. ახლა მოხუცებული გახლავართ, მაგრამ მზათა ვარ მაინც გემსახუროთ, რამდენადაც კი შემიძლია. თან, იმასაც მოგახსენებთ, ამ თანამდებობას იმიტომ კი არა ვკისრულობ, რომ რაიმე გამოსარჩენს მოველოდე; არა, ჩემი გულწრფელი სურვილია - უანგაროთ გემსახუროთ“. არჩევნებს დაესწრო 38 ხმოსნიდან 27 ხმოსანი. პ. ბარკალაიას ამოუვიდა 16 თეთრი და 11 შავი, ხოლო ბერენსს 17 შავი და 9 თეთრი კენჭი. ამ სახით, არჩეულ იქმნა მოურავად პეტრე ბარკალაია. მოურავის თანაშემწედ, სხვათა შორის, დასახელებულ იქმნენ ან. ჯუღელი და ქრის. ყარა-მურზა. ორივემ ყუთი დაიდგეს და ჯუღელს ამოუვიდა 16 თეთრი და 11 შავი, ხოლო ყარა-მურზას 15 თეთრი და 12 შავი. პ. ბარკალაიას არჩევამ საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ასაცილებლად ამ მითქმა-მოთქმისა და მოსალოდნელის უთანხმოებისა პ. ბარკალაიამ ქუთაისის გუბერნატორს თხოვნა მიართვა, მართალია, სოხუმელებმა ქალაქის მოურავად ამომირჩიეს, მაგრამ მე ზემო დასახელებულ პირობებში ამ თანამდებობას ვერ ვიკისრებ, ამიტომ გთხოვთ მოურავად ნუ დამამტკიცებთ და უბრძანოთ ხელახალი არჩევნები დანიშნონო. ახალ არჩევნებს მოელიან თიბათვის პირველ რიცხვებში. სამი მეოთხედი ხმოსნებისა ქალაქის მოურავად ასახელებენ ჩვენს ცნობილ მწერალს და საზოგადო მოღვაწეს, განჯის გუბერნატორის სოვეტნიკს ბ-ნს ალ ივ. სარაჯიშვილს, რომელმაც უკვე განაცხადა თანხმობა სოხუმის მოურავობაზე. (ცნობის ფურცელი, N829, 1899 წელი);

დ. ოჩამჩირე. სალიტერატურო საღამო პუშკინის სახელზე

26 მაისს ოჩამჩირის სასწავლებლის დარბაზში გაიმართლა სალიტერატურო „საღამო“ ა. ს. პუშკინის დაბადებიდგან ასის წლის შესრულების გამო, სკოლის დარბაზი სავსე იყო დამსწრე საზოგადოებით. „საღამო“ დაიწყო 8 საათზე. პირველად ერთმა მოწაფემ წაიკითხა პუშკინის ლექსი „ძეგლი“ (Памятникъ), შემდეგ მასწავლებელმა ვ. მ. მოკლე წერილი პუშკინის ცხოვრების შესახებ, აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთებმა სთხოვეს პუშკინის ბიოგრაფია ქართულად წაეკითხათ იმ უმრავლესობისათვის, რომლებმაც რუსული არ იცოდა, მაგრამ ზედამხედველმა

არა სთქვა, მეშინიან სხვანაირ სახეს მისცემენ და დამაბეზღებენო. უმრავლესობისთვის მაინც აუხსნელად დარჩა ვინ იყო და რა იყო პუშკინი. შემდეგ მოწაფეთა გუნდმა, რომელსაც განაგებდა სტუდ. გ. ზოხუბაია, მშვენივრად იმღერა: „Несжатая Полоса“, „Лосточка“ და სხ. აგრეთვე მშვენივრად წაიკითხა ერთმა პატარა მოწაფემ „მოსკვა“ და მეორემ „Малъчикъ съ палыикъ“ უკანასკნელად დადგმული იყო კ. მიხაილოვის 1 მოქ. ვოდევილი „Проучили“, რომელშიაც საკვირველი ნიჭი და დაკვირვება გამოიჩინა აფხაზის პატარა მოწაფე ჯოლარიამ, და შესაფერად სხვებმაც. საზოგადოება ნასიამოვნები ღამის 12 საათზე დაიშალა. გზაზე ბენგალის ცეცხლი და მაშხალები აცილებდა.

სავაჭრო ამხანაგობა. ერთი სასიამოვნო ამბავიც: განზრახვა აქვთ კოოპერაციული ამხანაგობა შეადგინონ, რომელსაც აზრად ექნება სიმინდი ყიდვა და პირ-და-პირ საზღვარ გარეთ ზიდვა. აბრეშუმის ჭიის მოყვანა ამ წელს აფხაზეთშიც გავრცელდა. მაგრამ სამწუხაროდ უვარგისი თესლი ყოფილა დარიგებული და ბევრ ადგილას მთლად გაფუჭდა. მეორედ პარკს 7-8 ჰყიდულობენ სოფლის მეწვრიმალეები, როდესაც დარწმუნებული ვართ სხვაგან 15 16-დგან იყიდება. სასურველია, რომ გული არ აუცრუვონ ხალხს ამ კეთილ საქმეზე, ორივე ეს ნაკლი აცილებული იქმნას. /მაშო თურქია/. (ცნობის ფურცელი, N839, 1899 წელი);

სოხუმი. ქალაქის არჩევნები

იმედია სოხუმელების ლოდინს მალე მოეღება ბოლო და თვითმართველობის საქმე ასე თუ ისე გადაწყდება. როგორც იუწყიან „ცნობის ფურცლის“ მკითხველებმა, 17 მაისს მომხდარ არჩევნებზე ქალაქის მოურავად არჩეულმა აქაურმა მემამულემ აზნაურმა პეტრე ბარკალაიამ, სხვა და სხვა მიზეზთა გამო თხოვნა მიართვა ბ-ნ ქუთაისის გუბერნატორს, მე არა მსურს ვიკისრო ეს თანამდებობა, ამიტომ მე ნუ დამამტკიცებთ და ჩემს ადგილას სხვა აარჩევინეთო. წარდგენილ იყვნენ დასამტკიცებლად ქალაქის მოურავის თანამდებობაზე ანთ. ჯუღელი და ქრისტ. ყარა-მურზა. ქუთაისის საგუბერნიო საქალაქო და საქმეთა საკრებულომ განიხილა ეს არჩევნები და არ დაამტკიცა. ახლა წინადადება მოუვიდა აქაურ საბჭოს თავმჯდომარეს გენერალს ნ. ლომაკინს. წინადადება მოუვიდა ხელახლა არჩევნები მოახდინეთ როგორც ქალაქის თავისა ისე მისის თანაშემწისაო. ახალი არჩევნები ამ 3-4 დღეში მოხდება. ქალაქის თავად ასახელებენ ბ-ნს ალ. სარაჯიშვილს.

საქალებო პროგიმნაზიაში კურსდამთავრებულნი. აქაურ ოთხ-კლასიან საქალებო პროგიმნაზიაში წრეულს სწავლის კურსი დაამთავრეს 10 ქალმა. მათ შორის 4 რუსია, 2 ბერძენი, 1 ებრაელი, 1 აფხაზი - ე. ლაკერბაიას ქალი, 2 ქართველი: ეკ. ჩიჩუა და სოფ. ქოიავა. (ცნობის ფურცელი, N848, 1899 წელი);

აფხაზეთი. მიწის სიმცირე და უნაყოფობა

ანტონ ფურცელაძეს წერილი „სოფლის ინტელიგენციის მიმართ დაბეჭდილი „ივერიაში“ ფრიად საინტერესოა. გულ-შემატკივარი და დაკვირვებული ჩვენის დღევანდელის მდგომარეობისა, მოვალეა სინიდისის წინაშე ამ ფრიად საინტერესო ცნობების შეკრებას ხელი შეუწყოს. ყოველ სოფელში არიან მღვდელი ან ის მასწავლებელი, რომელთაც შეუძლიანთ უტყუარი ცნობები შეკრიბონ, ამისთვის სასურველია დაევალოს მასწავლებლებს და მღვდლებს ნაცნობებისაგან წერილით შეკრიბონ საჭირო ცნობა. ამ გვარად ადრე შეგროვდება სასურველი მასალა, რის შეკრება დაგვანახვებს გლეხ-კაცის ბეჩავ მდგომარეობას, თუ რამოდენად ხელ-ფეხ შეკრულია უმიწობით ეს საღი სხეული. ერთმა ღმერთმა უწყის თუ რა მდგომარეობაშია სამეგრელოში გლეხი უმიწობით; უმრავლესობას

ჯერ კიდევ არ დაუხსნია ბატონისგან თავი და რამოდენად დრო გადის თანდა-თან მწვავდება მათი მდგომარეობა, რადგან ორივე ღარიბდება. ზოგიერთს გლეხს 2 დღიური უნაყოფო სანადელო მიწა აქვს, როდესაც გლეხის ჯალაბობა 8-10 სულისგან შესდგება. რომელ ერთს გასცეს პასუხი ამ გვარმა გლეხმა! მიწა უნაყოფოა და რაც მოდის იმასაც აღმოსავლეთის ძლიერი ქარი ანახევრებს. ღვინო მოსპობილია. რით გაისტუმროს ათასგვარი გარდასახადი? რით შემოსოს თავის ცოლ-შვილი? რით არჩინოს. /ვ. გვასალია/. (ცნობის ფურცელი, N850, 1899 წელი);

ქ. სოხუმი

ქალაქის არჩევნები სოხუმში დანიშნულია 26 ივნისს. (ცნობის ფურცელი, N852, 1899 წელი);

სოხუმის ქალაქის თავი

გუშინ წინ ჩვენ მივიღეთ სოხუმიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა: ძლივს-ძლივობით მოვესწარით სანატრელ დღეს - ქალაქის ხელ-მეორე არჩევანს. შაბათს ქალაქის საბჭომ აირჩია ქალაქის მოურავად ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი 26 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ სამი ხმისა, ხოლო გამგეობის წევრად და მის მოადგილედ ექიმი კოზმინი. სიამოვნებით აღვნიშნავთ რა ამ სასიამოვნო ამბავს სოხუმელებისათვის, ვუსურვებთ ახლად არჩეულ მოურავს ხანგრძლივ და ნაყოფიერ მოღვაწეობას სასახელოდ და სოხუმის სასარგებლოდ. (ცნობის ფურცელი, N854, 1899 წელი);

ახალი ამბავი

სოხუმის ქალაქის თავის დანიშვნა, ამორჩეული 26 ივლისს სოხუმის ქალაქის თავად (26 ხმითა წინააღმდეგ 3-სა) და წარდგენილი დასამტკიცებლად სოვეტნიკი განჯის საგუბერნიო სამმართველოსი, კოლეჟსკი სოვეტნიკი ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა ბ-ნმა გერშელმანმა არ დაამტკიცა, ხოლო მის მაგიერ ამ თანამდებობაზე დანიშნულ იქმნა სამსახურიდან გამოსული შტაბს-როტმისტი ლ. ბერენსი, რომელიც სოხუმის საბჭოს ხმოსნებმა პირველ არჩევნებზე 17 მაისს გააშავეს (9 თეთრი და 17 შავი კენჭი). (ცნობის ფურცელი, N868, 1899 წელი);

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი)

აბრეშუმის პარკის საშრობი შენობა. ამ წელიწადს სასიხარულოდ აფხაზეთ-სამურზაყანოშიც მოიკიდა ფეხი აბრეშუმის მოვლამ. ამჟამად პარკის საშრობი შენობა გააშენა ოჩამჩირეში ს. ნორაკიძემ და პ...იკომა, სადაც მუშაობენ 25 გოგო-ბიჭები და ეჩვევიან ფრიად სასარგებლო ხელობას.

საშინელი სიცხეებია. ქუჩები, ყავახანები და სამიკიტნოები ჩვეულებრივ უსუფთაოა, რასაც არავინ თვლის ყურადღების დავთარში ჩასაწერად. ფანრების რიცხვს მოუკლეს ასე რომ ეხლა თავისუფლად შეგიძლიანთ ერთი ბოლოდან მეორეში გახვიდეთ და არ უმზიროთ თქვენს უბედურ მოგზაურობას, რაიცა შეგემთხვევათ ფუნებზე შეჯახებით ან ტლაპოში ჩავარდნით. ერთმა „დამცველმა“ სთქვა: თუ გაზეთში დაიწერა რამე ფარნების შესახებ კიდევ შეამცირებენ მათს რიცხვსო. მოსალოდნელია!.. მერე ისღა დაგვრჩება, რომ ხელში მუგუზალი დავიჭიროთ და ისე ვისეირნოთ „ბულვარზე“. იმედია დაბის ბოქაული

ყურადღებას მიაქცევს დაბის მდგომარეობას და ბოლოს მოუღებს ყოველგვარ უსუფთაობას რითიც ბოლო მოეღება ზემოდ დასახელებულისთანა დამცველის სულელურ აზრს.

საროსკიპო. ოჩამჩირელებს ყოველისფერში უკუღმა წყალობს ღმერთი. ერთი ამგვარი წყალობა საროსკიპოა, რომელიც საუბედუროდ მოვლინებია ოჩამჩირელებს. ჯერ ჩვენი „დაბა“ სოფლად ითვლება (დაბად არ არის დამტკიცებული) საკუთარი ექიმი არა ჰყავს, არაფერი გონიერი სავარჯიშო არ მოიპოვება, მხოლოდ ერთად-ერთი საროსკიპო „ოფიციალურად“ დიდი ხანია იღწვის. არავინ უწყის დაბის მმართველნი რა აზრის არიან ამის შესახებ, ან სად მოძებნეს ის კანონი, რომ სოფელში საროსკიპოები იყოსო? კანონში ეს აკრძალულია და იმედი უნდა ვიქონიოთ დაბის ბოქაული ყურადღებას მიაქცევს მას და უკანონობას ხელს არ დააფარებს და მოშლის, რითაც იხსნის ბევრ ახალგაზდებს, რომელნიც სულიერად და ხორციელად უდროოდ დაკარგვია ჭირისუფალთ. /ალია/. (ცნობის ფურცელი, N877, 1899 წელი);

ახალი ამბავი

მთავარ-მართებლის ჩამოსვლა სოხუმში. როგორც ბათომის გაზეთი იუწყება, ამ თვის 15 მთავარ-მართებელი თავ. გოლიცინი სოხუმში ჩამობრძანდებაო. მის მოსვლამდე სოხუმს ჩავლენ თურმე ქუთაისის გუბერნატორი ბ-ნი გერშელმანი და სახელმწიფო ქონებათა მმართველი ბ-ნი ზელენინი. (ცნობის ფურცელი, N882, 1899 წელი);

ქ. სოხუმი. ცოტ-ცოტა ყველაფერზედ

როგორც უკვე მოგეხსენებათ, ქ. სოხუმი ძალიან გაშლილია თვისის ადგილ-მდებარეობით, ჰაერი აქაური, ხომ სანაქებოა. ამიტომაც არის, რომ განურჩევლად ზამთარ-ზაფხულ-შემოდგომისა მრავალი ხალხი ეწვევა ხოლმე სოხუმს თვისის სნეულობის განსაკურნებლად. ზოგიერთი სნეული ადამიანი, რამდენისამე თვის შემდეგ, საღი და ჯანმრთელი სრულიად დაბრუნებულა თავის სახლში აღტაცებულ გახარებული. აქ უმეტესი ნაწილი მცხოვრებ მოვაჭრეებისა, გახლავთ ქართველები და მომეტებული კი მეგრელები (ქართველები). ამოდონს მცხოვრებს მოვაჭრეებში, საუბედუროდ, ერთი ისეთი ღვთისნიერი ადამიანი არ აღმოჩენილა, რომ სამკითხველო დაეარსებინა. ამ ერთი წლის წინად, თურმე აქ მშვენივრად მიდიოდაო, როგორც სარწმუნო პირებმა გვიამბო, სამკითხველოს საქმეო, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, ჩვენებული საქმის ბოლო, „ახალი ცოცხი კარგად გვის, ძველი მოიტანს ქვიშას“-ო. ასე დამართია ამ სამკითხველოსა. პირველში ისე ჩინებულად მიმდინარეობდა მმართველ-გამგის ხელში და იმდენი მკითხველი ყოლია, რომ ვერც-კი წარმოიდგენდა კაცი. ეხლა? ეხლა კი მმართველ-გამგესაც და საზოგადოებას გული აუცრუვებიათ, რის გამოც, ეს სიმპატიური საქმე გაუქმებულა. რისთვის და რატომ? ეს რასაკვირველია, აქაურებმა უკეთ უწყიან. სირცხვილია და დიდი სირცხვილი სოხუმისთვის, რომ ერთი უბრალო სამკითხველო აქ არ იყოს. სირცხვილია უფრო ისიც, რომ ამოდენა მცხოვრებ-მოვაჭრეებში, რომლებიც უმეტესი ნაწილი ქართველები არიან, ქართული ჟურნალ-გაზეთები არ ჰქონდეთ გამოწერილი. მთელი ერთი დღე ირგვლივ შემოვიარე აქაური მაღაზიები და მასთან წიგნის მაღაზია და სტამბა, მაგრამ, აქაურების სასირცხვოდ, ერთს რომელისამე ქართულს გაზეთს ვერ წავაწყდით. ბევრიც რომ ეძებოს კაცმა და უკვდავების წყაროც რომ იყოს ქართული გაზეთი, აქ შოვნა გასაჭირია. თურმე რა არის, ამის მიზეზი თუ არ გულ-ცივობა საქმისა. სასურველია აქაურებმა ჩვენის საქართველოს დანარჩენს კუთხეებს მიჰბაძონ და ისევ განაახლონ სამკითხველოს საქმე. თორემ ისევ ვიმეორებთ, მეტის მეტი სირცხვილია. ცოტა გარჯა და ჯაფა სჭირია ამ საქმეს, რადგანაც აწ უკვე გარდაცვლილ სამკითხველოში

ბევრი ჟურნალ-გაზეთები და წიგნებია. რომ ითავებდნენ ესენიც და სხვა მოწყობილობაც, რომელიც განახლებას თხოულობს აქაურებისგან. ადვილი დასაარსებელია სამკითხველო. დაგვრჩენია მხოლოდ სულითა და გულით უსურვოთ აქაურებს სამკითხველოს დაარსება... (ცნობის ფურცელი, N888, 1899 წელი);

დ. გუდაუთი (აფხაზეთი). საოცარი შურისძიება

სოფ. აფიცხვაში მცხოვრებ ქვაბულუხი ჩიქირბაიას 24 ივლისს თავის თოთხმეტი წლის ვაჟიშვილი ჩამოუკიდებია თოკით ხეზე და რომ ახრჩობდა, იმ დროს მეზობლებმა დაინახეს. ჯერ აფხაზეთში არავის არ უნახავს იმისთანა საოცარი და საკვირველი ამბავი. ამისთანა საცოდაობის მნახველები მისცვივდნენ, გახელებულ მამას დიდი და პატარა, კაცი და ქალი, მოებღაუჭნენ შავ ზღვასავით აღელვებულ ქვაბულუხის. მიზეზი ასეთი საზარელი მოქმედებისა ის ყოფილა, რომ ქვაბულხისათვის მოუპარავს 400 მან. და რამდენიმე მანეთისა თამასუქები თავისივე შვილს და ამით გაჯავრებულს მამას, თურმე, შვილი კინაღამ დაუღრჩვია, მაგრამ იღბალზე მეზობლებმა გადაარჩინეს, თორემ შვილსაც დაახრჩობდა და თავსაც დაიკარგავდა საბრალო უგუნური მამა. /ტრიფონ გადელია/. (ცნობის ფურცელი, N889, 1899 წელი);

სოხუმი. ქალაქის ამბები

პირველადვე შეეშალა ნახტომი ჩვენის ქალაქის ბატონსა და პატრონსა, პირველადვე არ დაუჯდა კოჭი ალჩუს!.. იმის სირცხვილში ცოტაოდნათ ჩვენს ხმოსნებსაც უდევთ წილი. საქმე ის გახლავთ, რომ 23 წარსულის მკათათვის საბჭოს სხდომაზე ქალაქის თავმა ბ-ნმა ბერენსმა მეტის-მეტი ხელგაშლილობა გამოიჩინა. სოხუმელების ხარჯით, მეტად ფართედ გასწია პირი სოხუმელების ჯიბესა.. ხომ გაგიგონიათ, „შენი თუ არა იხარჯებოდეს-რა ლხინს ნურა გირჩევნია-რაო“... ბერენსიც ასე მოიქცა. ილხინა და იხელგაშლილა სოხუმელთა ნაწვავ-ნადაგითა, ძუნწობა არ დამწამონო, და თითქმის „სამინისტრო“ ჯამაგირები მოსთხოვა ხმოსნებს, როგორც ბუჰგალტერისა, ისე უბრალო მოსამსახურისათვის... ხმოსნებმაც არც აიღეს, არც დაიღეს! და ყველაფერზე „იყავნ ნება შენიო“, მოახსენეს... მერე მოსთხოვა იმავ ხმოსნებს, თვით-მართველობის ოთახები პარიზის სალონებსავით უნდა იყოს მორთულიო. საჭიროა სამთუმნიანი სარკე (?), სამ თუმნიანი პირისაბანი (?), ორ თუმნიანი სამოვარი და სხ. ყველაფერზე ნება დართეს ბ-ნ ბერენს, ყოველი მისი თხოვნა კანონიერად იცნეს. გარნა ასე არ შეხედა ბ-ნის ბერენსის მოქმედებას ქუთაისის საგუბერნიო სამოქალაქო საქმეთა საკრებულომ. საკრებულომ ანგარიშიანობის დარჯაკში გაატარა სოხუმის საბჭოის დადგენილება, ცხრაჯერ გაზომა, ერთხელ გადასჭრა და სთქვა: ქალაქის თავი და ხმოსნები სოხუმელთა ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებთო, ნებაზე თუ მიგიშვათ კაცმა ამაზე უარსესს ჩაიდენთო და ნურას უკაცრავად, თუ ცოტაონდათ აგლაგმავთო, და საკრებულომ ალაგმა კიდეცა. მაგალითად, ბუჰგალტერს რომ 900 მანეთი დაუნიშნეს წელიწადში, საკრებულომ იბევრა და 700 მანეთზე ჩამოიყვანა; ქალაქის თავმა ორი უფროსი მწერალი დაანიშვნინა საბჭოს, ერთს გაუჩინა ჯამაგირად 480 მან., მეორეს 380 მან. საკრებულომ ბ-ნის ბერენსის ჭკუაზე როდი გაიარა: ორი უმცროსი მწერალი საჭირო არ არისო, ერთიც გვეყოფაო და ჯამაგირად 300 მანეთი ჰქონდესო; ორ უმცროს მწერლისთვის 600 მანეთი რომ გაგიჩენიათ, მეტია და ორსავე 480 მან. ეყოფაო; საკრებულომვე შეუმცირა ჯამაგირი ორს მოსამსახურეს. საბჭომ ორსავე წელიწადში 480 მ. დაუნიშნა, საკრებულომ 360 მანეთზე ჩამოიყვანა. საბჭოს „მართვა-მოწყობისათვის“ გადადებულ 1,000 მანეთს საკრებულომ 200 მ. შეაკვეცა. ამნაირად, საკრებულომ 1,200 მანეთზე მეტი ისევ უკან დაუბრუნა ჩვენის ქალაქის

ღარიბს კასას. თუ წინანდელსავით წინ დაუხედავად არ მოიქცნენ ხმოსნები და ნებაზე არ მიუშვეს ბ-ნი ბერენსი, ამ ფულით ცოტა რასმე კი არ გააკეთებენ სოხუმელთა სასარგებლოდ! უეჭველია, საკრებულოს გადაწყვეტილება გულისხმაში ჩააგდებს სოხუმელ ხმოსნებს და შემდეგისთვის უფრო კრიტიკულად მოისმენენ ქალაქის თავის ყოველს წინანადადებას, რომ კიდევ არ გახდნენ ბ-ნის ბერენსის წყალობით ისეთის საყვედურის ღირსი, რომელიც ახლა მიუვიდათ. სოხუმელებს, სანამ პირში სული უდგათ, არ დაავიწყდებათ ის ჭირი და ვაგლახი. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ პაპანაქება სიცხეში, როცა ყოველს ღვთის გაჩენილს სულიერს სულთქმა უჭირდება, თითქმის მთელი ქალაქი ჩვენმა პატრონმა და დამტირებელმა ბერენსმა უწყლოდ დაჰყარა!.. როგორაო! - გაიკვირვებთ. როგორა და, ბ-მა ბერენსმა ჯერ მოუსპო წყალი ყველას - ვისაც კერძოდ სახლებში ჰქონდათ გამოყვანილი ქალაქის აუზიდან ისე, რომ წინდაწინვე არავინ გააფრთხილა, წყალს გართმევთ და თქვენს თავს თქვენვე უშველეთო. მერე თვითონ მთავარი აუზი, საიდგანაც მთელი ქალაქი წყალსა ხარჯავდა, დააკეტვინა. მთავარ აუზის დაკეტვას მოჰყვა დაკეტვა ქალაქის განაპირა უბნებში გამართულ პატარა „კრანებისა“. ერთბაშად ერთი ვიშვიში შეუდგათ სოხუმის მცხოვრებთ. ბერენსის ადრესით გაგზავნილ წყევა-კრულვას საზღვარი არა ჰქონდა. ქალი, კაცი, მღვდელი, ერი, ბერი, დიდი, პატარა სათლებით დაძრწოდნენ კერძო ეზოებში ჭებიდან წყლის ამოსაღებად. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ჭებშიაც ამომშრალი იყო წყალი გვალვისა გამო. ასეთმა ამბავმა მთელი ერთი კვირა გასტანა. სანამ, დიდის მუქარის შემდეგ, ბ-ნმა ბერენსმა ისევ არ მისცა წყალი მოქალაქეთა!.. პოლიციისაგან ქალაქის ქონებათა მისაღებად დანიშნულმა კომისიამ, სხვათა შორის, ქალაქში გამოყვანილ წყლის სვირებიც უნდა ჩაიბაროს. ეს სვირები რკინისაა და ქალაქმა შეიძინა ამ ორის წლის წინად, როცა ქალაქის სვე-ბედს პოლიცია და დეპუტატები ატრიალებდნენ. ეს სვირები იმდენად გაფუჭებულია თურმე, რომ იმის მაგივრად ახლები უნდა შეიძინოს ქალაქმაო. თუ გავიხსენებთ, რომ სულ ორი წელიწადია, რაც ამ სვირებსა ხმარობს ქალაქი, უნდა ვიფიქროთ, რომ სყიდვის დროსვე ყოფილა გაოხრებული და გაფუჭებული, თორემ ასე მალე არ გაფუჭდებოდა. მაშასადამე, ეტყობა, რომ სყიდვის დროს ათასობით დახარჯულ ფულიდან კერძო კაცების ჯიბეშიაც ჩაჩხრიალდა ცოტა რამ. ყოველსავე შემთხვევაში, ამ სვირების ჩაბარების დროს, საჭიროა კომისიამ დაწვრილებითი ანგარიში მოსთხოვოს სვირების შეძენის თაობაზე. მდივანიც უკვე დაგვინიშნა ჩვენმა დამტირებელმა. ხომ მოგეხსენებათ, მდივნისათვის ხმოსნებს 1,200 მანეთი აქვთ. ახლა იკითხეთ, ვის დააკისრა ბ-ნმა ბერენსმა მდივნის პასუხსაგები თანამდებობა? ვისა და სამსახურიდან ავადმყოფობის გამო დათხოვნილს, მოხუცებულს, საპყარს და დაუძლურებულს კაცს!.. ეს კაცი გახლავთ ბ-ნი ნ. ნიკოლაევი, რომელიც ადრე სოხუმის ოლქის სამმართველოში წელიწადში 700 მ. ოცის წლის განმავლობაში საქმის მწარმოებელის თანამდებობას ასრულებდა. თითქო უნივერსანტის მოწვევა არ შეიძლებოდა ამ თანამდებობისათვის? რამდენი გვყავს განათლებული ყმაწვილი კაცი, ჯან-ღონით სავსე, საზოგადოების სამსახურის სიყვარულით გამსჭვალული, რომ ამ თანამდებობას დიდის სიამოვნებით იკისრებდა!.. მაგრამ ბერენსმა ვისა ჰკითხა?! /ხმოსანი/. (ცნობის ფურცელი, N893, 1899 წელი);

ქ. სოხუმი. მეომნიბუსეს თავ-გასულობა

ამ დღეებში, ახალ-ათონის მონასტრიდან ქ. სოხუმამდე მომიხდა ომნიბუსით მგზავრობა. სოხუმიდან ახალ-ათონის მონასტრამდე ყოველ ცისმარე დღეს დადის ერთი თუ ორი ომნიბუსი და რამდენიმე ეტლები, რადგანაც აუარებელი ხალხი, ზოგი სალოცავ-შესაწირავად და ზოგი სანახავად დადის. აქაური გზები სწორე როდია, აღმართ-დაღმართიანია, მეომნიბუსეს გაურიგდით და ის იყო ჩაგვსვა ორ არშინიან ომნიბუსში ათი კაცი და ქალი. ომნიბუსის პატრონი მეტად ვერცხლ-მოყვარე ყოფილა, გზა და გზა იმდენი

კაცი ჩაჯდა ვიწრო ომნიბუსში, რომ ოცამდის გახადა. ყველას დაბადების დღე გვაწყევლინა. იმდენად ხარბი და გაუმაძღარი გამოდგა, რომ კინაღამ მხრებზე დაგვიპირა მგზავრების დასმა. ამდენი მგზავრი საბრალო ცხენებს ძლივ-ძლივობით მიჰყავდა. ურიგო არ იქნება, რომ ვისიც ჯერ-არს ალაგმავდეს მეომნიბუსეს. /ტელეფონი/. (ცნობის ფურცელი, N900, 1899 წელი);

აფხაზეთი. მოსავლის სიავ-კარგე

საზოგადოდ წელს, მთელს სოხუმის ოლქში ჯერ-ჯერობით საშუალო პირი უჩანს მოსავალსა. შუა ივლისიდან ცოტა დაიჩაგრა ამინდები. ამის მიზეზი, რასაკვირველია, დროზე უწვიმობა იყო. მარიამობის თვეში დროზე ცოტა უწვიმობა მოდის და იმედი აქვთ, რომ კვლავ გამოკეთდეს სიმინდები; წელს კარგ მოსავალს მოელიან თუთუნისას. მშვენიერი და კარგი სანახავია თუთუნით გაშენებული პლანტაციები. თუ რაიმემ არ დაჩაგრა, პატრონს კიდეც დააჯილდოვებს. აქაური თუთუნით გაშენებული ადგილები იჯარით აქვთ აღებული სომეხ-თათრებსა, რომლებიც დიდს მოვლა-ლოლიაობაში არიან. თუთუნს აქ უმეტესი ნაწილი მეგრელები რგავენ და უვლიან. ამათ, რასაკვირველია, კარგად უნდა იცოდნენ იმის მოვლა-გაშენება, მაგრამ, საუბედუროდ, რაღაც უბედურებაა სამეგრელოში, არ მიზდევენ იმის მოყვანას, უცოდინარეობით თუ გულგრილობით. ამიტომ ურიგო არ იქნებოდა, რომ იქ მომუშავე მეგრელებს თავიანთ მიწა-ადგილებშიაც ეცადათ, ივარგებდა თუ არა, სამეგრელოს ნიადაგზე თუთუნი. /ტელეფონი/. (ცნობის ფურცელი, N901, 1899 წელი);

სოხუმი. ქალაქის ამბები

,,სადაც ძალი შევა, სამართალი ბანიდან ავაო''. ხალხური ანდაზა. ოღონდაც რომ ძალი შევიდა ჩვენს უანაწერო სოხუმში, და ყოველი სამართალი, ყოველი ცოდვა-მადლი არა მარ-ტო ბანიდან, კარ-სარკმელებიდანაც გავიდა... მაღლიდან დაგორებულს ბედს სოხუმისა პირი უფსკრულისა და წკვარამისაკენ უქნია და აუცილებელ განსაცდელისგან, არავინ იცის, რა იხსნის!.. უკვე გავუზიარეთ მკითხველებს, რა დღე დააყენა ჩვენმა დამტირებელმა, ქალაქის თავმა, მოქალაქეთა ინტერესებს საბჭოს პირველ კრებაზე; გავუზიარეთ გაგრძელებაცა მის-თა საგმირო საქმეთა... მთელი თთვე გავიდა პირველის კრების შემდეგ, მეორე კრებაც მოახდინეს ჩვენმა ხმოსნებმა ჩვენის ლორდ-მერის თავმჯდომარეობით და იგივე უპატრო-ნობა, იგივე ჩაგვრა უმრავლესობისა... ძალმომრეობა უფრო ფრთას ისხამს, გამეცალენით ასპარეზი გამიწმინდეთო!.. „ცნობ. ფურც.“ მკითხველთ იციან, თუ ვინ დაგვინიშნა მდივნად ჩვენმა ბატონმა და წელიწადში ას-ოცი თუმანი ჯამაგირი რა საპყარს გაუჩინა პენსიასავით! გვეგონა, ბატონი ბერენსი ამ სირცხვილს გვაკმარებდა, მაგრამ არა, გადაუწყვეტია გვა-ჩვენოს, რაც შეუძლიან გვიყოს!.. უფროს მწერლად მოწვეულ იქმნა ადამიანი, რომელიც იმავე მწერლის თანამდებობას ასრულებდა ოლქის სამმართველოში და სამსახურიდან დათხოვნილ იქმნა. თურმე, აი რა კაცისთვის თხოულობდა თავგამოდებით ბ-ნი ლორდ-მერი, 500 მან. გაუჩინეთ ჯამაგირიო!.. ახლა მეორე მწერალი იკითხეთ: მარჯვენა ხელი არა აქვს და ჩვენი საქმეები მარცხენათი უნდა სწეროს იქ, სადაც არამც თუ ცალხელა, ორი ხელის პატრონიც დღე და ღამ თავს ვერ გაართმევს. რაღა ბევრი გავაგრძელოთ ნამდვილი დავრდომილთა თავშესაფარია ჩვენი თვითმმართველობა! ახლა, მოგახსენოთ 20 მარიამობისთვეს მომხდარ საბჭოის კრების ანგარიშიცა. ცხრაზე მეტი კითხვა იყო კრებაზე განსახილველად დანიშნული ჩვენის ლორდ-მერისაგან. ყოველი კითხვა მხოლოდ და მხოლოდ ხარჯს შეეხებოდა. მართლა და ქებისა და დიდების ღირსია ბ-ნი ბერენსი ამ შემთხვევაში! ეს ამისათვის დავხარჯოთო, ეს იმისთვისო. ვხარჯოთ, ვხარჯოთ და ვხარჯოთო!

თითქო უფსკერო ზღვა იყოს ბედშავ სოხუმის კასა! ერთი, მარცხად მაინც, წამოსცდენოდა ქალაქის პატრონად დაყენებულს ბერენს, - აი! არა, თვალხილულნი უსწავლელნი გვირჩება სოხუმის მკვიდრთაო, სამართლიანად უპასუხეს ხმოსნებმა. დიდად აალაპარაკა ხმოსნები ეგრედ წოდებული „სვირის წყლის“ შესახებ აღძრულმა კითხვამ. საბჭოს უნდა გადაეწყვიტნა, ფული გადახდესთ თუ არა იმათ, ვისაც თავიანთს სახლებში აქვსთ ქალაქის აუზიდან სვირი გამოყვანილიო? ზოგიერთი დაინტერესებული ხმოსნები (ვისაც თავის ეზოში ჰქონდა წყალი გამოყვანილი) და, მათს შორის, ჩვენი დამტირებელიც, იმ აზრისა ბრძანდებოდნენ, რომ არ უნდა გადახდეს, უშველებელ აგარაკების მოსარწყავად, აუზების გასავსებლად და, ვინ იცის, კიდევ რისთვის... განა ცოტაა სხვა და სხვა ხუშტურის ადამიანი! ამავე დროს, სხვას, ღარიბს მოქალაქეს, წყალი დასალევად ვერ უშოვნია!.. და მაინც არიან ისეთი ხმოსნები, რომლებიც იძახიან, ამ მდიდრებს ფულს ნუ გადავახდევინებთო. დეე განცხრომით იცხოვრონ! ჩვენი რა ბრალია, რომ ღარიბები ზაფხულობით წყურვილით იჟუჟებიანო! მერე ჩვენი ჭკუის კოლოფი დამატირებელიც ასეთს ხმოსნებს ბანს აძლევს... აბა როგორ აწყენინებენ ოსტროუმოვს, ბრესლავსკის, თექმიჩევს და სხვათა!.. ეგ რაა, თქვენ სხვა იკითხეთ!.. იმავე ჭკუის კოლოფებმა და მათმა ბაირაღთარმა ბერენსმა ბრძანეს, რაკი წყალი ყველას არა ყოფნის, ვინც მოასწრო აქამდე თავისს სახლში სვირით წყალი გამოეყვანა, ხომ კარგი, თორემ ამათს მეტს ნურავის მივსცემთ ახალის სვირის გაყვანის ნებასაო!.. ჭკუას ძალა დაატანესო, რომ იტყვიან, აბა სწორედ ამასა ჰქვიან!.. კიდევ კარგი, რომ ხმოსანთა შორის ისეთებიც გამოჩნდნენ, რომელნიც ცოტა სხვანაირადაცა სჯიდნენ და ამ ვაჟბატონებს აუხსნეს, რომ საბოდიშო მდიდრებთან არა გვაქვს-რაო და გადასახადი დავადვათო. წინა კრებაზე კომისია იყო მორჩეული, რომელსაც მინდობილი ჰქონდა გაეშინჯა სახლი თვით მმართველობისა და საბჭოსათვის და გადაეწყვიტნა, თუ რა და რა გადაკეთება სჭირდებოდა. თანაც, საბჭომ დაადგინა, სცენისათვის, რომელიც წარმოდგენებისათვის იყო გამართული, ხელი არავის ეხლო, რომ წარმოდგენებისათვის გამოადგეთ, თუ კი ვინმე მოინდომებსო. კომისიას გაუშინჯავს, უვარაუდნიათ და 1200 მანეთია საჭირო გადაკეთებისთვისო. თან, ბ-ნის ბერენსის ბრძანებით, სათეატრო სცენა აუყრიათ, ასე რომ დღეს წარმოდგენის გამართვა მოვინდომოთ, ვერას გავაწყობთ. სხვა ქალაქებში განგებ სცდილობენ თეატრს ხელი შეუწყონ, საკუთარი შენობა აღმოუჩინონ და ჩვენმა ქალაქის თავმა-კი, რაცა გვქონდა, ისიც კი დაგვინგრია! ეგ არაფერი! როცა ქალაქის თავმა საბჭოს გამოუცხადა, ქალაქის ხუროთ მოძღვარი ბ-ნი ისაკოვი 1200 მანეთსა გვთხოვს სახლის გადაკეთებისათვისო, კომისიის წევრმა ბ-ნმა პ. კეთილაძემ, როგორც ფრიად გამოცდილმა სახლების შენების საქმეში, მოახსენა ხმოსნებს: ჩემის აზრით ბევრ რისამე გადაკეთება სრულებით საჭირო არ არის, ჩემდა უნებურად შეიტანეს ხარჯშიო და მათის შედგენილ ოქმისთვის ხელიც არ მომიწერიაო. მაგრამ მისს განცხადებას ყური არავინ ათხოვა და 1,200 მ. ბერენსის ყურმოჭრილმა ყმებმა - ხმოსნებმა ამ საგნისათვის გადასდეს... სათითაოდ კი ყველანი ამბობდნენ, უეჭველია ამ ფულის ნახევარიც არ მოხმარდება ხსენებულ სახლის გადაკეთებასაო... ეგ კიდევ არაფერი. აკი მოგახსენეთ, ჩვენი ქალაქი ცხვრის დუმა გახდა-მეთქი. ის კი სხვა საქმეა, რამდენს ხანს გაუძლებს სათლელად ჩვენს დამტირებელს?.. მაგრამ, თქვენს ლხენას, განა იმას ეს ადარდებს! თქვენც არ მომიკვდეთ! სთლის, მანამდე შესაძლებელი იქნება თლა და მერე თუნდაც წყალსამც წაუღია მდინარისა, თუნდ უქალაქოდ დარჩნენ სოხუმელნი, ეს იმას ჭამის მადას არ უკარგავდეს! ჩვენ იმასა ვსტიროდით და ვვიშვიშებდით, რომ ჩვენმა დამტირებელმა ბევრი თანამდებობა გამოიგონა და უფრო ბევრი ჯამაგირები დაუნიშნა ყოველ თანამდებობის კაცსაო! გვეგონა ამას გვაკმარებდა, ის კი არა, ჯერ სადა ხარო! აი სწორედ, ამ კრებაზე ერთი ახალი თანამდებობა მოიგონა. მოქალაქეთაგან გარდასახადი განგებ ამისთვის მიჩენილმა კაცმა უნდა აჰკრიფოსო? გაიგეთ? ე.ი. ერთი კაცი კარ-და-კარ უნდა ვატაროთ და ფული ვაკრებინოთო!.. თუ სადმე სხვა ქალაქში გაგიგონიათ მსგავსი თანამდებობა?... (ცნობის ფურცელი, N903, 1899 წელი);

სოხუმი. ქალაქის ამბები

,,საცა ძალი შევა, სამართალი ბანიდან ავაო''. ხალხური ანდაზა. (დასასრული*) გარდა ამისა, ტყის დარაჯები რომ გვყავს, ამათ დავაკისროთ, როგორც აქამდე იყო, ეს თანამდებობაო. ტყის დარაჯები მით უფრო მოიცლიან ამისათვის, რომ ტყე ახლა არა აქვსთ სადარაჯო, რადგან პოლიციისა და დეპუტატების ხელში ქალაქის ტყე სულ ერთიანად გაიკაფაო. თუ მაინც და მაინც თქვენსას არ დაიშლით, - მოახსენეს ქალაქის თავს, - მოსპეთ ტყის დარაჯის ივანინის თანამდებობა და იმის ჯამაგირით ხარჯთ-ამკრები დავიყენოთო. თან, აი რა საგულისხმო ამბავი გამოარკვიეს ხმოსნებმა ამ საგნის შესახებ ბაასის დროს. დეპუტატებსა და პოლიციას ვიღაც ივანინისათვის ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში წლიურად 360 მანეთი უძლევიათ ჯამაგირი, დაურქმევიათ მისთვის სახელად „ტყის ყურისმგდებელი“. ბატონი ივანინი ბრძანებულა არხეინად პოლიციაში, უწმენდია პოლიციის ლამპები, დღესასწაულების დროს უჩირაღდნებია ქალაქი, იჯარით აუღია ხოლმე ქუჩების მოკირწყვლა და საზოგადოდ ისეთი საქმეები უკისრნია, სადაც ხელს ჭუჭყი მოეცხობოდა. აი, ასეთის კაცის დათხოვნა ურჩიეს ხმოსნებმა ჩვენს დამტირებელს, მაგრამ იმან ქვა შეაგდო და თავი შეუშვირა, თქვენ რა გაგიჭირდათ საწყალის ივანინის შენახვა და ვინმე საწყალს პეტროვს კიდევ გავუჩინოთ ლუკმა პური საჭმელადაო?! არა, ხარჯთამკრეფი საჭიროა და ჯამაგირად 480 მანეთი გავუჩინოთო. გარდა ამისა, რომ ფულს აჰკრეფს, კამეჩებსაც ყურს უგდებსო. როგორ თუ კამეჩებსაო! გაიკვირვებთ. არ გაგეცინოსთ კია, და იმასაც მოგახსენებთ, ბ-ნს ბერენსს, თურმე ძალიანა სჯავრებია კამეჩები... ალბად, იმიტომ, რომ ამ პირუტყვს მარტო მეგრელები უბამენ ურემში... უზრდელი ცხოველი რომ არისო, წუმპეში განცხრომა უყვარსო, (გახსოვდესთ, კამეჩის შესახებ ლექციას ბ-ნი ქალაქის თავი საბჭოს კრებაზე კითხულობს!.) ჩურჩხელასავით რომ ამოევლება, სახლის კედელს ან ღობეს მიაწვება, ტანის ფხანას დაიწყებს და დასვრის ყველაფერსაო... ალაგმვა უნდა უსათუოდ ამ ცხოველსა და ხარჯ ამკრეფი კამეჩებს წესიერად სიარულს და სხვათა სახლ-ღობეების პატივისცემასაც ასწავლისო!.. ბ-ნს ბერენსს გამოეხმაურა ხმოსანი პროფესორი ბ-ნი ოსტროუმოვი: ამდენს (?) თანამდებობასას რომ დააკისრებთ საწყალს (ოღონდაც!) ხარჯთ-ამკრეფს, ჯამაგირიც შესაფერი უნდა დაუნიშნოთო. 480 მანეთი ცოტააო. ე.ი. სოხუმელების ჯიბე რაში გენანებაო, - „ხარი სხვისა, სახრე ტყისა, დაჰკარ და ნუ გებრალვისო!“... მეც მაგ აზრისა გახლავართ, - მოწიწებით და, ცოტა არ იყოს, პატარძლურის კდემამოსილობით მოახსენა ბ-ნმა ბერენსმა ბ-ნს ოსტროუმოვს, - მაგრამ რა ვქნა, ამაზე წინად მოსამსახურე პირთ რაც ჯამაგირები დავუნიშნეთ, ქუთაისის საგუბერნიო სამოქალაქო საქმეთა საკრებულომ ყველას ფრთა შეაკვეცა, ზოგი ჯამაგირი გაგვინახევრა კიდეცა. აბა, თქვენ თვითონ იფიქრეთ, ასეთის შერცხვენის შემდეგ, როგორ უნდა გამებედნა და მეტი ჯამაგირი მეთხოვნა ხმოსნებისთვის! ის კი არა, იმისიც მეშინია, საკრებულომ იმ 480 მანეთსაც არ მოუკლოს რამეო! ზოგიერთმა ხმოსნებმა უთხრეს, თუ მაინც და მაინც არ დაიშლით და თანამდებობას დააწესებთ, ჯამაგირად 25 მ. ეყოფა თვეშიო. მაგრამ ბერენსმა სთქვა, ჩვენ რომ 480 მანეთი წარვადგინოთ, მაინც მოუკლებენო. ის-კი არა თქვა, რომ როცა ამა და იმ ჯამაგირს ვუდგენთ, საკრებულოს დასამტკიცებლად, თუ ვინიცობაა, მოაჭრა რამე, უნდა უეჭველად მოვითხოვოთ ჩვენის დადგენილების დამტკიცება, და თანაც საბუთები წარვუდგინოთ იმისა, თუ რადა ვსთხოვდით ამა თუ იმ ჯამაგირსაო... არა, ბევრი ვსთხოვოთ და ცოტა მაინც დაგვრჩებაო, და თუ ჩვენი დადგენილება უკანოდოდ იცვნეს და ბრანწი გვითხრეს, ეს არაფერი ბედენააო!.. ამ დროს ხმოსანი აჯამოვი წამოდგა და უთხრა: „რაკი ასეა, 600 მანეთი დავუნიშნოთ და საკრებულო 480 მანეთს მაინც დასტოვებსო. ე.ი. წყალ გაღმა დაედავე, წყალ-გამოღმა შენ დაგრჩესო“!.. აი, რა რიგ პამპულად გახადა ჩვენმა დამტირებელმა ჩვენი ხმოსნებიცა და სამოქალაქო საქმეთა საკრებულოცა!.. საბჭომ მაინც გადასწყვიტა: დაწესდეს ახალი თანამდებობა ხარჯთ-ამკრეფისა და წლიურად 480 მანეთი ჯამაგირად გაეჩინოს. ყველაზე საოცარი ის იყო, რომ ბერენსმა კანონიც აბუჩად აიგდო ამ

შემთხვევაში. ისეთი კითხვა, როგორიც ჯამაგირის დანიშვნაა, სამოქალაქო დებულების 73 მუხლის 8 პარაგრაფის ძალით, ყველგან უნდა გადასწყდეს კენჭის ყრით. ბერენსმა ყველაფერი გაიადვილა, - ეს კითხვაც, როგორც ჩვეულებადა აქვს ხოლმე. ხმოსნების „ადექ-დაჯექიობით“ გადასწყვიტა... წაკითხულ იქმნა ქუთაისის გუბერნატორის მოწერილობა, ქალაქის ექიმის სამსახური საშტატო გახადეთ და წლიურად ჯამაგირი 980 მანეთი დაუნიშნეთო. ჩვენმა დამტირებელმა ხმოსნებს ურჩია, ამ მოწერილობას ნუ ავასრულებთ, თორემ ჯამაგირს ქალაქს მიაცემინებენ და ექიმს კი ქუთაისიდან გამოგვიგზავნიანო. მერე იმათი გამოგზავნილი ძალად თავზე მოხვეული ექიმი, ვინ იცის, ჩვენ როგორ მოგვეწონება, ან როგორ გვიწამლებსო. ისევ სჯობია, უშტატო იყოს ექიმის თანამდებობა და ჩვენ (უკეთესი იქმნებოდა, ეთქვა: „მე“) ვინც გვინდა, ის დავაყენოთ ექიმათ? რა თქმა უნდა, ბ-ნმა ბერენსმა იმაზე ხმა არ ამოიღო, რომ თვითონ, ჩვენის ნება-სურვილის წინააღმდეგ, გაგვიხდა ძალად-მაცხონე ქალაქის თავად.. კარგიო, მოახსენეს ხმოსნებმა და გადასწყვიტეს, ჯერ წყარო ეძებონ, საიდანაც ექიმის ჯამაგირს გაისტუმრებენ (ბერენსმა ურჩია ხმოსნებს, რაც მუშები მოდიან, ან რაც მზარეული და სხვა მოჯამაგირე ხალხია, თითო მანეთი გადავახდევინოთო! საწყალი მუშა ხალხი ბერენსის ხელში!) და მერე ვიქონიოთ სჯა-ბაასი ექიმის დანიშვნის შესახებო. ამავე შეხვედრაზე ჩამოვარდა ლაპარაკი ეგრედ წოდებულ „მაიაკის მიწაზე“ გასაშენებელ სოფლის შესახებ. საქმე ის არის, რომ ეს მიწა ქალაქისაა; ამ ოცდა-ათის წლის წინად ზედ მამულის გასაწმენდად და ჭაობების გასაშრობად მატროსები უნდა დაესახლებინათ. მაგრამ მატროსები არსაიდან მოვიდნენ და ქალაქისაგან იჯარით აიღეს უმიწა-წყლობით გაკრებულმა მეგრელებმა. ეს ოცი წელიწადია ამ მამულზე 25 კომლი მეგრელი სცხოვრობს; გააშენეს ბაღები, გააშრეს ჭაობები, გასჩეხეს უღრანი ტყე. ახლა საგუბერნიო მთავრობისაგან გადაწყვეტილია, ეს მეგრელები იქიდან აიყაროს და ზედ დასახლდნენ მატროსები, ნახევარი ამ მამულისა გაუკაფავია, მიწის მზომელი ამბობს, 600 მანეთი უნდა, რომ გავსწმინდო აქაურობა და მატროსებს მივუზომოვო და ეს ფული ქალაქმა უნდა მომცესო. ქალაქის თავმა მოახსენა ხმოსნებს, მოდი, ჩვენ გავსწმინდოთ, შეშა შეშად გავყიდოთ და ადგილიც გავუწმინდოთ მომავალ სოფლელებსაო. „შეშა იქიდან ერთი ღერიც არ ავა და ტყუილად ფული დაგვეხარჯებაო“ - უთხრეს ქალაქის თავს ხმოსნებმა, მაგრამ იმან მაინც თავისი სთქვა და გაიტანა კიდეცა. როგორც ვუწყით, სოხუმის ქალაქს 100 000 მანეთამდე აქვს სხვა და სხვა ქალაქის ბანკებში შენახული საშავდღეოდ, ამის გარდა, რაც რამ შემოუდიოდა, სოხუმში თითქმის არაფერს ინახავდა, სულ სხვაგან, საიმედო ადგილას, შესანახავადა ჰგზავნიდა. ეს ცუდი ჩვეულებააო, - ბრძანა ბერენსმა, - რა საჭიროა სხვაგან, შორს, გზავნა ფულისა, მოდი, აქ, სოხუმის ხაზინაში გადმოვიტანოთ, რაც ფული გვაქვსო, რომ როცა-კი დაგვჭირდება ხელად შეგვეძლოს გამოტანა დახარჯვაო. თუნდ მთელი ქალაქი შენ სანაცვლოდ წავიდესო, მოახსენეს ხმოსნებმა... ამით გათავდა ეს კრება. აი, რამდენი, სოხუმისათვის სასიკეთო და ხელსაყრელი კითხვები აღძრა და გადასწყვიტა ჩვენმა დამტირებელმა!.. სკოლა, ქალაქის სუფთად შენახვა, ქუჩების განკარგება და სხ. მეტი ბარგია თქვენთვისაო. ოღონდაც რომ მეტი ბარგია, ბატონო ქალაქის თავო! ამის მეტი რაღა გვეთქმის, როცა „ხე წაიქცა და ცულიანი და უცულო ზედ მიადგა!..“ არც თუ სულ უხიფათოდ ჩაიარა ამ კრებამ. კრების დაწყებამდე ერთად თავმოყრილ ხმოსნებთა შორის მდგარი ქალაქის თავი მიესალმა ხმოსანს ბ-ნს თ. სახოკიას და ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად. „შერცხვენილს (оплеванному) კაცს ხელს არ ვართმევო“ უთხრა ხმოსანმა თ. სახოკიამ და გარეთ გავიდა. ამ ამბავმა მითქმა-მოთქმა გამოიწვია ხმოსნებს შორის, მაგრამ ჯერ-ჯერობით კი ასე გათავდა. ბოდიშს ვიხდით მკითხველთან წერილის ასე გაგრძელებისათვის, მაგრამ ჩვენს თავს ნებას მივსცემთ აღვნიშნოთ ერთი უწესოება, რომელიც სუფევდა კრების დროს საბჭოს დარბაზში, და დავასრულებთ კიდეც ჩვენს წერილსა, - საქმე ის გახლავთ, რომ მოსამსახურემ თერმონიით სავსე ჭიქები შემოიტანა ლანგრით და ჩამოურიგა ხმოსნებს. ზოგმა აიღო, ხოლო უმრავლესობამ უარი განაცხადა - ლაპარაკის დროს თერმონიისა არა გვცხელაო!.. კოვზებისა და ლამბაქების რაკი-რუკმა ყურთა-სმენა წაიღო,

ხმოსნების ნათქვამი არა ისმოდა რა. ხმოსნები გაბეზრდნენ ამ უწესოებით და მოთმინებიდან გამოსულმა ხმოსანმა ბ. თ. სახოკიამ ქალაქის თავსა სთხოვა წესიერება ჩამოაგდეთ დარბაზშიო. „მარტო თქვენ აცხადებთ ამასა, მაშასადამე, სრული წესიერება სუფევს აქაო, - უპასუხა კადნიერად ქალაქის თავმა“.. თუთუნის კვამლისაგან საშინელი ბუღი ტრიალებდა. არც იქითა არც იქეთ, ნამდვილს სამიკიტნოს მოგაგონებდათ საბჭოს დარბაზი... მერე თითქოს ხმოსნებს დასცინიანო. ჭიქების ჩხაკუნში გარეშე ხალხმაც მისცა ბანი ბ.ნთ ხმოსნებს. ისინიც არხეინად ხვლეპდნენ ქალაქის ხარჯით გამოწერილ თერმონიასა. ალბად, ასე იფიქრეს: „მეგრელს ფაცხა რომ ეწვოდეს, ხელი მოითბეო“. სწორედ სოხუმელთათვის, მათის ქალაქის თავის დამახინჯებული ზნე-ჩვეულებაა. *) იხ. «ცნობ. ფურც.» №903. /ხმოსანი/. (ცნობის ფურცელი, N904, 1899 წელი);

ქ. სოხუმი. საკუთარი რამე-რუმე

ქ. სოხუმი ერთი მშვენიერი და პატარძალივით მორთულ-მოკაზმული ქალაქია თვისის ადგილ-მდებარეობით. სავაჭრო დუქან-მაღაზიები ყოველგან ქვითკირისაა, სადაც ვაჭრობა და აღებ-მიცემობა აქ ერთი ხუთად მეტია, ვიდრე სხვა რომელისამე მოზრდილ ქალაქებში; სადგომ სახლებსაც სულ ახალ გეგმაზე აკეთებენ-აშენებენ, ზოგს ქვითკირისას და ზოგს კი ხისას, მაგრამ მიუხედავად ამისა, სადგომ სახლების შოვნა გასაჭირია თვით ქალაქში და თუ იშოვება ძვირად ფასობენ. ეს იმიტომ, რომ ხალხი ბევრია აქ იმერეთ-გურია-სამეგრელოდან გადმოსული ლუკმა-პურის და ორიოდე გროშის მოსაპოვებლად. მართლაც იმ გვარი მუშა-ხალხი და მოიჯარადრეთა რიცხვი სოხუმში დიდია, რომელსაც ხელოსნობისა და გვარად თავ-თავისი სამუშაო უჭირავს და მით ეწევა ჭაპანს. როგორც თვით სოხუმის ქალაქში, აგრეთვე მთელს ოლქში ხშირად შეხვდებით მომუშავე ან მოიჯარადრე რუსს, „კულტუროსანს“, ებრაელს, ქართველს, მეგრელს და სხვა ჯურის ხალხს, ყველა ამათ მუდამ დღე სამუშაო აქვს და ზოგიერთი უბრალო მუშაკაცი თითქმის დღეში მანეთს იღებს. ამიტომაც არის, რომ სოხუმს ფულის მანანას ეძახიან მუშაკაცი და მოიჯარადრე რომლებიც, წოდების გაურჩევლად, აქ მოეშურ-მოისწრაფიან, რამდენსამე თვის შემდეგ ეს მუშა კაცი და მოიჯარადრე ჯიბე-სქელი და გახარებულ-აღტაცებული ბრუნდება თავიანთ სახლში. საკვირველია, როდესაც საღამოობით და უფრო უქმე დღეებში აუარებელ მუშა ხალხს ხედავთ აქ უნებლიედ გაიფიქრებთ: ესოდენი ხალხი სად მუშაობს ან ყველას სამუშაო აქვსო. ცხადია, რომ ამ პატარა ქალაქში ღმერთს თავისი მოწყალე კალთა დაუბერტყია, სადაც ყველას დღიური ჭირ-ვარმის მოსაპოვებლად სოხუმისთვის მიუმართავს. ამგვარი ბუნებისაგან უხვად დაჯილდოვებულს, როგორიც არის სოხუმი, მისი ძირი მკვიდრი კი მისცემია ცოტა სიზარმაცესა და გაურჯელ-უსაქმობას. რომელთა უსაქმურობა-სიზარმაცეს ნათლად ღაღადებს აქაური ნახევრად დაწყებული და მერე მიტოვებული სახლებთა რიცხვი. საქმე ის არის, რომ სახლების გაკეთება მოუწადინებიათ, აუგიათ მარტოდ-მარტო ტანი სახლისა და მერე ისევ მიუტოვებიათ. ამ გვარად აშენებულ-აგებულ სახლთა რიცხვი სოხუმში ბევრია, რომლებიც რაც გაუკეთებიათ ისიც გაფუჭებულა და ხელმეორედ გაკეთებასა და ვინ ხარ მამა მომეხრეს თხოულობს. აქაურები კარგად უნდა გრძნობდნენ სოხუმში სახლის აშენებას შეუძლიან პატრონს მოგება, მისცეს, მაგრამ გაურჯელობით საძუე მოწყვეტიათ და მისცემიან საუკუნოსა განსვენებასა შინა... კაცები თუ ზარმაცობაში შეჩვეულ არიან, ნაცვლად მისა, ოჯახის დედა ბოძი ჩვენი ქალები „ლალ-ბრილიანტის თვალები“ ძალიან მარდნი და საქმის მოყვარულნი არიან, მათ ცხოვრების დევიზი, ერთად-ერთი „ბულვარში“ და ქუჩა-ქუჩა სიარული და წრიპინ-კისკისია „კავალერითა“. ნათქვამია: „წახედულობამ წამწყმინდაო“. იმისი არ იყოს, აქაურს „დამა-ბარიშნებს“ მამა-კაცებზე მიუბაძავთ. ეს უკანასკნელნი, მოახლოვდება საღამო ჟამი თუ არა, ზოგიერთი მათგანი მამა-კაცის ტანისამოსით, ზოგი სხვანაირად გამოიპრანჭებ-გამოიკვანწება, შემოახტება ველოსიპედს, ცა ქუდათ არ მიაჩნია

და დედამიწა ქალამნათ. მიდის იქითკენ, საითაც ცივი სიო დაუბერავს. მიქროლავს წინ სრიალ-გრიალით და ზარის წკარუნით. ერთმა ველოსიპედის მოყვარულმა „დამამ“ ძლივ-ძლივობით დაახწია თავი ხიფათს... ამ დალოცვილებს რისთვის არ ახსოვთ ის დიდებული ანდაზა, რომელიც ამბობს: „რაც არ გერგება, არ შეგერგება“-ო, ამის მნახველს „ხანუმებს“ გული წყდებათ, უნდათ ორი ბორბლიანი ველოსიპედის მაგიერ ოთხთვალიანი და ხიფათის ასაცდენი ველოსიპედი შეუკვეთონ პარიზს. ასეა თუ ისე, სამართლიანად სჩიოდა ერთი კაცი: „აგერ დილას აქეთ დამეკარგა ქალი და ვეღარ მიპოვნია, ეგებ ვინმემ ნახეთო“. ბედათ, ბევრის ძებნის შემდეგ თვალი მოკრა „ბულვარში“ მოსეირნეს „კავალერთან“. ღმერთო შენ დასწყევლე ეს ქალები, განაგრძო ცოტა გულ-დამშვიდებით ამ კაცმა. არც ორშაბათი, არც სამშაბათი და არც კვირა უქმე გააჩნიათ ამ წყეულებს, რა ღვთის წყრომაა, რომ სახლში არ ისვენებენ და სულ „ბულვარში“ დარბიან დილიდან საღამომდინ კარგ მარულა ცხენივითაო“. ამის გამგონე ქალმა მიუგო: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“, რისთვის არ იცოდი სეირნობა მინდოდაო. მახლას! ქალები თუ არ დგებიან სახლში და „ბულვარში“ გარბიან განურჩევლად დღეებისა, არც კაცები ჩამოუვარდებიან ქალებს. კაცებიც დილიდან საღამომდისინ „ტრახირ-რესტორნებში“ ირთობენ თავს სხვა და სხვა სათამაშოებითა. „კამანთელის“ ჩხაკ-ჩხაკი ერთ წამს არ გასვენებს დაღლილ-დაქანცულს დასასვენებლად. „ტრახირ-რესტორნებს“ და სხვა ამ გვარ ფულის მტერს, ყოველ ფეხის გადადგმაზედ შეხვდებით ხოლმე. საუბედუროდ აქაურებისა, სათამაშოთ იმდენ დროს კარგამენ რომ იმის მეხუთედს სასიკეთოზე არა. ამასთან ისე შეუსისხლ-ხორცებიათ სხვა და სხვა სათამაშოებით თავის გართობა, რომ ინჩიც არ მოსდით გონების გახსნისათვის ცოტა რამ იზრუნონ. რომ გონებით ჩლუნგი და ღატაკნი არიან, იქიდგანაც მტკიცდება, რომ ამ ერთი წლის წინად სამკითხველო დაუარსებიათ და ეხლა უთავობით და გულ-ცივობით გაქრობიათ... დრო გამოშვებით აქ ქართულ-რუსული წარმოდგენები იმართება, ზოგი საქველ-მოქმედო მიზნით და ზოგი კი ისე. კვირაში სამ-ოთხჯერ უკრავს აქაურს „ბულვარში“ სამხედრო მუსიკა, რომელიც უმისოდაც ბლომად იწვევს ხალხს, სადაც ღამის წყვდიადით მოცულს და ხეებით დაბურულს ადგილებში, საღერღელ აშლილი არშიყობაა. ამ გვარ ნამუს ახდილ დიაცთათვის საკუთარი ბინა ვერ მოუძებნიათ... ისიც შევიტყვე, რომ თუ ვინმემ გაზეთში რაიმე გაგზავნა სოხუმიდან, იმან გუდა-ნაბადი უნდა ზურგზე აიკიდოს და მოშორდეს აქაურებს, თორემ „ექსორია“ არ ასცდება. ნეტავ რათა? რისთვის? სიმართლისათვის? ვიცი არც მე ამცდება ხიფათი, მაგრამ ვინუგეშებ თავს იმითი, რომ: „სიმართლით მოჭრილი თითი არ მეტკინება“ და ეს არის მივემგზავრები აღმოსავლეთ საქართველოსაკენ იმ განზრახვით, რომ: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა“... /ტელეფონი/. (ცნობის ფურცელი, N908, 1899 წელი);

სოხუმი. ქალაქის თავის თანაშემწე

არც ქალაქის თავის თანაშემწედ არჩეულს კაცს გაუღიმა ბედმა... როგორც მკითხველებსაც მოეხსენებათ, ამ თანამდებობაზე პირველ არჩევნებზე 17 მაისს, სოხუმის ხმოსნებმა აირჩიეს ბ-ნი ანთ. ჯუღელი და ქრისტ. ყარამურზა, მაგრამ არც ერთი იქმნა დამტკიცებული და არც მეორე. მეორე არჩევნებზე, 26 ივნისს, არჩეულ იქმნა მოსკოველი ექიმი ბ-ნი კაზმინი. გვეგონა, ის მაინც იქმნებოდა ჩვენის დამტირებელის თანაშემწედ. მაგრამ ახლა ამბავი მოვიდა, რომ კაზმინი არ იქმნა დამტკიცებული და იმის მაგივრად ქალაქის თავის თანაშემწედ დანიშნულ იქმნა სოხუმის ექიმი მ. დიმიტრიევიო. დიმიტრიევმა უკვე ჩაიბარა ეს თანამდებობა. (ცნობის ფურცელი, N909, 1899 წელი);

სოხუმი

ავადმყოფობა. სოხუმის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო არსენი, ეს ორი კვირა მეტია, მძიმე ავადმყოფი ბრძანდება. რუსეთიდან უკვე დაიბარეს მათის მეუფების ნათესავნი. თბილისში მის ყოვლად-უსამღვდელოესობას საქართველოს ექსარხოსს ფლაბიანესაც აცნობეს ეს ამბავი და სოხუმში ჩამოელიან. (ცნობის ფურცელი, N910, 1899 წელი);

სოხუმი. საბჭოს დადგენილების განსაჩივრება

ჩვენს დამტირებელს ქალაქის თავს ძალიან გაუტკბა კანონის დათრგუნვა და თავის ქეიფზე ტარება ჩვენის ქალაქის ხმოსნებისა. როგორც უკანასკნელს კრებაზე, სხვათა შორის, გადასწყვიტეს მოწვევა ქალაქის ხარჯთ-ამჯრეფისა და და მისთვის წლიურად 480 მანეთის ჯამაგირის გაჩენა. ეს კითხვა სამოქალაქო დებულების 73 მუხლის თანახმად დახურულის კენჭის ყრით უნდა გადაწყვეტილიყო. მაგრამ ბ-ნმა ბერენსმა გაიადვილა საქმე და მხოლოდ თავის ჩვეულებრივ „ადგომა-დაჯდომით“ მოუღო ბოლო ამ კითხვასა. ხმოსანმა ბ-ნმა თ. სახოკიამ განაცხადება მიართვა ბ-ნს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს, ესეთი უკანონობა ჩაიდინა სოხუმის ქალაქის თავმა და საბჭომ და გთხოვთ ყურადღება მიაქციოთო. უეჭველია, ამ მთელს რიგს უწესოებისას, რომელიც სოხუმის საბჭოში ხდება ბ-ნის ბერენსის წინამძღოლობით, მთავრობა ყურადღებას მიაქცევს და ბ-ნს ბერენსს ასწავლის კანონისა და სამართლის პატივისცემას. (ცნობის ფურცელი, N911, 1899 წელი);

დ. ოჩამჩირე

აფთიაქის შეურაცყოფა. მეორე სალაპარაკო ოჩამჩირელებისა ის არის, კოდორის ნაწილის უფროსის მოენე ტატავ შლატტერმა ხელით შეურაცხყო აფთიაქარი ი. კიცინსკი. შლატტერის თქმით, ღამე ერთად მოვდიოდით და ლაპარაკი გვქონდა მიწის (უჩასტკების) ჩამორთმევაზე. ერთი-მეორის წინააღმდეგ ვლაპარაკობდით. უცბად მომივარდა და შემომიყვირა: ,,все туземцы машенники’’-ო და ხელი მკრა, მეც ვერ მოვითმინე და ხელი ვკარ, ის დაეცა. (შლატტერი დედით აფხაზია, მამით შვეიცარიელი) საქმე სასამართლოში გაირჩევა 15 ოქტომბერს, სინამდვილე იქ გამოაშკარავდება. მხოლოდ შლატტერი ცნობილი იყო როგორც უწყინარი და ყველასგან კარგად მიღებული ცოლშვილიანი კაცი.

დეპუტატების დამტკიცება. არც ოჩამჩირელებს გაუღიმა ბედმა, თუმც 28 ივნისს ახალი დეპუტატების აირჩიეს, მაგრამ დამტკიცებული იქმნენ ისევ ძველები. ნეტავ რა საჭირო იყო საარჩევნო დავიდარაბა? /ოქუმელი/. (ცნობის ფურცელი, N921, 1899 წელი);

დ. ოჩამჩირე. ურთიერთის მოკვლა

19 სექტემბერს ფრიად სამწუხარო ამბავი მოხდა: ორმა მოვაჭრეებმა ერთმანეთი მოჰკლეს უეცრად. აი როგორ მოხდა ეს უბედურება: დარისპან ელიავას ანგარიში ჰქონია გასასწორებელი ერასტო ლეფონავსთან, რომლის (ლეფონავას) სახელზე გადაუტანია ელიავას ყოველივე ვაჭრული ამბები და სოფელში დაუწყიათ ვაჭრობა, მაგრამ დუქანს უზარალნია. ლეფონავა აგროვებდა ფულს და ეუბნებოდა, დღეს თუ ხვალ გაგისწორდებიო. მოთმინებიდან გამოსულ ელიავას (ახლო ნათესავები იყვნენ ერთმანეთის) დილის 6 საათზე გამოუხმია ლეფონავა ბჭის კარზე, რომელსაც ჯორი შეუკაზმინებია და სოფელში გასამგზავრებლად ყოფილა გამოწყობილი და უთქვამს, დღეს უსათუოდ უნდა გავასწოროთ ანგარიშიო. ლეფანავას უპასუხნია: ეხლა სოფელში მივემგზავრები საქმეზე

და როცა ჩამოვალ მედიატორები მოვიწვიოთ და გავასწოროთ დაუსრულებელი ანგარიშიო. ამასობაში ელიავას მოუქნევია და გულზე დაუკრავს ლეფანავასთვის დიდი დანა, რომელიც სახელოში ჰქონია დამალული და გაქცეულა. დაჭრილს თავის ხელით ამოუღია დანა და გამოჰკიდებია რევოლვერით, 145 ნაბიჯის მანძილზე დასწევია და ოთხჯერ დაუხლია, რომლიდან ორი ტყვია მოხვედრია ელიავას, ერთი ჭაჭაზე და მეორე მუცელში გასულა და მეორეს ძვალი მიუმტვრევია. როდესაც ელიავა დაეცა თხრილში მის გვერდით, იმავე წამში დაცემულა ლეფონავაც. ამის შემდეგ ლეფონავამ იცოცხლა უგრძნობლად ერთი საათი, ხოლო ელიავამ საანახევარი, რომელმაც სიკვდილის დროს წამოიძახა: ჩვენი ცოდვა ჰქონდეს უკუნისამდი იმათ ვინც ამ მდგომარეობამდი მიგვიყვანაო. როგორც ელიავა, ისე ლეფონავა (ორივე მეგრელები) თავიანთ უწყინარობით საყვარელნი იყვნენ და განსაკუთრებით გული დაუთუთქა ლეფონავას, ყოველისფერში საიმედო და საღი ვაჟკაცის (ახლად ცოლ-შერთული იყო) უდროოდ სიკვდილმა ყოველს მის ნაცნობს ოსმალელს და ქრისტიანს. /გულდამწვარი/. (ცნობის ფურცელი, N923, 1899 წელი);

დ. გუდავათი

ნოქრების შევიწროებული მდგომარეობა. არა მგონია ასე შევიწროებულნი იყვნენ რომელიმე დაბა ქალაქში ნოქრები, როგორც არიან ჩვენს დაბაში. გუდავათის ნოქარი, არა ნახავს ეკკლესიას გარდა ოთხი დღისას წელიწადში, მაგალითად შობას ახალ წელიწადს, ნათლის ღებას და აღდგომას, მეტი არა აქვს გუდავათელ ნოქარს თავისუფალი დრო; ასეთი შეწუხებული მდგომარეობისათვის ჩვენ მივმართეთ თხოვნით ადგილობრივ ნაწილის უმფროსს, ბ. ელიავას და კვირა უქმე დღეებში დაეკეტათ მაღაზიების კარები, წირვის გამოსვლამდე, და ჩვენც მოგვესმინა წირვა-ლოცვა, როგორც მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთ; მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი თხოვნა უყურადღებოდ ჩაფუჭდა. ნოქრებმა ხელახლად მივეცით თხოვნა ბ-ნ ელიავას, რომელსაც გარდაეცა იგი ქალაქის დეპუტატებისთვის, რათა განერჩიათ დეპუტატებისთვის როგორ და რა დროიდან ყოფილიყო მაღაზიების კარი დაკეტილი. დეპუტატებმა არჩიეს, ასწონ-დასწონეს, მაგრამ თავის სასარგებლოთ ვერ ნახეს მაღაზიების კარის დაკეტვა და ჩვენს თხოვნას თავი უკრეს ვადა გასული თხოვნების ქვეშ. მას შემდეგ სძინავს, და სძინავს ჩვენს თხოვნას! აქ დეპუტატებად ადგილობრივი მოვაჭრენი არიან; ვინ უნდა ზრუნავდეს ქალაქის წარმატებას და წინ სვლას, როდესაც ვალდებული პირნი სიმართლეს ფარავენ. /ნოქარი/. (ცნობის ფურცელი, N927, 1899 წელი);

სოხუმი. აქაური ამბები

ძველთაგან სამეგრელოში შემდეგი არაკია დარჩენილი. იყო ერთი ძუნწი მეფე. მისი პურაძვირობის ამბავი მთელმა ქვეყანამ იცოდა. სიმინდის სამარგლელად ნადს (მამითადს) რომ დაუძახებდა, მისის ბრძანებით თითოეულ გლეხის კერძ ღომში ხმელ ყველის თითო თითის ნაჭერს ჩასჩრიდნენ და ცოტა ხანს დააცდიდნენ, სანამ ყველი ცოტათი მოიხარშებოდა ღომში. მერე ისევ ამოიღებდნენ ყველს და შეინახავდნენ. ნადი ამ ყველ-მოცხებულ ღომსა სჯერდებოდა. პირს უკან ბევრსა სწყევლიდნენ მეფეს, მუშაობით სულს გვართმევს და ცარიელა ღომს კი გვაჯერებს. ძუნწმა მეფემ თქვენი ჭირი წაიღო. ტახტზე მისი შვილი ავიდა. შვილმა იცოდა რომ მის მამის სულს ყველა წყევლას უგზავნიდა და მისი მადლიერი არავინ იყო, ისე მოაბეზრა ყველას თავი თავის საშინელის სიძუნწით, სთქვა, თუ რამ ღონე არ ვიღონე, მამა-ჩემი წამიწყდებაო. ყანის დამუშავების დროს იმანაც ნადი შეჰკრიბა. ნამუშევარს ხალხს ეგონა, შვილი მაინც ღვთისნიერი გამოდგება და ღომში ყველს ჩაგვიტოვებსო. მაგრამ თქვენ

წარმოიდგინეთ მათი გაოცება, როცა ახალი მეფის მოსამსახურეებმა ყველისათვის ხელიც არ ახლებინეს მუშებს. რაც ყველი ჰქონდათ კალანჩხაში ჩააწყვეს და მაღლა ხეზე დაჰკიდეს, თანაც მუშებს უთხრეს: ღომი მოსტეხეთ, ყველს დაუმიზნეთ, ვითომ ზედ აწებებთო და ისე სჭამეთო. მეფის ქვეშევრდომთ გადაცვალებულს მეფეს ლოცვა დაუწყეს: „ღმერთმა აცხონა ის ღომში მაინც ჩაგვიდებდა ყველს და მისმა შვილმა კი ეს წყალობაც წაგვართვაო.“ სწორედ ასე დაგვემართა სოხუმელებს. სულ იმას ვწუწუნებდით თვითმმართველობა არა გვაქვს. აჰა, თვითმმართველობაც შემოღებულ იქმნა, ქალაქის ინტერესების დარაჯად მოქალაქეთ 38 ხმოსანი აირჩიეს... მაგრამ, წარმოიდგინეთ, ძუნწის მეფისა არ იყოს, სოხუმელნი გაიძახიან: ისევ პოლიცია და ძველი წესწყობილება გვერჩიაო. მე იმას არ მოგახსენებთ, რომ თვითმმართველობას ძველურის, პირველყოფილის წესით მართვა-გამგეობა სჯობდეს საზოგადოდ. არც აქაური მოქალაქენი გახლავთ ამ აზრისა. მაგრამ სოხუმის ბედი უკუღმა დატრიალდა, თვითმმართველობის სათავეში ისეთნი წამოსკუპდნენ, რომელთაც თვინიერ თავის თავისა არა-რა და არავინ ახსოვთ, რომელნიც იმ აზრისანი არიან, რომ ქალაქი მათთვის არის გაჩენილი მსხვერპლად და ზვარაკად; ასეთთა აქვთ ხელში თვითმმართველობის აღვირი ჩაგდებული, რომელთაც თვისთა მოქმედებათა კანტროლად საზოგადო სამსახურის აზრი სრულებით უარ-უყვიათ. ქალაქს არც დეპუტატების დროს ეყარა ხეირი და არც ახლა აყრია. მაშასადამე, ჯამი სარგებლობისა, რომელიც ამ ორ დაწესებულებათაგან ქალაქს ეძლევა, ორივ ერთია. ხოლო ზიანი თვითმმართველობას ერთი-ოთხად და ერთი ხუთად მეტი მოაქვს. მართალია, დეპუტატების დროს ქალაქს შემოსავალი ბევრი არა ჰქონდა, მაგრამ გასავალიც ნაკლები ჰქონდა, ახლა კი შემოსავალი ჰკლებულობს და გასავალი კი ერთი ოცად ჰმატულობს. აქაური მოქალაქე, ყოველთ უწინარეს ყველაფერს პრაქტიკულის ალაბითა ჰზომავს, მატერიალიზმის მიმდევარია. ჰხედავს, რომ ახლად შემოღებული დაწესებულება მარტო ხარჯავს და ხარჯავს და იმის ბადლად სარგებლობას, შემოსავლის წყაროს არ იძლევა. და ამის შემდეგ რასაკვირველია, უარჰყოს თვითმმართველობა და უპირატესობა მისცეს პოლიციას. რა გასაკვირელია, რომ ჩვენის დამტირებლის, ქალაქის თავს ბ-ნი ბერენსის უნდა თვითმმართველობას ღირსება დაუკარგონ და ადამიანს შეაძულონ. *(გაზეთი დაზიანებულია, სტატია არასრულია). (ცნობის ფურცელი, N932, 1899 წელი);

***

„სოხუმელნი ულოცავენ ძვირფასს სამშობლო სცენის ოცის წლის განუწყვეტელს სამსახურს საზოგადოების სასარგებლოდ და უსურვებენ შემდეგშიაც წარმატებას. თ. სახოკია“ (ცნობის ფურცელი, N936, 1899 წელი);

სოხუმი. აქაური ამბები

სოხუმი თანდათან იზრდება. ქალაქის გულში ძნელად შეხვდებით ცარიელს ალაგს. განსაკუთრებით ქალაქის შუა საკუთრებას. ამ ჟამად ქალაქს შუაგულში ერთად-ერთი ნაჭერი მიწა აქვს თავისუფალი, მინდვრად გაშვებული. ეს მიწა გახლავთ ქალაქის თვითმართველობის სახლის დასავლეთ მხარეს და სულ 9 თუ 10 დღისა იქნება მეორე ნაჭერი მიწა, ამავე ზომისა, ყაზარმებისაკენ დევს. ეგ არის და ეგ! ამ ორს ნაჭერს მიწას ქალაქი თვალის ჩინივით უნდა გაუფრთხილდეს და მათი წონა ოქრო რომ შეაძლიონ, მაინც ხელიდან არ უნდა გაუშვას. ამიტომ რომ სოხუმს, ამ ბაღების ქალაქის საჭიროებათათვის ეს ადგილები ზედ გამოჭრილია. ამიტომ მარტო მტერი და მაწყევარი თუ ურჩევს სოხუმელებს - ეს ადგილები გაყიდეთო... თქვენ წარმოიდგინეთ, წარსულ კრებაზე წამოდგა ჩვენი დამტირებელი ბერენსი და საბჭოს უთხრა, ეს ადგილები უხმარადა დევს, ზედ ტალახში მოგანგლული კამბეჩები (საწყალი ცხოველები კამბეჩოფობის ხელში!) დასეირნობენ

არხეინად, ეს რა ანგარიშია, იმას არ სჯობიან, მოდი, დავჭრათ სამოსახლო ნაწილებად და მსურველთ მივყიდითო. ბერენსის თანაშემწე ბ-ნი დიმიტრიევი წამოდგა და ბრძანა: ნოვოროსიისკში ასეთი მიწების თითო ოთხკუთხი მხარი 10-15 მ. გაიყიდა და ჩვენც შეგვიძლიან ამ ფასში გავყიდოთ ეს ადგილებიო... ერთხმად წინააღმდეგობა განაცხადეს, ასეთს ძვირფას ადგილებს ისე ადვილად ვერ შეველევითო. მათს გაყიდვას ჭკვათამყოფელი და ჩვენი სიკეთის მდომი არავინ გვირჩევსო. მაგრამ ბერენს არც ამაზე შერცხვა... ხმოსნებმა უთხრეს, კომისია ავირჩიოთ, მივანდოთ, გაიგონ, სად რამდენი თავისუფალი და გასასყიდლად გამოსადეგი მიწა გვაქვსო? მაგრამ თან კომისიას დაავალა, ზემოხსენებულს ორ ნაჭერ მიწას ხელი არ ახლოვო. ეხსომება მკითხველებს, რომ საგუბერნიო საკრებულომ უმეტესი ნაწილი ბ-ნი ბერენსის მიერ თანამდებობათა საჭიროდ არ იცნო მოუთვალა - კვლავ მეტის სიფრთხილით მოეპყარ ქალაქის კასასაო... საკრებულომ 1,330 მ. შეაკვეცა იმ ფულს, რომელიც ბერენსმა გამოითხოვა დასახარჯავად. ორმოცდა ათზე მეტმა უსახლკარომ, დროებით სოხუმში მცხოვრებმა მეგრელებმა საბჭოსა სთხოვეს, სოხუმის დასავლეთ მხარს, სახელდობრ „ლეჩქოფში“, სადაც გაუვალი ჭაობებია, მოგვიზომეთ სამოსახლო ადგილები, თითო ოთხკუთხ მხარში ათ-ათ შაურს მივსცემთ ქალაქს, ისე რომ 3 წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილად გადავიხადოთ მთელის მიწის ფასიო. თანაც, ჰპირდებოდნენ, ამ ადგილებს გავაშრობთ, ციყვების ბუდეს მოვსპობთ, ქუჩებს გავიყვანთ, ხეებს დავრგავთო და სხ. მაგრამ საბჭომ არ შეიწყნარა მათი თხოვნა. საჯარო ვაჭრობა დავნიშნოთ, და ვინც მეტს მოგვცემს, იმათ დარჩესო. ისიც ეხსომებათ მკითხველებს, რომ წინა კრებაზე (20 მარიამ.) ბ-ნმა მზრუნველმა და პატრონმა სოხუმისამ ხმოსნებს ძალათი მოახვია თავზე ეგრედ წოდებულის ხარჯთ-ამკრეფის თანამდებობა და წლიურად 480 მ. დაანიშვნინა. ეს კითხვა დახურულის კენჭის ყრით უნდა გადაწყვეტილიყო „დებულების“ 73 მუხლის თანახმად. მაგრამ ბერენსმა დათრგუნა კანონიცა და სამართალიცა და საბჭოს თავის ქეიფზე გადააწყვეტინა საქმე. ასეთი საქციელი ბერენსისა განსაჩივრებულ იქმნა ბ-ნ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომელმაც უკანონოდ სცნო ქალაქის თავის მოქმედება და მისწერა: კენჭის ყრით გადაწყვიტეთ ეს კითხვაო, მაგრამ ბერენს არც ამის მონელება გასჭირვებია. როცა კრებაზე ჰკითხეს: რატომ იმავ თავითვე კანონის თანახმად არ გაიარეო, თავი იმართლა: „პატარა იაღლიში“ იყოო. კენჭი უყარეთ, ხარჯთ-ამჯრეფის თანამდებობა გინდათ თუ არაო. ისე გაშავდეს ჩემი და თქვენი მტერი და დუშმანი, მკითხველო, როგორც ეს კითხვა გაშავდა! ხმოსნებმა დაუმტკიცეს ბერენსს, წინა კრებაზე ძალა დაგვატანე, თორემ ამ თანამდებობის შემოღება მაშინაც მეტ ბარგად მიგვაჩნდაო. /ხმოსანი/. (ცნობის ფურცელი, N937, 1899 წელი);

სოხუმის ეპარქიის ახალი მმართველი

სოხუმის ეხლანდელი ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო არსენი, როგორც გაზ, „ნოვ. ობ.“ ამბობს, სიბერისა გამო სამსახურს თავს ანებებსო და მის მაგიერ ეპისკოპოსად ინიშნება ყოვლად სამღვდელო ისიდორე, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინად ტბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად იყო. (ცნობის ფურცელი, N958, 1899 წელი);

გუდაუთის (სოხუმის ოლქი)

მცხოვრებთ შუამდგომლობა აღუძრავთ სათანადო მთავრობის წინაშე გუდაუთაში ქსენონის დაარსების შესახებ. (ცნობის ფურცელი, N978, 1899 წელი);

1899 წელი

ჟურნალი ,,მწყემსი''

ახალი ამბები და შენიშვნები

სოხუმის ქალაქის კრებას ხმოსნებათ აღურჩევიათ 38 კაცი. ამათში 26 ქართველია, 7 რუსი და 5 ბერძენი. (მწყემსი, N5, 1899 წელი);

***

ამბობენ, რომ დრანდაში არსდება მეაბრეშუმეთა ამხანაგობა, რომელსაც სახელად ,,აბრეშუმი'' ერქმევა. წესდება უკვე შეუმუშავებიათ და გაუგზავნიათ მთავრობასთან დასამტკიცებლად. საამხანაგო წილის ფული თითო თუმანი იქნება. (მწყემსი, N23-24, 1899 წელი);

1899 წელი

ჟურნალი ,,აკაკის თვიური კრებული''

აფხაზები

(მასალა ნ. ჯანაშიასი)

I

რაზე დგას სამყარო?

აფხაზის რწმუნებით, ჩვენი მშვენიერი სამყარო დგას, უშველებელ ხარის რქებ შუა, თავზე. სამყაროს გვერდითვე ხარის რქაზე მუდმივათ არის ანგელოზი ღვთისა, რომელსაც ნაბრძანები აქვს უფლისაგან: რაც დედამიწაზე ხვდება მას, უფალს, თავის დროზე მოახსენოს. შემოქმედის ბრძანებისთავე ხარის წინ ყოველთვის, მოუშორებლათ არის ერთი დიდი კოღო. ეს უკანასკნელი ნებას არ აძლევს ხარს თავის ადგილიდან დაიძრას, რომ ამ მოძრაობის დროს ხარის რქიდან არ გამოვარდეს ჩვენი სამყარო (ადუნეი). ხან-და-ხან ეს ხარი თავისი მტერი კოღოს შესაშინებლათ გაიქნევ-გამოიქნევს რქებს, რის გამოც ჩვენი დედამიწა დაიძვრის. აი, ამ დროს ჩვენ ვამბობთ: დედა-მიწა იძვრისო. თვითონ სამყაროს საძირკველი - ხარი - ვეებერთელა თევზის ზურგზეა გაჩერებული. თევზი კი უძრავადაა გაჩერებული ზღვის შუა-გულას.

II.

სამყაროს გაყოფა ღვთისა და ეშმაკ შუა

ეშმაკი, სანამდი ეშმაკათ გადაიქცეოდა, იყო ანგელოზი და საყვარელი დის-წული და დიდ პატივის ცემაში ჰყავდა. მაგრამ ამ სიყვარულმა და ღვთის პატივის ცემამ გააამაყა, გაასულ-დიდგულა იგი: ღმერთი არაფრად, ჩააგდო და თვითონ ღმერთობა მოინდომა! აგრეთვე უფალს მოსთხოვა ნახევარი სამყარო თავისთვის: „რადგანაც მე შენი დისწული ვარო, სამყაროს ნახევარი მერგება მემკვიდრეობითო“. უფალმა ყოველი ღონე იღონა, ყოველი

საშუალება იხმარა, შემცდარი ანგელოზი გონზე მოეყვანა, თავისი ცოდვები შეენანიებინა, მაგრამ ამაოთ: ვეღარ მოიყვანა გონს, ვეღარ მოარჯულა. მაშინ უფალმა ეშმაკათ აქცია თავისი საყვარელი ანგელოზი და ვითომ დათანხმდა ქვეყნის გაყოფაზე და უბრძანა ეშმაკს: - რადგანაც ჩემზე უმცროსი ხარ *) შენ გაჰყავიო ორ ნაწილათ ქვეყანა და მე ამოვარჩევ ჩემ წილსო.

*) აფხაზეთში, საცა ძმები იყოფებიან, უმცროსმა უნდა გაჰყოს გასაყოფი, რომ უფროსმა თავისს გემოვნებაზე უკეთესი წილი თავისთვის აირჩიოს.

-არაო, უპასუხა ეშმაკმა, შენ გაანაწილე და ჩემთვის პირველათ მე ამოვირჩევ ერთ ნაწილსო. უფალი დათანხმდა და ასე გაჰყო ქვეყნიერობა: ერთ ნაწილათ მცენარეულობა დასახა და მეორე ნაწილათ თვით მიწა, ხმელეთი. მაშინ ეშმაკმა სთხოვა უფალს: - ერთი დღე მადროვე, რომ დავფიქრდე, რომელი ნაწილი ამოვირჩიოვო. უფალსაც ეს უნდოდა და კიდევაც მისცა დაფიქრების ნება. ამ ერთ ღამეს უფლის ბრძანებით ყოველივე მცენარე შვენივრათ აყვავდა და სანახავათ სანატრელი გადაიქცა. მეორე დღეს ეშმაკი ამ მცენარეთა სიტურფითა და სილამაზით მოიხიბლა და თავის წილ-ხვედრათ მცენარეულობა ამოირჩია. უფალს გულის საწადელი აუსრულდა. მაშინვე უბრძანა ურჩ ეშმაკს: თავისი წილი მცენარეულობა მიწიდან აეღო და სადაც უნდოდა, იქ წაეღო, მხოლოთ მიწისთვის კი მოეშორებია. ეხლა კი მიხვდა ეშმაკი თავის შეცდომას, მაგრამ გვიანღა იყო. ასე და ამ რიგათ ღვთის გაჩენილი ქვეყანა ისევ მას დარჩა. მხოლოთ ეშმაკმა ეს გაჰბედა და სთხოვა: - იმათი სულები მაინც მომეცი, ვინც ხიდან ჩამოვარდება და მოკვდებაო. ამ თხოვნაში უფალმა იმათ სულები არგუნა ეშმაკს, ვინც ხეზე ასვლის დროს ღვთის სახელი არ მოიხსენა და არ თქვა: „ღმერთო, მშვიდობით ჩამომიყვანეო“.

III.
რა არის მიზეზი მთვარის დაბნელებისა?

აფხაზის აზრით, ღამის კეკლუც გუშაგ მთვარეს უშველებელი ბუ ემტერება. ის მუდამ იმის ცდაშია, რომ როგორმე დაეცეს მთვარეს, ჩაჰყლაპოს და მით ისედაც ბნელი ღამე მთლად დააბნელოს. მაგრამ მას ამ საშინელი აზრის შესრულების ნებას არ აძლევენ აფხაზნი, რისთვისაც აფხაზნი მუდამ გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებენ მთვარის დაბნელებას და შეიმჩნევენ თუ არა მთვარე ბნელდებაო, მაშინვე თოფების სროლას იწყებენ რომ ამით შეაშინონ ბუ და გააქციონ. *)

*) ეხლა ეს ჩვეულება დავიწყებას ეძლევა.

IV.

რათ არის მთვარეზე შავი ხალები?

ერთ დროულ ქვრივ დედაკაცს ორი სანახავათ სანატრელი, კალმით აღუწერელი და ენით გამოუთქმელი სილამაზის ვაჟი-შვილი ჰყავდა. დედას ამათ მეტი არა ებადა რა, მას ამათზე ამოუდიოდა მზე. ერთხელ დედამ შენიშნა, რომ მისი ვაჟები რაცხა უგულოთ და უმადლოთ სჭამენ შინ საჭმელს. ამათ რამოდენიმე ხნის შემდეგ სულ დაანებეს თავი საჭმლის ჭამას. ამ გარემოებამ დედა დიდ საფიქრალსა და საგონებელში ჩააგდო. გამოკითხვით ვერაფერი შეიტყო. „არა გვშიაო“ - ეუბნებოდნენ მას ყოველთვის, როცა საჭმელს შეაძლევდა. მწუხარე დედამ ყოველივე ღონე იღონა, რათა შეეტყო ამ გარემოების ნამდვილი მიზეზი. ერთხელ დილა ადრიანათ ვაჟები გავიდენ სახლიდან და ტყისკენ გასწიეს. დედაც მათ შორი ახლო

დაედევნა უკან და აი რა სურათი დაინახა მან: შუა გულ ტყეში, ამწვანებული ხის ჩეროში მისი ვაჟები ორი მზეთ-უნახავი ქალი-შვილის ალერსითა ტკბებიან, დნებიან! მათ წინ მოდის მწვანე ხავერდზე ნაი-ნაირი საუცხოვო სასმელ-საჭმელები! საცოდავმა დედამ ამ სურათით შეშინებულ-გაბრაზებულმა: ვაი, თუ ჩემი თვალის სინათლე შვილები ამათ წამართვანო და მით საუკუნოდ დამაობლონო, იქვე ახლოს მდებარე ახალ ძროხის ნეხვს სტაცა ხელი, აიღო ერთი მუჭა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა - ესროლა მათ და ერთიანად გასვარა ორივე ქალი-შვილი. ერთი ამ ქალიშვილთაგანი მაშინვე მზეთ იქცა, იქავ ახლოს წყლიან თუნგში ჩაძვრა, გაიბანა ტანთ და ისე წმინდათ გასწია ზეცისკენ. მეორე კი მთვარეთ იქცა, ტანის დაბანას არ მიხედა და ისე გაეშურა ზეცისკენვე. თურმე ეს ქალიშვილები მზე და მთვარე ყოფილან, რომელნიც მოხიბლულან იმ ვაჟების სილამაზით და ამიტომაც ქალიშვილების სახით მათთან სიყვარულით ტკბებოდენ. მზემ, როგორც უფრო გონიერმა, მაშინვე მოიშორა თავისი ჭუჭყი; მთვარეს მიახმა ნეხვი და დღეს ჩვენ შავ ხალებათ გვეჩვენება. უგნურმა დედამ თავის უცოდინარობით ვაჟებს ბედნიერება დაუკარგა და ქვეყანასაც მთვარის სინათლე გაუნახევრაო ამბობს აფხაზი.

V

რათ არ შეუძლიათ ძერებს მკათათვეში წყლის დალევა?

როცა დიდებული ქვეყნის გამჩენი წყალს აწესრიგებდა ქვეყანაზე, მაშინ მან უბრძანა ყოველ სულდგმულს, ამ საქმეში მონაწილეობა მიეღო, როგორც თვითონ უფალი უჩვენებდა. ეს განკარგულება ამიტომ მოახდინა უფალმა, რომ მაშინ ყოველი ცხოველი მეტ პატივს დადებს წყალსო. ყველამ აასრულა ღვთის ბრძანება, გარდა ძერასი. ძერამ იურჩა და აღარ დაჰყვა ღვთის ნებას, რისთვისაც უფალმა ეს სასჯელი დაუდო: აღუკრძალა მკათათვეში, როცა უფრო პაპანაქება სიცხეებია, წყლის დალევა. ამიტომაცაა, რომ საცოდავი ძერები დაფრინავენ, დაყიალობენ და წყალს ეძებენ, მაგრამ სმა-კი არ შეუძლიათ.

VI

რათ იცის კამბეჩმა კარგი ცურვა?

როდესაც ცოდვებისა გამო ყოვლად შემზლებულმა უფალმა გადასწყვიტა დაესაჯა ქვეყნიერება წარღვნით და ნოეს უბრძანა აეშენებინა კიდობანი და შიგ შეეყვანა ყოველ გვარი ცხოველის სათესლე და როცა ნოემ აღასრულა ეს, მაშინ მან დაინახა, რომ კამბეჩის საშენებლათ არჩეული ხარ-ფურ-კამეჩი კარში დარჩა და შიგ კიდობანში მათთვის ადგილი აღარ არის. კამბეჩის ხსენება რომ არ მოსპობილიყო, ნოე შეევედრა უფალს: შეენახა ეს ხარ-ფურ-კამბეჩი. ღმერთმაც უსმინა ნოეს და მისცა იმ ორ კამბეჩს შეძლება და შეგნება, რომ გაჰყოლოდენ უკან-უკან ცურვით კიდობანს. აი, რისთვისაც დღესაც კამბეჩს ცურვაში ტოლი არა ჰყავს შინაურ ცხოველებში. (აკაკის თვიური კრებული, N4, 1898 წელი);

აფხაზები

(მასალა ნ. ჯანაშიასი)

VII.

როგორ გაჩნდნენ ქვეყანაზე მგლები?

აფხაზთა შორის არის გავრცელებული მგლების გაჩენის შესახებ შემდეგი ლეგენდა. იყო ერთი ცოლ-ქმარი, უმაღლეს და ღვთის მიერ საყვარელ ანგელოზთა. პირველად ეს ანგელოზნი ღვთის მოშიშნი და მორჩილნი იყვნენ, რისთვისაც უფალს ძალიან უყვარდა

ესენი და უსაზომო პატივდებაში ჰყავდა. გარნა რამოდენიმე ხნის შემდეგ ამ პატივის-ცემამ გააამაყა ეს ცოლ-ქმარ ანგელოსნი, ღვთის შიშს და მორჩილებას ცოტ-ცოტად გადააჩვია და ურჩობას შეაჩვია. ჯერ უფალმა ტკბილის სიტყვით და მოქცევით მოინდომა მათი გონზე მოყვანა, მაგრამ ამაოდ: უგუნურნი ურჩობას უფრო და უფრო უმატებდნენ. ერთხელ შემოქმედმა გაუგზავნა მათ ერთი ანგელოზი და იხმო თავისთან ურჩნი ანგელოზნი. უფალს შეუთვალეს შემდეგი: „ეხლა ჩვენ ცოლ-ქმრულის სიყვარულით ვსტკბებით და არა გვცალიან შენთან მოსვლისთვისო“. იმ ურჩ ანგელოზთა უგუნურმა პასუხმა საშინლად გაარისხა და გააბრაზა უფალი; მაშინვე მივარდა მათთან და, დაჰკრა რა მათრახი ორივეს წელ-ქვევით, ასე დასწყევლა: „დღეის ამიერ კრულ და შეჩვენებულ იყავით, გადაიქეცით ცხოველებად, რომელნიც წელს ქვევით უძლურნი და სუსტნი და წელს ზევით კი ღონიერნი იქნებითო!“ და გადააქცია რა მგლებად, ქვეყანაზე ჩამოაგდო. ასე გააჩინა უფალმა მგლები.

VIII.

მგლების კერძი - „აკვაკვარ“ (კვერები)

აფხაზეთში შემდეგი რწმუნება არის გავრცელებული: უფლისაგან მგლებს წელიწადში ერთხელ კერძად ეძლევათ თითო-თითო კერძი (აკვაკვარ). მოახლოვდება თუ არა დრო ამ კერძის მიღებისა, მგლები ერთად ხროვა-ხროვად დადიან ტყე-ტყე და დაჰღმუიან, სანამ მათი ღმუილი ზეცას არ ავალს, და უფალი მათთვის დანიშნულ კვერებს ჩამოუგდებდეს. მიიღებენ თუ არა შემოქმედის მიერ ნაბოძებ კვერებს, გაჩუმდებიან მგლები. ეს აი როგორ შეიტყო ადამიანმა (აფხაზებმა): ერთხელ ღამით გვიან თავის კარავიდგან შინ ბრუნდებოდა ვინმე მწყემსი, მას ტყეში გზაზე მგლების ხროვა თავზე დასცემია. მწყემსს როგორც იყო ხეზე შეუსწრია. მაგრამ მგლები მაინც მას არ მოჰშორებია: თურმე მისს ქვეშ იდგნენ და გულსაზარად ჰღმუოდნენ. გავიდა ხანი და უცბად შენიშნა მწყემსმა, რომ რაღაცამ სეტყვასავით იწყო ცვენა. მწყემსს ჯერ ძალიან შეეშინდა, მაგრამ მერე გული მოიცა და, როგორც იყო, დაიჭირა ერთი ის, რაც ცვიოდა, და დაინახა თავისს ხელში ცხელი კვერი. მგლებმა თავ-თავისი კვერი შესჭამეს და სადღაც გაჰქრენ, მხოლოდ ერთს იმათგანს ფეხი არ მოუცვლია და საშინლად ჰღმუოდა, არ იქმნა და არ წავიდა ის მგელი. მაშინ მწყემსმა ამ მგლის თავიდგან მოსაშორებად იმ კვერის ნახევარი წაუტეხა და გადაუგდო. მგელმა წაავლო კბილი და გაჰქრა. მეორე დღეს ეს შემთხვევა მწყემსმა ქვეყანას შეატყობინა. ამის შემდეგ შეიტყვეს, რომ ღვთისაგან მგლებს ჰქონებია დანიშნული კერძი „აკვავარ“.

IX.

რად არის მერცხლის კუდი შუაზედ გაყოფილი?

უფალს ენება, რომ გველებისათვის საჭმელად რაიმე კარგი, გემრიელი ხორციანი ცხოველი მიეჩინა. გველმა ღვთის წინაშე თავისი ერთგული სამსახურით ეს დაიმსახურა. რომელ ცხოველს უფრო გემრიელი ხორცი აქვს შეიტყეთო და მომახსენეთო - უბრძანა უფალმა მერცხალს და ფხიჭუას (ნეხვის ჭიას). ამათ მოიარეს მთელი ქვეყანა, გასინჯეს ყოველი ცხოველის ხორცი, და აღმოჩნდა, რომ ადამიანის ხორცი უგემრიელესი ხორცი ყოფილა. მერცხალს შეებრალა ადამიანი და ურჩია ფხიჭუას, რომ ღვთისათვის უგემრიელეს ხორცათ ბაყაყის ხორცი მოეხსენებინათ, მაგრამ ფხიჭუა არ დასთანხმდა, ორივე წარდგნენ უფლის წინაშე თავისი ნანახის და გამონარჩევის მოსახსენებლად, გველიც იქვე იყო. ფხიჭუამ დააღო პირი, რათა კაცის სახელი ახსენოს და, სანამ პირველ მარცვალს წარმოსთქვამდა, მივარდა მერცხალი, ამოგლიჯა ენა და ამით გადაარჩინა ადამიანი უბედურებისაგან. გაბრაზებული გველი მიჰვარდა მერცხალს საკბენად, მაგრამ მერცხალმა გაასწრო. მხოლოდ გველს კბილებში

შერჩა რამოდენიმე მერცხლის კუდის ფრთა. ასე გაეყო მერცხალს კუდი. ამ თავ-გამოდებით გადაარჩინა ადამიანი საშინელებას - გველს. მისთვისაა მერცხალი ეხლა რომ თავის ბუდეს ადამიანის ჭერ-ქვეშ იკეთებს, და ადამიანიც პატივით ეპყრობა მას. მერცხლის ჩვენებითვე აქვს მიჩენილი გველს საჭმელად ბაყაყის ხორცი.

X.

როგორ გაჩნდა ქვეყანაზე კუ (აკუა)?

აი რას ამბობენ კუის გაჩენის შესახებ აფხაზნი: ერთხელ სტუმარი*) ეწვია ქალს. ქალი ქმარს მოელოდა და მისთვის მშვენიერი მსუქანი ყვერული ჰქონდა გაკეთებული. ქალმა ყვერული ვეღარ გაიმეტა, იქით განჯინაში შეინახა და სტუმარი სიმინდის ფქვილის ღომით და ყველით გაისტუმრა. როცა სტუმარი წავიდა, ქალი მივიდა, დაჰხედა თავის მოხარშულ-მომზადებულ ყვერულს და ჰოი საკვირველებავ, მისი მოხარშული ყვერული უშნო ცხოველად გადაქცეულიყო: ზევით და ქვევით ჯამები რომ ჰქონოდა, ისინი გაძვალ-ტყავებულიყვნენ და ზედა ჯამი ფარად დაჰხურებოდა ამ ცხოველს. კუ არხეინად ჩამოვიდა განჯინის თაროდგან და იქვე ფაცხის გვერდით მყოფ ლაფს მიჰმართა. აი როგორ დასაჯა უფალმა აფხაზის ქალი სტუმრის პატივ-უცემლობისათვისო (ძმის პატივ-უცემლობისათვისო)! დაუმატა ამის მთხრობელმა აფხაზმა.

**) მეორე ვარიანტით - ძმა ეწვია სტუმრად.*

XI.

ნადირის ღმერთის ქალიშვილები (აჟვეიფშაა ითიფჰაცვა)

აფხაზის აზრით, რაც კი რამ ნადირია ქვეყანაზე ეკუთვნის ნადირის ღმერთს „ადაგვას“, *) რომელიც ძალზე მოხუცებულია, ყრუც და ბრმაცაა. ამას ჰყავს სამი ქალიშვილი და ურიცხვი მწყემსები, რომელნიც ჰმწყესავენ ნადირს. რასაც ნადირის შესახებ ბრძანებს „ადაგვა“, ის აღსრულდება. ამიტომ ყოველ ცისმარა დღეს ქალიშვილები მისცვივდებიან მამას და სთხოვენ: „ნადირი დაულოცე (მიეცი) ახალგაზდა, ლამაზ და დაუღალავ მონადირეთო!“ „ადაგვა“ თავისას მუდამ გაიძახის „კვლავ ვისთვის მიგვიცია, იმას მიეცესო“. თვით „ადაგვა“ და მისი ქალიშვილები თავის მოსამსახურეებით იკვებებიან სულ ნადირის ხორცით. დაჰკლავენ ნადირს, მოჰხარშვენ, შესწვენ და შესჭამენ და მერე ძვლებს ერთად თავს მოუყრიან, ჩაჰყრიან ნადირის (თავის) ტყავში და დაარტყამენ მათრახს: ნადირი კვლავ გაცოცხლდება. აი მონადირის ბედი მხოლოდ ამისთანა ნადირია. ის ნადირი, რომელიც ჯერ ადაგვას არ შეუჭამია, მონადირეს არ ერგება, ვეღარ მოჰკლავს. თუ ჭამის დროს ერთი და ერთი ძვალი დაიკარგა, მის მაგიერ ტყავში სდებენ ჩხირს, რომელიც ძვალის მაგიერობას გასწევს.

**) აფხაზურად „ადაგვა“ ნიშნავს ყრუს.*

XII. ორსული ქალი და მაკე ჭაკი ცხენი

ერთი ორსული ქალი მაკე ცხენზე იჯდა თურმე და აღმართზე მიდიოდა; ქალს შეეცოდა ჭაკი, ჩამოხტა და აღმართზე ფეხით ავიდა. მაშინ მაკე ჭაკმა უთხრა ქალს: „რადგან დღეს ჩემს გაჭირვებულ მდგომარეობას შეჰხედე და შემიბრალე, ამიტომ ვსთხოვე ზენას, რომ

ჩემ მაგიერ შენ ცხრა თვეს გატარებინოს შვილი მუცელში, მე კი შენი ვადა - თორმეტი თვე მომცესო. ღმერთმა უსმინდა მაკე ჭაკს მისი ვედრება და შეუსრულა: მას შემდეგ ქალი ცხრა თვეს ატარებს შვილს მუცელში, და ჭაკი კი - თორმეტ თვეს. უწინ კი - ჭაკი ცხრა თვეს ატარებდა, ხოლო ორსული ქალი - თორმეტ თვეს ატარებდა შვილს მუცელშიო.

XIII.

აფხაზის თქმით, თუ კაცმა დაინახა ცა გაღებული (გაყოფილი) და მაშინვე სხვა სიტყვის წამოუცდენელად სთქვა ლექსი:

ლარი, ვარი, (ძაღლები, ადამიანნი)

ხიზი - ჯხვარი (სველი (წაქა) და ღომის ქერქი),

მაშინ ამის მთქმელის ოჯახი ყოველივე ბედნიერებით აივსება. თუ კაცს ეს ლექსი ვეღარ მოაგონდება და სხვა რამე სთხოვა, თავისი თხოვნა შეუსრულდება. აგრეთვე უნდა მოიქცეს კაცი, თუ მდინარე მძინარედ დაინახა. მაშინაც ეს ლექსი უნდა სთქვა, რომ ყოველი კეთილით აღევსოს ოჯახი. თუ არა და, რასაც სთხოვს, ის მიენიჭება.

XIV.
ხალხური შენიშვნები ამინდზე

თუ ახალს მთვარეს წვერები დაშვებული აქვს და თვითონაც მოწითალოა, ცუდი ტაროსის ნიშანია. თუ ზამთრობით ბეღურები გუნდ-გუნდად დაიწყებენ საცხოვრებელ შენობებისკენ ფრენას, მაშინ უსათუოდ თოვლი მოვა. ყურების წივილი ავდრის მომასწავლებელია. კედლის ჭვარტლს (მურს) ცეცხლი ეკიდება, ავდარი იქნება.

სიკვდილზე და ცუდ შემთხვევებზე

თუ მთვარეს გვირგვინად გარშემო ნათელი შემოერტყა, მოკვდება ვინმე დიდებულთაგანი, უფროს ერთ შემთხვევაში - მოკვდება „აჰ“ (მთავარი). ვარსკვლავი ჩამოვარდება - მოკვდება ვინმე. სოფლის ახლო-მახლო ფოცხვერი დაიწყებს ღმუილს, მოკვდება ვინმე. ბუ სოფელში დაიწყებს ჭიოტს, მთელს სოფელს რაიმე უბედურება ეწვევა. წვივის ფხანა ნიშანია ერთ-ერთი მეუღლეთა სიკვდილისა. თუ კაცს ცუდად და მწარედ ლოყა ეფხანება, მოკვდება ვინმე მის ახლო ნათესავთაგანი. თუ ზედა ტუჩი რბილად და სასიამოვნოდ ეფხანება კაცს, შეიტყობს სასიამოვნო ამბავს, და თუ მწვავედ ეფხანება - ცუდს ამბავს. თუ მამალი შენკენ იზამს თავს და სასიამოვნოდ დაიყივლებს, კარგს რასმე შეიტყობ და მიიღებ, თუ უსიამოვნოდ-უსიამოვნებას რაიმეს შეეყრები. მგზავრს კურდღელმა გზა გადაურბინა - ცუდს შეეყრება, და თუ მელამ გადაურბინა, კარგის მომასწავებელია. ძროხამ მოგაბღავლა - ცუდი ნიშანია. (აკაკის თვიური კრებული, N8, 1899 წელი);

1899 წელი

გაზეთი ,,კვალი''

გუდაუთი, აფხაზეთი

ამ დღეებში გამოეთხოვა აქაურ ქართველ საზოგადოებას ადგილობრივი სამინისტრო სკოლის მასწავლებელი ბ. ნიკო სიმონის ძე ჯანაშია, რომელიც თავისისავე სურვილით გადაყვანილ იქმნა სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლათ. თუმცა დიდი ხანი არ არის რაც ბ. ჯანაშია გადმოიყვანეს გურიიდან მასწავლებლათ, მაგრამ ამ მცირე დროის განმავლობაში საკმაოთ დააჩნია კვალი და თვალსაჩინოთ წასწია წინ აქაური სკოლის საქმე. თუმცა ეს სკოლა მის მოსვლამდის არსებობდა, მაგრამ უკანასკნელ დროებამდე მიღწეულ ავათმყოფს წააგავდა და რომელ საათში დალევდა სულს არავინ იცოდა, რის გამოც, საზოგადოებასაც გაუტყდა გული. უცხოელი მასწავლებლები, ადგილობრივი ენის უცოდინარობის გამო ვერ ახერხებდნენ ხეირიანათ გაკვეთილების გადაცემას და ამის გამო მოსწავლეთა რიცხვი თუ აკლდებოდა, თვარა არ ემატებოდა. სწორედ ამ გაჭირვების დროს მოუსწრო ბ. ჯანაშიამ სკოლას და თავისი შრომით, მხნეობით და ერთგულათ საქმის ასრულებით საუკეთესო ნიადაგზე დააყენა დღეს გუდაუთის სკოლის საქმე. განსაკუთრებით დიდი ხალისით ეტანებოდნენ სკოლას მეგრელების და აფხაზების პატარა ყმაწვილები და ქალები. ბ. ჯანაშიამ კარგათ იცოდა ადგილობრივი ენები და მისი დახმარებ შემწეობით მეტის-მეტათ უადვილებდა ბავშებს სწავლას. გარდა თავისი პირადი მოვალეობისა, თავისუფალ დროს ბ. ჯანაშია ახმარებდა საზოგადო საქმეებს: ხშირათ მართავდა ხალხში ბაასს და ცდილობდა ყველა მრუდათ მოსიარულე კეთილ და ჭეშმარიტ გზაზე დაეყენებინა. ხშირად ამხილებდა გაზეთების შემწეობით ზოგიერთ გადმონათეს აღვირ წახსნილ კაკარდოსნებს, მათ მოქმედებას და შეძლების და გვარათ აწვდიდა ჟურ. კრებულის მკითხველებს ეტნოგრაფიულ წერილებს აფხაზეთიდან. ამ ბოლომდი განაგებდა გუდაუთის სამკითხველოს საქმეს და საზოგადოების დახმარებით აცოცხლებდა მას. იმედია, ადგილობრივი პატივცემული ქართველი საზოგადოება შემდეგშიაც მოუვლის ამ ძვირფას განძს (სამკითხველოს) და არ გამოასალმებს წუთის სოფელს.

დიდის პატივისცემით ვიხსენიებთ აგრეთვე ქ. ნ. ელენე ჯანაშიასაც, რომელიც თავის ხელოვნურ ცოდნას არავის ამადლიდა და უფასოთ ასწავლვიდა პატარა მოწაფე-ქალებს ქსოვა-ქარგვას და სხვა ხელსაქმეებს. დიდათ საწყენად დარჩა საზოგადოებას ასეთი მასწავლებლის მოშორება, ნიშნათ პატივისცემისა გამოთხოვების დროს გაუმართეს სადილი და სახსოვრათ ძმურ მეგობრულ კავშირისა სურათიც გადაიღეს ერთათ. იმედია, რომ ახლათ დანიშნული ბ. ჯანაშიას მოადგილე ქ-ნი აგრაფენა ლაკერბაია ისე ნათლათ და პატიოსნათ განაგრძობს ამ კეთილ საქმეს, როგორც მისი წინა მოადგილე და ამით მოიყვანს სისრულეში ჩვენი უკვდავი პოეტის სიტყვებს: ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყვეს, თუნდა - ხვადია. /თეოფ. გოგიტიძე/. (კვალი, N38, 1899 წელი).

„მოქვის ტაძარი“
გაზეთი „კვალი”, №16, 1893 წელი

„ღრანდის ტაძარი“
გაზეთი „კვალი”, №13, 1893 წელი

სარჩევი

წინასიტყვაობა	3
Foreword	**8**
1866 წელი, გაზეთი ,,დროება''	13
1867 წელი, გაზეთი ,,დროება''	14
1868 წელი, გაზეთი ,,დროება''	21
1869 წელი, გაზეთი ,,დროება''	22
1870 წელი, გაზეთი ,,დროება''	23
1871 წელი, გაზეთი ,,დროება''	24
1872 წელი, გაზეთი ,,დროება''	24
1874 წელი, გაზეთი ,,დროება''	27
1875 წელი, გაზეთი ,,დროება''	31
1876 წელი, გაზეთი ,,დროება''	37
1877 წელი, გაზეთი ,,დროება''	39
1877 წელი, გაზეთი ,,ივერია''	49
1878 წელი, გაზეთი ,,დროება''	50
1878 წელი, გაზეთი „ივერია“	66
1879 წელი, გაზეთი „დროება“	68
1880 წელი, გაზეთი „დროება“	84
1881 წელი, გაზეთი „დროება“	95
1882 წელი, გაზეთი „დროება“	107
1883 წელი, გაზეთი „დროება“	110
1884 წელი, გაზეთი „დროება“	119
1885 წელი, გაზეთი „დროება“	136
1885 წელი, ჟურნალი „მწყემსი“	155
1886 წელი, გაზეთი „ივერია“	166
1886 წელი, ჟურნალი „მწყემსი“	181
1887 წელი, გაზეთი „ივერია“	185
1887 წელი, ჟურნალი „მწყემსი“	201
1888 წელი, გაზეთი „ივერია“	206
1888 წელი, ჟურნალი „მწყემსი“	263
1889 წელი, გაზეთი „ივერია“	265
1889 წელი, ჟურნალი „მწყემსი“	275
1890 წელი, გაზეთი „ივერია“	284
1890 წელი, ჟურნალი „მწყემსი“	293

1891 წელი, გაზეთი „ივერია“ 298
1891 წელი, ჟურნალი „მწყემსი“ 307
1892 წელი, გაზეთი „ივერია“ 316
1892 წელი, ჟურნალი „მწყემსი“ 333
1893 წელი, გაზეთი „ივერია“ 335
1893 წელი, გაზეთი „კვალი“ 344
1893 წელი, ჟურნალი „მწყემსი“ 348
1894 წელი, გაზეთი „ივერია“ 355
1894 წელი, გაზეთი „კვალი“ 375
1894 წელი, ჟურნალი „მწყემსი“ 379
1895 წელი, გაზეთი „ივერია“ 379
1895 წელი, გაზეთი „ კვალი“ 391
1896 წელი, გაზეთი „ივერია“ 405
1896 წელი, გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 409
1896 წელი, გაზეთი „კვალი“ 414
1896 წელი, ჟურნალი „მწყემსი“ 417
1897 წელი, გაზეთი „ივერია“ 419
1897 წელი, გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 429
1898 წელი, გაზეთი „ივერია“ 477
1898 წელი, გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 492
1898 წელი, ჟურნალი „მწყემსი“ 540
1898 წელი, ჟურნალი „აკაკის თვიური კრებული“ 540
1899 წელი, გაზეთი „ივერია“ 543
1899 წელი, გაზეთი „ცნობის ფურცელი“ 566
1899 წელი, ჟურნალი „მწყემსი“ 588
1899 წელი, ჟურნალი „აკაკის თვიური კრებული“ 588

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com